

დ ა ნ ა რ თ ი
„დემოკრაფიის“ კურსის პროგრამა

თემა 1. დემოკრაფიის შესწავლის საბანი, ამოცანები და მეთოდები

მოსახლეობის როგორც ბევრი მეცნიერული დისციპლინის: დემოკრაფიის, პოლიტიკური ეკონომიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, მედიცინის და ა.შ. შესწავლის ობიექტი. მოსახლეობის სპეციფიკური გაგება დემოკრაფიაში. მოსახლეობა და საზოგადოება.

დემოკრაფიის შესწავლის საბანი: მოსახლეობის კვლავწარმოება მის საზოგადოებრივ-ისტორიულ განპირობებულობაში (ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსახლეობის კვლავწარმოების კანონზომიერებები და კანონები). მოსახლეობის კვლავწარმოება როგორც თაობათა უწყვეტი ცვლა.

დემოკრაფიული მოვლენები და პროცესები: შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებები. მოსახლეობის მოძრაობის ორი სახე: ბუნებრივი და მექანიკური (მიგრაცია).

დემოკრაფიის ამოცანები: 1) დემოგრაფიული პროცესების ტენდენციებისა და ფაქტორების შესწავლა; 2) დემოგრაფიული პროგნოზების დამუშავება; 3) დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა შემუშავება.

ყველა სხვა საზოგადოებრივ პროცესებთან დემოგრაფიული პროცესების ურთიერთკავშირი. დემოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მეცნიერება, მისი ურთიერთკავშირი სხვა მეცნიერებებთან: პოლიტიკურ ეკონომიასთან, სტატისტიკასთან, სოციოლოგიასთან, სოციალურ-ფსიქოლოგიასთან, ისტორიასთან, ეთნოგრაფიასთან, მათემატიკასთან, სოციალურ პიგიენასთან, სამედიცინო სოციოლოგიასთან და სხვა.

დემოგრაფიის მეთოდები: სტატისტიკური, მათემატიკური, სოციოლოგიური დემოგრაფიის შიგა დარგობრივი დიფერენციაცია, ანუ დემოგრაფია როგორც დემოგრაფიულ მეცნიერებათა (მეცნიერულ დარგთა) სისტემა. დემოგრაფიის დარგებია: მოსახლეობის სტატისტიკა (დემოგრაფიული სტატისტიკა), ეკონომიკური დემოგრაფია, მათემატიკური დემოგრაფია, ისტორიული დემოგრაფია, ეთნიკური დემოგრაფია, სამედიცინო დემოგრაფია, სოციოლოგიური დემოგრაფია.

სოციოლოგიური დემოგრაფიის შესწავლის საგანი – ოჯახის პიროვნების, სოციალური ჯგუფების დემოგრაფიული ქცევა.

თემა 2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობასა და დემოგრაფიულ პროცესებზე

ინფორმაციის წყაროების სახეები: მოსახლეობის აღწერები, მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა, მოსახლეობის სიები და რეგისტრები, შერჩევითი და სპეციალური გამოკვლევები.

მოსახლეობის აღწერები, მათი მიზნები და ჩატარების ძირითადი პრინციპები, მოსახლეობის აღწერების მოკლე ისტორია მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში.

მოსახლეობის აღწერებისას გამოყენებული მოსახლეობის კატეგორიები: სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობა. აღწერის თარიღი და მოსახლეობის აღრიცხვის მომენტი („კრიტიკული მომენტი“). შერჩევითი მეთოდის გამოყენება მოსახლეობის აღწერებში.

მოსახლეობის აღწერის პროგრამა, მისი ძირითადი განყოფილებები და კითხვები. სრულიად საკავშირო მოსახლეობის 1989 წლის აღწერის პროგრამა, სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1999 წლის აღწერის პროგრამის პროექტი, მათი განმასხვავებელი თავისებურებანი. 1985 და 1994 წლის მოსახლეობის მიკროაღწერები. მათი თავისებურებანი, მოსახლეობის აღწერების შედეგების პუბლიკაცია.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა, მისი პროგრამა და ორგანიზაცია. მოსახლეობის მოძრაობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების პუბლიკაცია.

შერჩევითი და სპეციალური დემოგრაფიული გამოკვლევები. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, როგორც დემოგრაფიული ინფორმაციის წყარო.

თემა 3. მოსახლეობის რიცხოვნობა და სტრუქტურა

მოსახლეობის რიცხოვნობა – მომენტური მაჩვენებელია. მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებათა შედარებით ანალიზში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრებისა და დროის მომენტის გათვალისწინების მნიშვნელობა.

დედამიწის კონტინენტებისა და მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნების მოსახლეობათა რიცხოვნობა, მისი ცვლილების ძირითადი ტენდენციები უკანასკნელ ოთხ ათწლეულში.

მოსახლეობის სტრუქტურა სქესისა და ასაკის მიხედვით. სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლები. ასაკობრივი ჯგუფები და კონტინენტები. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურისა და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთკავშირი. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, როგორც ხალხის ცხოვრების მატიანე მთელი ასწლეულის განმავლობაში. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების გაგენა სხვა სოციალურ სტრუქტურებსა და პროცესებზე. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებათა ტენდენციები მსოფლიოში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება: ცნება; მაჩვენებლები, მიზეზები, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

მოსახლეობის სტრუქტურა ქორწინებითი და ოჯახური შემადგენლობის მიხედვით. რეალური და პირობითი თაობების მაჩვენებლები. ქორწინებითი მდგომარეობის მაჩვენებლები. მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის ტენდენციების ანალიზი აღწერის მასალების მიხედვით.

ოჯახის ცნება დემოგრაფიაში, ოჯახი და სახლთმეურნეობა. ოჯახის სესწავლა მოსახლეობის აღწერებში. ოჯახის ზომებისა და შემადგენლობის ცვლილებათა ტენდენციები და ფაქტორები რუსეთის ფედერაციაში და სხვა ქვეყნებში.

თემა 4. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები

აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები: გამოყენების მიზანშეწონილობა და საზღვრები. მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობა (საშუალო მოსახლეობა).

ზოგადი და კერძო კოეფიციენტები, მათი ღირსებები და ნაკლოვანებები. მოსახლეობის მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტების ანალიტიკური შესაძლებლობების გაზრდა საინდექსო მეთოდისა და კოეფიციენტების სტანდარტიზაციის მეთოდების დახმარებით.

თემა 5. შობადობა და რეპროდუქციული ქცევა

შობადობის დემოგრაფიული გაგება. შობადობა და ნაყოფიერება. ნაყოფიერება როგორც შობადობის ფაქტორი. ზოგადი და კერძო კოეფიციენტები. ასაკობრივი კოეფიციენტები. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობა. შობადობის მაჩვენებლები დედის მიერ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით. შობადობის კოეფიციენტის დაშლა სტრუქტურული და ქცევითი კომპონენტების მიხედვით. ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმის (– ბ.შ.პ.მ-ის) ინდექსი ქცევითი და სტრუქტურული ფაქტორების როლის განსაზღვრისათვის, შობადობის ფაქტიურ დონეზე მათი ერთობლივი ზემოქმედებიდან.

შობადობის დონის ტენდენციები მსოფლიოში, ყოფილ სსრკ-ში, რუსეთის ფედერაციაში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში, რეგიონებში, მოსახლეობის სოციალურ და ეთნიკურ ჯგუფებში. დემოგრაფიული გადასვლა და დემოგრაფიული რევოლუცია. შობადობის ფაქტორები. შობადობის ფაქტორთა შესწავლის სტატისტიკური და სოციოლოგიური მეთოდები. ჩვენს ქვეყანაში შობადობის ფაქტორთა გამოკვლევის მოკლე ისტორია.

რეპროდუქციული ქცევა მისი ცნება და სტრუქტურა. რეპროდუქციული ფასეულობები, მოთხოვნილებები, განწყობები, მოტივები, ნორმები. შობადობის დონის შემცირება მასობრივ მცირეშვილიანობამდე, როგორც ინდუსტრიულ კულტურაში სოციალური ფასეულობებისა და ნორმების ცვლილების შედეგი. რეპროდუქციული ქცევის გამოკვლევა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში მასობრივი მცირეშვილიანობის მიზეზების ამხსნელი კონცეფციები.

თემა 6. მოკვლეობა, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, თვითშენახვითი ქცევა

მოკვლეობის დემოგრაფიული გაგება. ძირითადი მაჩვენებლები: ზოგადი და ასაკობრივი კოეფიციენტები, კოეფიციენტები გარდაცვალების მიზეზების მიხედვით. ჩვილთა მოკვლეობა: გაანგარიშების მეთოდები, მაჩვენებლთა სოციალური მნიშვნელობა. მოკვლეობის ალბათური ცხრილები: ძირითადი მაჩვენებლები, მათი ურთიერთკავშირი, ცხრილების აგება, პრაქტიკული გამოყენება.

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: ცნება, გაანგარიშების მეთოდი, მაჩვენებლის სოციალური მნიშვნელობა. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ახალშობილთათვის და გარკვეულ ასაკს მიღწეული ადამიანებისათვის. ინტერვალური მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა. მოდალური სიცოცხლის ხანგრძლივობა. მოკვლეობის და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დონის ტენდენციები და ფაქტორები მსოფლიოში, ყოფილ სსრკ-ში, რუსეთში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში. რეგიონალური, ეთნიკური, კლასობრივი და სქესობრივი განსხვავებანი სიცოცხლის ხანგრძლივობაში, მათი ფაქტორები. სოციალური პროგრესი და მოკვლეობის სტრუქტურის ცვლილება გარდაცვალების მიზეზების მიხედვით. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემდგომი ზრდის ფაქტორები და პერსპექტივები.

თვითშენახვითი ქცევა, მისი ცნება და სტრუქტურა. თვითშენახვითი ქცევა, როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის ფაქტორი. სიცოცხლის ხანგრძლივობის ფაქტორთა გამოკვლევებში თვითშენახვითი ქცევის შესწავლის მიზანშეწონილობა. თვითშენახვითი ქცევის გამოკვლევა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

თემა 7. მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა და კვლავწარმოება

მოსახლეობის ზრდა და კვლავწარმოება: ცნებების კავშირი და განსხვავება. მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, მისი შემეცნებითი მნიშვნელობა. მოსახლეობის ბუნებრივი მატების კავშირი მის სქესობრივ-ასაკობრივ სრუქტურასთან.

მოსახლეობის ზრდისა და მატების ტემპები. მოსახლეობის ნულოვანი მატების უზრუნველყოფისათვის საჭირო შობადობის ჯამური კოეფიციენტის განსაზღვრა.

მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები: ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები, ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი, თაობის სიგრძე, მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლთა პროგნოზული ხასიათი.

მოსახლეობის კვლავწარმოების ექსტენსიურიდან ინტენსიურ ტიპზე დემოგრაფიული გადასვლა, როგორც სოციალური პროგრესის შედეგი. მოსახლეობის კვლავწარმოების ტენდენციები მსოფლიოში, ყოფილ სსრკ-ში, რუსეთში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში.

თემა 8. დემოგრაფიული პროგნოზირება

დემოგრაფიული პროგნოზირების როლი ეკონომიკურ და სოციალურ დაგეგმვაში. დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური პროგნოზირების ურთიერთკავშირი. პროგნოზის საიმედოობისათვის დემოგრაფიული პროცესების ყველაზე სავარაუდო მომავალი ტენდენციების შესახებ ჰიპოთეზების მეცნიერული დასაბუთებულობის მნიშვნელობა.

მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის პროგნოზირების უმარტივესი მეთოდები და მათი შემეცნებითი მნიშვნელობა. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის პროგნოზირება. დაბადებათა მომავალი რიცხვის განსაზღვრა. შობადობის პროგნოზირებისათვის რეპროდუქციული ქცევის შემსწავლელი სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევების მონაცემთა გამოყენება. მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურის პროგნოზირება. მოკვდაობის დონის პროგნოზირება.

გაეროს დემოგრაფიული პროგნოზები.

„დემოგრაფიის“ კურსის სასწავლო საათების განაწილება

№	თემის დასახელება	საათების რიცხვი	
		ლექციის	სემინარის
1.	დემოგრაფიის შესწავლის საგანი, ამოცანები და მეთოდები	2	–
2.	ინფორმაციის წყაროები მოსახლეობასა და დემოგრაფიულ პროცესებზე	6	4
3.	მოსახლეობის რიცხოვნობა და სტრუქტურა	8	4
4.	მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები	2	2
5.	შობადობა და რეპროდუქციული ქცევა	6	8
6.	მოკვდაობა, მოსალოდნელი სიცოხლის საშუალო ხანგრძლივობა, თვითშენახვითი ქცევა	4	8
7.	მოსახლეობის ზრდა და კვლავწარმოება	4	4
8.	დემოგრაფიული პროგნოზები	4	4
	სულ	36	36
	ჯამი	72 საათი	

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩემთვის ცნობილი, არც ერთი სახელმძღვანელო, მათ შორის საზღვარგარეთულიც არ მოიცავს დემოგრაფიის ყველა პრობლემას ან მეთოდს. გამონაკლისი არც წინამდებარე სახელმძღვანელოა. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ მასში ასახვა ჰპოვეს ჩვენი დემოგრაფიული სიტუაციის ძირითადმა და ყველაზე მწვავე პრობლემებმა, რომლებიც ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების მხრიდან გონივრულ ჩარევას ელიან. ბევრი ეს საკითხი, რომელიც ამ წიგნის მიღმა დარჩა, მკითხველს შეუძლია იპოვოს ლიტერატურაში, რომლის ასევე არასრული სიაც, ქვემოთაა მოტანილი.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული გადარჩენის შანსი მისი დაღუპვის შანსის ტოლია. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რაოდენ სწრაფად გააცნობიერებს ჩვენი საზოგადოება იმ საფრთხეს, რომელიც მას დემოგრაფიული ამოწვევით ემუქრება, და გააერთიანებს ძალისხმევას ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცების და დემოგრაფიული პოტენციალის გაზრდისათვის. დრო ცოტა რჩება, მაგრამ ვფიქრობ ჯერ კიდევ არაა გვიან. ჩვენი დემოგრაფიული განვითარების დამღუპველი ტენდენციების გადალახვის გადამწვეტი პირობა აუცილებლად იქნება ქვეყნის საყოველთაო დემოგრაფიული განათლება.

ათასწლეულებია გამოჩენილი მოაზროვნეები თავს იმტვრევენ ეგრეთ წოდებულ სიცოცხლის აზრის შესახებ, კითხვაზე: – რატომ მოვდივართ ჩვენ ამ ქვეყანაზე?, პასუხის ძებნაში. მე ვფიქრობ, რომ დემოგრაფები იძლევიან ამ კითხვაზე მარტივ და ყველაზე საუკეთესო პასუხს: სიცოცხლე მხოლოდ იმიტომაა საჭირო, რომ ვიცხოვროთ რაც შეიძლება კარგად და სიცოცხლის ესტაფეტა გადავცეთ მომავალ თაობებს.

დემოგრაფია უმაღლეს სასწავლებლებში ფართოდ შესასწავლი საგანია: მომავალი ეკონომისტები და ისტორიკოსები, სოციოლოგები და ექიმები, გეოგრაფები და სამხედროები, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები, სოციალური სფეროს მუშაკები და დიპლომატები მიმართავენ ამ მეცნიერებას იმისათვის, რათა უკეთ გაიგონ მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების კანონები. სახელმძღვანელოს, რომლის ავტორიცაა ცნობილი რუსი მეცნიერ-დემოგრაფი და ბრწყინვალე მასწავლებელი – ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ბორისოვი არც თუ უმნიშვნელო ღირსება აქვს; იგი არა მარტო თეორიითაა მდიდარი, არამედ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მსოფლიოში დემოგრაფიული პროცესების მდგომარეობისა და დინამიკის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი რაოდენობის მონაცემებითაც. ამით წიგნი თავის თავში აერთიანებს საკუთრივ სახელმძღვანელოსა და ცნობარის ღირსებებს, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ დაინახონ არა მარტო ანალიზის მეთოდები, არამედ ასეთი ანალიზის შედეგებიც. ეს მნიშვნელოვნად აცოცხლებს მეთოდური მასალების გადმოცემას, აძლევს მათ პრაქტიკულ აზრს. სახელმძღვანელოში მარჯვედაა შეხამებული დემოგრაფიული ანალიზის კონკრეტული რიცხობრივი მეთოდები ამ მეთოდების გამოყენების აზრის ახსნასთან. ინსტიტუტის, „ღია საზოგადოება“-ს, მიერ ორგანიზებულ კონკურსში, ამ წიგნის ხელნაწერი, აღნიშნული იყო როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სერიაში: „ახალი სასწავლო ლიტერატურა უმაღლესი სასწავლებლისათვის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში“.

მ. ა. გორისკვი

დ ე მ თ ბ რ ა ჯ ი ა

სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის

რუსულიდან თარგმნა, შენიშვნები და
საქართველოს შესახებ მონაცემები კომენტარებით დაურთო
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა – ანზორ სახვაძემ

მეცნიერ რედაქტორი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე

მოსკოვი

NOTA BENE

1999

ბორისოვი ვ. ა. – დემოგრაფია

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტებისა და მეცნიერ მუშაკებისათვის. მასში განიხილება თანამედროვე მეცნიერების – დემოგრაფიის ძირითადი დებულებები და ცნებები, განისაზღვრება სახელმწიფოთა ზოგად განვითარებაში მისი კავშირი სოციოლოგიის, პოლიტიკის, ეკონომიკის საკითხებთან.

ეს ნაშრომი ეძღვნება გამოჩენილი
მეცნიერებისა და გამოჩენილი ადამიანების
ბორის ცეზარის ძე ურლანისისა და
მიხეილ იაკობის ძე სონინის ხსოვნას

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დემოგრაფია ახალი მეცნიერება არ არის. იგი უკვე 300-ზე მეტი წლისაა, მაგრამ ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობისათვის იგი ჯერ კიდევ ახალ, ნაკლებად ცნობილ მეცნიერებად რჩება. თუმცა უკანასკნელ წლებში მდგომარეობა იცვლება. სიტყვა „დემოგრაფია“, „დემოგრაფიული“ სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებაში ახლა არც თუ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს გაზეთებში, გავიგონოთ რადიოში ან ტელევიზიით. ფართოვდება დემოგრაფიის სწავლება უნივერსიტეტების სოციოლოგიურ, იურიდიულ და სხვა ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე (თუმცა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის არც ერთი სასწავლო დაწესებულება, რომელიც სპეციალისტ-დემოგრაფებს ამზადებდეს).

დემოგრაფიული პრობლემები ახლა უფრო ხშირად განიხილება სხვადასხვა წარმომადგენლობითი კომისიების სხდომებზე. სამწუხაროდ ამ ერთობ მნიშვნელოვან სხდომებზე დემოგრაფიული საკითხების განხილვის მეცნიერული დონე ყოველთვის სათანადოდ მაღალი არ არის. ამასთან, დღეისათვის მომწიფდა დემოგრაფიული პროცესების საზოგადოებრივი მართვის მწვავე აუცილებლობა. სწორედ საზოგადოებრივი და არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი.

90-იანი წლების პირველ ნახევარში ჩვენი ქვეყანა შევიდა, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, დემოგრაფიული კატასტროფის სტადიაში. ეს კატასტროფა უპირველეს ყოვლისა გამოიხატება უპრეცედენტოდ დაბალ შობადობაში (რომლის დონე დღეს ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე დიდი სამამულო ომის წლებში), განქორწინების ძალიან მაღალ დონეში (რომლის მიხედვითაც ჩვენ დღეს მსოფლიოში მეორე ადგილზე ვართ ა.შ.შ-ის შემდეგ), მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის ვაჟების სიცოცხლის შედარებით დაბალ ხანგრძლივობაში. 1992 წლიდან რუსეთის მოსახლეობა კი არ იზრდება, არამედ მცირდება, ამასთან, ძალიან სწრაფი ტემპებით. 1992 წლიდან გასული ექვსი წლის განმავლობაში იგი თითქმის 2 მილიონი ადამიანით ანუ 1,3%-ით შემცირდა, რაც შეიძლება მცირე რიცხვად მოგვეჩვენოს. მაგრამ ამასთან უნდა გავითვალისწინოთ,

რომ მოსახლეობის კლება გარკვეულ წილად კომპენსირდება საზღვარგარეთიდან მიგრაციული მოზღვავეებით. ბუნებრივი კლების, ე.ი. დაბადებულთა რიცხვზე გარდაცვალებულთა რიცხვის გადაჭარბების ხარჯზე კი, აღნიშნულ პერიოდში სინამდვილეში ქვეყნის მოსახლეობა 4,2 მლნ. კაციით შემცირდა.

ეს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების არასრული ჩამონათვალია, მაგრამ ვფიქრობ, რომ დასახელებული რიცხვებიც საკმარისია, რათა შევაფასოთ არსებული სიტუაციის ხასიათი.

90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში¹ შევიდა, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, დემოგრაფიული კრიზისის სტადიაში. ეს კრიზისი უპირველეს ყოვლისა გამოიხატება შობადობის დონის მკვეთრ დაცემაში, მოკვდაობის დონის ზრდასა და შესაბამისად ბუნებრივი მატების მინიმუმამდე შემცირებაში, აგრეთვე ქორწინების დონის შემცირებაში. ამას ემატება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში გადასვლა (ზოგის სამუდამოდ, ხოლო ზოგის კი უკეთესი ეკონომიკური პირობების დადგომამდე). უმნიშვნელო ბუნებრივი მატება, ე.ი. დაბადებულთა რიცხვი გარდაცვალებულთა რიცხვზე გადაჭარბება, ვერ ფარავს მნიშვნელოვან უარყოფით გარე მიგრაციულ საღდოს, ე.ი. წასულთა რიცხვის შემოსულთა რიცხვზე სიჭარბეს. ძირითადად სწორედ ამის გამო, 1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობა კი არ იზრდება, არამედ მცირდება. ამასთან, ძალიან სწრაფი ტემპებით. 1992 წლიდან გასული რვა წლის განმავლობაში (2000 წლის 1 იანვრისათვის) იგი თითქმის – 363,7 ათასი ადამიანით ანუ 6,7%-ით შემცირდა, რაც საქართველოსთვის ძალიან დიდი რიცხვია.

ეს საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების არასრული ჩამონათვალია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ დასახელებული რიცხვებიც საკმარისია, რათა შევაფასოთ არსებული სიტუაციის ხასიათი.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელია, რაღაც ღონისძიებები, რაღაც პროგრამები... მაგრამ, კერძოდ როგორი ღონისძიებები, როგორი პროგრამები? ვინ უნდა შეიმუშაოს ისინი? რისკენ უნდა იყოს ისინი მომართულნი? აქამდე, ჩვენი ქვეყნის მსგავსი დემოგრაფიული სიტუაციის მქონე ყველა ქვეყანაში, რომლებშიც მის რამენაირად შეცვლას ცდილობდნენ ძირითადად ოჯახის სხვადასხვა სახის დახმარებებისა და შეღავათების ფორმით მატერიალური მხარდამჭერის ღონისძიებები გამოიყენებოდა. როგორც ისტორია მოწმობს ამ ღონისძიებების ეფექტურობა დიდი არ არის. აუცილებელია უფრო სიღრმისეული

1. მცირე ზომის შრიფტით აქ და შემდგომ ქართველი მკითხველის უფრო მეტად დაინტერესების მიზნით მთარგნელს საილუსტრაციოდ მოაქვს და შესაბამის ანალიზს უკეთებს მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალური სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემებს, რომლებიც რიგ შემთხვევაში (განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის) დიდი სიზუსტით არ გამოირჩევიან, მაგრამ ოფიციალურობის გამო სხვა მასალის გამოყენებას მაინც ეს მონაცემები ვამჯობინეთ.

მიზანმიმართული ცვლილებები კულტურაში მთლიანად საზოგადოების ცხოვრების წესში, იმგვარად, რომ გაიზარდოს ოჯახური ცხოვრებისა და რამდენიმე ბავშვიანი ოჯახის პრესტიჟი, რომელიც დღეს ძალიან დაბალია. ამისათვის საჭიროა სპეციალური საოჯახო პოლიტიკა, ფართომასშტაბიანი კულტურული და არა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის პროგრამები. მსგავსი პროგრამების შემუშავებისათვის აუცილებელია ბევრი სხვადასხვა, პირველ რიგში კი ჰუმანიტარული დარგის (და არა მარტო მათი) მეცნიერთა ძალისხმევა. ამგვარი სამუშაო მხოლოდ დემოგრაფების ძალებს აღემატება.

საზოგადოებაში ყველა პროცესი ურთიერთდაკავშირებულია. დემოგრაფიული პროცესი ვითარდება ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სოციალური პროცესების გავლენით. თავის მხრივ, დემოგრაფიული პროცესებიც ახდენენ გავლენას ყველა სხვა საზოგადოებრივი პროცესების მიმდინარეობაზე, მაგალითად, შობადობის დაბალი დონე იწვევს საზოგადოებაში პენსიონერების პროცენტული წილის ზრდას და „მამების და შვილების“ პრობლემების გამწვავებას. შობადობის დონის მერყეობა გარკვეული დროის შემდეგ ვლინდება შრომის ბაზარზე დასაქმების დონის, დანაშაულის დონის, სასწავლო დაწესებულებებში მიღებისას აბიტურიენტებს შორის კონკურსების და ა.შ. დონეთა შესაბამის (ან საპირისპირო) მერყეობაში.

დემოგრაფიის ცოდნა დემოგრაფიული ინფორმაციის კითხვის უნარი ესაჭიროებათ მეწარმეებსაც. თავიანთი საქმის წარმატებისათვის მათ უნდა შეეძლოთ მათ მიერ წარმოებულ საქონელზე და გაწეულ მომსახურეობაზე მოთხოვნების პროგნოზირება. ეს მოთხოვნები კი დიდადაა დამოკიდებული მოსახლეობის შემადგენლობაზე (და მის მომავალ ცვლილებებზე) სქესის, ასაკის, ოჯახების რიცხვის და ზომის, ოჯახში ბავშვის რიცხვისა და ა.შ. მიხედვით. დასავლეთის რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ა.შ.შ-ში, დემოგრაფია მეწარმეებისათვის სწრაფად ვითარდება, როგორც დემოგრაფიული მეცნიერების ცალკე მიმართულება, რომელმაც განსაკუთრებული სახელწოდებაც – **დემოგრაფიკა** (demographies), კი მიიღო. დემოგრაფიის ეს შტო შეისწავლის პოტენციური მომხმარებლის შემადგენლობას და ამ შემადგენლობის ცვლილების ტენდენციებს, აგრეთვე სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობაზე დემოგრაფიული ცვლილებების გავლენას. ამრიგად, დემოგრაფიული განათლებულობის გარკვეული დონე დღეს ყველა ადამიანისათვის, რა საქმესაც არ უნდა მისდევდეს იგი, ისევე

აუცილებელი ხდება, როგორც სხვა ჰუმანიტარული საგნების ცოდნა. წინამდებარე სახელმძღვანელოც სწორედ განათლების ხელშეწყობისთვისაა მოწოდებული.

მართალია სახელმძღვანელო პირველ რიგში ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისათვისაა ორიენტირებული, იგი შეიძლება სასარგებლო გამოდგეს ყველა ჩვენი ცხოვრების დემოგრაფიული ასპექტებით დაინტერესებულთათვისაც. მისი მიზანია – მკითხველს გააცნოს დემოგრაფიული პროცესების ძირითადი ცნებები, მაჩვენებლები და ანალიზის მეთოდები, ასწავლოს ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული დემოგრაფიული ტენდენციების რეალური მდგომარეობისა და მიმართულების დანახვა, ასწავლოს თავისი ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების გაგება და მათი სიმწვავის, სავარაუდო პერსპექტივებისა და შესაძლო სოციალური შედეგების შეფასება. სახელმძღვანელოს ასეთი ადრესულობის შესაბამისად მასში მთავარი ყურადღება ეთმობა სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდებს და არა მათი კონსტრუირების ხერხებს, დემოგრაფიული ინფორმაციის ანალიზის მეთოდებს და არა მათი შეგროვების ხერხებს. ამასთან, რადგანაც სტატისტიკა წარმოადგენს დემოგრაფიული ცოდნის საფუძველს, ამიტომაც ამ სახელმძღვანელოში გვერდს ვერ ავუვლით დემოგრაფიული სტატისტიკის ელემენტარული ცნებებისა და მეთოდების შესწავლას.

საჭიროა აქვე დავსძინოთ, რომ ვერავითარი სახელმძღვანელო ვერ ცვლის სამეცნიერო ლიტერატურის კითხვას. ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიისადმი მიძღვნილი ბევრი საინტერესო, ცოცხლად დაწერილი დისკუსიური წიგნები და საჟურნალო სტატიები გამოჩნდა, რომელთა გაცნობასაც შეუძლია მნიშვნელოვნად გააადვილოს სახელმძღვანელოს მასალის გაგება, ხოლო ზოგჯერ შეცვალოს კიდევ იგი. წიგნის ბოლოს მოტანილია მსგავსი ლიტერატურის სია.

დროებით მცხოვრებლებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებიც აღწერის კრიტიკულ მომენტში იმყოფებიან მოცემულ ადგილას, მაშინ როცა, მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმყოფება მოცემული ტერიტორიის (ქალაქის, დაბის, საბჭოს) ფარგლებს მიღმა.

სხვა სიტყვებით:

დროებით არ მყოფები – ესაა მუდმივი მოსახლეობა, რომელიც არ შედის სახეზე მყოფ მოსახლეობაში.

დროებით მცხოვრებლები – ესაა სახეზე მყოფი მოსახლეობა, რომელიც არ შედის მუდმივ მოსახლეობაში.

მუდმივი მოსახლეობა ($S_{ა.ა}$) უდრის, სახეზე მყოფ მოსახლეობას ($S_{ს.ა}$) დამატებული დროებით არ იმყოფება ($S_{დ.ა}$), და გამოკლებული დროებით მცხოვრებნი ($S_{დ.ა}$).

$$S_{ა.ა} = S_{ს.ა} + S_{დ.ა} - S_{დ.ა}$$

$$S_{ს.ა} = S_{ა.ა} - S_{დ.ა} + S_{დ.ა}$$

თემა 1. დემოგრაფიის საბანი, ამოცანები და მეთოდები

სიტყვა „დემოგრაფია“ შედგება ორი ბერძნული სიტყვისაგან: „დემოს“ – ხალხი, და „გრაფო“ – ვწერ, ე.ი. პირდაპირი მნიშვნელობით ეს სიტყვა აღნიშნავს „ხალხთაღწერას“, ანუ ხალხის აღწერას. მაგრამ დემოგრაფია, თავისი ისტორიის დასაწყისიდანვე, არასოდეს არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღწერით, მისი შესწავლის საბანი ყოველთვის უფრო ფართო და ღრმა იყო.

1.1. დემოგრაფიის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

ბევრი სხვა მეცნიერული დისციპლინისაგან განსხვავებით დემოგრაფიას დაბადების ზუსტი თარიღი აქვს. იგი სათავეს იღებს 1662 წლის იანვრიდან, როცა ლონდონში გამოიცა ინგლისელი ვაჭრისა და კაპიტნის, შემდგომში ქალაქის მილიციის მაიორის, თვითნასწავლი მეცნიერის ჯორჯ გრაუნტის (1620–1674) გრძელი, როგორც მაშინ იყო მიღებული, და ერთობ მჭერმეტყველურ სახელწოდებიანი წიგნი: „მოკვდაობის ბიულეტენების საფუძველზე გაკეთებული და თანდართულ სარჩევში ჩამოთვლილი ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი. დასახელებული ქალაქის მართვის, რელიგიის, ვაჭრობის ზრდის, ჰაერის, ავადმყოფობებისა და სხვათა ცვლილებებთან დაკავშირებით. ლონდონის მოქალაქე ჯორჯ გრაუნტის თხზულება“¹.

უკვე წიგნის სათაურიდან ჩანს მისი ავტორის ფართო სოციალური ჩანაფიქრი. იმ დროს, როცა იგი იწერებოდა, ინგლისში არც თუ იშვიათად მძვინვარებდა ხოლმე შავი ჭირი და სხვა გადამდები დაავადებანი, ამიტომ მოკვდაობის შესახებ ბიულეტენებს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ და ყოველკვირეულად ქვეყნდებოდა ლონდონში. მას ბევრი კითხულობდა, რათა თავიანთი სიცოცხლისათვის საფრთხის პირველივე ნიშნებზე დაეტოვებინათ ქალაქი. გრაუნტმა პირველმა დაინახა ამ სამწუხარო ბიულეტენებში მეცნიერებისათვის სარგებელი. 80 წლის მანძილზე ლონდონში დაბადებათა და

1.Graunt J. Natural and Political Observations Mentioned in a following Index, and made upon the Bills of Mortality. With reference to the Government, Ayre, Difeales, and the feveral Changes of the faid City. By John Graunt, Citizen of London. London. Printed by The Boycroft, for John Martin, James Allestry, and The Dicas, at the Sign of the Beel in St. Pauls Church-yard. MDCLXII.

გარდაცვალებათა ცნობების შესწავლისას მან ყურადღება მიაქცია მოსახლეობაში არსებულ მთელ რიგ კანონზომიერებებს.

კერძოდ, მან დაადგინა, რომ ბიჭები უფრო მეტი იბადებიან ვიდრე გოგონები, ამასთან დაბადებულთა შორის სქესთა თანაფარდობა მუდმივია და შეადგენს ლონდონისათვის 14-ს 13-თან (ე.ი. ბიჭები იბადებიან 7,7%-ით მეტი ვიდრე გოგონები)¹. მან აგრეთვე შეამჩნია „რომ გარდაცვალებულთა შორისაც ვაჟები მეტია, ვიდრე ქალები, რომ ლონდონში მოკვდაობა სჭარბობს შობადობას და ქალაქის მოსახლეობა იმატებს მხოლოდ გადმოსახლებულთა ხარჯზე, რომ პროვინციებში, პირიქით, შობადობა მეტია მოკვდაობაზე, რომ თითოეული ქორწინება საშუალოდ 4 შობადობას იძლევა, რომ დაბადებათა და გარდაცვალებათა რიცხვის მიხედვით შეიძლება ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის, ხოლო გარდაცვლილთა ასაკობრივი სტრუქტურით კი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განსაზღვრა. უკვე მარტო ეს იყო მნიშვნელოვანი, რადგან არც მოსახლეობის აღწერები და არც რაიმე სხვა სტატისტიკა (საეკლესიოს გარდა) ჯერ კიდევ არ არსებობდა. დაბოლოს, გრაუნტი იყო პირველი, ვინც ააგო მოკვდაობის პირველი მათემატიკური ცხრილი (მოდელი), რომელიც ხალხის დაბერების კვალობაზე აღწერდა გარდაცვალების ალბათობის კანონზომიერ ზრდას. ამჟამად, ასეთი, რა თქმა უნდა შეუდარებლად უფრო სრულყოფილი ვიდრე გრაუნტის მიერ შექმნილი – მოდელი, დემოგრაფიის არსენალში ერთ-ერთი ძირითად იარაღს წარმოადგენს, ამასთან იგი გამოიყენება არა მარტო მოკვდაობის, არამედ ქორწინების, შობადობისა და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისათვის, აგრეთვე მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის პროგნოზების დამუშავებისთვისაც. იმავე მოდელის მეთოდოლოგიური პრინციპები სხვა მეცნიერებებშიც პოულობენ გამოყენებას. იგი გამოიყენება მიგრაციული პროცესების გამოკვლევებში და სოციოლოგიაშიც სოციალური მობილობის შესწავლისა და პროგნოზირებისას, შრომის ეკონომიკაშიც სამუშაო ძალის დენადობის შესწავლისას და ჯანმრთელობის დაცვაში დაავადებათა პროგნოზირებისას. მათზეა დაფუძნებული სიცოცხლის დაზღვევის

1. სინამდვილეში, როგორც შემდგომ გაირკვა, თანაფარდობა ცოტა განსხვავებულია: ბიჭები დაახლოებით 5%-ით მეტია, ვიდრე გოგონები; ალბათ გრაუნტის თვალთახედვის არეში მოხვედრილი დაბადებების საერთო რიცხვი საკმარისი არ იყო კანონზომიერების გამოსავლენად, მაგრამ სხვაობა არც თუ ისე დიდია.

ფინანსური გაანგარიებანიც.

მაშინდელმა ინტელექტუალურმა ელიტამ გრაუნტის წიგნი ძალიან კარგად მიიღო. სამი წლის განმავლობაში იგი კიდევ ოთხჯერ გამოიცა. ამასთან, მეორე გამოცემა განსორციელდა უკვე იმავე წლის ბოლოს, როცა გამოვიდა პირველი გამოცემა. წიგნი ისე მოეწონა მეფე კარლ II-ს, რომ მისი გამოცემიდან უკვე ერთი თვის შემდეგ გრაუნტი მიღებულ იქნა სამეფო საზოგადოებაში (ჩვენს ენაზე – აკადემიკოსად). უფრო მეტიც, მეფემ განკარგულება გასცა, რომ თუკი მოიძებნებინა გრაუნტის მსგავსი ვაჭრები ყველა ისინი დაუყოვნებლივ მიიღონ საზოგადოებაში (ე.ი. აკადემიაში).

გრაუნტის თხელი წიგნი (სულ 90 გვერდი) ერთდროულად გახდა არა ერთი, არამედ სამი მეცნიერების: სტატისტიკის, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის – ჩასახვის საფუძველი, რომლებიც შემდგომი სამი საუკუნის განმავლობაში არკვევდნენ ერთმანეთს შორის „ნათესაურ“ ურთიერთობას – თუ ვის, ვინ, რად ეკუთვნის. მაგრამ თავდაპირველად გრაუნტის წიგნის პირდაპირ „შთამომავლად“ იქცა პოლიტიკური არითმეტიკა – მეცნიერება, რომელიც ცდილობდა შეესწავლა საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი (უფრო ზუსტად სტატისტიკური) კანონზომიერებანი. მომდევნო ასწლეულებში საზოგადოების ცხოვრების დემოგრაფიული ასპექტებისადმი ინტერესს ამჟღავნებდნენ გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ეკონომისტები და პოლიტიკოსები, ასტრონომები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ბიოლოგები, ექიმები, მღვდელმსახურები და სხვა. დაბოლოს, მე-19 საუკუნეში გაჩნდა მეცნიერების სახელწოდებაც, რომელიც მას უწოდა სპეციალობით ენტიმოლოგმა ბელგიელმა მეცნიერმა აშილ გიარმა (1799–1876). 1855 წელს პარიზში მან გამოაქვეყნა წიგნი „ადამიანური სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია...“¹, რომელშიც დემოგრაფია ძალიან ფართოდ განსაზღვრა, როგორც „ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და სოციალური ისტორია და როგორც ადამიანთა პოპულაციის, საერთო მოძრაობის, მათი ფიზიკური სამოქალაქო და მორალური მდგომარეობის მათემატიკური შეცნობა“. ასევე ფართოდ განსაზღვრავედა დემოგრაფიის ინტერესებს მე-19 საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი ჟაკ ბერტიონი (სხვა ტრანსკრიფციით – ბერტილიონი) (1851–1928წ., სიტყვამ მოიტანა და აქვე

1. Guillard A. Elements de statistique humaine ou demographie compare. Paris, 1855.

აღვნიშნაეთ, რომ იგი იყო ა. გიიარის შვილიშვილი). 1880 წელს წიგნში „მოსახლეობის მოძრაობის სტატისტიკა საფრანგეთში“, იგი წერდა: „დემოგრაფია შეისწავლის კოლექტიურ ცხოვრებას. მისი მიზანია იმ მიზეზების შესწავლა, რომელთა ძალითაც საზოგადოებები ვითარდებიან, აღდგებიან და ბოლოს და ბოლოს ეცემიან და იღუპებიან. იგი განიხილავს თითოეული ხალხის, როგორც ფიზიკურ, ასევე ზნეობრივ აგებულებას, განიხილავს თუ რომელი საქმიანობანი აძლევენ მათ არსებობის საშუალებებს, იგი იკვლევს თუ როგორ ქორწინდება ხალხი, რა რაოდენობით მრავლდებიან ისინი და როგორ ზრდიან თავიანთ ბავშვებს და სხვა. დაბოლოს, იგი უჩვენებს რა ასაკში და რა მიზეზით კვდება ხალხი“¹. ამ განსაზღვრებებიდან შეიძლება დავინახოთ, რომ ა. გიიარიც და ჟ. ბერტიონიც (ასევე ბევრი სხვა გამოჩენილი მეცნიერიც) დემოგრაფიის მიერ შესასწავლ საკითხებში რთავდნენ ბევრი მეცნიერების მიერ შესასწავლ მოვლენათა ძალიან ფართო სპექტრს. დემოგრაფიაზე ასეთი ფართო შეხედულება ძალიან დიდხანს, მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდეც კი შემორჩა. მგონი ამჟამადაც, ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა სხვადასხვა მეცნიერთა შორის დემოგრაფიის საგანსა და საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის მის დამოუკიდებლად არსებობის უფლების შესახებ საკითხებზე დავა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კი სჭარბობდა შეხედულება დემოგრაფიაზე, როგორც სტატისტიკის სინონიმზე, ან როგორც სტატისტიკის ნაწილზე (მოსახლეობის სტატისტიკა). როგორც ჩანს, ამის არანაკლები მიზეზი იყო სტატისტიკის როგორც დამოუკიდებელი და უნივერსალური მეცნიერების, სწრაფი ჩამოყალიბება, რომელიც თავის მეთოდებით მოიცავდა საზოგადოებრივი ყოფის ყველა სფეროს (განსაკუთრებით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის აღწერების რეგულარულად ჩატარების დაწყების შემდეგ), და კაპიტალისტური ბაზრის განვითარებასთან ერთად დაკავშირებული იყო მოსახლეობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებზე მოთხოვნის ზრდასთან. შემდგომში დემოგრაფიის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ორი მიმართულებით. ერთის მხრივ, მისი შესწავლის საგანი თანდათანობით ვიწროვდებოდა, უფრო ზუსტად, კონკრეტიზირდებოდა, მეორეს მხრივ – ფართოვდებოდა შესწავლის ამ საგანზე მომქმედი ფაქტორების წრე, რომელსაც დემოგრაფია რთავდა თავის განსახილველ

1.

., 1889. C. 1-2.

საკითხთა შორის და მაინც ცხადია, „კოლექტიური ცხოვრების შესწავლა“, როგორც ამტკიცებდა ჟ. ბერტიონი და არა მარტო ის, – ეს ძალიან ფართო სფეროა და ფაქტიურად მოიცავს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ერთ მეცნიერებას უბრალოდ არ შეუძლია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მოცვა. სწორედ ამიტომ დემოგრაფიის განვითარების კვლობაზე ვიწროვდება მისი შესწავლის საგანი. მისგან თანდათანობით გამოიდევნებოდა ეკონომიკის, აღზრდისა და განათლების, სოციალური სტრუქტურისა და მობილურობის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მორალის და ა.შ. საკითხები, რომლებიც სინამდვილეში შეადგენენ სხვა მეცნიერებათა: პოლიტიკური ეკონომიკის, სოციოლოგიის, პედაგოგიკის, ეთნოგრაფიის, მედიცინისა და სხვათა კვლევის საგანს. ბოლოს და ბოლოს 1960-იანი წლების შუა ხანებში, სპეციალისტების უმრავლესობამ დაიწყო დემოგრაფიის შესწავლის საგნის ე.წ. **მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის** საკითხებით შემოფარგვლა. აქ, მოსახლეობის მოძრაობა გაგებულია არა ფიზიკური არამედ, უფრო ზოგადი სახით, როგორც **ცვლილება**. განასხვავებენ მოსახლეობის მოძრაობის ორ სახეს: ბუნებრივს და მექანიკურს (მიგრაციულს). დასახელებული ორი სახიდან, მეორე სახის მოსახლეობის მოძრაობას (ცვლილებას), უკანასკნელ წლებში სპეციალისტები მიგრაციულ მოძრაობას (ესაა მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება) ანუ უფრო მარტივად – მოსახლეობის მიგრაციას უწოდებენ.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა – ესაა დაბადებათა, გარდაცვალებათა, ქორწინებათა და განქორწინებათა შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის განუწყვეტელი ცვლილება. ყველა დემოგრაფიულ პროცესებთან მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში ჩაირთვება აგრეთვე მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაც. სიტყვა „ბუნებრივი“ ისეთ მოვლენებთან კავშირში, როგორცაა დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება მემკვიდრეობით შემოგვრჩა გასული საუკუნის სტატისტიკიდან, როცა ისინი ესმოდათ როგორც ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული, ძირითადად როგორც ბუნებრივი, ბიოლოგიური მოვლენები. მსგავსი შეხედულება შობადობაზე, მოკვდაობაზე, ქორწინებასა და განქორწინებაზე, როგორც ბიოლოგიურ მოვლენებზე, თავის საფუძველში ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი, განსაკურებით საბუნებისმეტყველო დარგებში დასაქმებულ მეცნიერთა შორის. მსოფლიოში დემოგრაფიულ ტენდენციებზე მსჯელობისას ბუნებისმეტყველთა უმეტესობა (ხოლო

ისინი, მოსახლეობის ზრდის პრობლემებს, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად განიხილავენ ამისათვის აუცილებელი დემოგრაფიული ცოდნის შექმნის გარეშე), ამ პროცესებს ხსნიან თითქმის მხოლოდ და მხოლოდ როგორც ბიოლოგიურს, ისე, რომ არც კი განასხვავებენ ადამიანთა საზოგადოებას ცხოველთა ან თუნდაც მწერების თანამეგობრობისაგან. რა თქმა უნდა, ადამიანებს აქვთ ბიოლოგიური კონსტიტუცია, რომელიც დიდ როლს თამაშობს მათ ქცევაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციაში. ამავე დროს ადამიანები ცხოვრობენ საზოგადოებაში, **კულტურაში**, ე.ი. სოციალური ნორმების, ინფორმაციისა და ტრადიციების სისტემაში. ადამიანთა საზოგადოებაში ყველა პროცესი რა თქმა უნდა ორმაგი ბუნებისაა, დიალექტიკურია, ადამიანის ბიოლოგიური ბუნება გაშუალებულია იმ სოციალური პირობებით, რომელშიც ცხოვრობს და მოქმედებს ადამიანი. ნებისმიერ ცალკეულ მოვლენას, ნებისმიერ პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ ადამიანები აქვს სოციალურ-ბიოლოგიური სტრუქტურა, მაგრამ რომელშიც ყველაზე ხშირად სოციალური, კულტურული მხარე სჭარბობს ბიოლოგიურს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ჩვენ ვცხოვრობთ უმეტეს წილად თავად კაცობრიობის (მოსახლეობის) მიერ შექმნილ და შექმნად (და დანგრეულ) კულტურად წოდებულ **ხელოვნურ** გარემოში, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ადამიანების ყველანაირ ქცევაზე, საქმიანობაზე და ხშირად თრგუნავს კიდევაც მათ ბიოლოგიურ ბუნებას.

ჯერ კიდევ შედარებით არც თუ დიდი ხნის, 20 წლის, წინათ დემოგრაფიის სახელმძღვანელოებში დემოგრაფიული პროცესების ბიოლოგიურ და სოციალურ მხარეებს შორის წინააღმდეგობის დაძლევისათვის შემოთავაზებული იყო შემდეგი გადაწყვეტა. ამტკიცებდნენ, რომ თითოეული, ცალკეული დემოგრაფიული შემთხვევა, მაგალითად ადამიანის დაბადება, ან მისი სიკვდილი-ბიოლოგიური შემთხვევითი მოვლენაა, მაგრამ ასეთი შემთხვევების ერთობლიობა უკვე სოციალური, კანონზომიერი მოვლენა ხდება. ასეთ შეხედულებას არ შეიძლება, რომ დავეთანხმოთ. მაგალითად, ბავშვის დაბადება, მშობიარობა-ფიზიოლოგიის აქტია. მაგრამ არა მარტო ფიზიოლოგიის. ყოველი ასეთი შემთხვევა ხდება განსხვავებულ საზოგადოებრივ პირობებში და განსხვავდება იმისდა მიხედვით, მაგალითად ხდება თუ არა იგი ექიმის მონაწილეობით (და ექიმის კვალიფიკაციის გათვალისწინებით), სამშობიაროში (და ამასთან კარგში) თუ მის გარეთ. მნიშვნელობა აქვს (მშობიარობის წარმატებისათვის), სასურველია ეს ბავშვი თუ არა (ე.ი. ფსიქოლოგიური ფაქტორი). თითოეული დაბადება გულისხმობს გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებს, ეს კი უკვე ეკონომიკური ფაქტორია და ა.შ. ამრიგად,

ყოველი ადამიანის დაბადება – მრავალპლანიანი შემთხვევაა, რომელსაც აქვს, როგორც ბიოლოგიური, ასევე ეკონომიკური, სოციოლოგიური ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ეთნოგრაფიული და ბევრი სხვა ასპექტი. სიკვდილიც – ბიოლოგიური აქტია, მაგრამ არამხოლოდ ბიოლოგიური. ყველა ადამიანი მოკვდავია, მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბევრ, ძირითადად კი სოციალური ხასიათის პირობებსა და გარემოებებზე. იგივე შეეხება ნებისმიერ სხვა დემოგრაფიულ შემთხვევასაც. სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორები ყველა ცალკეულ ადამიანში, მის ყოველ ქმედებაში მჭიდროდაა გადანასკეული. სხვა საქმეა, რომ ნებისმიერ პროცესთა **კანონზომიერებანი** ვლინდება მხოლოდ შემთხვევათა მასაში, ამასთან არა ნებისმიერ მასაში, არამედ ერთგვაროვანი მახასიათებლების მიხედვით, გარკვეული წესით დაჯგუფებულ ე.ი. **სტატისტიკური** ფაქტების მასაში.

აღიარებენ რა დემოგრაფიულ პროცესებში სოციალური ფაქტორების წამყვან როლს ზოგიერთი სპეციალისტი ამის საფუძველზე გამოთქვამს ტერმინ „ბუნებრივის“ დემოგრაფიულ პროცესებთან გამოყენების საწინააღმდეგო მოსაზრებას, გვთავაზობენ მისი სხვა, გარეგნულად უფრო სოციალური ტერმინით შეცვლას ან უკიდურეს შემთხვევაში ამ სიტყვის ბრჭყალებში ჩასმას. მაგრამ ჯერჯერობით ასეთი შემცვლელი ნაპოვნი არაა. ვფიქრობთ, რომ იგი საჭირო არცაა და ბრჭყალებიც არაა საჭირო. რა თქმა უნდა, ტერმინი „ბუნებრივი“ მოსახლეობის მოძრაობასთან გამოყენებისას მნიშვნელოვან წილად პირობითია. მაგრამ ასეთია ბევრი ტერმინის ბედი (თუ უმრავლესობის არა). მოცემულ შემთხვევაში პირობითობა (თუკი იგი გვემახსოვრება) არავითარ ტერმინოლოგიურ სირთულეებს არ ქმნის.

ამრიგად, მოსახლეობა განუწყვეტილ იცვლება, იმყოფება მოძრაობაში, ადამიანები იბადებიან, კვდებიან, ქორწინდებიან ან შორდებიან, იცვლიან პროფესიას, სამუშაო, საცხოვრებელ და სხვა ადგილს. შედეგად განუწყვეტლად იცვლება მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი სტრუქტურა. დაბადებათა ხარჯზე მოსახლეობა განუწყვეტლად იზრდება და იმავდროულად კი გარდაცვალებათა ხარჯზე – განუწყვეტილ კლებულობს. ერთი თაობა იცვლება მეორით. ზრდისა და კლების ასეთივე სახის პროცესები განუწყვეტილ და ერთდროულად მიმდინარეობს მოსახლეობის ყველა სტრუქტურაში: ასაკის, ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის, სოციალური კუთვნილებისა და ა.შ. მიხედვით. დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვის თანაფარდობის მიხედვით ან უფრო ზოგადი სახით

ადამიანების ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფებში შესვლითა და იქიდან გამოსვლით ამ ჯგუფების ან მთლიანად მოსახლეობის რიცხოვნობა, ან იმატებს, ან მცირდება, ან უცვლელი რჩება (თუკი მოსულთა რიცხვი ტოლია წასულთა რიცხვის).

მოსახლეობის განახლების განუწყვეტელი პროცესი (რომელიც მათემატიკურად შეიძლება იყოს როგორც პლუს, ასევე მინუს ნიშნითაც) მიმდინარეობს მთლიანად საზოგადოების განვითარების კანონთა შესაბამისად, წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების განუყრელ ნაწილს და ამიტომ აქვს სოციალური ხასიათი. ოჯახში მეტი ან ნაკლები რაოდენობის ბავშვების გაჩენა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, დაქორწინება, ან დაუქორწინებლობა – ყველა ეს სოციალური ფაქტორი **განიცდის** საზოგადოებრივი კანონების ზემოქმედებას, წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზმის ფუნქციონირების ნაწილს, ან უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, საზოგადოებრივ კვლავწარმოებას (საზოგადოებრივი ცხოვრების კვლავწარმოება). დემოგრაფიული სფერო წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელ ნაწილს (ქვესისტემას), ადამიანთა საქმიანობის შედეგს. ამიტომ მოსახლეობის განახლების ნაცვლად უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ მის კვლავწარმოებაზე, რაც ხაზს უსვამს მის სოციალურ ხასიათს და სოციალური მექანიზმების აქტიურ როლს მოსახლეობის რიცხოვნობისა და მისი სტრუქტურის ცვლილებებშიც.

12. დემოგრაფიის საბანო

ნებისმიერი მეცნიერებისათვის გამოკვლევის ჭეშმარიტ მიზანს შეადგენს ყოფიერების იმ სფეროს განვითარების კანონების (მიზეზ-შედეგობრივი კავშირების) აღმოჩენა, რომელიც მათი შესწავლის საგანს წარმოადგენს. თავის მხრივ, განვითარების კანონების შეცნობა წარმოუდგენილია კანონზომიერებების, ე.ი. ამ განვითარების მოვლენებს შორის ობიექტურად არსებული, განმეორებადი და მყარი კავშირების, წინასწარი დადგენის (გამოვლენის) გარეშე. სწორედ კანონზომიერებებში ვლინდება განვითარების კანონები (თუმცა ამ გამოვლინების დაფიქსირება ყოველთვის არაა შესაძლებელი და უფრო ხშირად არც თუ ისე ადვილია. სწორედ ამას სწავლობს ნებისმიერი მეცნიერება).

ახლა უკვე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დემოგრაფიის შესწავლის საგნის შემდგენილი ფორმულირება:

დემოგრაფიის შესწავლის საგანია მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების კანონები.

შეიძლებაოდა ამისათვის დაგვემატებინა: მათ საზოგადოებრივ-ისტორიულ განპირობებულობაში. მაგრამ შეიძლება არც დავემატოთ, რადგანაც საზოგადოებრივი განვითარების კანონების (ხოლო დემოგრაფიული განვითარების კანონები – საზოგადოებრივი განვითარების კანონთა განუყოფელი ნაწილია), საზოგადოებრივ-ისტორიული განპირობებულობის გარეშე შეცნობა შეუძლებელია. ასეთი დამატება ჩვეულებრივ კეთდება თითქოსდა დაზღვევისათვის, იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ გაუსვან ხაზი დემოგრაფიული პროცესების სოციალურ ხასიათს და მიანიშნონ დემოგრაფიის ადგილზე სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის.

დემოგრაფიაში მოსახლეობა ასევე გაგებულია სპეციფიკურად. ეს არაა ადამიანთა ნებისმიერი ერთობლიობა, მაგრამ ესაა თაობათა ცვლის პროცესში ადამიანთა თვითკვლავწარმოებადი ერთობლიობა, ე.ი. ესაა ამ ერთობლიობის უწყვეტი განახლებისათვის საჭირო მდიდარი სტრუქტურის მქონე ადამიანთა საკმაოდ დიდი რიცხვი. თვითკვლავწარმოებისადმი უნარი ესაა მოსახლეობის როგორც დემოგრაფიული კატეგორიის განმსაზღვრელი მთავარი თვისება, რომელიც მას განასხვავებს ადამიანთა სხვა ერთობლიობისაგან, მაგალითად ისეთებისაგან, როგორცაა საწარმოთა კოლექტივი, ბინის მცხოვრებნი და ა.შ.

აქ უნდა განვმარტოთ ერთი გაუგებრობა, რომელიც დემოგრაფიისაგან შორს მყოფი მწერლების ნაწარმოებში, ან საჯარო გამოსვლებში ხშირად გვხვდება „მოსახლეობის ცნებასთან“ დაკავშირებით. ამ გამოთქმებში მოსახლეობა, როგორც რაღაც უსულო და უსახური, უპირისპირდება ისეთ, თითქოსდა, უფრო სულიერ და პიროვნულ კატეგორიას, როგორცაა ხალხი ან საზოგადოება. „მოსახლეობის“ კატეგორიისადმი მსგავსი დამოკიდებულება სრულიად უსაფუძვლო და უსამართლოა (თუმცა მოსახლეობა დემოგრაფიაში ზოგჯერ ნამდვილად განიხილება მისი პიროვნული მახასიათებლებისაგან მოწყვეტით). მოსახლეობა და ხალხი – ეს უბრალოდ ერთი და იგივე საზოგადოების სხვადასხვა ხარისხობრივი თვისებები, მათი შესწავლისათვის აუცილებელი მეცნიერული აბსტრაქციებია. კ. მარქსი „კაპიტალის“ შესავალში წერდა: „მოსახლეობა – ეს აბსტრაქციაა, თუ მე გვერდზე დავტოვებ მაგალითად, კლასებს რომელთაგანაც იგი შედგება. ეს კლასებიც ისევე ცარიელი სიტყვაა, თუკი მე არ ვიცი ის საფუძველი, რასაც ისინი ემყარებიან, მაგალითად, დაქირავებული შრომა, კაპიტალი და ა.შ.“¹ შეიძლება ეს რიგი გაგვეგრძელებინა, ე.ი. კლასებიც, შრომაც, კაპიტალიც, ხალხიც და საზოგადოებაც მთლიანად ეს ყველაფერი სხვა არაფერია თუ არა მეცნიერული აბსტრაქცია და არაფერი დამამცირებელი ასეთ აბსტრაქციაში არაა, თუკი, მათ გონიერულად გამოვიყენებთ.

ყველაზე უფრო სადაო, ცხადია, შეიძლება მოგვეჩვენოს დემოგრაფიის საგნიდან მიგრაციული პროცესების ამოღება. დემოგრაფიის თითქმის ყველა სახელმძღვანელო, როგორც სამამულო² ასევე საზღვარგარეთულიც, შეიცავს განყოფილებას მიგრაციის კვლევის მეთოდების შესახებ. მაგრამ ეს მხოლოდ უნივერსალური სტატისტიკის დროინდელი გადმონაშთია, რომელიც ცდილობდა სრულიად მოეცვა მთელი საზოგადოება. ფაქტიურად კი დემოგრაფიის შესწავლის საგანში მიგრაციის ჩართვა ყოველთვის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისა იყო. რეალურად კი ყოველთვის არსებობდა თვალში საცემი „შრომის დანაწილება“ იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც სწავლობდნენ მოსახლეობის ბუნებრივ კვლავწარმოებას და იმათ შორის, ვინც სწავლობდა მიგრაციულ პროცესებს. მოსახლეობის მიგრაციასა და კვლავწარმოებას შორის არის არსებითი თვისებრივი

1. . . . 1857-1861 . (« »)
 1. . . ., 1980. C. 37.
 2. იხ. მაგალითად, ერთ-ერთი უკანასკნელია:
 6., 1995. C. 101-133.

განსხვავებანი, რომლებიც განაპირობებენ შესაბამის განსხვავებას კვლევის მეთოდებსა და მკვლევართა პროფესიულ მომზადებას შორის. ეს პროცესები განსხვავდებიან მათზე მოქმედი ფაქტორების ხასიათითაც. ასე მაგალითად, მიგრაციულ პროცესებში უფრო ძლიერია გეოგრაფიული ფაქტორების როლი (ბუნებრივი პირობების, კლიმატის, წარმოების განვითარების, სოციალური ინფრასტრუქტურის და ა.შ.), ვიდრე კვლავწარმოების პროცესებში. მიგრაციულ პროცესებთან შედარებით კი კვლავწარმოების პროცესებში უფრო მნიშვნელოვანია ბიოლოგიური ფაქტორების როლი. მოსახლეობის მიგრაცია – უწინარეს ყოვლისა სამუშაო ძალის მიგრაციაა. ამიტომ მიგრაციული პროცესების შესწავლისას ძალიან მნიშვნელოვანია შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის ცოდნა, რომლებიც ნაკლებ გამოსაყენებელია მოსახლეობის კვლავწარმოების შესწავლისას. მთლიანად კი რა თქმა უნდა მიგრაციულ და კვლავწარმოებით პროცესებს შორის არსებობს ურთიერთმოქმედება (როგორც საგანსა და კვლევის საგანზე მოქმედ ფაქტორს შორის). მიგრაცია გავლენას ახდენს მიგრირებულ ხალხთა მასის შობადობაზე, ქორწინებაზე, ჯანმრთელობაზე და მოკვდაობაზე და ამ თვალსაზრისით შეისწავლება იგი დემოგრაფიაში (უფრო ზუსტი იქნება ვთქვათ – უნდა შეისწავლებოდეს) როგორც მოსახლეობის კვლავწარმოების ერთ-ერთი ფაქტორი. თავის მხრივ შობადობის დონე, მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უნარიანობის დონე გავლენას ახდენს მისი მიგრაციული მოძრაობის უნარზე (ე.ი. არის მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის უნარის განმსაზღვრელი ფაქტორი).

დემოგრაფიის შესწავლის საგანი მჭიდროდაა გადაჯაჭვული მის მეორე ახლოებელ მეცნიერებასთან – სოციალურ ჰიგიენასთან – ძირითადად მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემათა შესწავლისას. ბევრი გამოჩენილი სპეციალისტი – მედიკოსი იყო და არის გამოჩენილი მეცნიერი დემოგრაფიის პრობლემების სფეროშიც (ს.ა. ნოვოსელსკი, ვ.ვ. პავესკი, ს.ა. ტომილინი, პ.პ. კურკინი, ა.მ. მერკოვი, ე.ა. სადვოკასოვა, მ.ვ. ბედნი და სხვა). მიუხედავად ამისა, განსხვავება ორ მომიჯნავე მეცნიერებას, სოციალურ ჰიგიენასა და დემოგრაფიას შორის – არსებობს და იგი საკმაოდ მკაფიოა. დემოგრაფია შეისწავლის მოსახლეობის კვლავწარმოებას, სოციალური ჰიგიენა კი – მის ჯანმრთელობას. შესაბამისად, განსხვავებულია მოკვდაობის შესწავლის მიზნებიც. დემოგრაფიაში იგი შეისწავლება, როგორც მოსახლეობის კვლავწარმოების კომპონენტი, სოციალურ ჰიგიენაში კი როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის შებრუნებული

მაჩვენებელი. რა თქმა უნდა მეცნიერებათა შესწავლის საგნების გამოყენა – თვითმიზანი არაა, ბუნებრივია შემეცნების გარკვეულ უბნებზე მათი ინტერესები შეიძლება გადაიკვეთებოდნენ, მაგრამ თუ ამასთან, ხდება ცოდნით ურთიერთგამდიდრება, მაშინ მეცნიერებათა ასეთ გადაკვეთას მხოლოდ უნდა მივესალმოდეთ.

1.3. დემოგრაფიის ამოცანები

ნებისმიერი მეცნიერების მთავარი ამოცანაა – საზოგადოებისა და ბუნების გარკვეულ ნაწილში განვითარების (მოძრაობის) კანონების შემეცნება. მაგრამ ამასთან ერთად თითოეულ მეცნიერებას აქვს პრაქტიკული ამოცანებიც. აქვს ისინი დემოგრაფიასაც. ისინი სამია: 1) დემოგრაფიული პროცესების ტენდენციებისა და ფაქტორების შესწავლა; 2) დემოგრაფიული პროგნოზების დამუშავება. 3) დემოგრაფიული პოლიტიკის დონისძიებათა შემუშავება.

1. დემოგრაფიული პროცესების ჭეშმარიტ ტენდენციათა გამოვლენა – სრულებითაც არაა მარტივი ამოცანა, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს. საჭიროა ვიცოდეთ სტატისტიკური ინფორმაციის საიმედოობის შეფასება და თითოეული შემთხვევისათვის შესაფერისი მაჩვენებლების შერჩევა (ან მათი აგება). სხვადასხვა მაჩვენებლები მათი ინდივიდუალური თვისებებიდან გამომდინარე შეიძლება სრულიად განსხვავებულად ახასიათებდნენ ერთი და იგივე პროცესების მიმართულებასა და ინტენსივობას. მაგალითად, ერთსა და იმავე პერიოდში შობადობის ერთი სახის მაჩვენებლები შეიძლება მოწმობდნენ მის შემცირებას, მაშინ, როცა მეორენი სრულიად პირიქით – მის ზრდას. ანალიტიკოსმა უნდა დაადგინოს, რა ხდება სინამდვილეში – კლებულობს თუ მატულობს შობადობა? სწორი შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუკი მაგალითად, ანალიტიკოსი სამთავრობო ექსპერტია დემოგრაფიული პოლიტიკის საკითხებში. საჭიროა კი იმის განმარტება, რომ ამ შემთხვევაში ანალიტიკოსის შეფასებას ექნება უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა (შევიმუშავოთ თუ არა შობადობაზე ზემოქმედებისათვის

რაიმე გეგმა თუ სახელმწიფოს ძალისხმევა მივმართოთ უფრო საჩქარო პრობლემების გადაწყვეტისაკენ? ამასთან, საჭიროა მხედველობაში გვქონდეს, რომ დემოგრაფიულ პროცესებს გააჩნიათ ინერციულობის დიდი უნარი, ძალიან ნელა ვითარდებიან (აღამიანური საზომით), ხშირად დემოგრაფიაში დროის ათვლა უფრო სწორი იქნება ვაწარმოთ არა წლების მიხედვით, არამედ თაობების მიხედვით. ამიტომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია დროულად დავინახოთ თუ რა მიმართულებით ვითარდება დემოგრაფიული პროცესები, რათა დროულად დავიწყოთ არასასიამოვნო განვითარების თავიდან ამაცილებელი დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული პროცესების ფაქტორთა შესწავლას. ფაქტორებზე საუბრისას, ყველაზე ხშირად გულისხმობენ მოვლენებისა და პროცესების მიზეზებს. ხშირად ლექსიკონებში ფაქტორებსა და მიზეზებს შორის არ ატარებენ პრინციპულ განსხვავებას¹. ამასთან სხვადასხვა მეცნიერებათა ენაში ამ ორი უმნიშვნელოვანესი ცნების გამოყენება განსხვავებულია. „მიზეზი“ გარკვეული შედეგების გამომწვევი არსის აღმნიშვნელი ფილოსოფიური ცნებაა. მიზეზი მოქმედებს ობიექტურად, შემსწავლელი სუბიექტის შემეცნებისაგან დამოუკიდებლად, შესაბამისად არც თუ ყოველთვის გამოვლინდება ზედაპირზე და ხშირად ძნელად შესაცნობია. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი მეცნიერების მიზანია – შესასწავლი პრობლემების ჭეშმარიტი მიზეზების შეცნობა, რამეთუ მხოლოდ ფაქტიურ მიზეზებზე ზემოქმედებით შეიძლება სასურველი შედეგების მიღება.

ფილოსოფიურ მეცნიერებაში თითქმის არ გამოიყენება „ფაქტორის“ ცნება. სამაგიეროდ სტატისტიკაში, რომელთანაც დემოგრაფია დიდი ხანია ნათესაურ კავშირში იმყოფება, პირიქით, უპირატესობას ანიჭებენ ილაპარაკონ ფაქტორებზე და არა მიზეზებზე. ეს იმიტომ, რომ სტატისტიკა ცდილობს მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები დაადგინოს კორელაციური დამოკიდებულების გაზომვის გზით. ამასთან, ხშირად გაუგებარი რჩება ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათაგან რომელია მიზეზი და რომელი შედეგი (ყველა ისინი შეიძლება იყოს

1. მაგალითად, ვკითხულობთ: „ფაქტორი – ლათ. factor – შემქმნელი; მწარმოებელი – 1) რაიმე პროცესის, მოვლენის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა არსებითი გარემოება რომელიმე პროცესში, მოვლენაში (., 1990. C. 530. იგივე, 1993. C. 440.) ფილოსოფიურ ენციკლოპედიებში კი ამაოდ დაუწვევბთ ძებნას ამ ტერმინს. მათში არის „ფაქტორების თეორია“, მაგრამ არაა „ფაქტორი“.

დაკვირვების მიღმა დარჩენილ მიზეზთა შედეგი). ფილოსოფიისაგან განსხვავებით სტატისტიკას ყოველთვის საქმე აქვს ხილულ, გაზომილ საგნებთან (მოვლენებთან) და პროცესებთან, რომლებშიც მიზეზ-შედეგობრივი კავშირები დგინდება არა უშუალოდ, არამედ მათი გარე ინდიკატორებით (მაჩვენებლებით).

მიზეზთა ნიშნების (მიზეზთა ნაკვალევს), ასეთ გარე ინდიკატორებს წარმოადგენენ **ფაქტორები** (ფაქტორული ნიშნები). როცა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მექანიზმი საკმაოდ კარგადაა ცნობილი, არაა აუცილებელი ვისაუბროთ პროცესის ფაქტორებზე, არამედ შეიძლება ვილაპარაკოთ უშუალოდ მიზეზებზე (თუმცა შეიძლება შევცდეთ კიდევ და ეს ხშირადაც ხდება, როცა მიზეზად დებულობენ მასზე, საკუთარი წარმოდგენის შესაბამის, რაღაც მის მსგავსს). სტატისტიკაში ფაქტორებზე ჩვეულებრივ ლაპარაკობენ იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ მიზეზის როლი არაა საკმარისად განსაზღვრული ან საერთოდ მხოლოდ ივარაუდება. ამრიგად, **ფაქტორი არის მიზეზის სტატისტიკურად დაკვირვებადი ასახვა**. მიზეზისაგან განსხვავებით ფაქტორი ყოველთვის დაკვირვებადია (განზომადია). ამაში მდგომარეობს, სწორედ, მათ შორის განსხვავება. და ეს გარემოება სრულიადაც არ ამცირებს მიზეზის შემეცნების გზაზე ფაქტორის, როგორც საფეხურის, ელემენტის მნიშვნელობას.

2. დემოგრაფიული პროცესების სხვა საზოგადოებრივ პროცესებთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლის საფუძველზე დემოგრაფები ამუშავებენ მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის, მომავალი ცვლილებების პროგნოზებს. დემოგრაფიული განვითარების ალბათური ხასიათის შეფასებისათვის ეს პროგნოზები არა მხოლოდ დემოგრაფებს სჭირდებათ. დემოგრაფთა ვიწრო წრის მიღმა ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ სწორედ დემოგრაფიულ პროგნოზებზეა უმეტესწილად დამყარებული მთელი სახალხო მეურნეობის: საქონლისა და მომსახურების წარმოების, საბინაო და კომუნალური მშენებლობის, შრომითი რესურსების, სპეციალისტთა კადრების მომზადების, სკოლებისა და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების, სამხედრო-განსაწვევი კონტინგენტის და სხვათა დაგეგმვა. დემოგრაფიული პროგნოზები ფაქტიურად მოიცავენ ქვეყნის მთელ სამეურნეო და სამხედრო პოტენციალს. აი, რატომ იყო, რომ ახლო წარსულში ისინი ცხრაკლიტურში ინახებოდნენ. მათი დამუშავებაც კი აკრძალული იყო „ორგანოთა“ სპეციალური

ნებართვის გარეშე¹. არც თუ უმნიშვნელოდ, ამავე მიზეზით, მსგავსი პროგნოზები დღეს ცოტა ვინმესთვის თუ არის ცნობილი სპეციალისტთა ძალიან ვიწრო წრის მიღმა, თუმცა ვფიქრობთ, რომ ისინი უნდა იყოს საზოგადოებრიობის ფართო წრის განსჯის საგანი.

3. დაბოლოს, დემოგრაფიული პროცესების რეალური ტენდენციების შემეცემების საფუძველზე, სხვა საზოგადოებრივ პროცესებთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის საფუძველზე, დემოგრაფიული (აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური და სხვა) პროგნოზებისა და გეგმების საფუძველზე განისაზღვრება დემოგრაფიული და სოციალური პოლიტიკის მიზნები და ღონისძიებანი. საჭიროა ხაზი გაესვას, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის პროგრამების შემუშავება არაა მხოლოდ დემოგრაფთა ხვედრი. დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს, მოიცავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო წრეს. ითვალისწინებდეს დემოგრაფიული პროცესების მრავალფეროვან და მრავალასპექტიან შედეგებს. ამიტომ დემოგრაფების გარდა დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა შემუშავებაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ ეკონომისტები, ფინანსისტები, იურისტები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, მედიკები, რეკლამის დარგის სპეციალისტები და ალბათ კიდევ ბევრი სხვა სპეციალისტებიც. აქედან ჩანს დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭირო ცოდნის ფართო წრე. დემოგრაფიის შესწავლის საგნის ჩარჩოები, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი „ვიწროს“ უწოდებს, სრულებითაც არ შემოფარგლავენ დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებებისა და კანონების შემეცნებისათვის დემოგრაფიაში გამოყენებული მეთოდების კომპლექსს.

1. ჩვენი გამოჩენილი დემოგრაფის პროფესორ ბორის ცეზარის ძე ურლანისის შესანიშნავი წიგნი «» (., 1974) მნიშვნელოვანწილად იყო მიძღვნილი დემოგრაფიული პროგნოზების თეორიისადმი. ბუნებრივია, ავტორი წიგნში გვთავაზობდა სხვადასხვა პიპოთეზების მიხედვით ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მომავლის მთელ რიგ ვარიანტებს. მე ამის შესახებ ვიცი ასე ვთქვათ „პირველი ხელიდან“, რადგანაც ბორის ცეზარის ძის წიგნზე მუშაობისას ვიყავი რა მისი ასპირანტი, ვეხმარებოდი მას თავის გაანგარიშებებში. ცენზურამ არ გაუშვა. პროგნოზებს მოუწია ხელნაწერებიდან ამოჭრა.

14. ბამოკვლევის მეთოდები დემოგრაფიაში

დემოგრაფია თავისი შესწავლის საგნის – მოსახლეობის ბუნებრივი კვლევარმოების – ბამოკვლევისას სხვადასხვა მეთოდებს იყენებს, რომელთაგან ძირითადები, მათი ხასიათის მიხედვით, შეიძლება გავაერთიანოთ – სტატისტიკური, მათემატიკური და სოციოლოგიური მეთოდების სამ ჯგუფად. დემოგრაფიაში დაკვირვების ობიექტებია არა ცალკეული ადამიანები ან შემთხვევები, არამედ გარკვეული თვალსაზრისითა და განსაზღვრული წესით დაჯგუფებულ ადამიანთა და შემთხვევათა ერთობლიობები. ასეთ ერთობლიობებს სტატისტიკური ფაქტები ეწოდებათ. დემოგრაფია ცდილობს დაადგინოს და გაზომოს მისი შესწავლის საგანთან დაკავშირებულ სტატისტიკურ ფაქტებს შორის ობიექტურად არსებული ურთიერთკავშირები, და ამისათვის იყენებს ასევე სტატისტიკაში შემუშავებულ ვთქვათ, კორელაციურ და ფაქტორული ანალიზის მეთოდებს. დემოგრაფიაში სხვა სტატისტიკური მეთოდებიც გამოიყენება, კერძოდ, შერჩევითი და საინდექსო მეთოდები, საშუალო სიდიდეების, მოსწორების, ცხრილებისა და სხვა მეთოდები.

მოსახლეობის კვლევარმოების პროცესები ერთმანეთთან ზოგჯერ მარტივი, ზოგჯერ კი საკმაოდ რთული რაოდენობრივი თანაფარდობებითაა დაკავშირებული, რაც ერთი ჯგუფის დემოგრაფიული მახასიათებლების სხვა მახასიათებლების შესახებ მონაცემებით, გაზომვისათვის, ბევრი მათემატიკური მეთოდის გამოყენებას განაპირობებს.

ზემოთ უკვე იყო საუბარი იმაზე, რომ ჯერ კიდევ გრაუნტმა აღმოაჩინა დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვის საფუძველზე მოსახლეობის რიცხოვნობისა და ასაკობრივი სტრუქტურის განსაზღვრის შესაძლებლობა. ეს, მოსახლეობის დემოგრაფიულ პარამეტრებს შორის მათემატიკური ურთიერთდამოკიდებულების მაგალითია. დღეს დემოგრაფიაში ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის მათემატიკური მოდელები, რომელთა დახმარებითაც უშუალოდ დაკვირვებისას მიღებული ფრაგმენტული და არაზუსტი მონაცემების საფუძველზე შეიძლება მივიღოთ საკმაოდ სრული და საიმედო წარმოდგენა მოსახლეობის კვლევარმოების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში მათემატიკური მოდელების დახმარებით შეიძლება მივიღოთ უფრო საიმედო მონაცემები, ვიდრე უშუალოდ სტატისტიკური აღრიცხვისას. თუმცა, დემოგრაფიაში მათემატიკურ მოდელებს მიეკუთვნება, გრაუნტის სახელთან დაკავშირებით უკვე აღნიშნული

მოკვდაობის ალბათური ცხრილები, აგრეთვე დემოგრაფიული პროგნოზები, რომლებიც წარმოადგენენ მათემატიკური მოდელირების ერთ-ერთ სახეობას.

დაბოლოს, უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის (ჩვენთან ქვეყანაში, ხოლო დასავლეთში კი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის) განმავლობაში დემოგრაფიაში სულ უფრო აქტიურად გამოიყენება ეგრეთ წოდებული დემოგრაფიული ქცევის, ე.ი. ადამიანების, ოჯახებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ცხოვრების დემოგრაფიულ ასპექტებთან დაკავშირებული სუბიექტური განწყობის, მოთხოვნების, აზრის, გეგმის, გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედებათა კვლევის სოციოლოგიური მეთოდები.

1.5. დემოგრაფიის შიბა სპეციალიზაცია

დემოგრაფიული გამოკვლევების განვითარებისა და დემოგრაფიის მიერ დემოგრაფიული პროცესების სხვა საზოგადოებრივ პროცესებთან ურთიერთკავშირის ახსნისათვის გამოყენებულ ფაქტორთა წრის გაფართოების კვალობაზე ფართოვდება დემოგრაფიის მიერ, თავის გამოკვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგიური აპარატიც. თავისი შესწავლის საგნის გამოკვლევაში სხვა მეცნიერებთან თანაშრომლობამ და იმავე მიზნით (ანუ მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების გამოკვლევისათვის) მეცნიერების სხვა დარგებიდან სპეციალისტების მოზიდვამ დემოგრაფიის შიგნით გამოიწვია საერთო შესწავლის საგნით გაერთიანებული, მაგრამ ამ საგანზე მოქმედ შესასწავლ ფაქტორთა წრისა და შესაბამისად შესწავლის მეთოდების მიხედვით განსხვავებული მისი სხვადასხვა დარგების (განყოფილებების) წარმოშობა. უნდა ითქვას, რომ ამით დემოგრაფია არ განსხვავდება უმეტესი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებებისაგან, იგი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩა მათ.

დღეს ჩვენ ჩვეულებრივ ვლაპარაკობთ არა ფიზიკაზე, მათემატიკაზე, ეკონომიკაზე, მედიცინაზე და ა.შ., არამედ ფიზიკური, ეკონომიკური, სამედიცინო და სხვა დარგის მეცნიერებებზე. სპეციალიზაციის ასეთივე პროცესი მიმდინარეობს სოციოლოგიაშიც, რომელშიც გამოიყოფა მისი ისეთი განყოფილებები, როგორცაა: პიროვნების სოციოლოგია, შრომის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლოგია, განათლების და კულტურის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია და ა.შ. უკვე წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სტატისტიკაც უნივერსალური მეცნიერება იყო და ერთი და იგივე მეცნიერები მუშაობდნენ როგორც მოსახლეობის პრობლემებზე, ასევე სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, შრომითი რესურსების, კულტურის, საბინაო მშენებლობის, ვაჭრობისა და ა.შ. პრობლემებზე. დღეს, სტატისტიკის ამ თვისებრივად განსხვავებული საგნების შესწავლა იმდენად გადრმავედა, ხოლო კვლევის მეთოდები ისე გაფართოვდა და გართულდა, რომ ერთი და იმავე მეცნიერების – სტატისტიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს ძალიან ხშირად არ ესმით ერთი-ერთმანეთის ენა.

სპეციალიზაციის ასეთივე პროცესი მიმდინარეობს დემოგრაფიაშიც. მნიშვნელოვან წილად ეს განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ დემოგრაფთა კადრები მოიზიდება სხვა, დემოგრაფიის მომიჯნავე მეცნიერებებიდან, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სპეციალური დემოგრაფიული განათლება (გარდა მცირე რაოდენობის დემოსტატისტიკოსებისა და „დემოგრაფიული განხრის“ პოლიტეკონომისტების მომზადებისა). დემოგრაფიის შიგნით სტიქიურად გამოიყოფა ისეთი დარგები როგორცაა: დემოგრაფიული სტატისტიკა (ანუ სხვაგვარად – მოსახლეობის სტატისტიკა), ეკონომიკური, მათემატიკური, ისტორიული, ეთნიკური, სოციოლოგიური დემოგრაფია (აღბათ, ეს არაა მსგავსი დისციპლინების სრული ჩამნათვალი). ამ დარგების დასახელებებიდან შეიძლება დავინახოთ, რომ ისინი წარმოიქმნება დემოგრაფიისა და სხვა მოსაზღვრე მეცნიერებათა მიჯნაზე და გამოსატყვევ დემოგრაფიის შესწავლის საგნის კავშირს მომიჯნავე მეცნიერებათა მეთოდებთან, რომელთა შესწავლის საგნებიც დემოგრაფიაში ფაქტორების სახითაა წარმოდგენილი. მიგვაჩნია, რომ დემოგრაფიის ამ დარგების სახელწოდებებში შენარჩუნებული უნდა იქნას შემდეგი პრინციპები, რომელიც ფაქტიურად უკვე გამოიყენება რთული შინაგანი სტრუქტურის მქონე სხვა მეცნიერებებში: არსებითი სახელი (ამ შემთხვევაში დემოგრაფიის) აღნიშნავს მეცნიერების შესწავლის საგანს (მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოება), ზედსართავი სახელი (ეკონომიკური, მათემატიკური, ისტორიული და ა.შ.) – მეცნიერებას, რომლის ცოდნაც

დემოგრაფიის შესწავლის საგნის გამოკვლევისას გამოიყენება, როგორც ფაქტორები. ასეთი პრინციპის აზრი, იმაში მდგომარეობს, რომ უკვე დარგობრივი მეცნიერების დასახელებიდან ჩანდეს მისი სპეციალიზაცია და შესწავლის საგნის ის დარგი, რომელსაც იგი მიეკუთვნება. ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ აღინიშნება მკვლევარის პრაქტიკული კომპეტენციის სპეციფიკა, ე.ი. მიგვანიშნებს თუ შესწავლის საგნის კონკრეტულად რომელ დარგში უნდა ველოდეთ სპეციალისტისაგან პროფესიული კვალიფიკაციის გარკვეულ დონეს.

დარგობრივი მეცნიერების დასახელების ასეთი პრინციპის მკაცრად დაცვა შეუძლებელია ენობრივი სირთულეების გამო (თუკი დასახელება საკმარისად კეთილხმოვანი არ გამოდის), მაგრამ ეს ჯერ იშვიათი შემთხვევებია.

მაგალითად, ზემოთ აღნიშნული პრინციპების შესაბამისად მოსახლეობის სტატისტიკა (დემოგრაფიული სტატისტიკა) უღერს როგორც სტატისტიკის დარგი, ხოლო დემოგრაფიაში უნდა რქმოდა სტატისტიკური დემოგრაფია. მაგრამ ჯერ – ერთი, სიტყვათა შეთანხმება „სტატისტიკური დემოგრაფია“ – უჩვეულოა (თუმცა კი შესაძლებელია), ხოლო მეორეს მხრივ, და რაც მთავარია უკვე ტრადიციად ქცეული დასახელება, მოსახლეობის სტატისტიკა იმ დროიდანაა შენარჩუნებული, როცა დემოგრაფია ჯერ კიდევ არ გამოიყოფოდა დამოუკიდებელ მეცნიერებად და ვითარდებოდა უნივერსალური მეცნიერების სტატისტიკის კალაპოტში. სტატისტიკის დარგობრივი დიფერენციაციის კვალობაზე მის შიგნით გამოიყო დემოგრაფიული სტატისტიკა (მოსახლეობის სტატისტიკა), რომელიც დემოგრაფიის ჩამოყალიბების პროცესში გადავიდა მის დაქვემდებარებაში, უკვე როგორც მისი დარგი. ვფიქრობთ, რომ არ ღირს დემოგრაფიული სტატისტიკის ტრადიციული, ჩვეული დასახელების შეცვლა.

დემოგრაფიული სტატისტიკა – დემოგრაფიის უძველესი დარგია (და ვფიქრობთ, რომ სტატისტიკური მეცნიერების მთელი სისტემისაც). მისი კერძო შესწავლის საგანია მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკური კანონზომიერებების შესწავლა (ყოველთვის აღარ გავიმეორებთ მოსახლეობის ბუნებრივ კვლავწარმოებას, მაგრამ ვიგულისხმებთ მას). დემოგრაფიული სტატისტიკის ამოცანებში შედის დემოგრაფიული პროცესებისა და მოვლენების სტატისტიკური დაკვირვებისა და გაზომვის მეთოდების შემუშავება, მოსახლეობის კვლავწარმოების შესახებ სტატისტიკური მასალების პირველადი დამუშავება.

განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწია **მათემატიკურმა დემოგრაფიამ**, რომლის შესწავლის საგანია დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების

ურთიერთკავშირისათვის მათემატიკური მეთოდების დამუშავება და გამოყენება, მათი მოდელირება და პროგნოზირება. დემოგრაფიულ მოდელებს შორისაა – მოკვდაობის, ქორწინების, შობადობის ალბათური ცხრილები, სტაციონალური და სტაბილური მოსახლეობის მოდელები, დემოგრაფიული პროცესების იმიტაციური მოდელები და ა.შ.

ისტორიული დემოგრაფია შეისწავლის ქვეყნებისა და ხალხების ისტორიაში დემოგრაფიული პროცესების მდგომარეობასა და დინამიკას, აგრეთვე დემოგრაფიული განვითარების ისტორიას.

ისტორიულ დემოგრაფიასთან ახლოს დგას **ეთნიკური დემოგრაფია**, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის კვლავწარმოების ეთნიკურ თავისებურებებს (ფაქტორებს). ცნობილია, რომ ხალხთა ცხოვრების ყოფითი მიდრეკილებების ეთნიკური თავისებურებები, ჩვევები, ტრადიციები და ოჯახური ურთიერთობების სტრუქტურა არსებით გავლენას ახდენენ შობადობის დონეზე (ბავშვების რიცხვი ოჯახში), ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე, ქორწინების თავისებურებებსა და ქორწინების სიმტკიცეზე.

ეკონომიკური დემოგრაფია იკვლევს მოსახლეობის კვლავწარმოების ეკონომიკურ ფაქტორებს. ეკონომიკურ ფაქტორებში აქ იგულისხმება საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკური პირობების მთელი ერთობლიობა, მათი გავლენა მოსახლეობის ზრდის ტემპებზე, შობადობისა და მოკვდაობის დონეზე, ქორწინებაზე, ოჯახის ფორმირებასა და სიმტკიცეზე და ა.შ.

უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა **სოციოლოგიური დემოგრაფია**, რომელიც შეისწავლის დემოგრაფიულ პროცესებში ადამიანთა ნებელობით, სუბიექტურ მოქმედებებზე სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენას.

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებინა მთელი რიგი დემოგრაფიული დარგები (სამედიცინო, პოლიტიკური, იურიდიული, სამხედრო და ა.შ.). მეორეს მხრივ დემოგრაფიის მოსახლვრე მეცნიერებებში უკვე არსებობს თუმცა ჯერ კიდევ არც თუ ყოველთვის მკაფიოდ განსაზღვრული, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ, ისტორიულ და სხვა მეცნიერებათა დარგები, რომელთათვისაც მოსახლეობის კვლავწარმოება მისი სხვადასხვა ასპექტები, გამოდიან იმ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების როლში, რომლებიც შეადგენენ ამ მეცნიერებათა შესწავლის საგანს. ეს მტკიცება შეიძლება განვმარტოთ შემდეგი მაგალითით. სოციალური მობილობა,

ე.ი. ადამიანების გადაადგილება საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში¹, გავლენას ახდენს მათ გადაწყვეტილებაზე, ვთქვათ გააჩინონ თუ არა უახლოეს წლებში კიდევ ერთი ბავშვი, დაწერონ დისერტაცია თუ გაუფრთხილდნენ თავიანთ ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაში სოციალური მობილობა განიხილება, როგორც ფაქტორი დემოგრაფიულ გამოკვლევაში. პირიქით, ოჯახში ბავშვების რიცხვი, თავად ოჯახის არსებობა, შეიძლება უწყობდეს ხელს – ან თანამედროვე საზოგადოებაში უფრო უშლიდეს ხელს – განსაკუთრებით ქალის კარიერას. ამ შემთხვევაში დემოგრაფიული კომპონენტა წარმოადგენს სოციალური მობილობის ფაქტორს, რომელიც სოციოლოგიის კვლევის საგანს შეადგენს.

1. . . .
., 1995. C. 412.

თემა 2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ.

იმისათვის, რომ ინფორმაცია ეფექტურად გამოვიყენოთ საჭიროა გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს მისი წარმოშობის შესახებ. მაშინ შეიძლება შევაფასოთ ინფორმაციის შესაძლებლობა, სწორედ მისი შექმნის (შეგროვების) ხერხებით განპირობებული მისი ღირსებები, გამოყენების საზღვრები და ნაკლოვანებები.

დემოგრაფიაში ინფორმაციის ძირითადი წყაროებია:

- 1) ჩვეულებრივ 10 წელიწადში, ზოგიერთ ქვეყანაში 5 წელიწადში ერთხელ რეგულარულად ჩატარებული მოსახლეობის აღწერები;
- 2) დემოგრაფიული შემთხვევების (შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებებისა და განქორწინებების) უწყვეტად განხორციელებადი მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა;
- 3) ასევე უწყვეტად ფუნქციონირებადი მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრები (სიები, კარტოთეკები);
- 4) შერჩევითი და სპეციალური გამოკვლევები.

1.1. მოსახლეობის აღწერები

1.1.1. მოსახლეობის აღწერის განმარტება

ლიტერატურაში მოსახლეობის აღწერის ბევრი სხვადასხვა განმარტება არსებობს, რომელთა შორის ვგონებ ყველაზე მოკლეა შემდეგი: მოსახლეობის აღწერა ესაა მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ მონაცემების შეგროვების მეცნიერულად ორგანიზებული ოპერაცია.

საკმაოდ მარტივი განმარტებაა და ერთი შეხედვით გამოსადეგიც. მაგრამ როგორც ამბობენ სიმცირე ყოველთვის არაა ტალანტის მეგობარი. მოცემულ შემთხვევაში მოსახლეობის აღწერის განმარტება მართალია მოკლე და

ადვილად დასამახსოვრებელია, მაგრამ იგი არაა საკმარისად სრული და ზუსტი. ამიტომ მასთან ერთად მოვიტან სხვა განმარტებასაც, მართალია ცოტა გრძელს და დიდს, მაგრამ უფრო ტევადს. მისი დაზეპირება საჭირო არაა, მაგრამ იგი ყურადღებას იმსახურებს. ეს განმარტება მოცემულია გაეროს ექსპერტების მიერ.

„მოსახლეობის აღწერა – ესაა ქვეყანაში, ან მის მკაფიოდ შემოფარგლულ ნაწილზე მცხოვრები მთელი მოსახლეობის შესახებ, დროის განსაზღვრული მომენტისათვის დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური მონაცემების შეგროვების, განზოგადების, შეფასების, ანალიზისა და პუბლიკაციის მთლიანი პროცესი“¹.

ამ განმარტების ღირსება უპირველეს ყოვლისა იმაშია, რომ იგი ჩამოთვლის მთელ რიგ არსებით თავისებურებებს, რომლებიც მას სხვა მსგავსი გამოკვლევებისაგან განასხვავებენ. ასე მაგალითად, აქ აღნიშნულია მისი ის თავისებურება, როგორცაა საყოველთაობა, ე.ი. ადგილი აქვს მთელი მოსახლეობის მოცვას, მითითებულია, რომ აღწერის ჩატარების სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებით, მასში შედის აგრეთვე აღწერის შედეგების შეფასება, მათი ანალიზი და პუბლიკაცია. აღწერის ამ უკანასკნელ თვისებას (მისი შედეგების პუბლიკაცია) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც 1926 წლის შემდეგ აღწერის შედეგების პუბლიკაცია გამუდმებით მცირდებოდა, ვიდრე 1980 წლისათვის ერთ (!) ტომამდე არ შემცირდა (ე.წ. „სამსახურეობრივი მოხმარებისათვის“ განკუთვნილი გამოცემები არ შეიძლება პუბლიკაციებად ჩაითვალოს).

ზუსტად იგივე ითქმის საქართველოზეც, რომელიც, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შემადგენელი რესპუბლიკა ამ მხრივ რუსეთისაგან არ განსხვავდებოდა.

მეორეც, გაეროს განსაზღვრება ხსნის მოსახლეობის აღწერის უნივერსალურ, დისციპლინათაშორისო ხასიათს. მიუხედავად იმისა, რომ მას ტრადიციულად უწოდებენ მოსახლეობის ანუ დემოგრაფიულ აღწერას, სინამდვილეში აღწერა გვიჩვენებს მოსახლეობის მთელ რიგ ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც სცდება დემოგრაფიის შესწავლის საგანს (ეთნიკური და სოციალურ-კლასობრივი

1. . . . , 1981. C. 8.

სტრუქტურები, მოსახლეობის განაწილება ტერიტორიების მიხედვით და მიგრაცია, მოსახლეობის განაწილება სახალხო მეურნეობის დარგებისა და დასაქმების მიხედვით, უმუშევრობა, მდგომარეობა დასაქმებაში და სხვა). ამიტომ მოსახლეობის ყოველი აღწერის წინ გამოცემული პროპაგანდისტული ბროშურების ლოზურგური სათაურები „მოსახლეობის აღწერა საერთო სახალხო საქმეა“, გადაჭარბებული არაა.

1.1.2. თანამედროვე მოსახლეობის აღწერის ძირითადი პრინციპები

თავდაპირველად საჭიროა შევნიშნოთ, რომ მოსახლეობის აღწერის ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპები საჭიროა ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განვიხილოთ. ისინი არაა რაიმე იერარქიის მიხედვით განლაგებული, უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთის მიმართ თანაბარმნიშვნელოვანია. ამრიგად, მოსახლეობის აღწერა ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

1. **იმ ტერიტორიის მოსახლეობის საყოველთაო მოცვა რომელზეც ტარდება აღწერა**, ე.ი. უკლებლივ ყველა მცხოვრების აღრიცხვა (მაგრამ ორმაგი აღრიცხვის გარეშეც), მიუხედავად ადამიანის ამ თუ იმ სტატუსური მახასიათებლისა: სქესი, ასაკი, ეროვნება, სოციალური მდგომარეობა, მოცემულ საცხოვრებელში ან ადგილზე ცხოვრების უფლების ქონა და ა.შ. ამ თვისებით მოსახლეობის აღწერა განსხვავდება ძველად ჩატარებული მოსახლეობის აღრიცხვებისაგან და ყველა სხვა თანამედროვე გამოკვლევებისაგან, რომლებშიც, როგორც წესი გამოკვლევის მიზნიდან გამომდინარე მოსახლეობის მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიები აღირიცხება.

ამ პრინციპის დაცვა მისი მოჩვენებით სიმარტივის მიუხედავად, აღწერის ჩატარებისას, ერთ-ერთ ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს. აღწერის დროს ორგანიზატორები ცდილობენ იგი იმგვარად ჩაატარონ, რომ რაც შეიძლება, ნაკლებად დაარღვიონ ხალხის ცხოვრების ჩვეული მიმდინარეობა. მაგრამ, ამასთან, მოსახლეობა განუწყვეტელ მოძრაობაში იმყოფება. აღწერის დროს განმავლობაში (რამდენიმე დღე) ადამიანმა შეიძლება მოიაროს სხვა რეგიონი და დაბრუნდეს კიდევ თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. აქედან წამოიჭრება საფრთხე, რომ იგი შეიძლება გამოტოვებულ იქნას და არ აღირიცხოს სააღწერო

დოკუმენტებში, როგორც თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე (რადგანაც ის ამ დროს არ იყო), ასევე თავის დროებით ადგილსამყოფელზე სხვა ქალაქში (სადაც იგი სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოხვდა აღმწერ რეგისტრატორთა თვალთახედვის არეში). ან პირიქით, იგი შეიძლება ორჯერ აღრიცხულიყო, როგორც თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, ასევე დროებითზეც.

გარდა ამისა არსებობს მოქალაქეთა ზოგიერთი კატეგორიის გამოტოვების გაზრდილი ალბათობა, მაგალითად, ახალშობილებისა და დარბაისელი მოხუცებისა, უსახლკაროების, მომთაბარეების, მოგზაურებისა და ა.შ. სტატისტიკოსების ყველა მტკიცების მიუხედავად, რომ მოსახლეობის აღწერას არ ახლავს რაიმე ფისკალური ან მისი მსგავსი მიზნები, ბევრი მოქალაქის შეგნებაში მყარადაა ჩამჯდარი, გაურკვეველია ვის მიერ შთავონებული რწმენა, რომ აღწერა სწორედ სპეციალური მიზნით ტარდება, რათა დაადგინოს გარკვეული კატეგორიის ხალხის რიცხვი (პოტენციური გადასახადის გადამხდელები ან „მუქთახორები“ და ა.შ.). ამიტომ ძალიან ხშირად ხდება, რომ აღწერის რეგისტრატორის კითხვაზე, გამოტოვებული ჩვილის შესახებ, მისი ნათესავები პასუხობენ: „ის ხომ ჯერ კიდევ პატარაა!“ თითქმის იგივეს ამბობენ მსგავს სიტუაციაში მოხუცთა ნათესავებიც: „ის ხომ უკვე მოხუცია, მუშაობა არ შეუძლია. რა საჭიროა მისი აღწერა?“ ხალხი, ვინც იქ არ ცხოვრობს სადაც არიან ჩაწერილები, ხშირად ცდილობენ აღწერა გაიარონ იმ ადგილზე სადაც ცხოვრობენ და იმ ადგილზეც, სადაც მხოლოდ ირიცხებიან იმის შიშით, რომ არ დაკარგონ რომელიმე საცხოვრებელი. მინდა ხაზი გავეუსვა, რომ მოსახლეობის აღწერისას აღრიცხვის სირთულისა და სიზუსტის პრობლემა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვისაა სპეციფიკური, არამედ არსებობს ყველა ქვეყანაში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად სტატისტიკოსები სხვადასხვა დამხმარე ღონისძიებებს იყენებენ.

2. მოსახლეობის აღწერების ჩატარების პერიოდულობა (ანუ რეგულარობა), დროის თანაბარი შუალედების, ჩვეულებრივ ყოველი 10 ან 5 წლის შემდეგ. 5-ის ჯერადი დროის ასეთი შუალედები, აირჩევა მოსახლეობის აღწერათა მონაცემების ასაკობრივი სტრუქტურის შესადარისობის უზრუნველყოფისათვის, რომლებიც ყველაზე ხშირად ხუთწლიანი დაჯგუფების სახით ქვეყნდება. მაშინ მოსახლეობის რიგი აღწერების მონაცემებით შეიძლება თვალის გაგადევნოთ სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს, რაც მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი (ამაზე კონკრეტულად შემდეგ თავში იქნება საუბარი).

3. მოსახლეობის აღწერის მიზნების დამოუკიდებლობა სახელმწიფოს რაიმე კონკრეტული კერძო ინტერესებისაგან, როგორცაა: გადასახადის გადახდა, ცნობები წვევამდელი ასაკის ახალგაზრდების რაოდენობის შესახებ და ა.შ. მოსახლეობის აღწერა არ უკავშირდება არავითარ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, არ შეეხება ცალკეულ მოქალაქეთა არც ქონებრივ და არც პირად ინტერესებს. მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც საცხოვრებელი ფართის განაწილებასთან, ან გამოყენებასთან, არც მსგავს საკითხებთან და რა მშვენივრად იყო ნათქვამი სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის წინ 1895 წელს გამოცემულ გლეხებისათვის განკუთვნილ ერთ-ერთ პოპულარულ ბროშურაში, „აღწერა მხოლოდ თავისთვის ტარდება“¹. აღწერისას შეგროვილი ყველა ცნობები მხოლოდ ჯამური სახით, გაუპიროვნებელი ცხრილების სახით გამოიყენება. რა თქმა უნდა, მოსახლეობის აღწერები ტარდება სახალხო მეურნეობის მართვისათვის საჭირო ინფორმაციაში სახელმწიფოს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ, ჯერ ერთი, არა მარტო სახალხო მეურნეობის მართვისათვის. დღეისათვის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოთხოვნები გაცილებით ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე ადრე (არა მარტო ფისკალური, სამეურნეო, სამხედრო, პოლიტიკა, აგრეთვე საგანმანათლებლო და კულტურული, სოციალური, ეროვნული და ა.შ.). მეორეც, ინფორმაცია მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ესაჭიროება მთლიანად საზოგადოებას, ყოველ შემთხვევაში ძალიან ბევრ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ამიტომ მოსახლეობის აღწერებისას შეგროვილი ცნობების სწორედ ფართო (თუმცა რა თქმა უნდა ფინანსური და ადამიანური რესურსებით შეზღუდულ) წრეს შეუძლია დააკმაყოფილოს (ზოგჯერ სრულად) სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნები.

ლ. ნ. ტოლსტოიმ მშვენივრად თქვა მოსახლეობის აღწერის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. იგი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა 1882 წლის მოსკოვის მოსახლეობის აღწერაში და თავისი შთაბეჭდილებები აღწერა სპეციალურ სტატიაში „მოსკოვში აღწერის შესახებ“ (M. 1882) და წიგნში „და მაინც რა უნდა ვაკეთოთ“ (M. 1906, სტატია შევიდა წიგნში). სტატიაში იგი წერდა, რომ მოსახლეობის აღწერა – ესაა გამოკვლევა, რომელიც იმისათვის ტარდება „რათა გამოიყვანონ სოციოლოგიის კანონები და ამ კანონების საფუძველზე უკეთესად

1.

., 1895. C. 16.

დააწესონ ხალხის ცხოვრება“ (გვ.1). იმავე სტატიის სხვა ადგილას იგი ამბობს, რომ „საზოგადოებისათვის აღწერის ინტერესი და მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი მას აძლევს სარკეს, რომელშიც გინდა თუ არ გინდა ჩაიხედავს მთელი საზოგადოება და თითოეული ჩვენთაგანი“ (გვ. 3).

სხვათა შორის სახელმწიფოებრივი მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დროს სტატისტიკოსებს გამუდმებით უხდებოდათ თავის დამცირება ხელისუფლების წინაშე, რათა ისინი დაერწმუნებინათ მოსახლეობის მორიგი აღწერის ჩატარების აუცილებლობაში და პარტიისა და სახელმწიფოსათვის მისი პროგრამის თითოეული კითხვის სარგებლიანობაში. ამით აიხსნება გასული წლების სტატისტიკურ ლიტერატურაში მოსახლეობის აღწერების სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის გადამეტებული ხაზგასმა და მისი სამეცნიერო ასპექტების ძალაუნებურად დამდაბლება.

4. აღწერით მოცულ მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერის ერთიანი პროგრამითა და ერთიანი წესით ჩატარება. ამ პრინციპის დაცვა საჭიროა შესადარისი შედეგების მიღებისათვის. საკმარისია მოსახლეობის გამოკითხვისათვის საჭირო სააღწერო ფურცელში თუნდაც ოდნავ შეეცვალოთ კითხვის რედაქცია, სხვადასხვა ტერიტორიებზე ან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში, რომ პასუხების ხასიათიც მაშინვე ასევე შეიცვლება და ისინი შედარებისათვის გამოუსადეგარნი გახდებიან. ამასთან, ისეთ მრავალეროვან ქვეყანაში, როგორც ჩვენია, ნებისმიერი სოციოლოგიური და მითუმეტეს ისეთი დიდი გამოკვლევისას როგორცაა აღწერა, აუცილებლად წამოიჭრება რუსულიდან, რუსეთის სხვა ხალხების ენაზე სააღწერო დოკუმენტების ზუსტი თარგმნის პრობლემა. ამასთან, სააღწერო ფურცლის კითხვების აზრობრივი იდენტურობის შენარჩუნება ხშირად არც თუ ისე მარტივი ამოცანაა.

მნიშვნელობა აქვს წინა აღწერასთან მიმართებაში მომავალი აღწერის პროგრამის მემკვიდრეობითობის დაცვასაც. ეს ასევე აუცილებელია მათ დინამიკაში შესადარი შედეგების მისაღებად, რათა რამდენიმე აღწერის მასალებით შესაძლებელი იყოს მოსახლეობის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებისათვის თვალის გადევნება. მსგავსი მემკვიდრეობითობის დარღვევისას აღწერების შედეგებში ცვლილებები შეიძლება იყოს კითხვების რედაქციის განსხვავებულობის და არა მოსახლეობაში ნამდვილი ცვლილების შედეგი. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ აღწერების პროგრამები აღწერიდან აღწერამდე საერთოდ არ უნდა იცვლებოდეს (პროგრესს ვერ შევაჩერებთ),

მაგრამ აღწერის პროგრამაში თითოეული ასეთი ცვლილება, ამისათვის ერთობ სერიოზული საფუძვლის შემთხვევაში დიდი სიფრთხილით შეაქვთ.

5. **რეგისტრაციის ინდივიდუალობა** (ანუ სხვაგვარად – სახელობითობა), ე.ი. მონაცემების შეგროვება თითოეულ ცალკეულ ადამიანზე და არა ოჯახის მეურნეობის, საცხოვრისის და ა.შ. ჯამური შედეგების სახით. შეგროვილი მასალის შემდგომი დამუშავებისას ინდივიდუალური მონაცემები ჯამდება აღწერის შედეგების დამუშავების პროგრამის შესაბამისად და გადაიქცევა გაუპიროვნებელ სტატისტიკურ ცხრილებად. მაგრამ მონაცემების უშუალო შეგროვების ეტაპზე ისინი თითოეულ ადამიანზე ცალ-ცალკე გროვდება. შედეგების შემდგომი დამუშავების ასეთი პრინციპი შეგროვილი მონაცემებიდან ყველაზე მრავალფეროვანი კომბინაციური დაჯგუფების მიღებას უზუნველყოფს.

6. **ცნობების უშუალოდ მოსახლეობისაგან მიღება.** მოსახლეობის შესახებ ბევრი ცნობებია სხვადასხვა სახის დოკუმენტებში (პასპორტებში, პირადობის დამადასტურებელი მოწმობებში, კადრების განყოფილებათა, საბინაო წიგნების, პოლიციის საპასპორტო განყოფილებებში, სამხედრო კომისარიატების სააღრიცხვო დოკუმენტებში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა რეგისტრატურებში და სხვა). თითქოსდა, რაღა საჭიროა ძვირად ღირებული და შრომატევადი მოსახლეობის აღწერების ჩატარება? განა უკეთესი არ იქნება შევავროვოთ და შევკრიბოთ დოკუმენტებში არსებული ცნობები. მაგრამ ჯერ ერთი, დოკუმენტები იქმნება განსაზღვრული შეზღუდული ამოცანებისათვის და ისინი განსხვავდებიან მოსახლეობის განსაზღვრული კატეგორიებისათვის. ამიტომ დოკუმენტებში არსებული ცნობების წრე არაა ერთნაირი, ისინი განსხვავდებიან იმ მიზნების მიხედვით, რომელთა შესაბამისადაც იქმნება ეს დოკუმენტები და როგორც წესი არ მოიცავს ყველა იმ საჭირო ცნობებს, რომლითაც დაინტერესებულია, სახელმწიფო და მეცნიერება. მეორეც, რადგანაც დოკუმენტები იქმნება განსაზღვრული მიზნებით და ეხებიან ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს, მათში შეიძლება იყოს შეცდომები და გაყალბებები. გარდა ამისა, ცნობები საბუთებში (მისი სრული კანონიერებისასაც კი შეიძლება არ შეესაბამებოდნენ ადამიანის ნამდვილ მოქალაქეობრივ მდგომარეობას. მაგალითად, ადამიანი ჩაწერილია ერთ ადგილას, ხოლო ფაქტიურად ცხოვრობს სხვაგან. ან ქორწინების მოწმობის თანახმად ადამიანი ითვლება ერთ ქორწინებით კავშირში, ხოლო სინამდვილეში უკვე დიდი ხანია იმყოფება სხვა კავშირში, ან არ

იმყოფება არც ერთში. ან, ადამიანს პასპორტში ჩაწერილი აქვს ერთი ეროვნება, მაგრამ თავის თვითშეგნებაში იგი გრძნობს შინაგან, სულიერ კავშირს სხვა ეროვნებასთან, მის კულტურასთან, ჩვევებთან, ქცევის წესებთან და ა.შ. ეს არც თუ იშვიათი შემთხვევაა მრავალეროვან ქვეყნებში, განსაკუთრებით იმათში, სადაც რომელიმე ერთი ეროვნება, – „პირველია თანასწორთა შორის“, მეორეები, არ არიან „პირველები თანასწორთა შორის“, ხოლო მესამეები კი – საერთოდ არ არიან „პირველთა“ თანატოლნი. მაშინ, პასპორტის მიღებისას, ერთ-ერთი მშობლის მიხედვით ეროვნების შერჩევაზე შეიძლება იმოქმედონ კონიუნქტურულმა შეხედულებებმა, რომლებსაც, თუკი ასეთი შემთხვევები ბევრი აღმოჩნდება, შეუძლიათ დაამახინჯონ მონაცემები მოსახლეობის რეალური ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. მაშ რა გვინდა ჩვენ: მოსახლეობის ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით განაწილება, თუ ჩაწერის შესახებ დოკუმენტების მიხედვით განაწილება? ქორწინების მოწმობათა რაოდენობა თუ მონაცემები რეალური ქორწინებითი კავშირების შესახებ? მონაცემები ფორმალური საპასპორტო ეროვნების შესახებ, თუ რეალური ეროვნული შემადგენლობისა და მათი ცვლილების შესახებ? ვფიქრობ პასუხები ცალსახაა. რა თქმა უნდა საჭიროა მონაცემები რეალური და არა მოსახლეობის ქაღალდური შემადგენლობის შესახებ.

ამიტომაც ასზე მეტი წლის წინათ სტატისტიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უფრო საიმედოა, ცნობების უშუალოდ მოსახლეობისათვის კითხვებით მიმართვის გზის მიღება. ამასთან, რა თქმა უნდა, საჭიროა ნდობის მოპოვება რისთვისაც აუცილებელია ავუხსნათ მათ აღწერის მიზნები, მისი სპეციფიკური წესები და მივცეთ შეგროვილი ცნობების სრული ანონიმურობის გარანტია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება ვიღაცას საძრახისად მოეჩვენონ. მთელ მსოფლიოში მოსახლეობის აღწერების ჩატარების ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მსგავსი პრინციპის დაცვისას შეიძლება სრულიად საიმედო ინფორმაციის მიღება (ტყუილის რაღაც პროცენტი ალბათ მაინც არის, ზოგჯერ ის ვლინდება და კორექტირდება აღწერის შედეგების შემდგომი ანალიზის ეტაპზე, მაგრამ თუ ეს პროცენტი გარკვეულ ზღვარს არ აღემატება, მაშინ აღწერის შედეგები მათზე მუშაობისათვის, საკმაოდ მისაღებად რჩება.

7. აღწერისას მოსახლეობისაგან მიღებული **ცნობების ანონიმურობა**, ე.ი. აღწერისას ხალხის გამოკითხვის დროს მიღებული **ნებისმიერი** ინფორმაციის საიდუმლოების გარანტია. ყოველ სააღწერო ფურცელზე არის სპეციალური შეტყობინება (სამწუხაროდ ძალიან წვრილი შრიფტით აწყობილი)

„სააღწერო ფურცლების ჩანაწერების გამოყენება გათვალისწინებულია დადგენილი პროგრამის მიხედვით. მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობისა და საბინაო პირობების მხოლოდ ჯამური მონაცემების მიღებისათვის. აღწერის მუშაკებს ეკრძალებათ ვინც არ უნდა იყოს მათთვის პასუხების შინაარსის შეტყობინება“. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად ა.შ.შ-ში, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის სასჯელი სააღწერო ცნობების გახმაურებისათვის (ისე როგორც აღწერის კითხვებზე პასუხის გაუცემლობაზე უარის თქმისათვის). ჩვენს ქვეყანაში არასდროს ამის მსგავსი რამ არ ყოფილა გათვალისწინებული. მართალია, ჯერ სააღწერო ინფორმაციის გამჟღავნების არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი ვინც არ უნდა იყოს იმისათვის, თუნდაც ყველაზე გავლენიანი სახელისუფლო ორგანოებისათვისაც კი. მაგრამ მაინც ზედმეტი არ იქნებოდა შექმნილიყო სააღწერო ინფორმაციის ანონიმურობის შენარჩუნების სამართლებრივი გარანტიები.

8. **თვითგამორკვევის პრინციპი**, ე.ი. სააღრიცხვო ფურცლებში გამოსაკითხთა (რესპოდენტთა) პასუხების მათი სიტყვებისაგან ჩაწერა, შეტყობინებული ცნობების უტყუარობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტების მოთხოვნის გარეშე (100 და მეტი წლის ხალხის შესახებ ცნობების გარდა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია საჭირო დოკუმენტური დასაბუთება). ამ პრინციპის დაცვა განპირობებულია, ჯერ ერთი, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის „ობიექტური“ (დოკუმენტირებული) ნიშნებით (მაგალითად, ამ ხერხით მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, სალაპარაკო ენის და ა.შ. დაფიქსირება) მოსახლეობის ამ თუ იმ კატეგორიისათვის მიკუთვნების სირთულეებით ან შეუძლებლობით. მეორეს მხრივ, ამ პრინციპის გამოყენება განპირობებულია მოსახლეობის აღწერებისადმი ნდობის ამაღლებისაკენ სტატისტიკოსების მისწრაფებით.

9. **აღწერის ერთმომენტურობა**, ე.ი. აღწერისას თითოეული ადამიანის შესახებ შეგროვილი ყველა ცნობების ერთი ზუსტი (მოსახლეობის აღწერის კრიტიკულ მომენტად ანუ მოსახლეობის თვლის მომენტად წოდებული) დროისადმი შეფარდება. მოსახლეობა განუწყვეტილ იცვლება. მხოლოდ **ერთ საათში** რუსეთში იბადება 156 ადამიანი, კვდება 252, ქორწინდება 123 წყვილი, განქორწინდება 76 წყვილი (1995 წლის მონაცემების მიხედვით), მოსახლეობის სტრუქტურაში ხდება უამრავი სხვა ცვლილებაც.

მხოლოდ ერთ საათში საქართველოში იბადება – 4,65 ადამიანი; კვდება 4,61, ქორწინდება – 1,5 წყვილი; განქორწინდება – 0,18 წყვილი (1999 წლის მონაცემების მიხედვით).

ამრიგად, მოსახლეობა სადამოს სრულებით აღარ არის ისეთი როგორც დილით იყო. მაგრამ, ჩვეულებრივ აღწერა ერთ დღეში არ ტარდება, ამისათვის ბევრი აღმწერი იქნებოდა საჭირო. ამიტომ აღწერა 7-10 დღის განმავლობაში ტარდება, მაგრამ ყველა ცნობები მცხოვრებლებზე გროვდება დროის ერთი და იგივე ზუსტი მომენტის (ჩვეულებრივ, აღწერის პირველი დღის 0 საათისათვის) მდგომარეობის მიხედვით. ამ მომენტს ეწოდება **მოსახლეობის აღრიცხვის მომენტი**, ანუ მოსახლეობის აღწერის **კრიტიკული მომენტი**. აღწერის კრიტიკული მომენტის დადგენა საშუალებას იძლევა თითქოსდა მოსახლეობის შემადგენლობის მომენტალური სურათის მისაღებად, მოსახლეობის განსხვავებული სტრუქტურების შესახებ ყველა მონაცემის ერთ საერთო რიცხოვნობაში თავმოსაყრელად. კრიტიკული მომენტის დადგენა ასევე გვეხმარება ხალხის გამოტოვებისა და ორმაგი აღრიცხვის შესაძლებლობის შემცირებაში. კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებულები აღწერის მიერ არ აღრიცხება (თუნდაც ისინი დაიბადონ აღწერის დაწყების დღის პირველსავე წუთებში). პირიქით, კრიტიკული მომენტის შემდეგ გარდაცვლილი ხალხი სააღრიცხვო ფურცლებში ჩაიწერებიან სრული პროგრამით, რადგანაც აღწერის კრიტიკული მომენტისათვის ისინი ცოცხლები იყვნენ.

10. **აღწერის ჩატარების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა.** მოსახლეობის აღწერა – რთული, შრომატევადი და ძვირად ღირებული ოპერაციაა, რომელიც შემჭიდროებულ ვადებში ტარდება და რომლის ჩაგდებაც მისი საგანგებო მნიშვნელობის გამო არ შეიძლება. მაგალითად, ა.შ.შ-ს 1990 წელს მოსახლეობის აღწერა 2,6 მილიარდი დაუჯდათ. ჩვენთან აღწერა უფრო იაფი ღირს, მაგრამ არც ისე ცოტა. ამიტომ მოსახლეობის აღწერის ჩატარება მოითხოვს მრავალრიცხოვანი სააღწერო პერსონალის დიდ გარკვეულობასა და შეთანხმებულობას. (კერძოდ, 1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის ჩატარებაში ერთ მილიონ ადამიანზე მეტი ღებულობდა მონაწილეობას). მოსახლეობის აღწერების ჩატარებისათვის ყველა ქვეყანაში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში ჩვეულებრივ იქმნება სპეციალური ქვეგანყოფილებები. მის ფუნქციებში შედის მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიური და ტექნიკური მომზადება, მისი უშუალო ჩატარების ორგანიზება, შედეგების დამუშავება და მათი პუბლიკაცია. სამუშაოების მოცულობა ისე ვრცელია, რომ ამ ქვეგანყოფილებას მუშაობა განუწყვეტლივ უწევს (რა თქმა უნდა აღწერის

ვადების მოახლოებისას სამუშაოების დაძაბულობა საგრძნობლად მატულობს). ჩვენს ქვეყანაში ასეთ ქვეგანყოფილებას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის აღწერებისა და გამოკვლევების სამმართველო

საქართველოში ასეთ ქვეგანყოფილებას წარმოადგენს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერების სამმართველო.

2.1.3. მსოფლიოში მოსახლეობის აღწერების მოკლე ისტორია

მოსახლეობის აღრიცხვა უძველესი დროიდანვე არსებობდა, როგორც სამეურნეო სტატისტიკის ნაწილი და მასთან ერთად უმჯობესდებოდა. მიწისა და მეურნეობათა, ხელობათა და ვაჭრობის, აგრეთვე მასთან ერთად მოსახლეობის სტატისტიკური აღრიცხვის სხვადასხვა ფორმები არსებობდა ძველ ჩინეთში, იაპონიაში, ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, იუდეაში, ძველი საბერძნეთის ქალაქებში და რომში. იქ მოსახლეობის აღრიცხვები ფინანსური და სამხედრო მიზნებისათვის ტარდებოდა, რათა სცოდნოდათ გადასახადის გადამხდელთა და მეომართა შესაძლო რიცხვი. ამ მიზნების შესაბამისად აღწერები ყველაზე ხშირად არ იყო საყოველთაო და ჩვეულებრივ მოიცავდა საგამოსადებო ვაჟ მოსახლეობას. ზოგჯერ ცდილობდნენ მოსახლეობის შემადგენლობის უფრო სრულ აღრიცხვას. ასე მაგალითად, ძველ რომში მეფე სერვი ტულის (I საუკ. ჩვ.წ.ა-მდე) დროს ტაძრები თითოეულ მცხოვრებს, სქესისა და ასაკისაგან დამოკიდებულებით, განსხვავებული ღირსების მონეტებით ახდევინებდნენ შემოწირულობას. მონეტების დათვლა იძლეოდა მოსახლეობის საერთო რიცხვის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განაწილების შესაძლებლობას. უფრო გვიანდელ პერიოდში (ჩვ.წ.ა-მდე 510-დან – 30წ-მდე) აღწერები (ცენზებად წოდებული) უკვე რეგულარულად ტარდებოდა. ოჯახის უფროსები ფიცის ქვეშ აცნობებდნენ სპეციალურ თანამდებობის პირებს – ცენზორებს – ცნობებს თავისი თავის, ოჯახისა და ქონების შესახებ. მოგვიანებით ცენზები ტარდებოდა საადგილმამულო აღწერილობის, ანუ კადასტრების სახით, რომელშიც მოსახლეობაც აღირიცხებოდა. ცენზების შედეგები შეკჭონდათ აღწერის დავთრებში, რომლებიც მუდმივად იწარმოებოდა. მათ საფუძველზე

განსაზღვრებოდა გამოსაღებთა ზომები, ხოლო თავად ჩანაწერები წიგნებში, ან მათგან ამონარიდები, წარმოადგენდნენ მიწებისა და ქონების მფლობელობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

შუა საუკუნეებში სამეურნეო აღწერებმა და აღწერის დავთრებმა საყოველთაო გაერცელება ჰპოვეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ხოლო XV საუკუნიდან რუსეთშიც). მიწებისა და ქონების აღწერასთან ერთად მათში იყო ცნობები მოსახლეობის შესახებაც. ეს ცნობები მწირი იყო, მათში როგორც წესი, მითითებული იყო მხოლოდ მეურნეობათა (ანუ ოჯახების) რიცხვი. მოსახლეობის რიცხოვნობის და მით უმეტეს მისი სტრუქტურის დადგენა მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად, ირიბი გაანგარიშებების გზით, მეურნეობის (ოჯახის) საშუალო ზომის სხვადასხვა წყაროებით განსაზღვრისა და შემდეგ ამ საშუალო ზომის მეურნეობათა (ოჯახთა) რიცხვზე გამრავლებით შეიძლებოდა.

მხოლოდ XVIII ს. შუახანებისათვის კაპიტალიზმისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა მოთხოვნა მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის შესახებ ინფორმაციაზე. მოსახლეობის აღრიცხვა თანდათანობით საყოველთაო ხდება და დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს, იგი არ უკავშირდება უშუალოდ რაიმე კერძო ადმინისტრაციულ მიზნებს.

1749 წლიდან იწყებენ მოსახლეობის აღრიცხვის რეგულარულ ჩატარებას შვეციაში, სადაც ამ წელს შექმნილი სპეციალური „სატაბელო“ კომისია პერიოდულად ამოწმებდა და ასწორებდა მოსახლეობის მიმდინარე სივსს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო მოსახლეობის აღწერები მათი თანამედროვე გაგებით. მოსახლეობის საყოველთაო რეგულარული აღწერების ისტორია იწყება 1790 წელს, ა.შ.შ. – ში და 1801 წელს ერთდროულად ინგლისში, შოტლანდიაში, საფრანგეთში, დანიასა და ნორვეგიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებით. მაგრამ ისინი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ არასრულყოფილებად რჩებოდნენ: პროგრამაში მხოლოდ 2-4 კითხვას ითვლიდნენ, ტარდებოდნენ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში და არ იყვნენ დაკავშირებულნი დროის ზუსტ მომენტთან, არ გააჩნდათ მკაფიოდ განსაზღვრული წესები.

მხოლოდ XIX საუკუნის შუახანებისათვის იქმნება წარმოდგენა მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ჩატარების მეცნიერული საფუძვლების შესახებ. ამას დიდად შეუწყო ხელი ევროპის ბევრ ქვეყნებში

ადმინისტრაციული საგანგამოყოფილი, სპეციალური სტატისტიკური ორგანოების შექმნამ და სტატისტიკური მეცნიერების განვითარებამ.

ნამდვილად მეცნიერული პირველი აღწერა იყო 1846 წელს ბელგიაში უდიდესი მეცნიერ სტატისტიკოსის ადოლფ კეტლეს (1796-1874) ხელმძღვანელობით ჩატარებული მოსახლეობის აღწერა. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ერთდღიანი იყო და აღრიცხავდა სახეზე მყოფ მოსახლეობას, ე.ი. ფაქტიურად იმ ადგილზე მცხოვრებს, სადაც მას მოუსწრო აღწერამ და არა იურიდიულს, ე.ი. საბუთების მიხედვით რიცხულთ, მაშინ როცა წინა აღწერებით მხოლოდ ასეთი კატეგორია აღრიცხებოდა. სიახლე იყო აგრეთვე ამ აღწერების ჩატარება სპეციალურად მომზადებული რეგისტრატორების მიერ და არა ადმინისტრაციული ჩინოვნიკების მიერ, როგორც ეს ადრე იყო.

1846 წლის პირველი ბელგიური აღწერის გამოცდილება, ისევე როგორც მისი სტატისტიკური ორგანოების სტრუქტურა, სხვა ევროპული სახელმწიფოების მიერ იქნა გამოყენებული. აღწერების მეთოდოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საერთაშორისო კონგრესებს¹, რომელთაგან ერთ-ერთიც, შესანიშნავი რუსი სტატისტიკოსის, გეოგრაფისა და მოგზაურის პეტრე პეტრეს-ძე სიმონოვი-ტიანშანსკის (1827-1914) ინიციატივითა და თავმჯდომარეობით 1872 წელს ჩატარდა, პეტერბურგში. ამ კონგრესებზე გამომუშავდა მოსახლეობის აღწერების ჩატარების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ძირითადად ახლაც გამოიყენებიან. კერძოდ, პეტერბურგის კონგრესმა ყველა ქვეყანას მისცა რეკომენდაცია, რომ საყოველთაო აღწერები ჩატარონ რეგულარულად, არა უგვიანეს 10 წელიწადში ერთხელ, 0-ზე დაბლოცებულ, ან მათთან მიახლოებულ წლებში, აღრიცხონ ფაქტიური და არა იურიდიული (მიწერილი) მოსახლეობა და დაუკავშირონ აღწერისას შეგროვილი ყველა ცნობები დროის ერთ ზუსტად განსაზღვრულ მომენტს (საათს). ეს რეკომენდაციები ყველა ქვეყანამ გაიზიარა და მეცნიერულად ორგანიზებული მოსახლეობის აღწერების რიცხვმა სწრაფად დაიწყო ზრდა. 1870-

1. 1853-დან 1876 წლის ჩათვლით პერიოდში 9 საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესი შედგა. 1) ბრიუსელში (1853), 2) პარიზში (1855), 3) ვენაში (1857), 4) ლონდონში (1860), 5) ბერლინში (1863), 6) ფლორენციაში (1867), 7) ჰააგაში (1869), 8) პეტერბურგში (1872), 9) ბუდაპეშტში (1876). ამის შემდეგ კონგრესები აღარ ტარდებოდა, მაგრამ 1885 წელს დაარსდა საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ თავის სესიაზე სხვადასხვა

ავღანეთში, სადაც მოსახლეობის აღწერა იმ პერიოდში არ ჩატარებულა აშკარად სამხედრო მოქმედებების გამო. ნიკარაგუაში მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა ჩატარდა 1971 წელს. ამის შემდეგ აღწერები აღარ ყოფილა, ცხადია ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობის გამო. იგივე იყო კამბოჯაშიც (კამპუჩიაშიც), სადაც მოსახლეობის აღწერები უკანასკნელად 1962 წელს ჩატარდა და ა.შ.

2.14. მოსახლეობის აღწერები რუსეთში, საბჭოთა კავშირში და კვლავ რუსეთში

რუსეთში მოსახლეობის აღწერების ისტორია უძველესი დროიდან იწყება. თუმცა ამ ისტორიის ყველაზე ადრეული პერიოდის შესახებ, სამწუხაროდ ძალიან ცოტა წერილობითი ცნობები გაგვაჩნია. IX-XI საუკუნის მატრიანეებში არის მხოლოდ ხსენება, თავადებისათვის ხარკის შეკრების შესახებ. სავარაუდოა, რომ ხარკის შეკრებისას აღირიცხებოდა დაბეგრული მოსახლეობის რიცხოვნობაც, მაგრამ ამ აღრიცხვის დეტალები უცნობია. უფრო საიმედოა მატრიანის ცნობები XIII საუკუნეში თათარ-მონღოლთა შემოსევების პერიოდში მოსახლეობის აღრიცხვის შესახებ. ხარკის შეკროვების მიზნით თათრის ხანებმა ჩაატარეს მოსახლეობის აღწერები 1246 წელს კიევის რუსეთში, 1255-1256 წლებში სუზდალის მიწებზე. 1256-1259 წლებში ნოვეგოროდის მიწებზე. მატრიანეები იტყობინებიან, რომ «

», ე.ი. აღირიცხებოდა მთელი მოსახლეობა, ხარკისაგან განთავისუფლებული სამღვდლოების გარდა. აღწერებს ატარებდნენ სპეციალური აღმწერები („ „), რომლებსაც უნდა „ველოთ ქუჩაში და აღერიცხათ გლეხთა სახლები“.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მაშინ აღწერები უფრო სამეურნეო იყო, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ე.ი. დაკვირვების ერთეული მათში იყო მეურნეობა („სახლი“). მოსახლეობის აღწერას კი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ამ აღწერებით მცხოვრებთა მთელი რიცხვის გარკვევა ვერ მოხერხდა.

XIV-XVI საუკუნეში რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის კვალობაზე ვითარდებოდა სააღრიცხვო საქმიანობაც. ერთეული გახდა მიწის ნაკვეთები, ამიტომ აღწერებიც საადგილმამულო იყო. მაგრამ მათში მიწის ადგილ-მამულის აღწერასთან ერთად ნაჩვენები იყო კომლებისა და ადამიანების რიცხვიც. აღწერის შედეგები ფიქსირდებოდა სააღწერო დავთრებში, რომლებიც გამუდმებით იწარმოებოდა და წარმოადგენენ მიწებისა და ყმების მფლობელობაზე უფლების ქონის იურიდიულ დოკუმენტს.

XVII საუკუნეში სახელმწიფოს და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად დასაბეგრი ერთეული ხდება მეურნეობა – „კომლი“ და აღწერებიც გადაიქცევა საკომლო აღწერებად. აღწერების რიცხვი და მასშტაბები იმდენად გაფართოვდა, რომ მოსკოვში შეიქმნა „სააღრიცხვო უწყება“. განსაკუთრებით დიდი იყო 1646 და 1678 წლის საკომლო აღწერები, რომლებმაც თითქმის მთელი სახელმწიფოს ტერიტორია მოიცვეს¹. დაბეგვრის მიზნების შესაბამისად ისინი მოიცავდნენ მხოლოდ დასაბეგრ, ძირითადად ვაჟთა სქესის მოსახლეობას². მაგრამ ზოგიერთ მსგავს აღწერებში აღირიცხებოდნენ ქალებიც, და დაუბეგრავი მოსახლეობის ნაწილიც, ისინი იძლეოდნენ მოსახლეობის განაწილებას ასაკობრივი ჯგუფებისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, ზოგჯერ მიეთითებოდა საქმიანობის სახე, წოდება და პროფესიაც კი. როგორც სტატისტიკის ავტორიტეტული რუსი ისტორიკოსი ავდეი ილიას ძე გოზულოვი (1892-1981) თვლიდა, „ორგანიზების პროგრამითა და დონით XVII საუკუნის საკომლო აღწერები თავისი დროის მეურნეობის შესწავლის გამორჩეულ ფორმას წარმოადგენდნენ, რომლებსაც დასავლეთში არ გააჩნდათ თავისი თანასწორი აღრიცხვის სისტემა“³.

უკანასკნელი საკომლო აღწერა 1710 წელს პეტრე I-ის დროს ჩატარდა. მასში პირველად იყო მცდელობა აღერიცხათ არა მარტო დასაბეგრი მოსახლეობა, არამედ უკლებლივ მთელი მოსახლეობა, პრივილეგიებული ფენების ჩათვლით. აღწერა რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა და წარუმატებლად დასრულდა: მან ვერ შესძლო მთელი მოსახლეობის აღრიცხვა. ამ აღწერის მიხედვით კომლების რიცხვი თითქმის 20%-ით ნაკლები აღმოჩნდა 1678 წელთან შედარებით, მაშინ როცა მოსალოდნელი იყო მათი გადიდება. პეტრე I-მა არ მიიღო 1710 წლის აღწერის შედეგები და ბრძანა ჩატარებინათ ახალი აღწერა 1716-1717 წლებში. მაგრამ ამ ახალმა აღწერამ უფრო ცუდი შედეგები აჩვენა: 1678 წელთან შედარებით კომლების რიცხვი ერთი მესამედით შემცირდა. ომისა და ცხოვრების გამანადგურებელი პირობების გამო. ასეთი შედეგები ნაწილობრივ ასახავდნენ რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის ნამდვილ შემცირებას, მაგრამ მეტწილად ეს იყო არასწორი მონაცემების შედეგი, რამდენიმე დასაბეგრი კომლის ერთად გაერთიანებით ბევრი მემამულე ცდილობდა კომლების რიცხვის შემცირებას. ამიტომ საკომლო დაბეგვრა შეიცვალა სულადობრივი დაბეგვრით და შესაბამისად

1. რუსი ისტორიკოსის ი.ე. ვოდარსკის გაანგარიშებით, რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1678 წელს სახელმწიფოს მაშინდელ საზღვრებში შეადგენდა 10,5

მლნ. კაცს. (. . . 300 (XVI- XX) ., 1973. C. 27).

2. ორივე სქესის დასაბეგრი მოსახლეობა ერთად მოღიანად მოსახლეობის დაახლოებით 90%-ს შეადგენს (ვოდარსკი ი.ე. ციტირებული თხზ. გვ. 25-26)

3. . . . , ., 1957. C.9.

გარდაიქმნა აღწერებიც. 1718 წლის 26 თებერვალს პეტრე I-მა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც ევალებოდათ „აელოთ ყველასგან ცნობები (ერთი წლის ვადაში) რათა სიმართლით მიეტანათ თუ ვის, რომელ სოფელში რამდენი სული ვაჟი ჰყავს: მოსახლეობის სიები („ზღაპრები“) უნდა შეკრებილიყო 1719 წელს, ხოლო შემდეგ სამი წლის განმავლობაში განეხორციელებინათ შემოწმება („რევიზიები“). აღწერიდან თავის არიდების ან „სულების დამალვისათვის“ ბრძანებულება ითვალისწინებდა მკაცრ სასჯელს, სიკვდილით დასჯასაც კი.

ამ ბრძანებულებით სათავე დაედო სულადობრივი აღწერების („რევიზიების“) მთელ სერიას, რომლებიც სხვადასხვა ცვლილებებით ტარდებოდა რუსეთში მომდევნო 140 წლის განმავლობაში 1719-დან 1853 წლის ჩათვლით პერიოდში, ბატონყმობის გაუქმებადმდე. სულ იყო 10 რევიზია, რომელთაგან თითოეული რამდენიმე წლის (1-დან 15 წლამდე იხ. ცხრ. 2.1) განმავლობაში გრძელდებოდა.

ცხრილი 2.1.

მოსახლეობის აღრიცხვები (რევიზიები) რუსეთში XVIII–XIX საუკუნის პირველ ნახევარში¹

რევიზიების დასახელება	ბრძანებულების თარიღი	რევიზიის ჩატარების წლები	წლების რიცხვი
პირველი	26/XI 1718	1719-1724	6
მეორე	17/X 1742	1744-1747	4
მესამე	28/XI 1761	1762-1767	6
მეოთხე	16/XI 1781	1782-1787	6
მეხუთე	23/VI 1794	1794-1808	15
მექვსე	18/V 1811	1811-1812	2
მეშვიდე	20/VI 1815	1815-1825	11
მერვე	16/VI 1833	1833-1835	3
მეცხრე	11/I 1850	1850	1
მეათე	26/VIII 1856	1857-1859	3

1., 1957. C. 14.

სულადობრივი აღწერები ჯერ კიდევ შორს იყვნენ მოსახლეობის თანამედროვე აღწერებისაგან, როგორც მოსახლეობის მოცვის, ასევე ჩატარების მეთოდების მიხედვითაც. მათი ობიექტი ძირითადად მხოლოდ დასაბეგრი მოსახლეობა იყო, ისინი აღრიცხავდნენ მიწერილ (იურიდიულ) და არა ფაქტიურ მოსახლეობას, დიდხანს გრძელდებოდა, შეგროვილი ცნობები არ უკავშირდებოდა დროის ერთი და იგივე მომენტს. ამიტომ რევიზიის მონაცემებით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის განსაზღვრაც კი მხოლოდ მიახლოებითი დაანგარიშებით შეიძლება. რადგანაც რევიზიები დაბეგვრასთან იყო დაკავშირებული, მოსახლეობა მათდამი მტრულად იყო განწყობილი, ცდილობდა თავი აერიდებინა აღწერისათვის. მემამულეები და „ზღაპრების“ შედგენაზე პასუხისმგებელი სხვა პირები ამცირებდნენ დასაბეგრი სულების რიცხვს. რევიზიის ჩამტარებელი ჩინოვნიკებიც სჩადიოდნენ თანამდებობის ბოროტად გამოყენებას.

და მაინც არსებითი დეფექტების მიუხედავად რუსეთის რევიზიები მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მოსახლეობის აღრიცხვის განვითარებაში. ისინი იყო სახელობითი, ყველა რევიზიისას აღრიცხებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ნიშანი როგორცაა ასაკი (თანაც შესრულებულ წელთა რიცხვის სახით და არა ასაკობრივი ჯგუფისადმი მიკუთვნებით). უმეტესი რევიზიები გარდა პირველის, მეორის და მეექვსისა აღრიცხავდნენ ქალებსაც (ასევე ასაკის ჩვენებით) არა ბეგარის გამოანგარიშებისათვის, არამედ „მხოლოდ და მხოლოდ საჭიროებისათვის“. ზოგიერთმა რევიზიებმა მოგვცეს განაწილება ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნებისა და წოდების მიხედვით.

ბოლო რევიზიები უკვე ქვეყნის მთელი მოსახლეობის 80%-ს მოიცავდა, ხოლო იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ტარდებოდა – 90%-ზე მეტს¹. ეს კი მართალია დაანგარიშებით, მაგრამ მაინც პირდაპირი აღრიცხვის მონაცემებზე დაფუძნებული ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის, მისი განლაგებისა და შემადგენლობის განსაზღვრის საშუალებას იძლეოდა.

რევიზიებმა მდიდარი მასალა მოგვცეს რუსეთის მოსახლეობის შესასწავლად. მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი (როგორც ისტორიულ მასალას) მეცნიერული ფასეულობა.

1. რევიზიები არ ტარდებოდა ამიერკავკასიის, პოლონეთის, ფინეთისა და რიგი სხვა რეგიონების ტერიტორიებზე.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რევიზიებმა დაკარგეს თავიანთი, როგორც დასაბეგრი მოსახლეობის აღწერის მნიშვნელობა და მეტი აღარ ჩაუტარებიათ. მაგრამ ამასთანავე რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად იწყებოდა მთელი მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობაზე სრული და დაწვრილებითი მონაცემების მოთხოვილების შეგრძნება. ასეთი მონაცემები მხოლოდ მეცნიერულად ორგანიზებულ საყოველთაო აღწერას შეეძლო მოეცა.

მოსახლეობის აღწერები ძველ საქართველოში

დემოგრაფიულ-სტატისტიკური ტერმინები. მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის (დაკვირვების) ცნების აღსანიშნავად ძველ ქართულში იხმარებოდა ტერმინი „აღრაცხვანი“, „აღრიცხვა“:

იმავე ცნების – მოსახლეობის სტატისტიკური დაკვირვების გამოსახატავად იხმარებოდა აგრევე ტერმინი: „აღწერა“.

ქართული საისტორიო თხზულებები შემდეგ ამ ტერმინს –აღწერას – იყენებენ ამ ცნების გამოსახატავად და იგი შემდგომდროინდელ ლიტერატურაში, ისევე როგორც სტატისტიკურ პრაქტიკაში მტკიცედ მკვიდრდება.

1254 წ. აღწერა. მოსახლეობის და ქონების შესახებ სტატისტიკური ცნობების მოპოვება საქართველოში, არსებული საისტორიო წყაროების მიხედვით, მეცამეტე საუკუნიდან იწყება, როდესაც საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. ამ დროს, 1254 წელს, საქართველოს მკვიდრნი და მათი ქონება აღწერა ვეზირმა არღუნმა. სავარაუდებელია, რომ მოსახლეობის აღრიცხვა საქართველოში უფრო ადრეც წარმოებდა, მაგრამ საამისო საბუთები ჯერჯერობით დადგენილ-აღმოჩენილი არ არის.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. 1595 წელს ოსმალთა ხელისუფალთა მიერ შედგენილ იქნა „გურჯისტანის ვილაიეთის“ - აღწერილობა, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ სახელწოდებით არის ცნობილი და ნაწილობრივ დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ძველს წარმოადგენს. აღწერილობაში შესულია შემდეგი ქართული პროვინციები: სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტანა (მტკვრის ხეობა), ტაო (ჭოროხის ხეობა), ბორჯომის ხეობა (სოფ. ქვიშხეთამდე).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ შესული ცნობები საშუალებას იძლევა გაირკვეს: ა) მოსახლეობის საერთო რიცხვი დაკვირვებით მოცულ ტერიტორიაზე (ზოგი გამონაკლისით), ბ) მოსახლეობის განლაგება მხარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და გ) მოსახლეობის დანაწილება ზოგ დემოგრაფიულ ნიშანთა მიხედვით.

1656 წელს ელისე ამილახვარი ნებართვას იღებს როსტომ მეფისაგან თავის სადროშოს („სასარდაროისა“) აღწერისათვის.

1689 წელს ერეკლე პირველისაგან ბოძებული საბუთებიდან ჩანს, რომ თითოეული სადროშოს სარდალი ვალდებული იყო შვიდ წელიწადში ერთხელ აღეწერა თავისი სადროშოს ხალხი.

საბუთს, რომელშიც მოსახლეობის აღწერის შედეგად მოპოვებული ცნობები შეიტანებოდა, „დავთარი“ ეწოდებოდა.

ფისკალურ-პოლიტიკური მიზნები. მოსახლეობის ამდროინდელ აღწერებს რომ ძირითადად ფისკალური და სამხედრო მიზნები ჰქონდა დასახული, ეს ნათლად ჩანს 1721 წლის მოწინავე დროშის აღწერის დავთრის შესავალში, სადაც ნათქვამია:

„... აღწერეთ ამა დავთართა შინა, რომელთა ძალედეა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფო ხარჯთა და ბეგართა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედეის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევით და არა აღწერეთ წიგნსა ამასა შინა...“ (ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეფერამეტე საუკუნეში, თბილისი, 1907, გვ. 11).

მოსახლეობის აღწერის წესები. მოსახლეობის აღწერისათვის საქართველოში საგანგებო წესები ყოფილა დადგენილი. ეს წესები მეფის ვახტანგ მეექვსეს „დასტურდამალში“ საკმაოდ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი.

ქართლის აღწერისათვის ასეთი წესი ყოფილა შემოღებული: „როდესაც ქართლი აღწერილა ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს. ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მეღიქის საუღლარს გარდა, სომხითს, ტაშირს, ყაიყულის თრიალეთის და საბარათაშილოში, - ამაზედ საბარათაშილოს სარდარი წავა, ერთი მდივანი წავა, აღჰსწერს და დავთარს დაიჭერს; მეფის მდივანი წავიდოდეს.

„ზემო ქართლის ხეობას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და ტაშის კარის დავთარში ჩავარდების; და ამის აქეთაც საამილახვარომდი, ამილახვარის მამულსაც ზემო ქართლის სარდარი და ერთი მდივანი წავა; მდივანი აღწერს და დავთარს დაიჭერს; დედოფლის მდივანი ჰსწერდეს.

„საციციანოს მხარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, წავა, და მდივანი წარჰყენება. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი.

„მუხრანს და ორისავ ერისთავის მამულს, რომელიც კვლავ დავთარში ჩავარდნილა, იმაზე მუხრანის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს“ (დასტურდამალი მეფის ვახტანგ მეექვსესისა, პ. უმიკაშვილის რედ., ტფ., 1886, გვ. 13).

ამრიგად მოსახლეობის აღწერის მიზნით ქართლი ოთხ სააღწერო ოლქად იყო დაყოფილი იმის მსგავსად, როგორც სამეფო იყოფოდა ოთხ სადროშოდ ან სასარდლოდ.

აღწერის ორგანიზაცია. აღწერის ჩატარების ვალდებულება ეკისრებოდა მოცემული სადროშოს სარდარს და მდივანს. თვით აღწერას კი უშუალოდ მდივანი აწარმოებდა, რომელსაც „დავთარი“ ეჭირა სააღწერო ცნობების შესატანად.

აღწერის ჩატარების მტკიცედ დადგენილი და საყოველთაო დაცული ვადა არ არსებებულა. მოსახლეობის მეტ-ნაკლებობის მიხედვით აღწერა ზოგ სოფელში მოკლე ვადაში ჩატარდებოდა, ზოგში – მეტ დროს მოითხოვდა.

აღწერის ჩატარებით გამოწვეულ ხარჯს, სახელდობრ აღმწერი პერსონალის „ასამწერლოს“ და მისი კვების ხარჯს, - თვით მოსახლეობა ეწეოდა:

„რომელსაც სოფელში რომ ჩადგებოდნენ, იმ სოფელმა საკომლომ ორი შაური, და ბოგანომ ერთი შაური აღსამწერლო უნდა გამოიღონ; და ეს სარდარმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ. დახდომითაც ის სოფელი უნდა დახუდეს. და რომელსაც სოფელშიც არ ჩაუდგებიან და ისე აღსწერენ, იმ სოფლის საკომლომ აბასი და ბოგანომ ორი შაური უნდა გამოიღოს; ერთი ბოგანოსი და ერთი საკომლოსი იქნება ექუსი შაური, ამისაგან სამი შაური სარდარმა და მდივანმა უნდა გაიყონ, რომ ასამწერო არის; დარჩების სამი შაური, რომ ეს უფლისა არის...“ (იქვე).

სარდარსა და მდივანს, უეჭველია, თან ახლდნენ აღწერაში მონაწილე დამხმარე პირნი, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტოოდენ ეს ორი მოსახლე ამ რთული საქმის შესრულებას ვერ შესძლებდა. „დასტურლამალი“ იხსენიებს კიდევაც, რომ „სარდარს... ბევრი კაცი ახლდებისო“-ო და ამიტომ მას „ულუფისა ორი წილი მიაქუს“-ო. (იქვე).

ქალაქის მოსახლეობის აღწერა. ქალაქის მოსახლეობისა და მომთაბარე მოსახლეობის აღწერისათვის განსაკუთრებული წესები არსებულა.

ქალაქის მოსახლეობის აღწერა დადგენილი წესის თანახმად, „შვიდს წელიწადში ერთხელ მოხდების, კომლზე ორი შაური ასამწერლო არის. ვისაც ბატონი უბრძანებს და დააწერინებს, ეს ორი შაური იმისი არის, სხუა მოხელეს ამაში ხელი არა აქუს“ (იქვე, გვ. 86).

არაბინადარი, მომთაბარე მოსახლეობა, როგორც უფრო მოძრავი მოსახლეობა, სამ წელიწადში ერთხელ აიწერების“ (იქვე, გვ. 75).

ამრიგად, მოსახლეობის აღწერების პერიოდული გამეორება, რაც აღწერის სწორი ორგანიზაციის ერთ ერთი ძირითადი პრინციპია, ძველ საქართველოში საყოველთაო წესად ყოფილა შემოდებული. დემოგრაფიულ-სტატისტიკური ისტორიული ძეგლებიდან დღემდე მხოლოდ რამდენიმეა მოღწეული, ისიც – ზოგი მხოლოდ ნაწილობრივ. ამათგან უპირველესად აღსანიშნავია XVI საუკუნის დამლევის „გურჯისტანის ვილიეთის დიდი დავთარი“ (გამოც. ს. ჯიქიას მიერ. წ. I, 1947; წ. II, თარგმანი, 1941), რომელიც მოიცავს იმ დროისათვის ოსმალო დამპყრობელთა მიერ მიტაცებული ქვეყნის შემდეგ ნაწილებს: სამცხეს, ჯავახეთს, არტანს, პალაკაციოს, კოლას და მდ. ჭოროხის აუზში მდებარე ნაწილს ტბოს პროვინციისა. დავთარი საშუალებას იძლევა გაირკვეს: მოსახლეობის საერთო რიცხვი დაკვირვებით მოცულ ტერიტორიაზე (ზოგი გამონაკლისის გარდა), მოსახლეობის განლაგება პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და მოსახლეობის დანაწილება ზოგ დემოგრაფიულ ნიშანთა (ეროვნება, მოსაქმეობა) მიხედვით.

შემდეგ აღსანიშნავია ზემო-ქართლის სადროშოს XVII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერის დავთარი (ოთხ ნაწივეტად), რომელიც მოიცავს მხოლოდ მამრობითი სქესის მოსახლეობას, დალაგებულს სოფლობრივად და სოციალური ჯგუფების მიხედვით. ეს ძეგლი ითვლება საქართველოს მოსახლეობის აღწერის უძველეს დავთრად, რის გამოც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამავე სადროშოს იმავე სოფლების აღწერის მონაცემებს შეიცავს XVIII საუკუნის დამლევის ზემო ქართლის დავთარი, შინაარსობრივად განსხვავებული XVII საუკუნის მეორე ნახევრის ზემოსხენებული დავთრისაგან. ეს დავთარი შეიცავს გამარტივებულ ცნობებს მოსახლეობის შესახებ და უნდა წარმოადგენდეს 1715 წ. ახლო დროის დავთრის ნაწილს.

მობეგრე მოსახლეობისა და დაწესებული ბეგარის აღრიცხვის მიზნით არის შედგენილი სამროველოს 1715 წ. დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ: არხეოლოგიური მოგზაურობანი I,

1907), შესრულებული მროველი ეპისკოპოსის ბრძანებით, რომელშიც შესულია მთელი რუისის მოსახლეობა (84) სოფელი, დანაწილებული თარხან და მობეგრე მოსახლეობად. ხოლო ეს უკანასკნელი – ბოგანო მოსახლეობად და სხვა მოსახლეობად (მემკვიდრე მეკომურად).

კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთრის ექვსი ნაწივეტი მიეკუთვნება XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს და წარმოადგენს ამ კუთხის ერთადერთ დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ძეგლს. ამ დავთრის ყველა ექვსი ნაწივეტში აღნიშნულია: მეკომურის სახელი, თავების რიცხვი, თოფის რაოდენობა, მეკომურთა თანამდებობა, წოდებრიობა, ოჯახური მდგომარეობა, უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა და მოსაქმეობა.

1721 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით ჩატარებულ ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს მოსახლეობის აღწერის დავთართან დაცულია მეწინავე სადროშოს აღწერის დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით: „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, 1907). დავთარში თითოეული კომლისათვის აღნიშნულია: თავების რიცხვი, წოდებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მოსაქმეობა.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან მხოლოდ ნაწივეტებია დაცული. ასეთებია: ლიხურას ხეობის მოსახლეობის აღწერის უთარილო დავთრის ნაწივეტი, არაგვის ხეობის 1774 წ. აღწერის დავთარი, 1781 წ. ქსნის საერისთავოს აღწერის დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ: ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, „სტალინის სახ. თბილ. სახ. უნივ. შრომები“, ტ. 45, 1951), ქ. თბილისის მოსახლეობის აღწერის დავთრის ნაწივეტი და სხვა.

გარდა მოსახლეობის აღწერის დავთრებისა, დემოგრაფიულ სტატისტიკური ცნობების შემცველია სტატისტიკურ-მონაცემთა ამონაკრებები, შედგენილი ადმინისტრაციული მიზნისათვის. ასეთ ამონაკრებთ მიეკუთვნება: „დასტურდამალის“ ცნობები მეთვრამეტე საუკუნის დამდეგის ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს მოსახლეობის შესახებ, ქართლ-კახეთის სამეფოს მთავრობის 1770 წ. გაკარგულებით შედგენილი საბუთი სამეფოს მოსახლეობის შესახებ, სადაც მოცემულია ცნობები მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ (სხვათა შორის ცნობები მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებაც), 1781-1782 წ. აღწერის დავთრის მიხედვით შედგენილი ზოგად სტატისტიკური ცნობა თბილისის მოსახლეობის შესახებ და სხვა.

ძველი საქართველოს დემოგრაფიული ძეგლების უმრავლესობა თუმცა დაღუპულია, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მაინც საკმაო მასალები მოიპოვება. დასავლეთ საქართველოს ან მისი რომელიმე კუთხის მოსახლეობის შესახებ კი დღემდე არცერთი დავთარი ცნობილი და გამოქვეყნებული არ არის.

მოსახლეობის აღწერის ზემოაღნიშნული დავთრების დამუშავება-გამოყენებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავთრების ჩანაწერთა სწორ გაგებას, რის საფუძველზეც შეიძლება ყველა ცალკე შემთხვევაში გადაიჭრას მათი სანდოობის საკითხი. ამ მიზნით თითოეული ძველი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების თვალსაზრისით უნდა იქნეს შესწავლილ განხილული, რომელშიც მოპოვებული იქნა მასში შეტანილი ცნობები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველ ხანებში მოსახლეობის აღწერა წინანდებურად გრძელდებოდა და მას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ქართულად აწარმოებდნენ და

შემდეგ აქედან რუსულად თარგმნიდნენ. ასეთია, მაგ., კახეთის 1801-1802 წლების აღწერა („საქართველოს არქივი“, II, 1927), შემდგომდროინდელი კამერალური აღწერილობანი და სხვა.

მეცხრამეტე საუკუნის (განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევრის) საქართველოს დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის თუმცა არა სრული, მაგრამ საკმაოდ ვრცელ მონაცემებს იძლევიან კამერალური აღწერილობანი, რომელსაც 1803 წლიდან რეგულარულად აწარმოებდა მეფის ადგილობრივი ხელისუფლება.

კამერალური აღწერილობა ეხებოდა მხოლოდ დასაბეგრ მოსახლეობას და მისი შედეგები ძირითადად დანიშნული იყო ფისკალური მიზნებისათვის: ამ მონაცემთა საფუძველზე საფინანსო უწყება (სახაზინო პალატები და მისი დაწესებულებანი) გადასახადთა გაწერას და აკრებას აწარმოებდა.

კამერალური აღწერილობა ეხებოდა მთელ დასაბეგრ მოსახლეობას კომლობრივად: მამრობითი სქესის მოსახლეობა აღირიცხებოდა ჩამონათვლით და ასაკის ჩვენებით, ხოლო დედრობითი სქესის მოსახლეობა მხოლოდ საერთო რიცხვის ჩვენებით.

როგორც სოფლად, ისე ქალაქად კამერალურ აღწერილობას ადმინისტრაციული ორგანოები აწარმოებდნენ. მიღებული შედეგები საგანგებო შემოწმებას ექვემდებარებოდა გამოტოვებულ და აღურიცხველ კომლთა დასადგენად და აღწერილობაში დამატებით შესატანად.

კამერალური აღწერილობის შედეგები, როგორც საერთოდ ყოველი ფისკალურ-ადმინისტრაციული მიზნებით ჩატარებული დაკვირვების მონაცემები, მრავალგვარი ნაკლის შემცველი იყო და იგი არ იყო არც სრული და არც სწორი. ამით აიხსნებოდა, რომ აღწერილობის მონაცემები სისტემატურ შემოწმებას ექვემდებარებოდნენ და თვით აღწერილობაც საკმაოდ ხშირად მეორდებოდა, თუმცა მიღებული შედეგები არსებითად არ უმჯობესდებოდა. ამიტომ ამ კამერალურ აღწერილობათა შედეგებით სარგებლობა სათანადო მონაცემთა კრიტიკული შესწავლა-დამუშავების გზით არის მხოლოდ შესაძლებელი.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მნიშვნელოვანია ის სტატისტიკური მასალები, რაც რეგულარულად ქვეყნდებოდა კავკასიის მეფისნაცვალის მთავარი სამმართველოს მიერ 1846 წლიდან გამოცემულ „- ში. მასში თავსდებოდა სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის რიცხვის, შემადგენლობისა და მოძრაობის შესახებ. ასეთ მონაცემთა დამუშავებას ხელი შეუწყო სტატისტიკური კომიტეტების დაარსებამ ცალკეულ გუბერნიებში: თბილისში – 1862 წლის 1 სექტემბერს, ხოლო ქუთაისში, ადმინისტრაციული დანაწილების ცვლილებასთან დაკავშირებით მთელი სტატისტიკური მუშაობა გაერთიანდა კავკასიის (1888 წლიდან – ამიერ კავკასიის) სტატისტიკურ კომიტეტში, რომლის ხელშიც გადავიდა ეს გამოცემა. ეს სტატისტიკური კომიტეტი (ჯერ კავკასიის, ხოლო შემდეგ – ამიერ კავკასიისა), თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში იყო, მაგრამ უშუალოდ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს ექვემდებარებოდა.

სტატისტიკურ კომიტეტს ეკუთვნის რიგი გამოცემათა, რომლებიც დემოგრაფიულ-სტატისტიკურ მასალებს შეიცავენ საქართველოს (და საერთოდ – ამიერ კავკასიის) შესახებ. ასეთია, მაგ., „

“, ცხრა ტომი (1871-1885), „

“, ოთხი ნაკვეთი (1887-1890), „

“ (1893) და სხვა.

საქართველოს (და კავკასიის) დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამოცემებში, კერძოდ – კრებულში: „ (ტ. I, 1879).

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის საქმეს ხელს უწყობს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული პირველი საქალაქო აღწერები. თბილისში ასეთი აღწერა ჩატარდა 1864 წელს (ზამთარში), 1865 წელს (ზაფხულში), 1876 წელს (ერთდღიური აღწერა, 25 მარტს). ამ უკანასკნელი აღწერის შედეგები ცალკეა გამოცემული: „ 25 1876 “ (1780).

ქუთაისში ერთდღიური აღწერა ჩატარდა 1866-67 წლ-ში, ხოლო ბათუმში – 1890 წლის 17 ივნისს. ბათუმის აღწერის შედეგები გამოქვეყნებულია ცალკე გამოცემად:

17 1890 .(1891). (გ. გამყრელიძე, დემოგრაფიული სტატისტიკა, თბ., 1955. გვ. 92-100.)

საკითხი რუსეთში საყოველთაო აღწერის ჩატარების აუცილებლობის შესახებ მოწინავე მეცნიერული საზოგადოების მიერ დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ რევიზიების ეპოქაში იყო დასმული. რუსული გეოგრაფიული საზოგადოება, რომელიც დიდ ინტერესს ავლენდა მოსახლეობის შესწავლაში და ბევრი გააკეთა რუსეთში სტატისტიკური მეცნიერების განვითარებისათვის, 1845 წლიდან – თავისი დაფუძნებისთანავე – დაუინტერესებდა პროკაგანდას მთელი მოსახლეობის აღწერის ჩატარების იდეას. ამ საზოგადოების 1857 წლის ერთ-ერთ დადგენილებაში ნათქვამია: „საბჭო ინარჩუნებს რა სრულ რწმენას მოსახლეობის რიცხვისა და შემადგენლობის ცოდნის აუცილებლობაში, იმ მოთხოვნით, როგორც ამას მეცნიერებისა და ადმინისტრაციის თანამედროვე მოთხოვნები მიანიშნებენ, მივიდა აზრამდე, რომ მოსახლეობის შესახებ კვლევა საჭიროა სრულებით გამოიყოს ყველა კერძო ღონისძიებებისაგან, რომლებითაც ახლა ცნობილი ხდება მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილის რიცხოვნობა, როგორცაა მაგალითად დასაბეგრი წოდებების შესახებ რევიზიებიდან მიღებული მონაცემები და მოსახლეობის შემეცნების საკითხის, როგორც საერთო სარგებლობისათვის საჭირო ცალკე ამოცანის, მისი ფართო მნიშვნელობით განხილვისას – თავად აღწერების ჩატარება და მათი შედეგების დამუშავება დაევალოს ადმინისტრაციული სტატისტიკის სპეციალურ დაწესებულებას. მოსახლეობის შესახებ გამოკვლევები მხოლოდ ასეთ პირობებში მოგცემენ მეტ შესაძლებლობას მათი პრაქტიკულ ცხოვრებაში დანერგვისათვის“¹.

სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის დასაბუთების მომზადებისა და ჩატარების საქმეში განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის გამოჩენილ გეოგრაფსა და მოგზაურს (რაც თითქმის ყველასათვის კარგადაა ცნობილი), ასევე გამოჩენილ სტატისტიკოსს (რაც სტატისტიკის მიღმა ცოტა ვინმესთვის თუა ცნობილი), პეტრე პეტრეს ძე სემიონოვ – ტიან-შანსკის (1827-1914), რომელიც 11 წლის (1864-1875) განვალბაში ხელმძღვანელობდა ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტს და კიდევ 22 წელი (1875-1897) – შინაგან

1. (-) . . .

7 1897 . . ., 1897. C. 5.
საქმეთა სამინისტროს სტატისტიკურ საბჭოს, რომელიც იმ დროისათვის განაგებდა სტატისტიკას. 30 წელზე მეტი პ.პ. სემიონოვი (ტიან-შანსკის გახდა 1906 წელს) ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში შეუპოვრად ამტკიცებდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის აუცილებლობისა და ჩატარების შესაძლებლობას. 1870 წელს მან პეტერბურგში მოაწყო სრულიად რუსეთის პირველი სტატისტიკური ყრილობა, რომელმაც განიხილა საკითხი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ. 1874 წელს სამხედრო ბეგარის შესახებ კანონის მომზადებასთან დაკავშირებით და შესაძლო სამხედრო კონტინგენტის განსაზღვრის აუცილებლობისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა მოსახლეობის აღწერების წარმოების წესი. კომისიის განსახილველად წარმოდგენილ იქნა ორი პროექტი. ერთი მათგანი – ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის მიერ წარმოდგენილი – იყო მთელ მოსახლეობაზე გავრცელებული მე-10 რევიზიის გაუმჯობესებელი ვარიანტი. მეორე, პ.პ. სემიონოვის მიერ შემოთავაზებული, წარმოადგენდა იმდროინდელი მსოფლიო სტატისტიკური მეცნიერების საუკეთესო მიღწევების საფუძველზე შედგენილ საყოველთაო აღწერის პროექტს. ხანგრძლივი განხილვისა და შესწორების შემდეგ მიღებული იქნა პ.პ. სემიონოვის პროექტი. მაგრამ მას შემდეგ კიდევ მთელი 20 წელი გავიდა, ვიდრე 1895 წლის 5 ივნისს იმპერატორ ნიკოლოზ II-ისა (ტახტზე წინა წელს ასული) და მთავრობის მიერ არ იქნა დამტკიცებული დებულება რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შესახებ. მაგრამ კიდევ წელიწადნახევარი გავიდა ვიდრე 1897 წლის 28 იანვრის (ახალი სტილით 9 თებერვლის) მდგომარეობით ბოლოს და ბოლოს არ ჩატარდა მოსახლეობის აღწერა.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარებისათვის ხანგრძლივი ბრძოლა – ოთხ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში იყო – არა მარტო მეფის

ჩინოვნიკების, განსაკუთრებით გერმანულ გვარებიანი, ბიუროკრატიულ ჩამორჩენილობისა და პროგრესული პ.პ. სემიონოვის დაპირისპირების შედეგი, როგორც ამას ზოგჯერ ხატავდნენ საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში. ბევრი იმდროინდელ მეცნიერსა და მოღვაწეს სერიოზული საფუძველი ჰქონდა ეჭვი შეეტანათ თავად მოსახლეობის აღწერის ჩატარების შესაძლებლობაში ისეთ ქვეყანაში, როგორც იყო რუსეთი.

რუსეთში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარებისათვის დაბრკოლებები სრულიად რეალური იყო (თუმცა, რა თქმა უნდა ბიუროკრატიზმიც ყოველთვის ჭარბად იყო). ბევრი იმ დაბრკოლებათაგანი დღესაც მოქმედებაში რჩება, თუმცა რა თქმა უნდა, უფრო ნაკლებად ვიდრე ასი წლის წინათ. საგზაო სისტემითა და სატრანსპორტო კავშირებით განუვითარებელი უდიდესი ტერიტორია. ჯერ კიდევ არაა რადიო, ტელეფონი, ავტომობილი და მითუმეტეს ტელევიზია და ავიაცია. ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებულია მკაცრი კლიმატის ზონაში, სადაც დღესაც «მხოლოდ თვითფრინავით შეიძლება ჩაფრენა». უკვე მაშინ უდიდესი (125 მლნ-მდე) მრავალ ეროვნული (160-ზე მეტი ხალხი და ენა) მოსახლეობა, რომელთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი და მცირედმცოდნენი იყვნენ, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში (ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის 85%). საიდან ავირჩიოთ და როგორ მოვამზადოთ პერსონალი: აღმწერთა უდიდესი რაოდენობა, რომლებიც უნდა ფლობდნენ განათლების გარკვეულ დონეს, რათა თავი გაართვან საადწერო ფურცლებსა და დამხმარე ფორმულარების შევსებას? უკანასკნელი ამოცანა – საადწერო პერსონალის შერჩევა და მომზადება – დღესაც, სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის წინა ხანებში, კვლავ რჩება მისი ჩატარების ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად.

სამართლიანობისათვის საჭიროა შევნიშნოთ, რომ სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი აღწერისათვის მეცნიერებაც და მთავრობაც დიდხანს ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1833 წელს რევიზიის ჩატარებასთან დაკავშირებულ იმპერატორ ნიკოლოზ I მანიფესტში პერსპექტიულ ამოცანად იყო წამოყენებული საყოველთაო სახალხო აღწერის ჩატარება. სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველ საყოველთაო აღწერის ჩატარებას კეთილგანწყობილად ეკიდებოდა ალექსანდრე III-ც, რომელმაც 1882 წელს გააუქმა სულადობრივი გამოსადები, რის შედეგადაც რევიზიების იდეამ აზრი დაკარგა. ბევრი გამოჩენილი მეცნიერი დიდხანს ამუშავებდა რუსეთის რთული პირობებისათვის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების მეთოდოლოგიას. გროვდებოდა პრაქტიკული

გამოცდილებაც. ა.ი. გოზულოვის გაანგარიშებით 1860-დან 1889 წლის ჩათვლით პერიოდში 69 ქალაქში მოსახლეობის 79 ლოკალური აღწერა ჩატარდა. განსაკუთრებით გამოიყოფა მოსახლეობის აღწერები პეტერბურგში – 1869 წლის 10 დეკემბრის პ.პ. სემიონოვის ხელმძღვანელობით, 1881 წლის 15 დეკემბრის და 1890 წლის 15 დეკემბრის ი.ე. იანსონის ხელმძღვანელობით, მოსკოვში 1882 წლის 24 იანვრის ა.ი. ჩუპროვის ი.ი. იანჟულის, ა.ს. პოსტნიკოვისა და სხვათა ხელმძღვანელობით, 1902 წლის 31 იანვრის ვ.გ. მიხაილოვსკის ხელმძღვანელობით, კიევში 1874 წლის 2 მარტის პ.პ. ჩუბინსკის ხელმძღვანელობით, ოდესაში 1892 წლის 1 დეკემბრის ა.ს. ბორინევიჩის ხელმძღვანელობით და სხვა¹.

საბოლოოდ სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა 1897 წლის 28 იანვრის (ახალი სტილით 9 თებერვლის) მდგომარეობით. იგი, ნაცვლად გათვალისწინებული თვენახევრისა, სამი თვის განმავლობაში ტარდებოდა. ჩატარების ასეთი დიდი ვადები არ შეიძლებოდა არ ასახულიყო შეგროვილი მასალის ხარისხზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საერთოდ აღწერის ჩატარების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ყველა სირთულესა და ეჭვს ასეთი ვადები მის არც თუ მთავარ ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ. აღწერის ჩატარებაში მონაწილეობა მიიღო თითქმის 150 ათას კაციანმა პერსონალმა, რაც ასევე არ შეიძლება ძალიან დიდად ჩათვალოთ. აღწერის შედეგები გამოქვეყნდა 1905 წელს 89 ტომად. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა იმდროინდელ საზღვრებში 125 640 ათას კაცს შეადგენდა.

აღწერის მასალებმა აჩვენეს არა მარტო მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა და მისი ქვეყნის ტერიტორიისა და მისი ოლქების მიხედვით განსახლება, არამედ მისი სტრუქტურაც მაჩვენებლთა ფართო წრის მახასიათებლების: სქესის, ასაკის ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, წერა-კითხვის ცოდნისა და სარწმუნოების მიხედვით, მშობლიური ენის მიხედვით, (რომელიც ირიბად გამოხატავდა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას), არსებობის საშუალებების მიმცემი სამქმიანობების და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით და სხვა.

მოსახლეობის აღწერების შედეგების დამუშავება და მათი პუბლიკაცია 1905 წელს დასრულდა და 1908 წელს აღიძრა საკითხი მოსახლეობის ახალი მორიგი აღწერის 1910 წელს ჩატარების შესახებ (ე.ი. საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად 0-ზე დასრულებულ წელს). მაგრამ სხვადასხვა,

ძირითადად ფინანსური ხასიათის გარემოებების გამო მოსახლეობის მეორე აღწერის ჩატარების ვადა გადასწიეს 1915 წლისათვის, რაც 1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო ომის გამო ასევე ვერ იქნა რეალიზებული.

მოსახლეობის მეორე აღწერა უკვე ახალ საზოგადოებრივ წყობაში, სამოქალაქო ომისა და სამხედრო კომუნიზმის დროს, 1920 წელს ჩატარდა 28

1., 1957. C. 28.

აგვისტოს მდგომარეობით. საბჭოთა ისტორიოგრაფია აღწერის ჩატარების ინიციატივას ვ.ი. ლენინს მიაწერდა, რომელიც როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ხელს აწერდა მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებულ ყველა დადგენილებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი იმ მითთაგანია, რომლითაც სავსეა ჩვენი ისტორია და რომლისგანაც ჯერ კიდევ დიდხანს მოგვიწევს განთავისუფლება. ჩვენი სტატისტიკის რეალური მრავალმხრივი ტრაგიკული, ისტორია ჯერ კიდევ დასაწერია.

უფრო სავარაუდოა, რომ 1920 წლის მოსახლეობის აღწერის ნამდვილ ინიციატორებად იყვნენ ძველი რევოლუციამდელი სტატისტიკოს-ბიუროკრატები (ბიუროკრატიზმი ყოველთვის ცუდი როდია), რომლებმაც სრულიად არ მოახდინეს რეაგირება ბოლშევიკურ სახელმწიფოებრივი გადატრიალებაზე და პეტერბურგის 1872 წლის სტატისტიკური კონგრესის საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად გადაწყვიტეს დაეყენებინათ მოსახლეობის აღწერის ჩატარების საკითხი 0-ზე დაბოლოებულ წელს. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ 1920 წლის სრულიად რუსეთის აღწერის ინიციატორი იყო ვასილ გრიგოლის ძე მიხაილოვსკი (1871-1926), მაშინდელი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დემოგრაფიული სტატისტიკის განყოფილების გამგე, რომელიც 1919 წელს არაერთგზის გამოდიოდა 1920-1921 წლებში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების სასარგებლო არგუმენტებით, რომელიც ხელმძღვანელობდა 1920 წლის აღწერის ყველა პროგრამული დოკუმენტის მომზადებასა და მის უშუალო ჩატარებას. ამასთან შემდგომშიც ისევ ის ხელმძღვანელობდა 1926 წლის მოსახლეობის აღწერისათვის მთელ მზადებას¹.

1. ვასილ გრიგორის ძე მიხაილოვსკი რუსეთის გამოჩენილი სტატისტიკოს-დემოგრაფი იყო. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (ც.ს.ს.)

დემოგრაფიის – განყოფილებაში მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელობდა სტატისტიკურ განყოფილებას მოსკოვის საქალაქო გამგეობაში (1897-1917) და მოსკოვის საბჭოში (1917-1922). მოსახლეობის აღწერების ჩატარების უმდიდრესი გამოცდილება ჰქონდა, რადგანაც ხელმძღვანელობდა მოსკოვის მოსახლეობის 35 აღწერის, აღრიცხვისა და გამოკვლევის მონაცემების წარმოებასა და დამუშავებას. 20-იან წლებში ხელმძღვანელობდა სსრკ-ში დემოგრაფიული სტატისტიკის სამუშაოებს, საფუძველი ჩაუყარა დემოგრაფიულ შემთხვევათა აღივსის თანამედროვე სისტემას. (70 .

. . ., 1987 C. 15-17. მასზე იხ. აგრეთვე
(1871-1926). // . . . , 1979. C. 87-89).

აღწერის ჩატარებისათვის იმდროინდელი პირობები წარმოუდგენელად რთული იყო. მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, ქვეყანა მოცული იყო საომარი მოქმედებებით, სასურსათო გაწერის საწინააღმდეგო გლეხთა ამბოხებებით, ბანდიტიზმით, მრეწველობა და ტრანსპორტი მოშლილი იყო. არ იყო საკმარისი არც სახსრები, არც ისეთ საქმეში მონაწილეობის უნარის მქონე ხალხი როგორცაა აღწერა. მაგრამ მთელი ხალხისა და მატერიალური რესურსების «ინვენტარიზაცია» აუცილებელი იყო ახალი საზოგადოებრივი წყობის უსწრაფესად დამყარებისათვის. ამიტომ მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთდროულად მთელი სახალხო მეურნეობის კომპლექსურად მომცველი სამი აღწერის ჩატარებაზე: სასოფლო-სამეურნეო აღწერა, სამრეწველო საწარმოების მოკლე აღწერა და მოსახლეობის აღწერა. მათ შორის მთავარი იყო მოსახლეობის უმეტესობის (85%) მომცველი სასოფლო-სამეურნეო აღწერა. სწორედ ამიტომაც თარიღად დადგენილი იყო 28 აგვისტო, შუა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს, როცა აღწერის შედეგებს შეეძლოთ აესახათ დასაქმებული მოსახლეობის (უპირველეს ყოვლისა გლეხების) ყველაზე უფრო ტიპური სტრუქტურა.

ბელორუსიაში, ყირიმში, ამიერკავკასიაში, შორეულ აღმოსავლეთში, თურქისტანში, სივაში და ბუხარაში, უკრაინის ცალკეულ გუბერნიებში, ვოლგისპირეთში, ჩრდილო კავკასიაში და ციმბირში აღწერა არ ჩატარებულა სამხედრო მოქმედებების მიზეზით, და ამრიგად, იგი მოიცავდა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 72%-ს. ზოგიერთ ადგილებში აღწერის შეგროვილი მასალები ამბოხებული მოსახლეობის მიერ იქნა განადგურებული, ზოგჯერ თავს ესხმოდნენ აღწერის მუშაკებს. 30-მდე მათგანი მოკლულ იქნა.

სრულიად რუსეთის მე-2 სტატისტიკურ კონფერენციაზე ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობის განხილვის შედეგად მიღებული 1920 წლის მოსახლეობის აღწერის პროგრამა, მნიშვნელოვნად ფართო იყო, ვიდრე 1897

წლის პროგრამა. პირადი ფურცელი, რომელიც აღწერის ძირითადი ფორმულარი იყო შეიცავდა 18 კითხვას, ხოლო ქვეკითხვებით, რომელთაგან ზოგიერთს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ჰქონდა 30-მდე. კითხვები მოსახლეობის შემადგენლობას ახასიათებდნენ სქესის, ასაკის, ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის, მშობლიური ენისა და პირველად – ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შეისწავლებოდა აგრეთვე წერა-კითხვის ცოდნა, ზოგადი და სპეციალური განათლების დონე. არსებობის საშუალებების მომცემი საქმიანობის მიხედვით პროფესიებისა და დასაქმების, და კიდევ სხვა მახასიათებლების მიხედვით განაწილება.

1920 წლის აღწერის მონაცემებით, იმ ტერიტორიების მიხედვით გადაანგარიშების დამატებით, რომლებიც არ იყო აღწერით მოცული, ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა 136 მლნ. კაცს შეადგენდა¹. მათ შორის ქალაქად 20,9 მლნ. ანუ 15,3%. 1917 წლის დასაწყისთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნობა 6,7 მლნ. კაცით შემცირდა. ამ რიცხვიდან დაახლოებით 2 მლნ. მოდიოდა ემიგრაციაზე, დანარჩენი 4,7 მლნ. სამოქალაქო ომის, მისგან გამოწვეული შიმშილისა და ეპიდემიების, აგრეთვე შობადობის შემცირების დემოგრაფიული დანაკარგებია.

ხალხის დიდი რაოდენობა ქალაქებიდან, სადაც სურსათის ნაკლებობა იგრძნობოდა, სოფელ ადგილებში გადასახლდა. ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა 1917 წლის დასაწყისთან შედარებით 4,9 მლნ. კაცით შემცირდა², ხოლო მისი ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 18,0%-დან 15,3%-მდე. მსოფლიო სამოქალაქო ომებმა შეცვალეს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურაც. თუ 1897 წლის აღწერით ვაჟები ქვეყნის მოსახლეობის 49,7%-ს შეადგენდნენ, უკვე 1920 წლის აღწერით კი მხოლოდ – 47,7%-ს.

1920 წლის აღწერის შედეგები გამოქვეყნდა «ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შრომებში» («

28

1920 .» .1, . 1-5 ., 1920-1922 და სსრკ-ს ც.ს.ს-ს გამოცემაში «

1920 . ., 1928» (ერთ ტომად).

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო სახალხო მეურნეობის აღდგენა. მცირდებოდა მოკვდაობა, იმატებდა შობადობა, ვითარდებოდა მრეწველობა, იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. უდიდესი ძვრები ხდებოდა მოსახლეობის განსახლებასა და შემადგენლობაში. ამიტომ მალე კვლავ დადგა

1. თანამედროვე კორექტირებებით რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1920 წლის აღწერის თარიღისათვის 134 628 კაცს შეადგენდა (. 1922-1991., 1993. C. 9).
2. ქვეყნის ქალაქის მოსახლეობის მთლიანი შემცირების თითქმის ნახევარი მოდიოდა ორი დედაქალაქის – პეტერბურგისა და მოსკოვის ხარჯზე. თუ 1917 წელს პეტერბურგში იყო 2,5 მლნ. მცხოვრები, უკვე 1920 წელს კი მხოლოდ 706 ათასი. იმავე პერიოდში მოსკოვში მცხოვრებთა რიცხვი 1,8 მლნ-დან 952 ათას კაცამდე შემცირდა.

საკითხი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის შემდგომ ათწლიანი ვადა ჯერ არ იყო გასული.

მართალია, 1923 წელს (15 მარტის მდგომარეობით) ჩატარდა აღწერა, მაგრამ იგი მოიცავდა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას და თანაც ქვეყნის მთელ ტერიტორიზეც კი არა. ამიტომ საყოველთაო აღწერებში ეს აღწერა არ ითვლება. მაგრამ იგი ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მის დროს სააღწერო ფურცელთან ერთად პირველად იქნა გამოყენებული საოჯახო რუქაც, სადაც იყო ოჯახის შემადგენლობის დახასიათებასთან დაკავშირებული კითხვები, სრული ქორწინებითი წყვილების რიცხვისა და ოჯახის წევრთა ასაკის შესახებ. საოჯახო რუქები წარმატებით იქნა გამოყენებული მომდევნო, უკვე საყოველთაო აღწერაში (1926 წელს).

დემოგრაფიული სტატისტიკის წყაროდ შეიძლება პირობით მივიჩნიოთ 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის შედეგები („1917 წ. სასოფლო-სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერის მაზრობლივი ჯამები“, საქ. სსრ სტატ. სამმართველოს გამოცემა, 1922). ეს აღწერა ჩატარდა 1917 წ. ზაფხულში, სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო, საადგილ-მამულო და საქალაქო აღწერის სახით. აღწერის პროგრამაში დემოგრაფიულ ნაწილს მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ნაწილობრივ მოიცავდა მოსახლეობის შედგენილობის გამრკვევ კითხვებს. იგი ჩატარდა მეტად არახელსაყრელ ვითარებაში, გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში და, ამიტომ, კრიტიკული მომენტის პრინციპი დაცული არ ყოფილა.

მოსახლეობის აღწერები საბჭოთა საქართველოში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომში განვითარების და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების შესაბამისად, არსებითად შეიცვალა სტატისტიკურ სამუშაოთა შინაარსი, მოცულობა, პროგრამა და ორგანიზაცია: მას ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიეცა და ამისდა შესაბამისად გაიშალა ერთდროულ და პერიოდულ სტატისტიკურ სამუშაოთა წარმოება, დაგროვებულ და ახლად მოპოვებულ პირველად მასალათა დამუშავება და პუბლიკაცია.

უკვე პირველ წლებშივე შესაძლებელი გახდა გამოქვეყნებულიყო რევოლუციამდე ჩატარებულ ზოგ სტატისტიკურ სამუშაოთა შეჯამებული შედეგები, შემცველი დემოგრაფიულ-სტატისტიკური მასალებისა. ასეთია, მაგ., 1917 წ. აღწერის მაზრობლივი ჯამები (1922 წ.), სტატისტიკური კრებული 1909-1921 წლ. (1923 წ.).

1922 წლის 30 ნოემბერს ჩატარდა სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგები მალე გამოქვეყნდა: ნაწილი პირველი – დემოგრაფია, 1923 წ., ნაწილი მეორე – ბინები, 1924 წ.

1923 წელს აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომლის პროგრამა ნაწილობრივ დემოგრაფიულ ნიშნებსაც ითვალისწინებდა. აღწერის შედეგები (ნაწ. I) სათემო ჯამების სახით გამოქვეყნდა 1925 წ., ხოლო კითხვები, რომლებიც მოსახლეობის შედგენილობის დახასიათებას იძლეოდნენ, ცალკე დამუშავდა და 1926 წ. გამოქვეყნდა (ნაწილი II).

ეს ორი აღწერა – ქალაქთა მოსახლეობისა 1922 წ. და სასოფლო-სამეურნეო 1923 წ., – თუმცა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ჩატარდა, მაგრამ ურთიერთის შემვსები იყო, რამდენადაც პირველი ქალაქის მოსახლეობის დახასიათებას იძლეოდა, ხოლო მეორე – დაახლოებით იმავე პერიოდისათვის – სოფლის მოსახლეობისას. მართალია, მათი შედეგების გამოყენებას მოსახლეობის ორივე ნაწილის ერთდროული დახასიათებისათვის აბრკოლებდა როგორც პროგრამული, ისე ორგანიზაციული და დროის მიხედვით სხვადასხვაობა, მაგრამ ამ დროისათვის სხვა, უფრო სრული და სწორი ცნობები მოსახლეობის შესახებ ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა.

(გ. გამყრელიძე, დემოგრაფიული სტატისტიკა. თბ., 1955. გვ. 101-102.)

საბჭოთა კავშირის შექმნამ, ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა ტემპებმა და შესაბამისად ქალაქების ზრდამ, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებამ წამოაყენეს მოსახლეობის ახალი აღწერის ჩატარების ამოცანა. თავდაპირველად იგი გათვალისწინებული იყო 1925 წლისათვის¹, ამასთან, ისევე როგორც 1920 წელს, სხვა აღწერებთან, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და კოოპერაციული – კომპლექსში, მაგრამ შემდეგ გადაწყდა მისი ცალკე და 1926 წლის ბოლოს ჩატარება.

მეორე საბჭოთა, პირველი საკავშირო მოსახლეობის აღწერა 1926 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა. მისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. აღწერის კითხვები განიხილებოდა მე-2 საკავშირო სტატისტიკურ კონფერენციაზე (1925 წლის 25 თებერვალი – 3 მარტი) და სტატისტიკოსთა საკავშირო ყრილობაზე (1926 წლის 1-7 თებერვალი). აღწერის ძირითადი ფორმულარები იყო პირადი ფურცელი და საოჯახო რუქა (ეს უკანასკნელი მხოლოდ ქალაქებში). პირადი ფურცელი ძირითადად იმავე კითხვებს შეიცავდა, რასაც 1920 წლის აღწერის დროს, და შედგებოდა – 14, ხოლო ქვეკითხვებით – 30-მდე კითხვისაგან. მათ შორის სქესზე, ასაკზე, ქორწინებით მდგომარეობაზე, ეთნიკურ კუთვნილებაზე და მშობლიურ ენაზე, წერა-კითხვის ცოდნაზე, დაბადების ადგილზე და აღწერის ადგილას მუდმივი ცხოვრების ხანგრძლივობის შესახებ, ფიზიკური ნაკლის, მძიმე დასახინჩრებისა და ფსიქიკური ავადმყოფობის შესახებ. კითხვების მთელი ჯგუფი ქვეკითხვებით

ექვნივობა ძირითადი და დამხმარე საქმიანობის, სოციალური მდგომარეობის, პროფესიისა და სამუშაო ადგილის დახასიათებას. საქმიანობის არ მქონეთათვის ირკვეოდა არსებობის საშუალებათა წყაროები. უმუშევრებისათვის გათვალისწინებული იყო კითხვები უმუშევრობის ხანგრძლივობისა და წინანდელი

1. 1926 .
., 1938. C.19.

საქმიანობის შესახებ. ამ უკანასკნელ მოთხოვნას მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა:

1926 წლის აღწერამ ქვეყანაში თითქმის 1 მლნ.-მდე უმუშევრის არსებობა აჩვენა.

საოჯახო რუქა შეიცავდა ოჯახის ზომისა და შემადგენლობის, აგრეთვე მათი საბინაო პირობების დამახასიათებელ 20-ზე მეტ კითხვას. აღწერამ უმდიდრესი მასალა მისცა რუსეთის ოჯახის ცხოვრების შესწავლისათვის, რომელთაგან ბევრს თავისადმი ინტერესი დღესაც არ დაუკარგავს.

1926 წლის აღწერის მასალები გამოქვეყნდა 56 ტომად. ეს პუბლიკაცია იყო და რჩება ჩვენი ქვეყნის საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის აღწერის შედეგების ყველაზე მდიდარ პუბლიკაციად. ამ აღწერის მასალების საფუძველზე იანგარიშებოდა სახალხო მეურნეობის ბალანსი, სრულდებოდა მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის მიმდინარე გაანგარიშებები უახლესი აღწერის შემდგომი წლებისათვის, იგებოდა დემოგრაფიული პროგნოზები, აგებულ იქნა სსრკ-ს მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილები 1926-1927 წლებისათვის.

მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემებით სსრკ-ს მოსახლეობის მთლიანმა რიცხოვნობამ 147 028 ათასი კაცი შეადგინა. აღურიცხაობაზე შემდგომი კორექციით – 148 530 ათასი კაცი¹.

მოსახლეობის შემდგომი რიგითი აღწერა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1932 წლის 22 აპრილის დადგენილებით, 1933 წლის დეკემბრისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ 1933 წლის აპრილში მისი ჩატარების ვადა 1935 წლის დასაწყისისათვის იქნა გადატანილი, შემდეგ 1934 წლის ივნისში – კიდევ ერთხელ გადაიტანეს 1936 წლის იანვრისათვის, ერთი წლის შემდეგ 1935 წლის 15 ივნისს – გადატანილ იქნა 1936 წლის დეკემბრისათვის და ბოლოს 1936 წლის 28 აპრილს საბოლოოდ დადგინდა 1937 წელი, როცა 6 იანვრის მდგომარეობით ჩატარდა კიდევ მოსახლეობის მორიგი

საკავშირო აღწერა². ისტორიკოსები ამ აღწერას ახლა „ტრაგიკულს“ ანუ „რეპრესირებულს“ უწოდებენ და მას (უფრო სწორად მის ორგანიზატორებს) მთელი რიგი გარემოებების გამო ნამდვილად ტრაგიკული ბედი ჰქონდა.

1927-1932 წლების სოფლის მეურნეობის იძულებითმა კოლექტივიზაციამ, რომელსაც თან სდევდა შიმშილი და მასობრივი რეპრესიები გამოიწვია

-
1. 1922-1991
., 1993. C. 21.
 2. (. . . .) //
., 1990. C. 170.

მოკვდაობის ზრდა და იმოქმედა 1925 წლიდან ისედაც დაწყებულ შობადობის შემცირებაზე. მოკვდაობამ უკვე 1929 წ. ე.ი. „დიადი გარდატეხის“¹ წლიდან, დაიწყო ზრდა. მოსახლეობის ზრდის ტემპები მკვეთრად შეფერხდა, მაშინ როცა სტალინური დოქტრინით, სოციალიზმის ზრდის კვალობაზე ისინი უნდა დაჩქარებულიყო. 1932-1933 წლებში უკრაინის, ქვემო ვოლგისპირეთის, ყუბანისა და ყაზახეთის მარცვლეულის რაიონებში დაწყებულმა შიმშილმა სხვადასხვა შეფასებებით 3 მლნ. სიცოცხლეზე მეტი შეიწირა². სულ შიმშილის, მასთან დაკავშირებული ავადმყოფობების, „გაკულაკების“ დროს რეპრესიებისა და სხვა ძალადობისას 1926 და 1936 წლის აღწერებს შორის პერიოდში მოსახლეობის დანაკარგები შეფასებულია 11 მლნ. ადამიანით³. შობადობის შემცირებისა და მოკვდაობის ზრდის შედეგად ყაზახეთიდან და შუა აზიიდან მეზობელ ჩინეთში დაახლოებით 2 მლნ. ადამიანის გაქცევით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რიცხოვნობა 1933-1935 წლებში 4,7 მლნ. ადამიანით შემცირდა, იმის ნაცვლად, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილიყო, როგორ ამას მთავრობა ელოდა.

მოსახლეობის რიცხოვნობის მიმდინარე გაანგარიშებები, რომლებსაც საგეგმო ორგანოები აწარმოებდნენ ძალიან განსხვავდებოდნენ რეალური ტენდენციებისაგან. მათი გაანგარიშებით ქვეყნის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა, რაც უნდა ყოფილიყო ცხოვრების დონის შესაბამისი ზრდის დამადასტურებელი და 1933 წლის დასაწყისისათვის 165,7 მლნ. კაცს შეადგენდა, ხოლო 1937 წლის ბოლოსათვის კი ივარაუდებოდა, რომ იქნებოდა 180,7 მლნ კაცი. ეს რიცხვები ყველაზე მაღალი ტრუბუნებიდან იქნა გამოცხადებული და ამიტომ საჭირო იყო, რომ რეალურობა მათი შესაბამისი ყოფილიყო.

მაგრამ 1937 წლის აღწერამ მხოლოდ 162 039 ათასი კაცი (აღურიცხაობაზე ახლანდელი კორექციით – 162 739 ათასი⁴) დაითვალა. შედეგად მთავრობამ ეს აღწერა წარუმატებლად, დეფექტურად გამოაცხადა. მისი

ხელმძღვანელები მოსახლეობის შეგნებულ აღურიცხაობაში იქნენ დადანაშაულებულები. ბევრი

1. 1922-1991
., 1993. C. 135.
2. 1933 : ? ()// .,1991. №5. C. 23.
3. 1937 « . . . »:
., 1996. C. 44.
4. 1922-1991.
., 1993. C. 37.

მათგანი დააპატიმრეს და დაიდუბა -ებში¹, ხოლო ზოგიერთები დახვრიტეს. 1950-იან წლებში ყველა ისინი რეაბილიტირებულ იქნენ.

სულ ახლახანს, უკვე 90-იან წლებში, არქივებში აღმოაჩინეს 1937 წლის აღწერის მნიშვნელოვან წილად გადარჩენილი მასალები. მკვლევართა ჯგუფმა გააანალიზა ისინი, განახორციელა საჭირო გაანგარიშებები და აჩვენა, რომ აღურიცხაობა დიდი არ იყო, სულ 700 ათასი კაცი ანუ 0,43%. ბევრ ქვეყანაში აღწერისას მოსახლეობის აღურიცხაობა 5%-ის ფარგლებში დასაშვებადაა მიჩნეული.

რადგანაც 1937 წლის აღწერის შედეგები მთავრობის მიერ არ იქნა მიღებული, დაინიშნა მოსახლეობის ახალი აღწერა, რომელიც 1939 წელს ჩატარდა (17 იანვრის მდგომარეობით). ახლა ელოდნენ (სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პროგნოზით), რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა შეადგენდა 170 მლნ. კაცს. ახსოვდათ რა 1937 წლის აღწერის შემდგომი რეპრესიები, სტატისტიკოსები ძალიან ცდილობდნენ გასულიყვნენ მითითებულ (პირდაპირი აზრით) რიცხვზე, არ დაეშვათ მოსახლეობის „აღურიცხაობა“. ყველა ძალისხმევის შედეგად აღწერამ აჩვენა 170557 ათასი კაცის ტოლი მოსახლეობის რიცხოვნობა (შემდგომ ორმაგ აღრიცხვაზე და მიწერებზე კორექციის შედეგად აღმოჩნდა, რომ უფრო რეალური რიცხვია 168 871 ათასი²).

მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა 1939 წლის აღწერის შედეგების ბოლომდე დამუშავებას. ომის შემდეგ იძვრებოდა საკითხი მოსახლეობის რიგითი აღწერის ჩატარების შესახებ, რათა შეეფასებინათ ომით მიყენებული ზარალი. მაგრამ კვლავ შიმშილმა, რომელმაც 1946-1947 წლებში დააზიანა ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი, არ მისცათ ამის საშუალება. მოგვიანებით გადაწყდა მოსახლეობის აღწერა ჩატარებინათ 1949 წელს³, მაგრამ სტალინმა ნება არ დართო, რადგანაც როგორც ჩანს ეშინოდა, რომ აღწერა გაამჟღავნებდა

1. — არის — ის (ბანაკთა მთავარი სამმართველო) აბრევიატურა. ასე უწოდა 1930-იანი წლების რეპრესიების ამსახველი გახმაურებული რომანის « —ის ავტორმა ცნობილმა რუსმა მწერალმა ა.ი. სოლჟენიცინმა იმ დაწესებულებებს, სადაც რეპრესირებულები იხდიდნენ სასჯელს. — ქართულად მთარგმნელის შენიშვნა.
2. 1922-1991. ., 1993. C. 135.
3. : //1, ., « » , « » , 1990. C. 270.

მოსახლეობის საშინელ დანაკარგებს, რომელიც გამოწვეული იყო არა მარტო ქვეყნის ოკუპირებულ რაიონებში ფაშისტების მიერ გამოჩენილი სიმხეცეების შედეგად, არამედ ხშირ შემთხვევაში ქვეყნისა და არმიის უნიჭო ხელმძღვანელობით, ასევე რეპრესიებითაც, რომლებიც ომის დროსაც კი არ შეწყვეტილა.

მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ 1953 წელს იქნა დანიშნული მოსახლეობის მორიგი აღწერა, რომელიც ჩატარდა კიდევ 1959 წელს (15 იანვრის მდგომარეობით). აღწერას წინ უძღოდა მისი პროგრამულ-მეთოდოლოგიური საკითხების, 1957 წლის 4-8 ივნისს ქ. მოსკოვში ჩატარებულ სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე განხილვა. თათბირში აღწერის უშუალო ორგანიზატორების სტატისტიკოსების, გარდა ბევრი მეცნიერიც ღებულობდა მონაწილეობას, რომლებმაც მთელი რიგი მნიშვნელოვანი წინადადებები შეიტანეს აღწერის პროგრამაში ჩასართავად, რომელთაგანაც მაშინდელი საბჭოთა სტატისტიკის ხელმძღვანელობის მიერ ბევრი არ იქნა მიღებული, მაგრამ რეალიზებულ იქნა 20-30 წლის შემდეგ მოსახლეობის მომდევნო აღწერებში (მაგალითად, აკად. მ.ვ. პტუხას წინადადება აღწერისას შობადობის 5%-იანი შერჩევითი გამოკვლევის ჩატარების შესახებ¹ არ იქნა მიღებული, მაგრამ შემდგომ განსაკუთრებული წინააღმდეგობის და დისკურსის გარეშეც კი იქნა რეალიზებული 1979 წლის და შემდგომ აღწერებში).

ძირითადი საპროგრამო კითხვებით 1959 წლის აღწერა თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა 1939 წლის აღწერისაგან. სააღწერო ფურცელი შეიცავდა მხოლოდ 15 კითხვას.

მიუხედავად ამისა, 1959 წლის აღწერის შედეგებმა დიდი მეცნიერული რეზონანსი გამოიწვიეს, თითქმის ყველაზე დიდი, ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული მოსახლეობის ყველა წინა აღწერებთან შედარებით. აღწერა გახდა მეცნიერული გამოკვლევების აქტივიზაციის მძლავრი სტიმული, არა მარტო დემოგრაფიაში,

არამედ ეკონომიკაშიც, სოციოლოგიაშიც და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ამას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ 1959 წლის აღწერა ტარდებოდა სკკპ XX ეპოქალური ყრილობიდან 2 წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, როცა სტალინური ზამთრის შემდეგ ქვეყანაში ადრე გაზაფხულის დათობა დაიწყო და

1. 4-8 1959 . ., 1958. C. 152.
ცოცხლდებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებანი. 1959 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებმა ყველას ჭკუის კარგი საკვები მისცა.

დემოგრაფიაშიც ასევე ხდებოდა სტალინის შემდგომი გამოცოცხლების ბუმი. 1959 წლის აღწერის შემდეგ მკვეთრად გააქტიურდა მოსახლეობის სტრუქტურისა და დემოგრაფიული პროცესების დინამიკის დემოგრაფიული გამოკვლევები, გაფართოვდა სამეცნიერო დემოგრაფიული ლიტერატურის პუბლიკაცია. გააქტიურდა დისკუსიები დემოგრაფიული მეცნიერების თეორიულ პრობლემებზე. კერძოდ ამ მიმართულებით საჭიროა აღინიშნოს ხალხთმოსახლეობის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების შესახებ 1966 წლის ნოემბერში ქ. მოსკოვში ჩატარებული საკავშირო სიმპოზიუმი, რომელზეც განიხილებოდა დემოგრაფიის, როგორც დამოკიდებული საზოგადოებრივი მეცნიერების ჩამოყალიბების, მისი შესწავლის საგნისა და სხვა მეცნიერებასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხები¹.

1959 წლის აღწერის მასალები გამოქვეყნდა 16 ტომად: ერთი ტომი სსრკ-ს შედეგების შესახებ მთლიანად და 15 ტომი ცალ-ცალკე თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის შესახებ.

საჭიროა ასევე ავღნიშნოთ, რომ სრულებითაც არ იყო შემთხვევითი 1950-იანი წლების შუახანებიდან ოფიციალური სტატისტიკური პუბლიკაციების: ცნობარების, წელიწდეულებისა და ა.შ. ძირითადად ზოგად ეკონომიკური, მაგრამ ასევე დემოგრაფიულიც – მნიშვნელოვნად გაფართოება.

მოსახლეობის მომდევნო რიგითი საკავშირო აღწერა ჩატარდა 1970 წელს 15 იანვრის მდგომარეობით. 1970 წლის აღწერის სააღწერო ფურცელი შეიცავდა 18 კითხვას, ე.ი. ცოტათი მეტს ვიდრე წინა აღწერისას. დამატებები შეეხებოდა მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებს. 1970 წლის აღწერის სიახლე იყო აგრეთვე შერჩევითი მეთოდის გამოყენება, რომლის დროსაც სააღწერო ფურცლის 11 კითხვაზე პასუხს იძლეოდა ქვეყნის მოსახლეობის მთელი 100% (უფრო ზუსტად სააღწერო ფურცლის კითხვების მიხედვით მონაცემები

გროვდებოდა ქვეყნის მოსახლეობის არა მთელი ასი პროცენტის შესახებ, რადგანაც ყველა მოქალაქეს ვთქვათ ჩვილ ბავშვებს არ შეეძლოთ თავის თავად რაიმეს შეტყობინება), ხოლო დანარჩენი 7 კითხვის შესახებ ცნობები გროვდებოდა მოსახლეობის მხოლოდ 25%-

1. - : ,
24-26 1966 . ., 1969.

ზე (გამოკითხვა ხდებოდა ყოველ მეოთხე საცხოვრებელში). შემდეგ ასეთნაირად შეგროვილი ცნობები გარკვეული წესებით ვრცელდებოდა მთელ მოსახლეობაზე. შერჩევითი მეთოდის გამოყენება იძლევა ფინანსური სახსრებისა და ადამიანური რესურსების ეკონომიას.

1970 წლის აღწერის მასალები გამოქვეყნდა 7 ტომად (რომლის გვერდების საერთო მოცულობა თითქმის ისეთივე იყო როგორც 1959 წლის აღწერის შედეგების პუბლიკაციის 16 მცირე ტომში). პუბლიკაციასთან ერთად გამოიცა აღწერის შედეგების 10 ტომი გრიფით „სამსახურობრივი სარგებლობისათვის“.

აღწერამდე ორი წლით ადრე, 1968 წლის აპრილში, მოსკოვში ჩატარდა სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირი საზოგადოებრივი მეცნიერების სხვადასხვა დარგების წარმომადგენელ გამომჩენილ მეცნიერებათა დიდი რიცხვის მონაწილეობით, რომელზეც ძალიან მწვავე მანერით განიხილებოდა მომავალი აღწერის ძირითადი პროგრამულ-მეთოდოლოგიური და ტექნიკური საკითხები და კვლავ მეცნიერებს შეჰქონდათ წინადადებები, რომელთა უმეტესობაც უარყოფილ იქნა საბჭოთა სტატისტიკის ხელმძღვანელობის მიერ. ამის შესახებ საოცარი საბუთი შემორჩა – ცენზურის მიერ თითქმის ხელუხლებელი, სტენოგრაფიული ანგარიში თათბირის შესახებ. იგი დღესაც როგორც სულის შემძვრელი დეტექტივი ისე იკითხება.¹ ეს იყო უნიკალური შემთხვევა ჩვენი სტატისტიკის ისტორიაში და უნიკალური გამოცემა. სამწუხაროდ ორივე ისინი – მსგავსი თათბირი და მასზე ანგარიშის გამოცემა – იმავე დონეზე, მეტი აღარ განმეორებულა.

მოსახლეობის შემდგომი მორიგი აღწერა ჩატარდა 9 წლის შემდეგ, 1979 წელს 17 იანვრის მდგომარეობით (ჩვენ კვლავ გავედით 9-ზე დაბოლოებულ წელზე). სააღწერო ფურცელი შედგებოდა 16 კითხვისაგან (11 სრული აღწერის ნაწილში და ხუთი–25 პროცენტისან შერჩევით ნაწილში). სრული აღწერის ნაწილის კითხვები ძირითადად იგივე იყო რაც წინა 1970 წლის აღწერისას, თუმცა ზოგიერთ მათგანში იყო მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილებები.

შერჩევით ნაწილში არ იყო წინა აღწერის კითხვა წლის განმავლობაში არასრული დასაქმების შესახებ და
ორი კითხვა მიგრაციის შესახებ, სამაგიეროდ შემოტანილ იქნა ქალებისადმი მიმართული ახალი კითხვა, გაჩენილი ბავშვების შესახებ. ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ტექნიკურ სიახლესაც: სააღრიცხვო ფურცელი შეთავსებული იყო ინფორმაციის ტექნიკურ მატარებელთან. სააღრიცხვო ფურცლის კითხვებზე

1. 22-26 1968 . C
.,1969.

პასუხების მნიშვნელოვანი ნაწილი (16-დან 12 კითხვაში) მასში ჩაიწერებოდა არა სიტყვიერად, როგორც ეს კეთდებოდა წინა აღწერაში, არამედ სააღწერო ფურცლებზე დაიტანებოდა ნაჭდევების სახით, სპეციალურად ამ მიზნისათვის დამზადებული ფანქრით, და შემდეგ თავად სააღწერო ფურცლებით შეკქონდათ ელექტრონულ წამკითხავ მოწყობილობებში. ფურცლებზე ნაჭდევები კეთდებოდა უშუალოდ აღწერის დროს, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა აღმწერთა დატვირთვას. სამაგიეროდ სააღწერო ფურცლების დამუშავების ეტაპზე მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის დანახარჯები, მუშაობის ვადები და ინფორმაციის სააღწერო ფურცლებიდან დასამუშავებელ ბლანკებზე ხელით გადაწერისას უცილობლად არსებული შეცდომების რიცხვი.

ზოგიერთი კითხვის რედაქციაში ადგილი ჰქონდა რიგ პროგრამულ-მეთოდოლოგიურ ცვლილებებს. კერძოდ, შეიცვალა ასაკის შესახებ კითხვის რედაქცია, ტრადიციულ, შესრულებულ წელთა რიცხვთან ერთად შემოტანილი იქნა დაბადების თარიღი, ქორწინებითი მდგომარეობა ეხლა ფიქსირდებოდა გაფართოებულად ოთხი კატეგორიის სახით: ქორწინებაში მყოფები, ქორწინებაში არასოდეს არ მყოფები, ქვრივები და განქორწინებულნი (ან გაცილებულები). ამ ცვლილებამ ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა ქორწინების შესწავლისა და პროგნოზირებისათვის.

1979 წლის აღწერის შედეგები გამოქვეყნდა ერთად ერთ ტომად, რომლის სარგებლიანობაც მხოლოდ პროპაგანდისტული მუშაობისათვისაც კი ძალიან საეჭვოა, ხოლო სხვა უფრო სერიოზული სამუშაოსთვის – მით უმეტეს. გრიფით „სამსახურებრივი სარგებლობისათვის“ გამოცემულ იქნა 10 ტომი.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა 1979 წლის აღწერის შედეგების ცალკეული ტომები და მათი ყიდვაც კი ადვილად შეიძლება თუმცა არა მაღაზიიდან (ჩვენი წიგნით ვაჭრობა ჯერ კიდევ არ ცდილობს ისწავლოს ახალ

კომერციულ პირობებში სამეცნიერო ლიტერატურით ვაჭრობა. იგი უპირატესობას ანიჭებს ივაჭროს სხვადასხვა, დიდი შრომის გარეშე, გასაყიდი გასართობი მაკულატურით). სტატისტიკური ლიტერატურის, მათ შორის აღწერის მასალების შექმნისათვის საჭიროა მიმართონ უშუალოდ რუსეთის სტატსახკომის გასაღების განყოფილებას. მაგრამ ძალიან მაღალი ფასები აფროთხოვენ მყიდველებს. როგორც ჩანს სტატსახკომიც არაა ძალიან დაინტერესებული თავისი ლიტერატურის გაყიდვით, რადგანაც საკმაოდ გულგრილად ეკიდება მისი თვითღირებულების და შესაბამისად ფასის შემცირებისაკენ მიმართულ ნებისმიერ წინადადებას.

მოსახლეობის მომდევნო და უკანასკნელი საკავშირო აღწერა ჩატარდა ზუსტად 10 წლის შემდეგ, 1989 წლის 12 იანვრის მდგომარეობით. თავისი მეთოდოლოგიური თვისებებით იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა აღწერისაგან. უპირველეს ყოვლისა 1926 წლის აღწერის შემდეგ ეს იყო არა მარტო მოსახლეობის, არამედ მისი საბინაო პირობების აღწერაც. ამასთან დაკავშირებით სააღწერო ფურცელში მნიშვნელოვნად, 16-დან 25-მდე, გაიზარდა კითხვების რიცხვი (18 კითხვა ეძღვნებოდა მოსახლეობას, კიდევ 7 საბინაო პირობებს). ისევე როგორც 1970 და 1979 წლის აღწერებში გამოიყენებოდა შერჩევითი მეთოდი, მოსახლეობის მეოთხედი გამოიკითხებოდა მთლიანად ყველა კითხვის მიხედვით, მაშინ როცა მოსახლეობის სამი მეოთხედი პასუხობდა 5 კითხვით ნაკლებს, ე.ი. 18 კითხვას. კითხვები ძირითადად იგივე იყო, რაც 1979 წლის აღწერისას, ზოგიერთი რედაქციული ცვლილებები განხილული იქნება ქვემოთ. 1979 წელთან შედარებით ორი ახალი კითხვა შეეხებოდა მოსახლეობის მიგრაციას.

1989 წლის აღწერის მასალები რამდენიმე წლის განმავლობაში მცირე მოცულობებით, საკმაოდ უსისტემოდ გამოიცემოდა. იმის თქმაც კი ძნელია თუ რამდენია ისინი. თავდაპირველად გამოიცა მოკლე შედეგების 5 გამოშვება, რომელიც **ნამდვილად მოკლე** მონაცემებს შეიცავდა სსრკ-სა და მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის რიცხოვნობისა და განსახლების შესახებ, მოსახლეობის სქესობრივი-ასაკობრივი, ქორწინებითი და ეროვნული შემადგენლობის შესახებ, მისი განათლების დონისა და ოჯახური შემადგენლობის შესახებ. შემდეგ გამოვიდა რამდენიმე მცირე ტომი იამვე, მაგრამ ცოტა უფრო დაწვრილებითი მონაცემებით.

1979 და 1989 წლის აღწერებს შუა პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი სიახლეები. პირველად იქნა ჩატარებული მოსახლეობის საკავშირო შერჩევითი

სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევა (თავდაპირველად ასეთი გრძელი სახელწოდება ჰქონდა მას), რომელსაც შემდგომ უბრალოდ სსრკ-ის მოსახლეობის მიკროაღწერა დაერქვა. 1985 წლის მიკროაღწერა ტარდებოდა 2 იანვრის მდგომარეობით და მოიცავდა სსრკ-ს მოსახლეობის 5%-ს. გამოკითხვის ბლანკი (კითხვარი) შედგებოდა 5 განყოფილებისაგან: ა) მოსახლეობის შემადგენლობა (სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, განათლების დონის, არსებობის საშუალებათა წყაროსა და ა.შ. მიხედვით); ბ) უფრო დაწვრილებით ვიდრე ა) განყოფილებაშია ცნობები ქორწინებაზე; გ) შობადობა; დ) საბინაო პირობები; ე) მოსახლეობის აზრი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად სახელმწიფოსაგან პირველი რიგის ღონისძიებების მიღების აუცილებლობის შესახებ. ხუთ განყოფილებაში სულ იყო 27 კითხვა (ანუ სხვაგვარად პუნქტი).

კითხვების უმეტესობა იგივე იყო რაც 1979 წლის აღწერისას, მაგრამ არ იყო კითხვები მშობლიურ ენაზე და სამუშაო ადგილისა და საქმიანობის შესახებ. იმავდროულად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქორწინებასა და შობადობის შესახებ კითხვების წრე. პირველად გაჩნდა აღწერაში (თუმცა მიკროაღწერაში), 45 წლამდე ასაკში მყოფი გათხოვილი ქალებისადმი მიმართული კითხვა, ბავშვების რიცხვის შესახებ, რომლებსაც ისინი ვარაუდობენ, რომ იყოლიონ. ახალი იყო კითხვა საშუალო თვიური შემოსავლების შესახებაც. მიკროაღწერის მომზადებისას ბევრი მეცნიერი აღწერაში ასეთი კითხვის ჩართვის წინააღმდეგი იყო ეჭვობდა, რა საიმედო ინფორმაციის მიღებას შემოსავლების შესახებ იმ ქვეყნის პირობებში, სადაც ნებისმიერი შრომითი საქმიანობა სახელმწიფო სექტორის გარდა იკიცხებოდა ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი აზრის მიერ.

მიუხედავად ამისა, საბოლოოდ კითხვა შემოსავლების შესახებ ჩართულ იქნა აღწერის პროგრამაში. მაგრამ შედეგები არ გამოქვეყნებულა, რაც ირიბად იმას ადასტურებს, რომ მათი არასაიმედოობა საკმაოდ აშკარად გამოემჟღავნა.

ასეთივე ბედი ეწვია მოსახლეობის აზრით ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ კითხვების ბლოკს. მისი მომზადების დროს რუსეთის ფედერაციის (რ.ფ.) სტატსახკომის მეთოდოლოგიურ კომისიაზე მიკროაღწერის პროგრამის განხილვისას ბევრი მეცნიერი ასევე ამ ბლოკის კითხვების წინააღმდეგიც იყო. თავიანთ წინააღმდეგობას ისინი იმ მოტივით ხსენებდნენ, რომ სააღწერო ბლანკში შემოთავაზებული პასუხების ვარიანტები, კითხვაზე იმის შესახებ, თუ

ცხოვრების რომელი მხარეების გაუმჯობესებაა სხვებზე უფრო ადრე საჭირო, ალტერნატიული არ იყო, არ იძლეოდა არჩევის შესაძლებლობას, რადგანაც ყველა მიეკუთვნებოდა პირველი რიგისას (ვარიანტები ასეთია: სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფა, საბინაო პირობების, სამრეწველო საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის, სამედიცინო მომსახურების, ტრანსპორტის მუშაობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება. ამ ნაკრებიდან საჭირო იყო მიეთითებინათ არა უმეტეს სამი მდგენელისა). ცხადია გამოკითხვისას მიღებულმა შედეგებმა დაადასტურეს მეცნიერთა ეჭვი. ამიტომ ისევე როგორ ცნობები შემოსავლების შესახებ, არ გამოქვეყნებულა. მათ შესახებ უბრალოდ „დაავიწყდათ“, ვითომ ისინი არც კი ყოფილიყვნენ.

1989 წლის აღწერიდან 5 წლის შემდეგ 1994 წელს კვლავ ჩატარდა მოსახლეობის მიკროაღწერა, ახლა უკვე სრულიად რუსეთის, 14 თებერვლის მდგომარეობით. ცხადია, 1985 წლის 2 იანვრის მდგომარეობით ჩატარებულმა მიკროაღწერის გამოცდილებამ აჩვენა აღწერის სადღესასწაულო დღეებში ჩატარების უხერხულობა (თუმცა აღწერის თარიღის შერჩევა წლის პირველ ან ბოლო დღეს აიოლებს ასაკობრივ სტრუქტურასთან დაკავშირებული დემოგრაფიული მანქვებლების მთელ რიგ გაანგარიშებებს. სტატისტიკოსებს მოუხდათ აღწერის თარიღის გადაწევა არა მარტო ახალი და ძველი ახალ წლის დღესასწაულებიდან, არამედ მოსწავლეებისა და სტუდენტების იანვრის არდადეგებიდანაც, როცა მოსახლეობის მოძრაობა იზრდება. თებერვლის შუა რიცხვები ამ მხრივ საიმედოა.

1994 წლის მიკროაღწერა არსებითად განსხვავდება ყველა წინა აღწერებისაგან, უპირველეს ყოვლისა კითხვების მნიშვნელოვნად უფრო ფართო წრით, რომლებიც 41 იყო (მათგან 36 პირადი ხასიათის ცნობები და 5 საბინაო პირობების შესახებ). ყველა აღწერისათვის ტრადიციული კითხვების სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნებისა და მშობლიური ენის, განათლების დონის და ა.შ. გარდა, იყო რიგი ახალი კითხვებიც. ასე მაგალითად, მშობლიური ენის შესახებ კითხვასთან ერთად პირველად ისმებოდა კითხვა სალაპარაკო ენაზე, ე.ი. იმ ენაზე, რომლითაც ადამიანი უპირატესად სარგებლობს ცხოვრებაში. ამასთან, ამ კითხვაზე საჭირო იყო სამი პასუხის გაცემა: რომელი ენით სარგებლობს ადამიანი უპირატესად თავის სახლში, სასწავლებელში (ან სკოლამდელ დაწესებულებაში) და სამუშაოზე.

ასევე შედარებით ახალი იყო ქორწინებაში ყოფნასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხის ვარიანტი: რეგისტრირებულია თუ არა ქორწინება (ბუნებრივია – ქორწინებაში მყოფებისათვის). შობადობის შესწავლისადმი მიძღვნილ კითხვებს შორის, ქალების მიერ დაგეგმილ (მოსალოდნელ) ბავშვთა რიცხვის შესახებ შეკითხვას პირველად დაემატა ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა მათ მიერვე განსაზღვრული ბავშვების სასურველი რიცხვის შესახებ. თუ რატომაა ეს კითხვა ძალიან მნიშვნელოვანი, თქვენ გაიგებთ 5 თავიდან.

რიგ კითხვებს ჰქონდათ დასაქმებისა და უმუშევრობის სხვადასხვა ასპექტების გამორკვევის მიზანი. ამავე თემას ეკუთვნის კითხვა საბაღე და სააგარაკე ნაკვეთების ან ბოსტნის ქონის შესახებ. სამწუხაროდ კვლავ იყო კითხვა შემოსავლების ჯამის შესახებ, მართალია 1985 წლის მიკროაღწერისაგან განსხვავებით საჭირო იყო მიეთითებინათ მხოლოდ 1994 წლის იანვრის შემოსავლის საერთო ჯამი. ჯერჯერობით უცნობი მიზეზების გამო ამ კითხვის პასუხები გამოქვეყნებული არაა: ან ეს შედეგები არასაიმედოა, ან მათი დამუშავება ჯერ არ დასრულებულა.

1999 წელს იყო დანიშნული მორიგი სრულიად რუსეთის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა (შემდეგ იგი გადატანილ იქნა იმავე წლის 10 ნოემბრისათვის, ხოლო შემდეგ კი 2001 წლის სექტემბრისათვის. ვფიქრობ ეს გარემოება ხელს არ უშლის მისი მეთოდოლოგიური პრინციპების შესწავლის მიზანშეწონილობას). მისი პროგრამა შედგება 31 კითხვისაგან; ქვეკითხვებით – 41 (23 კითხვა და 10 ქვეკითხვა – მოსახლეობის აღწერა, 8 კითხვა – საბინაო პირობების აღწერა) ომის შემდგომ აღწერებთან შედარებით იგი ყველაზე უფრო ვრცელია. ჩვენ მასზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ, ვიდრე მოსახლეობის წინა აღწერებზე და მის მაგალითზე განვიხილავთ მოსახლეობის აღწერის თეორიულ საკითხებს. მაგრამ თავდაპირველად გავარკვიოთ, თუ რა არის მოსახლეობის აღწერის პროგრამა საერთოდ.

2.1.5. მოსახლეობის აღწერის პროგრამა

მოსახლეობის აღწერის პროგრამა – ესაა მოსახლეობისადმი მიმართული კითხვების ჩამონათვალი. პროგრამის კითხვებზე პასუხების ჯამი ქმნის იმ ინფორმაციას მოსახლეობის შესახებ, რომელთა მიღებისთვისაც ტარდება აღწერა. ჩვეულებრივ აღწერის პროგრამის კითხვები მოცემულია სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ბლანკში, რომელიც მოსახლეობისაგან მიღებული პასუხების დათვლის ტექნიკის მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის, სიობრივი (ე.ი. ერთი ბლანკი რამდენიმე ადამიანზე) ან ინდივიდუალური ფორმის (ბლანკი ერთ ადამიანზე).

აღწერის პროგრამა დგება განსაზღვრული წესებითა და განსაზღვრული მოთხოვნებით, რომელთაგან ბევრი ჩვეულებრივია ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკვლევისათვის. სასურველია (მაგრამ არაა აუცილებელი), რომ კითხვების ნაწილი შინაარსითა და რედაქციით ზუსტად იმეორებდეს წინა აღწერების ანალოგიურ კითხვებს, რათა შესაძლებელი იყოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მახასიათებლების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გაზომვა. აუცილებელია საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებაც, რათა მივიღოთ ანალოგიურ საერთაშორისო მაჩვენებელთან შესადარი მონაცემები. პროგრამა მუშავდება მმართველობის ორგანოების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ აუცილებელ ინფორმაციაზე მოთხოვნილების გათვალისწინებით. ამასთან, ითვალისწინებენ მოსახლეობის აღწერების სპეციფიკას, ინფორმაციის სწორედ აღწერის გზით მიღების ღირებულებას, შეისწავლება მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან შედარებით ნაკლებად მასშტაბური და ძვირი, მაგრამ უფრო დაწვრილებითი

შერჩევითი გამოკვლევის ჩატარების გზით ვიდრე მოსახლეობის საყოველთაო აღწერაა, ტოლფასოვანი ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობა.

საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად მოსახლეობის აღწერის პროგრამაში ჩართული კითხვები ისეთი უნდა იყოს, რომ რესპოდენტებს (ე.ი. გამოსაკითხ პირებს) შეეძლოთ მათზე სრულიად სწორი პასუხების გაცემა. სხვაგვარად, რომ ვთქვათ კითხვები არ უნდა იყოს რთული გამოსაკითხთა უმრავლესობისათვის, არ უნდა იწვევდეს მოსახლეობაში შიშს (წინააღმდეგ შემთხვევაში აღწერა ჩაშლის საფრთხეში აღმოჩნდება). თავის მხრივ აღწერის კითხვები უნდა ითვალისწინებდნენ აგრეთვე მოსახლეობის განათლების საერთო დონეს, ეთნიკურ თავისებურებებს, მათ შორის ხალხურ ზნე-ჩვევებსა და ცრურწმენებსაც კი.

მოსახლეობის აღწერებში შეისწავლება შემდეგი საკითხები:

1) მოსახლეობის რიცხოვნობა და განაწილება ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით, ქალაქისა და სოფლის დასახლებული ადგილების ტიპების მიხედვით, მოსახლეობის მიგრაცია;

2) მოსახლეობის სტრუქტურა სქესის, ასაკის, ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით;

3) მოსახლეობის სტრუქტურა ეროვნული (ეთნიკური) კუთვნილების, მშობლიური და სალაპარაკო ენისა და მოქალაქეობის მიხედვით;

4) მოსახლეობის განაწილება განათლების დონის, არსებობის საშუალებათა წყაროების, სახალხო მეურნეობის დარგების (ეკონომიკური საქმიანობისაგან არსებობის საშუალებათა წყაროს მქონეებისათვის), დასაქმებისა და დასაქმებაში მდგომარეობის (ე.ი. სოციალური მდგომარეობის) მიხედვით;

5) ოჯახების რიცხვი და სტრუქტურა სოციალური მახასიათებლების მთელი კომპლექსის მიხედვით (სოციალური და ეთნიკური თვალსაზრისით ერთგვაროვანი და შერეული ოჯახები და ა.შ.);

6) შობადობა (გაჩენილი და მათგან აღწერის მომენტისათვის ცოცხალი ბავშვების რიცხვი), მდგომარეობა და მომავლის გეგმები ბავშვთა შობასთან დაკავშირებით;

7) მოსახლეობის საბინაო პირობები.

ესაა დროის მიხედვით ჩვენი სამამულო მოსახლეობის უკანასკნელი აღწერებისათვის დამახასიათებელი კითხვები. ზოგიერთ ქვეყნებში შეიძლება იყოს სხვა კითხვებიც ფიზიკური ნაკლოვანებების შესახებ, წარსულ ომებში

მონაწილეობის შესახებ (მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ომის შედეგების გაგენის შესწავლის მიზნით), მოსახლეობის ამა თუ იმ ცხოვრებისეული კეთილდღეობით უზრუნველყოფის დონის შესახებ და ა.შ. ჩვენი აღწერები ჯერ კიდევ ღარიბია შეგროვილი ინფორმაციის მოცულობის მიხედვით (რადგანაც ქვეყანაც ღარიბია – არ შეუძლია საკმარისი სახსრები გამოყოს მოსახლეობის აღწერებში ჩვენი ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტის გაშუქებისათვის). კერძოდ, ჩვენ უკვე ვეღარასოდეს ვეღარ გავიგებთ თუ როგორი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა ჩვენი მოსახლეობის მოკვდაობასა და ჯანმრთელობაზე, რადგანაც ომის შემდგომ სამამულო მოსახლეობის არც ერთ აღწერაში არ იყო შეკითხვა ამ ომში მონაწილეობის შესახებ.

2.1.6. სრულიად რუსეთის 1999 წლის მოსახლეობის აღწერის პროგრამა

როგორც უკვე ითქვა, იგი შედგება 31 კითხვისაგან (სააღწერო ფურცლის სამისამართო ნაწილის გარეშე) ქვეკითხვებით – 41-გან. მათგან 23 კითხვა ეძღვნება მოსახლეობის მახასიათებლებს, 8 საბინაო პირობების დახასიათებას. წინა აღწერებისაგან განსხვავებით პროგრამა ორფაზიანი შერჩევის სახითაა აგებული: 19 კითხვაზე პასუხობს მთელი მოსახლეობა, 25-ზე – მოსახლეობის მეოთხედი და კიდევ 6 კითხვაზე პასუხობენ მოსახლეობის მეოთხედის 5% (ამასთან მხოლოდ ვაჟებისა და ქალების იმ რიცხვიდან, რომლებიც იმყოფებიან, ან როდისმე იმყოფებოდნენ ქორწინებაში). 1999 წლის აღწერის მთელი პროგრამა მოთავსებულია 5 ცალკეულ ბლანკზე, რომლებიც თავის თავშივე მოიცავენ ინფორმაციის ტექნიკურ მატარებლებსაც (ე.ი. როგორც წინა ორ აღწერაში შეტანილი იქნებიან ელექტრონულ მანქანებში მათი ინფორმაციის დასათვლელად).

ბლანკი – „საცხოვრისში მცხოვრებთა სია და მათი საბინაო პირობები“. ამ ბლანკის ზედა ნაწილში მოთავსებულია სააღწერო ფურცლის ე.წ. სამისამართო ნაწილი. ამ ნაწილში ნაჩვენებია გამოსაკითხთა მისამართი, მათი გვარი, სახელი და მამის სახელი. შეიძლება მაშინვე გაჩნდეს კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება გამოსაკითხთა მისამართისა და გვარის მითითება აღწერის

ზემოთ ჩამოთვლილ ძირითად პრინციპებს, კერძოდ კი ანონიმურობის პრინციპს, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ინფორმაცია რაოდენ საძრახისადაც არ უნდა გამოიყურებოდეს იგი კანონისა და საზოგადოებრივი აზრის თვალში, სააღწერო პერსონალის მიერ დაცულია მასზე ნებისმიერი ხელყოფისაგან?

არა არ ეწინააღმდეგება. რესპოდენტების მისამართები სააღწერო ფურცელზე გამოიყენება მხოლოდ მთლიანი გაუპიროვნებელი სახით მოსახლეობის ქვეყნის ტერიტორიის, ქალაქისა და სოფლის მიხედვით განაწილებისა და რიცხოვნობის დათვლისათვის. და მხოლოდ მეორე რიგში, რესპოდენტის მისამართი გვართა და სახელით სააღმწერო პერსონალის მიერ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება რესპოდენტებთან კონტაქტისათვის (ვთქვათ მიღებული ცნობების დაზუსტებისათვის, ან შეცდომის გასწორებისათვის).

ბლანკ -ზე განლაგებულია აგრეთვე საცხოვრებელი პირობების დამახასიათებელი 8 კითხვა: საცხოვრისის ტიპი (ბინა, სახლი და ა.შ.) მისი ასაკი, კეთილმოწყობა, ვის საკუთრებაში იმყოფება, მისი ზომები და ა.შ. ამ ნაწილში 1999 წლის აღწერის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე იქნება კითხვა საცხოვრისში ტელეფონის არსებობის შესახებ. დღეს ტელეფონი – უკვე ფუფუნების საგანი კი არა, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობაა. ზოგჯერ ტელეფონის ქონაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული ადამიანის გადარჩენა (ვთქვათ გულის შეტევის დროს).

ბლანკი (მთლიანი აღწერა) გათვალისწინებულია ორი ადამიანის ჩასაწერად, შეიცავს 11 კითხვას.

კითხვა 1: ნათესაური კავშირი სახლთმეურნეობაში¹ პირველად ჩაწერილი პირის მიმართ. კითხვა გათვალისწინებულია ადამიანის ოჯახური მდგომარეობის განსაზღვრისათვის (ე.ი. ცხოვრობს იგი ოჯახში, თუ მარტო. ამ კითხვაზე პასუხის საფუძველზე განისაზღვრება ოჯახისა და მარტოხელა ადამიანების რიცხვი, ოჯახის ზომისა (ოჯახის წევრთა რიცხვის) და ტიპების (მარტივი და რთული და ა.შ.) მიხედვით განაწილება.

საუკუნის განმავლობაში მოსახლეობის სამამულო აღწერებში ამ კითხვის რედაქცია და გაგება არაერთხელ შეცვლილა. 1985 წლის მიკროაღწერამდე სააღწერო ფურცლის პირველ კითხვაში საჭირო იყო მიეთითებინათ ნათესაური კავშირი ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიმართ, რომელსაც თვითონ ოჯახი განსაზღვრავდა, როგორც „ოჯახის უფროსი“. ოჯახის უფროსის გაგებაც ასევე

1. ტერმინ „ -ს ჩვენ ქართულად ვთარგმნით როგორც „სახლთმეურნეობა“. სტატისტიკურ და სხვა ეკონომიკური ხასიათის ნაშრომებში კი „სახლთმეურნეობის“ ნაცვლად იყენებენ ტერმინს „შინამეურნეობა“, რაც მთლად ზუსტი ტერმინი არაა. ამის შესახებ იხილეთ: სახვაძე ა., ერთი რუსული დემოგრაფიული ტერმინის ქართული შესატყვისის შესახებ // ჟურნ. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია. 1989. №4. გვ. 113-115. „შინამეურნეობად“ კი ჩვენ ვთარგმნით რუსულ ტერმინ „ -ს. „ და „ სულაც არაა ერთი და იგივე შინაარსი ცნებები. „ -ს (სახლთმეურნეობის) შესახებ დაწვრილებით იხილეთ ამავე წიგნის მესამე თემის მეექვსე პარაგრაფი.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)
აღწერიდან აღწერამდე იცვლებოდა. 1939 წლის აღწერამდე ოჯახის უფროსის ცნება განისაზღვრებოდა პირდაპირ, როგორც ოჯახის არსებობის მთავარი საშუალებებით უზრუნველმყოფი და მასზე ძირითადი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი. მომდევნო წლებში ოჯახის უფროსის ცნებამ რეალური აზრი დაკარგა და მოსახლეობის აღწერებში მისი გამოყენება ფორმალური, სუფთა სამსახურეობრივი გახდა, მხოლოდ ოჯახის დანარჩენი წევრების მის გარშემო დასაჯგუფებლად და ამგვარად მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობის განსაზღვრისათვის. შემოსავლის დონის მიხედვით, სამართლებრივი ნორმებით ან სხვა რომელიმე ფორმალური ნიშნის მიხედვით ქმარი და ცოლი ოჯახში ერთმანეთისაგან აღარ განსხვავდება. ქმრების უმრავლესობამ დაკარგა ოჯახის მატერიალურად შენახვის შესაძლებლობა და ოჯახის უფროსის ცნება მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური (ე.ი. ხასიათის და არა რომელიმე ეკონომიკური, ან იურიდიული ფაქტორების) თვისება გახდა.

ამასობაში კი ხალხის უმრავლესობა ოჯახის ცნებას ტრადიციულად განმარტავდა, მათ შორის მოსახლეობის აღწერების მეთოდოლოგიის ცუდად მცოდნე ზოგიერთი სოციოლოგიც. ამას, სხვათაშორის, თავად სტატისტიკოსები უწყობდნენ ხელს, რომლებმაც გამოაქვეყნეს, კერძოდ კი 1959 წლის აღწერის მასალებში, **ოჯახის უფროსთა** (ე.ი. ოჯახის უფროსის ცნების რეალური და არა ნომინალური გაგებით) სქესისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით დიფერენცირებული, ოჯახების რიცხვთა განაწილება. სტატისტიკოსების შეცდომამ გამოიწვია სოციოლოგთა რიგი პუბლიკაციები, რომლებშიც გაანალიზებული იყო საბჭოთა ოჯახის ცვლილება, მათ შორის ოჯახის უფროსის სქესიდან გამომდინარე. მათ მიერ აღნიშნული, კერძოდ კი, ოჯახების რიცხვის ზრდა, რომელშიც ოჯახის უფროსებად აღნიშნული იყვნენ ქალები, განიმარტებოდა, როგორც თითქოსდა ქალთა ემანსიპაციის ზრდის შედეგი. სინამდვილეში კი, ეს იყო საბჭოთა ოჯახის უკეთური მდგომარეობის დასტური,

არასრული ოჯახების რიცხვის ზრდის შედეგი, რომელშიც მარტოხელა ქალი ქვრივი, განქორწინებული ან გაუთხოვარი – ბავშვებს მამაკაცის გარეშე ზრდიდა და ამიტომ ფორმალურადაც კი არ შეეძლო, მიეთითებინა ვინმე ოჯახის უფროსის რანგში საკუთარი თავის გარდა.

ჯერ კიდევ 1968 წელს, სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე გამოსვლისას დემოგრაფი არონ იაკობის-ძე ბოიარსკი (1906-1985) სთავაზობდა, რომ შეეცვალოთ „ოჯახის უფროსის“ ფორმალური ცნება უფრო სამუშაო ცნებით „ოჯახის, პირველად ჩაწერილი წევრი“¹. მაგრამ ეს წინადადება მაშინ არ იქნა მიღებული და პირველად მხოლოდ 1985 წლის მიკროაღწერაში იქნა რეალიზებული.

კითხვა 2: სქესი. სააღწერო ფურცელზე მიეთითება ნაჭდევით. მგონი ერთადერთი კითხვაა, რომელზეც პასუხიც ჯერჯერობით არავითარ პრობლემას არ იწვევს (ცნობილია, რომ გვხვდება გართულების შემთხვევები თავისი სქესის იდენტიფიცირებისას, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ძალიან იშვიათია და მინდა მჯეროდეს, რომ კიდევ დიდხანს ასეთად დარჩება).

კითხვა 3: დაბადების თარიღი. მოწოდებულია ადამიანის ასაკის ფიქსირებისათვის და საბოლოოდ – მე-2 კითხვასთან შესაბამისობაში – კი მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის განსაზღვრისათვის. 1979 წლის აღწერამდე კითხვა ასაკის შესახებ სხვა რედაქციით ისმებოდა, კერძოდ კი შესრულებულ წელთა რიცხვის შესახებ. რადგანაც ბევრი ადამიანი მნიშვნელობას არ ანიჭებს ასაკის ზუსტ მითითებას (წინათ კი ბევრ ხალხს არც კი ახსოვდა თავისი ზუსტი ასაკი), ისინი მას მიახლოებით მიუთითებდნენ, ხშირად დამრგვალებულად, რაც დეფორმირებულად აისახებოდა ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემებზე. განუწყვეტლივ ცვალებადი ასაკისაგან განსხვავებით, დაბადების თარიღი მუდმივი ნიშანია და მისი დამახსოვრება ადვილია.

კითხვა 4: დაბადების ადგილი. სხვა მონაცემებთან ერთად ამ კითხვაზე პასუხები ახასიათებენ მოსახლეობის მიგრაციას.

კითხვა 5: მშობლიური ენა. უკვე რამდენიმე ათწლეულია რაც მეცნიერებს შორის ეს კითხვა დიდ კამათს იწვევს. გაურკვეველია რისთვისაა იგი განკუთვნილი და კერძოდ, რა უნდა დაახასიათოს მან. აქამდე გაურკვეველია თუ რა არის „მშობლიური ენა“ და როგორ უნდა განისაზღვროს იგი. სააღწერო პერსონალისათვის, პროპაგანდისტებისათვის და მოსახლეობისათვის განკუთვნილ განმარტებით მასალებში თუ ჩავიხედავთ (თუნდაც 1989 წლის აღწერის მომზადებისათვის გამოცემულ ბროშურაში), მაშინ აღმოვაჩინოთ, რომ

მშობლიურ ენად იქ რეკომენდებულია დაასახელონ ენა, რომელიც ადამიანმა ყველაზე უკეთ იცის, ან ჩვეულებრივ იყენებს ოჯახში, ე.ი. სალაპარაკო ენა². მშობლიური ენის მონაცემების პრაქტიკული მნიშვნელობაც ასევე გაურკვეველია. მოსახლეობის

-
1. 22-26 1968 . . . , 1969. C. 306-307.
 2. 1989 . . . , 1987. C.32.

აღწერების ყველა სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ მოსახლეობის აღწერებში ენის შესწავლა ითვალისწინებს ამა თუ იმ ენით მოსარგებლე ხალხის რიცხოვნობის განსაზღვრას, რათა ეს მონაცემები გამოიყენონ ეროვნულ ენაზე წიგნებისა და გაზეთების ტირაჟების განსაზღვრისათვის, ეროვნული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების მომზადებისათვის, მასწავლებლების მომზადებისათვის და ა.შ. მაგრამ ყველაფერი ამისათვის საჭიროა მონაცემები იმ ხალხის რიცხოვნობის შესახებ, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში სარგებლობენ ამა თუ იმ ენით.

ამ ასპექტით საინტერესო სიახლე იყო გამოყენებული 1994 წლის მიკრო აღწერისას. მასში მშობლიური ენისა და სხვა ენის შესახებ, რომელსაც თავისუფლად ფლობს გამოსაკითხი პირი, ეძლეოდათ კითხვა იმ ენის შესახებაც, რომლითაც უპირატესად სარგებლობდა გამოსაკითხი პირი. ამასთან, საჭირო იყო მიეთითებინა, თუ უპირატესად რომელი ენით სარგებლობს ადამიანი თავის სახლში, ოჯახში, რომლით – სამუშაოზე, სასწავლო თუ სკოლამდელ დაწესებულებაში. სამწუხაროდ, მონაცემები ამ კითხვების პასუხების განაწილებაზე ჯერ არ გამოქვეყნებულა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ენის შესახებ კითხვის სწორედ ასე დასმა იმსახურებს გამეორებას. მშობლიური ენა კი ამოღებულ უნდა იქნას სააღწერო ფურცლიდან. ასეთი წინადადება უკვე დიდი ხნის წინათ იქნა შეტანილი თვალსაჩინო სპეციალისტ-ეთნოგრაფების ს.ი. ბრუკისა და ვ.ი. კოზლოვის¹, დემოგრაფების ბ.ც. ურლანის, ა.გ. ვოლკოვის და სხვათა მიერ. მაგრამ ჯერჯერობით წარუმატებლად, თუმცა არავითარი სერიოზული არგუმენტაცია „მშობლიური ენის“ დასაცავად ჯერ კიდევ არავის არ მოუტანია.

კითხვა 6: მოქალაქეობა. კითხვა მე მარტივად მეჩვენება და ვფიქრობ, რომ არ საჭიროებს ახსნა-განმარტებას.

კითხვა 7: რომელ ეროვნებას, ერს ან ეთნიკურ ჯგუფს აკუთვნებთ თავს. მოსახლეობის აღწერის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე „ფაქიზი“ კითხვაა, განსაკუთრებით ამჟამად, როცა გაიზარდა ბევრი ხალხების ეროვნული თვითშეგნება და ეთნიკური ავტონომიურობისადმი ღტოლვა. ბუნებრივია, კითხვა გათვალისწინებულია, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრისათვის.

1.
// «, 1968. №3. C. 32-37
1968 . //

22-26 1968, 1969. C. 227-228.
1897 წლის გარდა ყველა ჩვენ აღწერაში ეროვნება (ეთნიკური კუთვნილება) განისაზღვრებოდა გამოსაკითხთა ეთნიკური თვითშეგნების საფუძველზე. სააღწერო ფურცლებში ჩაიწერება ის ეროვნება, რომელსაც ხალხი თავისი შეხედულებისამებრ უთითებს, ამაზე „ობიექტური“ საფუძვლისაგან დამოუკიდებლად (ჩანაწერი პასპორტში, მშობლების ეროვნება, დაბადების ადგილი და ა.შ.). ამ თვისებით „სააღწერო“ ეროვნება განსხვავდება „ფორმალური“, „საპასპორტო“ ეროვნებისაგან.

ისტორიის საბჭოთა პერიოდში და დღემდეც სამამულო ეთნოგრაფია ეთნიკურ კუთვნილებას ყოველთვის განიხილავდა, როგორც კულტურულ-ისტორიულ ნიშანს, როგორც ფსიქოლოგიის და არა ბიოლოგიის ატრიბუტს. ამით ეროვნების კატეგორია განსხვავდება ისეთი კატეგორიისაგან, როგორიცაა რასა. რუსეთის ფედერაციის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 26-ე სტატია იუწყება: „თითოეულს აქვს უფლება განსაზღვროს და მიუთითოს თავისი ეროვნული კუთვნილება. თავისი ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისა და მითითებისათვის არავის იძულება არ შეიძლება“¹. უდაოდ, განსაზღვრულ ხალხთან ერთიანობის მკაფიოდ გაცნობიერებული გრძნობის მქონე ბევრი ხალხი არსებობს. მაგრამ, ასევე უეჭველია, რომ თავისი არსით ზენაციონალური, კოსმოპოლიტიკური, ინდუსტრიული ცივილიზაციის განვითარება წარმოშობს აშკარად მზარდ, მაგრამ რაოდენობრივად ჯერ ჩვენთვის უცნობ ადამიანთა სიმრავლეს, რომლებსაც ეთნიკური კუთვნილების გრძნობა დაქვეითებული აქვთ, ან საერთოდ არ გააჩნიათ. დროა ამ პროცესს მივაქციოთ ყურადღება, მათ შორის მოსახლეობის აღწერების მეშვეობითაც, მიუხედავად იმისა თუ როგორ ვუყურებთ ამ პროცესს.

1999 წლის აღწერის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს რესპოდენტისათვის შესაძლებლობა, რომ არ მიუთითოს არც ერთი ეროვნება, თუკი მას იგი არ გააჩნია (ე.ი. თუ იგი ფსიქოლოგიურად არ გრძნობს ერთიანობას არც ერთ ეროვნებასთან ან ხალხთან). მოსახლეობის სამამულო აღწერებში პირველად 1999 წლის მოსახლეობის აღწერის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციაში ჩაწერილია, რომ პირებს, რომლებიც თავიანთ თავს არ

აკუთვნებენ რომელიმე ეროვნებას, ხალხს, ან ეთნიკურ ჯგუფს, ამ კითხვაზე ჩაეწერებათ „არა“.

კითხვა 8: ქორწინებითი მდგომარეობა. კითხვა გათვალისწინებულია

1.

12

1999 . M., 1993 C.12.

მოსახლეობის სტრუქტურის ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით დასახასიათებლად. 1979 წლის აღწერიდან დაწყებული, ამ კითხვაზე პასუხი ითვალისწინებს მდგომარეობის 5 ვარიანტს. არასდროს არ იმყოფებოდა ქორწინებაში, აღწერის მომენტში იმყოფება ქორწინებაში, ქვრივი, განქორწინებული ან გაცილებული. ორ უკანასკნელ კატეგორიას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ განქორწინებულთა კატეგორია ეკუთვნის მათ, ვინც იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ როცა გაცილებულთა (გაშორებულთა) კი – მათ, ვინც იმყოფებოდა ფაქტიურ (ე.ი. მმანის ორგანოებში არა რეგისტრირებულ) ქორწინებაში. 1897 და 1920 წლების აღწერებში აღირიცხებოდა მხოლოდ იურიდიულად გაფორმებული ქორწინებითი მდგომარეობა, ხოლო შემდგომ აღწერებში კი აღირიცხებოდა გამოსაკითხთა თვითგამორკვევით, მათი რეგისტრაციისაგან დამოუკიდებლად არსებული ქორწინებითი მდგომარეობა.

სამოცდაათწლიანი შესვენების შემდეგ ბოლოს და ბოლოს 1994 წლის მიკროაღწერაში ქორწინებაში ყოფნასთან დაკავშირებულ კითხვას დაემატა ქვეკითხვა: რეგისტრირებული თუ არა ქორწინება. ამ ქვეკითხვის მიზანია – შეისწავლოს ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურ ქორწინებათა გავრცელებულობა. 1994 წლის მიკროაღწერის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ გავრცელებული აზრის მიუხედავად ჩვენთან ფაქტიური ქორწინებები შეადგენენ ქორწინებით კავშირთა საერთო რიცხვის მხოლოდ 6-8%-ს. მიუხედავად ამისა, ქვეკითხვა, რეგისტრირებულია თუ არა ქორწინება, ჩართულია 1999 წლის აღწერის პროგრამაში.

მე-9 და მე-10 კითხვები ეძღვნება მოსახლეობის განათლების დონისა და შესაბამისად მოსახლეობის განათლების დონის მიხედვით შემადგენლობის დასახასიათებლად. მე-10 კითხვაში ძალიან მნიშვნელოვანია ქვეკითხვა სკოლამდელი ბავშვების საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში სიარულის შესახებ. აღწერის პროგრამის სხვა კითხვებთან ერთად ჩვენ პირველად გავიგებთ არა მარტო სკოლამდელ დაწესებულებებში მოსიარულე ბავშვების რიცხვს – ეს

შეიძლება საადრიცხვო დოკუმენტიდანაც გავიგოთ, არამედ ამ დაწესებულებაში მოასიარულე ბავშვებისა და მათი მშობლების სოციალურ მახასიათებლებს.

კითხვა 11: არსებობის საშუალებათა წყაროები. ამ კითხვაზე პასუხები ახასიათებენ მოსახლეობის განაწილებას არსებობის საშუალებათა წყაროების მიხედვით. ამ კითხვით ამოიწურება მოსახლეობის, მთლიანი აღწერის ნაწილი. 1989 წლის აღწერამდე სააღწერო ფურცელზე შეიძლებოდა მიეთითებინათ არსებობის მხოლოდ ერთი (ძირითადი) წყარო. 1989 წლის აღწერაში – არა უმეტეს ორი წყაროსი. ახლა 1999 წლის აღწერაში შეიძლება მიეთითოს არსებობის საშუალებათ რამდენიმე (რამდენიც არის) წყარო.

ბლანკი (შერჩევითი აღწერა). აქ შედის აგრეთვე 11 კითხვა ბლანკიდან და კიდევ დამატებული 6 კითხვა (12-17).

კითხვა 12: ძირითადი საქმიანობა. ეკონომიკური აზრით, საქმიანობას მიეკუთვნება არსებობის საშუალებების მომცემი ქმედება. ამ შემთხვევაში მიეთითება თანამდებობა ან შესრულებული სამუშაო. შეთავსებით მომუშავეებს ჩაეწერებათ მხოლოდ ერთი საქმიანობა, რომელსაც თავად გამოსაკითხი პირი თვლის ძირითადად. ამ კითხვაზე პასუხებით მიიღება მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით განაწილება.

კითხვა 13: სამუშაო ადგილი. მიეთითება საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) სახელწოდება და მისამართი. ამასთან, საწარმოს დასახელება ისეთნაირად უნდა იყოს მითითებული, რომ გვიხსნიდეს ამ საწარმოს დარგს და ეკონომიკური საქმიანობის სახეს. ბევრ საწარმოს ხატოვანი დასახელება აქვს „წითელი სამკუთხედი“, „სვეტლანა“ და ა.შ. ზოგჯერ სიჩქარეში რეგისტრატორი პირდაპირ, გამოსაკითხის პასუხის მიხედვით, წერს სააღწერო ფურცელში საწარმოს დასახელებას. სინამდვილეში კი საწარმოს დასახელება უნდა ჩაიწეროს ისე, რომ ნათელი იყოს საქმიანობის სახე და სახალხო მეურნეობის გარკვეულ დარგისადმი კუთვნილება. ვთქვათ, არა „წითელი სამკუთხედი“, არამედ რეზინის ქარხანა. ამ კითხვაზე პასუხებით დებულობენ მონაცემებს მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით განაწილებაზე, სახალხო მეურნეობის დარგებისა და (საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის შესამებით) – მოსახლეობის ქანქარისებური მიგრაციის შესახებ (ე.ი. ხალხის სახლიდან სამუშაოზე, სასწავლებლად და ა.შ. მოძრაობაზე).

კითხვა 14: მდგომარეობა საქმიანობაში. ეს ახალი კითხვაა ჩვენს აღწერებში. ფაქტიურად მან შეცვალა კითხვა საზოგადოებრივი ჯგუფისადმი კუთვნილების შესახებ (მუშა, კოლმეურნე, მომსახურე), რომელიც ახლა

გაუქმებულია (პრიმიტიულობისა და მცირე ინფორმაციულობის მიზეზით. ახლა სოციოლოგები ამუშავებენ ახალ მიდგომებს სოციალური სტრუქტურის განსაზღვრისათვის და უკვე არის პირველი საინტერესო შრომები). საქმიანობაში მდგომარეობის შესახებ კითხვებზე პასუხების განაწილება საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მონაცემები დაქირავებით და სამეწარმეო საქმიანობით, კოოპერატივებში, საკუთარ მეურნეობაში და ა.შ. დასაქმებულთა შესახებ, სხვა ნიშნებით ან შეთანხმებით მივიღოთ წარმოდგენა ჩვენი საზოგადოების რეალური სოციალური სტრუქტურის შესახებ.

კითხვა 15: 16 წლისა და უფროს ასაკში მყოფმა სამუშაოს, ან შემოსავლიანი საქმიანობის არ მქონებმა მიუთითეთ: ა) ეძებთ თუ არა სამუშაოს; ბ) მისდევთ თუ არა შინამეურნეობას. კითხვა განსაზღვრულია უმუშევრობის შესასწავლად. ბ) ქვეკითხვა მე არც თუ მთლად მოხერხებულად მეჩვენება. ალბათ, ავტორებს უნდოდათ აღწერის მომენტისათვის არსებობისათვის სახსრების მომცემი სამუშაოს არმქონე ადამიანისათვის ეკითხათ, ეძებს თუ არა იგი სამუშაოს, თუ დაკავებულია მხოლოდ თავისი შინამეურნეობით. მაგრამ თუ ჩაუვკვირდებით სხვა აზრი მიიღება. წავიკითხოთ კიდევ ერთხელ. მისდევთ თუ არა შინამეურნეობას? მაგრამ შინამეურნეობას მისდევს ყველა, ვისაც კი ეს მეურნეობა გააჩნია, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა მათ არსებობის საშუალებების მომცემი სამუშაო. ვფიქრობ, საჭიროა ამ კითხვის რედაქციის დაზუსტებაზე წამუშავება.

კითხვა 16: დაბადებიდან უწყვეტად ცხოვრობთ მოცემულ დასახლებულ პუნქტში? 4 საინტერესო ქვეკითხვის შეხამებით მოწოდებულია დაახასიათოს მოსახლეობის მიგრაცია, მათ შორის ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობა და მახასიათებლები.

კითხვა 17: ქალებისათვის მიუთითეთ: ა) რამდენი ბავშვი გააჩინა; ბ) მათგან რამდენია ცოცხალი; გ) რამდენი ცხოვრობს ცალკე. ქვეკითხვებთან ერთად ეს კითხვა მოწოდებულია შობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის სოციალური დიფერენციაციის შესწავლისათვის.

ბლანკი P (შერჩევითი აღწერა): ქორწინებისა და შობადობის გამოკვლევის ბლანკი. 4 კითხვა მიძღვნილია ქორწინების და 2 კითხვა კი – შობადობის სიღრმისეული შესწავლისათვის. ამ ბლანკით გათვალისწინებულია იმ ხალხის 5%-ის გამოკითხვა, რომლებიც მოხვდნენ 25%-იან შერჩევაში¹, ე.ი. საბოლოო ჯამში, სადღაც მთელი მოსახლეობის რიხოვნობის 1%-მდე.

მიუხედავად ამისა, ამ ბლანკმა 1995 წლის ნოემბერში სრულიად რუსეთის სტატისტიკოსთა თათბირის ბევრი მონაწილის მხრიდან დიდი თავდასხმა გამოიწვია, რომლებიც

1. 1999 //, 1997, №3. C. 26.

გამოვიდნენ წინადადებით, რომ სააღწერო პერსონალის დიდი დატვირთვის გამო ეს ბლანკი აღწერის პროგრამიდან ამოეღოთ. ძირითადად თავდასხმა მოდიოდა სამეურნეო დარგების სტატისტიკოსებისაგან, რომლებსაც კავშირი არა აქვთ ჩვენს ქვეყანაში ოჯახის პრობლემების შესწავლასთან, მეცნიერებისაგან შორს დგანან და არ გააჩნიათ ამ საკითხებისადმი ინტერესი. როცა ეს წიგნი იწერებოდა P ბლანკის ბედი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

დასასრულს შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მართალია ნელა, მაგრამ ქვეყნის შემრყევი ყველა ეკონომიკური და პოლიტიკური კოლიზიის მიუხედავად, ჩვენი აღწერები განუხრელად ვითარდებიან პროგრესირებენ. იმედია, რომ ახალი აღწერაც წარმატებით ჩაივლის.

შედარებისათვის ავღნიშნავთ, რომ მოსახლეობისა და საბინაო პირობების აღწერის პროგრამა ა.შ.შ-ში 1990 წელს შედგებოდა 71 კითხვისაგან (39 კითხვა ეძღვნებოდა მოსახლეობის დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს, 32 – საბინაო პირობების დახასიათებას). 1990 წლის აღწერა ა.შ.შ-ში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 10,45 დოლარი დაჯდა. ჩვენი 1989 წლის აღწერა – შესაბამისად 88 კაპიკი¹ (შესაბამისი წლის ფასებით). ასე რომ ჩვენ კიდევ გვაქვს განვითარების რეზერვები.

მიუხედავად, ჩვენი მოსახლეობის აღწერების შედარებით სიღარიბისა, ისინი საზოგადოების შესახებ ინფორმაციის უზარმაზარ რაოდენობას შეიცავენ, რომლებიც ჩვენი საზოგადოებათმცოდნეების მიერ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან მცირედ გამოიყენება.

1. 1999 //, 1997, №3. C. 22.

2.1.6^ა. სსქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა (სააღწერო ფურცლის სამისამართო ნაწილის გარეშე) შედგება 28 კითხვისაგან. მათგან 17 კითხვა ეძღვნება მოსახლეობის მახასიათებლებს, 5 მათ მიგრაციას და 6 კითხვა – საბინაო პირობების დახასიათებას. წინა აღწერისაგან განსხვავებით 2002 წლის აღწერაში არაა გათვალისწინებული შერჩევითი მეთოდის გამოყენება, ანუ თითოეულ ადამიანს დაესმის ყველა 28-ვე კითხვა. 2002 წლის აღწერის მთელი პროგრამა მოთავსებულია სამ ცალკეულ ორმხრივ ბლანკზე, რომლებიც დამტკიცებულია საქსტატის 2001 წლის 2 თებერვლის №19 ბრძანებით, და თავის თავშივე მოიცავენ ინფორმაციის ტექნიკურ მატარებლებსაც (ე.ი. როგორც წინა ორ აღწერაში შეტანილ იქნებიან ელექტრონულ მანქანებში მათი ინფორმაციის დასათვლელად).

ბლანკზე მითითებულია აღნიშვნების დასმის ნიმუში, რომელიც კითხვის შესაძლო პასუხების გასწვრივ არსებულ ცარიელ კვადრატში □ დიაგონალების გავლებას გულისხმობს.

ბლანკი ფორმა 1. – **საცხოვრისში მცხოვრებთა სია და მათი საბინაო პირობები**. ამ ბლანკის ზედა ნაწილში მოთავსებულია სააღწერო ფურცლის ე.წ. სამისამართო ნაწილში. ამ ნაწილში ნაჩვენებია: სააღწერო სექტორის, საინსტრუქტორო უბნის, სააღწერო უბნის, საცხოვრისში მცხოვრებთა სიისა და ბლანკის ნომრები; ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ქალაქის, დაბის, სოფლის საკრებულოს, სოფლის, დაწესებულების მისამართი.

ფორმა 1 შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველი ესაა: „I. საცხოვრისში მცხოვრებთა სია“, რომელიც შეიცავს გამოსაკითხი პირების გვარს, სახელს, მამის სახელს, მათ რიგით ნომერს საცხოვრისისა და შინამეურნეობის ფარგლებში. გარდა ამისა, მასში არის ცნობები საცხოვრისში დროებით არმყოფი და დროებით მცხოვრები პირების შესახებ. ამასთან, აქვე აღინიშნება დროებით არყოფნისა და დროებით ცხოვრების მიზეზები და ხანგრძლივობა თვეებში. მეორე განყოფილება, რომლის სახელწოდებაცაა: „II. მოსახლეობის საბინაო პირობები“, გათვალისწინებულია შინამეურნეობებზე შესავსებად. ამიტომ აქ აღნიშნულია შინამეურნეობის პირველი წევრის რიგითი ნომერი საცხოვრისის ფარგლებში. თითოეულ ბლანკზე ივსება მონაცემები სამი შინამეურნეობის შესახებ.

ფორმა 1-ის II განყოფილებაში განლაგებულია აგრეთვე საცხოვრებელი პირობების დამახასიათებელი ექვსი კითხვა:

1ს. სახლის აშენების პერიოდი. (1941 წლამდე; 1941-1960წწ; 1961-1980წწ; 1981-1990წწ; 1991 და შემდეგ).

2ს. საცხოვრებლის ტიპი. (ინდივიდუალური სახლი; ინდივიდუალური სახლის ნაწილი; ცალკე ბინა; საერთო (კომუნალური) ბინა; საერთო საცხოვრებელი; სხვა ინსტიტუციონალური

დაწესებულება; სასტუმრო, დასასვენებელი სახლი და სხვა; სხვაგვარი საცხოვრისი; საცხოვრებლად გამოყენებული არასაცხოვრისი).

3ს. საცხოვრისის საკუთრების ფორმა. (შინამეურნეობის (ან მისი რომელიმე წევრის) ინდივიდუალური საკუთრება; მუნიციპალური საკუთრება; სახელმწიფო, საუწყებო (სამინისტროს, უწყების) საკუთრება; ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრება; ქირაობს საცხოვრისს; უსახლკარო).

4ს. საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა. (აღინიშნება ოთახების რიცხვი ან ოთახის ნაწილი).

5ს. ფართობის სიდიდე (კვ.მ). აღინიშნება საერთო და საცხოვრებელი ფართობის სიდიდე კვ. მეტრებში.

6ს. საცხოვრისის კეთილმოწყობა. (ელექტრო განათება; ბუნებრივი გაზი; თხევადი გაზი; ცენტრალური გათბობა; ინდივიდუალური საქვაბე; ღუმელი; წყალსადენი; კანალიზაცია; აბაზანა ან შხაპი; ცხელი წყლით მომარაგება ინდივიდუალური წყალგამაცხელებლებიდან; ტელეფონი; კეთილმოწყობის არც ერთი სახე არ არის).

ბლანკი – ფორმა „სააღწერო ფურცელი“ გათვალისწინებულია ერთი ადამიანის ჩასაწერად, იგი შეიცავს 17 კითხვას. მასში სამისამართო ნაწილთან ერთად აღინიშნება გამოსაკითხი პირის გვარი და ინიციალები.

კითხვა 1: ნათესაური დამოკიდებულება შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირის მიმართ. ამ კითხვაზე გათვალისწინებულია 11 შესაძლო პასუხი. ესენია: შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირი; მეუღლე; შვილი; დედის (მამის) № შინამეურნეობის ფარგლებში: დედა; მამა; და; ძმა; რძალი; სიძე; დედამთილი, მამამთილი, სიდედრი, სიმამრი; ბებია; ბაბუა; შვილიშვილი; სხვა ნათესავი; მოყვარე; არანათესავი.

კითხვა 2.: სქესი (მამრობითი; მდედრობითი).

კითხვა 3: დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი, შესრულებულ წელთა რიცხვი).

კითხვა 4: დაბადების ადგილი (სახელმწიფო, ქალაქი, რაიონი). ღია კითხვაა და ივსება სიტყვიერად.

კითხვა 5: მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტად ცხოვრობს: (დაბადებიდან – დიახ, არა). იმათგან ვინც მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტად არ ცხოვრობს მიეთითება: ა) წელი, რომლიდანაც აქ უწყვეტად ცხოვრობს; ბ) წინა საცხოვრებელი ადგილი (სახელმწიფოს, რაიონის, ქალაქის დასახლებების მითებით); გ) რომელი დასახლებული პუნქტიდან ჩამოვიდა (ქალაქიდან, სოფლიდან); დ) არის თუ არა იძულებით ადგილნაცვალი? (დიახ, არა).

კითხვა 6: ეროვნება. (ქართველი, აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, რუსი, სომეხი). აქ ვვა დატოვებული ადგილი სხვა დანარჩენი ეროვნების აღნიშვნისათვის.

კითხვა 7: მშობლიური ენა. (თავისი ეროვნების). ამ კითხვას აქვს ქვეკითხვაც – „მიეთითოს აგრეთვე სხვა ენა, რომელსაც თავისუფლად ფლობს“ (თავისი ეროვნებით). აქვე დატოვებულია ადგილი იმ სხვა ენების აღსანიშნავად, რომელსაც თავისუფლად ფლობს გამოსაკითხი პირი.

კითხვა 8: მოქალაქეობა. (საქართველოს; მოქალაქეობის გარეშე; სხვა სახელმწიფოსი (მიეთითოს)).

კითხვა 9: სარწმუნოება. (მართმადიდებლური, კათოლიკური; სომხური – მონოფიზიტური; იუდეისტური; მაჰმადიანური; სხვა; არცერთი). 1897 და 1937 წლის შემდეგ ეს კითხვა პირველად დასმული საქართველოში და შესაბამისად ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერების პროგრამებში. ამ კითხვაზე პასუხებით მიიღება ცნობები საქართველოს მოსახლეობის რელიგიური (ან ათეისტური) კუთვნილების შესახებ, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება ამ კითხვის სხვა კითხვებთან (ქორწინება, შვილიანობა) ურთიერთკავშირში დამუშავებას, რაც მდიდარ მასალას მისცემს მკვლევარებს მოსახლეობის

რელიგიურ კუთვნილებასა და მათი შვილიანობის დონეებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად.

კითხვა 10: ივსება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის და ფორმულირებულია შემდეგნაირად: „დადის თუ არა სკოლამდელ დაწესებულებაში“ (დიახ; არა).

კითხვა 11: სწავლობს თუ არა ამჟამად (დიახ; არა), ივსება მხოლოდ 6 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის.

კითხვა 12: განათლების დონე (უმაღლესი; დაუმთავრებელი უმაღლესი; საშუალო პროფესიული; დაწყებითი პროფესიული; საშუალო სრული ზოგადი; საბაზო ზოგადი; დაწყებითი ზოგადი; არა აქვს დაწყებითი, მაგრამ შეუძლია წერა და კითხვა; წერა-კითხვის უცოდინარი). ამ კითხვას აქვს ორი ქვეკითხვა; ერთი: „განათლების დონის შესაბამისი პროფესია“, რომელიც ღია კითხვაა და უნდა მიეთითოს და მეორე: „სამეცნიერო ხარისხის მქონეთათვის“ აღინიშნება მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი. ასეთი ქვეკითხვები აღწერის პროგრამის ამ ტრადიციულ კითხვაში პირველადაა გამოყენებული და მიზნად ისახავს მოსახლეობის განათლების დონის დაწვრილებით შესწავლას.

კითხვა 13: ქორწინება. ეს კითხვა ივსება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის. მის პასუხებად დასახელებულია ქორწინებითი მდგომარეობს ყველა შესაძლო ვარიანტი (დაქორწინებული; (დაქორწინებულთათვის უნდა მიეთითოს – მეუღლის № შინამეურნეობის ფარგლებში); არასდროს არ ყოფილა დაქორწინებული; ქვრივი; განშორებული, განქორწინებული).

კითხვა 14: შვილიანობა. ამ კითხვას ავსებენ 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთათვის. მასში პასუხად მიეთითება: ა) რამდენი ბავშვი შობა; ბ) მათგან ცოცხალია (რამდენი); გ) ცხოვრობს ცალკე (რამდენი). აქვე არის ქვეკითხვა, 15-49 წლის ასაკში მყოფ გათხოვილ ქალთათვის: „კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ უკვე არსებულის ჩათვლით“. ჩვენი აზრით ეს უკანასკნელი ქვეკითხვა მთლად ზუსტად არ არის ფორმულირებული და თავის თავში მოიცავს ქალთა რეპროდუქციული ქცევის შესწავლისათვის აუცილებელი როგორც ბავშვების მოსალოდნელი, ასევე სასურველი რიცხვების გამოსავლენი კითხვების შეხამების არც თუ საუკეთესო ვარიანტს. უკეთესი იქნებოდა რომ კითხვა დაყოფილიყო ორად და მათგან ერთი ასეთნაირად ყოფილიყო ფორმულირებული: „კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ“ (ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განსაზღვრისათვის), ხოლო მეორე კი: „სულ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ“ (ბავშვების სასურველი რიცხვის განსაზღვრისათვის). ან არადა უკვე არსებულ ფორმულირებაში ბოლო სამი სიტყვა (უკვე არსებულის ჩათვლით) ჩასმულიყო ფრჩხილებში ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი კითხვით, კერძოდ, კი ბავშვების მოსალოდნელი რიცხვით მოხდებოდა ქალთა რეპროდუქციული ქცევის შესწავლა.

მე-15, მე-16 და მე-17 კითხვები გაერთიანებულია ერთ ბლოკში და გათვალისწინებულია გამოსაკითხი პირის ეკონომიკური დახასიათებისათვის.

კითხვა 15: არსებობის საშუალებათა წყაროები. ამ კითხვის პასუხებად მოცემულია 19 შესაძლო ვარიანტის პასუხები (დაქირავებით მუშაობისათვის ხელფასი ან სხვა რეგულარული ანაზღაურება; შემოსავალი საკუთარი საწარმოდან მათ შორის: მუშაკთა დაქირავებით, მუშაკთა დაქირავების გარეშე; შემოსავალი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან; შემოსავალი საკუთარი გლეხური (ფერმერული) მეურნეობიდან; შემოსავალი პირად-დამხმარე მეურნეობიდან; შემოსავალი საკუთრებიდან დანაზოგიდან, მათ შორის: საკუთარი საწარმოდან, რომლის

მფლობელი არ მუშაობს; პენსია; სტიპენდია; უმუშევრობის შემწეობა; დახმარება (უმუშევრობის შემწეობის გარდა); სახელმწიფო უზრუნველყოფის სხვა სახე; სხვა პირთა კმაყოფაზე; ოჯახის დამხმარე წევრი არარეგულარული ანაზღაურებით; არარეგულარული, შემთხვევითი ანაზღაურება და შემოსავლები; სხვა წყარო; მათ შორის არსებობის საშუალებათა სხვა წყარო).

კითხვა 16: ძირითადი საქმიანობის ან შესრულებული სამუშაოს სრული დასახელება. ეს ღია კითხვაა და აქ სიტყვიერად უნდა მიეთითოს პასუხები.

კითხვა 17: 15 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის, უნდა მიეთითოს შემდეგ შესაძლო პასუხებიდან შესაბამისი: ეძებს სამუშაოს (დიახ, არა); თუ დიახ, მაშინ შეუძლია თუ არა შეუდგეს მუშაობას უახლოეს ორ კვირაში (დიახ, არა); მუშაობდა წინათ (დიახ, არა); თუ დიახ, მაშინ უნდა მიეთითოს ბოლო სამუშაოდან განთავისუფლების წელი და თვე.

ამ ორი ძირითადი ბლანკის (ფორმა 1 და ფორმა 2) გარდა საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა მოიცავს ცალკე ბლანკს, ფორმა „ემ“ – „ემურანტა სააღწერო ფურცელი“. მასში მოცემული 15 კითხვიდან 10 თითქმის ზუსტად იმეორებს ფორმა 2-ის (სააღწერო ფურცლის) კითხვებს, რაც ჩვენი აზრით გამართლებული არ უნდა იყოს, რადგანაც გააძვირებს ჩვენი ისედაც მწირი მოსახლეობის აღწერის ხარჯებს (ქაღალდის, მისი შევსების დროის, ანაზღაურების და დამუშავების ხარჯები). ფორმა „ემ“-ის მე-7 კითხვა: მოქალაქეობა (ამჟამად), რომლის პასუხის ვარიანტებიც ფორმა 2-ის მე-8 კითხვის (მოქალაქეობის) იდენტურია, არ მოგვანია მეთოდოლოგიურად გამართლებულად. რადგანაც ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვა (ამჟამად) არაფერს არ აზუსტებს, რამეთუ აღწერის ჩატარების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის, აღწერის ერთმომენტურობის“, თანახმად აღწერის განმავლობაში შეგროვილი ცნობები უნდა შეესაბამებოდეს აღწერის კრიტიკულ მომენტს ანუ რასაც ფაქტიურად მოიცავს (გულისხმობს) სიტყვა „ამჟამად“. ასევე ოდნავ განსხვავებულია ემიგრანტთა სააღწერო ფურცელზე მოცემული ზოგიერთი კითხვა ფორმა 2-ის ანალოგიურ კითხვებთან შედარებით. კერძოდ, ამ ბლანკზე მე-5 კითხვა ეროვნება, სულ ღია კითხვაა, ე.ი. კარნახში არაა ჩამოთვლილი არცერთი ეროვნების დასახელება, რაც მეთოდოლოგიურად (ერთი და იგივე აღწერაში ერთი და იგივე კითხვის სხვადასხვანაირი რედაქცია) სწორი არაა. არაფერს არ იძლევა მე-9 კითხვის დაზუსტებაც იმის შესახებ, რომ განათლების დონე მიეთითოს „6 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის“ გარდა იმისა, რომ წარმოშობს სხვადასხვა სააღწერო ბლანკებზე მოცემული ერთი და იგივე კითხვის (განათლების დონე) სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. არ ემთხვევა ერთმანეთს ამავე კითხვის ქვეკითხვები და მათი შესაძლო პასუხებიც. კერძოდ, ფორმა „ემ“-ში ამოღებულია გრაფა „განათლების დონის შესაფერისი პროფესიის“ მითითების შესახებ, სამაგიეროდ „სამეცნიერო ხარისხის მქონეთათვის“ დამატებულია პასუხის ახალი ვარიანტი „ეწევა სამეცნიერო საქმიანობას ამჟამად“. ჩვენი აზრით ამგვარი ფორმულირებანი მიანიშნებენ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ის უფრო მეტად აინტერესებს, ემიგრანტები ეწევიან თუ არა სამეცნიერო საქმიანობას საზღვარგარეთ, ვიდრე ის თუ რა პროფესიის ყოფილი ჩვენი თანამოქალაქეებია (რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას და არაა გამორიცხული, რომ კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში) წასული საზღვარგარეთ და რით არიან ისინი იქ დასაქმებულები. ამგვარი მიდგომის პირობებში კი დიდი იმედი არ უნდა გვექონდეს, რომ აღწერის მონაცემების დამუშავების საფუძველზე განსახორციელებული მიგრაციული პოლიტიკის შედეგად სასიკეთოდ შეიცვლება მიგრაციული პროცესების ნეგატიური გავლენა ქვეყნის ისედაც

მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაზე. ემიგრანტთა სააღწერო ფურცლის, სხვა ბლანკებისაგან გასხვავებული კითხვებია:

კითხვა 11: როდის წავიდა (წელი, თვე).

კითხვა 12: ქვეყანა. ეს კითხვა ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთი მხრივ, ქვეყანა – „სად გაემგზავრა“ და მეორეს მხრივ ქვეყანა – „სად ცხოვრობს ამჟამად“. ორივე ამ ნაწილს პასუხებად ერთნაირი ვარიანტები (ქვეყნების ჩამონათვალი) (ა.შ.შ., გერმანია, თურქეთი, რუსეთი, საბერძნეთი) აქვს და ამასთან, ითვალისწინებს სხვა ქვეყნის (ჩამონათვალისაგან განსხვავებული) მითითების შესაძლებლობასაც.

კითხვა 13: საქართველოდან წასვლის მიზეზები. (ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით; მათ შორის გამოიყოფა – იყო თუ არა დასაქმებული წასვლამდე (დიახ, არა); თავშესაფრის მაძიებელი პირი; სასწავლებლად; სხვა მიზეზები (მითითების საშუალებასაც ეს ფორმა „ემ“, არ ითვალისწინებს). თავისი შინაარსით მეტად მნიშვნელოვანი ეს კითხვა, კიდევ უფრო ინფორმაციული იქნებოდა თუკი მიეთითება, თუ წასვლამდე რამდენ ხანს არ მუშაობდა ემიგრანტი, ან თუ მუშაობდა სახალხო მეურნეობის რომელ დარგში და როგორი ანაზღაურება ჰქონდა, თორემ გაურკვეველი დარჩება ემიგრანტთა წასვლის რეალური მოტივები, რადგანაც ნებისმიერი ადამიანის წასვლის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება (თავად ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე იგი ეძებს უკეთეს ეკონომიკურ პირობებს თუნდაც თავისი სამშობლოს მიღმა, მით უფრო საზღვრების გადალახვის გაიოლების პირობებში).

კითხვა 14: აქვს თუ არა მატერიალური დახმარება. (ოჯახის მისგან; ოჯახისგან მას; არა).

კითხვა 15: აპირებს დაბრუნებას? (დიახ, არა) თუ დიახ, როდის (წელი).

საქართველოში (და მთლიანად ყოფილ საბჭოთა კავშირშიც) ჩატარებული აღწერების ისტორიაში პირველად ხდება გარე მიგრაციული პროცესების ასეთი მასშტაბებით შესწავლა. ეს განპირობებულია უკანასკნელ ათწლეულში საქართველოდან ბევრი ადამიანის საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლით, რომლის არც მოცულობის, არც რეალური ნაკადების და არც ემიგრირებული მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ზუსტი მონაცემები მიმდინარე სტატისტიკას არ გააჩნია. იმედია, რომ 2002 წლის აღწერის შედეგები ნათელს მოჰფენს საქართველოში გარე მიგრაციასთან დაკავშირებულ ბევრ საჭირობოროტო საკითხს.

2.1.7. მოსახლეობის აღწერის სამართლებრივი საფუძველი

მოსახლეობის აღწერა – ფართო მასშტაბიანი შრომატევადი ოპერაციაა, რომელშიც საერთო ხელმძღვანელობისა და ერთიან წესებს დაქვემდებარებული ხალხთა უდიდესი მასა ერთდროულად მოქმედებს. მეორეს მხრივ, მართალია მცირედ, მაგრამ მაინც მოსახლეობის აღწერა იჭრება მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელთაც ეს შეჭრა სრულებითაც არ ანიჭებთ სიამოვნებას, უფრო პირიქით, შეიძლება იწვევდეს სხვადასხვაგვარ შიშს. მიუხედავად ამისა, მათი თანამონაწილეობის გარეშე მოსახლეობის აღწერა ვერ შედგება. ამიტომ, იმისთვის, რომ კიდევ და კიდევ განმეორდეს აღწერის პროცედურა და ყველა მისი მონაწილე თავის როლს თამაშობდეს, საჭიროა რაღაც სამართლებრივი საფუძველი. ბევრ ქვეყანაში არსებობენ მოსახლეობის აღწერების ჩატარების მარეგულირებელი კანონები. ასე მაგალითად, ა.შ.შ-ში ქვეყნის კონსტიტუციაში (სტატია 1, განყოფილება 2) ნათქვამია: „მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვა ჩატარდება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის პირველი სესიის შემდგომი სამი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კანონით დადგენილი წესით ყოველი ათი წლის შემდეგ. ეს იყო ჩაწერილი ა.შ.შ-ის მოსახლეობის პირველი აღწერის წინ და მას შემდეგ განუხრელად სრულდებოდა. დიდ ბრიტანეთში კანონი, მოსახლეობის აღწერის პერიოდულობის შესახებ, მიღებული იქნა 1920 წელს, გერმანიაში – 1985 წელს.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის აღწერების ჩატარების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენენ სტატისტიკური ორგანოების წარდგენით ყოველი აღწერის წინ, ზოგჯერ რამდენიმე წლით, ზოგჯერ კი თვეებით ადრე, მთავრობის მიერ სპეციალურად მიღებული დადგენილებები.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა მეფის მიერ 1895 წლის 5 ივნისს დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილების საფუძველზე. სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1920 წლის აღწერა ჩატარდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი სესიის დადგენილებისა (1920 წლის 2-7 თებერვალი) და სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 22 აპრილის დადგენილების „სრულიად რუსეთის დემოგრაფიულ-პროფესიული, სასოფლ-სამეურნეო და სამრეწველო აღწერების ჩატარების შესახებ“, საფუძველზე. 1926 წლის სრულიად საკავშირო

აღწერა ჩატარდა სსრკ-ის ც.ა.კ-ისა და ს.კ.ს-ს 1926 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით (ე.ი. აღწერის ჩატარების დაწყებიდან მხოლოდ 4 თვით ადრე, როცა უკვე მთელი მისი მომზადება დასასრულს უახლოვდებოდა). სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს №305 დადგენილება „1969 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ“, მიღებულ იქნა 1966 წლის 22 აპრილს, ხოლო სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს №244 დადგენილება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის 1970 წლის იანვრისათვის გადატანის შესახებ, მიღებული იქნა 1967 წლის 24 მარტს, ე.ი. წინა დადგენილების მიღების უკვე მომდევნო წელს და 1969 წლის აღწერამდე თითქმის ორი წლით ადრე, თუკი იგი არ იქნებოდა გადატანილი (ასე რომ ეჭვს იწვევს ახსნა, თითქოს აღწერა 1969 წლიდან 1970 წელს გადატანილი იქნა, რადგანაც მისი ჩატარებისათვის ვერ მოასწრეს მანქანების და რაღაც ამის მსგავსის მომზადება. აქ, როგორც ჩანს, სხვა მიზეზების ბრალია, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გახსნილი).

ჩვენი აღწერებისა და მათი ჩატარების შესახებ სამთავრობო დეკრეტების ისტორია გვიჩვენებს, რომ ერთჯერადი დეკრეტები – არა სანდო ბაზაა, განსაკუთრებით ჩვენს მშფოთვარე ქვეყანაში. ისინი შეიძლება ნებისმიერ დროს მიიღონ, მაგრამ ასევე ნებისმიერ დროს გააუქმონ (ან შეცვალონ). საჭიროა კანონი, უფრო უკეთესია – კონსტიტუციის მუხლი. მოსახლეობის აღწერა თავისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით ამას იმსახურებს.

ყოველი რიგითი მომავალი აღწერის შესახებ სამთავრობო დადგენილების პრეამბულაში მისი აუცილებლობა ჩვეულებრივ წარმოდგენილია, როგორც რაღაც კამპანია, რომლისთვისაც სწორედ მოცემულ მომენტში მომწიფდა განსაკუთრებული მიზეზები (ხუთწლედის დასაწყისი ან დასასრული, ახალი კონსტიტუციის მიღება, ისტორიული განვითარების ეტაპის დასრულება, ან რაიმე ამისი მსგავსი). ხალხს სრულიად არასწორი წარმოდგენა ექმნება აღწერების ამოცანებზე. ამასობაში კი მოსახლეობის აღწერები – სრულიად ორდინალური, რუტინული, დროის ტოლ შუალედებში აუცილებლად გასამეორებელი, „თავისი თავისათვის“, იდეალში კი ნებისმიერ ისტორიულ პირობებში (როგორც ეს იყო ვთქვათ 1920 წლის აღწერის დროს), ჩასატარებელი პროცედურაა. სწორედ ასე უნდა იქნას დასმული საკითხი მოსახლეობის აღწერების შესახებ. და დავანებოთ თავი მათ პოლიტიკური პროპაგანდის ინსტრუმენტად გამოყენებას. აღწერებს პოლიტიკური დემაგოგების რუპორად ყოფნაზე უფრო მნიშვნელოვანი, ყოველდღიური, მაგრამ უფრო საქმიანი ამოცანები აქვთ. ამიტომ, საჭიროა კანონი (შეიძლება – კანონებიც)

მოსახლეობის რეგულარული აღწერების ჩატარების შესახებ, დროის ტოლი შუალედების შემდეგ, 0-ზე ან 1-ზე დაბოლოებულ წლებში, ე.ი. წლებში, როცა აღწერებს ატარებს განვითარებული ქვეყნების უმეტესობა. უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ჩვენი განვითარების შედეგების შედარება. საჭიროა უარი ითქვას ციფრ 9-ზე, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა კენია, ალბანეთი, მონღოლეთი, ვიეტნამი, ახალი კალედონია, ვანუატუ და კაიმანის კუნძულები, რომლებთანაც ჩვენი შედარება არც თუ საინტერესოა (რა თქმა უნდა, მათდამი პატივისცემის მიუხედავად). ვეჭვობ, რომ ციფრი 9, როდესაც სწორედ იმიტომ აირჩიეს, რომ **არავის არ შედარებოდნენ**. ასე რომ დროა, ამ მხრივაც გარდავიქმნათ, გავხდეთ ნორმალური ქვეყანა.

უკვე მრავალი წლის, ათწლეულების განმავლობაშიც კი, ბევრი ჩვენი მეცნიერ-დემოგრაფი გამოდის მოსახლეობის აღწერების რეგულარულად ჩატარების საკანონმდებლო საფუძვლის მიღების მომხრედ. ჯერ კიდევ 1957 წელს, 1959 წლის აღწერის პროგრამულ-მეთოდოლოგიური საკითხების განხილვასთან დაკავშირებით სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე გამოსვლისას პროფ. ბ.ც. ურლანისი სთავაზობდა, რომ „აღეძრათ საკითხი, რათა სსრკ-ში ყოველი მეცხრე წელი, საკანონმდებლო გზით, ხოლო შემდგომში კი შეიძლება ათწლედის მეოთხე წელიც მოსახლეობის აღწერის წლად გამოცხადებულიყო“¹. 11 წლის შემდეგ სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე 1968 წელს, ახლა უკვე 1970 წლის მოსახლეობის აღწერის მომზადებისას ანალოგიური წინადადებით გამოვიდა როსტოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის დოცენტი და დიდი მეცნიერი, მოსახლეობის აღწერების თეორიისა და ისტორიის სპეციალისტი, მარგარიტა გურგენის ასული გრიგორიანცი. იგი სთავაზობდა, რომ თათბირის მონაწილეთა სახელით მიმართვა გაეგზავნათ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოსადმი მოსახლეობის აღწერების ათ წელიწადში ერთხელ, ნულზე დაბოლოებულ წლებში რეგულარულად ჩატარების შესახებ კანონის მიღების თხოვნით². სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა ავტორიტეტული სპეციალისტების მიერაც შედიოდა ანალოგიური წინადადებები, რომლებიც ყოველთვის ვერ ნახულობდენ პუბლიკაციებში ასახვას. ახლახანს, ასეთივე წინადადება გამოთქვა რუსეთის

1. 4-8 1957
2., 1958. C. 158.

სტატსახკომის მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევების სამმართველოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა არკადი ალექსანდრეს ძე ისუპოვმა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის აღწერების მეთოდოლოგიის სრულყოფაში, უკვე ზემოთ ციტირებულ სტატიაში: „მოსახლეობის აღწერების რეგულარობის უზრუნველყოფას მნიშვნელოვან წილად განაპირობებენ საკანონმდებლო აქტები, რომლებითაც დგინდება აღწერების ჩატარების მყარი პერიოდულობა“¹.

იგივე ითქმის მოსახლეობის აღწერებში მოქალაქეებისა და მცხოვრები უცხოელების მონაწილეობასა და სააღრიცხვო ფორმულარების კითხვებზე პასუხის უფლებათა მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმებისა და აღწერისას მიღებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვაზე, აღწერის ჩამტარებელი პერსონალის პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი კანონები, როგორც უკვე ითქვა, ჩვენ არასდროს არ გვქონია და ასეთი კანონები აბსოლიტურად აუცილებელია.

საქართველოში, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკაშიც, მოსახლეობის აღწერების ჩატარება ზემოთ აღნიშნული საკავშირო გადაწყვეტილებების საფუძველზე რეგულარდებოდა. ამასთან, დამატებით მიიღებოდა საკავშირო გადაწყვეტილებების პარალელური რესპუბლიკური დონის გადაწყვეტილებებიც.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს, საქართველოს როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჯერ არ ჩატარებია. მოსახლეობის მორიგი აღწერის შესახებ პირველი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 20 ნოემბრის №488 ბრძანებულებით, რომლის მიხედვითაც საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა უნდა ჩატარებულიყო 1999 წლის დასაწყისის მდგომარეობით. 1997 წლის 15 ივნისს კი უკვე პრეზიდენტის №307 ბრძანებულებით დაზუსტდა აღწერის კრიტიკული მომენტი და ჩატარების ვადები. კრიტიკულ მომენტად განისაზღვრა 1999 წლის 19 იანვრის ღამის 12-00 საათი, ხოლო ჩატარების ვადად – 1999 წლის 20-დან 27 იანვრის ჩათვლით პერიოდი. მაგრამ ეს აღწერაც გადაიდო და საქართველოს 1999 წლის 16 იანვრის №13 ბრძანებულებით გამოცხადდა აღწერის ჩატარების ახალი თარიღი. კერძოდ, ამ ბრძანებულების შესაბამისად აღწერა უნდა ჩატარებულიყო 1999 წლის 4 მაისის ღამის 12 საათის მდგომარეობით, 1999 წლის 5 მაისიდან 12 მაისის ჩათვლით პერიოდში, ე.ი. პირველად შეიცვალა უკვე ტრადიციულად ქცეული აღწერის ჩატარების ვადა იანვრის თვე, მაისის თვით. ისე კი საქართველოს სინამდვილისათვის აღწერის ჩატარებისათვის იანვრის თვეს გაზაფხულის პერიოდი სჯობს, რადგანაც აღარ იქნება ძნელად მისაწვდომ დასახლებულ პუნქტებში ვადამდელი აღწერის ჩატარების აუცილებლობა. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რასაც ზამთრის პერიოდში არსებული ენერგეტიკული კრიზისის გამო უშუქობის პრობლემაც განაპირობებს ადვილი მისახვედრია, რომ იმ ფინანსური პრობლემების ფონზე რაც თან ახლავს

აღწერის მომზადებას, რა მნიშვნელოვანი ეკონომიის მოტანა შეეძლო იანვრიდან გაზაფხულზე აპრილში ან თუნდაც მაისში აღწერის ჩატარებას. მაგრამ როგორც ჩანს ეს საკითხი კიდევ არაა მომწიფებული იმ ხალხისათვის, ვინც ამგვარ გადაწყვეტილებებს ამზადებს ან ღებულობს. და მართლაც, აღწერის მორიგი გადატანისას არჩევანი კვლავ იანვრის თვეზე შეჩერდა. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 აპრილის №204 ბრძანებულებით აღწერის ჩატარება გადაიდო 2001 წლის 17 იანვრისათვის. მაგრამ ქვეყნის ბიუჯეტში შექმნილი საფინანსო სირთულეების გამო შეუძლებელი გახდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ადრე დათქმულ ვადებში მოწყობა და ამიტომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის №549 ბრძანებულებით გადაწყდა საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოწყობა 2002 წლის 16 იანვრის დამის 12 საათის მდგომარეობით, 2002 წლის 17 იანვრიდან 24 იანვრამდე (ჩათვლით) პერიოდში. წიგნის დასაბეჭდად მომზადებას მომეტისათვის ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების დაფინანსების საკითხები და ამიტომ გაურკვეველი რჩებოდა ჩატარდება თუ არა დათქმულ 2002 წელს მოსახლეობის აღწერა.

უკეთესი იქნებოდა თუკი პრეზიდენტის ბრძანებულებების ნაცვლად მოსახლეობის აღწერის ჩატარების ვადები დარეგულირდებოდა შესაბამისი კანონით და უფრო გამკაცრდებოდა მოთხოვნები მისი დადგენილ ვადებში ჩატარების მიმართ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე შეიმუშავა კანონპროექტი მოსახლეობის აღწერის შესახებ. მაგრამ ჯერჯერობით პარლამენტს ეს კანონი არ განუხილავს და შესაბამისად არც მიუღია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კანონის მიღებით საბოლოოდ მოწესრიგდება მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, რაც ხელს შეუწყობს მომავალში აღწერების უფრო ორგანიზებულად, რეგულარულად და მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებას.

2.1.8. მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი (ანუ მოსახლეობის აღრიცხვის მომენტი)

ადრე, მოსახლეობის აღწერის ძირითადი პრინციპების განხილვისას უკვე იყო საუბარი მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტის მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზედმეტი არ იქნებოდა თუ ამ საკითხზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი – ესაა მთელი ქვეყნისათვის ერთიანი დროის ზუსტი მომენტი, რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის აღწერისას შეგროვილი ცნობები. კრიტიკული მომენტის განსაზღვრა საშუალებას იძლევა მივიღოთ განუწყვეტლივ ცვალებადი მოსახლეობის თითქოსდა მომენტალური ფოტოგრაფია, მომენტალური ჭრილი. ჩვეულებრივ, კრიტიკული მომენტი აღწერის დაწყების წინა დღის შუალაშეზე დგინდება. ეს იმით აიხსნება, რომ აღწერები ჩვეულებრივ ტარდება ხალხის საცხოვრებელი ადგილის (თუნდაც დროებითის) მიხედვით და მათი უმეტესობა ღამით საცხოვრისში (ჭერქვეშ) იმყოფება.

კრიტიკული მომენტის დადგენა გვეხმარება სახეზე მყოფი მოსახლეობის უფრო ზუსტად აღრიცხვაში, ხალხის შესაძლო გამოტოვებისა და ორმაგი აღრიცხვის შემცირებაში. მსოფლიოში აღწერების უმეტესობა კრიტიკული მომენტის დადგენით ტარდება, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის აღწერისას შეგროვილი ცნობები შეესაბამება აღწერის პირველ დღეს ზუსტი საათის მითითების გარეშე, ე.ი. კრიტიკული მომენტის გარეშე. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება, კერძოდ, ა.შ.შ. და ფინეთი.

სრულიად რუსეთის იმპერიის 1897 წლის პირველ საყოველთაო აღწერასაც არ ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული კრიტიკული მომენტი. ცნობები გროვდებოდა 1897 წლის 28 იანვრის ადრე დილაზე არსებული მდგომარეობის მიხედვით. 1920 წლის აღწერისა და 1923 წლის ქალაქის აღწერებში კრიტიკული მომენტი დადგენილი იყო აღწერის პირველი დღის დილის 9 საათი (ცხადია 1897 წლის აღწერის „ადრე დილის“ გარკვეული ანალოგიით). მოსახლეობის ყველა შემდგომ სამაშულო აღწერებში კრიტიკული მომენტი აღწერის პირველი დღის შუალაშეზე დგინდებოდა.

2.19. მოსახლეობის აღწერებისას აღრიცხული მოსახლეობის კატეგორიები

აღწერები ჩვეულებრივ 7-10 დღის განმავლობაში ტარდება და ცდილობენ ისე ჩაატარონ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად შეუშალონ ხელი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას. ამასობაში ბევრი ადამიანი გადაადგილდება ქვეყნის ტერიტორიაზე. წარმოიშობა, თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დროებით არმყოფთა, ან პირიქით იმ ტერიტორიაზე დროებით, მცხოვრები ხალხის გამოტოვების, ან ორმაგი აღრიცხვის პრობლემა, სადაც მათ მოუსწრო აღწერამ. იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ გამოტოვებული და ორმაგი აღრიცხვა, აღწერებისას მოცემულ ტერიტორიაზე მათი ცხოვრების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ხალხის სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის კატეგორიებს. გამოიყოფა მესამე კატეგორიაც – იურიდიული (მიწერილი) მოსახლეობა, – რომელიც თანამედროვე აღწერებში უკვე აღარ გამოიყენება.

სახეზე მყოფ მოსახლეობას მიეკუთვნება აღწერის **კრიტიკული მომენტისათვის** მოცემული დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი (სახეზე მყოფი, არსებული), ამ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობისა და ცხოვრების უფლების მიუხედავად (ე.ი. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ცხოვრობენ ისინი მოცემულ ადგილზე კანონიერად თუ არალეგალურად).

მუდმივ მოსახლეობას მიეკუთვნება ხალხი, რომელიც აღწერის კრიტიკული მომენტისათვის მუდმივად ცხოვრობს მოცემულ ადგილას (ე.ი. ესაა ჩვეულებრივი, უვადო საცხოვრებელი ადგილი) მიუხედავად, ცხოვრებაზე უფლების (ე.ი. ყბადალებული ჩაწერისაგან), აგრეთვე აღწერის კრიტიკული მომენტისათვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ფაქტიური ყოფნის მიუხედავადაც.

საქართველოში მოცემულ ტერიტორიაზე ჩაწერის ინსტიტუტი უკვე შეცვლილია მოსახლეობის რეგისტრაციით.

ცნება „უვადო“ ცხოვრება გარკვეულ წილად მაინც განუსაზღვრელია და ამიტომ შეიძლება ადამიანის მოცემულ ადგილას ცხოვრების ხასიათის განსაზღვრისას, ე.ი. არის ეს მუდმივი თუ დროებითი, სირთულეებს იწვევს. ამ პრობლემის თავიდან აცილებისათვის ჩვენი აღწერების პრაქტიკაში მუდმივი

საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის პირობითად მიღებულია ცხოვრების ვადა 6 ან მეტი თვე.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის გათვალისწინებულია მოცემულ ადგილზე ცხოვრების 12 თვიანი ვადა.

ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ეს ვადა ეკუთვნის არა მარტო წარსულში მოცემულ ადგილას უკვე ნაცხოვრებ დროს, არამედ მომავალსაც, სავარაუდოსაც. ამრიგად, თუ გამოსაკითხი პირი ეს-ესაა შევიდა მოცემულ საცხოვრებელში, რომელშიც მას მოუსწრო აღწერამ და არ უცხოვრია იქ სამი დღეც კი (ან თუნდაც ერთი დღეც კი), მაგრამ გარკვევით აცხადებს, რომ მუდმივად იცხოვრებს მასში (განსაზღვრული ვადის გარეშე), მაშინ ტერიტორიის მიმართ, რომელზედაც მისი საცხოვრებელია განლაგებული, იგი მუდმივი მოსახლეობის კატეგორიაში აღირიცხება.

მუდმივ და სახეზე მყოფ, დროებით არმყოფ და დროებით მცხოვრებ (აღწერის ადგილას, მისი კრიტიკული მომენტისათვის) მოსახლეობათა რიცხოვნებებს შორის არსებობს საბალანსო დამოკიდებულება. ასე მაგალითად, მოცემული ტერიტორიის მუდმივი მოსახლეობა უდრის სახეზე მყოფ მოსახლეობას დამატებული დროებით არ მყოფნი და გამოკლებული დროებით მცხოვრებნი. ანუ შეიძლება ეს ფორმულის სახით რამდენადმე თვალსაჩინოდაც გამოვსახოთ, რომელშიც ყველა პირობითი აღნიშვნები საკმაოდ ცხადია.

მ.მ=ს.მ.+დ.ა.-დ.მ.

სახეზე მყოფი მოსახლეობა კი უდრის მუდმივ მოსახლეობას დამატებული დროებით მცხოვრებნი და გამოკლებული დროებით არამყოფნი, ანუ

ს.მ.=მ.მ.+დ.მ.-დ.ა.

იურიდიული ანუ მიწერილი მოსახლეობა – ესაა ის, რომელიც სიების, საბინაო, წიგნების, პოლიციაში ჩაწერის და ა.შ. საბუთების მიხედვით ამ ადგილას მცხოვრებად ირიცხება, ფაქტიურად მიწერის (ჩაწერის) ადგილას რეალური ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად. როგორც უკვე ითქვა, ხალხის რაოდენობის დათვლას ჩაწერის საბუთების მიხედვით აზრი არა აქვს, რადგანაც მოცემულ ტერიტორიაზე რეალურად მცხოვრებ და დოკუმენტებით აღრიცხულ ხალხის რაოდენობებს შორის სხვაობა შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. მოსახლეობის ფისკალური აღრიცხვის ეპოქაში აღრიცხვის ობიექტი სწორედ იურიდიული (დასაბეგრი) მოსახლეობა იყო. მოსახლეობის თანამედროვე ტიპის საყოველთაო რეგულარული აღწერების დაწყებით იურიდიული მოსახლეობის აღრიცხვისადმი ინტერესი თანდათანობით წარსულს ჩაბარდა. ჩვენს ქვეყანაში

მოსახლეობის მხოლოდ ერთი საყოველთაო აღწერისას, კერძოდ კი ყველაზე პირველ 1897 წლის აღწერაში იყო მცდელობა ერთდროულად აღერიცხათ მოსახლეობის სამივე კატეგორია: სახეზე მყოფი, მუდმივი და იურიდიული. მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. მიწერილი მოსახლეობის რიცხოვნობა იმდენად განსხვავდებოდა სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობისაგან, რომ იგი აღარც კი გამოაქვეყნეს.

ჩვენს 1920, 1926 და 1937 წლის აღწერებში აღრიცხვის ობიექტი სახეზე მყოფი მოსახლეობა იყო, ხოლო 1939 წლიდან დაწყებული ყველა მომდევნო აღწერებში ერთდროულად აღირიცხებოდა ორი კატეგორია – სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობა. ითვლებოდა, რომ სახეზე მყოფ და მუდმივ მოსახლეობის რიცხოვნობებს შორის სხვაობა შეიძლება ყოფილიყო მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის აღწერებში მოსახლეობს აღრიცხვის სიზუსტის საზომი. რადგანაც საბჭოთა კავშირში გარე მიგრაცია მცირე იყო, ამიტომ დიდი ცდომილების გარეშე შეიძლებოდა გარე მიგრაციის სალდოს ნულისათვის გატოლება. ასეთ შემთხვევაში სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის დამთხვევა (ან დაუმთხვეველობა) წარმოადგენდა აღწერისას მოსახლეობის აღრიცხვის სიზუსტის (ან უზუსტობის) საზომს. ბუნებრივია პოსტსაბჭოთა რუსეთში გარე მიგრაციის ინტენსივობის ზრდასთან ერთად რუსეთში მიგრანტების შემოდინების მკვეთრი ზრდის გამო (ძირითადად ლტოლვილები და იძულებით გადასახლებულები) მოსახლეობის აღწერის სიზუსტის განმსაზღვრელმა ამ მეთოდმა აზრი დაკარგა.

მაგრამ სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის ცოდნას, გარდა საკონტროლოსი, სხვა დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ელემენტების დაგეგმვისას სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობები გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი მიზნობრივი ორიენტირები. ასე მაგალითად, საბინაო მშენებლობის, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, ავეჯის, მაცივრების და სხვა ხანგრძლივი მოხმარების საგნების წარმოების დაგეგმვა ორიენტირებული უნდა იყოს მუდმივი მოსახლეობის დინამიკაზე, ხოლო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სანახაობების, საგზაო-სატრანსპორტო მეურნეობისა და ა.შ. დაგეგმვა კი – სახეზე მყოფი მოსახლეობის დინამიკაზე. ცნობილია, რომ მაგალითად, მოსკოვში ყოველდღიურად სახეზე მყოფი მოსახლეობა დაახლოებით 2 მლნ. კაცით მეტია, ვიდრე მუდმივი (ტრანზიტული მგზავრების, მივლინებაში მყოფების, ტურისტების, დედაქალაქში გამოკვლევისათვის,

კონსულტაციებისა და მკურნალობისათვის ჩამოსული ავადმყოფების, დედაქალაქში სამშობიაროდ ჩამოსულ ფეხმძიმეების, რადგანაც ისინი იმედოვნებენ უფრო ხარისხიანი სამშობიარო დახმარების მიღებას, ბანდიტების, რომლებიც იმედოვნებენ დედაქალაქში გამორჩენას და ა.შ. – ხარჯზე). გარდა ამისა, მოსკოვის დღის მოსახლეობა ღამის მოსახლეობაზე სხადასხვა შეფასებებით 0,5 მლნ. კაცით მეტია, ეგრეთ წოდებული ქანქარისებრი მიგრანტების ხარჯზე, ე.ი. მოსკოვში მომუშავე, ან მოსწავლე, მაგრამ მუდმივად მოსკოვის ოლქში მცხოვრები ხალხის ხარჯზე. თუკი სასურსათო და სხვა საქონლით ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობაში ტრანსპორტისა და სხვა სასიცოცხლო დაწესებულებების მუშაობაში არ იქნება გათვალისწინებული ხალხის ეს ყოველდღიური „მოქცევა“, მაშინ ქალაქის ცხოვრება სერიოზულ დეფორმაციებს განიცდის. რა თქმა უნდა შეიძლება სხვა გზით წასვლა (და არის ასეთი წინადადებებიც). ჩაკეცილი ქალაქი სხვა ქალაქებიდან მოსულთათვის, „მკვიდრ“ მოსკოველებს მივცეთ სპეციალური მოწმობები, ბარათები, ტალონები, ან კიდევ სხვა რაიმე მსგავსი: ქალაქის საზღვრებზე გამოვიყვანოთ საგუშაგოები და პატრულები „სხვების“ წინააღმდეგ და ა.შ. მაგრამ ამ ღონისძიებებს შეიძლება ძალიან ცუდი – სოციალური ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული შედეგები ჰქონდეთ.

მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ცნობარებით სარგებლობისასაც საჭიროა მოსახლეობის ორი კატეგორიის გათვალისწინება. ვთქვათ, მოსახლეობის რიცხოვნობა როგორც წესი ქვეყნდება სახეზე მყოფი მოსახლეობის მიხედვით. ხოლო მონაცემები მოსახლეობის აღწერების შედეგებში, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი, ქორწინებითი, ოჯახური, ეთნიკური და სოციალური სტრუქტურის შესახებ, მუშავდება და ქვეყნდება ყოველთვის მუდმივი მოსახლეობის მიხედვით. სამწუხაროდ ცნობარების ცხრილებში მოსახლეობის კატეგორია ყოველთვის არაა მითითებული.

რუსეთის სტატსახკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც 1995 წელს დაამტკიცა სრულიად რუსეთის სტატისტიკოსთა თათბირმა, 1999 წლის აღწერისას აღრიცხონ მოსახლეობის მხოლოდ ერთი კატეგორია – მუდმივი მოსახლეობა. ეს ცვლილება მოტივირებულია იმით, რომ მუდმივი მოსახლეობა ჯერ ერთი, უფრო ნაკლებ მოძრავია, ვიდრე სახეზე მყოფი, იგი ადვილად აღირიცხება. მეორეც, ასევე ადვილია მუდმივი მოსახლეობიდან დროებით არ მყოფი მოსახლეობის აღრიცხვა, ვიდრე დროებით მცხოვრებისა (რადგანაც მათ შესახებ ცნობების შეტყობინება შეუძლიათ მათ ნათესავეებს მუდმივ

საცხოვრებელ ადგილზე) განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა აღწერის კრიტიკული მომენტისათვის მოცემულ ტერიტორიაზე დროებით მცხოვრებმა ამ ხალხმა უკვე მოასწრეს მისი დატოვება არწერის რეგისტრატორთან შეუხვედრელად (და მის შესახებ რაიმე საიმედოს შემტყობინებელი არავინაა).

ომის (მეორე მსოფლიო ომის) შემდგომ პერიოდში მსოფლიოს ბევრი ქვეყანა უკვე გადავიდა მხოლოდ მუდმივი მოსახლეობის აღრიცხვაზე და მათი რიცხვი განაგრძობს ზრდას. ამავე დროს, როგორც მომავალი აღწერის ორგანიზატორები ირწმუნებიან შენარჩუნებულია სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ მონაცემების მიღების შესაძლებლობა, მაგრამ... ცალკე ანაზღაურებით. შეიძლება ეს სწორიც იყოს. ინფორმაცია ფული ღირს.

2.1.10. სრულიად რუსეთის 1999 წლის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა

შედეგების დამუშავების პროგრამა ჩვეულებრივ აღწერის პროგრამასთან ერთად და მასთან კავშირში იქმნება. ვიდრე კითხვებს მივცემდეთ, საჭიროა წარმოვიდგინოთ, თუ რა შეიძლება მივიღოთ შედეგად, რომელი მაჩვენებლის გაანგარიშება შეიძლება პასუხების საფუძველზე და ა.შ.

სრულიად რუსეთის 1999 წლის აღწერების შედეგების დამუშავების პროგრამა მნიშვნელოვნად უფრო ტევადია წინა აღწერებთან შედარებით და შედეგა 94 ცხრილისაგან, რომლებიც მთლიანობაში მილიარდობით მაჩვენებლებს მოიცავენ. მთელი ინფორმაცია დაყოფილია შემდეგი თემების შემცველ 9 განყოფილებად.

განყოფილების დასახელება	შინაარსი
I. მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიული განაწილება – 6 ცხრილი	მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტების განაწილება მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით.
II. მოსახლეობის დემოგრაფიული დახასიათება – 15 ცხრილი	მოსახლეობის სტრუქტურა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, გაჩენილი და მოსალოდნელი ბავშვების რიცხვის, ბავშვთა

	სიკვდილიანობისა და ა.შ. მიხედვით.
III. განათლების დონე – 4 ცხრილი	მთელი მოსახლეობის და აგრეთვე მოსწავლეების განაწილება ასაკისა და განათლების დონის მიხედვით. სკოლამდელ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით.
IV. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება – 20 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება არსებობის საშუალებათა წყაროების მიხედვით, ეკონომიკური აქტიურობის მიხედვით, ეკონომიკის დარგებისა და დასაქმების მიხედვით – ასაკთან და განათლების დონესთან შეხამებით.
V. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ენა და მოქალაქეობა – 14 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და მშობლიური ენის მიხედვით, სხვა ენების მიხედვით, რომლებსაც თავისუფლად ფლობენ, ცალკეული ეროვნებები ასაკის განათლების დონის, ქორწინებითი მდგომარეობის, არსებობის საშუალებათა წყაროების, დასაქმების, ეკონომიკური აქტივობის, ეკონომიკის დარგების და სხვათა მიხედვით.
VI. სახლმეურნეობათა (და ოჯახთა) რიცხვი და შემადგენლობა – 13 ცხრილი	კერძო სახლმეურნეობების რიცხვი და მათი დაჯგუფება, ზომის, ტიპებისა და 18 წელზე ახალგაზრდა ბავშვების რიცხვის მიხედვით, სახლმეურნეობის წევრთა ეროვნების, მათი ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებულთა რიცხვისა და მოსახლეობის კმაყოფაზე მყოფთა რიცხვის მიხედვით, კოლექტიურ სახლმეურნეობაში მცხოვრებნი მარტოხელები – ყველანი ასაკთან და სხვა შეხამებით.
VII. მიგრაცია – 11 ცხრილი	მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობისა და ასაკის მიხედვით განაწილება, მიგრანტების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, დაბადების ადგილის, ეკონომიკური აქტივობისა და გადასახლების რიგი მახასიათებლების მიხედვით განაწილება.
VIII. მოსახლეობის საბინაო პირობები – 13 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება დაკავებული საცხოვრისის ტიპების, მათი ზომის, ოთახების რიცხვის, კეთილმოწყობის სახეობების, საკუთრების ფორმებისა და სხვათა მიხედვით.
IX. ძირითადი ცნობები რუსეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფთა შესახებ – 4 ცხრილი	რუსეთის ტერიტორიაზე დროებით მოფი მოსახლეობის განაწილება ქვეყნების, მოქალაქეობის, ეროვნების, სქესის, დაბადების ადგილის, მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნისა და რუსეთში ჩამოსვლის მიზნების მიხედვით.

აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა

შედეგების დამუშავების პროგრამა ჩვეულებრივ აღწერის პროგრამასთან ერთად და მასთან კავშირში იქმნება. ვიდრე კითხვებს მივცემდეთ საჭიროა წარმოვიდგინოთ, თუ რა შეიძლება მივიღოთ შედეგად, რომელი მანქანების გაანგარიშება შეიძლება პასუხების საფუძველზე და ა.შ.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების დამუშავების პროგრამა მნიშვნელოვნად უფრო ტევადია წინა აღწერებთან შედარებით და შედგება 95 ცხრილისაგან, რომლებიც მთლიანობაში მილიარდობით მანქანებელს მოიცავენ. მთელი ინფორმაცია დაყოფილია შემდეგი თემების შემცველ 8 განყოფილებადა.

განყოფილების დასახელება	შინაარსი
I. მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიული განლაგება – 7 ცხრილი	მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტების დაჯგუფება მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით. დროებით მცხოვრები და დროებით არ მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა დროებით ცხოვრების ან არყოფნის მიზეზების მიხედვით.
II. მოსახლეობის დემოგრაფიული განლაგება – 8 ცხრილი	მოსახლეობის სტრუქტურა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, დაბადებულ ბავშვთა რიცხვისა და ბავშვთა მოსალოდნელი რიცხვის მიხედვით.
III. მოსახლეობის განათლების დონე – 3 ცხრილი	მოსწავლეების და არამოსწავლეების განაწილება ასაკისა და განათლების დონის მიხედვით, ბავშვების სქესის, ასაკისა და ეროვნების მიხედვით, სკოლაში არ სწავლის მიზეზების მიხედვით განაწილება.
IV. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება – 16 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება, არსებობის საშუალებათა წყაროების, ასაკის, განათლების, ეკონომიკური აქტივობის, დასაქმების, ეროვნებებისა და მშობლიური ენის მიხედვით.
V. მოსახლეობის ეროვნულ-ლინგვისტური დახასიათება – 21 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება, ეროვნების, ასაკის, განათლების, დაბადების ადგილის, სარწმუნოების, სქესის, მშობლიური ენის, აგრეთვე სხვა ენების, რომლებსაც თავისუფლად ფლობენ, მიხედვით.
VI. შინამეურნეობის (სახლთმეურნეობები – ა.ს.) და ოჯახების შემადგენლობა და რიცხვი – 14 ცხრილი	კერძო შინამეურნეობების (სახლთმეურნეობების – ა.ს.) რიცხვი და მათი დაჯგუფება, ზომის ტიპებისა და ბავშვების რიცხვის მიხედვით. სახლთმეურნეობას წევრთა ეროვნების მათი ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებულთა რიცხვისა და მოსახლეობის კმაყოფაზე მყოფთა რიცხვის მიხედვით, კოლექტიურ შინამეურნეობაში (სახლთმეურნეობაში – ა.ს.) მცხოვრებნი, მარტოხელები – ყველანი ასაკთან და სხვათა მიხედვით.
VII. მოსახლეობის მიგრაცია – 14 ცხრილი	მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობისა და ასაკის მიხედვით განაწილება, მიგრანტების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, დაბადების ადგილის, ეკონომიკური აქტივობისა და გადასახლების რიგი მახასიათებლების მიხედვით.
VIII. მოსახლეობის საბინაო პირობები – 12 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება დაკავებული საცხოვრისის ტიპების, მათი ზომის, ოთახების რიცხვის, კეთილმოწყობის სახეობების, საკუთრების ფორმებისა და სხვათა მიხედვით.

2.1.11. მოსახლეობის მასობრივ-ამხსნელობითი მუშაობა

მოსახლეობის აღწერის ჩატარების წარმატება დამოკიდებულია ამ ღონისძიებაში მონაწილე ორივე მხარის გამართულ თანამშრომლობაზე: აღმწერებსა და აღსაწერებზე, სააღწერო პერსონალსა და მოსახლეობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას სწორი წარმოდგენა ჰქონდეს აღწერის არსზე, მის მიზნებზე და პრინციპებზე, არ ეშინოდეს მისი და მზად იყოს უპასუხოს სააღწერო ფორმულარის კითხვებზე. იმისათვის, რომ მოსახლეობა მოვამზადოთ აღწერაში მონაწილეობისათვის, აღწერამდე მოსახლეობაში ტარდება მასობრივ-ამსხნელობითი მუშაობა შესაბამისი პოპულარული ლიტერატურის მომზადების, სპეციალისტების ლექციებით გამოსვლისა და კინო და ტელეფილმების ჩვენების გზით.

ახალ საზოგადოებრივ პირობებში, რომელშიც ჩვენ ესაა გადავდივით, საჭიროა გარკვეული აზრით მოსახლეობის აღწერების **დეპოლიტიზირება**, მათი იმ როლისაგან განთავისუფლება, რომელიც მათთვის არაა დამახასიათებელი, მაგრამ პროპაგანდისტული კამპანიის სწორედ მეთოდოლოგიური ასპექტის გაძლიერება. აუცილებელია აღწერების ძირითადი პრინციპების ახსნა, რომელიც სტატისტიკის წვრილმანებში გამოუცდელი ხალხისათვის აღსაქმელად შეიძლება უჩვეულო და რთული იყოს. ესაა ისეთი პრინციპები, როგორცაა თვითგამორკვევის პრინციპი, ე.ი. ცნობების ჩაწერა გამოსაკითხის სიტყვების მიხედვით, **მათი უტყუარობის დოკუმენტებით დადასტურების გარეშე; მუდმივი** საცხოვრებელი ადგილის ჩაწერა **ჩაწერის მიუხედავად**, ეროვნების – არაა საგაღმდებლო იმის, რაც აღნიშნულია პასპორტში, არამედ იმის, რომელსაც ადამიანი შინაგანად აკუთვნებს თავს თავს. აუცილებელია ავუხსნათ, რომ აღწერა არავითარი დეფორმაციებით არ ემუქრება ცალკეული მოქალაქეების ცხოვრებას, არამედ ტარდება სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად. აგრეთვე საჭიროა ავუხსნათ, რომ მოსახლეობის აღწერა ატარებს არა ექსტრაორდინარულ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რუტინულ, პერიოდულ ხასიათს, რათა მოქალაქეები მიეჩვიონ ამ პროცედურას და არ ეშინოდეთ მისი.

2.2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა – დაბადებათა, გარდაცვალებათა, ქორწინებებისა და განქორწინებების აღრიცხვა დამყარებულია ამ შემთხვევების რეგისტრაციაზე. ასეთი რეგისტრაციის მოთხოვნა თავდაპირველად ევროპის ეკლესიას გაუჩნდა მორწმუნეების მიერ ჯვრის წერის, საეკლესიო განქორწინებების, ახალშობილთა ნათლობისა და გარდაცვალებათა წესის აგებისათვის ანაზღაურების გასაფორმებლად. ეკლესია სხვა არავითარ მიზნებს არ ისახავდა. თანდათანობით სახელმწიფომაც გამოამჟღავნა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა აღრიცხვისადმი ინტერესი და დაიწყო შესრულებული წეს-ჩვეულებების საეკლესიო ჩანაწერების სახელმწიფო სტატისტიკის მიზნებისათვის გამოყენება. თანდათანობით სახელმწიფომ დაიწყო ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნების წარმოების გაკონტროლება და იმ წესების დადგენა, რომლითაც სამღვდლოებას ეს წიგნები უნდა ეწარმოებინა. XVIII საუკუნის ბოლოდან ევროპაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა რეგისტრაციამ საეკლესიოდან სამოქალაქო ორგანოებში გადასვლა დაიწყო (საფრანგეთში 1792 წლიდან, ბელგიაში – 1796 წლიდან, პოლანდიაში – 1822 წლიდან, დიდ ბრიტანეთში – 1837 წლიდან, იტალიაში – 1865 წლიდან, ესპანეთში – 1871 წლიდან, გერმანიაში – 1875 წლიდან).

რუსეთში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა რეგისტრაციის პირველი მცდელობა XVII საუკუნის შუა ხანებს მიეკუთვნება. მოგვიანებით პეტრე I-მა თავისი 1702 წლის 14 აპრილის ბრძანებულებით აიძულა მოსკოვის სამრევლო ეკლესიებში ეწარმოებინათ დაბადებათა და გარდაცვალებათა ჩანაწერები და ნათლობებისა და წესის აგებათა რიცხვის შესახებ უწყისები ყოველკვირეულად წარედგინათ საპატრიარქოს სასულიერო უწყებაში. 1722 წელს პეტრე I-მა გამოსცა ახალი ბრძანებულება მართლმადიდებელი მოსახლეობისათვის მეტრიკული წიგნების წარმოების შესახებ. სწორედ ამ დროიდან იწყება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის ისტორია რუსეთში. მაგრამ – მხოლოდ ფორმალურად, რადგანაც პეტრე I-ის ბრძანებულებები მეტრიკული წიგნების წარმოებისა და მით უმეტეს უწყისების ცენტრალურ საეკლესიო ორგანოებში გამოგზავნის შესახებ ყველგან არ სრულდებოდა, მათ არავინ არ ანზოგადებდა (არ გამოჩნდა რუსი გრაუნტი), უწყისები, თუკი ისინი იყო კიდევაც საღმე, არ ქვეყნდებოდა, ამიტომ მათ შესახებ ძალიან დიდხანს არავინ არაფერი არ იცოდა.

პეტრეს მემკვიდრეებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მხარის შესახებ არავითარი მზრუნველობა არ გამოავლინეს. მხოლოდ ეკატერინე II-ის დროს გამოჩენილი მეცნიერების-გეოგრაფის ანტონ ფრიდრიხ ბიუშინგისა (1724-1793) და ისტორიკოს ავგუსტ-ლუდვიგ შლეცერის (1735-1809) ძალისხმევით 1763-1764 წლებში შემუშავდა საანგარიშგებო უწყისების ნიმუშები, რომლითაც სამრევლო მღვდლებს ევალებოდათ სინოდში ანგარიშების წარდგენა, რათა ისინი მეცნიერებათა აკადემიაში გადაეგზავნათ. შესაბამისი ბრძანებულება ეკატერინე II-ის მიერ 1764 წლის 29 თებერვალს იქნა ხელმოწერილი¹. მოგვიანებით მიღებულ იქნა შესაბამისი კანონები რუსეთის არამართლმადიდებელი ხალხებისათვის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა აღრიცხვის წარმოების შესახებ: ლუთერანებისათვის – 1764 წელს, კათოლიკებისათვის – 1826 წელს, მუსლიმანებისათვის – 1828 წელს, იუდეველებისათვის – 1835 წელს. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში საეკლესიო რეგისტრაციის მონაცემები შედარებით საიმედო იყო მხოლოდ მართლმადიდებელი მოსახლეობისათვის და ისიც მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეც კი არა.

რუსეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვის ახალი ისტორია ბოლშევიკების 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. უკვე 1917 წლის 18 დეკემბერს გამოიცა დეკრეტი „სამოქალაქო ქორწინების, ბავშვებისა და მდგომარეობის აქტების წიგნების წარმოების შესახებ“. კიდევ ერთი თვის შემდეგ 1918 წლის 23 იანვრის დეკრეტით (ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ფუნქციები საეკლესიო წარმოებიდან სამოქალაქო ორგანოებს გადაეცათ: ქალაქურ დასახლებაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის (ყველასათვის ცნობილი აბრევიატურა – მმჩი) სპეციალურად ამისათვის შექმნილ განყოფილებებს (ანუ ბიუროებს), სოფელ ადგილებში სოფლის მმართველობის ორგანოებს. ეს სისტემა დღესაც არსებობს.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია სავალდებულო

1. ეკატერინე II-მ დიდი ინტერესი გამოავლინა მოსახლეობის ზრდის საკითხებთან დაკავშირებით, რაც კერძოდ ასახვას პოულობს მისი ცნობილი ნაშრომის „ახალი სჯულდების პროექტის შემუშავების შესახებ კომისიისათვის დედოფალ ეკატერინე II-ის მიერ მიცემული ბრძანებულება“ XII თავში. რუსეთის დემოგრაფიის ისტორიაში მისი როლი ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

ხასიათს ატარებს, რაც განმტკიცებულია მმჩის ორგანოებში რეგისტრაციისას დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების შესახებ მოწმობების გაცემით, – საბუთების, რომლებიც მათი მფლობელებისათვის

იურიდიული მნიშვნელობის მქონეა. ეს არის გაკეთებული სპეციალურად, რათა მოქალაქეებს აიძულონ დემოგრაფიული შემთხვევების რეგისტრაცია და ამით უზრუნველყონ აღრიცხვის სისრულე და ხარისხი. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ვადები და წესები, მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დადგენილია 1936 წლის 27 ივლისს მიღებული კანონით: „დაბადებულთა და გარდაცვალებათა რეგისტრაციის წესებისა და ვადების შესახებ“.

დემოგრაფიული შემთხვევების რეგისტრაციისას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა სპეციალურ წიგნებში ხდება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წიგნში რჩება და არქივში ინახება, ხოლო მეორე სტატისტიკურ ორგანოებს გადაეცემა, მასში მოცემული ცნობების დამუშავებისა და განზოგადებისათვის.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებში მოცემული ცნობები შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. ერთი ნაწილი – ადმინისტრაციული ხასიათის ცნობები (შემთხვევის სუბიექტის გვარი, სახელი, მამის სახელი, სხვადასხვა დოკუმენტების ნომრები და ა.შ.). ეს ცნობები სტატისტიკისათვის ინტერესს არ წარმოადგენენ და ამიტომ არ მუშავდებიან. მეორე ნაწილია – ცნობები, რომლებსაც სტატისტიკური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, აქტში დაბადების შესახებ, ნაჩვენებია ახალშობილის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა სქესი, დაბადების ადგილი, დედისათვის მერამდენე შვილად დაიბადა ერთნაყოფიან ან მრავალნაყოფიან მშობიარობაში და ა.შ. აგრეთვე ცნობები მშობლების შესახებ, ისეთები როგორცაა, მათი ასაკი, ეროვნება, ქორწინებითი მდგომარეობა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობის სახე და სამუშაო ადგილი. ამ ცნობების საფუძველზე შეიძლება, დედისა და მამის ასაკის მიხედვით, მათი ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, საქმიანობის სახეობის, სოციალური ჯგუფის, საცხოვრებელი ტერიტორიისა და სხვათა მიხედვით შობადობის მაჩვენებლების გაანგარიშება. აქტი გარდაცვალების შესახებ შეიცავს ცნობებს გარდაცვლილის სქესის და ასაკის, მისი საცხოვრებელი ადგილის, გარდაცვალების მიზეზისა და ეროვნების შესახებ.

მაგრამ ეს ცნობები ჯამური სახითაც კი, ჯერ კიდევ არ ახასიათებენ დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობას. დემოგრაფიული შემთხვევების მოცულობა დამოკიდებულია ამ შემთხვევების **მაპროდუცირებელი** მოსახლეობის რიცხოვნობაზე. ამიტომ დემოგრაფიული შემთხვევების ერთობლიობანი უნდა შევუდაროთ მათ შესაბამის მოსახლეობის ერთობლიობებს

(დაბადებათა რიცხვი – გარკვეული ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის, შესაბამისი ეროვნების, სოციალური ჯგუფების, საცხოვრებელი ტერიტორიის და ა.შ. ქალების რიცხვს, გარდაცვლილთა რიცხვი – შესაბამისი სქესის, ასაკის, ეროვნებისა და ა.შ. მოსახლეობის რიცხოვნობას). მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ მონაცემებს აღწერები იძლევიან. ამრიგად, დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები მოსახლეობის აღწერის მონაცემებთან ერთად განუყრელ მთლიანობას ქმნიან. დემოგრაფიული მაჩვენებლების გაანგარიშებისას მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები შეადგენენ წილადის მრიცხველს, ხოლო აღწერის მონაცემები მნიშვნელს. უკვე მოსახლეობის აღწერის პროგრამის დამუშავების ეტაპზე ითვალისწინებენ აღწერის შედეგების მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებთან ურთიერთგამოყენების შესაძლებლობებს.

2.3. მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრები (სიები, კარტოთეკები)

მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა მოსახლეობის სიების (კარტოთეკების) სახით, არა მარტო სტატისტიკური, არამედ სხვადასხვა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების მიერაც სწარმოებს. ეს კარტოთეკები კონკრეტული ამოცანების შესრულებისათვის იქმნება და მოიცავს არა მთელ მოსახლეობას, არამედ მის ზოგიერთ ჯგუფს (მიკრო რაიონის მცხოვრებლებს, სოციალური უზრუნველყოფის საჭიროების მქონე მოსახლეობის კატეგორიებს და ა.შ.). მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ყველა ამ რეგისტრში ირიცხება იურიდიული მოსახლეობა, რომელიც შეიძლება სრულიად არ ემთხვეოდეს ფაქტიურ მოსახლეობას (სახეზე მყოფს, ან მუდმივს, როგორც ეს მოსახლეობის აღწერებშია განსაზღვრული). ამიტომ, მოსახლეობის სიების მონაცემებს შეზღუდული გამოყენება აქვთ. მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მაინც უწევთ მათით სტატისტიკური გამოყენებისათვის სარგებლობა, ამასთან არა მარტო დემოგრაფიულ, არამედ სხვადასხვა სოციოლოგიურ გამოკვლევებშიც.

ასე მაგალითად, ვთქვათ გარკვეული ასაკის ქორწინებაში მყოფი, ოჯახთან ერთად მცხოვრები ხალხის აზრის შერჩევითი სოციოლოგიური გამოკითხვის შერჩევითი ერთობლიობის აგებისათვის უწვეთ საბინაო წიგნებში არსებული ცნობების გამოყენება. მათში ნაჩვენებია სახლის მობინადრეთა ოჯახური მდგომარეობა და ასაკი. მართალია, შემდეგ როცა აღმწერები გამოკითხვისათვის შერჩეულ ბინაში მივლენ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ფაქტიური მონაცემები განსხვავდებოდნენ წიგნში ნაჩვენები ცნობებისაგან. ვთქვათ, ვინმე მობინადრედ რიცხული აღმოჩნდა გარდაცვლილი, ვინმე – განქორწინებული, ან წასული და ა.შ. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც იურიდიული მოსახლეობა არ შეესაბამება ფაქტიურს. მაგრამ როგორც ხალხის ან ოჯახის შერჩევის წინასწარი ბაზა, იურიდიული მოსახლეობის სიები სასარგებლოა.

დემოგრაფიაში მოსახლეობის სიები ზუსტად იმავე მიზნებისათვის გამოიყენება, როგორც სოციოლოგიაში. ასე მაგალითად, 1985 წელს სსრკ-ის მოსახლეობის პირველი 5 პროცენტის შერჩევითი მიკრო აღწერის ჩატარებისას გამოკვლევისათვის ირჩეოდა სახალხო დეპუტატთა არჩევნების ყოველი მე-20 საარჩევნო უბანი. შერჩეულ საარჩევნო უბანზე გამოკითხებოდა ყველა მუდმივად მცხოვრები.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის რეგისტრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია, სოფლად არსებული სამეურნეო აღრიცხვის სისტემას. ეს სისტემა შედგება პირველადი აღრიცხვის ორი ფორმისაგან: საკომლო წიგნები და დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე დროებით მცხოვრებ პირთა სია. საკომლო წიგნი შეიცავს ცნობებს თითოეული მეურნეობის შესახებ, ხოლო მის შიგნით ცნობებს – მეურნეობის (ოჯახის) თითოეული წევრის შესახებ, იმ პროგრამის ანალოგიურს რაც ჩვეულებრივ არის ხოლმე მოსახლეობის აღწერებში: დამოკიდებულება მეურნეობის (ოჯახის) უფროსისადმი, სქესი, დაბადების თარიღი, ეროვნება, განათლების დონე, სამუშაო ადგილი, საქმიანობა ამ სამუშაო ადგილზე და სხვა ნიშნები. დროებით მცხოვრებთა სიებში აღინიშნება ყველა ერთ თვეზე მეტი ხნით ჩასული. ამ სიების პროგრამა (ე.ი. კითხვების ჩამონათვალი) ძირითადად ემთხვევა მუდმივად მაცხოვრებელი მოსახლეობისათვის გათვალისწინებულ პროგრამას. საკომლო წიგნების შედგენა ხდება სამ წელიწადში ერთხელ, 1-დან 15 იანვრის ჩათვლით პერიოდში, სასოფლო ადმინისტრაციის მიერ 1 იანვრის მდგომარეობით, მეურნეობათა სრული შემოვლისა და მცხოვრებთა გამოკითხვის გზით, ხოლო მასში ჩანაწერები ყოველწლიურად ახლდება 1 იანვრისა და 1 ივნისის მდგომარეობით.

ცალკეული მოქალაქის მოქალაქეობრივი მდგომარეობის ცვლილება წიგნში მაშინვე არ რეგისტრირდება, არამედ შეაქვთ წიგნის მომდევნო შემოწმების დროს იანვარში და ივნისში.

საკომლო წიგნისა და დროებით მცხოვრებთა სიის საფუძველზე ყოველი წლის დასაწყისისათვის დგება შესაბამის დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები სახეზე მყოფი მოსახლეობის, სქესის, ასაკის და რიგი სხვა ნიშნების მიხედვით განაწილების ერთდროული ანგარიში. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ ეს მონაცემები გამოიყენება შრომითი რესურსების ბალანსის გაანგარიშებისათვის და აგრეთვე სოფლის მიგრაციის მოცულობისა და ხასიათის განსაზღვრისათვის. სამწუხაროდ, თითქმის უცნობია ინფორმაციის ამ წყაროზე დაფუძნებული საზოგადოებათმცოდნეთა მეცნიერული გამოკვლევები.

ამა თუ იმ სახით მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრები ბევრ ქვეყანაში ძველთაგანვე არსებობს. ყველა ისინი ადმინისტრაციული მიზნებისათვის იქმნებოდა, მაგრამ შემდგომი განვითარებისას აღრიცხული ნიშნების მიხედვით სულ უფრო უახლოვდებოდნენ მოსახლეობის აღწერებს. XX საუკუნის შუახანებში ისინი ელექტრონული და ცენტრალიზებული ხდება. საკითხთა იმ წრეში, რომლებიც რეგისტრებით აღრიცხება ახლა შედის ქვეყნის თითოეული მოქალაქის არა მარტო დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, არამედ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მიგრაციის მაჩვენებლებიც. დაბადებისას და ქვეყანაში შესვლისას ადამიანს ენიჭება ყველა მისი დოკუმენტისათვის საერთო პირადი ნომერი, რაც საშუალებას იძლევა მოსახლეობის ცენტრალურ რეგისტრში გააერთიანონ, ადამიანის შესახებ ცნობების მთელი ერთობლიობა. ადამიანის მოქალაქეობრივი მდგომარეობის ცვლილებისას (დაქორწინება, განქორწინება, ბავშვის გაჩენა, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის შეცვლა, ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში გადასვლა და ა.შ.), ამის შესახებ ცნობები იმწამსვე შედის ცენტრალურ რეგისტრში და ადამიანის მოქალაქეობრივი მდგომარეობის მახასიათებლებში შეაქვთ ცვლილებები. ამრიგად, რეგისტრი თითქოსდა მუდმივმოქმედი მოსახლეობის აღწერა ხდება. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ქვეყნები ფიქრობენ მოსახლეობის ტრადიციული აღწერების ჩატარებაზე უარის თქმას და მაინც ჯერჯერობით ისეთი ქვეყნები, რომლებმაც უარი თქვეს მოსახლეობის ტრადიციული აღწერის ჩატარებაზე, შეცვალეს იგი ელექტრონული რეგისტრით – არ არის. ნიდერლანდებში კერძოდ, მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 1991 წელს 1 იანვრის მდგომარეობით, დიდ ბრიტანეთში – 1991

წელს 21 აპრილის მდგომარეობით, ისრაელში – 1995 წლის 4 ნოემბრის მდგომარეობით. შეეციამ მოსახლეობის აღწერა 1990 წელს ჩატარა და მოსახლეობის შემდგომი აღწერის ჩატარებას 2002 წლის მარტში გეგმავს. თუმცა უმეტესი ქვეყნები, რომლებსაც მოსახლეობის ელექტრონული რეგისტრები აქვთ, მოსახლეობის ჩვეულებრივ აღწერებს შემოკლებული პროგრამით ატარებენ. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში გვქონდეს, რომ ელექტრონულ რეგისტრში მხოლოდ იურიდიული მოსახლეობა აღირიცხება.

2.4. შერჩევითი და სპეციალური გამოკვლევები

მოსახლეობის აღწერები – შრომატევადი და ძვირად ღირებული ოპერაციებია. ამიტომ ისინი შედარებით იშვიათად ტარდება და მათი პროგრამები მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ცნობებით შემოიფარგლებიან. შერჩევითი გამოკვლევები საშუალებას იძლევიან დროის, ძალისა და სახსრების ნაკლები დანახარჯებით ჩატარონ მკვლევართათვის საინტერესო პრობლემების შესწავლა სპეციალური წესებით შერჩეული მოსახლეობის მცირე ჯგუფზე, ისე, რომ მიღებული შედეგები შემდეგ გაავრცელონ მთელ მოსახლეობაზე (ან საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც შესწავლის ობიექტს წარმოადგენს).

დემოგრაფიაში შერჩევის მეთოდის გამოყენება არაფრით არ განსხვავდება მეცნიერების სხვა დარგებში მისი ანალოგიური გამოყენებისაგან. მან ფართო გამოყენება ჰპოვა მოსახლეობის აღწერებში. მის საფუძველზე ჩატარდა მოსახლეობის ორი მიკრო აღწერა 1985 და 1994 წლებში.

საქართველოში მოსახლეობის შერჩევითი აღწერა მხოლოდ 1985 წელს ჩატარდა.

ჩვენს დემოგრაფიაში შერჩევითმა გამოკვლევებმა ყველაზე მეტი გამოყენება შობადობის ფაქტორების შესწავლაში ჰპოვეს. სსრკ-ის ც.ს.ს-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების მიერ 1966, 1967, 1969, 1972, 1975, 1978, 1981 და 1984 წლებში ჩატარდა საბიუჯეტო ჩანაწერების მწარმოებელი მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებში შობადობის ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა. ა.შ.შ-ში ყოველწლიურად ტარდება შობადობის ფაქტორების მთლიანად ქვეყნისათვის

წარმომადგენლობითი გამოკვლევა, რომელშიც გამოიკითხება 50 ათასზე ცოტათი მეტი ქალი (მათ შორის 30 ათასამდე – გათხოვილია), ხოლო დასკვნები ვრცელდება ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე (260 მლნ. კაცი)¹. 1974-1982 წლებში საერთაშორისო სტატისტიკურმა ინსტიტუტმა ხალხთმოსახლეობის პრობლემების შემსწავლელ საერთაშორისო კავშირთან ერთად ჩაატარეს შობადობის (შობადობის ფაქტორების) მსოფლიო გამოკვლევა. იგი შედგებოდა 21 ეკონომიურად განვითარებულ და 41 განვითარებად ქვეყანაში შობადობის ფაქტორების შერჩევითი გამოკვლევების სერიისაგან. პირველად შეგროვდა დიდი მოცულობის მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შესაძარისი და წარმომადგენლობითი ინფორმაცია მსოფლიოს 62 ქვეყნისათვის, რომლებშიც 1970-იანი წლების ბოლოს დაახლოებით 1,8 მილიარდი კაცი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 42% ცხოვრობდა². სამწუხაროდ ჩვენი ქვეყანა ამ გამოკვლევაში არ მონაწილეობდა.

მაგრამ შერჩევითი გამოკვლევებიც მრავალრიცხოვან პერსონალსა და სახსრებს მოითხოვენ. ამიტომ ყოველთვის ყველას არ შეუძლია მისი ორგანიზება. მაშინ უწევთ თეორიისაგან უკან დახევა და წარმომადგენლობითობაზე პრეტენზიის არ მქონე, შერჩევითი მეთოდის წესების დაცვის გარეშე ორგანიზებული გამოკვლევის ჩატარება. შერჩევითისაგან განსხვავებით ასეთ გამოკვლევას ეწოდება სპეციალური (ე.ი. რომელიმე ვიწრო ამოცანის სპეციალური სიღრმისეული შესწავლისათვის მიძღვნილი).

შერჩევითისაგან განსხვავებით სპეციალურ გამოკვლევას არ გააჩნია ისეთივე მტიცებულებითი ძალა. მაგრამ, როგორც ამბობენ სჯობს რამე, ვიდრე არაფერი (მართალია ზოგჯერ ხდება პირიქითაც, თუკი არაწარმომადგენლობითი სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე კეთდება განმაზოგადებელი დასკვნები.

1. Fertility of American Women June 1988. Current Population Reports. Population Characteristics, Series P-20, №436, U. S. Department of Commerce, Bureau of the Washington, DC, 1989.

2. შობადობის მსოფლიო გამოკვლევის ზოგიერთი შედეგები იხ. : . ., 1989. C. 62, 70-82.

ასეთი კი არც თუ იშვიათად ხდება). ვფიქრობ, სამამულო სოციოლოგიური გამოკვლევების უმეტესობა – არაწარმომადგენლობითია (სხვანაირად, რომ ვთქვათ – არარეპრეზენტატულია), თუმცა ისიც ხდება, რომ მათი ავტორები თავიანთ გამოკვლევებს დიდი უხერხულობის გარეშე შერჩევითს უწოდებენ. ვაი, რომ ნამდვილი შერჩევითი გამოკვლევის ჩატარება ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის

რთული იყო, რადგანაც ისინი ყოველთვის, უმთავრესად მკვლევართა ენთუზიაზმით ტარდებოდა და არ სარგებლობდნენ ხელისუფლების მხარდაჭერით. ამიტომ ასეთ გამოკვლევებზე სრულად უარის თქმა არ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ მეცნიერული კეთილსინდისიერების გამოვლენა მის ჩატარებაში და სიფრთხილე შედეგების ინტერპრეტაციაში.

თემა 2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ.

იმისათვის, რომ ინფორმაცია ეფექტურად გამოვიყენოთ საჭიროა გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს მისი წარმოშობის შესახებ. მაშინ შეიძლება შევაფასოთ ინფორმაციის შესაძლებლობა, სწორედ მისი შექმნის (შეგროვების) ხერხებით განპირობებული მისი ღირსებები, გამოყენების საზღვრები და ნაკლოვანებები.

დემოგრაფიაში ინფორმაციის ძირითადი წყაროებია:

- 5) ჩვეულებრივ 10 წელიწადში, ზოგიერთ ქვეყანაში 5 წელიწადში ერთხელ რეგულარულად ჩატარებული მოსახლეობის აღწერები;
- 6) დემოგრაფიული შემთხვევების (შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებებისა და განქორწინებების) უწყვეტად განხორციელებადი მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა;
- 7) ასევე უწყვეტად ფუნქციონირებადი მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრები (სიები, კარტოთეკები);
- 8) შერჩევითი და სპეციალური გამოკვლევები.

12. მოსახლეობის აღწერები

12.1. მოსახლეობის აღწერის ბანამარტება

ლიტერატურაში მოსახლეობის აღწერის ბევრი სხვადასხვა განმარტება არსებობს, რომელთა შორის ვგონებ ყველაზე მოკლეა შემდეგი: მოსახლეობის აღწერა ესაა მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ მონაცემების შეგროვების მეცნიერულად ორგანიზებული ოპერაცია.

საკმაოდ მარტივი განმარტებაა და ერთი შეხედვით გამოსადეგიც. მაგრამ როგორც ამბობენ სიმცირე ყოველთვის არაა ტალანტის მეგობარი. მოცემულ შემთხვევაში მოსახლეობის აღწერის განმარტება მართალია მოკლე და ადვილად დასამახსოვრებელია, მაგრამ იგი არაა საკმარისად სრული და ზუსტი. ამიტომ მასთან ერთად მოვიტან სხვა განმარტებასაც, მართალია ცოტა გრძელს და დიდს, მაგრამ უფრო ტევადს. მისი დახეპირება საჭირო არაა, მაგრამ იგი ყურადღებას იმსახურებს. ეს განმარტება მოცემულია გაეროს ექსპერტების მიერ.

„მოსახლეობის აღწერა – ესაა ქვეყანაში, ან მის მკაფიოდ შემოფარგლულ ნაწილზე მცხოვრები მთელი მოსახლეობის შესახებ, დროის განსაზღვრული მომენტისათვის დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური მონაცემების შეგროვების, განზოგადების, შეფასების, ანალიზისა და პუბლიკაციის მთლიანი პროცესი“¹.

ამ განმარტების ღირსება უპირველეს ყოვლისა იმაშია, რომ იგი ჩამოთვლის მთელ რიგ არსებით თავისებურებებს, რომლებიც მას სხვა მსგავსი გამოკვლევებისაგან განასხვავებენ. ასე მაგალითად, აქ აღნიშნულია მისი ის თავისებურება, როგორცაა საყოველთაოა, ე.ი. ადგილი აქვს მთელი მოსახლეობის მოცვას, მითითებულია, რომ აღწერის ჩატარების სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებით, მასში შედის აგრეთვე აღწერის შედეგების შეფასება, მათი ანალიზი და პუბლიკაცია. აღწერის ამ უკანასკნელ თვისებას (მისი შედეგების პუბლიკაცია) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც 1926 წლის შემდეგ აღწერის შედეგების პუბლიკაცია გამუდმებით მცირდებოდა, ვიდრე 1980 წლისათვის ერთ (!) ტომამდე არ შემცირდა (ე.წ. „სამსახურეობრივი მოხმარებისათვის“ განკუთვნილი გამოცემები არ შეიძლება პუბლიკაციებად ჩაითვალოს).

ზუსტად იგივე ითქმის საქართველოზეც, რომელიც, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შემადგენელი რესპუბლიკა ამ მხრივ რუსეთისაგან არ განსხვავდებოდა.

მეორეც, გაეროს განსაზღვრება ხსნის მოსახლეობის აღწერის უნივერსალურ, დისციპლინათაშორისო ხასიათს. მიუხედავად იმისა, რომ მას ტრადიციულად უწოდებენ მოსახლეობის ანუ დემოგრაფიულ აღწერას, სინამდვილეში აღწერა გვიჩვენებს მოსახლეობის მთელ რიგ ისეთ

სტრუქტურებს, რომლებიც სცდება დემოგრაფიის შესწავლის საგანს (ეთნიკური და სოციალურ-კლასობრივი

1.

1981. C. 8.
სტრუქტურები, მოსახლეობის განაწილება ტერიტორიების მიხედვით და მიგრაცია, მოსახლეობის განაწილება სახალხო მეურნეობის დარგებისა და დასაქმების მიხედვით, უმუშევრობა, მდგომარეობა დასაქმებაში და სხვა). ამიტომ მოსახლეობის ყოველი აღწერის წინ გამოცემული პროპაგანდისტული ბროშურების ლოზურგური სათაურები „მოსახლეობის აღწერა საერთო სახალხო საქმეა“, გადაჭარბებული არაა.

1.2.2. თანამედროვე მოსახლეობის აღწერის ძირითადი პრინციპები

თავდაპირველად საჭიროა შევნიშნოთ, რომ მოსახლეობის აღწერის ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპები საჭიროა ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განვიხილოთ. ისინი არაა რაიმე იერარქიის მიხედვით განლაგებული, უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთის მიმართ თანაბარმნიშვნელოვანია. ამრიგად, მოსახლეობის აღწერა ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

11. **იმ ტერიტორიის მოსახლეობის საყოველთაო მოცვა რომელზეც ტარდება აღწერა**, ე.ი. უკლებლივ ყველა მცხოვრების აღრიცხვა (მაგრამ ორმაგი აღრიცხვის გარეშეც), მიუხედავად ადამიანის ამ თუ იმ სტატუსური მახასიათებლისა: სქესი, ასაკი, ეროვნება, სოციალური მდგომარეობა, მოცემულ საცხოვრებელში ან ადგილზე ცხოვრების უფლების ქონა და ა.შ. ამ თვისებით მოსახლეობის აღწერა განსხვავდება ძველად ჩატარებული მოსახლეობის აღრიცხვებისაგან და ყველა სხვა თანამედროვე გამოკვლევებისაგან, რომლებშიც, როგორც წესი გამოკვლევის მიზნიდან გამომდინარე მოსახლეობის მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიები აღრიცხება.

ამ პრინციპის დაცვა მისი მოჩვენებით სიმარტივის მიუხედავად, აღწერის ჩატარებისას, ერთ-ერთ ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს. აღწერის დროს

ორგანიზატორები ცდილობენ იგი იმგვარად ჩაატარონ, რომ რაც შეიძლება, ნაკლებად დაარღვიონ ხალხის ცხოვრების ჩვეული მიმდინარეობა. მაგრამ, ამასთან, მოსახლეობა განუწყვეტელ მოძრაობაში იმყოფება. აღწერის დროის განმავლობაში (რამდენიმე დღე) ადამიანმა შეიძლება მოიაროს სხვა რეგიონი და დაბრუნდეს კიდევ თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. აქედან წამოიჭრება საფრთხე, რომ იგი შეიძლება გამოტოვებულ იქნას და არ აღირიცხოს სააღწერო დოკუმენტებში, როგორც თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე (რადგანაც ის ამ დროს არ იყო), ასევე თავის დროებით ადგილსამყოფელზე სხვა ქალაქში (სადაც იგი სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოხვდა აღმწერ რეგისტრატორთა თვალთახედვის არეში). ან პირიქით, იგი შეიძლება ორჯერ აღრიცხულიყო, როგორც თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, ასევე დროებითზეც.

გარდა ამისა არსებობს მოქალაქეთა ზოგიერთი კატეგორიის გამოტოვების გაზრდილი ალბათობა, მაგალითად, ახალშობილებისა და დარბაისელი მოხუცებისა, უსახლკაროების, მომთაბარეების, მოგზაურებისა და ა.შ. სტატისტიკოსების ყველა მტკიცების მიუხედავად, რომ მოსახლეობის აღწერას არ ახლავს რაიმე ფისკალური ან მისი მსგავსი მიზნები, ბევრი მოქალაქის შეგნებაში მყარადაა ჩამჯდარი, გაურკვეველია ვის მიერ შთაგონებული რწმენა, რომ აღწერა სწორედ სპეციალური მიზნით ტარდება, რათა დაადგინოს გარკვეული კატეგორიის ხალხის რიცხვი (პოტენციური გადასახადის გადამხდელები ან „მუქთახორები“ და ა.შ.). ამიტომ ძალიან ხშირად ხდება, რომ აღწერის რეგისტრატორის კითხვაზე, გამოტოვებული ჩვილის შესახებ, მისი ნათესავები პასუხობენ: „ის ხომ ჯერ კიდევ პატარაა!“ თითქმის იგივეს ამბობენ მსგავს სიტუაციაში მოხუცთა ნათესავებიც: „ის ხომ უკვე მოხუცია, მუშაობა არ შეუძლია. რა საჭიროა მისი აღწერა?“ ხალხი, ვინც იქ არ ცხოვრობს სადაც არიან ჩაწერილები, ხშირად ცდილობენ აღწერა გაიარონ იმ ადგილზე სადაც ცხოვრობენ და იმ ადგილზეც, სადაც მხოლოდ ირიცხებიან იმის შიშით, რომ არ დაკარგონ რომელიმე საცხოვრებელი. მინდა ხაზი გავუსვა, რომ მოსახლეობის აღწერისას აღრიცხვის სირთულისა და სიზუსტის პრობლემა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვისაა სპეციფიკური, არამედ არსებობს ყველა ქვეყანაში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად სტატისტიკოსები სხვადასხვა დამხმარე ღონისძიებებს იყენებენ.

12. **მოსახლეობის აღწერების ჩატარების პერიოდულობა (ანუ რეგულარობა)**, დროის თანაბარი შუალედების, ჩვეულებრივ ყოველი 10 ან 5 წლის შემდეგ. 5-ის ჯერადი დროის ასეთი შუალედები, აირჩევა მოსახლეობის

აღწერათა მონაცემების ასაკობრივი სტრუქტურის შესადარისობის უზრუნველყოფისათვის, რომლებიც ყველაზე ხშირად ხუთწლიანი დაჯგუფების სახით ქვეყნდება. მაშინ მოსახლეობის რიგი აღწერების მონაცემებით შეიძლება თვალი გავადევნოთ სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს, რაც მრავალმხრივია მნიშვნელოვანი (ამაზე კონკრეტულად შემდეგ თავში იქნება საუბარი).

13. მოსახლეობის აღწერის მიზნების დამოუკიდებლობა სახელმწიფოს რაიმე კონკრეტული კერძო ინტერესებისაგან, როგორცაა: გადასახადის გადახდა, ცნობები წვევამდელი ასაკის ახალგაზრდების რაოდენობის შესახებ და ა.შ. მოსახლეობის აღწერა არ უკავშირდება არავითარ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, არ შეეხება ცალკეულ მოქალაქეთა არც ქონებრივ და არც პირად ინტერესებს. მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც საცხოვრებელი ფართის განაწილებასთან, ან გამოყენებასთან, არც მსგავს საკითხებთან და რა მშვენივრად იყო ნათქვამი სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის წინ 1895 წელს გამოცემულ გლეხებისათვის განკუთვნილ ერთ-ერთ პოპულარულ ბროშურაში, „აღწერა მხოლოდ თავისთვის ტარდება“¹. აღწერისას შეგროვილი ყველა ცნობები მხოლოდ ჯამური სახით, გაუპიროვნებელი ცხრილების სახით გამოიყენება. რა თქმა უნდა, მოსახლეობის აღწერები ტარდება სახალხო მეურნეობის მართვისათვის საჭირო ინფორმაციაში სახელმწიფოს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ, ჯერ ერთი, არა მარტო სახალხო მეურნეობის მართვისათვის. დღეისათვის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოთხოვნები გაცილებით ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე ადრე (არა მარტო ფისკალური, სამეურნეო, სამხედრო, პოლიტიკა, აგრეთვე საგანმანათლებლო და კულტურული, სოციალური, ეროვნული და ა.შ.). მეორეც, ინფორმაცია მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ესაჭიროება მთლიანად საზოგადოებას, ყოველ შემთხვევაში ძალიან ბევრ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ამიტომ მოსახლეობის აღწერებისას შეგროვილი ცნობების სწორედ ფართო (თუმცა რა თქმა უნდა ფინანსური და ადამიანური რესურსებით შეზღუდულ) წრეს შეუძლია დააკმაყოფილოს (ზოგჯერ სრულად) სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნები.

ლ. ნ. ტოლსტოიმ მშვენივრად თქვა მოსახლეობის აღწერის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. იგი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა 1882 წლის მოსკოვის მოსახლეობის აღწერაში და თავისი შთაბეჭდილებები აღწერა სპეციალურ სტატიაში „მოსკოვში აღწერის შესახებ“ (M. 1882) და წიგნში „და

მაინც რა უნდა ვაკეთოთ“ (M. 1906, სტატია შევიდა წიგნში). სტატიაში იგი წერდა, რომ მოსახლეობის აღწერა – ესაა გამოკვლევა, რომელიც იმისათვის ტარდება „რათა გამოიყვანონ სოციოლოგიის კანონები და ამ კანონების საფუძველზე უკეთესად

1., 1895. C. 16. დააწესონ ხალხის ცხოვრება“ (გვ.1). იმავე სტატიის სხვა ადგილას იგი ამბობს, რომ „საზოგადოებისათვის აღწერის ინტერესი და მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი მას აძლევს სარკეს, რომელშიც გინდა თუ არ გინდა ჩაიხედავს მთელი საზოგადოება და თითოეული ჩვენთაგანი“ (გვ. 3).

სხვათა შორის სახელმწიფოებრივი მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დროს სტატისტიკოსებს გამუდმებით უხდებოდათ თავის დამცირება ხელისუფლების წინაშე, რათა ისინი დაერწმუნებინათ მოსახლეობის მორიგი აღწერის ჩატარების აუცილებლობაში და პარტიისა და სახელმწიფოსათვის მისი პროგრამის თითოეული კითხვის სარგებლიანობაში. ამით აიხსნება გასული წლების სტატისტიკურ ლიტერატურაში მოსახლეობის აღწერების სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის გადამეტებული ხაზგასმა და მისი სამეცნიერო ასპექტების ძალაუნებურად დამდაბლება.

14. **აღწერით მოცულ მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერის ერთიანი პროგრამითა და ერთიანი წესით ჩატარება.** ამ პრინციპის დაცვა საჭიროა შესადარისი შედეგების მიღებისათვის. საკმარისია მოსახლეობის გამოკითხვისათვის საჭირო სააღწერო ფურცელში თუნდაც ოდნავ შეეცვალოთ კითხვის რედაქცია, სხვადასხვა ტერიტორიებზე ან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში, რომ პასუხების ხასიათიც მაშინვე ასევე შეიცვლება და ისინი შედარებისათვის გამოუსადეგარნი გახდებიან. ამასთან, ისეთ მრავალეროვან ქვეყანაში, როგორც ჩვენია, ნებისმიერი სოციოლოგიური და მითუმეტეს ისეთი დიდი გამოკვლევებისას როგორცაა აღწერა, აუცილებლად წამოიჭრება რუსულიდან, რუსეთის სხვა ხალხების ენაზე სააღწერო დოკუმენტების ზუსტი თარგმნის პრობლემა. ამასთან, სააღწერო ფურცლის კითხვების აზრობრივი იდენტიფიკაციის შენარჩუნება ხშირად არც თუ ისე მარტივი ამოცანაა.

მნიშვნელობა აქვს წინა აღწერასთან მიმართებაში მომავალი აღწერის პროგრამის მემკვიდრეობითობის დაცვასაც. ეს ასევე აუცილებელია მათ დინამიკაში შესადარი შედეგების მისაღებად, რათა რამდენიმე აღწერის მასალებით შესაძლებელი იყოს მოსახლეობის სტრუქტურაში მიმდინარე

ცვლილებებისათვის თვალის გადავინვა. მსგავსი მემკვიდრეობითობის დარღვევისას აღწერების შედეგებში ცვლილებები შეიძლება იყოს კითხვების რედაქციის განსხვავებულობის და არა მოსახლეობაში ნამდვილი ცვლილების შედეგი. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ აღწერების პროგრამები აღწერიდან აღწერამდე საერთოდ არ უნდა იცვლებოდეს (პროგრესს ვერ შევაჩერებთ), მაგრამ აღწერის პროგრამაში თითოეული ასეთი ცვლილება, ამისათვის ერთობ სერიოზული საფუძვლის შემთხვევაში დიდი სიფრთხილით შეაქვთ.

15. **რეგისტრაციის ინდივიდუალობა** (ანუ სხვაგვარად – სახელობითობა), ე.ი. მონაცემების შეგროვება თითოეულ ცალკეულ ადამიანზე და არა ოჯახის მეურნეობის, საცხოვრისის და ა.შ. ჯამური შედეგების სახით. შეგროვილი მასალის შემდგომი დამუშავებისას ინდივიდუალური მონაცემები ჯამდება აღწერის შედეგების დამუშავების პროგრამის შესაბამისად და გადაიქცევა გაუპიროვნებელ სტატისტიკურ ცხრილებად. მაგრამ მონაცემების უშუალო შეგროვების ეტაპზე ისინი თითოეულ ადამიანზე ცალ-ცალკე გროვდება. შედეგების შემდგომი დამუშავების ასეთი პრინციპი შეგროვილი მონაცემებიდან ყველაზე მრავალფეროვანი კომბინაციური დაჯგუფების მიღებას უზუნველყოფს.

16. **ცნობების უშუალოდ მოსახლეობისაგან მიღება.** მოსახლეობის შესახებ ბევრი ცნობებია სხვადასხვა სახის დოკუმენტებში (პასპორტებში, პირადობის დამადასტურებელი მოწმობებში, კადრების განყოფილებათა, საბინაო წიგნების, პოლიციის საპასპორტო განყოფილებებში, სამხედრო კომისარიატების სააღრიცხვო დოკუმენტებში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა რეგისტრატურებში და სხვა). თითქოსდა, რაღა საჭიროა ძვირად ღირებული და შრომატევადი მოსახლეობის აღწერების ჩატარება? განა უკეთესი არ იქნება შევავროვოთ და შევკრიბოთ დოკუმენტებში არსებული ცნობები. მაგრამ ჯერ ერთი, დოკუმენტები იქმნება განსაზღვრული შეზღუდული ამოცანებისათვის და ისინი განსხვავდებიან მოსახლეობის განსაზღვრული კატეგორიებისათვის. ამიტომ დოკუმენტებში არსებული ცნობების წრე არაა ერთნაირი, ისინი განსხვავდებიან იმ მიზნების მიხედვით, რომელთა შესაბამისადაც იქმნება ეს დოკუმენტები და როგორც წესი არ მოიცავს ყველა იმ საჭირო ცნობებს, რომლითაც დაინტერესებულთა, სახელმწიფო და მეცნიერება. მეორეც, რადგანაც დოკუმენტები იქმნება განსაზღვრული მიზნებით და ეხებიან ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს, მათში შეიძლება იყოს შეცდომები და გაყალბებები. გარდა ამისა, ცნობები

საბუთებში (მისი სრული კანონიერებისასაც კი შეიძლება არ შეესაბამებოდნენ ადამიანის ნამდვილ მოქალაქეობრივ მდგომარეობას. მაგალითად, ადამიანი ჩაწერილია ერთ ადგილას, ხოლო ფაქტიურად ცხოვრობს სხვაგან. ან ქორწინების მოწმობის თანახმად ადამიანი ითვლება ერთ ქორწინებით კავშირში, ხოლო სინამდვილეში უკვე დიდი ხანია იმყოფება სხვა კავშირში, ან არ იმყოფება არც ერთში. ან, ადამიანს პასპორტში ჩაწერილი აქვს ერთი ეროვნება, მაგრამ თავის თვითშეგნებაში იგი გრძნობს შინაგან, სულიერ კავშირს სხვა ეროვნებასთან, მის კულტურასთან, ჩვევებთან, ქცევის წესებთან და ა.შ. ეს არც თუ იშვიათი შემთხვევაა მრავალეროვან ქვეყნებში, განსაკუთრებით იმათში, სადაც რომელიმე ერთი ეროვნება, – „პირველია თანასწორთა შორის“, მეორეები, არ არიან „პირველები თანასწორთა შორის“, ხოლო მესამეები კი – საერთოდ არ არიან „პირველთა“ თანატოლნი. მაშინ, პასპორტის მიღებისას, ერთ-ერთი მშობლის მიხედვით ეროვნების შერჩევაზე შეიძლება იმოქმედონ კონიუნქტურულმა შეხედულებებმა, რომლებსაც, თუკი ასეთი შემთხვევები ბევრი აღმოჩნდება, შეუძლიათ დაამახინჯონ მონაცემები მოსახლეობის რეალური ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. მაშ რა გვინდა ჩვენ: მოსახლეობის ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით განაწილება, თუ ჩაწერის შესახებ დოკუმენტების მიხედვით განაწილება? ქორწინების მოწმობათა რაოდენობა თუ მონაცემები რეალური ქორწინებითი კავშირების შესახებ? მონაცემები ფორმალური საპასპორტო ეროვნების შესახებ, თუ რეალური ეროვნული შემადგენლობისა და მათი ცვლილების შესახებ? ვფიქრობ პასუხები ცალსახაა. რა თქმა უნდა საჭიროა მონაცემები რეალური და არა მოსახლეობის ქაღალდური შემადგენლობის შესახებ.

ამიტომაც ასზე მეტი წლის წინათ სტატისტიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უფრო საიმედოა, ცნობების უშუალოდ მოსახლეობისათვის კითხვებით მიმართვის გზის მიღება. ამასთან, რა თქმა უნდა, საჭიროა ნდობის მოპოვება რისთვისაც აუცილებელია ავუსხნათ მათ აღწერის მიზნები, მისი სპეციფიკური წესები და მივცეთ შეგროვილი ცნობების სრული ანონიმურობის გარანტია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება ვიღაცას საძრახისად მოეჩვენონ. მთელ მსოფლიოში მოსახლეობის აღწერების ჩატარების ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მსგავსი პრინციპის დაცვისას შეიძლება სრულიად საიმედო ინფორმაციის მიღება (ტყუილის რაღაც პროცენტი ალბათ მაინც არის, ზოგჯერ ის ვლინდება და კორექტირდება აღწერის შედეგების შემდგომი ანალიზის

ეტაპზე, მაგრამ თუ ეს პროცენტი გარკვეულ ზღვარს არ აღემატება, მაშინ აღწერის შედეგები მათზე მუშაობისათვის, საკმაოდ მისაღებად რჩება.

17. აღწერისას მოსახლეობისაგან მიღებული **ცნობების ანონიმურობა**, ე.ი. აღწერისას ხალხის გამოკითხვის დროს მიღებული **ნებისმიერი** ინფორმაციის საიდუმლოების გარანტია. ყოველ სააღწერო ფურცელზე არის სპეციალური შეტყობინება (სამწუხაროდ ძალიან წვრილი შრიფტით აწყობილი) „სააღწერო ფურცლების ჩანაწერების გამოყენება გათვალისწინებულია დადგენილი პროგრამის მიხედვით. მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობისა და საბინაო პირობების მხოლოდ ჯამური მონაცემების მიღებისათვის. აღწერის მუშაკებს ეკრძალებათ ვინც არ უნდა იყოს მათთვის პასუხების შინაარსის შეტყობინება“. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად ა.შ.შ-ში, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის სასჯელი სააღწერო ცნობების გახმაურებისათვის (ისე როგორც აღწერის კითხვებზე პასუხის გაუცემლობაზე უარის თქმისათვის). ჩვენს ქვეყანაში არასდროს ამის მსგავსი რამ არ ყოფილა გათვალისწინებული. მართალია, ჯერ სააღწერო ინფორმაციის გამჟღავნების არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი ვინც არ უნდა იყოს იმისათვის, თუნდაც ყველაზე გავლენიანი სახელისუფლო ორგანოებისათვისაც კი. მაგრამ მაინც ზედმეტი არ იქნებოდა შექმნილიყო სააღწერო ინფორმაციის ანონიმურობის შენარჩუნების სამართლებრივი გარანტიები.

18. **თვითგამორკვევის პრინციპი**, ე.ი. სააღრიცხვო ფურცლებში გამოსაკითხთა (რესპოდენტთა) პასუხების მათი სიტყვებისაგან ჩაწერა, შეტყობინებული ცნობების უტყუარობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტების მოთხოვნის გარეშე (100 და მეტი წლის ხალხის შესახებ ცნობების გარდა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია საჭირო დოკუმენტური დასაბუთება). ამ პრინციპის დაცვა განპირობებულია, ჯერ ერთი, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის „ობიექტური“ (დოკუმენტირებული) ნიშნებით (მაგალითად, ამ ხერხით მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, სალაპარაკო ენის და ა.შ. დაფიქსირება) მოსახლეობის ამ თუ იმ კატეგორიისათვის მიკუთვნების სირთულეებით ან შეუძლებლობით. მეორეს მხრივ, ამ პრინციპის გამოყენება განპირობებულია მოსახლეობის აღწერებისადმი ნდობის ამაღლებისაკენ სტატისტიკოსების მისწრაფებით.

19. **აღწერის ერთმომენტურობა**, ე.ი. აღწერისას თითოეული ადამიანის შესახებ შეგროვილი ყველა ცნობების ერთი ზუსტი (მოსახლეობის აღწერის

კრიტიკულ მომენტად ანუ მოსახლეობის თვლის მომენტად წოდებული) დროისადმი შეფარდება. მოსახლეობა განუწყვეტლივ იცვლება. მხოლოდ **ერთ საათში** რუსეთში იბადება 156 ადამიანი, კვდება 252, ქორწინდება 123 წყვილი, განქორწინდება 76 წყვილი (1995 წლის მონაცემების მიხედვით), მოსახლეობის სტრუქტურაში ხდება უამრავი სხვა ცვლილებაც.

მხოლოდ ერთ საათში საქართველოში იბადება – 4,65 ადამიანი; კვდება 4,61, ქორწინდება – 1,5 წყვილი; განქორწინდება – 0,18 წყვილი (1999 წლის მონაცემების მიხედვით).

ამრიგად, მოსახლეობა სადამოს სრულებით აღარ არის ისეთი როგორც დილით იყო. მაგრამ, ჩვეულებრივ აღწერა ერთ დღეში არ ტარდება, ამისათვის ბევრი აღმწერი იქნებოდა საჭირო. ამიტომ აღწერა 7-10 დღის განმავლობაში ტარდება, მაგრამ ყველა ცნობები მცხოვრებლებზე გროვდება დროის ერთი და იგივე ზუსტი მომენტის (ჩვეულებრივ, აღწერის პირველი დღის 0 საათისათვის) მდგომარეობის მიხედვით. ამ მომენტს ეწოდება **მოსახლეობის აღრიცხვის მომენტი**, ანუ მოსახლეობის აღწერის **კრიტიკული მომენტი**. აღწერის კრიტიკული მომენტის დადგენა საშუალებას იძლევა თითქოსდა მოსახლეობის შემადგენლობის მომენტალური სურათის მისაღებად, მოსახლეობის განსხვავებული სტრუქტურების შესახებ ყველა მონაცემის ერთ საერთო რიცხოვნობაში თავმოსაყრელად. კრიტიკული მომენტის დადგენა ასევე გვეხმარება ხალხის გამოტოვებისა და ორმაგი აღრიცხვის შესაძლებლობის შემცირებაში. კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებულები აღწერის მიერ არ აღრიცხება (თუნდაც ისინი დაიბადონ აღწერის დაწყების დღის პირველსავე წუთებში). პირიქით, კრიტიკული მომენტის შემდეგ გარდაცვლილი ხალხი სააღრიცხვო ფურცლებში ჩაიწერებიან სრული პროგრამით, რადგანაც აღწერის კრიტიკული მომენტისათვის ისინი ცოცხლები იყვნენ.

20. აღწერის ჩატარების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა. მოსახლეობის აღწერა – რთული, შრომატევადი და ძვირად ღირებული ოპერაციაა, რომელიც შემჭიდროებულ ვადებში ტარდება და რომლის ჩატარებაც მისი საგანგებო მნიშვნელობის გამო არ შეიძლება. მაგალითად, ა.შ.შ-ს 1990 წელს მოსახლეობის აღწერა 2,6 მილიარდი დაუჯდათ. ჩვენთან აღწერა უფრო იაფი ღირს, მაგრამ არც ისე ცოტა. ამიტომ მოსახლეობის აღწერის ჩატარება მოითხოვს მრავალრიცხოვანი სააღწერო პერსონალის დიდ გარკვეულობასა და შეთანხმებულობას. (კერძოდ, 1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის ჩატარებაში ერთ მილიონ ადამიანზე მეტი ღებულობდა მონაწილეობას). მოსახლეობის აღწერების ჩატარებისათვის ყველა ქვეყანაში სახელმწიფო

სტატისტიკის ორგანოებში ჩვეულებრივ იქმნება სპეციალური ქვეგანყოფილებები. მის ფუნქციებში შედის მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიური და ტექნიკური მომზადება, მისი უშუალო ჩატარების ორგანიზება, შედეგების დამუშავება და მათი პუბლიკაცია. სამუშაოების მოცულობა ისე ვრცელდება, რომ ამ ქვეგანყოფილებას მუშაობა განუწყვეტლივ უწევს (რა თქმა უნდა აღწერის ვადების მოახლოებისას სამუშაოების დაძაბულობა საგრძნობლად მატულობს). ჩვენს ქვეყანაში ასეთ ქვეგანყოფილებას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის აღწერებისა და გამოკვლევების სამმართველო

საქართველოში ასეთ ქვეგანყოფილებას წარმოადგენს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერების სამმართველო.

2.14. მსოფლიოში მოსახლეობის აღწერების მოკლე ისტორია

მოსახლეობის აღრიცხვა უძველესი დროიდანვე არსებობდა, როგორც სამეურნეო სტატისტიკის ნაწილი და მასთან ერთად უმჯობესდებოდა. მიწისა და მეურნეობათა, ხელობათა და ვაჭრობის, აგრეთვე მასთან ერთად მოსახლეობის სტატისტიკური აღრიცხვის სხვადასხვა ფორმები არსებობდა ძველ ჩინეთში, იაპონიაში, ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, იუდეაში, ძველი საბერძნეთის ქალაქებში და რომში. იქ მოსახლეობის აღრიცხვები ფინანსური და სამხედრო მიზნებისათვის ტარდებოდა, რათა სცოდნოდათ გადასახადის გადამხდელთა და მეომართა შესაძლო რიცხვი. ამ მიზნების შესაბამისად აღწერები ყველაზე ხშირად არ იყო საყოველთაო და ჩვეულებრივ მოიცავდა საგამოსაღებო ვაჟ მოსახლეობას. ზოგჯერ ცდილობდნენ მოსახლეობის შემადგენლობის უფრო სრულ აღრიცხვას. ასე მაგალითად, ძველ რომში მეფე სერვი ტულიის (I საუკ. ჩვ.წ.ა-მდე) დროს ტაძრები თითოეულ მცხოვრებს, სქესისა და ასაკისაგან დამოკიდებულებით, განსხვავებული ღირსების მონეტებით ახდევინებდნენ შემოწირულობას. მონეტების დათვლა იძლეოდა მოსახლეობის საერთო რიცხვის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განაწილების შესაძლებლობას. უფრო გვიანდელ პერიოდში (ჩვ.წ.ა-მდე 510-დან – 30წ-მდე) აღწერები (ცენზებად წოდებული) უკვე რეგულარულად ტარდებოდა. ოჯახის უფროსები ფიცის ქვეშ

აცნობებდნენ სპეციალურ თანამდებობის პირებს – ცენზორებს – ცნობებს თავისი თავის, ოჯახისა და ქონების შესახებ. მოგვიანებით ცენზები ტარდებოდა საადგილმამულო აღწერილობის, ანუ კადასტრების სახით, რომელშიც მოსახლეობაც აღირიცხებოდა. ცენზების შედეგები შეჰქონდათ აღწერის დავთრებში, რომლებიც მუდმივად იწარმოებოდა. მათ საფუძველზე განისაზღვრებოდა გამოსაღებთა ზომები, ხოლო თავად ჩანაწერები წიგნებში, ან მათგან ამონარიდები, წარმოადგენდნენ მიწებისა და ქონების მფლობელობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

შუა საუკუნეებში სამეურნეო აღწერებმა და აღწერის დავთრებმა საყოველთაო გავრცელება ჰპოვეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ხოლო XV საუკუნიდან რუსეთშიც). მიწებისა და ქონების აღწერასთან ერთად მათში იყო ცნობები მოსახლეობის შესახებაც. ეს ცნობები მწირი იყო, მათში როგორც წესი, მითითებული იყო მხოლოდ მეურნეობათა (ანუ ოჯახების) რიცხვი. მოსახლეობის რიცხოვნობის და მით უმეტეს მისი სტრუქტურის დადგენა მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად, ირიბი გაანგარიშებების გზით, მეურნეობის (ოჯახის) საშუალო ზომის სხვადასხვა წყაროებით განსაზღვრისა და შემდეგ ამ საშუალო ზომის მეურნეობათა (ოჯახთა) რიცხვზე გამრავლებით შეიძლებოდა.

მხოლოდ XVIII ს. შუახანებისათვის კაპიტალიზმისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა მოთხოვნა მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის შესახებ ინფორმაციაზე. მოსახლეობის აღრიცხვა თანდათანობით საყოველთაო ხდება და დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს, იგი არ უკავშირდება უშუალოდ რაიმე კერძო ადმინისტრაციულ მიზნებს.

1749 წლიდან იწყებენ მოსახლეობის აღრიცხვის რეგულარულ ჩატარებას შვეციაში, სადაც ამ წელს შექმნილი სპეციალური „სატაბელო“ კომისია პერიოდულად ამოწმებდა და ასწორებდა მოსახლეობის მიმდინარე სიებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო მოსახლეობის აღწერები მათი თანამედროვე გაგებით. მოსახლეობის საყოველთაო რეგულარული აღწერების ისტორია იწყება 1790 წელს, ა.შ.შ. – ში და 1801 წელს ერთდროულად ინგლისში, შოტლანდიაში, საფრანგეთში, დანიასა და ნორვეგიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებით. მაგრამ ისინი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ არასრულყოფილებად რჩებოდნენ: პროგრამაში მხოლოდ 2-4 კითხვას ითვლიდნენ, ტარდებოდნენ

საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში და არ იყვნენ დაკავშირებულნი დროის ზუსტ მომენტთან, არ გააჩნდათ მკაფიოდ განსაზღვრული წესები.

მხოლოდ XIX საუკუნის შუახანებისათვის იქმნება წარმოდგენა მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ჩატარების მეცნიერული საფუძვლების შესახებ. ამას დიდად შეუწყო ხელი ევროპის ბევრ ქვეყნებში ადმინისტრაციული საგანგამოყოფილი, სპეციალური სტატისტიკური ორგანოების შექმნამ და სტატისტიკური მეცნიერების განვითარებამ.

ნამდვილად მეცნიერული პირველი აღწერა იყო 1846 წელს ბელგიაში უდიდესი მეცნიერ სტატისტიკოსის ადოლფ კეტლეს (1796-1874) ხელმძღვანელობით ჩატარებული მოსახლეობის აღწერა. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ერთდღიანი იყო და აღრიცხავდა სახეზე მყოფ მოსახლეობას, ე.ი. ფაქტიურად იმ ადგილზე მცხოვრებს, სადაც მას მოუსწრო აღწერამ და არა იურიდიულს, ე.ი. საბუთების მიხედვით რიცხულთ, მაშინ როცა წინა აღწერებით მხოლოდ ასეთი კატეგორია აღრიცხებოდა. სიახლე იყო აგრეთვე ამ აღწერების ჩატარება სპეციალურად მომზადებული რეგისტრატორების მიერ და არა ადმინისტრაციული ჩინოვნიკების მიერ, როგორც ეს ადრე იყო.

1846 წლის პირველი ბელგიური აღწერის გამოცდილება, ისევე როგორც მისი სტატისტიკური ორგანოების სტრუქტურა, სხვა ევროპული სახელმწიფოების მიერ იქნა გამოყენებული. აღწერების მეთოდოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საერთაშორისო კონგრესებს¹, რომელთაგან ერთ-ერთიც, შესანიშნავი რუსი სტატისტიკოსის, გეოგრაფისა და მოგზაურის პეტრე პეტრეს-ძე სიმონოვ-ტიანშანსკის (1827-1914) ინიციატივითა და თავმჯდომარეობით 1872 წელს ჩატარდა, პეტერბურგში. ამ კონგრესებზე გამომუშავდა მოსახლეობის აღწერების ჩატარების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ძირითადადში ახლაც გამოიყენებიან. კერძოდ, პეტერბურგის კონგრესმა ყველა ქვეყანას მისცა რეკომენდაცია, რომ საყოველთაო აღწერები ჩატარონ რეგულარულად, არა უგვიანეს 10 წელიწადში ერთხელ, 0-ზე დაბოლოვებულ, ან მათთან მიახლოვებულ წლებში, აღრიცხონ ფაქტიური და არა იურიდიული (მიწერილი) მოსახლეობა და დაუკავშირონ აღწერისას შეგროვილი ყველა ცნობები დროის ერთ ზუსტად განსაზღვრულ მომენტს (საათს). ეს რეკომენდაციები ყველა ქვეყანამ გაიზიარა და მეცნიერულად ორგანიზებული მოსახლეობის აღწერების რიცხვმა სწრაფად დაიწყო ზრდა. 1870-

1. 1853-დან 1876 წლის ჩათვლით პერიოდში 9 საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესი შედგა. 1) ბრიუსელში (1853), 2) პარიზში (1855), 3) ვენაში (1857), 4) ლონდონში (1860), 5) ბერლინში (1863), 6) ფლორენციაში (1867), 7) ჰააგაში (1869), 8) პეტერბურგში (1872), 9) ბუდაპეშტში (1876). ამის შემდეგ კონგრესები აღარ ტარდებოდა, მაგრამ 1885 წელს დაარსდა საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ თავის სესიაზე სხვადასხვა ქვეყნებიდან ეპატიუებოდა სტატისტიკოსებს სტატისტიკური მეთოდოლოგიის განხილვისათვის. ერთ-ერთმა, კერძოდ, 1897 წელს პეტერბურგში ჩატარებულმა სესიამ ყველა ქვეყანას მისცა რეკომენდაცია, რომ 1900 წელს მოსახლეობის აღწერის ჩატარებით აღენიშნათ ახალი საუკუნის დასაწყისი. 19-მა ქვეყანამ აღწერა ჩაატარა 1900 წელს, 26-მა კი – 1901 წელს.

დან 1879 წლებში მსოფლიოში მოსახლეობის 48 აღწერა ჩატარდა, 80-იან წლებში უკვე – 54, 90-იან წლებში – 57, ხოლო მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში – 74. თუკი 1870 წლამდე აღწერით მოცული იყო მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 21%, უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის – 64%¹.

მოსახლეობის აღწერებმა განსაკუთრებით დიდი განვითარება მიიღეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კოლონიური სისტემის რღვევისა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განთავისუფლებული ქვეყნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. 1945-დან 1954 წლამდე ჩატარდა 151 აღწერა, 1955-1964 წლებში – 168, 1965-1974 წლებში – 179, 1975-1984 წლებში – 191, 1985-1994 წლებში – 162². ახლა XX საუკუნის დასასრულისათვის მსოფლიოში არაა დარჩენილი ქვეყანა, სადაც მოსახლეობის აღწერა არც ერთხელ არ ჩატარებულა. მართალია, არის ქვეყნები სადაც მოსახლეობის აღწერები დიდი ხანია არ ჩატარებულა, 10 წელზე მეტი (განა, ლიბერია, მავრიტანია, ნიგერია, სენეგალი, სომალი, სიერა-ლეონე, ტანზანია, ერიტრეა, ჰაიტი, ჰონდურასი, კოსტა-რიკა, კუბა, პერუ, სურინამი, ავღანეთი, ერაყი, პოლონეთი და სხვა), 20 წელზე მეტია (ანგოლა, ბუტანი, ჯიბუტი, ლიბანი, ჩრდილოეთ კორეა, გრენლანდია, ისლანდია და სხვა).

ადგილ-მამულის აღწერასთან ერთად ნაჩვენები იყო კომლებისა და ადამიანების რიცხვიც. აღწერის შედეგები ფიქსირდებოდა სააღწერო დავთრებში, რომლებიც გამუდმებით იწარმოებოდა და წარმოადგენენ მიწებისა და ყმების მფლობელობაზე უფლების ქონის იურიდიულ დოკუმენტს.

XVII საუკუნეში სახელმწიფოს და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად დასაბეგრი ერთეული ხდება მეურნეობა – „კომლი“ და აღწერებიც გადაიქცევა საკომლო აღწერებად. აღწერების რიცხვი და მასშტაბები იმდენად გაფართოვდა, რომ მოსკოვში შეიქმნა „სააღრიცხვო უწყება“. განსაკუთრებით დიდი იყო 1646 და 1678 წლის საკომლო აღწერები, რომლებმაც თითქმის მთელი სახელმწიფოს ტერიტორია მოიცვეს¹. დაბეგვრის მიზნების შესაბამისად ისინი მოიცავდნენ მხოლოდ დასაბეგრ, ძირითადად ვაჟთა სქესის მოსახლეობას². მაგრამ ზოგიერთ მსგავს აღწერებში აღირიცხებოდნენ ქალებიც, და დაუბეგრავი მოსახლეობის ნაწილიც, ისინი იძლეოდნენ მოსახლეობის განაწილებას ასაკობრივი ჯგუფებისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, ზოგჯერ მიეთითებოდა საქმიანობის სახე, წოდება და პროფესიაც კი. როგორც სტატისტიკის ავტორიტეტული რუსი ისტორიკოსი ავდეი ილიას ძე გოზულოვი (1892-1981) თვლიდა, „ორგანიზების პროგრამითა და დონით XVII საუკუნის საკომლო აღწერები თავისი დროის მეურნეობის შესწავლის გამორჩეულ ფორმას წარმოადგენდნენ, რომლებსაც დასავლეთში არ გააჩნდათ თავისი თანასწორი აღრიცხვის სისტემა“³.

უკანასკნელი საკომლო აღწერა 1710 წელს პეტრე I-ის დროს ჩატარდა. მასში პირველად იყო მცდელობა აღერიცხათ არა მარტო დასაბეგრი მოსახლეობა, არამედ უკლებლივ მთელი მოსახლეობა, პრივილეგირებული ფენების ჩათვლით. აღწერა რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა და წარუმატებლად დასრულდა: მან ვერ შესძლო მთელი მოსახლეობის აღრიცხვა. ამ აღწერის მიხედვით კომლების რიცხვი თითქმის 20%-ით ნაკლები აღმოჩნდა 1678 წელთან შედარებით, მაშინ როცა მოსალოდნელი იყო მათი გადიდება. პეტრე I-მა არ მიიღო 1710 წლის აღწერის შედეგები და ბრძანა ჩაეტარებინათ ახალი აღწერა 1716-1717 წლებში. მაგრამ ამ ახალმა აღწერამ უფრო ცუდი შედეგები აჩვენა: 1678 წელთან შედარებით კომლების რიცხვი ერთი მესამედით შემცირდა. ომისა და ცხოვრების გამანადგურებელი პირობების გამო. ასეთი შედეგები ნაწილობრივ ასახავდნენ რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის ნამდვილ შემცირებას, მაგრამ მეტწილად ეს იყო არასწორი მონაცემების შედეგი, რამდენიმე დასაბეგრი კომლის ერთად გაერთიანებით ბევრი მემამულე

ცდილობდა კომლების რიცხვის შემცირებას. ამიტომ საკომლო დაბეგვრა შეიცვალა სულადობრივი დაბეგვრით და შესაბამისად

4. რუსი ისტორიკოსის ი.ე. ვოდარსკის გაანგარიშებით, რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1678 წელს სახელმწიფოს მაშინდელ საზღვრებში შეადგენდა 10,5 მლნ. კაცს. (. . . 300 (XVI- XX) ., 1973. C. 27).
5. ორივე სქესის დასაბეგრი მოსახლეობა ერთად მოლიანად მოსახლეობის დაახლოვებით 90%-ს შეადგენს (ვოდარსკი ი.ე. ციტირებული თხზ. გვ. 25-26)
6. . . . , ., 1957. C.9.

გარდაიქმნა აღწერებიც. 1718 წლის 26 თებერვალს პეტრე I-მა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც ევალებოდათ „აელოთ ყველასგან ცნობები (ერთი წლის ვადაში) რათა სიმართლით მიეტანათ თუ ვის, რომელ სოფელში რამდენი სული ვაჟი ჰყავს: მოსახლეობის სიები („ზღაპრები“) უნდა შეკრებილიყო 1719 წელს, ხოლო შემდეგ სამი წლის განმავლობაში განეხორციელებინათ შემოწმება („რევიზიები“). აღწერიდან თავის არიდების ან „სულების დამალვისათვის“ ბრძანებულება ითვალისწინებდა მკაცრ სასჯელს, სიკვდილით დასჯასაც კი.

ამ ბრძანებულებით სათავე დაედო სულადობრივი აღწერების („რევიზიების“) მთელ სერიას, რომლებიც სხვადასხვა ცვლილებებით ტარდებოდა რუსეთში მომდევნო 140 წლის განმავლობაში 1719-დან 1853 წლის ჩათვლით პერიოდში, ბატონყმობის გაუქმებამდე. სულ იყო 10 რევიზია, რომელთაგან თითოეული რამდენიმე წლის (1-დან 15 წლამდე იხ. ცხრ. 2.1) განმავლობაში გრძელდებოდა.

ცხრილი 2.1.

მოსახლეობის აღრიცხვები (რევიზიები) რუსეთში XVIII–XIX საუკუნის პირველ ნახევარში¹

რევიზიების დასახელება	ბრძანებულების თარიღი	რევიზიის ჩატარების წლები	წლების რიცხვი
პირველი	26/XI 1718	1719-1724	6
მეორე	17/X 1742	1744-1747	4
მესამე	28/XI 1761	1762-1767	6
მეოთხე	16/XI 1781	1782-1787	6
მეხუთე	23/VI 1794	1794-1808	15
მეექვსე	18/V 1811	1811-1812	2
მეშვიდე	20/VI 1815	1815-1825	11
მერვე	16/VI 1833	1833-1835	3
მეცხრე	11/I 1850	1850	1

მკათე	26/VIII 1856	1857-1859	3
-------	--------------	-----------	---

1., 1957. C. 14.
სულადობრივი აღწერები ჯერ კიდევ შორს იყვნენ მოსახლეობის თანამედროვე აღწერებისაგან, როგორც მოსახლეობის მოცვის, ასევე ჩატარების მეთოდების მიხედვითაც. მათი ობიექტი ძირითადად მხოლოდ დასაბეგრი მოსახლეობა იყო, ისინი აღრიცხავდნენ მიწერილ (იურიდიულ) და არა ფაქტიურ მოსახლეობას, დიდხანს გრძელდებოდა, შეგროვილი ცნობები არ უკავშირდებოდა დროის ერთი და იგივე მომენტს. ამიტომ რევიზიის მონაცემებით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის განსაზღვრაც კი მხოლოდ მიახლოებითი დაანგარიშებით შეიძლება. რადგანაც რევიზიები დაბეგვრასთან იყო დაკავშირებული, მოსახლეობა მათდამი მტრულად იყო განწყობილი, ცდილობდა თავი აერიდებინა აღწერისათვის. მემამულეები და „ზღაპრების“ შედგენაზე პასუხისმგებელი სხვა პირები ამცირებდნენ დასაბეგრი სულების რიცხვს. რევიზიის ჩამტარებელი ჩინოვნიკებიც სჩადიოდნენ თანამდებობის ბოროტად გამოყენებას.

და მაინც არსებითი დეფექტების მიუხედავად რუსეთის რევიზიები მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მოსახლეობის აღრიცხვის განვითარებაში. ისინი იყო სახელობითი, ყველა რევიზიისას აღირიცხებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ნიშანი როგორცაა ასაკი (თანაც შესრულებულ წელთა რიცხვის სახით და არა ასაკობრივი ჯგუფისადმი მიკუთვნებით). უმეტესი რევიზიები გარდა პირველის, მეორის და მეექვსისა აღრიცხავდნენ ქალებსაც (ასევე ასაკის ჩვენებით) არა ბეგარის გამოანგარიშებისათვის, არამედ „მხოლოდ და მხოლოდ საჭიროებისათვის“. ზოგიერთმა რევიზიებმა მოგვცეს განაწილება ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნებისა და წოდების მიხედვით.

ბოლო რევიზიები უკვე ქვეყნის მთელი მოსახლეობის 80%-ს მოიცავდა, ხოლო იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ტარდებოდა – 90%-ზე მეტს¹. ეს კი მართალია დაანგარიშებით, მაგრამ მაინც პირდაპირი აღრიცხვის მონაცემებზე

დაფუძნებული ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის, მისი განლაგებისა და შემადგენლობის განსაზღვრის საშუალებას იძლეოდა.

რევიზიებმა მდიდარი მასალა მოგვცეს რუსეთის მოსახლეობის შესასწავლად. მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი (როგორც ისტორიულ მასალას) მეცნიერული ფასეულობა.

1. რევიზიები არ ტარდებოდა ამიერკავკასიის, პოლონეთის, ფინეთისა და რიგი სხვა რეგიონების ტერიტორიებზე.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რევიზიებმა დაკარგეს თავიანთი, როგორც დასაბეგრი მოსახლეობის აღწერის მნიშვნელობა და მეტი აღარ ჩაუტარებიათ. მაგრამ ამასთანავე რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად იწყებოდა მთელი მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობაზე სრული და დაწვრილებითი მონაცემების მოთხოვნილების შეგრძნება. ასეთი მონაცემები მხოლოდ მეცნიერულად ორგანიზებულ საყოველთაო აღწერას შეეძლო მოეცა.

მოსახლეობის აღწერები ძველ საქართველოში

დემოგრაფიულ-სტატისტიკური ტერმინები. მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის (დაკვირვების) ცნების აღსანიშნავად ძველ ქართულში იხმარებოდა ტერმინი „აღრაცხვანი“, „აღრიცხუა“:

იმავე ცნების – მოსახლეობის სტატისტიკური დაკვირვების გამოსახატავად იხმარებოდა აგრევე ტერმინი: „აღწერა“.

ქართული საისტორიო თხზულებები შემდეგ ამ ტერმინს –აღწერას – იყენებენ ამ ცნების გამოსახატავად და იგი შემდგომდროინდელ ლიტერატურაში, ისევე როგორც სტატისტიკურ პრაქტიკაში მტკიცედ მკვიდრდება.

1254 წ. აღწერა. მოსახლეობის და ქონების შესახებ სტატისტიკური ცნობების მოპოვება საქართველოში, არსებული საისტორიო წყაროების მიხედვით, მეცამეტე საუკუნიდან იწყება, როდესაც საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. ამ დროს, 1254 წელს, საქართველოს მკვიდრნი და მათი ქონება აღწერა ვეზირმა არღუნმა. სავარაუდებელია, რომ მოსახლეობის აღრიცხვა საქართველოში უფრო ადრეც წარმოებდა, მაგრამ საამისო საბუთები ჯერჯერობით დადგენილ-აღმოჩენილი არ არის.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. 1595 წელს ოსმალთა ხელისუფალთა მიერ შედგენილ იქნა „გურჯისტანის ვილაიეთის“ - აღწერილობა, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ სახელწოდებით არის ცნობილი და ნაწილობრივ დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ძეგლს წარმოადგენს. აღწერილობაში შესულია შემდეგი ქართული პროვინციები: სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტაანა (მტკვრის ხეობა), ტაო (ჭოროხის ხეობა), ბორჯომის ხეობა (სოფ. ქვიშხეთამდე).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ შესული ცნობები საშუალებას იძლევა გაირკვეს: ა) მოსახლეობის საერთო რიცხვი დაკვირვებით მოცულ ტერიტორიაზე (ზოგი

გამონაკლისით), ბ) მოსახლეობის განლაგება მხარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და გ) მოსახლეობის დანაწილება ზოგ დემოგრაფიულ ნიშანთა მიხედვით.

1656 წელს ელისე ამილახვარი ნებართვას იღებს როსტომ მეფისაგან თავის სადროშოს („სასარდაროისა“) აღწერისათვის.

1689 წელს ერეკლე პირველისაგან ბოძებული საბუთებიდან ჩანს, რომ თითოეული სადროშოს სარდალი ვალდებული იყო შვიდ წელიწადში ერთხელ აღწერა თავისი სადროშოს ხალხი.

საბუთს, რომელშიც მოსახლეობის აღწერის შედეგად მოპოვებული ცნობები შეიტანებოდა, „დავთარი“ ეწოდებოდა.

ფისკალურ-პოლიტიკური მიზნები. მოსახლეობის ამდროინდელ აღწერებს რომ ძირითადად ფისკალური და სამხედრო მიზნები ჰქონდა დასახული, ეს ნათლად ჩანს 1721 წლის მოწინავე დროშის აღწერის დავთრის შესავალში, სადაც ნათქვამია:

„... აღწერეთ ამა დავთართა შინა, რომელთა ძალეღვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფო ხარჯთა და ბეგარათა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალეღვის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტკევით და არა აღწერეთ წიგნსა ამასა შინა...“ (ე. თაყაიშვილი, მასაღანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბილისი, 1907, გვ. 11).

მოსახლეობის აღწერის წესები. მოსახლეობის აღწერისათვის საქართველოში საგანგებო წესები ყოფილა დადგენილი. ეს წესები მეფის ვახტანგ მეექვსეს „დასტურლამალში“ საკმაოდ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი.

ქართლის აღწერისათვის ასეთი წესი ყოფილა შემოღებული: „როდესაც ქართლი აღწერილა ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს. ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მელიქის საულდარს გარდა, სომხითს, ტაშირს, ყაიყულის თრიალეთის და საბარათაშილოში, - ამაზედ საბარათაშილოს სარდარი წავა, ერთი მდივანი წავა, აღჰსწერს და დავთარს დიჭერს; მეფის მდივანი წავიდოდეს.

„ზემო ქართლის ხეობას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და ტაშის კარის დავთარში ჩავარდების; და ამის აქეთაც საამილახვარომდი, ამილახვარის მამულსაც ზემო ქართლის სარდარი და ერთი მდივანი წავა; მდივანი აღწერს და დავთარს დაიჭერს; დედოფლის მდივანი ჰსწერდეს.

„საციციანოს მხარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, წავა, და მდივანი წარჰყენება. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი.

„მუხრანს და ორისავ ერისთავის მამულს, რომელიც კვლავ დავთარში ჩავარდნილა, იმაზე მუხრანის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს“ (დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსესისა, პ. უმიკაშვილის რედ., ტფ., 1886, გვ. 13).

ამრიგად მოსახლეობის აღწერის მიზნით ქართლი ოთხ სააღწერო ოლქად იყო დაყოფილი იმის მსგავსად, როგორც სამეფო იყოფოდა ოთხ სადროშოდ ან სასარდლოდ.

აღწერის ორგანიზაცია. აღწერის ჩატარების ვალდებულება ეკისრებოდა მოცემული სადროშოს სარდარს და მდივანს. თვით აღწერას კი უშუალოდ მდივანი აწარმოებდა, რომელსაც „დავთარი“ ეჭირა სააღწერო ცნობების შესატანად.

აღწერის ჩატარების მტკიცედ დადგენილი და საყოველთაო დაცული ვადა არ არსებულა. მოსახლეობის მეტ-ნაკლებობის მიხედვით აღწერა ზოგ სოფელში მოკლე ვადაში ჩატარდებოდა, ზოგში – მეტ დროს მოითხოვდა.

აღწერის ჩატარებით გამოწვეულ ხარჯს, სახელდობრ აღმწერი პერსონალის „ასამწერლოს“ და მისი კვების ხარჯს, - თვით მოსახლეობა ეწეოდა:

„რომელსაც სოფელში რომ ჩადგებოდნენ, იმ სოფელმა საკომლომ ორი შაური, და ბოგანომ ერთი შაური აღსამწერლო უნდა გამოიღონ; და ეს სარდარმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ. დახდომითაც ის სოფელი უნდა დახუდეს. და რომელსაც სოფელშიც არ ჩაუდგებიან და ისე აღსწერენ, იმ სოფლის საკომლომ აბასი და ბოგანომ ორი შაური უნდა გამოიღოს; ერთი ბოგანოსი და ერთი საკომლოსი იქნება ექუსი შაური, ამისაგან სამი შაური სარდარმა და მდივანმა უნდა გაიყონ, რომ ასამწერო არის; დარჩების სამი შაური, რომ ეს უფლისა არის...“ (იქვე).

სარდარსა და მდივანს, უეჭველია, თან ახლდნენ აღწერაში მონაწილე დამხმარე პირნი, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტოდენ ეს ორი მოსახლე ამ რთული საქმის შესრულებას ვერ შესძლებდა. „დასტურლამალი“ იხსენიებს კიდევაც, რომ „სარდარს... ბევრი კაცი ახლდებისო“-ო და ამიტომ მას „ულუფისა ორი წილი მიაქუს“-ო. (იქვე).

ქალაქის მოსახლეობის აღწერა. ქალაქის მოსახლეობისა და მომთაბარე მოსახლეობის აღწერისათვის განსაკუთრებული წესები არსებულა.

ქალაქის მოსახლეობის აღწერა დადგენილი წესის თანახმად, „შვიდს წელიწადში ერთხელ მოხდების, კომლზე ორი შაური ასამწერლო არის. ვისაც ბატონი უბრძანებს და დააწერინებს, ეს ორი შაური იმისი არის, სხუა მოხელეს ამაში ხელი არა აქუს“ (იქვე, გვ. 86).

არაბინადარი, მომთაბარე მოსახლეობა, როგორც უფრო მოძრავი მოსახლეობა, სამ წელიწადში ერთხელ აიწერების“ (იქვე, გვ. 75).

ამრიგად, მოსახლეობის აღწერების პერიოდული გამეორება, რაც აღწერის სწორი ორგანიზაციის ერთ ერთი ძირითადი პრინციპია, ძველ საქართველოში საყოველთაო წესად ყოფილა შემოდებული. დემოგრაფიულ-სტატისტიკური ისტორიული ძეგლებიდან დღემდე მხოლოდ რამდენიმეა მოღწეული, ისიც – ზოგი მხოლოდ ნაწილობრივ. ამთგან უპირველესად აღსანიშნავია XVI საუკუნის დამლევის „გურჯისტანის ვილიეთის დიდი დავთარი“ (გამოც. ს. ჯიქიას მიერ. წ. I, 1947; წ. II, თარგმანი, 1941), რომელიც მოიცავს იმ დროისათვის ოსმალო დამპყრობელთა მიერ მიტაცებული ქვეყნის შემდეგ ნაწილებს: სამცხეს, ჯავახეთს, არტანს, პალაკაციოს, კოლას და მდ. ჭოროხის აუზში მდებარე ნაწილს ტბოს პროვინციისა. დავთარი საშუალებას იძლევა გაირკვეს: მოსახლეობის საერთო რიცხვი დაკვირვებით მოცულ ტერიტორიაზე (ზოგი გამონაკლისის გარდა), მოსახლეობის განლაგება პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და მოსახლეობის დანაწილება ზოგ დემოგრაფიულ ნიშანთა (ეროვნება, მოსაქმეობა) მიხედვით.

შემდეგ აღსანიშნავია ზემო-ქართლის სადროშოს XVII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერის დავთარი (ოთხ ნაწილად), რომელიც მოიცავს მხოლოდ მამრობითი სქესის მოსახლეობას, დალაგებულს სოფლობრივად და სოციალური ჯგუფების მიხედვით. ეს ძეგლი ითვლება საქართველოს მოსახლეობის აღწერის უძველეს დავთრად, რის გამოც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამავე სადროშოს იმავე სოფლების აღწერის მონაცემებს შეიცავს XVIII საუკუნის დამდეგის ზემო ქართლის დავთარი, შინაარსობრივად განსხვავებული XVII საუკუნის მეორე ნახევრის ზემოსხენებული დავთრისაგან. ეს დავთარი შეიცავს გამარტივებულ ცნობებს მოსახლეობის შესახებ და უნდა წარმოადგენდეს 1715 წ. ახლო დროის დავთრის ნაწილს.

მობეგრე მოსახლეობისა და დაწესებული ბეგარის აღრიცხვის მიზნით არის შედგენილი სამროველოს 1715 წ. დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ: არხეოლოგიური მოგზაურობანი I, 1907), შესრულებული მროველი ეპისკოპოსის ბრძანებით, რომელშიც შესულია მთელი რუისის მოსახლეობა (84) სოფელი, დანაწილებული თარხან და მობეგრე მოსახლეობად. ხოლო ეს უკანასკნელი – ბოგანო მოსახლეობად და სხვა მოსახლეობად (მემკვიდრე მეკომურად).

კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთრის ექვსი ნაწივეტი მიეკუთვნება XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს და წარმოადგენს ამ კუთხის ერთადერთ დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ძეგლს. ამ დავთრის ყველა ექვს ნაწივეტში აღნიშნულია: მეკომურის სახელი, თავების რიცხვი, თოფის რაოდენობა, მეკომურთა თანამდებობა, წოდებრიობა, ოჯახური მდგომარეობა, უფლებრივი-ქონებრივი მდგომარეობა და მოსაქმეობა.

1721 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით ჩატარებულ ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს მოსახლეობის აღწერის დავთართან დაცულია მეწინავე სადროშოს აღწერის დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით: „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, 1907). დავთარში თითოეული კომლისათვის აღნიშნულია: თავების რიცხვი, წოდებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მოსაქმეობა.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან მხოლოდ ნაწივეტებია დაცული. ასეთებია: ღიახურას ხეობის მოსახლეობის აღწერის უთარილო დავთრის ნაწივეტი, არაგვის ხეობის 1774 წ. აღწერის დავთარი, 1781 წ. ქსნის საერისთავოს აღწერის დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ: ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, „სტალინის სახ. თბილ. სახ. უნივ. შრომები“, ტ. 45, 1951), ქ. თბილისის მოსახლეობის აღწერის დავთრის ნაწივეტი და სხვა.

გარდა მოსახლეობის აღწერის დავთრებისა, დემოგრაფიულ სტატისტიკური ცნობების შემცველია სტატისტიკურ-მონაცემთა ამონაკრებები, შედგენილი ადმინისტრაციული მიზნისათვის. ასეთ ამონაკრებთ მიეკუთვნება: „დასტურლამალის“ ცნობები მეთვრამეტე საუკუნის დამდეგის ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს მოსახლეობის შესახებ, ქართლ-კახეთის სამეფოს მთავრობის 1770 წ. გაკარგულებით შედგენილი საბუთი სამეფოს მოსახლეობის შესახებ, სადაც მოცემულია ცნობები მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ (სხვათა შორის ცნობები მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებაც), 1781-1782 წ. აღწერის დავთრის მიხედვით შედგენილი ზოგად სტატისტიკური ცნობა თბილისის მოსახლეობის შესახებ და სხვა.

ძველი საქართველოს დემოგრაფიული ძეგლების უმრავლესობა თუმცა დაღუპულია, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მაინც საკმარის მასალები მოიპოვება. დასავლეთ საქართველოს ან მისი რომელიმე კუთხის მოსახლეობის შესახებ კი დღემდე არცერთი დავთარი ცნობილი და გამოქვეყნებული არ არის.

მოსახლეობის აღწერის ზემოაღნიშნული დავთრების დამუშავება-გამოყენებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავთრების ჩანაწერთა სწორ გაგებას, რის საფუძველზეც

შეიძლება ყველა ცალკე შემთხვევაში გადაიჭრას მათი სანდოობის საკითხი. ამ მიზნით თითოეული ძველი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების თვალსაზრისით უნდა იქნეს შესწავლილ განხილული, რომელშიც მოპოვებული იქნა მასში შეტანილი ცნობები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველ ხანებში მოსახლეობის აღწერა წინანდებურად გრძელდებოდა და მას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ქართულად აწარმოებდნენ და შემდეგ აქედან რუსულად თარგმნიდნენ. ასეთია, მაგ., კახეთის 1801-1802 წლების აღწერა („საქართველოს არქივი“, II, 1927), შემდგომდროინდელი კამერალური აღწერილობანი და სხვა.

მეცხრამეტე საუკუნის (განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევრის) საქართველოს დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის თუმცა არა სრული, მაგრამ საკმაოდ ვრცელ მონაცემებს იძლევიან კამერალური აღწერილობანი, რომელსაც 1803 წლიდან რეგულარულად აწარმოებდა მეფის ადგილობრივი ხელისუფლება.

კამერალური აღწერილობა ეხებოდა მხოლოდ დასაბეგრ მოსახლეობას და მისი შედეგები ძირითადად დანიშნული იყო ფისკალური მიზნებისათვის: ამ მონაცემთა საფუძველზე საფინანსო უწყება (სახაზინო პალატები და მისი დაწესებულებანი) გადასახადთა გაწერას და აკრებას აწარმოებდა.

კამერალური აღწერილობა ეხებოდა მთელ დასაბეგრ მოსახლეობას კომლობრივად: მამრობითი სქესის მოსახლეობა აღირიცხებოდა ჩამონათვლით და ასაკის ჩვენებით, ხოლო დედრობითი სქესის მოსახლეობა მხოლოდ საერთო რიცხვის ჩვენებით.

როგორც სოფლად, ისე ქალაქად კამერალურ აღწერილობას ადმინისტრაციული ორგანოები აწარმოებდნენ. მიღებული შედეგები საგანგებო შემოწმებას ექვემდებარებოდა გამოტოვებულ და აღურიცხველ კომლთა დასადგენად და აღწერილობაში დამატებით შესატანად.

კამერალური აღწერილობის შედეგები, როგორც საერთოდ ყოველი ფისკალურ-ადმინისტრაციული მიზნებით ჩატარებული დაკვირვების მონაცემები, მრავალგვარი ნაკლის შემცველი იყო და იგი არ იყო არც სრული და არც სწორი. ამით აიხსნებოდა, რომ აღწერილობის მონაცემები სისტემატურ შემოწმებას ექვემდებარებოდნენ და თვით აღწერილობაც საკმაოდ ხშირად მეორდებოდა, თუმცა მიღებული შედეგები არსებითად არ უმჯობესდებოდა. ამიტომ ამ კამერალურ აღწერილობათა შედეგებით სარგებლობა სათანადო მონაცემთა კრიტიკული შესწავლა-დამუშავების გზით არის მხოლოდ შესაძლებელი.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მნიშვნელოვანია ის სტატისტიკური მასალები, რაც რეგულარულად ქვეყნდებოდა კავკასიის მეფისნაცვალის მთავარი სამმართველოს მიერ 1846 წლიდან გამოცემულ „- ში. მასში თავსდებოდა სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის რიცხვის, შემადგენლობისა და მოძრაობის შესახებ. ასეთ მონაცემთა დამუშავებას ხელი შეუწყო სტატისტიკური კომიტეტების დაარსებამ ცალკეულ გუბერნიებში: თბილისში – 1862 წლის 1 სექტემბერს, ხოლო ქუთაისში, ადმინისტრაციული დანაწილების ცვლილებასთან დაკავშირებით მთელი სტატისტიკური მუშაობა გაერთიანდა კავკასიის (1888 წლიდან – ამიერ კავკასიის) სტატისტიკურ კომიტეტში, რომლის ხელშიც გადავიდა ეს გამოცემა. ეს სტატისტიკური კომიტეტი (ჯერ კავკასიის, ხოლო შემდეგ – ამიერ კავკასიისა), თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში იყო, მაგრამ უშუალოდ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს ექვემდებარებოდა.

სტატისტიკურ კომიტეტს ეკუთვნის რიგი გამოცემათა, რომლებიც დემოგრაფიულ-სტატისტიკურ მასალებს შეიცავენ საქართველოს (და საერთოდ – ამიერ კავკასიის) შესახებ. ასეთია, მაგ., „

„, ცხრა ტომი (1871-1885), „

„, ოთხი ნაკვეთი (1887-1890), „

„ (1893) და სხვა. საქართველოს (და კავკასიის) დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამოცემებში, კერძოდ – კრებულში: „ (ტ. I, 1879).

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის საქმეს ხელს უწყობს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული პირველი საქალაქო აღწერები. თბილისში ასეთი აღწერა ჩატარდა 1864 წელს (ზამთარში), 1865 წელს (ზაფხულში), 1876 წელს (ერთდღიური აღწერა, 25 მარტს). ამ უკანასკნელი აღწერის შედეგები ცალკეა გამოცემული: „ 25 1876 “ (1780).

ქუთაისში ერთდღიური აღწერა ჩატარდა 1866-67 წლ-ში, ხოლო ბათუმში – 1890 წლის 17 ივნისს. ბათუმის აღწერის შედეგები გამოქვეყნებულია ცალკე გამოცემად:

17 1890 .(1891). (გ. გამყრელიძე, დემოგრაფიული სტატისტიკა, თბ., 1955. გვ. 92-100.)

საკითხი რუსეთში საყოველთაო აღწერის ჩატარების აუცილებლობის შესახებ მოწინავე მეცნიერული საზოგადოების მიერ დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ რევიზიების ეპოქაში იყო დასმული. რუსული გეოგრაფიული საზოგადოება, რომელიც დიდ ინტერესს ავლენდა მოსახლეობის შესწავლაში და ბევრი გააკეთა რუსეთში სტატისტიკური მეცნიერების განვითარებისათვის, 1845 წლიდან – თავისი დაფუძნებისთანავე – დაუინტერესებდა პროპაგანდას მთელი მოსახლეობის აღწერის ჩატარების იდეას. ამ საზოგადოების 1857 წლის ერთ-ერთ დადგენილებაში ნათქვამია: „საბჭო ინარჩუნებს რა სრულ რწმენას მოსახლეობის რიცხვისა და შემადგენლობის ცოდნის აუცილებლობაში, იმ მოთხოვნებით, როგორც ამას მეცნიერებისა და ადმინისტრაციის თანამედროვე მოთხოვნები მიანიშნებენ, მივიდა აზრამდე, რომ მოსახლეობის შესახებ კვლევა საჭიროა სრულებით გამოიყოს ყველა კერძო ღონისძიებებისაგან, რომლებითაც ახლა ცნობილი ხდება მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილის რიცხოვნობა, როგორცაა მაგალითად დასაბეგრი წოდებების შესახებ რევიზიებიდან მიღებული მონაცემები და მოსახლეობის შემეცნების საკითხის, როგორც საერთო სარგებლობისათვის საჭირო ცალკე ამოცანის, მისი ფართო მნიშვნელობით განხილვისას – თავად აღწერების ჩატარება და მათი შედეგების დამუშავება დაევალოს ადმინისტრაციული სტატისტიკის სპეციალურ დაწესებულებას. მოსახლეობის შესახებ გამოკვლევები მხოლოდ ასეთ

პირობებში მოგცემენ მეტ შესაძლებლობას მათი პრაქტიკულ ცხოვრებაში დანერგვისათვის“¹.

სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის დასაბუთების მომზადებისა და ჩატარების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის გამოჩენილ გეოგრაფსა და მოგზაურს (რაც თითქმის ყველასათვის კარგადაა ცნობილი), ასევე გამოჩენილ სტატისტიკოსს (რაც სტატისტიკის მიღმა ცოტა ვინმესთვის თუა ცნობილი), პეტრე პეტრეს ძე სემიონოვ – ტიან-შანსკის (1827-1914), რომელიც 11 წლის (1864-1875) განვალბაში ხელმძღვანელობდა ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტს და კიდევ 22 წელი (1875-1897) – შინაგან

1. (-) . . .

7 1897 . ., 1897. C. 5.
საქმეთა სამინისტროს სტატისტიკურ საბჭოს, რომელიც იმ დროისათვის განაგებდა სტატისტიკას. 30 წელზე მეტი პ.პ. სემიონოვი (ტიან-შანსკი ის გახდა 1906 წელს) ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში შეუპოვრად ამტკიცებდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის აუცილებლობისა და ჩატარების შესაძლებლობას. 1870 წელს მან პეტერბურგში მოაწყო სრულიად რუსეთის პირველი სტატისტიკური ყრილობა, რომელმაც განიხილა საკითხი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ. 1874 წელს სამხედრო ბეგარის შესახებ კანონის მომზადებასთან დაკავშირებით და შესაძლო სამხედრო კონტინგენტის განსაზღვრის აუცილებლობისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა მოსახლეობის აღწერების წარმოების წესი. კომისიის განსახილველად წარმოდგენილ იქნა ორი პროექტი. ერთი მათგანი – ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის მიერ წარმოდგენილი – იყო მთელ მოსახლეობაზე გავრცელებული მე-10 რევიზიის გაუმჯობესებელი ვარიანტი. მეორე, პ.პ. სემიონოვის მიერ შემოთავაზებული, წარმოადგენდა იმდროინდელი მსოფლიო სტატისტიკური მეცნიერების საუკეთესო მიღწევების საფუძველზე შედგენილ საყოველთაო აღწერის პროექტს. ხანგრძლივი განხილვისა და შესწორების შემდეგ მიღებული იქნა პ.პ. სემიონოვის პროექტი. მაგრამ მას შემდეგ კიდევ მთელი 20 წელი გავიდა, ვიდრე 1895 წლის 5 ივნისს იმპერატორ ნიკოლოზ II-ისა (ტახტზე წინა წელს ასული) და მთავრობის მიერ არ იქნა დამტკიცებული დებულება რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შესახებ. მაგრამ კიდევ წელიწადნახევარი გავიდა ვიდრე 1897 წლის 28 იანვრის

(ახალი სტილით 9 თებერვლის) მდგომარეობით ბოლოს და ბოლოს არ ჩატარდა მოსახლეობის აღწერა.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარებისათვის ხანგრძლივი ბრძოლა – ოთხ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში იყო – არა მარტო მეფის ჩინოვნიკების, განსაკუთრებით გერმანულ გვარებიანი, ბიუროკრატიულ ჩამორჩენილობისა და პროგრესული პ.პ. სემიონოვის დაპირისპირების შედეგი, როგორც ამას ზოგჯერ ხატავდნენ საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში. ბევრ იმდროინდელ მეცნიერსა და მოღვაწეს სერიოზული საფუძველი ჰქონდა ეჭვი შეეტანათ თავად მოსახლეობის აღწერის ჩატარების შესაძლებლობაში ისეთ ქვეყანაში, როგორც იყო რუსეთი.

რუსეთში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარებისათვის დაბრკოლებები სრულიად რეალური იყო (თუმცა, რა თქმა უნდა ბიუროკრატიზმიც ყოველთვის ჭარბად იყო). ბევრი იმ დაბრკოლებათაგანი დღესაც მოქმედებაში რჩება, თუმცა რა თქმა უნდა, უფრო ნაკლებად ვიდრე ასი წლის წინათ. საგზაო სისტემითა და სატრანსპორტო კავშირებით განუვითარებელი უდიდესი ტერიტორია. ჯერ კიდევ არაა რადიო, ტელეფონი, ავტომობილი და მითუმეტეს ტელევიზია და ავიაცია. ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებულია მკაცრი კლიმატის ზონაში, სადაც დღესაც «მხოლოდ თვითფრინავით შეიძლება ჩაფრენა». უკვე მაშინ უდიდესი (125 მლნ-მდე) მრავალ ეროვნული (160-ზე მეტი ხალხი და ენა) მოსახლეობა, რომელთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი და მცირედმცოდნენი იყვნენ, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში (ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის 85%). საიდან ავირჩიოთ და როგორ მოვამზადოთ პერსონალი: აღმწერთა უდიდესი რაოდენობა, რომლებიც უნდა ფლობდნენ განათლების გარკვეულ დონეს, რათა თავი გაართვან სააღწერო ფურცლებსა და დამხმარე ფორმულარების შევსებას? უკანასკნელი ამოცანა – სააღწერო პერსონალის შერჩევა და მომზადება – დღესაც, სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის წინა ხანებში, კვლავ რჩება მისი ჩატარების ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად.

სამართლიანობისათვის საჭიროა შევნიშნოთ, რომ სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი აღწერისათვის მეცნიერებაც და მთავრობაც დიდხანს ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1833 წელს რევიზიის ჩატარებასთან დაკავშირებულ იმპერატორ ნიკოლოზ I მანიფესტში პერსპექტიულ ამოცანად იყო წამოყენებული საყოველთაო სახალხო აღწერის ჩატარება. სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველ საყოველთაო აღწერის ჩატარებას კეთილგანწყობილად ეკიდებოდა

ალექსანდრე III-ც, რომელმაც 1882 წელს გააუქმა სულადობრივი გამოსაღები, რის შედეგადაც რევიზიების იდეამ აზრი დაკარგა. ბევრი გამოჩენილი მეცნიერი დიდხანს ამუშავებდა რუსეთის რთული პირობებისათვის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების მეთოდოლოგიას. გროვდებოდა პრაქტიკული გამოცდილებაც. ა.ი. გოზულოვის გაანგარიშებით 1860-დან 1889 წლის ჩათვლით პერიოდში 69 ქალაქში მოსახლეობის 79 ლოკალური აღწერა ჩატარდა. განსაკუთრებით გამოიყოფა მოსახლეობის აღწერები პეტერბურგში – 1869 წლის 10 დეკემბრის პ.პ. სემიონოვის ხელმძღვანელობით, 1881 წლის 15 დეკემბრის და 1890 წლის 15 დეკემბრის ი.ე. იანსონის ხელმძღვანელობით, მოსკოვში 1882 წლის 24 იანვრის ა.ი. ჩუპროვის ი.ი. იანჟულის, ა.ს. პოსტნიკოვისა და სხვათა ხელმძღვანელობით, 1902 წლის 31 იანვრის ვ.გ. მიხაილოვსკის ხელმძღვანელობით, კიევში 1874 წლის 2 მარტის პ.პ. ჩუბინსკის ხელმძღვანელობით, ოდესაში 1892 წლის 1 დეკემბრის ა.ს. ბორინევიჩის ხელმძღვანელობით და სხვა¹.

საბოლოოდ სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა 1897 წლის 28 იანვრის (ახალი სტილით 9 თებერვლის) მდგომარეობით. იგი, ნაცვლად გათვალისწინებული თვენახევრისა, სამი თვის განმავლობაში ტარდებოდა. ჩატარების ასეთი დიდი ვადები არ შეიძლებოდა არ ასახულიყო შეგროვილი მასალის ხარისხზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საერთოდ აღწერის ჩატარების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ყველა სირთულესა და ეჭვს ასეთი ვადები მის არც თუ მთავარ ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ. აღწერის ჩატარებაში მონაწილეობა მიიღო თითქმის 150 ათას კაციანმა პერსონალმა, რაც ასევე არ შეიძლება ძალიან დიდად ჩათვალოთ. აღწერის შედეგები გამოქვეყნდა 1905 წელს 89 ტომად. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა იმდროინდელ საზღვრებში 125 640 ათას კაცს შეადგენდა.

აღწერის მასალებმა აჩვენეს არა მარტო მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა და მისი ქვეყნის ტერიტორიისა და მისი ოლქების მიხედვით განსახლება, არამედ მისი სტრუქტურაც მაჩვენებლთა ფართო წრის მახასიათებლების: სქესის, ასაკის ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, წერა-კითხვის ცოდნისა და სარწმუნოების მიხედვით, მშობლიური ენის მიხედვით, (რომელიც ირიბად გამოხატავდა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას), არსებობის საშუალებების მიმცემი სამქმიანობების და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით და სხვა.

მოსახლეობის აღწერების შედეგების დამუშავება და მათი პუბლიკაცია 1905 წელს დასრულდა და 1908 წელს აღიძრა საკითხი მოსახლეობის ახალი მორიგი აღწერის 1910 წელს ჩატარების შესახებ (ე.ი. საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად 0-ზე დასრულებულ წელს). მაგრამ სხვადასხვა, ძირითადად ფინანსური ხასიათის გარემოებების გამო მოსახლეობის მეორე აღწერის ჩატარების ვადა გადასწიეს 1915 წლისათვის, რაც 1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო ომის გამო ასევე ვერ იქნა რეალიზებული.

მოსახლეობის მეორე აღწერა უკვე ახალ საზოგადოებრივ წყობაში, სამოქალაქო ომისა და სამხედრო კომუნიზმის დროს, 1920 წელს ჩატარდა 28

1., 1957. C. 28.

ავვისტოს მდგომარეობით. საბჭოთა ისტორიოგრაფია აღწერის ჩატარების ინიციატივას ვ.ი. ლენინს მიაწერდა, რომელიც როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ხელს აწერდა მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებულ ყველა დადგენილებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი იმ მითთაგანია, რომლითაც სავსეა ჩვენი ისტორია და რომლისგანაც ჯერ კიდევ დიდხანს მოგვიწევს განთავისუფლება. ჩვენი სტატისტიკის რეალური მრავალმხრივი ტრაგიკული, ისტორია ჯერ კიდევ დასაწერია.

უფრო სავარაუდოა, რომ 1920 წლის მოსახლეობის აღწერის ნამდვილ ინიციატორებად იყვნენ ძველი რევოლუციამდელი სტატისტიკოს-ბიუროკრატები (ბიუროკრატიზმი ყოველთვის ცუდი როდია), რომლებმაც სრულიად არ მოახდინეს რეაგირება ბოლშევიკურ სახელმწიფოებრივი გადატრიალებაზე და პეტერბურგის 1872 წლის სტატისტიკური კონგრესის საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად გადაწყვიტეს დაეყენებინათ მოსახლეობის აღწერის ჩატარების საკითხი 0-ზე დაბოლოებულ წელს. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ 1920 წლის სრულიად რუსეთის აღწერის ინიციატორი იყო ვასილ გრიგოლის ძე მიხაილოვსკი (1871-1926), მაშინდელი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დემოგრაფიული სტატისტიკის განყოფილების გამგე, რომელიც 1919 წელს არაერთგზის გამოდიოდა 1920-1921 წლებში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების სასარგებლო არგუმენტებით, რომელიც ხელმძღვანელობდა 1920 წლის აღწერის ყველა პროგრამული დოკუმენტის მომზადებასა და მის უშუალო ჩატარებას. ამასთან შემდგომშიც

ისევ ის ხელმძღვანელობდა 1926 წლის მოსახლეობის აღწერისათვის მთელ მზადებას¹.

1. ვასილ გრიგორის ძე მიხაილოვსკი რუსეთის გამოჩენილი სტატისტიკოს-დემოგრაფი იყო. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (ც.ს.ს.) დემოგრაფიის – განყოფილებაში მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელობდა სტატისტიკურ განყოფილებას მოსკოვის საქალაქო გამგეობაში (1897-1917) და მოსკოვის საბჭოში (1917-1922). მოსახლეობის აღწერების ჩატარების უმდიდრესი გამოცდილება ჰქონდა, რადგანაც ხელმძღვანელობდა მოსკოვის მოსახლეობის 35 აღწერის, აღრიცხვისა და გამოკვლევის მონაცემების წარმოებასა და დამუშავებას. 20-იან წლებში ხელმძღვანელობდა სსრკ-ში დემოგრაფიული სტატისტიკის სამუშაოებს, საფუძველი ჩაუყარა დემოგრაფიულ შემთხვევათა აღრიცხვის თანამედროვე სისტემას. (. . . , 1987 წ. 15-17. მასზე იხ. აგრეთვე (1871-1926). // . . . , 1979. წ. 87-89).

აღწერის ჩატარებისათვის იმდროინდელი პირობები წარმოუდგენელად რთული იყო. მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, ქვეყანა მოცული იყო საომარი მოქმედებებით, სასურსათო გაწერის საწინააღმდეგო გლეხთა ამბოხებებით, ბანდიტიზმით, მრეწველობა და ტრანსპორტი მოშლილი იყო. არ იყო საკმარისი არც სახსრები, არც ისეთ საქმეში მონაწილეობის უნარის მქონე ხალხი როგორცაა აღწერა. მაგრამ მთელი ხალხისა და მატერიალური რესურსების «ინვენტარიზაცია» აუცილებელი იყო ახალი საზოგადოებრივი წყობის უსწრაფესად დამყარებისათვის. ამიტომ მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთდროულად მთელი სახალხო მეურნეობის კომპლექსურად მომცველი სამი აღწერის ჩატარებაზე: სასოფლო-სამეურნეო აღწერა, სამრეწველო საწარმოების მოკლე აღწერა და მოსახლეობის აღწერა. მათ შორის მთავარი იყო მოსახლეობის უმეტესობის (85%) მომცველი სასოფლო-სამეურნეო აღწერა. სწორედ ამიტომაც თარიღად დადგენილი იყო 28 აგვისტო, შუა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს, როცა აღწერის შედეგებს შეეძლოთ აესახათ დასაქმებული მოსახლეობის (უპირველეს ყოვლისა გლეხების) ყველაზე უფრო ტიპური სტრუქტურა.

ბელორუსიაში, ყირიმში, ამიერკავკასიაში, შორეულ აღმოსავლეთში, თურქისტანში, სივაში და ბუხარაში, უკრაინის ცალკეულ გუბერნიებში, ვოლგისპირეთში, ჩრდილო კავკასიაში და ციმბირში აღწერა არ ჩატარებულა სამხედრო მოქმედებების მიზეზით, და ამრიგად, იგი მოიცავდა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 72%-ს. ზოგიერთ ადგილებში აღწერის შეგროვილი

მასალები ამბობებული მოსახლეობის მიერ იქნა განადგურებული, ზოგჯერ თავს ესხმოდნენ აღწერის მუშაკებს. 30-მდე მათგანი მოკლულ იქნა.

სრულიად რუსეთის მე-2 სტატისტიკურ კონფერენციაზე ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობის განხილვის შედეგად მიღებული 1920 წლის მოსახლეობის აღწერის პროგრამა, მნიშვნელოვნად ფართო იყო, ვიდრე 1897 წლის პროგრამა. პირადი ფურცელი, რომელიც აღწერის ძირითადი ფორმულარი იყო შეიცავდა 18 კითხვას, ხოლო ქვეკითხვებით, რომელთაგან ზოგიერთს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ჰქონდა 30-მდე. კითხვები მოსახლეობის შემადგენლობას ახასიათებდნენ სქესის, ასაკის, ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის, მშობლიური ენისა და პირველად – ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შეისწავლებოდა აგრეთვე წერა-კითხვის ცოდნა, ზოგადი და სპეციალური განათლების დონე. არსებობის საშუალებების მომცემი საქმიანობის მიხედვით პროფესიებისა და დასაქმების, და კიდევ სხვა მახასიათებლების მიხედვით განაწილება.

1920 წლის აღწერის მონაცემებით, იმ ტერიტორიების მიხედვით გადაანგარიშების დამატებით, რომლებიც არ იყო აღწერით მოცული, ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა 136 მლნ. კაცს შეადგენდა¹. მათ შორის ქალაქად 20,9 მლნ. ანუ 15,3%. 1917 წლის დასაწყისთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნობა 6,7 მლნ. კაცით შემცირდა. ამ რიცხვიდან დაახლოებით 2 მლნ. მოდიოდა ემიგრაციაზე, დანარჩენი 4,7 მლნ. სამოქალაქო ომის, მისგან გამოწვეული შიმშილისა და ეპიდემიების, აგრეთვე შობადობის შემცირების დემოგრაფიული დანაკარგებია.

ხალხის დიდი რაოდენობა ქალაქებიდან, სადაც სურსათის ნაკლებობა იგრძნობოდა, სოფელ ადგილებში გადასახლდა. ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა 1917 წლის დასაწყისთან შედარებით 4,9 მლნ. კაცით შემცირდა², ხოლო მისი ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 18,0%-დან 15,3%-მდე. მსოფლიო სამოქალაქო ომებმა შეცვალეს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურაც. თუ 1897 წლის აღწერით ვაჟები ქვეყნის მოსახლეობის 49,7%-ს შეადგენდნენ, უკვე 1920 წლის აღწერით კი მხოლოდ – 47,7%-ს.

1920 წლის აღწერის შედეგები გამოქვეყნდა «ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შრომებში» («

1920 .» .1, . 1-5 ., 1920-1922 და სსრკ-ს ც.ს.ს-ს გამოცემაში «

1920 . ., 1928» (ერთ ტომად).

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო სახალხო მეურნეობის აღდგენა. მცირდებოდა მოკვდაობა, იმატებდა შობადობა, ვითარდებოდა მრეწველობა, იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. უდიდესი ძვრები ხდებოდა მოსახლეობის განსახლებასა და შემადგენლობაში. ამიტომ მალე კვლავ დადგა

1. თანამედროვე კორექტირებებით რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1920 წლის აღწერის თარიღისათვის 134 628 კაცს შეადგენდა (. 1922-1991., 1993. C. 9).

2. ქვეყნის ქალაქის მოსახლეობის მთლიანი შემცირების თითქმის ნახევარი მოდიოდა ორი დედაქალაქის – პეტერბურგისა და მოსკოვის ხარჯზე. თუ 1917 წელს პეტერბურგში იყო 2,5 მლნ. მცხოვრები, უკვე 1920 წელს კი მხოლოდ 706 ათასი. იმავე პერიოდში მოსკოვში მცხოვრებთა რიცხვი 1,8 მლნ-დან 952 ათას კაცამდე შემცირდა.

საკითხი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის შემდგომ ათწლიანი ვადა ჯერ არ იყო გასული.

მართალია, 1923 წელს (15 მარტის მდგომარეობით) ჩატარდა აღწერა, მაგრამ იგი მოიცავდა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას და თანაც ქვეყნის მთელ ტერიტორიზეც კი არა. ამიტომ საყოველთაო აღწერებში ეს აღწერა არ ითვლება. მაგრამ იგი ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მის დროს სააღწერო ფურცელთან ერთად პირველად იქნა გამოყენებული საოჯახო რუქაც, სადაც იყო ოჯახის შემადგენლობის დახასიათებასთან დაკავშირებული კითხვები, სრული ქორწინებითი წყვილების რიცხვისა და ოჯახის წევრთა ასაკის შესახებ. საოჯახო რუქები წარმატებით იქნა გამოყენებული მომდევნო, უკვე საყოველთაო აღწერაში (1926 წელს).

დემოგრაფიული სტატისტიკის წყაროდ შეიძლება პირობით მივიჩნიოთ 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის შედეგები („1917 წ. სასოფლო-სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერის მაზრობლივი ჯამები“, საქ. სსრ სტატ. სამმართველოს გამოცემა, 1922). ეს აღწერა ჩატარდა 1917 წ. ზაფხულში, სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო, საადგილ-მამულო და საქალაქო აღწერის სახით. აღწერის პროგრამაში დემოგრაფიულ ნაწილს მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ნაწილობრივ მოიცავდა მოსახლეობის შედგენილობის გამრკვევ კითხვებს. იგი ჩატარდა მეტად არახელსაყრელ ვითარებაში, გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში და, ამიტომ, კრიტიკული მომენტის პრინციპი დაცული არ ყოფილა.

მოსახლეობის აღწერები საბჭოთა საქართველოში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომში განვითარების და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების შესაბამისად, არსებითად შეიცვალა სტატისტიკურ სამუშაოთა შინაარსი, მოცულობა, პროგრამა და ორგანიზაცია: მას ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიეცა და ამისდა შესაბამისად

გაიშალა ერთდროულ და პერიოდულ სტატისტიკურ სამუშაოთა წარმოება, დაგროვებულ და ახლად მოპოვებულ პირველად მასალათა დამუშავება და პუბლიკაცია.

უკვე პირველ წლებშივე შესაძლებელი გახდა გამოქვეყნებულიყო რევოლუციამდე ჩატარებულ ზოგ სტატისტიკურ სამუშაოთა შეჯამებული შედეგები, შემცველი დემოგრაფიულ-სტატისტიკური მასალებისა. ასეთია, მაგ., 1917 წ. აღწერის მაზრობლივი ჯამები (1922 წ.), სტატისტიკური კრებული 1909-1921 წლ. (1923 წ.).

1922 წლის 30 ნოემბერს ჩატარდა სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგები მალე გამოქვეყნდა: ნაწილი პირველი – დემოგრაფია, 1923 წ., ნაწილი მეორე – ბინები, 1924 წ.

1923 წელს აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომლის პროგრამა ნაწილობრივ დემოგრაფიულ ნიშნებსაც ითვალისწინებდა. აღწერის შედეგები (ნაწ. I) სათემო ჯამების სახით გამოქვეყნდა 1925 წ., ხოლო კითხვები, რომლებიც მოსახლეობის შედგენილობის დახასიათებას იძლეოდნენ, ცალკე დამუშავდა და 1926 წ. გამოქვეყნდა (ნაწილი II).

ეს ორი აღწერა – ქალაქთა მოსახლეობისა 1922 წ. და სასოფლო-სამეურნეო 1923 წ., – თუმცა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ჩატარდა, მაგრამ ურთიერთის შემესები იყო, რამდენადაც პირველი ქალაქის მოსახლეობის დახასიათებას იძლეოდა, ხოლო მეორე – დაახლოებით იმავე პერიოდისათვის – სოფლის მოსახლეობისას. მართალია, მათი შედეგების გამოყენებას მოსახლეობის ორივე ნაწილის ერთდროული დახასიათებისათვის აბრკოლებდა როგორც პროგრამული, ისე ორგანიზაციული და დროის მიხედვით სხვადასხვაობა, მაგრამ ამ დროისათვის სხვა, უფრო სრული და სწორი ცნობები მოსახლეობის შესახებ ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა.

(გ. გამყრელიძე, დემოგრაფიული სტატისტიკა. თბ., 1955. გვ. 101-102.)

საბჭოთა კავშირის შექმნამ, ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა ტემპებმა და შესაბამისად ქალაქების ზრდამ, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებამ წამოაყენეს მოსახლეობის ახალი აღწერის ჩატარების ამოცანა. თავდაპირველად იგი გათვალისწინებული იყო 1925 წლისათვის¹, ამასთან, ისევე როგორც 1920 წელს, სხვა აღწერებთან, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და კოოპერაციული – კომპლექსში, მაგრამ შემდეგ გადაწყდა მისი ცალკე და 1926 წლის ბოლოს ჩატარება.

მეორე საბჭოთა, პირველი საკავშირო მოსახლეობის აღწერა 1926 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა. მისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. აღწერის კითხვები განიხილებოდა მე-2 საკავშირო სტატისტიკურ კონფერენციაზე (1925 წლის 25 თებერვალი – 3 მარტი) და სტატისტიკოსთა საკავშირო ყრილობაზე (1926 წლის 1-7 თებერვალი). აღწერის ძირითადი ფორმულარები იყო პირადი ფურცელი და საოჯახო რუქა (ეს უკანასკნელი მხოლოდ ქალაქებში). პირადი ფურცელი ძირითადად იმავე კითხვებს შეიცავდა, რასაც 1920 წლის აღწერის დროს, და შედგებოდა – 14, ხოლო ქვეკითხვებით –

30-მდე კითხვისაგან. მათ შორის სქესზე, ასაკზე, ქორწინებით მდგომარეობაზე, ეთნიკურ კუთვნილებაზე და მშობლიურ ენაზე, წერა-კითხვის ცოდნაზე, დაბადების ადგილზე და აღწერის ადგილას მუდმივი ცხოვრების ხანგრძლივობის შესახებ, ფიზიკური ნაკლის, მძიმე დასახინრებისა და ფსიქიკური ავადმყოფობის შესახებ. კითხვების მთელი ჯგუფი ქვეკითხვებით ეძღვნებოდა ძირითადი და დამხმარე საქმიანობის, სოციალური მდგომარეობის, პროფესიისა და სამუშაო ადგილის დახასიათებას. საქმიანობის არ მქონეთათვის ირკვეოდა არსებობის საშუალებათა წყაროები. უმუშევრებისათვის გათვალისწინებული იყო კითხვები უმუშევრობის ხანგრძლივობისა და წინანდელი

1. 1926 .
., 1938. C.19.

საქმიანობის შესახებ. ამ უკანასკნელ მოთხოვნას მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა:

1926 წლის აღწერამ ქვეყანაში თითქმის 1 მლნ.-მდე უმუშევრის არსებობა აჩვენა.

საოჯახო რუქა შეიცავდა ოჯახის ზომისა და შემადგენლობის, აგრეთვე მათი საბინაო პირობების დამახასიათებელ 20-ზე მეტ კითხვას. აღწერამ უმდიდრესი მასალა მისცა რუსეთის ოჯახის ცხოვრების შესწავლისათვის, რომელთაგან ბევრს თავისადმი ინტერესი დღესაც არ დაუკარგავს.

1926 წლის აღწერის მასალები გამოქვეყნდა 56 ტომად. ეს პუბლიკაცია იყო და რჩება ჩვენი ქვეყნის საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის აღწერის შედეგების ყველაზე მდიდარ პუბლიკაციად. ამ აღწერის მასალების საფუძველზე იანგარიშებოდა სახალხო მეურნეობის ბალანსი, სრულდებოდა მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის მიმდინარე გაანგარიშებები უახლესი აღწერის შემდგომი წლებისათვის, იგებოდა დემოგრაფიული პროგნოზები, აკებულ იქნა სსრკ-ს მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილები 1926-1927 წლებისათვის.

მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემებით სსრკ-ს მოსახლეობის მთლიანმა რიცხოვნობამ 147 028 ათასი კაცი შეადგინა. აღურიცხაობაზე შემდგომი კორექციით – 148 530 ათასი კაცი¹.

მოსახლეობის შემდგომი რიგითი აღწერა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1932 წლის 22 აპრილის დადგენილებით, 1933 წლის დეკემბრისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ 1933 წლის აპრილში მისი

ჩატარების ვადა 1935 წლის დასაწყისისათვის იქნა გადატანილი, შემდეგ 1934 წლის ივნისში – კიდევ ერთხელ გადაიტანეს 1936 წლის იანვრისათვის, ერთი წლის შემდეგ 1935 წლის 15 ივნისს – გადატანილ იქნა 1936 წლის დეკემბრისათვის და ბოლოს 1936 წლის 28 აპრილს საბოლოოდ დადგინდა 1937 წელი, როცა 6 იანვრის მდგომარეობით ჩატარდა კიდევ მოსახლეობის მორიგი საკავშირო აღწერა². ისტორიკოსები ამ აღწერას ახლა „ტრაგიკულს“ ანუ „რეპრესირებულს“ უწოდებენ და მას (უფრო სწორად მის ორგანიზატორებს) მთელი რიგი გარემოებების გამო ნამდვილად ტრაგიკული ბედი ჰქონდა.

1927-1932 წლების სოფლის მეურნეობის იძულებითმა კოლექტივიზაციამ, რომელსაც თან სდევდა შიმშილი და მასობრივი რეპრესიები გამოიწვია

3. 1922-1991
., 1993. C. 21.

4. (. . .) //
., 1990. C. 170.

მოკვდაობის ზრდა და იმოქმედა 1925 წლიდან ისედაც დაწყებულ შობადობის შემცირებაზე. მოკვდაობამ უკვე 1929 წ. ე.ი. „ღიადი გარდატეხის“¹ წლიდან, დაიწყო ზრდა. მოსახლეობის ზრდის ტემპები მკვეთრად შეფერხდა, მაშინ როცა სტალინური დოქტრინით, სოციალიზმის ზრდის კვალობაზე ისინი უნდა დაჩქარებულიყო. 1932-1933 წლებში უკრაინის, ქვემო ვოლგისპირეთის, ყუბანისა და ყაზახეთის მარცვლეულის რაიონებში დაწყებულმა შიმშილმა სხვადასხვა შეფასებებით 3 მლნ. სიცოცხლეზე მეტი შეიწირა². სულ შიმშილის, მასთან დაკავშირებული ავადმყოფობების, „გაკულაკების“ დროს რეპრესიებისა და სხვა ძალადობისას 1926 და 1936 წლის აღწერებს შორის პერიოდში მოსახლეობის დანაკარგები შეფასებულია 11 მლნ. ადამიანით³. შობადობის შემცირებისა და მოკვდაობის ზრდის შედეგად ყაზახეთიდან და შუა აზიიდან მეზობელ ჩინეთში დაახლოებით 2 მლნ. ადამიანის გაქცევით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რიცხოვნობა 1933-1935 წლებში 4,7 მლნ. ადამიანით შემცირდა, იმის ნაცვლად, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილიყო, როგორ ამას მთავრობა ელოდა.

მოსახლეობის რიცხოვნობის მიმდინარე გაანგარიშებები, რომლებსაც საგეგმო ორგანოები აწარმოებდნენ ძალიან განსხვავდებოდნენ რეალური ტენდენციებისაგან. მათი გაანგარიშებით ქვეყნის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა, რაც უნდა ყოფილიყო ცხოვრების დონის შესაბამისი ზრდის დამადასტურებელი და 1933 წლის დასაწყისისათვის 165,7 მლნ. კაცს შეადგენდა, ხოლო 1937 წლის ბოლოსათვის კი ივარაუდებოდა, რომ იქნებოდა 180,7 მლნ

კაცი. ეს რიცხვები ყველაზე მაღალი ტრუბუნებიდან იქნა გამოცხადებული და ამიტომ საჭირო იყო, რომ რეალურობა მათი შესაბამისი ყოფილიყო.

მაგრამ 1937 წლის აღწერამ მხოლოდ 162 039 ათასი კაცი (აღურიცხაობაზე ახლანდელი კორექციით – 162 739 ათასი⁴) დაითვალა. შედეგად მთავრობამ ეს აღწერა წარუმატებლად, დეფექტურად გამოაცხადა. მისი ხელმძღვანელები მოსახლეობის შეგნებულ აღურიცხაობაში იქნენ დადანაშაულებულები. ბევრი

-
5. 1922-1991
., 1993. C. 135.
 6. 1933 : ? (
)// ., 1991. №5. C. 23.
 7. « »:
1937 ., 1996. C. 44.
 8. 1922-1991.
., 1993. C. 37.

მათგანი დააპატიმრეს და დაიდუბა -ებში¹, ხოლო ზოგიერთები დახვრიტეს. 1950-იან წლებში ყველა ისინი რეაბილიტირებულ იქნენ.

სულ ახლახანს, უკვე 90-იან წლებში, არქივებში აღმოაჩინეს 1937 წლის აღწერის მნიშვნელოვან წილად გადარჩენილი მასალები. მკვლევართა ჯგუფმა გააანალიზა ისინი, განახორციელა საჭირო გაანგარიშებები და აჩვენა, რომ აღურიცხაობა დიდი არ იყო, სულ 700 ათასი კაცი ანუ 0,43%. ბევრ ქვეყანაში აღწერისას მოსახლეობის აღურიცხაობა 5%-ის ფარგლებში დასაშვებადაა მიჩნეული.

რადგანაც 1937 წლის აღწერის შედეგები მთავრობის მიერ არ იქნა მიღებული, დაინიშნა მოსახლეობის ახალი აღწერა, რომელიც 1939 წელს ჩატარდა (17 იანვრის მდგომარეობით). ახლა ელოდნენ (სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პროგნოზით), რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა შეადგენდა 170 მლნ. კაცს. ახსოვდათ რა 1937 წლის აღწერის შემდგომი რეპრესიები, სტატისტიკოსები ძალიან ცდილობდნენ გასულიყვნენ მითითებულ (პირდაპირი აზრით) რიცხვზე, არ დაეშვათ მოსახლეობის „აღურიცხაობა“. ყველა ძალისხმევის შედეგად აღწერამ აჩვენა 170557 ათასი კაცის ტოლი მოსახლეობის რიცხოვნობა (შემდგომ ორმაგ აღრიცხვაზე და მიწერებზე კორექციის შედეგად აღმოჩნდა, რომ უფრო რეალური რიცხვია 168 871 ათასი²).

მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა 1939 წლის აღწერის შედეგების ბოლომდე დამუშავებას. ომის შემდეგ იძვრებოდა საკითხი მოსახლეობის რიგითი

აღწერის ჩატარების შესახებ, რათა შეეფასებინათ ომით მიყენებული ზარალი. მაგრამ კვლავ შიმშილმა, რომელმაც 1946-1947 წლებში დააზიანა ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი, არ მისცათ ამის საშუალება. მოგვიანებით გადაწყდა მოსახლეობის აღწერა ჩატარებინათ 1949 წელს³, მაგრამ სტალინმა ნება არ დართო, რადგანაც როგორც ჩანს ეშინოდა, რომ აღწერა გაამჟღავნებდა

-
4. — არის — ის (ბანაკთა მთავარი სამმართველო) აბრევიატურა. ასე უწოდა 1930-იანი წლების რეპრესიების ამსახველი გახმაურებული რომანის « —ის ავტორმა ცნობილმა რუსმა მწერალმა ა.ი. სოლჟენცინმა იმ დაწესებულებებს, სადაც რეპრესირებულები იხდიდნენ სასჯელს. — ქართულად მთარგმნელის შენიშვნა.
 5. 1922-1991. ., 1993. C. 135.
 6. : // . .1, ., « » , « » , 1990. C. 270.

მოსახლეობის საშინელ დანაკარგებს, რომელიც გამოწვეული იყო არა მარტო ქვეყნის ოკუპირებულ რაიონებში ფაშისტების მიერ გამოჩენილი სიმხეცეების შედეგად, არამედ ხშირ შემთხვევაში ქვეყნისა და არმიის უნიჭო ხელმძღვანელობით, ასევე რეპრესიებითაც, რომლებიც ომის დროსაც კი არ შეწყვეტილა.

მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ 1953 წელს იქნა დანიშნული მოსახლეობის მორიგი აღწერა, რომელიც ჩატარდა კიდევ 1959 წელს (15 იანვრის მდგომარეობით). აღწერას წინ უძღოდა მისი პროგრამულ-მეთოდოლოგიური საკითხების, 1957 წლის 4-8 ივნისს ქ. მოსკოვში ჩატარებულ სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე განხილვა. თათბირში აღწერის უშუალო ორგანიზატორების სტატისტიკოსების, გარდა ბევრი მეცნიერიც დებულობდა მონაწილეობას, რომლებმაც მთელი რიგი მნიშვნელოვანი წინადადებები შეიტანეს აღწერის პროგრამაში ჩასართავად, რომელთაგანაც მაშინდელი საბჭოთა სტატისტიკის ხელმძღვანელობის მიერ ბევრი არ იქნა მიღებული, მაგრამ რეალიზებულ იქნა 20-30 წლის შემდეგ მოსახლეობის მომდევნო აღწერებში (მაგალითად, აკად. მ.ვ. პტუხას წინადადება აღწერისას შობადობის 5%-იანი შერჩევითი გამოკვლევის ჩატარების შესახებ¹ არ იქნა მიღებული, მაგრამ შემდგომ განსაკუთრებული წინააღმდეგობის და დისკურსის გარეშეც კი იქნა რეალიზებული 1979 წლის და შემდგომ აღწერებში).

ძირითადი საპროგრამო კითხვებით 1959 წლის აღწერა თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა 1939 წლის აღწერისაგან. სააღწერო ფურცელი შეიცავდა მხოლოდ 15 კითხვას.

მიუხედავად ამისა, 1959 წლის აღწერის შედეგებმა დიდი მეცნიერული რეზონანსი გამოიწვიეს, თითქმის ყველაზე დიდი, ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული მოსახლეობის ყველა წინა აღწერებთან შედარებით. აღწერა გახდა მეცნიერული გამოკვლევების აქტივიზაციის მძლავრი სტიმული, არა მარტო დემოგრაფიაში, არამედ ეკონომიკაშიც, სოციოლოგიაშიც და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ამას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ 1959 წლის აღწერა ტარდებოდა სკკპ XX ეპოქალური ყრილობიდან 2 წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, როცა სტალინური ზამთრის შემდეგ ქვეყანაში ადრე გაზაფხულის დათბობა დაიწყო და

2. 4-8 1959 . ., 1958. C. 152.
ცოცხლდებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებანი. 1959 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებმა ყველას ჭკუის კარგი საკვები მისცა.

დემოგრაფიაშიც ასევე ხდებოდა სტალინის შემდგომი გამოცოცხლების ბუმი. 1959 წლის აღწერის შემდეგ მკვეთრად გააქტიურდა მოსახლეობის სტრუქტურისა და დემოგრაფიული პროცესების დინამიკის დემოგრაფიული გამოკვლევები, გაფართოვდა სამეცნიერო დემოგრაფიული ლიტერატურის პუბლიკაცია. გააქტიურდა დისკუსიები დემოგრაფიული მეცნიერების თეორიულ პრობლემებზე. კერძოდ ამ მიმართულებით საჭიროა აღინიშნოს ხალხთმოსახლეობის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების შესახებ 1966 წლის ნოემბერში ქ. მოსკოვში ჩატარებული საკავშირო სიმპოზიუმი, რომელზეც განიხილებოდა დემოგრაფიის, როგორც დამოკიდებული საზოგადოებრივი მეცნიერების ჩამოყალიბების, მისი შესწავლის საგნისა და სხვა მეცნიერებასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხები¹.

1959 წლის აღწერის მასალები გამოქვეყნდა 16 ტომად: ერთი ტომი სსრკ-ს შედეგების შესახებ მთლიანად და 15 ტომი ცალ-ცალკე თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის შესახებ.

საჭიროა ასევე ავღნიშნოთ, რომ სრულებითაც არ იყო შემთხვევითი 1950-იანი წლების შუახანებიდან ოფიციალური სტატისტიკური პუბლიკაციების: ცნობარების, წელიწდეულებისა და ა.შ. ძირითადად ზოგად ეკონომიკური, მაგრამ ასევე დემოგრაფიულისაც – მნიშვნელოვნად გაფართოება.

მოსახლეობის მომდევნო რიგითი საკავშირო აღწერა ჩატარდა 1970 წელს 15 იანვრის მდგომარეობით. 1970 წლის აღწერის სააღწერო ფურცელი შეიცავდა 18 კითხვას, ე.ი. ცოტათი მეტს ვიდრე წინა აღწერისას. დამატებები შეეხებოდა მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებს. 1970 წლის აღწერის სიახლე იყო აგრეთვე შერჩევითი მეთოდის გამოყენება, რომლის დროსაც სააღწერო ფურცლის 11 კითხვაზე პასუხს იძლეოდა ქვეყნის მოსახლეობის მთელი 100% (უფრო ზუსტად სააღწერო ფურცლის კითხვების მიხედვით მონაცემები გროვდებოდა ქვეყნის მოსახლეობის არა მთელი ასი პროცენტის შესახებ, რადგანაც ყველა მოქალაქეს ვთქვათ ჩვილ ბავშვებს არ შეეძლოთ თავის თავად რაიმეს შეტყობინება), ხოლო დანარჩენი 7 კითხვის შესახებ ცნობები გროვდებოდა მოსახლეობის მხოლოდ 25%-

1. _____ : _____ ,
24-26 1966 . ., 1969.

ზე (გამოკითხვა ხდებოდა ყოველ მეოთხე საცხოვრებელში). შემდეგ ასეთნაირად შეგროვილი ცნობები გარკვეული წესებით ვრცელდებოდა მთელ მოსახლეობაზე. შერჩევითი მეთოდის გამოყენება იძლევა ფინანსური სახსრებისა და ადამიანური რესურსების ეკონომიას.

1970 წლის აღწერის მასალები გამოქვეყნდა 7 ტომად (რომლის გვერდების საერთო მოცულობა თითქმის ისეთივე იყო როგორც 1959 წლის აღწერის შედეგების პუბლიკაციის 16 მცირე ტომში). პუბლიკაციასთან ერთად გამოიცა აღწერის შედეგების 10 ტომი გრიფით „სამსახურეობრივი სარგებლობისათვის“.

აღწერამდე ორი წლით ადრე, 1968 წლის აპრილში, მოსკოვში ჩატარდა სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირი საზოგადოებრივი მეცნიერების სხვადასხვა დარგების წარმომადგენელ გამოჩენილ მეცნიერებათა დიდი რიცხვის მონაწილეობით, რომელზეც ძალიან მწვავე მანერით განიხილებოდა მომავალი აღწერის ძირითადი პროგრამულ-მეთოდოლოგიური და ტექნიკური საკითხები და კვლავ მეცნიერებს შეჰქონდათ წინადადებები, რომელთა უმეტესობაც უარყოფილ იქნა საბჭოთა სტატისტიკის ხელმძღვანელობის მიერ. ამის შესახებ საოცარი საბუთი შემორჩა – ცენზურის მიერ თითქმის ხელუხლებელი, სტენოგრაფიული ანგარიში თათბირის შესახებ. იგი დღესაც როგორც სულის შემძვრელი დეტექტივი ისე იკითხება.¹ ეს იყო უნიკალური შემთხვევა ჩვენი სტატისტიკის ისტორიაში და უნიკალური გამოცემა. სამწუხაროდ ორივე ისინი – მსგავსი

თათბირი და მასზე ანგარიშის გამოცემა – იმავე დონეზე, მეტი აღარ განმეორებულა.

მოსახლეობის შემდგომი მორიგი აღწერა ჩატარდა 9 წლის შემდეგ, 1979 წელს 17 იანვრის მდგომარეობით (ჩვენ კვლავ გავედით 9-ზე დაბოლოვებულ წელზე). სააღწერო ფურცელი შედგებოდა 16 კითხვისაგან (11 სრული აღწერის ნაწილში და ხუთი–25 პროცენტთან შერჩევით ნაწილში). სრული აღწერის ნაწილის კითხვები ძირითადად იგივე იყო რაც წინა 1970 წლის აღწერისას, თუმცა ზოგიერთ მათგანში იყო მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილებები. შერჩევით ნაწილში არ იყო წინა აღწერის კითხვა წლის განმავლობაში არასრული დასაქმების შესახებ და

ორი კითხვა მიგრაციის შესახებ, სამაგიეროდ შემოტანილ იქნა ქალებისადმი მიმართული ახალი კითხვა, გახენილი ბავშვების შესახებ. ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ტექნიკურ სიახლესაც: სააღრიცხვო ფურცელი შეთავსებული იყო ინფორმაციის ტექნიკურ მატარებელთან. სააღრიცხვო ფურცლის კითხვებზე

1. 22-26 1968 . C
.,1969.

პასუხების მნიშვნელოვანი ნაწილი (16-დან 12 კითხვაში) მასში ჩაიწერებოდა არა სიტყვიერად, როგორც ეს კეთდებოდა წინა აღწერაში, არამედ სააღწერო ფურცლებზე დაიტანებოდა ნაჭდევების სახით, სპეციალურად ამ მიზნისათვის დამზადებული ფანქრით, და შემდეგ თავად სააღწერო ფურცლებით შეჰქონდათ ელექტრონულ წამკითხავ მოწყობილობებში. ფურცლებზე ნაჭდევები კეთდებოდა უშუალოდ აღწერის დროს, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა აღმწერთა დატვირთვას. სამაგიეროდ სააღწერო ფურცლების დამუშავების ეტაპზე მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის დანახარჯები, მუშაობის ვადები და ინფორმაციის სააღწერო ფურცლებიდან დასამუშავებელ ბლანკებზე ხელით გადაწერისას უცილობლად არსებული შეცდომების რიცხვი.

ზოგიერთი კითხვის რედაქციაში ადგილი ჰქონდა რიგ პროგრამულ-მეთოდოლოგიურ ცვლილებებს. კერძოდ, შეიცვალა ასაკის შესახებ კითხვის რედაქცია, ტრადიციულ, შესრულებულ წელთა რიცხვთან ერთად შემოტანილი იქნა დაბადების თარიღი, ქორწინებითი მდგომარეობა ეხლა ფიქსირდებოდა გაფართოებულად ოთხი კატეგორიის სახით: ქორწინებაში მყოფები, ქორწინებაში არასოდეს არ მყოფები, ქვრივები და განქორწინებულნი (ან

გაცილებულები). ამ ცვლილებამ ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა ქორწინების შესწავლისა და პროგნოზირებისათვის.

1979 წლის აღწერის შედეგები გამოქვეყნდა ერთად ერთ ტომად, რომლის სარგებლიანობაც მხოლოდ პროპაგანდისტული მუშაობისათვისაც კი ძალიან საეჭვოა, ხოლო სხვა უფრო სერიოზული სამუშაოსთვის – მით უმეტეს. გრიფით „სამსახურეობრივი სარგებლობისათვის“ გამოცემულ იქნა 10 ტომი.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა 1979 წლის აღწერის შედეგების ცალკეული ტომები და მათი ყიდვაც კი ადვილად შეიძლება თუმცა არა მაღაზიიდან (ჩვენი წიგნით ვაჭრობა ჯერ კიდევ არ ცდილობს ისწავლოს ახალ კომერციულ პირობებში სამეცნიერო ლიტერატურით ვაჭრობა. იგი უპირატესობას ანიჭებს ივაჭროს სხვადასხვა, დიდი შრომის გარეშე, გასაყიდი გასართობი მაკულატურით). სტატისტიკური ლიტერატურის, მათ შორის აღწერის მასალების შექმნისათვის საჭიროა მიმართონ უშუალოდ რუსეთის სტატსახკომის გასაღების განყოფილებას. მაგრამ ძალიან მაღალი ფასები აფრთხობენ მყიდველებს. როგორც ჩანს სტატსახკომიც არაა ძალიან დაინტერესებული თავისი ლიტერატურის გაყიდვით, რადგანაც საკმაოდ გულგრილად ეკიდება მისი თვითღირებულების და შესაბამისად ფასის შემცირებისაკენ მიმართულ ნებისმიერ წინადადებას.

მოსახლეობის მომდევნო და უკანასკნელი საკავშირო აღწერა ჩატარდა ზუსტად 10 წლის შემდეგ, 1989 წლის 12 იანვრის მდგომარეობით. თავისი მეთოდოლოგიური თვისებებით იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა აღწერისაგან. უპირველეს ყოვლისა 1926 წლის აღწერის შემდეგ ეს იყო არა მარტო მოსახლეობის, არამედ მისი საბინაო პირობების აღწერაც. ამასთან დაკავშირებით სააღწერო ფურცელში მნიშვნელოვნად, 16-დან 25-მდე, გაიზარდა კითხვების რიცხვი (18 კითხვა ეძღვნებოდა მოსახლეობას, კიდევ 7 საბინაო პირობებს). ისევე როგორც 1970 და 1979 წლის აღწერებში გამოიყენებოდა შერჩევითი მეთოდი, მოსახლეობის მეოთხედი გამოიკითხებოდა მთლიანად ყველა კითხვის მიხედვით, მაშინ როცა მოსახლეობის სამი მეოთხედი პასუხობდა 5 კითხვით ნაკლებს, ე.ი. 18 კითხვას. კითხვები ძირითადად იგივე იყო, რაც 1979 წლის აღწერისას, ზოგიერთი რედაქციული ცვლილებები განხილული იქნება ქვემოთ. 1979 წელთან შედარებით ორი ახალი კითხვა შეეხებოდა მოსახლეობის მიგრაციას.

1989 წლის აღწერის მასალები რამდენიმე წლის განმავლობაში მცირე მოცულობებით, საკმაოდ უსისტემოდ გამოიცემოდა. იმის თქმაც კი ძნელია თუ

რამდენია ისინი. თავდაპირველად გამოიკა მოკლე შედეგების 5 გამოშვება, რომელიც **ნამდვილად მოკლე** მონაცემებს შეიცავდა სსრკ-სა და მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის რიცხოვნობისა და განსახლების შესახებ, მოსახლეობის სქესობრივი-ასაკობრივი, ქორწინებითი და ეროვნული შემადგენლობის შესახებ, მისი განათლების დონისა და ოჯახური შემადგენლობის შესახებ. შემდეგ გამოვიდა რამდენიმე მცირე ტომი იამვე, მაგრამ ცოტა უფრო დაწვრილებითი მონაცემებით.

1979 და 1989 წლის აღწერებს შუა პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი სიახლეები. პირველად იქნა ჩატარებული მოსახლეობის საკავშირო შერჩევითი სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევა (თავდაპირველად ასეთი გრძელი სახელწოდება ჰქონდა მას), რომელსაც შემდგომ უბრალოდ სსრკ-ის მოსახლეობის მიკროაღწერა დაერქვა. 1985 წლის მიკროაღწერა ტარდებოდა 2 იანვრის მდგომარეობით და მოიცავდა სსრკ-ს მოსახლეობის 5%-ს. გამოკითხვის ბლანკი (კითხვარი) შედგებოდა 5 განყოფილებისაგან: ა) მოსახლეობის შემადგენლობა (სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, განათლების დონის, არსებობის საშუალებათა წყაროსა და ა.შ. მიხედვით); ბ) უფრო დაწვრილებით ვიდრე ა) განყოფილებაშია ცნობები ქორწინებაზე; გ) შობადობა; დ) საბინაო პირობები; ე) მოსახლეობის აზრი ცხოვრების პირობების გასამჯობესებლად სახელმწიფოსაგან პირველი რიგის ღონისძიებების მიღების აუცილებლობის შესახებ. ხუთ განყოფილებაში სულ იყო 27 კითხვა (ანუ სხვაგვარად პუნქტი).

კითხვების უმეტესობა იგივე იყო რაც 1979 წლის აღწერისას, მაგრამ არ იყო კითხვები მშობლიურ ენაზე და სამუშაო ადგილისა და საქმიანობის შესახებ. იმავდროულად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქორწინებასა და შობადობის შესახებ კითხვების წრე. პირველად გაჩნდა აღწერაში (თუმცა მიკროაღწერაში), 45 წლამდე ასაკში მყოფი გათხოვილი ქალებისადმი მიმართული კითხვა, ბავშვების რიცხვის შესახებ, რომლებსაც ისინი ვარაუდობენ, რომ იყოლიონ. ახალი იყო კითხვა საშუალო თვიური შემოსავლების შესახებაც. მიკროაღწერის მომზადებისას ბევრი მეცნიერი აღწერაში ასეთი კითხვის ჩართვის წინააღმდეგი იყო ეჭვობდა, რა საიმედო ინფორმაციის მიღებას შემოსავლების შესახებ იმ ქვეყნის პირობებში, სადაც ნებისმიერი შრომითი საქმიანობა სახელმწიფო სექტორის გარდა იკიცხებოდა ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი აზრის მიერ.

მიუხედავად ამისა, საბოლოოდ კითხვა შემოსავლების შესახებ ჩართულ იქნა აღწერის პროგრამაში. მაგრამ შედეგები არ გამოქვეყნებულა, რაც ირიბად იმას ადასტურებს, რომ მათი არასაიმედოობა საკმაოდ აშკარად გამოიყვანდა.

ასეთივე ბედი ეწვია მოსახლეობის აზრით ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ კითხვების ბლოკს. მისი მომზადების დროს რუსეთის ფედერაციის (რ.ფ.) სტატსახკომის მეთოდოლოგიურ კომისიაზე მიკროაღწერის პროგრამის განხილვისას ბევრი მეცნიერი ასევე ამ ბლოკის კითხვების წინააღმდეგ იყო. თავიანთ წინააღმდეგობას ისინი იმ მოტივით ხსენებდნენ, რომ სააღწერო ბლანკში შემოთავაზებული პასუხების ვარიანტები, კითხვაზე იმის შესახებ, თუ ცხოვრების რომელი მხარეების გაუმჯობესებაა სხვებზე უფრო ადრე საჭირო, ალტერნატიული არ იყო, არ იძლეოდა არჩევის შესაძლებლობას, რადგანაც ყველა მიეკუთვნებოდა პირველი რიგისას (ვარიანტები ასეთია: სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფა, საბინაო პირობების, სამრეწველო საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის, სამედიცინო მომსახურების, ტრანსპორტის მუშაობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება. ამ ნაკრებიდან საჭირო იყო მიეთითებინათ არა უმეტეს სამი მდგენელისა). ცხადია გამოკითხვისას მიღებულმა შედეგებმა დაადასტურეს მეცნიერთა ეჭვი. ამიტომ ისევე როგორ ცნობები შემოსავლების შესახებ, არ გამოქვეყნებულა. მათ შესახებ უბრალოდ „დაავიწყდათ“, ვითომ ისინი არც კი ყოფილიყვნენ.

1989 წლის აღწერიდან 5 წლის შემდეგ 1994 წელს კვლავ ჩატარდა მოსახლეობის მიკროაღწერა, ახლა უკვე სრულიად რუსეთის, 14 თებერვლის მდგომარეობით. ცხადია, 1985 წლის 2 იანვრის მდგომარეობით ჩატარებულმა მიკროაღწერის გამოცდილებამ აჩვენა აღწერის სადღესასწაულო დღეებში ჩატარების უხერხულობა (თუმცა აღწერის თარიღის შერჩევა წლის პირველ ან ბოლო დღეს აიოლებს ასაკობრივ სტრუქტურასთან დაკავშირებული დემოგრაფიული მანქვანებლების მთელ რიგ გაანგარიშებებს. სტატისტიკოსებს მოუხდათ აღწერის თარიღის გადაწევა არა მარტო ახალი და ძველი ახალ წლის დღესასწაულებიდან, არამედ მოსწავლეებისა და სტუდენტების იანვრის არდადეგებიდანაც, როცა მოსახლეობის მოძრაობა იზრდება. თებერვლის შუა რიცხვები ამ მხრივ საიმედოა.

1994 წლის მიკროაღწერა არსებითად განსხვავდება ყველა წინა აღწერებისაგან, უპირველეს ყოვლისა კითხვების მნიშვნელოვნად უფრო ფართო

წრით, რომლებიც 41 იყო (მათგან 36 პირადი ხასიათის ცნობები და 5 საბინაო პირობების შესახებ). ყველა აღწერისათვის ტრადიციული კითხვების სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნებისა და მშობლიური ენის, განათლების დონის და ა.შ. გარდა, იყო რიგი ახალი კითხვებიც. ასე მაგალითად, მშობლიური ენის შესახებ კითხვასთან ერთად პირველად ისმებოდა კითხვა სალაპარაკო ენაზე, ე.ი. იმ ენაზე, რომლითაც ადამიანი უპირატესად სარგებლობს ცხოვრებაში. ამასთან, ამ კითხვაზე საჭირო იყო სამი პასუხის გაცემა: რომელი ენით სარგებლობს ადამიანი უპირატესად თავის სახლში, სასწავლებელში (ან სკოლამდელ დაწესებულებაში) და სამუშაოზე.

ასევე შედარებით ახალი იყო ქორწინებაში ყოფნასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხის ვარიანტი: რეგისტრირებულია თუ არა ქორწინება (ბუნებრივია – ქორწინებაში მყოფებისათვის). შობადობის შესწავლისადმი მიძღვნილ კითხვებს შორის, ქალების მიერ დაგეგმილ (მოსალოდნელ) ბავშვთა რიცხვის შესახებ შეკითხვას პირველად დაემატა ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა მათ მიერვე განსაზღვრული ბავშვების სასურველი რიცხვის შესახებ. თუ რატომაა ეს კითხვა ძალიან მნიშვნელოვანი, თქვენ გაიგებთ 5 თავიდან.

რიგ კითხვებს ჰქონდათ დასაქმებისა და უმუშევრობის სხვადასხვა ასპექტების გამორკვევის მიზანი. ამავე თემას ეკუთვნის კითხვა საბალე და სააგარაკე ნაკვეთების ან ბოსტნის ქონის შესახებ. სამწუხაროდ კვლავ იყო კითხვა შემოსავლების ჯამის შესახებ, მართალია 1985 წლის მიკროაღწერისაგან განსხვავებით საჭირო იყო მიეთითებინათ მხოლოდ 1994 წლის იანვრის შემოსავლის საერთო ჯამი. ჯერჯერობით უცნობი მიზეზების გამო ამ კითხვის პასუხები გამოქვეყნებული არაა: ან ეს შედეგები არასაიმედოა, ან მათი დამუშავება ჯერ არ დასრულებულა.

1999 წელს იყო დანიშნული მორიგი სრულიად რუსეთის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა (შემდეგ იგი გადატანილ იქნა იმავე წლის 10 ნოემბრისათვის, ხოლო შემდეგ კი 2001 წლის სექტემბრისათვის. ვფიქრობ ეს გარემოება ხელს არ უშლის მისი მეთოდოლოგიური პრინციპების შესწავლის მიზანშეწონილობას). მისი პროგრამა შედგება 31 კითხვისაგან; ქვეკითხვებით – 41 (23 კითხვა და 10 ქვეკითხვა – მოსახლეობის აღწერა, 8 კითხვა – საბინაო პირობების აღწერა) ომის შემდგომ აღწერებთან შედარებით იგი ყველაზე უფრო ვრცელია. ჩვენ მასზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ, ვიდრე მოსახლეობის წინა აღწერებზე და მის მაგალითზე განვიხილავთ მოსახლეობის აღწერის

თეორიულ საკითხებს. მაგრამ თავდაპირველად გავარკვიოთ, თუ რა არის მოსახლეობის აღწერის პროგრამა საერთოდ.

2.1.5. მოსახლეობის აღწერის პროგრამა

მოსახლეობის აღწერის პროგრამა – ესაა მოსახლეობისადმი მიმართული კითხვების ჩამონათვალი. პროგრამის კითხვებზე პასუხების ჯამი ქმნის იმ ინფორმაციას მოსახლეობის შესახებ, რომელთა მიღებისთვისაც ტარდება აღწერა. ჩვეულებრივ აღწერის პროგრამის კითხვები მოცემულია სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ბლანკში, რომელიც მოსახლეობისაგან მიღებული პასუხების დათვლის ტექნიკის მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის, სიობრივი (ე.ი. ერთი ბლანკი რამდენიმე ადამიანზე) ან ინდივიდუალური ფორმის (ბლანკი ერთ ადამიანზე).

აღწერის პროგრამა დგება განსაზღვრული წესებითა და განსაზღვრული მოთხოვნებით, რომელთაგან ბევრი ჩვეულებრივია ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკვლევისათვის. სასურველია (მაგრამ არაა აუცილებელი), რომ კითხვების ნაწილი შინაარსითა და რედაქციით ზუსტად იმეორებდეს წინა აღწერების

ანალოგიურ კითხვებს, რათა შესაძლებელი იყოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მახასიათებლების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გაზომვა. აუცილებელია საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებაც, რათა მივიღოთ ანალოგიურ საერთაშორისო მაჩვენებელთან შესადარი მონაცემები. პროგრამა მუშავდება მმართველობის ორგანოების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ აუცილებელ ინფორმაციაზე მოთხოვნილების გათვალისწინებით. ამასთან, ითვალისწინებენ მოსახლეობის აღწერების სპეციფიკას, ინფორმაციის სწორედ აღწერის გზით მიღების ღირებულებას, შეისწავლება მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან შედარებით ნაკლებად მასშტაბური და ძვირი, მაგრამ უფრო დაწვრილებითი შერჩევითი გამოკვლევის ჩატარების გზით ვიდრე მოსახლეობის საყოველთაო აღწერაა, ტოლფასოვანი ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობა.

საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად მოსახლეობის აღწერის პროგრამაში ჩართული კითხვები ისეთი უნდა იყოს, რომ რესპოდენტებს (ე.ი. გამოსაკითხ პირებს) შეეძლოთ მათზე სრულიად სწორი პასუხების გაცემა. სხვაგვარად, რომ ვთქვათ კითხვები არ უნდა იყოს რთული გამოსაკითხთა უმრავლესობისათვის, არ უნდა იწვევდეს მოსახლეობაში შიშს (წინააღმდეგ შემთხვევაში აღწერა ჩაშლის საფრთხეში აღმოჩნდება). თავის მხრივ აღწერის კითხვები უნდა ითვალისწინებდნენ აგრეთვე მოსახლეობის განათლების საერთო დონეს, ეთნიკურ თავისებურებებს, მათ შორის ხალხურ ზნე-ჩვევებსა და ცრურწმენებსაც კი.

მოსახლეობის აღწერებში შეისწავლება შემდეგი საკითხები:

8) მოსახლეობის რიცხოვნობა და განაწილება ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით, ქალაქისა და სოფლის დასახლებული ადგილების ტიპების მიხედვით, მოსახლეობის მიგრაცია;

9) მოსახლეობის სტრუქტურა სქესის, ასაკის, ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით;

10) მოსახლეობის სტრუქტურა ეროვნული (ეთნიკური) კუთვნილების, მშობლიური და სალაპარაკო ენისა და მოქალაქეობის მიხედვით;

11) მოსახლეობის განაწილება განათლების დონის, არსებობის საშუალებათა წყაროების, სახალხო მეურნეობის დარგების (ეკონომიკური საქმიანობისაგან არსებობის საშუალებათა წყაროს მქონეებისათვის), დასაქმებისა და დასაქმებაში მდგომარეობის (ე.ი. სოციალური მდგომარეობის) მიხედვით;

12) ოჯახების რიცხვი და სტრუქტურა სოციალური მახასიათებლების მთელი კომპლექსის მიხედვით (სოციალური და ეთნიკური თვალსაზრისით ერთგვაროვანი და შერეული ოჯახები და ა.შ.);

13) შობადობა (გაჩენილი და მათგან აღწერის მომენტისათვის ცოცხალი ბავშვების რიცხვი), მდგომარეობა და მომავლის გეგმები ბავშვთა შობასთან დაკავშირებით;

14) მოსახლეობის საბინაო პირობები.

ესაა დროის მიხედვით ჩვენი სამამულო მოსახლეობის უკანასკნელი აღწერებისათვის დამახასიათებელი კითხვები. ზოგიერთ ქვეყნებში შეიძლება იყოს სხვა კითხვებიც ფიზიკური ნაკლოვანებების შესახებ, წარსულ ომებში მონაწილეობის შესახებ (მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ომის შედეგების გავლენის შესწავლის მიზნით), მოსახლეობის ამა თუ იმ ცხოვრებისეული კეთილდღეობით უზრუნველყოფის დონის შესახებ და ა.შ. ჩვენი აღწერები ჯერ კიდევ ღარიბია შეგროვილი ინფორმაციის მოცულობის მიხედვით (რადგანაც ქვეყანაც ღარიბია – არ შეუძლია საკმარისი სახსრები გამოყოს მოსახლეობის აღწერებში ჩვენი ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტის გაშუქებისათვის). კერძოდ, ჩვენ უკვე ვეღარასოდეს ვეღარ გავიგებთ თუ როგორი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა ჩვენი მოსახლეობის მოკვდაობასა და ჯანმრთელობაზე, რადგანაც ომის შემდგომ სამამულო მოსახლეობის არც ერთ აღწერაში არ იყო შეკითხვა ამ ომში მონაწილეობის შესახებ.

2.1.6. სრულიად რუსეთის 1999 წლის მოსახლეობის აღწერის პროგრამა

როგორც უკვე ითქვა, იგი შედგება 31 კითხვისაგან (სააღწერო ფურცლის სამისამართო ნაწილის გარეშე) ქვეკითხვებით – 41-გან. მათგან 23 კითხვა ეძღვნება მოსახლეობის მახასიათებლებს, 8 საბინაო პირობების დახასიათებას. წინა აღწერებისაგან განსხვავებით პროგრამა ორფაზიანი შერჩევის სახითაა აგებული: 19 კითხვაზე პასუხობს მთელი მოსახლეობა, 25-ზე – მოსახლეობის მეოთხედი და კიდევ 6 კითხვაზე პასუხობენ მოსახლეობის მეოთხედის 5% (ამასთან მხოლოდ ვაჟებისა და ქალების იმ რიცხვიდან, რომლებიც იმყოფებიან,

ან როდისმე იმყოფებოდნენ ქორწინებაში). 1999 წლის აღწერის მთელი პროგრამა მოთავსებულია 5 ცალკეულ ბლანკზე, რომლებიც თავის თავშივე მოიცავენ ინფორმაციის ტექნიკურ მატარებლებსაც (ე.ი. როგორც წინა ორ აღწერაში შეტანილი იქნებიან ელექტრონულ მანქანებში მათი ინფორმაციის დასათვლელად).

ბლანკი – „საცხოვრისში მცხოვრებთა სია და მათი საბინაო პირობები“. ამ ბლანკის ზედა ნაწილში მოთავსებულია სააღწერო ფურცლის ე.წ. სამისამართო ნაწილი. ამ ნაწილში ნაჩვენებია გამოსაკითხთა მისამართი, მათი გვარი, სახელი და მამის სახელი. შეიძლება მაშინვე გაჩნდეს კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება გამოსაკითხთა მისამართისა და გვარის მითითება აღწერის ზემოთ ჩამოთვლილ ძირითად პრინციპებს, კერძოდ კი ანონიმურობის პრინციპს, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ინფორმაცია რაოდენ საძრახისადაც არ უნდა გამოიყურებოდეს იგი კანონისა და საზოგადოებრივი აზრის თვალში, სააღწერო პერსონალის მიერ დაცულია მასზე ნებისმიერი ხელყოფისაგან?

არა არ ეწინააღმდეგება. რესპოდენტების მისამართები სააღწერო ფურცელზე გამოიყენება მხოლოდ მთლიანი გაუპიროვნებელი სახით მოსახლეობის ქვეყნის ტერიტორიის, ქალაქისა და სოფლის მიხედვით განაწილებისა და რიცხოვნობის დათვლისათვის. და მხოლოდ მეორე რიგში, რესპოდენტის მისამართი გვართა და სახელით სააღმწერო პერსონალის მიერ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება რესპოდენტებთან კონტაქტისათვის (ვთქვათ მიღებული ცნობების დაზუსტებისათვის, ან შეცდომის გასწორებისათვის).

ბლანკ -ზე განლაგებულია აგრეთვე საცხოვრებელი პირობების დამახასიათებელი 8 კითხვა: საცხოვრისის ტიპი (ბინა, სახლი და ა.შ.) მისი ასაკი, კეთილმოწყობა, ვის საკუთრებაში იმყოფება, მისი ზომები და ა.შ. ამ ნაწილში 1999 წლის აღწერის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე იქნება კითხვა საცხოვრისში ტელეფონის არსებობის შესახებ. დღეს ტელეფონი – უკვე ფუფუნების საგანი კი არა, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობაა. ზოგჯერ ტელეფონის ქონაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული ადამიანის გადარჩენა (ვთქვათ გულის შეტევის დროს).

ბლანკი (მთლიანი აღწერა) გათვალისწინებულია ორი ადამიანის ჩასაწერად, შეიცავს 11 კითხვას.

კითხვა 1: ნათესაური კავშირი სახლთმეურნეობაში¹ პირველად ჩაწერილი პირის მიმართ. კითხვა გათვალისწინებულია ადამიანის ოჯახური

მდგომარეობის განსაზღვრისათვის (ე.ი. ცხოვრობს იგი ოჯახში, თუ მარტო. ამ კითხვაზე პასუხის საფუძველზე განისაზღვრება ოჯახისა და მარტოხელა ადამიანების რიცხვი, ოჯახის ზომისა (ოჯახის წევრთა რიცხვის) და ტიპების (მარტივი და რთული და ა.შ.) მიხედვით განაწილება.

საუკუნის განმავლობაში მოსახლეობის სამამულო აღწერებში ამ კითხვის რედაქცია და გაგება არაერთხელ შეცვლილა. 1985 წლის მიკროაღწერამდე სააღწერო ფურცლის პირველ კითხვაში საჭირო იყო მიეთითებინათ ნათესაური კავშირი ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიმართ, რომელსაც თვითონ ოჯახი განსაზღვრავდა, როგორც „ოჯახის უფროსი“. ოჯახის უფროსის გაგებაც ასევე

1. ტერმინ „ -ს ჩვენ ქართულად ვთარგმნით როგორც „სახლთმეურნეობა“. სტატისტიკურ და სხვა ეკონომიკური ხასიათის ნაშრომებში კი „სახლთმეურნეობის“ ნაცვლად იყენებენ ტერმინს „შინამეურნეობა“, რაც მთლად ზუსტი ტერმინი არაა. ამის შესახებ იხილეთ: სახვაძე ა., ერთი რუსული დემოგრაფიული ტერმინის ქართული შესატყვისის შესახებ // ჟურნ. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია. 1989. №4. გვ. 113-115. „შინამეურნეობად“ კი ჩვენ ვთარგმნით რუსულ ტერმინს „ -ს. „ და „ სულაც არაა ერთი და იგივე შინაარსი ცნებები. „ -ს (სახლთმეურნეობის) შესახებ დაწვრილებით იხილეთ ამავე წიგნის მესამე თემის მეექვსე პარაგრაფი.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)
აღწერიდან აღწერამდე იცვლებოდა. 1939 წლის აღწერამდე ოჯახის უფროსის ცნება განისაზღვრებოდა პირდაპირ, როგორც ოჯახის არსებობის მთავარი საშუალებებით უზრუნველმყოფი და მასზე ძირითადი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი. მომდევნო წლებში ოჯახის უფროსის ცნებამ რეალური აზრი დაკარგა და მოსახლეობის აღწერებში მისი გამოყენება ფორმალური, სუფთა სამსახურეობრივი გახდა, მხოლოდ ოჯახის დანარჩენი წევრების მის გარშემო დასაჯგუფებლად და ამგვარად მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობის განსაზღვრისათვის. შემოსავლის დონის მიხედვით, სამართლებრივი ნორმებით ან სხვა რომელიმე ფორმალური ნიშნის მიხედვით ქმარი და ცოლი ოჯახში ერთმანეთისაგან აღარ განსხვავდება. ქმრების უმრავლესობამ დაკარგა ოჯახის მატერიალურად შენახვის შესაძლებლობა და ოჯახის უფროსის ცნება მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური (ე.ი. ხასიათის და არა რომელიმე ეკონომიკური, ან იურიდიული ფაქტორების) თვისება გახდა.

ამასობაში კი ხალხის უმრავლესობა ოჯახის ცნებას ტრადიციულად განმარტავდა, მათ შორის მოსახლეობის აღწერების მეთოდოლოგიის ცუდად მცოდნე ზოგიერთი სოციოლოგიც. ამას, სხვათაშორის, თავად სტატისტიკოსები

უწყობდნენ ხელს, რომლებმაც გამოაქვეყნეს, კერძოდ კი 1959 წლის აღწერის მასალებში, **ოჯახის უფროსთა** (ე.ი. ოჯახის უფროსის ცნების რეალური და არა ნომინალური გაგებით) სქესისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით დიფერენცირებული, ოჯახების რიცხვთა განაწილება. სტატისტიკოსების შეცდომამ გამოიწვია სოციოლოგთა რიგი პუბლიკაციები, რომლებშიც გაანალიზებული იყო საბჭოთა ოჯახის ცვლილება, მათ შორის ოჯახის უფროსის სქესიდან გამომდინარე. მათ მიერ აღნიშნული, კერძოდ კი, ოჯახების რიცხვის ზრდა, რომელშიც ოჯახის უფროსებად აღნიშნული იყვნენ ქალები, განიმარტებოდა, როგორც თითქოსდა ქალთა ემანსიპაციის ზრდის შედეგი. სინამდვილეში კი, ეს იყო საბჭოთა ოჯახის უკეთური მდგომარეობის დასტური, არასრული ოჯახების რიცხვის ზრდის შედეგი, რომელშიც მარტოხელა ქალი ქვრივი, განქორწინებული ან გაუთხოვარი – ბავშვებს მამაკაცის გარეშე ზრდიდა და ამიტომ ფორმალურადაც კი არ შეეძლო, მიეთითებინა ვინმე ოჯახის უფროსის რანგში საკუთარი თავის გარდა.

ჯერ კიდევ 1968 წელს, სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე გამოსვლისას დემოგრაფი არონ იაკობის-ძე ბოიარსკი (1906-1985) სთავაზობდა, რომ შეეცვალათ „ოჯახის უფროსის“ ფორმალური ცნება უფრო სამუშაო ცნებით „ოჯახის, პირველად ჩაწერილი წევრი“¹. მაგრამ ეს წინადადება მაშინ არ იქნა მიღებული და პირველად მხოლოდ 1985 წლის მიკროაღწერაში იქნა რეალიზებული.

კითხვა 2: სქესი. სააღწერო ფურცელზე მიეთითება ნაჭდევით. მგონი ერთადერთი კითხვაა, რომელზეც პასუხიც ჯერჯერობით არავითარ პრობლემას არ იწვევს (ცნობილია, რომ გვხვდება გართულების შემთხვევები თავისი სქესის იდენტიფიცირებისას, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ძალიან იშვიათია და მინდა მჯეროდეს, რომ კიდევ დიდხანს ასეთად დარჩება).

კითხვა 3: დაბადების თარიღი. მოწოდებულია ადამიანის ასაკის ფიქსირებისათვის და საბოლოოდ – მე-2 კითხვასთან შესაბამისობაში – კი მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის განსაზღვრისათვის. 1979 წლის აღწერამდე კითხვა ასაკის შესახებ სხვა რედაქციით ისმებოდა, კერძოდ კი შესრულებულ წელთა რიცხვის შესახებ. რადგანაც ბევრი ადამიანი მნიშვნელობას არ ანიჭებს ასაკის ზუსტ მითითებას (წინათ კი ბევრ ხალხს არც კი ახსოვდა თავისი ზუსტი ასაკი), ისინი მას მიახლოებით მიუთითებდნენ, ხშირად დამრგვალებულად, რაც დეფორმირებულად აისახებოდა ასაკობრივი

სტრუქტურის მონაცემებზე. განუწყვეტლივ ცვალებადი ასაკისაგან განსხვავებით, დაბადების თარიღი მუდმივი ნიშანია და მისი დამახსოვრება ადვილია.

კითხვა 4: დაბადების ადგილი. სხვა მონაცემებთან ერთად ამ კითხვაზე პასუხები ახასიათებენ მოსახლეობის მიგრაციას.

კითხვა 5: მშობლიური ენა. უკვე რამდენიმე ათწლეულია რაც მეცნიერებს შორის ეს კითხვა დიდ კამათს იწვევს. გაურკვეველია რისთვისაა იგი განკუთვნილი და კერძოდ, რა უნდა დაახასიათოს მან. აქამდე გაურკვეველია თუ რა არის „მშობლიური ენა“ და როგორ უნდა განისაზღვროს იგი. სააღწერო პერსონალისათვის, პროპაგანდისტებისათვის და მოსახლეობისათვის განკუთვნილ განმარტებით მასალებში თუ ჩაეხედავთ (თუნდაც 1989 წლის აღწერის მომზადებისათვის გამოცემულ ბროშურაში), მაშინ აღმოვაჩენთ, რომ მშობლიურ ენად იქ რეკომენდებულია დაასახელონ ენა, რომელიც ადამიანმა ყველაზე უკეთ იცის, ან ჩვეულებრივ იყენებს ოჯახში, ე.ი. სალაპარაკო ენა². მშობლიური ენის მონაცემების პრაქტიკული მნიშვნელობაც ასევე გაურკვეველია. მოსახლეობის

3. 22-26 1968 . . .
1969. C. 306-307.

4. 1989 . . ., 1987. C.32.

აღწერების ყველა სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ მოსახლეობის აღწერებში ენის შესწავლა ითვალისწინებს ამა თუ იმ ენით მოსარგებლე ხალხის რიცხოვნობის განსაზღვრას, რათა ეს მონაცემები გამოიყენონ ეროვნულ ენაზე წიგნებისა და გაზეთების ტირაჟების განსაზღვრისათვის, ეროვნული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების მომზადებისათვის, მასწავლებლების მომზადებისათვის და ა.შ. მაგრამ ყველაფერი ამისათვის საჭიროა მონაცემები იმ ხალხის რიცხოვნობის შესახებ, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში სარგებლობენ ამა თუ იმ ენით.

ამ ასპექტით საინტერესო სიახლე იყო გამოყენებული 1994 წლის მიკრო აღწერისას. მასში მშობლიური ენისა და სხვა ენის შესახებ, რომელსაც თავისუფლად ფლობს გამოსაკითხი პირი, ეძლეოდათ კითხვა იმ ენის შესახებაც, რომლითაც უპირატესად სარგებლობდა გამოსაკითხი პირი. ამასთან, საჭირო იყო მიეთითებინა, თუ უპირატესად რომელი ენით სარგებლობს ადამიანი თავის სახლში, ოჯახში, რომლით – სამუშაოზე, სასწავლო თუ სკოლამდელ დაწესებულებაში. სამწუხაროდ, მონაცემები ამ კითხვების პასუხების განაწილებაზე ჯერ არ გამოქვეყნებულა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ენის შესახებ კითხვის სწორედ ასე დასმა იმსახურებს გამეორებას. მშობლიური ენა კი ამოდებულ უნდა იქნას სააღწერო ფურცლიდან. ასეთი წინადადება უკვე დიდი ხნის წინათ იქნა შეტანილი თვალსაჩინო სპეციალისტ-ეთნოგრაფების ს.ი.

ბრუკისა და ვ.ი. კოზლოვის¹, დემოგრაფების ბ.ც. ურლანის, ა.გ. ვოლკოვის და სხვათა მიერ. მაგრამ ჯერჯერობით წარუმატებლად, თუმცა არავითარი სერიოზული არგუმენტაცია „მშობლიური ენის“ დასაცავად ჯერ კიდევ არავის არ მოუტანია.

კითხვა 6: მოქალაქეობა. კითხვა მე მარტივად მეჩვენება და ვფიქრობ, რომ არ საჭიროებს ახსნა-განმარტებას.

კითხვა 7: რომელ ეროვნებას, ერს ან ეთნიკურ ჯგუფს აკუთვნებთ თავს. მოსახლეობის აღწერის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე „ფაქიზი“ კითხვაა, განსაკუთრებით ამჟამად, როცა გაიზარდა ბევრი ხალხების ეროვნული თვითშეგნება და ეთნიკური ავტონომიურობისადმი ლტოლვა. ბუნებრივია, კითხვა გათვალისწინებულია, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრისათვის.

1.
// «, 1968. №3. C. 32-37
1968 . //
22-26 1968, 1969. C. 227-228.
1897 წლის გარდა ყველა ჩვენ აღწერაში ეროვნება (ეთნიკური კუთვნილება) განისაზღვრებოდა გამოსაკითხთა ეთნიკური თვითშეგნების საფუძველზე. სააღწერო ფურცლებში ჩაიწერება ის ეროვნება, რომელსაც ხალხი თავისი შესვდულებსამებრ უთითებს, ამაზე „ობიექტური“ საფუძვლისაგან დამოუკიდებლად (ჩანაწერი პასპორტში, მშობლების ეროვნება, დაბადების ადგილი და ა.შ.). ამ თვისებით „სააღწერო“ ეროვნება განსხვავდება „ფორმალური“, „საპასპორტო“ ეროვნებისაგან.

ისტორიის საბჭოთა პერიოდში და დღემდეც სამამულო ეთნოგრაფია ეთნიკურ კუთვნილებას ყოველთვის განიხილავდა, როგორც კულტურულ-ისტორიულ ნიშანს, როგორც ფსიქოლოგიის და არა ბიოლოგიის ატრიბუტს. ამით ეროვნების კატეგორია განსხვავდება ისეთი კატეგორიისაგან, როგორიცაა რასა. რუსეთის ფედერაციის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 26-ე სტატია იუწყება: „თითოეულს აქვს უფლება განსაზღვროს და მიუთითოს თავისი ეროვნული კუთვნილება. თავისი ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისა და მითითებისათვის არავის იძულება არ შეიძლება“¹. უდაოდ, განსაზღვრულ ხალხთან ერთიანობის მკაფიოდ გაცნობიერებული გრძნობის მქონე ბევრი ხალხი არსებობს. მაგრამ, ასევე უეჭველია, რომ თავისი არსით ზენაციონალური, კოსმოპოლიტიკური, ინდუსტრიული ცივილიზაციის განვითარება წარმოშობს

აშკარად მზარდ, მაგრამ რაოდენობრივად ჯერ ჩვენთვის უცნობ ადამიანთა სიმრავლეს, რომლებსაც ეთნიკური კუთვნილების გრძნობა დაქვეითებული აქვთ, ან საერთოდ არ გააჩნიათ. დროა ამ პროცესს მივაქციოთ ყურადღება, მათ შორის მოსახლეობის აღწერების მეშვეობითაც, მიუხედავად იმისა თუ როგორ ვუყურებთ ამ პროცესს.

1999 წლის აღწერის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს რესპოდენტისათვის შესაძლებლობა, რომ არ მიუთითოს არც ერთი ეროვნება, თუკი მას იგი არ გააჩნია (ე.ი. თუ იგი ფსიქოლოგიურად არ გრძნობს ერთიანობას არც ერთ ეროვნებასთან ან ხალხთან). მოსახლეობის სამამულო აღწერებში პირველად 1999 წლის მოსახლეობის აღწერის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციაში ჩაწერილია, რომ პირებს, რომლებიც თავიანთ თავს არ აკუთვნიებენ რომელიმე ეროვნებას, ხალხს, ან ეთნიკურ ჯგუფს, ამ კითხვაზე ჩაეწერებათ „არა“.

კითხვა 8: ქორწინებითი მდგომარეობა. კითხვა გათვალისწინებულია

1. 12
1999 . M., 1993 C.12.
მოსახლეობის სტრუქტურის ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით დასახასიათებლად. 1979 წლის აღწერიდან დაწყებული, ამ კითხვაზე პასუხი ითვალისწინებს მდგომარეობის 5 ვარიანტს. არასდროს არ იმყოფებოდა ქორწინებაში, აღწერის მომენტში იმყოფება ქორწინებაში, ქვრივი, განქორწინებული ან გაცილებული. ორ უკანასკნელ კატეგორიას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ განქორწინებულთა კატეგორია ეკუთვნის მათ, ვინც იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ როცა გაცილებულთა (გაშორებულთა) კი – მათ, ვინც იმყოფებოდა ფაქტიურ (ე.ი. მმანის ორგანოებში არა რეგისტრირებულ) ქორწინებაში. 1897 და 1920 წლების აღწერებში აღირიცხებოდა მხოლოდ იურიდიულად გაფორმებული ქორწინებითი მდგომარეობა, ხოლო შემდგომ აღწერებში კი აღირიცხებოდა გამოსაკითხთა თვითგამორკვევით, მათი რეგისტრაციისაგან დამოუკიდებლად არსებული ქორწინებითი მდგომარეობა.

სამოცდაათწლიანი შესვენების შემდეგ ბოლოს და ბოლოს 1994 წლის მიკროაღწერაში ქორწინებაში ყოფნასთან დაკავშირებულ კითხვას დაემატა ქვეკითხვა: რეგისტრირებული თუ არა ქორწინება. ამ ქვეკითხვის მიზანია – შეისწავლოს ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურ ქორწინებათა გავრცელებულობა. 1994

წლის მოკრძალებული შედეგებმა გვიჩვენებს, რომ გავრცელებული აზრის მიუხედავად ჩვენთან ფაქტობრივი ქორწინებები შეადგენენ ქორწინებით კავშირთა საერთო რიცხვის მხოლოდ 6-8%-ს. მიუხედავად ამისა, ქვეკითხვა, რეგისტრირებულია თუ არა ქორწინება, ჩართულია 1999 წლის აღწერის პროგრამაში.

მე-9 და მე-10 კითხვები ეძღვნება მოსახლეობის განათლების დონისა და შესაბამისად მოსახლეობის განათლების დონის მიხედვით შემადგენლობის დახასიათებას. მე-10 კითხვაში ძალიან მნიშვნელოვანია ქვეკითხვა სკოლამდელი ბავშვების საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში სიარულის შესახებ. აღწერის პროგრამის სხვა კითხვებთან ერთად ჩვენ პირველად გავიგებთ არა მარტო სკოლამდელ დაწესებულებებში მოსიარულე ბავშვების რიცხვს – ეს შეიძლება სააღრიცხვო დოკუმენტიდანაც გავიგოთ, არამედ ამ დაწესებულებაში მოსიარულე ბავშვებისა და მათი მშობლების სოციალურ მახასიათებლებს.

კითხვა 11: არსებობის საშუალებათა წყაროები. ამ კითხვაზე პასუხები ახასიათებენ მოსახლეობის განაწილებას არსებობის საშუალებათა წყაროების მიხედვით. ამ კითხვით ამოიწურება მოსახლეობის, მთლიანი აღწერის ნაწილი. 1989 წლის აღწერამდე სააღწერო ფურცელზე შეიძლებოდა მიეთითებინათ არსებობის მხოლოდ ერთი (ძირითადი) წყარო. 1989 წლის აღწერაში – არა უმეტეს ორი წყაროსი. ახლა 1999 წლის აღწერაში შეიძლება მიეთითოს არსებობის საშუალებათ რამდენიმე (რამდენიც არის) წყარო.

ბლანკი (შერჩევითი აღწერა). აქ შედის აგრეთვე 11 კითხვა ბლანკიდან და კიდევ დამატებული 6 კითხვა (12-17).

კითხვა 12: ძირითადი საქმიანობა. ეკონომიკური აზრით, საქმიანობას მიეკუთვნება არსებობის საშუალებების მომცემი ქმედება. ამ შემთხვევაში მიეთითება თანამდებობა ან შესრულებული სამუშაო. შეთავსებით მომუშავეებს ჩაეწერებათ მხოლოდ ერთი საქმიანობა, რომელსაც თავად გამოსაკითხი პირი თვლის ძირითადად. ამ კითხვაზე პასუხებით მიიღება მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით განაწილება.

კითხვა 13: სამუშაო ადგილი. მიეთითება საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) სახელწოდება და მისამართი. ამასთან, საწარმოს დასახელება ისეთნაირად უნდა იყოს მითითებული, რომ გვიხსნიდეს ამ საწარმოს დარგს და ეკონომიკური საქმიანობის სახეს. ბევრ საწარმოს ხატოვანი დასახელება აქვს „წითელი სამკუთხედი“, „სვეტლანა“ და ა.შ. ზოგჯერ სინქარეში რეგისტრაციის პირდაპირ, გამოსაკითხის პასუხის მიხედვით, წერს სააღწერო ფურცელში

საწარმოს დასახელებას. სინამდვილეში კი საწარმოს დასახელება უნდა ჩაიწეროს ისე, რომ ნათელი იყოს საქმიანობის სახე და სახალხო მეურნეობის გარკვეულ დარგისადმი კუთვნილება. ვთქვათ, არა „წითელი სამკუთხედი“, არამედ რეზინის ქარხანა. ამ კითხვაზე პასუხებით დებულობენ მონაცემებს მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით განაწილებაზე, სახალხო მეურნეობის დარგებისა და (საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის შესამებით) – მოსახლეობის ქანქარისებური მიგრაციის შესახებ (ე.ი. ხალხის სახლიდან სამუშაოზე, სასწავლებლად და ა.შ. მოძრაობაზე).

კითხვა 14: მდგომარეობა საქმიანობაში. ეს ახალი კითხვაა ჩვენს აღწერებში. ფაქტიურად მან შეცვალა კითხვა საზოგადოებრივი ჯგუფისადმი კუთვნილების შესახებ (მუშა, კოლმეურნე, მომსახურე), რომელიც ახლა გაუქმებულია (პრიმიტიულობისა და მცირე ინფორმაციულობის მიზეზით. ახლა სოციოლოგები ამუშავებენ ახალ მიდგომებს სოციალური სტრუქტურის განსაზღვრისათვის და უკვე არის პირველი საინტერესო შრომები). საქმიანობაში მდგომარეობის შესახებ კითხვებზე პასუხების განაწილება საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მონაცემები დაქირავებით და სამეწარმეო საქმიანობით, კოოპერატივებში, საკუთარ მეურნეობაში და ა.შ. დასაქმებულთა შესახებ, სხვა ნიშნებით ან შეთანხმებით მივიღოთ წარმოდგენა ჩვენი საზოგადოების რეალური სოციალური სტრუქტურის შესახებ.

კითხვა 15: 16 წლისა და უფროს ასაკში მყოფმა სამუშაოს, ან შემოსავლიანი საქმიანობის არ მქონებმა მიუთითეთ: ა) ეძებთ თუ არა სამუშაოს; ბ) მისდევთ თუ არა შინამეურნეობას. კითხვა განსაზღვრულია უმუშევრობის შესასწავლად. ბ) ქვეკითხვა მე არც თუ მთლად მოხერხებულად მეჩვენება. ალბათ, ავტორებს უნდოდათ აღწერის მომენტისათვის არსებობისათვის სახსრების მომცემი სამუშაოს არმქონე ადამიანისათვის ეკითხათ, ეძებს თუ არა იგი სამუშაოს, თუ დაკავებულია მხოლოდ თავისი შინამეურნეობით. მაგრამ თუ ჩაუუკვირდებით სხვა აზრი მიიღება. წავიკითხოთ კიდევ ერთხელ. მისდევთ თუ არა შინამეურნეობას? მაგრამ შინამეურნეობას მისდევს ყველა, ვისაც კი ეს მეურნეობა გააჩნია, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა მათ არსებობის საშუალებების მომცემი სამუშაო. ვფიქრობ, საჭიროა ამ კითხვის რედაქციის დაზუსტებაზე წამუშავება.

კითხვა 16: დაბადებიდან უწყვეტად ცხოვრობთ მოცემულ დასახლებულ პუნქტში? 4 საინტერესო ქვეკითხვის შესამებით მოწოდებულია

დაახასიათოს მოსახლეობის მიგრაცია, მათ შორის ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობა და მახასიათებლები.

კითხვა 17: ქალებისათვის მიუთითეთ: ა) რამდენი ბავშვი გააჩინა; ბ) მათგან რამდენია ცოცხალი; გ) რამდენი ცხოვრობს ცალკე. ქვეკითხვებთან ერთად ეს კითხვა მოწოდებულია შობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის სოციალური დიფერენციაციის შესწავლისათვის.

ბლანკი P (შერჩევითი აღწერა): ქორწინებისა და შობადობის გამოკვლევის ბლანკი. 4 კითხვა მიძღვნილია ქორწინების და 2 კითხვა კი – შობადობის სიდრმისეული შესწავლისათვის. ამ ბლანკით გათვალისწინებულია იმ ხალხის 5%-ის გამოკითხვა, რომლებიც მოხვდნენ 25%-იან შერჩევაში¹, ე.ი. საბოლოო ჯამში, სადღაც მთელი მოსახლეობის რიხოვნობის 1%-მდე. მიუხედავად ამისა, ამ ბლანკმა 1995 წლის ნოემბერში სრულიად რუსეთის სტატისტიკოსთა თათბირის ბევრი მონაწილის მხრიდან დიდი თავდასხმა გამოიწვია, რომლებიც

1. 1999 //, 1997, №3. C. 26.

გამოვიდნენ წინადადებით, რომ სააღწერო პერსონალის დიდი დატვირთვის გამო ეს ბლანკი აღწერის პროგრამიდან ამოეღოთ. ძირითადად თავდასხმა მოდიოდა სამეურნეო დარგების სტატისტიკოსებისაგან, რომლებსაც კავშირი არა აქვთ ჩვენს ქვეყანაში ოჯახის პრობლემების შესწავლასთან, მეცნიერებისაგან შორს დგანან და არ გააჩნიათ ამ საკითხებისადმი ინტერესი. როცა ეს წიგნი იწერებოდა P ბლანკის ბედი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

დასასრულს შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მართალია ნელა, მაგრამ ქვეყნის შემრყევი ყველა ეკონომიკური და პოლიტიკური კოლიზიის მიუხედავად, ჩვენი აღწერები განუხრელად ვითარდებიან პროგრესირებენ. იმედია, რომ ახალი აღწერაც წარმატებით ჩაივლის.

შედარებისათვის ავღნიშნავთ, რომ მოსახლეობისა და საბინაო პირობების აღწერის პროგრამა ა.შ.შ-ში 1990 წელს შედგებოდა 71 კითხვისაგან (39 კითხვა ეძღვნებოდა მოსახლეობის დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს, 32 – საბინაო პირობების დაახასიათებას). 1990 წლის აღწერა ა.შ.შ-ში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 10,45 დოლარი დაჯდა. ჩვენი 1989

წლის აღწერა – შესაბამისად 88 კაპიკი¹ (შესაბამისი წლის ფასებით). ასე რომ ჩვენ კიდევ გვაქვს განვითარების რეზერვები.

მიუხედავად, ჩვენი მოსახლეობის აღწერების შედარებით სიღარიბისა, ისინი საზოგადოების შესახებ ინფორმაციის უზარმაზარ რაოდენობას შეიცავენ, რომლებიც ჩვენი საზოგადოებათმცოდნეების მიერ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან მცირედ გამოიყენება.

1. 1999 //, 1997, №3. C. 22.

2.1.6^ა. სსქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა (სააღწერო ფურცლის სამისამართო ნაწილის გარეშე) შედგება 28 კითხვისაგან. მათგან 17 კითხვა ეძღვნება მოსახლეობის მახასიათებლებს, 5 მათ მიგრაციას და 6 კითხვა – საბინაო პირობების დახასიათებას. წინა აღწერისაგან განსხვავებით 2002 წლის აღწერაში არაა გათვალისწინებული შერჩევითი მეთოდის გამოყენება, ანუ თითოეულ ადამიანს დაესმის ყველა 28-ვე კითხვა. 2002 წლის აღწერის მთელი პროგრამა მოთავსებულია სამ ცალკეულ ორმხრივ ბლანკზე, რომლებიც დამტკიცებულია საქსტატის 2001 წლის 2 თებერვლის №19 ბრძანებით, და თავის თავშივე მოიცავენ ინფორმაციის ტექნიკურ მატარებლებსაც (ე.ი. როგორც წინა ორ აღწერაში შეტანილ იქნებიან ელექტრონულ მანქანებში მათი ინფორმაციის დასათვლელად).

ბლანკზე მითითებულია აღნიშვნების დასმის ნიმუში, რომელიც კითხვის შესაძლო პასუხების გასწვრივ არსებულ ცარიელ კვადრატში დიაგონალების გავლებას გულისხმობს.

ბლანკი ფორმა 1. – საცხოვრისში მცხოვრებთა სია და მათი საბინაო პირობები. ამ ბლანკის ზედა ნაწილში მოთავსებულია სააღწერო ფურცლის ე.წ. სამისამართო ნაწილში. ამ ნაწილში ნაჩვენებია: სააღწერო სექტორის, საინსტრუქტორო უბნის, სააღწერო უბნის, საცხოვრისში მცხოვრებთა სიისა და ბლანკის ნომრები; ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ქალაქის, დაბის, სოფლის საკრებულოს, სოფლის, დაწესებულების მისამართი.

ფორმა 1 შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველი ესაა: „I. საცხოვრისში მცხოვრებთა სია“, რომელიც შეიცავს გამოსაკითხი პირების გვარს, სახელს, მამის სახელს, მათ რიგით ნომერს საცხოვრისისა და შინამეურნეობის ფარგლებში. გარდა ამისა, მასში არის ცნობები საცხოვრისში დროებით არმყოფი და დროებით მცხოვრები პირების შესახებ. ამასთან, აქვე აღინიშნება დროებით არყოფნისა და დროებით ცხოვრების მიზეზები და ხანგრძლივობა თვეებში. მეორე განყოფილება, რომლის სახელწოდებაცაა: „II. მოსახლეობის საბინაო პირობები“, გათვალისწინებულია შინამეურნეობებზე შესავსებად. ამიტომ აქ აღნიშნულია შინამეურნეობის პირველი წევრის რიგითი ნომერი საცხოვრისის ფარგლებში. თითოეულ ბლაკზე ივსება მონაცემები სამი შინამეურნეობის შესახებ.

ფორმა 1-ის II განყოფილებაში განლაგებულია აგრეთვე საცხოვრებელი პირობების დამახასიათებელი ექვსი კითხვა:

1ს. სახლის აშენების პერიოდი. (1941 წლამდე; 1941-1960წწ; 1961-1980წწ; 1981-1990წწ; 1991 და შემდეგ).

2ს. საცხოვრებლის ტიპი. (ინდივიდუალური სახლი; ინდივიდუალური სახლის ნაწილი; ცალკე ბინა; საერთო (კომუნალური) ბინა; საერთო საცხოვრებელი; სხვა ინსტიტუციონალური დაწესებულება; სასტუმრო, დასასვენებელი სახლი და სხვა; სხვაგვარი საცხოვრისი; საცხოვრებლად გამოყენებული არასაცხოვრისი).

3ს. საცხოვრისის საკუთრების ფორმა. (შინამეურნეობის (ან მისი რომელიმე წევრის) ინდივიდუალური საკუთრება; მუნიციპალური საკუთრება; სახელმწიფო, საუწყებო (სამინისტროს, უწყების) საკუთრება; ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრება; ქირაობს საცხოვრისს; უსახლკარო).

4ს. საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა. (აღინიშნება ოთახების რიცხვი ან ოთახის ნაწილი).

5ს. ფართობის სიდიდე (კვ.მ). აღინიშნება საერთო და საცხოვრებელი ფართობის სიდიდე კვ. მეტრებში.

6ს. საცხოვრისის კეთილმოწყობა. (ელექტრო განათება; ბუნებრივი გაზი; თხევადი გაზი; ცენტრალური გათბობა; ინდივიდუალური საქვაბე; ღუმელი; წყალსადენი; კანალიზაცია; აბაზანა ან შხაპი; ცხელი წყლით მომარაგება ინდივიდუალური წყალგამაცხელებლებიდან; ტელეფონი; კეთილმოწყობის არც ერთი სახე არ არის).

ბლანკი – ფორმა „საადწერო ფურცელი“ გათვალისწინებულია ერთი ადამიანის ჩასაწერად, იგი შეიცავს 17 კითხვას. მასში სამისამართო ნაწილთან ერთად აღინიშნება გამოსაკითხი პირის გვარი და ინიციალები.

კითხვა 1: ნათესაური დამოკიდებულება შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირის მიმართ. ამ კითხვაზე გათვალისწინებულია 11 შესაძლო პასუხი. ესენია: შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირი; მეუღლე; შვილი; დედის (მამის) № შინამეურნეობის ფარგლებში; დედა; მამა; და; ძმა; რძალი; სიძე; დედამთილი, მამამთილი, სიდედრი, სიმამრი; ბებია; ბაბუა; შვილიშვილი; სხვა ნათესავი; მოყვარე; არანათესავი.

კითხვა 2.: სქესი (მამრობითი; მდედრობითი).

კითხვა 3: დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი, შესრულებულ წელთა რიცხვი).

კითხვა 4: დაბადების ადგილი (სახელმწიფო, ქალაქი, რაიონი). ღია კითხვაა და ივსება სიტყვიერად.

კითხვა 5: მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტად ცხოვრობს: (დაბადებიდან – დიახ, არა). იმათგან ვინც მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტად არ ცხოვრობს მიეთითება: ა) წელი, რომლიდანაც აქ უწყვეტად ცხოვრობს; ბ) წინა საცხოვრებელი ადგილი (სახელმწიფოს, რაიონის, ქალაქის დასახლებების მითებით); გ) რომელი დასახლებული პუნქტიდან ჩამოვიდა (ქალაქიდან, სოფლიდან); დ) არის თუ არა იძულებით ადგილნაცვალა? (დიახ, არა).

კითხვა 6: ეროვნება. (ქართველი, აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, რუსი, სომეხი). აქვე დატოვებული ადგილი სხვა დანარჩენი ეროვნების აღნიშვნისათვის.

კითხვა 7: მშობლიური ენა. (თავისი ეროვნების). ამ კითხვას აქვს ქვეკითხვაც – „მიეთითოს აგრეთვე სხვა ენა, რომელსაც თავისუფლად ფლობს“ (თავისი ეროვნებით). აქვე დატოვებულია ადგილი იმ სხვა ენების აღსანიშნავად, რომელსაც თავისუფლად ფლობს გამოსაკითხი პირი.

კითხვა 8: მოქალაქეობა. (საქართველოს; მოქალაქეობის გარეშე; სხვა სახელმწიფოსი (მიეთითოს)).

კითხვა 9: სარწმუნოება. (მართმადიდებლური, კათოლიკური; სომხური – მონოფიზიტური; იუდეისტური; მაჰმადიანური; სხვა; არცერთი). 1897 და 1937 წლის შემდეგ ეს კითხვა პირველად დასმული საქართველოში და შესაბამისად ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერების პროგრამებში. ამ კითხვაზე პასუხებით მიიღება ცნობები საქართველოს მოსახლეობის რელიგიური (ან ათეისტური) კუთვნილების შესახებ, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება ამ კითხვის სხვა კითხვებთან (ქორწინება, შვილიანობა) ურთიერთკავშირში დამუშავებას, რაც მდიდარ მასალას მისცემს მკვლევარებს მოსახლეობის რელიგიურ კუთვნილებასა და მათი შვილიანობის დონეებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად.

კითხვა 10: ივსება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის და ფორმულირებულია შემდეგნაირად: „დადის თუ არა სკოლამდელ დაწესებულებაში“ (დიახ; არა).

კითხვა 11: სწავლობს თუ არა ამჟამად (დიახ; არა), ივსება მხოლოდ 6 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის.

კითხვა 12: განათლების დონე (უმაღლესი; დაუმთავრებელი უმაღლესი; საშუალო პროფესიული; დაწყებითი პროფესიული; საშუალო სრული ზოგადი; საბაზო ზოგადი; დაწყებითი ზოგადი; არა აქვს დაწყებითი, მაგრამ შეუძლია წერა და კითხვა; წერა-კითხვის უცოდინარი). ამ კითხვას აქვს ორი ქვეკითხვა; ერთი: „განათლების დონის შესაბამისი პროფესია“, რომელიც ღია კითხვაა და უნდა მიეთითოს და მეორე: „სამეცნიერო ხარისხის მქონეთათვის“ აღინიშნება მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი. ასეთი ქვეკითხვები აღწერის პროგრამის ამ ტრადიციულ კითხვაში პირველად გამოყენებული და მიზნად ისახავს მოსახლეობის განათლების დონის დაწვრილებით შესწავლას.

კითხვა 13: ქორწინება. ეს კითხვა ივსება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის. მის პასუხებად დასახელებულია ქორწინებითი მდგომარეობს ყველა შესაძლო ვარიანტი (დაქორწინებული; (დაქორწინებულთათვის უნდა მიეთითოს – მეუღლის № შინამეურნეობის ფარგლებში); არასდროს არ ყოფილა დაქორწინებული; ქვრივი; განშორებული, განქორწინებული).

კითხვა 14: შვილიანობა. ამ კითხვას ავსებენ 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთათვის. მასში პასუხად მიეთითება: ა) რამდენი ბავშვი შობა; ბ) მათგან ცოცხალია (რამდენი); გ) ცხოვრობს ცალკე (რამდენი). აქვე არის ქვეკითხვა, 15-49 წლის ასაკში მყოფ გათხოვილ ქალთათვის: „კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ უკვე არსებულის ჩათვლით“. ჩვენი აზრით ეს უკანასკნელი ქვეკითხვა მთლად ზუსტად არ არის ფორმულირებული და თავის თავში მოიცავს ქალთა რეპროდუქციული ქცევის შესწავლისათვის აუცილებელი როგორც ბავშვების მოსალოდნელი, ასევე სასურველი რიცხვების გამოსავლენი კითხვების შეხამების არც თუ

საუკეთესო ვარიანტს. უკეთესი იქნებოდა რომ კითხვა დაყოფილიყო ორად და მათგან ერთი ასეთნაირად ყოფილიყო ფორმულირებული: „კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ“ (ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განსაზღვრისათვის), ხოლო მეორე კი: „სულ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ“ (ბავშვების სასურველი რიცხვის განსაზღვრისათვის). ან არადა უკვე არსებულ ფორმულირებაში ბოლო სამი სიტყვა (უკვე არსებულის ჩათვლით) ჩასმულიყო ფრჩხილებში ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი კითხვით, კერძოდ, კი ბავშვების მოსალოდნელი რიცხვით მოხდებოდა ქალთა რეპროდუქციული ქცევის შესწავლა.

მე-15, მე-16 და მე-17 კითხვები გაერთიანებულია ერთ ბლოკში და გათვალისწინებულია გამოსაკითხი პირის ეკონომიკური დახასიათებისათვის.

კითხვა 15: არსებობის საშუალებათა წყაროები. ამ კითხვის პასუხებად მოცემულია 19 შესაძლო ვარიანტის პასუხები (დაქირავებით მუშაობისათვის ხელფასი ან სხვა რეგულარული ანაზღაურება; შემოსავალი საკუთარი საწარმოდან მათ შორის: მუშაკთა დაქირავებით, მუშაკთა დაქირავების გარეშე; შემოსავალი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან; შემოსავალი საკუთარი გლეხური (ფერმერული) მეურნეობიდან; შემოსავალი პირად-დამხმარე მეურნეობიდან; შემოსავალი საკუთრებიდან დანაზოგიდან, მათ შორის: საკუთარი საწარმოდან, რომლის მფლობელი არ მუშაობს; პენსია; სტიპენდია; უმუშევრობის შემწეობა; დახმარება (უმუშევრობის შემწეობის გარდა); სახელმწიფო უზრუნველყოფის სხვა სახე; სხვა პირთა კმაყოფაზე; ოჯახის დამხმარე წევრი არარეგულარული ანაზღაურებით; არარეგულარული, შემთხვევითი ანაზღაურება და შემოსავლები; სხვა წყარო; მათ შორის არსებობის საშუალებათა სხვა წყარო).

კითხვა 16: ძირითადი საქმიანობის ან შესრულებული სამუშაოს სრული დასახელება. ეს ღია კითხვაა და აქ სიტყვიერად უნდა მიეთითოს პასუხები.

კითხვა 17: 15 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის, უნდა მიეთითოს შემდეგ შესაძლო პასუხებიდან შესაბამისი: ეძებს სამუშაოს (დიახ, არა); თუ დიახ, მაშინ შეუძლია თუ არა შეუდგეს მუშაობას უახლოეს ორ კვირაში (დიახ, არა); მუშაობდა წინათ (დიახ, არა); თუ დიახ, მაშინ უნდა მიეთითოს ბოლო სამუშაოდან განთავისუფლების წელი და თვე.

ამ ორი ძირითადი ბლანკის (ფორმა 1 და ფორმა 2) გარდა საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა მოიცავს ცალკე ბლანკს, ფორმა „ემ“ – „ემურანტთა სააღწერო ფურცელი“. მასში მოცემული 15 კითხვიდან 10 თითქმის ზუსტად იმეორებს ფორმა 2-ის (სააღწერო ფურცლის) კითხვებს, რაც ჩვენი აზრით გამართლებული არ უნდა იყოს, რადგანაც გააძვირებს ჩვენი ისედაც მწირი მოსახლეობის აღწერის ხარჯებს (ქაღალდის, მისი შევსების დროის, ანაზღაურების და დამუშავების ხარჯები). ფორმა „ემ“-ის მე-7 კითხვა: მოქალაქეობა (ამჟამად), რომლის პასუხის ვარიანტებიც ფორმა 2-ის მე-8 კითხვის (მოქალაქეობის) იდენტურია, არ მოგვანია მეთოდოლოგიურად გამართლებულად. რადგანაც ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვა (ამჟამად) არაფერს არ აზუსტებს, რამეთუ აღწერის ჩატარების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის, აღწერის ერთმომენტურობის“, თანახმად აღწერის განმავლობაში შეგროვილი ცნობები უნდა შეესაბამებოდეს აღწერის კრიტიკულ მომენტს ანუ რასაც ფაქტიურად მოიცავს (გულისხმობს) სიტყვა „ამჟამად“. ასევე ოდნავ განსხვავებულია ემიგრანტთა სააღწერო ფურცელზე მოცემული ზოგიერთი კითხვა ფორმა 2-ის ანალოგიურ კითხვებთან შედარებით. კერძოდ, ამ ბლანკზე მე-5 კითხვა ეროვნება, სულ ღია კითხვაა, ე.ი. კარნახში არაა ჩამოთვლილი არცერთი ეროვნების დასახელება, რაც მეთოდოლოგიურად (ერთი და იგივე აღწერაში ერთი და იგივე კითხვის სხვადასხვანაირი რედაქცია) სწორი არაა. არაფერს

არ იძლევა მე-9 კითხვის დაზუსტებაც იმის შესახებ, რომ განათლების დონე მიეთითოს „ნ წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის“ გარდა იმისა, რომ წარმოშობს სხვადასხვა სააღწერო ბლანკებზე მოცემული ერთი და იგივე კითხვის (განათლების დონე) სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. არ ემთხვევა ერთმანეთს ამავე კითხვის ქვეკითხვები და მათი შესაძლო პასუხებიც. კერძოდ, ფორმა „ემ“-ში ამოღებულია გრაფა „განათლების დონის შესაფერისი პროფესიის“ მითითების შესახებ, სამაგიეროდ „სამეცნიერო ხარისხის მქონეთათვის“ დამატებულია პასუხის ახალი ვარიანტი „ეწევა სამეცნიერო საქმიანობას ამჟამად“. ჩვენი აზრით ამგვარი ფორმულირებანი მიანიშნებენ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ის უფრო მეტად აინტერესებს, ემიგრანტები ეწევიან თუ არა სამეცნიერო საქმიანობას საზღვარგარეთ, ვიდრე ის თუ რა პროფესიის ყოფილი ჩვენი თანამოქალაქეებია (რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას და არაა გამორიცხული, რომ კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში) წასული საზღვარგარეთ და რით არიან ისინი იქ დასაქმებულები. ამგვარი მიდგომის პირობებში კი დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ აღწერის მონაცემების დამუშავების საფუძველზე განსახორციელებული მიგრაციული პოლიტიკის შედეგად სასიკეთოდ შეიცვლება მიგრაციული პროცესების ნეგატიური გავლენა ქვეყნის ისედაც მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაზე. ემიგრანტთა სააღწერო ფურცლის, სხვა ბლანკებისაგან გასხვავებული კითხვებია:

კითხვა 11: როდის წავიდა (წელი, თვე).

კითხვა 12: ქვეყანა. ეს კითხვა ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთი მხრივ, ქვეყანა – „სად გაემგზავრა“ და მეორეს მხრივ ქვეყანა – „სად ცხოვრობს ამჟამად“. ორივე ამ ნაწილს პასუხებად ერთნაირი ვარიანტები (ქვეყნების ჩამონათვალი) (ა.შ.შ., გერმანია, თურქეთი, რუსეთი, საბერძნეთი) აქვს და ამასთან, ითვალისწინებს სხვა ქვეყნის (ჩამონათვალისაგან განსხვავებული) მითითების შესაძლებლობასაც.

კითხვა 13: საქართველოდან წასვლის მიზეზები. (ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით; მათ შორის გამოიყოფა – იყო თუ არა დასაქმებული წასვლამდე (დიახ, არა); თავშესაფრის მაძიებელი პირი; სასწავლებლად; სხვა მიზეზები (მითითების საშუალებასაც ეს ფორმა „ემ“, არ ითვალისწინებს). თავისი შინაარსით მეტად მნიშვნელოვანი ეს კითხვა, კიდევ უფრო ინფორმაციული იქნებოდა თუკი მიეთითება, თუ წასვლამდე რამდენ ხანს არ მუშაობდა ემიგრანტი, ან თუ მუშაობდა სახალხო მეურნეობის რომელ დარგში და როგორი ანაზღაურება ჰქონდა, თორემ გაურკვეველი დარჩება ემიგრანტთა წასვლის რეალური მოტივები, რადგანაც ნებისმიერი ადამიანის წასვლის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება (თავად ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე იგი ეძებს უკეთეს ეკონომიკურ პირობებს თუნდაც თავისი სამშობლოს მიღმა, მით უფრო საზღვრების გადალახვის გაიოლების პირობებში).

კითხვა 14: აქვს თუ არა მატერიალური დახმარება. (ოჯახის მისგან; ოჯახისგან მას; არა).

კითხვა 15: აპირებს დაბრუნებას? (დიახ, არა) თუ დიახ, როდის (წელი).

საქართველოში (და მთლიანად ყოფილ საბჭოთა კავშირშიც) ჩატარებული აღწერების ისტორიაში პირველად ხდება გარე მიგრაციული პროცესების ასეთი მასშტაბებით შესწავლა. ეს განპირობებულია უკანასკნელ ათწლეულში საქართველოდან ბევრი ადამიანის საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლით, რომლის არც მოცულობის, არც რეალური ნაკადების და არც ემიგრირებული მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ზუსტი მონაცემები მიმდინარე

სტატისტიკას არ გააჩნია. იმედია, რომ 2002 წლის აღწერის შედეგები ნათელს მოჰყვანს საქართველოში გარე მიგრაციასთან დაკავშირებულ ბევრ საჭირობო საკითხს.

2.4.7. მოსახლეობის აღწერის სამართლებრივი საფუძველი

მოსახლეობის აღწერა – ფართო მასშტაბიანი შრომატევადი ოპერაციაა, რომელშიც საერთო ხელმძღვანელობისა და ერთიან წესებს დაქვემდებარებული ხალხთა უდიდესი მასა ერთდროულად მოქმედებს. მეორეს მხრივ, მართალია მცირედ, მაგრამ მაინც მოსახლეობის აღწერა იჭრება მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელთაც ეს შეჭრა სრულებითაც არ ანიჭებთ სიამოვნებას, უფრო პირიქით, შეიძლება იწვევდეს სხვადასხვაგვარ შიშს. მიუხედავად ამისა, მათი თანამონაწილეობის გარეშე მოსახლეობის აღწერა ვერ შედგება. ამიტომ, იმისთვის, რომ კიდევ და კიდევ განმეორდეს აღწერის პროცედურა და ყველა მისი მონაწილე თავის როლს თამაშობდეს, საჭიროა რაღაც სამართლებრივი საფუძველი. ბევრ ქვეყანაში არსებობენ მოსახლეობის აღწერების ჩატარების მარეგულირებელი კანონები. ასე მაგალითად, ა.შ.შ-ში ქვეყნის კონსტიტუციაში (სტატია 1, განყოფილება 2) ნათქვამია: „მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვა ჩატარდება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის პირველი სესიის შემდგომი სამი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კანონით დადგენილი წესით ყოველი ათი წლის შემდეგ. ეს იყო ჩაწერილი ა.შ.შ-ის მოსახლეობის პირველი აღწერის წინ და მას შემდეგ განუხრელად სრულდებოდა. დიდ ბრიტანეთში კანონი, მოსახლეობის აღწერის პერიოდულობის შესახებ, მიღებული იქნა 1920 წელს, გერმანიაში – 1985 წელს.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის აღწერების ჩატარების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენენ სტატისტიკური ორგანოების წარდგენით ყოველი აღწერის წინ, ზოგჯერ რამდენიმე წლით, ზოგჯერ კი თვეებით ადრე, მთავრობის მიერ სპეციალურად მიღებული დადგენილებები.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა მეფის მიერ 1895 წლის 5 ივნისს დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილების საფუძველზე. სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1920 წლის აღწერა ჩატარდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი სესიის დადგენილებისა (1920 წლის 2-7 თებერვალი) და სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 22 აპრილის დადგენილების „სრულიად რუსეთის დემოგრაფიულ-პროფესიული, სასოფლ-სამეურნეო და სამრეწველო აღწერების ჩატარების შესახებ“, საფუძველზე. 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერა ჩატარდა სსრკ-ის ც.ა.კ-ისა და ს.კ.ს-ს 1926 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით (ე.ი. აღწერის ჩატარების დაწყებიდან მხოლოდ 4 თვით ადრე, როცა უკვე მთელი მისი მომზადება დასასრულს უახლოვდებოდა). სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს №305 დადგენილება „1969 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ“, მიღებულ იქნა 1966 წლის 22 აპრილს, ხოლო სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს №244 დადგენილება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის 1970 წლის იანვრისათვის გადატანის შესახებ, მიღებული იქნა 1967 წლის 24 მარტს, ე.ი. წინა დადგენილების მიღების უკვე მომდევნო წელს და 1969 წლის აღწერამდე თითქმის ორი წლით ადრე, თუკი იგი არ იქნებოდა გადატანილი (ასე რომ ეჭვს იწვევს ახსნა, თითქოს აღწერა 1969 წლიდან 1970 წელს გადატანილი იქნა, რადგანაც მისი ჩატარებისათვის ვერ მოასწრეს მანქანების და რაღაც ამის მსგავსის მომზადება. აქ, როგორც ჩანს, სხვა მიზეზების ბრალია, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გახსნილი).

ჩვენი აღწერებისა და მათი ჩატარების შესახებ სამთავრობო დეკრეტების ისტორია გვიჩვენებს, რომ ერთჯერადი დეკრეტები – არა სანდო ბაზაა, განსაკუთრებით ჩვენს მშფოთვარე ქვეყანაში. ისინი შეიძლება ნებისმიერ დროს მიიღონ, მაგრამ ასევე ნებისმიერ დროს გააუქმონ (ან შეცვალონ). საჭიროა კანონი, უფრო უკეთესია – კონსტიტუციის მუხლი. მოსახლეობის აღწერა თავისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით ამას იმსახურებს.

ყოველი რიგითი მომავალი აღწერის შესახებ სამთავრობო დადგენილების პრეამბულაში მისი აუცილებლობა ჩვეულებრივ წარმოდგენილია, როგორც რაღაც კამპანია, რომლისთვისაც სწორედ მოცემულ მომენტში მომწიფდა

განსაკუთრებული მიზეზები (ხუთწლედის დასაწყისი ან დასასრული, ახალი კონსტიტუციის მიღება, ისტორიული განვითარების ეტაპის დასრულება, ან რაიმე ამისი მსგავსი). ხალხს სრულიად არასწორი წარმოდგენა ექმნება აღწერების ამოცანებზე. ამასობაში კი მოსახლეობის აღწერები – სრულიად ორდინალური, რუტინული, დროის ტოლ შუალედებში აუცილებლად გასამეორებელი, „თავისი თავისათვის“, იდეალში კი ნებისმიერ ისტორიულ პირობებში (როგორც ეს იყო ვთქვათ 1920 წლის აღწერის დროს), ჩასატარებელი პროცედურაა. სწორედ ასე უნდა იქნას დასმული საკითხი მოსახლეობის აღწერების შესახებ. და დავანებოთ თავი მათ პოლიტიკური პროპაგანდის ინსტრუმენტად გამოყენებას. აღწერებს პოლიტიკური დემაგოგების რუპორად ყოფნაზე უფრო მნიშვნელოვანი, ყოველდღიური, მაგრამ უფრო საქმიანი ამოცანები აქვთ. ამიტომ, საჭიროა კანონი (შეიძლება – კანონებიც) მოსახლეობის რეგულარული აღწერების ჩატარების შესახებ, დროის ტოლი შუალედების შემდეგ, 0-ზე ან 1-ზე დაბოლოებულ წლებში, ე.ი. წლებში, როცა აღწერებს ატარებს განვითარებული ქვეყნების უმეტესობა. უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ჩვენი განვითარების შედეგების შედარება. საჭიროა უარი ითქვას ციფრ 9-ზე, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა კენია, ალბანეთი, მონღოლეთი, ვიეტნამი, ახალი კალედონია, ვანუატუ და კაიმანის კუნძულები, რომლებთანაც ჩვენი შედარება არც თუ საინტერესოა (რა თქმა უნდა, მათდამი პატივისცემის მიუხედავად). ვეჭვობ, რომ ციფრი 9, როდესაც სწორედ იმიტომ აირჩიეს, რომ **არავის არ შედარებოდნენ**. ასე რომ დროა, ამ მხრივაც გარდავიქმნათ, გავხდეთ ნორმალური ქვეყანა.

უკვე მრავალი წლის, ათწლეულების განმავლობაშიც კი, ბევრი ჩვენი მეცნიერ-დემოგრაფი გამოდის მოსახლეობის აღწერების რეგულარულად ჩატარების საკანონმდებლო საფუძვლის მიღების მომხრედ. ჯერ კიდევ 1957 წელს, 1959 წლის აღწერის პროგრამულ-მეთოდოლოგიური საკითხების განხილვასთან დაკავშირებით სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე გამოსვლისას პროფ. ბ.ც. ურლანისი სთავაზობდა, რომ „აღეძრათ საკითხი, რათა სსრკ-ში ყოველი მეცხრე წელი, საკანონმდებლო გზით, ხოლო შემდგომში კი შეიძლება ათწლედის მეოთხე წელიც მოსახლეობის აღწერის წლად გამოცხადებულიყო“¹. 11 წლის შემდეგ სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე 1968 წელს, ახლა უკვე 1970 წლის მოსახლეობის აღწერის მომზადებისას ანალოგიური წინადადებით გამოვიდა როსტოვის სახალხო მეურნეობის

ინსტიტუტის დოცენტი და დიდი მეცნიერი, მოსახლეობის აღწერების თეორიისა და ისტორიის სპეციალისტი, მარგარიტა გურგენის ასული გრიგორიანცი. იგი სთავაზობდა, რომ თათბირის მონაწილეთა სახელით მიმართვა გაეგზავნათ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოსადმი მოსახლეობის აღწერების ათ წელიწადში ერთხელ, ნულზე დაბოლოვებულ წლებში რეგულარულად ჩატარების შესახებ კანონის მიღების თხოვნით². სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა ავტორიტეტული სპეციალისტების მიერაც შედიოდა ანალოგიური წინადადებები, რომლებიც ყოველთვის ვერ ნახულობდენ პუბლიკაციებში ასახვას. ახლახანს, ასეთივე წინადადება გამოთქვა რუსეთის

3. 4-8 1957

., 1958. C. 158.

4. 22-26 1968, 1969. C. 216.

სტატსახკომის მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევების სამმართველოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა არკადი ალექსანდრეს ძე ისუპოვმა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის აღწერების მეთოდოლოგიის სრულყოფაში, უკვე ზემოთ ციტირებულ სტატიაში: „მოსახლეობის აღწერების რეგულარობის უზრუნველყოფას მნიშვნელოვან წილად განაპირობებენ საკანონმდებლო აქტები, რომლებითაც დგინდება აღწერების ჩატარების მყარი პერიოდულობა“¹.

იგივე ითქმის მოსახლეობის აღწერებში მოქალაქეებისა და მცხოვრები უცხოელების მონაწილეობასა და სააღრიცხვო ფორმულარების კითხვებზე პასუხის უფლებათა მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმებისა და აღწერისას მიღებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვაზე, აღწერის ჩამტარებელი პერსონალის პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი კანონები, როგორც უკვე ითქვა, ჩვენ არასდროს არ გვქონია და ასეთი კანონები აბსოლიტურად აუცილებელია.

საქართველოში, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკაშიც, მოსახლეობის აღწერების ჩატარება ზემოთ აღნიშნული საკავშირო გადაწყვეტილებების საფუძველზე რეგულარდებოდა. ამასთან, დამატებით მიიღებოდა საკავშირო გადაწყვეტილებების პარალელური რესპუბლიკური დონის გადაწყვეტილებებიც.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს, საქართველოს როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჯერ არ ჩატარებია. მოსახლეობის მორიგი აღწერის შესახებ პირველი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 20 ნოემბრის №488 ბრძანებულებით, რომლის მიხედვითაც

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა უნდა ჩატარებულიყო 1999 წლის დასაწყისის მდგომარეობით. 1997 წლის 15 ივნისს კი უკვე პრეზიდენტის №307 ბრძანებულებით დაზუსტდა აღწერის კრიტიკული მომენტი და ჩატარების ვადები. კრიტიკულ მომენტად განისაზღვრა 1999 წლის 19 იანვრის ღამის 12-00 საათი, ხოლო ჩატარების ვადად – 1999 წლის 20-დან 27 იანვრის ჩათვლით პერიოდი. მაგრამ ეს აღწერაც გადაიდო და საქართველოს 1999 წლის 16 იანვრის №13 ბრძანებულებით გამოცხადდა აღწერის ჩატარების ახალი თარიღი. კერძოდ, ამ ბრძანებულების შესაბამისად აღწერა უნდა ჩატარებულიყო 1999 წლის 4 მაისის ღამის 12 საათის მდგომარეობით, 1999 წლის 5 მაისიდან 12 მაისის ჩათვლით პერიოდში, ე.ი. პირველად შეიცვალა უკვე ტრადიციულად ქცეული აღწერის ჩატარების ვადა იანვრის თვე, მაისის თვით. ისე კი საქართველოს სინამდვილისათვის აღწერის ჩატარებისათვის იანვრის თვეს გაზაფხულის პერიოდი სჯობს, რადგანაც აღარ იქნება ძნელად მისაწვდომ დასახლებულ პუნქტებში ვადამდელი აღწერის ჩატარების აუცილებლობა. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რასაც ზამთრის პერიოდში არსებული ენერგეტიკული კრიზისის გამო უშუქობის პრობლემაც განაპირობებს ადვილი მისახვედრია, რომ იმ ფინანსური პრობლემების ფონზე რაც თან ახლავს აღწერის მომზადებას, რა მნიშვნელოვანი ეკონომიის მოტანა შეეძლო იანვრიდან გაზაფხულზე აპრილში ან თუნდაც მაისში აღწერის ჩატარებას. მაგრამ როგორც ჩანს ეს საკითხი კიდევ არაა მომწიფებული იმ ხალხისათვის, ვინც ამგვარ გადაწყვეტილებებს ამზადებს ან ღებულობს. და მართლაც, აღწერის მორიგი გადატანისას არჩევანი კვლავ იანვრის თვეზე შეჩერდა. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 აპრილის №204 ბრძანებულებით აღწერის ჩატარება გადაიდო 2001 წლის 17 იანვრისათვის. მაგრამ ქვეყნის ბიუჯეტში შექმნილი საფინანსო სირთულეების გამო შეუძლებელი გახდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ადრე დათქმულ ვადებში მოწყობა და ამიტომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის №549 ბრძანებულებით გადაწყდა საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოწყობა 2002 წლის 16 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობით, 2002 წლის 17 იანვრიდან 24 იანვრამდე (ჩათვლით) პერიოდში. წიგნის დასაბუჯდად მომზადებას მომეტისათვის ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების დაფინანსების საკითხები და ამიტომ გაურკვეველი რჩებოდა ჩატარდება თუ არა დათქმულ 2002 წელს მოსახლეობის აღწერა.

უკეთესი იქნებოდა თუკი პრეზიდენტის ბრძანებულებების ნაცვლად მოსახლეობის აღწერის ჩატარების ვადები დარეგულირდებოდა შესაბამისი კანონით და უფრო გამკაცრდებოდა მოთხოვნები მისი დადგენილ ვადებში ჩატარების მიმართ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე შეიმუშავა კანონპროექტი მოსახლეობის აღწერის შესახებ. მაგრამ ჯერჯერობით პარლამენტს ეს კანონი არ განუხილავს და შესაბამისად არც მიუღია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კანონის მიღებით საბოლოოდ მოწესრიგდება მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, რაც ხელს შეუწყობს მომავალში აღწერების უფრო ორგანიზებულად, რეგულარულად და მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებას.

1. 1999 //, . ., 1999.
№3 C. 22.

2.4.8. მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი (ანუ მოსახლეობის აღრიცხვის მომენტი)

აღრე, მოსახლეობის აღწერის ძირითადი პრინციპების განხილვისას უკვე იყო საუბარი მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტის მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზედმეტი არ იქნებოდა თუ ამ საკითხზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი – ესაა მთელი ქვეყნისათვის ერთიანი დროის ზუსტი მომენტი, რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის აღწერისას შეგროვილი ცნობები. კრიტიკული მომენტის განსაზღვრა საშუალებას იძლევა მივიღოთ განუწყვეტლივ ცვალებადი მოსახლეობის თითქოსდა მომენტალური ფოტოგრაფია, მომენტალური ჭრილი. ჩვეულებრივ, კრიტიკული მომენტი აღწერის დაწყების წინა დღის შუაღამეზე დგინდება. ეს იმით აიხსნება, რომ აღწერები ჩვეულებრივ ტარდება ხალხის საცხოვრებელი ადგილის (თუნდაც დროებითის) მიხედვით და მათი უმეტესობა ღამით საცხოვრისში (ჭერქვეშ) იმყოფება.

კრიტიკული მომენტის დადგენა გვეხმარება სახეზე მყოფი მოსახლეობის უფრო ზუსტად აღრიცხვაში, ხალხის შესაძლო გამოტოვებისა და ორმაგი აღრიცხვის შემცირებაში. მსოფლიოში აღწერების უმეტესობა კრიტიკული

მომენტის დადგენით ტარდება, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის აღწერისას შეგროვილი ცნობები შეესაბამება აღწერის პირველ დღეს ზუსტი საათის მითითების გარეშე, ე.ი. კრიტიკული მომენტის გარეშე. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება, კერძოდ, ა.შ.შ. და ფინეთი.

სრულიად რუსეთის იმპერიის 1897 წლის პირველ საყოველთაო აღწერასაც არ ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული კრიტიკული მომენტი. ცნობები გროვდებოდა 1897 წლის 28 იანვრის ადრე დილაზე არსებული მდგომარეობის მიხედვით. 1920 წლის აღწერისა და 1923 წლის ქალაქის აღწერებში კრიტიკული მომენტი დადგენილი იყო აღწერის პირველი დღის დილის 9 საათი (ცხადია 1897 წლის აღწერის „ადრე დილის“ გარკვეული ანალოგიით). მოსახლეობის ყველა შემდგომ სამამულო აღწერებში კრიტიკული მომენტი აღწერის პირველი დღის შუაღამეზე დგინდებოდა.

2.4.9. მოსახლეობის აღწერებისას აღრიცხული მოსახლეობის კატეგორიები

აღწერები ჩვეულებრივ 7-10 დღის განმავლობაში ტარდება და ცდილობენ ისე ჩაატარონ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად შეუშალონ ხელი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას. ამასობაში ბევრი ადამიანი გადაადგილდება ქვეყნის ტერიტორიაზე. წარმოიშობა, თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დროებით არმყოფთა, ან პირიქით იმ ტერიტორიაზე დროებით, მცხოვრები ხალხის გამოტოვების, ან ორმაგი აღრიცხვის პრობლემა, სადაც მათ მოუსწრო აღწერამ. იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ გამოტოვებული და ორმაგი აღრიცხვა, აღწერებისას მოცემულ ტერიტორიაზე მათი ცხოვრების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ხალხის სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის კატეგორიებს. გამოიყოფა მესამე კატეგორიაც – იურიდიული (მიწერილი) მოსახლეობა, – რომელიც თანამედროვე აღწერებში უკვე აღარ გამოიყენება.

სახეზე მყოფ მოსახლეობას მიეკუთვნება აღწერის **კრიტიკული მომენტისათვის** მოცემული დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი (სახეზე მყოფი, არსებული), ამ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობისა და ცხოვრების უფლების მიუხედავად (ე.ი. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ცხოვრობენ ისინი მოცემულ ადგილზე კანონიერად თუ არალეგალურად).

მუდმივ მოსახლეობას მიეკუთვნება ხალხი, რომელიც აღწერის კრიტიკული მომენტისათვის მუდმივად ცხოვრობს მოცემულ ადგილას (ე.ი. ესაა ჩვეულებრივი, უვადო საცხოვრებელი ადგილი) მიუხედავად, ცხოვრებაზე უფლების (ე.ი. ყბადაღებული ჩაწერისაგან), აგრეთვე აღწერის კრიტიკული მომენტისათვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ფაქტიური ყოფნის მიუხედავადაც.

საქართველოში მოცემულ ტერიტორიაზე ჩაწერის ინსტიტუტი უკვე შეცვლილია მოსახლეობის რეგისტრაციით.

ცნება „უვადო“ ცხოვრება გარკვეულ წილად მაინც განუსაზღვრელია და ამიტომ შეიძლება ადამიანის მოცემულ ადგილას ცხოვრების ხასიათის განსაზღვრისას, ე.ი. არის ეს მუდმივი თუ დროებითი, სირთულეებს იწვევს. ამ პრობლემის თავიდან აცილებისათვის ჩვენი აღწერების პრაქტიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის პირობითად მიღებულია ცხოვრების ვადა 6 ან მეტი თვე.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის გათვალისწინებულია მოცემულ ადგილზე ცხოვრების 12 თვიანი ვადა.

ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ეს ვადა ეკუთვნის არა მარტო წარსულში მოცემულ ადგილას უკვე ნაცხოვრებ დროს, არამედ მომავალსაც, სავარაუდოსაც. ამრიგად, თუ გამოსაკითხი პირი ეს-ესაა შევიდა მოცემულ საცხოვრებელში, რომელშიც მას მოუსწრო აღწერამ და არ უცხოვრია იქ სამი დღეც კი (ან თუნდაც ერთი დღეც კი), მაგრამ გარკვევით აცხადებს, რომ მუდმივად იცხოვრებს მასში (განსაზღვრული ვადის გარეშე), მაშინ ტერიტორიის მიმართ, რომელზედაც მისი საცხოვრებელია განლაგებული, იგი მუდმივი მოსახლეობის კატეგორიაში აღირიცხება.

მუდმივ და სახეზე მყოფ, დროებით არმყოფ და დროებით მცხოვრებ (აღწერის ადგილას, მისი კრიტიკული მომენტისათვის) მოსახლეობათა რიცხოვნებებს შორის არსებობს საბალანსო დამოკიდებულება. ასე მაგალითად, მოცემული ტერიტორიის მუდმივი მოსახლეობა უდრის სახეზე მყოფ მოსახლეობას დამატებული დროებით არ მყოფნი და გამოკლებული დროებით მცხოვრებნი. ანუ შეიძლება ეს ფორმულის სახით რამდენადმე თვალსაჩინოდაც გამოვსახოთ, რომელშიც ყველა პირობითი აღნიშვნები საკმაოდ ცხადია.

მ.მ=ს.მ.+დ.ა.-დ.მ.

სახეზე მყოფი მოსახლეობა კი უდრის მუდმივ მოსახლეობას დამატებული დროებით მცხოვრებნი და გამოკლებული დროებით არამყოფნი, ანუ

ს.მ.=მ.მ.+დ.მ.-დ.ა.

იურიდიული ანუ მიწერილი მოსახლეობა – ესაა ის, რომელიც სიების, საბინაო, წიგნების, პოლიციაში ჩაწერის და ა.შ. საბუთების მიხედვით ამ ადგილას მცხოვრებად ირიცხება, ფაქტიურად მიწერის (ჩაწერის) ადგილას რეალური ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად. როგორც უკვე ითქვა, ხალხის რაოდენობის დათვლას ჩაწერის საბუთების მიხედვით აზრი არა აქვს, რადგანაც მოცემულ ტერიტორიაზე რეალურად მცხოვრებ და დოკუმენტებით აღრიცხულ ხალხის რაოდენობებს შორის სხვაობა შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. მოსახლეობის ფისკალური აღრიცხვის ეპოქაში აღრიცხვის ობიექტი სწორედ იურიდიული (დასაბეგრი) მოსახლეობა იყო. მოსახლეობის თანამედროვე ტიპის საყოველთაო რეგულარული აღწერების დაწყებით იურიდიული მოსახლეობის აღრიცხვისადმი ინტერესი თანდათანობით წარსულს ჩაბარდა. ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მხოლოდ ერთი საყოველთაო აღწერისას, კერძოდ კი ყველაზე პირველ 1897 წლის აღწერაში იყო მცდელობა ერთდროულად აღერიცხათ მოსახლეობის სამივე კატეგორია: სახეზე მყოფი, მუდმივი და იურიდიული. მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. მიწერილი მოსახლეობის რიცხოვნობა იმდენად განსხვავდებოდა სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობისაგან, რომ იგი აღარც კი გამოაქვეყნეს.

ჩვენს 1920, 1926 და 1937 წლის აღწერებში აღრიცხვის ობიექტი სახეზე მყოფი მოსახლეობა იყო, ხოლო 1939 წლიდან დაწყებული ყველა მომდევნო აღწერებში ერთდროულად აღრიცხებოდა ორი კატეგორია – სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობა. ითვლებოდა, რომ სახეზე მყოფ და მუდმივ მოსახლეობის რიცხოვნობებს შორის სხვაობა შეიძლება ყოფილიყო მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის აღწერებში მოსახლეობს აღრიცხვის სიზუსტის საზომი. რადგანაც საბჭოთა კავშირში გარე მიგრაცია მცირე იყო, ამიტომ დიდი ცდომილების გარეშე შეიძლებოდა გარე მიგრაციის სადღოს ნულისათვის გატოლება. ასეთ შემთხვევაში სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის დამთხვევა (ან დაუმთხვეველობა) წარმოადგენდა აღწერისას მოსახლეობის აღრიცხვის სიზუსტის (ან უზუსტობის) საზომს. ბუნებრივია პოსტსაბჭოთა რუსეთში გარე მიგრაციის ინტენსივობის ზრდასთან ერთად რუსეთში მიგრანტების შემოდინების მკვეთრი ზრდის გამო (ძირითადად ლტოლვილები და იძულებით გადასახლებულები) მოსახლეობის აღწერის სიზუსტის განმსაზღვრელმა ამ მეთოდმა აზრი დაკარგა.

მაგრამ სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის ცოდნას, გარდა საკონტროლოსი, სხვა დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ელემენტების დაგეგმვისას სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობები გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი მიზნობრივი ორიენტირები. ასე მაგალითად, საბინაო მშენებლობის, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, ავეჯის, მაცივრების და სხვა ხანგრძლივი მოხმარების საგნების წარმოების დაგეგმვა ორიენტირებული უნდა იყოს მუდმივი მოსახლეობის დინამიკაზე, ხოლო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სანახაობების, საგზაო-სატრანსპორტო მეურნეობისა და ა.შ. დაგეგმვა კი – სახეზე მყოფი მოსახლეობის დინამიკაზე. ცნობილია, რომ მაგალითად, მოსკოვში ყოველდღიურად სახეზე მყოფი მოსახლეობა დაახლოებით 2 მლნ. კაცით მეტია, ვიდრე მუდმივი (ტრანზიტული მგზავრების, მივლინებაში მყოფების, ტურისტების, დედაქალაქში გამოკვლევებისათვის, კონსულტაციებისა და მკურნალობისათვის ჩამოსული ავადმყოფების, დედაქალაქში სამშობიაროდ ჩამოსულ ფეხმძიმეების, რადგანაც ისინი იმედოვნებენ უფრო ხარისხიანი სამშობიარო დახმარების მიღებას, ბანდიტების, რომლებიც იმედოვნებენ დედაქალაქში გამორჩენას და ა.შ. – ხარჯზე). გარდა ამისა, მოსკოვის დღის მოსახლეობა დამის მოსახლეობაზე სხადასხვა შეფასებებით 0,5 მლნ. კაცით მეტია, ეგრეთ წოდებული ქანქარისებრი მიგრანტების ხარჯზე, ე.ი. მოსკოვში მომუშავე, ან მოსწავლე, მაგრამ მუდმივად მოსკოვის ოლქში მცხოვრები ხალხის ხარჯზე. თუკი სასურსათო და სხვა საქონლით ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობაში ტრანსპორტისა და სხვა სასიცოცხლო დაწესებულებების მუშაობაში არ იქნება გათვალისწინებული ხალხის ეს ყოველდღიური „მოქცევა“, მაშინ ქალაქის ცხოვრება სერიოზულ დეფორმაციებს განიცდის. რა თქმა უნდა შეიძლება სხვა გზით წასვლა (და არის ასეთი წინადადებებიც). ჩაკეცილი ქალაქი სხვა ქალაქებიდან მოსულთათვის, „მკვიდრ“ მოსკოველებს მივცეთ სპეციალური მოწმობები, ბარათები, ტალონები, ან კიდევ სხვა რაიმე მსგავსი: ქალაქის საზღვრებზე გამოვიყვანოთ საგუშაგოები და პატრულები „სხვების“ წინააღმდეგ და ა.შ. მაგრამ ამ ღონისძიებებს შეიძლება ძალიან ცუდი – სოციალური ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული შედეგები ჰქონდეთ.

მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ცნობარებით სარგებლობისასაც საჭიროა მოსახლეობის ორი კატეგორიის გათვალისწინება. ვთქვათ, მოსახლეობის რიცხოვნობა როგორც წესი ქვეყნდება სახეზე მყოფი

მოსახლეობის მიხედვით. ხოლო მონაცემები მოსახლეობის აღწერების შედეგებში, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი, ქორწინებითი, ოჯახური, ეთნიკური და სოციალური სტრუქტურის შესახებ, მუშავდება და ქვეყნდება ყოველთვის მუდმივი მოსახლეობის მიხედვით. სამწუხაროდ ცნობარების ცხრილებში მოსახლეობის კატეგორია ყოველთვის არაა მითითებული.

რუსეთის სტატსახკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც 1995 წელს დაამტკიცა სრულიად რუსეთის სტატისტიკოსთა თათბირმა, 1999 წლის აღწერისას აღრიცხონ მოსახლეობის მხოლოდ ერთი კატეგორია – მუდმივი მოსახლეობა. ეს ცვლილება მოტივირებულია იმით, რომ მუდმივი მოსახლეობა ჯერ ერთი, უფრო ნაკლებ მოძრავია, ვიდრე სახეზე მყოფი, იგი ადვილად აღრიცხება. მეორეც, ასევე ადვილია მუდმივი მოსახლეობიდან დროებით არ მყოფი მოსახლეობის აღრიცხვა, ვიდრე დროებით მცხოვრებისა (რადგანაც მათ შესახებ ცნობების შეტყობინება შეუძლიათ მათ ნათესავებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე) განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა აღწერის კრიტიკული მომენტისათვის მოცემულ ტერიტორიაზე დროებით მცხოვრებმა ამ ხალხმა უკვე მოასწრეს მისი დატოვება არწერის რეგისტრატორთან შეუხვედრელად (და მის შესახებ რაიმე საიმედოს შემტყობინებელი არავინაა).

ომის (მეორე მსოფლიო ომის) შემდგომ პერიოდში მსოფლიოს ბევრი ქვეყანა უკვე გადავიდა მხოლოდ მუდმივი მოსახლეობის აღრიცხვაზე და მათი რიცხვი განაგრძობს ზრდას. ამავე დროს, როგორც მომავალი აღწერის ორგანიზატორები ირწმუნებიან შენარჩუნებულია სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ მონაცემების მიღების შესაძლებლობა, მაგრამ... ცალკე ანაზღაურებით. შეიძლება ეს სწორიც იყოს. ინფორმაცია ფული ღირს.

2.4.10. სრულიად რუსეთის 1999 წლის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა

შედეგების დამუშავების პროგრამა ჩვეულებრივ აღწერის პროგრამასთან ერთად და მასთან კავშირში იქმნება. ვიდრე კითხვებს მივცემდეთ, საჭიროა

წარმოვიდგინოთ, თუ რა შეიძლება მივიღოთ შედეგად, რომელი მაჩვენებლის გაანგარიშება შეიძლება პასუხების საფუძველზე და ა.შ.

სრულიად რუსეთის 1999 წლის აღწერების შედეგების დამუშავების პროგრამა მნიშვნელოვნად უფრო ტევადია წინა აღწერებთან შედარებით და შედეგა 94 ცხრილისაგან, რომლებიც მთლიანობაში მილიარდობით მაჩვენებლებს მოიცავენ. მთელი ინფორმაცია დაყოფილია შემდეგი თემების შემცველ 9 განყოფილებადად.

განყოფილების დასახელება	შინაარსი
X. მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიული განაწილება – 6 ცხრილი	მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტების განაწილება მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით.
XI. მოსახლეობის დემოგრაფიული დახასიათება – 15 ცხრილი	მოსახლეობის სტრუქტურა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, გაჩენილი და მოსალოდნელი ბავშვების რიცხვის, ბავშვთა სიკვდილიანობისა და ა.შ. მიხედვით.
XII. განათლების დონე – 4 ცხრილი	მთელი მოსახლეობის და აგრეთვე მოსწავლეების განაწილება ასაკისა და განათლების დონის მიხედვით. სკოლამდელ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით.
XIII მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება – 20 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება არსებობის საშუალებათა წყაროების მიხედვით, ეკონომიკური აქტიურობის მიხედვით, ეკონომიკის დარგებისა და დასაქმების მიხედვით – ასაკთან და განათლების დონესთან შეხამებით.
XIV მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ენა და მოქალაქეობა – 14 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და მშობლიური ენის მიხედვით, სხვა ენების მიხედვით, რომლებსაც თავისუფლად ფლობენ, ცალკეული ეროვნებები ასაკის განათლების დონის, ქორწინებითი მდგომარეობის, არსებობის საშუალებათა წყაროების, დასაქმების, ეკონომიკური აქტიურობის, ეკონომიკის დარგების და სხვათა მიხედვით.
XV. სახლთმეურნეობათა (და ოჯახთა) რიცხვი და შემადგენლობა – 13 ცხრილი	კერძო სახლთმეურნეობების რიცხვი და მათი დაჯგუფება, ზომის, ტიპებისა და 18 წელზე ახალგაზრდა ბავშვების რიცხვის მიხედვით, სახლთმეურნეობის წევრთა ეროვნების, მათი ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებულთა რიცხვისა და მოსახლეობის კმაყოფაზე მყოფთა რიცხვის მიხედვით, კოლექტიურ სახლთმეურნეობაში მცხოვრებნი მარტოხელები – ყველანი ასაკთან და სხვა შეხამებით.
XVI მიგრაცია – 11 ცხრილი	მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას

	ცხოვრების ხანგრძლივობისა და ასაკის მიხედვით განაწილება, მიგრანტების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, დაბადების ადგილის, ეკონომიკური აქტივობისა და გადასახლების რიგი მახასიათებლების მიხედვით განაწილება.
XVI მოსახლეობის საბინაო პირობები – 13 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება დაკავებული საცხოვრისის ტიპების, მათი ზომის, ოთახების რიცხვის, კეთილმოწყობის სახეობების, საკუთრების ფორმებისა და სხვათა მიხედვით.
XVI ძირითადი ცნობები რუსეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფთა შესახებ – 4 ცხრილი	რუსეთის ტერიტორიაზე დროებით მოფი მოსახლეობის განაწილება ქვეყნების, მოქალაქეობის, ეროვნების, სქესის, დაბადების ადგილის, მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნისა და რუსეთში ჩამოსვლის მიზნების მიხედვით.

2.1.10^ა. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა

შედეგების დამუშავების პროგრამა ჩვეულებრივ აღწერის პროგრამასთან ერთად და მასთან კავშირში იქმნება. ვიდრე კითხვებს მივცემდეთ საჭიროა წარმოვიდგინოთ, თუ რა შეიძლება მივიღოთ შედეგად, რომელი მაჩვენებლის გაანგარიშება შეიძლება პასუხების საფუძველზე და ა.შ.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების დამუშავების პროგრამა მნიშვნელოვნად უფრო ტევადია წინა აღწერებთან შედარებით და შედგება 95 ცხრილისაგან, რომლებიც მთლიანობაში მილიარდობით მაჩვენებელს მოიცავენ. მთელი ინფორმაცია დაყოფილია შემდეგი თემების შემცველ 8 განყოფილებადა.

განყოფილების დასახელება	შინაარსი
I. მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიული განლაგება – 7 ცხრილი	მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტების დაჯგუფება მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით. დროებით მცხოვრები და დროებით არ მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა დროებით ცხოვრების ან არყოფნის მიზეზების მიხედვით.
II. მოსახლეობის დემოგრაფიული განლაგება – 8 ცხრილი	მოსახლეობის სტრუქტურა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, დაბადებულ ბავშვთა რიცხვისა და ბავშვთა მოსალოდნელი რიცხვის მიხედვით.
III. მოსახლეობის განათლების დონე – 3 ცხრილი	მოსწავლეების და არამოსწავლეების განაწილება ასაკისა და განათლების დონის მიხედვით, ბავშვების სქესის, ასაკისა და ეროვნების მიხედვით, სკოლაში არ სწავლის მიზეზების მიხედვით განაწილება.
IV. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება – 16 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება, არსებობის საშუალებათა წყაროების, ასაკის, განათლების, ეკონომიკური აქტივობის, დასაქმების, ეროვნებებისა და მშობლიური ენის მიხედვით.

V. მოსახლეობის ეროვნულ-ლინგვისტური დახასიათება – 21 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება, ეროვნების, ასაკის, განათლების, დაბადების ადგილის, სარწმუნოების, სქესის, მშობლიური ენის, აგრეთვე სხვა ენების, რომლებსაც თავისუფლად ფლობენ, მიხედვით.
VI. შინამეურნეობის (სახლთმეურნეობები – ა.ს.) და ოჯახების შემადგენლობა და რიცხვი – 14 ცხრილი	კერძო შინამეურნეობების (სახლთმეურნეობების – ა.ს.) რიცხვი და მათი დაჯგუფება, ზომის ტიპებისა და ბავშვების რიცხვის მიხედვით. სახლთმეურნეობას წევრთა ეროვნების მათი ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებულთა რიცხვისა და მოსახლეობის კმაყოფაზე მეოფთა რიცხვის მიხედვით, კოლექტიურ შინამეურნეობაში (სახლთმეურნეობაში – ა.ს.) მცხოვრებნი, მარტოხელები – ყველანი ასაკთან და სხვათა მიხედვით.
VII. მოსახლეობის მიგრაცია – 14 ცხრილი	მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობისა და ასაკის მიხედვით განაწილება, მიგრანტების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, დაბადების ადგილის, ეკონომიკური აქტივობისა და გადასახლების რიგი მახასიათებლების მიხედვით.
VIII. მოსახლეობის საბინაო პირობები – 12 ცხრილი	მოსახლეობის განაწილება დაკავებული საცხოვრისის ტიპების, მათი ზომის, ოთახების რიცხვის, კეთილმოწყობის სახეობების, საკუთრების ფორმებისა და სხვათა მიხედვით.

2.4.11. მოსახლეობის მასობრივ-ამხსნელობითი მუშაობა

მოსახლეობის აღწერის ჩატარების წარმატება დამოკიდებულია ამ ღონისძიებაში მონაწილე ორივე მხარის გამართულ თანამშრომლობაზე: აღმწერებსა და აღსაწერებზე, სააღწერო პერსონალსა და მოსახლეობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას სწორი წარმოდგენა ჰქონდეს აღწერის არსზე, მის მიზნებზე და პრინციპებზე, არ ეშინოდეს მისი და მზად იყოს უპასუხოს სააღწერო ფორმულარის კითხვებზე. იმისათვის, რომ მოსახლეობა მოვამზადოთ აღწერაში მონაწილეობისათვის, აღწერამდე მოსახლეობაში ტარდება მასობრივ-ამხსნელობითი მუშაობა შესაბამისი პოპულარული ლიტერატურის მომზადების, სპეციალისტების ლექციებით გამოსვლისა და კინო და ტელეფილმების ჩვენების გზით.

ახალ საზოგადოებრივ პირობებში, რომელშიც ჩვენ ესაა გადავადით, საჭიროა გარკვეული აზრით მოსახლეობის აღწერების **დეპოლიტიზირება**, მათი იმ როლისაგან განთავისუფლება, რომელიც მათთვის არაა დამახასიათებელი, მაგრამ პროპაგანდისტული კამპანიის სწორედ მეთოდოლოგიური ასპექტის გაძლიერება. აუცილებელია აღწერების ძირითადი პრინციპების ახსნა, რომელიც სტატისტიკის წვრილმანებში გამოუცდელი ხალხისათვის აღსაქმელად შეიძლება უჩვეულო და რთული იყოს. ესაა ისეთი პრინციპები, როგორიცაა თვითგამორკვევის პრინციპი, ე.ი. ცნობების ჩაწერა გამოსაკითხის სიტყვების

მიხედვით, მათი უტყუარობის დოკუმენტებით დადასტურების გარეშე; მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ჩაწერა ჩაწერის მიუხედავად, ეროვნების – არაა სავალდებულო იმის, რაც აღნიშნულია პასპორტში, არამედ იმის, რომელსაც ადამიანი შინაგანად აკუთვნებს თავს თავს. აუცილებელია ავუხსნათ, რომ აღწერა არავითარი დეფორმაციებით არ ემუქრება ცალკეული მოქალაქეების ცხოვრებას, არამედ ტარდება სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად. აგრეთვე საჭიროა ავუხსნათ, რომ მოსახლეობის აღწერა ატარებს არა ექსტრაორდინარულ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რუტინულ, პერიოდულ ხასიათს, რათა მოქალაქეები მიეჩვიონ ამ პროცედურას და არ ეშინოდეთ მისი.

2.5. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა – დაბადებათა, გარდაცვალებათა, ქორწინებებისა და განქორწინებების აღრიცხვა დამყარებულია ამ შემთხვევების რეგისტრაციაზე. ასეთი რეგისტრაციის მოთხოვნა თავდაპირველად ევროპის ეკლესიას გაუჩნდა მორწმუნეების მიერ ჯვრის წერის, საეკლესიო განქორწინებების, ახალშობილთა ნათლობისა და გარდაცვალებათა წესის აგებისათვის ანაზღაურების გასაფორმებლად. ეკლესია სხვა არავითარ მიზნებს არ ისახავდა. თანდათანობით სახელმწიფომაც გამოამუდგანა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა აღრიცხვისადმი ინტერესი და დაიწყო შესრულებული წეს-ჩვეულებების საეკლესიო ჩანაწერების სახელმწიფო სტატისტიკის მიზნებისათვის გამოყენება. თანდათანობით სახელმწიფომ დაიწყო ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნების წარმოების გაკონტროლება და იმ წესების დადგენა, რომლითაც სამღვდელოებს ეს წიგნები უნდა ეწარმოებინა. XVIII საუკუნის ბოლოდან ევროპაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა რეგისტრაციამ საეკლესიოდან სამოქალაქო ორგანოებში გადასვლა დაიწყო (საფრანგეთში 1792 წლიდან, ბელგიაში – 1796 წლიდან, პოლანდიაში – 1822 წლიდან, დიდ ბრიტანეთში – 1837 წლიდან, იტალიაში – 1865 წლიდან, ესპანეთში – 1871 წლიდან, გერმანიაში – 1875 წლიდან).

რუსეთში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა რეგისტრაციის პირველი მცდელობა XVII საუკუნის შუა ხანებს მიეკუთვნება. მოგვიანებით პეტრე I-მა თავისი 1702 წლის 14 აპრილის ბრძანებულებით აიძულა მოსკოვის სამრევლო ეკლესიებში ეწარმოებინათ დაბადებათა და გარდაცვალებათა ჩანაწერები და ნათლობებისა და წესის აგებათა რიცხვის შესახებ უწყისები ყოველკვირეულად წარედგინათ საპატრიარქოს სასულიერო უწყებაში. 1722 წელს პეტრე I-მა გამოსცა ახალი ბრძანებულება მართლმადიდებელი მოსახლეობისათვის მეტრიკული წიგნების წარმოების შესახებ. სწორედ ამ დროიდან იწყება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის ისტორია რუსეთში. მაგრამ – მხოლოდ ფორმალურად, რადგანაც პეტრე I-ის ბრძანებულებები მეტრიკული წიგნების წარმოებისა და მით უმეტეს უწყისების ცენტრალურ საეკლესიო ორგანოებში გამოგზავნის შესახებ ყველგან არ სრულდებოდა, მათ არავინ არ ანზოგადებდა (არ გამოჩნდა რუსი გრაუნტი), უწყისები, თუკი ისინი იყო კიდევაც სადმე, არ ქვეყნდებოდა, ამიტომ მათ შესახებ ძალიან დიდხანს არავინ არაფერი არ იცოდა. პეტრეს მემკვიდრეებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მხარის შესახებ არავითარი მზრუნველობა არ გამოავლინეს. მხოლოდ ეკატერინე II-ის დროს გამოჩენილი მეცნიერების-გეოგრაფის ანტონ ფრიდრიხ ბიუშინგისა (1724-1793) და ისტორიკოს ავგუსტ-ლუდვიგ შლეცერის (1735-1809) ძალისხმევით 1763-1764 წლებში შემუშავდა საანგარიშგებო უწყისების ნიმუშები, რომლითაც სამრევლო მღვდლებს ევალებოდათ სინოდში ანგარიშების წარდგენა, რათა ისინი მეცნიერებათა აკადემიაში გადაეგზავნათ. შესაბამისი ბრძანებულება ეკატერინე II-ის მიერ 1764 წლის 29 თებერვალს იქნა ხელმოწერილი¹. მოგვიანებით მიღებულ იქნა შესაბამისი კანონები რუსეთის არამართლმადიდებელი ხალხებისათვის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევათა აღრიცხვის წარმოების შესახებ: ლუთერანებისათვის – 1764 წელს, კათოლიკებისათვის – 1826 წელს, მუსლიმანებისათვის – 1828 წელს, იუდეველებისათვის – 1835 წელს. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში საეკლესიო რეგისტრაციის მონაცემები შედარებით საიმედო იყო მხოლოდ მართლმადიდებელი მოსახლეობისათვის და ისიც მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეც კი არა.

რუსეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვის ახალი ისტორია ბოლშევიკების 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. უკვე 1917 წლის 18 დეკემბერს გამოიცა დეკრეტი „სამოქალაქო ქორწინების, ბავშვებისა და მდგომარეობის აქტების წიგნების წარმოების შესახებ“. კიდევ

ერთი თვის შემდეგ 1818 წლის 23 იანვრის დეკრეტით (ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ფუნქციები საეკლესიო წარმოებიდან სამოქალაქო ორგანოებს გადაეცათ: ქალაქურ დასახლებაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის (ყველასათვის ცნობილი აბრევიატურა – მმანი) სპეციალურად ამისათვის შექმნილ განყოფილებებს (ანუ ბიუროებს), სოფელ ადგილებში სოფლის მმართველობის ორგანოებს. ეს სისტემა დღესაც არსებობს.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია სავალდებულო

1. ეკატერინე II-მ დიდი ინტერესი გამოავლინა მოსახლეობის ზრდის საკითხებთან დაკავშირებით, რაც კერძოდ ასახვას პოულობს მისი ცნობილი ნაშრომის „ახალი სჯულდების პროექტის შემუშავების შესახებ კომისიისათვის დედოფალ ეკატერინე II-ის მიერ მიცემული ბრძანებულება“ XII თავში. რუსეთის დემოგრაფიის ისტორიაში მისი როლი ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ხასიათს ატარებს, რაც განმტკიცებულია მმანის ორგანოებში რეგისტრაციისას დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების შესახებ მოწმობების გაცემით, – საბუთების, რომლებიც მათი მფლობელებისათვის იურიდიული მნიშვნელობის მქონეა. ეს არის გაკეთებული სპეციალურად, რათა მოქალაქეებს აიძულონ დემოგრაფიული შემთხვევების რეგისტრაცია და ამით უზრუნველყონ აღრიცხვის სისრულე და ხარისხი. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ვადები და წესები, მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დადგენილია 1936 წლის 27 ივლისს მიღებული კანონით: „დაბადებულთა და გარდაცვალებათა რეგისტრაციის წესებისა და ვადების შესახებ“.

დემოგრაფიული შემთხვევების რეგისტრაციისას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა სპეციალურ წიგნებში ხდება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წიგნში რჩება და არქივში ინახება, ხოლო მეორე სტატისტიკურ ორგანოებს გადაეცემა, მასში მოცემული ცნობების დამუშავებისა და განზოგადებისათვის.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებში მოცემული ცნობები შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. ერთი ნაწილი – ადმინისტრაციული ხასიათის ცნობები (შემთხვევის სუბიექტის გვარი, სახელი, მამის სახელი, სხვადასხვა დოკუმენტების ნომრები და ა.შ.). ეს ცნობები სტატისტიკისათვის ინტერესს არ წარმოადგენენ და ამიტომ არ მუშავდებიან. მეორე ნაწილია – ცნობები, რომლებსაც სტატისტიკური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, აქტში დაბადების შესახებ, ნაჩვენებია ახალშობილის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა სქესი,

დაბადების ადგილი, დედისათვის მერამდენე შვილად დაიბადა ერთნაყოფიან ან მრავალნაყოფიან მშობიარობაში და ა.შ. აგრეთვე ცნობები მშობლების შესახებ, ისეთები როგორცაა, მათი ასაკი, ეროვნება, ქორწინებითი მდგომარეობა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობის სახე და სამუშაო ადგილი. ამ ცნობების საფუძველზე შეიძლება, დედისა და მამის ასაკის მიხედვით, მათი ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნების, საქმიანობის სახეობის, სოციალური ჯგუფის, საცხოვრებელი ტერიტორიისა და სხვათა მიხედვით შობადობის მაჩვენებლების გაანგარიშება. აქტი გარდაცვალების შესახებ შეიცავს ცნობებს გარდაცვლილის სქესის და ასაკის, მისი საცხოვრებელი ადგილის, გარდაცვალების მიზეზისა და ეროვნების შესახებ.

მაგრამ ეს ცნობები ჯამური სახითაც კი, ჯერ კიდევ არ ახასიათებენ დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობას. დემოგრაფიული შემთხვევების მოცულობა დამოკიდებულია ამ შემთხვევების **მაპროდუცირებელი** მოსახლეობის რიცხოვნობაზე. ამიტომ დემოგრაფიული შემთხვევების ერთობლიობანი უნდა შევუდაროთ მათ შესაბამის მოსახლეობის ერთობლიობებს (დაბადებათა რიცხვი – გარკვეული ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის, შესაბამისი ეროვნების, სოციალური ჯგუფების, საცხოვრებელი ტერიტორიის და ა.შ. ქალების რიცხვს, გარდაცვლილთა რიცხვი – შესაბამისი სქესის, ასაკის, ეროვნებისა და ა.შ. მოსახლეობის რიცხოვნობას). მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ მონაცემებს აღწერები იძლევიან. ამრიგად, დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები მოსახლეობის აღწერის მონაცემებთან ერთად განუყრელ მთლიანობას ქმნიან. დემოგრაფიული მაჩვენებლების გაანგარიშებისას მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები შეადგენენ წილადის მრიცხველს, ხოლო აღწერის მონაცემები მნიშვნელს. უკვე მოსახლეობის აღწერის პროგრამის დამუშავების ეტაპზე ითვალისწინებენ აღწერის შედეგების მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებთან ურთიერთგამოყენების შესაძლებლობებს.

2.6. მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრები (სიები, კარტოთეკები)

მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა მოსახლეობის სიების (კარტოთეკების) სახით, არა მარტო სტატისტიკური, არამედ სხვადასხვა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების მიერაც სწარმოებს. ეს კარტოთეკები კონკრეტული ამოცანების შესრულებისათვის იქმნება და მოიცავს არა მთელ მოსახლეობას, არამედ მის ზოგიერთ ჯგუფს (მიკრო რაიონის მცხოვრებლებს, სოციალური უზრუნველყოფის საჭიროების მქონე მოსახლეობის კატეგორიებს და ა.შ.). მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ყველა ამ რეგისტრში ირიცხება იურიდიული მოსახლეობა, რომელიც შეიძლება სრულიად არ ემთხვეოდეს ფაქტიურ მოსახლეობას (სახეზე მყოფს, ან მუდმივს, როგორც ეს მოსახლეობის აღწერებშია განსაზღვრული). ამიტომ, მოსახლეობის სიების მონაცემებს შეზღუდული გამოყენება აქვთ. მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მაინც უწევთ მათით სტატისტიკური გამოყენებისათვის სარგებლობა, ამასთან არა მარტო დემოგრაფიულ, არამედ სხვადასხვა სოციოლოგიურ გამოკვლევებშიც.

ასე მაგალითად, ვთქვათ გარკვეული ასაკის ქორწინებაში მყოფი, ოჯახთან ერთად მცხოვრები ხალხის აზრის შერჩევითი სოციოლოგიური გამოკითხვის შერჩევითი ერთობლიობის აგებისათვის უწევთ საბინაო წიგნებში არსებული ცნობების გამოყენება. მათში ნაჩვენებია სახლის მობინადრეთა ოჯახური მდგომარეობა და ასაკი. მართალია, შემდეგ როცა აღმწერები გამოკითხვისათვის შერჩეულ ბინაში მივლენ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ფაქტიური მონაცემები განსხვავდებოდნენ წიგნში ნაჩვენები ცნობებისაგან. ვთქვათ, ვინმე მობინადრედ რიცხული აღმოჩნდა გარდაცვლილი, ვინმე – განქორწინებული, ან წასული და ა.შ. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც იურიდიული მოსახლეობა არ შეესაბამება ფაქტიურს. მაგრამ როგორც ხალხის ან ოჯახის შერჩევის წინასწარი ბაზა, იურიდიული მოსახლეობის სიები სასარგებლოა.

დემოგრაფიაში მოსახლეობის სიები ზუსტად იმავე მიზნებისათვის გამოიყენება, როგორც სოციოლოგიაში. ასე მაგალითად, 1985 წელს სსრკ-ის მოსახლეობის პირველი 5 პროცენტისანი შერჩევითი მიკრო აღწერის ჩატარებისას გამოკვლევებისათვის ირჩეოდა სახალხო დეპუტატთა არჩევნების ყოველი მე-20 საარჩევნო უბანი. შერჩეულ საარჩევნო უბანზე გამოკითხებოდა ყველა მუდმივად მცხოვრები.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის რეგისტრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია, სოფლად არსებული სამეურნეო აღრიცხვის სისტემას. ეს

სისტემა შედგება პირველადი აღრიცხვის ორი ფორმისაგან: საკომლო წიგნები და დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე დროებით მცხოვრებ პირთა სია. საკომლო წიგნი შეიცავს ცნობებს თითოეული მეურნეობის შესახებ, ხოლო მის შიგნით ცნობებს – მეურნეობის (ოჯახის) თითოეული წევრის შესახებ, იმ პროგრამის ანალოგიურს რაც ჩვეულებრივ არის ხოლმე მოსახლეობის აღწერებში: დამოკიდებულება მეურნეობის (ოჯახის) უფროსისადმი, სქესი, დაბადების თარიღი, ეროვნება, განათლების დონე, სამუშაო ადგილი, საქმიანობა ამ სამუშაო ადგილზე და სხვა ნიშნები. დროებით მცხოვრებთა სიებში აღინიშნება ყველა ერთ თვეზე მეტი ხნით ჩასული. ამ სიების პროგრამა (ე.ი. კითხვების ჩამონათვალი) ძირითადად ემთხვევა მუდმივად მაცხოვრებელი მოსახლეობისათვის გათვალისწინებულ პროგრამას. საკომლო წიგნების შედგენა ხდება სამ წელიწადში ერთხელ, 1-დან 15 იანვრის ჩათვლით პერიოდში, სასოფლო ადმინისტრაციის მიერ 1 იანვრის მდგომარეობით, მეურნეობათა სრული შემოვლისა და მცხოვრებთა გამოკითხვის გზით, ხოლო მასში ჩანაწერები ყოველწლიურად ახლდება 1 იანვრისა და 1 ივნისის მდგომარეობით. ცალკეული მოქალაქის მოქალაქეობრივი მდგომარეობის ცვლილება წიგნში მაშინვე არ რეგისტრირდება, არამედ შეაქვთ წიგნის მომდევნო შემოწმების დროს იანვარში და ივნისში.

საკომლო წიგნისა და დროებით მცხოვრებთა სიის საფუძველზე ყოველი წლის დასაწყისისათვის დგება შესაბამის დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები სახეზე მყოფი მოსახლეობის, სქესის, ასაკის და რიგი სხვა ნიშნების მიხედვით განაწილების ერთდროული ანგარიში. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ ეს მონაცემები გამოიყენება შრომითი რესურსების ბალანსის გაანგარიშებისათვის და აგრეთვე სოფლის მიგრაციის მოცულობისა და ხასიათის განსაზღვრისათვის. სამწუხაროდ, თითქმის უცნობია ინფორმაციის ამ წყაროზე დაფუძნებული საზოგადოებათმცოდნეთა მეცნიერული გამოკვლევები.

ამა თუ იმ სახით მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრები ბევრ ქვეყანაში ძველთაგანვე არსებობს. ყველა ისინი ადმინისტრაციული მიზნებისათვის იქმნებოდა, მაგრამ შემდგომი განვითარებისას აღრიცხული ნიშნების მიხედვით სულ უფრო უახლოვდებოდნენ მოსახლეობის აღწერებს. XX საუკუნის შუახანებში ისინი ელექტრონული და ცენტრალიზებული ხდება. საკითხთა იმ წრეში, რომლებიც რეგისტრებით აღრიცხება ახლა შედის ქვეყნის თითოეული მოქალაქის არა მარტო დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, არამედ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მიგრაციის

მაჩვენებლებიც. დაბადებისას და ქვეყანაში შესვლისას ადამიანს ენიჭება ყველა მისი დოკუმენტისათვის საერთო პირადი ნომერი, რაც საშუალებას იძლევა მოსახლეობის ცენტრალურ რეგისტრში გააერთიანონ, ადამიანის შესახებ ცნობების მთელი ერთობლიობა. ადამიანის მოქალაქეობრივი მდგომარეობის ცვლილებისას (დაქორწინება, განქორწინება, ბავშვის გაჩენა, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის შეცვლა, ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში გადასვლა და ა.შ.), ამის შესახებ ცნობები იმწამსვე შედის ცენტრალურ რეგისტრში და ადამიანის მოქალაქეობრივი მდგომარეობის მახასიათებლებში შეაქვთ ცვლილებები. ამრიგად, რეგისტრი თითქოსდა მუდმივმოქმედი მოსახლეობის აღწერა ხდება. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ქვეყნები ფიქრობენ მოსახლეობის ტრადიციული აღწერების ჩატარებაზე უარის თქმას და მაინც ჯერჯერობით ისეთი ქვეყნები, რომლებმაც უარი თქვეს მოსახლეობის ტრადიციული აღწერის ჩატარებაზე, შეცვალეს იგი ელექტრონული რეგისტრით – არ არის. ნიდერლანდებში კერძოდ, მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 1991 წელს 1 იანვრის მდგომარეობით, დიდ ბრიტანეთში – 1991 წელს 21 აპრილის მდგომარეობით, ისრაელში – 1995 წლის 4 ნოემბრის მდგომარეობით. შეეციამ მოსახლეობის აღწერა 1990 წელს ჩაატარა და მოსახლეობის შემდგომი აღწერის ჩატარებას 2002 წლის მარტში გეგმავს. თუმცა უმეტესი ქვეყნები, რომლებსაც მოსახლეობის ელექტრონული რეგისტრები აქვთ, მოსახლეობის ჩვეულებრივ აღწერებს შემოკლებული პროგრამით ატარებენ. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში გვქონდეს, რომ ელექტრონულ რეგისტრში მხოლოდ იურიდიული მოსახლეობა აღირიცხება.

2.7. შერჩევითი და სპეციალური გამოკვლევები

მოსახლეობის აღწერები – შრომატევადი და ძვირად ღირებული ოპერაციებია. ამიტომ ისინი შედარებით იშვიათად ტარდება და მათი პროგრამები მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ცნობებით შემოიფარგლებიან. შერჩევითი გამოკვლევები საშუალებას იძლევიან დროის, ძალისა და სახსრების

ნაკლები დანახარჯებით ჩაატარონ მკვლევართათვის საინტერესო პრობლემების შესწავლა სპეციალური წესებით შერჩეული მოსახლეობის მცირე ჯგუფზე, ისე, რომ მიღებული შედეგები შემდეგ გაავრცელონ მთელ მოსახლეობაზე (ან საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც შესწავლის ობიექტს წარმოადგენს).

დემოგრაფიაში შერჩევის მეთოდის გამოყენება არაფრით არ განსხვავდება მეცნიერების სხვა დარგებში მისი ანალოგიური გამოყენებისაგან. მან ფართო გამოყენება ჰპოვა მოსახლეობის აღწერებში. მის საფუძველზე ჩატარდა მოსახლეობის ორი მიკრო აღწერა 1985 და 1994 წლებში.

საქართველოში მოსახლეობის შერჩევითი აღწერა მხოლოდ 1985 წელს ჩატარდა.

ჩვენს დემოგრაფიაში შერჩევითმა გამოკვლევებმა ყველაზე მეტი გამოყენება შობადობის ფაქტორების შესწავლაში ჰპოვეს. სსრკ-ის ც.ს.ს-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების მიერ 1966, 1967, 1969, 1972, 1975, 1978, 1981 და 1984 წლებში ჩატარდა საბიუჯეტო ჩანაწერების მწარმოებელი მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებში შობადობის ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა. ა.შ.შ-ში ყოველწლიურად ტარდება შობადობის ფაქტორების მთლიანად ქვეყნისათვის წარმომადგენლობითი გამოკვლევა, რომელშიც გამოიკითხება 50 ათასზე ცოტათი მეტი ქალი (მათ შორის 30 ათასამდე – გათხოვილია), ხოლო დასკვნები ვრცელდება ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე (260 მლნ. კაცი)¹. 1974-1982 წლებში საერთაშორისო სტატისტიკურმა ინსტიტუტმა ხალხთმოსახლეობის პრობლემების შემსწავლელ საერთაშორისო კავშირთან ერთად ჩაატარეს შობადობის (შობადობის ფაქტორების) მსოფლიო გამოკვლევა. იგი შედგებოდა 21 ეკონომიურად განვითარებულ და 41 განვითარებად ქვეყანაში შობადობის ფაქტორების შერჩევითი გამოკვლევების სერიისაგან. პირველად შეგროვდა დიდი მოცულობის მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შესადარისი და წარმომადგენლობითი ინფორმაცია მსოფლიოს 62 ქვეყნისათვის, რომლებშიც 1970-იანი წლების ბოლოს დაახლოებით 1,8 მილიარდი კაცი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 42% ცხოვრობდა². სამწუხაროდ ჩვენი ქვეყანა ამ გამოკვლევაში არ მონაწილეობდა.

მაგრამ შერჩევითი გამოკვლევებიც მრავალრიცხოვან პერსონალსა და სახსრებს მოითხოვენ. ამიტომ ყოველთვის ყველას არ შეუძლია მისი ორგანიზება. მაშინ უწევთ თეორიისაგან უკან დახევა და წარმომადგენლობითობაზე პრეტენზიის არ მქონე, შერჩევითი მეთოდის წესების დაცვის გარეშე ორგანიზებული გამოკვლევის ჩატარება. შერჩევითისაგან

განსხვავებით ასეთ გამოკვლევას უწოდება სპეციალური (ე.ი. რომელიმე ვიწრო ამოცანის სპეციალური სიდრმისეული შესწავლისათვის მიძღვნილი).

შერჩევითისაგან განსხვავებით სპეციალურ გამოკვლევას არ გააჩნია ისეთივე მტკიცებულებითი ძალა. მაგრამ, როგორც ამბობენ სჯობს რამე, ვიდრე არაფერი (მართალია ზოგჯერ ხდება პირიქითაც, თუკი არაწარმომადგენლობითი სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე კეთდება განმაზოგადებელი დასკვნები).

3. Fertility of American Women June 1988. Current Population Reports. Population Characteristics, Series P-20, №436, U. S. Department of Commerce, Bureau of the Washington, DC, 1989.

4. შობადობის მსოფლიო გამოკვლევის ზოგიერთი შედეგები იხ. :
. ., 1989. C. 62, 70-82.

ასეთი კი არც თუ იშვიათად ხდება). ვფიქრობ, სამამულო სოციოლოგიური გამოკვლევების უმეტესობა – არაწარმომადგენლობითია (სხვანაირად, რომ ვთქვათ – არარეპრეზენტატულია), თუმცა ისიც ხდება, რომ მათი ავტორები თავიანთ გამოკვლევებს დიდი უხერხულობის გარეშე შერჩევითს უწოდებენ. ვაი, რომ ნამდვილი შერჩევითი გამოკვლევის ჩატარება ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის რთული იყო, რადგანაც ისინი ყოველთვის, უმთავრესად მკვლევართა ენთუზიაზმით ტარდებოდა და არ სარგებლობდნენ ხელისუფლების მხარდაჭერით. ამიტომ ასეთ გამოკვლევებზე სრულად უარის თქმა არ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ მეცნიერული კეთილსინდისიერების გამოვლენა მის ჩატარებაში და სიფრთხილე შედეგების ინტერპრეტაციაში.

თემა 3. მოსახლეობის რიცხოვნობა და სტრუქტურა

3.1. მოსახლეობის რიცხოვნობა

ეს შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ დემოგრაფიაში მოსახლეობის რიცხოვნობა, დემოგრაფიული პროცესების თითქმის ყველაზე უხეში, ყველაზე უკანასკნელი და ყველაზე უინტერესო – პასიური შედეგია. ამავე დროს, პირიქით, დემოგრაფიის მიღმა მოსახლეობის ზრდასთან ასე თუ ისე დაკავშირებული პრობლემების შესახებ მეცნიერთა ყველა საუბრები, ჩვეულებრივ მხოლოდ მისი რიცხოვნობით შემოიფარგლება.

ის ცოტაოდენი, რაც საჭიროა, რომ ვიცოდეთ მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ (ბუნებრივია დემოგრაფიის შესწავლის ჩარჩოებზე) დაიყვანება შემდეგზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – მომენტური მაჩვენებელია, ე.ი. ყოველთვის ეკუთვნის დროის ზუსტ მომენტს. არ შეიძლება ვთქვათ: მოსახლეობა რომელიმე წელს. ეს არასწორია, რადგანაც მოსახლეობა წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იცვლება. სტატისტიკურ ცნობარებში მოსახლეობის რიცხოვნობა ჩვეულებრივ მოტანილია ან 1 იანვრისათვის (ანუ „წლის დასაწყისისათვის“, რაც იმავეს ნიშნავს) ან 1 ივლისისათვის (ანუ „წლის შუაში“) ან 31 დეკემბრისათვის (ანუ „წლის ბოლოსათვის“). მონაცემების, ვთქვათ, მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის, დროის რომელიმე პერიოდისათვის გაანალიზებისას, ან სხვადასხვა ტერიტორიების მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ მონაცემების შედარებისას საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ თარიღებს, რომლებსაც შესადარებელ მოსახლეობათა რიცხოვნობები ეკუთვნიან.

შემდგომ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს ეკუთვნის მოსახლეობის საანალიზო რიცხოვნობა. დაბოლოს, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მოსახლეობის კატეგორიას: სახეზე მყოფი, მუდმივი თუ იურიდიულია იგი. ამ მახასიათებლების მიხედვით ერთი და იგივე მოსახლეობის რიცხოვნობა ერთი და იმავე დროს, ერთი და იმავე ტერიტორიაზე განსხვავებული იქნება. მაგალითად, 1998 წლის დასაწყისისათვის (1 იანვრისათვის) რუსეთის სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 147 104,6 ათას კაცს, მუდმივი – 146 739,4 ათას კაცს ანუ 365,2 ათასით ნაკლებს.

მაგალითად, 1989 წლის აღწერით (12 იანვრის მდგომარეობით) საქართველოს სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა – 5 443,4 ათას კაცს, ხოლო მუდმივი მოსახლეობა კი – 5400,8 ათას კაცს ანუ 42,6 ათასი კაცით ნაკლებს.

გაეროს დემოგრაფების შეფასებით დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობა 1997 წლის შუაში შეადგენდა 5 840 მლნ. კაცს, და გაეროს იმავე დემოგრაფების ყველაზე უკანასკნელი პროგნოზებით (1994 წელს შესრულებული) 2050 წლის შუაში იგი მიაღწევს 9 833 მლნ კაცს¹. ბევრია ეს თუ ცოტა? დღეს ისევე როგორც გუშინ, ისევე როგორც ბევრი ასეული ან თუნდაც ათასეული წლის წინათ მსოფლიოში ბევრია ისეთი ხალხი, ზოგჯერ გამოჩენილი მეცნიერიცა და საზოგადო მოღვაწეც კი, რომლებიც მტკიცე მოსაზრებას გამოთქვამენ, რომ მსოფლიოში უკვე ჭარბმოსახლეობაა, რომ კაცობრიობის ყველა უბედურებას აქვს ერთი მთავარი მიზეზი – მოსახლეობის მატება. ამ მატებას „შეუკავებელს“, „სტიქიურს“, ან „უკონტროლოს“ და ა.შ. უწოდებენ. ყველა ეს მოსაზრებანი არაფერზე არაა დამყარებული გარდა მათი მფლობელების საკუთარი წინასწარი ამოჩემებისა. მას შემდეგ რაც ადამიანთა საზოგადოება არსებობს, მოსახლეობის ზრდა არასდროს არ ყოფილა „სტიქიური“, „უკონტროლო“, იგი ყოველთვის ძლიერ იყო დამოკიდებული საზოგადოების განვითარების კანონებზე. არც ერთ მეცნიერს ჯერ არ დაუმტკიცებია, რომ მსოფლიო ჭარბადაა დასახლებული (ეს მხოლოდ უსაფუძვლო მტკიცებაა), რომ იგი საერთოდ როდესმე შეიძლება გახდეს ჭარბად დასახლებული. ციფრი 5 მილიარდი არაფრით არაა არც უკეთესი და არც უარესი 9 მილიარდ მცხოვრებზე. ამასთან დაკავშირებით დროულია ძველი ანგდოტის მოტანა: „თმის ერთი ღერი – ეს ბევრია თუ ცოტა?“ მოსდევს პასუხი: „გააჩნია სად. თავზე ცოტაა, სუკში – ბევრი“. მოსახლეობის რიცხოვნობის სიდიდე შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ფაქტორის როლის მქონე რაიმესთან: ტერიტორიის სიდიდესთან, რესურსებთან, ხელისუფალთა პოლიტიკურ ამბიციებთან და ა.შ., შეფარდებით. ათეული წლების განმავლობაში ბევრი გამოჩენილი ადამიანი ცდილობდა მოსახლეობის „ოპტიმალური“, ე.ი. სხვადასხვა პოზიციებიდან ყველაზე ხელსაყრელი რიცხოვნობის განსაზღვრას. და ვერ შესძლეს. და თავი მიანებეს ამ წამოწყებას, და დაჰკარგეს მის მიმართ ინტერესი. ახლა ამ იდეაზე, ჭარბმოსახლეობის საშიშროებაზე, ძირითადად სპეკულირებენ, ზოგჯერ თავიანთ გრძნობებში სრულიად გულწრფელად დარწმუნებული მეცნიერები და საზოგადო

1. მიღებულია ინტერნეტიდან: <http://www/idbprint.html>.

მოდვაწეები, მაგრამ არ მოჰყავთ ამ გრძნობების განმამტკიცებელი არავითარი გაანგარიშებანი.

მოსახლეობის ზრდასა და რესურსებს შორის ურთიერთკავშირი ძალიან შეფარდებითი და მოძრავია. ეკონომიკისა და მეცნიერების განვითარების კვალობაზე დედამიწაზე სიცოცხლის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსების საზღვრები განუწყვეტლივ ფართოვდება. 1781 წელს ფრანგი მწერალი აბატი გიიომ რენალი წიგნში „ამერიკული რევოლუცია“, წერდა ამერიკაში ცხოვრების შესაძლებლობის შესახებ: „გარკვეული გამბედაობის გარეშე შეუძლებელია იმის წარმოდგენა თუ რა ელოდება ა.შ.შ-ის მოსახლეობას... თუ 10 მლნ. კაცი როდესმე შესძლებს ამ ადგილებში გამოკვებას, მაშინ ეს უკვე შესანიშნავი იქნება. ქვეყანას, რომელიც თავის თავს ძლივს უზრუნველყოფს, ასეთი მოსახლეობის შენახვა მხოლოდ იმ პირობებში შეეძლება, თუ ერთობ საშუალო ბუნებრივი რესურსების პირობებში იგი მკაცრი ეკონომიკური ცხოვრებით დაკმაყოფილდება“¹. იმ დროიდან, რაც ეს სიტყვები ითქვა, 200 წელზე მეტი გავიდა. როცა გ. რენალი თავის წიგნს წერდა, ა.შ.შ-ის მოსახლეობის რიცხოვნობა 3 მლნ-ზე ნაკლები იყო. მას შემდეგ იგი 270 მლნ. კაცამდე გაიზარდა (1998 წლის შუაში). თუმცა ახლა ა.შ.შ. – მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანაა, ხალხის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონით. რა თქმა უნდა, მე არ ვფიქრობ, რომ ისინი ასეთები მოსახლეობის დიდი რიცხოვნობის გამო გახდნენ, მაგრამ ალბათ არც უიმისობა იქნებოდა. ვფიქრობ შემთხვევითი არაა, რომ მსოფლიოს ყველაზე უდიდესი ქვეყნები: ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, რუსეთი და იაპონია – ყველაზე გავლენიანი ქვეყნებია მსოფლიოში, თუმცა დასახელებულებიდან სამი ქვეყანა – არაა მდიდარი და განვითარებული.

რა თქმა უნდა, მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა არ შეიძლება, რომ უსაზღვრო იყოს. მაგრამ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მსოფლიო მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებმა, მიადწიეს რა 1960-იანი წლების მეორე ნახევარში მაქსიმუმს 2,04%-ს, მას შემდეგ განუხრელად **ნელდება** და ამჟამად 1,39%-ს შეადგენენ და გაეროს პროგნოზებით 2050 წლისათვის 0,47%-მდე შემცირდება. ეს ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი ზრდის ტემპებია, და ზოგიერთ ქვეყნებში ისინი მსოფლიოს საშუალო დონეზე მაღალია, მაგრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ არ შეიძლება მათი საკუთარი სურვილის მიხედვით ცვლა. გარკვეული ხარისხით შეიძლება მოსახლეობის ზრდის

1. ციტატა მოტანილია წიგნიდან:

. .2, ., 1977. C. 274.

ტემპების შენელება, მაგრამ ეს ხარისხი დიდი არაა, მაგრამ ნუთუ საჭიროა კი მოსახლეობის ზრდის ტემპების ხელოვნურად შეჩერება, როცა ისინი ისედაც მცირდება? ხომ არაა დრო რომ პირიქით, დაფიქრდეთ თუ რა იქნება შემდეგ, როცა ზრდის ტემპი ნულს გაუტოლდება, ე.ი. მოსახლეობის ზრდა შეწყდება. ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ მოსახლეობის ზრდის შეწყვეტით გაქრება ეკოლოგიის სურსათის პოლიტიკისა და სხვა, ყველა პრობლემა.

გარდა ამისა, დროა ირგვლივ მიმოვიხედოთ და შევნიშნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები ერთნაირი არაა და ზოგიერთში ისინი უკვე დღესაა ნულთან ახლოს ან ნულს ქვემოთაც კი, ე.ი. მოსახლეობა კი არ იზრდება, არამედ კლებულობს. მოსახლეობის ასეთ კლებას დემოგრაფიაში **დეპოპულაცია** ეწოდება. და ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა უკვე დღეს არა თუ აღარ მატულობს, არამედ იკლებს: ლატვიაში – 1990 წლიდან, ბელორუსიაში და უკრაინაში – 1998 წლიდან, ბულგარეთში – 1993 წლიდან, რუმინეთში – 1991 წლიდან, საქართველოში – 1992 წლიდან, 2000 წლის შემდეგ დაიწყო დეპოპულაცია ბელგიაში, ესპანეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, 2005 წლიდან – იაპონიაში, სამწუხაროდ ამ დამღუპველ პროცესში ჩემპიონია – ჩვენი რუსეთი. შესავალში უკვე ითქვა, რომ 1992 წლიდან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა 2 მლნ. კაცით შემცირდა. თუკი ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაცია უახლოეს დროში არ გაუმჯობესდება (ამას კი ალბათ არ უნდა ველოდეთ თუკი ამისათვის არაფერს არ ვაკეთებთ), მაშინ გაეროს პროგნოზებით 2050 წლისათვის რუსეთის მოსახლეობა შეადგენს უკვე 121 777 ათას კაცს, ე.ი. 26,9 მლნ კაცით, ანუ 18%-ით ნაკლებს, ვიდრე იყო 1992 წლის დასაწყისში (მოსახლეობის ზრდის უკანასკნელი წელი).

სამწუხაროდ, თუკი ალარმისტები¹, რომლებიც საყოველთაო პანიკას აღვივებენ დედამიწის ჭარბად დასახლების მითიურ საფრთხესთან დაკავშირებით, დღეს ჭარბად არიან, სხვადასხვა ჯურის ეკოლოგებში, ფიზიკოსებში, ფუტუროლოგ-სოციოლოგებში, მწერალ-ფანტასტიკოსებში და ა.შ., მაგრამ უცნობია ნაშრომი, რომელშიც იქნებოდა მცდელობა ეფანტაზიორათ საზოგადოებრივი ცხოვრების სცენარი დეპოპულაციურ, – უფრო ადვილია, ვთქვათ მომაკვდავ

1. ალარმისტი (ფრანგ. alarme-განგაში) – პანიკური, შეუმოწმებელი ხმების გამავრცელებელი ადამიანი // უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შეადგინა მ. ჭაბაშვილმა. მეორე შემოწმებული და შევსებული გამოცემა თბ., 1973. გვ. 16. (ქართულად მთარგმნელის შენიშვნა).

საზოგადოებაში. ეს ხომ უფრო მნიშვნელოვნად რეალური საფრთხეა, ვიდრე ჭარბმოსახლეობა, საფრთხე, რომელიც უკვე ხორცს ისხამს. და ჩვენ არ ვემზადებით ასეთ ქვეყანაში საცხოვრებლად.

3.2. მოსახლეობის სტრუქტურა სქმის მიხედვით

მოსახლეობაში სქესთა თანაფარდობა – ქორწინებისა (ე.ი. დაქორწინებისა) და მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურის ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დემოგრაფიაში, სქესთა თანაფარდობის დასახასიათებლად გამოიყენება შეფარდებით მაჩვენებელთა ორი ტიპი. პირველი ტიპი – განსაზღვრული სქესის მოსახლეობის პროცენტული წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. მაგალითისათვის 1998 წლის დასაწყისისათვის რუსეთის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა შეადგენდა 146 739,4 ათას კაცს, მას შორის 68 823,6 ათას ვაჟს და 77415 ათას ქალს. აქედან შეიძლება განვსაზღვროთ, რომ აღნიშნული თარიღისათვის ვაჟები შეადგენენ მოსახლეობის 46,9%-ს, ქალები კი შესაბამისად – 53,1%-ს.

მაგალითად, 2000 წლის დასაწყისისათვის საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით შეადგენდა 5 100,5 ათას კაცს, მათ შორის 2 438,4 ათას ვაჟს და 2 662,1 ათას ქალს. აქედან შეიძლება განვსაზღვროთ, რომ აღნიშნული თარიღისათვის ვაჟები შეადგენენ მოსახლეობის 47,8%-ს, ქალები კი შესაბამისად – 52,2%-ს.

მაგრამ სქესთა პროცენტული თანაფარდობა არც თუ ისე გამომხატველად მიგვაჩნია. უმჯობესია სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელთა მეორე ტიპი, კერძოდ კი ერთი სქესის მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდება საწინააღმდეგო სქესის მოსახლეობის რიცხოვნობასთან და შემდგომ განაყოფის 1000-ზე გამრავლება. მაშინ მიღებული რიცხვი გვიჩვენებს, თუ რამდენი ვაჟი მოდის 1000 ქალზე, ან პირიქით, რამდენი ქალი მოდის 1000 ვაჟზე. მაგალითისათვის ვისარგებლოთ ზემოთ მოტანილი მონაცემებით და ქალების რიცხვი 78 320,0 ათასი გავყოთ ვაჟების რიცხვზე 69 288,8 ათასზე. განაყოფი 1,13 გავამრავლოთ 1000-ზე და მივიღებთ, რომ 1996 წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში 1000 ვაჟზე მოდიოდა 1130 ქალი ანუ სხვაგვარად, რომ ვთქვათ ქალები 13,0%-ით მეტი იყვნენ ვაჟებზე.

თუკი ჩვენ გამოვითვლით 1000 ქალზე მოსული ვაჟების რიცხვს, მაშინ იგი ტოლი იქნება 885-ის.

მაგალითისათვის ვისარგებლოთ ზემოთ მოტანილი მონაცემებით და ქალების რიცხვი 2 662,1 ათასი გავყოთ ვაჟების რიცხვზე 2 438,4 ათასზე. განაყოფი 1,092 გავამრავლოთ 1000-ზე, და მივიღებთ, რომ 2000 წლის დასაწყისისათვის საქართველოში 1000 ვაჟზე მოდიოდა 1092 ქალი ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქალები 9,2%-ით მეტი იყვნენ ვაჟებზე.

თუკი ჩვენ გამოვითვლით 1000 ქალზე მოსული ვაჟების რიცხვს, მაშინ იგი 916-ის ტოლი იქნება.

ვფიქრობთ, სქესობრივი სტრუქტურის დახასიათების წინა ვარიანტი უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაჩვენებლის აგებისას საჭიროა უპირატესობა მივანიჭოთ ისეთ თანაფარდობას, რომ წილადის მრიცხველში მივიღოთ იმ სქესის რიცხოვნობა, რომელიც სჭარბობს, ხოლო რომელიც ნაკლებია მივიღოთ წილადის მნიშვნელად. მაშინ განაყოფი გვიჩვენებს, თუ ერთი სქესი რიცხოვრივად რამდენად აღემატება მეორეს.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ყალიბდება სამი ძირითადი ფაქტორის გავლენით: 1. სქესთა თანაფარდობა ახალშობილებში (ბიოლოგიური კონსტანტა); 2. სქესობრივი განსხვავებანი მოკვდაობაში; 3. სქესობრივი განსხვავებანი მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობაში.

საშუალოდ ბიჭები უფრო მეტი იბადებიან, ვიდრე გოგონები, ამასთან ახალშობილთა შორის სქესთა თანაფარდობა სტაბილურია 105-106 ბიჭი 100 გოგონაზე. რა თქმა უნდა ასეთი პროპორცია მტკიცედ ვლინდება მხოლოდ ახალშობილთა საკმაოდ დიდ ერთობლიობებში, რომელთათვისაც სამართლიანია დიდი რიცხვთა კანონი¹. მცირე ერთობლიობებში იგი შეიძლება დაირღვეს, იყოს სრულიად სხვადასხვა.

XX საუკუნეში ჩვენმა ქვეყანამ მოსახლეობის დიდი დანაკარგები განიცადა ომებში, კლასობრივ ბრძოლებში, იძულებით მიგრაციაში და არც თუ ყოველთვის მიზანშეწონილ სხვადასხვა სახის გამირობებში. საუკუნის მთელი პირველი

1. დიდი რიცხვთა კანონი – შესასწავლი მოვლენების რიცხოვნობისა და ამ მოვლენისათვის დამახასიათებელი საერთო კანონზომიერებების გამოვლენის ხარისხს შორის კავშირის ფორმაა. ერთობლიობის ელემენტების საკმაოდ დიდი რიცხვის შემთხვევაში საშუალო სიდიდიდან შემთხვევითი გადახრები ერთმანეთს აწონასწორებენ და ვლინდება ზოგადი კანონზომიერება.

ნახევრის განმავლობაში სქესობრივი თანაფარდობა თითქმის განუხრელად უარესდებოდა, ვაჟების ხვედრითი წილი მოსახლეობაში მცირდებოდა, ხოლო ქალებისა – იზრდებოდა. თუკი გასული საუკუნის ბოლოს (1897 წლის აღწერით) რუსეთის იმპერიაში¹ ქალების რიცხვი აღემატებოდა ვაჟების რიცხვს, მხოლოდ 1,1%-ით, უკვე 1926 წლის ბოლოს – 10,8%-ით, ხოლო 1939 წელს კი უკვე 12,1%-ით². (იხ. ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1.

რუსეთის მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა³

წლები	მოსახლეობა წლის დასაწყისისათვის (ათასობით)			ხვედრითი წილი (%) მოსახლეობაში		ქალები 1000 ვაჟზე
	სულ	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები	
1897						1011
1920						1095
1926	92 735	44 000	48 735	47,4	52,6	1108
1939	108 377	51 101	57 276	47,2	52,8	1121
1950	103 283	44 327	58 956	42,9	57,1	1330
1959	117 534	52 425	65 109	44,6	55,4	1242
1970	129 941	59 161	70 780	45,5	54,5	1196
1979	137 410	63 208	74 202	46,0	54,0	1174
1989	147 022	68 714	78 308	46,7	53,3	1140
1990	147 662	69 112	78 550	46,8	53,2	1137
1995	147 938	69 486	78 452	47,0	53,0	1129
1996	147 609	69 289	78 320	46,9	53,1	1130
1997	147 131	69 029	78 108	46,9	53,1	1132
1998	146 739	68 824	77 916	46,9	53,1	1132

1. შესაბამისი მონაცემების უქონლობის გამო ზოგიერთ შემთხვევაში ნაცვლად რუსეთის ამჟამინდელი საზღვრებისა გვიწევს რუსეთის ყოფილი იმპერიის, ან საბჭოთა კავშირის ტერიტორიების შესამაბისი მონაცემებით სარგებლობა, მაგრამ ვფიქრობთ, სხვაობა დიდი არაა. რუსეთის მონაცემები თანამედროვე საზღვრებში ცოტათი 1-3 პროცენტული პუნქტით უარესი იქნებოდა.

2. , 1996. . 35.

3. : 1927-1959. ., « . . . » 1998. 1998. , 1998.

თუკი გასული საუკუნის (XIX საუკუნის – ქართულად მთარგმნელის შენიშვნა) ბოლოს (1897 წლის აღწერით) საქართველოში ქალების რიცხვი ვაჟების რიცხვს 12,6%-ით, ხოლო 1926 წლის ბოლოს კი 2,1%-ით ჩამორჩებოდა, უკვე 1939 წელს ქალების რიცხვი ვაჟებისას 0,6%-ით აღემატებოდა (იხ. ცხრ. 3.1^ა).

ცხრილი 3.1^ა

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა¹

წლები	მოსახლეობა წლის დასაწყისისათვის (ათასობით)			ხვედრითი წილი (%) მოსახლეობაში		ქალები 1000 ვაჟზე
	სულ	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები	
1897	1 968,8	1 050,50	918,3	53,4	46,6	874
1926	2 666,5	1 347,5	1 319,0	50,5	49,5	979
1939	3 540,0	1 765,0	1 775,1	49,9	50,1	1006
1959	4 044,0	1 865,3	2 178,7	46,1	53,9	1168
1970	4 686,4	2 195,5	2 479,1	46,8	53,2	1129
1979	4 993,2	2 338,9	2 654,3	46,8	53,2	1135
1989	5 400,8	2 562,0	2 838,9	47,4	52,6	1108
1990	5 413,5	2 571,1	2 842,4	47,5	52,5	1106
1991	5 424,6	2 578,6	2 843,0	47,6	52,4	1103
1992	5 420,2	2 580,7	2 839,5	47,6	52,4	1100
1993	5 404,5	2 575,8	2 828,7	47,7	52,3	1098
1994	5 390,9	2 569,7	2 821,2	47,7	52,3	1098
1995	5 375,1	2 562,8	2 812,3	47,7	52,3	1097
1996	5 373,4	2 562,9	2 810,5	47,7	52,3	1097
1997	5 381,0	2 568,0	2 813,0	47,7	52,3	1095
1998	5 394,9	2 577,4	2 817,5	47,7	52,3	1093
1999	5 402,1	2 582,6	2 819,5	47,8	52,2	1092
2000	5 100,5	2 438,4	2 662,1	47,8	52,2	1092

1. აქ და შემდგომ საქართველოს შესახებ მონაცემებიანი ცხრილები შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე. 1990-2000 წლებისათვის აღებულია მუდმივი მოსახლეობის სქესის მიხედვით განაწილება.

მეორე მსოფლიო ომმა სხვა ცნობილ ნგრევებთან ერთად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის უდიდესი დეფორმაციაც მოახდინა. რუსეთის სტატსახკომის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა შეფასებით (იხ. 3.1 ცხრილის სქოლიო) ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, 1946 წლის დასაწყისში, ქალების რიცხვი 1000 კაცზე რუსეთში 1339-ს შეადგენდა, ე.ი. ქალები 33,9%-ით მეტი იყვნენ, ვიდრე

ვაუები¹. ცხადია ასეთ სქესობრივ დეფორმაციას მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, შეიძლება ისტორიაშიც კი, არ იცნობდნენ.

მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სქესობრივი სტრუქტურა თანდათანობით, ძალიან ნელა სწორდებოდა (თუკი მხედველობაში გვექნება მდგომარეობა მთლიანად ქვეყანაში, ხოლო რეგიონებში სხვადასხვაგვარი სურათია). 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ეს პროცესი ვაჟთა მოკვდაობის მკვეთრი ზრდის გამო შენედა. მაგრამ ათწლეულის მეორე ნახევარში ვაუების სიკვდილიანობის ზრდა შეიცვალა მისი შემცირებით და უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება გაგრძელდება.

მთლიანად დედამიწაზე ვაუები ცოტათი 1,9%-ით მეტია, ვიდრე ქალები(1998 წლის შუაში). ქალების რიცხვზე, ვაუების რიცხვის მეტობა ძირითადად რიგ განვითარებად ქვეყნებში (ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ერაყი, ირანი, საუდის არაბეთი და სხვა) შეიმჩნევა. სქესთა ასეთი თანაფარდობის განმსაზღვრელი ფაქტორები თითოეულ ქვეყანაში განსხვავებულია. ზოგან ეს მიგრაციული პროცესების თავისებურებაა, სხვაგან კი – ცხოვრების ტრადიციული წესის გადმონაშთია ქალების დაჩაგრული მდგომარეობით, რის გამოც ზოგჯერ მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ნაკლებია ხოლმე, ვიდრე ვაუების. მაგრამ თანდათანობით მრეწველობის განვითარების კვალობაზე ყველა ქვეყანაში იცვლება ცხოვრების ტრადიციული წესი, იცვლება ქალთა მდგომარეობა, იზრდება მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ამასთან, უფრო სწრაფად, ვიდრე ვაუებში და შესაბამისად იცვლება სქესთა თანაფარდობაც. ეს უნივერსალური კანონია.

სქესთა თანაფარდობაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის მიგრაციაც, იმ შემთხვევაში, თუკი მიგრანტთა შორის სჭარბობს ერთი სქესი. ასე მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში მიგრანტთა შორის სჭარბობდნენ ვაუები, განსაკუთრებით ახალი მიწებისა და უკაცრიელი ადგილების ამთვისებელ, ახალი ქალაქების მშენებელ, წიაღისეულის ახალი საბადოების დამმუშავებელ და ა.შ., მიგრანტთა შორის (მათ შორის –ის (გულაგის) პატიმრებადაც). როგორც წესი ახალმშენებლობათა ადგილას სქესთა დისპროპორციას თან სდევდა,

1. „...“ : 1927-1959.
 „...“ „...“, 1998; „...“ . 1998. „...“, 1998.

მშენებელთა ცხოვრების არასტაბილური წესი, მაღალი სოციალური პათოლოგია, გაზრდილი მოკვდაობა და ამ აღვლებიდან ხალხის გადინება (ბუნებრივია, მათ ვისაც ეს შეეძლო).

გავლენას ახდენს დაქირავებული შრომის სქესობრივი დიფერენციაციაც. მრეწველობის განლაგებაში (მეშახტეთა დასახლებები და ქალაქები, საფეიქრო, „ატომური“, სამხედრო ქალაქები, პოლიგონები და ა.შ.) გარკვეული დისპროპორციისას, წარმოიშობა სქესთან დაკავშირებული შრომითი მოწყობის პრობლემები. ეს პრობლემები აისახება ხალხთა ცხოვრების ბევრ მხარეზე, მათ შორის ოჯახურზეც. უკანასკნელ წლებში სამრეწველო საწარმოების განლაგებისა და ახალი ქალაქების დაგეგმვის სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი ტიპის დასახლებაში მოსახლეობის დამკვიდრების უცილობელ პირობას წარმოადგენს სხვებთან ერთად დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებაც, ე.ი. ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნებოდა ვაჟთა და ქალთა დასაქმებაც და ოჯახის შექმნისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაც.

3.3. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა აქტიურ როლს თამაშობს ყველა საზოგადოებრივ და რა თქმა უნდა დემოგრაფიულ პროცესებშიც, მაგრამ ამას გარდა, იგი აქტიურ გავლენას ახდენს ყველა დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. ასე მაგალითად, ახალგაზრდული ასაკობრივი სტრუქტურისას – ე.ი. მოსახლეობის შემადგენლობაში ახალგაზრდობის შედარებით მაღალი პროცენტული წილისას – თუკი სხვა პირობები თანაბარია, მოსახლეობაში აღინიშნება ქორწინებისა და შობადობის მაღალი დონე და მოკვდაობის დაბალი დონე (რადგან სრულებით ბუნებრივია, რომ ახალგაზრდები იშვიათად ავადმყოფობენ და კიდევ იშვიათად კვდებიან). თავის მხრივ დემოგრაფიული პროცესებიც ძლიერ გავლენას ახდენენ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. ასე მაგალითად, შობადობის შემცირებას

თავის შედეგებს შორის ასევე აქვს მოსახლეობის ეგრეთ წოდებული დაბერებაც, ე.ი. მოსახლეობის შემადგენლობაში მისი ხანდაზმული ნაწილის გაზრდა. ამრიგად, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება ყველა დემოგრაფიულ პროცესთან. ასეთი ურთიერთკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ ასაკობრივი სტრუქტურა თავის თავში აგროვებს და ინახავს დემოგრაფიული ინერციის მარაგს, მოსახლეობის ზრდის პოტენციალს, რისი ძალითაც მოსახლეობის მოძრაობა (დადებითი, ან უარყოფითი მუხბით) ხანგრძლივი დროის განმავლობაში მას შემდეგაც გრძელდება, რაც ამ მოქმედების მამოძრავებელი ძალები უკვე ამოიწურა, ან თავიანთი მიმართულება საწინააღმდეგოდ შეიცვალეს. ამიტომ დემოგრაფიული პროცესების დინამიკის ანალიზისას ყოველთვის ითვალისწინებენ ასაკობრივი სტრუქტურის გავლენას და სპეციალური მეთოდების დახმარებით, რომლებსაც ჩვენ შემდგომში განვიხილავთ, ისინი გამოიყოფა მაჩვენებლებზე მოქმედი მრავალი ფაქტორის ერთობლივი მოქმედებიდან.

ასაკობრივი სტრუქტურა აღიწერება დაჯგუფებებისა და შეფარდებითი მაჩვენებლების დახმარებით. ამას უნდა დაუმატოთ, რომ ასაკობრივი სტრუქტურა ჩვეულებრივ განიხილება სქესობრივ სტრუქტურასთან ერთად, ამიტომ ჩვეულებრივ ლაპარაკია ხოლმე მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ (ან ასაკობრივ-სქესობრივ) სტრუქტურაზე. ყველაზე ხშირად გამოიყოფა ერთწლიანი ან ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფები, მაგრამ ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია სხვაგვარი დაჯგუფებებიც.

ერთწლიანი დაჯგუფებისას ერთ ჯგუფში გაერთიანებულია ერთი ასაკის, ან ერთი და იგივე წელს დაბადებული ხალხი (შემდგომ ჩვენ ვნახავთ, რომ ეს დაჯგუფებები არ ემთხვევა ერთმანეთს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყოველთვის არ ემთხვევა). ხალხის ერთწლიან ასაკობრივ ჯგუფებად დანაწილება საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა ასაკობრივი სტრუქტურის მდგომარეობისა და ცვლილებების ანალიზისათვის. ამიტომ ხშირ შემთხვევაში მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტ-დემოგრაფები სწორედ ერთწლიან ასაკობრივ სტრუქტურაზე (ისევე როგორც ერთწლიანი დაჯგუფებით გამოთვლილ ნებისმიერი დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე) მუშაობას ამჯობინებენ.

მაგრამ ერთწლიანი დაჯგუფებისას ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემები დეფორმაციულ გავლენას განიცდიან ისეთი მოვლენისაგან, როგორცაა

ასაკობრივი აკუმულაცია¹. მოსახლეობის აღწერებისას, რომლებიც წარმოადგენენ ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემთა ძირითად წყაროს, ასაკი ჩაიწერება, როგორც უკვე ამაზე მე-2 თავში იყო საუბარი, გამოსაკითხის პასუხებიდან, რაიმე დოკუმენტების მოხმობის გარეშე. ბევრი ადამიანი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს თავის ასაკის ზუსტ მითითებას, ხოლო წინათ ბევრმა ადამიანმა არც კი იცოდა თავისი ზუსტი ასაკი, ამიტომაც მოსახლეობის აღწერისას მას მიახლოებით, დამრგვალებულად უთითებდნენ. ქრისტიანული კულტურის ქვეყნებში ასაკის დამრგვალება ჩვეულებრივ ხდებოდა (და შედარებით ნაკლებად, მაგრამ ხდება ახლაც) 0-ზე და 5-ზე დაბოლოებულ რიცხვებზე. სხვა კულტურებში კი შესაძლებელია პოპულარული იყო 8-ზე და 12-ზე დაბოლოებული რიცხვები.

ასაკობრივი აკუმულაცია ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემებს ისეთნაირად ამახინჯებს, რომ 0-ზე და 5-ზე დაბოლოებული ასაკობრივი ჯგუფების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად მეტი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე მეზობელი ასაკობრივი ჯგუფების რიცხოვნობა. ასაკობრივი აკუმულაციის გამო ასაკობრივ სტრუქტურაში წარმოიქმნება შევრილები და ღრმულები, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობს (ან ყოველ შემთხვევაში ისინი სიდიდით შეიძლება სხვანაირნი იყვნენ). შედეგად დამახინჯებული ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული დემოგრაფიული მაჩვენებლები ასევე მახინჯდება, არასწორ წარმოდგენას იძლევიან იმ მოვლენებზე, რომელთა დახასიათებისთვისაც არიან ისინი მოწოდებულნი.

ამიტომ დემოგრაფები, უპირველეს ყოვლისა ასაკობრივ აკუმულაციას ებრძვიან მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სტადიაზევე. როგორც წინა თავში უკვე იყო საუბარი, ასაკობრივი სტრუქტურის აკუმულაციის შემცირებას ხელი შეუწყო რესპოდენტების მიერ შესრულებულ წელთა რიცხვის ნაცვლად დაბადების თარიღის მითითებაზე გადასვლამ. შესრულებულ წელთა რიცხვებისაგან განსხვავებით, რომლებიც განუწყვეტლივ იცვლება (ასაკის დამრგვალება წარმოადგენს თითქოსდა გარკვეული დროით მისი „შეჩერების“ ხერხს, დაბადების თარიღი უცვლელია და ადვილია მისი დამახსოვრება (თუმცა ზოგიერთი ადამიანი მის „დამრგვალებასაც“ ახერხებს).

1. აკუმულაცია (ლათ. *accumulatio*) – რისამე დაგროვება, თავმოყრა.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

მეორეც, დემოგრაფებს ასაკობრივ სტრუქტურის შესახებ მოსახლეობის აღწერის მონაცემებთან ერთწლიანი დაჯგუფებით და მათ საფუძველზე გაანგარიშებულ სხვადასხვა დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან მუშაობისას დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა სხვადასხვა, ზოგჯერ საკმაოდ რთული მეთოდებით მოასწორონ ხელოვნური შევრილები და ღრმულები ასაკობრივ სტრუქტურაზე, ამასთან ცდილობენ შეინარჩუნონ მისი ნამდვილი კონფიგურაცია.

ასაკობრივი აკუმულაცია უკუკავშირშია ხალხის ზოგად კულტურასთან. ამიტომ წინათ, ვთქვათ ჩვენს ქვეყანაში ამ საუკუნის (გასული XX საუკუნის – ქართულად მთარგმნელის შენიშვნა) პირველ ნახევარში ასაკობრივი აკუმულაცია უფრო ძლიერად იყო გამოხატული ქალებში, ვიდრე ვაჟებში, სოფლის მოსახლეობაში უფრო მეტად – ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. იმავე დროის ა.შ.შ-ში ასაკობრივი აკუმულაცია უფრო მეტად მედავნიდებოდა არათეთრკანიან მოსახლეობაში, ვიდრე თეთრკანიანებში, და ა.შ.

ინდუსტრიული და სოციალური განვითარების კვალობაზე მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნისა და განათლების დონის ზრდას თავის დადებით ცვლილებებს შორის მოჰყვა ასაკობრივი აკუმულაციის თანდათანობითი გაქრობა ან ყოველ შემთხვევაში უმნიშვნელო მინიმუმამდე შემცირება. ამიტომაც წინამდებარე სახელმძღვანელოში არაა მოტანილი მისი გაზომვისა და თავიდან აცილების მეთოდები. არადემოგრაფიებისათვის მათი ცოდნა ვფიქრობთ, რომ სავალდებულო არაა (სურვილის შემთხვევაში კი შეიძლება სტატისტიკის ძველი სახელმძღვანელოების გამოყენება). მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა საქმე აქვთ მოსახლეობის ერთწლიან ასაკობრივ სტრუქტურასთან ან ერთწლიან ასაკობრივ კოეფიციენტებთან (თუმცა სულაც არაა აუცილებელი, რომ ეს იყოს დემოგრაფიული, რესპოდენტების ასაკის მიხედვით დიფერენცირებულ სოციალური მოვლენებისა და პროცესების ნებისმიერ მაჩვენებლებთან), ასაკობრივი აკუმულაციას ანგარიში უნდა გაეწიოს და აუცილებლობის შემთხვევაში შეგვეძლოს მათი მოხსნა.

ხუთწლიანი ასაკობრივი დაჯგუფებები უფრო ხშირად გამოიყენება როგორც დემოგრაფიაში, ასევე მის ფარგლებს მიღმაც. ამ შემთხვევაში ერთ ჯგუფში ერთიანდება ხუთი მომიჯნავე წლის ასაკის ხალხი (ან სხვანაირად: ხუთი ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფი). ხუთწლიანი დაჯგუფება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის უფრო კომპაქტურად წარმოდგენის საშუალებას იძლევა და ამავე დროს ხუთწლიან ჯგუფებში ასაკობრივი აკუმულაცია

მნიშვნელოვანწილად ავტომატურად სწორდება და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ამჟამად ასაკობრივი აკუმულაცია დიდი არაა, იგი, ხუთწლიან ასაკობრ ჯგუფებში ფაქტიურად არაა საგრძნობი.

გაეროს ყველა დემოგრაფიულ დოკუმენტებსა და გაანგარიშებებში მიღებული სტანდარტული ასაკობრივი დაჯგუფება, შემდგენიერად გამოიყურება: 0 წლის; 1–4 წელი (ანდა ზოგჯერ ერთწლიანი დაჯგუფება 1,2,3,4 წელი), შემდეგ 5-დან 85 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში მოდიან ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფები 5–9, 10–14,...80–85 და ამ რიგს ასრულებს ეგრეთ წოდებული ღია ინტერვალი 85 და მეტი წელი (ყველაზე უფროს ასაკებში წერილ დაჯგუფებებს იყენებენ მხოლოდ გერონტოლოგები – სიბერის შემსწავლელი სპეციალისტები). გაეროს მიერ მიღებული სტანდარტული ასაკობრივი დაჯგუფებით საჭიროა აუცილებლად ისარგებლონ არა მარტო დემოგრაფებმა, არამედ ყველა საზოგადოებათმცოდნეებმა, იმიტომ, რომ ყველა გამოკვლევის შედეგები, რომლებშიც ხალხის ასაკის მიხედვით დიფერენცირებული მონაცემები გამოიყენება (ხოლო ესეთია თითქმის ნებისმიერი სოციალური გამოკვლევა) ერთმანეთს შორის შეთავსებადი იყოს.

3.3.1 სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდები

მოსახლეობის ასაკობრივი, უფრო სწორად სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისათვის ფართოდ გამოიყენება სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდად წოდებული ერთ-ერთი გრაფიკული მეთოდი. **სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა** წარმოადგენს ჩვეულებრივ კოორდინატთა სისტემაში აგებულ ორ მხრივ ზოლოვან დიაგრამას. ორდინატთა ღერძზე ნებისმიერი მასშტაბით გამოისახება ასაკობრივი ჯგუფების სკალა, აბსცისთა ღერძზე – განსაზღვრული ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა. ვაჟების რიცხოვნობა გადაიზომება ორდინატთა ღერძის მარცხენა მხარეს, – ქალების რიცხოვნობა მარჯვენა მხარეს. თითოეული ასაკობრივი ჯგუფი გამოისახება ჰორიზონტალური ზოლის სახით, რომლის **ფართობი** შესაბამისი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის პროპორციულია. ჩვეულებრივ ორდინატთა ღერძი ორადაა გაყოფილი იმისათვის, რომ უფრო

მოხერხებული იყოს ორ ღერძულა ხაზს შორის ასაკების სკალის გამოსახვა (თერმომეტრის მსგავსად). პირამიდის ანალიზის მოხერხებულობისათვის სასარგებლოა მისგან ორივე მხარეს, მარცხნივ და მარჯვნივ გამოვსახოთ კიდევ ორი ღერძი, რომელზეც ვაჩვენოთ კალენდარული წლები მთელი ასწლეულის მანძილზე. მაშინ ძალიან თვალნათლივ შეიძლება შევუსაბამოთ შევრიდელები და ღრმულები ასაკობრივ სტრუქტურაზე იმ ისტორიულ შემთხვევებთან, რომლებმაც გამოიწვიეს ასაკობრივი სტრუქტურის ეს დეფორმაციები.

ასაკობრივი პირამიდები იგება ან ერთწლიანი ან ხუთწლიანი დაფუფუებისას. უმჯობესია, რა თქმა უნდა, ერთწლიანი პირამიდები, ისინი ხუთწლიანებზე გაცილებით გამომსახველობითი და ინფორმაციულია (მაგრამ ასაკობრივი აკუმულაციის გათვალისწინებით.)

ასაკობრივი პირამიდები იგება ასაკობრივი ჯგუფების რიცხოვნობის, ან აბსოლუტური, ან შეფარდებითი მონაცემებით. აბსოლუტური მონაცემები წარმოადგენენ თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ადამიანთა მარტო არითმეტიკულ რაოდენობას. აბსოლუტური მონაცემებით აგებულ ასაკობრივ პირამიდებს ის სერიოზული ნაკლი აქვთ, რომ ისინი შეუდარებლები არიან, თუკი მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებიც ამ პირამიდებით გამოისახება ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან. საჭიროა გვახსოვდეს, რომ პირამიდაში ყველაზე მთავარია მისი კონფიგურაცია და არა ზომები. ამიტომ უმჯობესია ასაკობრივი პირამიდის შეფარდებითი მონაცემებით აგება. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის ნებისმიერი რიცხოვნობა მიიღება ერთ უცვლელ სიდიდედ, ვთქვათ 100, 1000, ან 10000-ად (ეს უკანასკნელი ყველაზე უმჯობესია), და ყოველი სქესობრივ ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობა იყოფა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაზე და მრავლდება ზემოთ აღნიშნულ ერთიანითა და რამდენიმე ნულით დაბოლოებულ თანამამრავლზე. მაშინ ჩვენ მივიღებთ ნებისმიერი მოსახლეობისათვის, მათი სიდიდის მიუხედავად, შესადარ პირამიდებს.

საჭიროა კიდევ შევნიშნოთ, რომ სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის მეთოდის მეშვეობით შესაძლებელია თვალსაჩინოდ ვაჩვენოთ მოსახლეობის სხვა სტრუქტურებიც, ასევე სოციალური მოვლენებისა და პროცესების სტრუქტურაც. ასე მაგალითად, დემოგრაფიაში გამოიყენება პირამიდები, რომლებიც გვიჩვენებენ მოსახლეობის სტრუქტურას სქესის, ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, მიგრაციოლოგიაში პირამიდები გვიჩვენებენ მიგრანტთა სტრუქტურას სქესის, ასაკისა და ეროვნების მიხედვით (შეიძლება მიგრანტთა ჩვენება ოჯახური

მდგომარეობის, ბავშვთა რიცხვის, გამოსვლის ადგილისა და სხვათა მიხედვით), სხვა მეცნიერებებში შეიძლება პირამიდების გამოყენება ვთქვათ, დანაშაულობების სქესის, ასაკის, დანაშაულებათა სახეობების, სასჯელის, პატიმრობის ვადებისა და სხვათა მიხედვით.

სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა ნამდვილ პირამიდას წააგავს, რადგანაც ასაკის ზრდასთან ერთად ასაკობრივ ჯგუფებში ხალხთა რიცხოვნობა მცირდება და ზოლები ვიწროვდება. იდეალური მოსახლეობის ასაკობრივ პირამიდას, რომელშიც შობადობა და მოკვდაობა უცვლელი იქნებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ექნებოდა თითქმის ტოლგვერდა სამკუთხედის სახე სწორხაზოვანი გვერდებით (მაგრამ მაინც გარკვეული გადახრით მარჯვნივ, ე.ი. ქალთა ნახევრის მხარეს). მაგრამ ეს არ ხდება, რადგანაც დაბადებულთა რიცხვი და გარდაცვალებულთა რიცხვი დროში ზოგჯერ ძალიან მკვეთრად მერყეობს. შობადობის მკვეთრი დაცემა (უფრო ზუსტად – დაბადებულთა რიცხვის, ეს ერთი და იგივე არაა) ასაკობრივ სტრუქტურაზე ქმნის (ხოლო გრაფიკულად – ასაკობრივ პირამიდაზე) შესაბამის ღრმულებს, რომლებიც მით უფრო ღრმა იქნება, რაც უფრო მნიშვნელოვანია დაბადებულთა რიცხვის შემცირება. და ეს რღმული არასდროს არ გასწორდება, იგი პირდაღებული იქნება ასი წლის განმავლობაში, ვიდრე ყველა იმ წელს დაბადებული, რომელზეც მოდის ეს ღრმული არ გარდაიცვლება (აქ ჩვენ მიგრაციას არ ვითვალისწინებთ). პირიქით, შობადობის მკვეთრი ზრდა პირამიდაზე წარმოქმნის შვერილს, რომელიც მით მეტია, რაც უფრო მეტი იქნება შობადობის ზრდა (დაბადებულთა რიცხვი). რაიმე სოციალური კატაკლიზმების შედეგად შობადობის მომატებისა და დაცემის მონაცვლეობა ასაკობრივ სტრუქტურაზე (პირამიდაზე), იწვევს 20-30 წლის ბიჯით განმეორებულ (როცა ერთი ტალღის – დაცემისა თუ ზრდის პერიოდში გაჩენილები ხდებიან მშობლები და მათი შვილები თავის მხრივ ქმნიან ახალ ტალღებს, რომლებიც თანდათანობით ჩაქრება თითქმის 100 წლის განმავლობაში), ეგრეთ წოდებულ „დემოგრაფიულ ტალღებს“.

3.3.2 ასაკობრივი სტრუქტურის კავშირი მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმთან

ასაკობრივი სტრუქტურა აქტიურ როლს თამაშობს არა მარტო დემოგრაფიულ, არამედ ყველა სოციალურ პროცესშიც. ასაკთანაა დაკავშირებული ადამიანის ფსიქოლოგია, ემოციურობა და გარკვეულ წილად გონებაც. მაღალი შობადობის და შესაბამისად ახალგაზრდობის მაღალ ხვედრით წილიან საზოგადოებაში ბევრი ენთუზიაზმი, მხურვალე აღტკინება და უგუნურობაა. ამბოხებები და რევოლუციები უფრო ხშირად ახალგაზრდულ ასაკობრივ სტრუქტურიან საზოგადოებებში ხდება, ე.ი. იქ, სადაც საზოგადოებაში მაღალია ახალგაზრდების ხვედრითი წილი. პირიქით, დაბერებულ საზოგადოებებს, ხანდაზმულებისა და მოხუცთა მაღალი ხვედრითი წილით, ემართებათ დოგმატიზმი და უძრაობა, მაგრამ ამ საზოგადოებაში მეტი სიბრძნეა და მათ იშვიათად ემუქრება რევოლუციები.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ასაკობრივი სტრუქტურა მჭიდროდ ურთიერთქმედებს მოსახლეობის კვლავწარმოების მახასიათებლებთან. განასხვავებენ ასეთი ურთიერთქმედების სამ ტიპს (იხ. ნახ. 3.1.)

1. მაღალი შობადობითა და მოკვდაობით გამორჩეული მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპი. ასეთი მოსახლეობის ასაკობრივ პირამიდას ფართო საფუძველი აქვს (რომელსაც მოსახლეობაში ბავშვების მაღალი ხვედრითი წილი წარმოქმნის) და ვიწრო შპილისმაგვარი წვერი (ხანდაზმულთა ასაკამდე მიღწეულთა მცირე ხვედრითი წილი). ასეთ ტიპს შეიძლება ვუწოდოთ «პრიმიტიული» (ბევრი, და არა მარტო დემოგრაფიული, პარამეტრის მიხედვით, ასეთი სახელწოდება მას სრულიად შეესაბამება). შორეულ წარსულში ყველა ხალხებს მოსახლეობის კვლავწარმოების ასეთი ტიპი ჰქონდათ. ხოლო ზოგიერთებს იგი დღესაც აქვთ. ჩვენს ქვეყანაში კვლავწარმოების პრიმიტიული ტიპი მეორე მსოფლიო ომამდე იყო შენარჩუნებული.

2. საზოგადოების სამრეწველო და სოციალურ განვითარებას თავის შედეგებს შორის აქვს აგრეთვე მოკვდაობისა და შობადობის დონეთა შემცირება (ამ ცვლილების მიზეზთა შესახებ შესაბამის თავებშია საუბარი). მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ნელდება და ბოლოს და ბოლოს წყდება. ასაკობრივი სტრუქტურა დეზულობს ზარის ფორმას. ასეთ ტიპს შეიძლება ვუწოდოთ უძრავი,

ნახ. 3.1. მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის შესაბამისი
ასაკობრივი სტრუქტურის ტიპები

ანუ სტაციონალური. მეცნიერები დაობენ იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ხარგრძლივი დროით არსებობა კვლავწარმოების მოცემულ ტიპს, თუ ეს მდგომარეობა მხოლოდ მცირე დროითაა შესაძლებელი, რომელსაც აუცილებლად მოსდევს კვლავწარმოების მესამე ტიპზე გადასვლა.

3. გარკვეულ პირობებში, შემდგომი განვითარება იწვევს მდგომარეობას, როცა მოკვდაობის შემცირება ნელდება, ან წყდება (ვაი რომ არ შეიძლება მოკვდაობის უსასრულოდ შემცირება), მაშინ, როცა შობადობის შემცირება გრძელდება. იწყება დეპოპულაცია, მოსახლეობის ამოწყდომა. ასაკობრივი სტრუქტურა დებულობს დასაკრძალავი ურნის ფორმას. მოსახლეობა ბერდება, ე.ი. შემადგენლობაში იზრდება ხანდაზმულ ადამიანთა წილი და მცირდება ახალგაზრდობის ხვედრითი წილი. მოსახლეობის კვლავწარმოების ასეთ ტიპს შეიძლება ვუწოდოთ რეგრესული ან დეპოპულაციური, ანუ დეგრადაციული.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის, როგორც სქესობრივი, ასევე ასაკობრივი სტრუქტურაც XX საუკუნის განმავლობაში არა ერთგზის მომხდარი სოციალური ძვრებით ძლიერაა დეფორმირებული. პირველმა მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა, კოლექტივიზაციამ, სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ, რომელსაც თან ახლდა მოსახლეობის უდიდესი მიგრაცია, მეორე მსოფლიო ომმა და სხვა ცნობილმა რყევებმა გამოიწვიეს ისედაც შემცირებადი შობადობის მკვეთრი დაცემა, წარმოშვეს ღრმულები მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე, რომელსაც მოსდევდა საკომპენსაციო აღმასვლები.

40 წლიანი პერიოდით, 1959 და 1999 წლის დასაწყისისათვის დაშორებული ორი ასაკობრივი პირამიდის შედარება XX საუკუნის განმავლობაში რუსეთის ისტორიის შთამბეჭდავ სურათს გვიჩვენებს. 1959 წლის პირამიდაზე 1916-1918 წლებში დაბადებულთა (პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომები) ღრმა ღრმულები ჩანს, მათი მცირე მომატება 1919 წელს (ჯერჯერობით ძნელია ახსნის მოძებნა), შემდეგ ზრდა თითქმის 1929 წლამდე და მკვეთრი ღრმული 1930-1935 წლებში (რომლის გამოც 1930 წლიდან მოყოლებული შეწყდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური მონაცემების პუბლიკაცია, ხოლო 1936 წელს აიკრძალა აბორტები). შემდეგ უღმესი ჩავარდნა 1940-1944 წლებში, ე.ი. უმძიმესი ომის წლებში. მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ პირამიდის ჯერ კიდევ შედარებით ფართო და გაფართოებად ფუძეს, რომელიც ქვეყანაში შობადობის შედარებით მაღალ დონეს ადასტურებს. ფუძის გარკვეული გაფართოება უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ მეტყველებს მზარდ შობადობაზე (რადგანაც

მოსახლეობის რიცხოვნობაც იზრდება), მაგრამ თითქმის დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ შობადობა 1947-1958 წლებში, ყოველ შემთხვევაში, არ მცირდებოდა.

საჭიროა ასევე ერთმანეთს შევუდაროთ პირამიდის მარცხენა, ვაჟთა, და მარჯვენა, ქალთა, ნაწილები. ადვილად შეიძლება ქალთა რიცხოვრივი გარდამეტის შემჩნევა, განსაკუთრებით 30 წლის ზემო ასაკებში. შობადობისაგან განსხვავებით, რომლის დაცემა ვლინდება ასაკობრივ სტრუქტურაზე ღრმულების სახით, მოკვდაობა პირამიდაზე კვალს მხოლოდ სქესთა დისპროპორციისა და მისი კონფიგურაციის ზოგადი ფორმის ცვლილების სახით სტოვებს.

დემოგრაფიული მდგომარეობის სხვა სურათს აჩვენებს 1999 წლის დასაწყისის პირამიდა. კოლექტივიზაციის და ომის წლებში შობადობის დაცემასთან დაკავშირებულმა ჩავარდნებმა პირამიდის წვერისაკენ გადაიწიეს და რამდენადმე გასწორდნენ (რადგანაც იმ წლებში დაბადებული ხალხი ბუნებრივია მნიშვნელოვნად შემცირდა). სქესთა დისპროპორცია ნათლად შეიმჩნევა მხოლოდ უფროს ასაკებში. თუკი ყურადღებით დავაკვირდებით შეიძლება შევამჩნიოთ ვაჟთა სქესის რიცხოვრივი გარდამეტი 35 წელზე ახალგაზრდა ასაკებში.

მკაფიოდ ჩანს დაბადებულთა რიცხვის შემცირება 1960-იან წლებში და მათი ზრდა 1970-1980 წლებში 1987 წლამდე. ხოლო პირამიდის ფუძე ვიწროვდება, იგი მოსახლეობის კვლავწარმოების რეგრესული ტიპის ფორმას ღებულობს.

40 წლიანი პერიოდით, 1959 და 1999 წლის დასაწყისისათვის, დაშორებული ორი ასაკობრივი პირამიდის შედარება XX საუკუნის განმავლობაში საქართველოს ისტორიის შთამბეჭდავ სურათს გვიჩვენებს. 1959 წლის პირამიდაზე (იხ. ნახ. 3.2^ა) ჩავარდნები ჩანს, ვაჟთა სქესის მოსახლეობაში 1915-1919 წლებში დაბადებულთა (პირველი მსოფლიო ომი, და ქალთა სქესის მოსახლეობაში 1904-1909 წლებში დაბადებულთა შორის. შემდეგ კი შედარებით უფრო ღრმა ჩავარდნები აღინიშნება 1939-1949 წლებში დაბადებულთა შორის (მეორე მსოფლიო ომის მიზეზით). მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ პირამიდის ჯერ კიდევ შედარებით ფართო და გაფართოებად ფუძეს, რომელიც ქვეყანაში შობადობის შედარებით მაღალ დონეს ადასტურებს. ფუძის გარკვეული გაფართოება უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ მეტყველებს მზარდ შობადობაზე (რადგანაც მოსახლეობის რიცხოვნობაც იზრდება), მაგრამ თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შობადობა 1947-1958 წლებში, ყოველ შემთხვევაში, არ მცირდებოდა.

საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ პირამიდის მარცხენა, ვაჟთა, და მარჯვენა, ქალთა ნაწილები. ადვილად შეიძლება ქალთა რიცხოვრივი გარდამეტის შემჩნევა, განსაკუთრებით 15 წლის ზემო ასაკებში. შობადობისაგან განსხვავებით, რომლის დაცემა ვლინდება ასაკობრივ სტრუქტურაზე ღრმულების სახით, მოკვდაობა პირამიდაზე კვალს მხოლოდ სქესთა დისპროპორციითა და მისი კონფიგურაციის ზოგადი ფორმის ცვლილების სახით სტოვებს.

დემოგრაფიული მდგომარეობის სხვა სურათს აჩვენებს 1999 წლის დასაწყისის პირამიდა (იხ. ნახ. 3.3^ბ). კოლექტივიზაციისა და ომის წლებში შობადობის დაცემასთან დაკავშირებულმა

ჩავარდნებმა პირამიდის წვერისაკენ გადაიწიეს და რამდენადმე გასწორდნენ (რადგანაც იმ წლებში დაბადებული ხალხი ბუნებრივია მნიშვნელოვნად შემცირდა). სქესთა დისპროპორცია ნათლად შეიმჩნევა მხოლოდ უფროს ასაკებში. თუკი ყურადღებით დავაკვირდებით შეიძლება შევამჩნიოთ ვაჟთა რიცხობრივი გარამეტი 35 წელზე ახალგაზრდულ ასაკებში.

მკაფიოდ ჩანს დაბადებულთა რიცხვის შემცირება 1960-იან წლებში და მათი ზრდა 1970-1980 წლებში 1990 წლამდე, რომლის შემდეგ დაბადებულთა რიცხვი კვლავ ეცემა და პირამიდის ფუძე ვიწროვდება. იგი მოსახლეობის კვლავწარმოების რეგრესული ტიპის ფორმას ღებულობს.

3.3.3. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება

შობადობის შემცირებასა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ზოგად ტენდენციას ყველა ქვეყანაში, ასაკობრივ სტრუქტურაში უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილის განუხრელი ზრდა წარმოადგენს. ამ პროცესმა **მოსახლეობის (უფრო ზუსტად, მისი ასაკობრივი სტრუქტურის) დემოგრაფიული დაბერების** სახელწოდება მიიღო.

არადემოგრაფიულ ლიტერატურაში დემოგრაფიული დაბერების მიზეზები ყველაზე ხშირად განმარტებულია როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შედეგი. არც თუ იშვიათად ჟურნალისტები, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით ეხებიან მოსახლეობის დაბერების პროცესს, ივიწყებენ კიდევ მოიხსენიონ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის შესახებ და პირდაპირ ამბობენ, რომ ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა (თითქოსდა) სოციალური პროგრესისა და ცხოვრების პირობების (იგულისხმება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა) გაუმჯობესების ნათელი დასტურია. ვაი, რომ ეს წარმოდგენები ყველაზე ხშირად მცდარია.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს მოსახლეობის დაბერებას, **თუ იგი ხდება მოსახლეობის უფროს ასაკობრივ ჯგუფებში, ე.ი. 60 წელზე უფროს ასაკებში.** მაგრამ უმეტეს ქვეყნებში, ასევე ჩვენშიც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა მისი მთელი ევოლუციის მანძილზე ძირითადად ხდებოდა დაბალ და საშუალო ასაკობრივ ჯგუფებში მოკვდაობის შემცირების ხარჯზე, მაშინ როცა უფროს ასაკებში მოკვდაობა მცირდებოდა ცოტათი, ნელა, ან თითქმის არ შემცირებულა მთელი XX საუკუნის განმავლობაში. სწორედ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 60 წელსა და მეტ ასაკებში XX საუკუნის განმავლობაში კი არ გაიზარდა **შემცირდა.** და ამრიგად, მისი დინამიკა უფრო აფერხებდა, ვიდრე აჩქარებდა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესს.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ხარისხის შეფასებისათვის არსებობს ძალიან მარტივი მაჩვენებელი – მთელ მოსახლეობაში 60 წლისა და უფროს (გაეროს კრიტერიუმით – 65 წლის და უფროს) ასაკებში მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი. 3.2. ცხრილში ნაჩვენებია მისი დინამიკა მოსახლეობის აღწერების მომენტებისათვის და 1997 წლის დასაწყისისათვის.

ყურადღებას იპყრობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების სიდიდებს შორის განსხვავება. სოფლის მოსახლეობა გაცილებით უფროსია ქალაქისაზე, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობის შობადობის დონე ქალაქისაზე უფრო მაღალია და მაშასადამე თითქოსდა სოფლად ახალგაზრდობა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე ქალაქებში, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. ეს არის ახალგაზრდობის სოფლიდან ქალაქად მიგრაციის შედეგი.

ქვეყნის რამდენიმე ათეულ (!) ოლქში სოფელ ადგილებში ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრითი წილი უკვე 30%-ს აღემატება.

ცხრილი 3.2.

რუსეთის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ინდექსი (პროცენტობით)

წლები	მთელი მოსახლეობა	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
1959	9,0	7,6	10,5
1970	11,9	10,6	14,1
1979	13,7	12,2	17,0
1989	15,3	14,2	18,4
1998	17,6	16,6	20,2

3.2^ა და 3.2^ბ ცხრილებში ნაჩვენებია საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ინდექსები (შესაბამისად 60 და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი %-ით მთელ მოსახლეობასთან) მოსახლეობის აღწერების მომენტებისათვის და 1999 წლის დასაწყისისათვის.

ცხრილი 3.2^ა

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ინდექსი (პროცენტობით)
(მოსახლეობაში 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი %-ით.)

წლები	მთელი მოსახლეობა	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
1959	11,0	8,9	12,5
1970	11,8	10,4	13,1
1979	12,5	11,2	14,0
1989	14,4	12,9	16,2
1999	18,8	16,9	21,3

ცხრილი 3.2^ბ

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ინდექსი (პროცენტობით)
(მოსახლეობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი %-ით.)

წლები	მთელი მოსახლეობა	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
1959	7,7	5,8	9,0
1970	8,0	6,6	9,3
1979	9,1	7,8	10,6
1989	8,8	7,8	10,2
1999	13,3	11,6	15,5

ყურადღებას იპყრობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების სიდიდეებს შორის განსხვავება. სოფლის მოსახლეობა გაცილებით უფროსია ქალაქისაზე, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობის შობადობის დონე ქალაქისაზე მაღალია (გამონაკლისს შეადგენს საქართველოში 90-იანი წლების მეორე ნახევარი, როცა შობადობის დონე ქალაქად უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფლად). და მაშასადამე თითქოსდა სოფლად ახალგაზრდობა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე ქალაქებში, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. ეს არის ახალგაზრდობის სოფლიდან ქალაქად მიგრაციის შედეგი.

1989 წლის აღწერით 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის ხვედრითი წილი 20 პროცენტს აღემატებოდა საქართველოს თორმეტ რაიონში. ამათგან ორში იგი უკვე 30 პროცენტზე მეტიც კი იყო.

3.4. მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა

ადამიანის ქორწინებითი მდგომარეობა – ესაა მისი დამოკიდებულება ქვეყნის კანონებისა და ადამიან-წესების შესაბამის ქორწინების ინსტიტუტთან. მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა – ესაა მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, ჩვეულებრივ სქესთან და ასაკთან შეხამებით – განაწილება. ამიტომ ხშირად ამბობენ „ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურა“. მოსახლეობის ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ მოსახლეობის აღწერები. აღწერაში ქორწინებითი მდგომარეობა შეიძლება აღირიცხებოდეს ან იურიდიული (როცა ქორწინებად ითვლება მხოლოდ იურიდიულად გაფორმებული ქორწინება), ან ფაქტიური, ე.ი. ორი ერთად მცხოვრები და საერთო მეურნეობის მქონე ადამიანის მყარი, ნებაყოფლობითი კავშირი, მაგრამ იურიდიული გაფორმების გარეშე. 1939, 1959 და 1970 წლის საკავშირო აღწერებში აღირიცხებოდა ქორწინებითი მდგომარეობის მხოლოდ ორი კატეგორია: აღწერის კრიტიკული მომენტისათვის ქორწინებაში მყოფები და ქორწინებაში არ მყოფები. ეს ძალიან არ აწყობდათ ქორწინებისა და მისი პროგნოზირების შემსწავლელ მეცნიერებს. საქმე ისაა, რომ ქორწინებაში არ მყოფი ხალხის კატეგორია მოიცავს ქორწინებითი მდგომარეობის სამ კატეგორიას: ქორწინებაში არასდროს არ მყოფებს (სხვაგვარად საცოლო, გასათხოვარი), ქვრივებს, განქორწინებულებსა და გაშორებულებს. ეს უკანასკნელი კატეგორია განქორწინებულებისაგან იმით განსხვავდება, რომ ეკუთვნის არარეგისტრირებულ („ფაქტიურ“) ქორწინებაში მყოფ ხალხს.

ქორწინებაში არასდროს არ მყოფებს, ქვრივებს, განქორწინებულებსა და გაშორებულებს დაქორწინების არათანაბარი ალბათობა აქვთ (ყველაზე დიდი ალბათობა განქორწინებულებს და გაშორებულებს აქვთ, ყველაზე მცირე 30 წლის შემდეგ – ქორწინებაში არასდროს არ მყოფებს). ამიტომ „ქორწინებაში არ მყოფი“ კატეგორიის მთელი ხალხის მომავალი ქორწინების გასაშუალებელი ალბათობით პროგნოზირებას დიდი აზრი არასდროს არ ჰქონია და საკმაოდ უხეში იყო. 1979 წლიდან დაწყებულ აღწერებში ქორწინებითი მდგომარეობა ახლა ხუთი კატეგორიის სახით აღირიცხება: ქორწინებაში არასდროს არ მყოფები; აღწერის მომენტისათვის ქორწინებაში მყოფები, ქვრივები, განქორწინებულები და გაშორებულები. ორი უკანასკნელი კატეგორია – განქორწინებულები და გაშორებულები ნაჩვენებია ერთად, ჯამურად (რაც გარკვეულ სინანულს იწვევს,

რადგანაც აუცილებელია იურიდიულ და ფაქტიურ ქორწინებათა სიმტკიცეებს შორის გასხვავებულობის შესწავლა).

მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობა, ან სხვაგვარად, რომ ვთქვათ მოსახლეობის ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურა დაჯგუფებებისა და შეფარდებითი მაჩვენებლების მეშვეობით, ისევე აღირიცხება, როგორც სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ე.ი. მოსახლეობის თითოეული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი ქორწინებითი მდგომარეობის კატეგორიების მიხედვით იყოფა, და სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში განისაზღვრება თითოეული კატეგორიის ხვედრითი წილი. ამასთან, გამოიყოფა შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები: 18 წლამდე, 18-19, 20-24 წელი და შემდგომ ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფები 55-59 წლამდე, შემდეგია ღია ინტერვალი 60 წელი და უფროსი.

1959, 1970, 1979 და 1989 წლის საკავშირო აღწერების და 1994 წლის სრულიად რუსეთის მიკროაღწერის მონაცემების საფუძველზე განვიხილოთ რუსეთის მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა და მაგალითისათვის შემოვიფარგლოთ ერთი 45-49 წლის ასაკობრივი ჯგუფით (ცხრილი 3.3).

1959 და 1970 წლის აღწერის მონაცემები გვიჩვენებენ მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის მხოლოდ ორი კატეგორიის, ქორწინებაში მყოფებისა და ქორწინებაში არ მყოფების მიხედვით განაწილებას, რაც რა თქმა უნდა ანალიზის შესაძლებლობებს აღარბეებს.

ვაუბში, ომის შემდგომი მთელი ორმოცი წლის განმავლობაში, აღწერიდან აღწერამდე ქორწინებაში მყოფების ხვედრითი წილი მცირდებოდა (განსახილველ ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც დინამიკა ასეთივე იყო), მაშინ როცა ქალებში 1979 წლამდე იგი იზრდებოდა. 1979 წლის შემდეგ (შეიძლება ცოტათი უფრო ადრეც, ჩვენ ამას უკვე ვეღარ გავიგებთ), გათხოვილი ქალების ხვედრითმა წილმა ასევე დაიწყო შემცირება. ქორწინებაში მყოფი ვაუბის ხვედრითი წილის შემცირება ქორწინებაში მყოფი ქალების ხვედრითი წილის ერთდროულ ზრდასთან ერთად საკმაოდ ადვილად აიხსნება. ძირითადი ფაქტორი იყო ომის შემდგომ პერიოდში სქესთა თანაფარდობის გაუმჯობესება. ქალებმა ქმრის არჩევის მეტი შესაძლებლობა მიიღეს, ხოლო ნალებად კონკურენტუნარიანი ვაუბის ნაწილს – სხვადასხვა მიზეზით: ცუდი ჯანმრთელობა, ან ქცევა, ალკოჰოლიზმი ან ფიზიკური ნაკლი და სხვა, არ შეეძლოთ ქორწინება ან მისი შენარჩუნება.

ცხრილი 3.3.

რუსეთის, 45-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის ბანაწილება ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით (ბანსაზღვრული კატეგორიის ქორწინებითი მდგომარეობის ხალხის ხვედრითი წილი შვსაბამისი სქემისა და ასაკის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის 1000 სულზე გაანგარიშებით)

მოსახლეობის აღწერის წლები	ქორწინებაში მყოფები	ქორწინებაში არასდროს არ მყოფები	ქვრივები	ბანქორწინებულები და გაყოფილები
მ ა შ ე ბ ი				
1959	965	–	35	–
1970	949	–	51	–
1979	916	19	12	53
1989	849	37	16	98
1994	857	48	14	81
ქ ა ლ ე ბ ი				
1959	525	–	475	–
1970	708	–	292	–
1979	758	40	93	109
1989	739	35	85	141
1994	737	46	74	143

1959, 1970, 1979 და 1989 წლის საკავშირო აღწერების მონაცემების საფუძველზე განვიხილოთ საქართველოს მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა და მაგალითისათვის შემოვიფარგლოთ ერთი 45-49 წლის ასაკობრივი ჯგუფით (ცხრილი 3.3ა).

ცხრილი 3.3ა.

საქართველოს, 45-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის განაწილება ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით (განსახილველ კატეგორიის ქორწინებითი მდგომარეობის ხალხის სვედრითი წილი შემსაბამისი სქმისა და ასაკის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის 1000 სულზე გაანგარიშებით)

მოსახლეობის აღწერის წლები	ქორწინებაში მყოფები	ქორწინებაში არასდროს არ მყოფები	ქვრივები	განქორწინებულნი და გაშორებულნი
მ ა შ ე ბ ი				
1959	957	—	43	—
1970	955	—	45	—
1979	951	21	11	17
1989	923	34	14	29
ქ ა ლ ე ბ ი				
1959	632	—	368	—
1970	756	—	244	—
1979	794	59	89	58
1989	780	60	94	66

1959 და 1970 წლის აღწერის მონაცემები მუხრანებზე მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის მხოლოდ ორი კატეგორიის, ქორწინებაში მყოფებისა და ქორწინებაში არ მყოფების მიხედვით განაწილებას. რაც რა თქმა უნდა აღარბეჭდვას ანალიზის შესაძლებლობებს.

ვაუებში, ომის შემდგომი მთელი ორმოცი წლის განმავლობაში, აღწერიდან აღწერამდე ქორწინებაში მყოფების ხვედრითი წილი მცირდებოდა (განსახილველ ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ სხვა ასაკობრივ ჯგუფშიც დინამიკა ასეთივე იყო), მაშინ როცა ქალებში 1979 წლამდე იგი იზრდებოდა. 1979 წლის შემდეგ (შეიძლება ცოტათი უფრო ადრეც, ჩვენ ამას უკვე ვეღარ გავიგებთ), გათხოვილი ქალების ხვედრითმა წილმა ასევე დაიწყო შემცირება. ქორწინებაში მყოფი ვაუების ხვედრითი წილის შემცირება, ქორწინებაში მყოფი ქალების ხვედრითი წილის ერთდროულ ზრდასთან ერთად საკმაოდ ადვილად აიხსნება.

1979 წლის შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს უფრო დაწვრილებით განვიხილოთ მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა. 50 წლისათვის ქორწინებაში

არასდროს არ მყოფთა ხვედრითი წილი დემოგრაფიაში **საბოლოო დაუქორწინებლობის** წილად ითვლება. ამ ასაკის შემდეგ დაქორწინების შანსები მცირეა (ყოველ შემთხვევაში ქალებისათვის. არა იმიტომ, რომ ამ ასაკში ქალები რითიმე ცუდები არიან, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ თითქმის არ რჩება თავისუფალი ვაჟები. როგორც ცხრილიდან ჩანს, ვაჟების თითქმის 90% ქორწინებაში იმყოფება. რა თქმა უნდა უფრო სწორია, ვაჟებისა და ქალების რიცხვი შევადაროთ ასაკობრივი ბიჯით, რადგანაც ქალები უფრო ხშირად თავისზე ასაკით უფროს ვაჟებზე თხოვდებიან, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დიდი შეცდომა არაა მით უფრო, რომ ეს მხოლოდ მაგალითია, რადგანაც უფრო უფროს ასაკობრივ ჯგუფში ცოლიანი ვაჟების ხვედრითი წილი რამდენადმე მეტიც კია ვიდრე 45-49 წლის ასაკობრივ ჯგუფებში 87-88%). ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საბოლოო დაუქორწინებლობის დონე ჩვენს ქვეყანაში ვაჟებისათვის 2-4%-ს და ქალებისათვის 3-4%-ს შეადგენს. ქრისტიანული კულტურის სხვა ქვეყნებთან შედარებით ეს ძალიან მცირე პროცენტია და ისტორიული გამოკვლევების მონაცემებით იგი ყოველთვის ასეთი იყო.

რისი თქმაც სამწუხაროდ არ შეიძლება ქვრივების – რა თქმა უნდა ქალების ხვედრითი წილის შესახებ. ეს პროცენტი საკმაოდ მაღალია, რაც რუსეთის ვაჟების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შედარებით დაბალ დონეს ასახავს. შეიძლება გააკვირვება გამოიწვიოს იმან, რომ ქვრივების ხვედრითი წილი მცირდება, მათ შორის 90-იანი წლების პირველ ნახევარშიც, თუმცა ცნობილია, რომ ამ პერიოდში ხდებოდა მოკვდაობის, პირველ რიგში კი ვაჟების, მკვეთრი ზრდა.

თუმცა არავითარი წინააღმდეგობა არაა. ქვრივების ხვედრითი წილის შემცირება იმავე, სქესთა თანაფარდობის გაუმჯობესებით აიხსნება, რომლის დროსაც ყველა კატეგორიის ქორწინებითი მდგომარეობის ქალებმა დაქორწინების, მათ შორის განმეორებით ქორწინებაში შესვლის მეტი შესაძლებლობა მიიღეს. ამრიგად, ვაჟთა მოკვდაობისა და მისი შესაბამისი ქალთა დაქვრივების ზრდის მიუხედავად, ქვრივი ქალების ხვედრითი წილი რამდენადმე შემცირდა (განმეორებითი ქორწინების ზრდის ხარჯზე. ამის შესახებ შეიძლება წავიკითხოთ სპეციალურ ნაშრომებში).

დაბოლოს, განქორწინებულების-გაშორებულების ხვედრითი წილის სვეტი. ეს ხვედრითი წილი ძლიერ გაიზარდა და აგრძელებს ზრდას. იგი განქორწინების ძალიან მაღალ დონეს ასახავს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. მხედველობაში უნდა გვქონდეს დაქვრივებულების ხვედრითი წილის შესახებ

გაკეთებული შენიშვნა, განქორწინებულ-გაშორებულების ხვედრითი წილის შემთხვევაშიც ასევე უნდა გავითვალისწინოთ მეორადი ქორწინება.

3.3^ა ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში საბოლოო დაუქორწინებლობის დონე ვაუებში ისევე როგორც რუსეთშიც დიდი არ იყო და 2-4%-ის ფარგლებში იცვლებოდა, ხოლო ქალებში კი საგრძობლად აღემატებოდა რუსეთის ანალოგიური მაჩვენებლის დონეს და 6%-მდე აღწევდა. საქართველოში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული ვითარების შემსუბუქებისათვის კი ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი რეზერვია, თუკი რა თქმა უნდა მოხერხდა ქალების საბოლოო დაუქორწინებლობის საკმაოდ მაღალი წილის მნიშვნელოვნად შემცირება.

რაც შეეხება ქვრივებს, საქართველოში ვაუებთან შედარებით ქალებში მათი საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი აღინიშნებოდა. მათი ამგვარი თანაფარდობის ახსნა კი შესაძლებელია ვაუებთან შედარებით ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობის უფრო მაღალი დონით და საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით ქალების განმეორებით დაქორწინებათა უფრო მცირე ხვედრითი წილით.

დაბოლოს, განქორწინებულების – გაშორებულების ხვედრითი წილის სვეტი. ეს ხვედრითი წილი საგრძობი ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც ვაუებში, ასევე ქალებში. თუმცა ქალებში ამ ხვედრითი წილის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ვაუებისას. ვაუებსა და ქალებში განქორწინებულ – გაშორებულთა ხვედრითი წილების განსხვავებულობის ახსნისას მხედველობაში უნდა გვქონდეს დაქვრივებულების ხვედრითი წილის შესახებ გაკეთებული შენიშვნა. განქორწინებულ – გაშორებულების ხვედრითი წილის შემთხვევაში ასევე უნდა გავითვალისწინოთ მეორადი ქორწინება. საქართველოში, როგორც ვაუებში ასევე ქალებში განქორწინებულ – გაშორებულთა ხვედრითი წილის ზრდის მიუხედავად მათი დონე ტრადიციულად უფრო დაბალი იყო, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში, ხოლო რუსეთის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით კი იგი თითქმის 3-ჯერ უფრო დაბალი იყო.

მოსახლეობის აღწერის მონაცემები საშუალებას იძლევიან ქორწინებითი მდგომარეობა უფრო თვალნათლივ დამახასიათებელი, მარტივი მაჩვენებლებით გავიანგარიშოთ ვიდრე ეს შეიძლება გაკეთდეს პროცენტული ხვედრითი წილების მეშვეობით. აღწერის მონაცემების საფუძველზე შეიძლება გავიანგარიშოთ ზოგიერთი პირობითი თაობის მიერ გარკვეულ ქორწინებით მდგომარეობაში ნაცხოვრებ წელთა რიცხვი. აქ ჩვენ მოგვიწევს ცოტათი გადავუხვიოთ და გავეცნოთ რეალური და პირობითი თაობის ცნებებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება დემოგრაფიულ ანალიზში და რომლებთანაც ჩვენ საქმე გვქმნება მოცემული წიგნის შემდეგი განყოფილებების შესწავლისას.

3.4.1. რეალური და პირობითი თაობის მეთოდები

როგორც წესი ყოველი პროცესი მაჩვენებელთა მთელი, ზოგჯერ საკმაოდ ძნელად თვალმისაწვდომი, სისტემით აღიწერება. ამიტომ ჩნდება განმაზოგადებელი მაჩვენებლის საჭიროება, რომელსაც შეეძლებოდა ერთი რიცხვით დაეხასიათებინა რთული მოვლენის მდგომარეობა, ცვლილება, ან შედეგი და იმავდროულად შეენარჩუნებინა ის უპირატესობა, რასაც იძლევა მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება. ასეთ კრებსით მაჩვენებლებს ღებულობენ რეალური და პირობითი თაობის მეთოდების დახმარებით.

რეალური თაობა – ესაა დროის ერთსა და იმავე პერიოდში (კალენდარული წელი, ან რამდენიმე წელიწადი) დაბადებულ ადამიანთა ერთობლიობა. **რეალური თაობის მეთოდი** დამყარებულია ერთ რეალურ თაობაში მისი სიცოცხლის საბოლოო შედეგის დამახასიათებელი (გაჩენილ ბავშვთა და ქორწინებათა საბოლოო რიცხვი, ასაკი გარდაცვალებისას და ა.შ.) დემოგრაფიული პროცესების (შობადობის, ქორწინების, მოკვდაობის) ინტენსივობის მაჩვენებელთა გაანგარიშებაზე. რეალური თაობის დემოგრაფიული ისტორიის შესწავლა მოითხოვს სტატისტიკურ მაჩვენებელთა დინამიკური მწკრივების დიდ მოცულობას, რომლებიც მოიცავდნენ თაობის, ან უკეთესია რამდენიმე თაობის მთელ სიცოცხლეს. მაგალითად, სხვადასხვა, ერთი მეორის მომდევნო, თაობის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საბოლოო რიცხვის ცვლილების შესწავლისათვის საჭიროა არანაკლებ 50 წლის განმავლობაში გვქონდეს ქალთა ასაკების მიხედვით დიფერენცირებული შობადობის მაჩვენებლები. ხოლო მოკვდაობის შესწავლისას კი საჭიროა უკვე 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გვქონდეს მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები. ისტორიული სტატისტიკის ასეთი დიდი მოცულობა მსოფლიოში დღესაც მხოლოდ ქვეყნების მცირე რაოდენობას აქვს. ჩვენი ქვეყანა – მათ რიცხვში არაა. ჩვენთან უკანასკნელ ხანამდე რეალური თაობებისათვის შობადობის მაჩვენებლებს მხოლოდ შერჩევითი გამოკვლევების დახმარებით ღებულობდნენ და მხოლოდ სულ ახლახანს, ზუსტად რამდენიმე წლის წინათ, გაჩნდა რეალური თაობების შობადობის მაჩვენებლების გაანგარიშების შესაძლებლობა, მაგრამ მხოლოდ მთლიანად რუსეთისათვის. რეგიონებში ასეთი გაანგარიშებები ჯერ კიდევ შეუძლებელია (მიმდინარე სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემებით რესპოდენტთა გამოკითხვის მეთოდით ჩატარებულ შერჩევით გამოკვლევებში კი ეს შესაძლებელია).

თაობაზე უფრო ფართო ცნებას წარმოადგენს კოჰორტა. **კოჰორტა ეწოდება რაიმე მოვლენის ერთდროულად (დროის ერთსა და იმავე პერიოდში) გადამტან ადამიანთა ერთობლიობას.** თაობა – კოჰორტის კერძო შემთხვევაა. კოჰორტის სხვა სახეებია: ქორწინებითი – ერთი და იმავე პერიოდში დაქორწინებულ ადამიანთა ერთობლიობა; მიგრანტების – საცხოვრებელი ადგილის ერთი და იმავე პერიოდში გამომცვლელთა ერთობლიობა. ერთდროულად სასწავლებლად შესულთა ან მათ დამსრულებელთა, სამუშაო ადგილის გამომცვლელთა, სახედრო სამსახურში გაწვეულთა, ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში გადასულთა და ა.შ. ერთობლიობანი, – ესენი ყველა კოჰორტებია.

კოჰორტის სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე სოციალური პროცესების ინტენსივობის შესწავლა ცხოვრების პირობებში კონკრეტულ ცვლილებებთან დაკავშირებული მათი დინამიკის ანალიზის საშუალებას წარმოადგენს. ამასთან კონკრეტული კოჰორტისათვის დროის კონკრეტულ მომენტში ან ასაკში მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენს შესასწავლი მოვლენის, ან პროცესის ჯამური სიდიდე, მაგალითად განსაზღვრული თაობის, ან ქალების ქორწინებითი კოჰორტის მიერ განსაზღვრული ასაკისათვის ან სიცოცხლის მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში (პირობითად ითვლება 15-დან 50 წლამდე) გაჩენილი ბავშვების რიცხვი; სრულ ასაკოვნებას მიღწეული კოჰორტისაგან დროის გარკვეულ პერიოდში განსაზღვრულ ასაკში დაქორწინებულთა ხვედრითი წილი და ა.შ.

რეალური თაობის მეთოდს თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები გააჩნია. ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მისი დახმარებით შეიძლება ადამიანთა თაობის დემოგრაფიული ცხოვრების ნამდვილი შედეგების (სხვა მეცნიერებებში – ამ მეცნიერებების შესწავლის საგნის შესაბამის პროცესთა ჯამების) შეფასება, ყოველგვარი ვარაუდებისა და პირობითი დამუშავების გარეშე. ნაკლს წარმოადგენს ის, რომ რეალური თაობების მახვენებლებს ყოველთვის რეტროსპექტიული ხასიათი აქვთ, წარსულს ეკუთვნიან, მაშინ როცა დემოგრაფიული ანალიზის მნიშვნელოვან ამოცანას და მიზანს – მომავლის პროგნოზირება წარმოადგენს. ხოლო ამისათვის საჭიროა, დროის მცირე შუალედში დემოგრაფიული პროცესების ცვლილებაზე უფრო ფხიზლად მარეაგირებელი მახვენებლები.

სწორედ ამ ნაკლს ავსებს პირობითი თაობის მეთოდი. რეალური თაობის, ან უფრო ზოგად შემთხვევაში რეალური კოჰორტის მეთოდისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ჯამური მახვენებლების მიღებისათვის მახვენებლები ჯამდება ერთი თაობის (კოჰორტის) მთელი სიცოცხლის ან მისი ნაწილის განმავლობაში.

პირობითი თაობის მეთოდი დაფუძნებულია დროის მცირე შუალედებისათვის (1-2 წელი) დამახასიათებელი სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენებაზე. ამ მეთოდის გამოყენებისას დემოგრაფიული საქმიანობის ჯამური მაჩვენებლების მიღებისათვის ჯამდება დროის ერთსა და იმავე პერიოდის, მაგრამ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლები. დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ინტენსივობის ასაკობრივი მაჩვენებლების შეჯამებისას ანალიტიკოსები იმ პირობითი დაშვებიდან გამოდიან, რომ დემოგრაფიული შემთხვევები მოხდა არა სხვადასხვა თაობებში ერთსა და იმავე დროს, არამედ ერთი თაობის, რომელსაც „პირობითი“ ეწოდება – სხვადასხვა ასაკებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვადასხვა ასაკის ადამიანებისათვის ერთი პერიოდის შემთხვევათა დამახასიათებელ მაჩვენებელთა ერთობლიობა მკვლევარების მიერ პირობითად განიხილება როგორც ამ თაობის (კოჰორტის) ადამიანების მიერ სიცოცხლის სხვადასხვა ასაკობრივ ინტერვალში გადატანილი. ასევე დიდი შეცდომის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ პირობითი თაობა – ესაა რეალური თაობის მოდელი ზოგიერთი დაშვებისას, უფრო სწორად კი მხოლოდ ერთი დაშვებისას. ეს დაშვება ასეთია. პირობითი და რეალური თაობების ჯამური მაჩვენებლები სიდიდით დაემთხვევა, თუ დროის პერიოდის განმავლობაში ჯამური მაჩვენებლების გაანგარიშებისას შეკრებილი ასაკობრივი (კერძო) მაჩვენებლები, უცვლელი დარჩებიან. უნდა ითქვას, რომ ეს პირობა იშვიათად შესრულებადია. მაგრამ სხვა გზა, 1-2 წლის მონაცემების საფუძველზე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სიცოცხლის შედეგების მახასიათებელი მაჩვენებლის მისაღებად არ არსებობს. და მაინც, პირობითი თაობის აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, იგი წარმოადგენს დემოგრაფიული სიტუაციის შეფასებისათვის ყველაზე გამოყენებულ ხერხს და კარგი პროგნოზული თვისება გააჩნია (დასკვნებში გარკვეული სიფრთხილისას).

პირობითი თაობის მაჩვენებლებს უფრო – დინამიური ხასიათი აქვთ, ვიდრე რეალური თაობის მაჩვენებლებს, ისინი ფხიზლად რეაგირებენ ქვეყნის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილებებზე და ამიტომ დროის მცირე მონაკვეთში წარმოადგენენ დემოგრაფიული სიტუაციის კარგ ბარომეტრს. რეალური თაობის მაჩვენებლები, პირიქით, ხანგრძლივი ცვლილების მიმართულებათა ინდიკატორს წარმოადგენენ. ასე, რომ ამ ორი მეთოდიდან თითოეული თავის შეუცვლელ როლს თამაშობს, თავისი სპეციფიკური ფასეულობა აქვს და

გონივრული გამოყენებისას ორივე მეთოდი სასარგებლოა, თითოეული თავის საზღვრებში.

3.4.2. პირობითი თაობის მეთოდით მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე ქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვის ბაანგარიშება

მოსახლეობის აღწერების მონაცემების საფუძველზე ვნახოთ თუ როგორ გამოიყენება პირობითი თაობის მეთოდი ქორწინებითი სტრუქტურის მდგომარეობისა და დინამიკის დასახასიათებლად.

3.4. ცხრილში მაგალითისათვის მოცემულია 1989 წლის აღწერის კრიტიკული მომენტისათვის (ე.ი. ერთ წამში, 1989 წლის 11-დან 12 იანვრის ღამის 0 სთ-ზე, რაც რეალურად, ცხადია, შეუძლებელია) ქალების ერთი თაობის მიერ პირობითად 16-დან 50 წლამდე ასაკში, ქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვის გაანგარიშება. ქორწინებითი მდგომარეობის დანარჩენ კატეგორიებში ნაცოცხლები წლების რიცხვი ზუსტად ისევე იანგარიშება როგორც მოცემულ მაგალითში.

გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$${}^mT_x = \sum_{16}^x \frac{{}^mP_x}{P_x} \times n$$

სადაც mT_x – პირობითი თაობიდან ერთი ქალის მიერ ქორწინებაში საშუალოდ ნაცოცხლები წლების რიცხვია; mP_x – „x“ ასაკში ქორწინებაში მყოფი ქალების რიცხვი; P_x – „x“ ასაკის ყველა (ე.ი. ქორწინებითი მდგომარეობის ყველა კატეგორიის) ქალების რიცხვი; n – ასაკობრივი ინტერვალის წლების რიცხვია.

3.4. ცხრილის მეორე სვეტში მოტანილია ორ ორ-ორ წლიან 16-17 და 18-19 და 20-დან 50 წლამდე ექვს ხუთწლიან ინტერვალში ქორწინებაში მყოფი ქალების ხვედრითი წილი. ყველანი ისინი 34 წლის განმავლობაში სხვადასხვა წელს დაიბადნენ და მაშასადამე მიეკუთვნებიან 34-ერთწლიან რეალურ თაობებს. ჩვენ კი ჩვენი გონების მიერ მიღებული თამაშის წესების თანახმად ამ ქალებს ერთ თაობას ვაკუთვნებთ.

მეორე სვეტში ქალების ხვედრითი წილის ახსნა შეიძლება, როგორც მოცემული პირობითი თაობიდან ერთი საშუალო ქალის მიერ თითოეულ ასაკობრივ ინტერვალში ერთი წლის განმავლობაში ქორწინებაში ნაცოცხლებ კაც-წელიწადების რიცხვი. მაშინ იმისათვის, რომ მივიღოთ მთელი ასაკობრივი ინტერვალის განმავლობაში ქორწინებაში ნაცოცხლები კაც-წელიწადების რიცხვი, საჭიროა თითოეული ხვედრითი წილი უბრალოდ გავამრავლოთ ასაკობრივი ინტერვალის წლების რიცხვზე.

ცხრილი 3.4.

რუსეთში 16-დან 50 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში, პირობითი თაობიდან საშუალოდ ერთი ქალის მიერ ქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვის გაანგარიშება (1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით)

ასაკობრივი ჯგუფები (წელი)	ქორწინებაში მყოფი ქალების ხვედრითი წილი (ერთეულის წილებში)	საშუალოდ ერთი ქალის მიერ თითოეულ ასაკობრ „ი“ ინტერვალში ქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვი
16-17	0,037	0,074
18-19	0,233	0,466
20-24	0,622	3,110
25-29	0,801	4,005
30-34	0,824	4,120
35-39	0,805	4,025
40-44	0,774	3,870
45-49	0,739	3,695
	ჯამი $\Sigma =$	23,365 ანუ $\approx 23,4$ წელს

ასე მაგალითად, 16-17 წლის ასაკში საშუალოდ ერთი ქალის მიერ (მოცემული პირობითი თაობიდან) ქორწინებაში ნაცოცხლებია: $0,037 \times 2 = 0,074$ წელი; 18-19 წლის ასაკში – $0,233 \times 2 = 0,466$; 20-24 წლის ასაკში – $0,662 \times 5 = 3,110$ წელი და ა.შ. (იხ. 3.4. ცხრილის 2 და 3 სვეტები) ჯამში ვღებულობთ 23,365 წელს, რომელსაც ვამრგვალებთ 23,4 წლამდე. შედეგი შემდეგნაირად აიხსნება. იმ პირობით, რომ თუკი რუსეთის ქალების ქორწინებითი მდგომარეობის დონე უცვლელი დარჩებოდა

განუსაზღვრელად დიდი ხნის განმავლობაში და სწორედ ისეთი, როგორც 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მომენტისათვის იყო, მოცემული პირობითი თაობის საშუალოდ ერთი ქალი თავისი ცხოვრების 16-დან 50 წლამდე ინტერვალში 23,4 წელს ქორწინებაში იცოცხლებდა.

ცხრილი 3.4^ა

საქართველოში 16-დან 50 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში, პირობითი თაობიდან საშუალოდ ერთი ქალის მიერ ქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვის გაანგარიშება (1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით)

ასაკობრივი ჯგუფები (წელი)	ქორწინებაში მყოფი ქალების ხვედრითი წილი (ერთეულის წილებში)	საშუალოდ ერთი ქალის მიერ თითოეულ ასაკობრ „n“ ინტერვალში ქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვი
16-17	0,073	0,146
18-19	0,261	0,522
20-24	0,522	2,760
25-29	0,733	3,665
30-34	0,794	3,970
35-39	0,805	4,025
40-44	0,795	3,975
45-49	0,780	3,900
	ჯამი Σ =	22,963 ან ≈ 23,0 წელი

ასე მაგალითად, 16-17 წლის ასაკში საშუალოდ ერთი ქალის მიერ (მოცემული პირობითი თაობიდან) ქორწინებაში ნაცოცხლებია: $0,073 \times 2 = 0,146$ წელი; 18-19 წლის ასაკში – $0,261 \times 2 = 0,522$; 20-24 წლის ასაკში $0,522 \times 5 = 2,760$ წელი და ა.შ. (იხ. 3.4^ა ცხრილის 2 და 3 სვეტები) ჯამში ვღებულობთ 22,963 წელს, რომელსაც ვამრგვალებთ 23,0 წლამდე. შედეგი შემდეგნაირად აიხსნება. იმ პირობით, რომ თუკი საქართველოში ქალების ქორწინებითი მდგომარეობის დონე უცვლელი დარჩებოდა განუსაზღვრელად დიდი ხნის განმავლობაში და სწორედ ისეთი, როგორც 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მომენტისათვის იყო, მოცემული პირობითი თაობის საშუალოდ ერთი ქალი ცხოვრების 16-დან 50 წლამდე ინტერვალში 23,0 წელს ქორწინებაში იცოცხლებდა.

განვიხილოთ ზემოთ აღწერილი ხერხით გაანგარიშებული რუსეთის მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის ცვლილება უკანასკნელი თითქმის 40 წლის განმავლობაში (ცხრილი 3.5).

ცხრილი 3.5.

რუსეთის მოსახლეობის პირობითი თაობიდან 16-დან 50 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში საშუალოდ ერთი ადამიანის მიერ გარკვეულ ქორწინებით მდგომარეობაში ნაცოცხლები წლების რიცხვი (მოსახლეობის საკავშირო აღწერების და 1994 წლის მიკროაღწერის მონაცემებით)

მოსახლეობის აღწერის წლები	ნაცოცხლები წლების რიცხვი			
	ქორწინებაში	ქორწინებაში არასდროს არ ყოფნის	ქვრივობაში	განქორწინებაში ან გაშორებულ მდგომარეობაში
	ვ ა ჟ ე ბ ი			
1959	24,4	...	9,6	...
1970	23,9	...	10,1	...
1979	23,6	8,7	0,1	1,6
1989	22,6	9,2	0,1	2,1
1994	22,4	9,6	0,2	1,8
	ქ ა ლ ე ბ ი			
1959	19,5	...	14,5	...
1970	23,0	...	11,0	...
1979	23,3	6,8	1,1	2,8
1989	23,4	6,7	0,9	3,0
1994	22,5	7,4	0,9	3,2

ცხრილიდან ვხედავთ, რომ 1959 წლის შემდეგ რუსეთში ვაჟების მიერ ქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვი განუხრელად მცირდება. ქალებში კი, პირიქით, 1990-იან წლების პირველი ხუთწლიანი პერიოდის გარდა ეს რიცხვი იზრდებოდა.

ქორწინებამდელ პერიოდში ნაცოცხლები წლების რიცხვი ვაჟებში უფრო მეტია, ვიდრე ქალებში და მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში იზრდებოდა (იხევე როგორც ქალებშიც). ვაჟებში ეს მოვლენა იმ ფაქტს ასახავს, რომ ვაჟები

საშუალოდ უფრო გვიან ქორწინდებიან, ვიდრე ქალები. ქალების შესახებ მონაცემები კი ასახავენ ტრადიციული ქორწინებისადმი ინტერესის შემცირების შესაძლო დასაწყისს.

ქვრივობაში და განქორწინებაში („გაშორებასთან“ ერთად, სიტყვა, რომელიც შეუძლებელია, რომ გარდაკმნათ ზედსართავად, ამიტომ უკეთესია იგი პირობითად განქორწინებასთან გავერთიანოთ) ნაცოცხლები წლების რიცხვი ქალებში მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ვაჟებში. ეს აიხსნება ქალებისათვის განმეორებით ქორწინებაში შესვლის უფრო დიდი სირთულეებით, ვიდრე ვაჟებისათვის.

განვიხილოთ ზემოთ აღწერილი ხერხით გაანგარიშებული საქართველოს მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის ცვლილება 1939-1989 წლების განმავლობაში (ცხრილი 3.5^ა).

ცხრილიდან ჩანს, რომ 1959 წლის შემდეგ საქართველოში ვაჟების მიერ ქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვი თითქმის განუხრელად მცირდებოდა, ხოლო მანამდე კი 1939-1959 წლების შუალედში უმნიშვნელო ზრდა აღინიშნებოდა. ქალებში პირიქით, 1939-1959 წლებში ეს რიცხვი საკმაოდ, მნიშვნელოვნად მთელი 4 წლით შემცირდა. ამ შემცირების უდიდესი ნაწილის კომპენსირება უკვე მომდევნო 1959-1970 წლებშივე განხორციელდა, ხოლო მას შემდეგ კი ეს მაჩვენებელი მცირედ, მაგრამ მაინც განუხრელად კლებულობს.

საქართველოში ისევე როგორც რუსეთშიც ქორწინებამდელ პერიოდში ნაცოცხლები წლების რიცხვი ვაჟებში უფრო მეტი იყო, ვიდრე ქალებში, მაგრამ რუსეთისაგან განსხვავებით, სადაც ეს სიდიდე როგორც ქალებში, ასევე ვაჟებშიც ზრდით ხასიათდებოდა, საქართველოში ადგილი ჰქონდა განსხვავებულ ტენდენციებს ვაჟებში იზრდებოდა, ქალებში კი კლებულობდა. ვაჟებში ეს მოვლენა იმ ფაქტს ასახავს, რომ ვაჟები საშუალოდ უფრო გვიან ქორწინდებიან ვიდრე ქალები. ქალების შესახებ მონაცემები კი რუსეთისაგან განსხვავებით დაქორწინებისას ქალთა ასაკის გაახალგაზრდაებაზე მიანიშნებენ და არა ტრადიციული ქორწინებისადმი ინტერესის შემცირების შესაძლო დასაწყისს, როგორც ეს რუსეთშია (თუმცა უკანასკნელი ათწლეულის შესახებ საქართველოსათვის შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო შესაძლოა ჩვენი და რუსეთის ანალოგიური მაჩვენებლების შედარება, და შესაბამისად ტენდენციის ამსახველი დასკვნები მთლად ზუსტი არც კი იყოს).

ქვრივობაში და განქორწინებაში ნაცოცხლები წლების რიცხვი ბოლო ორი ალწერის მონაცემებით ქალებში მნიშვნელოვნად მეტი იყო, ვიდრე ვაჟებში. და ეს აიხსნება ქალებისათვის განმეორებით დაქორწინების უფრო დიდი სირთულით, ვიდრე ვაჟებისათვის, ხოლო რაც შეეხება წინა სამი ალწერის მონაცემებს, რომლებიც მოტანილია ცხრილში ქვრივობის გრაფაში, აქ გაერთიანებულია ქორწინებაში არ მყოფები (როგორც ქორწინებაში არასდროს არ მყოფები, ქვრივები და განქორწინებულები ან გაშორებულები – რადგანაც მაშინდელი ალწერის პროგრამა მათი ცალკე გამოყოფის საშუალებას არ იძლევა) და მათში ნაჩვენები არაერთგვაროვანი ტენდენციები სპეციალურ ანალიზს საჭიროებენ.

ცხრილი 3.5^ა

საქართველოს მოსახლეობის პირობითი თაობიდან 16-დან 50 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში საშუალოდ ერთი ადამიანის მიერ გარკვეულ ქორწინებით მდგომარეობაში ნაცოცხლები წლების რიცხვი (მოსახლეობის საკავშირო აღწერების მონაცემებით)

მოსახლეობის აღწერის წლები	ნაცოცხლები წლების რიცხვი			
	ქორწინებაში	ქორწინებაში არასდროს არ ყოფნისას	ქვრივობაში	განქორწინებაში ან გაშორებულ მდგომარეობაში
	გ ა ჟ ე ბ ი			
1939	23,0	...	11,1	...
1959	23,3	...	10,7	...
1970	22,9	...	11,1	...
1979	22,9	10,3	0,1	0,4
1989	22,2	10,7	0,2	0,6
	ქ ა ლ ე ბ ი			
1939	24,8	...	9,2	...
1959	20,8	...	13,2	...
1970	23,4	...	10,6	...
1979	23,1	8,2	1,1	1,4
1989	23,0	8,1	1,1	1,6

3.5. მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურა

ეს სტრუქტურა ახასიათებს მოსახლეობის განაწილებას ქორწინების ინსტიტუტისა და ოჯახთან მიმართებაში დამოკიდებულების მიხედვით.

დემოგრაფიაში ოჯახი განიმარტება, როგორც ნათესაური, ან მოყვრული კავშირით, ერთად ცხოვრებითა და ბიუჯეტით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი.

ასეთი განმარტება განპირობებულია დემოგრაფიულ სტატისტიკაში ოჯახზე დაკვირვების სპეციფიკით. დემოგრაფიაში ოჯახების რიცხვისა და სტრუქტურის შესახებ ცნობების მთავარ წყაროს წარმოადგენენ მოსახლეობის აღწერები, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ საკმაოდ მარტივი, გამოსაკითხი მოქალაქეების მიერ ერთნაირად გაგებული ნიშნები დააფიქსირონ. ამიტომ ოჯახის დემოგრაფიულ განმარტებაში არ შედის ოჯახის სოციოლოგიურ განმარტებაში გამოყენებული ერთ-ერთი ატრიბუტი – კერძოდ კი, მისი წევრების ერთმანეთის მიმართ ურთიერთპასუხისმგებლობა. მოსახლეობის აღწერისას თავად ასეთი პასუხისმგებლობის არსებობისა და ხარისხის, ყველა გამოსაკითხისათვის, საკმაოდ ერთგვაროვნად დადგენა შეუძლებელია. იმავე მიზეზით დემოგრაფიაში ოჯახის ცნება არ ითვალისწინებს კავშირს ცალ-ცალკე მცხოვრები და თავის საკუთარი მეურნეობის მქონე ნათესაურ ოჯახებს შორის, ასევე ოჯახის წევრებს შორის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით მისგან ცალკე ცხოვრობენ, თუნდაც ისინი მოცემულ ოჯახთან ინარჩუნებდნენ მყარ კონტაქტებს, მაგრამ რომელთა მიმართაც უცნობია, შეუერთდებიან თუ არა ისინი მას თვალსაწიერ მომავალში (ჯარში მომსახურე, ხანგრძლივი ვადით სამუშაოდ წასული და პატიმარი, ოჯახიდან ცალკე მცხოვრები სტუდენტი და ა.შ. – შვილები). ამ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობამ ეგრეთ წოდებული „ოჯახის ცალკე მცხოვრები წევრების“ ცნების შემოტანითა და აღრიცხვით დადებითი შედეგი არ მოგვცა. მოსახლეობის რამოდენიმე აღწერის მონაცემები, რომლებშიც ეს კატეგორია გამოიყენებოდა, ერთობ გაურკვეველი იყო. გაურკვეველი იყო მაინც თუ როგორ უნდა აგვედრიცხა „ოჯახის – ეს პირობითი წევრები“: თუ ოჯახის წევრებად, მაშინ როგორ და რომელი ოჯახისათვის უნდა მიგვემატებინა ისინი, თუ ეს ხალხი მაინც განგვეხილა როგორც ოჯახის ცალკე მცხოვრები (აღწერის მომენტისათვის) მარტოხელები. უკანასკნელ დროს მეცნიერები მგონი უფრო მეტად მეორე მოსაზრებისაკენ იხრებიან, ე.ი. იმისაკენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში

ოჯახიდან მოშორებით მცხოვრები ადამიანები განიხილონ როგორც უოჯახოები. მოკლედ, რომ ვთქვათ, დემოგრაფიაში ოჯახი – მთლად ის არაა, რაც რეალურ ცხოვრებაში, ეს **საადწერო** ოჯახია. ეს გარემოება რამდენადმე აღარიბებს ოჯახის სოციალური ინსტიტუტის, მისი სტრუქტურის, ცალკე მცხოვრებ ნათესავებთან რეალური ურთიერთდამოკიდებულებისა და მათი ცვლილების შესახებ ცოდნას. და აქ ოჯახის შესახებ ინფორმაციის წყაროთა სისტემის შეცვლის გარდა უკვე აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლება. ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა არ ავლენს ამ მიმართულებით (ოჯახის მისი შემადგენლობისა და ცვლილების შესახებ ინფორმაციის სრულყოფის მიმართულებით) ინტერესს და არ დგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს.

ოჯახი – საზოგადოებაში ერთ-ერთი ძირითადი სოციალური ინსტიტუტი და ძირითადი დემოგრაფიული უჯრედია. იგი ბევრ სოციალურ ფუნქციას ასრულებს, მათგან დემოგრაფიულს მიეკუთვნება: 1) ბავშვების დაბადება და მოვლა; 2) ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა; 3) საკუთარი სტაბილურობის უზრუნველყოფა (ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რადგანაც ოჯახის ინსტიტუტის სტაბილურობა და საზოგადოების სტაბილურობა მრავალმხრივია ურთიერთგანპირობებული). დიდი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ მოსახლეობის კვლავწარმოება თითქმის მთლიანად ოჯახში ხდება.

დემოგრაფიაში ოჯახები ჯგუფდება ზომის, ქორწინებითი მდგომარეობის, სტრუქტურისა და ტიპების მიხედვით.

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის **ოჯახის საშუალო ზომა** განისაზღვრება ოჯახთან ერთად მცხოვრები ხალხის რიცხვის ოჯახების რიცხვზე გაყოფით.

ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, ოჯახების შემადგენლობაში ცოლქმრული წყვილების არსებობის შესაბამისად, განასხვავებენ **სრულ** და **არასრულ** ოჯახებს. **სრულ ოჯახს** თავის შემადგენლობაში **თუნდაც ერთი ცოლქმრული წყვილი** მაინც ჰყავს, შესაბამისად **არასრულ ოჯახს** თავის შემადგენლობაში არც ერთი ცოლქმრული წყვილი არა ჰყავს (დედა ან მამა ბავშვებით, ძმების, დებისა და სხვა ნათესავებისაგან შემდგარი ოჯახები).

თავის სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ **მარტივ** და **რთულ** ოჯახებს. **მარტივი** (ანუ ნუკლეარული) ოჯახი შედგება ერთი ცოლქმრული წყვილისაგან ბავშვებით, ან უბავშვოდ, სხვა ნათესავების გარეშე ან ერთ-ერთი

მშობლისაგან, ბავშვებით (ბავშვით). **რთული** ოჯახი შეიძლება შედგებოდეს ორი ან რამდენიმე ცოლქმრული წყვილისა და ნათესავების სრულიად განსხვავებული კომბინაციისაგან.

რუსეთში (ისევე როგორც სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში) ოჯახის ცვლილების ხანგრძლივი ტენდენციაა – მისი ზომების შემცირება და სტრუქტურის გამარტივება. ოჯახის ზომის შემცირება ძალიან ნელი, მაგრამ განუხრელი პროცესია. 30 წლის მანძილზე 1959-დან 1989 წლამდე ოჯახის საშუალო ზომა 3,63 ადამიანიდან 3,27 ადამიანამდე შემცირდა (მაჩვენებლის სიზუსტის ასეთი ნელი და მცირე ცვლილებისას მძიმის შემდეგ ერთი ნიშნის სიზუსტე არაა საკმარისი, მისი დინამიკის დახასიათებისათვის საჭიროა მეორე ნიშანიც), ამასთან ქალაქებში – 3,45-დან 3,19-მდე, სოფლებში – 3,75-დან 3,28-მდე (ცხრილი 3.6). შემდეგ, 1990-იანი წლების პირველ ნახევარში 1994 წლის მოსახლეობის მიკროაღწერის მონაცემებით, ოჯახის საშუალო ზომა ყველა სპეციალისტისათვის მოულოდნელად ცოტ-ცოტათი 0,05 ადამიანით გაიზარდა. ზოგიერთი მათგანის აზრით წინანდელი ტენდენციისაგან ეს მცირე გადახრა შეიძლება აიხსნას 90-იანი წლების პირველ ნახევარში ახალგაზრდა ოჯახების მიერ ბინის შეძენაში გაძლიერებული სირთულეებით. სამწუხაროდ, ამჟამად ემპირიული მეთოდებით ამ ვარაუდის შემოწმება შეუძლებელია, რადგანაც სავსელე გამოკვლევებზე ფაქტიურად არც სახსრები და არც კადრები არ გამოიყოფა.

ოჯახთა ზომების შემცირების ძირითადი ფაქტორებია – ოჯახებში ბავშვთა რიცხვის შემცირება, რთული ოჯახების მარტივ ოჯახებად დანაწევრება (ძირითადად მშობლებისაგან ახალგაზრდული ოჯახების გამოყოფის ხარჯზე) და ამგვარად, მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურის გამარტივება.

რუსეთისაგან განსხვავებით, სადაც ოჯახის საშუალო ზომა აღწერიდან აღწერამდე განუხრელად მცირდებოდა მთლიანად საქართველოში ოჯახის საშუალო ზომა მცირედ, მაგრამ მაინც ხან იზრდებოდა, ხან კი კლებულობდა. ქვეყანაში ოჯახის საშუალო ზომის ასეთი ცვალებადი ტენდენცია განპირობებული იყო მხოლოდ სოფლის მოსახლეობაში არსებული ანალოგიური ტენდენციით, ხოლო ქალაქად კი მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში ოჯახის საშუალო ზომა ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდებოდა. 30 წლის მანძილზე 1959-დან 1989 წლამდე ოჯახის საშუალო ზომა საქართველოში 3,99 ადამიანიდან 4,06 ადამიანამდე გაიზარდა (მაჩვენებლის სიზუსტის ასეთი ნელი და მცირე ცვლილებისას მძიმის შემდეგ ერთი ნიშნის სიზუსტე არაა საკმარისი, მისი დინამიკის დახასიათებისათვის საჭიროა მეორე ნიშანიც, რომელსაც სტატისტიკური კრებულები სამწუხაროდ არ იძლევიან, რის გამოც იძულებული გავხდით ხელახლა გამოგვეთვალა ოჯახის საშუალო ზომის მაჩვენებლები – ქართულად მთარგმნელის შენიშვნა), ამასთან ქალაქებში – 3,71-დან 3,98-მდე, სოფლებში კი შემცირდა 4,20-დან 4,17-მდე (ცხრილი 3.6^ა)

რუსეთისაგან განსხვავებით, სადაც 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, 1994 წლის მიკროაღწერამ დააფიქსირა ოჯახის საშუალო ზომის ზრდა, ჩვენთან საქართველოში იგივე პროცესი უფრო ადრე 1979-დან 1989 წლამდე პერიოდში აღინიშნა, როცა ამ უკანასკნელმა აღწერამ წინასთან შედარებით ოჯახის საშუალო ზომის 0,03 ადამიანით ზრდა აჩვენა და არ გამოუწვევია სპეციალისტთა გაოცება, რადგანაც მისი ახსნა შეიძლება, ჯერ ერთი, რუსეთთან შედარებით საქართველოში ოჯახთა ნუკლეარიზაციის დაბალი ტემპებით და მეორეს მხრივ ურბანიზაციის მაღალი დონით და ამის გამო ქალაქად საბინაო მშენებლობასა და უზრუნველყოფაში არსებული მწვავე დეფიციტით. ამის დასტურია სწორედ 3.6² ცხრილში მოტანილი მონაცემები ქალაქად ოჯახის საშუალო ზომის განუხრელი ზრდის, ხოლო სოფლად კი 1970 წლებიდან ამ ზომის განუხრელი შემცირების შესახებ, ე.ი. ქალაქებთან შედარებით ნუკლეარიზაცია სოფლად უფრო სწრაფად მიმდინარეობდა.

თანდათანობით იცვლება ოჯახების განაწილება ტიპების მიხედვითაც. (იხ. ცხრილი 3.7.) იზრდება მარტივი¹ ოჯახების წილი და მცირდება რთული ოჯახების წილი, ასე მაგალითად, 1970-დან 1989 წლის აღწერებს შორის 18 წელიწადში (1959 წლის აღწერისას, ჯამების დამუშავების პროცესში ოჯახების ტიპებად განაწილება არ მომხდარა) სრული ნუკლეარული ოჯახების წილი ოჯახების საერთო რიცხვში

1. თავისი სტრუქტურით მარტივ ოჯახებს აგრეთვე ეწოდებათ ნუკლეარული (ატომური ლათ. nucleus - ატომი), ხოლო აქედან ოჯახის საერთო რიცხვში ნუკლეარული ოჯახის ზრდის პროცესმა ოჯახთა ნუკლეარიზაციის პროცესის სახელწოდება მიიღო.

ცხრილი 3.6.

რუსეთში, ოჯახების ზომის მიხედვით განაწილება
 (მოსახლეობის 1959-1989 წლების საკავშირო აღწერებისა და 1994 წლის სრულიად
 რუსეთის მოსახლეობის მიკროაღწერის მონაცემებით, პროცენტობით
 ოჯახების საერთო რიცხვიდან)

აღწერის წლები	ოჯახის ზომა, ადამიანების რიცხვი				
	2	3	4	5 და მეტი	ოჯახის საშუალო ზომა
	მოთელი მოსახლეობა				
1959	26,7	26,6	21,8	24,9	3,60
1970	26,5	27,9	24,9	20,6	3,48
1979	31,6	31,5	23,4	13,5	3,24
1989	34,2	28,0	25,2	12,6	3,21
1994	32,4	28,0	25,4	14,2	3,26
	ქალაქის მოსახლეობა				
1959	27,2	29,3	23,1	20,4	3,45
1970	26,0	31,5	26,8	15,7	3,38
1979	30,5	33,9	24,6	11,0	3,21
1989	33,1	29,6	26,1	11,2	3,19
1994	31,9	29,7	25,6	12,8	3,24
	სოფლის მოსახლეობა				
1959	26,1	23,6	20,3	30,0	3,75
1970	27,3	21,8	21,6	29,3	3,73
1979	34,2	26,3	20,7	18,8	3,35
1989	37,2	23,6	22,8	16,4	3,28
1994	34,4	23,2	24,4	18,0	3,33

ცხრილი 3.6^ა

საქართველოში, ოჯახების ზომის მიხედვით განაწილება
(მოსახლეობის 1959-1989 წლების საკავშირო აღწერების მონაცემებით,
პროცენტობით ოჯახების საერთო რიცხვთან)

აღწერის წლები	ოჯახის ზომა, ადამიანების რიცხვი				
	2	3	4	5 და მეტი	ოჯახის საშუალო ზომა ¹
	მთელი მოსახლეობა				
1959	22,9	22,6	21,5	33,0	3,99
1970	20,4	19,8	24,1	35,7	4,06
1979	21,1	19,9	25,0	34,0	4,03
1989	21,3	19,5	25,2	34,0	4,06
	ქალაქის მოსახლეობა				
1959	25,3	25,6	23,3	25,8	3,71
1970	21,2	22,7	27,2	28,9	3,85
1979	21,4	21,6	28,3	28,7	3,88
1989	21,2	20,8	27,7	30,7	3,98
	სოფლის მოსახლეობა				
1959	21,1	20,2	20,1	38,6	4,20
1970	19,7	17,0	21,1	42,2	4,26
1979	20,8	18,0	21,3	39,9	4,20
1989	21,4	17,8	22,1	38,7	4,17

1. ოჯახის საშუალო ზომის მაჩვენებლები გაანგარიშებულია ქართულად მთარგმნელის მიერ

ცხრილი 3.7.

ოჯახის სტრუქტურის ცვლილება დემოგრაფიული ტიპების მიხედვით რუსეთის ფედერაციაში 1959-1994 წლებში (საკავშირო აღწერებისა და 1994 წლის მიკროაღწერის მასალების მიხედვით)

ოჯახის ტიპები	1970	1979	1989	1994
ოჯახები სულ:	100,0	100,0	100,0	100,0
მათ შორის				
1. ერთი ქორწინებითი წყვილი ბავშვებით ან ბავშვების გარეშე	63,3	66,3	66,9	62,0
2. ერთი ქორწინებითი წყვილი ბავშვებით ან ბავშვების გარეშე, მეუღლეთა ერთ-ერთი მშობლით ან მათ გარეშე, სხვა ნათესავებით ან მათ გარეშე	15,7	12,8	11,5	10,6
3. ორი ან მეტი ქორწინებითი წყვილი ბავშვებით ან ბავშვების გარეშე, მეუღლეთა ერთ-ერთი მშობლით ან მათ გარეშე, სხვა ნათესავებით ან მათ გარეშე	3,1	3,5	3,4	4,5
4. დედები (მამები) ბავშვებით	12,5	12,7	13,1	12,9

63,3%-დან 66,9-მდე გაიზარდა, ხოლო არასრული ოჯახებისა კი 12,5%-დან 13,1-მდე. ჯამში სრული და არასრული ნუკლეარული ოჯახების ხვედრითი წილი 75,8%-დან 80%-მდე გაიზარდა. ამრიგად, რუსეთში ოჯახების ნუკლეარიზაციის პროცესი თითქმის საყოველთაო გახდა. საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს მისი მხოლოდ დადებითად შეფასება, თუმცა უდაოა, რომ იგი გარკვეულ ხელსაყრელ პირობებს ქმნის მისი მონაწილეებისათვის.

საქართველოში თანდათანობით იცვლებოდა ოჯახების განაწილება ტიპების მიხედვითაც (იხ. ცხრილი 3.7^ა) მცირდებოდა მარტივი ოჯახების წილი და იზრდებოდა რთული ოჯახების წილი. ასე მაგალითად, 1970-დან 1989 წლის აღწერებს შორის 18 წელიწადში სრული ნუკლეარული ოჯახების წილი ოჯახების საერთო რიცხვში 59,5%-დან 51,5-მდე შემცირდა, ხოლო არასრული ოჯახებისა კი 10,4%-დან 11,1%-მდე გაიზარდა. ჯამში სრული და არასრული ნუკლეარული ოჯახების ხვედრითი წილი 69,9%-დან 62,6-მდე შემცირდა. ამის მიზეზები კი ჩვენი აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ურბანიზაციისა და საბინაო ტემპებს შორის არსებულ დისპროპორციაში უნდა ვეძებოთ. ხოლო აქედან გამომდინარე 1989 წლის აღწერის მომენტისათვის ოჯახთა ტიპების მიხედვით განაწილებაში არსებული მდგომარეობა საქართველოსა და რუსეთში რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუკი რუსეთში ნუკლეარიზაციის პროცესს უკვე საყოველთაო ხასიათი ჰქონდა,

რაც მთლად დადებით მომენტად არ შეიძლება რომ შეფასდეს, საქართველოში ჯერ კიდევ მძლავრობდა ტრადიციული დიდი (რთული) ოჯახის გავრცელების სიხშირე, რაც უღაოდ დადებითი ელემენტის მატარებელი ფენომენია და მისი გარკვეული დოზით შენარჩუნება დემოგრაფიული და სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც უახლოეს თვალსაწიერ მომავალში აუცილებელია.

ოჯახების დანაწევრება, მარტივი არასრული ოჯახების ზრდა (განქორწინების, დაქვრივებისა და ქორწინების გარეშე დაბადებათა შედეგად) უფრო ხშირად თანდათანობით ხდება, ჯერ ტერიტორიულად, მაშინ როცა, როგორც მეგობრული ასევე მატერიალური ურთიერთობებიც დანაწევრებულ ოჯახებს შორის შეიძლება შენარჩუნებული იყოს. ასეთმა წარმონაქმნებმა ოჯახური ჯგუფების¹ სახელწოდება მიიღეს. **ოჯახური ჯგუფი – ესაა ორი, ან მეტი ოჯახი, რომლის წევრებიც ნათესაურ, ან მოყვრულ ურთიერთობაში იმყოფებიან, ცხოვრობენ ერთად ან ცალ-ცალკე, დაკავშირებულნი არიან საერთო მატერიალური ინტერესებით, მორალურ-ფსიქოლოგიური და ემოციური ურთიერთობებით, დაინტერესებულნი არიან ერთმანეთის დახმარებით, ინფორმაციითა და ურთიერთობებით, მაგრამ გააჩნიათ ცალ-ცალკე მეურნეობა.** ოჯახური ჯგუფების მკვლევარები თვლიან, რომ შესაძლებელია ოჯახებს შორის კოოპერირების ასეთი ფორმა წარმოადგენს ოჯახის სოციალური ინსტიტუტის მხარდამჭერ კომპრომისულ საშუალებას, რომელიც თავის თავში აერთიანებს დიდ რთულ ოჯახში ცხოვრების უპირატესობას, მისი ურთიერთდახმარებითა და კონტროლით, მცირე ნუკლარულ ოჯახში ცხოვრების უპირატესობასთან, თავისი ქცევის შედარებითი თავისუფლებით.

ოჯახის საშუალო ზომისა და სტრუქტურის ცვლილების განმსაზღვრელი ფაქტორებია:

1. **ქორწინებისა და შობადობის დონეთა ტენდენციები.** რაც მეტია ქორწინების დონე, მით მეტია ოჯახები და მეტია მოსახლეობაში, ოჯახებში მცხოვრები ადამიანების ხვედრითი წილი. რადგანაც ბავშვების უმეტესობა იბადება ოჯახში და რაც უფრო მეტია ოჯახები (და დაეუმატებთ: რაც უფრო მტკიცეა ისინი), მაშინ სხვა ხელსაყრელ პირობებში ოჯახებს მეტი შვილები ჰყავთ, და

1. „ოჯახური ჯგუფის“ ცნება შემოთავაზებული იყო 1976 წელს არქიტექტორთა ჯგუფის მიერ, რომლებიც სწავლობდნენ ოჯახური ურთიერთობის ამ ფორმას და თავიანთი კვლევის შედეგები წარმოადგინეს წიგნში და რიგ სტატიებში (იხ. წიგნი, 1983.

ცხრილი 3.7^ა

ოჯახის სტრუქტურის ცვლილება დემოგრაფიული ტიპების მიხედვით საქართველოში 1970-1989 წლებში (საკავშირო აღწერების მასალების მიხედვით)

ოჯახის ტიპები	1970	1979	1989
ოჯახები სულ:	100,0	100,0	100,0
მათ შორის			
1. ერთი ქორწინებითი წყვილი ბავშვებით ან ბავშვების გარეშე	59,5	57,2	51,5
2. ერთი ქორწინებითი წყვილი ბავშვებით ან ბავშვების გარეშე, მეუღლეთა ერთ-ერთი მშობლით ან მათ გარეშე, სხვა ნათესავებით ან მათ გარეშე	17,8	17,5	18,1
3. ორი ან მეტი ქორწინებითი წყვილი ბავშვებით ან ბავშვების გარეშე, მეუღლეთა ერთ-ერთი მშობლით ან მათ გარეშე, სხვა ნათესავებით ან მათ გარეშე	6,3	8,9	12,6
4. დედები (მამები) ბავშვებით	10,4	10,3	11,1
5. დანარჩენი ოჯახები	6,0	6,1	6,7

შესაბამისად მით უფრო დიდია თავად ოჯახები.

2. მოკვდაობის, განსაკუთრებით კი ბავშვთა მოკვდაობის დონეთა ტენდენციები. რაც უფრო დაბალია უფროსების მოკვდაობა მით უფრო ნაკლებია დაქვრივების დონე, მით მეტია ქორწინებაში სიცოცხლის ხანგრძლივობა და მეუღლეთა სურვილის შემთხვევაში იყოლიონ ბავშვები (ე.ი. შვილები) ისინი მეტი იქნებიან და შესაბამისად დიდი იქნება ოჯახის ზომაც.

3. ოჯახური ცხოვრების ტრადიციის ცვლილება (მარტივი, ან რთული ოჯახების მიერ). სამრეწველო რევოლუციის შემდგომ, საზოგადოებათა განვითარება ოჯახის საშუაშაველო ფუნქციის თანდათანობითი ლიკვიდაციის მიმართულებით მიდის, რომელსაც იგი ათასობით წელი ასრულებდა და რომელიც თანდათანობით გადადის ოჯახიდან სახელმწიფოსა და სხვა სოციალურ ინსტიტუტებზე. ამიტომ ოჯახში ცხოვრება თანდათანობით კარგავს თავის მიმზიდველობასა და ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, არ უნდათ თავიანთი თავისუფლებით იხადონ გარემო სამყაროსაგან იმ დაცვისთვის, რომლებსაც ოჯახი თავის წევრებს მრავალი საუკუნისა და ათასწლეულების განმავლობაში აძლევდა. ამიტომაც ახალგაზრდობა, დაქორწინებისა და თავისი ოჯახის შექმნისთანავე ჩქარობს გამოეყოს მშობლებს, განთავისუფლდნენ მათი დაქვემდებარებისაგან. შედეგად ოჯახები სულ უფრო და უფრო მეტი ხდება, მაგრამ მათი ზომები მცირდება, ხოლო სტრუქტურა მარტივდება.

4. საბინაო უზრუნველყოფა. ეს ფაქტორი ყველა სხვებისაგან განსხვავებით ყველაზე წინააღმდეგობრივად მოქმედებს. არაა საჭირო მეცნიერებაში ჩაღრმავება იმისათვის, რათა გავიგოთ, რომ ოჯახის შექმნისა და ბავშვების გაჩენისათვის საჭიროა ბინის ქონა და სასურველია კარგისა და ტევადის. და რაც უფრო მეტი ბავშვია, რაც უფრო დიდია ოჯახი, სრულებით აშკარაა, რომ მით მეტი ზომის საცხოვრისია საჭირო (საცხოვრისის დანარჩენი კეთილმოწყობის შესახებ ახლა არაფერს არ ვიტყვით, თუმცა ცხადია, რომ ისინიც აუცილებელია).

პარადოქსი კი იმაში მდგომარეობს, რომ იმისათვის, რათა გაიყარონ (დანაწილდნენ – ა.ს.) ასევე საჭიროა საცხოვრისი, სადაც ისინი უნდა გადავიდნენ. და ამრიგად, საბინაო უკმარისობა, ერთის მხრივ აფერხებს ქორწინებასა და შობადობის ზრდას, ხოლო მეორეს მხრივ – აფერხებს განქორწინებებს (ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მე მივესალმები ჩვენს მუდმივ საბინაო უკმარისობას, როგორც განქორწინებისაგან პანაცეას).

3.6. ოჯახი და სახლთმეურნეობა

მოსახლეობის აღწერებში ოჯახთან ერთად, ხოლო ზოგჯერ მის ნაცვლადაც შეისწავლება მოსახლეობის სახლთმეურნეობებად განაწილება. მოსახლეობის აღწერებში სახლთმეურნეობა განიხილება არა როგორც სამეურნეო საქმიანობის სახე (საოჯახო მეურნეობის წარმოება, ყოფის ორგანიზაცია), არამედ როგორც ერთი ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც დამოუკიდებლად ანხორციელებენ თავიანთი ყოფის (ყოფა-ცხოვრების) ორგანიზებას. ოჯახისაგან განსხვავებით სახლთმეურნეობის წევრებად შეიძლება იყვნენ არა მარტო ნათესავები, ან მოყვრები, არამედ მეგობრებიც, კომპანიონებიც, პანსიონერები, სახლთმეურნეობაში მუდმივი მცხოვრები და მის ორგანიზებაში მონაწილე დაქირავებული მუშაკები. სახლთმეურნეობის წარმომქნელ ნიშნებს წარმოადგენენ მისი წევრების ბიუჯეტის ერთიანობა (სრული ან ნაწილობრივი) მათი მუდმივი ერთად ცხოვრება და კვება.

მოსახლეობის აღწერებში სახლთმეურნეობის დაკვირვების ერთეულად გამოყენება ნაკარნახევია ოჯახებისა და მარტოხელა ადამიანების ყოფითი ყაიდისადმი ყურადღებით. ამასთან აუცილებელია სახლთმეურნეობაში გაერთიანებული ადამიანების სამართლებრივი სტრუქტურის გათვალისწინება. ის მხოლოდ ნებაყოფლობითი შეიძლება იყოს. არამართალზომიერია სხვადასხვა დაწესებულებებში: საავადმყოფოებში, ინტერნატებში, მონასტრებში და ა.შ. ხალხის ცხოვრების სახლთმეურნეობასთან გათანაბრება, რადგანაც ამ დაწესებულებებში ხალხი იძულებულია დაემორჩილოს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ განაწესს. რაოდენ რიგიანიც არ უნდა იყოს ცხოვრება ნებისმიერ დაწესებულებაში იგი ვერასდროს ვერ შეედრება თავის საცხოვრისში (მეურნეობაში) ცხოვრებას. ამიტომ, ნებისმიერი სახის დაწესებულებაში მუდმივად მცხოვრები მასში თავისი გამოცალკევებული მეურნეობის (და ბიუჯეტის) არ მქონე ხალხი, აღწერებისას უნდა აღირიცხებოდნენ სახლთმეურნეობის გარეშე მცხოვრებად (საკუთარი სახლთმეურნეობის არ მქონეებად). გაეროს სპეციალისტების მიერ შემუშავებული, მოსახლეობის და საცხოვრისის აღწერების ჩატარების პრინციპები სხვადასხვანაირად განმარტავენ ხალხის ამ კატეგორიას. ასე მაგალითად, 1950-1960 წლების რეკომენდაციებით ურჩევდნენ, რომ დაწესებულებებში მუდმივად მცხოვრები ადამიანები აღერიცხათ „კოლექტიური სახლთმეურნეობის“ წევრებად. 1980-1990 წლების რეკომენდაციებში კი შემოთავაზებულია, რომ ისინი აღირიცხონ, როგორც სახლთმეურნეობის გარეშე მცხოვრებნი, რაც უფრო სწორად გვეჩვენება.

ჩვენს ქვეყანაში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ 1994 წლის მიკროაღწერამდე სახლთმეურნეობა საერთოდ არ აღირიცხებოდა. საბჭოთა სტატისტიკის ხელმძღვანელობის მიერ სახლთმეურნეობის აღრიცხვაზე უარის თქმა ემყარებოდა იდეოლოგიურ არგუმენტებს: რადგანაც სახლთმეურნეობის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ სახლთმეურნეობის წევრი დაქირავებული მუშაკებიც, იგი გამოცხადებული იყო მხოლოდ კაპიტალისტური წყობისათვის დამახასიათებელ კატეგორიად. ამის გარდა, კომპარტიის იმავე დოკუმენტებში („კერძო“) სახლთმეურნეობა გამოცხადებული იყო ყოფის მომაკვდავ გადმონაშთ ფორმად (ისევე როგორც „ტრადიციული“ ოჯახიც), რომელთა სანაცვლოდ აუცილებლად უნდა მოსულიყვნენ „ახალი“, „პროგრესული“ - კოლექტიური ფორმები (სახლი - კომუნები, სამზარეულო - ფაბრიკები და სასადილოები, სამრეცხაო - კომბინატები და ა.შ.). ამიტომაც იყო, რომ სახლთმეურნეობა არ იმსახურებდა სტატისტიკის ყურადღებას.

აღრიცხვის ერთეულად სახლთმეურნეობა პირველად კვლავ 1994 წლის მიკროაღწერისას იქნა გამოყენებული და დაგეგმილია მისი, ამავე რანგში მომავალ აღწერაშიც გათვალისწინება.

საქართველოში აღწერის ერთეულად „სახლთმეურნეობის“ გამოყენება გათვალისწინებულია 2002 წლისათვის დაგეგმილი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამით, რომელშიც იგი სამწუხაროდ არც თუ მთლად ზუსტად „შინამეურნეობის“ სახელწოდებითაა წარმოდგენილი.

მაგრამ დაწესებულებებში მცხოვრებთა სახლთმეურნეობასთან დამოკიდებულების მიხედვით განსაზღვრისას ჩვენმა სტატისტიკამ, როგორც ჩანს გადაწყვიტა განვითარდეს საერთაშორისო სტატისტიკის საპირისპირო მიმართულებით. ასე მაგალითად, 1994 წლის მიკროაღწერისას მოცემულ პირთა კატეგორია აღირიცხებოდა, როგორც სახლთმეურნეობის გარეშე მცხოვრებნი, ხოლო მომდევნო აღწერებში დაგეგმილია მათი „კოლექტიური“ სახლთმეურნეობის წევრებად ჩათვლა, რაც თითქმის შეურაცხმყოფელად გამოიყურება, როგორც სახლთმეურნეობის (სახლის, კერის), ასევე კოლექტივის ნებისმიერ გაგებასთან მიმართებაში. ერთადერთ სწორ ვარიანტად მიგვაჩნია კაზარმებში - სამხედრო მოსამსახურეების, ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში - პატიმრების და ა.შ. როგორც სახლთმეურნეობის გარეშე მცხოვრებ ადამიანებად აღრიცხვა.

სახლთმეურნეობანი განსხვავდებიან სახლთმეურნეობათა წევრების ოჯახური მდგომარეობის, მათი ზომისა და სტრუქტურის მიხედვით. ზომის მიხედვით სახლთმეურნეობანი იყოფიან მარტოხელებად (ერთი პირისაგან შემდგარი) და ჯგუფურად (რამდენიმე პირისაგან შემდგარი). სახლთმეურნეობის შემადგენელ

პირთა ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ისინი იყოფიან: 1) ოჯახიანებად, ე.ი. ნათესაური ან მოყვრული ურთიერთობით გაერთიანებული ადამიანებისაგან შემდგარი; 2) ჯგუფური (უოჯახოები) – სხვადასხვა სახის კომუნები, სამუშაოს მიმცემთა და მათი მუშაკებისაგან შემდგარი სახლთმეურნეობები და ა.შ.; 3) შერეული, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებულია ერთი, ან რამოდენიმე ოჯახი და სხვა ხალხი, რომლებიც ან არიან, ან არ არიან მოცემული ოჯახის ნათესაეები.

სტრუქტურის მიხედვით სახლთმეურნეობანი იყოფიან მარტივებად და რთულებად. მარტივები შედგებიან ან ერთი პირისაგან (მარტოხელები), ან ერთი მარტივი (ნუკლეარული) ოჯახისაგან. დარჩენილი – ჯგუფური და შერეული სახლთმეურნეობები – **რთულია**. ყველაზე ხშირად სახლთმეურნეობებს უკავიათ ცალკე საცხოვრებელი, მაგრამ შეიძლება ეკაოს საცხოვრებლის ნაწილიც, ან ორი და მეტი საცხოვრისი. შესაძლებელია უსახლკარო (მომთაბარე) სახლთმეურნეობაც, რომლის წევრებსაც თავიანთი ბარგი-ბარხანა თან გადააქვთ და არ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი. როგორც ჩანს საჭიროა კვლავ დაეუბრუნდეთ ისეთი კატეგორიის გამოყენებას, როგორცაა „სახლთმეურნეობის უფროსი დაკვირვების ძირითადი ერთეულის როლში“. თუ სახლთმეურნეობა გაგებულია, როგორც ეკონომიკური კატეგორია, მაშინ სახლთმეურნეობის უფროსი უკვე აღარ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ოჯახის შემთხვევაში, მხოლოდ ნომინალურად, როგორც, მის გარშემო სახლთმეურნეობის დანარჩენი წევრების დასაჯგუფებლად გამოყოფილი ოჯახის ნებისმიერი წევრი. იგი უნდა ფლობდეს გარკვეულ ეკონომიკურ ნიშნებს, რომლებიც მას გამოარჩევენ სახლთმეურნეობის წევრთა შორის. თუნდაც ეს ნიშნები არსებობდნენ მხოლოდ სახლთმეურნეობის წევრთა გონებაში, მათ ფიქსაციას გარკვეული მეცნიერული აზრი გააჩნია.

ყველა ინდუსტრიულად განვითარულ ქვეყნებში სახლთმეურნეობათა განვითარების ზოგადი ტენდენციაა მათი ზომების შემცირება და შინაგანი სტრუქტურის გამარტივება (ნუკლეარიზაცია), რაც ძირითადად დაკავშირებულია ოჯახის სტრუქტურის შესაბამის ცვლილებებთან.

თემა 4. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები¹

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის უმარტივესი მაჩვენებლები – ზოგადი კოეფიციენტები – ასე იმიტომ იწოდებიან, რომ მათი გაანგარიშებისას დემოგრაფიული შემთხვევების დაბადებათა, გარდაცვალებათა და ა.შ. რიცხვი შეეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხვს. ვინაიდან ეს კოეფიციენტები ერთმანეთს ძალიან წააგავს და ფაქტიურად ერთი და იგივე მეთოდით იგებიან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი აღწერის ცალკე თავად გამოყოფა.

მაგრამ თავდაპირველად ვისაუბროთ დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე. ყველა მაჩვენებელი შეიძლება დავეყოს ორ ძირითად სახედ: აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლად. **აბსოლუტური მაჩვენებლები** (ანუ სიდიდეები) – ეს დემოგრაფიული შემთხვევების (მოვლენების) უბრალო ჯამია: დროის მომენტში, ან ინტერვალში (უფრო ხშირად წლის განმავლობაში). მათ მიეკუთვნებიან, მაგალითად, მოსახლეობის რიცხოვნობა გარკვეული თარიღისათვის, დაბადებულთა, გარდაცვალებულთა და ა.შ. რიცხვი წლის, თვის, ან რამდენიმე წლის და ა.შ. განმავლობაში.

თავისთავად აბსოლუტური მაჩვენებლები არაა ინფორმაციული და ანალიზურ ნაშრომში ჩვეულებრივ გამოიყენებიან, როგორც საწყისი მონაცემები (ნედლეული) შეფარდებითი სიდიდეების გაანგარიშებისათვის. ისინი **გამოუსადეგარია** შედარებითი ანალიზისათვის, იმიტომ რომ მათი სიდიდეები დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობაზე, რომელთანაც ისინი ყოველთვის გარკვეულ პროპორციაში იმყოფებიან, ანუ სხვაგვარად შეიძლება ვთქვათ: რომლებიც მათ პროდუქტირებას იწვევენ, მაგალითად არ შეიძლება თქმა: „მოკვდაობა შემცირდა 200 ათასი კაცით“. გარდაცვლილთა რიცხვის შემცირება შეიძლება იყოს მოსახლეობის საერთო რიცხვის, ან მისი სტრუქტურული

1. ამ მაჩვენებელთა არსიდან გამომდინარე ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ქართულად ვთარგმნოთ არა როგორც „საერთო კოეფიციენტები“, როგორც ამას წიგნის ავტორი გვთავაზობს, არამედ როგორც „ზოგადი კოეფიციენტები“, რადგანაც ისინი ზოგად, მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნიან შესასწავლ მოვლენაზე და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათი გაანგარიშების მნიშვნელში ყველგან ფიგურირებს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

ცვლილების შედეგი. სხვა მაგალითი: თუ, ვთქვათ, 1995 წელს რესპუბლიკა ბურიატიაში დაიბადა 12 ათასი ბავშვი, ხოლო რესპუბლიკა ტივაში – 6 ათასი, არ შეიძლება ვთქვათ, რომ შობადობა ბურიატიაში ორჯერ მეტია, ვიდრე ტივაში. ბურიატიის მოსახლეობა, ხომ 3,4-ჯერ მეტია ვიდრე ტივის. მხოლოდ შემთხვევათა რიცხვის შედარებით, მოსახლეობის იმ რაოდენობასთან, რომლებმაც განაპირობეს მათი პროდუცირება, შეიძლება განვსაზღვროთ მოცემული მოვლენის, ან პროცესის შესადარებელი ინტენსივობა თითოეული შესადარებელი რესპუბლიკის მიხედვით, მივიყვანოთ ისინი შესადარ სახემდე. ბურიატიის და ტივის შედარების შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ შობადობა მაღალია ტივაში და არა ბურიატიაში, ამასთან 1,7-ჯერ.

თუ ვთქვათ, 1999 წელს ქ. თბილისში დაიბადა 9893 ბავშვი, ხოლო ქ. ქუთაისში – 2552 ბავშვი, არ შეიძლება ვთქვათ, რომ შობადობა თბილისში 3,9-ჯერ მეტია, ვიდრე ქუთაისში. თბილისის მოსახლეობა ხომ 5,0-ჯერ მეტია, ვიდრე ქუთაისის. შემთხვევათა რიცხვის შედარებით, მოსახლეობის იმ რაოდენობასთან, რომლებმაც განაპირობეს მათი პროდუცირება, შეიძლება განვსაზღვროთ მოცემული მოვლენის ან პროცესის შესადარებელი ინტენსივობა თითოეული შესადარებელი ქალაქის მიხედვით, მივიყვანოთ ისინი შესადარ სახემდე. თბილისისა და ქუთაისის შედარების შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ შობადობა მაღალია ქუთაისში და არა თბილისში, ამასთან 1,3-ჯერ.

შედარებითი ანალიზისათვის, სტატისტიკაში თუ დინამიკაში ნებისმიერი სახის შედარებისას, საჭიროა გამოვიყენოთ **მხოლოდ შეფარდებითი მაჩვენებლები**. შეფარდებითი, მათ იმიტომ ეწოდებათ, რომ ყოველთვის წარმოადგენენ წილადს, შეფარდებას მოსახლეობის იმ რიცხოვნობასთან, რომელიც მათ პროდუცირებას იწვევს, და ამრიგად მოსახლეობის რიცხოვნობის განსხვავებულობა ელიმინირდება¹ (იხსნება). რომელიმე ორი (ან რამოდენიმე) ნიშნის ნებისმიერი შედარების მთავარი მოთხოვნაა გავათანაბროთ შესასწავლი მოვლენის სხვა დანარჩენი ნიშნები, იმათ გარდა, რომლებიც უშუალოდ დარდება ერთმანეთს. მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ წარმოდგენა შესასწავლ ნიშნებს შორის არსებულ ნამდვილ სხვაობაზე. სამწუხაროდ, შესასწავლი მოვლენების შესადარ სახემდე დაყვანა, მოცემული შედარებისათვის ყველა გარეშე ფაქტორის

1. ელიმინირება – (ლათ. elimino – განვდეგნი) – 1. თავიდან მოშორება, მოცილება; 2. (მათემ.) განტოლებათა სისტემიდან უცნობი წევრის გამორიცხვა. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ., 1973. გვ. 127.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

ელიმინირება, – ისეთივე ხშირი ამოცანაა, როგორც რთული. საზოგადოებრივ მეცნიერებებში ეს ამოცანა არც თუ იშვიათად არასაკმარის დონეზე წყდება. (საზოგადოებრივი მოვლენების საერთო მასიდან დაკვირვების ობიექტის „სუფთა სახით“ გამოყოფის სირთულის გამო. როგორც წესი, ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ გონებრივი აბსტრაქციებით, და ამაში იმალება შესასწავლი მოვლენის არაადეკვატურად წარმოდგენის შიში).

თავის მხრივ შეფარდებითი მაჩვენებლები შეიძლება დავეყთ ორ ძირითად სახედ: **ალბათობები** და **კოეფიციენტები**. როგორც ალბათობის თეორიიდანაა ცნობილი, ალბათობა წარმოადგენს მომხდარი შემთხვევების რიცხვის შეფარდებას **შესაძლო** რიცხვთან. ამასთან, რა თქმა უნდა მომხდარი და შესაძლო შემთხვევები უნდა ეკუთვნოდნენ მოვლენების ერთი და იგივე სახეს (კლასს). ჩვეულებრივ, ალბათობების გაანგარიშებისას მომხდარი შემთხვევების რიცხვს, ვთქვათ წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვს, უფარდებენ მოცემული წლის დასაწყისისათვის არსებული ქალების რიცხვს. მაშინ წილადის განაყოფი გვიჩვენებს ბავშვების მოცემული რიცხვის დაბადების ალბათობას ყველა იმ პირობების განმეორებისას, რომელშიც გაკეთდა ალბათობის გაანგარიშება.

მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობაში ყოველთვის არ შეიძლება საკმაოდ მკაფიოდ გამოვეყთ მოცემული დემოგრაფიული შემთხვევის მაპროდუცირებელი მოსახლეობის ერთობლიობა. ხშირად უწევთ დემოგრაფიული შემთხვევების შეფარდება თავისი სტრუქტურით სხვადასხვაგვარი (აგრეგატული, როგორც ამბობენ სტატისტიკოსები) მოსახლეობის ერთობლიობასთან, რომელიც ერთდროულად მოიცავს ადამიანებს, რომელთათვისაც შესასწავლი დემოგრაფიული შემთხვევა შესაძლებელია გარკვეული ალბათობით, და იმათ ვისთვისაც იგი შეუძლებელია, მაგრამ არ შეიძლება მათი გაანგარიშებიდან გამორიცხვა. სწორედ ამით განსხვავდებიან კოეფიციენტები ალბათობებისაგან. პრაქტიკაში, სავსებით ცხადი მიზეზების გამო, უფრო ხშირად სწორედ კოეფიციენტებით გვიწევს სარგებლობა. ინტერვალური მაჩვენებლის (დემოგრაფიული შემთხვევების რიცხვი დროის პერიოდში) შეფარდებით ამავე პერიოდის საშუალო მოსახლეობასთან, ისინი დაიყვანებიან მომენტალური მაჩვენებლის (მოსახლეობის რიცხოვნობა) შესაბამისობამდე.

მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობა დროის გარკვეული პერიოდისათვის (უფრო ხშირად – კალენდარული წლისათვის) საკმაოდ მარტივად განისაზღვრება. თუ ვივარაუდებთ, რომ წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდა თანაბარია,

მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობა (საშუალო წლიური) შეიძლება გამოვთვალოთ როგორც იმ წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს მოსახლეობის რიცხოვნობის ნახევარჯამი, რომლისთვისაც იანგარიშება საძიებელი საშუალო. ან მოსახლეობის ეს საშუალო წლიური რიცხოვნობა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც იმ წლის დასაწყისისათვის, რომლისათვისაც ეს საშუალო გაიანგარიშება და მომდევნო წლის დასაწყისისათვის მოსახლეობის რიცხოვნობის ნახევარჯამი რაც იგივე შედეგს მოგვცემს, რასაც პირველ ვარიანტში (რადგანაც წლის ბოლოსა და მომდევნო წლის დასაწყისისათვის რიცხოვნობა პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევა).

გაანგარიშება შეიძლება წარმოვადგინოთ ფორმულის სახით:

$$P = \frac{P^t + P^{t+1}}{2}$$

სადაც P მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობაა (საანგარიშო „წ“ წელს); P^t – მოსახლეობის რიცხოვნობაა საანგარიშო („t“) წლის დასაწყისისათვის; P^{t+1} – მოსახლეობის რიცხოვნობაა მომდევნო, ე.ი. $t+1$ წლის დასაწყისისათვის.

ახლა განვიხილოთ ფორმულები, რომლითაც გაიანგარიშება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები. დასაწყისში ლათინური და რუსული ალფაბეტის ასოების მონაცვლეობითი გამოყენებით შემოვიღოთ პირობითი აღნიშვნები (სამწუხაროდ ნოტაცია, ე.ი. ფორმულაში პირობითი ნიშნების აღნიშვნა, დემოგრაფიაში ჯერ კიდევ არაა სრულად სტანდარტიზებული. ამიტომ მთელ მსოფლიოში ავტორები იყენებენ იმ ნოტაციას, რომლებიც მათ უფრო შესაფერისად მიაჩნიათ). გამოყენებულ ასოებს განვიხილავთ არა როგორც ეროვნული ალფაბეტის ასოებს, არამედ მხოლოდ როგორც პირობით ნიშნებს. ამასთან, ზოგადი პრინციპი ასეთია: მთავრული ასოებით აღინიშნება აბსოლუტური მაჩვენებლები, ნუსხური ასოებით კი – შეფარდებითი მაჩვენებლები. აქედან N – საანგარიშო პერიოდში (ჩვეულებრივ ესაა კალენდარული წელი, მაგრამ შეიძლება იყოს ნახევარი წელი, კვარტალი, თვე, რამდენიმე წელი) დაბადებულთა რიცხვია, შეიძლება დამატებითი ცნობების (დედის ასაკი, მათი ქორწინებითი მდგომარეობა და ა.შ.) აღმნიშვნელი ზედა და ქვედა ინდექსებით; შესაბამისად, n – შობადობის ზოგადი კოეფიციენტი; M – გარდაცვალებულთა რიცხვია საანგარიშო პერიოდში; m – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი; ბ.მ. – დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვებს შორის სხვაობით განსაზღვრული ბუნებრივი მატებაა, ხოლო $K^{ბ.მ.}$ – ბუნებრივი მატების კოეფიციენტი; B (ლათინური)

ქორწინებათა რიცხვია, ხოლო b – ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი; D – განქორწინებულთა რიცხვი, d – განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი. სუფიქსები „ობა“, „ება“ სიტყვებში „შობადობა“, „მოკვდაობა“ და ა.შ¹, აღნიშნავს სწორედ მოცემული კატეგორიის ინტენსივობას. მოსახლეობის საერთო რიცხვის აღნიშვნა – P – ჩვენთვის უკვე ცნობილია. ამას დაემატოთ კიდევ T – მთელ წლებში გამოსახული საანგარიშო პერიოდის სიგრძე – და შეგვიძლია ახლა ფორმულები მათემატიკურად ჩავწეროთ.

$$\text{შობადობის ზოგადი კოეფიციენტი: } n = \frac{N}{TxP} \times 1000$$

$$\text{მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი: } m = \frac{M}{TxP} \times 1000$$

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი:

$$\begin{aligned} K_{\text{ბ.ა.}} &= \frac{\text{ბ.ა.}}{TxP} \times 1000 = \frac{N-M}{TxP} \times 1000 = \left(\frac{N}{TxP} - \frac{M}{TxP} \right) \times 1000 = \\ &= \frac{N}{TxP} \times 1000 - \frac{M}{TxP} \times 1000 = n - m \end{aligned}$$

$$\text{ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი: } b = \frac{B}{TxP} \times 1000$$

$$\text{განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი: } d = \frac{D}{TxP} \times 1000$$

კოეფიციენტების ერთი კალენდარული წლისათვის $T=1$ გაანგარიშებისას ბუნებრივია ფორმულაში იგი (T) არ იწერება. რადგანაც დემოგრაფიული შემთხვევების რიცხვის მოსახლეობის რიცხვზე გაყოფის განაყოფი – ძალიან პატარა სიდიდეა მას ამრავლებენ 1000-ზე (ე.ი. ასეთნაირად გამოხატავენ

1. ანალოგიური პრინციპით უნდა შეგვედგინა სიტყვებიც ქორწინებადობა და განქორწინებადობა. მაგრამ ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე ეს ტერმინები მიუღებელია ქართული ენის ბუნებისათვის. ამიტომ ჩვენ მათ ნაცვლად ყველგან გამოვიყენებთ ტერმინებს ქორწინება და განქორწინება, რომლებიც შესაბამისი მოვლენების ერთეული შემთხვევის გვერდით აღნიშნავს მოცემული

კატეგორიის ინტენსივობასაც და რომლებიც კონტექსტიდან ადვილად განირჩევა ერთმანეთისაგან.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)
 მოსახლეობის 1000 სულზე მოსული დემოგრაფიული შემთხვევების რიცხვს. შედეგად ვღებულობთ პრომილებში გამოსახულ მაჩვენებელს, ლათინურიდან pro mille – 1000-ზე (ათჯერ უფრო ნაკლები ერთეულია, ვიდრე ჩვენთვის უფრო ჩვეული პროცენტი). პრომილე აღინიშნება %0 სიმბოლოთი, რომელშიც სამწუხაროდ ერთ-ერთი ქვედა ნული მემანქანების მიერ ხშირად იგნორირებულია, რომლებიც პრომილეს ნაცვლად შეუპოვრად ბეჭდავენ (იმ შემთხვევაშიც როცა ავტორისეული ხელნაწერი იბეჭდება საბეჭდო მანქანაზე და არა კომპიუტერზე) პროცენტს და ავტორებს შოკურ მდგომარეობაში აგდებენ, როცა შემდგომ ისინი თავიანთ გენიალურ ნაწარმოებებს გამოქვეყნებულს ნახულობენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ პრომილეს ნიშანი ადვილად იბეჭდება საბეჭდო მანქანაზეც, პროცენტის ნიშნისათვის ნუსხური ასო „0“-ის მიმატებით. ასე რომ პრომილეს ნიშნის ბეჭდვა – საშესრულებლო კულტურის პრობლემაა და არა ტექნიური შესაძლებლობების.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები იანგარიშება სტანდარტული, – პრომილეს მეათედის, ანუ ათწილადში მძიმის შემდეგ ერთი ნიშნის სიზუსტით. ზოგჯერ სტუდენტები კოეფიციენტებს გამოხატავენ მძიმის შემდეგ რვა ნიშნით, ზოგჯერ პირიქით, საერთოდ მთელი რიცხვებით. ერთიც და მეორეც დაუდევრობის, ანუ უფრო სწორედ გამოუცდებლობის შედეგია. არაა საჭირო არც ზედმეტი სიზუსტე, არც კოეფიციენტის სიდიდის დამრგვალების სიტლანქე. ამასთან, მნიშვნელოვანია მხედველობაში გვქონდეს, რომ ნული კოეფიციენტის შემადგენლობაში სრულებითაც არაა ზედმეტი ციფრი, რომელიც შეიძლება რომ არ ვაჩვენოთ. სამართლიანობის გამო უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტები მთელ რიცხვებში შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო სტუდენტურ ნაშრომებში, არამდე სრულიად „მოზრდილ“ პუბლიკაციებში, გაზეთებში და მეცნიერულ ჟურნალებშიც კი.

განვიხილოთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტების გაანგარიშების მაგალითი.

1995 წლის დასაწყისისათვის რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 148 306,1 ათასი კაცი, 1996 წლის დასაწყისისათვის – 147 976,4 ათასი კაცი. 1995 წელს ქვეყანაში დაიბადა 1 363, 8 ათასი კაცი, გარდაიცვალა 2 203,8 ათასი კაცი.

საჭიროა ამ მონაცემებით განვსაზღვროთ შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები, ბუნებრივი მატება აბსოლუტურ გამოსახულებაში და ბუნებრივი

მატების ზოგადი კოეფიციენტი¹.

თავდაპირველად გამოვთვალოთ მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა 1995 წლისათვის.

$$P = \frac{148\,306,1 + 147\,976,4}{2} = 148\,141,25 \text{ ათასი კაცი}$$

$$\text{შობადობის ზოგადი კოეფიციენტი } n = \frac{13\,66,8}{148\,141,25} \times 1000 = 9,2\text{‰}$$

$$\text{მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი } m = \frac{2\,203,8}{148\,141,25} \times 1000 = 14,9\text{‰}$$

ახლა შეიძლება ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტის განსაზღვრა

$$K^{\text{ბ.მ.}} = 9,2 - 14,9 = -5,7 \text{ ‰}$$

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი მატება და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი – ალგებრული სიდიდეებია, ე.ი. შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნიშნით. მოცემულ შემთხვევაში უარყოფითი ნიშანი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა კი არ იზრდება, არამედ მცირდება.

1999 წლის დასაწყისისათვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 5 402,2 ათასი კაცი, 2000 წლის დასაწყისისათვის – 5 100,5 ათასი კაცი. 1999 წელს საქართველოში დაიბადა 40,8 ათასი კაცი, გარდაიცვალა 40,4 ათასი. საჭიროა ამ მონაცემებით განვსაზღვროთ შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები, ბუნებრივი მატება აბსოლუტურ გამოსახულებაში და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი.

თავდაპირველად გამოვთვალოთ მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა 1999 წლისათვის.

1. ყველა მოტანილ მაგალითში გამოყენებული იქნება მხოლოდ ფაქტიური სტატისტიკური მონაცემები მათზე მინიმალური ყურადღების გამახვილებით მკითხველს შეეძლება გარკვეული წარმოდგენა მიიღოს ქვეყანაში დემოგრაფიულ სიტუაციაზე და დემოგრაფიული პროცესების დონესა და ტენდენციებზე.

$$P = \frac{5\,402,2 + 5\,100,5}{2} = 5\,251,4 \text{ ათასი კაცი}$$

$$\text{შობადობის ზოგადი კოეფიციენტი } n = \frac{40,8}{5\,251,4} \times 1000 = 7,8\%$$

$$\text{მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი } m = \frac{40,4}{5\,251,4} \times 1000 = 7,7\%$$

ახლა შეიძლება ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტის განსაზღვრა

$$K^{ბ.მ.} = 7,8 - 7,7 = 0,1 \%$$

განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი მატება და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი – ალგებრული სიდიდეებია, ე.ი. შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნიშნით. მოცემულ შემთხვევაში დადებითი ნიშანი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მოსახლეობა ბუნებრივი მატებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება.

მოსახლეობის რიცხოვნობასა და მისი ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მონაცემების საფუძველზე შეიძლება გამოვთვალოთ მოსახლეობის **მიგრაციული მატების** მოცულობაც. ამისათვის გამოიყენება მოსახლეობის **საერთო მატებას** (სხვაობა შესასწავლი პერიოდის დასაწყისში მოსახლეობის რიცხოვნობასა და იმავე პერიოდის ბოლოს, ანუ რაც იგივეა მომდევნო პერიოდის დასაწყისისათვის, მოსახლეობის რიცხოვნობას შორის), **ბუნებრივ მატებასა** და **მიგრაციულ მატებას** შორის (რომელიც განისაზღვრება, როგორც შესასწავლ ტერიტორიაზე მოსულ და მისგან გასულ მიგრანტებს შორის სხვაობა) ურთიერთკავშირი. ეს ურთიერთკავშირი შეიძლება ფორმულის სახით წარმოვიდგინოთ.

$$ს.მ. = ბ.მ. + მ.მ.$$

სადაც ს.მ. – საერთო მატებაა; ბ.მ. – ბუნებრივი მატება, ხოლო მ.მ. – მიგრაციული მატება.

ბუნებრივი მატების კოეფიციენტის ანალოგიტ შეიძლება გამოვთვალოთ საერთო ($K^{ს.მ.}$) და მიგრაციული მატების ($K^{მ.მ.}$) ზოგადი კოეფიციენტები 1995 წლისათვის.

$$\text{საერთო მატება } (ს.მ.) = P^{t+1} - P^t = 147\,976,4 - 148\,306,1 = -329,7 \text{ ათასი კაცი}$$

$$\text{ბუნებრივი მატება } (ბ.მ.) = N - M = 1\,363,8 - 2\,203,8 = -840,0 \text{ ათასი კაცი}$$

დაბოლოს მიგრაციული მატება

$$მ.მ. = ს.მ. - ბ.მ. = (-)329,7 - (-)840,0 = 510,3 \text{ ათასი კაცი}$$

დასასრულს გამოსათვლელი დაგვრჩა საერთო და მიგრაციული მატების ზოგადი კოეფიციენტები:

$$K_{ს.ა.} = \frac{-329,7}{148\ 141,25} \times 1000 = -2,2\%$$

$$K_{ბ.ა.} = \frac{510,3}{148\ 141,25} \times 1000 = 3,5\%$$

შევაჯამოთ შედეგები. 1995 წელს რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა უარყოფითი ბუნებრივი მატების ხარჯზე შეფარდებით გამოსახულებაში 5,7%-ით შემცირდა, მაგრამ დადებითი მიგრაციული მატების ხარჯზე 3,5%-ით გაიზარდა. მოსახლეობის საერთო მატებაზე სხვადასხვა მხარეს მიმართული ბუნებრივი და მიგრაციული მატების ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების გამო რუსეთის მოსახლეობის საერთო მატებამ 1995 წელს უარყოფითი სიდიდე 2,2% შეადგინა.

ახლა გამოვიანგარიშოთ საქართველოს მოსახლეობის საერთო და მიგრაციული მატების ზოგადი კოეფიციენტები 1999 წლისათვის

$$\text{საერთო მატება (ს.მ.)} = P^{t+1} - P^t = 5\ 100,5 - 5\ 402,2 = -301,7 \text{ ათასი კაცი}$$

$$\text{ბუნებრივი მატება (ბ.მ.)} = N - M = 40,8 - 40,4 = 0,4 \text{ ათასი კაცი}$$

დაბოლოს მიგრაციული მატება

$$\text{მ.მ.} = \text{ს.მ.} - \text{ბ.მ.} = -301,7 - 0,4 = -302,1 \text{ ათასი კაცი}$$

დასასრულს გამოსათვლელი დაგვრჩა საერთო და მიგრაციული მატების ზოგადი კოეფიციენტები:

$$K_{ს.ა.} = \frac{-301,7}{5251,4} \times 1000 = -57,45\%$$

$$K_{ბ.ა.} = \frac{-302,1}{5351,4} \times 1000 = -57,53\%$$

შევაჯამოთ შედეგები. 1999 წელს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა დადებითი ბუნებრივი მატების ხარჯზე შეფარდებით გამოსახულებაში 0,1%-ით გაიზარდა, მაგრამ უარყოფითი მიგრაციული მატების ხარჯზე 57,53%-ით შემცირდა. მოსახლეობის საერთო მატებაზე სხვადასხვა მხარეს მიმართული ბუნებრივი და მიგრაციული მატების ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების გამო საქართველოს მოსახლეობის საერთო მატებამ 1999 წელს უარყოფითი სიდიდე -57,45% შეადგინა.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგად კოეფიციენტებს გარკვეული დირსებები და კიდევ უფრო მეტი ნაკლი აქვთ. დირსებები შემდეგია:

1) აცილებენ განსხვავებულობას მოსახლეობის რიცხოვნობაში (რადგანაც იანგარიშება მოსახლეობის 1000 სულზე) და ამიტომ საშუალებას იძლევიან

შევადართ მოსახლეობის განსხვავებულ რიცხოვნობიანი ტერიტორიების დემოგრაფიულ პროცესთა დონეები;

2) ერთი რიცხვით ახასიათებენ რთული დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების მდგომარეობას, ე.ი. აქვთ განმაზოგადებელი ხასიათი;

3) ძალიან ადვილად იანგარიშება;

4) ოფიციალურ სტატისტიკურ პუბლიკაციებში თითქმის ყოველთვისაა მათი გაანგარიშებისათვის საჭირო ამოსავალი მონაცემები;

5) ადვილად გასაგებია ნებისმიერი ადამიანისათვის, თვით დემოგრაფიული ანალიზის მეთოდების ნაკლებად მცოდნეთათვისაც კი (ალბათ, ამიტომაც, დემოგრაფიული მაჩვენებლების ფართო სპექტრიდან, მგონი, მხოლოდ ეს, თავის სიმარტივეში ყველაზე უხეში მაჩვენებლები შეიძლება ზოგჯერ შეგვხვდეს ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში).

მაგრამ ზოგად კოეფიციენტებს თავად მათი ბუნებიდან გამომდინარე ფაქტიურად აქვთ ერთი ნაკლი, რომელიც მათი მნიშვნელის არაერთგვაროვან სტრუქტურაში მდგომარეობს და რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. კოეფიციენტის გაანგარიშებისას წილადის მნიშვნელში მოცემული მოსახლეობის შემადგენლობის არაერთგვაროვნების გამო, მათი სიდიდე დამოკიდებულია არა მარტო იმ პროცესის დონეზე, რომელიც მათ უნდა ასახონ, არამედ მოსახლეობის სტრუქტურის თავისებურებებზეც, უწინარეს ყოვლისა კი სქესობრივ-ასაკობრივზე. ამ დამოკიდებულების გამო თითქმის არასდროს არაა ცნობილი ამ კოეფიციენტების შედარებისას თუ მათი სიდიდე და მათ შორის არსებული სხვაობა რა დონით ახასიათებენ შესასწავლი პროცესების ნამდვილ დონეს, შესადარებელ პროცესთა დონეებს შორის ნამდვილ სხვაობას და რამდენად მოსახლეობის სტრუქტურის თავისებურებას. იგივეა დემოგრაფიული პროცესების დინამიკის შესწავლის შემთხვევაშიც. უცნობია, რა ფაქტორების ხარჯზე შეიცვალა კოეფიციენტის სიდიდე: შესასწავლი პროცესის თუ მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილების გამო.

ავიღოთ, მაგალითად, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი – ახალდაბადებულთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხვთან. კოეფიციენტის გაანგარიშებისას წილადის მნიშვნელში წარმოდგენილი ამ მოსახლეობის სამ მეოთხედს წილადის მრიცხველში მოცემული ბავშვის დაბადებასთან უშუალო დამოკიდებულება არა აქვთ. ესენია საერთოდ ვაჟები, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის თითქმის ნახევარს, ბავშვები ფორმალურად 15 წლამდე, ხოლო ფაქტიურად უფრო მოწიფულ ასაკამდე, ქალები ფორმალურად 50

წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, ხოლო ფაქტიურად უკვე 35 წლის ასაკის შემდეგ. დაბოლოს, გაუთხოვარ ქალთა უმეტესობა. თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის ყველა ამ დასახელებულ კატეგორიას, მაშინ აღმოჩნდება, რომ წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის სრული შესაბამისობისათვის, შობადობის ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშებისას საჭირო იყო დაბადებული ბავშვების რიცხვი შეგვეფარდებინა ძირითადად, მხოლოდ 20-დან 35 წლამდე ასაკის გათხოვილი ქალების რიცხვთან, რომლებიც კერძოდ, რომ ვთქვათ 1989 წლის აღწერით, მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 9%-ს (!) შეადგენდნენ. შობადობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას წილადის მნიშვნელში ასახულ ადამიანთა დარჩენილ 91%-ს უშუალო დამოკიდებულება არ ჰქონდათ მის მრიცხველთან.

თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის ყველა ამ დასახელებულ კატეგორიას, მაშინ აღმოჩნდება, რომ წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის სრული შესაბამისობისათვის, შობადობის ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშებისას საჭირო იყო დაბადებული ბავშვების რიცხვი შეგვეფარდებინა ძირითადად მხოლოდ 20-დან 35 წლამდე ასაკის გათხოვილი ქალების რიცხვთან, რომლებიც კერძოდ, რომ ვთქვათ საქართველოში 1989 წლის აღწერით მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 8,6%-ს (!) შეადგენდნენ. შობადობის ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშებისას წილადის მნიშვნელში ასახულ ადამიანთა დარჩენილ 91,4%-ს კი უშუალო დამოკიდებულება არ ჰქონდათ მის მრიცხველთან.

ამასობაში მოსახლეობის „არამშობადი“ უმრავლესობის სტრუქტურის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით, კოეფიციენტის სიდიდე შეიძლება ძლიერ იცვლებოდეს, და შეცდომაში შეჰყავდეს მომხმარებლები შობადობის ინტენსივობის ნამდვილ ცვლილებასთან დაკავშირებით.

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშებისას მსგავსი პრობლემა როგორც ჩანს არაა. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს სიკვდილს ექვემდებარება ყველა და თითოეული. მაგრამ... სხვადასხვა დროს. გარდაცვალების ალბათობა ძლიერ განსხვავდება ასაკისაგან დამოკიდებულებით (სხვა ფაქტორებზე ახლა არ ვლაპარაკობთ). და, შესაბამისად, ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებისას (სქესობრივისაც, რადგან ყველა ასაკობრივ ჯგუფში ქალთა მოკვდაობა უფრო დაბალია, ვიდრე ვაჟებისა) მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე შეიცვლება, როცა მოკვდაობის ინტენსივობა თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში შეიძლება უცვლელი დარჩეს, ან იცვლებოდეს კიდევ იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, რომელშიც იცვლება მოკვდაობის კოეფიციენტის სიდიდე.

შესაძლებელია ასეთი პარადოქსებიც. ქორწინების კოეფიციენტი წარმოადგენს მოცემულ წელს დაქორწინებულთა რიცხვის შეფარდებას მოსახლეობის საშუალო რიცხვთან. გასაგებია, რომ კოეფიციენტის

გაანგარიშებისას წილადის მნიშვნელში მოცემული ბავშვები ქორწინების ასაკის მიღწევამდე მასში ტყუილად არიან. მაგრამ მოწიფული ხალხიც, ვთქვათ დაქორწინებულები, ასევე ტყუილადაა ასახული წილადის მნიშვნელში ქორწინების კოეფიციენტის გაანგარიშებისას, რადგანაც ცხადია არ შეუძლიათ დაქორწინება, ქორწინებისუუნაროები არიან. შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი პიპოთეზური სიტუაციაც. ქორწინების მაღალ დონიან მოსახლეობაში, ე.ი. რომელშიც მოსახლეობის უმეტესობა იმყოფება ქორწინებაში, ქორწინების კოეფიციენტი დაბალი იქნება იმიტომ, რომ ქორწინებაში არმყოფთა რიცხვი იქნება ძალიან პატარა. დასაქორწინებელი არავინაა, იმიტომ, რომ უმეტესობა უკვე იმყოფება ქორწინებაში.

იგივეა განქორწინებასთან დაკავშირებითაც. პიპოთეზურ მოსახლეობაში, სადაც არავინ არ იმყოფება ქორწინებაში (სხვადასხვა მიზეზით), ადგილი არ ექნება განქორწინებასაც.

მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ ინფორმაციის წყაროების განვითარების კვალობაზე მოსახლეობის კვლავწარმოების ზოგადი კოეფიციენტების გამოყენებისადმი ინტერესი თანდათანობით ეცემა. ზოგიერთ ცნობარებში მათ უკვე აღარც კი აქვეყნებენ. სპეციალურ ლიტერატურაში შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ძირითადად გამოიყენება მხოლოდ მათ საფუძველზე მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტის გამოსაანგარიშებლად.

ახლა, დემოგრაფიაში უკვე ბევრი, უფრო სრულყოფილი მახვენებელია, ვიდრე უხეში ზოგადი კოეფიციენტებია. საჭიროა სწორედ მათი გამოყენება. თუკი აუცილებლობის გამო გვიწევს ზოგადი კოეფიციენტებით სარგებლობა, საჭიროა ვისწრაფოდეთ შევასუსტოთ, მოსახლეობის ასაკობრივი (ან სხვა ნებისმიერი) სტრუქტურის თავისებურებების დამამახინჯებელი გავლენისაგან მათი დამოკიდებულება. ამას შეიძლება მივაღწიოთ ზოგადი და მათემატიკური სტატისტიკის ცნობარებში აღწერილი ბევრი ხერხით, მაგალითად, საინდექსო მეთოდით, რომელიც საშუალებას იძლევა დავანაწევროთ ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის დამოკიდებულება შესასწავლი პროცესის ინტენსივობისაგან და მისი დამოკიდებულება სტრუქტურული ფაქტორებისაგან. დაახლოებით იგივეს მიღწევა შეიძლება დემოგრაფიული კოეფიციენტის ეგრეთ წოდებული სტანდარტიზაციის მეთოდების დახმარებით. მეთოდების შესახებ საუბარი იქნება შემდეგ თავებში.

რადგანაც ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები გარკვეული პოპულარობით მაინც სარგებლობენ, ზედმეტად არ მიგვაჩნია გავეცნოთ ჩვენს ქვეყნაში მათ დინამიკას ომის შემდგომ პერიოდში (ცხრილი 4.1.)

ცხრილი 4.1.

რუსეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი
კოეფიციენტის დინამიკა (პრომილებში)

წლები	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	ქორწინება	განქორწინება
1940	33,0	20,6	12,4	5,5	0,9
1950	26,9	10,1	16,8	12,0	0,5
1960	23,2	7,4	15,8	12,5	1,5
1970	14,6	8,7	5,9	10,1	3,0
1980	15,9	11,0	4,9	10,6	4,2
1990	13,4	11,2	2,2	8,9	3,8
1991	12,1	11,4	0,7	8,6	4,0
1992	10,7	12,2	-1,5	7,1	4,3
1993	9,4	14,5	-5,1	7,5	4,5
1994	9,6	15,7	-6,1	7,4	4,6
1995	9,3	15,0	-5,7	7,3	4,5
1996	9,0	15,0	-6,0	5,9	3,8
1997	8,6	13,8	-5,2	6,3	3,8

ამ ცხრილს მცირე კომენტარი ესაჭიროება. დიდი სამამულო ომის წინ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (და რეალური შობადობის დონეც) ჯერ კიდევ ძალიან მაღალი იყო, თუმცა, უკვე დიდი ხანია (ყოველ შემთხვევაში, 1925 წლის შემდგომ) მცირდებოდა. მომდევნო პერიოდში შობადობის კოეფიციენტი თითქმის განუხრელად მცირდებოდა, არა მარტო შობადობის ნამდვილად შემცირების, არამედ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურების დაბერების ხარჯზეც. ამჟამად იგი შემცირდა არნახულად დაბალ დონემდე, ორჯერ უფრო დაბალ დონემდე ვიდრე დიდი სამამულო ომის ყველაზე მძიმე წლებში. ნუ ავნქარდებით, რუსეთში შობადობის დონის ამგვარ სიღრმემდე დაცემის მიზეზების ახსნას, ამაზე საუბარი მომდევნო თავში იქნება.

20 წლის განმავლობაში, 1940-დან 1960 წლამდე პერიოდში მოკვდაობის კოეფიციენტი შემცირდა, შემდეგ განუხრელად იზრდებოდა თითქმის 35 წლის განმავლობაში. სინამდვილეში მოკვდაობის დინამიკა სხვაგვარი იყო, ცალკეულ წლებში მოკვდაობა ნამდვილად იზრდებოდა, ცალკეულ წლებში – კლებულობდა. ამ შემთხვევაში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა იმყოფება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დაბერების დიდი გავლენის ქვეშ.

შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტის ერთობლივი ცვლილების შედეგად ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ახვევ მცირდებოდა, ვიდრე უარყოფითი არ გახდა. მაგრამ დიდი ხნით კი? ჯერ-ჯერობით არავისთვის არაა ცნობილი. შეიძლება სამუდამოდაც.

ომის დასრულების შემდეგ ქვეყანაში ქორწინების დონე ძალიან მაღალი იყო და ამაში არაფერია გასაკვირი. უნდა ითქვას, რომ რუსეთში ქორწინების დონე ყოველთვის მაღალი იყო, ვთქვათ, დასავლეთ ევროპასთან შედარებით, სადაც წინათ შეიმჩნეოდა ქორწინების ეგრეთ წოდებული ევროპული ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქორწინების შედარებით მაღალი საქორწინო ასაკი და დაუქორწინებლობის მაღალი პროცენტი. მხოლოდ სულ უკანასკნელ წლებში, 1990-იანი წლების დასაწყისში ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი ქვეყანაში დაეცა უჩვეულოდ (რუსეთისთვის) დაბალ დონემდე. მიზეზების შესახებ მსჯელობა ჯერ ნაადრევია. ჯერ კიდევ ძალიან ცოტა დრო გავიდა სიღრმისეული ანალიზისთვის საკმარისი რაოდენობრივი სტატისტიკური და კვლევითი მასალების შეგროვებისათვის.

განქორწინების კოეფიციენტი ომის დამთავრების შემდეგ პირველ წლებში ძალიან დაბალი იყო, და ალბათ აქ არავითარი ახსნა არაა საჭირო. თუმცა, ძნელი სათქმელია, თუ რამდენად ასახავს ეს სტატისტიკა იმ დროის რეალობას. ომმა ბევრი ოჯახი დაანგრია, მაგრამ ქორწინების დაშლა ყოველთვის არ ფორმდებოდა იურიდიულად. ალბათ, ჩვენ უკვე ვერასოდეს ვერ გავიგებთ თუ ნამდვილად, ქორწინებათა რა წილი დაიშალა იმ დროს.

1960-იან წლებში განქორწინებათა დონემ დაიწყო განუხრელი ზრდა. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1965 წელს მნიშვნელოვნად გაიოლდა იურიდიული პირობები განქორწინებისათვის, და ამიტომ განქორწინებათა ფაქტიურ რიცხვს დაემატა ადრე შემდგარი, მაგრამ თავისდროულად გაუფორმებელი განქორწინებები. განქორწინების კოეფიციენტზე ამ ფაქტორის გავლენა რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. უკანასკნელ წლებში განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი

სტაბილიზირდა ძალიან მაღალ დონეზე. ჩვენზე, რუსეთზე, უფრო მაღალი იგი მხოლოდ აშშ-ში აღინიშნა.

რადგანაც ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები გარკვეული პოპულარობით მაინც სარგებლობენ, ზედმეტად არ მიგვაჩნია გავეცნოთ საქართველოში მათ დინამიკას ომის შემდგომ პერიოდში.

ცხრილი 4.1^ბ

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა (პრომილებში)

წლები	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	ქორწინება	განქორწინება
1940	27,4	8,8	18,6	5,1	1,0
1950	23,5	7,6	15,9	8,9	0,1
1960	24,7	6,5	18,2	10,6	0,4
1970	19,2	7,3	11,9	7,8	1,1
1980	17,7	8,6	9,1	10,0	1,3
1990	17,0	8,4	8,6	6,7	1,4
1991	16,6	8,7	7,9	7,0	1,4
1992	14,9	9,6	5,3	4,9	0,9
1993	12,6	10,1	2,5	4,9	0,7
1994	11,8	8,6	3,2	4,5	0,6
1995	11,6	7,8	3,8	4,4	0,6
1996	11,1	7,1	4,0	4,0	0,5
1997	10,4	7,7	2,9	3,5	0,5
1998	9,3	7,9	1,4	3,1	0,4
1999	8,9	8,8	0,1	3,0	0,4

ამ ცხრილს მცირე კომენტარი ესაჭიროება.

დიდი სამამულო ომის წინ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (და რეალურად შობადობის დონეც) ჯერ კიდევ ძალიან მაღალი იყო, თუმცა უკვე დიდი ხანია მცირდებოდა. მომდევნო პერიოდში შობადობის კოეფიციენტი თითქმის განუხრელად მცირდებოდა, არა მარტო შობადობის ნამდვილად შემცირების, არამედ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დაბერების ხარჯზეც. ამჟამად იგი შემცირდა არნახულად დაბალ დონემდე, ორჯერ უფრო დაბალ დონემდე ვიდრე დიდი სამამულო ომის ყველაზე მძიმე წლებში. ნუ ავნქარდებით საქართველოში შობადობის დონის ამგვარ სიღრმემდე დაცემის მიზეზების ახსნას, ამაზე საუბარი მომდევნო თავში იქნება.

20 წლის განმავლობაში, 1940-დან 1960 წლამდე პერიოდში მოკვდაობის კოეფიციენტი შემცირდა, შემდეგ განუხრელად იზრდებოდა თითქმის 35 წლის განმავლობაში. სინამდვილეში მოკვდაობის დინამიკა სხვაგვარი იყო, ცალკეულ წლებში მოკვდაობა ნამდვილად იზრდებოდა, ცალკეულ წლებში – კლებულობდა. ამ შემთხვევაში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა იმყოფება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დაბერების დიდი გავლენის ქვეშ. შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტის ერთობლივი ცვლილების შედეგად ბუნებრივი მატკების ზოგადი კოეფიციენტი ასევე მცირდებოდა, ვიდრე მინიმალურ დონემდე არ დაეცა. მაგრამ დიდი ხნით კი? ჯერ-ჯერობით არავისთვის არაა ცნობილი. შეიძლება სამუდამოდაც.

ომის დასრულების შემდეგ ქვეყანაში ქორწინების დონე ძალიან მაღალი იყო და ამაში არაფერია გასაკვირი. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ქორწინების დონე ყოველთვის მაღალი იყო, ვთქვათ, დასავლეთ ევროპასთან შედარებით, სადაც წინათ შეიმჩნეოდა ქორწინების ევრეთ-წოდებული ევროპული ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქორწინების შედარებით მაღალი საქორწინო ასაკი და დაუქორწინებლობის მაღალი პროცენტი. მხოლოდ სულ უკანასკნელ წლებში, 1990-იანი წლების დასაწყისში ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი ქვეყანაში დაეცა უჩვეულოდ (საქართველოსთვის) დაბალ დონემდე. ჯერ კიდევ ძალიან ცოტა დრო გავიდა სიდრმისეული ანალიზისთვის საკმარისი რაოდენობრივი სტატისტიკური და კვლევითი მასალების შეგროვებისათვის.

განქორწინების კოეფიციენტი ომის დამთავრების შემდეგ წლებში ძალიან დაბალი იყო, და ალბათ აქ არავითარი ახსნა არაა საჭირო. თუმცა, ძნელი სათქმელია, თუ რამდენად ასახავს ეს სტატისტიკა იმ დროის რეალობას. ომმა ბევრი ოჯახი დაანგრია, მაგრამ ქორწინების დაშლა ყოველთვის არ ფორმდებოდა იურიდიულად. ალბათ ჩვენ უკვე ვერასოდეს ვერ გავიგებთ თუ ნამდვილად ქორწინებათა რა წილი დაიშალა იმ დროს.

ტრადიციულად საქართველოში განქორწინებათა დონე ყოველთვის უმნიშვნელო იყო, მაგრამ 1960-იან წლებში განქორწინებათა დონემ დაიწყო ზრდა. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1965 წელს მნიშვნელოვნად გაიოლდა პირობები იურიდიული განქორწინებისთვის, და ამიტომ განქორწინებათა ფაქტიურ რიცხვს დაემატა ადრე შემდგარი, მაგრამ თავისდროულად გაუფორმებელი განქორწინებები. განქორწინების კოეფიციენტზე ამ ფაქტორის გავლენა რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. უკანასკნელ წლებში განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი სტაბილიზირდა დაბალ დონეზე.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის შეფასებისათვის სხვადასხვა დროს ცალკეული მეცნიერების მიერ შემოთავაზებული იყო სპეციალურად შემუშავებული სკალები. მე ისინი აქ არ მომაქვს რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ეს სკალები საკმაოდ სუბიექტურია და უფრო მათი ავტორების პირად შეფასებებს ასახავენ. მეორეც, ამ სკალების არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. შობადობის ზოგადი კოეფიციენტის საფუძველზე შობადობის დონის შეფასებისათვის საკმარისია დავიმახსოვროთ მისი მხოლოდ ერთი კრიტიკული მნიშვნელობა, ე.ი. ის, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების ზღვარს (რომლის დროსაც მოსახლეობა არ იზრდება, მაგრამ

არც კლებულობს). ზოგადი და ჩვილთა მოკვდაობის დაბალი დონისას მარტივი კვლავწარმოების შესაბამისი შობადობის ზოგადი კოეფიციენტი დაალოებით 15-16-ს უდრის. აქედან გამომდინარე შეიძლება უხეშად შევაფასოთ თუ შობადობის ამჟამინდელი დონე რამდენად უზრუნველყოფს მოსახლეობის კვლავწარმოებას ჩვენს ქვეყანაში.

ამისათვის საკმარისია 1997 წლის შობადობის ფაქტიური კოეფიციენტი (8,6‰) გავყოთ მის კრიტიკულ (15,0‰) სიდიდეზე.

$$8,6 : 15,0 = 0,57 \text{ ანუ } 57\%$$

ე.ი. შობადობის ასეთი დონის ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნებისას, ყოველი მომდევნო თაობა რაოდენობრივად 43%-ით ნაკლები იქნება ვიდრე წინა თაობა.

აქედან გამომდინარე შეიძლება უხეშად შევაფასოთ თუ შობადობის ამჟამინდელი დონე რამდენად უზრუნველყოფს მოსახლეობის კვლავწარმოებას საქართველოში.

ამისათვის საკმარისია 1999 წლის შობადობის ფაქტიური კოეფიციენტი (8,9‰) გავყოთ მის კრიტიკულ (15,0‰) სიდიდეზე.

$$8,9 : 15,0 = 0,59 \text{ ანუ } 59\%$$

ე.ი. შობადობის ასეთი დონის ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნებისას ყოველი მომდევნო თაობა რაოდენობრივად 41%-ით ნაკლები იქნება ვიდრე წინა თაობა.

თემა 5. შობადობა და რეპროდუქციული ძეგვა

დემოგრაფიაში შობადობა, – ცენტრალური პრობლემაა. თანამედროვე პირობებში, მოკვდაობის შედარებით დაბალი დონის გამო მთლიანობაში მოსახლეობის კვლავწარმოება მხოლოდ და მხოლოდ შობადობის დინამიკით განისაზღვრება. შობადობის პრობლემის სიმწვავე იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ თუ მოკვდაობის (სიკვდილის) მიმართ ყველა ადამიანის, რა ადგილიც არ უნდა ეკავოს მას საზოგადოებაში, ნეგატიური ერთსულოვნება არსებობს, შობადობის მიმართ დამოკიდებულებაში კი ამჟამად აზრთა დიდი, ზოგჯერ მწვავე პოლიტიკამდე მისული, განსხვავებულობაა.

მაგრამ თავდაპირველად ცნებებისა და მაჩვენებლების შესახებ. დემოგრაფიაში, შობადობა – ესაა განსაზღვრულ სოციალურ გარემოში დაბადებათა სიხშირე. ახლა ჩვენ უკვე უნდა ვიცოდეთ, რომ შობადობა და დაბადებათა რიცხვი – სრულებითაც არაა ერთი და იგივე, რომ დაბადებათა რიცხვი – სრულებითაც არაა იგივე, რაც შობადობა (შობადობა – ინტენსივობის გამომხატველი ცნებაა, დაბადებათა რიცხვი – კი ექსტენსივობის). იმისათვის რომ სწორი წარმდგენა გვქონდეს შობადობის დონის სიდიდეზე და მის ცვლილებებზე ძალიან მნიშვნელოვანია ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების შერჩევა.

მათ შორის უმარტივესია შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, რომლის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე უკვე წინა თავში იყო საუბარი. შეძლებისდაგვარად უკეთესია, რომ სრულებით არ ვისარგებლოთ ამ მაჩვენებლით, ხოლო თუ აუცილებლობა გვაიძულებს – დიდი სიფრთხილე გამოვიჩინოთ ამ მაჩვენებლის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებში.

5.1. შობადობის დონის მაჩვენებლები

ზოგად კოეფიციენტებზე ბევრად უკეთესი თვისებები არა აქვს სხვა ძველებურ მაჩვენებელს, ეგრეთ წოდებულ შობადობის სპეციალურ კოეფიციენტსაც. იგი წარმოაგენს ცოცხლად¹ დაბადებულთა რიცხვის (ჩვეულებრივად წლის განმავლობაში) შეფარდებას 15-დან 50 წლამდე² ასაკის ქალთა საშუალო (საშუალოწლიურ) რიცხოვნობასთან.

შობადობის სპეციალური კოეფიციენტის გამოსაანგარიშებელი ფორმულა ასე გამოიყურება:

$$F_{15-49} = \frac{N}{W_{15-49}} \times 1000 \quad (5.1.1)$$

სადაც F_{15-49} – შობადობის სპეციალური კოეფიციენტი; N – დაბადებულთა რიცხვი; W_{15-49} – 15-49 წლის ასაკის ქალების საშუალო წლიური რიცხოვნობა.

შენიშვნა: მაჩვენებელი T – დროის პერიოდის სიგრძეა სრულ წლობით – მოცემულ და მომდევნო ფორმულებში (გამარტივებისათვის) გამოტოვებულია, მაგრამ უხილავად იგი მაინც თან სდევს.

სპეციალურ და ზოგადად კოეფიციენტებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, რომელიც შეიძლება გამოვსახოთ ფორმულის (5.1.2) სახით:

$$n = \frac{N}{P} \times 1000 = \frac{N}{W_{15-49}} \times \frac{W_{15-49}}{P} \times 1000 = F_{15-49} \times dW_{15-49}^P \quad (5.1.2)$$

1. შობადობის დემოგრაფიულ ანალიზში ლაპარაკია ხოლმე მხოლოდ ცოცხლად დაბადებულებზე. ამიტომ შემდგომ ტექსტში დაბადებულებთან დაკავშირებით სიტყვათშეთანხმებაში სიტყვა „ცოცხლად“, გარდა აუცილებელი შემთხვევებისა, არ იქნება გამოყენებული.

2. ასაკობრივი ეგრეთ წოდებული რეპროდუქციული ინტერვალის საზღვრები სტატისტიკოსების მიერ დიდი ხნის წინათ, XIX საუკუნეში იყო შერჩეული, როცა ისინი ძირითადად შეესაბამებოდნენ ცხოვრების პერიოდის იმ რეალურ ასაკობრივ საზღვრებს, რომელშიც ქალები აჩენდნენ ბავშვებს. დღეს შობადობის დაბალი დონის მქონე ქვეყნებში, ქალები თავიანთ 1-2 ბავშვს ძირითადად 22-დან – 35 წლამდე ასაკის ინტერვალში აჩენენ. ასე რომ ქალთა ცხოვრების რეპროდუქციულ პერიოდის ასაკობრივი საზღვრები 15-49 წელი – ეს მხოლოდ ტრადიციისადმი პატივის მიგება და ისტორიულ რეტროსპექტივაში დინამიკური მწკრივების მაჩვენებლთა შესადარისობის პრინციპის დაცვის აუცილებლობაა.

ამ ფორმულაში ზემოთ მოტანილებიდან ყველა პირობითი აღნიშვნა ცნობილია, გარდა dW^P_{15-49} , რომელიც აღნიშნავს მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში რეპროდუქციული ასაკის 15-49 წლის ქალების პროცენტულ ხვედრით წილს. წილადის მნიშვნელსა და მრიცხველში 15-49 წლის ქალების ერთი და იგივე რიცხვის შეტანით, ჩვენ ბუნებრივია არ ვცვლით წილადის საერთო სიდიდეს, მაგრამ ერთის ნაცვლად ვღებულობთ ორ წილადს, რომელთაგან პირველი შობადობის სპეციალური კოეფიციენტია F_{15-49} , ხოლო მეორე მოსახლეობის მთელ რაოდენობაში 15-49 წლის ასაკში მყოფი ქალების ხვედრითი წილია dW^P_{15-49} . შობადობის სპეციალურ კოეფიციენტს ზოგად კოეფიციენტთან შედარებით გარკვეული ღირსებები და რა თქმა უნდა ნაკლოვანებებიც აქვს. ღირსებები იმაში მდგომარეობს, რომ ეს კოეფიციენტი ბუნებრივია არაა დამოკიდებული მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაზე და უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული ასაკობრივ სტრუქტურაზე, ვიდრე ზოგადი კოეფიციენტი. სხვადასხვა ქვეყნებსა და ტერიტორიებზე, მთელ მოსახლეობაში 15-49 წლის ასაკის ქალების ხვედრითი წილი 20-დან 30%-მდე მერყეობს. ამრიგად, წილადის მრიცხველში დაბადებულთა იმავე რიცხვის პირობებში, როგორც ზოგადი კოეფიციენტების გაანგარიშებისას, წილადის მნიშვნელში მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით ოთხჯერ მცირდება და იმავე ოდენობით ზრდის მთლიანად მაჩვენებლის სიზუსტესაც.

სპეციალური კოეფიციენტის ნაკლი კი იგივეა: მისი, სიდიდის ასაკობრივ სტრუქტურის თავისებურებებზე დამოკიდებულება. მართალია, უკვე არა მთელი მოსახლეობის, არამედ ქალთა რეპროდუქციული კონტიგენტის ასაკობრივი სტრუქტურის (15-დან 50 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში) შიგნით არსებულ თავისებურებებზე. მართალია ეს დამოკიდებულება ზოგად კოეფიციენტთან შედარებით ოთხჯერ უფრო ნაკლებია, მაგრამ მისი დამამახინჯებელი გავლენა საკმარისია იმისათვის, რომ დემოგრაფიულ ანალიზში შობადობის სპეციალური კოეფიციენტიც ნაკლებად სასარგებლოდ აქციოს. სპეციალისტები ამ მაჩვენებლით ძალიან იშვიათად სარგებლობენ.

5.2. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები

შობადობის უკეთესი მაჩვენებლების მიღწევის გზაზე შემდეგ ნაბიჯს შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტის გაანგარიშება წარმოადგენს. იგი შემდეგნაირად გაიანგარიშება:

$$F_x = \frac{N_x}{W_x} \times 1000 \quad (5.13)$$

სადაც F_x – შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი; N_x – ქალების მიერ „x“ ასაკში გაჩენილი ბავშვების რიცხვია; W_x – „x“ ასაკის ქალების საშუალო წლიური რიცხოვნობაა.

ასაკობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს „x“ ასაკის დედების მიერ წლის განმავლობაში გაჩენილი ბავშვების რიცხვის შეფარდებას ამ ასაკის ქალების მთელ რიცხოვნობასთან. თუკი უზუღვებელყოფთ მრავალნაყოფიან მშობიარობებს (რომლებიც მშობიარობითა მთელ რაოდენობაში მცირე პროცენტს შეადგენს), მაშინ შობადობის კოეფიციენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოცემულ წელს ბავშვის გამჩენ ქალთა ხვედრითი წილი შესაბამისი ასაკის ქალების მთელ რიცხოვნობაში.

ასაკობრივი კოეფიციენტები იანგარიშება ერთწლიანი და ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ყველაზე დაწვრილებით – ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტები, იძლევიან შობადობის მდგომარეობისა და ანალიზისათვის ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობას, მაგრამ ასაკობრივი აკუმულაციის გავლენით, რომელზეც წინა თავში იყო საუბარი ისინი განიცდიან ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემთა დეფორმაციის გავლენას. ამიტომ, როცა არაა საჭირო ძალიან მაღალი სიზუსტე მკვლევარები ხუთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტებით შემოიფარგლებიან, რომლებიც მართალია ასაკობრივი სტრუქტურის ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფის შიგნით მცირე რყევას განიცდიან, მაგრამ შობადობის ანალიზისათვის მაინც საკმაოდ კარგ შესაძლებლობას იძლევიან.

5.3. შობადობა და ნაყოფიერება

ამ ბოლო დრომდე ჩვენს დემოგრაფიაში შენარჩუნებული იყო XIX საუკუნის რუსეთის სტატისტიკიდან შემორჩენილი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც შობადობის მხოლოდ ერთ კოეფიციენტს ეწოდებოდა – „შობადობის კოეფიციენტი“, ხოლო **შობადობის ყველა სხვა დანარჩენ კოეფიციენტებს ეწოდებოდა ნაყოფიერების კოეფიციენტები**. სამართლიანობის გამო უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის რუსეთის სტატისტიკაში შობადობის მხოლოდ ორი მაჩვენებელი გამოიყენებოდა, რომელთაგან ერთ-ერთს ეწოდებოდა **ზოგადი შობადობის კოეფიციენტი**, ან მოსახლეობის ნაყოფიერება და, რომელიც შენარჩუნებულია შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სახელით, ხოლო მეორეს ეწოდებოდა **შობადობის სპეციალური მაჩვენებელი ანუ ქალთა ნაყოფიერება**. შედეგად ქალების ამა თუ იმ რიცხოვნობასთან მიმართებაში გაანგარიშებული შობადობის მაჩვენებელთა მთელი ერთობლიობა ნაყოფიერების კოეფიციენტებად, ან უბრალოდ ნაყოფიერებად იწოდებოდა. შობადობის მაჩვენებელთა ასეთ სახელწოდებას არასდროს არანაირი თეორიული სარჩული არ ჰქონია. და მიუხედავად ამისა, შობადობის მაჩვენებელთა სახელწოდებაში შობადობისა და ნაყოფიერების ტრადიციული აღრევა ძალიან დიდხანს, სულ უკანასკნელ წლებამდე იყო შენარჩუნებული. იგი ახლაც ჯერ კიდევ გვხვდება ზოგიერთ პუბლიკაციებში. მაგრამ ასეთი აღრევა სპეციალისტების მიერ შეცდომად ითვლება. შობადობა და ნაყოფიერება – მაჩვენებლები კი არა კატეგორიებია, განსხვავებული კატეგორიები, თუმცა ერთმანეთს შორის ძალიან მჭიდროდ დაკავირებულნი.

შობადობისა და ნაყოფიერების განსხვავების აუცილებლობა 1960-იანი წლების ბოლოს მომწიფდა, შობადობის ფაქტორების შესწავლაში სოციოლოგიური მიდგომების განვითარებასთან დაკავშირებით. მკვლევარებმა შობადობის რეგულირების ნებელობითი ასპექტებისათვის სულ უფრო მეტი ყურადღების დათმობა დაიწყეს და ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა „სუბიექტური“, ე.ი. გაჩენილი ბავშვების რიცხვსა და ვადებთან დაკავშირებით ხალხის ნებაზე დამოკიდებული ფაქტორების უფრო მკაფიოდ გამოყოფა, „ობიექტური“, ე.ი. ხალხის ნებისაგან დამოუკიდებელი ფაქტორებისაგან. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ჩასახვისა და ბავშვების გარკვეული რიცხვის გაჩენისადმი ხალხის ფიზიოლოგიური უნარი, რაც ბიოლოგიურ მეცნიერებაში ძველთაგან ნაყოფიერებად

იწოდება და მხოლოდ შემთხვევითი უაზრობით ამ სახელმა დემოგრაფიაში სხვა დამატება მიიღო (სხვა ობიექტებზე).

მიუხედავად ამისა, ტრადიცია ძალიან სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. სპეციალისტებმა მხოლოდ უკანასკნელ წლებში თქვეს მასზე თითქმის სრული უარი.¹

ნაყოფიერება – ეს ქალის, ვაჟის, ქორწინებითი წყვილის ჩასახვისა და ბავშვების გარკვეული რაოდენობის გაჩენის ბიოლოგიური უნარია. იზომება ქალის პოტენციურად შესაძლო ცოცხლადგაჩენათა რიცხვით, რომელიც დამოკიდებულია ორივე მეუღლის გენეტიკურ თვისებებზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, აგრეთვე ქორწინებაში მათი ფიზიოლოგიური თვისებების შეთავსებაზე (ზოგჯერ ჯანმრთელ მეუღლეებში მათი ბიოლოგიური შეუთავსებლობის გამო არ ხდება ფეხმძიმობა).

ცალკეულ შემთხვევებში ერთნაყოფიან მშობიარობებში შესაძლო გაჩენათა რიცხვი შეიძლება ძალიან ფართო საზღვრებში 0-დან 35-მდე იცვლებოდეს. მაგრამ ნაყოფიერება იშვიათად თუ რეალიზდება სრულად. საშუალო სახეობრივი ნაყოფიერება, ე.ი. ადამიანის როგორც ბიოლოგიური სახეობის ნაყოფიერება მთელ სიცოცხლეში 10-12 ცოცხლად გაჩენას ანუ 12-15 ფეხმძიმობას (მკვდრადშობადობისა და თვითნებური აბორტების ჩათვლით) შეადგენს. ფაქტიურად კი ჯამური ქორწინებითი შობადობის მაჩვენებლებს მოსახლეობის დიდ მასაში არასდროს არ მიუღწევიათ ასეთი სიდიდისათვის და 15-დან 50 წლამდე მთელი ქორწინებაში სიცოცხლის განმავლობაში იშვიათად აღემატებოდნენ 8 ცოცხლად გაჩენას.

უწინ ერთობ გავრცელებული იყო წარმოდგენები, თითქოს ნაყოფიერება განსხვავდება კლიმატზე, რასაზე, ხალხის კულტურულ დონესა და ა.შ. დამოკიდებულების მიხედვით. ითვლებოდა, რომ ცხელ კლიმატში სქესობრივი მომწიფება ადრე დგება და ნაყოფიერება მაღალია, ვიდრე ზომიერ კლიმატში, რომ „ველურ“ ხალხებს ნაყოფიერება უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე „ცივილიზებულებს“.

1. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.
 // (« ») ., 1973. . 83-94;
, 1976. . 18-24;
, 1985 . 329; «
, 1994. . 321-322; -
, 1991. . 138-140.

XIX საუკუნეშიც კი გამოჩენილი მეცნიერები (თ. სადლერი, პ.ჟ. პრუდონი, გ.სპენსერი, ა. დიუმონი და სხვები) თვლიდნენ, რომ ნაყოფიერება კლებულობს გონებრივი დაძაბულობის ან საზოგადოებრივ კიბეზე აღმასვლის, ან ადამიანის ზედმეტი სისრულის გამო. მსგავსი წარმოდგენები უფრო ხშირად შთაბეჭდილებებზე ან ცრურწმენაზე იყო დაფუძნებული, ვიდრე სპეციალური გამოკვლევების შედეგებზე. თანამედროვე გამოკვლევები არ ადასტურებენ რაიმე გეოგრაფიულ, ეთნიკურ, ან სოციალურ განსხვავებას. ამიტომ როდესაც უწინ არსებული, ან ამჟამად ცალკეულ ხალხებში, ან ცალკეულ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში თავიანთი შობადობის ხელოვნურად არ შემზღუდავ მოსახლეობაში შემჩნეული **შობადობის** მაღალი მაჩვენებლები შეიძლება გამოყენებული იყვნენ შედარების ბაზად, თუნდაც დაბალი შობადობის ხელოვნურად შემზღუდავი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ნაყოფიერების უხეში შეფასებისათვის. ამასთან, საჭიროა მხედველობაში გვქონდეს, რომ შობადობის როგორც არ უნდა იყოს მაჩვენებლებზე დაფუძნებული ნაყოფიერების მსგავსი შეფასებები ამცირებენ მის ნამდვილ ზომებს. ჯერ ერთი შობადობის მაღალი დონის მქონე ხალხების უმეტესობას ყოველთვის ჰქონდა და აქვს სხვადასხვა წეს-ჩვეულებები და შობადობის ირიბად შემზღუდავი სხვა სოციალური ნორმები (კერძოდ, დაქორწინების ან განქორწინების პირობების მარეგულირებელი ნორმები; სამეურნეო საქმიანობის წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით გარკვეულ პერიოდებში ქორწინებაში სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვა; ბავშვის ძუძუთი კვების ხანგრძლივობის მარეგულირებელი ნორმები და ა.შ.). მეორეც, ბევრ ხალხებში შობადობა მცირდება ცუდი კვებითა და ნაყოფიერების შემამცირებელი სხვადასხვა ავადმყოფობებით (ტუბერკულოზი, მალარია, ვენერიული დაავადებები და ა.შ.). დაბოლოს მესამე, ყველა ხალხში, თუმცა სხვადასხვა ზომით გამოიყენება ჩასახვის საწინააღმდეგო ღონისძიებები და ხელოვნური აბორტები.

სოციოლოგიურ-დემოგრაფიულ გამოკვლევებში ნაყოფიერება შეისწავლება, როგორც შობადობისა და რეპროდუქციული ქცევის ერთ-ერთი ფაქტორი (რეპროდუქციული ქცევის შესახებ ქვემოთ ამავე თავში იქნება საუბარი). დაბალი მოკვადობის თანამედროვე პირობებში მაღალი სქესობრივი ნაყოფიერება, რომლის შემწეობითაც კაცობრიობამ შესძლო გადარჩენილიყო თავისი სიჭაბუკის გარიჟრაჟზე, ჭარბი გახდა. შობადობაში მისი თუნდაც ნახევარი ზომით რეალიზაცია უზრუნველყოფს მოსახლეობის სწრაფ ზრდას, რომელიც ზოგჯერ აღემატება საზოგადოების მოთხოვნილებას მოსახლეობის კვლავწარმოებაზე და

ოჯახების უმეტესობის მოთხოვნილებას მშობლობაზე. ამიტომ თანამედროვე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ჭარბი ნაყოფიერების შეზღუდვის პრობლემა დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს არა მარტო დემოგრაფიულ, არამედ სოციალურ-ჰიგიენურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებშიც.

ნაყოფიერება ძალიან ადრე წარმოშობა (ქალებში 12-13 წლიდან, ვაჟებში 14-15 წლიდან), მაშინ როცა საკუთარი ოჯახის შექმნისათვის საჭირო სიმწიფის მიღწევის ასაკი, სასკოლო და პროფესიული განათლების ვადების ზრდის კვალობაზე ზევით იწევს. სქესობრივი და სოციალური მომწიფების ვადებს შორის ასეთი სხვაობა ქმნის ბევრ (მოზარდების ქორწინებამდელი სქესობრივი კონტაქტები, ნაადრევი ფეხმძიმობის, მშობიარობისა და კონტრაცეფციის პრობლემები და ა.შ.), არა მარტო სამედიცინო, არამედ მორალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული ხასიათის პრობლემებს.

პირიქით, მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების კვალობაზე ნაყოფიერების დაშრეტის ასაკიც ზევით იწევს (ქალებში 50-55 წელს ზევით, ვაჟებში საშუალოდ კიდევ უფრო მაღალ ასაკებში). ამასთან, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ქალები ბავშვთა შობას უკვე 35 წლამდე ასაკში წყვეტენ. 1-2 სასურველი ბავშვის გაჩენის შემდეგ, რაზეც საშუალოდ 5-10 წელი იხარჯება, ცოლ-ქმარი 15 და მეტი წლის განმავლობაში იძულებულია დიდი ძალისხმევა გამოიყენოს არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან ასაცილებლად, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებისა და მეთოდების დახმარებით, ხოლო მათი არა ეფექტურობისას – მიმართონ აბორტს, ქალის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საფრთხით. ეს გარკვეულ დაძაბულობას ქმნის ოჯახურ ურთიერთობაში. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს აგრეთვე, არა მარტო ექიმების, არამედ სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების მონაწილეობასაც.

უკანასკნელ ორ ათწლეულში რეპროდუქციული განწყობების, მოტივების, გეგმებისა და მათი რეალიზაციის სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების განვითარების კვალობაზე ნაყოფიერების შესწავლისადმი ინტერესი იზრდება. რეპროდუქციული ზრახვების რეალურიების შეფასებისათვის, შობადობის შიგა ოჯახური რეგულირების პრაქტიკის შესწავლისათვის მკვლევარები სულ უფრო განიცდიან რესპოდენტთა ნაყოფიერების მდგომარეობის შესახებ თუნდაც გარკვეული წარმოდგენის ქონის აუცილებლობას.

ინფორმაცია ნაყოფიერების მდგომარეობის შესახებ (უფრო სწორად უნაყოფობის შესახებ) მეუღლეთა ანკეტირებისას გროვდება. მართალია, ამ დროს

ნაყოფიერების მხოლოდ ის დარღვევები ფიქსირდება, რომლის შესახებაც თავად გამოსაკითხებისათვისაა ცნობილი და რომელთა შესახებაც ისინი ისურვებდნენ შეტყობინებას. ამრიგად, მოსახლეობის გამოკითხვისას მიღებული მონაცემები სრული ან ნაწილობრივი უნაყოფობის შესახებ მოსახლეობის ნაყოფიერების დონის არაზუსტ სურათს იძლევიან (თუმცა მნიშვნელოვნად უფრო სრულს, ვიდრე სამედიცინო აღრიცხვის მონაცემები). მაგრამ ნაყოფიერების დონის შესახებ მოსახლეობის გამოკითხვის გზით მიღებული ინფორმაციის გარკვეული არასრულობის მიუხედავად ბევრ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მოწმობენ ქორწინებაში, რომლებშიც ცოლი 50 წელზე უფროსი არაა უნაყოფობისა და დაქვეითებული ნაყოფიერების დიდ მასშტაბებზე – 25-30%-მდე. ქალთა მაქსიმალური ნაყოფიერების ასაკში – 20-21 წელი, 3-6% სტერილურია (ჩასახვის უუნარო), მაგრამ უკვე 35-39 წლებისათვის – 20%-მდე (ხოლო ნაწილობრივ უნაყოფობის გათვალისწინებით 50%-მდე). ამრიგად, ნაყოფიერებაში განსხვავებებს არსებითი კორექტივები შეაქვთ ოჯახების რეპროდუქციულ გეგმებში და გამოკვლევებში ისინი გათვალისწინებული უნდა იქნენ.


შობადობა – ნაყოფიერების ფაქტიური რეალიზაციაა მრავალი ეკონომიკური, კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ხასიათის პირობების გათვალისწინებით (რომელთაგანაც ნაყოფიერების არსებობა – პირველია).

5.4. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ბრაზიკული გამოსახვა


შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების მრუდი ჩვეულებრივ კოორდინატთა სისტემაში გამოისახება. აბსცისათა ღერძზე გადაიზომება 15-დან 50 წლამდე ჯგუფის საზღვრები, ორდინატთა ღერძზე კი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების სკალა (იხ. სურ. 5.1) აბსცისათა სკალაზე ასაკობრივი ინტერვალის შუაში აღიმართება პერპენდიკულარები, რომელთა სიმაღლედ შობადობის შესაბამისი ასაკობრივი კოეფიციენტების სიდიდის პროპორციულია, და ამ პერპენდიკულარების ბოლოები ერთმანეთთან ერთდება. მიღებული ხაზი (ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტების გამოყენების შემთხვევაში ნარნარი, ხოლო – ხუთწლიანი კოეფიციენტების შემთხვევაში ტეხილი) კი გამოსახავს შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების მრუდის ფორმას (პირობითად ტეხილ ხაზსაც „მრუდს“ ვუწოდებთ).

15-დან დაახლოებით 22-23 წლამდე ინტერვალში ქალების ზრდისა და მათი დაქორწინების კვალად მრუდი მკვეთრად ზევით იჭრება, აღნიშნულ ასაკში აღწევს მაქსიმუმს და იწყებს კლებას. ასაკობრივი შობადობის ორი მრუდის განხილვისას, რომელთაგან ერთი მაღალი შობადობის და მისი შიგაოჯახური რეგულირების ნაკლები ხარისხის მქონე მოსახლეობას, ხოლო მეორე მრუდი პირიქით, შობადობის დაბალი დონისა და მისი შიგა ოჯახური კონტროლის მაღალი ხარისხის მქონე მოსახლეობას ეკუთვნის (ნახ. 5.1-ზე გამოსახულია ერთ ქვეყანაში სსრკ-ში შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტის სამი მრუდი დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც ჩვენს მსჯელობაში არაფერს ცვლის), შეიძლება დავინახოთ, რომ ქვედა მრუდი მნიშვნელოვნადაა ჩაზნექილი, ვიდრე ზემოთა. მაქსიმალური წერტილის მიღწევამდე ყველა მრუდი მცირედ განსხვავდება ერთი ერთმანეთისაგან. ეს იმით აიხსნება, რომ ქორწინებაში პირველი ბავშვის გაჩენამდე არაა მიღებული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება (ყოველ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ დრომდე ასე იყო. ახლა ეს ცხადია უკვე ასე არაა). მხოლოდ პირველი და არც თუ იშვიათად ერთადერთი ბავშვის გაჩენის შემდეგ იწყებენ მეუღლეები ყოველი დონისძიების გამოყენებას, რათა არ დაუშვან მომდევნო ბავშვის გაჩენა, ან „უკეთეს დრომდე“ გადაავადონ ფეხმძიმობა.

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ჩაზნექილობის ხარისხი თვალსაჩინოდ ასახავს შობადობის შიგაოჯახური კონტროლის აქტივობის ხარისხს.



ნახ. 5.1. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები სსრკ-ში (1926-1927; 1958-1959წწ.)
რუსეთში (1995წ.)



ნახ. 5.1ა. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში 1958-1959, 1979-1980 და 1999 წლებში.

5.5. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობა

შემდგომ ნაბიჯს შობადობის საუკეთესო მაჩვენებლისაკენ წინსვლის გზაზე კოეფიციენტებში ქალების ქორწინებითი მდგომარეობის ასახვა წარმოადგენს. ბავშვები ძირითადად ქორწინებაში იბადებიან. ქორწინებითი მდგომარეობა შობადობის დონის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტები უფრო უკეთეს წარმოდგენას იძლევიან შობადობის მდგომარეობასა და დინამიკაზე, ვიდრე ჩვეულებრივი, ქალების ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით არადიფერენცირებული კოეფიციენტები. შობადობის ქორწინებითი და ქორწინების გარეშე კოეფიციენტების გამოსათვლელი ფორმულები შემდეგნაირად გამოიყურება:

ქორწინებითი შობადობის სპეციალური კოეფიციენტი:

$${}^mF_{15-49} = \frac{{}^mN}{{}^mW_{15-49}} \times 1000 \quad (5.5.1)$$

სადაც ${}^mF_{15-49}$ – ქორწინებითი შობადობის სპეციალური კოეფიციენტია; – mN გათხოვილი ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების რიცხვია; ${}^mW_{15-49}$ – 15-49 წლის ასაკში გათხოვილი ქალების საშუალო წლიური რიცხვია.

ქორწინებითი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი:

$${}^mF_x = \frac{{}^mN_x}{{}^mW_x} \times 1000 \quad (5.5.2)$$

სადაც mF_x – ქორწინებითი შობადობის სპეციალური კოეფიციენტი; – mN_x გათხოვილი ქალების მიერ „x“ ასაკში გაჩენილი ბავშვების რიცხვია; mW_x – „x“ ასაკის გათხოვილი ქალების საშუალო წლიური რიცხვია.

ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტები ძირითადად მხოლოდ შერჩევითი გამოკვლევების მონაცემებით გაიანგარიშება. ოფიციალური სტატისტიკა მათ არ ანგარიშობს და არ აქვეყნებს. ეს დაკავშირებულია ორ პრობლემასთან. პირველი – ქორწინებითი შობადობის მაჩვენებლები აუცილებლად უნდა იყვნენ დანაწევრებულნი დაქორწინებისას ასაკისა და ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით.

მაგრამ მსგავსი გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემები დაბადებათა მიმდინარე აღრიცხვის რეგისტრებში არაა.

მეორე პრობლემა – ქორწინებითი შობადობის მაჩვენებლის გაანგარიშებისას წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის შეუსაბამობაა. მრიცხველში მოტანილია **რეგისტრირებულ** ქორწინებაში დაბადებულთა რიცხვი, მაშინ როცა მნიშვნელში მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით ქორწინებაში, ე.ი. **ფაქტიურ** ქორწინებაში მყოფი ქალების რიცხვია. მართალია, სრულიად რუსეთის 1994 წლის მიკროაღწერამ აჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში, ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, ქორწინებათა უმეტესობა, 90%-ზე მეტი, რეგისტრირდება. ქორწინებითი შობადობის ზოგიერთი მკვლევარი უბრალოდ იგნორირებას უკეთებს მრიცხველსა და მნიშვნელის ამ ყბადღებულ პრობლემას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველა ახალშობილს ქორწინებაში დაბადებულად თვლიან. რამდენად არიან ისინი მართლები, ძნელი სათქმელია.

ქორწინების გარეშე შობადობის მაჩვენებლები, ქორწინებითი შობადობის მაჩვენებლების სრული ანალოგიით იანგარიშება. საჭიროა მხოლოდ ქორწინებითი შობადობის სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტების ზემოთ მოყვანილ ფორმულაში შევცვალოთ ზემოთა მარცხენა ინდექსი „m“ (ინგლისურიდან „marriage“ – ქორწინება) „n“-ით („nonmarriage“ – არაქორწინება). ვფიქრობ არ ღირს ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტების ფორმულებზე უფრო დაწვრილებით შეჩერება, მით უმეტეს, რომ ისინი იშვიათად გამოიყენება. უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხი: რა არის ქორწინების გარეშე შობადობა? ეს არც ისე მარტივი საკითხია, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს.

ბევრ ქვეყანაში კანონიერად მიიჩნევა მხოლოდ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება. ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს დამოკიდებულება ქორწინებისადმი ორგვარია. ერთის მხრივ რუსეთის ფედერაციის მოქმედი საოჯახო კოდექსის თანახმად უფლებამოსილად ითვლება მხოლოდ სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერ ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება. მხოლოდ ამ შემთხვევაში წარმოიშობა ერთმანეთის მიმართ კანონის წინაშე მეუღლეთა ქონებრივი და ნებისმიერი სხვა ხასიათის უფლებები და პასუხისმგებლობები. ამავე დროს ბავშვების უფლებები, მამასთან დამოკიდებულებაში, განსხვავდება შემდეგ გარემოებებზე დამოკიდებულების მიხედვით: 1) თუკი ბავშვი დაიბადა ერთმანეთთან იურიდიულ ქორწინებაში მყოფი პირებისაგან ან განქორწინების მომენტიდან მისი გაუქმების

აღიარებიდან, ან ბავშვის დედის მეუღლის სიკვდილის მომენტიდან სამასი დღის განმავლობაში, კანონის მიერ ბავშვი მიიჩნევა როგორც ქორწინებაში დაბადებული, ხოლო მამად – დედის მეუღლე (ყოფილი მეუღლე); მეუღლის, ბავშვის მამად აღიარებისათვის საკმარისია ქორწინების მოწმობა (თუკი არაა დამტკიცებული ბავშვის სხვაგვარი წარმომავლობა); 2) თუკი ბავშვის დედასთან იურიდიულ ქორწინებაში არ მყოფი პირის მამობა დგინდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში მამობის აღიარების შესახებ ბავშვის მამისა და დედის ერთობლივი განცხადების შეტანით. ამ შემთხვევაში ბავშვი არ ითვლება ქორწინებაში გაჩენილად, მაგრამ მიუხედავად ამისა მამისა და ბავშვის უფლებები და მოვალეობები ერთმანეთის მიმართ დგინდება ისეთივე, როგორც ქორწინებაში დაბადებულთათვის. ბავშვის მშობლების იმავე ერთობლივი განცხადებების საფუძველზე ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ორგანოებში მისი რეგისტრაცია, ორივე მშობლის სახელის მითითებით; დაბოლოს, 3) თუკი ბავშვი რეგისტრირდება მხოლოდ მარტო დედის განცხადების საფუძველზე, ბავშვის მამის გვარი ჩაიწერება დედის გვარის მიხედვით, ხოლო ბავშვის მამის სახელი და მამის, მამის სახელი – დედის მითითებით. სურვილის შემთხვევაში დედას შეუძლია საერთოდ არ მიუთითოს ცნობები ბავშვის მამის შესახებ. სიტუაციის შესამე ვარიანტში არც ბავშვს და არც მის მამას არა აქვთ ერთმანეთის მიმართ, ასევე ბავშვის მშობლებს ერთმანეთს შორისაც, არავითარი უფლებები და ვალდებულებები.

მაშინ როცა ჩვენს მიმდინარე სტატისტიკაში ფაქტიური ქორწინებები ქორწინებად არ ითვლება (და შესაბამისად ასეთ კავშირში გაჩენილი ბავშვები არ ითვლებიან ქორწინებაში გაჩენილ ბავშვებად), აღწერებში, პირიქით, არ კეთდება განსხვავება ფაქტიურ და იურიდიულ ქორწინებებს შორის.¹ მსგავსი

1. აქ მე მინდა განვმარტო ერთი გაუგებრობა, რომელთანაც ამ ბოლო ხანებში რატომღაც ხშირად გვიწევს შეჯახება. საკმაოდ ხშირად მასობრივ პრესაში შეიძლება შევხვდეთ ფაქტიური ქორწინების „სამოქალაქოდ“ დასახელებას. უცნობია საიდან წამოვიდა იგი, მაგრამ ეს წმინდა გაუგებრობაა. სამოქალაქო ქორწინება ეწოდება **მოქალაქეობრივი** მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოებში **რეგისტრირებულ** ქორწინებებს, საეკლესიო ქორწინების საპირისპიროდ, ე.ი. საეკლესიო წესით და საეკლესიო ორგანოების მიერ **რეგისტრირებული** ქორწინებისაგან განსხვავებით. ჩვენს ქვეყანაში საეკლესიო ქორწინება ფაქტიური ქორწინების ტოლფასია, რადგანც არ გააჩნია იურიდიული ძალა. მიუხედავად ამისა **ფაქტიური და სამოქალაქო ქორწინება – სულაც არაა სინონიმები.**

არათანმიმდევრულობის შედეგად არაა მკვეთრად გამოიხსნული ქორწინებით და ქორწინების გარეშე შობადობებს შორის განსხვავება. გაუგებარი რჩება თავად ქორწინების გარეშე შობადობის ცნება. საბოლოოდ ჩვენ რიგიანად არც კი ვიცით, როგორია ჩვენთან ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის დონე (მით უფრო, რომ ამის ცოდნა აუცილებელია, არა მარტო დემოგრაფიულ, არამედ ვგონებ უფრო მეტადაც მორალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებში).

მაგალითად, 1997 წელს ქორწინებაში არ მყოფი ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების ხვედრითმა წილმა (ასე უწოდებს სრულიად სამართლიანად ახალშობილთა ამ კატეგორიას ჩვენი სახელმწიფო სტატისტიკა) მოლიანად რუსეთში დაბადებულთა საერთო რიცხვის 25,3% შეადგინა, ამასთან ქალაქებში – 25,0%, სოფლებში – 26,1%¹. რას ნიშნავს ეს? როგორ ავხსნათ იგი? თუმცა ამ ხვედრითი წილების სხვაობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში ძალიან მცირეა (და უკვე მარტო ესეც გაკვირვებას იწვევს, თუკი ეს ქორწინების გარეშე შობადობებია, მაშინ ვფიქრობთ ქალაქად ისინი უფრო მეტი უნდა იყოს ვიდრე სოფელში), მაინც ეს ხვედრითი წილი რამდენადმე მაღალია სოფლის მოსახლეობაში, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. რამდენად შედგება იურიდიულად გაფორმებული ქორწინების გარეთ დაბადებულთა ეს ხვედრითი წილი ფაქტიურ ქორწინებაში დაბადებულებისაგან (რომელსაც მიეკუთვნება საეკლესიო წესით გაფორმებული ქორწინებებიც, მორწმუნეთათვის ეს სრულიად კანონური ქორწინებებია) და რამდენადაა იგი – შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტების შედეგი.

ვგონებ, მხოლოდ ერთხელ 1990 წელს ყოფილი სსრკ-ს ც.ს.ს-მ გამოაქვეყნა არა მარტო რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საერთო რიცხვი, არამედ მათ შორის გამოჰყო დედის განცხადებებით რეგისტრირებულ ახალშობილთა რიცხვიც. ასეთნაირად, შესაძლო გახდა, მშობლების ორივე მხარის ერთობლივი განცხადებებით რეგისტრირებული ახალშობილების ხვედრითი წილის განსაზღვრა (იურიდიული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების საერთო რიცხვიდან, მხოლოდ დედის განცხადებებით რეგისტრირებული ბავშვების რიცხვის გამოკლების გზით). მან რუსეთში 42,4% შეადგინა (არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების მთელ რიცხვთან)².

1. 1998. C. 166.

2. 1990. ., 1990. C. 316.

1989 წელს საქართველოში მან 70% შეადგინა. მათ შორის ქალაქად 66,6%, სოფლად კი 75,2%.

შეიძლება ვივარაუდოთ (მხოლოდ ვივარაუდოთ), რომ ამ მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი – არიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები. სამწუხაროდ რუსეთის სტატსახკომმა არ მისდია თავისი ყოფილი „უფროსი ძმის“ კარგ წამოწყებას. ამიტომ ჩვენ არ ვიცით დაბადებულთა მთელ რიცხვში თუ როგორია ბავშვების დინამიკა და თანაფარდობა თავისი ქორწინებითი სტატუსით. 1960 წელს რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ხვედრითი წილი უდრიდა 13,7%-ს და 1975 წელს იგი შემცირდა 10,7%-მდე, ხოლო შემდეგ დაიწყო ზრდა და 1980-იანი წლების ბოლოს ეს ზრდა ძლიერ დაჩქარდა 1997 წელს იურიდიული ქორწინების გარეშე დაბადებულთა ხვედრითი წილი (როგორც უკვე იყო აღნიშნული) გაიზარდა 25,3%-მდე, რაც 1975 წელთან შედარებით ორზე მეტჯერ ზრდას ნიშნავს.¹ რას ნიშნავს ეს გამაღებელი ზრდა? არასასურველი დაბადების თავიდან აცილების არ ცოდნის თანამდეგ ზნეობის დაცემას? არარეგისტრირებული ქორწინებითი ურთიერთობების რიცხვისა და ხვედრითი წილის ზრდას, ე.ი. ქორწინების ტრადიციული ინსტიტუტისადმი უპატივცემულობის ზრდას? ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ასახვას? სპეციალური სერიოზული ემპირიული და თეორიული გამოკვლევების გარეშე ამ კითხვების პასუხის გაცემა შეუძლებელია. მანამდე კი ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ **ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები** („ქორწინების გარეშე ბავშვები“) და **რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები** – სრულებითაც არაა ერთი და იგივე და არაა საჭირო ამ განსხვავებული ცნებების აღრევა.

5.6. შობადობის ჯამური კოეფიციენტი

ახლა კვლავ დაგუბრუნდეთ შობადობის ასაკობრივ კოეფიციენტებს. თუკი მხედველობაში გვექნება ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტების გამოყენებაში აღნიშნული სიძნელები, მაშინ ჩვეულებრივი, ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით დაუნაწევრებელი ასაკობრივი კოეფიციენტები რჩებიან, მისი მდგომარეობისა და დინამიკის ანალიზისათვის კარგი შესაძლებლობის მომცემ,

1.

1996. C. 166.

შობადობის ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებად. როგორც უკვე იყო აღნიშნული მათ ღირსებას წარმოადგენს ქალთა რეპროდუქციული ასაკობრივი კონტინგენტის შიგნით ასაკობრივი სტრუქტურის გავლენისაგან დამოუკიდებლობა. მაგრამ მათაც აქვთ ნაკლი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ბევრია. ერთწლიანი კოეფიციენტების გამოყენებისას ისინი 35 იქნება (15-დან 49 წლამდე ჩათვლით).

ხუთწლიანი კოეფიციენტების გამოყენების შემთხვევაში მათი რიცხვი უკვე მნიშვნელოვნად მცირე – 7-ის ტოლია, მაგრამ მიმოხილვისათვის ისინი მაინც ბევრია. ამასთან, კოეფიციენტების დინამიკა შეიძლება განსხვავებული იყოს, ზოგჯერ საპირისპიროდაც კი. მართლაც, ამ საუკუნეში (XX საუკუნე – ქართულად მთარგმნელის შენიშვნა) ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში კოეფიციენტების დინამიკის ტენდენცია ისეთი იყო, რომ დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში შობადობის კოეფიციენტები **იზრდებოდა**, მაშინ როცა უფროსებში – მცირდებოდა. ზოგჯერ შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტის დინამიკის შესვდვისას ძნელია გადაწყვიტო თუ მაინც რა ხდება – მცირდება თუ იზრდება. და ზოგიერთი მეცნიერ სპეკულიანტი არა უანგაროდ სარგებლობს ამ გარემოებით, ამტკიცებს, თითქოს ჩვენს ქვეყნაში შობადობა არ მცირდება. საჭიროა ერთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომელიც თავისთავში შეაერთებდა მაჩვენებელთა მთელი სისტემის ღირსებებს. და არის ასეთი მაჩვენებელი. მას ჰქვია – **შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი**.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი გამოითვლება შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების შეჯამებისა და მთელი წლებით გამოსახული მათი ყოველი ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეზე გამრავლების გზით. (ერთწლიანი კოეფიციენტებისას მამრავლი უდრის 1-ს, ხუთწლიანისას – 5-ს და ა.შ.) საბოლოო ჯამი იყოფა 1000-ზე, ე.ი. მაჩვენებელი გამოისახება საშუალოდ ერთ ქალზე გაანგარიშებით. გაანგარიშების ფორმულა ასეთია:

$$\text{შ.ჯ.კ.} = \frac{49}{15} \sum F_x \times 0,001 \quad (5.6.1)$$

სადაც შ.ჯ.კ. შობადობის ჯამური კოეფიციენტია; F_x – ასაკობრივი კოეფიციენტები; n – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძე (ინტერვალის ერთნაირი სიგრძის შემთხვევაში, იგი შეიძლება გავიტანოთ ჯამის ნიშნის წინ, ე.ი. ჯერ შევკრიბოთ კოეფიციენტები, ხოლო შემდეგ კოეფიციენტების ჯამი ერთხელ

გავამრავლოთ ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეზე. თუკი ინტერვალები სხვადასხვა სიგრძისაა (იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება), მაშინ მოგვიწევს თითოეული კოეფიციენტი ცალ-ცალკე გავამრავლოთ მისი შესაბამისი ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეზე).

შობადობის ჯამური კოეფიციენტები წარმოადგენენ ერთ-ერთ კრებსით ჯამურ მაჩვენებელს, რომლებიც იგება როგორც რეალური ასევე პირობითი თაობის მეთოდით. შობადობის ჯამური კოეფიციენტის გაანგარიშების ზემოთ მოტანილი ფორმულა ეკუთვნის პირობით თაობას, ე.ი. ქალების სხვადასხვა რეალური თაობის კუთვნილი შობადობის ყველა ასაკობრივ კოეფიციენტებს ჩვენ პირობითად განვიხილავთ როგორც ერთი თაობისთვის კუთვნილს, თითქოსდა მათ ერთ მოცემულ კალენდარულ წელს, დაკვირვების წელს იცოცხლეს მთელი თავისი რეპროდუქციული პერიოდი 15-დან 50 წლამდე.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენ ბავშვს აჩენს საშუალოდ ერთი ქალი მთელი მისი, 15-დან 50 წლამდე ასაკში, სიცოცხლის განმავლობაში იმ პირობით, რომ მოცემული თაობის მთელი რეპროდუქციული პერიოდის სიცოცხლის განმავლობაში შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ყოველ ასაკობრივ ჯგუფში უცვლელი რჩება საანგარიშო პერიოდის დონეზე.¹

განვიხილოთ შობადობის ჯამური კოეფიციენტის გაანგარიშების მაგალითი (იხ. ცხრილი 5.1.)

ცხრილი 5.1.

შობადობის ასაკობრივი და ჯამური კოეფიციენტები რუსეთში 1995 წელს

შობადობის კოეფიციენტები აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებში %0							შობადობის ჯამური კოეფიციენტი შ.ჯ.კ.
15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	
45,6	113,5	67,2	29,7	10,7	2,2	0,1	1,345

1. მოცემული განმარტების საკმაოდ გრძელი ნაწილი, რომელსაც შემოაქვს პირობა „რომ მოცემული თაობის ცხოვრების მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი უცვლელი რჩება საანგარიშო პერიოდის დონეზე“ – სწორედ აღნიშნავს პირობითი თაობის პარამეტრებს. ზემოთ მე-3 თავში რეალური და პირობითი თაობის მეთოდების შესახებ განყოფილებაში უკვე იყო საუბარი, რომ ასაკობრივი კოეფიციენტების მხოლოდ ხანგრძლივად მუდმივობისას დაემთხვევა ერთმანეთს პირობითი და რეალური თაობის შედეგობრივი (ჯამური) მაჩვენებლები. ამ შემთხვევაში გრძელი, მაგრამ აუცილებელი პირობითი თაობის მახასიათებელთა შემოტანა, შეიძლება შეიცვალოს მოკლე მინიშნებით იმაზე, რომ ქალი, რომელზეც აქაა საუბარი – ესაა „საშუალო ქალი პირობითი თაობიდან“. მაგრამ ამ შემთხვევაში მზად უნდა იყოს აუხსნათ მასწავლებელს გესმით თუ არა თქვენ, რა არის პირობითი თაობა.

ზუსტად, რომ ვთქვათ ცხრილ 5.1-ში წარმოდგენილია გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემები (შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი) და გაანგარიშების შედეგი (ჯამური კოეფიციენტი). თავად გაანგარიშება მდგომარეობს კოეფიციენტების შეკრებისა, კოეფიციენტების ჯამის 5-ზე გამრავლებისა (ასაკობრივი ინტერვალის სიგრძე) და მისივე 1000-ზე გაყოფის არითმეტიკულ მოქმედებაში. ცხადია, ეს უმარტივესი მოქმედებები დემონსტრირებას არ საჭიროებენ.¹

საქართველოს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განვიხილოთ შობადობის ჯამური კოეფიციენტის გაანგარიშების მაგალითი (იხ. ცხრილი 5.1^ა).

ცხრილი 5.1^ა

შობადობის ასაკობრივი და ჯამური კოეფიციენტები საქართველოში 1999 წელს

შობადობის კოეფიციენტები აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებში %0							შობადობის ჯამური კოეფიციენტი შ.ჯ.კ.
15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	
35,2	76,8	56,4	29,5	12,5	3,5	0,7	1,073

5.1. ცხრილში მიღებული 1,345-ის ტოლი (ან სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემებით 1,344) შობადობის ჯამური კოეფიციენტი შემდეგნაირად აიხსნება. 1995 წლის ასაკობრივი კოეფიციენტების, განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროით შენარჩუნების შემთხვევაში, ქალების პირობითი თაობიდან ერთმა ქალმა საშუალოდ თავისი ცხოვრების მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში 1995 წელს გააჩინა (ზოგჯერ ამბობენ გააჩენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში არაა საჭირო, თუკი ჩვენ გვესმის თუ რომელ ქალზეა საუბარი) 1,345 ბავშვი.

5.1^ა ცხრილში მიღებული 1,073-ის ტოლი (ან სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემებით 1,07) შობადობის ჯამური კოეფიციენტი შემდეგნაირად აიხსნება. 1999 წლის ასაკობრივი კოეფიციენტების განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროით შენარჩუნების შემთხვევაში, ქალების პირობითი თაობიდან ერთმა ქალმა საშუალოდ თავისი ცხოვრების მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში 1999 წელს გააჩინა (ზოგჯერ ამბობენ გააჩენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში არაა საჭირო თუკი ჩვენ გვესმის თუ რომელ ქალზეა საუბარი) 1,073 ბავშვი.

1. თუკი შევადარებთ 5.1 ცხრილში ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაანგარიშებულ ჯამურ კოეფიციენტს რუსეთის ფედერაციის (რფ) სტატსახკომის მიერ ერთწლიანი კოეფიციენტებით გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელთან – 1,344 (c 1996. ., 1996. . 92) დავინახავთ, რომ სხვაობა უმნიშვნელოა. რა თქმა უნდა, იგი შეიძლება უფრო შესამჩნევი იყოს, მაგრამ არასდროს არ იქნება – არსებითი. ეს ნიშნავს, რომ შობადობის ხუთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტი სრულიად გამოსადეგია შობადობის დონისა და დინამიკის ნებისმიერი ანალიზისათვის.

ჯამური კოეფიციენტი არის შობადობის საუკეთესო მაჩვენებელი. მას გააჩნია შემდეგი ღირსებები:

1. მისი სიდიდე არაა დამოკიდებული (ან თითქმის არაა დამოკიდებული) მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისა და ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის თავისებურებებზე.
2. ეს მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ერთი რიცხვით შევადაროთ შობადობის დონის მდგომარეობა მისით მოსახლეობის კვლავწარმოების უზრუნველყოფის პოზიციიდან. ასეთი შეფასებისათვის საკმარისია გვახსოვდეს მხოლოდ მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების დონის შესაბამისი შობადობის ჯამური კოეფიციენტის კრიტიკული, ზღვრული მნიშვნელობა.

ყველაზე დაბალი მოკვდაობის პირობებში (ვთქვათ, იაპონიის) მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოება მიიღწევა **2,08 ბავშვის ტოლ** (შეიძლება დავამრგვალოთ 2,1-მდე, მაგრამ არა მთელ რიცხვამდე) შობადობის ჯამური კოეფიციენტის შობადობის დონით. ჩვენთან რიუსეთში არაა ყველაზე დაბალი მოკვდაობა, მაგრამ ჩვენთანაც შობადობის ჯამური კოეფიციენტის კრიტიკული მნიშვნელობა უდრის 2,12 (ე.ი. მცირედ განსხვავდება იაპონიის დონისაგან).

მაშინ, მაგალითად, შობადობის ჯამური კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობის, კერძოდ, 1,23-ის (რუსეთისათვის 1997 წელს) მის კრიტიკულ მნიშვნელობაზე 2,12 გაყოფით ყოველგვარი, ზოგჯერ საკმაოდ რთული შრომატევადი გამოთვლების გარეშე გავიგებთ, რომ შობადობის თანამედროვე დონე ჩვენ ქვეყანაში მოსახლეობის კვლავწარმოებას (ანუ სხვაგვარად – თაობათა ცვლას) მხოლოდ 58,0%-ით ე.ი. ნახევარზე ცოტათი მეტად უზრუნველყოფს და როცა ჩვენი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა შობადობისა და მოკვდაობის თანამედროვე დონეებთან სრულ შესაბამისობაში მოვა ყოველი მომდევნო თაობა რიცხობრივად თითქმის ორჯერ ნაკლები იქნება წინაზე.

მაგალითად 1999 წელს საქართველოში შობადობის ჯამური კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობის 1,073-ის, მის კრიტიკულ მნიშვნელობაზე 2,23 გაყოფით, ყოველგვარი, ზოგჯერ საკმაოდ რთული შრომატევადი გამოთვლების გარეშე გავიგებთ, რომ შობადობის თანამედროვე დონე საქართველოში მოსახლეობის კვლავწარმოების (ანუ სხვაგვარად – თაობათა ცვლის) მხოლოდ 48,1%-ით, ე.ი. ნახევარზე ნაკლებად უზრუნველყოფს. და როცა ჩვენი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა შობადობისა და მოკვდაობის თანამედროვე დონესთან სრულ შესაბამისობაში მოვა ყოველი მომდევნო თაობა რიცხობრივად ორჯერ ნაკლები იქნება წინაზე.

რა თქმა უნდა შობადობის ეს საუკეთესო მაჩვენებელიც, როგორცაა ჯამური კოეფიციენტი არაა დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. მათ მიეკუთვნება:

1. კოეფიციენტის სიდიდის ქორწინების დონესა და მის ცვლილებაზე დამოკიდებულება. ქორწინების დონის ზრდის ან შემცირების შემთხვევაში ჯამური კოეფიციენტიც შესაბამისად იზრდება ან მცირდება, მაშინ როცა ბავშვების რიცხვი ყოველ ცალკეულ ოჯახში უცვლელი დარჩება, ან შეიცვლება იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, ვიდრე იცვლება ქორწინება.

2. კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია აგრეთვე ბავშვების გაჩენის ვადების ცვლილებაზე. ქალის ცხოვრების რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში მომდევნო გაჩენებს შორის ინტერვალების განაწილებაზე. ასეთ განაწილებას ეწოდება **დაბადებათა ტაიმინგი** (ინგლ. timing of births- დაბადებათა განაწილება რეპროდუქციულ პერიოდში¹) ან ზოგჯერ „დაბადებათა კალენდარი“. პირველი ვარიანტი უფრო უკეთესია, რადგანაც არავითარ ასოციაციებთან არაა დაკავშირებული.

შევეცდებით ტაიმინგის ცნება განვმარტოთ შემდეგი მაგალითით. თანამდროვე ეკონომიკურად განვითარებულ, დაბალ შობადობიან ქვეყნებში, როცა მეუღლეთა უმრავლესობა ეფექტურად აკონტროლებს თავიანთი ბავშვების რიცხვსა და გაჩენის ვადებს, ორი ბავშვი შეიძლება გააჩინონ ერთი ან ათი წლის ინტერვალით. ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ ან სხვა არახელსაყრელ პირობებში მოხვედრისას მეუღლეებს შეუძლიათ სასურველი გაჩენის რამდენიმე წლით გადადება და მათი გვიან რეალიზება, როცა სიტუაცია გაუმჯობესდება. თუკი ასეთი ოჯახები ბევრი იქნება, მაშინ ტაიმინგის ცვლილება შობადობის ყველა მაჩვენებლის რყევებზე აისახება. ერთ პერიოდში ისინი გაიზრდება, მეორეში შემცირდება (თუკი რა თქმა უნდა არ შეიცვლება დაბადებათა საბოლოო რიცხვი, რომელიც მეუღლეებს უნდოდათ რომ ჰყოლოდათ, ან გეგმავენ მათ ყოლას. პირობითი თაობის მაჩვენებლები რეაგირებენ ტაიმინგზე, მაშინ როცა რეალური თაობის მაჩვენებლები მხოლოდ მოცემული თაობის (კოჰორტის) ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საბოლოო შედეგს დაახასიათებენ).

ამიტომ შობადობის დონის დროებითი, ტაიმინგური ზრდა, მაგალითად, მთავრობის ერთჯერადი დადგენილების შემდეგ, რომელიც ოჯახებს ბავშვების დამატებითი რიცხვის გაჩენისათვის რაიმე სიკეთეს ჰპირდება, არ შეიძლება განვმარტოთ უბრალოდ როგორც შობადობის „ზრდა“. იგი ისე უნდა შეფასდეს,

როგორც ამას იმსახურებს, ე.ი. როგორც ტალღის თქაფუნი, რომელსაც მალე მოყვება მისი დაცემა.

ბევრ სტატისტიკოსს დიდხანს არ უნდოდა შობადობის დონის რყევების ბუნების გაგება. კოეფიციენტების მორიგი მომატებისას ისინი თვლიდნენ, რომ შობადობამ ბოლოს და ბოლოს დაიწყო მომატება (სამართლიანობის გამო უნდა ითქვას, რომ გამოჩნდებოდა ხოლმე ბევრი საკმაოდ სოლიდური მეცნიერი, რომლებიც იმავე აზრს იზიარებდნენ). ხოლო როცა ზრდის მორიგი ტალღა კიდევ უფრო ღრმა ჩავარდნით მთავრდებოდა, ვიდრე მანამდე იყო, მსგავსი სტატისტიკოსები მოკრძალებით დუმდნენ. ამრიგად, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში შობადობა **განუწყვეტლივ იზრდება.**

5.7. ერთ ქორწინებით წყვილზე გაანგარიშებით (საშუალოდ) მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების ზღვრის შესაბამისი ბაჩენილი ბავშვების ჯამური რიცხვის კრიტიკული მნიშვნელობა

თაობათა მარტივი შეცვლისათვის საჭირო შობადობის ჯამური კოეფიციენტის კრიტიკული მნიშვნელობა 2,08-ით (ხოლო თანამედროვე რუსეთისათვის 2,12-ით), განისაზღვრება საშუალოდ ერთ ქალზე მათი ქორწინებითი მდგომარეობის განურჩევლად. ე.ი. თითქოსდა ივარაუდება, რომ ბავშვებს აჩენს რეპროდუქციული ასაკის ყველა ქალი გამონაკლისის გარეშე. მაგრამ ცხადია, რომ ეს ასე არაა. ძირითადად ბავშვებს აჩენენ ქორწინებაში მყოფი, ქმრებთან ერთად მცხოვრები და ნაყოფიერების მქონე ქალები. ამიტომ შობადობის ფაქტორების სოციოლოგიურ გამოკვლევებში მისი შეფასებისათვის იყენებენ გაჩენილი ბავშვების კრიტიკულ რიცხვს ერთ ქორწინებით წყვილზე გაანგარიშებით. ასეთი კრიტიკული მნიშვნელობის გაანგარიშება პირველად 1974 წელს¹ განახორციელა, გამოჩენილმა საბჭოთა და რუსეთის დემოგრაფმა ბორის ცეზარის ძე ურლანისმა (1906-1981), ხოლო 1983 წელს ზოგიერთი პარამეტრის ცვლილებაზე კორექციით რუსეთის მეორე ცნობილმა დემოგრაფმა ალექსანდრე ბორისის ძე სინელნიკოვმა.² ქვემოთ მოგვყავს გაანგარიშების ალგორითმი ა.ბ. სინელნიკოვის მიერ შეტანილი შესწორებებით.

1. სხვა თანაბარ პირობებში, როგორც ხშირად ამბობენ, გაჩენილი ბავშვების რიცხვი უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება ქალების რიცხოვნობით. რადგანაც ახალშობილთა შორის 100 გოგონაზე საშუალოდ მოდის 105 ბიჭი, ამიტომ 100 გოგონას გაჩენისათვის ყოველმა 100 ქალმა უნდა გააჩინოს 205 ბავშვი.

უკანასკნელ წლებში საქართველოში შეინიშნება სქესთა მეორეული თანაფარდობის (ანუ გაჩენისას ვაჟებისა და ქალების რაოდენობებს შორის თანაფარდობა, რომელიც ნორმალურ პირობებში შესაბამისად შეადგენს 105:100-ზე) მკვეთრი გაზრდა და იგი საშუალოდ ასე გამოიყურება: 118:100-ზე, ანუ ყოველ 100 გაჩენილ გოგონაზე საშუალოდ მოდის 118 ვაჟი (ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ასეთი თანაფარდობის მიზეზებზე, რომელიც სათანადოდ ჯერ კიდევ არაა გამოკვლეული, მაგრამ ერთი კი ცხადია, ამგვარ თანაფარდობაში დიდი როგორც სტატისტიკური აღრიცხვის ნაკლოვანებები ასევე სქესის ადრეულ ჩანასახოვან ეტაპებზე პროგნოზირებისა და შესაბამისად არასასურველი სქესის ნაყოფის მოცილების შემთხვევათა სიხშირე. ამასთან, არაა

1., 1974. . 287-288.
2. ? //
:, 1983. . 50-60.

გამორიცხული ეკოლოგიური ხასიათის გადახრებიც), ამიტომ საქართველოში 100 გოგონას გაჩენისათვის 100 ქალმა უნდა გააჩინოს 218 ბავშვი, რაც შობადობის დონის ისედაც შემცირების პირობებში კიდევ უფრო ართულებს მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების პრობლემას.

2. მოკვდაობის თანამედროვე პირობებში 100 ახალშობილი გოგონადან, გოგონას გაჩენისას დედის საშუალო ასაკამდე (27 წელი) აღწევს 96,8%. შესაბამისად, მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭიროა, რომ ყოველმა 100 ქალმა გააჩინოს $205 : 0,968 = 211,78$ ანუ დამრგვალებულად 212 ბავშვი. (ესაა შობადობის ჯამური კოეფიციენტის ის კრიტიკული მნიშვნელობა, რომელიც ცოტა ზემოთ იყო მოტანილი. აი ასე განისაზღვრება იგი).

მოკვდაობის თანამედროვე პირობებში საქართველოში 100 ახალშობილი გოგონადან გოგონას გაჩენისას დედის საშუალო ასაკამდე (27 წელი) აღწევს 98,0%. შესაბამისად მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭიროა, რომ ყოველმა 100 ქალმა გააჩინოს $218 : 0,980 = 222,45$ ანუ დამრგვალებულად 223 ბავშვი.

3. შემდეგ უნდა გავითვალისწინოთ ქალების საბოლოო პირველადი დაუქორწინებლობა (ე.ი. 50 წლამდე ქორწინებაში არც ერთხელ არ მყოფი ქალების წილი). 1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემების მიხედვით რუსეთში ასეთი ქალების წილმა 3,5% შეადგინა. ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ მოსახლეობის აღწერები ამ პროცენტს ამცირებენ, რადგანაც ზოგიერთი ქალი აღწერისას თავის თავს უსაფუძვლოდ უთითებს, როგორც ქორწინებაში მყოფს, ან ნამყოფს, მაგრამ მეორეს მხრივ, ქალების ნაწილი ბავშვებს ქორწინების გარეშე აჩენენ. გარკვეულწილად ერთი ფაქტორი გადაფარავს მეორე ფაქტორის მოქმედებას, თუ რამდენად – ეს უცნობია. შედეგად ბავშვების კრიტიკული რიცხვი 100 გათხოვილ, ან როდესმე ქორწინებაში მყოფ ქალზე გაანგარიშებით შეადგენს $211,78 : (1 - 0,035 = 0,965) = 219,46$ ბავშვს.

1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში 50 წლამდე ქორწინებაში არც ერთხელ არ მყოფი ქალების წილმა 5,7% შეადგინა. შედეგად ბავშვების კრიტიკული რიცხვი 100 გათხოვილ ან, როდესმე ქორწინებაში მყოფ ქალზე გაანგარიშებით შეადგენს

$$222,45 : (1 - 0,057 = 0,943) = 235,90 \text{ ბავშვს.}$$

4. საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ განქორწინებითა და დაქვრივებით, ქორწინებათა დაშლის გავლენა შობადობაზე, რადგანაც ამ ფაქტორის გამო მცირდება ქორწინების ხანგრძლივობა. მთელი რიგი სპეციალური გამოკვლევების მონაცემების მიხედვით განქორწინებები და დაქვრივება, მეორედ დაქორწინების

გათვალისწინებით ამცირებს შობადობას 7,5%-ით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით კრიტიკული მნიშვნელობა უნდა შეადგენდეს:

$$219,46 : (1 - 0,075 = 0,925) = 237,25$$

იმის გამო, რომ განქორწინებები და დაქვრივება, მეორედ დაქორწინების გათვალისწინებით შობადობას ამცირებს საშუალოდ 7,5%-ით, ამიტომ ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭირო შობადობის ჯამური კოეფიციენტის კრიტიკული მნიშვნელობა საქართველოში უნდა შეადგენდეს

$$235,90 : (1 - 0,075 = 0,925) = 255,03$$

5. დაბოლოს საჭიროა უნაყოფობის გავლენის გათვალისწინებაც. ქალების დაახლოებით 5%-ს ამ მიზეზით არ შეუძლიათ არც ერთი ბავშვის გაჩენა, ერთი ბავშვის გამჩენთა რიცხვიდან, ასეთივე პროცენტს არ შეუძლიათ მეორე ბავშვის გაჩენა, ამდენივეს – მესამე და ა.შ. თუკი უნაყოფობის საშუალო დონის შეფასებად 8%-ს მივიღებთ, მაშინ საბოლოოდ 100 ქალის მარტივი კვლავწარმოებისათვის მათ უნდა გააჩინონ $237,25 : (1 - 0,080 = 0,920) = 257,88$ ანუ 258 ბავშვი.¹

თუკი უნაყოფობის საშუალო დონის შეფასებად 8% მივიღებთ, მაშინ საბოლოოდ 100 ქალის მარტივი კვლავწარმოებისათვის საქართველოში მათ უნდა გააჩინონ

$$255,03 : (1 - 0,080 = 0,920) = 277,21 \text{ ანუ } 277 \text{ ბავშვი.}$$

მაშასადამე, მოსახლეობის მხოლოდ მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭიროა, რომ ერთ ეფექტურ (ე.ი. მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში არსებულ და მთელ ამ ხნის განმავლობაში ნაყოფიერების უნარის მქონე) ქორწინებაზე საშუალოდ მოდიოდეს 2,58 ანუ თუ დაგამრგვალებთ 2,6 ბავშვი. სასურველია, რომ სტუდენტები შეეცადონ დაიმასხვრონ შობადობის დონის ორი მაჩვენებლის ძალიან მნიშვნელოვანი კრიტიკული სიდიდე, რომლებიც საშუალებას იძლევიან დამატებითი ძალისხმევის გარეშე შევაფასოთ შობადობის მდგომარეობა და დინამიკა ქვეყანაში და რეგიონში, და არ აურიონ ისინი. ერთ ქალზე გაანგარიშებით ქორწინებითი მდგომარეობის განსხვავების გარეშე ეს რიცხვი უდრის 2,1 ბავშვს, ერთ ეფექტურ ქორწინებაზე, ან უბრალოდ ქორწინებაზე (რადგანაც მისი ეფექტურობის შესახებ, როგორც წესი არაფერი არაა ცნობილი) – 2,6 ბავშვს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არაა. ერთ ეფექტურ ქორწინებაზე კრიტიკული მნიშვნელობა 2,6 ბავშვი – ესაა საშუალო სიდიდე, რომელიც გაჩენილი (მთელი ცხოვრების განმავლობაში) ბავშვების

1. საქართველოს შესახებ ანალოგიური გაანგარიშება იხ. სახვაძე ა., წულაძე გ. რამდენი ბავშვის ყოლაა საჭირო, რომ არ შემცირდეს ქართველი ერი? // ჟურნ. საქართველოს კომუნისტი. 1990. №7 გვ. 56-59.

რიცხვის მიხედვით ოჯახების გარკვეული განაწილების განზოგადებას წარმოადგენს. თუკი საზოგადოებაში ყველა ოჯახი დაყოფილი იქნებოდა ორი, ან სამი ბავშვის მყოფი ოჯახების ორ ჯგუფად, მაშინ ასეთ შემთხვევაში საშუალო სიდიდე 2,6 ბავშვი მიიღებოდა ისეთი პროპორციისას, როცა ოჯახების 40%-ს ჰყავთ ორი ბავშვი, ხოლო 60%-ს – სამი. სინამდვილეში კი ქორწინებათა რაღაც ნაწილი მთელი ცხოვრების განმავლობაში უნაყოფო რჩება, ხოლო რაღაც ნაწილი – მხოლოდ ერთი ბავშვის გაჩენით შემოიფარლება. ზემოთ მოტანილ მოდელში უშვილობა (უნაყოფობა) გათვალისწინებულია, ხოლო ერთშვილიანობის (რომელმაც უკვე დიდი გავრცელება ჰპოვა რუსეთის ოჯახებს შორის, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში) კომპენსაციისათვის საჭიროა სამ და მეტ ბავშვიან ქორწინებათა მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი. 1987 წელს ჩემს მიერ შემოთავაზებული იყო გაჩენილი ბავშვების 2,6 ბავშვის ტოლი შობადობის კრიტიკული მნიშვნელობის შესაბამისი რიცხვის მიხედვით ერთ ეფექტურ ქორწინებაზე გაანგარიშებით საზოგადოებაში ოჯახების შემდეგი განაწილება. ეს განაწილება ასეთია: 4% ოჯახებისა – უშვილოები (უფრო ზუსტად არც ერთი ბავშვის არ გამჩენი ოჯახები), 10% – მხოლოდ ერთი ბავშვის გამჩენი, 35% - ორი ბავშვის, სამი ბავშვის ასევე – 35%, 14% - ოთხი და 2% ხუთი და მეტი ბავშვის გამჩენი ოჯახები.¹ აქედან შეიძლება დავინახოთ, რომ მოსახლეობის მხოლოდ მარტივი კვლავწარმოების შენარჩუნებისათვის აუცილებელია, რომ სამი და მეტ ბავშვიანი ბავშვიანი ოჯახები შეადგენდნენ საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს. თუკი საზოგადოების მიერ აღიარებული იქნება თვალსაწიერ პერსპექტივაში რუსეთის მოსახლეობის ზრდის სასურველობა, მაშინ სამი და მეტ ბავშვიანი ოჯახების ხვედრითი წილი კიდევ უფრო მეტი უნდა იყოს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი საოჯახო-დემოგრაფიული პოლიტიკისათვის (როცა იგი იქნება) მიზნობრივ ორიენტირად უნდა იყოს 3-4 ბავშვიანი ოჯახი. სწორედ ასეთმა ოჯახმა უნდა მიიღოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან უდიდესი ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა.² ამასობაში კი სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1994 წლის

1. დასაბუთება იხილეთ აგრეთვე:

. . ., 1987. С. 200-204;

:

. . ., 1995. С. 54-56.

2. ჯერ კიდევ 1940 წელს უდიდესი ამერიკელი მეცნიერები დემოგრაფი ფრენკ ნიუტსტეინი და სოციო-ჰიგიენისტი რეგინა სტიქსი წერდნენ, რომ „ვერც ერთი მოსახლეობა, დაბალი მოკვდაობის პირობებშიც კი ვერ შესძლებს თავის

მიკროაღწერით 18-დან 30 წლამდე ასაკის გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 12,5%-მა დაასახელა სამი და მეტი ბავშვი სასურველ რიცხვად. ამავე მიკროაღწერის მონაცემებით ბავშვების საშუალო სასურველმა რიცხვმა იმავე ქალების პასუხების მიხედვით ერთ ქალზე გაანგარიშებით მხოლოდ 1,783 შეადგინა. მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭირო 2,6-ზე ბევრად უფრო ნაკლები.

5.8. ოჯახების დემოგრაფიული ტიპოლოგია ბაჩენილი ბავშვების რიცხვის მიხედვით

მოსახლეობის თუნდაც მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭირო გაჩენილი ბავშვების რიცხვის შესახებ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გთავაზობთ გაჩენილი ბავშვების მიხედვით ოჯახების შემდეგ ტიპოლოგიას: მცირეშვილიანი (ბავშვთა მცირე რიცხვიანი) ოჯახი 1-2 ბავშვი (ასეთი ოჯახი არაა საკმარისი მოსახლეობის თუნდაც მარტივი კვლავწარმოებისათვის); საშუალოშვილიანი (ბავშვთა საშუალო რიცხვიანი) ოჯახი 3-4 ბავშვი (ასეთი ოჯახი უზრუნველყოფს მოსახლეობის მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას); მრავალშვილიანი ოჯახი 5 და მეტი ბავშვი.

გაგრძელება წინა გვერდიდან
 კვლავწარმოებას მრავალშვილიანი ოჯახების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილის გარეშე. რათა გააწონასწორონ ქორწინებაში არ მყოფები და ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ ჰყავდეთ ერთ ან ორ შვილზე მეტი. გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის საჭიროა, რომ ოჯახების 30%-ზე მეტს ჰყავდეს 4 და მეტი ბავშვი“. მრავალი წლის შემდეგ, 1974 წელს, სხვა უდიდესმა ამერიკელმა დემოგრაფმა ენსლი კოულმა თავისი ავტორიტეტული მოსაზრებით ფაქტიურად დაადასტურა ამ გაანგარიშების სისწორე, დაეყრდნო რა მათ თავის მოხსენებაში მსოფლიო დემოგრაფიულ კონგრესზე ბუქარესტში (რომლიდანაც იქნა ნასესხები ზემოთ მოტანილი ციტატა). დრომ ამ გაანგარიშებებში მხოლოდ მოკვდაობის შემცირებაზე ცვლილებები შეიტანა (Coale A.J. The Demographic Transition // The Population Debate: Dimensions and Perspectives / Paper on the World Population Conference, Bucharest. 1974. V. 1., NY, UN, 1975; p. 350.

5.9. მოკვდაობის დონის ბათვალისწინება შობადობის ჯამური კოეფიციენტის სიდიდის შეფასებისას

ზემოთ მითითებული იყო მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების ზღვრის შესაბამისი შობადობის ჯამური კოეფიციენტის კრიტიკული მნიშვნელობა – 2,1 ბავშვი ერთ ქალზე გაანგარიშებით, მისი ქორწინებით მდგომარეობის განსხვავების გარეშე. ამასთან, ემატებოდა პირობა – ყველაზე დაბალი მოკვდაობის პირობებში. ვთქვათ, მაგალითად, ისეთი როგორცაა თანამედროვე იაპონიაში (1997 წელს მსოფლიოში ყველაზე მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა ვაჟების – 76,8 წელი, ქალების – 83,2 წელი). ამასობაში, უფრო მაღალი მოკვდაობისას (ანუ რაც იგივეა – უფრო დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობისას) მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების ზღვრისათვის შესაბამისი შობადობის ჯამური კოეფიციენტის კრიტიკული მნიშვნელობა შესაბამისად იმატებს. მაგალითად, რუსეთისათვის ეს კრიტიკული მნიშვნელობა (2,12) ცოტა მაღალია, ვიდრე იაპონიისათვის (2,08). მაგრამ მსოფლიოში ბევრი ქვეყანაა, სადაც მოკვდაობა ჯერ კიდევ ძალიან მაღალია, ხოლო მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – დაბალი. იქ შობადობა, რომელიც გამოუცდელ ევროპელს ძალიან მაღალი ეჩვენება რეალურად ძლივს ფარავს მოკვდაობისაგან მოსახლეობის დანაკარგებს. ასე რომ რომელიმე ქვეყნის შობადობის დონის შეფასებისას, საჭიროა უთუოდ ჩავიხედოთ ცნობარში – გავიგოთ როგორია ამ ქვეყანაში მოკვდაობა. განვიხილოთ თუ როგორ გამოიყურება იგი ცალკეული განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე (იხ. ცხრილი 5.2.).

უგანდაში და კოტ-დივუარში ჯამური კოეფიციენტები ერთნაირი სიდიდისაა. მაგრამ გაჩენილი ბავშვების, სიკვდილს გადარჩენის გათვალისწინებით, ე.ი. **ეფექტური შობადობა** კოტდივუარში მაღალია, ვიდრე უგანდაში თითქმის მთელი ერთი ბავშვით. ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში, ბავშვთა მოკვდაობის შემცირება ახდენდა შობადობის შემცირების კომპენსირებას. ამიტომ შობადობის შემცირება დიდი ხნის განმავლობაში არ იგრძნობოდა. XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის ევროპული ნაწილის 50 გუბერნიაში (ქვეყნის სხვა რეგიონების მიხედვით დაბადებათა და გარდაცვალებათა სტატისტიკური აღრიცხვა არ იყო ზუსტი) შობადობის ჯამური კოეფიციენტი შეადგენდა 7,06-ს (ცხრილი 5.3.). მაგრამ გაჩენილ

ცხრილი 5.2.

შობადობის ჯამური კოეფიციენტები მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში
ახალშობილთა 15 წლამდე მიღწევის ალბათობის გათვალისწინებით
(1990-1994წწ.)

ქვეყნები	შობადობის ჯამური კოეფიციენტი შ.ჯ.კ.	15 წლამდე მიღწევის ალბათობა p_{15}^2 (მოკვდაობის ტიპური ცხრილებიდან)	შობადობის ჯამური კოეფიციენტი ახალშობილთა 15 წლამდე მიღწევის გათვალისწინებით შ.ჯ.კ. x p_{15}^2	შობადობის დანაკარგები მოკვდაობის გამო შ.ჯ.კ.-(შ.ჯ.კ. x p_{15}^2)
უგანდა	7,4	0,670	5,0	2,4
მალი	7,3	0,700	5,1	2,2
კოტ-დივუარი	7,4	0,795	5,9	1,5
ანგოლა	6,6	0,720	4,8	1,8
ზიმბაბვე	5,3	0,817	4,3	1,0
კაბო-ვერდე	4,3	0,915	3,9	0,4

ბავშვთა რიცხვიდან 15 წლამდე აღწევდა ნახევარზე ცოტათი მეტი.¹ ამასთან, რუსეთის ცალკეულ რეგიონებში ბავშვთა მოკვდაობა კიდევ უფრო მაღალი იყო და შესაბამისად უფრო ნაკლები ბავშვები გადაურჩებოდნენ ხოლმე სიკვდილს. ამიტომ თუკი მშობლებს სურდათ 3-4 **მოზრდილი** შვილი, რომლებიც მათ ცხოვრებაში მიეხმარებოდნენ და სიბერეში შეინახავდნენ, მათ ისინი ორჯერ მეტი უნდა გაეჩინათ. ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებული წარმოდგენა, რომ თითქოს წარსულში რუსეთში გლეხთა ოჯახების უმეტესობა მრავალშვილიანი იყო, მთლად სწორი არაა. მართლაც ბავშვებს აჩენდნენ არც თუ იშვიათად ბევრს. მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახები, ვინც შესძლებდა გაჩენილი ბავშვებიდან ყველას, ან უმეტესობის გაზრდას, იყო ცოტა. ტიპური კი იყო 3-4 ბავშვიანი ოჯახი.

1. 15 წელი მიღებულია ბავშვთა და მოზრდილ ასაკებს შორის პირობით საზღვრად. აქ ჩვენ გამოვდივართ იქედან, რომ 15 წლის შემდეგ ხალხი კვდება მოზრდილთა კანონების მიხედვით.
2. სამწუხაროდ წიგნის რუსულ დედანში გაპარულია კორექტურული უზუსტობა. 5.2. და 5.3. ცხრილებში 15 წლამდე მიღწევის ალბათობა p_{15} -ის ნაცვლად აღნიშნულია I_{15} -ით.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

ცხრილი 5.3.

შობადობის ჯამური კოეფიციენტის დინამიკა სსრკ-ში და რუსეთში
 ბავშვთა მოკვდაობის დონის ცვლილების გათვალისწინებით

წლები და ტერიტორია	შობადობის ჯამური კოეფიციენტი შ.ჯ.კ.	ახალშობილი- სათვის 15 წლამდე მიღწევის აღბათობა p15	საშუალოდ ერთი ქალის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჩენილი და 15 წლის ასაკამდე მიღწეული ბავშვების რიცხვი შ.ჯ.კ.× p15
1896-1897 (რუსეთის იმპერიის ევროპული ნაწილის 50 გუბერნია)	7,06	0,524	3,70
1926-1927 (სსრკ-ის ევროპული ნაწილი)	6,40	0,679	4,35
1938-1939 (სსრკ დიდი სამამულო ომის შემდგომ საზღვრებში)	4,42	0,698	3,09
რუსეთის ფედერაცია (თანამედროვე საზღვრებში)			
1958-1959	2,63	0,945	2,48
1969-1970	1,97	0,975	1,94
1978-1979	1,90	0,974	1,84
1989	2,01	0,974	1,97
1995	1,34	0,973	1,30
1996	1,28	0,967	1,24

1926 წლის ბოლოსათვის შობადობის ჯამური კოეფიციენტი გასული საუკუნის (XIX საუკუნის – ქართულად მთარგმნელის შენიშვნა) ბოლოსთან შედარებით 7,06-დან 6,40 ბავშვამდე, ანუ 9,3%-ით შემცირდა. მაგრამ მოზრდილ ასაკამდე მიღწეული ბავშვების რიცხვი გაიზარდა კიდევ, საშუალოდ 4,35-მდე ანუ 17,6%-ით.

1939 წლისათვის რუსეთში შობადობა (შობადობის ჯამური კოეფიციენტი) შემცირდა 4,84-მდე ანუ კიდევ 24,4%-ით, ხოლო სიკვდილს გადარჩენილი ბავშვები 22,2%-ით. მაგარამ მიუხედავად ამისა, ტიპიურ ოჯახად სამ შვილიანი ოჯახი რჩებოდა. შესაძლოა გარკვეულ წილად ამ მიზეზით (გარდა სხვებისა) ჩვენი მეცნიერება დიდ ხანს ვერ ამჩნევდა შობადობის შემცირებას. ახლა კი გაჩენილი ბავშვების რიცხვის მხოლოდ 3%-მდე ვერ აღწევს 15 წლამდე. ეს ნიშნავს სხვა ყველაფრის გარდა, რომ ახლა ხალხს შესაძლებლობა აქვთ გააჩინონ იმდენი ბავშვი რამდენიც სურთ, რომ ჰყავდეთ. ეს უდიდესი სოციალური მონაპოვარია,

რომელსაც ჩვენი მოქალაქეები ისე მიეჩვივნენ, რომ გადაეჩვივნენ მის დაფასებას და შემჩნევასაც კი. ამასობაში კი მსოფლიოში ჯერ კიდევ არის ბევრი ქვეყანა და ხალხები, სადაც ეს ორი ცნება „გაჩენა“ და „გაზრდა“ ძალიან არ ემთხვევა ერთმანეთს.

საქართველოში უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში შობადობის ჯამური კოეფიციენტის დინამიკას გვიხასიათებს 5.3^ა ცხრილში მოტანილი მონაცემები.

ცხრილი 5.3^ა

შობადობის ჯამური კოეფიციენტის დინამიკა საქართველოში ბავშვთა მოკვდაობის დონის ცვლილების გათვალისწინებით

წლები	შობადობის ჯამური კოეფიციენტი შ.ჯ.კ.	ახალშობილთათვის 15 წლამდე მიღწევის ალბათობა P15	საშუალოდ ერთი ქალის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჩენილი და 15 წლის ასაკამდე მიღწეული ბავშვების რიცხვი შ.ჯ.კ× P15
1958-1959	2,59	0,99943	2,589
1988	2,13	0,99970	2,129
1999	1,07	0,99881	1,069

ამ პერიოდში შობადობის ჯამური კოეფიციენტი განუხრელად მცირდებოდა და 2,59-დან 1,07-მდე ანუ 58,7%-ით დაიკლო. ამავე დროს, თუკი 1958-59-დან 1988 წლამდე პერიოდში ბავშვების მოზრდილ (15 წელი) ასაკამდე მიღწევის ალბათობა 0,02%-ით გაიზარდა, ბოლო ათწლეულში ეს მაჩვენებელი უკვე 0,09%-ით შემცირდა. ამგვარმა ურთიერთსაპირისპირო ტენდენციამ და შობადობის ჯამური კოეფიციენტის კლებამ განაპირობა საშუალოდ ერთი ქალის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჩენილი და მოზრდილთა ასაკამდე მიღწეული ბავშვების რიცხვის თითქმის ისეთივე დონით შემცირება, როგორც შემცირდა შობადობის ჯამური კოეფიციენტი (58,7%-ით).

მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში საქართველოში ტიპური იყო საშუალოდ 2 შვილიანი ოჯახი, ხოლო გაჩენილი ბავშვების მხოლოდ 1%-მდე ნაწილი ვერ აღწევს 15 წლამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ხალხს უკვე აქვს შესაძლებლობა გააჩინონ იმდენი ბავშვი, რამდენიც სურთ რომ ჰყავდეთ.

5.10. შობადობის დონის დინამიკა მსოფლიოში

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ 36 წლის განმავლობაში მსოფლიოში მთლიანად შობადობის დონე 37%-ით შემცირდა (ცხრილი 5.4). იმავე მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიოს ეკონომიკურად უფრო განვითარებულ რეგიონებში შობადობის შემცირება უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე ნაკლებად განვითარებულებში. მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს შობადობის ზოგად კოეფიციენტებზე ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის შესახებ. ძნელი მისახვედრი არაა, რომ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მსოფლიოს ნაკლებად განვითარებულ ნაწილში საშუალოდ უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე უფრო განვითარებულში და იგი რამდენადმე ზრდის შობადობის მაჩვენებლებს განვითარებად ქვეყნებში.

რა თქმა უნდა მსოფლიოში შობადობის დონის დინამიკაზე უფრო სწორ სურათს იძლევიან 5.4 ცხრილის მარჯვენა ნაწილში მოცემული შობადობის ჯამური კოეფიციენტები. აღნიშნულ პერიოდში ზოგადი კოეფიციენტი შემცირდა 37%-ით, ხოლო ჯამური კოეფიციენტი 45%-ით. სხვაობა ძალზე შესამჩნევია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვაობა შობადობის მაჩვენებელთა დინამიკაში მსოფლიოს ორ დასახელებულ, პირობითად „უფრო განვითარებულ“ და „ნაკლებად განვითარებულ“ ანუ „განვითარებად“ რეგიონებად (დიდი ხნის მოძველებული ტრადიციაა, მაგრამ სხვა ჯერ არაა მოგონილი) დაყოფილი ნაწილების მიხედვით. სინამდვილეში შობადობის შემცირება უფრო მნიშვნელოვანი იყო და სწორედ განვითარებად ქვეყნებში, სადაც მთლიანად ამ ქვეყნების ერთობლიობაში ჯამური კოეფიციენტი შემცირდა 48%-ით, მაშინ როცა „უფრო განვითარებულებში“ – 44%-ით.

შობადობის დონის მიხედვით მსოფლიო ძალიან მკვეთრადაა გაყოფილი ორ ნაწილად: ნაკლებად განვითარებულ (სამრეწველო თვალსაზრისით) ნაწილში შობადობა მაღალია, და ბევრი ქვეყნის მთავრობის მიერ განიხილება როგორც არასასურველად მაღალი, ხოლო მსოფლიოს მთელ ეკონომიკურად განვითარებულ სექტორში ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ კვლავწარმოებასაც კი. და ბევრადაც ვერ უზრუნველყოფს. უხეში შეფასებით, $(1,5 : 2,1 = 0,714)$ – 29%-ით.

ამრიგად, შობადობის თანამედროვე დონის საკმაოდ დიდი ხნით შენარჩუნებისას, ყოველი მომდევნო თაობა დაახლოებით ყოველი 27-29 წლის შემდეგ 29%-ით შემცირება.

ყურადღებას იპყრობს ცხრილის ბოლოს მოთავსებული ხუთი კათოლიკური ქვეყანა: იტალია, ნიდერლანდები, პოლონეთი, ესპანეთი და პორტუგალია. ჯერ კიდევ არც თუ დიდი ხნის წინათ, 1960-იან წლებში, ამ ქვეყნებში შობადობა შედარებით მაღალი იყო (მხოლოდ იტალიის გარდა), ზოგადი კოეფიციენტი 20%-ს აღემატებოდა, ხოლო ჯამური კოეფიციენტი ახლოს იყო 3 ბავშვთან. სულ რაღაც 30 წელიწადში კათოლიკური კულტურის ამ ქვეყნებში შობადობა უბრალოდ ჩამოიქცა, რაც მოწმობს სერიოზულ ცვლილებებს მოსახლეობის მთელ ცხოვრების წესში, კულტურასა და რელიგიურობაში. ახლა იტალიასა და ესპანეთში მსოფლიოში შობადობის ყველაზე დაბალი დონეა, ისეთივე როგორც რუსეთში. ამასთან, ასეთი დაბალი დონის მიღწევა შეუძლებელია თანამედროვე ეფექტური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების, მეთოდების და ხელოვნური აბორტების მასობრივი გამოყენების გარეშე, ე.ი. შობადობის შეზღუდვის ყველა იმ ხერხებით, რომლებიც კათოლიკებისათვის ეკლესიის მიერაა აკრძალული. მაგრამ, ცხადია ბავშვების არ ყოლის სურვილი ეკლესიურ აკრძალვაზე ძლიერია. რელიგია უკან იხევს კონტრაცეპტივის წინაშე.

ცხრილი 5.4.

შობადობის ზოგადი და ჯამური კოეფიციენტები მსოფლიოში და
ცალკეულ ქვეყნებში 1960-1964 და 1998 წლებში¹

ქვეყნები და რეგიონები	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი			შობადობის ჯამური კოეფიციენტი		
	1960-1964	1998	დინამიკის ინდექსი 1998 წელი 1960-1964 წლებთან	1960-1964	1998	დინამიკის ინდექსი 1998 წელი 1960-1964 წლებთან
მსოფლიო მთლიანად	35,3	22,2	0,629	4,9	2,7	0,551
ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები	19,5	12,9	0,662	2,7	1,5	0,556
განვითარებადი ქვეყნები	41,8	27,8	0,665	6,0	3,1	0,517
რუსეთი	20,2	9,6	0,475	2,5	1,3	0,250
უკრაინა	17,4	9,6	0,552	2,1	1,4	0,667
ა.შ.შ.	21,9	14,4	0,658	3,3	2,1	0,636
იაპონია	17,2	10,3	0,599	2,0	1,5	0,750
გერმანია	17,8	8,8	0,494	2,5	1,3	0,520
საფრანგეთი	18,0	11,7	0,650	2,9	1,6	0,552
ნიდერლანდები	20,9	11,6	0,555	3,1	1,5	0,484
პოლონეთი	20,1	9,8	0,488	2,7	1,4	0,519
იტალია	18,8	9,1	0,484	2,6	1,2	0,462
ესპანეთი	21,5	9,7	0,451	2,9	1,2	0,414
პორტუგალია	24,0	10,6	0,442	3,1	1,4	0,452
ჩინეთი	37,8	15,7	0,415	5,6	1,8	0,321
ინდოეთი	42,0	25,9	0,617	5,8	3,2	0,552
საქართველო	23,6	17,0	0,720	2,6	1,2	0,462

1. 1998 წლის მახვენებლთა წყარო: World Population Prospects: The 1998 Rev., forthcoming, მიღებულია ინტერნეტის ქსელით.

5.11. შობადობის ღონის ღინამიბა რუსეთში, სსრკ-ში და კვლავ რუსეთში

ჩვენს ქვეყანაში შობადობის შემცირება დიდი ხანია (ზოგიერთი ამჟამინდელი პოლიტიკოსისა და მეცნიერის სპეკულაციის მიუხედავად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს რუსეთში შობადობა მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში ეკონომიკური რეფორმების შედეგად დაეცა), 100-ზე მეტი წლის წინათ, დაიწყო. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ ტენდენციას ყურადღებას არავინ აქცევდა. როგორც უკვე წინათ ითქვა შობადობის შემცირების პარალელურად სწრაფად მცირდებოდა ბავშვთა მოკვდაობა და ოჯახებში ბავშვთა რიცხვი საშუალოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში წინანდებური ან მასთან ახლო დონეზე მყოფი რჩებოდა. ამ ტენდენციას 1914 წელს ერთ-ერთმა პირველმა ყურადღება მიაქცია ჩვენი დემოგრაფიის კლასიკოსმა, მედიცინის აკადემიკოსმა სერგი ალექსანდრეს ძე ნოვოსელსკიმ (1872-1953). ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში¹ მან აღნიშნა მსოფლიოში „ნეომალთუსიანური პრაქტიკის“² (ასე უწოდებდნენ იმ დროს აბორტებისა და კონტრაცეფციის პრაქტიკას) პროგრესირებადი, გავრცელება ამასთან, არა მხოლოდ ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობაშიც. იმავე სტატიაში ს.ა. ნოვოსელსკი წინასწარმეტყველებდა აგრეთვე, რომ „თუ შობადობის შემცირება თავისი ტემპით სწრაფად გაუსწრებს მოკვდაობის შემცირებას, მაშინ ჩვენთანაც პოლიტიკურ მოღვაწეებს მოუწევთ ანგარიში გაუწიონ დასავლეთ ევროპისათვის საჭირობოროტო, შობადობის პროგრესირებულად დაცემის წინააღმდეგობის შესაძლებლობის შესახებ საკითხს“³.

სამწუხაროდ ამ გაფრთხილებას ჩვენს მეცნიერებაში არავითარი რეზონანსი არ მიუღია, არც სტატიის გამოქვეყნების დროს და არც შემდგომ. ამ აზრს გაგრძელება არ ჰქონია თავად ს.ა. ნოვოსელსკის შემდგომ შემოქმედებაშიც, თუმცა სტატია 1958 და 1978 წლებში ორჯერ გამოიცა მისი რჩეული ნაშრომების კრებულში (მართალია, გამომცემლების მიერ შემოკლებული სახით).

1960-იანი წლების ბოლოდან ეგონათ გამოიკვეთა გარდამტეხი ტენდენცია:

-
1. //
. 1914, №3. C. 339-352.
 2. იქვე გვ. 349.
 3. იქვე გვ. 350

შობადობის ზოგადმა კოეფიციენტებმა დაიწყეს მატება. 1968-1969 წლებიდან 1979-1980¹ წლებამდე პერიოდში ისინი 14,2-დან 15,9%-მდე ანუ 12%-ით გაიზარდა. ამასთან, მთელი თითქმის 12 წლიანი პერიოდის განმავლობაში ზრდა თითქმის რყევების გარეშე მიმდინარეობდა. მაშინ ბევრი მეცნიერი წერდა თითქოსდა შობადობის ტენდენციებში მომხდარ გარდატეხაზე, იმის შესახებ, რომ შობადობა შემდეგშიც გაიზრდება და ადასტურებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ხალხის კეთილდღეობის შექმნაში მიღწეულ წარმატებებს (იმ დროს შობადობის დონე კეთილდღეობის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენდა. ამიტომ შობადობის მაჩვენებლები არა მარტო დემოგრაფიული, არამედ პოლიტიკური ინდიკატორებიც იყო). მაგრამ თუკი შობადობის ჯამურ კოეფიციენტებს გამოვიყენებთ (რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო პრაქტიკაში შემოსული), მაშინ შობადობის დონის დინამიკა სხვანაირი აღმოჩნდება. 1968-1972 წლებში ჯამური კოეფიციენტის მცირე და უმნიშვნელო ზრდის შემდეგ იგი განუხრელად მცირდებოდა, 1971-1972 წლებში 2,053-დან 1,888-მდე, 1979-1980 წლებში ანუ 8,0%-ით.

განვიხილოთ შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში საინდექსო მეთოდის დახმარებით, რომელიც ჩვენ საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ შობადობის დონის ცვლილების განმაპირობებელი თითოეული ფაქტორის როლი. გაანგარიშებისათვის ჩვენ დაგვჭირდება შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ფორმულა იმ სახით, რომელიც ასახავს მის თანაფარდობას შობადობის ასაკობრივ კოეფიციენტებთან და მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასთან. ეს თანაფარდობა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ფორმულის სახით:

$$n = \frac{N}{P} \times 1000 = \frac{N}{W_{15-49}} \times \frac{W_{15-49}}{P} \times 1000 = F_{15-49} \times dW^P_{15-49} \quad (5.1.2.)$$

1. 1987 წლამდე ჩვენს ქვეყანაში შობადობის ასაკობრივი და ჯამური კოეფიციენტები იანგარიშებოდა ორი წლისათვის სრიალა საშუალო სიდიდეების სახით. ითვლებოდა, რომ მეთოდოლოგიურად ასე უფრო სწორია. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები კი იანგარიშებოდა ყოველი წლისათვის. რადგანაც შემდგომ ჩვენ ვადარებთ ზოგადი კოეფიციენტების დინამიკას, ჯამური კოეფიციენტების ანალოგიურ დინამიკასთან, ამიტომ შესაბამისი წლების ჯამურ კოეფიციენტებთან შედარებისათვის მიგვაჩნია ზოგადი კოეფიციენტების ორწლიან საშუალოებად გადაანგარიშება.

სადაც, შეგახსენებთ, რომ პირობითი აღნიშვნები არის შემდეგი: n – შობადობის ზოგადი კოეფიციენტი; N – დაბადებულთა რიცხვი; P – მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა; W_{15-49} – 15-დან 50 წლამდე ასაკში მყოფი ქალების საშუალო წლიური რიცხვი; F – შობადობის სპეციალური კოეფიციენტი და d – მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში 15-49 წლის ასაკის ქალების ხვედრითი წილია (ერთიანის ხვედრით წილებში). ამას დავუმატოთ ქალების რეპროდუქციული ასაკობრივი კონტინგენტის (15-49 წელი) შემადგენლობაში, ქალების შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში, ქალების ხვედრითი წილით შეწონილი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების საშუალოს სახით მოცემული შობადობის სპეციალური კოეფიციენტის გამოსახულება.

ფორმულის სახით ეს გამოსახულება იქნება:

$$n = dW_{15-49}^P \times F = dW_{15-49}^P \times \sum F_x \omega_x \quad (5.11.1)$$

სადაც, F_x – შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტებია; ω_x – „ x “ ასაკობრივი ჯგუფის ქალების ხვედრითი წილია 15-49 წლის ქალების რიცხოვნობიდან.

ახლა, იმისათვის, რომ გავზომოთ დროის პერიოდის განმავლობაში n კოეფიციენტის ცვლილება, კოეფიციენტის სიდიდე დროის დასაწყისში აღნიშნოთ ზედა ინდექსით 0, პერიოდის ბოლო 1-ით. კოეფიციენტის ცვლილება 0-დან 1-მდე დროის პერიოდის განმავლობაში იქნება შემდეგი:

$$\frac{n^1}{n^0} = \frac{dW_{15-49}^{P1}}{dW_{15-49}^{P0}} \times \frac{\sum F_x^1 \omega_x^1}{\sum F_x^0 \omega_x^0} \quad (5.11.2)$$

მარჯვენა განაპირა წილადის მრიცხველსა და მნიშვნელში შევიტანოთ ერთი და იგივე რიცხვი (რის გამოც მთელი გამოსახულების სიდიდე ბუნებრივია არ შეიცვლება) და მოვახდინოთ ელემენტების მარტივი გადაადგილება, რის შემდეგაც მთელი გამოსახულება საბოლოოდ ინდექსთა სისტემის სახეს მიიღებს

$$\frac{n^1}{n^0} = \frac{dW_{15-49}^1}{dW_{15-49}^0} \times \frac{\sum F_x^1 \omega_x^1}{\sum F_x^0 \omega_x^0} = \frac{dW_{15-49}^1}{dW_{15-49}^0} \times \frac{\sum F_x^1 \omega_x^0}{\sum F_x^0 \omega_x^0} \times \frac{\sum F_x^1 \omega_x^1}{\sum F_x^1 \omega_x^0} \quad (5.11.3)$$

სადაც ტოლობის მარცხენა მხარე გამოსახავს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის შეფარდებით ცვლილებას, ხოლო მარჯვენა – ამ ცვლილების განმაპირობებელ – სამ ფაქტორს (ინდექსს). განტოლების მარჯვენა ნაწილში (dW_{15-49} -ის თანაფარდობა) პირველი წილადი (განაყოფი-ინდექსი) გვიჩვენებს ზოგადი კოეფიციენტის ცვლილებას მოსახლეობის 15-49 წლის ქალების ხვედრითი წილის ცვლილების ხარჯზე; მეორე ინდექსი (მუდმივი შემადგენლობის ინდექსი) ახასიათებს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილებას შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილების ხარჯზე, ე.ი. საკუთრივ შობადობას (ამ ინდექსის მრიცხველი და მნიშვნელი განსხვავდება შობადობის კოეფიციენტებით, მაშინ როცა რეპროდუქციული კონტინგენტის ასაკობრივი სტრუქტურა მუდმივია); დაბოლოს, მესამე ინდექსი, პირიქით, გამოსატავს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილებას მხოლოდ ქალთა ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე (ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი). ზემოთ მოტანილი გაანგარიშების ფორმულამ თავისი უზარმაზარი გარეგნული სიდიდით შეიძლება დააფრთხოს კიდევ ვინმე. მაგრამ მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო იმაზე, რომ გამოსაანგარიშებელია ამ ფორმულის მხოლოდ ერთი ელემენტი (ერთი სვეტი) – $\Sigma F_x^1 \cdot d_x^0$. დანარჩენი ელემენტები დემოგრაფიული წელიწდეულიდან ამოიწერება. ქვემოთ მოგვყავს რუსეთში 1990-1995 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილების გაანგარიშების მაგალითი (ცხრილი 5.5).

დემოგრაფიული წელიწდეულიდან ვიწერთ გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემებს: შობადობის ზოგადი კოეფიციენტები 1990 და 1995 წლებში შესაბამისად 13,4 და 9,3‰-ის ტოლია, სპეციალური კოეფიციენტები – 53,3 და 36,6‰-ისა; მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 15-49 წლის ქალების ხვედრით წილს ვღებულობთ ზოგადი და სპეციალური კოეფიციენტების შეფარდების გაანგარიშებიდან, რომლებიც ჩვეთვის ცნობილია. შედეგად მივიღებთ შესაბამისად 24,2 და 25,8%-ს.

ახლა მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ ყველა საჭირო მონაცემი ჩავსვათ ფორმულაში:

$$\frac{9,3}{13,4} = \frac{25,8}{24,2} \times \frac{39,17320}{55,3} \times \frac{36,0}{39,17320}$$

ცხრილი 5.5.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკის ინდექსის გაანგარიშება
რუსეთში 1990-1995 წლებში (პროცენტულად 1990 წლის კოეფიციენტის სიდიდესთან)

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	შობადობის ასაკობ- რივი კოეფიციენტები 1995 წელს F_x	ქალების ასაკობ- რივი სტრუქტურა 1990 წლის შუა პერიოდისათვის W_x	გრ.1×გრ.2
A	1	2	3
15-19	45,6	0,1391	6,34296
20-24	113,5	0,1291	14,65285
25-29	67,2	0,1603	10,77216
30-34	29,7	0,1786	5,30442
35-39	10,7	0,1675	1,79225
40-44	2,2	0,1362	0,29964
45-49	0,1	0,0892	0,00892
	$\Sigma =$	1,0000	39,17320

გაანგარიშების დასასრულს საჭიროა თითოეულ ინდექსს გამოვაკლოთ ერთი.
შედეგები გვიჩვენებენ თუ რამდენად შეიცვალა ზოგადი კოეფიციენტი ამ ფაქტორის
ხარჯზე:

$$0,694=1,066 \times 0,708 \times 0,919$$

$$-30,6=+6,6-29,2-8,1$$

ქვემოთ მოგვყავს საქართველოში 1990-1999 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის
ცვლილების გაანგარიშების მაგალითი (ცხრილი 5.5^ა).

ცხრილი 5.5^ა

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკის ინდექსის გაანგარიშება საქართველოში 1990-1999 წლებში (პროცენტულად 1990 წლის კოეფიციენტის სიდიდესთან)

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები 1999 წელს F_x	ქალების ასაკობრივი სტრუქტურა 1990 წლის შუა პერიოდისათვის W_x	გრ.1×გრ.2
A	1	2	3
15-19	58,5	0,1480	8,658
20-24	43,3	0,1487	6,43871
25-29	51,0	0,1774	9,0474
30-34	47,8	0,1661	7,93958
35-39	51,2	0,1448	7,41376
40-44	60,3	0,1181	7,12143
45-49	233,3	0,0969	22,60677
	$\Sigma =$	1,0000	69,22565

სტატისტიკური წელიწადეულიდან ვიწვრთ გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემებს: შობადობის ზოგადი კოეფიციენტები 1990 და 1999 წლებში შესაბამისად 17,0 და 8,9%-ის ტოლია, სპეციალური კოეფიციენტები 69,4 და 30,6%-ისა, მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 15-49 ქალების ხვედრითი წილს ვღებულობთ ზოგადი და სპეციალური კოეფიციენტების შეფარდების გაანგარიშებიდან, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია. შედეგად მივიღებთ შესაბამისად 24,5 და 29,1%-ს.

ახლა მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ ყველა საჭირო მონაცემები ჩაესვათ ფორმულაში:

$$\frac{8,9}{17,0} = \frac{29,1}{24,5} \times \frac{69,22565}{69,4} \times \frac{30,6}{69,22565}$$

ანუ

$$0,524=1,1888 \times 0,997 \times 0,442$$

გაანგარიშების დასასრულს საჭიროა თითოეულ ინდექსს გამოვაკლოთ 1. შედეგები გვიჩვენებენ თუ რამდენად შეიცვალა ზოგადი კოეფიციენტი ამ ფაქტორის ხარჯზე.

$$-47,6=+18,8-0,3-55,8$$

ახლა განვიხილოთ 5.6. ცხრილში წარმოდგენილი რუსეთში 1958-დან 1995 წლამდე, 36 წლის განმავლობაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკის სტრუქტურის ანალოგიური გაანგარიშების შედეგები.

ცხრილი 5.6.

რუსეთში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილების კომპონენტები
1958-95 წლების ცალკეულ პერიოდებში (პროცენტულად ყოველი პერიოდის
დასაწყისის კოეფიციენტის სიდიდესთან)

წლები	პერიოდის განმავლობაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილება	მათ შორის გამოწვეული		
		მოსახლეობაში 15-49 წლის ქალების ხვედრითი წილის ცვლილების ხარჯზე	ქალთა რეპროდუქციული კონტინენტის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილების ხარჯზე
A	1	2	3	4
მთელი მოსახლეობა				
1958-1970	-39,8	-5,7	-13,2	-20,9
1969-1979	+10,1	-0,4	+14,0	-3,5
1978-1987	+8,5	-5,4	-0,2	+14,1
1987-1990	-22,1	-3,8	-0,8	-17,5
1990-1995	-30,6	+6,6	-8,1	-29,1
ქალაქის მოსახლეობა				
1958-1970	-31,0	-5,1	-12,3	-13,6
1969-1979	+9,4	-2,1	+12,2	-0,7
1978-1987	+5,1	-5,0	-2,1	+12,2
1987-1990	-23,5	-4,6	+0,5	-19,4
1990-1995	-32,3	+3,7	-22,1	-13,9
სოფლის მოსახლეობა				
1958-1970	-47,0	-10,3	-16,5	-20,2
1969-1979	+11,1	-1,6	+16,0	-3,3
1978-1987	+16,2	-10,5	+5,0	-21,7
1987-1990	-16,7	+1,6	+2,5	-20,8
1990-1995	-29,7	+8,8	-26,0	-12,5

თავად ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე ცხრილში არაა ნახვევები, რადგანაც არ არის ამის აუცილებლობა.

1958-1970 წლების პერიოდში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი თითქმის 40%-ით შემცირდა (ცხრილის მეორე სვეტი), ამასთან, სოფლის მოსახლეობაში ეს შემცირება უფრო მეტი იყო ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში, შესაბამისად 47 და 31%.

საერთო (39,8%) შემცირებიდან ნახევარზე მეტი (20,9%) იყო სწორედ შობადობის შემცირების შედეგი, მაშინ როცა კოეფიციენტის შემცირების ნახევარზე ცოტათი ნაკლები განპირობებული იყო მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის (მოსახლეობაში 15-49 წლის ქალების ხვედრითი წილის შემცირებითა და ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის დაბერებით). 1969-1979 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გაიზარდა 10,1%-ით (ქალაქის მოსახლეობაში 9,4%-ით სოფლის მოსახლეობაში 11,1%-ით). მაგრამ ამ მომატების სტრუქტურული ფაქტორების მიხედვით დაშლა გვიჩვენებს, რომ 1970-იან წლებში ზოგადი კოეფიციენტის მომატება მხოლოდ და მხოლოდ ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის შიგნით ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების შედეგი იყო, მაშინ როცა სინამდვილეში შობადობა შემცირდა (შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილების ინდექსი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილების ხარჯზე 5.6 ცხრილის ბოლო მეოთხე სვეტში 3,5%-ით შემცირებას გვიჩვენებს).

1978-1987 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი კიდევ 8,5%-ით გაიზარდა. მათ შორის ქალაქის მოსახლეობაში 5,1%-ით სოფლის მოსახლეობაში 16,2%-ით. საინდექსო მეთოდის დახმარებით შეიძლება დავინახოთ, რომ შობადობის ზრდა სინამდვილეში **თითქმის ორჯერ მეტი** იყო, ვიდრე ზოგადი კოეფიციენტი გვიჩვენებს (ზრდა იყო 14,1%-ით), მაგრამ იგი შემცირდა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებით.

1978-1987 წლებში შობადობის დონის ზრდის ბუნება (უფრო ზუსტად 1982-1986 წლებში) საკმაოდ კარგადაა დემოგრაფებისათვის ცნობილი. ეს იყო 1981 წლის იანვარში მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების, ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების შესახებ, – შედეგი. შობადობის ჩქაფუნის მცირე და ხანმოკლე იყო, პრობლემები ვერ გადაწყვიტა, სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდაზე მცირე შევრილი დატოვა, და შემდგომი პერიოდის განმავლობაში

ტაიმინგური სინუსოიდის სახით თავისი „წვლილი“ შეიტანა შობადობის კოეფიციენტების დაცემაში (ბავშვები, რომელთა გაჩენაც მეუღლეების მიერ ცოტა მოგვიანებით იგეგმებოდა, სახელმწიფოს მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად დაიბადნენ მშობლების მიერ თავდაპირველად ჩაფიქრებულ ვადაზე ადრე). მაგრამ ქალთა რეალური თაობის მიერ გაჩენილი ბავშვების საერთო რიცხვი, უცვლელი დარჩა, შეიცვალა მხოლოდ მათი გაჩენის ვადები. ამიტომ გაჩენათა ტალღის ზრდას აუცილებლად მოჰყვა კოეფიციენტის დაცემის ანტიტალღა, როგორც მოხდა 1987-1995 წლებში. თუმცა შეიძლება შევნიშნოთ, რომ შობადობის ზრდა 1982-1986 წლებში უფრო მეტი იყო სოფლის მოსახლეობაში, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. შობადობის კოეფიციენტის ზოგადი მაჩვენებლის ზრდამ სწორედ შობადობის ხარჯზე ქალაქის მოსახლეობაში შეადგინა 12,2%, ხოლო სოფლის მოსახლეობაში – 21,7% (ცხრილი 5.6). ეს იმაზე მეტყველებს, რომ იმ დროს ოჯახისათვის სახელმწიფო დახმარების ღონისძიებებზე სოფლის მოსახლეობა უფრო „გულისხმიერად“ რეაგირებდა.

5.12. დედის მიერ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტის დინამიკის ანალიზი

შობადობის დინამიკის შესახებ დამატებითი და ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ შობადობის ჯამური კოეფიციენტების, დედის მიერ გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირების გზით. სხვადასხვა რიგითობის ბავშვები ჩნდება თავიანთი დედების სხვადასხვა ასაკებში და ოჯახის ცხოვრების სხვადასხვა პირობებში. განსხვავებულია სხვადასხვა რიგითობის ბავშვების გაჩენის მოტივაციაც. პირმშოებს ჩვეულებრივ დაქორწინების შემდეგ მალე, ახალგაზრდულ წლებში აჩენენ, თუნდაც ერთადერთი ბავშვის გაჩენაზე უარს ნებაყოფლობით იშვიათად თუ ამბობენ (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში ბოლო დრომდე ასე იყო). მისი გაჩენა, როგორც წესი, არ გადაიდება, ხოლმე. ჩასახვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გამოყენება მხოლოდ პირმშოს დაბადების შემდეგ იწყება. ამიტომ პირმშოების შობადობის ჯამური კოეფიციენტის დინამიკა თითქმის მთლიანად

განისაზღვრება (განისაზღვრებოდა) ძირითადად მხოლოდ ქალების ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებითა და პირველადი ქორწინების დონით.

მეორე ბავშვის გაჩენაც ასევე დიდადაა დამოკიდებული სტრუქტურულ ფაქტორებზე, რადგანაც მეუღლეთა უმრავლესობას სურს ჰყავდეს მეორე ბავშვი.¹ მაგრამ მეორე ბავშვზე მოთხოვნილება უკვე არც ისე საყოველთაოა როგორც მოთხოვნილება პირმშოზე, იგი სუსტდება მთელი რიგი კონკრეტული მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებით, რომელთა ორი ბავშვის ყოლის მოთხოვნილებაზე გამარჯვების შედეგად ამ უკანასკნელის რეალიზაცია შეიძლება ნებაყოფლობით გადაიდოს, ან საერთოდ დაითრგუნოს. უფრო მაღალი რიგითობის ბავშვის გაჩენა კი ხშირად უთმობს კონკრეტული სოციალურ ფასეულობების ზეწოლას, თანაც, გაჩენის რიგითობის პირდაპირპროპორციულად. სხვა სიტყვებით, რაც უფრო დაბალია გაჩენის რიგითი ნომერი, მით მეტია სტრუქტურული ფაქტორების როლი, ხოლო ნაკლებია მოტივაციური ფაქტორების როლი და პირიქით. ყოველი რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტის დინამიკაზე, დაკვირვებისას შეიძლება უკეთესად გავიგოთ ამ დინამიკის განმსაზღვრელი სტრუქტურული და ნებელობით ფაქტორების თანაფარდობა. გარდა ამისა, გაჩენის რიგითობის მიხედვით შობადობის ჯამური კოეფიციენტის სტრუქტურა იძლევა შობადობის დონის დინამიკის შესახებ არა მარტო წმინდა დემოგრაფიულ ინფორმაციას, არამედ სოციოლოგიურსაც – საერთოდ მოტივების კონკურენციის შესახებ და კერძოდ, ცხოვრებისეული გზის არჩევის სიტუაციაში – ბავშვის გაჩენის მოტივების ძალაზე.

დედის მიერ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტების გაანგარიშება რთული არაა, თუმცა ვებერთელაა.² გაანგარიშებისათვის საწყისი მონაცემების სახით საჭიროა გვექონდეს დაბადებულთა განაწილება დედის ასაკისა და გაჩენის რიგითობის მიხედვით, აგრეთვე შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები. უკანასკნელ წლებში ეს მონაცემები რეგულარულად ქვეყნდება რუსეთის დემოგრაფიულ წელიწადეულეებში.

1. სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1994 წლის მიკროდწერის მონაცემებით, რომლის პროგრამაშიც ჩვენი აღწერების ისტორიაში პირველად იყო კითხვა ქალების მიერ ბავშვების სასურველი რიცხვის შესახებ, 18-29 წლის ასაკის გამოკითხულ ქალების 64,6%-მა უპასუხა, რომ სურთ ორი ან მეტი ბავშვი.
2. გაანგარიშების იდეა ნასესხებია პოლონელი დემოგრაფის ეგონ ფილროზესაგან (1907-1984) მისი წიგნიდან „Elements of the Natural Movement of Population. Oxford a London“, 1965, p. 157-165.

მთელი გაანგარიშება შეიძლება წარმოვიდგინოთ თავისებური მატრიცის სახით:

$$F_{15-19} = {}_1F_{15-19} + {}_2F_{15-19} + {}_3F_{15-19} + \dots + {}_nF_{15-19}$$

$$F_{20-24} = {}_1F_{20-24} + {}_2F_{20-24} + {}_3F_{20-24} + \dots + {}_nF_{20-24}$$

$$F_{25-29} = {}_1F_{25-29} + {}_2F_{25-29} + {}_3F_{25-29} + \dots + {}_nF_{25-29}$$

$$F_{30-34} = {}_1F_{30-34} + {}_2F_{30-34} + {}_3F_{30-34} + \dots + {}_nF_{30-34}$$

$$F_{35-39} = {}_1F_{35-39} + {}_2F_{35-39} + {}_3F_{35-39} + \dots + {}_nF_{35-39}$$

$$F_{40-44} = {}_1F_{40-44} + {}_2F_{40-44} + {}_3F_{40-44} + \dots + {}_nF_{40-44}$$

$$F_{45-49} = {}_1F_{45-49} + {}_2F_{45-49} + {}_3F_{45-49} + \dots + {}_nF_{45-49}$$

$$\text{შ.ჯ.კ.} = {}_1\text{შ.ჯ.კ.} + {}_2\text{შ.ჯ.კ.} + {}_3\text{შ.ჯ.კ.} + \dots + {}_n\text{შ.ჯ.კ.}$$

სადაც F_x – შობადობის კოეფიციენტებია; ${}_nF_x$ – დაბადების რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის კერძო ასაკობრივი კოეფიციენტებია – $n(1,2,3\dots)$.

გაჩენისას განსაზღვრული რიგითობის ყოველი ცალკეული ასაკობრივი კოეფიციენტი განისაზღვრება შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტის მთლიანი სიდიდის უბრალო გამრავლებით დაბადებულთა საერთო რიცხვიდან გაჩენის ყოველი რიგითობის გაჩენილთა ხვედრით წილზე (ერთეულის ხვედრით წილებში). მაგალითად 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის გაანგარიშების სტრიქონი შემდეგნაირად გამოიყურება:¹

$$F_{15-19} = F_{15-19} \times \frac{{}_1N_{15-19}}{N_{15-19}} + \frac{{}_2N_{15-19}}{N_{15-19}} + \frac{{}_3N_{15-19}}{N_{15-19}} \text{ და ა.შ.}$$

მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ, რომ გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის კერძო კოეფიციენტების გამოთვლისას, ბავშვების ხვედრითი წილების ჯამი საბოლოოდ ზუსტად 1,000-ს უდრიდეს². სხვანაირად

1. სამწუხაროდ წიგნის რუსულ დედანში ფრჩხილები გამოტოვებულია. მათ გარეშე კი ფორმულა აზრს კარგავს.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

2. სამწუხაროდ წიგნის რუსულ დედანში გაპარულია უზუსტობა. ნაცვლად აღნიშნული წინადადებისა წერია: „მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ, რომ გაჩენის რიგითობის მიხედვით შობადობის კერძო კოეფიციენტების ჯამი საბოლოოდ ზუსტად 1,000-ს უდრიდეს“, რაც ბუნებრივია ზუსტი არაა, რადგანაც შობადობის კერძო კოეფიციენტების ჯამი კი არ უნდა იყოს 1,000-ის ტოლი, არამედ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული ხვედრითი წილების ჯამი უნდა უდრიდეს 1,000-ს, ხოლო გაჩენის რიგითობის მიხედვით შობადობის კერძო კოეფიციენტების ჯამი საბოლოოდ ზუსტად უნდა ემთხვეოდეს შობადობის კერძო (ასაკობრივი) კოეფიციენტების მთლიან სიდიდეს.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

მთელი გაანგარიშება არ გამოვა. მატრიცის თითოეული სტრიქონის მიხედვით კერძო კოეფიციენტების გამოთვლის შემდეგ, რჩება მხოლოდ გაჩენის რიგითობის მიხედვით ჩვეულებრივი წესით შობადობის ჯამური კოეფიციენტის გამოთვლა. ე.ი. ვერტიკალურად (მატრიცის სვეტის მიხედვით) ჯამდება გაჩენის ერთი და იგივე რიგითობის შობადობის კერძო ასაკობრივი კოეფიციენტები, კოეფიციენტების ჯამი მრავლდება ასაკობრივი ინტერვალის (ჩვეულებრივ 5-ის ტოლი) სიგრძეზე და იყოფა 1000-ზე (ე.ი. დაიყვანება 1 ქალზე გაანგარიშებით). კვლავ აუცილებელია თვალყური ვადევნოთ, რათა შობადობის კერძო ჯამური კოეფიციენტების რიგითობის მიხედვით ჯამი ზუსტად ემთხვეოდეს ჯამური კოეფიციენტის მთლიან საბოლოო სიდიდეს.

მაგალითისათვის 5.7 ცხრილში მოტანილია რუსეთში 1995 წლისათვის გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტების გაანგარიშება.

გაჩენის რიგითობის მიხედვით შობადობის ჯამური კოეფიციენტის სტრუქტურირებას როგორც შობადობის მდგომარეობისა და დინამიკის შეფასების დემოგრაფიულ მეთოდს, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და უნიკალური ღირსებაც კი აქვს. ეს დაკავშირებულია ინფორმაციასთან, რომელსაც იძლევიან **პირველი** ბავშვების შობადობის ჯამური კოეფიციენტები.

რეალურ თაობებში პირმშოთა შობადობის კოეფიციენტი ბუნებრივია არ შეიძლება აღემატებოდეს 1,0-ს (ერთნაყოფიან მშობიარობისას შეუძლებელია ერთზე მეტი პირმშოს გაჩენა). უფრო მეტიც, ამ მაჩვენებელს არ შეუძლია მიაღწიოს 1,0-საც კი, რადგანაც ქორწინებათა ნაწილი უნაყოფო რჩება. პრაქტიკულად რეალურ თაობებში პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტის სიდიდე უნაყოფობის დონეზე დამოკიდებულების მიხედვით 0,90 და 0,95 ფარგლებში მერყეობს.

პირობით თაობებში კი პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტის სიდიდე 0,90-0,95-დან ნებისმიერ მხარეს შეიძლება გადაიხაროს და სწორედ ეს გადახრები შეიცავენ თავისთავში შობადობის ცვლილების მიზეზების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას. ასე მაგალითად, კოეფიციენტის სიდიდის 0,95-ზე გადაჭარბება მეტყველებს სტრუქტურულ ძვრებზე პირმშოთა გაჩენის კალენდარში, ქორწინების ზრდის ხარჯზე ქალთა რამდენიმე მომიჯნავე რეალური თაობის ერთ კალენდარულ პერიოდში (ან წელიწადში) პირმშოთა გაჩენის აკუმულაციაზე, ქალების დაქორწინების საშუალო ასაკის შემცირებაზე, დაქორწინების – ანუ ქორწინებითი ურთიერთობის დაწყებიდან პირმშოს გაჩენამდე ინტერვალის შემცირებაზე.

თუკი, პირიქით, პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტის სიდიდე 0,90-ზე ქვემოთაა გადახრილი, მაშინ ეს მეტყველებს საწინააღმდეგო ძვრებზე დაბადებათა ტაიმინგში (კალენდარში), ქორწინების დონის შემცირების შედეგად მის „გაწელებაზე“, ქალების დაქორწინების საშუალო ასაკის ზრდაზე, პირმშოთა გაჩენის გადავადებაზე და ა.შ.

ცხრილი 5.7.

დედის მიერ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტის გაანგარიშება, რუსეთი, მთელი მოსახლეობა, 1995 წელი

ასაკობრივი ჯგუფები (წელი)	გარკვეული რიგითობის გაჩენილთა ხვედრითი წილი და შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები	მათ შორის დაბადების რიგითობის მიხედვით				
		პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მეხუთე და მეტი
15-19	1,000	0,938	0,060	0,002	0,000	0,000
F ₁₅₋₁₉	45,6	42,8	2,7	0,1	—	—
20-24	1,000	0,742	0,226	0,027	0,004	0,001
F ₂₀₋₂₄	113,5	84,2	25,7	3,1	0,4	0,1
25-29	1,000	0,376	0,474	0,110	0,028	0,012
F ₂₅₋₂₉	67,2	25,3	31,8	7,4	1,9	0,8
30-34	1,000	0,232	0,448	0,199	0,069	0,052
F ₃₀₋₃₄	29,7	6,9	13,3	5,9	2,0	1,6
35-39	1,000	0,210	0,321	0,238	0,106	0,125
F ₃₅₋₃₉	10,7	2,2	3,4	2,6	1,2	1,3
40-44	1,000	0,198	0,223	0,220	0,126	0,233
F ₄₀₋₄₄	2,2	0,4	0,5	0,5	0,3	0,5
45-49	1,000	0,117	0,158	0,223	0,142	0,360
F ₄₅₋₄₉	0,1	—	—	—	—	0,1
შ.წ.პ.	1,345	0,809	0,387	0,098	0,029	0,022

მაგალითისათვის 5.7^ა ცხრილში მოყვანილია საქართველოში 1999 წლისათვის დედის მიერ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტების გაანგარიშება.

ცხრილი 5.7^ა

დედის მიერ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული
შობადობის ჯამური კოეფიციენტის გაანგარიშება,
საქართველო, მთელი მოსახლეობა, 1999წ.

ასაკობრივი ჯგუფები (წელი)	გარკვეული რიგითობის გაჩენილთა ხვედრითი წილი და შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები	მათ შორის დაბადების რიგითობის მიხედვით					მესუთე და მეტი
		პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე		
15-19	1,000	0,815	0,172	0,013	0,000	0,000	
F ₁₅₋₁₉	34,8	28,4	6,0	0,4	–	–	
20-24	1,000	0,560	0,361	0,072	0,007	0,000	
F ₂₀₋₂₄	76,5	42,8	27,6	5,5	0,6	–	
25-29	1,000	0,396	0,413	0,151	0,031	0,009	
F ₂₅₋₂₉	56,0	22,2	23,1	8,5	1,7	0,5	
30-34	1,000	0,345	0,350	0,206	0,069	0,030	
F ₃₀₋₃₄	30,1	10,4	10,5	6,2	2,1	0,9	
35-39	1,000	0,351	0,280	0,214	0,091	0,064	
F ₃₅₋₃₉	12,5	4,4	3,5	2,7	1,1	0,8	
40-44	1,000	0,389	0,243	0,188	0,094	0,086	
F ₄₀₋₄₄	3,5	1,4	0,9	0,7	0,3	0,2	
45-49	1,000	0,532	0,177	0,139	0,063	0,089	
F ₄₅₋₄₉	0,5	0,3	0,1	0,1	0,0	0,0	
შ.ჯ.კ.	1,07	0,550	0,359	0,121	0,029	0,012	

მაგალითისათვის განვიხილოთ რუსეთში 1985-დან 1996 წლის ჩათვლით ათწლეულში დედის მიერ გაჩენილი ბავშვების რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტის დინამიკა (ცხრილი 5.8). შესაძლოა სახელმძღვანელოსათვის 10 წლიანი პერიოდი ცოტა გრძელია, მაგრამ მე უბრალოდ ვსარგებლობ შემთხვევით გამოვაქვეყნო ეს მონაცემები რადგანაც სამწუხაროდ ჩემს გარდა ამ მეთოდით რუსეთში ჯერჯერობით არავინ სარგებლობს, უცნობია კი რატომ. საზღვარგარეთ ეს მეთოდი უფრო პოპულარულია, ვიდრე ჩვენთან. გაეროს დემოგრაფიულ წელიწდეულებში პერიოდულად ქვეყნდება შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები გაჩენის რიგითობის მიხედვით, რომლებითაც ადვილად შეიძლება გაჩენის რიგითობის მიხედვით შობადობის ჯამური კოეფიციენტების გამოთვლა – თუმცა გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტები ასევე არ ქვეყნდება. ალბათ სწორედ ამიტომაც, რომ ისინი ცოტა ვინმესთვის თუ არის ცნობილი.

მაშინ როცა 1987 წლის შემდეგ შობადობის ჯამური კოეფიციენტის სიდიდემ შემცირება დაიწყო, პირმშოთა შობადობის კოეფიციენტი 1989 წლამდე განაგრძობდა ზრდას (1985 წლიდან 1989 წლამდე იგი 0,897-დან 0,991-მდე გაიზარდა, რაც მის გადაჭარბებულ სიდიდეზე მეტყველებს, ე.ი. ქალების რეალურ თაობაში შობადობის აკუმულაციაზე). ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სოფლის მოსახლეობის პირმშოთა შობადობის კოეფიციენტი 1992 წლამდე აღემატებოდა 1,0-ს. კიდევ უფრო გასაკვირია, რომ მეორე ბავშვების შობადობის კოეფიციენტი სოფლის მოსახლეობის 1989 წლის ჩათვლით პერიოდში ასევე აღემატებოდა 1,0-ს. ეს არის რუსეთის სოფლის მოსახლეობის (ისევე როგორც, ყოფილი სსრკ-ის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, განსაკუთრებით შუა აზიაში) ქორწინებისა და შობადობის დინამიკაში მიმდინარე ძალიან მძლავრი პერტურბაციების¹ დამადასტურებელი. შემდეგ დაიწყო შობადობის ჯამური კოეფიციენტის საერთო სიდიდისა და პირმშოთა შობადობის ანალოგიური კოეფიციენტების შემცირების ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც 1996 წელს 0,764-მდე შემცირდა. კოეფიციენტის

1. პერტურბაცია (ლათ. *perturbatio* – არეკ-დარევა, აშლა) – მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობის მოულოდნელი დარღვევა, არეკ-დარევა, წესრიგის მოშლა. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბ., „განათლება“, 1973. გვ. 314.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

ასეთი სიდიდე მეტყველებს, რომ დაიწყო პირმშოთა გაჩენის მასიური გადავადება, რაც ადრე არასოდეს არ ყოფილა. ამასთან შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქალაქად ეს პროცესი ერთი წლით ადრე დაიწყო, ვიდრე სოფლად და 1996 წლისათვის პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტი ქალაქის მოსახლეობაში შემცირდა 0,758-მდე მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობაში – 0,777-მდე (ცხრილი 5.8). ეს მეტყველებს სოფლის მოსახლეობაში პირმშოთა გაჩენის მნიშვნელოვან გადავადებაზე და საერთოდ ქვეყნის მთელ მოსახლეობაში შობადობის შიგაოჯახური რეგულირების ფართოდ გავრცელებაზე.

ამავე დროს მთელი განსახილველი ათწლეულის განმავლობაში, მაღალი რიგითობის გაჩენების კოეფიციენტები ფაქტიურად რაიმე რყევების გარეშე, მცირდებოდა. სწორედ ისინი გვიჩვენებენ შობადობის ნამდვილ დინამიკას, რადგანაც ნაკლებად განიცდიან სტრუქტურული ფაქტორების გავლენას.

ცხრილი 5.8.

დედის მიერ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტების დინამიკა რუსეთში 1985-1996 წლებში

წლები	შობადობის ჯამური კოეფიციენტი სულ	მათ შორის გაჩენის რიგითობის მიხედვით				
		პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მეხუთე და მეტი
A	1	2	3	4	5	6
მთელი მოსახლეობა						
1985-1986	2,111	0,897	0,803	0,233	0,063	0,115
1986-1987	2,194	0,970	0,841	0,256	0,068	0,059
1987	2,218	0,979	0,850	0,261	0,069	0,059
1988	2,124	0,987	0,781	0,236	0,064	0,056
1989	2,007	0,991	0,704	0,203	0,058	0,051
1990	1,888	0,987	0,624	0,179	0,052	0,046
1991	1,733	0,952	0,539	0,155	0,087	
1992	1,552	0,896	0,456	0,127	0,040	0,033
1993	1,386	0,828	0,399	0,103	0,031	0,025
1994	1,385	0,838	0,396	0,099	0,029	0,023
1995	1,345	0,809	0,387	0,098	0,029	0,022
1996	1,281	0,764	0,373	0,095	0,028	0,021

	ქალაქის მოსახლეობა					
1985-1986	1,875	0,924	0,727	0,167	0,034	0,023
1986-1987	1,995	0,943	0,766	0,184	0,036	0,026
1987	1,980	0,955	0,774	0,189	0,038	0,024
1988	1,899	0,965	0,706	0,167	0,036	0,025
1989	1,827	0,977	0,650	0,144	0,032	0,024
1990	1,072	0,968	0,563	0,123	0,027	0,022
1991	1,541	0,926	0,470	0,101	0,044	
1992	1,363	0,861	0,383	0,082	0,021	0,016
1993	1,215	0,797	0,327	0,065	0,015	0,011
1994	1,243	0,823	0,332	0,063	0,015	0,010
1995	1,207	0,797	0,326	0,061	0,014	0,009
1996	1,158	0,758	0,317	0,061	0,014	0,008
	სოფლის მოსახლეობა					
1985-1986	3,004	1,068	1,078	0,490	0,0179	0,189
1986-1987	3,108	1,053	1,126	0,541	0,196	0,192
1987	3,132	1,053	1,133	0,556	0,198	0,192
1988	2,998	1,055	1,061	0,517	0,186	0,179
1989	2,630	1,046	0,879	0,405	0,147	0,153
1990	2,526	1,062	0,826	0,368	0,136	0,134
1991	2,384	1,046	0,770	0,332	0,236	
1992	2,176	1,008	0,699	0,273	0,102	0,094
1993	1,935	0,922	0,631	0,228	0,082	0,072
1994	1,842	0,890	0,600	0,215	0,074	0,063
1995	1,789	0,849	0,591	0,215	0,074	0,060
1996	1,677	0,777	0,564	0,206	0,073	0,057

მაგალითისათვის განვიხილოთ საქართველოში 1990-დან 1999 წლის ჩათვლით ათწლეულში დედის მიერ გაჩენილი ბავშვების რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტის დინამიკა (ცხრილი 5.8^ა).

ცხრილი 5.8^ა

დედის მიერ ბავშვების გაჩენის რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული შობადობის ჯამური კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში 1990-1999 წლებში

წლები	შობადობის ჯამური კოეფიციენტი სულ	მათ შორის გაჩენის რიგითობის მიხედვით				
		პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მესხუთე და მეტი
A	1	2	3	4	5	6
მთელი მოსახლეობა						
1990	2,20	1,002	0,744	0,333	0,084	0,037
1995	1,41	0,754	0,462	0,138	0,039	0,019
1999	1,07	0,550	0,359	0,121	0,029	0,012
ქალაქის მოსახლეობა						
1990	2,08	1,014	0,715	0,272	0,057	0,025
1995	1,44	0,820	0,458	0,117	0,030	0,014
1999	1,16	0,622	0,391	0,109	0,023	0,012
სოფლის მოსახლეობა						
1990	2,36	0,976	0,776	0,420	0,025	0,163
1995	1,37	0,662	0,464	0,169	0,052	0,025
1999	0,94	0,447	0,308	0,135	0,038	0,016

1990 წლიდან შობადობის მთლიანი ჯამური კოეფიციენტის კლების პარალელურად მცირდებოდა პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტიც. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 1990 წელს ქალაქის მოსახლეობაში პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტი 1,0-ს აღემატებოდა (1,014), რამაც საბოლოოდ განაპირობა მისი ერთზე სიჭარბე (1,002) მთლიანად ქვეყნის მასშტაბითაც. უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წელს პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტები როგორც სოფლად (0,976), ასევე ქალაქადაც (1,014) აღემატებოდნენ რეალურ თაობებში პირმშოთა ჯამური კოეფიციენტების ზედა ზღვრულ სიდიდეს (0,95-ს), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროს ადგილი ჰქონდა პირმშოთა გაჩენის აკუმულაციას, რომელიც გამოწვეული იყო როგორც ქალების დაქორწინების საშუალო ასაკის შემცირებით, ასევე დაქორწინების – ანუ ქორწინებითი ურთიერთობის დაწყებიდან პირმშოს გაჩენამდე ინტერვალების (ანუ ე.წ. პროტოგენეტიკური ინტერვალის) შემცირებით.

1990 წლის შემდგომ დაწყებულმა პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტის კლებამ განსაკუთრებით დაბალ დონეს მიაღწია სოფლის მოსახლეობაში 1999 წელს (0,447), რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაიწყო პირმშოთა გაჩენის მასიური გადავადება, რაც ადრე არასოდეს არ ყოფილა. ამასთან, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქალაქად ეს პროცესი სოფელთან შედარებით ცოტა უფრო ნაკლები ტემპით მიმდინარეობდა (0,622). თუმცა ქალაქადაც ადგილი ჰქონდა პირმშოთა გადავადების მნიშვნელოვან რაოდენობას. პირმშოთა გაჩენის გადავადების ასეთი მასობრივი გაგრძელება შეიძლება აიხსნას ჩვენს ქვეყანაში სწორედ განსახილველ პერიოდში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობით. პირმშოთა შობადობის ჯამური კოეფიციენტის კლება იმაზე მეტყველებს, რომ ფართოდაა გაგრძელებული შობადობის შიგა ოჯახური რეგულირება საქართველოს როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობაშიც. ამავე დროს მთელი განსახილველი ათწლეულის განმავლობაში მაღალი რიგითობის გაჩენის ჯამური კოეფიციენტები ფაქტიურად რაიმე რყევების გარეშე მცირდებოდა. სწორედ ისინი გვიჩვენებენ შობადობის ნამდვილ დინამიკას, რადგანაც ნაკლებად განიცდიან სტრუქტურული ფაქტორების გავლენას.

5.13. ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმის

ინდექსი () (ბ.შ.პ.მ.)

შობადობის დონის მდგომარეობისა და დინამიკის განმსაზღვრელი მიზეზების შესწავლისას, დემოგრაფები ძველთაგანვე ცდილობდნენ გაემიჯნათ ხალხისა და ოჯახების სტრუქტურული და ქცევითი ფაქტორები შობადობაზე მათი ერთობლივი ზემოქმედებიდან. მსოფლიო დემოგრაფიაში ცნობილია ასეთი გამიჯვნის რამდენიმე მეთოდი. ყველა ისინი ასე თუ ისე ემყარებიან 1961 წელს ფრანგი დემოგრაფის ლუი ანრის მიერ შემოთავაზებული ბუნებრივი შობადობის კოეფიციენტის გამოყენებას. **ბუნებრივი შობადობა** – ისეთი შობადობაა, რომლის დონეც განპირობებულია აბორტებისა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების დახმარებით შობადობის განზრახ შეზღუდვის სრული არარსებობისას¹, მხოლოდ ფიზიოლოგიური და სტრუქტურული ფაქტორებით, ე.ი. ნაყოფიერების მდგომარეობითა და მოსახლეობის სქესის მიხედვით. ბუნებრივი შობადობა გარკვეული სოციალურ-ბიოლოგიური პოტენციალის სახით ნებისმიერ მოსახლეობაში სრულებით რეალურად არსებობს (ნაყოფიერების შიგა ოჯახური შეზღუდვის დონისძიებების გავრცელების მიუხედავად), რომელიც ბავშვების რიცხვზე ხალხის მოთხოვნილების ფორმირებასა და დაკმაყოფილებაზე სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების გავლენის გამო მხოლოდ ნაწილობრივ რეალიზდება. რა თქმა უნდა თანამედროვე მოსახლეობაში ოჯახში ბავშვთა რიცხვის შიგაოჯახური შეზღუდვის ფართოდ გავრცელების პრაქტიკის გამო ბუნებრივი შობადობის დონე შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ჰიპოთეზურად. მიუხედავად ამისა, სოციალურ-ბიოლოგიური პოტენციალის ასეთი ჰიპოთეზური დონის განსაზღვრა მნიშვნელოვნად და აუცილებლადაც კი მიგვაჩნია სწორედ იმიტომ, რომ ყოველი რეალური მოსახლეობისათვის კონკრეტული შობადობის ფაქტიური დონის შედარებისას მის სოციალურ-ბიოლოგიურ პოტენციალთან, წარმოდგენა გვქონდეს მოსახლეობაში ნაყოფიერების განზრახ (ნებით) შიგაოჯახური შეზღუდვის მეთოდების გავრცელების მასშტაბებზე, შობადობის ქცევითი ფაქტორის როლზე.

1. დაწვრილებით იხ.

., 1994. C. 137;

..

., 1976 C. 25-49.

საზღვარგარეთული შრომებისაგან განსხვავებით, სადაც მოცემულია მცდელობა, რომ გააანალიზონ ბუნებრივი შობადობის მაქსიმუმი, ჩემს მიერ 1971 წელს შემუშავებულ ქვემოთ მოტანილ მეთოდში, განისაზღვრება ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი (შემდგომ შემოკლებით – ბ.შ.ჰ.მ), ე.ი. შობადობის ისეთი დონე, რომლის დაბლაც მას არ შეუძლია დაწვეა რაიმე ნეგატიური ხასიათის გარემოებების გავლენის გარეშე (ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის შემცირებული ნაყოფიერება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ცალკე-ცალკე მცხოვრები მეუღლეების მაღალი ხვედრითი წილი და ა.შ.). სპეციალურად შემუშავებული მათემატიკური მოდელის საფუძველზე და ადამიანთა ნაყოფიერების პარამეტრების შესახებ მონაცემებით, ავტორის მიერ განისაზღვრა ქორწინებითი ბუნებრივი შობადობის მინიმალური კოეფიციენტი, რომელიც შემდეგ გამოიყენებოდა -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) კონკრეტული მაჩვენებლების გაანგარიშებისას ნებისმიერი რეალური მოსახლეობისთვისაც და კონკრეტული დროისათვისაც. ეს კოეფიციენტები შემოფარგლავენ ზღვარს, რომლის დაბლაც ქორწინებითი შობადობის დონე შეიძლება დაეცეს მხოლოდ ოთხი ფაქტორის გავლენით: 1) დაბადებულთა რიცხვის აღურიცხაობით; 2) უნაყოფო ქორწინებების მაღალი ხვედრითი წილით; 3) ცალკე-ცალკე მცხოვრები მეუღლეების მაღალი ხვედრითი წილით; 4) ქორწინებაში შობადობის განზრახ შეზღუდვით. უკვე მარტო ეს, ე.ი. შობადობაზე მოქმედი უამრავი ფაქტორის მხოლოდ ოთხამდე დაყვანა მეთოდს სასარგებლოდ აქცევს.

ცხრილი 5.9.

-ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) მოდელში სტანდარტად მიღებული ქორწინებითი ბუნებრივი შობადობის მინიმალური კოეფიციენტები

	ასაკობრივი ჯგუფები (წელი)					
	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49
კოეფიციენტები პრომილებში (%)	400	377	349	279	155	31

5.9. ცხრილში არაა 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფი. ეს არაა შემთხვევითობა. საქმე ისაა, რომ ასაკობრივი ჯგუფები შობადობის ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტები ქალების ზრდასთან და დაქორწინებასთან ერთად ძალიან მკვეთრად იზრდება (ამ ასაკობრივი ინტერვალის ფარგლებში). ამიტომ ხუთწლიანი

ასაკობრივი ინტერვალისათვის მაჩვენებლის საშუალო სიდიდე ძალიან არამყარია, ძალიანაა დამოკიდებული შიგაჯგუფობრივ სტრუქტურაზე და გამოუსადეგარია მოდელში ჩასართავად. იგივე ეკუთვნის 50 წელზე მეტ ასაკსაც, რომელშიც ასევე გვხვდება გაჩენები (და ზოგიერთ ხალხებში შობადობის კოეფიციენტები ქალების 50-54 და 55-59 წლის ასაკობრივ ჯგუფებში ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანია), და მითუმეტეს ბუნებრივი შობადობის პირობებში. ამიტომ (ასევე ქალების მოზარდ და ყველაზე უფროს ასაკებში შობადობის სუსტად შესწავლილობის გამო) გადაწყდა ქალების კიდურა ასაკობრივი ჯგუფების მთელი შობადობა გავაერთიანოთ ერთ შემასწორებელ კოეფიციენტში, რომელიც შემოგვაქვს ბუნებრივი შობადობის პირობებში დაბადებულთა ჰიპოთეზური რიცხვის გაანგარიშებისას. 15 წელზე ახალგაზრდა და 50 წელზე უფროს ასაკებში ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების რიცხვის ხვედრითი წილების განზოგადებით მსოფლიოს 35 ქვეყნის მონაცემების მიხედვით, რომლებიც აქვეყნებენ ამ გაანგარიშებისათვის აუცილებელ სტატისტიკას, ავტორმა გამოიყვანა გასაშუალებული შემასწორებელი ინდექსი 1,06.

-ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშებისას საკმარისია გვექონდეს მხოლოდ გათხოვილი ქალების განაწილება ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ასეთი მონაცემები არის ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის აღწერის შედეგებში. უფრო ზუსტი გაანგარიშება შეიძლება გავაკეთოდ თუკი გვაქვს ქორწინებითი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები, მაგრამ ჯერ ასეთი მაჩვენებლები ძალიან ცოტა ქვეყანაში იანგარიშება და ქვეყნდება. ჩვენი ქვეყნისათვის გვიწევს მოსახლეობის აღწერების მონაცემებით სარგებლობა და შესაბამისად გაანგარიშებებს უკავშირებენ აღწერის კრიტიკულ მომენტს. -ის

(ბ.შ.ჰ.მ-ის) ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის საკმარისია გადავამრავლოთ გათხოვილი ქალების რიცხვი ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქორწინებითი ბუნებრივი შობადობის შესაბამის მინიმალურ ასაკობრივ კოეფიციენტებზე, 5.9. ცხრილიდან და მიღებულ ჰიპოთეზურ ჯამს 20-49 წლის ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების რიცხვს დავუმატოთ 15 წლამდე და 50 წელს გადაცილებული ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების ჯამი. ჩვენი ქვეყნისათვის და ბევრი სხვა ქვეყნისთვისაც ეს კეთდება დაბადებულთა ჰიპოთეზური რიცხვის შემასწორებელ ინდექსზე 1,06-ზე გამრავლებით. შედეგად დაბადებულთა საერთო ჰიპოთეზური რიცხვი (ბუნებრივი შობადობის პირობებისათვის) საჭიროა გავყოთ, მისი შესაბამისი მოსახლეობის საშუალო

რიცხოვნობაზე და მივიღოთ -ის (ბ.შ.კ.მ-ის) ზოგადი კოეფიციენტი. გაანგარიშების წესი შეიძლება წარმოვიდგინოთ ფორმულის სახით, სადაც ყველა პირობითი აღნიშვნები წინა ტექსტიდანაა ცნობილი:

$$n = \frac{1,06 \times \sum_{20}^{49} W_x \times F_x^0}{P}$$

-ის (ბ.შ.კ.მ-ის) ინდექსის გაანგარიშების მაგალითი 1988-1989 წლების რუსეთისათვის წარმოდგენილია ცხრილში 5.10.

ცხრილი 5.10.

-ის (ბ.შ.კ.მ-ის) ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშება
1988-1989 წლების რუსეთისათვის

ასაკობრივი ჯგუფები	ქორწინებითი ბუნებრივი შობადობის მინიმალური ასაკობრივი კოეფიციენტები (სტანდარტი) F_x (ერთის ხვედრით წილებში)	გათხოვილი ქალების რიცხოვნობა მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მიხედვით ¹ mW_x	დაბადებულთა ჰიპოთეზური რიცხვი გრ.1×გრ.2
A	1	2	3
20-24	0,400	2 964 858	1 185 943
25-29	0,377	4 934 516	1 860 313
30-34	0,349	5 252 415	1 833 093
35-39	0,279	4 714 340	1 315 301
40-44	0,155	3 000 333	465 052
45-49	0,031	3 087 190	95 703
		$\Sigma = 6755405 \times 1,06 = 7 160 729$	

1. სამწუხაროდ წიგნის რუსულ დედანში გაპარულია უზუსტობა. განზომილებს ერთეულად წერია „ათასი კაცი“, მაშინ როცა ფაქტობრივად მონაცემები მოყვანილია ერთეულის სიზუსტით.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

რუსეთის მოსახლეობაში მთლიანი რიცხოვნობა 1989 წლის აღწერით უდრიდა 147 400, 5 ათას კაცს. აქედან $n = 7\ 160\ 729 : 147\ 400,5 = 48,6\%$ (ამ შემთხვევაში 1000-ზე გამრავლება საჭირო არაა, რადგანაც მნიშვნელის¹ თანრიგიანობა უკვე შეიცავს ამ გამრავლებას).

-ის (ბ.შ.კ.მ-ის) ინდექსის გაანგარიშების მაგალითი 1988-1989 წლების საქართველოსათვის წარმოდგენილია 5.10^ა ცხრილში.

ცხრილი 5.10^ა

-ის (ბ.შ.კ.მ-ის) ზოგადი კოეფიციენტის გაანგარიშება საქართველოში 1988-1989 წწ.

ასაკობრივი ჯგუფები	ბუნებრივი ქორწინებითი შობადობის მინიმალური ასაკობრივი კოეფიციენტები (სტანდარტი) F_x (ერთანის ხვედრით წილებში)	გათხოვილი ქალების რიცხოვნობა მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მიხედვით (ათასი კაცი) mW_x	დაბადებულთა ჰიპოთეტური რიცხვი (ათასი კაცი). გრ.1×გრ.2
A	1	2	3
20-24	0,400	116 115	46 446
25-29	0,377	177 022	66 737
30-34	0,349	171 071	59 704
35-39	0,279	151 208	42 187
40-44	0,155	108 363	16 796
45-49	0,031	122 849	3 808
		$\Sigma = 235\ 678 \times 1,06 = 249\ 819$	

საქართველოს მოსახლეობაში მთლიანი რიცხოვნობა 1989 წლის აღწერით უდრიდა 5 400 841 კაცს. აქედან

$$n \text{ (ბ.შ.კ.მ)} = \frac{249\ 819}{5\ 400\ 841} \times 1000 = 46,3\%$$

-ის (ბ.შ.კ.მ-ის) კოეფიციენტი (ანუ ინდექსი) ერთი რიცხვით ახასიათებს მოსახლეობის ქორწინებით ასაკობრივ სტრუქტურას შობადობის სოციალურ-ბიოლოგიური პოტენციალის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით -ის (ბ.შ.კ.მ-ის) კოეფიციენტის სიდიდის ზრდა, ან კლება მოწმობს, შესაბამისად ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებას, ან გაუარესებას. შობადობის ფაქტიური

1. სამწუხაროდ წიგნის რუსულ დედანში „მნიშვნელის“ ნაცვლად წერია, „მრიცხველისა და მნიშვნელის“, რაც არის წინა შენიშვნაში აღნიშნული უზუსტობის შედეგი.

ზოგადი კოეფიციენტის შეფარდება -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტთან (იმავე მოსახლეობის) საშუალებას იძლევა მივიღოთ მიახლოებითი, მაგრამ სრულიად რეალური წარმოდგენა შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხზე. ჩვენს მაგალითში -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტის სიდიდე, რომელიც 48,6%-ის ტოლია საჭიროა შემდეგნაირად ავსხნათ. ბუნებრივი შობადობის პირობებში (რუსეთი ასეთი რომ იყოს) მოსახლეობის ფაქტიური ასაკობრივი და ქორწინებითი სტრუქტურისას როგორც ისინი იყო მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მომენტისათვის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი იქნებოდა როგორც მინიმუმ 48,6¹.

ჩვენს მაგალითში -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტის სიდიდე, რომელიც 46,3%-ის ტოლია საჭიროა შემდეგნაირად ავსხნათ. ბუნებრივი შობადობის პირობებში (საქართველო ასეთი რომ იყოს) მოსახლეობის ფაქტიური და ქორწინებითი სტრუქტურისას, როგორც ისინი იყო მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მომენტისათვის, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი იქნებოდა როგორც მინიმუმ 46,3%.

იმ შემთხვევაში როცა შობადობის აღრიცხვა საკმაოდ სრულია, ხოლო უნაყოფობის სიდიდე და მეუღლეთა განშორების ხანგრძლივობა უმნიშვნელოა, შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხის მაჩვენებელი ახასიათებს შობადობის შიგაოჯახური შეზღუდვის **მინიმუმს** (მაგრამ უტყუარს, სარწმუნოს). ჩვენს მაგალითში 1988-1989 წლებში რუსეთში -ის (ბ.შ.პ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხი შეადგენდა 15,3 (შობადობის ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტი) : 48,6 (-ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტი) x 100 (რათა განაყოფი გამოვსახოთ პროცენტებში) = 31,5%. სიტყვებით რომ ვთქვათ, 1989 წლის დასაწყისში მოსახლეობის აღწერის მომენტისათვის ჩვენი მოსახლეობის ასაკობრივი და ქორწინებითი სტრუქტურის ფაქტიურ პირობებში ჩვენს ქვეყანაში ბუნებრივი შობადობის მინიმუმის რეალიზაციის ხარისხი შეადგენდა ბიოლოგიურად შესაძლო დონის მხოლოდ 31,5%-ს.

1. უახლოეს წარსულში ბევრი მოღვაწე ჩვენს ქვეყანაში შობადობის დონის შემცირებას ხსნიდა მარტოდენ და მხოლოდ და მხოლოდ დიდი სამამულო ომის დამანგრეველ შედეგით გამოწვეული ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციებით. ისინი უარს ამბობდნენ შობადობის დონის შემცირებაში ელიარებიანათ მისი შიგა ოჯახობრივი შეზღუდვის გზით შემცირების გაბატონებული როლი. -ის (ბ.შ.პ.მ-ის) ძალიან დიდი მნიშვნელობა უარყოფს ამ შეცდომებს.

ჩვენს მაგალითში 1988-1989 წლებში საქართველოში -ის (ბ.შ.კ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხი შეადგენდა 17,0 (შობადობის ფაქტიური კოეფიციენტი) : 46,3 ((-ის (ბ.შ.კ.მ-ის) კოეფიციენტი) \times 100 (რათა განაყოფი გამოვსახოთ პროცენტებში) = 36,7%, სიტყვებით რომ ვთქვათ, 1989 წლის დასაწყისში მოსახლეობის აღწერის მომენტისათვის ჩვენი მოსახლეობის ასაკობრივი და ქორწინებითი სტრუქტურის ფაქტიურ პირობებში ჩვენს ქვეყანაში ბუნებრივი შობადობის მინიმუმის რეალიზაციის ხარისხი შეადგენდა ბიოლოგიურად შესაძლო დონის მხოლოდ 36,7%-ს.

აქ მე განსაკუთრებით უნდა გავეუსვა ხაზი, რომ (ბ.შ.კ.მ) არ შეიძლება განვიხილოთ პირდაპირ, როგორც შობადობის ისეთი პოტენციალი, რომლის თითქოსდა სრული რეალიზება შესაძლებელი იყოს. არა, ეს არცაა შესაძლებელი და არცაა საჭირო, არაა ამის აუცილებლობა. პოტენციალი ძალიან მაღალია, მეტისმეტად მაღალია, იგი აჭარბებს მოსახლეობის კვლავწარმოებაზე ნებისმიერ თანამედროვე საზოგადოებრივ მოთხოვნილებას. მათი მნიშვნელობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვიჩვენებს ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურის რეალურ მდგომარეობას და მისი როგორც შობადობის დონის ფაქტორის როლს და შესაბამისად შობადობის მაჩვენებელზე სტრუქტურული და ქცევითი ფაქტორების თანაფარდობას, მათ ერთობლივ გავლენაში. იგი ასევე გვიჩვენებს შობადობის ზრდის შესაძლებლობას, დემოგრაფიული პოლიტიკის აქტივიზაციისა და მოსახლეობის შობადობის გაზრდისათვის სტიმულირების ხარჯზე (თუკი ასეთი მიიჩნევა ძალიან მცირედ).

განვიხილოთ შობადობის ზოგადი კოეფიციენტის (შ.ზ.კ.), -ის (ბ.შ.კ.მ-ის) კოეფიციენტისა და -ის (ბ.შ.კ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხის კოეფიციენტის დინამიკა ჩვენი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. რუსეთის შესახებ მონაცემების უქონლობის გამო მე შესაძლებლად ჩავთვალე ზოგიერთი პერიოდისათვის გამომეყენებინა მონაცემები რუსეთის იმპერიისა და სსრკ-ის შესახებ. (ცხრილი 5.11.)

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები (შ.ზ.კ.), ბუნებრივი
 შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი (ბ.შ.ჰ.მ) და -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის)
 რეალიზაციის ხარისხი რუსეთში

წლები	შ.ზ.კ.	(ბ.შ.ჰ.მ)	$\frac{\text{შ.ზ.კ.}}{\text{(ბ.შ.ჰ.მ)}} \times 100$
პრომილებში			
მთელი მოსახლეობა			
1896-1897 ¹	49,9	47,4	104,7
1926-1927 ²	46,0	50,2	91,6
1938-1939 ³	37,0	51,4	72,0
1948-1949 ³	26,3	43,3	60,7
1953-1954 ³	25,9	47,1	55,0
1958-1959	23,9	49,2	48,6
1969-1970	14,4	47,2	30,6
1978-1979	15,9	47,6	33,4
1988-1989	15,3	48,7	31,5
1993-1994	9,5	45,5	20,9
ქალაქის მოსახლეობა			
1896-1897 ¹	37,9	41,2	92,0
1926-1927 ²	34,0	50,6	67,2
1958-1959	20,9	53,9	38,8
1969-1970	14,5	51,0	28,4
1978-1979	15,8	50,7	31,2
1988-1989	14,7	50,2	29,3
1993-1994	8,7	46,2	18,8
სოფლის მოსახლეობა			
1896-1897 ¹	51,7	48,6	106,3
1926-1927 ²	46,0	46,7	98,5
1958-1959	27,2	44,0	61,8
1969-1970	14,3	40,5	35,3
1978-1979	16,0	40,3	39,7
1988-1989	17,0	44,8	38,0
1993-1994	11,2	43,6	25,7

1. 50

2.

3.

მაჩვენებლების დინამიკა უჩვენებს ევოლუციას რუსეთში მთელი XX საუკუნის განმავლობაში. სსრკ-სა და რუსეთის დღევანდელ ტერიტორიას შორის განსხვავებამ ჩვენ ძალიან არ უნდა შეგვაშფოთოს. ის არ შეიძლება იყოს პრინციპულად დიდი (თუმცა, ალბათ არის და ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ). შეიძლება თვალნათლივ დავინახოთ თუ როგორ მცირდებოდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი და რამდენად და რომელი ფაქტორების ხარჯზე მოდიოდა ეს შემცირება. -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) კოეფიციენტის დინამიკა ასახავს შობადობის ცვლილებას მხოლოდ მოსახლეობის ქორწინებით ასაკობრივი სტრუქტურის ხარჯზე, ხოლო -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხის ინდექსი შობადობის ცვლილებას მისი შიგაოჯახური კონტროლის ხარჯზე.

XIX საუკუნის ბოლოს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე აღემატებოდა -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) ინდექსს (შესაბამისად 49,9 და 47,7‰). -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხი 100-ზე მეტი იყო, 104,7%-ს უდრიდა. ეს ნიშნავს, რომ რუსეთში შობადობის შიგაოჯახური კონტროლი მაშინ ნულთან ახლოს იყო. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ არ იყო. გავიხსენოთ ს.ა. ნოვოსელსკის დაკვირვება, რომელმაც დააფიქსირა რუსეთში „ახალმალოუსიანელების“ გავრცელების სწრაფი დასაწყისი. ამასთან არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც. მაგრამ (ბ.შ.ჰ.მ) საკმაოდ უხეში ინსტრუმენტია, რომელიც აფიქსირებს შობადობის შიგაოჯახური კონტროლის მხოლოდ საკმაოდ საგრძნობ მასშტაბებს. ხოლო რა ხდება მინიმუმის ზემოთ – მას არ აინტერესებს.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს რუსეთის მოსახლეობის ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურა მთელი საუკუნის განმავლობაში მცირედ იცვლებოდა, რა თქმა უნდა ცალკეული ტრაგიკული რყევების გარდა, რომლებიც მთელ ხალხის ცხოვრებაზე და მათ შორის ოჯახურზეც აისახა.

შესამჩნევია -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) კოეფიციენტის მკვეთრი შემცირება ომის შენდგომ პირველ წლებში. ა.ბ. სინელნიკოვის გაანგარიშებით 1948-1949 წლებში, იგი 43,3‰-ს უდრიდა. ომის წლებში იგი ალბათ კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა (მეუღლეთა ხანგრძლივი დაშორებები). და შესამჩნევია აგრეთვე -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) კოეფიციენტის მკვეთრი დაცემა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ქორწინების დონის დაცემის გამო.

მაგრამ, ვგონებ, ყველაზე მთავარი XX საუკუნის განმავლობაში -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხის განუხრელი შემცირებაა, რომელმაც აქამდე, უფრო ზუსტად 1994 წლის მიკროაღწერის მომენტისათვის, ფანტატსიკურად დაბალ

დონეს – 20,9%, ხოლო ქალაქის მოსახლეობაში 18,8%-საც კი მიაღწია. როდესაც მე ვფიქრობდი, რომ 25% – ესაა -ის (ბ.შ.პ.მ-ის) – რეალიზაციის ხარისხის ქვედა ზღვარი და უფრო ქვემოთ მას შემცირება არ შეუძლია. აღმოჩნდება რომ შეუძლია. დიას 25,7% **სოფლის მოსახლეობაში** არანაკლებ შთამბეჭდავია. ეს რიცხვები მეტყველებენ რუსეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში შობადობის შიგაოჯახური (უფრო ზუსტად ინდივიდუალური) კონტროლის მასიურ, ინტენსიურ გავრცელებაზე, განათლების დონის, ეთნიკური კუთვნილების და რაიმე სხვა კულტურული ატრუბუტების ფლობის მიუხედავად.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტების შედარება გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის ბოლოს (და ალბათ 1920-იანი წლების შუახანებიდან, სტალინური ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის დაწყებამდე) სოფლის მოსახლეობის ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურა უკეთესი იყო ვიდრე ქალაქის მოსახლეობის. -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტები

შესაბამისად ტოლი იყო 48,5‰ – სოფლის მოსახლეობაში და 41,2‰ – ქალაქის მოსახლეობაში. მაგრამ უკვე 1926-1927 წლებში სურათი საწინააღმდეგოდ იცვლება

-ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტი იზრდება ქალაქის მოსახლეობაში 50,6‰-მდე და მცირდება, მართალია მცირედ, 46,70-მდე – სოფლის მოსახლეობაში. და ამ დროს

-ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტი განუხრელად დაბალია სოფლის მოსახლეობაში ვიდრე ქალაქისაში. მიზეზები საიდუმლოს არ წარმოადგენენ: კოლექტივიზაცია, გაკულაკება, გლეხების გადატაკება, სოფლის ახალგაზრდების ქალაქად გაქცევა. გლეხების ძალდატანებით დეპორტაცია -ის „ღიად მშენებლობებზე“ (რომლის უკიდევანო სივრცეზეც შენდებოდა ახალი ქალაქები, რომლებიც მოითხოვდნენ იაფ მუშახელს). უდაოდ, ომის წლებიც უფრო მეტად აისახა სოფლის მოსახლეობის სტრუქტურაზე, ვიდრე ქალაქისაზე, მაგრამ შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის ჯერჯერობით არაა საჭირო საწყისი მასალები.

განვიხილოთ საქართველოში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის (შ.ზ.კ.), -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტისა და -ის (ბ.შ.პ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხის კოეფიციენტის დინამიკა 1958-1989 წლებში (ცხრილი 5.11^ა).

როგორც ცხრილიდან ჩანს საანალიზო პერიოდში შობადობის ზოგადი კოეფიციენტები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტებს და შესაბამისად -ის (ბ.შ.პ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხიც 100-ზე დაბალი იყო. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მნიშვნელოვანია შობადობის შიგაოჯახური კონტროლი, როგორც ქალაქად ასევე სოფლადაც.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები (შ.ზ.კ.), ბუნებრივი
 შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი (ბ.შ.ჰ.მ) და -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის)
 რეალიზაციის ხარისხი საქართველოში

წლები	შ.ზ.კ.	(ბ.შ.ჰ.მ)	$\frac{\text{შ.ზ.კ.}}{\text{(ბ.შ.ჰ.მ)}} \times 100$
პრომილებში			
მთელი მოსახლეობა			
1958-1959	23,8	49,7	47,9
1969-1970	19,0	46,5	40,9
1978-1979	17,8	43,4	41,0
1988-1989	17,0	46,3	36,7
ქალაქის მოსახლეობა			
1958-1959	20,9	53,6	39,0
1969-1970	18,2	49,1	37,1
1978-1979	17,6	46,1	38,2
1988-1989	16,3	48,1	33,9
სოფლის მოსახლეობა			
1958-1959	26,0	47,0	55,1
1969-1970	19,6	44,1	44,4
1978-1979	18,1	40,5	44,7
1988-1989	17,7	43,9	40,3

-ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) კოეფიციენტის თითქმის თანაბარზომიერი კლება იმისი მიმანიშნებელია, რომ საქართველოში მოსახლეობის ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურა არ განიცდიდა მკვეთრ ცვლილებებს; ხოლო 1988-1989 წლებში, 1978-1979 წლებთან შედარებით მისი ზრდა კი განპირობებული იყო ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებით. მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხის განუხრელი კლება კი იმაზე მეტყველებს, რომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირება მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო შობადობის შიგაოჯახური კონტროლის ზრდის ხარჯზე, რაც განსაკუთრებით იყო გამოკვეთილი ქალაქის მოსახლეობაში. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მოსახლეობაში შობადობის შიგაოჯახური კონტროლის დონე (ანუ -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხის კოეფიციენტი) თითქმის 30-35 წლით ჩამორჩება ქალაქად მიღწეულ ამ მაჩვენებლის დონეს (40,3% სოფლად 1988-1989 წლებში და 39,0% 1958-1959 წლებში ქალაქად). მაგრამ თუკი მათი კლების ტემპებს დავეყვირდებით დავინახავთ, რომ სოფლად კლების ტემპი 2-ჯერ მეტია, ვიდრე ქალაქად (1958-1959 წლებიდან 1988-1989 წლამდე პერიოდში -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) კოეფიციენტის დონე ქალაქად

შემცირდა -13,1%-ით, ხოლო სოფლად კი - 16,9%-ით) და მეტყველებს იმაზე, რომ შობადობის შიგა-ოჯახური კონტროლი სწრაფი ტემპით ვრცელდება საქართველოს სოფლის მოსახლეობაშიც. ამგვარი დინამიკიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებლები მალე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში ერთმანეთს შესაძლოა გაუთანაბრდეს კიდევ.

მთლიანობაში კი ცხრილი 5.11^ა-ში მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში 1958-1959-დან 1988-1989 წლამდე პერიოდში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის კლება განპირობებული იყო როგორც ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურით ასევე შობადობის შიგაოჯახური რეგულირებით ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ როგორც სტრუქტურული, ასევე ქცევითი ფაქტორების ერთობლივი მოქმედებით.

-ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) ინდექსის დახმარებით შეიძლება ვაჩვენოთ, რომ შობადობის შემცირებაში მთავარი როლი ეკუთვნის ქცევით და არა სტრუქტურულ ფაქტორებს.

მაგრამ -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) კოეფიციენტის დახმარებით სანდექსო მეთოდის გამოყენებით შეიძლება კიდევ გავადრმაგოთ შობადობის დონის დინამიკის ანალიზი.

1978 წელს დემოგრაფმა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე არხანგელსკიმ შემოიღო ინდექსების მარტივი სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა შობადობის ჩვეულებრივი ზოგადი კოეფიციენტი დავშალოთ რამდენიმე სტრუქტურულ კომპონენტად და გამოვყოთ თითოეული მათგანის გავლენა შობადობის დონის ცვლილების საერთო სიდიდეზე.¹ ეს კომპონენტები ასეთია: 1) ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის ასაკობრივი სტრუქტურა; 2) ქალების ქორწინებითი მდგომარეობა; 3) -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) (ე.ი. შობადობის შიგაოჯახური კონტროლის მინიმუმი) რეალიზაციის ხარისხი. ინდექსების სისტემა შემდგენაირად გამოიყურება:

$$\frac{n^2}{n^1} = \frac{1,06 \times \sum_{20}^{49} F_x^0 \times \omega_x^1 \times b_x^2}{1,06 \times \sum_{20}^{49} F_x^0 \times \omega_x^1 \times b_x^1} \times \frac{1,06 \times \sum_{20}^{49} F_x^0 \times \omega_x^2 \times b_x^2}{1,06 \times \sum_{20}^{49} F_x^0 \times \omega_x^1 \times b_x^2} \times \frac{\alpha^2}{\alpha^1}$$

სადაც n^1 და n^2 – შობადობის ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტებია ყოველი პერიოდის დასაწყისისა (1) და დასასრულისათვის (2); F_x^0 – ბუნებრივი შობადობის

1. //, 1978. . 32-33.

მინიმალური ასაკობრივი კოეფიციენტები; α_x^1 და α_x^2 – 15-49 წლის ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის შემადგენლობაში ყოველი „x“ ასაკობრივი ჯგუფის ქალების ხვედრითი წილი; b_x^1 და b_x^2 გათხოვილი ქალების ხვედრითი წილია ყოველ ასაკობრივ წილში; α_x^1 და α_x^2 – შობადობის ზოგადი კოეფიციენტისა (შ.ზ.კ-სა) და -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) თანაფარდობა ან სხვანაირად -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხი, ანუ სხვაგვარად – შობადობის შიგა ოჯახური კონტროლის მინიმუმი.

რუსეთში უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში შობადობის დონის დინამიკის ანალიზი -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) მაჩვენებლისა და ზემოთ წარმოდგენილი ინდექსის დახმარებით ნაჩვენებია 5.12 ცხრილში.

ცხრილში კარგად ჩანს, რომ შობადობის დინამიკაში მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში მთავარ როლს თამაშობდა შიგაოჯახური კონტროლის ხარისხი. ამასთან საჭიროა აღვნიშნოთ, რომ შობადობის დაცემა სწორედ მისი, შიგაოჯახური შეზღუდვის გაძლიერების მიზეზით 1958-1970 წლების პერიოდში თითქმის ისეთივე მკვეთრი იყო, როგორც 1990-იანი წლების პირველ ნახევარში (მართალია 1958-1970 წლებში პერიოდის სიგრძე ორჯერ მეტია, ვიდრე 1990-იანი წლების პირველ ნახევარში; მაგრამ მკვეთრი ცვლილება მაინც იყო), მაგრამ მაშინ 1970-იან, ან უფრო გვიან წლებში, ქვეყანაში შობადობის მკვეთრმა დაცემამ არავითარი შეწუხება, ან თუნდაც რაიმე ინტერესი არ გამოიწვია, არც სპეციალისტებში და მით უმეტეს პოლიტიკოსებში. მაშინ, ისევე როგორც ახლა, შობადობის დაცემა ზოგიერთ შემარცხენე აქტივისტში ძირითადად სპეკულაციურ-პოლიტიკური ხასიათის მშფოთვარე რეაქციებს იწვევს.

ვნახოთ როგორ მუშაობს -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) მაჩვენებელი სხვა ქვეყნების მაგალითზე (ცხრილი 5.13). გვინდა ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ როგორც არ უნდა იყოს ფაქტიური კოეფიციენტის სიდიდე თავისთავად იგი ჯერ კიდევ არ მეტყველებს შობადობის შიგაოჯახური კონტროლის გავრცელებაზე, მანამ ვიდრე ჩვენ არ გვეცოდინება თუ რა როლს თამაშობს ამ პროცესში მოსახლეობის ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ირლანდიის მაგალითზე 5.13 ცხრილში. მიუხედავად იმისა, რომ შობადობის ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტი ირლანდიაში 1961 წელს 21,2%-ს შეადგენდა, რაც იმ დროს არ იყო დიდი სიდიდე, -ის (ბ.შ.ჰ.მ-ის) ფენომენალურად დაბალი კოეფიციენტი (სულ 25,5%), რომელიც ფაქტიურ კოეფიციენტს მხოლოდ 4,3 პრომილეთი ადემატება,

იმაზე მეტყველებს, რომ შობადობის დონე ირლანდიაში თითქმის მთლიანად იყო განპირობებული ქვეყნის მოსახლეობის არასასურველი ქორწინებით-ასაკობრივი

ცხრილი 5.12.

რუსეთში 1959, 1970, 1979, 1989 და 1994 წლის მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ფაქტორული სტრუქტურა (პროცენტობით, კოეფიციენტის ყოველი პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სიდიდესთან)

წლები	შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილება პერიოდის განმავლობაში	მათ შორის გამოწვეული		
		ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის (15-49 წელი) ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე	ქალთა ქორწინებითი მდგომარეობის დონის ცვლილების ხარჯზე	შობადობის გამიზნული შიგაოჯახური შეზღუდვის ხარისხის ცვლილების ხარჯზე
მთელი მოსახლეობა				
1958-1970	-39,8	-15,4	13,0	-37,4
1970-1979	10,4	1,1	0,1	9,2
1979-1989	-3,7	1,4	1,0	-6,1
1989-1994	-37,9	-4,1	-2,3	-31,5
ქალაქის მოსახლეობა				
1958-1970	-30,6	-14,2	10,3	-26,7
1970-1979	9,0	0,0	-0,6	9,6
1979-1989	-7,0	-2,0	1,0	-6,0
1989-1994	-40,8	-3,0	-4,6	-33,2
სოფლის მოსახლეობა				
1958-1970	-47,4	-23,1	19,3	-42,6
1970-1979	11,9	-3,2	2,8	12,3
1979-1989	6,3	8,4	2,1	-4,2
1989-1994	-34,1	0,8	-3,4	-31,5

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები (შ.ზ.კ.), ბუნებრივი
 შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი (ბ.შ.კ.მ.) და -ის (ბ.შ.კ.მ.-ის)
 რეალიზაციის ხარისხი მსოფლიოს ცალკელ ქვეყნებში

ქვეყნები	წლები	პრომილებში		შ.ზ.კ. (ბ.შ.კ.მ.) x 100
		შ.ზ.კ.	(ბ.შ.კ.მ.)	
ირლანდია	1961	21,2	25,5	83,1
	1971	22,7	29,4	77,2
	1981	21,0	36,8	57,1
	1987-1988	15,4	35,3	43,7
კანადა	1961	26,0	45,5	57,1
	1971	16,8	45,3	37,1
	1981	15,3	47,3	32,3
	1989	14,9	45,6	32,7
ჩინეთი	1982	21,1	48,5	43,5
	1987	21,2	55,2	38,4
ნიდერლანდები	1963	20,9	39,2	53,3
	1973	14,5	43,9	33,0
	1983	11,9	44,1	27,0
	1989	12,7	38,9	32,7
პოლონეთი	1960	22,3	47,3	47,1
	1974	18,4	45,0	40,9
	1984-1985	18,6	49,7	37,4
აშშ	1960	23,7	46,9	50,5
	1980	15,9	40,6	39,2
	1986	15,5	40,4	38,4
იაპონია	1960	17,2	43,0	40,0
	1970	18,8	47,7	39,4
	1980	13,6	46,2	29,4
	1985	11,8	44,1	28,7
საქართველო	1958-1959	23,8	49,7	47,9
	1969-1970	19,0	46,5	40,9
	1978-1979	17,8	43,4	41,0
	1988-1989	17,0	46,3	36,7

სტრუქტურით, რადგანაც იმ დროს -ის (ბ.შ.პ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხი ძალიან მაღალი 83,1% იყო, ე.ი. ისეთივე როგორც აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრ სუსტად განვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებში. 1971 წელს ირლანდიაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ცოტათი, 22,7%-მდე გაიზარდა მაგრამ ამ ცვლილების ფაქტორებად დაშლა გვიჩვენებს, რომ კოეფიციენტის ზრდა იყო მხოლოდ მოსახლეობის ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების შედეგი, იმ დროს როცა სინამდვილეში შობადობა მცირდებოდა (-ის (ბ.შ.პ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხი 83,1-დან 71,2%-მდე შემცირდა).

კანადაში თითქმის 30 წლის განმავლობაში მცირდებოდა შობადობის ყველა კოეფიციენტები: ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტი, -ის (ბ.შ.პ.მ-ის) და -ის (ბ.შ.პ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხი. ეს ნიშნავს, რომ შობადობის დონის შემცირება განპირობებული იყო როგორც სტრუქტურული, ასევე ქცევით ფაქტორების ერთობლივი მოქმედებით.

ჩინეთში ხუთწლედში 1982-1987 წლებში ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტი თითქმის არ შემცირებულა (21,1 და 21,2‰). მაგრამ -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტის ზრდა 48,5-დან 55,2‰-მდე მოწმობს მოსახლეობის ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, მაშინ როცა -ის (ბ.შ.პ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხის ასეთივე მნიშვნელოვანი შემცირება 43,5-დან 38,4%-მდე, აუცილებლად მეტყველებს იმაზე, რომ განსახილველ პერიოდში შობადობის დონე ჩინეთში არ იყო სტაბილური, მით არ იზრდებოდა. ის მცირდებოდა და მნიშვნელოვნად.

მსგავსი მდგომარეობა აღინიშნებოდა პოლონეთში 1974-1985 წლებში. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი თითქმის არ შეცვლილა, ცოტათი გაიზარდა კიდევ 18,4-დან 18,6%-მდე. მაგრამ თავისთავად შობადობის დონე მცირდებოდა, რაზედაც მეტყველებს -ის (ბ.შ.პ.მ-ის) რეალიზაციის ხარისხის შემცირება 40,9-დან 37,4-მდე.

რადგანაც -ის (ბ.შ.პ.მ-ის) კოეფიციენტი გაიანგარიშება ბუნებრივი შობადობის ერთი და იგივე მოდელზე იგი გამოსაყენებელია შობადობის დონის როგორც სტატიკაში, ასევე დინამიკაში განსახილველად.

ამრიგად, -ის (ბ.შ.პ.მ-ის) მაჩვენებლის გამოყენება კარგ საშუალებას იძლევა შობადობის დონეთა მარტივი და თვალსაჩინო შედარებითი ანალიზისათვის. იგი საშუალებას იძლევა დავადგინოთ თუ რა ემართება რეალურად შობადობას, იცვლება თუ არა იგი (სწორედ შობადობა და არა მარტო მისი კოეფიციენტი, რაც

ერთი და იგივე არ არის), და თუკი დიას, მაშინ რომელი მიმართულებით. ამასთან ეს კეთდება საკმაოდ უხეში საწყისი მასალისა და მარტივი გაანგარიშებების საფუძველზე. რა თქმა უნდა -ის (ბ.შ.კ.მ-ის) კოეფიციენტი – უხეში მახვენებელია. იგი განკუთვნილია მხოლოდ შობადობის დონის შიგაოჯახური კონტროლის ხარისხის შესახებ პირველ მიახლოებითი პასუხის მისაღებად. მაგრამ ეს სრულებითაც არაა ცოტა, თუკი გავითვასლიწინებთ, რომ ჯერ კიდევ „სტიქიური“ და „რეგულირებადი“ შობადობის თანაფარდობის საკითხის შესახებ სპეციალისტებს შორისაც კი სუბიექტურ ცრურწმენაზე და ემოციებზე დამყარებული ბევრი გაუგებრობაა. ამ მიმართულებით რაიმე რაოდენობრივი ორიენტირის არსებობა ერთობ სასარგებლოდ გვეჩვენება.

ამ ნაწილის დასასრულს მინდა ვთქვა, რომ -ის (ბ.შ.კ.მ-ის) მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა კვლევით საგნებშიც. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულმა ამერიკელმა დემოგრაფმა დ. ვერესოვმა იგი გამოიყენა სსრკ-ში აბორტების ფაქტიური რიცხვის შეფასებისათვის და 1980-1984 წლების პერიოდისათვის მიიღო შეფასება 7,5 მლნ. ხელოვნური აბორტი წელიწადში¹ (სსრკ-ის ჯანმრთელობის სამინისტრო ამ დროს მათ რიცხვს 4,4 მლნ-ით აფასებდა². ამავე მეთოდის გამოყენებით დ. ვერესოვმა შეაფასა მაშინდელ სსრკ-ში თავიდან აცილებული ფეხმძიმობის რიცხვი (ჩასახვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გამოყენების გზით) როგორც აბორტების რიცხვიდან ერთ მესამედზე ნაკლები³.

-
1. Benson, Vermont (USA). Chalidze Publications, 1987. p. 84-85.
 2. : 1994 ., 1994. C. 165.
 3. C. 85.

5.14. შობადობის ფაქტორების გამოკვლევის მოკლე ისტორია

შესაძლებელია, ჩვენ უკვე ვერასოდეს ვეღარ გავიგოთ თუ საიდან წამოვიდა რწმენა, რომელიც მასიური ცრურწმენა გახდა, რომ იმისათვის რათა გვეყავდეს ბევრი შვილები საჭიროა კარგი მატერიალური პირობების ქონა. მეცნიერთა დაკვირვებანი სტატისტიკისა და დემოგრაფიის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე იძლეოდნენ საბაბს საპირისპირო მოსაზრებისათვის. კერძოდ, ცნობილია უდიდესი ინგლისელი ეკონომისტის ადამ სმიტის, მის მიერ ლონდონში 1776 წელს ჯ. გრაუნტის ნაშრომის გამოქვეყნებიდან 14 წლის შემდეგ გამოცემულ ცნობილ წიგნში „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების გამოკვლევის შესახებ“, გამონათქვამი: „სიღარიბე ... როგორც ჩანს ხელსაც კი უწყობს გამრავლებას. მთიან შოტლანდიში შიმშილისაგან გამოფიტულ ქალს ხშირად ჰყავს ოცზე მეტი ბავშვი, მაშინ როცა განაზებულ მეტისმეტად მაძღარ ქალბატონს ხშირად არ შეუძლია ერთი ბავშვის გაჩენაც კი და ჩვეულებრივ სრულიად გამოფიტული აღმოჩნდება ხოლმე ორი ან სამი ბავშვის გაჩენის შემდეგ. მაღალი საზოგადოების ქალების ასე ხშირად უნაყოფობა ძალიან იშვიათად გვხვდება ხალხთა დაბალი ფენის ქალებში. ფუფუნება შეიძლება მშვენიერ სქესში ბადებს ტკობის ჟინს, მაგრამ როგორც ჩანს ყოველთვის ასუსტებს და ხშირად სრულებით ანადგურებს ბავშვთა შობის უნარს“.¹ ამრიგად, უდიდესმა ეკონომისტმა აღნიშნა უკუკავშირი გაჩენილი ბავშვების რიცხვსა და დედების სოციალურ მდგომარეობას შორის. მაგრამ ამ კავშირს ხსნიდა როგორც ნაყოფიერებას შორის განსხვავება და არა როგორც განსხვავება სურვილში, რომ ყავდეთ ბავშვები. და ეს არაა შემთხვევითი, მის დროში ბავშვების რიცხვი ითვლებოდა უზენაესის ნების გამოვლინებად და ხალხის ჩარევა ღვთიურ საქმეებში თითქმის როგორც ღვთის გმობა ისე განიხილებოდა. აბორტებზე ან ჩასახვის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ლაპარაკიც კი სათაკილოდ ითვლებოდა, თუმცა არსებობდა კონტრაცეფციის (ჩასახვის საწინააღმდეგო) პრიმიტიული მეთოდები, ხოლო აბორტები იმდენი იყო, რომ ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნებში მათ გამო მკაცრად სჯიდნენ, სასამართლოს მიხედვით, სიკვდილით დასჯამდეც კი. ამიტომ ბევრი მეცნიერი ისეთ სახეს იღებდა თითქოს არაფერი არ იცოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მხარის შესახებ.

საფრანგეთი პირველი ქვეყანა იყო, რომელშიც შობადობამ კლება XVIII

1.
1962. . 73.

საუკუნის ბოლოდან დაიწყო, ამასთან სწორედ შიგაოჯახური შეზღუდვის ხარჯზე. იგივე ქვეყანა იყო პირველი, სადაც საზოგადო მოღვაწეებმა და მეცნიერებმა შეშფოთება გამოხატეს დეპოპულაციის საფრთხის გამო და შეეცადნენ გაეგოთ შობადობის დაცემის მიზეზები, მაგრამ შობადობის ფაქტორების მეცნიერული გამოკვლევა მხოლოდ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გაიშალა. როცა მოსახლეობის აღწერების, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკისა და შობადობისა და ქორწინების მაჩვენებელთა განვითარებამ მოამზადეს ინფორმაციული ბაზა გამოკვლევებისათვის. ერთ-ერთი პირველი ასეთი გამოკვლევათაგანი იყო ფრანგი სტატისტიკოსის ჟ.კ. ბერტილიონის გამოკვლევები. მათში მეცნიერი განიხილავდა დიფერენცირებულ შობადობას, ე.ი. სოციალური ჯგუფების შობადობის დონეებში სისტემატურ განსხვავებებს. 1890 წელს მან გამოაქვეყნა ოთხი ევროპული დედაქალაქის მცხოვრებთა შობადობის დონეთა განსხვავებულობის სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები (ცხრილი 5.14.).

ცხრილი 5.14.

ქორწინებითი შობადობის სპეციალური კოეფიციენტები ევროპის ქვეყნების ზოგიერთ დედაქალაქში XIX საუკუნის ბოლოს (15-49 წლის ასაკის 1000 გათხოვილ ქალზე გაანგარიშებით)¹

რაიონები მოსახლეობით	ვენა 1891-1897წწ.	ბერლინი 1888-1895წწ.	პარიზი 1886-1898წწ.	ლონდონი 1881-180წწ.
ძალიან ღარიბი	200	222	140	147
ღარიბი	164	206	129	140
შედლებულები	155	195	111	107
ძალიან შეძლებულები	153	178	99	107
მდიდრები	107	146	94	87
ძალიან მდიდრები	71	122	69	63

1. მოტანილია წიგნიდან: . . .
., 1959. C. 75-76.

ცხრილში მკაფიოდ ვლინდება შებრუნებული კორელაციური დამოკიდებულება¹ ცხოვრების მატერიალურ დონესა და შობადობას შორის. ღარიბ მცხოვრებიანი რაიონებიდან მდიდარ მოსახლეობიან რაიონებზე გადასვლისას ქორწინებითი შობადობის მაჩვენებლები მცირდება. შესაძლოა, სწორედ ამ დროიდან, ჟ. ბერტილიონის ექსპერიმენტებიდან, დაიწყო მეცნიერებაში ეგრეთ წოდებული „შობადობის დონესა და კეთილდღეობას შორის უკუკავშირის პარადოქსთან“ დაკავშირებული მწვავე დისკუსია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1970-იანი წლების შუა ხანებამდე გრძელდებოდა. ხოლო ყოველდღიურ ცნობიერებაში წარმოდგენა იმის შესახებ, რომ შობადობის გაზრდისათვის საჭირო და **საკმარისია** მხოლოდ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, დღემდეც, ყოველგვარი მეცნიერული მტკიცებულების საპირისპიროს მიუხედავად – ურყევია.

ჩვენს ქვეყანაში პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების დასრულების შემდეგ 1920-იანი წლების შუა ხანებისათვის შობადობა ომამდელ დონეზე მეტად გაიზარდა (შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა სსრკ-ში 1924 წელს 49,0%-ს² მიღწია). ამ ზრდას საკომპენსაციო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთ პოლიტიკოსს ეჩვენებოდა, რომ მისი მიზეზები იყო ახალი საზოგადოების მშენებლობის წარმატებაში და რომ ეს მუდმივია, მაგრამ უკვე მომდევნო წელს შობადობის დონემ კლება დაიწყო. სრულიად საკავშირო მოსახლეობის 1926 წლის აღწერა დიფერენციალური შობადობის შესწავლისადმი მიძღვნილი რიგი სტატისტიკური შრომების გაჩენის სტიმული გახდა. როგორც ჩანს ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი იყო ბ.ს. იაგოლიმი, რომელმაც ახალ პირობებში გაიმეორა ჟ. ბერტილიონის მეთოდი. 1928 წელს მან გაანალიზა 1925 და 1927 წლებში მოსკოვში შობადობის ზოგადი კოეფიციენტების განსხვავება ქალაქის შედარებით პატარა უბნებში

1. კორელაციური დამოკიდებულება – ურთიერთკავშირი ნიშნებს შორის, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ნიშნის სიდიდე იცვლება სხვა ნიშნის ცვლილებაზე დამოკიდებულებით. თუკი ორივე ნიშანი, რომელთაგან ერთ-ერთი განიხილება, როგორც მოქმედი ფაქტორი, ხოლო მეორე როგორც შედეგ-ფაქტორი, იცვლებიან ერთი მიმართულებით (ორივე იზრდება ან მცირდება), მაშინ მათ შორის კავშირი პირდაპირია. ხოლო თუკი, ცვლილებები ხდება საპირისპირო მიმართულებით (მოქმედი ფაქტორის ზრდისას ფაქტორ-შედეგი მცირდება, ან ყველაფერი პირიქით), მაშინ კავშირი შებრუნებითია (დაწვრილებით იხ. „., 1965 C. 253).

2. 1922-1991. 1993. C. 57.

(მილიციის განყოფილებების მიხედვით)¹. მან გამოავლინა, რომ ყველაზე დაბალი კოეფიციენტები იყო ქალაქის ცენტრთან ახლოს განთავსებულ უბნებში, ხოლო ყველაზე მაღალი – გარეუბნებში. რადგანაც მისი სტატიის დაწერისას უკვე იყო 1926 წლის აღწერის მონაცემები სოციალური შემადგენლობის შესახებ მხოლოდ ქალაქის რაიონების მიხედვით, ბ.ს. იაგოლიმმა გამოიყენა 1923 წლის ქალაქის მოსახლეობის აღწერის ანალოგიური შედეგები, რომელშიც მასალები დამუშავდა მილიციის უბნების მიხედვით.

თვლიდა რა, რომ 4 წელიწადში სოციალური შემადგენლობა არ შეიძლებოდა არსებითად შეცვლილიყო მან 1923 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით სოციალური შემადგენლობის შესახებ მონაცემები შეადარა. 1927 წელს მოსკოვის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შობადობის კოეფიციენტებთან. აღმოჩნდა, რომ მოსკოვის ცენტრალურ უბნებში მცხოვრებთა დაახლოებით ნახევარს (50,7%) შეადგენდნენ მოსამსახურეები ან თავისუფალი პროფესიის ადამიანები, მუშები კი – მხოლოდ 15%-ს. შობადობის ზოგადი კოეფიციენტები ამ უბნებში საშუალოდ 18,2%-ს შეადგენდა. გარეუბნების მცხოვრებთა შორის მოსამსახურეები და თავისუფალი პროფესიის ადამიანები შეადგენდნენ 24,4%-ს, მუშები – 45,4%-ს. ამ რაიონებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საშუალოდ 33,7%-ს შეადგენდა.

ამ შედეგების საფუძველზე გ.ს. იაგოლიმმა შობადობის კოეფიციენტის განსხვავებულობა სამართლიანად ახსნა მოსკოვის საცხოვრებელი რაიონების მიხედვით შობადობის დონეებში არსებული სოციალური განსხვავებულობით.

1929 წელს ლენინგრადის მასალების მიხედვით დიფერენცირებული შობადობის შესახებ თავის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა რუსეთში შობადობის და მოკვდაობის შემცირების შესახებ თავისი წინასწარმეტყველური სტატიით უკვე მოხსენებულმა ს.ა. ნოვოსელსკიმ. შობადობის სოციალური დიფერენციაციის გაზომვისათვის ისევ როგორც ბ.ს. იაგოლიმმა, ს.ა. ნოვოსელსკიმაც გამოიყენა ჟ. ბერტილიონის მეთოდი. მან შეადარა შობადობის მაჩვენებლები პეტერბურგში ქალაქის 48 ადმინისტრაციული უბნის მიხედვით 1910 წლის ქალაქის მოსახლეობის აღწერის მიმდებარე 4 წლის განმავლობაში. შობადობის სპეციალური კოეფიციენტი (დაბადებულთა რიცხვი წლის განმავლობაში 15-49

1.

ინტელიგენცია ან სპეციალისტები) – 428 კაცი (4,5%). გამოკითხვის პროგრამა არ იყო ძალიან ფართო. მაგრამ მაინც შეისწავლებოდა შობადობის – ოჯახის საშუალო-სულადობრივ შემოსვლასთან, ქალის სოციალურ-პროფესიულ სტატუსთან, მათი დაქირავებულ შრომაში ან თავის საოჯახო მეურნეობაში დასაქმებასთან, ქალებში ცხოვრების ხანგრძლივობასთან – დამოკიდებულება. გამოკვლევის შედეგებმა კეთილდღეობასა და შობადობას შორის **შებრუნებითი** კორელაციური დამოკიდებულება აჩვენეს. და მასასადამე, მიუთითეს კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე შობადობის შემდგომი შემცირების შესაძლებლობაზე. ალბათ, ამ შედეგებს სტატსახკომის ხელმძღვანელობის მხრიდან დიდი ეჭვით შეხვდნენ მათი საიმედოობის თვალსაზრისით, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მაშინ გაბატონებულ შეხედულებებს, თითქოს სოციალიზმის დროს (რადგანაც სოციალიზმი ქმნის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის სწრაფი ზრდის პირობებს) შობადობა უნდა იზრდებოდეს, ყოველ შემთხვევაში არ უნდა მცირდებოდეს. ამიტომ 1934 წლის გამოკვლევის შედეგები არ იქნა გამოქვეყნებული. მათგან მხოლოდ ამონარიდები შევიდა, მაღალ სამეცნიერო-პოლიტიკურ წრეებში იმ დროს გავლენიანი გამორჩეული ეკონომისტის აკადემიკოს სტანისლავ გუსტავის ძე სტრუმილინის (1877-1974წწ) სტატიაში.¹ მეცნიერის მიერ 1936 წელს დაწერილი სტატია მხოლოდ 1957 წელს გამოქვეყნდა.

ს.გ. სტრუმილინი იყო არა მარტო საბჭოთა მეცნიერებს შორის პირველი ვინც ყურადღება მიაქცია ცხოვრების პირობებსა და შობადობას შორის უცნაური ხასიათის **შებრუნებით** კორელაციურ კავშირს, არამედ პირველიც, ვინც შეეცადა როგორმე აეხსნა ეს ხასიათი. 1934 წლის გამოკვლევებში გამოვლენილი ფაქტიდან, რომ ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებში შობადობა საშუალოდ უფრო მაღალია, ვიდრე უფრო უზრუნველყოფილებში, მან გააკეთა დასკვნა, რომ „სსრკ-ში მისი დაუცხრომელი ინდუსტრიალიზაციიდან გასული მთელი პერიოდის განმავლობაში შობადობის დაცემა წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში შრომის ანაზღაურებისა და მშრომელთა კეთილდღეობის უწყვეტი ზრდის სრულიად კანონიერ და სრულებით თანმიმდევრულ შედეგს“². ახლა ასეთი დასკვნა

1. //
, 1957 . 186-207. «
 1936 »//
 .3., 1964. . 132-147 , 1936 .
 2. //3.
 1964. . 143.

უჩვეულოდ არ გამოიყურება, მაგრამ მაშინ მან თითქმის როგორც ზეშთავონებამ გაიჟღერა, იყო რაღაც ახალი თეორიული თვალსაზრისით. მაგრამ ასეთ დასკვნაში სრულებითაც არ იყო პასუხი კითხვაზე, თუ კეთილდღეობის ზრდამ რატომ უნდა გამოიწვიოს შობადობის შემცირება, მაშინ როცა თითქოსდა პირიქით უნდა იყოს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერა იყო ემპირიულ მეთოდებზე დაფუძნებული ყველა ჰუმანიტარული მეცნიერების, მათ შორის სოციოლოგიისა და დემოგრაფიის, განვითარებისათვის მძლავრი სტიმული. უკვე 1960 წელს სტატისტიკის სახელმწიფო ორგანოებმა შობადობის ფაქტორების შესწავლის მიზნით ჩაატარეს დიდი გამოკვლევა ახლა უკვე მუშათა და მოსამსახურეთა 37 ათასი ოჯახის, რომლებიც რეგულარულ საბიუჯეტო ჩანაწერებს აწარმოებდნენ. ამ ოჯახებში გამოკითხულ იქნა 17 წლისა და უფროსი ასაკის 54,5 ათასი ქალი. გამოკითხვის ბლანკი შეიცავდა ცნობებს ქალთა დასაქმებისა და სამუშაო ადგილის, ან არსებობის საშუალებათა სხვა წყაროს შესახებ. ამ გამოკვლევის პროგრამის შესახებ ფაქტიურად მეტი არაფერი არაა ცნობილი, რადგანაც არავითარი მეცნიერული ანგარიში მის შესახებ კვლავ არ ყოფილა გამოქვეყნებული. (ჩვენთან ჯერაც არაა მიღებული სოციალურ სფეროში ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევების შედეგების გამოქვეყნება მეცნიერული ანგარიშის ან სტანდარტული მოხსენების ფორმით. ყველა ეს გამოკვლევები ძველთაძველი ტრადიციის მიხედვით საიდუმლო საფარითაა მოცული). ამ გამოკვლევის შედეგებიდან კვლავ მცირე ამონარიდები იქნა გამოქვეყნებული სსრკ-ის ც.ს.ს-ს მოსახლეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკის განყოფილების უფროსის ანტონინა მიხეილის ასულ ვოსტრიკოვას (1904-1991) მოხსენებაში, რომელიც ხალხთმოსახლეობის საკითხებზე 1965 წელს გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი.

გამოკვლევამ კვლავ აჩვენა უკუკავშირი ცხოვრების პრობლემებსა და შობადობას შორის. უფრო მაღალ შემოსავლიან ოჯახებში შობადობის მაჩვენებლები ქალთა ყველა ასაკობრივ ჯგუფებში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ნაკლებ შემოსავლიან ოჯახებში. ავტორის მიერ ასეთი კავშირი აიხსნა ჩვეულებრივი ყოფითი წარმოდგენების სულისკვეთებით – როგორც მაღალ შემოსავლიან ქალებში მაღალკულტურული და ეკონომიკური მოთხოვნების შედეგი, მათი მეტი დასაქმებით, რის გამოც მათ უბრალოდ აღარ რჩებათ დრო ბავშვებისათვის. სიტყვამ მოიტანა და ასეთი შეხედულება დღესაც საკმაოდაა გავრცელებული. მაგრამ სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლების მცოდნე

ადამიანებმა იციან, რომ ეს მხოლოდ რაციონალიზაციის¹ სახელით ცნობილი გამამართლებელი მოტივირების ფსიქოლოგიური დაცვის ერთ-ერთი სახეობაა. ამ შემთხვევაში ხომ აუხსნელი რჩება რატომ მაინც და მაინც ბავშვებისათვის (რამდენიმესათვის) არ ყოფნის ქალს დრო, მაშინ როცა სხვა საქმისათვის ის გამოიძებნება?

აკად. ს.გ. სტრუმილინის დასკვნამ, რომელიც შობადობის დაცემას ხელფასის ზრდით ხსნიდა, რიგ მეცნიერ ხელმძღვანელთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია, მათ გამკვლევის ასეთი შედეგები მეთოდოლოგიურ შეცდომად მიიჩნიეს. საქმე ისაა, რომ 1934 წლისა და 1960 წლის გამოკვლევებში საშუალო სულადობრივი შემოსავალი განისაზღვრებოდა ოჯახის მთელი შემოსავლის სულთა რაოდენობაზე, ახალშობილთა ჩათვლით, – გაყოფის გზით. ამით, როგორც ზოგიერთი მეცნიერ-ავტორიტეტი ფიქრობდა, მცირდებოდა მრავალშვილიანი ოჯახების საშუალო სულადობრივი შემოსავალი.

ამიტომ მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა ნინა ალექსანდრეს ასული ტაუბერის მიერ იმავე 1960 წელს ჩატარებულმა ქალაქ ჟუკოვის მცირე გამოკვლევამ. ამ გამოკვლევაში ოჯახის საშუალო სულადობრივი შემოსავლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა ოჯახის წევრთა რიცხვი ახალშობილთა გამოკლებით. მაგრამ ამ მეთოდოლოგიურმა დაზუსტებამ არ შეცვალა კორელაციური კავშირის ხასიათი შემოსავლების ზომასა და შობადობას შორის: კავშირი კვლავ შებრუნებითი აღმოჩნდა.

მომდევნო წლებში სსრკ-ის სხვადასხვა რეგიონებში, ძირითადად მსხვილ ქალაქებში, რამდენიმე ათეული გამოკვლევა ჩატარდა, შობადობის სხვადასხვა ფაქტორებთან, ძირითადად ცხოვრების მატერიალურ პირობებთან არსებული კავშირების გამოვლენის მიზნით. მათ შორის ყველაზე მეტი მნიშვნელობა შეიძინეს სსრკ-ის ც.ს.ს-ს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების მიერ ანდრეი გაბრიელის ძე ვოლკოვის ხელმძღვანელობით თითქმის ყოველ სამ წელიწადში, 1965-1966, 1967-1969, 1972, 1975, 1978, 1981, 1984 წლებში, ჩატარებულმა გამოკვლევებმა.

1. ფსიქოლოგიაში რაციონალიზაცია – არის ადამიანთა თვისება გაამართლონ თავიანთი მოქმედებანი რაციონალური, ზოგჯერ თავად ადამიანებისათვის უცნობი მიზეზებით, მათი რეალური ხასიათის მიუხედავად. იხ.

.., 1969. C. 74, 243, 357;

.., 1985. C. 191.

1965-1966 წლებში¹ მოსკოვის 4 საწარმოში ჩატარებულმა გამოკვლევებმა, რომლებმაც მოიცვა 45 წლამდე ასაკის 1 462 გათხოვილი მუშა ქალი დასაბამი დაუდო შობადობის ფაქტორების შესწავლაში პრინციპურად ახალ მიდგომას – ოჯახში ბავშვის საუკეთესო და დაგეგმილი რიცხვის შესახებ მოსაზრების შესწავლას. ამ გამოკვლევაში ძირითადი შედეგობრივი მაჩვენებლები იყო სამი ინდიკატორი: ბავშვების რეტროსპექტული სასურველი რიცხვი (პასუხებით კითხვაზე: „როცა თქვენ დაქორწინდით თქვენ რამდენი ბავშვის ყოლა გსურდათ?“) ბავშვების იდეალური რიცხვი (პასუხებით კითხვაზე: „თქვენი აზრით ყველაზე უკეთესი რამდენი ბავშვის ყოლაა ოჯახში?“) და ბავშვების ეგრეთ წოდებულ მოსალოდნელი ანუ დაგეგმილი რიცხვი (პასუხებით კითხვაზე: სულ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ თქვენ?)².

დაბოლოს, 1969 წელს სსრკ-ის ც.ს.ს.-ს ს.კ.ი.-ის დემოგრაფიის განყოფილების მიერ ჩატარებულ იქნა მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებში 33,6 ათასი გათხოვილი ქალის საფოსტო გამოკითხვა. ანკეტაში იყო შეკითხვები ბავშვების იდეალური და სასურველი რიცხვების შესახებ. ჩატარების მეთოდოლოგია ისეთი იყო, რომ საშუალებას იძლეოდა გაგვეერთიანებინა აზრის გამოკითხვის მონაცემები ოჯახის ცხოვრების პირობების ფაქტიურ მონაცემებთან, რომლებიც მიღებულ იქნება 1967 წელს ამავე ოჯახში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად. 1969 წლის გამოკითხვა გახდა სსრკ-ის ტერიტორიაზე პირველი და ყველაზე წარმომადგენლობითი გამოკვლევა, რომელშიც შეერთებული იყო შობადობის მაჩვენებლების ცხოვრების პირობების მაჩვენებლებთან შედარების ტრადიციული მეთოდები და აზრის გამოკითხვის ახალი მეთოდები. რეგულარულად ყოველ სამ წელიწადში ჩატარებული, შემდგომი გამოკვლევების პროგრამები, ერთმანეთისაგან მხოლოდ დეტალებში განსხვავდებოდნენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ გამოკვლევის მთავარი მიზანი იყო არა მარტო მოტივაციების შესწავლა, არამედ შობადობის პროგნოზის მეთოდების დაზუსტება. მიუხედავად ამისა, ყველა ამ გამოკვლევამ დაადასტურა უკუკავშირი კეთილდღეობასა და შობადობის მაჩვენებლებს შორის.

1. 1964 წელს იმავე ავტორებმა ჩაატარეს იმ ინსტიტუტის 204 თანამშრომლის გამოკითხვა, რომლებშიც თავად ავტორები მუშაობდნენ, მაგრამ ამ გამოკითხვას ჰქონდა პილოტაჟური ხასიათი და მისი შედეგები არ გამოქვეყნებულა.

2. . . ., 1975. С. 44.

5.15. რეპროდუქციული ძველის შესწავლა

აზრის გამოკითხვის მეთოდებზე დამყარებული გამოკვლევები მჭიდროდ მიუახლოვდნენ იმას, რომ დაეწყოთ შობადობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლა. მაგრამ მკვლევარები როგორც ჩანს ვერ წყვეტდნენ თავისი პროფესიის მიღმა შემდეგი ნაბიჯის გადადგმას. ხოლო ამის გარეშე შეუძლებელი იყო მცირეშვილიანობის მიზეზების გაგების მიმართულებით წინ წაწევა. საქმე ისაა, რომ სტატისტიკური შესწავლის სპეციფიკა დაფუძნებულია ძირითადად კორელაციური ანალიზის მეთოდების გამოყენებაზე. მაგრამ კორელაციური ანალიზი გვიჩვენებს სოციალურ მოვლენებს შორის კავშირის მხოლოდ არსებობასა და სიმჭიდროვეს, ე.ი. არ პასუხობს კითხვას რა წარმოადგენს კორელაციური დამოკიდებულების ნამდვილ მიზეზს. მიზეზი შეიძლება იყოს გამოკვლევის მიღმა დარჩენილი მესამე სიდიდე. ავხსნათ ასეთი მაგალითით. გამოკვლევები აჩვენებენ, რომ უფრო განათლებული ქალები საშუალოდ უფრო ნაკლებ ბავშვებს აჩენენ, ვიდრე ნაკლებად განათლებულები. მაგრამ სრულებით ცხადია, რომ თავისთავად განათლება კი არ არის შობადობის შეზღუდვის მიზეზი. თუმცა იყო მცდელობები ავხსნათ განათლებულ ქალებში დაბალი შობადობა იმით, რომ მათ გაუნათლებლებზე უკეთ იციან კონტრაცეფციის საშუალებების გამოყენება, რომ მათ უფრო ნაკლები თავისუფალი დრო აქვთ, ვიდრე ნაკლებად განათლებულებს, რომ მათ ინტერესთა სხვა წრე აქვთ. ეს უკანასკნელი ყველაზე ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. მაგრამ მაინც არასაკმარისი ახსნაა – რატომ? რატომაა რომ განათლების დონის ზრდასთან ერთად ქალებს უსუსტდებათ ბავშვების გაჩენისადმი ინტერესი? და თუკი ვაღიარებთ, რომ მსგავსი მოთხოვნების, ჰყავდეთ რამდენიმე ბავშვი, შესუსტება სწორედ განათლებაში იმალება, მაშინ ასე შეიძლება მალე მივიდეთ, ამოწყდომისაგან ერის გადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე, განათლებაზე ქალების უფლებების შეზღუდვის აზრამდე. გარდა იმისა, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები რეაქციული იქნებოდა, იგი ვერ იქნებოდა ეფექტურიც, არ გამოიწვევდა შობადობის ზრდას, რადგანაც ბავშვების რიცხვზე ქალთა (უფრო სწორად ოჯახის) გამრავლების მოთხოვნების შესუსტების მიზეზები ქალთა განათლებაზე პირდაპირ, უშუალოდ კი არაა დაკავშირებული, არამედ ირიბად, გაშუალებულად სოციალური ფასეულობების და ნორმების სისტემის მეშვეობით, რომელთა მიყოლის აუცილებლობაც იწვევს

სწორედ ნეგატიურ ცვლილებებს ოჯახისა და ქალის მოთხოვნილებათა სტრუქტურაში.

სპეციალურმა გამოკვლევებმა აჩვენეს აგრეთვე, რომ შობადობის ეფექტური კონტროლისათვის განათლების დონე სრულებითაც არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას. მით უმეტეს, რომ მეთოდები რომლითაც ჯერ კიდევ ახლო წარსულში სარგებლობდა უმრავლესობა და ბევრი აქამდეც სარგებლობს, ძირითადად ძალიან პრიმიტიულია. ვთქვათ, ერთ-ერთი ძირითადი, ეგრეთ წოდებული სქესობრივი ურიერთობის შეწყვეტა თესლის გადმოფრქვევის დაწყებამდე, მეთოდი რომელიც არ მოითხოვს არავითარ განათლებას, მაგრამ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ფესმძიმობის თავიდან აცილების მოტივაციის ძალაზეა დამოკიდებული და ჩვენ კვლავ მივდივართ კითხვამდე: რა ძალები წარმოშობენ შეზღუდვის **მოტივაციას**?

უპირატესად სტატისტიკისა და სტატისტიკური მეთოდების დარგის სპეციალისტთა მიერ ჩატარებული შობადობის ფაქტორთა გამოკვლევები ფაქტიურად ორიენტირებულნი იყვნენ ძირითადად იმ ობიექტური მიზეზების ძიებაზე, რომლებიც აიძულებდნენ ქალებს (ოჯახებს) შეეზღუდათ თავიანთი ბავშვების რიცხვი. ამასთან, მკვლევარები გამოდიოდნენ ქვეცნობიერი დაშვებიდან ქალთა რეპროდუქციული მოტივის „ბუნებრივი“ ხასიათიდან, ნებისმიერი ქალის „ბუნებრივი“ სურვილიდან ჰყავდეს ბევრი ბავშვი, რომელიც მხოლოდ ასეთი სურვილის დაკმაყოფილებისათვის საჭირო გარეშე პირობების უკმარისობით იზღუდება. მოგვიანებით გამოკვლევების ასეთმა ორიენტაციამ დაბრკოლებათა კონცეფციის (ანუ პარადიგმის) სახელწოდება მიიღო. ასეთი კონცეფციის თანახმად შობადობის გაზრდისათვის საჭირო იყო მხოლოდ გამოგვერკვია, თუ კონკრეტულად ცხოვრების რომელი პირობები უშლიან ხელს ხალხს (ქალებს) ბავშვთა დიდ რიცხვზე თავიანთი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში და სოციალური პოლიტიკის ღონისძიებათა მეშვეობით თავიდან აეცილებინათ ეს დაბრკოლებები. და მაშინ, ეგონათ, რომ შობადობა ავტომატურად გაიზრდებოდა განუსაზღვრელად მაღალ (სასურველ „ოპტიმალურ“) დონემდე. 1970-იანი წლების შეახანებისათვის ცხადი ხდება, მნიშვნელოვანწილად სწორედ ოჯახების მიერ ბავშვთა საუკეთესო და დაგეგმილი რიცხვების შესახებ აზრის გამოკითხვაზე დაფუძნებულ გამოკვლევათა შედეგებიდან, რომ ეს მთლად ასე არაა, რომ ოჯახების უმეტესობას საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა აქვს ბავშვების რიცხვზე, რომელიც მათ უნდათ, რომ ჰყავდეთ, და ეს რიცხვი სრულებით სასურველია და განსხვავდება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში. ბევრმა, განსაკუთრებით სსრკ-ს

ც.ს.ს.-ის ს.კ.ი.-ის დემოგრაფების მიერ ჩატარებულმა ყველაზე დიდმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ოჯახებში არა მარტო ბავშვების ფაქტიური რიცხვია კეთილდღეობის დონის უკუპროპორციული, არამედ სასურველი და მოსაღწევი (დაგეგმილი) საშუალოდ ოჯახის ცხოვრების მატერიალურ პირობებთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. ამ შედეგებმა აჩვენეს ცხოვრების პირობებსა და ოჯახში ბავშვთა რიცხვს შორის კავშირის კორელაციური გაზომვის უკმარისობა, რომელიც არ ითვალისწინებდა თავად ამ ბავშვების გამჩენ ადამიანს, ადამიანის ბავშვთაშობასთან დაკავშირებულ ფსიქოფიკური საქმიანობის მთელ ერთობლიობას. ასეთმა საქმიანობამ რეპროდუქციული ქცევის სახელწოდება მიიღო.

რეპროდუქციული ქცევა – არის ქორწინებაში ან ქორწინების გარეშე ნებისმიერი რიგითობის ბავშვის გაჩენასთან, ან გაჩენაზე უარის თქმასთან დაკავშირებული პიროვნების მოქმედების, ურთიერთობის და ფსიქიკური მდგომარეობის სისტემა¹. ტერმინი „რეპროდუქციული ქცევა“ ემოციურად ნეიტრალურია, არ შეიცავს შეფასებით ელფერს, ეკუთვნის ყველა ინდივიდსა და ქორწინებით წყვილს, არა მარტო მათ ვინც შეგნებულად გეგმავს თავისი ოჯახის ზომას, არამედ იმათაც ვისაც არ სურს ასეთი დაგეგმვა (გაუცნობიერებლად ან სრულებით შეგნებულად).

რეპროდუქციული ქცევა წარმოადგენს პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის (რომლის ერთ-ერთ სახეობასაც წარმოადგენს ოჯახი) საგნობრივად განსაზღვრულ უბანთან, კერძოდ კი ბავშვის გაჩენასთან (ან არგაჩენასთან) დაკავშირებული საერთო ქცევის ნაწილს. ეს ადამიანთა ცხოვრების საკმაოდ ვრცელი უბანია, რომელიც თითოეული ადამიანისგან დიდ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს (თავისი რეპროდუქციული სურვილების ზომის მიუხედავად).

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქცევა, რეპროდუქციული ქცევაც წარმოადგენს თავისი ფიზიკური და ფსიქიკური კომპონენტებით მთლიან რეაქციას გარე და შიგა სტიმულებზე, რომელიც მდგომარეობს არა მარტო გარედან გამოვლენილ მოქმედებებში, არამედ შინაგანშიც, აქტიურშიც, მაგრამ გარეგანად გაუმჟღავნებელ ფსიქიკურ აქტებსა და მდგომარეობებში (იმპულსების, განწყობების,

1., 1970. C. 8. : -
 . 3., 1991. C. 141-142;
 1995. C. 547-548; :, 1994. C. 384-386.

ფასეულობანი, ამ ფასეულობების შესაბამისი შვილიანობის სოციალური ნორმები. შინაგან სტიმულებს წარმოადგენენ პიროვნებისა და ოჯახის მოთხოვნილებანი ბავშვების რიცხვზე.

რეპროდუქციულ ქცევას გააჩნია სტრუქტურა, რომელიც შეიძლება წარმოვიდგიოთ ფსიქიკური კომპონენტების თანმიმდევრობის სახით: რეპროდუქციული მოთხოვნები, განწყობები,¹ მოტივები, ინტერესები, გეგმები, გადაწყვეტილებები, ქმედებები, მოქმედებათა შედეგები. რეპროდუქციული ქმედებების შედეგები შეიძლება იყოს არა მაინც და მაინც ბავშვების გაჩენა, არამედ ჩასახვის საწინააღმდეგო ღონისძიებანი და აბორტები. თუკი ჩვენ გვინდა გავლენა მოვახდინოთ რეპროდუქციული ქცევის შედეგებზე, მაშინ საჭიროა ვიმოდრაგოთ აღნიშნული ჯაჭვის მიხედვით მისი ბოლოდან დასაწყისისაკენ ისე, რომ გავლენა მოვახდინოთ რეპროდუქციულ მოთხოვნილებათა ფორმირებაზე მათი პიროვნული და საზოგადოებრივი მოთხოვნების ჰარმონიზაციის მიმართულებით. თუკი, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით როგორია ეს საზოგადოებრივი რეპროდუქციული მოთხოვნილებანი.

თუკი ქცევა (ნებისმიერი, მათ შორის რეპროდუქციულიც), ვითარდება თანამიმდევრულად მოთხოვნილებებისა და განწყობის ფორმირებიდან მოქმედებისა და შედეგებისაკენ, მაშინ ქცევის გამოკვლევა ხდება, ბუნებრივია, შებრუნებითი თანმიმდევრობით – ქცევისა და მოქმედებათა შედეგებიდან განწყობებისა და მოტივების გზით მოთხოვნებისაკენ. რეპროდუქციული განწყობის უმთავრეს გარეშე ინდიკატორებს წარმოადგენენ შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები: ბავშვების საშუალო იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი (დაგეგმილი) რიცხვი.

ბავშვების **საშუალო იდეალური** რიცხვი ახასიათებს რესპოდენტთა წარმოდგენას **საერთოდ** ოჯახში ბავშვის საუკეთესო რიცხვის შესახებ (ქვეყნის, ქალაქის, სოფლის, რუსულ და ა.შ. საშუალო ოჯახში). მაგრამ არა აუცილებლად **თავის** ოჯახში. სპეციალისტთა უმეტესობის აზრით ბავშვების საშუალო

1. განწყობა – რომელიმე ობიექტის მიმართ სუბიექტის გარკვეული აქტივობისა და მოქმედებისადმი მზაობა, განწყობილება (

., 1995. C. 844.) რეპროდუქციული განწყობა, ქცევის ფსიქიკური რეგულიატორია, ბავშვების განსაზღვრული რიცხვის გაჩენისადმი პიროვნების დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულებით განპირობებული სხვადასხვა ქმედებების შეთანხმებულობის განმსაზღვრელი მიდრეკილებაა. (

., 1994. C. 383-384.).

იდეალური რიცხვი ასახავს ხალხის წარმოდგენას შეილიერების სოციალურ ნორმებზე ცხოვრების პირობების¹ განსაზღვრულ გარემოებში. კითხვა ბავშვების იდეალური რიცხვის შესახებ ჩვენი დემოგრაფიის მიერ ნასესხებია ამერიკული გამოკვლევებიდან, სადაც იგი ანკეტებში ხშირად გამოიყენება შემდეგი რედაქციით: „როგორია თქვენი აზრით **საშუალო** ამერიკული ოჯახისათვის ბავშვების იდეალური რიცხვი?“ ამასთან, სიტყვა „საშუალო“ ანკეტაში ხაზგასმულია. ქალთა აზრის გამოკითხვის მეთოდის გამოყენებულ ერთ-ერთი პირველ უდიდეს სამამულო გამოკვლევაში (1969წ), კითხვა ბავშვის იდეალური რიცხვის შესახებ რესპოდენტებს ეძლეოდათ შემდეგი რედაქციით: „როგორ ფიქრობთ თქვენს ოჯახში რამდენი ბავშვის ყოლაა ყველაზე უკეთესი? შემდეგში მკვლევარებმა ერთსულოვნად თქვეს უარი, ამ შეკითხვაზე მისი მიზანშეწონილობის შესახებ თემაზე, განსაკუთრებული დისკუსიის გარეშე. ალბათ იგი ძალიან აბსტრაქტულად მასიური რესპოდენტებისათვის ნაკლებად გასაგებად, და ამიტომ ნაკლებად ინფორმაციულად ჩათვალეს. დასავლეთის ქვეყნებში რეპროდუქციული ქცევის გამოკვლევებში ეს კითხვა განაგრძობს პოპულარობით სარგებლობას. იქ, იგი განიხილება თითქმის როგორც სხვა მაჩვენებლის, ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვის, სინონიმი.

ბავშვების **საშუალო სასურველი** რიცხვი განიხილება როგორც მაჩვენებელი რომელიც ყველაზე ახლოს ახასიათებს ბავშვებზე ინდივიდუალურ მოთხოვნილებას (ბავშვების რიცხვს). კითხვა ბავშვების სასურველი რიცხვის შესახებ გულისხმობს რესპოდენტთა პიროვნული უპირატესობის გამოვლენას ბავშვების იმ რიცხვთან დაკავშირებით, რომელიც რესპოდენტს უნდოდა, რომ ჰყოლოდა თავის ოჯახში, თუკი არაფერი არ შეუშლიდა მას თავისი სურვილის შესრულებას. მკვლევარები ცდილობენ ეს კითხვა ისე ჩამოაყალიბონ, რომ მასში არ იყოს გადაკრული სიტყვა მის მიმართულებაზე ან გარემო პირობების დამოკიდებულებაზე. მაგალითად, ამერიკულ გამოკვლევებში ეს კითხვა ჩვეულებრივ ასეთი რედაქციით ეძლევათ: „თქვენ რომ შეგეძლოთ გყავდეთ ზუსტად იმდენი ბავშვი, რამდენიც გინდათ, რა რიცხვი იქნებოდა ეს?“ ზოგიერთ სამამულო გამოკვლევაში ეს შეკითხვა ასე უდერდა: „რამდენი ბავშვი გინდათ, რომ გყავდეთ ოჯახში, თუკი ამისათვის ყველა პირობები გექნებოდათ?“ ზოგიერთი მკვლევარი აკრიტიკებს ბავშვების სასურველი

1. გაურკვეველი რჩება თუ როგორ ესმით რესპოდენტებს „ყველაზე უკეთესი პირობები“ კითხვაში ბავშვის იდეალური რიცხვის შესახებ: როგორც იდეალური, საუკეთესო, თუ როგორც რეალურ გარემოებაში მაქსიმალურად შესაძლო, ყველაზე უკეთესი.

რიცხვის შესახებ კითხვის ასეთ რედაქციას. ისინი თვლიან, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრ ადამიანია, რომლებსაც არ შეუძლიათ არავითარ აბსტრაქციაში წამოიდგინონ ყველა პირობების ერთბაშად არსებობა, თითქოსდა ამიტომ თავიანთ წარმოდგენაში ამცირებენ თავიანთ პირობებში ბავშვების სასურველ რიცხვს, ორიენტაციას იღებენ ცხოვრების პირობების **რეალურად შესაძლო პირობებიდან ყველაზე უკეთესზე.**

დაბოლოს, ბავშვების **საშუალო მოსალოდნელი** (ან დაგეგმილი) რიცხვი, რომელიც ახასიათებს ხალხისა და ოჯახის რეპროდუქციული გეგმების რეალურ განზრახვებს მათი ცხოვრების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რეპროდუქციული გეგმების სხვა ცხოვრებისეულ გეგმებთან კონკურენციის გათვალისწინებით და ა.შ. კითხვა ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის შესახებ ჩვეულებრივ ასეთნაირადაა ხოლმე ფორმულირებული: „სულ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ თქვენ?“ „კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ თქვენ?“ „კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ?“ შობადობის ტენდენციების პროგნოზირებისათვის წინა ორ მაჩვენებელთან შედარებით ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის მაჩვენებელი სტატისტიკოს-დემოგრაფების მიერ განიხილება როგორც ყველაზე მეტი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სიდიდე. ალბათ ამიტომაც მიიღო მან ყველაზე მეტი უპირატესობა მათ მიერ ჩატარებულ შობადობის ფაქტორების გამოკვლევებში.

სხვა ინდიკატორს – ბავშვების სასურველ რიცხვს – ნაკლებად გაუმართლა. აქამდე მან ვერ დააინტერესა სტატისტიკოსები, მათ შორის განათლებით სტატისტიკოსი, მეცნიერ-დემოგრაფები. როგორც ჩანს ისინი მას არ ენდობიან. ამასთან ბავშვების სასურველ რიცხვს როგორც ბავშვების რიცხვზე პროგნოზებისა და ოჯახის მოთხოვნილების მაჩვენებელს აქვს, უკიდურეს შემთხვევაში იმაზე არანაკლები ფასეულობა შობადობის ტენდენციათა და რეპროდუქციული მოტივაციის ანალიზში, აგრეთვე შობადობის პროგნოზირების ინსტრუმენტის რანგში, ვიდრე ბავშვების მოსალოდნელ რიცხვს. კერძოდ, ჩვენი გამოკვლევების შედეგებით უკვე ცნობილია, რომ რეპროდუქციული განწყობები ადრეულ ასაკში ყალიბდება და შემდგომ ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე მცირედ იცვლებიან. ამიტომ ბავშვების სასურველი რაოდენობის საშუალო რიცხვი უფრო ნაკლებად ვიდრე ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის შესაბამისი მაჩვენებლები (სოციალური კონიუნქტურის ცვლილებებზე უფრო მგრძობიარე), განიცდიან რესპოდენტთა ასაკობრივი სტრუქტურის მადეფორმირებელ გავლენას და შესაბამისად უფრო ადეკვატურად ახასიათებენ ოჯახთა რეპროდუქციულ ქცევას, ვიდრე ვთქვათ

ფაქტიური შობადობის მაჩვენებლები. ამავე მიზეზით (ე.ი. ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე რეპროდუქციული მოთხოვნილებების ნაკლებად ცვალებადობა), ბავშვების სასურველი რაოდენობის საშუალო რიცხვის, ქალების უფროსი თაობიდან უმცროს თაობებზე გადასვლას აქვს პროგნოზული მნიშვნელობა, უჩვენებს ბავშვების რიცხვზე მოთხოვნილების მოსალოდნელ შემცირებას ახლო მომავალში (10-15 წლის შემდეგ), როცა ქალების ახლა უმცროსი თაობები იცოცხლებენ თავიანთ რეპროდუქციულ პერიოდს და მოახდენენ ბავშვთა რიცხვზე თავიანთ, განწყობებს (ჩვეულებრივ არასრულად) რეალიზებას.

დაბოლოს, ბავშვთა სასურველი რიცხვი უჩვენებს იმ ზღვარს, რომელამდეც შეიძლება ავამაღლოთ შობადობის დონე ჩვეულებრივი ეკონომიკური საშუალებებით, ოჯახთა სოციალური დახმარებებით: შემწეობების, შეღავათებისა და ა.შ. მეშვეობით. უბრალოდ რომ ვთქვათ, ადამიანები არასდროს არ გააჩენენ ბავშვების იმაზე მეტ რიცხვს ვიდრე თვითონ მათ უნდათ.

მაშინ როცა დემოსტატიკოსებმა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს რეპროდუქციული ქცევების შესწავლის მიმართულებით, შეჩერდნენ მის საზღვართან, წინსვლა განაგრძეს მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ხალხთმოსახლეობის შემსწავლელი ცენტრის ეკონომისტებმა და სოციოლოგებმა. 1976 წელს ამ ცენტრის თანამშრომლის პროფ. ანატოლი ივანეს ძე ანტონოვის ხელმძღვანელობით ჩატარდა ოჯახთა რეპროდუქციული ქცევის შემსწავლელი გამოკვლევა მოსკოვში და ვილნიუსში (ვილნიუსში გამოკვლევას ატარებდა უშუალოდ ლიტველი სოციოლოგი ვიტაუტას ბარშისი, იმ დროს ა.ი. ანტონოვის ასპირანტი). ორივე გამოკვლევა კიდევ იმით გამოირჩეოდა, რომ მასში ჩვენს დემოგრაფიაში პირველად ერთდროულად შეისწავლებოდა ორივე მეუღლის რეპროდუქციული განწყობები. გამოიკითხებოდა 212 ქორწინებით წყვილი. შედეგები მრავალმხრივ მოულოდნელი აღმოჩნდა. აქამდე უკვე ტარდებოდა გამოკითხვა, მაგრამ ერთი და იგივე ქორწინებითი ქმრებისა და ცოლების ერთდროული გამოკითხვა პირველად იქნა ჩატარებული (ჩვენს ქვეყანაში და ერთ-ერთი პირველი მსოფლიოშიც). ბავშვების რიცხვთან დაკავშირებით ქალებისა და ვაჟების გამოკითხვისას უპირატესობის მიმცემი საშუალო მაჩვენებლები სქესის მიხედვით მცირედ განსხვავდებიან (ბავშვების რიცხვები ვაჟების პასუხების მიხედვით საშუალოდ ჩვეულებრივ აღემატებიან ანალოგიურ რიცხვებს ქალების პასუხების მიხედვით, მაგრამ მცირედით). გამოკვლევაში, რომელმაც „ვილნიუს-76“-ის სახელწოდება მიიღო გამოვლინდა, რომ ქმრებისა და

რიცხვი ჯერ კიდევ მაინც მეტი იყო მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების ზღვარზე – 2,80, თუმცა საშუალო მოსალოდნელი მხოლოდ 2,08¹-ის ტოლი იყო.

აღნიშვნის ღირსია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის (რ.მ.ა.) სოციოლოგიის ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების მიერ ჩატარებული რეპროდუქციული ქცევის შემსწავლელი რამდენიმე გამოკვლევა. პირველი მათგანი 1983-1984 წლებში მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობითა შემუშავებული პროგრამით ჩატარდა, 1984 წელს იმავე პროგრამით ჩატარდა გამოკვლევები ქ. სარატოვში და ქ. უფაში. გამოიკითხებოდა ერთ ან ორ ბავშვიანი ცოლქმრული წყვილები, რომლებშიც ცოლის ასაკი 35 წელს არ აღემატებოდა. კვლავ გამოიკითხებოდნენ ერთდროულად ქმრები და ცოლები ცალ-ცალკე ანკეტებით. ქალთა ანკეტაში იყო 355 კითხვა, ვაჟთაში – 304.

სულ გამოკითხული იყო მოსკოვში 212 ცოლქმრული წყვილი, ქ. სარატოვში – 304 და ქ. უფაში – 373 (ცხრილი 5.15). სამივე ქალაქში ბავშვების რაოდენობის საშუალო სასურველი რიცხვი მეტი აღმოჩნდა ვიდრე იდეალური რიცხვი. უნდა ითქვას, რომ ამ მაჩვენებლებს შორის ასეთი სხვაობა აღმოჩნდა სხვა სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების მონაცემებითაც. ამ ფენომენის დამაკმაყოფილებელი ახსნა არც ერთ მკვლევარს ჯერ არ უცდია. შესაძლოა მისაღები იყოს ზემოთ გამოთქმული ვარაუდი, რომ რესპოდენტებს სიტყვა „იდეალური“ ესმით არა როგორც აბსოლუტურად საუკეთესო, არამედ როგორც დღევანდელ რეალურ პირობებში, შესაძლებლობიდან ყველაზე უკეთესი. ეს ნორმალური მეცნიერული პრობლემაა, რომელიც ჯერ კიდევ უნდა აიხსნას, გადაწყდეს.

სამწუხაროდ, უკვე 10 წელზე მეტია რეპროდუქციული ქცევის შემსწავლელი გამოკვლევები აღარ ტარდება, ყოველგვარი თეორიული მუშაობა ამ სფეროში ფაქტიურად შეწყდა, ცალკეულ მარტოხელა მეცნიერთა მცირე სპორადული² შრომების გარდა. ისღა დაგვრჩენია იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მეცნიერული შტილი³ – დროებითი მოვლენაა.

1. . . ., 1980. С. 161.

2. სპორადული (ბერძ. – sporadikos – გაფანტული) – რაც დროდადრო (აქა-იქ) იჩენს თავს; არამუდმივი, არასაყოველთაო. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბ., „განათლება“, 1973. გვ. 386.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

3. შტილი (ჰოლანდ. – stil) – წყნარი, უქარო ამინდი. იქვე გვ. 448.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

ცხრილი 5.15.

იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი ბავშვების საშუალო რიცხვი (რ.მ.ა.-ის სოციოლოგიის ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების მიერ 1984 წელს ჩატარებული მასალების მიხედვით)¹

ქალაქი	ბავშვების საშუალო რიცხვი					
	იდეალური		სასურველი		მოსალოდნელი	
	ქალები	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები	ვაჟები
მოსკოვი	2,25	2,37	2,32	2,59	1,74	1,91
სარატოვი	2,23	2,36	2,42	2,52	1,92	2,04
უფა	2,47	2,52	2,59	2,76	2,13	2,35

1.

., 1998. .7.

5.16. რეპროდუქციული ქცევის მახვენაბუბი მოსახლეობის აღწერეაში

ჩვენს ქვეყანაში რეპროდუქციული ქცევის შემსწავლელი ბევრი გამოკვლევა ჩატარდა, მაგრამ ყველა ისინი პატარა, ლოკალური, ქვეყნის მთელი ტერიტორიის, ან რომელიმე სოციალური ჯგუფის მოცვაზე პრეტენზიის არმქონენია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვან მიღწევად შიძლება ჩაითვალოს დიფერენციალური შობადობის და განსაკუთრებით რეპროდუქციული ქცევის შესწავლა მოსახლეობის აღწერებში. ამ მხრივ ჩვენმა მოსახლეობის აღწერებმა ბევრ სხვა ქვეყანას გაუწერს. ამ თვალსაზრისით პირველ ექსპერიმენტად შეიძლება ჩაითვალოს 1985 წელს სრულიად საკავშირო მიკროაღწერის პროგრამაში ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის შესახებ კითხვის ჩართვა. გამოკვლევის ბლანკის (ასე ერქვა სააღწერო ფურცელს), B განყოფილებაში „ცნობები დაბადებათა შესახებ“, იყო ერთი კითხვა (45 წლამდე ასაკში მყოფი გათხოვილი ქალებისადმი მიმართული) ასეთი რედაქციით: „სულ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ?“ სამწუხაროდ 1985 წლის მიკროაღწერის შედეგების დიდი ნაწილი ფაქტიურად გამოუქვეყნებელი დარჩა. სამეცნიერო მუშაობისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი მხოლოდ რამდენიმე სტატია და ცხრილი გამოქვეყნდა ჟურნალ „-ში („სტატისტიკის მოამბე“). სხვებთან ერთად გამოქვეყნდა, გამოკითხული ქალების მათი, ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის ეროვნებისა და განათლების დონეთა შესახებ პასუხების მიხედვით განაწილების შემცველი სამი ცხრილი.¹ ასაკთან შესამებით არავითარი განაწილება არ ყოფილა (ასაკობრივი სტრუქტურა ჯერ კიდევ სამხედრო საიდუმლოებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა). მთლიანად ბავშვების მოსალოდნელი საშუალო რიცხვი გათხოვილი რუსი ქალების პასუხების მიხედვით 1,95 ბავშვს შეადგენდა (ერთ ქალზე გაანგარიშებით) და ყველაზე დაბალი იყო სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკების სახელწოდებათა ერთსახელოვან (ე.წ. ტიტულარული ეროვნებებ²) სხვა ეროვნებებს შორის. მაგრამ მთავარი მაინც ის კი არ არაა, რომ რუსეთში შობადობის დონე ყველაზე დაბალი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში (უფრო დაბალი ვგონებ მხოლოდ ებრაელებს ჰქონდათ), არამედ ის, რომ იგი მნიშვნელოვნად დაბალი იყო მოსახლეობის მარტივი კვლავწამოებისათვის საჭირო

1. . . ., 1986. №9. .77-78.

2. : . . ., 1989. . 43.

ზღვარზე (შეგახსენებთ, რომ ამისათვის საჭიროა 2,6 ბავში საშუალოდ ერთ ქორწინებით წყვილზე). ქალაქელი გათხოვილი რუსის ქალების მოსალოდნელი ბავშვების საშუალო რიცხვი უდრის 1,86-ს, სოფლელ ქალებში – 2,27-ს. ამრიგად, სოფლის ქალებსაც (სოფლელებსაც კი!) რეპროდუქციული გეგმები უკვე 1985 წლისათვის მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების ზღვარზე მნიშვნელოვნად დაბალი ჰქონდათ. უფროსიდან უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში გადასვლისას ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი მცირდებოდა. ასე მაგალითად, 40-44 წლის სოფლელ რუს ქალებში მოსალოდნელი ბავშვების საშუალო რიცხვის 2,44 იყო, ხოლო 18-19 წლის ასაკობრივ ჯგუფებში – 2,08, ე.ი. 0,36 ბავშვით ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ უახლოეს მეოთხედ საუკუნეში შეიძლება ველოდეთ შობადობის ჯამური კოეფიციენტის კიდევ 0,4-ით შემცირებას (1985 წლის დონესთან შედარებით).

ბავშვების სავარაუდო რიცხვის შესახებ კითხვებმა თავისი ასახვა ჰპოვეს სრულიად რუსეთის 1994 წლის მოსახლეობის მიკროდწერაშიც. ამასთან პირველად ასეთ სოლიდურ, ქვეყნის მთელი ტერიტორიისათვის რეპრეზენტატიულ (წარმომადგენლობით) სტატისტიკურ გამოკვლევაში ერთდროულად გამოიყენებოდა კითხვები ბავშვების მოსალოდნელი და სასურველი რიცხვის შესახებ. ბავშვების მოსალოდნელ და სასურველ რიცხვს ეძღვნებოდა სააღწერო ფურცლის 6-ე განყოფილების შესაბამისად 26 და 27 კითხვები, შემდეგი რედაქციით: კითხვა 26 (ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის შესახებ): „რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ სულ (უკვე არსებულის ჩათვლით)?“ კითხვა 27 (ბავშვის სასურველი რიცხვის შესახებ): „სულ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ?“

სააღწერო ფურცელში 26 და 27 კითხვის თანმიმდევრობა სწორედ მიგვაჩნია (ე.ი. ჯერაა კითხვა ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის შესახებ, ხოლო შემდეგ კი – სასურველ რიცხვზე) ამით ვფიქრობთ სუსტდება შესაძლო კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის დაწოლა რესპოდენტის მოსაზრებაზე, მას უფრო უადვილდება გაგება, რომ საქმე ეხება იდეალურ სიტუაციას.

რუსეთში სასურველი ბავშვების საშუალო რიცხვმა 1,91 შეადგინა (საშუალოდ ერთ ქალზე გაანგარიშებით ქორწინებითი მდგომარეობის მიუხედავად), საშუალო მოსალოდნელმა – 1,77 (ცხრილი 5.16). ეს რიცხვები გვიჩვენებენ რუსეთის დემოგრაფიული კატასტროფის მასშტაბებს. ჯერ ერთი, რომც წარმოვიდგინოთ შეუძლებელი – რუსეთის მილიონობით ოჯახებისათვის ხელსაყრელი მატერიალური პირობების მყისიერი შექმნა – მაშინაც კი შობადობას შეეძლო გაზრდილიყო

მხოლოდ 0,15 ბავშვით (საშუალოდ 1 ქალზე გაანგარიშებით ქორწინებითი მდგომარეობის მიუხედავად) და მაინც დიდად ვერ მიუახლოვდებოდა საშუალო ნიშნულს 2,12. მეორეც, ბავშვების სასურველ და მოსალოდნელ რიცხვს შორის სხვაობა 0,15 ბავშვი გვიჩვენებს მოსახლეობის რეპროდუქციული მოთხოვნილებების რეალიზაციაზე გარე პირობების საკმაოდ მცირე გავლენას (ე.ი. ოჯახების უმეტესობას დღესაც ჰყავთ იმდენი ბავშვი რამდენიც უნდათ, სხვა საქმეა, რომ უნდათ ცოტა). მესამე ბავშვის სასურველ და მოსალოდნელ რიცხვებს შორის იგივე მცირე სხვაობა გვიჩვენებს შობადობის მხოლოდ 0,15 ბავშვით გაზრდაში ტრადიციული სოციალური პოლიტიკის ძალიან მცირე შესაძლებლობებს.

რეპროდუქციულ განწყობათა შემდგომი სავარაუდო ცვლილების პროგნოზირების მიზნით სასარგებლოა ბავშვების სასურველ და მოსალოდნელ საშუალო რიცხვებს შორის სხვაობის ქალების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ცხრილი 5.16

რუსეთის ქალების ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი
(სრულიად რუსეთის 1994 წლის მოსახლეობის მიკროაღწერის მონაცემებით)

ბავშვების სასურველი რიცხვი				ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი			
სულ 18-44 წლის ყოველ 1000 ქალზე	მათ შორის ასაკი (წელი)		სხვაობა ასაკობრივ ჯგუფებს შორის	სულ 18-44 წლის ყოველ 1000 ქალზე	მათ შორის ასაკი (წელი)		სხვაობა ასაკობრივ ჯგუფებს შორის
	20-24	35-39			20-24	35-39	
მთელი მოსახლეობა							
1913	1739	2018	279	1767	1468	1945	477
ქალაქის მოსახლეობა							
1816	1690	1897	207	1642	1398	1796	398
ქ. მოსკოვი							
1684	1622	1707	85	1474	1343	1553	210
სოფლის მოსახლეობა							
2229	1913	2400	487	2169	1714	2412	698

განხილვა. ამისათვის ცხრილში 5.16 გამოყოფილია ორი ასაკობრივი ჯგუფი: 20-24 წელი და 35-39 წელი (თანამედროვე რუსის ქალების მიერ პირველი და ბოლო ბავშვების გაჩენის წლები) და ნაჩვენებია მათ მაჩვენებლებს შორის სხვაობა. უფროსი თაობიდან უმცროსზე გადასვლისას რეპროდუქციულ განწყობათა სიდიდის შემცირება მიუთითებს უახლოეს 10-15 წელიწადში შობადობის შემდგომ სავარაუდო შემცირებაზე, იმის კვალობაზე, რაც დაბალი რეპროდუქციული ასაკის ქალები მოახდენენ თავიანთი რეპროდუქციული გეგმების რეალიზებას (ძირითადად 20-დან 35 წლამდე ასაკები).

ქალების, უფროსიდან უმცროს თაობაზე გადასვლისას შემცირების ანალოგიური კანონზომიერება შეიძლება აღინიშნოს ბავშვების მოსალოდნელი საშუალო რიცხვის მიმართაც. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თაობათა შორის ბავშვების მოსალოდნელი რიცხვების სხვაობები მნიშვნელოვნად მეტია ბავშვების სასურველ რიცხვებთან შედარებით. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შობადობის შემცირება მოხდება სასურველი შობადობის გადავადების (ან უარის თქმის) ხარჯზე, თუმცა მოთხოვნილება ბავშვების რიცხვშიც ასევე შემცირდება.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მაჩვენებელთა შედარება გვიჩვენებს უახლოეს დროში შობადობის უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს სოფლის მოსახლეობაში ვიდრე ქალაქისაში. ქალაქის მოსახლეობაში ბავშვების სასურველი რიცხვი შემცირდება დაახლოებით 0,21 ბავშვით (მოსკოვში – 0,9-ით), სოფლის მოსახლეობაში კი – 0,49 ბავშვით. მოსალოდნელი რიცხვების სხვაობა კიდევ უფრო მეტია ქალაქის მოსახლეობაში – 0,40, მოსკოვში – 0,21, სოფლის მოსახლეობაში – 0,70 ბავშვი, ბუნებრივია თუკი რუსის ქალების განწყობები და გეგმები არ შეიცვლება (ხოლო შეცვლა მათ ნებისმიერ მიმარულებით შეუძლიათ ქვეყანაში ცხოვრების პირობების ცვლილებებისა და დემოგრაფიული პოლიტიკის აქტიურობაზე დამოკიდებულების მიხედვით)¹.

ამრიგად, ბავშვების სასურველი რაოდენობის საშუალო რიცხვი ძალიან

1. ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო რუსეთის სტატსახკომმა არ გამოაქვეყნა 1994 წლის მიკროდწერის მონაცემები ბავშვების სასურველ რიცხვთან დაკავშირებით. მაგრამ ამ მონაცემების ნაწილი გამოქვეყნებულია ჩემს მიერ სტატიაში: „

1994 “ //

18.

.., 1997. №2. С.

29-64. სწორედ იქედანაა აქ მოტანილი მონაცემები ბავშვების სასურველი რიცხვის შესახებ.

მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: ახასიათებს მცირეშვილიანობის პრობლემის სიმწვავესა და სიღრმეს და იმავდროულად შობადობის გაზრდაში ტრადიციული **სოციალური** პოლიტიკის შესაძლებლობებს. სწორედ ამიტომ რეპროდუქციული განწყობის ორივე დასახელებულ ინდიკატორს დამოუკიდებელი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ, არ შეუძლიათ ერთი ერთმანეთის შეცვლა, შეადგენენ დიალექტიკურ ერთიანობას და ამიტომ გამოკითხვაში აუცილებლად ერთობლივად უნდა იქნენ გამოყენებულნი.

5.17. დემოგრაფიული გადასვლის თეორია და დიფერენცირებული შობადობის ინტერპრეტაცია

დემოგრაფიაში დემოგრაფიული გადასვლის თეორია (ანუ კონცეფცია) გამოიყენება დემოგრაფიული პროცესების ევოლუციის აღწერისათვის, საზოგადოების ევოლუციის შედეგად მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპების ცვლის ისტორიული თანმიმდევრულობის დახასიათებისათვის. ამ კონცეფციის თანახმად ყველა ქვეყანა და ხალხი თავიანთი დემოგრაფიული ისტორიის გზაზე ერთი და იგივე ეტაპებს გადის, რომელთაგანაც თითოეულს მოსახლეობის კვლავწარმოების გარკვეული ტიპი (რეჟიმი) შეესაბამება.

დემოგრაფიული გადასვლის დაწყებამდე მოსახლეობის კვლავწარმოება ხასიათდება მოკვდაობისა და შობადობის მაღალი დონეებით (ნახ. 5.2). შობადობა ძლივს აღემატება მოკვდაობას, ბუნებრივი მატემატიკა ძალიან დაბალია ან სულ არაა, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში შეიძლება უარყოფითიც ყოფილიყო. მოსახლეობის კვლავწარმოების ასეთი ტიპები, რომელსაც ეწოდება **პრიმიტიული** (საზოგადოების მხრიდან მოკვდაობის დონეზე ძალიან სუსტი ზეგავლენის გამო), ანუ ექსტენსიური, არსებობდა კაცობრიობის ისტორიის უმეტეს პერიოდში (ევროპაში XVII საუკუნის შუა ხანებამდე, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ განვითარებად ქვეყნებში უკანასკნელ ხანებამდე). მოკვდაობის

მაღალი დონე იყო მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების პირობების, მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის სუსტი განვითარებისა და მოსახლეობის დაბალი სანიტარული კულტურის შედეგი. რომ გადარჩენილიყვნენ საზოგადოებები ათწლეულების განმავლობაში იმუშავებდნენ მაქსიმალურად მაღალი შობადობის წახალისების სოციალურ ნორმებს. ეს ნორმები პირდაპირ და ირიბად მოქმედებდნენ, კანონების, რელიგიური მითითებების, ხალხური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების ფორმით. ასეთია გადასვლის **პირველი ფაზა**.

ინდუსტრიისა და მედიცინის განვითარებით მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კვალობაზე იწყება მოკვდაობის დონის შემცირება. მაგრამ შობადობის დონე გარკვეული ხნის განმავლობაში იგივე რჩება, როგორც გადასვლის დაწყებამდე, ან იმატებს კიდევ დაქვრივების დონის შემცირების, ქორწინების დონის ზრდისა და ქორწინებაში ცხოვრების ვადის გახანგრძლივების შედეგად. წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს დიდი ინერციულობა ახასიათებთ, ნელა იცვლებიან, მათ შორის ისინიც, რომლებიც არეგულირებენ ოჯახურ ცხოვრებასა და შობადობას. ამიტომ დემოგრაფიული გადასვლის **მეორე ფაზა** ხასიათდება მოკვდაობის დონისა და ტრადიციულად მაღალი (როგორც გადასვლის დაწყებამდე ფაზაში) ან მზარდი შობადობის შემცირებით. ამასთან, ბუნებრივი მატება ზოგჯერ იმ ზომამდე იზრებოდა, რომელმაც ლიტერიატურის გარკვეულ ნაწილში „დემოგრაფიული აფეთქების“ (ზოგიერთი ჟურნალისტისა და სენსაციის სხვა მოყვარულების საყვარელი არამეცნიერული სიტყვათშეთანხმება) სახელწოდება მიიღო.

გადასვლის **მესამე ფაზა** ხასიათდება შობადობის დონის შემცირებით, მაშინ როცა მოკვდაობის დონის შემცირება ნელდება ნულოვან ნიშნულამდე მიახლოებით (რომლის მიღწევა მას არასდროს არ შეუძლია). შესაბამისად მცირდება ბუნებრივი მატებაც და უახლოვდება ნულოვან ზღვარს (რომელსაც მოკვდაობისაგან განსხვავებით მან შეიძლება მიაღწიოს და გადაკვეთოს კიდევ).

დაბოლოს, **მეოთხე ფაზა** (გადასვლის შემდომი) ხასიათდება შობადობისა და მოკვდაობის ერთმანეთთან ახლოს მყოფი ან ერთმანეთის ტოლ დაბალ დონეზე სტაბილიზირებით, აქედან – მოსახლეობის ზრდის შეჩერებით (ბევრი დასავლელი მეცნიერის ოცნება – მოსახლეობის ნულოვანი მატება ყველა ეკონომიკური და პოლიტიკური უსიამოვნების პანაცეაა). სხვა მეცნიერთა აზრით კი (რომლებსაც მიეკუთვნება ავტორიც), დემოგრაფიული გადასვლის „დამასრულებელი“ ეტაპი ხასიათდება შობადობის შემცირების გაგრძელებით, მოსახლეობის ასაკობრივი

სტრუქტურის დაბერების შედეგად მოკვდაობის კოეფიციენტის ზრდით, უარყოფითი ბუნებრივი მატებით, ე.ი. დეპოპულაციით.

ზოგიერთი მეცნიერი ამჯობინებს ტერმინ „დემოგრაფიული გადასვლის“ ნაცვლად გამოიყენოს ტერმინი „დემოგრაფიული რევოლუცია“ და ამით ხაზს უსვამენ დემოგრაფიული განვითარების სინარჩარის დარღვევას, თვისებრივ ნახტომს მოსახლეობის კვლავწარმოების ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლისას.

დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია პირველად დამუშავებულ იქნა არა დემოგრაფის, არამედ შვეიცარიელი კრიმინოლოგის, პოლონეთის მკვიდრის, ჟენევის უნივერსიტეტის სამართლის დოცენტის ლეონ რაბინოვიჩის წიგნში „მოსახლეობის პრობლემა საფრანგეთში: მოსახლეობის სოციოლოგიის ნარკვევი“ (პარიზი 1929). სწორედ მან გამოიყენა პირველად „დემოგრაფიული გადასვლის“ ცნება (სხვათაშორის „დემოგრაფიული რევოლუციაც“ ასევე) და შემოგვთავაზა დემოგრაფიული ევოლუციის ანალიზის ორიგინალური კონცეფცია. გამოდიოდა რა კ. მარქსის თეზისიდან, რომ წარმოების ყოველი წესისათვის დამახასიათებელია თავისი მოსახლეობის განსაკუთრებული, კანონები, ლ. რაბინოვიჩმა დიდ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით გააანალიზა წარმოების წესის ცვლის კვალობაზე მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპების ცვლის თანმიმდევრობა. სამრეწველო რევოლუციის შემდგომ, როგორც მისი შედეგი, ხდება დემოგრაფიული რევოლუციაც, რომელიც ვლინდება მოკვდაობის შემცირებაში, ურბანიზაციის ზრდაში, მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობების შობადობის შემცირების მიმართულებით ცვლილებაში. ეს პროცესი ლ. რაბინოვიჩის აზრით არის უნივერსალური მთელი ინდუსტრიული სამყაროსათვის და არა მხოლოდ საფრანგეთისათვის. თუკი ის გაგრძელდება, მაშინ ბოლოს და ბოლოს ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობათა ზრდა სრულიად შეწყდება, დადგება დემოგრაფიული რეგრესის სტადია, დეპოპულაცია. საინტერესოა, რომ წიგნის გამოქვეყნებისას ლ. რაბინოვიჩი მხოლოდ 23 წლის (მაგრამ ის უკვე დოცენტი, მეორე მონოგრაფიისა და სამეცნიერო ჟურნალებში მთელი რიგი სტატიების ავტორი) იყო.¹

1. ლეონ რაბინოვიჩის წიგნის ბედი შეიძლება ითქვას ტრაგიკული აღმოჩნდა. მხოლოდ სამეცნიერო თანამეგობრობისათვის 430 გვერდიანმა წიგნმა სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა. მას ყურადღება არ მიაქცევს არც ლ. რაბინოვიჩის თანამოკალმეებმა – კრიმინოლოგებმა (ეს გასაგებიცაა – მათთვის საინტერესო არ იყო თემა), არც დემოგრაფებმა (გაუგებარია – რატომ. წიგნი სრულიად იყო თავისი დროის მწვერვალზე). დემოგრაფიული რევოლუციის თეორიის დამფუძნებლად და თავად ტერმინის ავტორად აქამდე ითვლებოდა ფრანგი მეცნიერი ადოლფ ლანდრი,

დემოგრაფიული გადასვლის (დემოგრაფიული რევოლუციის) თეორიის დამუშავებაში ლ. რაბინოვიჩის შემდეგ ბევრმა მეცნიერმა შეიტანა წვლილი: ამერიკელებმა უორენ ტომპსონმა (1930), კინგსლი დევისმა (1949), ფრანგმა ადოლფ ლანდრიმ (1934, 1945), ინგლისელმა კორადო ბეკერმა (1947), პოლანდიელმა ღირკ ვან დე კაამ (1987) და სხვებმა. თითოეულ მეცნიერს შეჰქონდა თავისი გაგება. ამიტომ იგი უფრო სხვადასხვა კონცეფციების კონგლომერატს წარმოადგენს, ვიდრე ერთ მთლიან კონცეფციას. ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული რევოლუციის (გადასვლის) ორიგინალური ვერსია განავითარა ა.გ. ვიშნევსკიმ (1976).

დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია გვაიძულებს შევცვალოთ შობადობის სოციალური დიფერენციაციის ინტერპრეტაცია. ტრადიციული სტატისტიკური მიდგომისას შობადობის დონის ცხოვრების პირობებისაგან კორელაციური დამოკიდებულება გაგებულა როგორც მუდმივი და უცვლელი.

გაგრძელება წინა გვერდიდან
რომელიც 1934 წელს გამოაქვეყნა წიგნი სათაურით „დემოგრაფიული რევოლუცია“. მხოლოდ 1984 წელს ჩეხოსლოვაკელმა მეკლევარმა ქალმა, დემოგრაფიის ისტორიკოსმა აღენა შუბრტოვამ ჟურნალ „დემოგრაფ“-ში გამოქვეყნებულ რევოლუციის თეორიის გაჩენისადმი მიძღვნილ სტატიაში აღადგინა ყურადღება ლ. რაბინოვიჩის სახელის და მისი წიგნისადმი, და აგრეთვე ამერიკელი დემოგრაფის უორენ ტომპსონის წიგნისადმი (Tompson W.S. Population Problems. NY, 1930), რომელიც ასევე ა. ლანდრიზე ადრე 1930 წელს აანალიზებდა დემოგრაფიული გადასვლის ეტაპებსა და ფაქტორებს, თუმცა თავად ამ ტერმინს არ იყენებდა. ა. შუბრტოვას სტატიის წაკითხვის შემდეგ მე დავინტერესდი ლ. რაბინოვიჩის ბედით, რომლის სახელიც ა. შუბრტოვას სიტყვებით სამეცნიერო პუბლიკაციებში აღარ მოიხსენიებოდა 1934 წლის შემდეგ (როცა იგი მხოლოდ 28 წლის იყო და ცნობილი მეცნიერი იყო კრიმინოლოგთა შორის). ჩავთვალე, რომ ასეთი ცნობილი მეცნიერები უკვალოდ არ ქრებიან, მე დავიწყე ძებნა და დავადგინე, რომ 1934 წელს ლ. რაბინოვიჩმა შეიცვალა გვარი და გახდა რადზინოვიჩი. ამ სახელით მან ბევრი ნაშრომი დაწერა კრიმინოლოგიაში. გაიკეთა გამაყრუებელი კარიერა და ცნობილი იყო კრიმინოლოგიის სამყაროში. უფრო მეტიც, მე ბედმა გამიღიმა 1986 წელს მოვძებნე თავად იგი, რომელიც ა.შ.შ-ში ცხოვრობდა და დავამყარე მასთან მიწერ-მოწერა. მე ვცდილობდი გამომერკვია, ასე ვთქვათ პირველ წყაროდან, რატომ ხვდა ასეთი ბედი მის საინტერესო წიგნს, მაგრამ როგორც ჩანს მე დავიგვიანე. შეიძლება ბატონმა ლეონმა თვითონ უკვე დაივიწყა მოსახლეობის ზრდის პრობლემების შესახებ მისი ერთადერთი წიგნის უცნობლობის გარემოებანი, მაგრამ შეიძლება თვითონაც არ უნდოდა მათი გახსენება. ჩვენი მიმოწერა შეწყდა, რაიმეს გაგება მე ვერ შევძელი. 1986 წლის აგვისტოში ლ. რაბინოვიჩ-რადზინოვიჩს შეუსრულდა 90 წელი (იხ. Subrtova A. Teorie demografick revoluce: Pispvek ke genizi // Demografie, Praha, 1984, №3.s. 193-200. . .

//

.., 1986, №3. C. 209-213. . .

//

. ., 1994. C. 117.)

დემოგრაფილი გადასვლის კონცეფცია გადასვლის ფაზისაგან დამოკიდებულებით, ამ დამოკიდებულებას ხსნის როგორც დინამიკურს, ცვალებადს. გადასვლის დაწყებამდე პირველ ფაზაში სიდიდის მიხედვით არა მარტო შობადობისა და მოკვდაობის დონეებია ერთმანეთთან ახლოს, არამედ ოჯახების ბავშვების რიცხვის მიხედვით დიფერენციაციასაც მინიმალური და უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს, ვიდრე სისტემატიური. ძველ და შუა საუკუნეებში დაავადებათა და მოკვდაობის სტრუქტურაში მთავარ როლს თამაშობდნენ ეპიდემიები, რომლებიც განურჩევლად ამარცხებდნენ ყველას, მდიდრებსა და ღარიბებს, დიდებულებსა და უთვისტომოებს. ამიტომ ბავშვების რიცხვის მიხედვით დიფერენციაცია არ შეიძლებოდა დიდი ყოფილიყო.

მოკვდაობის დონის შემცირება იწყება საზოგადოების უმაღლესი და განათლებული კლასებიდან. როგორც უკვე ითქვა, შედეგად იზრდება მოსახლეობის ბუნებრივი მატება. მაგრამ ეს ბავშვების მეტი რაოდენობის გადარჩენასაც ნიშნავს, და მაშინ იზრდება ოჯახების ბავშვების რიცხვის მიხედვით დიფერენციაცია.

შედარებით უფრო გვიან სტადიაზე, როცა შობადობა და მოკვდაობა კვლავ უახლოვდება ერთმანეთს (მაგრამ ახლა დაბალ დონეზე), ბუნებრივი მატება ნულს უახლოვდება, ბავშვების რიცხვის მიხედვით ოჯახების დიფერენციაცია ასევე უახლოვდება გაქრობის დონეს, და ამავდროულად იძენს შემთხვევით ხასიათს (ე.ი. აკადემიკოსიც და ღურგალიც თანაბარი ალბათობით შეიძლება იყვნენ როგორც ერთშილიანი ასევე მრავალშილიანებიც). უკვე დღეს, მაგალითად, მოსკოვის და მოსკოვის ოლქის სოფლის ადგილებს შორის არაა დიდი განსხვავება ბავშვების სასურველი რაოდენობის რიცხვებს შორის (1994 წლის მიკროაღწერის მონაცემებით შესაბამისად 1,68 და 1,81 ერთ ქალზე გაანგარიშებით, ქორწინებითი მდგომარეობის მიუხედავად). აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ მსხვილ ქალაქებში მცირეშილიანი ეროვნებების მოსახლეობის სიჭარბისას (რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები, თათრები, ბალტიისპირეთის ხალხები და სხვა) დიფერენცირებული შობადობის შესწავლას უკვე აზრი აღარა აქვს. ყველას ძირითადად თითო ბავშვი ჰყავთ, თუმცა ცხოვრების პირობების პარამეტრების დიფერენციაცია მნიშვნელოვანი რჩება.

5.18. ოჯახთა მცირეშვილიანობის მასობრივად ბავშვების ისტორიული მიზეზები

ჩვენს ქვეყანაში და ბევრ სხვა ქვეყანაში ამ დროისათვის ჩატარებული რეპროდუქციული ქცევის მრავალრიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა გარკვეული კონცეფციები, რომლებიც გვიხსნიან მცირეშვილიანობის მიზეზებს. ეს მიზეზები განპირობებულია ოჯახის ფუნქციების ცვლილებებითა და ოჯახში ბავშვების როლის ცვლილებით.

წარსულ აგრარულ საზოგადოებაში ოჯახი მწარმოებლური უჯრედი იყო, ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობები მნიშვნელოვან წილად მწარმოებლური ფაქტორებით განისაზღვრებოდა. ბავშვებს მშობლებისათვის მნიშვნელოვანი პქონდათ როგორც მუშაკებს, დამხმარეებს მეურნეობაში, მის მემკვიდრეებს, მეურნეობის მემარ-დამცველებს. ბავშვების დიდი რიცხვი ხელს უწყობდა ოჯახის (გვარის, ტომის) კეთილდღეობას, თემში მშობლების ავტორიტეტის ზრდას. ამის გარდა ოჯახი მნიშვნელოვან საშუაშაველო როლს ასრულებდა მის წევრებსა და საზოგადოებას შორის.

XVIII საუკუნეში სამრეწველო რევოლუციის შემდეგ ინდუსტრიალიზაციის განვითარების კვალობაზე ყველა ზემოთ დასახელებული როლი თანდათანობით გადადის ოჯახიდან სხვა სოციალურ ინსტიტუტებში. ხდება ოჯახური და ოჯახის გარეთა ინტერესების და სოცოცხლის უზრუნველყოფი საშუალებების პოლარიზაცია. თანდათანობით მშობლებისთვის ბავშვების სარგებლობა 1-2-მდე ეცემა. ეს ის ოპტიშუმია, რომელიც მშობლებს საშუალებას აძლევს შეახამონ მშობლობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან (შრომაში ხელფასის მიღების მიზნით, სოციალურ წინსვლაში, დასვენებაში და ა. შ. ყველაფერი ძირითადად – ოჯახის გარეთ). ბავშვები თანდათანობით კარგავენ თავიანთ ეკონომიკურ სარგებლობას და ძირითადად იწყებენ მშობლების მხოლოდ ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რისთვისაც ხშირ შემთხვევაში როგორც ჩანს სწორედ 1-2 ბავშვია საკმარისი.

შემდეგ წარმოიშობა წინააღმდეგობები ოჯახისა და საზოგადოების რეპროდუქციულ ინტერესებს შორის. საზოგადოებას არ შეუძლია ხანგრძლივად იარსებოს (ფიზიკურად) სამი და მეტ ბავშვიანი ოჯახების საკმაოდ დიდი ხვედრითი წილის გარეშე, მაშინ როცა ოჯახის უმეტესობას მათ ასეთ რიცხვზე უკვე აღარა აქვს მოთხოვნილება. ამ წინააღმდეგობის გადასალახავად არაა საკამრისი მხოლოდ

ოჯახის „სოციალური მხარდაჭერა“, ცალკეული ოჯახებისთვის ეკონომიკური დახმარებით: შემწეობები, შეღავათები და ა.შ. ამ ღონისძიებებს შეუძლიათ მხოლოდ ოჯახში ბავშვების სასურველი რიცხვის დონემდე გაზარდონ შობადობა, მაგრამ თუკი ბავშვების ეს სასურველი რიცხვი შემცირდა იქამდე, რომ ვერ აღწევს მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭირო ბავშვების რიცხვს (როგორც ეს უკვე მოხდა რუსეთში), მაშინ მხარდაჭერის მარტო ეკონომიკური ღონისძიებები არასაკმარისი ხდება. საჭიროა ისე შეიცვალოს მთელი კულტურა, მთელი ცხოვრების წესი, რომ მშობლებისთვის ბავშვების სარგებლიანობა რაოდენობრივ ასპექტში საზოგადოებრივად აუცილებელ დონემდე გაიზარდოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაემთხვევა ოჯახისა და საზოგადოების რეპროდუქციული ინტერესები.

დემოგრაფიული გადასვლის თეორიის შუქზე სხვაგვარად გამოიყურება ცხოვრების პირობებსა და შობადობას შორის უკუკავშირის ყბადაღებული „პარადოქსი“. რა თქმა უნდა არავითარი პარადოქსი აქ არაა. ცხოვრების კარგ პირობებს თავის თავად არ შეუძლიათ დათრგუნონ მოთხოვნილება ბავშვების რიცხვზე. ჩვენ აქ არ გვალატობს „ჯანსაღი ხალხური ინსტიქტი“. მაგრამ ინდუსტრიული ცივილიზაციის ახალ ფასეულებათა სისტემაში, რომელიც მრეწველობის განვითარებისა და ცხოვრების წესის ყველა მხარის უნივერსალური ინდუსტრიალიზაციის გარდაუვალ შედეგს წარმოადენს, რომლის დროსაც სულ უფრო მეტ სოციალურ ფასეულებებს ოჯახის გარე ხასიათი აქვთ, ფუნქციონირებენ ოჯახის გარეთ და მის გარეშე, როცა შემოსავლების, განათლების დონის ზრდა, სოციალური ამბღლება და პრესტიჟი მთლიანად – ცხოვრების ყველა მხარის გაუმჯობესება – წარმოადგენს ოჯახის გარეთ საქმიანობაში სულ უფრო მეტი მონაწილების შედეგს, საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც აგრეთვე სულ უფრო მეტად ხორციელდება ოჯახის გარე სფეროში.

შობადობის და ცხოვრების პირობებს შორის შებრუნებითი კორელაცია სტატისტიკურად ასახავს სხვადასხვა სოციალური კუთვნილების ოჯახების ახალი ინდუსტრიული ცივილიზაციის ფასეულობებზე უთანაბრო გადასვლას. თავდაპირველად ახალ სოციალურ ფასეულობებზე და ნორმებზე (მათ შორის შეილიანობის ნორმებზე) გადადიან ყველაზე განათლებული და რაც მთავარია ცხოვრების სასოფლო სამეურნეო ყაიდასთან კავშირის სხვა სოციალურ ჯგუფებზე უფრო ადრე დამკარგავი ინტელიგენციის ფენა. შედეგად წარმოიშობა მნიშვნელოვანი დიფერენციაცია შობადობაში (უფრო ზუსტად ბავშვების რიცხვში).

შემდეგ მცირეშვილიანობის ნორმებს ითვისებს მუშათა კლასი, ასევე სათავეში მდგომი მისი შედარებით მაღალანაზღაურებადი და განათლებული ნაწილით დაწყებული. დაბოლოს, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო-სოფლის ურბანიზაციის კვალობაზე (ყბადღებული „ქალაქისა და სოფლის დაახლოება“) მცირეშვილიანობის ნორმები კანონზომიერად ვრცელდება გლეხებს შორისაც. შობადობა კვლავ ნიველირდება, მაგრამ უკვე მინიმალურ დონეზე (მინი-შობადობა-ბ.ც. ურლანისის გამოთქმით).

5.19 რუსეთის საზოგადოების მასობრივი მცირეშვილიანობის ხანგრძლივად შენარჩუნების დემოგრაფიული და სოციალური შედეგები.

კაცმა რომ თქვას, თუკი მცირეშვილიანობის დემოგრაფიული შედეგები საკმაოდ გამჭვირვალეა, სამაგიეროდ მისი სხვა სოციალური შედეგები ჩვენს საზოგადოებათმცოდნეობაში არასოდეს არავის არ გაუთვლია და არც კი განუხილავს. ასეთი პერსპექტივა დიდი ხნის განმავლობაში სრულიად შეუძლებლად ითვლებოდა. ამიტომ დეპოპულაციის დაწყება უღრუბლო ზაფხულში თოვლიანი ქარიშხლის მოსვლას ჰგავდა.

შევეცადოთ წარმოვიდგინოთ რუსეთის საზოგადოების მცირეშვილიანობის შესაძლო შედეგები.

1. შემდეგში შობადობა რომც აღარ შემცირდეს, რაც საეჭვოა რომ სერიოზულად ვივარაუდოთ, ქვეყანაში ამჟამად არსებული დემოგრაფიული განათლების პირობებში და რუსეთის ერის გადაშენებისაგან გადარჩენის საზოგადოებრივი მოძრაობის არ არსებობის პირობებში, დეპოპულაცია გაგრძელდება განუსაზღვრელად დიდ ხანს (თუ რამდენ ხანს – შეიძლება დათვლა), შეიძლება რუსეთის პოლიტიკური რუქიდან სრულ გაქრობამდეც კი. მაგრამ ქვეყნის დაღუპვა შეიძლება ადრეც მოხდეს, როცა მოსახლეობის რაოდენობა იმდენად

შემცირდება, რომ იგი დასუსტდება და ვინმე დიდი მეზობელი მას თავისთან მიიერთებს.

ამას უნდა დაემატოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ძლიერი დაბერება, რომელიც გარდაუვლად თან სდევს დეპოპულაციას და ურთიერთმოქმედებს მასთან. რა თქმა უნდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის განსაზღვრულ ეტაპზე დაბერება მაინც ხდება, მაგრამ შობადობისა და მოკვდაობის თანაფარდობის დამოკიდებულების მიხედვით საუბარი შეიძლება იყოს მოსახლეობის დაბერების სხვადასხვა მასშტაბებსა და ტემპებზე.

2. შესაბამისად ქვეყანაში მოხდება ერთობლივი სამუშაო ძალის დაბერებაც. უკვე განიხილება კანონპროექტი ვაუებისა და ქალების პენსიაზე გასვლის ასაკის 5 წლით გაზრდის შესახებ. კანონპროექტის ავტორთა შენიშვნებისა და დამამშვიდებელი მტკიცებების მიუხედავად შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ ჩვენს საზოგადოებაში პიროვნების ადამიანური პატივისცემის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა და ჩვეულებების არ არსებობისას, სიცოცხლის ხანგრძლივობის შეფარდებითი სიმცირისას, ხალხის, შესაძლოა მოსახლეობის უმეტესობისათვის, ცუდი ჯანმრთელობისას საშინლად დაბალი ხელფასის პირობებში, რომლებიც საშუალებას არ აძლევენ მოქალაქეთა უმრავლესობას საკმარისი სახსრები ჩადონ თავიანთ ჯანმრთელობაში და ა.შ., ასეთ ახალშემოდებული წესის შედეგებს დემოგრაფიული კატასტროფის მხოლოდ გართულება შეუძლია.

3. დაბალ შობადობასა და შედარებით მაღალ მოკვდაობას, თაობათა შევიწროვებულ განახლებასა და მათ თვისებრივ გაუარესებას შეუძლია მიგვიყვანოს შრომითი რესურსებისა და სამხედრო-წვემამდელთა კონტინგენტის კვლავწარმოების პრობლემების გამწვავებამდე. ეს ყველა დღევანდელი პრობლემაა, თუმცა ბევრი ვერ ხვდება ამ პრობლემის დემოგრაფიულ წარმომავლობას. ეს არა მარტო ჩვენი ქვეყნის პრობლემაა, არამედ სხვა დაბალშობადობიანი ქვეყნებისაც, ამასთან, მნიშვნელოვნად უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერების დონის მქონე ქვეყნებისა და ვიდრე ჩვენი ქვეყანაა. თავის დროზე ჩვენი დემოგრაფიული მომავლის საკითხებზე დისკუსიებში ზოგიერთი პოლიტეკონომისტიც ამტკიცებდა, თითქმის მცირეშვილიანობა შეიძლება კომპენსირებულ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდითა და სამუშაო ძალაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შემცირებით. აი ასე, დიდი ბრიტანეთიც, გერმანიაც, საფრანგეთიც და სკანდინავიის ქვეყნებიც, რომ აღარაფერი ვთქვათ ა.შ.შ-ზე, იძულებულნი არიან

მიიზიდონ უცხოური სამუშაო ძალა ე.წ. „გასტარბაიტერები“ მკვიდრი მუშაკების უკმარისობის კომპენსაციისათვის. შემდეგ ამ ქვეყნებში მწვავედ დადამნგრეველ შედეგებიანი, სერიოზულ კონფლიქტებამდე მისული, ეროვნებათშორისი ურთიერთობები.

ბევრ ქვეყნებში (ჩვენსაშიც) „მოდური“ ხდება ქალების სამხედრო სამსახურში გაწვევა, ამასთან არა მარტო მომსახურების ნაწილებში, არამედ სამწყობრო, ქვეით და სხვა ნაწილებშიც. შემთხვევითია განა, რომ ქალთა საბრძოლო ჯარები ყალიბდება სწორედ დაბალშობადობიან ქვეყნებში? წვევამდელთა ყოველწლიური გაწვევის გემის შესრულებაში ჩენი სამხედრო უწყების სირთულეები მასობრივი ინფორმაციის საშუალებიდან კარგადაა ცნობილი.

ეს ჩამონათვალი რა თქმა უნდა შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ ვიმეორებ იგი ძირითადად მხოლოდ ვარაუდს ეყრდნობა. ყოველ შემთხვევაში, ეს ვარაუდი უნდა გახდეს მსჯელობისა და გამოკვლევის საგანი, შესაძლოა მოდელირების დახმარებითაც.

5.20. სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკები:

ურთიერთკავშირი და მიზანთა ბანსხვავებულობა

სახელმწიფო, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში ატარებს თავის პოლიტიკას, ან შეიძლება ითქვას ბევრ სხვადასხვა პოლიტიკებს, რომელთაგან თითოეულს განსაზღვრული შეზღუდული მიზანი გააჩნია და ამ მიზნის შესაბამისად აქვს სახელწოდება (პოლიტიკა დასაქმების, ხელფასის, შემოსავლების, განათლების სფეროში, საბინაო პოლიტიკა, ეროვნული, კულტურული, თავდაცვითი, და ა.შ. პოლიტიკა). პოლიტიკის სახელწოდება მიუთითებს (პროკლამირებას უკეთებს) მის მიზნებს. ამრიგად, ეს სრულებითაც არაა ცარიელი ფორმალობა, სქოლასტიკა. მოცემული პოლიტიკის გამოცხადება მმართველობის ორგანოებს გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ მიზნების მიღწევასა და შედეგებზე (გვერდითი შედეგების ჩათვლით). ამრიგად – შედეგების სწორედ მიზნებთან შედარების გზით განისაზღვრება პოლიტიკის ეფექტურობა.

მგონი, შეუძლებელია სახელმწიფოს ღონისძიებების ან საზღადაობრივი პროცესების დასახელება, რომლებიც სრულებით არ აისახებოდნენ დემოგრაფიულ სიტუაციაზე. მაგრამ ეს სრულებითაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სახელმწიფოს ნებისმიერი ღონისძიება მივაკუთნოთ დემოგრაფიულ პოლიტიკას. ამასთან, არსებობს უკვე ძველი ტრადიცია, კერძოდ შობადობასთან დაკავშირებით მთავრობის ყოველი დადგენილების შემდეგ, რომლებიც შეიცავენ ბავშვიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერისათვის რაიმე ღონისძიებებს, ეს ღონისძიებები ზოგიერთი ავტორიტეტული მეცნიერ-დემოგრაფის მიერაც დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებებს მიეკუთვნება. მათგან ელიან შობადობის გაზრდას. მაგრამ კარგადაა ცნობილი მსგავსი ღონისძიებების მოქმედების ხანმოკლეობა და დემოგრაფიული უშედეგობა – როგორც აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებით, ასევე ჩვენი სამამულო გამოცდილებაც. და ეს უშედეგობა კანონზომიერია, რადგანაც არ იყო მიზნის სახით გათვალისწინებული.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია განვასხვავოთ სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკები. კერძოდ **სოციალურ პოლიტიკას** მიზნად აქვს ცხოვრების პირობების რეგულირება, გაჭირვებულებისათვის დახმარების ორგანიზება და ა.შ.¹

დემოგრაფიულ პოლიტიკას, დემოგრაფიის შესწავლის საგნის შესაბამისად მიზნად აქვს დემოგრაფიული პროცესების მართვა მათი რეგულირება.²

რა თქმა უნდა ოჯახებისა და ცალკეული ადამიანების ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული სოციალური პოლიტიკის ღონისძიებანი შეიძლება უახლოვდებოდნენ დემოგრაფიული პოლიტიკის ამოცანებს, ქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს არსებული დემოგრაფიული, კერძოდ კი რეპროდუქციული მოთხოვნების რეალიზაციისათვის. მაგრამ მარტო სოციალური პოლიტიკის ღონისძიებების შესაძლებლობანი, იმოქმედონ მოთხოვნილების შეცვლაზე, დიდი არაა.

ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ჩატარებული რეპროდუქციული განწყობის ყველა გამოკვლევის მიხედვით ოჯახში ბავშვის სასურველი

1. იხ. . . // :
., 1994. C. 466.

2. იხ. . . // :
., 1994. C. 101-103.

რაოდენობის საშუალო რიცხვის მაჩვენებელი მეტია ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვის (რეალურად დაგეგმილ) მაჩვენებელზე, რაც მეტყველებს ბავშვების რიცხვში მოთხოვნილების არასრულ დაკმაყოფილებაზე, რასაც ბევრი ოჯახი განიცდის (შეიძლება ითქვას თუ ოჯახების რა ნაწილია ეს. მაგრამ სხვადასხვა გამოკვლევებით ეს ნაწილი სხვადასხვანაირად ფასდება. გამოკვლევების შედეგთა ანალიზი ჩვენი ძირითადი თემიდან სხვა მიმართულებით გადაგვახდევინებდა. ამიტომ მე თავს უფლებას მივცემ არ განვიხილო ეს ასპექტი). ბავშვების სასურველ და მოსალოდნელ რიცხვს შორის დადებითი სხვაობა შობადობის გარკვეული გაზრდის შესაძლებლობას გვიჩვენებს, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას სოციალური პოლიტიკის ტრადიციული ღონისძიებების: დახმარებებით, შეღავათებით და ა.შ. ერთდროულად ამ სხვაობის მცირე მნიშვნელობა, სულ 0,15 ბავშვი, შესაბამისად გვიჩვენებს ბავშვების მოთხოვნილებაში არსებული მატერიალური დაბრკოლების გაგლენის უმნიშვნელობას. მაგრამ მაინც ახლანდელ გარდამავალ სოციალურ პირობებშიც ოჯახების უმეტესობას ჰყავთ მათზე მოთხოვნის შესაბამისი (ან თითქმის შესაბამისი) ბავშვების რიცხვი. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა შობადობის, ჩვეულებრივი ხერხების შემწეობების და შეღავათების მეშვეობით, გაზრდაში ტრადიციული დემოგრაფიული (უფრო სწორად სოციალური) პოლიტიკის მცირე შესაძლებლობებზე. შობადობის მიყვანას შევძლებდით მხოლოდ ბავშვების საშუალო სასურველ რიცხვამდე, რომელიც 1994 წლის მიკროაღწერით როგორც ცნობილია შეადგენს 1,91 ბავშვს და ვერ აღწევს მოსახლეობის თუნდაც მარტივი კვლევარმომებისათვის საჭირო სიდიდემდე 2,12 (ხოლო რადგანაც ჩვენ უკვე დეპოპულაციის პროცესში ვართ, ამიტომ მისგან გამოსასვლელად შობადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს 2,12 სიდიდეს).

იმისათვის რომ გამოვიდეთ დემოგრაფიული კატასტროფის ზონიდან აუცილებელია შობადობის დონე ერთ ქალზე გაანგარიშებით ავწიოთ 2,12 სიდიდეზე მნიშვნელოვნად მაღლა ან ერთ ეფექტურ ქორწინებაზე 2,6-ზე მაღლა. ხოლო ამისათვის საჭიროა ვიმოქმედოთ რუსეთის მილიონობით ოჯახის რეპროდუქციულ მოთხოვნაზე, ავამაღლოთ ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი დაახლოებით 2,8–3,0 ბავშვის სიდიდემდე, რისთვისაც საჭიროა 3-4 ბავშვიანი ოჯახების პოპულარიზაცია, და ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს გამოვიჩინოთ ყურადღების ყველა ნიშნები მრავალშვილიანი (5 და მეტი ბავშვიანი) ოჯახების მიმართ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევაზე გავლენის მომხდენი შობადობის დონის ზრდისაკენ მიმართული პოლიტიკა შედგება ორი მიმართულებისაგან: 1) ცხოვრების პირობების რეგულირება ოჯახებისათვის ბავშვების რიცხვისადმი მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით და 2) ცხოვრების პირობების ისეთნაირად რეგულირება, რათა გავზარდოთ ბავშვების რიცხვზე მოთხოვნილება იმ დონემდე, რომელიც ჩვენს საზოგადოებას საშუალებას მისცემს გადაურჩეს დემოგრაფიულ კატასტროფას.

პირველი მიმართილება სრულად შეერწყმის ტრადიციული სოციალური პოლიტიკის ამოცანებს. ისინი სრულებითაც არ უნდა შემოიფარგლებოდნენ დახმარებებისა და შეღავათების სისტემით. პირიქით, აუცილებელია ისეთი სოციალური პოლიტიკა, რომლის დროსაც განუხრელად შემცირდებოდა სახელმწიფო ქველმოქმედებაზე საჭიროების მქონე ოჯახის ხვედრითი წილი. სხვა სიტყვებით, აუცილებელია გავზარდოთ საზოგადოებაში იმ ოჯახის ხვედრითი წილი, რომლებსაც უნარი აქვთ იცხოვრონ საკუთარი შემოსავლებით, დაქირავებული შრომითა და კომერციული საქმიანობით.

სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პრონატალისტური (ე.ი. შობადობის გაზრდისაკენ მიმართული) პოლიტიკის მეორე მიმართულება მდგომარეობს, ოჯახის როგორც სოციალური ინსტიტუტის განმტკიცებაში, ოჯახური ცხოვრების უპირატესობებისა და მიმზიდველობის გაზრდაში, მშობლებისათვის ბავშვების სარგებლიანობის გაზრდაში. ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცებისათვის და ბავშვთა რიცხვზე ოჯახის მოთხოვნილების გაზრისათვის უფრო კონკრეტული ღონისძიებების დასახელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგანაც არავითარი მეცნიერული გამოკვლევები ამ სფეროში ჯერ არაა.

თემა 6. მოკვლეობა, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, თვითშენახვითი ქცევა

მოკვლეობა ისევე განიმარტება, როგორც შობადობა – ესაა სოციალურ გარემოში **გარდაცვალების შემთხვევათა სიხშირე**. იზომება მაჩვენებელთა სისტემით, რომელთაგან ყველაზე მარტივია – მოკვლეობის ზოგადი კოეფიციენტი. მის ნაკლოვანებებზე უკვე იყო საუბარი მეოთხე თავში (რომელთაგან მთავარია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე დამოკიდებულება). ყველაზე კარგი იქნება, რომ მოკვლეობის კოეფიციენტით სრულებითაც არ ვისარგებლოთ, ხოლო თუკი რაიმე მიზეზით, მაინც დგება ამ მაჩვენებლის გამოყენების საჭიროება სასურველია საინდექსო მეთოდის ან კოეფიციენტების სტანდარტიზაციის მეთოდების (რომლებიც ამ თავში შემდეგ განიხილება) საფუძველზე მოიხსნას, ან შემცირდეს მის სიდიდეზე სტრუქტურული ფაქტორების გავლენა.

6.1. მოკვლეობის ასაკობრივი კოეფიციენტები

ეს მაჩვენებლები, რომლებიც ვაჟთა და ქაღთა სქესისათვის¹ ცალ-ცალკე იანგარიშება, ყველაზე საუკეთესოა მოკვლეობის დონის მდგომარეობისა და ტენდენციის ანალიზისათვის – ისინი იანგარიშება ერთწლიანი ან ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რა თქმა უნდა ერთწლიანი კოეფიციენტები მსგავსი ანალიზისათვის ყველაზე უკეთეს შესაძლებლობას იძლევიან და ამიტომ პროფესიონალი დემოგრაფები ცდილობენ სწორედ მათ გამოყენებას. მაგრამ ჯერ ერთი მოკვლეობის ერთწლიანი მაჩვენებლებით სარგებლობა საძნელოა, რადგანაც ისინი ძალზე ბევრია. (ჩვეულებრივ მათ შემოფარგლავენ 85 წლით, მაგრამ 84 კოეფიციენტიც – ეს ცოტა არაა). მეორეც, ერთწლიანი კოეფიციენტებით

1. მოკვლეობის ასაკობრივ კოეფიციენტებს ანგარიშობენ მთელი მოსახლეობისთვისაც (ორივე სქესისათვის). მაგრამ ასეთ „გერმაფროდიტურ“ მაჩვენებლებს ძალიან შეზღუდული გამოყენება აქვთ, რადგანაც მოკვლეობა სქესის მიხედვით ძლიერ განსხვავდება თავისი მიზეზებითა და თავის ინტენსივობითაც.

სარგებლობისას საქმეში ერევა ასაკობრივი აკუმულაციაც. ამიტომ თუკი მოკვდაობის მაჩვენებელთა გაანგარიშებისას დიდი სიზუსტე საჭირო არაა (ასეთი სიზუსტე საჭიროა ვთქვათ, მოკვდაობის მათემატიკური მოდელების აგებისას), მაშინ უმეტეს შემთხვევაში მოკვდაობის დონის ტენდენციის ანალიზისათვის ხუთწლიანი კოეფიციენტებითაც სავსებით შეიძლება დაგკმაყოფილდეთ. ისინი იანგარიშება ფორმულით:

$$m_x = \frac{M_x}{P_x} \times 1000 \quad (6.1.)$$

სადაც m_x – მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი; M_x – კალენდარულ პერიოდში (ჩვეულებრივ წლის განმავლობაში) „x“ ასაკში გარდაცვლილთა რიცხვია; P_x – მოსახლეობის რიცხვია „x“ ასაკში საანგარიშო პერიოდის შუაში (ჩვეულებრივ საშუალო წლიური).

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები, ისევე როგორც სხვა დემოგრაფიული კოეფიციენტების უმეტესობა, გამოისახება პრომილებში (%).

6.2. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი


ამ კოეფიციენტით იზომება ერთ წლამდე ასაკში მყოფი ბავშვების მოკვდაობის დონე. წინა წლებში იწოდებოდა ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტად. ახლა განასხვავებენ ჩვილთა – 0-1 წელი, და ბავშვთა – 15 წლამდე – ასაკებს და შესაბამისად ჩვილთა და ბავშვთა მოკვდაობებს (0-დან 1 წლამდე და 1-დან 15 წლის ასაკებამდე). ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი მოკვდაობის სხვა მაჩვენებლებს შორის გამოირჩევა, როგორც თავისი სიდიდით, სიცოცხლის პირველ წელს (გარდაცვალების ალბათობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც 55 წელს მიღწეულ ადამიანებში), ასევე გაანგარიშების მეთოდებით და თავისი სოციალური მნიშვნელობით. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან ერთად

ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან მახასიათებელს.

ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდები განსხვავდება ყველა სხვა ასაკობრივი კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდებისაგან. რადგანაც სიცოცხლის პირველ წელს ბავშვთა მოკვდაობის დონე წლის განმავლობაში მკვეთრად იცვლება, მათი საშუალო წლიური რიცხოვნობის გამოთვლა სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ იქცევიან მარტივად: კოეფიციენტის ნაცვლად ანგარიშობენ პირველი წლის განმავლობაში გარდაცვალების ალბათობას ერთ წლამდე ბავშვების გარდაცვალების შემთხვევათა არა მათ საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან შედარებით, არამედ დაბადებულთა მთლიან რიცხვთან შეფარდებით (მაგრამ ძველი ტრადიციის მიხედვით ამ ალბათობას კოეფიციენტს უწოდებენ). საწყისი მონაცემების ხასიათისა და გაანგარიშების სიზუსტისადმი მოთხოვნის მიხედვით ძირითადად გამოიყენება ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშების სამი მეთოდი.

საანგარიშო „t“ წელს ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვები ეკუთვნიან დაბადებულთა ორ მომიჯნავე თაობას. მათი ნაწილი დაიბადა იმავე „t“ წელს, რომელშიც ისინი გარდაიცვალნენ. მეორე ნაწილი დაიბადა წინა „t-1“ წელს. ეს შეიძლება თვალსაჩინოდ ვაჩვენოთ დემოგრაფიულ ბადედ წოდებულ დიაგრამაზე. არ შევჩერდებით დემოგრაფიული ბადის აგებისა და მისი გამოყენების მეთოდოლოგიურ წვრილმანებზე. შემოვიფარგლებით მხოლოდ ბადის იმ ნაწილის აღწერით, რომელიც ჩვენ ახლა გვჭირდება ორ მომიჯნავე კალენდარულ წელს დაბადებულთა და სიცოცხლის პირველ წელს გარდაცვლილთა თანაფარდობის დემონსტრირებისათვის.

დემოგრაფიული ბადე წარმოადგენს კვადრატების სისტემას (იხ. ნახ. 6.1).



ნახ. 6.1.

ჰორიზონტალურ ნახაზებზე გადაზომილია ასაკის წლები, ვერტიკალურზე – კალენდარული წლები. კალენდარულ „t“ წელიწადში დაბადებულთა რიცხვი პირობითად გამოისახება წერტილის სახით 0 ღერძზე ვერტიკალურ „t“ და „t+1“ ღერძებს შორის, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ საანგარიშო წლის დასაწყისსა და დასასრულს (მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისს) შორის დაბადების თარიღების აღმნიშვნელ 0 ღერძიდან დიაგონალზე მარცხნიდან მარჯვნივ და ქვემოდან ზემოთ ატარებენ სწორ ხაზებს, რომლებიც სიცოცხლის ხაზებად იწოდებიან. ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში სიცოცხლის ხაზი წყდება და მთავრდება გარდაცვალების წერტილით. აი ყველაფერი ის, რაც ჯერ-ჯერობით ჩვენ გეჭირდება, რომ ვიცოდეთ დემოგრაფიული ბადის შესახებ.

ბადეზე შეიძლება დავინახოთ, რომ კალენდარულ „t“ წელიწადს ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების გარდაცვალების წერტილები ქმნიან ABCD კვადრატს, რომელიც შედგება ორი ABC და ACD სამკუთხედებისაგან (გარდაცვლილთა ელემენტარული ერთობლიობები). კალენდარულ „t“ წელიწადში დაბადებული ბავშვებიდან იმავე წელს გარდაცვლილები ქმნიან ქვემოთა ACD სამკუთხედს, ხოლო იმავე 0 ასაკში, იმავე კალენდარულ (საანგარიშო) „t“ წელს გარდაცვლილი ბავშვები, მაგრამ „t-1“ წელს დაბადებული ბავშვებიდან, ქმნიან იმავე კვადრატის ზედა ABC სამკუთხედს.

თუ გვაქვს მონაცემები ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების თავიანთი დაბადების წლის (სხვაგვარად რომ ვთქვათ, თაობების მიხედვით) მიხედვით განაწილების შესახებ, მაშინ 0 წლის ასაკში გარდაცვლილი ბავშვების თითოეული ერთობლიობა შეეფარდება მის შესაბამის დაბადებულთა რიცხვს. გაანგარიშება გამოიყურება შემდეგი ფორმულის სახით:

$$m_0^t = \left[\frac{M_0^t}{N^t} + \frac{M_0^{t-1}}{N^{t-1}} \right] \times 1000 \quad (6.2.)$$

სადაც m_0^t – ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი საანგარიშო „t“ წელს; M_0^t და M_0^{t-1} – ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რიცხვია შესაბამისად „t“ და წინა „t-1“ წელს დაბადებული ბავშვებიდან; N^t და N^{t-1} – დაბადებულთა რიცხვია შესაბამისად საანგარიშო „t“ და წინა „t-1“ წელს.

ამ ფორმულის გამოყენებისათვის აუცილებელია მონაცემები ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების, დაბადებულთა თაობის მიხედვით განაწილების

შესახებ. იგი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა საჭიროა ჩვილთა მოკვდაობის განსაკუთრებით ზუსტი მაჩვენებლები ათწილადებში მძიმის შემდეგ რამდენიმე ნიშნით. ჩვეულებრივ, ეს აუცილებლობა წარმოიშობა ხოლმე მოკვდაობის ცხრილების აგებისას (რომლთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი).

ძალიან ხშირად მონაცემები ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების დაბადებულთა თაობების მიხედვით განაწილების შესახებ პუბლიკაციებში არ არის და როგორც წესი არც არის ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებლების ძალიან ზუსტი გაზომვის აუცილებლობაც. მაშინ საკმარისია გამოვიყენოთ ემპირიულ ფორმულაზე დაფუძნებული ჩვილთა მოკვდაობის დონის მიახლოებითი შეფასების მეთოდი, რომელიც 1920-იანი წლების დასაწყისში შემოიტანა გერმანელმა დემოგრაფმა და მათემატიკოსმა იოჰანეს რატსმა (1854-1933)

$$m_0^t = \frac{M^t}{2/3N^{t+1} + 1/3N^{t-1}} \times 1000 \quad (6.3.)^1$$

სადაც ყველა პირობითი აღნიშვნები იგივეა რაც წინა ფორმულაში.

დაბოლოს, უხეშ მეთოდად წოდებული მარტივი ფორმულა, რომლითაც მიუხედავად ამისა, გარკვეული პირობებში მაინც შეიძლება სარგებლობა. ეს პირობებია – შობადობის დონის მუდმივობა ორ მომიჯნავე წელს, რომელთაგანაც ერთი საანგარიშო წელია, ე.ი. ის რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ჩვილთა მოკვდაობის დონე, ხოლო მეორე – მისი წინა წელია. საკმარისია ჩავიხედოთ დემოგრაფიულ წელიწდეულში და შევადაროთ შობადობის მაჩვენებლები აღნიშნულ წლებში. თუკი ისინი ერთნაირია, ან ცოტათი განსხვავდებიან თამამად შეიძლება ვისარგებლოთ „უხეში“ მეთოდით. იგი გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$m_0^t = \frac{M_0^t}{N^t} \times 1000 \quad (6.4.)$$

სადაც ყველა პირობითი აღნიშვნები ცნობილია. ამრიგად, ამ მეთოდის გამოყენებისას საკმარისია საანგარიშო „t“ წელს „0“ წლის ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რიცხვი უბრალოდ გავყოთ იმავე წელს დაბადებულთა რიცხვზე. მაგრამ

1. სამწუხაროდ წიგნის რუსულ დედანში გაპარულია კორექტურული უზუსტობა. წილადის მნიშვნელოვანი 2/3-ის ნაცვლად წერია.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

გავიმეორებთ, ეს შეიძლება გააკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საანგარიშო და მის წინა წლებში ერთნაირია, ან ახლოსაა ერთმანეთთან. შობადობის კოეფიციენტების არსებითი განსხვავების შემთხვევაში კი საჭიროა გამოვიყენოთ რატსის ფორმულა.

გაანგარიშების მაგალითი. 1992 წელს რუსეთში დაიბადა – 1 587,6 ათასი ბავშვი, 1993 წელს – 1 379,0 ათასი, გარდაიცვალა ერთ წლამდე ასაკში შესაბამისად 29,2 და 27,9 ათასი ბავშვი. საჭიროა განისაზღვროს ჩვილთა მოკვდაობის დონე 1993 წელს უხეში მეთოდითა და რატსის მეთოდით.

ამოხსნა:

1) უხეში მეთოდით:

$$m_0^{1993} = \frac{M_0^{1993}}{N_0^{1993}} \times 1000 = \frac{27,9}{1379,0} \times 1000 = 20,2\%$$

2) რატსის მეთოდით:

$$m_0^{1993} = \frac{M_0^{1993}}{2/3N^{1993} + 1/3N^{1992}} \times 1000 = \frac{27,9}{2/3 \times 1\,379,0 + 1/3 \times 1\,587,6} \times 1000 =$$

$$= \frac{27,9}{919,3 + 529,2} \times 1000 = \frac{27,9}{1448,5} = 19,3\%$$

როგორც ვხედავთ გაანგარიშების მეორე ვარიანტში (რატსის მეთოდით) ჩვენს ქვეყანაში ჩვილთა მოკვდაობის დონე 1993 წელს მართლაც მნიშვნელოვნად დაბალი იყო, თითქმის მთელი ერთი პრომილით (ეს არსებითი სხვაობაა!), ვიდრე ამას მოწმობს უხეში მეთოდით გამოთვლილი მაჩვენებელი.

უკანასკნელ ათწლეულში რუსეთის ჩვილთა მოკვდაობის დონემ ძალიან ცოტათი დაიკლო 20,9%-დან 1984 წელს, 17,2%-მდე 1997 წელს.¹ ეს არც ისე ძალიან მაღალი დონეა თუკი მას შევადარებთ ჩვენივე ქვეყანაში 30-40 წლის წინანდელ დონესთან (როცა იგი 30-40%-ის ტოლი იყო), მაგრამ თუკი რუსეთის ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელს შევუდარებთ ანალოგიურ მაჩვენებლებს, რომლებიც დღეს აღინიშნება სხვა ქვეყნებში, მაშინ იგი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი აღმოჩნდება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომელთა უმეტესობაშიც ჩვილთა მოკვდაობის დონე ორჯერ დაბალია, ვიდრე რუსეთში (ე.ი. არ აღემატება 8,0%-ს). ამავე დროს ეს დონე თითქმის სტაბილიზებულია, თუმცა

1.

1998. ., 1998. C. 253.

მისი შემდგომი შემცირების რეზერვების ამოწურვამდე ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი. გარკვეულწილად ჩვილთა მოკვდაობის ასეთი მაჩვენებელი აიხსნება 1992 წლის ბოლოდან ჩვენი სტატისტიკის მიერ ცოცხალ და მკვდრადშობადობის აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებზე გადასვლით.

გაანგარიშების მაგალითი: 1998 წელს საქართველოში დაიბადა – 46 841 ბავშვი, 1999 წელს – 40 778, გარდაიცვალა ერთ წლამდე ასაკში 710 და 714 ბავშვი. საჭიროა განისაზღვროს ჩვილა მოკვდაობის დონე 1999 წელს უხეში მეთოდითა და რატსის მეთოდით.

ამოხსნა:

1) უხეში მეთოდით:

$$m_0^{1999} = \frac{M_0^{1999}}{N_0^{1999}} \times 1000 = \frac{714}{46\,841} \times 1000 = 15,2\%$$

2) რატსის მეთოდით:

$$m_0^{1999} = \frac{M_0^{1999}}{2/3N^{1999}+1/3N^{1998}} \times 1000 = \frac{714}{2/3 \times 40\,778 + 1/3 \times 46\,841} \times 1000 =$$

$$= \frac{714}{27\,185,3 + 15\,613,7} \times 1000 = \frac{714}{42\,799} = 16,7\%$$

როგორც ვხედავთ გაანგარიშების მეორე ვარიანტში (რატსის მეთოდით) საქართველოში ჩვილთა მოკვდაობის დონე 1999 წელს მართლაც მნიშვნელოვნად მაღალი იყო, მთელი 1,5 პრომილით (ეს არსებითი სხვობაა!), ვიდრე ამას მოწმობს უხეში მეთოდით გამოთვლილი მაჩვენებლები.

უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს ჩვილთა მოკვდაობის დონემ ძალიან ცოტათი დაიკლო 19,6‰-დან 1989 წელს, 17,5‰-მდე 1999 წელს. ეს არც ისე ძალიან მაღალი დონეა თუკი მას შევადარებთ საქართველოშივე 30-40 წლის წინანდელ დონესთან (როცა იგი 37-26‰-ის ტოლი იყო). მაგრამ თუკი საქართველოს ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელს შევადარებთ ანალოგიურ მაჩვენებელს, რომლებიც დღეს აღინიშნება სხვა ქვეყნებში, მაში იგი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი აღმოჩნდება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომელთა უმეტესობაშიც ჩვილთა მოკვდაობის დონე ორჯერ დაბალია ვიდრე საქართველოში (ე.ი. არ აღემატება 8,0‰-ს). ამავე დროს ეს დონე თითქმის სტაბილურია, თუმცა მისი შემდგომი შემცირების რეზერვების ამოწურვამდე ჯერ კიდევ ძალიან ბევრია დარჩენილი. და ეს მით უფრო, რომ უკანასკნელ ათწლეულში არასრული პირველადი სტატისტიკური აღრიცხვის გამო ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის რეალური დონე კიდევ უფრო მეტია. გარკვეულ წილად ჩვილთა მოკვდაობის ასეთი მაჩვენებელი აიხსნება 1996 წლიდან ჩვენი სტატისტიკის მიერ ცოცხლად და მკვდრადშობადობის აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებზე გადასვლითაც.

ამ დრომდე რუსეთის (ხოლო უფრო ადრე - საბჭოთა) სტატისტიკაში ცოცხლად დაბადებულად ითვლებოდნენ 28 კვირისა და მეტი ხნის ფეხმძიმობის შემდეგ დაბადებული ბავშვები, რომელთა წონაც დაბადებისას 1000 გრამი და მეტი

იყო (ან თუ წონა უცნობია, სხეულის სიგრძე 35სმ და მეტი იყო და გაჩენის შემდეგ თუნდაც ერთხელ დამოუკიდებლად ამოისუნთქა). ფეხმძიმობის აღიშნულ ვადაზე ადრე გაჩენილი ან სხეულის წონით 1000 გრამზე ნაკლები ბავშვები ცოცხლადდაბადებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდნენ თუკი მათ 7 დღე-ღამეზე მეტი იცოცხლეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილი ცოცხლადდაბადებულობის კრიტერიუმები სხვაგვარი იყო. მათ მიხედვით ბავშვი ცოცხლად დაბადებულად ითვლებოდა, თუკი გაჩენის შემდეგ (ფეხმძიმობის ვადის მიუხედავად) იგი სუნთქავს ან ავლენს სიცოცხლის სხვა ნიშნებს, ისეთებს, როგორცაა გულისცემა, ჭიპის პულსაცია ან კუნთების თავისუფალი მოძრაობა. ექსპერტების შეფასებით, ჯ.მ.ო-ის მიერ რეკომენდირებულ კრიტერიუმებზე გადასვლამ შეიძლება გამოიწვიოს რუსეთში ჩვილთა მოკვდაობის 25-35%-ით¹ ზრდა. და თუკი ეს ჯერ არ მომხდარა უნდა ვივარაუდოთ, რომ სინამდვილეში ჩვილთა მოკვდაობის დონის შემცირება უფრო არსებითი იყო ვიდრე შეიძლება ვიმსჯელოთ გამოქვეყნებული კოეფიციენტების დინამიკით, მაგრამ ეს შემცირება ნაწილობრივ კომპენსირდება საპირისპირო დინამიკით – კოეფიციენტის გადიდებით ცოცხლადდაბადებულობის კრიტერიუმის შეცვლით. ამის გარდა, კრიტერიუმის ცვლის პროცესი, ცხადია გაწეილია დროში და ბევრი სტატისტიკური და სამედიცინო დაწესებულება არ ჩქარობს „გაიფუჭოს“ თავისი საალრიცხვო მონაცემები ცუდი მაჩვენებლებით. ასე რომ ზედაპირზე მოჩვენებითი „სტაგნაციის“ მოვლენა, ან ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის ნელი შემცირება – ე.ი. ის ფაქტი, რომ კოეფიციენტი არ იზრდება, – იმაზე მეტყველებს, რომ იგი ალბათ მცირდება.

6.1. ცხრილში ნაჩვენებია უკანასკნელ 10 წელიწადში რუსეთში ჩვილთა მოკვდაობის დონის სტრუქტურა გარდაცვალების მიზეზთა ძირითადი კლასების მიხედვით. მოცემულ პერიოდში ჩვილთა მოკვდაობის საერთო სიდიდის გარკვეული შემცირებისას შეიძლება დავინახოთ, რომ ეს შემცირებანი ხდება ინფექციური და პარაზიტული დაავადებების და სასუნთქი ორგანოების ავადმყოფობის მიზეზით გამოწვეული გარდაცვალებების შემცირების ხარჯზე. ამავე დროს გაიზარდა მოკვდაობის დონე და გარდაცვალების შემთხვევათა ხვედრითი წილი (მოკვდაობის დონის საერთო სტრუქტურაში) გარდაცვალების მიზეზთა იმ კლასებიდან, როგორცაა, თანდაყოლილი ანომალიები, უბედური შემთხვევები, მოწამვლები და

1. . . .

//

., 1995. №5. С.

ტრამეები და განსაკუთრებით პერინატალურ პერიოდში¹ წარმოშობილი მდგომარეობებით. ამასთან, გარდაცვალების მიზეზთა სამ კლასზე – თანდაყოლილ ანომალიებზე, პერინატალურ პერიოდში წარმოშობილ მდგომარეობებზე და უბედურ შემთხვევებზე, მოწამვლებზე და ტრამეებზე – სიცოცხლის პირველ წელს ჯამში მოდის გარდაცვალების ყველა შემთხვევათა 72,0% (სამი მეოთხედი!). არადა გარდაცვალების ეს შემთხვევები ძირითადად განპირობებულია დედათა ქცევისა და ცხოვრების წესით.

ცხრილი 6.1.

რუსეთში ჩვილთა მოკვდაობის დონის სტრუქტურა
გარდაცვალების მიზეზთა ძირითადი კლასების მიხედვით

	ერთი წლის ასაკამდე გარდაცვლილები ყოველ 10 000 დაბადებულზე გაანგარიშებით			იგივე პროცენტებში კოეფიციენტების მთელ სიდიდეთან		
	1985	1990	1995	1985	1990	1995
ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილები, სულ:	207,2	174,0	171,5	100,0	100,0	100,0
მათ შორის:						
ინფექციური პარაზიტული დაავადებებისაგან	24,0	13,4	10,8	11,6	7,7	6,3
სასუნთქი ორგანოების დაავადებისაგან	48,2	24,7	22,6	23,3	14,2	13,2
თანდაყოლილი ანომალიებისაგან	36,7	37,0	42,0	17,7	21,3	24,5
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი მდგომარეობებისაგან	77,7	80,1	72,4	37,5	46,0	42,2
უბედური შემთხვევებით მოწამვლებითა და ტრამეების მიზეზით	9,0	7,1	10,0	4,3	4,1	5,8
სხვა დანარჩენი მიზეზებისაგან	11,6	11,7	13,7	5,6	6,7	8,0

1. პერინატალური პერიოდი (ბერძ. peri – ახლოს და ლათ. natalis – შობადობისადმი კუთვნილი, გაჩენის ახლოს) იწყება ფეხმძიმობის 28-ე კვირიდან, მოიცავს მშობიარობის პერიოდს და ახალშობილის პირველ 7 დღე-ღამეს (: ., 1994. C. 316).

6.1^ბ ცხრილში ნაჩვენებია უკანასკნელ 14 წელიწადში საქართველოში ჩვილთა მოკვდაობის დონის სტრუქტურა გარდაცვალების მიზეზთა ძირითადი კლასების მიხედვით. მოცემულ პერიოდში ჩვილთა მოკვდაობის საერთო სიდიდის არაერთგვაროვან დინამიკაში (ჯერ კლება, მერე ზრდა) შეიძლება დავინახოთ, რომ ასეთი ცვლილებანი განპირობებულია გარდაცვლილების მიზეზთა სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებებით. თუმცა აქაც გამოიკვეთა ზოგიერთი ტენდენცია. კერძოდ, საგრძნობლად კლებულობს ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისაგან, თანდაყოლილი ანომალიებისაგან, უბედური შემთხვევებით, მოწამვლებითა და ტრამეების მიზეზით გამოწვეული მოკვდაობა. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სასუნთქი ორგანოების დაავადებებისაგან გარდაცვლების შემთხვევათა ხვედრითი წილის (მოკვდაობის დონის საერთო სტრუქტურაში) ცვლილების ტენდენციაში. ამავე დროს გაიზარდა მოკვდაობის დონე და გარდაცვალების შემთხვევათა ხვედრითი წილი გარდაცვალების მიზეზთა იმ კლასიდან, როგორცაა, პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი მდგომარეობები. ამასთან, გარდაცვალების მიზეზთა სამ კლასზე – თანდაყოლილ ანომალიებზე პერინატალურ პერიოდში წარმოშობილ მდგომარეობებზე და უბედურ შემთხვევებზე, მოწამვლებზე და ტრამეებზე – სიცოცხლის პირველ წელს ჯამში მოდის გარდაცვალების ყველა შემთხვევათა 71,1% (თითქმის სამი მეოთხედი). არადა გარდაცვალების ეს შემთხვევები ძირითადად განპირობებულია დედათა ქცევისა და ცხოვრების წესით.

ცხრილი 6.1^ბ

საქართველოში ჩვილთა მოკვდაობის დონის სტრუქტურა
გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასების მიხედვით

	ერთი წლის ასაკამდე გარდაცვლილები ყოველ 10 000 დაბადებულზე გაანგარიშებით			იგივე პროცენტებში კოეფიციენტების მთელ სიდიდეთან		
	1985	1990	1999	1985	1990	1999
ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილები, სულ:	195,7	131,0	176,8	100,0	100,0	100,0
მათ შორის:						
ინფექციური პარაზიტული დაავადებებისაგან	26,6	10,8	8,7	13,6	8,2	4,5
სასუნთქი ორგანოების დაავადებებისაგან	81,1	31,8	36,2	41,4	24,3	20,5
თანდაყოლილი ანომალიებისაგან	10,4	10,3	7,4	5,3	7,9	4,2
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი მდგომარეობებისაგან	64,3	64,6	117,6	32,9	49,3	66,5
უბედური შემთხვევებით მოწამვლებითა და ტრამეების მიზეზით	6,2	1,6	0,7	3,2	1,2	0,4
სხვა დანარჩენი მიზეზებისაგან	7,0	11,9	6,2	3,6	9,1	3,5

6.3. საინდექსო მეთოდის გამოყენება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკის ანალიზში

როგორც უკვე იყო აღნიშნული მოკვდაობის დონის ანალიზისათვის ყველაზე უკეთეს შესაძლებლობას იძლევიან მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები. მაგრამ მათაც აქვთ ისეთივე ნაკლი, როგორც სხვა ასაკობრივ კოეფიციენტებს: ისინი ბევრია, მათთან ძნელია მუშაობა. საჭიროა ერთი განზოგადებული მაჩვენებელი. მაგრამ შობადობის ჯამური კოეფიციენტის ანალოგიური მოკვდაობის ასეთივე მაჩვენებელი არ არსებობს (გარკვეულწილად ამ როლს ასრულებს მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი, მაგრამ მისი მიღებისათვის საჭიროა საკმაოდ შრომატევადი მოკვდაობის ცხრილების აგება).

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების ანალიზის სირთულეთა კომპენსირება გარკვეულწილად შეიძლება საინდექსო მეთოდისა და კოეფიციენტების სტანდარტიზაციის მეთოდების დახმარებით, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ანალიტიკური შესაძლებლობების გაზრდით. ამ მეთოდების გამოყენებისათვის მივმართოთ მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს და წარმოვადგინოთ იგი ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს მისი შინაგანი სტრუქტურის დანახვა.

$$m = \frac{M}{P} = \frac{\sum m_x \times P_x}{\sum P_x} = \sum m_x \times \omega_x \quad (6.5.)$$

ფორმულის მარჯვენა ნაწილში პირველი წილადი არის გარდაცვლილთა წლიური საერთო M რიცხვის უკვე ცნობილი თანაფარდობა – მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან. ამ წილადის მრიცხველი M შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების m_x ნამრავლი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობის რიცხოვნობაზე P_x , ე.ი. $\sum m_x \times P_x$. ამ წილადის მნიშვნელში მოსახლეობის რიცხოვნობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ყველა ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობათა ჯამი, ე.ი. $\sum P_x$. გაანგარიშებისათვის უფრო მოსახერხებელია თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რიცხოვნობა გამოვიყენოთ არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით გამოსახულებებში, ერთეულის ხვედრით წილებად, ან პროცენტებში (მივიღებთ რა მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობას 1-ის ან 100-ის ტოლად. ერთეულის ხვედრით

წილებში გაანგარიშება ყველაზე მოსახერხებელია, ამ დროს მესამე წილადის ერთის ტოლი მნიშვნელი, შეიძლება გამოვტოვოთ).

მოკვდაობის ორი ზოგადი კოეფიციენტის შედარება ახლა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

$$\frac{m^1}{m^0} = \frac{\sum m_x^1 \omega_x^1}{\sum m_x^0 \omega_x^0} \quad (6.6.)$$

ამ შემთხვევაში საინდექსო მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ, თუკი ცნობილია შესადარი ერთობლიობების ყველა სტრუქტურული ელემენტები, ე.ი. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები m_x და შესადარებელ მოსახლეობათა ასაკობრივი სტრუქტურები (ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წილი მოსახლეობის მთლიან რიცხვში ω_x). მარჯვენა ზემოთა ინდექსები აღნიშნავენ მოსახლეობის შესადარებელ ერთობლიობებს (ან წლის დასაწყისსა და დასასრულისათვის, თუ ანალიზებენ მოკვდაობის დონის დინამიკას, ან ერთმანეთს შორის, თუ ანალიზდება მოსახლეობის ორი ჯგუფის მოკვდაობებს შორის განსხვავება სტატისტიკაში). მაშ ასე, განვიხილოთ შემთხვევა, როცა მოკვდაობის კოეფიციენტის ყველა სტრუქტურული ელემენტი ჩვენთვის ცნობილია და შესაძლებელია საინდექსო მეთოდის გამოყენება. ავაგოთ ინდექსთა სისტემა. ამისათვის ტოლობის მარჯვენა ნაწილში მრიცხველსა და მნიშვნელში შემოვიტანოთ ერთი და იგივე რიცხვი $m_x^1 \omega_x^0$ (ე.ი. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე შესადარებელი მოსახლეობის უცვლელი, ერთნაირი ასაკობრივი სტრუქტურის დაშვებისას), შემდეგ გავაკეთოთ მარტივი გადაადგილება:

$$\frac{m^1}{m^0} = \frac{\sum m_x^1 \omega_x^0}{\sum m_x^0 \omega_x^0} \times \frac{\sum m_x^1 \omega_x^1}{\sum m_x^1 \omega_x^0} = \frac{\sum m_x^1 \omega_x^0}{m^0} \times \frac{m^1}{\sum m_x^1 \omega_x^0} \quad (6.7.)$$

ჩვენი განტოლების მარჯვენა ნაწილში აღმოჩნდა ორი წილადი ინდექსი. პირველი მათგანი ახასიათებს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილებას (ან განსხვავებას), სწორედ მოკვდაობის განსხვავებულობის გამო (მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობის) უცვლელი ასაკობრივი სტრუქტურისას (თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში ერთნაირია მრიცხველსა და მნიშვნელში). მეორე ინდექსი ახასიათებს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილებას (ან განსხვავებას) მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების (ან განსხვავების) ხარჯზე. აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების მოსახლეობის რიცხოვნობაში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების ხვედრით წილზე ნამრავლების ჯამი ($\Sigma m_x d_x$) სხვა არაფერია თუ არა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, და მოვახდინოთ შესაბამისი ცვლილებები პირველი წილადის მნიშვნელი და მეორე წილადის მრიცხველში. ახლა ინდექსთა სისტემა დასრულებულ სახესღებულობს.

მაგალითისათვის გავაანალიზოთ რუსეთის მოსახლეობის მოკვდაობის დონის დინამიკა 1990 წლის და 1995 წლის შუახანებს შორის პერიოდში (ცხრილი 6.2). ყველა საწყისი მონაცემები აღებულია რუსეთის დემოგრაფიული წელიწადეულებიდან.

ფორმულაში ციფრობრივი მონაცემების ჩასმით მივიღებთ:

$$\frac{15,0}{11,2} = \frac{14,1672}{11,2} \times \frac{15,0}{14,1672} = 1,265 \times 1,059 = 1,339$$

შედგებად, საბოლოოდ ვღებულობთ:

$$J^m = J^{mx} \times J^{ox}$$

სადაც J^m – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ინდექსია; J^{mx} – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილების ინდექსია მოკვდაობის ინტენსივობის ცვლილების ხარჯზე; J^{ox} – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილების ინდექსია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე.

საბოლოოდ ზოგადი დასკვნა შემდეგია. 1990-1995 წლების პერიოდში რუსეთის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გაიზარდა 33,9%-ით, მათ შორის 26,5%-ით მოკვდაობის რეალური ზრდის გამო და 5,9%-ით მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების (დაბერების) ხარჯზე. ამრიგად, თუკი ჩვენ გვაინტერესებს მოკვდაობის დონის დინამიკა და არა მაჩვენებლის (და უფრო ხშირად ეს სწორედ ასეა), მაშინ რუსეთში განსახილველ პერიოდში მოკვდაობის დონე გაიზარდა 27%-ით და არა 34-ით, როგორც ამის შესახებ შეიძლება მსჯელობა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის მიხედვით. სხვაობა არსებითია და ალბათ არ შეიძლება მისი უგულებელყოფა.

1990-1995 წლებში რუსეთში მოკვდაობის დონის ცვლილების
ფაქტორთა გაანგარიშება

ასაკობრივი ჯგუფები (წელი)	თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში 1990 წლის შუახანებში (ერთეულის ხვედრით წილებში ω_x^{1990})	მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები (პრომილებში, m_x^{1995})	$m_x^{1995} \times \omega_x^{1990}$
0-4	0,0745	4,1	0,3055
5-9	0,0818	0,6	0,0491
10-14	0,0780	0,5	0,0390
15-19	0,0688	1,6	0,1101
20-24	0,0618	2,7	0,1669
25-29	0,0754	3,4	0,2564
30-34	0,0844	4,6	0,3882
35-39	0,0778	6,3	0,4901
40-44	0,0629	8,9	0,5598
45-49	0,0607	12,3	0,7466
50-54	0,0687	17,1	1,1748
55-59	0,0506	21,4	1,0828
60-64	0,0574	29,7	1,7048
65-69	0,0346	39,2	1,3563
70-74	0,0217	51,3	1,1132
75-79	0,0222	78,2	1,7360
80-84	0,0123	123,2	1,5154
85+	0,0064	214,4	1,3722
სულ	1,0000	—	14,1672

მაგალითისათვის გაეანალიზოთ საქართველოს მოკვდაობის დონის დინამიკა 1995 წლის და 1999 წლის შუახანებს შორის პერიოდში (ცხრილი 6.2^ა). ყველა საწყისი მონაცემები აღებულია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებიდან, თუმცა უკანასკნელ ათწლეულში არასრული პირველადი სტატისტიკური აღრიცხვის გამო მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის რეალური დონე ვფიქრობთ, რომ უფრო მეტია. მაგრამ ექსპერტულ შეფასებებს ჩვენ მაინც ოფიციალური მონაცემების მოტანას ვამჯობინებთ.

1995-1999 წლებში საქართველოში მოკვდაობის დონის ცვლილების
ფაქტორთა გაანგარიშება

ასაკობრივი ჯგუფები (წელი)	თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში 1995 წლის შეახანებში (ერთეულის ხვედრით წილებში ω_x^{1995})	მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები (პრომილებში, m_x^{1999})	$m_x^{1995} \times \omega_x^{1999}$
0-4	0,0648	3,2	0,2074
5-9	0,0823	0,2	0,0165
10-14	0,0817	0,2	0,0163
15-19	0,0775	0,3	0,0233
20-24	0,0729	0,6	0,0437
25-29	0,0726	0,9	0,0653
30-34	0,0822	1,2	0,0986
35-39	0,0761	1,8	0,1370
40-44	0,0659	2,5	0,1648
45-49	0,0531	3,5	0,1859
50-54	0,0425	5,2	0,2210
55-59	0,0627	6,9	0,4326
60-64	0,0488	13,3	0,6490
65-69	0,0494	21,3	1,0522
70-74	0,0289	33,6	0,9710
75-79	0,0164	51,3	0,8413
80-84	0,0129	69,4	0,8953
85+	0,0095	89,5	0,8503
სულ	1,0000	—	6,8715

ფორმულაში ციფრობრივი მონაცემების ჩასმით მივიღებთ:

$$\frac{7,7}{7,0} = \frac{6,8715}{7,0} \times \frac{7,7}{6,8715} = 0,982 \times 1,121 = 1,101$$

საბოლოო ზოგადი დასკვნა შემდეგია. 1995-1999 წლების პერიოდში საქართველოს მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გაიზარდა 10,1%-ით, მათ შორის 18,0%-ით დაიკლო მოკვდაობის რეალური შემცირების გამო და 12,1%-ით გაიზარდა მოსახლეობის ასაკობრივი

სტრუქტურის ცვლილების (დაბერების ხარჯზე). ამრიგად თუკი ჩვენ გვინტერესებს მოკვდაობის დონის დინამიკა და არა მანვენებლის (და უფრო ხშირად ეს სწორედ ასეა), მაშინ საქართველოში განსახილველ პერიოდში მოკვდაობის დონე შემცირდა – 18,0%-ით და არ გაზრდილა 10,1%-ით, როგორც ამის შესახებ შეიძლება მსჯელობა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის მიხედვით. სხვაობა არსებითია და ალბათ არ შეიძლება მისი უგულებელყოფა.

6.4. კოეფიციენტთა სტანდარტიზაციის მეთოდები

საიდექსო მეთოდის გამოყენებისათვის საჭიროა მონაცემები სტრუქტურული ელემენტების შესახებ, რომლებზეცაა დამოკიდებული ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე. სამწუხაროდ, საჭირო მონაცემები ყოველთვის არ მოგვეპოვება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ეგრეთ წოდებული კოეფიციენტების სტანდარტიზაციის მეთოდები. საწყისი მონაცემების ხასიათის მიხედვით, რომლებიც ანალიტიკოსს გააჩნია, ჩვეულებრივ, კოეფიციენტების სტანდარტიზაციის ორი მეთოდი გამოიყენება: პირდაპირი და ირიბი.

6.4.1. სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდი

თუ მკვლევარის განკარგულებაშია მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები, მაგრამ უცნობია მონაცემები შესადარებელი მოსახლეობების ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ, მაშინ საინდექსო მეთოდის გამოყენება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდი. პრინციპში ეს მეთოდი ძალიან წააგავს საინდექსო მეთოდს. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ მონაცემები მოსახლეობათა ფაქტიური სტრუქტურების შესახებ (როგორც წესი ერთმანეთისაგან განსხვავებული), იცვლება ნებისმიერად შერჩეული სხვა მოსახლეობის სტრუქტურით (ერთი, ყველა შესადარებელი მოსახლეობისათვის). ამ გზით განსხვავებული ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა ზოგადი კოეფიციენტების სიდიდეზე იხსნება (ელიმინირდება), ისინი ხელოვნურად (პიობითად) დაიყვანება ერთნაირ ასაკობრივ სტრუქტურაზე, რომელიც მიიღება სტანდარტად (ამ შემთხვევაში სიტყვა „სტანდარტი“, ისევე როგორც „სტანდარტიზაცია“ არა მგონია, რომ ჩაითვალოს მოხერხებულ სახელწოდებად, მაგრამ ეს უკვე ძალიან ძველი მსოფლიო ტრადიციაა და მას ყველა სპეციალისტი მიეჩვია).

ხელახლა დაუბრუნდეთ მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს მის სტრუქტურულ გამოსახულებაში: $m = m_x \omega_x$, სადაც ყველა პირობითი აღნიშვნები იგივეა, რაც წინა განყოფილებაში (საინდექსო მეთოდის შესახებ). დაუშვათ, რომ ჩვენ გვინდა მოკვდაობის ორი ან მეტი ზოგადი კოეფიციენტის შედარება და ამასთან დავადგინოთ თუ რამდენადაა ამ კოეფიციენტებს შორის განსხვავება განპირობებული (დინამიკაში ან სტატიკაში) მოკვდაობის დონეებს შორის განსხვავებით და რამდენად – შესადარებელი მოსახლეობების (ან მოსახლეობის, თუკი ირკვევა ერთი და იგივე მოსახლეობის მოკვდაობის დონეთა ცვლილება დინამიკაში) ასაკობრივ სტრუქტურათა განსხვავებით. ამასთან, შეგახსენებთ, რომ პირობის მიხედვით არც ერთი ასაკობრივი სტრუქტურა არაა ჩვენთვის ცნობილი. ამ აბზაცის დასაწყისში მოტანილი ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს: $m^{სბ} = m_x \omega_x^0$, სადაც $m^{სბ}$ – მოკვდაობის სტანდარტიზებული ზოგადი კოეფიციენტია; m_x – მოკვდაობის ფაქტიური ასაკობრივი კოეფიციენტებია; ω_x^0 – სტანდარტად მიღებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაა (ან როგორც ამბობენ „სტანდარტ-მოსახლეობა“).

ახლა განვიხილოთ მოკვდაობის კოეფიციენტების სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდის გამოყენება იმავე მაგალითზე, რომელიც წინა პარაგრაფში საინდექსო მეთოდის დემონსტრირებისას იყო გამოყენებული. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ შესაძლებელი იყოს ერთი და იგივე მიზნისათვის გამოყენებული სხვადასხვა მეთოდების შედეგთა შედარება (ცხრილი 6.3).

ახლა გამოვთვალოთ რუსეთში 1990-1995 წლებში არსებული მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ინდექსები. ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტების დინამიკის ინდექსი უკვე ცნობილია წინა განყოფილებიდან. იგი უდრის:

$$J_{\omega}^{სბ} = \frac{15,0}{11,2} = 1,339$$

მოკვდაობის სტანდარტული კოეფიციენტის დინამიკის ინდექსი სხვაგვარი იქნება:

$$J^{სბ} = \frac{15,9144}{12,5510} = 1,2680$$

1990-1995 წლებში რუსეთის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი
კოეფიციენტების დინამიკის სტანდარტიზაცია პირდაპირი მეთოდით

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები m_x (‰)		სტანდარტად მიღებული 1989 წლის აღწერით უკრაინის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა w_x^o (ერთეულის ხვედრით წილებში)	$m_x \times w_x^o$	
	1990	1995		1990	1995
0-4	3,9	4,1	0,0737	0,2874	0,3022
5-9	0,5	0,6	0,0718	0,0359	0,0431
10-14	0,4	0,5	0,0703	0,0281	0,0352
15-19	1,1	1,6	0,0690	0,0759	0,1104
20-24	1,7	2,7	0,0652	0,1108	0,1760
25-29	2,1	3,4	0,0769	0,1615	0,2615
30-34	2,7	4,6	0,0758	0,1819	0,3487
35-39	3,6	6,3	0,0727	0,2617	0,4580
40-44	5,0	8,9	0,0526	0,2630	0,4681
45-49	7,6	12,3	0,0626	0,4758	0,7700
50-54	10,3	17,1	0,0720	0,7416	1,2312
55-59	15,2	21,4	0,0574	0,8725	1,2284
60-64	22,0	29,7	0,0628	1,3816	1,8652
65-69	29,6	39,2	0,0393	1,1633	1,5406
70-74	45,7	51,3	0,0275	1,2568	1,4108
75-79	71,6	78,2	0,0277	1,8983	2,1661
80-84	114,4	123,2	0,0150	1,7160	1,8480
85+	201,8	214,4	0,0077	1,5539	1,6509
სულ	11,2	15,0	1,0000	12,5510	15,9144

მართალია ამოცანის პირობის თანახმად ჩვენთვის არაა ცნობილი ასაკობრივი სტრუქტურა შესასწავლი პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკაზე მისი გავლენის გაგება. ამისათვის წინა განყოფილებიდან გავისენოთ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკის სამი ინდექსის ურთიერთკავშირი: $J^m = J^{mx} \times J^{\omega x}$, ე.ი. მოკვდაობის ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტების დინამიკის ინდექსი უდრის ორი ინდექსის ნამრავლს, რომელთაგან პირველი ახასიათებს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის ცვლილებას, რეალურად მოკვდაობის ცვლილების ხარჯზე, ხოლო მეორე ინდექსი – კი იმავე მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის ცვლილებას მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე. ამრიგად, ზემოთ მოტანილი სამი ინდექსის ურთიერთკავშირის განმსაზღვრელი განტოლების ორი ცნობილი ელემენტით ძნელი არაა მესამე ინდექსის გამოთვლა:

$$\frac{J^m}{J^{mx}} = J^{\omega x}$$

აქედან:

$$\frac{1,339}{1,268} = 1,056$$

საბოლოო დასკვნა: რუსეთში მოსახლეობის მოკვდაობის დონე 1990-1995 წლებში გაიზარდა 26,8%-ით (და არა 3,9%-ით, როგორც მოწმობს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილება) და კიდევ ზრდის 5,6% - არის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების (დაბერების) შედეგი. კოეფიციენტების სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდით მიღებული შედეგები რამდენადმე განსხვავდებიან საინდექსო მეთოდის დახმარებით მიღებული ანალოგიური შედეგებისაგან. ეს გაანგარიშებათა უხეში მიახლოებებითობის ბრალია. მაგრამ განსხვავება დიდი მაინც არაა.

ახლა განვიხილოთ მოკვდაობის კოეფიციენტების სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდის გამოყენება იმავე მაგალითზე, რომელიც წინა პარაგრაფში საინდექსო მეთოდის დემონსტრირებისას იყო გამოყენებული. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ შესაძლებელი იყოს ერთი და იგივე მიზნისათვის გამოყენებული სხვადასხვა მეთოდების შედეგთა შედარება (ცხრილი 6.3^ა).

1995-1999 წლებში საქართველოს მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი
კოეფიციენტების დინამიკის სტანდარტიზაცია პირდაპირი მეთოდით

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები m_x (‰)		სტანდარტად მიღებული 1989 წლის აღწერით უკრაინის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა w_x^o (ერთეულის ხვედრით წილებში)	$m_x \times w_x^o$	
	1995	1999		1995	1999
0-4	3,2	3,2	0,0737	0,2358	0,2358
5-9	0,2	0,2	0,0718	0,0144	0,0144
10-14	0,2	0,2	0,0703	0,0141	0,0141
15-19	0,4	0,3	0,0690	0,0276	0,0207
20-24	0,9	0,6	0,0652	0,0587	0,0391
25-29	1,3	0,9	0,0769	1,0000	0,0692
30-34	1,5	1,2	0,0758	0,1137	0,0910
35-39	2,0	1,8	0,0727	0,1454	0,1309
40-44	2,9	2,5	0,0526	0,1525	0,1325
45-49	4,0	3,5	0,0626	0,2504	0,2191
50-54	5,9	5,2	0,0720	0,4248	0,3744
55-59	8,6	6,9	0,0574	0,4936	0,3961
60-64	12,9	13,3	0,0628	0,8101	0,8352
65-69	19,9	21,3	0,0393	0,7821	0,8371
70-74	29,4	33,6	0,0275	0,8085	0,9240
75-79	49,0	51,3	0,0277	1,3573	1,4210
80-84	71,6	69,4	0,0150	1,0740	1,0410
85+	103,4	89,5	0,0077	0,7962	0,6892
სულ	7,0	7,7	1,0000	8,5592	7,4838

ახლა გამოვთვალოთ საქართველოში 1995-1999 წლებში არსებული მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ინდექსები. ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტების დინამიკის ინდექსი უკვე ცნობილია წინა განყოფილებიდან. იგი უდრის:

$$J_{\text{ფაქტ}} = \frac{7,7}{7,0} = 1,100$$

მოკვდაობის სტანდარტული კოეფიციენტის დინამიკის ინდექსი სხვაგვარი იქნება:

$$J_{\text{სტ}} = \frac{7,4838}{8,5592} = 0,874$$

მართალია ამოცანის პირობის თანახმად ჩვენთვის არაა ცნობილი ასაკობრივი სტრუქტურა შესასწავლი პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკაზე მისი გავლენის გაგება. ამისათვის წინა განყოფილებიდან გავიხსენოთ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკის სამი ინდექსის ურთიერთკავშირი: $J^m = J^{mx} \times J^{\omega x}$, ე.ი. მოკვდაობის ფაქტიური ზოგადი კოეფიციენტების დინამიკის ინდექსი უდრის ორი ინდექსის ნამრავლს, რომელთაგან პირველი ახასიათებს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის ცვლილებას, რეალურად მოკვდაობის ცვლილების ხარჯზე, ხოლო მეორე ინდექსი – კი იმავე მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის ცვლილებას მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე. ამრიგად, ზემოთ მოტანილი სამი ინდექსის ურთიერთკავშირის განმსაზღვრელი განტოლების ორი ცნობილი ელემენტით ძნელი არაა მესამე ინდექსის გამოთვლა:

$$\frac{J^m}{J^{mx}} = J^{\omega x}$$

აქედან:

$$\frac{1,100}{0,874} = 1,259$$

საბოლოო დასკვნა: საქართველოში მოსახლეობის მოკვდაობის დონე 1995-1999 წლებში 10,0%-ით კია არ გაზრდილა, როგორც ამას მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ცვლილება მოწმობს, არამედ ფაქტიურად შემცირდა ($1-0,874=0,126$) 12,6%-ით, თუმცა იმავე დროს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებების (დაბერების) გამო იგი 25,9%-ით გაიზარდა. კოეფიციენტების სტანსარტიზაციის პირდაპირი მეთოდით მიღებული შედეგები რამდენადმე განსხვავდებიან საინდექსო მეთოდის დახმარებით მიღებული ანალოგიური შედეგებისაგან. ეს განგარნიშებათა უხეში მიხედვებითობის ბრალია. მაგრამ განსხვავება დიდი მაინც არ არაა.

6.4.2. სტანდარტიზაციის ირიბი მეთოდი

თუკი მკვლევარის განკარგულებაშია მონაცემები მოსახლეობის შესადარი ერთობლიობების სტრუქტურათა შესახებ, მაგრამ არაა ცნობილი მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები და არ არის საწყისი მონაცემებიც მათი გაანგარიშებისთვის, მაშინ კოეფიციენტების სტანდარტიზაცია შესაძლებელია მოვახდინოთ ირიბი მეთოდით. ამ შემთხვევაში სტანდარტად მიიღება რომელიმე მოსახლეობის ასაკობრივი კოეფიციენტები, რომლებიც შეიძლება ვიპოვოთ სტატისტიკურ კრებულებში.

ამ მეთოდის გამოყენებისას სტანდარტიზაცია ხდება ირიბად, ე.ი. ჩვენ ვსვამთ კითხვას, როგორი იქნებოდა გარდაცვლილთა მთლიანი რიცხვი თუკი მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები ყველა შესადარ ჯგუფში ერთიანი იქნებოდა და სწორედ ისეთი, როგორიც სტანდარტ-მოსახლეობაში (ე.ი. სტანდარტად მიღებულ მოსახლეობაში). ეს მსჯელობა შეიძლება გამოვსახოთ ფორმულის სახით:

$$M = \sum M_x = \sum P_x \cdot m_x$$

ანუ, თუ ამ ფორმულას სიტყვებით მოვყვებით, იგი აღნიშნავს: გარდაცვლილთა მთლიანი რიცხვი M , უდრის ყველა ასაკობრივ ჯგუფებში გარდაცვლილთა ჯამს $\sum M_x$, რომელიც თავის მხრივ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რიცხოვნობის, მოკვდაობის შესაბამის ასაკობრივ კოეფიციენტებზე ნამრავლთა ჯამის სახით. პირობის თანახმად ჩვენთვის ცნობილია მოსახლეობის შესადარი ჯგუფების ასაკობრივი სტრუქტურა, მაგრამ არაა ცნობილი მათი მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები. ამიტომ ვცვლით უცნობ, მოკვდაობის ფაქტიურ ასაკობრივ კოეფიციენტებს, ნებისმიერად შერჩეულებით (ცნობარიდან ნებისმიერი მოსახლეობის მონაცემებს, რომლის შესახებაც აპრიორი ვიცით, რომ მისი ასაკობრივი მოკვდაობა ძალიან არ განსხვავდება შესადარ მოსახლეობათა მოკვდაობებისაგან). სტანდარტად მიღებული მოსახლეობის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების გამოყენებით ვღებულობთ ე.წ. გარდაცვლილთა პირობით რიცხვებს, ე.ი. გარდაცვლილთა რიცხვს, როგორც ისინი იქნებოდნენ იმ პირობებში თუ მოსახლეობის ყველა შესადარ ჯგუფში ასაკობრივი მოკვდაობა ისეთივე იქნებოდა როგორც სტანდარტად მიღებულ მოსახლეობაში. ფორმულის სახით ეს შეიძლება ასეთნაირად გამოვსახოთ $M^0 = \sum P_x \cdot m_x^0$, სადაც M^0 - გარდაცვლილთა პირობითი რიცხვია, P_x - შესადარი მოსახლეობის ფაქტიური ასაკობრივი სტრუქტურა, და m_x^0 - სტანდარტად

მიღებული მოსახლეობის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებია. შემდგომ, თითოეულ მოსახლეობაში გარდაცვლილთა ფაქტიური რიცხვის შედარებით ამ მოსახლეობის შესაბამის გარდაცვლილთა პირობით რიცხვთან, ვღებულობთ ინდექსს, რომელიც გვიჩვენებს თუ შესადარ მოსახლეობაში (ან მოსახლეობის ჯგუფში) ფაქტიური ასაკობრივი მოკვდაობა რამდენად განსხვავდება სტანდარტ-მოსახლეობის მოკვდაობისაგან. ამ ინდექსის სტანდარტ-მოსახლეობის მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტზე (m^0) გამრავლებით, მივიღებთ ყოველი შესადარი მოსახლეობისათვის მოკვდაობის სტანდარტიზებულ კოეფიციენტებს. საბოლოოდ უფრო მოხერხებულია, ჩვენი მსჯელობა გამოვსახოთ შემდეგი ფორმულით:

$$m^{st} = m_x^0 \times \frac{\sum P_x \times m_x}{\sum P_x \times m_x^0} = m_x^0 \times \frac{M}{\sum P_x \times m_x^0} \quad (6.8.)$$

სადაც m^{st} -მოკვდაობის სტანდარტიზებული ზოგადი კოეფიციენტი; P_x – შესადარი მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფებია; M – შესადარ მოსახლეობაში გარდაცვლილთა საერთო რიცხვია; m_x^0 – სტანდარტად მიღებული მოსახლეობის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებია. და m^0 – სტანდარტად მიღებული მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი.

მაგრამ მოკვდაობის დონეთა შედარებისათვის მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტების გაანგარიშება რეალურად აუცილებელი არაა. ეს ალბათ უფრო ჩვევაა, ჩვენი სურვილის დაკმაყოფილებაა, რომ მოკვდაობის კოეფიციენტები ჩვეულებრივი ფორმით დავინახოთ. მაგრამ ეს ჩვევა უწყინარი არაა, რადგანაც ანალიტიკოსებს აიძულებს, რომ სტანდარტიზებული კოეფიციენტები ახსნან ფაქტიურის ანალოგიურად. ასეთ შემთხვევაში ხშირად ასე მსჯელობენ: „ფაქტიური კოეფიციენტები პროცესს არასწორად ზომავენ, რადგანაც მათი სიდიდე დამოკიდებულია ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებებზე. ხოლო სტანდარტიზებული კოეფიციენტები (მათი სიდიდე) დემოგრაფიული პროცესების დონეს სწორად ასახავენ, რადგანაც ისინი თავისუფალია ასაკობრივი სტრუქტურის გავლენისაგან“. ამასთან, სტანდარტიზებული კოეფიციენტის სიდიდე **სრულებითაც არ ახასიათებს** მოკვდაობის დონეს. თავისთავად იგი პირობითია. **არ გააჩნია არავითარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა** (იგი ხომ დიდაა დამოკიდებული სტანდარტ-მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებებზე).

ამიტომ სრულებით საკმარისია შემოვიფარგლოთ გარდაცვლილთა ფაქტიური პირობითი რიცხვების გამომსახველი ინდექსების გაანგარიშებით და უკვე შემდგომ ამ ინდექსების ერთმანეთს შორის შედარებით. ეს მსჯელობა ფორმულის სახით წარმოვიდგინოთ:

$$J_{ms}^{\text{სტ}} = \frac{M^2}{\sum P_x^2 \times m_x^0} \times \frac{\sum P_x^1 \times m_x^0}{M^1} \quad (6.9.)$$

სადაც ყველა პირობითი აღნიშვნა წინა ფორმულიდანაა ცნობილი. მსგავსი გამარტივებით გაანგარიშება მხოლოდ უფრო ზუსტი გახდება (დამრგვალებათა რიცხვის შემცირების გამო).

მაგალითისათვის, შევადაროთ რუსეთის ვაჟთა და ქაღთა სქესის მოსახლეობის 1995 წლის მოკვდაობის დონეები¹ (ცხრილი 6.4.). 1995 წელს რუსეთში ვაჟთა და ქაღთა სქესის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები შესაბამისად შეადგენდნენ 16,9 და 13,3‰-ს. აქედან განვსაზღვრავთ, რომ ვაჟების მოკვდაობის დონე ქაღებისაზე მეტია

$$\frac{16,9}{13,3} = 1,271\text{-ჯერ, ანუ } 27,1\%\text{-ით.}$$

ეს ცოტა არაა, მაგრამ ასეთ სხვაობაზე შეიძლებოდა დათანხმება. მაგრამ ჩვენ ვხვდებით, რომ სწორედ ქაღთა სიცოცხლის უფრო მაღალი ხანგრძლივობის გამო ვაჟებთან შედარებით მათი ასაკობრივი სტრუქტურა საშუალოდ უფრო უფროსია ვაჟთა სქესის მოსახლეობის ანალოგიურ სტრუქტურასთან შედარებით. მოკვდაობის კოეფიციენტების სტანდარტიზაცია საშუალებას იძლევა მოვხსნათ (ელიმინირება გავუკეთოთ) ვაჟთა და ქაღთა მოსახლეობის განსხვავებული ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტების სიდიდეზე,

1. შეიძლებოდა „გაგვეგრძელებინა ტრადიცია“ და სტანდარტიზაციის ირიბი მეთოდის გამოყენება გვეჩვენებინა 1990-1995 წლებში რუსეთში მოკვდაობის დონის დინამიკის მაგალითზე, რომელიც უკვე გამოიყენებოდა საინდექსო მეთოდისა და კოეფიციენტების სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდის დემონსტრირებისათვის. მაგრამ ჩვენ იმით შემოვიფარგლებით, რომ მე გაგაცნობთ ჩემს მიერ განხორციელებული გაანგარიშების შედეგს, რომელიც ბუნებრივია ცოტათი განსხვავდება სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდით მიღებული შედეგისაგან. შეგახსენებთ, რომ სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდით ჩვენ დავადგინეთ, რომ 1990-1995 წლებში რუსეთში მოკვდაობის დონე გაიზარდა 26,8%-ით და არა 33,9%-ით, როგორც შეიძლებოდა გვემსჯელა ფაქტიური კოეფიციენტების მიხედვით. ირიბი მეთოდის მეშვეობით ჩვენ ვღებულობთ მოკვდაობის დონის ზრდას 30,1%-ით. შედეგებს შორის განსხვავება შეიძლება აიხსნას რიცხვების დამრგვალებათა გამო გაანგარიშებათა უხეშობით.

ცხრილი 6.4.

1995 წელს რუსეთის ვაჟთა და ქაღთა მოსახლეობის მოკვდობის ზოგადი კოეფიციენტების სტანდარტიზაცია ირიბი მეთოდით

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	მოსახლეობის რიცხოვნობა 1995 წლის შუა ხანებში-სათვის (ათასი კაცი) P_x		სტანდარტ-მოსახლეობის მოკვდობის ასაკობრივი კოეფიციენტები პრომილებში m_x^o	გარდაცვლილთა პირობითი რიცხვი $P_x \times m_x$	
	ვაჟები	ქალები		ვაჟები	ქალები
0-4	3892	3693	4,1	15957	15141
5-9	5856	5606	0,6	3514	3364
10-14	6059	5861	0,5	3030	2931
15-19	5525	5367	1,6	8840	8587
20-24	5275	5042	2,7	8440	8067
25-29	4896	4632	3,4	16646	15749
30-34	5728	5641	4,6	26349	25949
35-39	6396	6477	6,3	40295	40805
40-44	5838	6081	8,9	51958	54121
45-49	4755	5134	12,3	58487	63148
50-54	2462	2888	17,1	42100	49385
55-59	4308	5460	21,4	92191	116844
60-64	2861	3965	29,7	84972	117761
65-69	2906	4764	39,2	113915	186749
70-74	1279	3298	51,3	65613	169187
75-79	600	1808	78,2	46920	141386
80-84	436	1629	123,2	53715	200693
85+	217	974	214,4	46525	208826
სულ	69289	78320	15,0	779467	1428192

ასე ვთქვათ, ამ მხრივ გაავათანაბროთ ისინი. ფორმულის მიხედვით საბოლოო გაანგარიშება შემდეგნაირი იქნება:

$$J_{\text{მბ}} = \frac{1\,197\,048}{779\,467} \times \frac{1\,428\,193}{1\,055\,541} = 1,536 \times 1,353 = 2,078$$

გაანგარიშების შედეგი გვიჩვენებს, რომ რეალურად ვაუების მოკვდაობა 27,1%-ით მეტი კი არ არის ვიდრე ქალების მოკვდაობა, არამედ 2,1-ჯერ მაღალია. ეს კი უკვე აშკარად შორს მიმავალი და მრავალგვარი დემოგრაფიული და სხვა სოციალური შედეგების მქონე სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმართლებელი და შეუწყნარებელი სხვაობაა.

მაგალითისათვის, შევადაროთ საქართველოს ვაუთა და ქალთა სქესის მოსახლეობის 1999 წლის მოკვდაობის დონეები. (ცხრილი 6.4^ა). 1999 წელს საქართველოში ვაუთა და ქალთა სქესის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები შესაბამისად შეადგენდნენ 8,1 და 7,3‰-ს. აქედან განვსაზღვრავთ, რომ ვაუების მოკვდაობის დონე ქალებისაზე მეტია

$$\frac{8,1}{7,1} = 1,110\text{-ჯერ, ანუ } 11,0\%\text{-ით.}$$

ეს ცოტა არაა, მაგრამ ასეთ სხვაობაზე შეიძლება დათანხმება. მაგრამ ჩვენ ვხვდებით, რომ სწორედ ქალთა სიცოცხლის უფრო მაღალი ხანგრძლივობის გამო ვაუებთან შედარებით მათი ასაკობრივი სტრუქტურა საშუალოდ უფრო უფროსია ვაუთა სქესის მოსახლეობის ანალოგიურ სტრუქტურასთან შედარებით. მოკვდაობის კოეფიციენტების სტანდარტიზაცია საშუალებას იძლევა მოვხსნათ (ელიმინირება გაუქმეთოთ) ვაუთა და ქალთა მოსახლეობის განსხვავებული ასაკობრივი სტრუქტურის გავლენას მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების სიდიდეზე, ასე ვთქვათ ამ მხრივ გაავათანაბროთ ისინი. ფორმულის მიხედვით საბოლოო გაანგარიშება შემდეგნაირი იქნება:

$$J_{\text{მბ}} = \frac{20\,302}{34\,358} \times \frac{51\,905}{20\,076} = 0,591 \times 2,585 = 1,528$$

გაანგარიშების შედეგი გვიჩვენებს, რომ რეალურად ვაუების მოკვდაობა 11,0%-ით მეტი კი არ არის ვიდრე ქალების მოკვდაობა, არამედ 1,5-ჯერ მაღალია. ეს კი უკვე აშკარად შორს მიმავალი და მრავალგვარი დემოგრაფიული და სხვა სოციალური შედეგების მქონე სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმართლებელი და შეუწყნარებელი სხვაობაა.

ცხრილი 6.4^ა

1999 წელს საქართველოში ვაჟთა და ქაღთა მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების სტანდარტიზაცია ირიბი მეთოდით

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	მოსახლეობის რიცხოვნობა 1999 წლის შუა ხანებში-სათვის (ათასი კაცი) P_x		სტანდარტ-მოსახლეობის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები პრომილებში m_x^o	გარდაცვლილთა პირობითი რიცხვი $P_x \times m_x$	
	ვაჟები	ქაღები		ვაჟები	ქაღები
0-4	135,0	119,1	4,1	554	488
5-9	197,2	186,7	0,6	118	112
10-14	222,4	212,7	0,5	112	106
15-19	210,4	202,5	1,6	337	324
20-24	203,9	195,9	2,7	551	529
25-29	193,0	178,8	3,4	656	608
30-34	186,6	199,6	4,6	858	918
35-39	203,4	224,7	6,3	1281	1416
40-44	178,6	196,6	8,9	1590	1750
45-49	152,8	171,9	12,3	1879	2114
50-54	106,7	122,8	17,1	1825	2100
55-59	117,9	143,5	21,4	2523	3071
60-64	133,2	157,0	29,7	3956	4663
65-69	107,2	134,9	39,2	4202	5288
70-74	89,1	127,9	51,3	4571	6561
75-79	34,9	70,5	78,2	2729	5513
80-84	18,2	46,7	123,2	2242	5753
85+	20,4	49,4	214,4	4374	10591
სულ	2510,9	2741,2	15,0	34358	51905

ამ განყოფილების ბოლოს მინდა ყურადღება მივაპყრო კოეფიციენტების სტანდარტიზაციის მეთოდთან დაკავშირებულ ორ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას.

ჯერ ერთი, არ არსებობს სტანდარტ-მოსახლეობის შერჩევის (ამორჩევის) რაიმე ფორმალიზებული ხერხი. ეს კეთდება გამოცდილების საფუძველზე. შერჩევა მოსახლეობა – მისი პარამეტრები (ასაკობრივი სტრუქტურა სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდისას, ან მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები – ირიბი მეთოდისას) – რომელთა შესახებაც აპრიორი¹ ცნობილია, რომ იგი ამ პარამეტრით წააგავს იმ მოსახლეობებს, რომელთა დემოგრაფიული პროცესების (ნებისმიერი, არაა აუცილებელი მხოლოდ მოკვდაობის) დონეებიც ედარება ერთმანეთს. თუკი ედარება ასაკობრივი სტრუქტურით მკვეთრად განსხვავებული მოსახლეობები, მაშინ სტანდარტ-მოსახლეობის პარამეტრები ისეთნაირად შეირჩევა, რომ ისინი შესადარ მოსახლეობებს შორის საშუალონი იყვნენ (სავარაუდო ან სხვა ცნობილი წლებისათვის და ა.შ.).

მეორეც, აუცილებლად მიმაჩნია განმეორებით გაგაფრთხილო მკითხველი იმის შესახებ, რომ თავის თავად სტანდარტიზებული კოეფიციენტის სიდიდეს აქვს პირობითი ხასიათი, დამოკიდებულია შესარჩევ სტანდარტზე (სტანდარტ-მოსახლეობა), ამიტომ **მას არავითარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სტანდარტიზებულ კოეფიციენტებს შორის სხვაობას**, რომელიც იდეალში ნებისმიერი სტანდარტისას უცვლელი რჩება (მცირე განსხვავება შეიძლება იყოს, რიცხვების დამრგვალების ან სტანდარტ-მოსახლეობის არც თუ მოხერხებულად შერჩევის გამო გაანგარიშების უხეშობის შედეგი, თუკი იგი თავის მახასიათებლებით ძალიან ძლიერ განსხვავდება შესადარი მოსახლეობებისაგან).

1. აპრიორი (ლათ. a priori) – ცდისაგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე, იმთავითვე. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბ., „განათლება“, 1973. გვ. 34.

(ქართულად მთარგმნელის შენიშვნა)

6.5. მოკვდაობის ალბათური ცხრილები (უზრო ხშირად უბრალოდ მოკვდაობის ცხრილებად წოდებული)

ესაა მოკვდაობის დონის მდგომარეობისა და ტენდენციების ანალიზის ყველაზე სრულყოფილი ინსტრუმენტი. ისინი წარმოადგენენ ხალხის ასაკის ზრდის კვალობაზე გარდაცვალების ალბათობის ცვლილების დამახასიათებელ მაჩვენებელთა ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, ან პირიქით, გარკვეულ ასაკამდე მიღწევის ალბათობის ცვლილებას და აგრეთვე დაბადებულთა გარკვეული თაობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოკვდაობის ცხრილები აღწერენ თაობის ამოწყდომის თანმიმდევრობასა და სიჩქარეს.

მოკვდაობის ცხრილის (სვეტების) მაჩვენებლებია:

I_x – „ x “ ასაკის წლამდე მიღწეულთა რიცხვი;

d_x – „ x “ ასაკში (ე.ი. „ x “-დან „ $x+1$ “-მდე ასაკობრივ ინტერვალში) გარდაცვლილთა რიცხვი;

q_x – „ x “ ასაკში (ე.ი. „ x “-დან „ $x+1$ “-მდე ასაკობრივ ინტერვალში) გარდაცვალების ალბათობა;

p_x – „ x “ წლის ასაკს მიღწეულთათვის მომდევნო „ $x+1$ “ ასაკამდე მიღწევის ალბათობა;

L_x – „ x “ ასაკში ცოცხლად მყოფების რიცხვი („ x “-დან „ $x+1$ “-მდე ასაკობრივ ინტერვალში);

T_x – „ x “ და მეტ ასაკში ცოცხლად მყოფთა რიცხვი (მოცემული თაობისთვის მოსალოდნელი სიცოცხლის კაც-წელიწადების რიცხვი);

e_0 – მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ახალშობილთათვის;

e_x – მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა „ x “ ასაკს მიღწეულთათვის.

მოკვდაობის ცხრილებში თაობათა თავდაპირველ რიცხოვნობას (დაბადებულთა რიცხვი, მოკვდაობის ცხრილის ფუძე ანუ ფესვი), ღებულობენ დროში უცვლელს და ერთის ტოლად და თვალს ადევნებენ თუ ასაკიდან ასაკზე გადასვლისას 0-დან ზღვრულ ასაკამდე (100 ან 100-ზე ცოტა მეტი წელი) დაბადებულთა თავდაპირველი ერთობლიობა მოკვდაობის შედეგად 1-დან 0-მდე კლებულობს.

აქედან ცხადია, რომ მოკვდაობის ცხრილებში ყველა რიცხვი, დაბადებულთა 1-ის ტოლი რიცხვის გარდა, 1-ზე ნაკლებია, ე.ი. წილადია.

იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ ბევრ წილადურ რიცხვებს, პრაქტიკულ გაანგარიშებებში დაბადებულთა რიცხვს (ცხრილის ფუძე) გაანგარიშებათა სასურველი სიზუსტისაგან დამოკიდებულებით 100 000-ის ან 10 000-ის ტოლად დებულობენ, მაგრამ 10000-ზე არა ნაკლებს.

განასხვავებენ სრულ და მოკლე ცხრილებს. სრულ ცხრილებში ასაკობრივი ინტერვალები უდრის ერთ წელს, მოკლეში – ხუთ წელს. მიზანშეწონილია ცხრილების მაჩვენებელთა ურთიერთკავშირი განვიხილოთ სრული ცხრილების მაგალითზე. მათში „x“ ასაკიდან „x+1“ ასაკში გადასვლისას გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი l_x თანმიმდევრულად შემცირდება „x“ ასაკში გარდაცვლილთა რიცხვის სიდიდით, ე.ი. d_x -ით. მათემატიკურად ეს კავშირი შემდეგნაირად გამოიყურება:

$$l_{x+1} = l_x - d_x \quad (6.5.1)$$

თუკი თვალს გავადევნებთ მოკვდაობის ცხრილს ფუძიდან დაწყებული თაობათა ამოწმდობის ამ თანმიმდევრობას (წესს), მაშინ იგი შემდეგნაირად გამოისახება:

$$l_0 = 1 \text{ ანუ } 10\,000 \text{ ან უფრო ხშირად } 100\,000 - d_0 = l_1 - d_1 = l_2 - d_2 = l_3 \text{ და ა.შ.}$$

ზოგადი სახით ეს თანმიმდევრობა შეიძლება ასე ჩავწეროთ: $l_{x+1} = l_x - d_x$ (სრული ცხრილებისათვის) და $l_{x+n} = l_x - d_{x+n}$, სადაც n – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეა.

ყოველი დაბადებული ადრე თუ გვიან კვდება და საბოლოოდ გარდაცვლილთა რიცხვი (თითოეული თაობიდან, რომელთა რიცხვიც ჩვენ წინასწარ განვსაზღვრეთ) შეადგენს l_0 , ე.ი. დაბადებულთა რიცხვს, ანუ

$$l_0 = \sum_x^{\omega-1} d_x$$

სადაც $\omega-1$ – ესაა ზღვრული ასაკი, რომლამდეც ცოცხლობს დაბადებულთა თაობიდან უკანასკნელი ადამიანი. (6.5.1) ფორმულა შეიძლება სხვადასხვა გადაჯგუფებით იქნას გამოყენებული, მაგალითად:

$$l_x = l_{x+1} + d_x$$

$$d_x = l_x - l_{x+1} \text{ და ა.შ.}$$

აღბათობის თეორიის წესის მიხედვით „x“ ასაკში („x“-დან „x+1“-მდე ასაკობრივ ინტერვალში) გარდაცვალების ალბათობა q_x – განისაზღვრება, როგორც „x“ ასაკში გარდაცვლილთა რიცხვის d_x , შეფარდება ამ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვთან, ე.ი. l_x -თან. ფორმულის სახით ეს კავშირი შემდეგნაირად გამოიყურება:

$$q_x = \frac{d_x}{l_x} \quad (6.5.2.)$$

ფორმულიდან კარგად ჩანს, რომ გარდაცვალების ალბათობა q_x შეიძლება ავხსნათ როგორც „ x “ ასაკში გარდაცვლილთა ხვედრითი წილი „ x “ ასაკობრივი ინტერვალის დაწყებამდე მიღწეულთა რიცხვიდან.

პირიქით, „ $x+1$ “ ასაკამდე მიღწევის ალბათობა – p_x , იმათვის ვინც მიაღწია „ x “ ასაკამდე („ x “ ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისამდე), განისაზღვრება როგორც „ $x+1$ “ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვის შეფარდება „ x “ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვთან („ x “ ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისამდე). ეს კავშირი ჩაეწეროს ფორმულის სახით:

$$p_x = \frac{l_{x+1}}{l_x} \quad (6.5.3.)$$

აქედან შეიძლება, ისევე როგორც წინა ფორმულაში, დავინახოთ, რომ გარკვეულ ასაკამდე მიღწევის ალბათობა სხვა არაფერია თუ არა, იმათი ხვედრითი წილი, ვინც „ x “ ასაკს მიღწეულთაგან „ x “-ზე მეტი წელი იცოცხლა.

(6.5.2) და (6.5.3) ფორმულები ისევე როგორც (6.5.1), გამოიყენება სხვადასხვანაირად გარდაქმნილი სახით, მაგალითად:

$$l_{x+1} = l_x \cdot p_x$$

$$d_x = l_x \cdot q_x \quad \text{და ა.შ.}$$

რადგანაც ჩვენ განვიხილავთ მოკვდაობას ამიტომ ერთი ასაკობრივი ინტერვალის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთი აღტერნატივა, ან გადავაბიჯოთ ამ ასაკობრივ ინტერვალს და მშვიდობიანად აღვნიშნოთ მომდევნო დაბადების დღე ან სამწუხაროდ ვერ მივაღწევთ მას. სხვაგვრად რომ ვთქვათ, მომდევნო ასაკამდე მიღწევის, ან გარდაცვალების ალბათობათა ჯამი უდრის ერთს, რაც შეიძლება გამოვსახოთ ფორმულის სახით:

$$q_x + p_x = 1 \quad (6.5.4.)$$

ეს უმარტივესი ფორმულა ძალიან გამოსადეგია ხოლმე, რადგანაც ორიდან ერთ-ერთი ალბათობის ცოდნის შემთხვევაში ყოველთვის ადვილია მეორის პოვნა (ერთიანიდან გამოკლებით).

მოკვდაობის ცხრილის ფუძიდან გარკვეულ ასაკამდე მიღწეულია რიცხვის კანონზომიერ შემცირებაზე დაკვირვების დაწყებით, მალე შევამჩნევთ, რომ: $l_1 = l_0 \cdot p_0$.

თუკი ცხრილის ფუძე $l_0=1$, მაშინ ბუნებრივია ფორმულაში შეიძლება l_0 -ის გამოტოვება და იგი მიიღებს სახეს $l_1=p_0$.

შემდეგ იმავე ლოგიკის მიხედვით $l_2=l_1 \cdot p_1$. l_1 -ის ნაცვლად ჩავსვათ მისი მნიშვნელობა წინა ფორმულიდან ($l_1=p_0$). მივიღებთ $l_2=p_0 \cdot p_1$. შემდეგ $p_3=l_2 \cdot p_2=p_0 p_1 p_2$ და ა.შ. აქედან ჩანს, რომ გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი – სხვა არაფერია თუ არა გარკვეულ ასაკამდე მიღწევის ალბათობათა ნამრავლი, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი თავადაც ალბათობაა, ალბათობა **ახალშობილისათვის**, რომ მიადწიოს „x“ ასაკამდე. განზოგადებული სახით ეს კავშირი შეიძლება ასეც ჩავწეროთ:

$$l_x = p_0 p_1 p_2 \times \dots \times p_{x-1} \quad (6.5.5)$$

რადგანაც პრაქტიკულ გაანგარიშებებში მოკვდაობის ცხრილის ფუძე მიიღება არა 1-ად, არამედ 10 000, ხოლო უფრო ხშირად კი 100 000-ად, ამიტომ არ გვიწევს l_0 -ის გამოტოვება და (6.5.5.) ფორმულა გამოისახება შემდეგი სახით:

$$l_x = l_0 p_0 p_1 p_2 \times \dots \times p_{x-1}$$

აქ მგონი დროა ვთქვათ, რომ მოკვდაობის ცხრილებში არაა არც ერთი გარკვეულ ასაკამდე მიღწეული, ან მომაკვდავი. საერთოდ – არც ერთი ადამიანი. მხოლოდ სიკვდილია სუფთა სახით. მხოლოდ ალბათობები და ხვედრითი წილები. ამაშია მათი დიდი უპირატესობა მოკვდაობის დონის სხვა საზომებთან შედარებით, რადგანაც ადამიანის არ ყოფნისას არაა არც მოკვდაობის ცხრილის მაჩვენებელთა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე დამოკიდებულება. სახელწოდებები „გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი“, „მომაკვდავთა რიცხვი“ – სხვა არაფერია, თუა არა პირობითი სახელწოდებები.

გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი l_x -ის თანმიმდევრული ცვლილება გრაფიკულად წარმოადგენს **ამოწყდომის წესის დამახასიათებელ გარკვეულ ასაკამდე მიღწევის ხაზს**. რაც უფრო დაბალია მოკვდაობის დონე, დაბადებულთა (თაობის) რაც უფრო მეტი ხვედრითი წილი აღწევს უფროს ასაკამდე, მით უფრო ამობურცული ფორმის იქნება გარკვეულ ასაკამდე მიღწევის მრუდი (იხ. ნახ. 6.4).

ცოცხლად მყოფთა რიცხვი. მოკვდაობის ცხრილებში გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვები გვიჩვენებენ ასაკის ყოველი მომდევნო წლის დასაწყისამდე ცოცხლად დარჩენილთა ხვედრით წილს, ე.ი. „x“ წლის ასაკამდე ცოცხლად რჩება l_x თაობის ნაწილი, „x+1“ ასაკამდე – l_{x+1} ნაწილი და ა.შ.

მაგრამ რეალურად ერთი ასაკიდან მომდევნო ასაკზე გადასვლისას თაობის რიცხოვნობა განუწყვეტლივ მცირდება. ამიტომ „x“ ასაკში მცხოვრებთა რიცხვი არის რაღაც საშუალო სიდიდე გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა L_x და L_{x+1} რიცხვებს შორის. ასაკის ყოველი წელი, რომ დავყოთ დროის უსასრულოდ მცირე მონაკვეთებად და დიფერენციალური აღრიცხვის დახმარებით განვსაზღვროთ ცოცხალთა საშუალო სიდიდე ყოველ ასეთ უმცირეს ინტერვალში, მაშინ ცოცხლად მყოფთა რიცხვის ცვლილება განისაზღვრება ასეთი საშუალების ინტეგრირების გზით. რეალობაში ინტეგრირება იცვლება შეჯამებით.

პრაქტიკაში ჩვენ არ გაგვაჩნია გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი L_x წელიწადზე ნაკლები ასაკობრივი ინტერვალისათვის. ამიტომ საშუალო ასაკებისათვის, რომლებშიც გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი თითქმის სწორხაზოვნად იცვლება, ცოცხლად მყოფთა რიცხვი გაიანგრაიშება როგორც საშუალო არითმეტიკული სიდიდე გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა ორი რიცხვიდან, ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისისა და დასასრულისათვის ე.ი.

$$L_x = \frac{L_x + L_{x+1}}{2} \quad (6.5.6.)$$

გარკვეულ ასაკამდე მიღწევის მრუდის იმავე უბანზე, სადაც მისი სიმრუდე მნიშვნელოვანია, ცოცხლად მყოფთა რიცხვს განსაზღვრავენ ფორმულით, რომელიც ითვალისწინებს ამ სიმრუდეს:

$$L_x = \frac{d_x}{m_x} \quad (6.5.7.)$$

სადაც d_x – გარდაცვლილთა რიცხვია მოკვდაობის ცხრილებში; m_x – იმავე მოსახლეობის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებია, რომლისთვისაც იგებოდა მოკვდაობის ცხრილები.

ჩვეულებრივ (6.5.7.) ფორმულით ანგარიშობენ გარკვეულ ასაკამდე მიღწევის მრუდის ყველა უბნისათვის ცოცხლად მყოფთა რიცხვს, გარდა ბავშვთა ყველაზე პირველი ასაკებისა, რომელთათვისაც იყენებენ სპეციალურ ფორმულებს (ჩვენ მათ მოკვდაობის მოკლე ცხრილების აგებისას მოგვიანებით გავეცნობით).

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ცოცხლად მყოფთა რიცხვი შეიძლება ისევე ავსხნათ როგორც მთელი თაობის მიერ „x“ ასაკობრივ

ინტერვალში ნაცოცხლები კაც-წელიწადების რიცხვი. მაშინ შესაბამისად დაბადებულთა თაობა l_0 სიცოცხლის პირველ წელს (ე.ი. 0-წლის ასაკში) იცოცხლებს L_0 წელს, მეორე წელს – L_1 წელს, მესამე წელს – L_2 წელს და ა.შ. სულ მთლიანად კი:

$$\sum_{x=0}^{\omega-1} L_x = T_0 \quad (6.5.8.)$$

სადაც T_0 – კაც-წელიწადების რიცხვია, რომელიც მოელის რომ იცოცხლოს დაბადებულთა მოცემულმა თაობამ.

თუკი კაც-წელიწადების ამ ჯამს გავეყოფთ თაობის თავდაპირველ რაოდენობაზე, ე.ი. დაბადებულთა რიცხვზე l_0 , მაშინ მივიღებთ ძალიან მნიშვნელოვან სოციალურ მაჩვენებელს, რომელსაც ეწოდება მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი.

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა¹ – ესაა წლების ის რიცხვი, რომელსაც იცოცხლებს ერთი ადამიანი დაბადებულთა მოცემული თაობიდან იმ პირობით, რომ მთელი ამ თაობის სიცოცხლის განმავლობაში ყოველ ასაკობრივ ჯგუფში მოკვდაობა უცვლელად დარჩება საანგარიშო პერიოდის დონეზე.

მომავალი სიცოცხლის ხანგრძლივობა იანგარიშება ახალდაბადებულთათვის (ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბადებისას), და გარკვეულ „x“ ასაკს მიღწეულთათვისაც.

ორივე საშუალოს გაანგარიშება ფორმულის სახით შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ.

ახალშობილთათვის:

$$e_0 = \frac{T_0}{l_0} = \frac{\sum_{x=0}^{\omega-1} L_x}{l_0} = \sum_{x=0}^{\omega-1} L_x \quad (6.5.9.)$$

რადგანაც ახალშობილთათვის მომავალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაანგარიშებისას მოკვდაობის ცხრილის ფუძე $l_0=1$, იგი შეიძლება

1. ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში, აგრეთვე პროფესიულ ჟარგონზეც ამ მაჩვენებელს ხშირად უწოდებენ შემოკლებით – „სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას“, ანუ უბრალოდ „სიცოცხლის ხანგრძლივობას“. შესაძლოა ასეთი შემოკლება დასაშვებად მივიჩნიოთ, თუკი ამასთან სწორი წარმოდგენა გვექნება მაჩვენებლის არსზე.

გამოვტოვოთ და საბოლოოდ ეს მაჩვენებელი გამოისახება დაბადებიდან მის სრულ გაქრობამდე სიცოცხლის ინტერვალში ცოცხლად მყოფთა რიცხვის ჯამის სახით.

გარკვეულ „x“ ასაკს მიღწეული ხალხისათვის გაანგარიშება მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ „x“ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი წილადის მნიშვნელში უკვე ერთზე ნაკლებია და მისი გამოტოვება არ შეიძლება

$$e_x = \frac{T_x}{l_x} = \frac{\sum_{x=0}^{\omega-1} L_x}{l_x} \quad (6.5.10.)$$

6.6. მოკვდაობის მოკლე ცხრილების გაანგარიშება

მოკვდაობის დონის მდგომარეობის და ტენდენციის ანალიზისათვის ყველაზე ხშირად საკმარისია მოკვდაობის მოკლე ცხრილების, ე.ი. ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალებით, გამოყენება. მათი აგებისათვის საჭიროა გვექონდეს მოკვდაობის ხუთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტები ან ამ კოეფიციენტების გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემები. ჩვეულებრივ საკმარისია ცხრილის მხოლოდ ერთი l_x , q_x ან p_x სვეტის გაანგარიშება, ხოლო დანარჩენი სვეტები, L_x -ის გარდა იანგარიშება ზემოთ წარმოდგენილი მოკვდაობის ცხრილების მაჩვენებელთა ურთიერთკავირის საფუძველზე.

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების (m_x), გარდაცვალების ალბათობაზე (q_x) გადასვლისათვის ჩვეულებრივ გამოიყენება ორიდან ერთ-ერთი შემდეგი ფორმულა:

$$q = \frac{2 \times nm_x}{2 + nm_x} \quad (6.5.11.)$$

ან

$$q_x = 1 - e^{-nm_x} \quad (6.5.12.)$$

სადაც q_x – „x“ ასაკში გარდაცვალების ალბათობა; m_x – მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი; n – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძე.

ყველა დანარჩენი ფორმულა ზემოთაა ნაჩვენები.

მაგალითისათვის ავაგოთ მოკვდაობის მოკლე ცხრილი 1995 წელს რუსეთის ვაჟთა სქესის მოსახლეობისათვის და განვიხილოთ გაანგარიშების ალგორითმი (იხ. ცხრილი 6.5.).

1.(6.5.11.) და (6.5.12.) ფორმულებით გაანგარიშების ორი მეთოდიდან ამოვირჩიოთ მეორე მეთოდი – მაჩვენებლიანი ფუნქციით, რადგანაც იგი პირველზე უკეთესად, ითვალისწინებს გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვის l_x -ის ცვლილების სიმრუდეს. ამასთან, გარდაცვალების ალბათობა q_x -ის სვეტის ნაცვლად გავიანგარიშებთ მის ერთამდე დამატების სვეტს, ე.ი. მომდევნო ასაკამდე მიღწევის ალბათობას p_x -ს. ამ გზით ჩვენ თავიდან ავიცილებთ ერთიანიდან გამოკლებების ბევრ შემთხვევას.

2. მაგრამ თავდაპირველად საჭიროა მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები გავყოთ 1000-ზე (ე.ი. გადავიყვანოთ ისინი პრომილედან ერთიანის წილებში) და გადავამრავლოთ შესაბამისი ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეზე. პირველი ასაკობრივი ინტერვალისათვის 0 წელი მამრავლი იქნება 1-ის ტოლი, მეორესათვის 1-4 წელი – 4, ხოლო დანარჩენი ინტერვალისათვის – 5.

3.შემდეგ ნატურალური ლოგარითმის ფუნქცია „e“-ს, მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტის ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეზე გამრავლებით მიღებული ნამრავლის უარყოფით ხარისხში აყვანით ვპოულობთ გარკვეულ ასაკამდე მიღწევის ალბათობის სვეტის p_x -ის მნიშვნელობას (სვეტი 3. ცხრილი 6.5.).

4. შემდეგი სვეტია – გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვის „ l_x “ სვეტი. გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვის პირველი მნიშვნელობა 0 წლის ასაკისათვის – მოკვდაობის ცხრილის ფუნქცია 100000-ია (კონსტანტაა, რომელიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს). 100000-ის გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა ალბათობაზე¹ p_0 -ზე გამრავლებით მივიღებთ ერთ წლამდე მიღწეულთა რიცხვს l_1 -ს. l_1 -ის p_1 -ზე გამრავლებით მივიღებთ l_2 და ასე „85 წლის და მეტ ასაკამდე“ მიღწეულთა რიცხვის სვეტის ყველა მნიშვნელობა.

1. სამწუხაროდ წიგნის რუსულ დედანში გაპარულია უზუსტობა. „გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა ალბათობის“ ნაცვლად წერია, „გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი“.

5. შემდეგ d_x სვეტის მნიშვნელობებს გავიანგარიშებთ, როგორც სხვაობებს გარკვეულ ასაკს მიღწეულთა მეზობელ რიცხვებს შორის, ე.ი.

$$100\ 000 - l_1 = d_0; \quad l_1 - l_2 = d_1 \text{ და ა.შ.}$$

6. შემდეგ ვანგარიშობთ ცოცხლად მყოფთა რიცხვს. ყველა ასაკობრივი ინტერვალისათვის, გარდა პირველი ორი ადრეული საბავშვო ასაკისა, ცოცხლად მყოფთა რიცხვი იანგარიშება ფორმულით

$$L_x = \frac{d_x}{m_x}$$

პირველი ორი ასაკობრივი ინტერვალისათვის 0 და 1-4 – ცოცხლად მყოფთა რიცხვი ამ უბანზე გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვის მრუდის მკვეთრად მოღრეცილობის გამო სხვანაირად განისაზღვრება. ასე მაგალითად, 0-წლის ასაკში ცოცხლად მყოფთა რიცხვი განისაზღვრება განტოლებით¹:

$$L_0 = l_0 - \frac{2}{3} d_x$$

ცოცხლად მყოფთა რიცხვი შემდეგ საბავშვო ასაკში 1-4 წელი განისაზღვრება შემდეგი ფორმულიდან $4L_1 = 1,704l_1 + 2,533l_5 - 0,237l_{10}$. ცოცხლად მყოფთა რიცხვი ეგრეთწოდებულ ღია ასაკობრივ ინტერვალში, 85 და მეტი წელი განისაზღვრება ფორმულით

$$L_{85+} = \frac{l_{85}}{m_{85+}}$$

რადგანაც ყველა 85 წლამდე მიღწეული ადრე ან გვიან გარდაიცვლებიან ამ ასაკის შემდეგ $d_{85+} = l_{85}$.

7. „x“-ზე უფროს ასაკებში ცოცხლად მყოფთა რიცხვის სვეტის მნიშვნელობები – T_x მიიღება ცოცხლად მყოფთა რიცხვების L_x -ის შევსების გზით, **ჯამის, სვეტის ბოლოდან თავამდე თანმიმდევრული გაზრდით.**

8. ახლა „x“ და უფროს ასაკში ცოცხლად მყოფთა რიცხვის – T_x შესაბამისად გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვზე – L_x გაყოფით განისაზღვრება მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – e_x (სვეტი 8).

1. სამწუხაროდ წიგნის რუსულ დედანში გაპარულია კორექტურული უზუსტობა.

$$L_0 = l_0 - \frac{2}{3} d_x$$

ფორმულის ნაცვლად წერია, $L_0 = l_0 - 2/3 d_x$.

9. მე-9 სვეტში ნაჩვენებია რუსეთის სტატსახკომის გაანგარიშებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მნიშვნელობები ყველა ასაკისათვის, ხოლო მე-10 სვეტში კი სხვაობები ჩვენს მიერ მოკვდაობის მოკლე ცხრილებით გაანგარიშებულ და სტატსახკომის თანამშრომლების მიერ სრული ცხრილებით გაანგარიშებულ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობათა მნიშვნელობებს შორის. როგორც ვხედავთ სხვაობა მცირეა, შეიძლება ითქვას – უმნიშვნელოც კი.

ცხრილი 6.5.

1995 წელს რუსეთის ვაჟთა სქესის მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილის გაანგარიშება

ასაკობ-რივი ჯგუფები (წელი)	m_x (ერთიანის წილებში)	$\frac{nm_x}{1000}$	$p_x = e^{-nm_x}$	l_x	d_x	L_x	T_x	e_x	$e_x^{რუ}$	სხვაობა $e_x - e_x^{რუ}$
A	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
0	0,0205	0,0205	0,97971	100000	2029	98648	5817496	58,17	58,27	-0,10
1-4	0,0012	0,0048	0,99521	97971	469	390888	5718849	58,37	58,49	-0,12
5-9	0,0007	0,0035	0,0035	97502	341	487143	5327961	54,64	54,78	-0,14
10-14	0,0007	0,0035	0,0035	97161	339	484286	4840818	49,82	49,97	-0,15
15-19	0,0024	0,0120	0,98807	96822	1155	481250	4356532	45,00	45,12	-0,12
20-24	0,0043	0,0215	0,97873	95667	2035	473256	3875282	40,51	40,64	-0,13
25-29	0,0054	0,0270	0,97336	93632	2494	461852	3402026	36,33	36,48	-0,15
30-34	0,0074	0,0370	0,96368	91138	3310	447297	2940174	32,26	32,40	-0,14
35-39	0,0100	0,0500	0,95123	87828	4283	428300	2492877	28,38	28,51	-0,13
40-44	0,0141	0,0705	0,93193	83545	5687	403333	2064577	24,71	24,85	-0,14
45-49	0,0193	0,0965	0,90801	77858	7162	371088	1661244	21,34	2147	-0,13
50-54	0,0273	0,1365	0,87241	70696	9021	330440	1290156	18,25	18,43	-0,18
55-59	0,0340	0,1700	0,84366	61675	9642	283588	959716	15,56	15,70	-0,14
60-64	0,0471	0,2355	0,79018	52033	10917	231783	676128	12,99	13,13	-0,14
65-69	0,0613	0,3065	0,73602	41116	10854	177064	444345	10,81	10,79	+0,02
70-74	0,0779	0,3895	0,67740	30262	9763	125327	267281	8,83	8,74	+0,09
75-79	0,1091	0,5455	0,57955	20499	8619	79001	141954	6,92	6,96	-0,04
80-84	0,1555	0,7775	0,45955	11880	6420	41286	62953	5,30	5,47	-0,17
85+	0,2252			5460		21667	21667	3,97	4,23	-0,26

ცხრილი 6.5^ა-ში მაგალითისათვის მოცემულია 1999 წელს საქართველოს ვაჟთა სქესის მოსახლეობის მოკვდაობის მოკლე ცხრილი, რომელიც გაანგარიშებულია ცხრილი 6.5-ის ალგორითმის საფუძველზე.

ცხრილი 6.5^ა

1999 წელს საქართველოს ვაჟთა სქესის მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილის გაანგარიშება

ასაკობ-რივი ჯგუფები (წელი)	m_x (ერთიანის წილებში)	$\frac{nm_x}{1000}$	$p_x = e^{-nm_x}$	l_x	d_x	L_x	T_x	e_x	$e_x^{ლზ}$	სხვაობა $e_x - e_x^{ლზ}$
A	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
0	0,0177	0,0177	0,98245	100000	1755	98830	7280643	72,81	73,76	-0,95
1-4	0,0005	0,0020	0,99800	98245	196	392077	7181813	73,10	74,06	-0,96
5-9	0,0002	0,0010	0,99900	98049	98	490000	6789736	69,25	70,20	-0,95
10-14	0,0002	0,0010	0,99900	97951	98	490000	6299736	64,32	65,27	-0,95
15-19	0,0005	0,0020	0,99800	97853	196	392000	5809736	59,37	60,34	-0,97
20-24	0,0009	0,0045	0,99551	97657	438	486667	5417736	55,48	55,47	+0,01
25-29	0,0013	0,0065	0,99352	97219	630	484615	4931069	50,72	50,70	+0,2
30-34	0,0018	0,0090	0,99104	96589	865	480556	4446454	46,03	46,02	+0,01
35-39	0,0029	0,0145	0,98561	95724	1377	474828	3965898	41,43	41,42	+0,01
40-44	0,0039	0,0195	0,98069	94347	1822	467179	3491070	37,00	36,98	+0,02
45-49	0,0055	0,0275	0,97288	92525	2510	456364	3023891	32,68	32,66	+0,02
50-54	0,0079	0,0395	0,96127	90015	3486	441266	2567527	28,52	28,51	+0,01
55-59	0,0100	0,0500	0,95123	86529	4220	422000	2126261	24,57	24,56	+0,01
60-64	0,0176	0,0880	0,91576	82309	6934	393977	1704261	20,71	20,69	+0,02
65-69	0,0282	0,1410	0,86849	75375	9913	351525	1310284	17,38	17,37	+0,01
70-74	0,0429	0,02145	0,80694	65462	12638	294592	958759	14,65	14,63	+0,02
75-79	0,0614	0,3070	0,73565	52824	13964	227427	664167	12,57	12,56	+0,01
80-84	0,0830	0,4150	0,66034	38860	13199	159024	436740	11,24	11,23	+0,01
85+	0,0924	0,4620	0,63002	25661	25661	277716	277716	10,82	10,82	0,0

6.7. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა რუსეთში და მისი დინამიკა

რუსეთში სტატსახკომის მონაცემებით 1997 წელს ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა ვაჟებისათვის – 60,89 წელი, ქალებისათვის – 72,75 წელი. 90-იანი წლების პირველ ნახევარში ამ მაჩვენებლის, ვაჟებისათვის თითქმის 6,2 წლით, ქალებისათვის 3,1 წლით მკვეთრი დაცემის შემდეგ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სიცოცხლის ხანგრძლივობამ დაიწყო ზრდა და საკმაოდ სწრაფად. მხოლოდ სამი წლის განმავლობაში 1995-1997 წლებში იგი ვაჟებში 3,3 წლით და ქალებში 1,6 წლით გაიზარდა. შესაძლოა ეს არაა ხანმოკლე რყევის ტალღა, არამედ ტენდენციის დასაწყისია, ჩვენი ხალხის მიერ შოკური მდგომარეობის დაძლევისა და მისი ახალი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების რეალობთან შეგუების დამადასტურებელია. მაგრამ ჩვენი მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების უმეტესობისა და ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებთან შედარებით მაინც დაბალი რჩება, (იხ. ცხრილი 6.6.).

1995 წელს იმ 196 ქვეყნიდან, რომელთა შესახებაც გაერო ანგარიშობს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას (ან ღებულობს მონაცემებს ქვეყნებიდან) რუსეთს ეკავა 140-ე ადგილი ვაჟების სიცოცხლის ხანგრძლივობით და მე-100-ე ადგილი ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობით. ასეთი ჩამორჩენა არანაირი „ობიექტური“ მიზეზებით არ შეიძლება გავამართლოთ.

ცხრილი 6.6.

რუსეთში და მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში მომავალი სიცოცხლის
საშუალო ხანგრძლივობა (ახალშობილთათვის) 1997 წელს

ქვეყნები	ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი ‰	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა		სხვაობა (წლებით)
		ვაჟები	ქალები	
რუსეთი	17,2	60,89	72,75	11,86
იაპონია	4,1	76,80	83,16	6,36
შვეცია	3,9	76,42	81,89	5,47
ისრაელი	8,3	76,34	80,18	3,84
საფრანგეთი	5,8	74,44	82,53	8,09
დიდი ბრიტანეთი	6,0	74,40	79,78	6,68
გერმანია	5,3	73,64	80,16	6,52
კოსტა-რიკა	13,32	73,41	78,36	4,95
ტაივანი	6,7	73,28	79,30	6,02
კუბა	8,0	73,17	77,97	4,80
ა.შ.შ.	6,6	72,25	79,49	6,74
ჩილე	10,8	71,69	78,22	6,53
არგენტინა	19,7	70,67	78,12	7,45
სამხრეთ კორეა	8,0	70,01	77,69	7,68
ჩინეთი	47,6	68,07	70,64	2,57
ვიეტნამი	37,2	65,03	69,86	4,83
ინდოეთი	65,5	61,58	63,18	1,50
უკრაინა	21,9	59,93	71,91	11,98
საქართველო	16,3	74,6	81,3	6,7

6.7^ა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში და მისი დინამიკა

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1999 წელს ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა ვაჟებისათვის 73,76 წელი, ქალებისათვის – 86,12 წელი. ხოლო ორივე სქესისათვის ერთად კი – 77,62 წელი. რუსეთისდაგან განსხვავებით 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები განუხრელად იზრდებოდა და 1996 წელს 1990 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი ვაჟებში 5,9-ით, ქალებში კი 6,0 წლით იყო მომატებული. 1996 წლიდან კი როგორც ვაჟებში, ასევე ქალებშიც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები მცირედ მაგრამ მაინც კლებულობს. საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის ამგვარი ტენდენცია 90-იან წლებში გარკვეულ ეჭვს იწვევს და ამიტომაც საჭიროებს სპეციალურ კვლევასა და ახსნას. მაგრამ ამისი ადგილი არ არაა. ჩვენ უბრალოდ აღვნიშნავთ ოფიციალური სტატისტიკის მიერ დაფიქსირებულ მაჩვენებლებს.

1995 წელს იმ 196 (უფრო ზუსტად კი 200) ქვეყნიდან, რომელთა შესახებაც გაერო ანგარიშობს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას (ან ღებულობს შესადარებელ წელთან (1995 წელი) მიახლოებულ პერიოდში გაანგარიშებულ მონაცემებს ქვეყნებიდან) საქართველოს (1989 წლის მონაცემებით) ეკავა მე-60-ე ადგილი ვაჟების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით და 46-ე ადგილი ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით. ეს არც თუ ისე ურიგო მაჩვენებელი იყო საქართველოსათვის, მაგრამ მისი ზრდის რეზერვები ჯერ კიდევ საკმაოაა.

6.8. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ინტერვალური ხანგრძლივობა

ახალშობილთათვის და ნებისმიერ „x“ ასაკს მიღწეულთათვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოკვდაობის დონისა და დინამიკის მახასიათებელ საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს. მისი მთავარი ღირსებაა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისაგან დამოუკიდებლობა. მაგრამ მასაც აქვს ნაკლი. იგი დამოკიდებულია თავად მოკვდაობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. მაგალითად, 1997 წელს ვაჟთა მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ლატვიაში და უზბეკეთში თითქმის ერთნაირი იყო შესაბამისად 60,8 და 60,7 წელი. მაგრამ იმავდროულად ჩვილთა მოკვდაობა უზბეკეთში თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა ანალოგიურ დონეს ლატვიაში (შესაბამისად 70,5 და 17,7). ამავ დროს მოკვდაობის ცხრილებით ცნობილია, რომ უფროს ასაკობრივ ჯგუფებში მოკვდაობის დონე უზბეკეთში მნიშვნელოვნად დაბალია ვიდრე ლატვიაში, ე.ი. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მთლიანად მცირედ განსხვავდება ლატვიასა და უზბეკეთში, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მისი მნიშვნელობა შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდეს. ამის გარდა, ახალშობილთათვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის სიდიდე დიდადაა დამოკიდებული იმაზე თუ როგორ განსაზღვრავენ სტატისტიკოსები ცოცხლად მყოფების რიცხვს ყველაზე უფროს ასაკებში. ამიტომ სასარგებლოდ გვეჩვენება ეგრეთ წოდებული **მოსალოდნელი სიცოცხლის ინტერვალური ხანგრძლივობის გაანგარიშება**, ე.ი. სიცოცხლის ხანგრძლივობა ზემოდან და ქვემოდან შემოსაზღვრულ ასაკობრივ ინტერვალში. ასეთი სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გამოსაკვლევ ასაკობრივ ინტერვალში მხოლოდ ცოცხლად მყოფთა განაწილებაზე და არ განიცდის სხვა სტრუქტურული ფაქტორების არავითარ გავლენას. ამიტომ ასეთი მაჩვენებლის შესადარისობა მნიშვნელოვნად უფრო უკეთესია ვიდრე ახალშობილთა, ან გარკვეულ „x“ ასაკს მიღწეულთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლისა.

ინტერვალური სიცოცხლის ხანგრძლივობა საკმაოდ მარტივად გაიანგარიშება ორ ვარიანტად: 1) ახალშობილთათვის და 2) გარკვეულ „x“ ასაკს მიღწეულთათვის.

თავდაპირველად ვნახოთ ფორმულა ზოგადი სახით ნებისმიერი ინტერვალისათვის:

$${}_{x+n}e_x = \frac{T_x - T_{x+n}}{l_x} = \sum_{i=x}^{i=x+n} L_i \quad (6.8.1.)$$

სადაც ${}_{x+n}e_x$ – მომავალი სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობაა „x+n“ ინტერვალში;

T_x – „x“ და მეტ ასაკებში თაობის მომავალი სიცოცხლის კაც-წელიწადების რიცხვია;

T_{x+n} – „x+n“ და მეტ ასაკებში თაობის მომავალი სიცოცხლის კაც-წელიწადების რიცხვია;

n – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძე (შესაძლებელია იყოს ნებისმიერი მკვლევარის სურვილის მიხედვით).

ზოგჯერ ქვეყნდება მოკვდაობის ცხრილის მხოლოდ სამი სვეტი: l_x , q_x და e_x , რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია L_x და T_x სვეტების გაანგარიშება. მაშინ T_x შეიძლება განისაზღვროს თანაფარდობიდან

$$e_x = \frac{T_x}{l_x}$$

მისი ამგვარად გარდაქმნით: $T_x = l_x \times e_x$.

ახლა განვიხილოთ სიცოცხლის ინტერვალური ხანგრძლივობის ფორმულის ორი სახე, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, ახალშობილთათვის და „x“ ასაკს მიღწეულთათვის. პირველი ფორმულის განსხვავება მეორისაგან მხოლოდ (6.8.1.) ფორმულის მნიშვნელის სიდიდეში მდგომარეობს. ახალშობილთათვის სიცოცხლის ინტერვალური ხანგრძლივობის გაანგარიშებისას მაჩვენებლის მნიშვნელში, ნებისმიერი გამოყოფილი ინტერვალისათვის, იქნება ერთი და იგივე რიცხვი l_0 – ცხრილის ფუძე. ამიტომ სიცოცხლის ინტერვალური ხანგრძლივობის მაჩვენებლები ნებისმიერი გამოყოფილი ასაკობრივი ინტერვალისათვის შეიძლება შეიკრიბოს და ჯამში იძლევიან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. გარკვეულ ასაკს მიღწეულთა სიცოცხლის ინტერვალურ მაჩვენებლებს კი ასეთი თვისება არ გააჩნიათ, რადგანაც მათ წილადის მნიშვნელში აქვთ გარკვეულ ასაკს მიღწეულთა ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისამდე მიღწეულთა რიცხვი (ასაკის ზრდასთან ერთად ეს რიცხვები თანდათანობით მცირდება). რამდენიმე ასაკობრივი

ინტერვალის გამოყოფით, მაგალითებზე, ვნახოთ თუ როგორ მუშაობს მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ინტერვალური ხანგრძლივობის მანქენებელი.

მაგალითისათვის განვიხილოთ სსრკ-ის ვაჟთა სქესის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დინამიკა ათწლეულის განმავლობაში 1958-1970 წლებში (იხ. ცხრილი 6.7).

ცხრილი 6.7.

სსრკ-ის ვაჟთა სქესის მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ცალკეულ ასაკობრივ ინტერვალში 1958-1959 და 1969-1970 წლებში

წლები	სულ e _x	მათ შორის ასაკობრივ ინტერვალებში (წლები)					
		0-14	15-29	30-44	45-59	60-74	75+
ახალშობილთათვის							
1958-1959	64,4	14,1	13,7	13,1	11,7	8,3	3,5
1969-1970	64,4	14,4	14,2	13,3	11,7	8,0	2,8
სხვაობა	0,0	+0,3	+0,5	+0,2	0,0	-0,3	-0,7
ყოველი ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისამდე მიღწეულთათვის							
1958-1959	64,4	14,1	14,8	14,6	13,9	12,0	8,9
1969-1970	64,4	14,4	14,8	14,5	13,8	11,7	8,0
სხვაობა	0,0	+0,3	0,0	-0,1	-0,1	-0,3	-0,9

აღნიშნულ ათწლეულში ახალშობილი ვაჟებისათვის სსრკ-ში მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქოს არ შეცვლილა. ისევე როგორც 10 წლის წინათ იგი შეადგენდა 64,4 წელს (სხვა საქმეა კარგია, თუ არა ეს. კარგი იქნებოდა თუკი იგი მტკიცედ გაიზრდებოდა). მაგრამ ასაკობრივი ინტერვალების მიხედვით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მთლიანი სიდიდის დიფერენციაცია ავლენს წინააღმდეგობრივ და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის არც თუ მთლად სასიკეთო დინამიკას. დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში იგი გაიზარდა, მაღალში კი შემცირდა. მისი სტაბილურობა, უფრო სწორად სტაგნაცია, რომელიც ასევე ნეგატიური ნიშანია, სინამდვილეში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესის ილუზორული შედეგია. მომდევნო წლებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება უფროსი ასაკებიდან თანდათანობით ინაცვლებდა უმცროსი ასაკებისაკენ, ვიდრე ყველა ასაკობრივი ჯგუფი არ მოიცვა.

მაგალითისათვის განვიხილოთ საქართველოს ვაჟთა სქესის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დინამიკა ოცდაათი წლის განმავლობაში, 1958-1988 წლებში (იხ. ცხრილი 6.7^ა).

ცხრილი 6.7^ა

საქართველოს ვაჟთა სქესის მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ცალკეულ ასაკობრივ ინტერვალში 1958-1959 და 1988 წლებში

წლები	სულ e_x	მათ შორის ასაკობრივ ინტერვალში (წლები)					
		0-14	15-29	30-44	45-59	60-74	75+
ახალშობილთათვის							
1958-1959	68,75	13,22	12,96	12,46	11,48	9,13	9,50
1969-1970	68,01	13,56	13,41	12,99	11,82	8,76	7,47
სხვაობა	-0,74	+0,34	+0,45	+0,53	+0,34	-0,37	-2,03
ყოველი ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისამდე მიღწეულთათვის							
1958-1959	68,75	13,22	13,86	13,70	13,33	12,13	10,79
1969-1970	68,01	13,56	13,91	13,73	13,16	11,55	8,33
სხვაობა	-0,74	+0,34	+0,05	+0,03	-0,17	-0,58	-2,46

აღნიშნულ 30 წელიწადში ახალშობილი ვაჟებისათვის საქართველოში მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ოდნავ (0,74 წლით) მაგრამ მაინც შემცირდა. ასაკობრივი ინტერვალების მიხედვით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მთლიანი სიდიდის დიფერენციაცია აელენს წინააღმდეგობრივ და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის არც თუ მთლად სასიკეთო დინამიკას. დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში იგი გაიზარდა, მაღალში კი შემცირდა. მისი ოდნავი შემცირება, რომელიც რა თქმა უნდა ნეგატიური ნიშანია, სინამდვილეში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესის ილოზორული შედეგია. მომდევნო წლებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება უფროსი ასაკებიდან თანდათანობით ინაცვლებდა უმცროსი ასაკებისაკენ, ვიდრე ყველა ასაკობრივი ჯგუფი არ მოიცვა.

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ამგვარი დიფერენციაცია ასაკობრივი ინტერვალის მიხედვით იმის მაჩვენებელია, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც ძირითადად დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში იზრდებოდა, უფრო მეტად მცირდებოდა ზედა ასაკობრივ ჯგუფებში. და ამდენად სწორედ მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კლება აფერხებდა მთლიანი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის პროცესს, რაც აშკარად ნეგატიური ტენდენციაა, მაგრამ ამავე დროს მიანიშნებს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდებისათვის საჭირო რეზერვებზე, როგორც ქვედა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც იგი იზრდებოდა, ასევე უფრო მეტ რეზერვებზე ზედა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც იგი ჯერ კიდევ კლებას განიცდის.

სპეციალისტებსა და სახელისუფლებო სტრუქტურებს დროულად რომ შეემჩნიათ ჩვენი ხალხის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირების არასასურველი სიმპტომები შეიძლებოდა თავისდროულად დაეწყოთ არასასურველი ტენდენციების დაძლევისაკენ მიმართული სოციალური პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავება. მაგრამ დრო დაიკარგა. არა მარტო ჩვენი ცხოვრების ამ მხარის მიმართ უზენაესი ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულების გამო, არამედ მთელი საზოგადოების დემოგრაფიული უწიგნურობის გამოც (მართლაც, ერთი მეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული. დემოგრაფიული უწიგნურობა წარმოშობს სწორედ დემოგრაფიული პრობლემების მიმართ გულგრილობას. მას უბრალოდ ვერ ამჩნევენ).

6.9. მოკვდაობის მაჩვენებლები ბარდაცვალების მიზეზების მიხედვით

მოკვდაობის დონის სტრუქტურის შესწავლა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ფაქტორების გამოკვლევის აუცილებელი პირობაა. გარდაცვალების მიზეზები დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებისა და შრომის პირობებთან, მათი ცხოვრების წესთან. მოკვდაობის სტრუქტურის გარდაცვალების მიზეზების მიხედვით შესწავლისას შეიძლება დადგინდეს ამა თუ იმ ბუნებრივი თუ სოციალური, ობიექტური თუ სუბიექტური, ცალკეული ადამიანის ნებაზე დამოკიდებული ფაქტორების როლი.

მოკვდაობის დონის გარდაცვალების მიზეზების მიხედვით დასახასიათებლად გამოიყენება მაჩვენებელთა ორი ძირითადი ტიპი: ზოგადი და ასაკობრივი კოეფიციენტები. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, იანგარიშება როგორც სიკვდილის განსაზღვრული მიზეზისაგან გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდება დროის მოცემული პერიოდის (ჩვეულებრივ წელიწადის) მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან. რადგანაც სიკვდილის ცალკეული მიზეზით გარდაცვალებათა რიცხვების ჯამი უდრის გარდაცვლილთა მთლიან რიცხვს (ყველა მიზეზისაგან) და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიკვდილის ცალკეული მიზეზების მიხედვით გაანგარიშებისას წილადის მნიშვნელში მოსახლეობის ერთი და იგივე რიცხოვნობაა, გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის კოეფიციენტები შეიძლება შევკრიბოთ. საბოლოოდ ეს ჯამი უდრის მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს.

იმის გამო, რომ გარდაცვალების უამრავი მიზეზის მიხედვით, დიფერენცირებული მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები, ძალიან პატარა რიცხვებს წარმოადგენენ, მათ გამოხატავენ არა პრომილებში, არამედ პროცენტშილებში (‰), ე.ი. ასი ათას კაცზე გაანგარიშებით. სამწუხაროდ მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს გარდაცვალების მიზეზების მიხედვით ისეთივე ნაკლოვანებები ახასიათებთ, როგორც არადიფერენცირებულ ზოგად კოეფიციენტებს, ე.ი. დამოკიდებულია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განსხვავებულობაზე. ამიტომ საჭიროა მათი სტანდარტიზება, რათა თავიდან ავიცილოთ ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებათა გავლენა. ბოლო წლებში რუსეთის სტატსახკომმა თავის დემოგრაფიულ წელიწადეულებში დაიწყო გარდაცვალების მიზეზების

მიხედვით მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტების რეგულარული გამოქვეყნება, რომლებითაც საჭიროა ვისარგებლოთ.

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის დონის სტრუქტურის ცვლილება ნაჩვენებია 6.8 ცხრილში. ცხრილში მაჩვენებლები სტანდარტიზებულია რუსეთის სტატსახკომის მიერ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით (პირდაპირი მეთოდით), ასე რომ ისინი შესადარია სქესის მიხედვითაც და დინამიკაშიც.

თუკი თვალს გავადევნებთ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკას დემოგრაფიული წელიწადეულის მიხედვით,¹ სადაც წარმოდგენილია გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის კოეფიციენტების უწყვეტი დინამიკური მწკრივი, საიდანაცაა აღებული 6.8 ცხრილის მონაცემებიც, მაშინ შეიძლება დავინახოთ, რომ ქვეყანაში მოკვდაობის დონე 1965-1984 წლებში ნელა იზრდებოდა ვაუებშიც და ქალებშიც, შემდეგ ცოტათი შემცირდა მცირე ხნით, 1985-1987 წლებში, რაც გარკვეულ წილად დაკავშირებულია სამწუხაროდ ცნობილ ლიგანოვის უღმობელ ანტიალკოჰოლურ კამპანიასთან², ხოლო შემდეგ კვლავ

1. 1996. ., 1996. . 353-354.

2. ავტორი სრულებითაც არ იცავს ჩვენს საერთო-ეროვნულ ღოთობას, მაგრამ უერთდება ბევრი სპეციალისტის აზრს, რომლებიც ალკოჰოლიზმზე „ძველი პარტიული ამხანაგების“ კავალერისტულ შეტევას არაგონივრულ წარუმატებელ აქციად თვლიან. უნდა ვებრძოდოდ არა ალკოჰოლიზმს, არამედ ალკოჰოლიზაციას, უნდა ვებრძოდოდ დიდხანს და მეცნიერულად. 1985-1987 წლების მოკვდაობის დონის დროებითი შემცირება იყო „დაპტაციური სინდრომის“, ე.ი. მოსახლეობის გარკვეული ფსიქოლოგიური დაძაბულობის, რომლებიც ალკოჰოლის აკრძალვით მოულოდნელად თავს დაატყდა, და არა თავისთავად აკრძალვის შედეგი. ვიდრე ხალხი ახალ სიტუაციას ეჩვეოდა იგი იძლეებული იყო შეეზღუდა სპირტიანი სასმელების გამოყენება. მაგრამ იგი სწრაფად შეეგუა, გაზარდა შინნახადი არყისა და სუროგატების წარმოება, ხელი მიჰყო ნარკოტიკებსა და ქიმიკატებს და მოკვდაობამ კვლავ დაიწყო ზრდა. სხვა არაფრის მოლოდინი არც უნდა გვქონოდა.

რუსეთში მოკვდაობის სტრუქტურა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით (მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტები გარდაცვალების მიზეზთა ძირითადი კლასების მიხედვით და მათი ხვედრითი წილი პროცენტებში, პრომილებში გამოსახული ზოგადი კოეფიციენტის მიმართ)

გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასები	კოეფიციენტები (შესაბამისი სქესის 100 000 მცხოვრებზე)			მოცემული კლასის გარდაცვალების მიზეზით გარდაცვლილთა ხვედრითი წილი გარდაცვლილთა მთელ რაოდენობაში (პროცენტებით)		
	1965	1985	1995	1965	1985	1995
A	1	2	3	4	5	6
	ვაჟები					
სულ გარდაცვლილები ყველა მიზეზით მათ შორის:	1473,2	1807,9	2199,0	100,0	100,0	100,0
სისხლის მიმოქცევის დაავადებებისაგან	648,5	950,7	1051,8	44,0	52,6	47,8
ახალწარმონაქმნებისაგან	292,3	299,5	309,1	19,9	16,6	14,1
უბედური შემთხვევებისაგან, მოწამვლებითა და ტრამვებისაგან	180,0	239,6	394,7	12,2	13,2	18,0
სასუნთქი ორგანოების დაავადებებისაგან	136,0	157,3	142,2	9,2	8,7	6,5
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებისაგან	42,1	50,7	68,8	2,9	2,8	3,1
ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისაგან	69,7	30,5	38,0	4,7	1,7	1,7
სხვა დანარჩენი მიზეზებისაგან	104,6	79,6	194,4	7,1	4,4	8,8
	ქალები					
სულ გარდაცვლილები ყველა მიზეზით მათ შორის:	889,4	966,3	1060,9	100,0	100,0	100,0
სისხლის მიმოქცევის დაავადებებისაგან	504,4	634,0	633,2	56,7	65,6	59,7
ახალწარმონაქმნებისაგან	160,8	136,9	142,3	18,1	14,2	13,4
უბედური შემთხვევებისაგან, მოწამვლებითა და ტრამვებისაგან	41,4	60,8	93,6	4,7	6,3	8,8

A	1	2	3	4	5	6
სასუნთქი ორგანოების დაავადებებისაგან	63,5	55,2	37,5	7,1	5,7	3,5
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებისაგან	21,7	22,5	30,7	2,4	2,3	2,9
ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისაგან	21,9	9,0	8,4	2,5	0,9	0,8
სხვა დანარჩენი მიზეზებისაგან	75,7	47,9	115,2	8,5	5,0	10,9

დაიწყო ზრდა. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ეს მატემა მკვეთრად გაიზარდა. და კვლავ, ისევე როგორც 1985 წლის ანტიალკოჰოლური კამპანიის შემდეგ, მხოლოდ საპირისპირო ნიშნით, ეს მატემა სრულებითაც არაა თავისთავად ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური რეფორმის პირდაპირი შედეგი (როგორც ამას ხატავენ კომუნისტები და მათი მომხრეები), არამედ ესაა უჩვეულო და მოულოდნელ სიტუაციაში აღმოჩენილი ხალხის უმეტესობის ფსიქოლოგიური დაბნეულობის „დადაპტაციური სინდრომი“. 1995-1997 წლებში მოკვდაობამ დაიწყო კლება. ვფიქრობ, რომ ესაა ახალი დადებითი ტენდენციის დასაწყისი, რომელშიც სახელმწიფო ღონისძიებები გარკვეულ როლს თამაშობენ, მაგრამ შესაძლოა არა მთავარს. ხალხი თავად შეეღის თავის თავს.

მაგრამ დავუბრუნდეთ 6.8. ცხრილს და განვიხილოთ გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის სტრუქტურის ცვლილება. ყურადღებას იპყრობს ის, რომ ვაჟებში მთლიანი მოკვდაობის 80% და ქალებში 82% მოდის გარდაცვალების 17 მიზეზიდან სამ მიზეზზე¹. ესაა სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები, ახალწარმონაქმნები, უბედური შემთხვევები, მოწამვლები და ტრამეები. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ყველა ეს მიზეზი მნიშვნელოვანწილად „ქცევით“ ხასიათს ატარებს, დიდადაა განპირობებული ხალხის ცხოვრების წესით, ადამიანთა თავიანთი ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულებით, მათ თვითშენახვითი ქცევით (მასზე ცოტა მოგვიანებით).

1. რუსეთის სტატსახკომის მიერ, საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად მიღებული გარდაცვალების მიზეზთა კლასების დასახელებანი იხილეთ: 1996. ., 1996. .308.

მაგრამ უკეთესია ვიდრე ჩვენთან (იხ. ცხრილი 6.9.).

საქართველოში მოკვდაობის სტრუქტურა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით (მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტები გარდაცვალების მიზეზთა ძირითადი კლასების მიხედვით და მათი ხვედრითი წილი პროცენტებში, პრომილებში გამოსახული ზოგადი კოეფიციენტის მიმართ)

გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასები	კოეფიციენტები (შესაბამისი სქესის 100 000 მცხოვრებზე)			მოცემული კლასის გარდაცვალების მიზეზით გარდაცვლილთა ხვედრითი წილი გარდაცვლილთა მთელ რაოდენობაში (პროცენტობით)		
	1965	1985	1999	1965	1985	1999
A	1	2	3	4	5	6
სულ გარდაცვლილები ყველა მიზეზით	800,6	884,6	876,9	100,0	100,0	100,0
მათ შორის:						
სისხლის მიმოქცევის დაავადებებისაგან	478,7	573,9	623,9	59,8	64,9	71,1
ახალწარმონაქმნებისაგან	86,2	98,8	96,0	10,8	11,2	10,9
უბედური შემთხვევებისაგან, მოწამვლებითა და ტრამეებისაგან	55,2	48,2	34,1	6,9	5,4	3,9
სასუნთქი ორგანოების დაავადებებისაგან	80,6	62,1	18,0	10,1	7,0	2,1
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებისაგან	33,0	34,8	31,3	4,1	3,9	3,6
ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისაგან	18,5	17,1	8,6	2,3	1,9	1,0
სხვა დანარჩენი მიზეზებისაგან	48,4	49,7	65,0	6,0	5,7	7,4

საქართველოში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის დონის სტრუქტურის ცვლილება ნაჩვენებია 6.8^ა ცხრილში. სამწუხაროდ ეს მონაცემები არაა დიფერენცირებული სქესის მიხედვით, რადგანაც რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკაში არსებული პრაქტიკით ისინი მხოლოდ ორივე სქესისასთვის ერთად მუშავებოდა და ასევე გრძელდება დღესაც, რაც რა თქმა უნდა ართულებს მოსახლეობის მოკვდაობის მიზეზების სტრუქტურისა და დინამიკის სქესის მიხედვით დიფერენცირებულ შესწავლას.

მოყვანილი მონაცემებიდან ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 1999 წელს 1985 წელთან შედარებით მოკვდაობის კოეფიციენტები თითქმის ყველა მიზეზის მიხედვით შემცირდა, რაც შედარებით რთულად ასახსნელი ფაქტია და სპეციალურ კვლევას საჭიროებს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა ასეთი მდგომარეობა გამოწვეული იყოს 1990-იანი წლებიდან

მოყოლებული სტატისტიკური აღრიცხვის მოუწესრიგებლობით. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ 1999 წელს ისევე როგორც 1975 და 1985 წლებში საქართველოში გარდაცვალების მიზეზთა სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. გარდაცვალების მიზეზთა შორის კვლავ სჭარბობენ სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებით, ახალწარმონაქმნებისაგან და უბედური შემთხვევებისაგან მოწამვლებითა და ტრამბევისაგან გარდაცვლილები, რომელთა მთლიანმა ხვედრითმა წილმაც 1999 წელს უკვე 85,9%-ს მიაღწია. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი გადრაცვალების მიზეზთა ამგვარი სტრუქტურა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოშიც ადამიანების უმეტესობა იღუპება ისეთი მიზეზებით, რომლებიც მნიშვნელოვანწილად „ქცევით“ ხასიათს ატარებენ, დიდადაა განპირობებული ხალხის ცხოვრების წესით, ადამიანთა თავიანთი ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულებითა და მათი თვითშენახვითი ქცევით.

წინა ეპოქებისაგან განსხვავებით ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, სულ უფრო მეტად ხდება თავად ადამიანის, ცალკეული პიროვნების ნებასა და ძალისხმევაზე დამოკიდებული. ამიტომ ხალხის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდისათვის ბრძოლაში იზრდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი, კერძოდ სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის, განსაკუთრებით, კი სოციალური ფსიქოლოგიის.

იმისათვის, რომ შევაფასოთ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის დონის პრობლემის სიმწვავე, სასარგებლოდ გვეჩვენება შევადაროთ ჩვენი ქვეყნის მოკვდაობის მაჩვენებლები გარდაცვალების მიზეზების მიხედვით (რა თქმა უნდა ასაკის მიხედვითაც სტანდარტიზებული) სხვა რომელიმე ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებს, თუნდაც ისეთისას როგორცაა აშშ, რომელშიც ეს მაჩვენებლები არც თუ ყველაზე უკეთესია მსოფლიოში.

მთლიანობაში 1992 წელს მოკვდაობის დონე (ვფიქრობ, რომ 6,9 ცხრილში მოტანილ მონაცემებს წლების „დროგადასულობის“ გამო არ დაუკარგავთ აქტუალობა) რუსეთში მეტი იყო ვიდრე აშშ-ში, ვაჟებში 1,8-ჯერ, ხოლო ქალებში 1,5-ჯერ. ბევრი მიზეზის მიხედვითაც მოკვდაობის დონე რუსეთში ასევე მაღალია ვიდრე აშშ-ში, ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსხვავება ტვინის სისხლძარღვოვანი დაზიანების მიზეზით მოკვდაობაში. ჩვენში ვაჟები ამ მიზეზით 5,6-ჯერ ხშირად იღუპებიან ვიდრე ამერიკელები, ქალები – 5,0-ჯერ ხშირად. გულის დაავადებებისაგან ჩვენში ვაჟები 1,5-ჯერ ხშირად იღუპებიან ვიდრე ა.შ.შ-ში, ქალები – 1,3-ჯერ ხშირად. ღვიძლისა და ციროზის ქრონიკული დაავადებებით შესაბამისად 1,7 და 2,2-ჯერ (აქ გარკვეულ როლს თამაშობს ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებაც), თვითმკვლელობით 2,8 და 2,4-ჯერ, მკვლელობისაგან ერთნაირად ვაჟებსა და ქალებშიც – 2,4-ჯერ, მოტოტრანსპორტთან დაკავშირებული

უბედური შემთხვევებისაგან – 1,8-ჯერ ხშირად, მაგრამ „სულ რაღაც“ 9,4%-ით მეტია ქალებში.

ამავე დროის გარდაცვალების ზოგიერთი მიზეზის მიხედვით ჩვენი მონაცემები უფრო სასიკეთოა ვიდრე ამერიკელების. ასე მაგალითად, ვაჟების მოკვდაობა პნევმონიის და გრიპისაგან ჩვენთან 2-ჯერ უფრო დაბალია ვიდრე აშშ-ში, ხოლო ქალებში – 5-ჯერაც კი (რაც ალბათ მეტყველებს ჩვენი მასობრივი მედიცინის უნარზე ეფექტურად ებრძოლონ ეპიდემიებს). ჩვენი ქალების მოკვდაობა სარძევე ჯირკვლის კიბოსაგან მესამედით ნაკლებია ვიდრე აშშ-ში, რაც ალბათ ასევე წარმოადგენს ჩვენი მედიცინის პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგს. ჩვენს ვაჟებში სასუნთქი ორგანოების ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისაგან მოკვდაობა 1,4-ჯერ მეტია ვიდრე აშშ-ში, მაგრამ ქალებში პირიქით, სამჯერ დაბალია ვიდრე აშშ-ში. ამ უკანასკნელ შესანიშნავ ფენომენს მე ჯერ ახსნა ვერ მოვუძებნე.

მოკვდაობის საუკეთესო დახასიათებას იძლევიან **მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები გარდაცვალების მიზეზების მიხედვით**. პრინციპში ისინი ისევე იანგარიშებიან როგორც ზოგადი კოეფიციენტები, მაგრამ ყოველი ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში.

გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების ბაზაზე იგება მოკვდაობის ალბათური ცხრილები გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება, როგორც მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის დონის მდგომარეობისა და დინამიკის ანალიზისათვის, ასევე მისი პროგნოზისათვისაც. გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ცხრილები საშუალებას იძლევიან წარმოდგენა შევიქმნათ თუ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა რამდენად იცვლება გარდაცვალების გარკვეული მიზეზების, ან მიზეზთა კლასის მიხედვით მოკვდაობის დონის ცვლილების გამო.

ასაკის მიხედვით სტანდარტიზებული მოკვდაობის მაჩვენებლები
გარდაცვალების მიზეზების მიხედვით რუსეთში და აშშ-ში 1992 წელს
(გარდაცვალებულთა რიცხვი 100 000 მცხოვრებზე)¹

გარდაცვალების მიზეზები	ვაჟები			ქალები		
	რუსეთი	ა.შ.შ.	ინდექსი რუსეთი ა.შ.შ.	რუსეთი	ა.შ.შ.	ინდექსი რუსეთი ა.შ.შ.
ყველა მიზეზით გარდაცვლილთა რიცხვი მათ შორის:	1803,7	998,8	1,806	918,5	612,5	1,500
გულის ავადმყოფობებით	481,5	325,7	1,478	257,2	191,5	1,343
თავის ტვინის სისხლძარღვების დაზიანებებისაგან	288,3	51,2	5,631	225,3	45,4	4,963
ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისაგან მათ შორის:	309,4	248,9	1,243	138,3	163,5	0,846
სასუნთქი ორგანოების ახალწარმონაქმნებისაგან	116,6	87,1	1,339	11,7	39,1	0,299
სარძევე ჯირკვლის ახალწარმონაქმნებისაგან	—	—	—	21,0	30,6	0,686
პნევმონიისა და გრიპისაგან	15,8	32,4	0,488	4,2	20,0	0,210
ღვიძლის ქრონიკული დაავადებებისა და ციროზისაგან	25,8	15,1	1,709	13,9	6,4	2,172
მოტოტრანსპორტით საგზაო და არასაგზაო უბედური შემთხვევებისაგან	40,8	22,1	1,846	10,5	9,6	1,094
თვითმკვლელობებისა და თვითდაზიანებებისაგან	55,8	19,9	2,084	10,9	4,6	2,370
სხვა პირების მიერ წინასწარ განზრახული მკვლელობებისა და დაზიანებებისაგან	36,4	15,3	2,379	9,7	4,0	2,425
სხვა გარეშე მიზეზებით	159,2	24,9	6,394	36,8	9,6	3,833
სხვა დანარჩენი მიზეზებით	390,7	243,3	1,606	211,7	157,9	1,341

1. მონაცემთა წყაროა:

1994 .) //

1980-1993 (

5.

№9. .,

1995. . 12-13.

6.10. სოციალური პროგრესი და ბარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის დონის სტრუქტურის ცვლილება

კაცობრიობა ათასწლეულების განმავლობაში იტანჯებოდა და იღუპებოდა, ზოგჯერ მთელი ქვეყნების გამაუკაცრიელებელი, ეპიდემიური, ინფექციური დაავადებებით – შავი ჭირით, ქოლერით, ყვავილითა და სხვა. სამრეწველო რევოლუციის შემდეგ დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზის დაწყებიდან უმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების ეკონომიკური და სანიტარული პირობები, იწყება მოკვდაობის დონის შემცირება და ერთდროულად იცვლება მისი სტრუქტურა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით. მასობრივი ინფექციური დაავადებები უკან იხევენ, მათი ხვედრითი წილი მოკვდაობის სტრუქტურაში მინიმუმამდე მცირდება, ხოლო მათ ადგილს იკავებენ არაინფექციური ქრონიკული დაავადებები, უბედური შემთხვევები და ტრამვები. იზრდება ჯანმრთელობის პროფილაქტიკის, ცხოვრებისა და შრომის პირობების სანიტარული ასპექტების როლი ყოველი ცალკეული ადამიანისათვის თავისი ჯანმრთელობის შენარჩუნების, ან თუნდაც სიკვდილის მოახლოების გადაწვეის შესაძლებლობაში. აქედან გამომდინარე იზრდება სოციალური მეცნიერებების როლი მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ქცევითი ასპექტების შესწავლაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავებაში.

6.11. მოკვდაობისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დონის განმსაზღვრელი ფაქტორები

მოსახლეობის მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის დონეზე, ბევრი ბუნებრივი და სოციალური ფაქტორი ახდენს გავლენას. ამასთან საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ ბუნებრივი ფაქტორები ადამიანთა საზოგადოების, წარმოების და კულტურის წარმოშობის დროიდანვე არ დომინირებენ კაცობრიობაზე, ასე ვთქვათ „სუფთა სახით“, ისინი გაშუალებულნი არიან, იცვლებიან სოციალური პირობებით. კაცობრიობა უკვე დიდი ხანია ცხოვრობს ბუნებრივ-სოციალურ გარემოში და მისი ბედი უფრო მეტადაა დამოკიდებული მის არჩევანზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა ძირითადი ფაქტორი გარკვეული პირობითობით (მათი მნიშვნელობის მიხედვით ჩამოვლილ) ოთხ ჯგუფად გავაერთიანოთ: 1) ხალხის ცხოვრების დონე; 2) ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების ეფექტურობა; 3) საზოგადოების სანიტარული კულტურა; 4) ეკოლოგიური გარემო.

1) **ხალხის ცხოვრების დონე.** ცხოვრების დონე, მე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, მოკვდაობის დონის შემცირებისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის მთავარი ფაქტორი მგონია, რადგანაც სწორედ იგი ქმნის პირობებს (სივრცეს) ყველა სხვა დანარჩენი ფაქტორების – საერთო და სანიტარული კულტურის ზრდის, ჯანმრთელობაზე ზრუნვის, გარემოს გაუმჯობესების და ა.შ. განვითარებისათვის. სიღარიბე, ყოველივეს ამას არაფრით არ უწყობს ხელს. ამასთან, თანამედროვე („დასავლური“) ცხოვრების დონის სტანდარტთან შედარებით ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი – ღარიბია. სამწუხაროდ ჩვენ წესიერად არც კი ვიცით როგორია ჩვენთან ცხოვრების დონე და რა მაჩვენებლებით უნდა გაიზომოს იგი. საბჭოთა სოციალური სტატისტიკა ამ მიზნისათვის სრულიად გამოსადეგარია. ის მტკნარი სიცრუეა და ამასთან თითქმის მთლიანად გასაიდუმლებული იყო.¹ მიუხედავად ამისა ბევრი ფრაგმენტული მონაცემებით მაინც შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში ცხოვრების დონე უკიდურესად დაბალი, მხოლოდ ადამიანის პიროვნებისა და მისი

1. ნიშანდობლივია, რომ სტატისტიკური მონაცემები დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ სამხედრო საიდუმლოს რანგში იყო აყვანილი – რათა ჩვენ არ გვეცოდნოდა როგორ შეიძლება ცხოვრება.

სამუშაო ძალის მარტივი კვლავწარმოების ზღურბლზე, ან ქვემოთაც კი იყო. პიროვნების განვითარება კი უმეტეს წილად მიმდინარეობდა ყველაზე აუცილებელზე, მათ შორის დასვენების, ეფექტური მედიკამენტების და ჯანმრთელობის ფასიანი მომსახურების შექმნის, ხარისხიანი კვების და სხვებზე უარის თქმის ხარჯზე.

ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი კომპლექსური მაჩვენებელი, რომლის დახმარებითაც საერთაშორისო დონეზე ფასდება ცხოვრების დონე და ხარისხი, არის ეგრეთ წოდებული „ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი“ (ან „ადამიანური განვითარების ინდექსი“), რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის, მოსახლეობის განათლების დონის და მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. რაც შეეხება სულადობრივ მთლიან შიგა პროდუქტს, ამ მაჩვენებელს შეუძლია არასწორი წარმოდგენა მოგვცეს ცხოვრების დონეზე, თუკი არ იხსნება მათი ხარჯვის სტატიები. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ზესაიდუმლო პირობებში შიგა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს მიერ უდიდეს სამხედრო ხარჯებზე იხარჯება, რომლებიც ამასთან, ბიუჯეტში ნაწილობრივ „მშვიდობიან“ სტატიებზე ნაწილდება. ესე იგი ჩვენი ცხოვრების დონეში შეიძლება შედიოდნენ ხარჯები კარაქის ნაცვლად ზარბაზნებზე, კოსმოსური გამოკვლევების დაფინანსებაზე და ა.შ. მიუხედავად ამისა ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების დონის შეფასებისათვის მიძღვნილი და გაეროში წარდგენილი რუსეთის მეორე მოხსენების (1996წ.) მონაცემების თანახმად რუსეთმა ამ მაჩვენებლით 1993 წელს 57-ე ადგილი დაიკავა მსოფლიოს იმ 174 ქვეყანას შორის¹, რომლებშიც ეს ინდექსი გაიანგარიშება. 1995 წელს ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს იმავე 174 ქვეყანას შორის 119-ე ადგილზე გადაინაცვლა². თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში დაახლოებით 35 ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა, მაშინ იმის გათვალისწინებითაც ყველაზე სავარაუდოა, რომ ა.პ.გ-ის ინდექსით მოცემული, ცხოვრების დონის მომატებული შეფასებით ჩვენი ქვეყანა ძალიან შორს იმყოფება იმ ხაზიდან, რომელიც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს „განვითარებადი“ (უფრო ზუსტად ჩამორჩენილი) ქვეყნებისაგან აშორებს. ამასთან დამატებით, შეიძლება საშუალო სულადობრივი შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით

1. . – – // . ., 1997. №25, 29 . . 17.

2. . . : //
1996. №1. . 45.

შევადართ ცხოვრების დონე რუსეთში და ა.შ.შ-ში 1995 წელს. ა.შ.შ-ში იგი თითქმის 15-ჯერ მეტია, ვიდრე რუსეთში¹.

2) **ჯანმრთელობის დაცვის ეფექტურობა.** სამამულო სტატისტიკურ ცნობარში რომ ჩავიხედოთ დავინახავთ, რომ ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის განვითარება მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ძირითადად ხასიათდება ექიმებისა და საავადმყოფო საწოლების რიცხვით, აგრეთვე მათი სპეციალისტებისა და დანიშნულების მიხედვით განაწილებით. ალბათ, ჩვენი ჯანმრთელობის დაცვა – სახალხო მეურნეობის ერთად ერთი, ყოველ შემთხვევაში ერთი იმ მცირეთაგანია, რომლის საქმიანობაც ფასდება არა შედეგებით, არამედ შრომის დანახარჯებით, ექიმებისა და საავადმყოფო საწოლების რიცხვით. ჩვენ უკვე დიდი ხანია „მთელ პლანეტაზე წინ“ ვართ. მაგრამ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შედარებით დაბალი დონე და არახელსაყრელი დინამიკა მეტყველებს ჯანმრთელობის დაცვის არაეფექტურობაზე. და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ჩვენი ჯანმრთელობის დაცვა – პირდაპირი აზრით ღარიბია, ათწლეულებია სახელმწიფო მას მშვიერი ფინანსური უღუფით ინახავს. ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ჯანმრთელობის დაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება, რომლებიც გამუდმებით იზრდება. ასე მაგალითად, უკვე 1990 წელს ბევრ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული სახსრები მთლიანი შიგა პროდუქტის 8%-ს აღემატებოდა. რუსეთში კი ამ დროს იგი მხოლოდ 3,3%-ს შეადგენდა². ამასთან, დაახლოებით იგივე დონეზე იყო ეს ხარჯები ყოფილ სსრკ-ში.

საქართველოში 1999 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გაწეული ხარჯებისა და წმინდა დაკრედიტებიდან (904,8 მლნ. ლარი), ჯანმრთელობის დაცვაზე მოდიოდა 15,7 მლნ. ლარი, ანუ 1,7%, ხოლო მთლიანი შიგა პროდუქტის (5513 მლნ. ლარი) მიმარ კი ეს ხარჯები შეადგენდნენ 0,3%-ს (!)

ჯანმრთელობის დაცვის დაბალი ფინანსირების პრობლემის შემადგენელი ნაწილია ამ დარგში დასაქმებულთა ხელფასის ძალიან დაბალი დონე. 1996 წლის მონაცემით ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა (ძნელი ასახსნელია ასეთი შერევის დასაბუთებულობა) საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა საშუალოდ ქვეყნის ეკონომიკაში შესაბამისი ხელფასის 77%. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებულებზე

1. //, 1996. №22, . . . 38.

2. //, 1997. №3. . . 73.

უფრო დაბალი ხელფასები აქვთ, მხოლოდ განათლების, კულტურისა და ხელოვნების სფეროში დასაქმებულებს¹.

საქართველოში 1999 წლის მონაცემებით ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა საშუალოდ ქვეყნის ეკონომიკაში შესაბამისი ხელფასის 49%-ს. ამავე პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებულებზე უფრო დაბალი ხელფასები ჰქონდათ მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს.

ამასთან, ასევე განსაკუთრებით ნიშანდობლივი სიმპტომია ჩვენი სახელმწიფოს მისთვის, სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახალხო მეურნეობის დარგებისათვის დამოკიდებულებისა. საეჭვოა, რომ ასეთი, „დაბალთა შორის უმდაბლესი“ ხელფასის პირობებში სერიოზულად ველოდეთ თავისი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისადმი ექიმის დიდ ლტოლვას.

სავარაუდოა, რომ ჯანმრთელობის დაცვის ფინანსურ უზრუნველყოფაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს მის დამოკიდებულებას პაციენტთან. ამ მხრივ ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია საეჭვოა, რომ უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეცვლილიყოს. იგი კვლავ გაუპიროვნებელი ხასიათისაა, ე.ი. ექიმი მკურნალობის პროცესში არ ითვალისწინებს პაციენტის ინდივიდუალობას, მისი ხასიათის თავისებურებებს, განიხილავს მას როგორც უსულო ორგანიზმს (მცენარეს). ასეთი მდგომარეობა უმეტეს წილად გამართლებული იყო გადასვლის დაწყებამდე ეპოქაში, როცა მოკვდაობის დონის, გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, სტრუქტურაში სჭარბობდნენ ხალხის, მათი სოციალური და ინდივიდუალური თვისებების მიუხედავად, განმეორავი ინფექციური ეპიდემიები. მაგრამ ახლა იგი არაეფექტურია.

გადასვლის შემდგომ პერიოდში, როცა მოკვდაობის სტრუქტურაში გარდაცვალების მიზეზების მიხედვით კარდინალური ცვლილებები ხდება, როცა სჭარბობენ ქრონიკული, მნიშვნელოვან წილად ინდივიდუალიზებული დაავადებები, მედიცინა უფრო სწორედ ჯანმრთელობის დაცვაც ასევე უნდა შეიცვალოს პაციენტის ხასიათისა და მისი უნიკალური ბედის თავისებურებათა მეტად გათვალისწინების მხრივ. საჭიროა ექიმსა და პაციენტებს შორის უფრო ხანგრძლივი უფრო მეტად პირადული ურთიერთდამოკიდებულების დამყარება. ამისათვის აუცილებელია მოვსპოთ რაიონულ პოლიკლინიკებზე მოსახლეობის

1. 1997. . 84.

ბატონყმური მიწერა, მიეცეს მოქალაქეებს შესაძლებლობა თავიანთის აირჩიონ ის ექიმი, რომელსაც ისინი ენდობიან. ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე წლის წინათ შემოდებული სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სისტემას ჩანდა, რომ სრულიად შეეძლო მსგავსი არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, და ამასთან საექიმო კვალიფიკაციის ობიექტური შეფასებაც. მაგრამ როგორც ჩანს, ეს სისტემა ასეთ ფუნქციას ვერ ასრულებს. იგი კვლავ ავლენს თავის ბიუროკრატიულ პროცედურას. მოქალაქეებს მხოლოდ მიუმატა სადაზღვევო პოლისების პერიოდულად გადაფორმებისათვის და ექიმთან მიღებაზე წასვლისას მათი თან წადების აუცილებლობაზე ზრუნვა.

უკანასკნელ წლებში საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ქვეყანაში გაფართოვდა ფასიანი კოოპერაციული და კერძო მედიცინა, რომელიც მთლიანობაში უკეთ ეპყრობა ადამიანს, ვიდრე სახელმწიფო მედიცინა. მაგრამ... ჩვენი ხალხის უმეტესობას არა აქვს საკმარისი ფული იმისათვის, რათა ისარგებლონ ფასიანი მედიცინის სიკეთით. ამის მიზეზია მათხოვრული ხელფასი, სახელმწიფომ უნდა დაუბრუნოს მშრომელთა ხელფასიდან „უფასო“ ჯანმრთელობის დაცვისათვის ამოღებული ფულის თუნდაც ნაწილი, რათა ხალხს თავად შეეძლოს მათი განკარგვა.

3) **სანიტარული კულტურა.** გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის სტრუქტურის ცვლილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ შედეგს წარმოადგენს სანიტარული კულტურის, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მზარდი მნიშვნელობა.

კომუნისტური რეჟიმი, მისი გარეგნულად ნამდვილად, მშვენიერი ღოზუნგების მიუხედავად ხალხის უმეტესობისათვის ანტიჰუმანური და არადამიანური აღმოჩნდა. მრავალი ათწლეულის განმავლობაში ახალი საზოგადოების მშენებლობა ძალთა დაძაბულობის ზღვარზე შტურმული მეთოდებით ხორციელდებოდა, ხალხს მოეთხოვებოდა თავგანწირულობა და იღვის განხორციელებისათვის პირად სიკეთეზე უარის თქმა, ხვალინდელი ცხოვრებისათვის მომავალი თაობის ცხოვრებისათვის დღევანდელ ცხოვრებაზე უარის თქმა. პროპაგანდისტულ ხელოვნებაში ქება-დიდებას ასხამდნენ ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დარღვევას, ზეგანაკვეთურ შრომას – ყველაფერს იმისათვის, რათა შეემცირებინათ წარმოების ვადები და გაედიდებინათ გამომუშავება. შედეგად იყო დაბალი ხარისხის პროდუქცია, მაღალი ტრავმატიზმით და მოწყობილობათა დაზიანება, ხალხის დაღუპვა და ჯანმრთელობის დაკარგვა.

რეალურად შეიქმნა ახალი შრომითი ეთიკა, რომელშიც ადამიანი მანქანაზე ნაკლებად ფასობდა. გმირობა განსაკუთრებული საქციელიდან აყვანილი იყო ცხოვრების ნორმაში, რომლის დაცვისათვის ბევრი ხალხი საკუთარ სიცოცხლეს სწირავდა, ხოლო ზოგიერთი სხვის სიცოცხლეს. და ბევრი რამე ამ ეთიკიდან დღესაც განაგრძობს ჩვენი სიცოცხლის შემცირებას. როგორც სწორად შენიშნავს ცნობილი რუსი დემოგრაფი ვლადიმერ მიხეილის ძე შკოლნიკოვი „რუსეთის როგორც საბჭოთა ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო (და რჩება დღემდე) ფასეულობათა ღრმად დეფორმირებული სისტემა, რომელშიც ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ფასეულობას მეტად უმიშვნელო ადგილი უკავიათ იმისათვის, რომ მათ უნარი ჰქონდეთ თავის დაცვისათვის მობილიზაცია გაუკეთონ აუცილებელ ეკონომიკურ რესურსებსა და სოციალურ ენერჯიას“.¹

აღკოპოლის მოხმარების დაბალი კულტურა, თამბაქოს მასიური წვევა, მათ შორის ქალებსა და მოზარდებს შორის გავრცელება, თანამედროვე კონტრაცეფციის ნაცვლად ხელოვნური აბორტების ძალიან დიდი რიცხვი, საყოველთაო უხეშობა ადამიანებს შორის ურთიერთობებში, ბილწსიტყვაობა, ახალგაზრდების თავაშეგებულობა, სექსის ძალადობისა და უხეშობის პროპაგანდა ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით – ყველა ესენი ერის ჯანმრთელობის დამანგრეველი მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც არ უწყობენ ხელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას (ასევე ოჯახის განმტკიცებასა და შობადობის ზრდას).

4) **გარემო პირობების ხარისხი.** აქაც ბევრი პრობლემაა, რომლებიც ახლა უკვე საკმაოდ კარგადაა ცნობილი (თუმცა თითქმის ყოველდღე ჩვენ ვგებულობთ ახალ, უფრო სწორად ძველ მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში საგულდაგულოდ დაფარულ ეკოლოგიურ უბედურებებზე). თითქმის ყველა ისინი – საბჭოთა სახელმწიფოს პიპერტროფული სამხედრო ეკონომიკის შედეგია, რომელშიც გარემოს დაცვის საკითხებს ცოტა ყურადღება ეთმობოდა (ისე როგორც ჯანმრთელობის დაცვას, ხალხის ცხოვრების ღონესა და ყველა სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ასპექტებს). რუსეთის ფედერაციის ქალაქებში, უკვე თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში მომქმედი ჰაერის დაბინძურების

6.12. თვითშენახვითი ქცევა

სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის ბრძოლაში ქცევითი ასპექტების მზარდმა როლმა თავისი გამოხატულება ჰპოვა მოსახლეობის მოკვდაობისა და ჯანმრთელობის სოციოლოგიური მეთოდებით გამოკვლევაში. რეპროდუქციული ქცევის განმარტების ანალოგიით თვითშენახვითი ქცევა განისაზღვრება როგორც პიროვნების ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ მიმართულ მოქმედებათა და განწყობათა სისტემა.

ჩვენს ქვეყანაში პირველად თვითშენახვითი ქცევის პილოტაჟური გამოკვლევის ჩატარება დაიწყო სოციოლოგთა და დემოგრაფთა მცირე ჯგუფმა პროფ. ა.ი. ანტონოვის ხელმძღვანელობით, თავდაპირველად ხალხთმოსახლეობის პრობლემების შემსწავლელ ცენტრში (მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე) 1980-1983 წლებში, ხოლო შემდეგ სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტში 1984-1986 წლებში (შესაბამისად მკვლევართა სხვა შემადგენლობის ჯგუფით). გამოკვლევები ჩატარდა ვილნიუსში, შაულიაიში, ლვოვში, ჩერნოვიში, და სსრკ-ის სხვა ქალაქებში¹. სულ გამოკითხული იქნა 1500-მდე ადამიანი ვაჟი, და ქალი, რომელთა შორისაც 30 წლამდე ახალგაზრდები შეადგენდნენ 61%-ს, ხოლო 50 წელზე უფროსები – 13%-ს. გამოკითხულთა ნახევარზე მეტს გონებრივი შრომის ადამიანები შეადგენდნენ. სიცოცხლის ხანგრძლივობისადმი ფსიქოლოგიური განწყობების ძირითად მახასიათებლად მკვლევარები უპირატესობის მიმცემ იმავე სამ მაჩვენებელს იყენებდნენ რასაც რეპროდუქციული ქცევის შესწავლისას, ბუნებრივია შესწავლის აქტუალური საგნის ჭრილში: სიცოცხლის იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი საშუალო წლების რიცხვი. რესპოდენტთა პასუხები იდეალური სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ კითხვაზე: როგორია თქვენი აზრით სიცოცხლის საუკეთესო ხანგრძლივობა? – მკვლევარების მიერ აიხსნებოდა

1. ქ. თბილისში თვითშენახვითი ქცევის შესწავლის პირველი მცდელობა იყო 1989-1990 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით ა. სახვაძის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევა, რომელმაც გამოავლინა თვითშენახვითი ქცევის ეთნიკური თავისებურებანი. ამ გამოკვლევის შედეგები აისახა ა. სახვაძის საკინდიდატო დისერტაციაში.

როგორც გამოსაკითხთა წარმოდგენის დახასიათება საერთოდ სხვა ხალხის და არა პირადად მათი სიცოცხლის საუკეთესო ვადის შესახებ. პასუხები სიცოცხლის სასურველი ხანგრძლივობის შესახებ: „თქვენ რომ გქონოდათ არჩევანის შესაძლებლობა, მაშინ რამდენ ხანს სიცოცხლეს ამჯობინებდით თქვენთვის ყველაზე საუკეთესო პირობებში?“ – ხასიათდება როგორც მოთხოვნილება ხანგრძლივ სიცოცხლეზე, სიცოცხლის სურვილი. დაბოლოს, პასუხი კითხვაზე მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ: „როგორ ფიქრობთ დაახლოებით რომელ ასაკამდე იცოცხლებთ თქვენ?“ – აიხსნებოდა როგორც რესპოდენტთა სიცოცხლის იმ ხანგრძლივობის შესახებ წარმოდგენა, რომლის მიღწევაც შეიძლება მათი ცხოვრების რეალურ პირობებში¹. სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით უპირატესობის მინიჭებისა და მოსალოდნელობის ყველა ინდიკატორი დარდებოდა რესპოდენტთა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით. გამოვლენილ იქნა, რომ მთლიანობაში ვაჟები უფრო პესიმისტურად აფასებენ თავიანთ ჯანმრთელობას ვიდრე ქალები, როგორც „კარგი“, იგი შეაფასა გამოკითხულ ვაჟთა 30%-მა და ქალების 48%, ხოლო მათი ხვედრითი წილი ვინც თავისი ჯანმრთელობა შეაფასა როგორც „ცუდი“, ვაჟებში 2,5-ჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ქალებში. ამასთან, ჯანმრთელობაზე ყველაზე მეტად მოქმედი ფაქტორებიდან პირველ ადგილზე აღმოჩნდა „ცხოვრების პირობები“ (41%), ხოლო კარგი ჯანმრთელობის მიღწევაში „თავად ადამიანის ძალისხმევის“ მნიშვნელობა აღნიშნა მხოლოდ 29%-მა. ქალებში ასეთი მოსაზრება შეადგენდა შესაბამისად 28 და 39%-ს². ამრიგად, ქალებმა ჯანმრთელობის შენარჩუნებისადმი დამოკიდებულებაში უფრო აქტიური პოზიცია გამოავლინეს. გამოკვლევებმა ასევე გამოავლინეს ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი რომელთა აზრითაც არ ღირს დიდხანს სიცოცხლისადმი სწრაფვა. ეს ნაწილი არც თუ ისე მცირეა. აღნიშნული გამოკვლევებით იგი შეადგენს 25%-მდე. ასეთი პოზიცია მოტივირებულია შიშით, რომ დარჩებიან უმწეონი და მარტონი სიბერეში ავადმყოფობის დროს. ცხოვრებისეული პოზიციების განსხვავება აისახა სიცოცხლის ხანგრძლივობის წლებისათვის უპირატესობის მიმნიჭებელ მაჩვენებლებშიც. „პესიმისტებში“ (თუ შეიძლება მათ ძალიან პირობითად ეწოდოთ)

1. //
, 1989. . 44-45.
 2. //
, 1988. . 111-112.

სიცოცხლის სასურველმა ხანგრძლივობამ (რამდენი წელი უნდათ რომ იცოცხლონ ყველაზე საუკეთესო პირობებში) შეადგინა 68,6 წელი, „ოპტიმისტების“ პასუხებთან – 81,4 წელი, შედარებით რომლებსაც დიდხანს სიცოცხლე უნდათ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრი განიცადონ სიცოცხლეში და რაც შეიძლება დიდხანს არ დაშორდნენ თავიანთ ახლობლებს. მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (რომელ ასაკამდე იცოცხლებთ თქვენ) პირველებში შეადგენდა 61,6 წელს, ხოლო მეორეებში – 69,4 წელს. თავიანთი ჯანმრთელობის შენარჩუნებისადმი ყურადღება ასევე აისახება თვითშენახვით განწყობებშიც. თავიანთ ჯანმრთელობაზე მზრუნველები ელიან, რომ იცოცხლებენ 79 წელს, ხოლო არა მზრუნველები – 71 წელს.¹

სამწუხაროდ, თვითშენახვითი ქცევის გამოკვლევები დაწყებიდან ძალიან მალე შეწყდა. მათ ვერ მიიღეს მხარდაჭერა ვერც იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელობისაგან, სადაც ისინი ტარდებოდა და ვერც სამეცნიერო საზოგადოებისაგან. შესაძლოა თავად ა.ი. ანტონოვმაც დაკარგა ამ თემისადმი ინტერესი. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი არ შეიძლება ამოწურულად, ან მეცნიერულად უინტერესოდ ჩაითვალოს. იმავე ა.ი. ანტონოვის აზრით „აქამდე დაუმუშავებელი რჩება პიროვნების თვითშენახვითი ქცევის სტრუქტურის საკითხები. მისი ელემენტების ურთიერთკავშირი, ასეთი ქცევის ძირითადი შედეგების კლასიფიკაცია (ჯანმრთელობის თვალსაზრისით პოზიტიური და ნეგატიური), ინდივიდთა თვითშენახვითი ქცევის შედეგების ურთიერთკავშირის საკითხები ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ავადმყოფობასთან და სიცოცხლის ხანგრძლივობასთან, როგორც მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის ასევე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობისთვისაც. დღეს შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ამ პრობლემის დაყენებაზე სოციოლოგიური დემოგრაფიისა და ჯანმრთელობის სოციოლოგიის ფარგლებში, რადგანაც ცალკეულ დისციპლინებში და უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიაში არის სუბიექტური სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზომვის გაბნეული მცდელობები, ე.ი. წლების იმ რიცხვის რომელიც უნდა, იმედი აქვს, რომ იცოცხლებს გამოსაკითხ პირს“² იმედი უნდა ვიქონიოთ, ან უფრო სწორად დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს გამოსაკვლევი თემა კიდევ იპოვნის თავის ენთუზიასტებს.

1. . . .
 . . ., 1994. . 419.

2. . . .

//

:

. . ., 1989. . 44.

//

თემა 7. მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა და კვლავწარმოება

მოსახლეობის ზრდა და კვლავწარმოება განისაზღვრება დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვების ან სხვაგვარად, რომ ვთქვათ შობადობისა და მოკვდაობის დონეებს შორის თანაფარდობით. როგორც უკვე წინათ ვთქვით, ამ შემთხვევაშიც, სიტყვა „ბუნებრივი“ ატარებს პირობით ხასიათს და მოსახლეობის რიცხოვნობის მიგრაციული პროცესების ხარჯზე ცვლილებისაგან განსხვავებით, მოწოდებულია აღნიშნოს შობადობასა და მოკვდაობას შორის არსებული, სწორედ ეს თანაფარდობა. მოსახლეობის ზრდასა და კვლავწარმოებას შორის არსებობს მსგავსება და ურთიერთქმედება. მაგრამ ამ ცნებებს შორის არსებითი განსხვავებაცაა. კერძოდ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეიძლება კიდევ დიდხანს განაგრძობდეს ზრდას, მაშინ როცა მოსახლეობის კვლავწარმოება უკვე შევიწროვებული გახდა (ე.ი. ყოველი მომდევნო თაობა რიცხოვრივად წინაზე მცირეა). ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ ასაკობრივ სტრუქტურას გააჩნია დემოგრაფიული ზრდის გარკვეული პოტენციალი.

პირიქით, მოსახლეობის რიცხოვნობა შეიძლება განაგრძობდეს კლებას მისი გაფართოვებული კვლავწარმოების რეჟიმის დროსაც კი (თუკი მოსახლეობის რეპროდუქციული ნაწილის ხვედრითი წილი ძალიან მცირე გახდება მისი ხანდაზმული ნაწილის ხვედრით წილთან შედარებით. მაშინ დაბადებულთა რიცხვი შობადობის დონის ძალიან მაღალ პირობებშიც კი ვერ შესძლებდა გარდაცვალებულთა დიდი რიცხვის კომპენსირებას). და ეს აიხსნება ისევ იმავე მოსახლეობის ზრის პოტენციალით, რომელიც გააჩნია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, მაგრამ უკვე უარყოფითი ნიშნით (აღგებრული თვალსაზრისით).

7.1. ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი

მოსახლეობის ზრდა (ან მატება, რაც ფაქტიურად ერთი და იგივეა) ხასიათდება მთელი რიგი მაჩვენებლებით, რომელთაგანაც ყველაზე მარტივია – უკვე მე-4 თავიდან ცნობილი ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი. შეგახსენებთ რომ ეს კოეფიციენტი წარმოადგენს ბუნებრივი მატების შეფარდებას მის საშუალო (უფრო ხშირად საშუალო წლიურ) რიცხოვნობასთან. ასევე შეგახსენებთ, რომ ბუნებრივი მატება წარმოადგენს დროის ერთი და იგივე პერიოდში (ჩვეულებრივ კალენდარული წლის განმავლობაში) დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვებს შორის სხვაობას, ანუ სხვაობას შობადობასა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს შორის.

ბუნებრივი მატების კოეფიციენტს აქვს ყველა ის ღირსება და ნაკლი, რაც გააჩნიათ სხვა ზოგად კოეფიციენტებს. მისი მთავარი ნაკლია – კოეფიციენტის სიდიდისა და მისი დინამიკის, მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასა და მის ცვლილებაზე დამოკიდებულება. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ბუნებრივი მატების კოეფიციენტის ასაკობრივ სტრუქტურაზე დამოკიდებულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ზოგად კოეფიციენტებში. იგი თითქოსდა ორმაგდება შობადობისა და მოკვდაობის დონეებზე ასაკობრივი სტრუქტურის საპირისპირო მიმართულებით გავლენის გამო. ვთქვათ, შედარებით ახალგაზრდა მოსახლეობაში 20-დან 35 წლამდე ახალგაზრდობის მაღალი ხვედრითი წილით (როცა აჩენენ პირველ და მეორე ბავშვებს, რომელთა გაჩენის ალბათობა დღესაც ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია, ხოლო მოკვდაობის ალბათობა ამ ასაკებში პირიქით დიდი არაა) შობადობის ზომიერი დონის დროსაც კი დაბადებულთა რიცხვი შედარებით მაღალი იქნება (მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ახალგაზრდული ცოლქმრული წყვილების დიდი რიცხვის გამო) და იმავდროულად – იმავე მიზეზით, ახალგაზრდული ასაკობრივი სტრუქტურის შედეგად – გარდაცვალებულთა რიცხვი კი შედარებით მცირე. აქედან, შესაბამისად დიდი იქნება სხვაობა დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვებს შორის, ე.ი. ბუნებრივი მატება და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი. პირიქით, შობადობის დონის შემცირებისას და ამ შემცირების შედეგად ასაკობრივი სტრუქტურის დაბერებისას – გაიზრდება გარდაცვალებულთა რიცხვი (ამასთან, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მოკვდაობის დონე შეიძლება უცვლელი რჩებოდეს ან მცირდებოდეს კიდევ), და საბოლოო ჯამში შემცირდება მოსახლეობის ბუნებრივი მატება და ბუნებრივი მატების

კოეფიციენტი. სწორედ ეს უკანასკნელი ხდება ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც დაბალ შობადობის დონიან, ეკონომიკურად განვითარებულ სხვა ქვეყნებში.

ასეთი კოეფიციენტების ქვეყნების, ან ტერიტორიების მიხედვით ერთმანეთისაგან თავისი დემოგრაფიული განვითარებით და შესაბამისად თავისი ასაკობრივი სტრუქტურით განსხვავებულ მოსახლეობათა შედარებითი ანალიზისას საჭიროა გავითვალისწინოთ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე, ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის დამოკიდებულება.

ამ ნაკლის მოხსნის, ბუნებრივი მატების შესადარებელი კოეფიციენტების შესადარ სახემდე დაყვანის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება გამოდგეს მკითხველისათვის უკვე ცნობილი ზოგადი კოეფიციენტების საინდექსო და სტანდარტიზაციის მეთოდები. წინამდებარე სახელმძღვანელოს ჩარჩოები არ იძლევა ამ მეთოდების აქ განხილვის საშუალებას (მაგრამ მათი გაცნობა შეიძლება სტატისტიკის ცნობარებსა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურაში¹).

მოსახლეობის დინამიკის დონის გაზომვის ხარისხის გაზრდის სხვა ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივი მატებიდან გადავიდეთ მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლების გაანგარიშებაზე. ამ მაჩვენებლების ღირსება მდგომარეობს მათი, მოსახლეობის, უპირველეს ყოვლისა კი სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურისაგან, დამოუკიდებლობაში.

1. ბუნებრივი მატების კოეფიციენტის სტანდარტიზაციის მეთოდი სპეციალურადაა განხილული სტატიაში, კერძოდ კი: . . .

//
, 1973. . 376-379.

7.2. მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები

ასეთი მაჩვენებლები რამდენიმეა, მათ შორის ორი – **მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო¹ და ნეტო² კოეფიციენტებია**. ბუნებრივი მატების კოეფიციენტებისაგან განსხვავებით ეს მაჩვენებლები მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებას ახასიათებენ არა ერთი წლის განმავლობაში, არამედ დროის იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც მშობელთა თაობა იცვლება თავიანთი შვილების თაობით. რადგანაც თაობათა ცვლა ხასიათდება შობადობისა და მოკვდაობის დონეთა თანაფარდობით, ხოლო ეს უკანასკნელი არსებითად განსხვავდება ვაჟთა და ქაღთა სქესისათვის, მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები გაიანგარიშება ცალ-ცალკე თითოეული სქესისათვის, უფრო ხშირად კი ქალებისათვის. ამასთან, ჩვეულებრივ მხედველობაში არ მიიღება მოსახლეობის გარე მიგრაცია, ე.ი. განიხილება ეგრეთ წოდებული **ჩაკეტილი** მოსახლეობა (პირობითად გარე მიგრაციის არ მქონე მოსახლეობა³).

მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო – კოეფიციენტი ისევე გაიანგარიშება, როგორც შობადობის ჯამური კოეფიციენტი, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით გაანგარიშებაში გათვალისწინებულია მხოლოდ გოგონები. ფორმულის სახით, გაანგარიშება შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

$$R_1 = \text{შ.ჯ.კ.} \times \delta \quad (7.2.1.)$$

სადაც R_1 – მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო კოეფიციენტი;

შ.ჯ.კ. – შობადობის ჯამური კოეფიციენტი;

δ – გოგონების ხვედრითი წილი ახალდაბადებულებს შორის.

ამრიგად, მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი გვიჩვენებს გოგონების რიცხვს, რომელსაც საშუალოდ აჩენს ერთი ქალი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ამასთან ივარაუდება, რომ ქალებიდან და არც მათი გოგონებიდან არავინ არ კვდება რეპროდუქციული პერიოდის ბოლომდე

1. ბრუტო (იტალ. brutto) – საქონლის საერთო წონა (ჭურჭლიანად, შეფუთვიანად) უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა. მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბ., „განათლება“, 1973. გვ. 70.

2. ნეტო (იტალ. netto) – საქონლის წონა უჭურჭლოდ, შეუფუთავად; სუფთა წონა. იქვე გვ. 281.

3. : . ., 1994. . 143.

(პირობითად – 50 წლამდე). ცხადია, დაშვება მოკვდაობის არ არსებობის შესახებ მეტისმეტად არარეალურია, რათა ანალიზურ სამუშაოებში გამოყენებისათვის ბრუტო – კოეფიციენტი რაიმე სარგებელს წარმოადგენდეს. და მართლაც, უკანასკნელ წლებში ეს მაჩვენებელი ფაქტიურად არც გამოიყენება. ხოლო თუკი გავითვალისწინებთ მოსახლეობის კვლავწარმოების ხარისხზე მოკვდაობის გავლენას, მაშინ გადავდივართ კვლავწარმოების ნეტო – კოეფიციენტზე¹. იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$R_0 = n \times \delta \times \sum_{15}^{49} F_x \times \frac{F_{L_x}}{l_0} \times 0,001 \quad (7.2.2.)$$

სადაც R_0 – მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო – კოეფიციენტია; F_x – შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტებია; F_{L_x} – ცოცხლად მყოფი ქალების რიცხვია მოკვდაობის ცხრილებიდან, რომლებიც წარმოადგენენ შესწორებას მოკვდაობაზე (ანუ გარკვეულ ასაკამდე მიღწევაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ერთი და იგივეა); l_0 – მოკვდაობის ცხრილის „ფესვია“, რომელიც მის თანრიგინობაზე დამოკიდებულების მიხედვით 100 000-ის ან 10 000-ის ტოლია; δ – გოგონების ხვედრითი წილია ახალდაბადებულთა შორის; n – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეა (ჩვეულებრივ ან 1, ან 5).

ტრადიციულად კოეფიციენტი გაიანგარიშება საშუალოდ ერთ ქალზე, ამიტომ ფორმულაში არის თანამამრავლი 0,001. მაგრამ შესაძლებელია საშუალოდ 1000 ქალზე გაიანგარიშებაც. ესეც, ისევე როგორც მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებელთა დასახელების შემთხვევაში, გამომყენებლის თავისუფალი არჩევანის საქმეა.

მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო – კოეფიციენტი ახასიათებს დედის თაობის გოგონათა თაობით შეცვლას. მაგრამ ხშირად იგი განიმარტება, როგორც მთელ მოსახლეობაში თაობათა ცვლის მაჩვენებელი (ორივე სქესისა ერთად). თუკი

1. ზოგიერთი სპეციალისტი ამჯობინებს ამ მაჩვენებელს უწოდოს მოსახლეობის კვლავწარმოების „საერთო“ და „წმინდა“ კოეფიციენტები (შესაბამისად „ბრუტო“-სა და „ნეტო“-ს ნაცვლად). მე მგონია, რომ მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლების დასახელებისათვის უპირატესობის მინიჭების სასარგებლოდ სერიოზული საფუძველი არ არსებობს. ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ პირადი გემოვნების საქმეა. ჩემს მიერ არჩეული სახელწოდებები მხოლოდ იმიტომ მიმანია უკეთესად, რომ სხვა შეჩვეულ ცნებებთან შედარებით ნაკლები ასოციაცია აქვთ.

ეს კოეფიციენტი უდრის 1,0-ს, ეს ნიშნავს, რომ შობადობის და მოკვდაობის დონეთა თანაფარდობა, დროის იმ პერიოდის შემდეგ, რომელიც გოგონების გაჩენისას დედების საშუალო ასაკის ტოლია, უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ კვლავწარმოებას. ეს საშუალო ასაკი სუსტად ვარიირებს, და შობადობის დონის პირდაპირპროპორციულია 25-დან 30 წლამდე ასაკებში. თუკი ნეტო – კოეფიციენტი მეტი, ან ნაკლებია 1,0-ზე ეს შესაბამისად ნიშნავს, მოსახლეობის გაფართოებულ (ბავშვების თაობა რიცხობრივად მეტია მშობლების თაობაზე), ან შევიწროებულ (ბავშვების თაობა მათი მშობლების საშუალო ასაკამდე მიღწევის გათვალისწინებით ნაკლებია მშობელთა თაობაზე).

დედათა საშუალო ასაკი გოგონების გაჩენისას (უფრო ზუსტად გოგონების გაჩენისას, რომლებიც თავის მხრივ აღწევენ უკიდურეს შემთხვევაში მათი გაჩენის მომენტში თავიანთი დედების ასაკამდე. მაგრამ ეს პირობა ისე გრძელი წარმოსათქმელია, რომ თითქმის ყველა, ყველაზე მკაცრი სპეციალისტებიც კი მას სტოვებენ), რომელსაც ასევე **ქალთა თაობის სიგრძესაც** უწოდებენ, მიახლოებით გაიანგარიშება ფორმულით:

$$T = \frac{n \times \delta \times \sum_{15}^{49} (x+0,5n) F_x \times \frac{F L_x}{l_x}}{n \times \delta \times \sum_{15}^{49} F_x \times \frac{F L_x}{l_x}} \quad (7.2.3.)$$

სადაც T – ქალთა თაობის სიგრძეა (დედების საშუალო ასაკია გოგონების გაჩენისას); F_x – შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტია; $F L_x$ – ცოცხლადმყოფი ქალების რიცხვია მოკვდაობის ცხრილიდან; δ – გოგონების ხვედრითი წილია ახალდაბადებულთა შორის, x – ასაკი, ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისში; n – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეა წლებით.

რადგანაც ზემოთ მოტანილ ფორმულაში ასაკობრივი ინტერვალის სიგრძის (n) და ახალდაბადებულთა შორის გოგონების ხვედრითი წილის (δ) მაჩვენებლები შედიან როგორც წილადის მრიცხველის, ასევე მნიშვნელის შემადგენლობაში, ცხადია შეიძლებოდა მათი შეკვეცა. მაგრამ პრაქტიკულად აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამის გაკეთება საჭიროა არ არის (საჭიროების გარეშე იზრდება გრაფების რიცხვი საანგარიშო ცხრილში).

ადგილი შესამჩნევია, რომ ზემოთ მოტანილი ფორმულის მნიშვნელში მოცემულია მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტის მნიშვნელობა,

ხოლო მთლიანობაში ფორმულა გამოსახავს ყოველი ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფის საშუალო ასაკიდან მათი გაჩენის მომენტში თავიანთი დედების ასაკამდე მიღწეული ახალდაბადებული გოგონების ხვედრითი წილით შეწონილ საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს.

1996 წლისათვის რუსეთის ქალთა მოსახლეობის კელავწარმოების ნეტო-კოეფიციენტისა და გოგონების გაჩენისას დედათა საშუალო ასაკის გაანგარიშების მაგალითი მოტანილია 7.1. ცხრილში.

განვიხილოთ გაანგარიშების ალგორითმი მისი ეტაპების მიხედვით.

1) 7.1. ცხრილის 1 გრაფაში რუსეთის დემოგრაფიული წელიწდეულიდან (M., 1997 c. 215) ამოიწერება შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები, ამასთან ისინი პრომილებიდან გარდაიქმნება ერთიანის წილად (თითოეულის 1000-ზე გაყოფის გზით);

2) შობადობის თითოეული ასაკობრივი კოეფიციენტის, ახალშობილთა შორის გოგონების ხვედრით წილზე გადამრავლებით (ამასთან მას მივიჩნევთ ერთი და იგივედ დედათა ყველა ასაკობრივ ჯგუფში) ვღებულობთ გოგონათა გაჩენის ასაკობრივ კოეფიციენტებს, რომლებიც ჩაიწერება მე-2-ე გრაფაში.

3) 1996 წლის რუსეთის მოკვდაობის ცხრილებით (იხ. . ., 1997. . . 250.) განისაზღვრება ცოცხლადმყოფთა რიცხვი თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში, როგორც ამ ასაკამდე მიღწეულთა ორი მომიჯნავე რიცხვის საშუალო არითმეტიკული ე.ი.

$$F_{Lx} = \frac{l_x + l_{x+5}}{2}$$

სადაც F_{Lx} – მოკვდაობის ცხრილებით გაანგარიშებული ცოცხლადმყოფი ქალების რიცხვია; l_x და l_{x+5} – x და $x+5$ წლის ასაკამდე მიღწეულთა რიცხვია მოკვდაობის იმავე ცხრილებიდან.

4) ასეთი ხერხით მიღებული ცოცხლადმყოფთა რიცხვი იყოფა მოკვდაობის ცხრილის ფესვზე l_0 -ზე (მოცემულ შემთხვევაში ის უდრის 100 000) და შეაქვთ 7.1. ცხრილის მე-3-ე გრაფაში.

5) მე-2-ე გრაფიდან გოგონების შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები მრავლდება სტრიქონების მიხედვით ცოცხლადმყოფი ქალების რიცხვზე მე-3-ე გრაფიდან (ე.ი. ამგვარად შეაქვთ შესწორება მათი დედის იმ ასაკამდე მიღწევის

შესახებ, რომელშიც დედებმა გააჩინეს ეს გოგონები). გამრავლების შედეგები იწერება მე-4-ე გრაფაში.

6) 1,2, და 4 გრაფის მაჩვენებლები ჯამდება ვერტიკალზე და ჯამები მრავლდება 5-ზე (ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეზე). შედეგად 1-ლ გრაფაში დებულობენ შობადობის ჯამურ კოეფიციენტს $R_0=1,2805$, ანუ დამრგვალებულად 1,281; მე-2 გრაფაში 0,625-ის ტოლ მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტს, ხოლო მე-4 გრაფაში მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტს $R_0=0,60535$, ანუ დამრგვალებით 0,605-ს.

ბუნებრივია, საინტერესოა მიღებული შედეგების რუსეთის სტატსახკომის ოფიციალურ პუბლიკაციებთან შედარება, რომელიც უზუსტესადაა გაანგარიშებული ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტების საფუძველზე. აღმოჩნდა, რომ ჩვენს მიერ 1996 წელს რუსეთისათვის გაანგარიშებული შობადობის ჯამური კოეფიციენტი ზუსტად დაემთხვა რუსეთის სტატსახკომის მიერ გაანგარიშებულ სიდიდეს – 1,281-ს. ნეტო-კოეფიციენტის სიდიდე მხოლოდ 0,002-ით განსხვავდებოდა სტატსახკომის გაანგარიშებისაგან. ასეთი განსხვავება შეიძლება არა არსებითად ჩაითვალოს.

დავუბრუნდეთ 7.1 ცხრილს და განვსაზღვროთ გოგონების გაჩენისას დედების საშუალო ასაკი – ქალების თაობის სიგრძე. ამისათვის საჭიროა:

7) სტრიქონების მიხედვით გადავამრავლოთ მე-4 გრაფის მონაცემები ასაკების მონაცემებზე თითოეული ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფის შუა ასაკებზე (გრაფა 5-ში) და ამ გამრავლების შედეგები ჩავწეროთ მე-6 გრაფაში. მიღებული ნამრავლების შეკრების შემდეგ და ჯამის 5-ზე გამრავლებით ვდებულობთ წილადის მრიცხველს (15,1237), რომლის მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტზე (0,60535) გაყოფით, მივიღებთ რუსეთში 1996 წელს ქალთა თაობის სიგრძის მაჩვენებელს, რომელიც ტოლია 24,98 წლის (ანუ დამრგვალებით – 25 წლის).

მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი საშუალებას იძლევა დროის ყოველ მოცემულ მომენტში შევაფასოთ მოსახლეობის კვლავწარმოების ფაქტიურად არსებული რეჟიმი (შობადობისა და მოკვდაობის დონეთა თანაფარდობა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გავლენისაგან აბსტრაქციურებით) მისი შემდგომი სავარაუდო განვითარების პოზიციიდან. იგი ახასიათებს არა დღევანდელ დემოგრაფიულ სიტუაციას, მაგრამ ახასიათებს მის ზღვრულ მდგომარეობას გარკვეულ მომავალში, თუკი კვლავწარმოების მოცემული რეჟიმი უცვლელი დარჩება. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ნეტო-კოეფიციენტი

წარმოადგენს სიტუაციის შეფასებისა და მისი მომავალი ტენდენციების პროგნოზირების ინსტრუმენტს.

ნეტო-კოეფიციენტისა და ქალთა თაობის სიგრძის საფუძველზე შეიძლება განვსაზღვროთ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი, რომელიც გვიხასიათებს მოსახლეობის ყოველწლიურ მატებას, მაგრამ ისევე როგორც ნეტო-კოეფიციენტი, არაა დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებებზე. მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი მიახლოებით განისაზღვრება ამერიკელი დემოგრაფის ენსლი კოულის მიერ 1955 წელს შემოთავაზებული ფორმულით:

$$r = \frac{\ln R_0}{T} \times 1000 \tag{7.2.4.}$$

სადაც r – არის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი; R_0 – მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი; T – ქალთა თაობის სიგრძეა (ქალების საშუალო ასაკი გოგონების გაჩენისას).

ცხრილი 7.1.

1996 წლისათვის რუსეთის მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტისა და გოგონების გაჩენისას დედათა საშუალო ასაკის გაანგარიშება

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	$\frac{F_x}{1000}$	გრ 1 x x 0,488	$\frac{F_{Lx}}{l_0}$	$\delta \times F_x \times \frac{F_{Lx}}{l_0}$	x+0,5n	$(x+0,5n) \times \delta \times F_x \times \frac{F_{Lx}}{l_0}$
A	1	2	3	4	5	6
15-19	0,0397	0,0194	0,97626	0,01894	17,5	0,33145
20-24	0,1064	0,0519	0,97189	0,05044	22,5	1,13490
25-29	0,0665	0,0325	0,96651	0,03141	27,5	0,86378
30-34	0,0303	0,0148	0,95983	0,01421	32,5	0,46183
35-39	0,0108	0,0053	0,95075	0,00504	37,5	0,18900
40-44	0,0023	0,0011	0,93762	0,00103	42,5	0,04378
45-49	0,0001	0,0000	0,91797	0,00000	47,5	0,00000
Σ	0,2561	0,1250		0,12107		3,02474
x5	1,2805	0,6250		0,60535		15,1237

მაგალითისათვის 7.1. ცხრილის მონაცემებით განვსაზღვროთ ეს კოეფიციენტი 1996 წლის რუსეთისათვის.

$$r = \frac{\ln 0,60535}{25,98} = - 0,02009 \text{ ანუ } - (\text{მინუს}) 20,1\%$$

რუსეთის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ფაქტიური კოეფიციენტი 1996 წელს - 5,3%-ის ტოლი იყო. აქედან შეიძლება დავინახოთ, თუ რა როლს ასრულებს ჩვენი მოსახლეობის ზრდაში მისი ასაკობრივი სტრუქტურა და როგორი იქნება ჩვენი მოსახლეობის ყოველწლიური კლება, როცა ასაკობრივი სტრუქტურა საბოლოოდ ამოწურავს თავისი დემოგრაფიული ზრდის პოტენციალს.

7.1. ცხრილის ანალოგიური მეთოდითაა აგებული 7.1^ა ცხრილიც.

ცხრილი 7.1^ა

1999 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტისა და გოგონების გაჩენისას დედათა საშუალო ასაკის გაანგარიშება

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	$\frac{F_x}{1000}$	გრ 1 x x 0,488	$\frac{F_{Lx}}{l_0}$	$\delta \times F_x \times \frac{F_{Lx}}{l_0}$	x+0,5n	$(x+0,5n) \times \delta \times F_x \times \frac{F_{Lx}}{l_0}$
A	1	2	3	4	5	6
15-19	0,0348	0,0170	0,98334	0,01672	17,5	0,29260
20-24	0,0765	0,0373	0,98203	0,03663	22,5	0,82418
25-29	0,0560	0,0273	0,98015	0,02676	27,5	0,73590
30-34	0,0301	0,0147	0,97758	0,01437	32,5	0,46703
35-39	0,0125	0,0061	0,97434	0,00594	37,5	0,22275
40-44	0,0035	0,0017	0,96936	0,00165	42,5	0,07013
45-49	0,0005	0,0002	0,96219	0,00019	47,5	0,00903
Σ	0,2139	0,1043		0,10226		2,62162
×5	1,0695	0,5215		0,51130		13,1081

მასში შექვეყნებული გრაფის საბოლოო ჯამის (13,1081) მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო კოეფიციენტზე (0,51130) გაყოფით მივიღებთ საქართველოში 1999 წელს ქალთა თაობის სიგრძის მაჩვენებელს, რომელიც ტოლია 25,64 წლის (ანუ დამრგვალებით - 26 წლის).

7.1^ა ცხრილის მონაცემებით შეიძლება განვსაზღვროთ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი 1999 წლის საქართველოსათვის:

$$r = \frac{\ln 0,51130}{25,64} = \frac{- 0,6708}{25,64} = - 0,02616 \text{ ანუ } - (\text{მინუს}) 26,2\%$$

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ფაქტიური კოეფიციენტი 1999 წელს 0,1%-ის ტოლი იყო. აქედან შეიძლება დავინახოთ თუ რა როლს ასრულებს ჩვენი მოსახლეობის ზრდაში მისი ასაკობრივი სტრუქტურა და როგორი იქნება საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური კლება, როცა ასაკობრივი სტრუქტურა საბოლოოდ ამოწურავს თავისი დემოგრაფიული ზრდის პოტენციალს.

მოსახლეობის კვლავწარმოების შეფასებისათვის რუსი დემოგრაფის ვ.ნ. არხანგელსკის მიერ 1996 წელს შემოთავაზებული იქნა საინტერესო და მარტივი მეთოდი. მეთოდის არსი მდგომარეობს მოსახლეობის მოკვდაობისა და ასაკობრივი სტრუქტურის რეალურად არსებული დონის პირობებში მოსახლეობის ნულოვანი ბუნებრივი მატების უზრუნველსაყოფად საჭირო შობადობის ჰიპოთეზური დონის განსაზღვრაში. მოცემულ შემთხვევაში შობადობის ჰიპოთეზური დონე გამოისახება შობადობის ჯამური კოეფიციენტით.¹

შემოთავაზებული მეთოდის ჩვენება უფრო ადვილია კონკრეტულ მაგალითზე. როგორც ცნობილია ბუნებრივი მატება ნულის ტოლია დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვების ტოლობის შემთხვევაში (და შესაბამისად შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ტოლობისას). 1996 წელს რუსეთში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი 14,2-ს შეადგენდა. შესაბამისად, ნულოვანი მატების უზრუნველსაყოფისათვის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი უნდა იგივე, ე.ი. 14,2 ყოფილიყო, ნამდვილად კი იმავე 1996 წელს, მისი სიდიდე მხოლოდ 8,9-ს ანუ 1,6-ჯერ ნაკლებს უდრიდა. რადგანაც ასეთ შემთხვევაში ასაკობრივი სტრუქტურა მიიღება ისეთად, როგორც იგი არის ნამდვილად, ვღებულობთ, რომ იმისათვის, რათა შობადობის კოეფიციენტი უდრიდეს მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს, საჭიროა შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები და საბოლოოდ კი შობადობის ჯამური კოეფიციენტიც ასევე 1,6-ჯერ გავზარდოთ ფაქტიურთან შედარებით.

1996 წელს რუსეთში შობადობის ფაქტიურმა ჯამურმა კოეფიციენტმა 1,281 ბავშვი შეადგინა (ერთ ქალზე გაანგარიშებით). აქედან შეიძლება განვსაზღვროთ შობადობის ჯამური კოეფიციენტის სიდიდე, რომელიც მოსახლეობის ამჟამინდელი მოკვდაობისა და ასაკობრივი სტრუქტურისას შეძლებდა ჩვენი ქვეყნის ნულოვანი მატების უზრუნველყოფას. 1996 წლის პირობებისათვის ეს სიდიდე 2,05-ს უნდა

1. იხ.

.
 . 1994. . 180-181.

შეადგენდეს. ეს არც თუ ისე დიდი სიდიდეა, რომელიც გვიჩვენებს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის (1996 წლის პირობებისათვის) დადებით გავლენას. თუმცა, ასაკობრივი სტრუქტურის ეს დადებითი გავლენა მიგვანიშნებს პრონატალისტური (ე.ი. შობადობის სტიმულირებისაკენ მიმართული) დემოგრაფიული პოლიტიკის აქტივიზაციისათვის შესაფერის დროზე. ეფექტი შეიძლება ნაკლები დანახარჯებით იქნას მიღწეული.

მართალია ვ.ნ. არხანგელსკის მიერ აღწერილი მეთოდი ძალიან მარტივია, მაგრამ იგი, საკმაოდ კარგად ხსნის იმ ამოცანის მასშტაბებს, რომელიც დემოგრაფიული კრიზისის გადასაღახავად დგას მთელი ჩვენი საზოგადოების წინაშე.

7.3. შობადობისა და მოკვდაობის დონეთა თანაფარდობა მოსახლეობის კვლავწარმოების დინამიკაში

ჩვენი ქვეყნის სპეციალისტებს შორის დღეს განიხილება საკითხი უკანასკნელ წლებში ქვეყნის მოსახლეობის კვლავწარმოებაში შობადობისა და მოკვდაობის როლის შესახებ. რომელი პრობლემა უფრო მწვავეა: დაბალი შობადობა თუ შედარებით მაღალი მოკვდაობა? რომელი პრობლემა უნდა გადაიჭრას პირველ რიგში? ნამდვილად კი ამ კითხვაზე პასუხის მიღება როგორც მე წარმომიდგენია ძნელი არაა, ჩვენთვის ნაცნობი საინდექსო მეთოდის მეშვეობით. ხელახლა დაეუბრუნდეთ მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტს. ის სწორედ იმიტომ წარმოადგენს მოსახლეობის კვლავწარმოების ყველაზე კარგ მაჩვენებელს, რომ მიიღება, როგორც მხოლოდ ორი კომპონენტის, შობადობისა და მოკვდაობის თანაფარდობა. სხვა ფაქტორები, უპირველესად კი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, მისი გაანგარიშების ფორმულაში არაა. აქედან ინდექსთა მარტივი სისტემის მეშვეობით შეიძლება ვაჩვენოთ, თუ დროის რომელ პერიოდში

ნეტო-კოეფიციენტის სიდიდის ცვლილება რამდენადაა განპირობებული შობადობის და რამდენად მოკვდაობის ცვლილებით.

განვიხილოთ რუსეთში მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტის ცვლილება 1986-1987 წლებიდან 1996 წლის ჩათვლით პერიოდში. მოცემული პერიოდის არჩევა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით. 1970-იანი წლების ბოლოდან მზარდმა ნეტო კოეფიციენტმა 1980-1987 წლებში მიაღწია მაქსიმუმს (1,038), ხოლო შემდეგ დაიწყო კლება და 1996 წელს მიაღწია 0,603 სიდიდეს.

ავაგოთ 1986-1987 წლებიდან 1996 წლის ჩათვლით პერიოდში რუსეთის მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტის ცვლილების დამახასიათებელი ინდექსთა სისტემა მისი სტანდარტული ფორმულის (7.2.2.) გამოყენებით:

$$\begin{aligned} \frac{R_0^{1996}}{R_0^{1986-87}} &= \frac{0,488 \times \sum F_x^{1996} \times FL_x^{1996}}{0,488 \times \sum F_x^{1986-87} \times FL_x^{1986-87}} = \frac{\sum F_x^{1996} \times FL_x^{1996}}{\sum F_x^{1986-87} \times FL_x^{1986-87}} = \\ &= \frac{\sum F_x^{1996} \times FL_x^{1986-87}}{R_0^{1986-87}} \times \frac{R_0^{1996}}{\sum F_x^{1996} \times FL_x^{1986-87}} ; \end{aligned} \quad (7.3.1.)$$

გაანგარიშებისათვის საკმარისია (7.3.1.) განტოლების მხოლოდ ერთი ელემენტის გამოთვლა, რომელსაც წარმოადგენს ნეტო-კოეფიციენტი 1996 წლის შობადობის ასაკობრივი და 1986-87 წლების მოკვდაობის დონის პირობებში (ე.ი. 1986-1996 წლებში მოკვდაობის დონის უცვლელობის დაშვებისას).

კიდევ ერთხელ ინდექსთა სისტემასთან დაბრუნებისას (7.3.1. განტოლების მარჯვენა განაპირა ნაწილი) აღვნიშნავთ, რომ ორი ინდექსიდან პირველი ახასიათებს ნეტო-კოეფიციენტის სიდიდის ცვლილებას შობადობის დონის ცვლილების ხარჯზე, მეორე კი – მოკვდაობის ცვლილების ხარჯზე.

გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია 7.2. ცხრილში. ჩვენს მიერ მიღებული 1986-87 წლების მოკვდაობის უცვლელობის პიპოთეზისას და 1996 წლის ფაქტიური შობადობისას, მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი 1996 წელს იქნებოდა 0,606. ფაქტიურად კი (ე.ი. 1996 წლის ფაქტიური მოკვდაობისას) იგი ტოლი იყო 0,603-ის. უკვე ამ, პირდაპირ ვიტყვით, უმნიშვნელო განსხვავებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა ჩვენს მიერ საანალიზო ათწლეულში მოკვდაობის როლის ზრდის შესახებ. მაგრამ მივიყვანოთ ჩვენი გაანგარიშება ბოლომდე.

ჩავსვათ ნეტო-კოეფიციენტის ცნობილი და გაანგარიშებული მნიშვნელობები (7.3.1) ინდექსთა სისტემაში:

$$\frac{0,603}{1,038} = \frac{0,606}{1,038} \times \frac{0,603}{0,606} = 0,584 \times 0,995 = 0,581$$

მიღებული ინდექსების 1-დან გამოკლებით და შედეგების პროცენტებში გადაყვანით განვსაზღვრავთ ნეტო-კოეფიციენტის ცვლილებას სტრუქტურულ გამოსახულებაში.

$$-41,9\% = -41,6\% - 0,5\%$$

კორექტირების შემდეგ ვლებულობთ: $-41,9\% = -41,4\% - 0,5\%$.

ცხრილი 7.2.

რუსეთში მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტის გაანგარიშება
1996 წლის შობადობის დონისა და მოკვდაობის დონეთა
სხვადასხვა ჰიპოთეზის პირობებში

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი 1996წ. $\frac{F_x^{1996}}{1000}$	ცოცხლადმყოფ ქალთა რიცხვის ხუთწლიანი ჯამები მოკვდაობის ცხრილებიდან ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის განსხვავებული სიდიდის პირობებში		$F_x \times F_{Lx}$	
		74,6 წელი (1986-1987 წელი) ¹	80,0 წელი (ტიპიური ცხრილები) ²	გრ.1 × გრ.2	გრ.1 × გრ.3
A	1	2	3	4	5
15-19	0,0397	4,87499	4,97300	0,19354	0,19743
20-24	0,1064	4,86093	4,97066	0,51720	0,52888
25-29	0,0665	4,84498	4,96733	0,32219	0,33033
30-34	0,0303	4,82473	4,96272	0,14619	0,15037
35-39	0,0108	4,79593	4,95567	0,05180	0,05352
40-44	0,0023	4,75416	4,94329	0,01093	0,01137
45-49	0,0001	4,68913	4,91897	0,00047	0,00049
სულ				1,24232	1,27239
x 0,488	R ₀ =			0,60625	0,62093

1. ., 1989. C. 236.
2. Coale A.J. Demeny P. Regional Model Life Tables and Stable Populations 2-nd ed, NY etc. 1983. მოდელი „დასავლეთი“, დონე 17. გვ. 50

საბოლოო დასკვნა: განსახილველ 1986-96 წლების პერიოდში რუსეთის მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი მთლიანად შემცირდა 41,9%-ით, მათ შორის 41,4%-ით შობადობის დონის შემცირების ხარჯზე და 0,5%-ით მოკვდაობის ზრდის ხარჯზე. თუკი ნეტო-კოეფიციენტის საერთო კლებას მივიღებთ 100%-ად, მაშინ ამ შემცირების 98,8% განპირობებულია შობადობის შემცირებით და მხოლოდ 1,2% მოკვდაობის ზრდით.

ახლა დაუშვათ, რომ რუსეთის ქალების მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უცებ ამალდა უკვე ამ მხრივ მოწინავე ქვეყნებისა – 80 წლის, დონემდე (ეს დონე სკანდინავიის ქვეყნებსა და საფრანგეთში უკვე მიღწეულია, ხოლო იაპონიაში კი გადაჭარბებულიცაა), მაგრამ შობადობის დონე დარჩენილიყო 1996 წლის დონეზე, მაშინ ნეტო-კოეფიციენტის სიდიდე შეადგენდა 0,621 (7.2. ცხრილის 5 გრაფა), ე.ი. 1996 წლის ფაქტიური დონესთან შედარებით გაიზრდებოდა მხოლოდ და მხოლოდ 3%-ით.

ამ მარტივი გაანგარიშებიდან შეიძლება დავინახოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოკვდაობის დღევანდელი, არც თუ სასიკეთო როლი მოსახლეობის კვლავწარმოების ცვლილებაში მეტად უმნიშვნელოა. ამით მე სულაც არ მინდა დაგაკნინო მოკვდაობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა. რა თქმა უნდა არა, ამ ბრძოლის სოციალური, ეკონომიკური პოლიტიკური და სხვა მნიშვნელობა უდაოა. მაგრამ დემოგრაფიული მნიშვნელობა ძალიან მცირეა. დღეს მთავარი ფაქტორი, რომელზედაც მთლიანადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მომავალი – არის შობადობა.

განვიხილოთ საქართველოში მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტის ცვლილება 1988 წლიდან 1999 წლის ჩათვლით პერიოდში. მოცემული პერიოდის არჩევა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით. 1988 წელი იყო ის ბოლო წელი, რომლის შემდეგაც საქართველოში საგრძნობლად შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა და რაც შესაბამისად აისახა ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში. ამასთან, ჩვენ ხელთ გვქონდა ამ წლისათვის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ (უფრო ზუსტად კი ყოფილი საბჭოთა კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის (ასე ერქვა მაშინ, და იქ ხდებოდა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს მოკვდაობის ცხრილების გაანგარიშებაც) გაანგარიშებული მოკვდაობის ცხრილები. მეორეს მხრივ, 1999 წელი იყო ის ბოლო წელი, რომლის შესახებაც წიგნის მომზადების პერიოდშიც გამოქვეყნებული იყო შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები.

ავაგოთ 1988 წლიდან 1999 წლის ჩათვლით პერიოდში საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტის ცვლილების დამახასიათებელი ინდექსთა სისტემა მისი სტანდარტული ფორმულის გამოყენებით:

$$\frac{R_0^{1999}}{R_0^{1988}} = \frac{0,488x\Sigma F_x^{1999} \times FL_x^{1999}}{0,488x\Sigma F_x^{1988} \times FL_x^{1988}} = \frac{\Sigma F_x^{1999} \times FL_x^{1999}}{\Sigma F_x^{1988} \times FL_x^{1988}} =$$

$$= \frac{\Sigma F_x^{1999} \times FL_x^{1988}}{R_0^{1988}} \times \frac{R_0^{1999}}{\Sigma F_x^{1999} \times FL_x^{1988}} ; \quad (7.3.1^b)$$

გაანგარიშებისათვის საკმარისია (7.3.1^ბ) განტოლების მხოლოდ ერთი ელემენტის გამოთვლა, რომელსაც წარმოადგენს ნეტო-კოეფიციენტი 1999 წლის ასაკობრივი და 1988 წლის მოკვდაობის დონის პირობებში (ე.ი. 1988-1999 წლებში მოკვდაობის დონის უცვლელობის დაშვებისას).

კიდევ ერთხელ ინდექსთა სისტემასთან დაბრუნებისას (7.3.1^ბ განტოლების მარჯვენა განაპირა ნაწილი) აღვნიშნავთ, რომ ორი ინდექსიდან პირველი ახასიათებს ნეტო-კოეფიციენტის სიდიდის ცვლილებას შობადობის დონის ცვლილების ხარჯზე, მეორე კი – მოკვდაობის ცვლილების ხარჯზე.

გაანგარიშების შედეგები წარმოადგენილია 7.2^ბ ცხრილში. ჩვენს მიერ მიღებული 1988 წლის მოკვდაობის უცვლელობის ჰიპოთეზისას და 1999 წლის ფაქტიური შობადობისას მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი 1999 წელს იქნებოდა 0,507. ფაქტიურად კი (ე.ი. 1999 წლის ფაქტიური მოკვდაობისას) იგი ტოლი იყო 0,511. უკვე ამ პირდაპირ ვიტყვით, უმნიშვნელო განსხვავებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა ჩვენს მიერ საანალიზო ათწლეულში მოკვდაობის როლის ზრდის შესახებ. მაგრამ მივიყვანოთ ჩვენი გაანგარიშება ბოლომდე.

ჩავსვათ ნეტო-კოეფიციენტის ცნობილი და გაანგარიშებული მნიშვნელობები (7.3.1^ბ) ინდექსთა სისტემაში:

$$\frac{0,511}{1,058} = \frac{0,507}{1,058} \times \frac{0,511}{0,507} = 0,479 \times 1,008 = 0,483$$

მიღებული ინდექსების ერთიდან გამოკლებით და შედეგების პროცენტებში გადაყვანით განვსაზღვრავთ ნეტო კოეფიციენტის ცვლილებას სტრუქტურულ გამოსახულებაში:

$$- 51,7\% = -52,1\% + 0,8\%$$

კორექტირების შემდეგ ვღებულობთ:

$$- 51,7\% = 52,5\% + 0,8\%.$$

საბოლოო დასკვნა: განსახილველ 1988-1999 წლების პერიოდში საქართველოში კვლავწარმოების ნეტო კოეფიციენტი მთლიანად შემცირდა 51,7%-ით, მათ შორის 52,5%-ით დაიკლო შობადობის დონის შემცირების ხარჯზე, ხოლო 0,8%-ით მოიმატა მოკვდაობის დონის შემცირების ხარჯზე. თუკი ნეტო კოეფიციენტის კლებას მივიღებთ 100%-ად, მაშინ რომ არა მოკვდაობის დონის 0,008%-ით შემცირება ამ მაჩვენებლის მთელი ცვლილება განისაზღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ შობადობის დონის შემცირებით.

ახლა დავუშვათ, რომ საქართველოს ქალების მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უცვლელად ამ მხრივ მოწინავე ქვეყნების – 80 წლის დონემდე (ეს დონე სკანდინავიის ქვეყნებსა და საფრანგეთში უკვე მიღწეულია, ხოლო იაპონიაში კი გადაჭარბებულიცაა), მაგრამ შობადობის დონე დარჩენილიყო 1999 წლის დონეზე, მაშინ ნეტო კოეფიციენტის სიდიდე შეადგენდა 0,520-ს (7.2^ბ

ცხრილის მე-5 გრაფა), ე.ი. 1999 წლის ფაქტიურ ღონესთან შედარებით გაიზარდა მხოლოდ და მხოლოდ (0,520:0,511=1,018) 1,8%-ით.

ცხრილი 7.2^ა

საქართველოში მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტის გაანგარიშება
1999 წლის შობადობის ღონისა და მოკვდაობის ღონეთა
სხვადასხვა ჰიპოთეზის პირობებში

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი 1999წ. $\frac{F_x^{1999}}{1000}$	ცოცხლადმყოფ ქალთა რიცხვის ხუთწლიანი ჯამები მოკვდაობის ცხრილებიდან ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის განსხვავებული სიდიდის პირობებში		$F_x \times {}^F L_x$	
		75,8 წელი (1988 წელი) ¹	80,0 წელი (ტიპიური ცხრილები)	გრ.1 × გრ.2	გრ.1 × გრ.3
A	1	2	3	4	5
15-19	0,0352	4,85922	4,97300	0,17104	0,17505
20-24	0,0768	4,84778	4,97066	0,37231	0,38175
25-29	0,0564	4,83373	4,96733	0,27262	0,28016
30-34	0,0295	4,81663	4,96272	0,14209	0,14640
35-39	0,0125	4,79329	4,95567	0,05992	0,06195
40-44	0,0035	4,76248	4,94329	0,01667	0,01730
45-49	0,0007	4,70898	4,91897	0,00330	0,00344
სულ				1,03795	1,06605
x 0,488	$R_0=$			0,50652	0,52023

ამ მარტივი გაანგარიშებიდან შეიძლება დავინახოთ, რომ საქართველოში მოკვდაობის დღევანდელი, არც თუ სასიკეთო როლი მოსახლეობის კვლავწარმოების ცვლილებაში მეტად უმნიშვნელოა. ამით სულაც არ გვინდა დავაკნინოთ მოკვდაობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა. მით უფრო, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ უამრავი გამოუყენებელი რეზერვებია. რა თქმა უნდა არა, ამ ბრძოლის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა მნიშვნელობა უდაოა, მაგრამ დემოგრაფიული მნიშვნელობა ძალიან მცირეა. დღეს მთავარი ფაქტორი, საქართველოშიც ისევე როგორც რუსეთშიც, რომელზედაც მთლიანადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მომავალი – არის შობადობა.

1. ადებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაანგარიშებული 1988 წლის მოკვდაობის მოკლე ცხრილიდან.

თემა 8. დემოგრაფიული პროგნოზირება

ნებისმიერ სოციალურ პროგნოზირებასა და დაგეგმვას საფუძვლად დემოგრაფიული პროგნოზები უდევს. მართლაც, რასაც არ უნდა ვგეგმავდეთ ჩვენ პერსპექტივაში: კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების წარმოებას, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, მისი ოჯახის ზომისა და შემადგენლობის სტრუქტურის ჩათვლით, ნებისმიერი სოციალური პროცესის განვითარებას – ყველა შემთხვევაში, ცხადია ჩვენ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, გავიგოთ ამ სოციალურ პროცესებში მომავალ მონაწილეთა რიცხვი და შემადგენლობა სქესისა და ასაკის მიხედვით, რადგანაც ხალხთა ეს „პარამეტრები“ ძლიერ გავლენას ახდენენ მათი საქმიანობის ხასიათსა და ინტენსივობაზეც.

8.1. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის პროგნოზირება

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, მოსახლეობის რიცხოვნობა – ყველაზე ნაკლებად საინტერესო მაჩვენებელია, ყოველ შემთხვევაში დემოგრაფებისათვის. როგორც წესი, იგი მოსახლეობის სტრუქტურის მხოლოდ პასიურ შედეგს წარმოადგენს სრულიად სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. ამასთან მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის პროგნოზი შეიძლება გარკვეულ ინტერესს წარმოადგენდეს უმთავრესად საპროგნოზო პერიოდის (ე.ი. იმ პერიოდის, რომლისთვისაც კეთდება პროგნოზი) წინ შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის შორეული შედეგების შეფასებისათვის. უფრო ხშირად ასეთი პროგნოზის საფუძვლად ჩადებულია მოსახლეობის მატების კოეფიციენტის უკვე აღრიცხული, ან სავარაუდო უცვლელობა. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის რიცხოვნობა იცვლება გეომეტრიული პროგრესიის შემდეგი ფორმულით:

$$P_t = P_0 \times e^{k \times t} \quad (8.1.)$$

სადაც P_t – მოსახლეობის საერთო რიცხვია საპროგნოზო პერიოდის ბოლოსათვის; P_0 – მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაა საპროგნოზო პერიოდის

დასაწყისში, k – მოსახლეობის მატების სავარაუდო კოეფიციენტი საპროგნოზო პერიოდში; t – საპროგნოზო პერიოდის ხანგრძლივობა; e – ნატურალური ლოგარითმის ფუნქცია.

გაანგარიშებისათვის საკმარისია უმარტივესი კალკულატორის გამოყენება, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ხარისხში აყვანის ფუნქცია. მაგალითისათვის განვსაზღვროთ როგორი შეიძლება აღმოჩნდეს რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა, ვთქვათ 30 წლის შემდეგ, 2027 წლის დასაწყისისათვის, იმ ვარაუდით, რომ 1997 წელს არსებული, მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტი ($-0,26\%$) უცვლელი დარჩება მთელი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში (ვარაუდი უდაოდ არარეალურია, მაგრამ ჩვენ იგი გვჭირდება მხოლოდ თანამედროვე მდგომარეობის ილუსტრირებისათვის, მისი შესაძლო პერსპექტივებისათვის). 1997 წლის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 147 502,4 ათასი კაცი. ჩავსვათ შესაბამისი მონაცემები 8.1. ფორმულაში და შედეგად მივიღებთ:

$$P_{2027}=147\ 502,4 \times e^{-0,0026 \times 30}=147\ 502,4 \times 0,92496=136\ 434,4 \text{ ათასი კაცი.}$$

პროგნოზი შეიძლება შემოვფარგლოთ იმ პროცენტის გაანგარიშებით, რომლითაც შეიცვლება მოსახლეობის საპროგნოზო რიცხოვნობა, ე.ი. ავიყვანოთ $e^{-0,0026 \times 30}$ ხარისხში, რის შედეგადაც მივიღებთ უახლოესი 30 წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობის $7,5\%$ -ით ($1-0,92496$) შემცირებას იმ პირობებში, რომ პროგნოზირებისათვის მიღებული დემოგრაფიული განვითარების პარამეტრი, 1997 წლის მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტი ($-0,26\%$), უცვლელი დარჩება მომავალი 30 წლის განმავლობაში (უდაოდ ნაკლებად სავარაუდო დაშვებაა).

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია მოსახლეობის მთლიანი მატება წარმოადგენს ბუნებრივი და მიგრაციული მატების ჯამს. 1997 წელს რუსეთის მოსახლეობის მთლიანი მატება იყო, უარყოფითი ბუნებრივი მატებისა ($-0,52\%$) და დადებითი მიგრაციული მატების ($0,26\%$) შეჯამების შედეგი. სრულიად ცხადია, რომ ჩვენს ქვეყანაში მიგრაციული მოზღვაება საკმაოდ სწრაფად გამოიღევა. ის ძირითადად შეგდება რუსებისაგან, რომლებიც ტოვებენ ყოფილ საბჭოთა კავშირს. მაგრამ ჯერ ერთი, პოტენციური იმიგრანტების რიცხვი უსასრულო არაა. მეორეც, ყველა რუსი როდი დასტოვებს დამოუკიდებელ ქვეყნებს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომლებიც ბევრი მათგანისათვის სამშობლოს წარმოადგენს და რომელთათვისაც ისინი მკვიდრი მცხოვრებლები არიან. მითუმეტეს, რომ რუსეთი არც თუ ისე სტუმართმოყვრულად ხვდება იმიგრანტებს, მათ შორის რუსებსაც.

შეიძლება შევაფასოთ იმიგრანტთა მოსალოდნელი ნაკადის სავარაუდო მოცულობა, მაგრამ ახლა ჩვენ ამას არ გავაკეთებთ.

საინტერესოა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასება 30 წლის შემდეგ მიგრაციული მატების არ არსებობის ჰიპოთეზის პირობებში, ე.ი. კითხვა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: როგორი შეიძლება ყოფილიყო რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 2027 წლისთვის, თუკი იგი შეიცვლებოდა მხოლოდ ამჟამად არსებული ბუნებრივი მატების (-0,52%) ხარჯზე? გაანგარიშების ფორმულა – იგივეა (8.1).

$$P_{2027}=147\,502,4 \times e^{-0,0052 \times 30}=147\,502,4 \times 0,8556=126\,197,0 \text{ ათასი კაცი.}$$

მაგრამ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, როგორც ამ სახელმძღვანელოს წინა თავში იყო ნაჩვენები, წარმოადგენს მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმისა და მისი ასაკობრივი სტრუქტურის ალგებრულ ჯამს. ამ უკანასკნელის გავლენა გარდამავალია, ინერციულია და მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმთან (რომელიც განისაზღვრება შობადობისა და მოკვდაობის დონეთა თანაფარდობით) შესაბამისობაში თანდათანობით მოსვლის ტენდენცია აქვს. ამიტომ საინტერესოა პროგნოზის მეშვეობით შევაფასოთ თუ როგორი შედეგები შეიძლება ჰქონდეს მოსახლეობის კვლავწარმოების ამჟამინდელი რეჟიმის ხანგრძლივად შენარჩუნებას მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისა და მიგრაციის გავლენის არ ქონის პირობებში. ამ შემთხვევაში მოსახლეობის რიცხოვნობა შეიცვლებოდა ბუნებრივი მატების „ჭეშმარიტი“ კოეფიციენტის შესაბამისად, რომელმაც 1996 წელს -20,1% შეადგინა და 2027 წლისათვის მოსახლეობა თითქმის ნახევრამდე (45,3%-მდე) შემცირდებოდა და შეადგენდა 80 708,5 ათას კაცს.

$$P_{2027}=147\,502,4 \times e^{-0,0201 \times 30}=80\,708,5 \text{ ათასი კაცი.}$$

რა თქმა უნდა, სინამდვილეში ასეთი პროგნოზი არარეალურია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ასაკობრივ სტრუქტურაში ჯერ კიდევაა შემონახული დემოგრაფიული ზრდის გარკვეული პოტენციალი და მიგრაციული მატებაც ჯერ კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში ნაწილობრივ კომპენსირებას გაუკეთებს ჩვენი მოსახლეობის „ბუნებრივ“ კლებას.

მაგლითისათვის განვსაზღვროთ როგორი შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ვთვათ 30 წლის შემდეგ 2029 წლის დასაწყისისათვის იმ ვარაუდით, რომ 1989 წელს არსებული მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტი (-57,45%=-5,745%=-0,05745) უცვლელი დარჩება მთელი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში (ვარაუდი უდაოდ არარეალურია, მაგრამ ჩვენ იგი გვჭირდება მხოლოდ თანამედროვე მდგომარეობის ილუსტრირებისათვის, მისი შესაძლო

პერსპექტივისათვის). 1999 წლის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობამ შეადგინა 5 444,7 ათასი კაცი. ჩავსვით შესაბამისი მონაცემები 8.1 ფორმულაში და შედეგად მივიღებთ:

$$P_{2029}=5\,444,7 \times e^{-0,05745 \times 30}=5\,444,7 \times e^{-1,7235}=5\,444,7 \times \\ \times \frac{1}{e^{1,7235}}=5\,444,7 \times \frac{1}{5,60411}=5\,444,7 \times 0,17844=971,6 \text{ ათასი კაცი.}$$

პროგნოზი შეიძლება შემოვფარგლოთ იმ პროცენტის გაანგარიშებით, რომლითაც შეიცვლება მოსახლეობის საპროგნოზო რიცხოვნობა, ე.ი. ავიყვანოთ $e^{-0,05745 \times 30}=e^{-1,7235}$ ხარისხში, რის შედეგადაც მივიღებთ უახლოესი 30 წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობის 82,2%-ით (1-0,17844) შემცირებას, იმ პირობებში, რომ პროგნოზირებისათვის მიღებული დემოგრაფიული განვითარების პარამეტრი, 1999 წლის მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტი (-57,45%), უცვლელი დარჩება მომავალი 30 წლის განმავლობაში (უდაოდ ნაკლებად სავარაუდო დაშვებაა).

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, მოსახლეობის მთლიანი ანუ საერთო მატება წარმოადგენს ბუნებრივი და მიგრაციული მატების ალგებრულ ჯამს. 1999 წელს საქართველოს მოსახლეობის საერთო მატება იყო, დადებითი ბუნებრივი მატებისა (0,1‰) და უარყოფითი მიგრაციული მატების (-57,53‰) შეჯამების შედეგი. სრულიად ცხადია, რომ საქართველოში პოტენციური ემიგრაციის რიცხვი უსასრულო არაა. უკვე ძირითადად დაბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ადრე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენდნენ, ხოლო რაც შეეხება სამუშაო ან სასწავლებლად წასულ ქართველი ეროვნების მოსახლეობას უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების კვალობაზე მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაბრუნდება. ასე რომ უახლოეს მომავალში მიგრაციული ნაკადების მიმართულება და ინტენსივობა აშკარად შეიცვლება.

ამასთან საინტერესოა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასება 30 წლის შემდეგ მიგრაციული მატების (კლების) არ არსებობის პირობებში, ე.ი. კითხვა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: როგორი შეიძლება ყოფილიყო საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2029 წლისათვის, თუკი იგი შეიცვლებოდა მხოლოდ ამჟამად არსებული ბუნებრივი მატების (0,1‰=0,01%=0,0001) ხარჯზე? გაანგარიშების ფორმულა – იგივეა (8.1)

$$P_{2029}=5\,444,7 \times e^{0,0001 \times 30}=5\,444,7 \times e^{0,003}=5\,444,7 \times 1,003004=5\,461,1 \text{ ათასი კაცი.}$$

მაგრამ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, როგორც ამ სახელმძღვანელოს წინა თავში იყო ნაჩვენები, წარმოადგენს მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმისა და მისი ასაკობრივი სტრუქტურის ალგებრულ ჯამს. ამ უკანასკნელის გაველნა გარდამავალია, ინერციულია და მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმთან (რომელიც განისაზღვრება შობადობისა და მოკვდაობის დონეთა თანაფარდობით) შესაბამისობაში მოსვლის ტენდენცია აქვს. ამიტომ საინტერესოა პროგნოზის მეშვეობით შევაფასოთ, თუ როგორი შედეგები შეიძლება ჰქონდეს მოსახლეობის კვლავწარმოების ამჟამინდელი რეჟიმის ხანგრძლივად შენარჩუნებას მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის უცვლელობისა და მიგრაციის არ ქონის პირობებში. ამ შემთხვევაში მოსახლეობის რიცხოვნობა შეიცვლება ბუნებრივი მატების „ჭეშმარიტი“ კოეფიციენტის შესაბამისად, რომელმაც

1999 წელს $-26,2\%$ შეადგინა და 2029 წლისათვის მოსახლეობამ თითქმის ნახევრამდე ($45,6\%$ -მდე) შემცირდებოდა და შეადგენდა 2 480,9 ათას კაცს

$$P_{2029} = 5\,444,7 \times e^{-0,0262 \times 30} = 5\,444,7 \times e^{-0,786} = 5\,444,7 \times$$

$$x \frac{1}{e^{0,786}} = 5\,444,7 \times \frac{1}{2,1946} = 5\,444,7 \times 0,45566 = 2\,480,9 \text{ ათასი კაცი.}$$

რა თქმა უნდა, სინამდვილეში ასეთი პროგნოზი არარეალურია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში კიდევაც შემონახული დემოგრაფიული ზრდის გარკვეული პოტენციალი, რომელიც რა თქმა უნდა უსასრულო არაა. ამიტომ საჭიროა ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებების დროული განხორციელება.

იმავე 8.1. ფორმულის დახმარებით, მისი გარდაქმნით, შეიძლება სხვა მკვლევარების მიერ შესრულებულ პროგნოზირებაში გამოყენებული ჰიპოთეზების ხარისხის შეფასება. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის (რ.ფ.) სტატსახკომის მიერ 1997 წელს შესრულებულ რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზის ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, მოსახლეობის რიცხოვნობა კლებულობს 1997 წლის ბოლოს არსებული 146 737 ათასი კაციდან 141 017 ათას კაცამდე – 2010 წლის ბოლოსათვის.¹ საინტერესოა განვსაზღვროთ, მოსახლეობის საერთო მატების როგორი საშუალო წლიური ტემპი ივარაუდება პროგნოზის ამ ვარიანტში. მოცემული ამოცანის გადაჭრისათვის 8.1. ფორმულა ადვილად შეიძლება გარდაიქმნას:

$$k = \frac{\lg \frac{P_1}{P_0}}{t \times \lg e} = \frac{\lg \frac{141017}{146737}}{13 \times 0,4342945} = \frac{0,01727}{5,51583} = -0,00313 \text{ ანუ } -3,1\% \text{ ან } -0,31\%$$

აქედან შეიძლება დავინახოთ, რომ რუსეთის (რ.ფ.) სტატსახკომმა 2010 წლამდე პროგნოზში რუსეთის მოსახლეობის კლების რამდენადმე უფრო მაღალი ტემპები ჩადო, იმასთან შედარებით, რომლებიც დაფიქსირებული იყო 1997 წელს ($-0,26\%$).

ზემოთ მოტანილი საილუსტრაციო პროგნოზისაგან განსხვავებით, პრაქტიკაში პროგნოზები სრულდება მოსახლეობის კვლავწარმოების არა უცვლელი, არამედ საპროგნოზო პერიოდში ცვალებადი რეჟიმებით. ამაზე მოცემული თავის ბოლოს ვისაუბრებთ.

1.

. ., 1997. C. 547-549.

8.2. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის პროგნოზირება

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის პროგნოზს ერთობ შეზღუდული მნიშვნელობა აქვს და ნაკლებად ინფორმაციულია. უფრო დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვისათვის, აქვს მოსახლეობის მომავალი შემადგენლობის, პირველ რიგში კი სქესისა და ასაკის მიხედვით, პროგნოზს. ტექნიკურად ასეთი პროგნოზი რთული არაა. იგი ხორციელდება ეგრეთ წოდებული „ასაკობრივი გადანაცვლების“ (ან „ასაკთა გადანაცვლების“) მეთოდით. მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის საწყისი რიცხოვნობა და სტრუქტურა „გადანაცვლება“ მომავალში, ამასთან, მცირდება გარდაცვალებულების (და წასულების) ხარჯზე და ივსება დაბადებულთა (და მოსულების) ხარჯზე. მაშასადამე, პროგნოზისათვის საწყის მონაცემებს წარმოადგენენ მოსახლეობის რიცხოვნობა და სტრუქტურა (ჩვეულებრივ მოსახლეობის აღწერების მიხედვით), აგრეთვე საპროგნოზი პერიოდში მოსახლეობის კვლავწარმოებისა და მიგრაციის ტენდენციებთან დაკავშირებული ჰიპოთეზები. გადანაცვლება ხორციელდება მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფის სიგრძის ტოლი დროითი ბიჯით, იმ ვარაუდით, რომ პროგნოზის ყოველი ბიჯისას ასაკობრივი ჯგუფის ცოცხლად დარჩენილთა რიცხოვნობა გადადიოდეს მომდევნო (უფროს) ასაკობრივ ინტერვალში. ამისათვის თავდაპირველი (ე.ი. მოსახლეობის საპროგნოზო პერიოდის დასაწყისში) მოსახლეობის ყოველი ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობა მრავლდება მომდევნო ასაკობრივ ინტერვალამდე მიღწევის კოეფიციენტზე, რომელიც წარმოადგენს მოკვდაობის ცხრილებიდან საპროგნოზო პერიოდში მოკვდაობის ტენდენციების დახასიათებისათვის მოწოდებული, ორი მომიჯნავე ჯგუფის ცოცხლადყოფთა რიცხვის (L_x -ის) შეფარდებას. თავის მხრივ, ყოველი ბიჯისათვის, განისაზღვრება დაბადებულთა ჰიპოთეზური რიცხვი, რომელიც ემატება დაბალ ასაკობრივ ჯგუფს (ახალშობილთა მიერ პირველი ასაკობრივი ინტერვალის ბოლომდე მიღწევის ალბათობის შესწორებით). პროგნოზის ყოველ მომდევნო ბიჯზე გაანგარიშების მთელი პროცედურა მეორდება. მათემატიკურად ის შემდგენიარად გამოიყურება:

$$P_{x+n} = P_x \times \frac{L_{x+n}}{L_x} + მ.მ. x$$

სადაც P_{x+n} – მოსახლეობის საპროგნოზო რიცხოვნობაა „ $x+n$ “ ასაკში; P_x – მოსახლეობის თავდაპირველი რიცხოვნობაა „ x “ ასაკში; n – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძეა (და ამავე დროს – საპროგნოზო ბიჯის სიგრძეა); L_x და L_{x+n} – მოკვდაობის ცხრილებიდან ორი მომიჯნავე ასაკობრივი ჯგუფის ცოცხლადყოფთა რიცხვებია; $m.m_x$ – შესაბამისი სქესისა და ასაკის მოსახლეობის მიგრაციული მატებაა დადებითი და უარყოფითი ნიშნით.

ჩვეულებრივად პროგნოზები კეთდება რამდენიმე ვარიანტად, რომელთაგან ერთია მოსახლეობის კვლავწარმოების უცვლელი რეჟიმისათვის და რამდენიმე ვარიანტი – შობადობისა და მოკვდაობის დონეთა სავარაუდო ცვლილების განსხვავებული პიპოთეზებისათვის. მოსახლეობის კვლავწარმოების უცვლელი რეჟიმის პიპოთეზიან ვარიანტში მთელი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში შობადობისა და გარკვეულ ასაკამდე მიღწევის კოეფიციენტები უცვლელია მთელი საპროგნოზო პერიოდისათვის. ცხადია ასეთ პროგნოზს არ შეიძლება ჰქონდეს მოსახლეობის მომავალი რიცხოვნობისა და შემადგენლობის წინასწარმეტყველების პრეტენზია (რადგანაც დემოგრაფიული პროცესები განუწყვეტლივ იცვლება). პროგნოზის ასეთი ვარიანტის მიზანია – შეაფასოს იმ ფაქტიური დემოგრაფიული სიტუაციის ხანგრძლივად შენარჩუნების შესაძლო შედეგები, რომლის საფუძველზეც კეთდება პროგნოზი. და ამ თვალსაზრისით პროგნოზის ასეთი ვარიანტი სრულიად აუცილებელია. მაგრამ, ამასთან ერთად, საჭიროა პროგნოზის სხვა ვარიანტებიც – დემოგრაფიული ცვლილების შესაძლო ტენდენციების პიპოთეზებით.

30 წლით ადრე, 2027 წლამდე რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის პროგნოზირების მაგალითზე განვიხილოთ ასაკთა გადანაცვლების მეთოდის გამოყენება. რადგანაც ეს სასწავლო მაგალითია, შემოვიფარგლოთ მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის უცვლელიაობის პიპოთეზიანი პროგნოზის ვარიანტით. მოსახლეობის რაოდენობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ამოსავალ სიდიდედ მიღებულია 1997 წლის დასაწყისის რიცხოვნობა¹, ათწლიანი დაჯგუფებით (ადგილის ეკონომიის მიზნით. პრაქტიკულ პროგნოზში ასაკობრივი ჯგუფების ასეთი გატლანქება მიუღებელი იქნებოდა. ჩვეულებრივ პროგნოზები სრულდება ერთწლიან ან ხუთწლიან ასაკობრივ დაჯგუფებაში).

1.

. 1997. .,

., 1997. C. 35.

შობადობის კოეფიციენტები აღებულია 1996 წლის (ბოლო წელი, რომლის შესახებაც წიგნის მომზადების მომენტისათვის გამოქვეყნებული იყო მონაცემები შობადობის შესახებ)¹, ე.ი. ჩვენ გვინდა ვნახოთ თუ როგორ იქნება მოსახლეობის რიცხოვნობა თუკი შობადობის დონე მეტი აღარ შეიცვლება (განზრახვა როგორც ჩანს, ნაკლებ სავარაუდოა). მოკვდაობასთან დაკავშირებით კი ვღებულობთ საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში მისი შემცირების შესახებ უფრო ოპტიმისტურ, ვიდრე შობადობასთან დაკავშირებულ ჰიპოთეზას (შობადობისაგან განსხვავებით ასეთი ჰიპოთეზა სავსებით რეალურად მიგვაჩნია). ასეთი ჰიპოთეზის შესაბამისად ვისარგებლოთ ე. კოულისა და პ. დემენის მოკვდაობის ტიპური ცხრილებით და გადმოვიღოთ მათგან ცოცხლადმყოფთა რიცხვები². ვაჟებისა და ქალებისათვის მივიღოთ „დასავლეთი“-ს ცხრილების მოდელები, მოკვდაობის დონე ვაჟებისათვის – №21 (ახალშობილთათვის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 66,03 წელი) ქალებისათვის – №24 (ახალშობილთათვის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 77,50 წელი). შესაძლოა ჩვენს მიერ პროგნოზისათვის არჩეული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები – ძალიან ოპტიმისტურია. მაგრამ პროგნოზის სიზუსტისათვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც თანამედროვე, მთლიანობაში კი დაბალი მოკვდაობა, ნაკლებად მოქმედებს მოსახლეობის კვლავწარმოების დონეზე. ეს უკანასკნელი თითქმის მთლიანად განისაზღვრება შობადობით. გაანგარიშების შედეგები წარდგენილია 8.1. და 8.2. ცხრილებში.

გაანგარიშება სწარმოებს შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1. ათწლიანი ასაკობრივი ჯგუფების ათი წლით გადანაცვლებისათვის (და შესაბამისად – მომდევნო ათწლიან ასაკობრივ ჯგუფში) საჭიროა განვსაზღვროთ გარკვეულ ასაკამდე (x) მიღწევის კოეფიციენტები

$$\frac{L_{x+n}}{L_x}$$

რადგანაც ჩვენს მიერ ათწლიანი ასაკობრივი ჯგუფებია მიღებული, გარკვეულ ასაკამდე მიღწევის კოეფიციენტებიც ასევე დაფუძნებულია ცოცხლადმყოფთა ათწლიანი ჯამების რიცხვთა შეფარდებაზე. ასეთი ჯამები შეიძლება მივიღოთ ან ცოცხლადმყოფთა რიცხვების პირდაპირი შეჯამებით (კოულისა და დემენის

1. . 1997. ., ., 1997. C. 215.
2. Coale Ansley J., Demony Paul. Regional Model Life Tables and Stable Populations. Second ed. NY etc., 1983, p. 52-53.

ტიპურ ცხრილებში ისინი მოტანილია ხუთწლიანი დაჯგუფებებით) ან გაცილებით უფრო ადვილად – როგორც იმავე ცხრილების მანქნებლის (T_x) – x და უფრო მეტ ასაკებში ცოცხლადმყოფთა L_x ჯამებს შორის სხვაობები. x ასაკამდე მიღწევის კოეფიციენტები ჩაიწერება 8.1. ცხრილის მე-3-ე გრაფაში.

2. ყოველი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რიცხოვნობა მრავლდება შესაბამის ასაკამდე მიღწევის კოეფიციენტზე (8.1. ცხრილში, პირიქით, გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი მრავლდება მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ე.ი. გრ.3 გრ.4-ზე, მაგრამ ასეთი გადაადგილებით, რომელიც გაანგარიშების მოხერხებულობისათვისაა მიღებული, რა თქმა უნდა საქმის არსი არ იცვლება), ხოლო გადამრავლების შედეგები ჩაიწერება მე-5 გრაფის მომდევნო ქვემო სტრიქონზე. სწორედ ეს იქნება მოსახლეობის ყოველი ასაკობრივი ჯგუფის ათი წლით წინ და

ცხრილი 8.1.

ასაკობრივი გადანაცვლების მეთოდით 2027 წლამდე რუსეთის მოსახლეობის რაოდენობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის საილუსტრაციო პროგნოზი

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	$10L_x$	$\frac{L_{x+n}}{L_x}$	მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისისათვის ათასი კაცი			
			1997	2007	2017	2027
1	2	3	4	5	6	7
ვაჟები						
0-9	951130	0,98888	9151	8612	8079	6205
10-19	940555	0,98435	11753	9049	8516	7989
20-29	925838	0,97848	10294	11569	8908	8383
30-39	905916	0,96433	11816	10072	11320	8716
40-49	873603	0,92019	10889	10184	9713	10916
50-59	803879	0,81836	6635	10020	9372	8938
60-69	657866	0,61758	5762	5430	8200	7669
70-79	406286	0,33939	2097	3558	3353	5064
80-89	128276	0,07470	574	712	1208	1138
90-99	9582	0,00313	54	43	53	90
100+	30	0	2	0	0	0
სულ			69029	69249	68722	65108

1	2	3	4	5	6	7
	ქალები					
0-9	990075	0,99860	8717	8545	8015	6157
10-19	988688	0,99774	11394	8705	8533	8004
20-29	986449	0,99571	9791	11368	8685	8514
30-39	982221	0,98990	11827	9749	11319	8648
40-49	972299	0,97132	11567	11708	9651	11205
50-59	944416	0,92127	8193	11235	11372	9374
60-69	870062	0,76762	8639	7548	10351	10476
70-79	667877	0,52092	5462	6631	5794	7945
80-89	306030	0,13572	2255	2845	3454	3018
90-99	41535	0,00833	258	306	386	469
100+	346	0	5	2	3	3
სულ			78108	78643	77563	73813
ჯამი			147137	147892	146285	138921
მათ შორის მოსახლეობა 60 და მეტი წლის – ათასი კაცი,			25108	27075	32802	35872
პროცენტობით მთელ მოსახლეობაში			17,1	18,3	22,4	25,8

შესაბამისად 10 წლით უფროს ჯგუფში, ასაკობრივი გადანაცვლება.

3. ყველა ასაკობრივი ჯგუფების 10 წლით წინ და უფროს ჯგუფებში გადანაცვლების შემდეგ, საჭიროა განისაზღვროს მომავალი 10 წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი, და კორექტირება გაუკეთოთ მას მოკვდაობაზე ამ უახლესი 10 წლის განმავლობაში – 0-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობას (იხ. ცხრილი 8.2). ამისათვის საჭიროა 1997 და 2007 წლების დასაწყისისათვის ქალების ყოველი (10-19; 20-29; 30-39 და 40-49წწ.) 10 წლიანი ასაკობრივი ჯგუფის საშუალო არითმეტიკული რიცხოვნობა (რომელიც მიიღება 8.1. ცხრილიდან აღნიშნულ წლებში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ქალების რიცხვთა მარტივი საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით და ჩაიწერება 8.2. ცხრილის მე-3 სვეტის შესაბამის უჯრებში)¹ გაგამრავლოთ შობადობის შესაბამის ასაკობრივ კოეფიციენტებზე (და ნამრავლი ჩავეწეროთ 8.2. ცხრილის მე-6 სვეტის

1. მე-3 და მე-4 პუნქტში ფრჩხილებში მოყვანილი დაზუსტებები და შესწორებები ეკუთვნის ქართულად მთარგმნელს, რომელთა გარეშეც გაუგებარი დარჩებოდა 8.1. და 8.2 ცხრილების აგების მეთოდიკა.

შესაბამის გრაფებში). ამისათვის პროგნოზისტების მიერ საპროგნოზო პერიოდში შობადობის დონის კოეფიციენტები შეირჩევა ნებისმიერად მათი ტენდენციების ყველაზე ალბათური ცვლილების (ან მუდმივობის) ვარაუდით (ამ ტენდენციების „მათემატიკურად“ განსაზღვრის არავითარი ხერხი არ არსებობს). ასეთი გზით განისაზღვრება დაბადებულთა საგარეულო რიცხვი ყოველი ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის (შემდგომ ბიჯზე მთელი პროცედურა ანალოგიურად მეორდება და შესაბამისად ივსება 8.2. ცხრილის მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 სვეტები). მათი შეჯამებით განისაზღვრება მომავალი 10 წლის განმავლობაში დაბადებულთა საერთო რიცხვი.

4. იმის გამო, რომ ყველა დაბადებული ვერ აღწევს ათწლეულის ბოლომდე, საჭიროა შევიტანოთ შესწორება მოკვდაობაზე და განვსაზღვროთ 0-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის მომავალი რიცხოვნობა. შესწორებას წარმოადგენს მოკვდაობის ცხრილებიდან არჩეული ასაკობრივი დაჯგუფების შესაბამისი, ცოცხლად მყოფთა საშუალო წლიური რიცხვი L_x , ე.ი. ხუთწლიანი დაჯგუფებისას – 0-დან 4 წლის ჩათვლით, ცოცხლად მყოფთა რიცხვების ჯამი გაყოფილი 5-ზე (500 000-ზე), ათწლიანი დაჯგუფებისას – შესაბამისად 0-9 წლის ასაკებში ცოცხლად მყოფთა რიცხვები L_x გაყოფილი 10-ზე (1000 000-ზე). მიღებული შედეგები ჩაიწერება მომავალი 10 წლით გადაწევის გათვალისწინებით 0-9 წლის ცარიელ უჯრაში. შემდგომ ბიჯზე მთელი პროცედურა მეორდება. ბუნებრივია, გამოყენებულ გამოთვლით ტექნიკაზე დამოკიდებულებით მთელი პროცესი ჩქარდება.

მიუხედავად იმისა, რომ აქ 8.1. და 8.2. ცხრილებში წარმოდგენილ პროგნოზს სასწავლო-საილუსტრაციო ხასიათი აქვს, მისი შედეგები როგორც მე მგონია არაა მოკლებული პრაქტიკულ ინტერესს. შობადობის ამჟამინდელი დონის შენარჩუნებისა და მოკვდაობის მნიშვნელოვანი შემცირების პირობებში 2027 წლისათვის რუსეთის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 147 137 ათასიდან შემცირდება 138 291 ათას კაცამდე, ანუ 8,2 მილიონი ადამიანით, ან 5,6%-ით. ამასთან, პირველ ათწლეულში მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზრდება კიდევ 0,5%-ით, ხოლო შემდეგი 20 წლის განმავლობაში შემცირდება 6,1%-ით. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ უკვე 2007 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დეპოპულაციური პროცესი საგრძნობლად დაჩქარდება (ამჟამინდელი დემოგრაფიული სიტუაციის უცვლელად შენარჩუნებისა და მოკვდაობის

შემცირების ხარჯზე მისი გარკვეული გაუმჯობესების შესახებ ჩვენს მიერ სავარაუდოდ მიღებულ პირობებში). ეს შეიძლება დავინახოთ მოსახლეობის ცხრილი 8.2.

რუსეთში 1998-2026 წლებში, დაბადებულთა რიცხვის
საილუსტრაციო პროგნოზი

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	F _x (ერთწლის წილებში)	10 F _x	ქალების საშუალო რიცხვი (ათასი კაცი)			დაბადებული ბავშვების ჰიპოთეზური რიცხვი (ათასობით)		
			1997-2006	2007-2016	2017-2026	1997-2006	2007-2016	2017-2026
A	1	2	3	4	5	6	7	8
10-19	0,0272	0,272	10050	8619	8269	2734	2344	2249
20-29	0,1122	1,122	10580	10027	8600	11871	11250	9649
30-39	0,0264	0,264	10788	10534	9984	2848	2781	2636
40-49	0,0020	0,020	11638	10680	10428	233	214	209
სულ						17686	16589	12743
მათ შორის ბიჭები						9055	8494	6524
გოგონები						8631	8095	6219
მათ შორის ცოცხლები ათწლეულის ბოლოს ბიჭები						8612	8079	6205
გოგონები						8545	8015	6157

მომავალი ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზის დროსაც.

1997 წლის დასაწყისში მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 60 წლისა და მეტი ასაკის მცხოვრებთა ხვედრითი წილი (ეგრეთ წოდებული დემოგრაფიული დაბერების ინდექსი) მთლიანად ქვეყანაში 17,1%-ს შეადგენდა. ჩვენი პროგნოზის მიხედვით შეიძლება ველოდეთ, რომ 2007 წლისათვის ეს ინდექსი 18,3%-მდე გაიზრდება (ე.ი. მხოლოდ 1,2 პროცენტული პუნქტით), მაგრამ 2017 წლისათვის იგი უკვე 22,4%-მდე ანუ 4,1 პუნქტით, ხოლო 2027 წლისათვის – 25,8%-მდე ანუ 3,4 პუნქტით გაიზრდება. შესაბამისად 2027 წლისათვის ეს პროცენტი ვაჟებისათვის 21,4%-ს, ხოლო ქალებისათვის კი – 29,7%-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, თუკი პროგნოზი შესრულდება ჩვენს მიერ მიღებული პირობებით. მაგრამ როგორც ჩანს, სინამდვილე უფრო უარესი იქნება. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო

ხანგრძლივობამ საექვოა, რომ მიაღწიოს ჩვენს მიერ პროგნოზში ჩადებულ სიდიდეს, ხოლო შობადობა პირიქით, ალბათ კიდევ უფრო შემცირდება. ნაჩვენები სტანდარტული მეთოდის გამოყენებით ცნობისმოყვარე მკითხველს შეუძლია გაიანგარიშოს დემოგრაფიული განვითარების ნებისმიერი სხვა ვარიანტები.

30 წლით ადრე, 2029 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის პროგნოზირების მაგალითზე განვიხილოთ ასაკთა განაწილების მეთოდის გამოყენება. რადგანაც ეს სასწავლო მაგალითია, შემოვიფარგლოთ მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის უცვლელობის ჰიპოთეზიანი პროგნოზის ვარიანტით. მოსახლეობის რაოდენობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ამოსავალ სიდიდედ მიღებულია 1999 წლის დასაწყისის რიცხოვნობა, ათწლიანი დაჯგუფებით (ადგილის ეკონომიის მიზნით. პრაქტიკულ პროგნოზში ასაკობრივი ჯგუფების ასეთი გატლანქება მიუღებელი იქნებოდა. ჩვეულებრივ, პროგნოზები სრულდება ერთწლიან ან ხუთწლიან ასაკობრივ დაჯგუფებაში).

შობადობის კოეფიციენტები აღებულია 1999 წლის (ბოლო წელი, რომლის შესახებაც თარგმანის მომზადების მომენტისათვის გამოქვეყნებული იყო მონაცემები შობადობის შესახებ), ე.ი. ჩვენ გვინდა ვნახოთ თუ როგორი იქნება მოსახლეობის რიცხოვნობა თუკი შობადობის დონე მეტი ადარ შეიცვლება (განზრახვა როგორც ჩანს, ნაკლებ სავარაუდოა). მოკვდაობისთან დაკავშირებით კი, რადგანაც ჩვენ ხელთ არ გვქონდა ე. კოულისა და პ. დემენის ტიპური ცხრილები და ვერ მოხერხდა მოკვდაობის სავარაუდო დონეების უფრო მეტი სიზუსტით შერჩევა, ამიტომაც გამოვიყენეთ 8.1. ცხრილში მოცემული მოკვდაობის დონეების შესაბამისი ცოცხლად მყოფთა რიცხვები, ე.ი. ვაჟებისა და ქალებისათვის მივიღოთ „დასავლეთის“ ცხრილების მოდელები, მოკვდაობის დონე ვაჟებისათვის №21 (ახალშობილთათვის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 66,03 წელი), ქალებისათვის №24 (ახალშობილთათვის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 77,50 წელი. მაგრამ პროგნოზის სიზუსტისათვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც თანამედროვე, მთლიანობაში კი დაბალი მოკვდაობა ნაკლებად მოქმედებს მოსახლეობის კვლავწარმოების დონეზე. ეს უკანასკნელი კი თითქმის მთლიანად განისაზღვრება შობადობით. ამასთან, საქართველოს შესახებ პროგნოზის გაანგარიშებისას 8.1^ა ცხრილში დავაზუსტეთ 8.1. ცხრილში გაპარული უზუსტობანი (რაც 8.1. ცხრილის გადმოღებისას არ შევასწორეთ, რადგანაც გამოიწვევდა მთელი რიგი მანქნებლების ხელახალი გაანგარიშების აუცილებლობას და შესაბამისად ტექსტის საანალიზო ნაწილის გასწორებასაც. ამგვარი მიდგომით კი თარგმანი შეიძლება დასცილებოდა დედანს). კერძოდ, 8.1. ცხრილის მე-3 სვეტში 70-79 წლის ვაჟებისათვის 0,33939-ის ნაცვლად უნდა ეწეროს 0,31573, ხოლო იმავე ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის 0,52092-ის ნაცვლად უნდა იყოს 0,45821.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის საილუსტრაციო პროგნოზის გაანგარიშების შედეგები 8.1. და 8.2. ცხრილების აგების ანალოგიურად მოცემულია 8.1^ა და 8.2^ა ცხრილებში.

ცხრილი 8.1^ა

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი
სტრუქტურის საილუსტრაციო პროგნოზი ასაკგადანაცვლების მეთოდით

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	$10L_x$	L_{x+n} <hr/> L_x	მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისისათვის (ათასი კაცი)			
			2000	2010	2020	2030
1	2	3	4	5	6	7
კაქები						
0-9	951130	0,98888	322,6	395,6	371,3	366,8
10-19	940555	0,98435	420,2	319,0	391,2	367,2
20-29	925838	0,97848	385,4	413,2	313,7	384,7
30-39	905916	0,96433	378,8	377,1	404,3	306,9
40-49	873603	0,92019	321,9	365,3	363,6	389,9
50-59	803879	0,81836	218,2	296,2	336,1	334,6
60-69	657866	0,61758	233,5	178,5	242,4	275,1
70-79	406286	0,33939	120,4	144,2	110,2	249,7
80-89	128276	0,07470	29,8	38,0	45,5	34,8
90-99	9582	0,00313	7,2	2,2	2,8	3,4
100+	30	0	0,3	0,0	0,0	0,0
სულ			2438,2	2529,3	2581,1	2613,1
ქალები						
0-9	990075	0,99860	196,9	392,5	368,4	364,0
10-19	988688	0,99774	403,3	296,5	392,0	367,9
20-29	986449	0,99571	363,9	402,4	295,8	391,1
30-39	982221	0,98990	412,0	362,3	400,7	294,5
40-49	972299	0,97132	357,9	407,8	358,6	396,7
50-59	944416	0,92127	258,6	347,6	396,1	348,3
60-69	870062	0,76762	283,5	238,2	320,2	364,9
70-79	667877	0,52092	192,7	217,6	182,8	24,8
80-89	306030	0,13572	75,2	88,3	99,7	83,8
90-99	41535	0,00833	17,3	10,2	12,0	13,5
100+	346	0	0,8	0,1	0,1	0,1
სულ			662,1	2 763,5	2 826,4	2 870,6
ჯამი			5 100,3	5 292,8	5 407,5	5 483,7
მათ შორის მოსახლეობა 60 და მეტი წლის – ათასი კაცი,			960,8	917,3	1015,7	1171,1
პროცენტობით მთელ მოსახლეობაში			18,8	17,3	18,8	21,4

მიუხედავად იმისა, რომ 8.1^ბ და 8.2^ბ ცხრილებში წარმოდგენილ პროგნოზს სასწავლო-საილუსტრაციო ხასიათი აქვს, მისი შედეგები არაა მოკლებული პრაქტიკულ ინტერესს. შობადობის ამჟამინდელი დონის შენარჩუნებისა და მოკვდაობის მცირედ შეცვლის პირობებში 2030 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 5 100,3 ათასიდან მოიმატებს 5 483,7 ათასამდე ანუ 383,4 ათასით ან 7,5%-ით. ამასთან, პირველ ათწლეულში მოსახლეობის რიცხოვნობა უფრო სწრაფად 3,8%-ით გაიზრდება ვიდრე მომდევნო ათწლეულში (შესაბამისად 2,2% და 1,4%-ით).

ეურადლებას იპყრობს ის გარემოება, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპების შენელება დაკავშირებულია მისი მომავალი ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებასთან.

ცხრილი 8.2^ბ

დაბადებათა რიცხვის საილუსტაციო პროგნოზი საქართველოში 2001-2029 წლებში

ასაკობრივი ჯგუფები (წლები)	F _x (ერთეულის წილებში)	10 F _x	ქალების საშუალო რიცხვი ათასი კაცი			დაბადებული ბავშვების ჰიპოთეზური რიცხვი (ათასობით)		
			2000-2009	2010-2019	2020-2029	2000-2009 გრ.2×გრ.3	2010-2019 გრ.2×გრ.4	2020-2029 გრ.2×გრ.5
A	1	2	3	4	5	6	7	8
10-19	0,0352	0,352	349,9	344,2	380,0	123,2	121,2	133,8
20-29	0,1332	1,332	383,2	349,2	343,5	510,4	465,0	457,5
30-39	0,0420	0,420	387,2	381,5	347,6	162,6	160,2	146,0
40-49	0,0042	0,042	382,9	383,2	377,7	16,1	16,1	15,9
სულ						812,3	762,5	753,2
მათ შორის ბიჭები						415,9	390,4	385,6
გოგონები						396,4	372,1	367,6
მათ შორის ცოცხლები ათწლეულის ბოლოს ბიჭები						395,6	371,3	366,8
გოგონები						392,5	368,4	364,0

2000 წლის დასაწყისში მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 60 წლისა და მეტი ასაკის მცხოვრებთა ხვედრითი წილი (ეგრეთ წოდებული დემოგრაფიული დაბერების ინდექსი) მთლიანად ქვეყანაში 18,8%-ს შეადგენდა. ჩვენი პროგნოზის მიხედვით შეიძლება ველოდეთ, რომ 2010 წლისათვის ეს ინდექსი 17,3%-მდე შემცირდება (რაც არის საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ჯერ კიდევ საკმაო პოტენციალის შედეგი, შესაბამისად გამოიწვევს მოკვდაობის დონის შემცირებას და ამის გამო საერთო რიცხოვნობის ტემპის გაზრდას), მაგრამ 2020 წლისათვის კვლავ 18,8%-მდე მიაღწევს, ხოლო 2030 წლისათვის კი 21,8%-მდე აიწევს. შესაბამისად, 2030

წლისათვის ეს პროცენტი ვაუჭებისათვის 17,7-ს, ხოლო ქალებისათვის 24,7-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, თუკი პროგნოზი შესრულდება ჩვენს მიერ მიღებული პირობებით, მაგრამ როგორც ჩანს სინამდვილე შეიძლება უფრო უარესიც იყოს.

8.3. საპროგნოზო პერიოდში დემოგრაფიული ტენდენციების სავარაუდო ცვლილების ჰიპოთეზათა დამუშავება

დემოგრაფიული პროგნოზების ისტორია უკვე არა ერთ ასწლეულს ითვლის. სხვადასხვა დარგის მეცნიერებათა ბევრი მკვლევარი ცდილობდა მოექცენა რაღაც „მოსახლეობის ზრდის ობიექტური კანონები“: ბიოლოგიური, მათემატიკური, ეკონომიკური და ა.შ. ცდილობდნენ ეს „კანონები“ გამოეყვანათ ცხოველებისა და მწერების გამრავლების კანონზომიერებებზე დაკვირვებიდან, ან მათემატიკური მოდელების ექსპერიმენტებით. ყველა ეს მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. მოსახლეობის ზრდაში არავითარი ავტომატიზმი (გარდა მისი ინერციისა) არ არსებობს იგი განისაზღვრება ხალხის სოციალური ქცევის კანონებით. ამიტომ, მხოლოდ საზოგადოების განვითარების კანონების შეცნობას, დროის განსაზღვრულ პერიოდში ათასობით მილიონი ადამიანის დემოგრაფიული განწყობის, გეგმების, გადაწყვეტილებებისა და ქმედების განსაზღვრულ ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, კულტურულ-ეთნიკურ და სხვა სოციალური ფაქტორების ურთიერთკავშირს შეუძლია მიაახლოვოს პროგნოზისტები მომავალი დემოგრაფიული განვითარების სწორ განჭვრეტასთან.

თუკი ჩამოყალიბებულია მოსახლეობის მიგრაციის, ქორწინების, შობადობის და მოკვდაობის დონეთა ალბათური ტენდენციების შესახებ გარკვეული ვარაუდები, მაშინ დანარჩენი უკვე ცნობილი, მარტივი არითმეტიკის (ასაკთა გადანაცვლება) საქმეა. შობადობის მომავალი ცვლილებების განსაზღვრისათვის გამოიყენება რეპროდუქციული განწყობის გამოკვლევათა შედეგები, რომლებზეც მე-5 თავში იყო საუბარი. იქვე სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1994 წლის მიკროაღწერის შედეგებზე დაყრდნობით ჩემს მიერ გამოთქმული იყო ვარაუდი შობადობის დონის სავარაუდო შემცირების შესახებ.

მოკვდაობის მომავალი ალბათური ტენდენციების განსაზღვრისათვის ჯამდება სიკვდილის კონკრეტული მიზეზებისაგან (ან მიზეზთა კლასებისაგან) მოკვდაობის შესაძლო შემცირების (ან ზრდის) ექსპერტული შეფასებანი. ამ შეფასების საფუძველზე იგება მოკვდაობის ჰიპოთეზური ცხრილები, რომელთა მიხედვითაც შემდეგ გაიანგარიშება პროგნოზისათვის საჭირო გარკვეულ ასაკამდე მიღწევის კოეფიციენტები. მაგრამ შეიძლება უფრო მარტივად მოქცევა. შეიძლება ჩვენ ქვეყანასთან შედარებით მოკვდაობის შემცირებაში დიდი წარმატების მქონე რომელიმე ქვეყნების მოკვდაობის ცხრილების გამოყენება და იმ ვადების გამოთვლა, რომლებშიც ჩვენ შევძლებდით იმავე წარმატებების მიღწევას. შეიძლება აგრეთვე კოულისა და დემენის ტიპური ცხრილების გამოყენება და მათგან შესაბამისი მაჩვენებლების სესხება. ასე მოიქცა, კერძოდ წინამდებარე წიგნის ავტორი. არსებობენ (დასავლეთში) გარდაცვალების მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ტიპური ცხრილებიც. ალბათ შესაძლებელია სხვა მიდგომებიც. ამასთან, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პროგნოზის სიზუსტე განისაზღვრება თითქმის მარტოდენ დემოგრაფიული განვითარების ტენდენციების შესახებ ჰიპოთეზის ხარისხით და არა მათემატიკური ფორმულების სირთულით.

ა.ო. კვაშია

რა არის დემოკრატია?

მოსკოვი

1985

დემოგრაფიისა და მოსახლეობის სოციალურ პრობლემათა
ლიტერატურის რედაქცია

რეცენზენტი ლ.ე. დარსკი

მთარგმნელი ა.შ. სახვაძე

გამომცემლობა „ „ 1985

წინასიტყვაობა

ჩვენს დროში სიტყვა „დემოგრაფია“ უკვე აღარ იწვევს გაოცებას. მოსახლეობის პრობლემებზე ლაპარაკობენ და ბევრს წერენ, მეცნიერები და ჟურნალისტები, გამოდის პოპულარულ ნაშრომთა სერიები, დემოგრაფიის კურსი ისწავლება ქვეყნის რიგ უმაღლეს სასწავლებლებში. გავიდა ის დრო, როცა სიტყვა „დემოგრაფია“-ს ურევდნენ დემოგრაფიის მსგავს სხვა სიტყვებში. დემოგრაფია გახდა მეცნიერება ყველა მისი ატრიბუტით – თავისი მეთოდებით, თეორიით, პრაქტიკული ამოცანებით. უფრო მეტიც, ის ხდება „მოდური“ მეცნიერება ასეთი პოპულარობისათვის დამახასიათებელი ყველა პლუსითა და მინუსით. ამ უკანასკნელს უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება გამარტივებული წარმოდგენა დემოგრაფიული პროცესების არსზე, მათი ანალიზის მოჩვენებითი სიადვილე, ზოგჯერ კი მისწრაფება კერძო მონაცემებით, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე შორს მიმავალი განზოგადებებისა და დასკვნების გაკეთება.

სწორედ ამიტომ ვცდილობთ, რომ დემოგრაფიის ძირითადი პრობლემები გადმოვცეთ მკითხველთა ფართო წრისათვის გასაგები ფორმით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისმის ამოცანა ვუპასუხოთ კითხვებზე: რა არის დემოგრაფია როგორც მეცნიერება და რას შეისწავლის იგი, როგორია დემოგრაფიული ანალიზის ძირითადი მეთოდები და მისი შედეგების ინტერპრეტაცია, რა ემართება ქვეყნის მოსახლეობას ახლა და როგორია მისი განვითარების პერსპექტივები?

გასაგებია, რომ ყველა ეს კითხვა შეუქდება მრავალრიცხოვან მონოგრაფიებსა და სტატიებში, თითოეული მათგანი შეიძლება მთელი რიგი გამოკვლევის თემაც კი იყოს. არსებობს დემოგრაფიის სპეციალური ფუნდამენტური სასწავლო სახელმძღვანელოებიც,

რომლებიც შეიძლება გამოიყენონ მათ, ვისაც სურთ უფრო დაწვრილებით და რაც მთავარია პროფესიულად შეიტყონ დემოგრაფიის პრობლემებზე.

წინამდებარე წიგნში ძირითადად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის პრობლემებსა და მისი განვითარების ტენდენციებს განვიხილავთ. ეს სრულებითაც არ ნიშნავს მოსახლეობის როლის უგულვებელყოფას საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში, უბრალოდ ამ პრობლემას სპეციალური შრომები უნდა მიექდვნას, მათ შორის პოპულარულიც.

ამიტომაც წიგნის ბოლოს მოტანილია მოსახლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სია, უპირველეს ყოვლისა კი უკანასკნელ წლებში მასობრივი ტირაჟით გამოსული წიგნებისა, რომლებიც დაინტერესებულ მკითხველს დემოგრაფიული ცოდნის გაღრმავებაში დაეხმარება.

ჩვენ აქ გავაგრძელებთ დემოგრაფიული პრობლემების პოპულარულად გადმოცემის მცდელობებს, რომლებიც ავტორის მიერ უკვე იყო გამოყენებული (იხ. „...“, 1977) და რომელზე მიღებული შენიშვნებიც, მოცემულ ნაშრომში შექმნილი დაგვიარად არის გათვალისწინებული. ასე რომ, მისგან განსხვავებით, აქ ყურადღება გამახვილებულია დემოგრაფიის იმ ნაწილებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც პრაქტიკული მუშაობისათვის, ასევე მოსახლეობაში მიმდინარე მოვლენების არსისა და მათი პერსპექტივის გასაგებად. ესაა დემოგრაფიული ანალიზის თანამედროვე მეთოდები და მათი შესაძლებლობები, დემოგრაფიული პროგნოზირება, ჩვენი ქვეყნის განვითარების ტენდენციები და დემოგრაფიული პოლიტიკის პრობლემები. ბორტს მიღმა დარჩა დემოგრაფიის ბევრი მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, წყაროები მოსახლეობის მონაცემთა შესახებ, უცხოეთის ქვეყნების მოსახლეობის

განვითარების ტენდენციის ანალიზი, დემოგრაფიული თეორიის მთელი რიგი საკითხები. თუმცა, როგორც ამბობენ, „შეუძლებელია უსაზღვროს მოცვა,“ მით უფრო, შედარებით მცირე მოცულობის გამოცემაში.

თავი I

დემოგრაფია და თანამედროვეობა

მოსახლეობის პრობლემები, მათი შესწავლა არაა მხოლოდ მცირერიცხოვანი სპეციალისტების ხვედრი, მათზე ხშირად წერენ პრესაში, იძლევიან მომავლისათვის მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შეფასებას. მოსახლეობის განვითარების ტენდენციების გათვალისწინება, ხდება, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტი, განსაკუთრებით შორეულ პერსპექტივაში. ეს უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია იმასთან, რომ მოსახლეობა წარმოადგენს შრომითი რესურსების ფორმირების საფუძველს. სსრკ¹ -ში მიღებულია, რომ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას მიაკუთვნონ ვაუები 16-დან 60 წლამდე და ქალები 16-დან 55 წლამდე; ესაა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, რომელიც ქმნის ქვეყანაში მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს. ამასთან, ის ადამიანები, რომლებიც 2000 წელს მიაღწევენ შრომისუნარიან ასაკს, ე.ი. რომლებსაც შეუსრულდებათ 16 წელი, დაიბადნენ მხოლოდ 1984 წელს. მაშასადამე, დგება დაბადებათა მომავალი რიცხვის, ე.ი. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მომავალი რიცხვის განსაზღვრის ამოცანა.

მაგრამ შრომით რესურსებს, მათ რაციონალურ გამოყენებას, მათ შორის ხელით შრომით დასაქმებულთა რიცხვის შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, მისი ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მშრომელთა სხვადასხვა დამხმარე სამუშაოებით მოცდენას, ბევრი სამეცნიერო ორგანიზაცია და სახელმწიფო ორგანო შეისწავლის. ასე მაგალითად, შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაანგარიშებით, ხელით შრომით დასაქმებულთა მხოლოდ 1%-

¹ სსრკ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (მთარგმნელის შენიშვნა).

ით შემცირება საშუალებას მოგვცემს მრეწველობაში გამოვანთავისუფლოთ დაახლოებით 100 ათასი ადამიანი, ხოლო მშენებლობაზე – 30 ათასი ადამიანი. საბჭოთა ეკონომისტების შეფასებით წარმოებაში დასაქმების სიჭარბე შეადგენდა 15-20%-ს.² მომავალი შრომითი რესურსების რიცხოვნობის განსაზღვრისას საჭიროა გავითვალისწინოთ წლების მიხედვით შობადობის დონის რყევები.

ცნობილია, რომ დაბადებათა ყოველწლიური რიცხვები ხშირად იცვლება. ასე მაგალითად, 1960 წელს სსრკ-ში დაიბადა 5,3 მლნ. ბავშვი, 1970 წელს – 4,2, ხოლო 1984 წელს – 5,4 მლნ.³ ეს ნიშნავს, რომ დაბადებიდან 16 წლის შემდეგ შრომისუნარიან ასაკში შევლენ რაოდენობრივად განსხვავებული კონტინენტები, რაც დაგეგვაში აგრეთვე წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული. დემოგრაფიული ცოდნა საჭიროა ბევრი სხვა ამოცანის გადასწყვეტადაც. ასე მაგალითად, დღეს და მომავალში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისათვის საჭიროა არა მარტო მისი საერთო რიცხვის, არამედ სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცოდნაც. ბავშვების კვების რაციონი, მაგალითად, მოცულობითაც და შემადგენლობითაც განსხვავდება მოზრდილების კვების რაციონისაგან. თავისი თავისებურებები აქვს აგრეთვე უფროსი ასაკის ადამიანთა კვების რაციონსაც. მაშასადამე, ნამდვილად მეცნიერულად დაგეგმვისა და მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო რიცხოვნობა, არამედ მოსახლეობის სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ამიტომ სასურსათო პროგრამის რეალიზაციისას საჭიროა გათვალისწინოთ დემოგრაფიული ფაქტორიც.

² იხ.

³ 11. . ., 1983, . 32, 35.

³, 1985, 3, . 80.

ვაჟებისა და ქალების რიცხოვნობა, მათი ასაკობრივი მახასიათებლები უნდა გავითვალისწინოთ ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ფართო მოხამრების საგნების სხვადასხვა სახეობების წარმოებისას.

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამედიცინო კადრების მომზადების სტრუქტურაზეც. თუ მაგალითად, პერსპექტივაში გაიზრდება დაბადებათა რიცხვი, მაშინ აუცილებელია წინასწარ მომზადდეს ბავშვთა ექიმები – პედიატრები. თუ მომავალში ქვეყანაში მოიმატებს ხანდაზმულ ადამიანთა რიცხვი, ხოლო როგორც უკვე ვიცით, ეს პროცესი ახლა საკმაოდ აქტიურად ვითარდება, ამიტომ აუცილებელია გავზარდოთ სპეციალისტ-კარდიოლოგების, ონკოლოგებისა და სხვათა მომზადება, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობისათვის განკუთვნილი აპარატურის წარმოება, ხოლო უმაღლესი სასწავლებლებისა და არა მარტო მათი მუშაობის გარდაქმნისათვის არა ერთი წელიწადი იქნება საჭირო.

იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რამდენი იქნება პერსპექტივაში სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვები, არ შეიძლება სწორად დავიანგარიშოთ მომავლისათვის საჭირო საბავშვო დაწესებულებებისა და სკოლების, მათში აღმზდევლებისა და მასწავლებლების რიცხვი. ხოლო როგორც უკვე აღინიშნა, დაბადებათა რიცხვი წლიდან წლამდე იცვლება, რაც აისახება სკოლებისა და საბავშვო სახლების დატვირთვაზე.

მრავალეროვნულ საბჭოთა სახელმწიფოში ლაპარაკობენ, წერენ და კითხულობენ ბევრ ენაზე. წიგნები გამოიცემა საბჭოთა ხალხების 89 ენაზე. მაშასადამე, საჭიროა ვიცოდეთ თუ რამდენი ადამიანი ლაპარაკობს და კითხულობს ამა თუ იმ ენაზე, რათა სწორად დაგვეგმოსთ ეროვნული ლიტერატურის გამოცემა, იმ

რადიოსადგურებისა და სატელევიზიო სტუდიების საქმიანობა, რომლებსაც გადაცემები სხვადასხვა ენებზე მიჰყავთ.

ქვეყნის მომავალი მოსახლეობის რიცხოვნობისა და ოჯახური შემადგენლობის, ოჯახების სიდიდის, მათში ბავშვების რიცხვის განაწილების ცოდნის გარეშე, შეუძლებელია არა მარტო სწორად დავეგემოთ საბინაო მმშენებლობის მოცულობა, არამედ მოსახლეობის მოთხოვნა სხვადასხვა ტიპის ბინებზე. უბავშვო ქორწინებითი წყვილის ბინას სხვაგვარი დაგეგმარება უნდა ჰქონდეს, ვიდრე ორ-სამ ბავშვიანი ოჯახის ბინას. თუმცა საცხოვრებელი სახლები შენდება მრავალი ათწლეულისათვის, ამიტომ საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარტო მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობის თანამედროვე სტრუქტურა, არამედ შობადობის ტენდენციები მომავალში.

ცნობილია, რომ შობადობა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით რსფსრ⁴-ში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, უკანასკნელ წლებში მცირდებოდა. მაგრამ მნიშვნელოვანია ამ ფაქტის არა უბრალოდ აღრიცხვა, არამედ უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოვარკვიოთ, რატომ ხდება ეს, როგორია შობადობის შემცირების შედეგები, საჭიროა თუ არა რაიმე ღონისძიების გატარება შობადობის წახალისებისათვის, ხოლო თუ დიას, მაშინ რომელი ღონისძიებები იქნება ყველაზე მეტად ეფექტური.

საეჭვოა, ვინმეს გაუკვირდეს დებულება იმის შესახებ, რომ წინანდელთან შედარებით მოკვდაობა მნიშვნელოვნად შემცირდა, განსაკუთრებით უმცროს და საშუალო ასაკებში.⁵ და ამის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა. მაგრამ ახლაც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის

⁴ რსფსრ – რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (მთარგმნელის შენიშვნა).

⁵ მკაცრად რომ ვთქვათ, მოკვდაობა ზოგადად არ მცირდება, რადგანაც არ არსებობენ უკვდავი ადამიანები. ხდება მისი ინტენსივობის უმცროსი და საშუალო ასაკებიდან უფროსი ასაკებისაკენ გადანაცვლება, და ამის შედეგად იზრდება მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

შემდგომი გაძლიერება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანაა.

მომავლისათვის საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ ამა თუ იმ წელს პენსიაზე გამსვლელთა რიცხოვნობა, რათა გავიანგარიშოთ საპენსიო უზრუნველყოფისათვის საჭირო სახსრების მოცულობა. მაგრამ შობადობისა და მოკვდაობის ცვალებად დონეებს, ომის დანაკარგების გავლენას, იმისკენ მივყავართ, რომ საპენსიო ასაკს მიღწეული მოსახლეობის ჯგუფები, სხვადასხვა წლებში ერთნაირი არ არის. ასე მაგალითად, სსრკ-ში, 1970 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით 30-34 წლამდე ასაკში ვაჟები იყო 10,4 მლნ., ხოლო 35-39 წლის ასაკში – 8,1 მლნ. ამრიგად, ვაჟთა სქესის მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელიც დაახლოებით 1990-2000 წლისათვის მიაღწევს საპენსიო ასაკს, ე.ი. 60 წელსა და მეტს, არსებითად განსხვავებული იქნება. ეს წლიური განსხვავებები საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ, რათა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა მუშაობაში სირთულეები არ წარმოიშვას.

ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ადამიანი გადადის საცხოვრებლად ახალ ადგილას – სოფლიდან ქალაქად, ქალაქიდან ქალაქად, ქალაქიდან სოფლად. მარტო 1973 წელს ქალაქურ დასახლებებში 9,9 მლნ. ადამიანი ჩამოვიდა. მოსახლეობის ადგილგადანაცვლების გარეშე შეუძლებელია ახალი ტერიტორიების, პირველ რიგში კი ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ათვისება, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის, განვითარება. ამ გადაადგილებათა, ანუ, როგორც ამბობენ, მოსახლეობის მიგრაციის რაციონალობის დეტალური ანალიზი და მათი შედეგები აუცილებელია იმ დონისძიებათა კომპლექსის დამუშავებისათვის, რომლებიც საზოგადოების გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა მათი მართვისათვის.

სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის დაგეგმვისას აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რამდენად იქნებიან ისინი უზრუნველყოფილი შრომითი რესურსებით ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე, ან მოგვიწევს თუ არა მათი სხვა რეგიონებიდან მოზიდვა. საჭიროა წინასწარ განვჭვრიტოთ, თუ რამდენი შრომისუნარიანი ასაკის ადამიანი იცხოვრებს ახალ ქალაქში თუ რაიონში, ვაჟი და ქალი ცალ-ცალკე (როგორც მთლიანად, ასევე სპეციალობის მიხედვითაც), და ამის საფუძველზე დაგეგმეთ საბინაო მშენებლობა, მომსახურების სფეროს განვითარება და ბევრი სხვა რამ. სამწუხაროდ, პრაქტიკაში სწორედ ამ ობიექტების მშენებლობის ჩამორჩენა იწვევს მუშათა კადრების დენადობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისას, ეს კი თავის მხრივ ნეგატიურად აისახება სამრეწველო ობიექტების მშენებლობის ტემპებსა და ხარისხზე.

ჩვენი საზოგადოების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული იმ პროცესთან, რომლებიც მიმდინარეობს ოჯახში. როგორც ცნობილია, ოჯახი, წარმოადგენს საზოგადოების უმნიშვნელოვანეს უჯრედს. მასში ყალიბდება ბავშვის პიროვნება, ის არის კვლავწარმოების საფუძველი. ამიტომაც მისი ფორმირებებისა და დაშლის ტენდენციები საზოგადოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

მოყვანილ მაგალითებს (თითოეულს ცალ-ცალკე) კერძო ხასიათი აქვს, მაგრამ ისინი საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ ხალხთმოსახლეობის პრობლემების კვლევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთ-ერთ აქტუალურ დარგს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ჩვენს დროში დემოგრაფიული ფაქტორის გავლენის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების წარმატებით განხორციელება. მათი შესწავლის

აქტუალობასა და აუცილებლობას ხაზი გაესვა სკკპ⁶ -ის XXVI ყრილობაზე.

დემოგრაფიული პროცესების ხასიათისა და არსის მნიშვნელობის, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მათი როლისა და ზემოქმედების გავლენის ცოდნა არა მარტო მეცნიერების ან, მაგალითად, სსრკ-ის საგეგმო კომიტეტისათვის არის მნიშვნელოვანი. დემოგრაფიულ მოვლენათა კანონზომიერებებისა და მათი სოციალური მნიშვნელობის გაგება ჩვენი საზოგადოების წევრთათვის ისეთივე აუცილებელი და ელემენტარული უნდა გახდეს, როგორც ლიტერატურის, ფიზიკისა და ქიმიის საფუძვლების ცოდნა. „დემოგრაფიული განათლება“ აუცილებელია ყველა სამეურნეო ხელმძღვანელისათვის, განსაკუთრებით კი, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში დემოგრაფიული პროცესების ხასიათის მრავალფეროვნების გათვალისწინებით. სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების რეალიზებისას მათმა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება სერიოზული დისპროპორციები გამოიწვიოს.

ასე, მაგალითად, ზოგჯერ პრესაში გამოჩნდება ხოლმე ცნობები იმის შესახებ, რომ ახალმშენებარე ქალაქებში, შობადობის მაღალი დონის გამო, საბავშვო დაწესებულებებით უზრუნველყოფის პრობლემა ძნელი გადასაწყვეტია. მაგრამ საქმე ცოტა სხვაგვარადაა. ამ ქალაქებში, როგორც წესი, ბევრი ახალგაზრდაა, ბევრი ქორწინდება, პირველ შვილთა, – რომლებიც ხშირად უკანასკნელნიც არიან, გაჩენათა დიდი რიცხვი, დროის მცირე მოკაკვეთზეა ხოლმე კონცენტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ უფრო ხშირად ახალგაზრდა ოჯახები უპირატესობას აძლევენ, რომ იყლიონ ერთი ან ორი შვილი, დაბადებათა ეს „პიკი“ სირთულეებს ქმნის ჯერ საბავშვო ბაგებში, ბაღებში, შემდეგ სკოლებში, ხოლო მისი დაცემის

⁶ სკკპ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია (მთარგმნელის შენიშვნა).

შემდეგ კი, ბაშვთა დაწესებულებები ბავშვებით დაუკომპლექტებელი რჩება. სკოლამდელ დაწესებულებათა ეპიზოდური გადატვირთვები იწვევს ქალთა დასაქმების შემცირებას, კადრების დენადობის ზრდას. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ბავშვთა დაწესებულებების, სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვათა მშენებლობის დაგეგმვისას გავითვალისწინოთ „სტრუქტურული“ გადატვირთვის ასეთი შესაძლებლობანი.

რომელი მოვლენები მიეკუთვნება დემოგრაფიულ პროცესებს? ესაა დაბადებათა, გარდაცვალებათა, ქორწინებათა, განქორწინებათა და მიგრაციის შემთხვევათა ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ მთავარს, მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ცვლილებისას. მთლიანობაში მათ შეიძლება შესაბამისად ვუწოდოთ: შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების, განქორწინებისა და მიგრაციის პროცესები. ამ მოვლენათა რიცხვი ყოველწლიურად ძალიან დიდია. 1983 წელს საბჭოთა კავშირში დაიბადა 5 392 ათასი და გარდაიცვალა 2 823 ათასი ადამიანი, დაქორწინდა 2 835 ათასი და რეგისტრირებულ იქნა 945 ათასი განქორწინება. იმისათვის, რომ შევისწავლოთ ეს პროცესები და გამოვაგლინოთ მათი კანონზომიერებანი, აუცილებელია გავიგოთ ამ პროცესთა ძირითადი ტენდენციები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ჩავიძიროთ ცალკეულ შემთხვევათა, თუნდაც ძალიან საინტერესო ფაქტების ზღვაში, ხეებს იქით ვეღარ დავინახოთ ტყე. ამიტომ საჭიროა, რომ მოვლენების ამ ზღვაში დავინახოთ ძირითადი კანონზომიერებები, ზოგადი ტენდენციები და მათი მამოძრავებელი ძალები. სწორედ ამაში მდგომარეობს დემოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

ახლა შევეცადოთ ზოგადი სახით პასუხი გავცეთ კითხვას: რა არის დემოგრაფია? ტერმინი „დემოგრაფია“, ამ მეცნიერების განსაზღვრისათვის პირველად ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში

(1855 წ.) იქნა შემოთავაზებული, ფრანგი მეცნიერის ა. გიიარის მიერ. პირდაპირი თარგმანით ის ნიშნავს „ხალხთაღწერას:“ „დემოს“ – ხალხი, „გრაფია“ – აღწერილობა. ადრე, კვლევის ამ დარგს აკუთვნებდნენ ან სტატისტიკას, ან უწოდებდნენ პოპულაციონისტიკას.

მაგრამ, სანამ ამ მეცნიერების არსს განვმარტავდეთ, საჭიროა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა გავაკეთოთ. მოსახლეობაში მუდმივად ხდება მამათა და დედათა თაობის შეიღების თაობით შეცვლა, იცვლება მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა და განათლების დონე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მიმდინარეობს თაობათა ცვლის პროცესი, რომელსაც მთლიანობაში მოსახლეობის კვლავწარმოება ეწოდება.

შევეცდებით განვმარტოთ დემოგრაფიის როგორც მეცნიერების შესწავლის საგანი. ყველაზე ფართო გაგებით, დემოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის კვლავწარმოების კანონზომიერებებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ განპირობებულობაში.

დემოგრაფები ხშირად ამბობენ ასე: ჩვენ ვსწავლობთ მოსახლეობის მოძრაობათა სხვადასხვა სახეებს, ე.ი. იმ პროცესებს, რომლებიც ცვლიან მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობას. უფრო ხშირად მიღებულია მოსახლეობის მოძრაობის ორი სახის გამოყოფა, რომელთაც ეწოდებათ ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობები.⁷

ბუნებრივ მოძრაობას უწოდებენ შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების პროცესებს. მათ შორის ძირითადია შობადობისა და მოკვდაობის პროცესები, რადგანაც მათი გავლენით იცვლება მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა. მექანიკური მოძრაობა, ანუ მიგრაცია, ეწოდება ერთი პუნქტიდან მეორეში, ან ერთი და იმავე პუნქტის შიგნით მოსახლეობის მუდმივ ან დროებით

⁷ ზოგჯერ დემოგრაფიულ პროცესებში თვლიან მოსახლეობის ე.წ. სოციალურ მოძრაობასაც, ე.ი. ადამიანთა ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში გადასაცვლებას.

გადაადგილებას. განასხვავებენ აგრეთვე გარე – ქვეყნის საზღვრებს გარეთ და შიდა მიგრაციას – მაგალითად, სოფლიდან ქალაქად, ერთი ქალაქიდან მეორეში.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ დემოგრაფიულ მოვლენათა სიდიდე დროის მიხედვით იცვლება; ჩვენს ქვეყანაში დიდი განსხვავებანი არსებობს ტერიტორიული თვალსაზრისითაც.

ასე მაგალითად, მოსკოვის მცხოვრებთათვის ტიპურია ერთ-ორ ბავშვიანი ოჯახები, ხოლო თურქმენეთის სოფლებისათვის კი – ხუთ-შვიდ ბავშვიანი. ბუნებრივია, ისმის კითხვა ამ განსხვავებათა მიზეზების შესახებ.

აღვნიშნავთ, რომ განსხვავებათა საფუძველია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა და არა ბიოლოგიური ან კლიმატური ფაქტორებისა, როგორც უწინ ეგონათ. ეს დებულება დამაჯერებლადაა დამტკიცებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა და მრავალი თანამედროვე მკვლევარის მიერ. თუკი რუსეთის ისტორიას გავიხსენებთ, მაშინ თვით XIX ს. ბოლომდეც კი მოსახლეობას მყარი და მდგრადი წარმოდგენა ჰქონდა იმის შესახებ, რომ მრავალშვილიანი ოჯახი – ეს ოჯახის ერთადერთი შესაძლო ფორმაა, ამ ნორმიდან ყოველგვარი გადახრა, როგორც რუსეთის ევროპულ ნაწილში, ასევე და განსაკუთრებით კი შუა აზიურ რაიონებში იძრახებოდა საზოგადოებრივი აზრის მიერ და დაუშვებლად ითვლებოდა. ჩვენს დროში კი პირიქით, სსრკ-ის რიგ რაიონებში ყველაზე ტიპური ერთ-ორ ბავშვიანი ოჯახია.

საჭიროა განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი იმას, რომ ბევრ საკითხში ადამიანთა წარმოდგენები, როგორც ოჯახში, ასევე მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფში (პროფესიულ, ეთნიკურ, ქვეყნის ერთი და იგივე ნაწილში მცხოვრებთა), მათ შორის ბავშვთა სასურველ და თვით „მოდურ“ რიცხვზეც, დროთა განმავლობაში ცხოვრების გარემო

პირობების მიმართ დიდ სიმდგრადესა და გარკვეულ დამოუკიდებულებასაც კი იძენს. ამიტომ სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლა, განსაკუთრებით თუკი ის მიმდინარეობს თანდათანობით, და არა, ასე ვთქვათ, ნახტომისებური ფორმით, არც თუ ისე მალე იწვევს ოჯახის, და მაშასადამე, ოჯახში ბავშვების რიცხვის „დემოგრაფიული იდეალების“ ცვლილებას. ჯერ იცვლება სოციალურ-დემოგრაფიული პირობები, შემდეგ დემოგრაფიული იდეალები, ხოლო ბოლოს კი (ხშირად საკმაოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ) თავად დემოგრაფიული პროცესების ხასიათი.

მოსახლეობაში მიმდინარე პროცესთა ასეთი რთული ხასიათი განაპირობებს, რომ დემოგრაფებს თავიანთ მუშაობაში უწევთ ბევრი სხვა მეცნიერების მეთოდთა გამოყენება, მაგალითად სოციალური ფსიქოლოგიის, სტატისტიკისა და სხვა. მაგრამ დემოგრაფიის, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ შემუშავებული ისტორიული მატერიალიზმისა და მარქსისტული პოლიტეკონომიის პრინციპები. თანამედროვე პირობებში მიმდინარე მოვლენების რეალური სურათის გაგებას განაპირობებს დემოგრაფიული მოვლენების ანალიზისადმი მხოლოდ კომპლექსური მიდგომა და ამ მიზნით ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, თითოეული ამ ხერხის რეალური შესაძლებლობის ცოდნა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისადმი გაუმარტივებელი მიდგომა.

ბოლო წლებში მიმდინარეობს დემოგრაფიიდან კვლევის ახალი მიმართულებების გამოყოფის პროცესი, რომელთაგანაც ბევრი დამოუკიდებელ ხასიათს იძენს. ასეთი გზა მეცნიერების ბევრი დარგისთვისაა დამახასიათებელი. ახლა კრებსით სახელს „მედიცინა“-ს უწოდებენ მეცნიერებათა მთელ სისტემას – პედიატრიას, კარდიოლოგიას, ონკოლოგიას და სხვა. ასეთი დიფერენციაციის საფუძველს წარმოადგენს იმ ფაქტორების სირთულე და

მრავალფეროვნება, რომლებიც მოსახლეობის განვითარების ტენდენციებს განაპირობებს. არსებითად დემოგრაფია ხდება დემოგრაფიულ დისციპლინათა მთელი სისტემა, რომლიდანაც მისი შესწავლის ზოგადი მიმართულების საზღვრებში გამოიყოფა სხვადასხვა, შედარებით დამოუკიდებელი კვლევითი მიმართულებანი. ეს არის, მაგალითად, ისტორიული დემოგრაფია, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის განვითარების ისტორიას. ხალხთმოსახლეობის პრობლემების მეცნიერული შესწავლა ეფუძნება საზოგადოებრივი განვითარების კანონთა მარქსისტულ-ლენინურ გაგებას, რომელიც აღიარებს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების განმსაზღვრელ გავლენას საზოგადოებრივ განვითარებაზე და ყოველ საზოგადოებრივ ფორმაციაში მათი გამოვლენის სპეციფიკურობას. კ.მარქსმა პირველმა ჩამოაყალიბა დებულება იმის შესახებ, რომ ხალხთმოსახლეობის ეკონომიკური კანონები უნდა განიხილებოდეს თითოეული ფორმაციისათვის ცაკლ-ცალკე, რამეთუ არ არსებობს ხალხთმოსახლეობის რაღაც საერთო არაისტორიული კანონები. „... წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ ყოველ წესს – წერს კ.მარქსი – სინამდვილეში ახასიათებს თავისებური ისტორიული ხასიათის მქონე ხალხთმოსახლეობის კანონები.“⁸ კ.მარქსმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „კაპიტალი“, ჩამოაყალიბა კაპიტალისტური ფორმაციის ხალხთმოსახლეობის კანონი, აჩვენა მოსახლეობის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის ძირითადი მიმართულებანი.

დემოგრაფიული პროცესების, განსაკუთრებით კი ოჯახის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფ. ენგელსის ფუნდამენტურ ნაშრომს „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომელმაც პრინციპული საფუძველი ჩაუყარა ოჯახის ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესწავლას.

⁸ „... . . . 23, . 646.

ვ.ი.ლენინმა დიდი წვლილი შეიტანა დემოგრაფიის თეორიული საფუძვლების შემდგომ დამუშავებაში, კაპიტალიზმის დროს მოსახლეობის განვითარების კანონების შესწავლაში. გადაამუშავა რა რუსეთის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მასალები, მან თავის ნაშრომში მოგვცა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურისა და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის განვითარების ტენდენციის, მათი მიგრაციის ძირითადი მიმართულებებისა და ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაზე გადაადგილებათა გავლენის ანალიზი.

მოსახლეობის პრობლემების კვლევამ ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული განვითარება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომ მიიღო. ჯერ კიდევ 1920 წელს, ვ.ი.ლენინის მითითებითა და მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარდა მოსახლეობის პირველი საბჭოთა აღწერა, რომელმაც მოიცვა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი (გარდა იმ რაიონებისა, სადაც ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული სამოქალაქო ომი), შეიქმნა ქვეყნის სტატისტიკური სამსახური, უმჯობესდებოდა დემოგრაფიული სტატისტიკა.

უკანასკნელ ათწლეულებში გააქტიურდა ხალხთმოსახლეობის პრობლემების თეორიული და პრაქტიკული გამოკვლევები სამეცნიერო დაწესებულებებსა და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის 1970 და 1979 წ.წ. აღწერებსა და ქვეყანაში ფართოდ ჩატარებულ სხვადასხვა სახის დემოგრაფიულ გამოკვლევებს.

სკკპ და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს დემოგრაფიულ პრობლემებს, მათ მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე გადაწყვეტას. სკკპ-ის XXIV ყრილობაზე დაისვა საკითხი გრძელვადიანი დემოგრაფიული პროგნოზების დამუშავების შესახებ. სკკპ-ის XXV ყრილობაზე გამოითქვა აზრი ჩვენს

ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავებისა და ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის შესახებ.

დემოგრაფიულ პროცესებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ-ის XXVI ყრილობაზე. ხაზგასმული იყო, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემის იმ ელემენტებს შორის, რომელთა შესწავლაზეც აუცილებელია ყურადღების გამახვილება, მიეკუთვნება დემოგრაფიაც.⁹

ყრილობამ დასვა ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ამოცანა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ოჯახისადმი ფართო დახმარების გაწევით. ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახული იყო ასეთი სახის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას. 1981 წლის 31 მარტს მიღებულ იქნა სკკპ-ის ცკ-ისა და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილება – „ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების შესახებ“, აგრეთვე სხვა დადგენილებები, რომლებიც მიმართულია ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობის ეფექტურობის შემდგომი ამაღლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის განვითარებისაკენ.

მოსახლეობის პრობლემების შესწავლა ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს აუცილებელი მინიმალური ცოდნა დემოგრაფიული მოვლენების არსისა და მათი ანალიზის მეთოდების, აგრეთვე მოსახლეობის განვითარების გენერალური ტენდენციების შესახებ. სწორედ ამ პრობლემებს ეძღვნება წიგნის შემდგომი თავები.

⁹ იხ.: XXVI . ., 1981, . 145.

თავი II დემოგრაფიული ანალიზის შესახებ

მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების არსის გაგება და შემთხვევათა დიდი რიცხვის საფუძველზე მათი გენერალური კანონზომიერებების გამოვლენა დემოგრაფიული ანალიზის სხვადასხვაგვარ ხერხებს მოითხოვს. ყოველდღიურად და ყოველ საათს ქვეყანაში იბადებიან და კვდებიან ადამიანები, ფორმდება ქორწინებები და განქორწინებები, ადამიანები იცვლიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილს. მაგრამ, მხოლოდ მათი საერთო რიცხვის ცოდნა არაა საკმარისი მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების არსის გაგებისათვის. ერთია, როცა ოჯახში იბადება პირველი და ხშირად უკანასკნელი ბავშვი, ხოლო სულ სხვაა როცა ეს არის მეხუთე ან მეექვსე ბავშვი. ერთბავშვიანი ოჯახების მასობრივად გავრცელებას, როგორც ეს შემდგომ იქნება ნაჩვენები, იქამდე მიყვავართ, რომ ადამიანთა თაობები ვერ განახლდება, მრავალშვილიანი ოჯახების მასობრივად გავრცელებისა და დაბალი მოკვდაობის პირობებში მოსახლეობის მატების ტემპები საგრძნობლად მაღალია. ერთი სიტყვით, საჭიროა არა მარტო შემთხვევათა რიცხვის, არამედ მათი ხარისხობრივი მახასიათებლების ცოდნაც.

დემოგრაფიული შემთხვევები განაწილებულია დროში, მათი ინტენსივობა ადამიანთა ასაკთან ერთად იცვლება და ეს საერთოდ ბანალური ჭეშმარიტება, მეტად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ანალიზის პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებისას. დაბადების შემთხვევათა ძირითადი მასა მოდის 15-დან 49 წლის ასაკამდე ქალებზე, ე.ი. ე.წ. ბავშვთაშობის ანუ რეპროდუქციული ასაკის კონტინგენტზე. ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო მეტია მოსახლეობაში ამ ასაკის ქალები, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მეტი შეიძლება

იქნეს დაბადებათა რიცხვიც. მოკვდაობის ინტენსივობას ასაკების მიხედვით პრაქტიკულად აქვს ორი „პიკი“ ერთ წლამდე ასაკში, როცა ბავშვების ორგანიზმი ყველაზე უფრო დაუცველია, და უფროს ასაკებში. ასეთი მაგალითები შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ, მაგრამ დასკვნა ახლავე გასაგებია – დემოგრაფიული პროცესები უნდა შევისწავლოთ მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობასთან მჭიდრო კავშირში.

დემოგრაფიულ შემთხვევათა რიცხვი, მათი სტრუქტურა განუწყვეტლივ იცვლება დროში. ასე მაგალითად, თუ 1973 წელს ქვეყანაში დაბადებულთა საერთო რიცხვიდან (4 386 ათასი ბავშვი), რიგით მეორე ბავშვების წილად მოდიოდა 27,6%, ხოლო რიგით მესამე ბავშვების წილად კი 10,0%, უკვე 1983 წელს რიგით მეორე დაბადებულებმა შეადგინეს დაბადებულთა საერთო რიცხვის 35,4%, ხოლო მესამეებმა კი – 11,5%. მაშასადამე, აუცილებელია დემოგრაფიული ანალიზის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების დეტალური თავისებურებანი, მათი სტრუქტურული მახასიათებლები.

აქედან გამომდინარეობს დემოგრაფიული ანალიზის მეთოდებისადმი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა – მათი დინამიკაში შედარების აუცილებლობა, მახასიათებლების წლიდან წლამდე, ერთი პერიოდის მეორესთან შედარება, იმისათვის, რომ გამოვავლინოთ ცვლილებათა საერთო ტენდენციები, მიმდინარე პროცესთა გენერალური კანონზომიერებანი.

დემოგრაფიული მოვლენების შესწავლისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი ცვლილებების ხასიათი პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით განისაზღვრება, რომელთა მოქმედებასაც მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში განათლების, პროფესიისა და

ეროვნებების მიხედვით, საკუთარი თავისებურებები გააჩნია. ამიტომ მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის დინამიკა, და მოსახლეობაში ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკური პრინციპის მიხედვით გამოყოფილი ცალკეული ჯგუფებისადმი დიფერენცირებული მიდგომა, ანალიზის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

დემოგრაფიულ პროცესთა ანალიზი მხოლოდ დიდი პირობითობით შეიძლება ვაწარმოთ მთლიანად მთელი მოსახლეობისათვის (ანუ როგორც ამბობენ „ორივე სქესისათვის ერთად“). ასეთი მიდგომა მეტად არაზუსტია, რამეთუ მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობა და ბევრი სხვა პროცესიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალებსა და ვაჟებში. ვაჟებისა და ქალებისათვის დემოგრაფიულ პროცესთა ცალკ-ცალკე შესწავლა – მათი ანალიზის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა.

დემოგრაფიულ პროცესთა ანალიზისას საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ, რომ ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი – შობადობა და მოკვდაობა, ქორწინება და განქორწინება, მიგრაცია და შობადობა. ამიტომ შესწავლისას ყოველთვის გარდაუვალია რეალური სინამდვილის გარკვეულწილად გამარტივება.

ნათქვამიდან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა – სოციალურ-დემოგრაფიული შემთხვევები არ შეიძლება გაიზომოს ერთი რომელიმე „ზემაჩვენებლით.“ მათი სირთულე და მრავალფეროვნება განაპირობებს დემოგრაფიულ პროცესთა მახასიათებლების სხვადასხვა კომპლექსის გამოყენებას, ამასთან სწორედ კომპლექსის, რადგანაც დემოგრაფიული ანალიზის ცალკეულ მეთოდთა ანალიტიკური შესაძლებლობანი ყოველთვის შეზღუდულია, თითოეულ მათგანს თავისი ღირსებები და ნაკლოვანი მხარეები გააჩნია. მხოლოდ ერთი მაჩვენებლის დინამიკაზე დამყარებულმა დემოგრაფიულ პროცესთა ანალიზმა, შეიძლება პრინციპულად არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანოს.

საჭიროა განვასხვაოთ საკუთრივ დემოგრაფიული პროცესები (შობადობა, მოკვდაობა და სხვა) როგორც ცალკეულ მოვლენათა სიმრავლეების ერთობლიობა და სხვადასხვა სახის მაჩვენებლები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება ამ პროცესების კანონზომიერებათა გამოვლენა.

შევჩერდეთ დემოგრაფიული ანალიზის არსებული მეთოდების პრინციპულ საფუძვლებზე. ისინი მრავალი ათწლეულების განმავლობაში იქმნებოდა და თავიანთი ისტორია გააჩნიათ, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც მთლიანად მეცნიერების განვითარებასთან, ასევე დემოგრაფიულ მოვლენათა ხასიათის შესახებ არსებული მონაცემების საზოგადოებრივ მოთხოვნასთან, მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის ფორმირებაში მოძრაობის ამა თუ იმ სახის როლთან.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შობადობის სტაბილური მაღალი დონისა და მაღალი მოკვდაობის პირობებში, შედარებით „მშვიდი“ წლები მონაცვლეობდა მასობრივი ეპიდემიების პერიოდებთან, როცა მოსახლეობის მოკვდაობა რამდენიმეჯერ იზრდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოკვდაობა იყო, როგორც სტატისტიკოსები ამბობენ, ყველაზე უფრო ვარიაბელური პროცესი. ამიტომ დემოგრაფიული ანალიზის პირველი მეთოდები შემუშავებულ იქნა მოკვდაობის, როგორც ყველაზე უფრო დინამიური პროცესის დასახასიათებლად. დემოგრაფიული ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდი, ე.წ. მოკვდაობის ცხრილები (უფრო ზუსტად კი მათი პირველსახე) გაიანგარიშა ინგლისელმა სტატისტიკოსმა ჯ.გრაუნტმა (1620-1674), რომელმაც ცნობილი ეკონომისტის უ.პეტის ხელშეწყობით 1662 წელს მოამზადა და გამოსცა ნაშრომი „ბუნებრივი და პოლიტიკური შენიშვნები მოკვდაობის ბიულეტენების შესახებ.“¹⁰

¹⁰ მისი ნამდვილი დასახელება უფრო ვრცელია, რაც იმ დროისათვის ტიპური იყო.

მასში პირველად იყო გაანგარიშებული მახვენებლები, რომლებიც წარმოდგენას იძლეოდა ინგლისის დედაქალაქის მოსახლეობის ასაკობრივი მოკვდაობის ცვლილებათა შესახებ. დემოგრაფიული ანალიზის მეთოდთა შემუშავებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი დიდი მათემატიკოსების შრომებს, როგორებიც იყვნენ ლ.ეილერი, ე.გალეი, პ.ლაპლასი და სხვები.

ახლა გადავიდეთ დემოგრაფიული პროცესების ხასიათისა და განვითარების ტენდენციათა ანალიზის შესახებ არსებული მეთოდების დაწვრილებით განხილვაზე. მათ განხილვას დავიწყებთ მეთოდით, რომელიც პირობითად შეიძლება გაგაერთიანოთ ცნებით „დემოგრაფიული კოეფიციენტები.“

დემოგრაფიული კოეფიციენტები

დემოგრაფიულ მოვლენათა რიცხვი წლიდან წლამდე იცვლება. თუ 1960 წელს ჩვენს ქვეყანაში გარდაიცვალა 1 529 ათასი ადამიანი, უკვე 1984 წელს კი – 2 962 ადამიანი, ე.ი. გარდაცვლილთა რიცხვი 24 წლის განმავლობაში 93,7%-ით გაიზარდა. შეიძლება თუ არა ამ მონაცემების საფუძველზე ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოკვდაობის დონე გაიზარდა თითქმის 2-ჯერ? ასეთი ვარაუდი უბრალოდ არასწორი იქნებოდა.

საქმე ის არის, რომ რამდენიმე წლისათვის გარდაცვლილთა რიცხვების შედარებისას, საჭიროა გავითვალისწინოთ ამ მოვლენის წარმომშობი ერთობლიობის მოცულობის ცვლილებაც, ჩვენს შემთხვევაში მოსახლეობის რიცხვნობა, რომელიც 1960 წელს 212,4 მლნ. კაციდან, 1984 წლის დასაწყისისათვის – 273,8 მლნ. კაცამდე, ე.ი. 28,9%-ით გაიზარდა.

ამიტომ უფრო ზუსტი ანალიზის პირველი ეტაპი უნდა იყოს მომხდარ შემთხვევათა (გარდაცვალების, დაბადების და სხვა) რიცხვის შეფარდება მოსახლეობის იმ რაოდენობასთან, რომლებმაც ისინი (ეს შემთხვევები) წარმოშვა, ჩვენს შემთხვევაში მოსახლეობის საერთო რიცხვთან.

მაგრამ აქ საჭიროა გავაკეთოთ ერთი დაზუსტება. უნდა გვახსოვდეს, რომ მონაცემები დემოგრაფიულ შემთხვევათა რიცხვის შესახებ ჩვენ ყოველთვის გვაქვს დროის რაღაც ინტერვალისათვის, მაგალითად, დაბადებათა ან გარდაცვალებათა რიცხვი წელიწადში ან თვეში. როგორც სტატისტიკოსები ამბობენ, ეს არის ინტერვალური სიდიდეები. თვით მოსახლეობის რიცხვნობა კი, რომელიც განუწყვეტლივ იცვლება, ყოველთვის გამოითვლება რომელიღაც გარკვეული მომენტისათვის, მაგალითად, ამა თუ იმ წლის 1 იანვრის

ან 1 ივლისისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსახლეობის რიცხოვნობა, სტატისტიკოსების გამოთქმით, არის მომენტური სიდიდე. ამრიგად, თავისი არსით ისინი შეუდარებელი სიდიდეებია.

მაგრამ თუ დემოგრაფიული შემთხვევების რიცხვს შევადარებთ არა უბრალოდ მოსახლეობის რიცხვთან რომელიმე გარკვეული თარიღისათვის, არამედ მის საშუალო წლიურ რიცხვთან, ე.ი. დროის განსაზღვრული ინტერვალისათვის, მაშინ ეს წინააღმდეგობა მოხსნილი იქნება. „საშუალო წლიური მოსახლეობის“ გაანგარიშების უმარტივესი მეთოდია ორი მომიჯნავე წლის დასაწყისისათვის არსებული რიცხვების ნახევარჯამის გამოთვლა. თუ გვაქვს მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალო წლიური შეფასება, უკვე შეიძლება შევადაროთ ორი ინტერვალური მაჩვენებელი – მომხდარ შემთხვევათა რიცხვი და ის საწყისი ერთობლიობა, რომელმაც ეს შემთხვევები წარმოშვა. ახლა მოვიყვანოთ დემოგრაფიული კოეფიციენტების გაანგარიშების არსის, როგორც მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების ანალიზის ხერხის, ზოგადი განმარტება.

დემოგრაფიულ კოეფიციენტებში ჩვენ ვიგულისხმებთ დემოგრაფიულ შემთხვევათა (დაბადების, გარდაცვალების, მიგრაციისა და სხვა შემთხვევების) წლიურ რიცხვს ამ შემთხვევების გამომწვევ საშუალო მოსახლეობის ათას სულზე გაანგარიშებით.¹¹

ამ ზოგადი მიდგომიდან გამომდინარე, შეიძლება ვაჩვენოთ ზოგიერთი იმ დემოგრაფიული კოეფიციენტის არსი და მათი მეთოდოლოგიური შესაძლებლობანი, რომლებიც გამოიყენება დემოგრაფიული ანალიზის პრაქტიკაში.¹² გაეყოფთ რა ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვს მთელი მოსახლეობის

¹¹ ეს მაჩვენებელი თეორიულად შესაძლოა გავიანგარიშოთ საშუალოდ ასი ათას, ათი ათას ან ერთ კაცზეც კი. დემოგრაფიაში ისინი ტრადიციულად იანგარიშება 1000 კაცზე, ანუ, როგორც ამბობენ პრომილებში (ლათინურიდან – pro (ზე), milles (ათასი)). პროცენტისაგან (%) განსხვავებით ეს სიდიდე აღინიშნება ნიშნით – ‰.)

¹² დემოგრაფიული კოეფიციენტების გაანგარიშების ზოგადი წესიდან არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი – ე.წ. ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი. მასზე საუბარი გვექნება ქვემოთ.

საშუალო წლიურ რიცხვზე (კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ მნიშვნელში არის მთელი მოსახლეობა), მივიღებთ ე.წ. შობადობის ზოგად კოეფიციენტს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაბადებათა რიცხვს საშუალოდ მთელი მოსახლეობის ყოველ ათას სულზე. ასე მაგალითად, 1940 წელს სსრკ-ში საშუალოდ მოსახლეობის ყოველ ათას სულზე დაიბადა 31,2 ბავშვი, ხოლო 1984 წელს კი – 19,6 ბავშვი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1984 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი იყო 19,6‰. ზოგჯერ ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ შობადობა შეადგენს ამდენ და ამდენ კაცს მოსახლეობის ათას სულზე (1984 წელს – 19,6-ს). ასეთივე მეთოდით შეიძლება ვიანგარიშოთ სსრკ-ის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტიც, ანუ გარდაცვლილთა რიცხვი საშუალო წლიური მოსახლეობის ყოველ ათას სულზე. 1950 წელს სსრკ-ის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 9,7‰-ს, ხოლო 1984 წელს კი – 10,8‰-ს.

მაგრამ დემოგრაფიულ პროცესთა, მხოლოდ ზოგადი კოეფიციენტების მეშვეობით წარმოებულმა ანალიზმა, შეიძლება არა მარტო არასრული, არამედ ზოგჯერ უბრალოდ შემთხვევათა საეჭვო სურათი მოგვცეს. ასე მაგალითად, 1970 წელს სომხეთის სსრ-ში მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 5,1‰-ს, ხოლო ესტონეთის სსრ-ში 11,1‰-ს. თითქოსდა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ესტონეთში მოკვდაობის დონე 2-ჯერ და მეტად დიდია ვიდრე სომხეთში. სინამდვილეში ეს ასე არ არის.

ზემოთ უკვე ითქვა დემოგრაფიული პროცესების მჭიდრო კავშირზე მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობასთან, მათი სიხშირის ცვლილებაზე ადამიანთა ასაკებთან დამოკიდებულებაში, ხოლო მთელი მოსახლეობის მასშტაბით კი ამა თუ იმ ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობასთან. ამრიგად, რაც უფრო მეტია მოსახლეობაში ხანდაზმული ადამიანები, მაშინ ასაკობრივი მოკვდაობის ინტენსივობის

ცვლილების გარეშეც მით მეტი იქნება გარდაცვლილთა საერთო რიცხვი, და მაშასადამე, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტიც. რაც უფრო მეტია ქვეყანაში ახალგაზრდობა მით მეტია დაბადებათა საერთო რიცხვი, მაშინაც კი როცა უცვლელია ოჯახების ორიენტაცია ბავშვების ამა თუ იმ რიცხვზე. მაშასადამე, გარდაცვალებისა და დაბადების შემთხვევათა საერთო რიცხვები და მოსახლეობის საერთო რიცხვის დინამიკაც დიდადაა დამოკიდებული მოსახლეობის ჩამოყალიბებული ასაკობრივი სტრუქტურის სპეციფიკაზე. ამიტომ როცა ქვეყანაში (ან მის ნაწილში) იცვლება (იზრდება ან მცირდება) დაბადებათა ან გარდაცვალებათა ყოველწლიური რიცხვი, ეს სრულებითაც არ იძლევა კატეგორიული მტკიცების საფუძველს ოჯახის დემოგრაფიული ქცევის შესახებ, ან შობადობის ან მოკვდაობის ინტენსივობის შემცირების თაობაზე. პირველ რიგში საჭიროა შევამოწმოთ, ხომ არ წარმოადგენს მაგალითად დაბადების, გარდაცვალების, ან ქორწინებათა რიცხვის ზრდა მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილების, ანუ როგორც კიდევ ამბობენ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის შედეგს. მაგალითად, სსრკ-ში 70-იან წლებში დაბადებათა რიცხვის ზრდა (1970 წელს დაიბადა 4,2 მლნ. ბავშვი, ხოლო 1984 წელს კი – 5,4 მლნ.) მნიშვნელოვანწილად ამ ფაქტორის გავლენასთან იყო დაკავშირებული, რომელსაც თავისი არსით მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

ახლა დავუბრუნდეთ მაგალითს სომხეთსა და ესტონეთში მოკვდაობის კოეფიციენტთა განსხვავებულობის შესახებ. თუ შევადარებთ 1970 წლის აღწერით მიღებულ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემებს, დავინახავთ, რომ სომხეთში 60 წლისა და მეტ ასაკებში იყვნენ ვაჟების 6,8% და ქალების 9,5%, ხოლო ესტონეთში ვაჟების – 11,9% და ქალების – 20,8%. ეს ნიშნავს, რომ ესტონეთის მოსახლეობაში ხანდაზმული ანუ გარდაცვალების მაღალი

რისკის მქონე ადამიანების ხვედრითი წილი თითქმის 2-ჯერ მეტი იყო ვიდრე სომხეთში, რამაც განაპირობა მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტში არსებული ესოდენ პარადოქსული განსხვავებანი. ამ შემთხვევაში დემოგრაფები ამბობენ, რომ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეზე ესტონეთსა და სომხეთში გავლენა იქონია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სპეციფიკამ.

შემთხვევათა რიცხვის შეფარდებით საშუალო წლიურ მოსახლეობასთან შეიძლება გავიანგარიშოთ სხვა დემოგრაფიული შემთხვევების, მაგალითად, ქორწინებისა და განქორწინების ზოგადი კოეფიციენტებიც. ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი ყველაზე ხშირად იანგარიშება, როგორც წლის განმავლობაში რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვის შეფარდება, საშუალოდ მოსახლეობის ყოველ ათას სულზე. 1940 წელს სსრკ-ში ის შეადგენდა 6,3‰-ს, ხოლო 1983 წელს კი 10,4‰-ს. ამა თუ იმ წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რიცხვი საშუალოდ მოსახლეობის ყოველ ათას სულზე – ესაა განქორწინების კოეფიციენტი, რომელიც 1983 წელს სსრკ-ში შეადგენდა 3,5‰-ს. ამავე სქემით შეიძლება გამოვითვალოთ მოსახლეობის ჩამოსვლის (ან წასვლის) კოეფიციენტიც – წლის განმავლობაში მოცემულ დასახლებულ პუნქტში რეგისტრირებულ ჩამოსულთა (ან წასულთა) რიცხვი საშუალოდ მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე.

ახლა შევჩერდეთ საკითხზე იმის შესახებ, თუ რა საზღვრებში შეუძლიათ ვარირება შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს. სწორი წარმოდგენა ამ მაჩვენებელთა ზომაზე, საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ კონკრეტული გაანგარიშებისას მიღებული მათი სიდიდეების საიმედოობა. ამ კოეფიციენტთა ქვედა ზღვარი უდრის ნულს. მოსახლეობის დიდი ჯგუფისათვის ეს წმინდა ჰიპოთეზური ვარაუდია. რაც შეეხება მაჩვენებელთა ზედა ზღვარს აქ საქმე უფრო რთულადაა.

შობადობის კოეფიციენტის მაქსიმალურ სიდიდედ შეიძლება მივიღოთ ისეთი რიცხვი, როცა გაჩენათა რიცხვის შეუზღუდავობის პირობებში ეს მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 45-55‰-ს. მაგალითად, 1861-1865 წლებში რუსეთის ევროპულ ნაწილში, როცა პრაქტიკულად არ ხდებოდა შობადობის შეზღუდვა, ეს მაჩვენებელი უდრიდა 50,7‰-ს, ხოლო 1896-1900 წლებში კი – 49,5‰-ს.¹³

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტისათვის ასეთ „ზედა ზღვარს“ წარმოადგენს მისი ის დონე, რომელიც მას ჰქონდა მაშინ, როცა ადამიანები ჯერ კიდევ ვერ ფლობდნენ მრავალი ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის რეალურ ხერხებს და მოკვდაობა ე.წ. „ბუნებრივ დონეზე“ იყო. მასობრივი ეპიდემიების არ არსებობის წლებში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი თითქმის 35,0‰-ს შეადგენდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 40-50‰-მდეც აღწევდა. ასე მაგალითად, 1861-1870 წლებში ევროპულ რუსეთში ეს მაჩვენებელი ტოლი იყო 37‰-ის, ხოლო 1881-1890 წლებში კი – 35,5‰-ის. ეს სიდიდე (40‰-მდე) შეიძლება მივიღოთ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობის ზედა ზღვრად.

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგადი კოეფიციენტების მთავარი ნაკლია ის, რომ ისინი იანგარიშება მთელი მოსახლეობისათვის, რომელშიც ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფთა ხვედრითი წილი შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს. აქედან წარმოიშვა ასაკობრივი (ანუ კერძო) დემოგრაფიული კოეფიციენტების აგების იდეა, რომელთა გაანგარიშებისას, მოვლენათა რიცხვი, რომელიც შეემთხვა გარკვეული ასაკის მოსახლეობას, უფარდდება არა მთელი მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხვს, არამედ კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც მომხდარი შემთხვევებისათვის წარმოადგენს ამოსავალ ერთობლიობას.

¹³ იხ.:

/ , ., 1983, . 133.

მათი არსის გაგებისათვის მოვიყვანოთ მაგალითი შობადობის ასაკობრივ კოეფიციენტებთან დაკავშირებით. ბიოლოგიური მიზეზების გამო შობადობის ძირითადი ნაწილი მოდის 15-დან 49 წლამდე ასაკის ქალებზე. აქედან გამომდინარეობს, რომ შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტის გაანგარიშებისას პირველ ნაბიჯს უნდა წარმოადგენდეს იმ ბავშვთა რიცხვის გამოთვლა, რომლებიც საშუალოდ გააჩინა 15-დან 49 წლამდე ასაკის ყოველმა 1000 ქალმა. დავარქვათ მას 15-დან 49 წლამდე ასაკის ქალთა შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი.¹⁴ ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებადაა დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე, ვიდრე შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, რადგანაც მისი გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება ქალთა ის ასაკობრივი კონტინგენტები (15 წლამდე და 49 წელზე უფროსი), რომლებიც პრაქტიკულად აღარ მონაწილეობენ ბავშვთა შობაში. 1958-1959 წლებში ქალების შობადობის საერთო ასაკობრივი კოეფიციენტი სსრკ-ში შეადგენდა 88,7‰-ს, ანუ საშუალოდ 15-დან 49 წლის ასაკამდე ყოველმა 1000 ქალმა ამ პერიოდში გააჩინა 88,7 ბავშვი. 1982-1983 წ.წ. მთელი ქვეყნისათვის იგი უდრიდა 76,0‰-ს, ქვეყნის ქალაქებისათვის – 64,8‰-ს, ხოლო სოფლებისათვის – 101,6‰-ს.

მაგრამ ამ კოეფიციენტის სიდიდეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ჩამოყალიბებულ ასაკობრივ სტრუქტურაზე, რადგანაც ქალებში შობადობის ინტენსივობა, განსაკუთრებით კი მცირეშვილიანი ოჯახების პირობებში, ასაკთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება. ყველაზე უფრო მაღალია იგი 20-დან 29 წლამდე ასაკის ქალებში, შემდეგ კი იწყებს კლებას. მაშასადამე, რაც უფრო მეტია მოსახლეობაში ახალგაზრდა ქალები,

¹⁴ ამ მაჩვენებელს დემოგრაფიულ ლიტერატურაში ზოგჯერ ნაყოფიერების (ანუ ფერტილურობის) კოეფიციენტს უწოდებენ, რაც არაზუსტია, რადგანაც ნაყოფიერება უნდა გვესმოდეს, როგორც ორგანიზმის პოტენციური უნარი შობადობისადმი, ხოლო შობადობა კი როგორც – ამ პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციის ხარისხი. მისი მეორე დასახელებაა – შობადობის სპეციალური კოეფიციენტი, რომელიც ასევე ვერ გადმოსცემს ამ მაჩვენებლის არსს, რამეთუ მასში არაფერია სპეციფიკური, განსაკუთრებული.

განსაკუთრებით 20-დან 29 წლის ასაკებში, მით უფრო მეტი იქნება დაბადებათა საერთო რიცხვიც.¹⁵

ასაკთან ერთად არსებითად იცვლება მოკვდაობის ინტენსივობაც. დემოგრაფიულ ლიტერატურაში, მოკვდაობის ზოგად დონეზე მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის საჩვენებლად, ხშირად მოჰყავთ ასეთი მაგალითი. 1930-1932 წლებში ინგლისში გამოითვალეს სამღვდელოებისა (27,7‰) და მესანგრევეთა (14,5‰) მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები.

ასეთი პარადოქსული შედეგები (მესანგრევეთა მოკვდაობის მაჩვენებელი ნაკლებია ვიდრე სამღვდელოებისა) ეწინააღმდეგება მოსახლეობის ამ ორი ჯგუფის შრომისა და ცხოვრების პირობებს. საქმე ის არის, რომ თუ მესანგრევენი ძირითადად ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ხალხია, სამღვდელოებაში კი ხანდაზმული ადამიანები სჭარბობენ. ასე მაგალითად, 44 წლის ასაკამდე იყო მესანგრევეთა 65,9%, ხოლო სამღვდელოების კი მხოლოდ 26,9%. სწორედ ასაკობრივი შემადგენლობის განსხვავებამ განსაზღვრა განსხვავებანი მაჩვენებელთა სიდიდეშიც.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დემოგრაფიული კოეფიციენტები მით უფრო ზუსტია, რაც ვიწროა ასაკობრივი საზღვრები მათი გაანგარიშებისას.

ლოგიკიდან გამომდინარე უფრო ზუსტი შეიძლება იყოს ის დემოგრაფიული კოეფიციენტები, რომლებიც გაანგარიშებულია ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მაგალითად 15-16 წლის ქალებისათვის და ა.შ. მათი გაანგარიშების მეთოდი პრინციპში იგივეა რაც სხვა დემოგრაფიული კოეფიციენტებისათვის. მაგრამ პრაქტიკაში

¹⁵ თეორიულად შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები შეიძლება გამოითვალოს ვაჟებისთვისაც. სირთულეს წარმოადგენს ბავშვთაშობის ასაკის ზედა ზღვარის დადგენა, რომელიც პირობითად, უფრო ხშირად, მიღებულია 60 წლის ტოლად.

მათ საკმაოდ იშვიათად ითვლიან, უპირველეს ყოვლისა ინფორმაციული სიძნელეების გამო.

პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გავრცელებულია ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაანგარიშებული დემოგრაფიული კოეფიციენტები. მაგალითად, ქალებში შობადობის ასაკობრივი მაჩვენებლები იანგარიშება შემდეგი ასაკობრივი ჯგუფებისათვის 15-19; 20-24; 25-29; 30-34; 35-39; 40-44 და 45-49 წელი.

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებიც იანგარიშება ხუთწლიანი ინტერვალებით, მაგრამ აქაც არის თავისი თავისებურებანი. ცნობილია, რომ ვაჟებისა და ქალების მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობა ერთი და იგივე ასაკობრივ ჯგუფებშიც მნიშვნელოვნად განსხვავდება – ვაჟების მოკვდაობის დონე ყოველთვის მეტია, ვიდრე ქალებისა. თუ 0-დან 4 წლამდე ასაკის გოგონების მოკვდაობის კოეფიციენტი 1971-72 წ.წ., შეადგენდა 6,0‰-ს, ბიჭებში იგი უდრიდა 7,5‰-ს, ე.ი. ეს მაჩვენებლები შეეფარდება ერთმანეთს როგორც 1:1,2-ს; 20-დან 24 წლამდე ისინი შეადგენდა შესაბამისად 0,8 და 2,5‰-ს, ე.ი. 1:3-ს, ხოლო 65-დან 69 წლამდე კი – 20,2 და 40,5‰-ს, პროპორცია იყო 1:2. აქედან გამომდინარეობს, რომ მოკვდაობის ასაკობრივი მაჩვენებლები ვაჟებისა და ქალებისათვის უნდა იანგარიშებოდეს ცალ-ცალკე.

მაგრამ ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაანგარიშებული დემოგრაფიული კოეფიციენტები, განსაკუთრებით კი შობადობისა, ასევე დამოკიდებულია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სპეციფიკაზე. დაქორწინებისა და პირველი შვილის გაჩენის ინტენსივობა ხომ ძალიან ცვალებადია ახალგაზრდებში თვით ხუთწლიანი ინტერვალების შიგნითაც. მაგალითად, თანამედროვე პირობებში იგი ყველაზე მაღალია 23-24 წლის ქალებში. ამიტომაც რაც უფრო მეტია ამ ასაკის ქალები, მით მეტი იქნება შობადობის

კოეფიციენტი 20-24 წლის ასაკებში. ამიტომ ყველაზე ზუსტი იქნებოდა ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის გაანგარიშებული დემოგრაფიული კოეფიციენტები, მაგრამ ინფორმაციული სიძნელეების გამო ეს ყოველთვის ვერ ხერხდება

როგორც უკვე აღვნიშნეთ დაბადებათა, გარდაცვალებათა და ქორწინებათა წლიური რიცხვი, და მაშასადამე, დემოგრაფიულ კოეფიციენტთა სიდიდეს დიდადაა დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სპეციფიკასა და თავად მოვლენათა ინტენსივობაზე. დაბადებათა რიცხვი (ან შესაბამისი შესწორებით გარდაცვალებათა და ქორწინებათა რიცხვიც) ორი მდგენელის ვარიაციაზეა დამოკიდებული – ასაკობრივ სტრუქტურაზე, ე.ი. შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების რიცხოვნობასა, და შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების სიდიდეზე, რომელიც გამოხატავს დემოგრაფიულ მოვლენათა ინტენსივობის დონეს. დაბადებათა საერთო რიცხვი კი შეიძლება იცვლებოდეს ან ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებისას (მაგალითად, იმ ახალგაზრდა ქალების რიცხოვნობის შემცირება ან გადიდება, სადაც შობადობის დონე ყველაზე მაღალია), ან თვით ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილებისას. მაგრამ თუ ასეა ეს პრობლემა შეიძლება ცოტა სხვაგვარად დავსვათ: როგორი იქნებოდა დაბადებულთა საერთო რიცხვი ქვეყნის (ან ორი ქვეყნის) ორ განსხვავებულ ნაწილში, სადაც შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები განსხვავებულია მაგრამ პირობითად აღებულია ერთნაირი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვთაშობის ასაკის ქალთა სტანდარტული განაწილება? როგორც დემოგრაფები ამბობენ ამ შემთხვევაში ჩვენ ვასტანდარტებთ, ე.ი. ვაუნინიფიცირებთ ასაკობრივ სტრუქტურას.¹⁶ ამ შემთხვევაში დაბადებულთა რიცხვი, და მაშასადამე,

¹⁶ ამიტომ მსგავს გაანგარიშებებს დემოგრაფიაში უწოდებენ „სტანდარტიზაციას.“ გაანგარიშების ტექნიკა დაწვრილებითაა გადმოცემული დემოგრაფიის სახელმძღვანელოებში (იხ.: . ., 1980, . 85-89).

შესაბამისი გაანგარიშების შემდეგ ზოგადი კოეფიციენტებიც, მხოლოდ შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ხარჯზე იქნება განსხვავებული.

შესაძლებელია გაანგარიშების მეორე, საპირისპირო ვარიანტიც – მოსახლეობის ორივე ჯგუფისათვის ერთი და იგივე სტანდარტული ასაკობრივი კოეფიციენტების შემთხვევაში აიღება სხვადასხვა ასაკობრივი სტრუქტურები. ამ შემთხვევაში დაბადებულთა რიცხვებს შორის განსხვავება გვიჩვენებს მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის დიფერენციაციის ზემოქმედების ხარისხს. მაჩვენებელთა „სტანდარტიზაციის“ პოზიციიდან ასეთი მიდგომა პრინციპში შესაძლებელია ყველა მოვლენისათვის, სადაც კი არის ასაკობრივი სტრუქტურა და მოვლენის ასაკობრივი ინტენსივობა. მაგალითად, შეიძლება გავიანგარიშოთ მოსახლეობის მოკვდაობისა და დაავადებათა, აგრეთვე ქორწინებისა და განქორწინების სტანდარტიზებული კოეფიციენტები. ეს მაჩვენებლები შეიძლება ვიანგარიშოთ „არადემოგრაფიული“ მოვლენებისთვისაც, მაგალითად ვიანგარიშოთ ცვეთის შედეგად ჩარხების მწყობრიდან გამოსვლის საერთო მაჩვენებელი მათი „ასაკობრივი შემადგენლობისა“ და წლიურად მწყობრიდან გამოსვლის ინტენსივობაზე დამოკიდებულებით.

პირობით მაგალითზე ვაჩვენოთ ასეთი სახის გაანგარიშებათა ზოგადი პრინციპები. ამ მიზნით ვიანგარიშოთ ქვეყანაში დაბადებულთა საერთო რიცხვი შემდეგი პიპოთეზების საფუძველზე:

1. 1969–1970 წელს სსრკ-ის 15-49 წლის ასაკის ქალთა შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების პირობებში;
2. სსრკ-ის, 15-49 წლის ქალთა რეალური ასაკობრივი სტრუქტურის პირობებში;
3. ქალთა იმავე საერთო რიცხოვნობისას, როგორც სსრკ-ში ფაქტიურად იყო 1970 წელს, მაგრამ 1970 წელს უზბეკეთის

სსრ-ის სოფლად მაცხოვრებლებში არსებული ასაკობრივი პროპორციების განაწილების მიხედვით, ე.ი. ახალგაზრდული ასაკობრივი სტრუქტურისას.

ამ გაანგარიშებათა შედეგები მოყვანილია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1

სსრკ-ის ქალთა შობადობის სტანდარტიზებული მაჩვენებლების გაანგარიშება

ასაკობრივი ჯგუფები, (წელი)	ქალთა ფაქტიური საერთო რიცხვი 1970 წელს, (ათასობით).	ქალთა რიცხვი უზბეკეთის სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურით (ათასობით).	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები სსრკ-ში 1969-1970წ.წ. (%)	დაბადებათა რიცხვი ფაქტიური სტრუქტ. პირობებში (ათასობით).	დაბადებათა რიცხვი უზბეკეთის ქალთა სტრუქტ. პირობებში (ათასობით).
15-19	10 774	15 181	30,4	327	462
20-24	8 478	8 792	163,9	1 389	1 441
25-29	6 959	7 717	128,7	895	993
30-34	10 736	9 615	88,1	1 382	1 238
35-39	8 554	8 729	48,5	41,5	423
40-44	10 244	7 654	15,3	157	117
45-49	7 512	5 566	2,9	22	16
15-49	63 255	63 255	–	4 587	4 690

ამრიგად, მხოლოდ ბავშვთაშობის ასაკში მყოფი ქალების განაწილებაში არსებული განსხვავების ხარჯზე დაბადებათა რიცხვი შეიძლება გაზრდილიყო 2,2%-ით (4 690 : 4 587). 15-49 წლის ასაკის ქალთა შობადობის საანგარიშო კოეფიციენტი შესაბამისად იქნებოდა 72,5 და 74,1‰. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კიდევ ერთხელ დასტურდება დებულება იმის შესახებ, რომ ახალგაზრდული სტრუქტურა სხვა

თანაბარ პირობებშიც კი ხელს უწყობს შობადობის მაჩვენებელთა რიცხვის ზრდას.

სტანდარტიზაციის, როგორც დემოგრაფიული ანალიზის ხერხის გამოყენებისას საჭიროა გავითვალისწინოთ მოცემული ხერხის გარკვეული ხელოვნურობა, რომელიც ამახინჯებს მოვლენათა რეალურ არსს. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სტანდარტიზაციის გამოყენებისას ყოველთვის დგება პრობლემა, თუ რომელი ასაკობრივი სტრუქტურა ავირჩიოთ სტანდარტად და რატომ მაინცდამაინც ის. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკაში უფრო ხშირად იღებენ ადმინისტრაციულად უფრო მაღალი დონის ერთეულის სტრუქტურას, მაგალითად რსფსრ-ს ოლქისათვის მთლიანად რსფსრ-ს ასაკობრივ სტრუქტურას, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის – ქვეყნის ასაკობრივ სტრუქტურას. მაგრამ აქაც პირობითობის ელემენტი მაინც საკმაოდ მაღალი რჩება.

უკანასკნელ წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპებზე ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის ხარისხის დასახასიათებლად გამოიყენება ცნება „დემოგრაფიული ზრდის პოტენციალი.“ მოსახლეობის ე.წ. სტაბილურობის თეორიის საფუძველზე, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, გაანგარიშებულ მაჩვენებელს დიდი ანალიტიკური მნიშვნელობა აქვს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ რეალური მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას ყოველთვის აქვს დისპროპორციები, უთანაბრობები, რამეთუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა და სხვათა, მაგალითად, სამხედრო დანაკარგების გავლენით, მერყეობს დაბადებათა ყოველწლიური რიცხვი. იდეალში, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა უნდა იყოს სწორი და ასაკთან ერთად თანაბრად იცვლებოდეს. დროთა განმავლობაში შობადობის რეჟიმის სტაბილიზაციის შემთხვევაში ასაკობრივი სტრუქტურა შეიძლება გასწორდეს. მაგრამ იმ პირობებშიც კი, როცა შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობა ერთნაირია მოსახლეობის

რიცხოვნობა შეიძლება შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ასაკობრივი სტრუქტურის დისპროპორციის ხარჯზე იზრდებოდეს.

მოცემული მაჩვენებლის გამოთვლის მეთოდები მოცემულია სპეციალურ ლიტერატურაში,¹⁷ მაგრამ გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ სსრკ-ში მთლიანად ზრდის პოტენციალი 1958-1959 წლებში შეადგენდა 1,35-ს, ხოლო 1969-1970 წლებში კი – 1,29-ს. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ასაკობრივი სტრუქტურის შესაძლებლობების ხარჯზე მოსახლეობის რიცხოვნობა, უფრო ზუსტად კი, ქალების რიცხვი შეიძლებოდა გაზრდილიყო 1958-1959 წლებში 35%-ით, ხოლო 1969-1970 წლებში 29%-ით.

ასაკობრივი სტრუქტურის ზემოქმედების ასეთი სპეციფიკის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის გრძელვადიანი პროგნოზირებისას.

დემოგრაფიულ კოეფიციენტთა მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქორწინების, განქორწინებისა და მიგრაციის პროცესთა ანალიზისთვისაც. მაგრამ ქორწინებისა და განქორწინების პროცესების შესწავლისას, მათი გაანგარიშება უნდა მოხდეს იმ ასაკობრივი ჯგუფებისათვის, რომლებშიც შეიძლება ამ მოვლენების რეგისტრაცია, ე.ი., მაგალითად, ქორწინებისათვის, როგორც წესი 18 წლიდან. მიგრაციის კოეფიციენტები იანგარიშება ამ პროცესის ყოველი სახისათვის ცალ-ცალკე, ე.ი. ცალკე მოსახლეობის ჩამოსვლისა და წასვლის კოეფიციენტები და მიგრაციის შედეგთა მაჩვენებლები (მოცემული რაიონის ან ქალაქის მოსახლეობის ჩამოსვლისა და წასვლის კოეფიციენტებს შორის სხვაობა). მიგრაციის განმაზოგადებელ მაჩვენებლებს აგრეთვე უწოდებენ მიგრაციის საღდოს კოეფიციენტებს ან მექანიკური მატების კოეფიციენტებს.

¹⁷ იხ.: . . .

. . ., 1976, . 109-120.

დემოგრაფიულ კოეფიციენტებს შორის, როგორც თავისი მნიშვნელობით, ასევე გაანგარიშების მეთოდებითაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვილთა მოკვდაობის, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტს, რომელიც წარმოადგენს ერთ წლამდე ასაკის ბავშვების მოკვდაობის საზომს.¹⁸ პირველი წლის განმავლობაში ბავშვის მოუმაგრებელი ორგანიზმი განსაკუთრებით ადვილად განიცდის გარემო პირობების, პირველ რიგში კი სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებების გავლენას. ამ პერიოდში განსაკუთრებით დიდია განვითარების თანდაყოლილი მანკებით გამოწვეული მოკვდაობა. შესამჩნევია ბავშვის მოვლის ხარისხი, აგრეთვე იმ ცხოვრებისეული პირობებისა და საყოფაცხოვრებო ტრადიციების გავლენა, რომლებიც არსებობს ოჯახსა და საზოგადოებაში. საკმაოდ მნიშვნელოვანია ისეთი სოციალური ფაქტორის გავლენა, როგორცაა კვალიფიციური და ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების დროული მიღება.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშება განსხვავდება სხვა დემოგრაფიული კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდებისაგან. საქმე ის არის, რომ ის საწყისი ერთობლიობა, რომელიც „აწარმოებს“ ბავშვთა გარდაცვალების გარკვეულ რიცხვს (ბავშვები ერთი წლის ასაკამდე), წლის განმავლობაში მთლინად ახლდება. ეს ნიშნავს, რომ დემოგრაფიულ კოეფიციენტთა გაანგარიშების ჩვეულებრივი ხერხები (როგორც მომხდარ მოვლენათა რიცხვის შეფარდება ამ მოვლენის გამომწვევ საშუალო წლიურ მოსახლეობასთან), აქ გამოუსადეგარია. ამიტომ ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი პირველ მიახლოებაში იანგარიშება, როგორც ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა

¹⁸ როგორც ჩანს, ტერმინი „ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი“ უფრო ზუსტად ასახავს ამ მაჩვენებლის არსს, რამეთუ ცნებას „ბავშვები“ საკმოდ განუსაზღვრული ასაკობრივი საზღვრები აქვს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ერთი წლის ასაკამდე ბავშვები.

რიცხვის შეფარდება ამავე წელს დაბადებულთა რიცხვთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოეფიციენტი არის ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი, საშუალოდ ამავე ასაკის ყოველ 1000 დაბადებულზე.

პრაქტიკაში ამ მაჩვენებლის გასაანგარიშებლად უფრო ზუსტ ფორმულას იყენებენ. საქმე ის არის, რომ მაგალითად, 1980 წელს ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვები, შეიძლება დაბადებულიყვნენ როგორც 1980 წელს, ასევე წინა – 1979 წელსაც. ამიტომ გაანგარიშებათა არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვს ყოფენ წინა წელს დაბადებულთა რიცხვის $\frac{1}{3}$ -ისა და საანგარიშო წელს დაბადებულთა $\frac{2}{3}$ -ის ჯამზე.

რა საზღვრებში შეიძლება იცვლებოდეს ეს მაჩვენებელი? როცა არ არსებობდა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის ეფექტური საშუალებები, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კი ცხოვრების ძალიან დაბალი დონე ჰქონდა, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი მაღალი იყო და 250-270‰-ს აღწევდა, ხოლო რიგ შემთხვევებში კი 400-500‰-ს. ჯერ კიდევ 1913 წელს მეფის რუსეთში ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი 269‰-ს შეადგენდა, ე.ი. თითქმის ყოველი მეოთხე დაბადებული ერთ წლამდე ასაკს ვერ აღწევდა.

მეორე მხრივ, პრაქტიკულად სხვადასხვა სახის ინფექციებისაგან ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის სრული ლიკვიდაციისას, ე.ი. როცა ბავშვები ამ ასაკში მხოლოდ განვითარების თანდაყოლილი მანკებით კვდებიან, ეს მაჩვენებელი შეიძლება იყოს 8-9‰-ის ფარგლებში. ესაა მისი თანამედროვე რეალური მინიმუმი.

მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები და დემოგრაფიული ცხრილები

ახლა შევჩერდეთ ორ მაჩვენებელზე, რომლებიც იძლევა შობადობისა და გარკვეული ზომით კი მთელი მოსახლეობის კვლავწარმოების განზოგადებულ დახასიათებას, და წარმოადგენს შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტებისაგან წარმოებულ მაჩვენებლებს. საუბარია ე.წ. შობადობის ჯამურ კოეფიციენტსა და მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტზე. მაგრამ წინასწარ აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ თანამედროვე დემოგრაფიაში გამოყენებულ ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომას – დემოგრაფიულ მოვლენათა შესწავლის ორ შესაძლო მეთოდს, რომლებმაც მიიღეს რეალური თაობის (სხვანაირად – სიგრძივი ანალიზის) მეთოდის და პირობითი (ანუ ჰიპოთეზური) თაობის მეთოდის, ანუ განივი ანალიზის სახელწოდება.

ერთ-ერთ ამ მიდგომათა არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა ჯგუფები გაერთიანებულია რაღაც ერთი ან რამდენიმე საერთო ნიშნის მიხედვით, მაგალითად დაბადების ერთი და იგივე წლით. დემოგრაფიაში ერთი ან რამდენიმე მაჯგუფებელი ნიშნის მიხედვით ფორმირებულ ჯგუფს, უწოდებენ *კოჰორტას*. ასე მაგალითად, 1910 წელს დაბადებულ ყველა ადამიანს შეიძლება ვუწოდოთ 1910 წელს დაბადებულთა კოჰორტა. 1950 წელს დაბადებულები, რომლებიც დაქორწინდნენ 1970 წელს, შეადგენენ 1970 წელს დაქორწინებულთა კოჰორტას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალური თაობის მეთოდის არსი, რომელზეც ახლა გვაქვს საუბარი, იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე საერთო ნიშნის მიხედვით გაერთიანებულ ადამიანებში შეიძლება თვალყურის გადევნება, თუ როგორი ინტენსივობით მიმდინარეობს წლების განმავლობაში სხვადასხვა დემოგრაფიული

შემთხვევები. ასე მაგალითად, თუ გვაქვს დაბადების, გარდაცვალებისა და ქორწინების აქტები სხვადასხვა წლებისათვის, მაშინ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ თუ 1910 წელს დაბადებულთა საერთო რიცხვიდან რამდენი გარდაიცვალა სიცოცხლის პირველსავე წელს, რამდენი მეორე წელს, ამ კოჰორტიდან რამდენი კაცი დაქორწინდა 20 წლის ასაკში, 25 წლის ასაკში და ა.შ.

ამ ხერხს იმიტომაც ჰქვია რეალური თაობის მეთოდი, რომ ჩვენ თვალს ვადევნებთ რეალურად არსებულ ადამიანთა ჯგუფების სიცოცხლეს.¹⁹ იგი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ საინტერესო ცნობები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ცხოვრების რეალურ ისტორიაზე.

მაგრამ პრაქტიკაში მეთოდის გამოყენებას სირთულეები ხვდება. უპირველეს ყოვლისა მის გამოსაყენებლად საჭიროა გვქონდეს მონაცემები (და საკმაოდ სრულიც) დაბადებათა, ქორწინებათა და გარდაცვალებათა დინამიკის შესახებ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის, ხოლო ასეთი ცნობები ხშირად არ მოიპოვება. სსრკ-ში სტატისტიკური აღრიცხვა მთლიანად მხოლოდ დიდი სამამულო ომის შემდეგ იქნა აღდგენილი, და ისიც არა უცბად, რამეთუ ომის დროს ბევრი არქივი განადგურდა.

იმისათვის რომ რეალური თაობის მეთოდით დემოგრაფიული პროცესების შესახებ სრული ცნობები გვქონდეს, საჭიროა ძალიან დიდხანს ლოდინი, რადგანაც ბავშვთაშობის პროცესი ქალებში თითქმის 50 წლის ასაკში სრულდება, მაშასადამე, მხოლოდ 2000 წლისათვის შეგვეძლება მივიღოთ სრული მონაცემები 1950 წელს დაბადებულ ქალთა კოჰორტის შობადობის შესახებ. ასეთი სახის ინფორმაციას კი უფრო მეტად ისტორიული ფასეულობა ექნება. ამ

¹⁹ ამ მიდგომას სხვაგვარად კოჰორტის, ანუ სივრძივი ანალიზის მეთოდს უწოდებენ, რადგანაც ჩვენ ადამიანთა ამ ჯგუფის სიცოცხლეს თითქოსდა „გასწვრივ“ მივყვებით.

სიძნელეებმა განაპირობა, რომ ჩვენი საუკუნის (მე-20 საუკუნის – ა.ს.) 50-იან წლებამდე მოცემული მეთოდი იშვიათად გამოიყენებოდა.

დემოგრაფიულ ანალიზში მისმა გამოყენებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ოჯახში ბავშვების რაოდენობის შეზღუდვისა და მათი გაჩენის ვადების დაგეგმვის პირობებში. ამჟამად ოჯახებს ძირითადად განსაზღვრული წარმოდგენა აქვთ არა მარტო იმაზე, თუ რამდენი ბავშვი უნდა იყოლიონ და როდის, არამედ იმაზეც, თუ რამდენი ბავშვის ყოლაა „მოდაში.“ ჩვენს დროში მეუღლეები გეგმავენ არა მარტო ბავშვების რიცხვს, არამედ დროსაც, დაქორწინებიდან პირველი ბავშვის გაჩენამდე (პროტოგენეტიკური ინტერვალი), პირველსა და მეორეს, მეორესა და მესამეს და შემდგომი რიგითობის ბავშვების გაჩენას შორისაც (ინტერგენეტიკური ინტერვალი).²⁰ შობადობის ასეთი „დაგეგვისას“ მეუღლეთათვის სასურველი მეორე შვილი შეიძლება გაჩნდეს პირველის მერე სამი, ხუთი ან ათი წლის შემდეგაც.²¹

მაგრამ გაჩენათა შორის ინტერვალის სიდიდის ცვლილებამ, ანუ, როგორც დემოგრაფები ამბობენ დაბადებათა კალენდრის, „გრაფიკის“ ცვლილებამ შეიძლება ერთი შეხედვით მეტად პარადოქსულ მოვლენამდე მიგვიყვანოს. ხშირად ოჯახები სხვადასხვა მიზეზის გამო „უკეთეს დრომდე“ უკან სწევენ მეორე შვილის გაჩენას, რომელიც მშობლებს უნდათ რომ აუცილებლად ჰყავდეთ. კონკრეტული ოჯახის მდგომარეობის გაუმჯობესებისას მეორე შვილის ყოლის სურვილი აუცილებლად რეალიზდება და საბოლოოდ ოჯახში იქნება ორი (ან სამი) სასურველი, ასე ვთქვათ დაგეგმილი ბავშვი.²²

²⁰ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დაქორწინებაზე, მაშინ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში მისი რეგისტრაციის თარიღი.

²¹ რიგი გამოკვლევების მონაცემებით, საშუალო ინტერგენეტიკური ინტერვალი შობადობის შეუზღუდავობის პირობებში დაახლოებით 34 თვეს შეადგენს (იხ.:, 1974, . 157.)

²² ცხოვრებაში ისეც ხდება, რომ ოჯახი ისე დიდხანს გადასდებს ხოლმე მეორე ან მესამე შვილის გაჩენას, რომ ასაკის გამო მერე ეს გვიანდება კიდევ.

ბოლოს და ბოლოს ოჯახური გეგმის „საბოლოო მაჩვენებლები“ შესრულება, და შვილიანობის ასაკის ბოლოს თაობას იმდენი (ან თითქმის იმდენი) ბავშვი ეყოლება, რამდენიც თავდაპირველად იყო დაგეგმილი, მაგრამ მათი დროში განაწილება, და მაშასადამე, გაჩენათა წლიური რიცხვიც შესაძლოა მნიშვნელოვნად ვარირებდეს.

დაბადებათა შორის ინტერვალების ცვლილება (გაზრდა ან შემცირება) იწვევს იმას, რომ ამა თუ იმ წელს დაბადებათა რიცხვი შეიცვლება გაჩენათა რიცხვის სხვაობის გამო. ეს ნიშნავს, რომ მართალია 50 წლისათვის შობადობის საბოლოო შედეგები საშუალოდ ოჯახების მიერ დაგეგმილ დონეზე იქნება, მაგრამ გაჩენათა ყოველწლიური რიცხვი, და მაშასადამე, შობადობის ზოგადი და ასაკობრივი კოეფიციენტებიც კი ამ თუ იმ წელს შეიძლება მნიშვნელოვნად ირყეოდეს. ამიტომ, როცა ქვეყანაში (ან მის ნაწილში) შობადობის ასაკობრივ და განსაკუთრებით კი ზოგად კოეფიციენტთა სიდიდეები იცვლება, საჭიროა გამოვარკვეოთ, არის თუ არა იგი ოჯახში ბავშვთა რიცხვის გაზრდისაკენ ორიენტაციის შეცვლის შედეგი, ე.ი. ბავშვთაშობის ინტენსივობის ცვლილების შედეგი, თუ შეიცვალა შობადობის გრაფიკი ოჯახში ბავშვების გარკვეულ რაოდენობაზე ორიენტაციის შეუცვლელად, თუ თავი იჩინა ასაკობრივი სტრუქტურის გავლენამ. ასეთი ანალიზი დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ მას შეუძლია ბევრი ნაჩქარევი დასკვნა აგვაცილოს თავიდან, განსაკუთრებით კი მიმდინარე დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტურობის შეფასებისას.

რეალური თაობის მეთოდის ინფორმაციულმა და ზოგიერთი სხვა სახის სიძნელეებმა განაპირობა დემოგრაფიულ პროცესთა შესწავლისადმი სხვაგვარი მიდგომის გამოყენების აუცილებლობა, რომელსაც პირობითი (ანუ ჰიპოთეზური) თაობის მეთოდი ანუ განივი ანალიზის მეთოდი ეწოდება.

დაწვრილებით შეეხერდეთ ამ მიდგომის პრინციპებზე. სტატისტიკური ინფორმაცია საშუალებას იძლევა, რომ ადვილად მივიღოთ მონაცემები გარკვეული პერიოდისათვის (ერთი ან ორი წელი) ასაკობრივი მაჩვენებლების შესახებ, მაგალითად, გავიანგარიშოთ ვაჟების მოკვდაობის კოეფიციენტები 1980 წლისათვის 0-დან ერთ წლამდე, ერთიდან ორ წლამდე და ასე შემდეგ ასაკებისათვის, ე.ი. მონაცემები თითოეულ ასაკში სხვადასხვა ასაკის პირთა მოკვდაობის შესახებ, და მაშასადამე, მონაცემები რეალური თაობის შესახებ. მოკვდაობის პროცესთა შესწავლისას მნიშვნელოვანია თვალი გავადევნოთ თუ როგორ მცირდება (ანუ „ამოწყდება“) მოკვდაობის გავლენით გარკვეული თაობის რიცხოვნობა. მოსახლეობის ამოწყდომის პროცესისადმი თვალის გადევნება თითოეული რეალური თაობის სიცოცხლის შესახებ ინფორმაციის არ ქონის პირობებში მხოლოდ მნიშვნელოვანი დაშვების საფუძველზე შეიძლება. მისი არსი არის – დაშვებაში, რომ შესასწავლი თაობის მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმ წლის მოკვდაობის ასაკობრივი რეჟიმი, რომლისთვისაც მიმდინარეობს გაანგარიშება, იქნება უცვლელი.

ჩვენ ვუშვებთ, რომ მაგალითად, 1978 წელს დაბადებულებს სიცოცხლის პირველ წელს მოკვდაობის ისეთივე დონე ექნებათ, რომელიც მოსახლეობის ამ ჯგუფს ფაქტიურად სიცოცხლის მეორე წელს ჰქონდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვე 1977 წელს დაბადებულთათვის მოკვდაობის ისეთივე რეჟიმს ვიღებთ, რომელიც ჰქონდათ იმათ ვინც 1978 წელს ორი წლის იყო. სიცოცხლის მესამე წლისათვის ჩვენ კვლავ უცვლელად ვთვლით 1978 წელს სამი წლის ასაკში მყოფთა, ე.ი. 1976 წელს დაბადებულთა მოკვდაობის რეჟიმს. მაშასადამე, მოკვდაობის ასაკობრივი რეჟიმის უცვლელობის ჰიპოთეზის საფუძველზე, თუ გვაქვს უცვლელი მოკვდაობის ასაკობრივი მაჩვენებლების ასეთი სახის სრული მწკრივი, ჩვენ

თითქოსდა ასაკობრივი „აგურებისაგან“ გამონტაჟებთ ხელოვნურ თაობას. ასეთი თაობის ფორმირების არსმა და მოდელურმა ხასიათმა განაპირობა მიდგომის სახელწოდებასაც – პირობითი, ანუ ჰიპოთეზური თაობის მეთოდი.

მის ძირითად ღირსებას წარმოადგენს ინფორმაციული უზრუნველყოფის შედარებითი სიადვილე. მისი გამოყენებისათვის საჭიროა სხვადასხვა თაობის მოკვდაობის ასაკობრივი მონაცემები მხოლოდ ერთი ან ორი წლისათვის, და არა მრავალი წლის მონაცემები, როგორც რეალური თაობის მეთოდის შემთხვევაში. ამავე დროს ასეთი თაობის ფორმირებისას მიღებული დაშვება მთელი თაობის განმავლობაში – მოკვდაობის (ან შობადობის) რეჟიმის უცვლელობის შესახებ – საკმაოდ პირობითია. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, თუ გავისხენებთ ჩვენს მაგალითს 1978 წელს დაბადებულების შესახებ, ვნახავთ, რომ მაგალითად 60 წლის ასაკიანებისთვის ჩვენ ვიღებთ პირობითად იმ მაჩვენებელს, რომელიც 1978 წელს ფაქტიურად ჰქონდა 1918 წელს დაბადებულებს. მაგრამ 1978 წელს დაბადებულნი 60 წლის ასაკს მიაღწევენ 2038 წელს, ხოლო ამ ხნის განმავლობაში ცხოვრების პირობებიცა და სამედიცინო მომსახურების დონეც მნიშვნელოვნად შეიცვლება.

რეალური და პირობითი თაობის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი დემოგრაფიული პროცესის შესასწავლად. თითოეულ ამ მიდგომას თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები აქვს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას მათი კომპლექსურად გამოყენების აუცილებლობას.

ახლა შეიძლება დაუზღუდვით განმაზოგადებელი დემოგრაფიული კოეფიციენტების პრობლემის განხილვას, მათ შორის შობადობის სფეროშიც. თუ გვაქვს გარკვეული პერიოდისათვის ქალების შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ნაკრები, შეიძლება

ვიანგარიშით, იმ ვარაუდით, რომ თუ შობადობის თანამედროვე ასაკობრივი რეჟიმი არ იცვლება, რამდენი ბავშვი ჩნდება საშუალოდ 15-დან 49 წლამდე ბავშვთაშობის ასაკის ერთ ქალზე. ამ მაჩვენებელს ეწოდება შობადობის ჯამური კოეფიციენტი.

მის გამოსათვლელად საჭიროა შევაჯამოთ შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების სიდიდეები (პრომილებში). თუ ეს მაჩვენებლები გაანგარიშებულია საშუალოდ ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მაშინ მიღებული შედეგი უნდა გავავრავლოთ ხუთზე, რამეთუ თითოეული ხუთწლიანი კოეფიციენტი არის საშუალო სიდიდე ხუთწლიანი ინტერვალისათვის.

თუ f_x -ით აღვნიშნავთ 15-დან 49 წლის ასაკამდე ქალთა შობადობის ასაკობრივ კოეფიციენტებს ხუთწლიანი ჯგუფებისათვის, ხოლო $K_{\text{საშ.}}$ -ით შობადობის ჯამურ კოეფიციენტს, მაშინ ზოგადი სახით შობადობის ჯამური კოეფიციენტის ფორმულა შეიძლება შემდეგნაირად ჩავწეროთ:

$$K_{\text{საშ.}} = 5 \sum_{15}^{49} f_x$$

თუ ამ მაჩვენებელს გამოვითვლით მთელი სსრკ-ის ქალებისათვის ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების ასაკობრივი კოეფიციენტების გამოყენებით 1982-1983 წლებში, ის ტოლი იქნება 2367,0-ის. ეს ნიშნავს, რომ 1982-1983 წელს 15-დან 49 წლამდე ასაკის ერთ ქალზე გაანგარიშებით იბადებოდა 2,4 ბავშვი. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ 1926-1927 წლებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 5,4-ს.

შობადობის ჯამური კოეფიციენტის როგორც ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამის შედეგის იდეა შეიძლება გამოვიყენოთ სხვა დემოგრაფიული მოვლენების ანალოგიური მაჩვენებლების გასაანგარიშებლადაც. ასე მაგალითად, თუ ცნობილია ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები, მაშინ შეიძლება გამოვიანგარიშოთ

ქორწინების ჯამური კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორი იქნება მოცემულ (რეალურ ან პირობით) თაობაში დაქორწინებათა საშუალო რიცხვი ერთი ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში. მ.ს.ტოლცის გაანგარიშებით 1896-1897 წლებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა ვაჟებისათვის 1,19 და ქალებისათვის 0,98, ხოლო 1969-1970 წლებში იგი გაიზარდა ვაჟებში 1,52-მდე, ხოლო ქალებში 1,32-მდე. ამ მაჩვენებლის ზრდა დიდადაა განპირობებული განმეორებითი ქორწინების სიხშირის ზდრით.

ამავე პრინციპული სქემით შეიძლება გამოვთვალოთ განქორწინების ჯამური კოეფიციენტებიც, რომელიც გვიჩვენებს განქორწინებათა საშუალო რიცხვს ერთი ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში. 1969-1970 წლებში ეს მაჩვენებელი უდრიდა 0,43 ვაჟებისათვის და 0,37 ქალებისათვის, ე.ი. მათ შორის განსხვავება დიდი არ იყო.

კვლავ დაგუბრუნდეთ შობადობის ჯამური კოეფიციენტის არსს. შეგახსენებთ, რომ 1982-1983 წლებში ამ მაჩვენებლის სიდიდე იყო 2,4, რაც გვიჩვენებს ბავშვთაშობის ასაკის თითოეულ ქალზე დაბადებული ბიჭებისა და გოგონების საშუალო რიცხვს. ჩვენ კი გვინდა ვიცოდეთ, თუ ამ პირობით თაობაში რამდენი გოგონა მოვა თავინთი დედების შესაცვლელად, მაგალითად 1982-1983 წლის შობადობის დონე რა ზომით უზრუნველყოფს დედათა თაობის გოგონათა თაობით „შეცვლას.“ გავიხსენოთ ახლა, რომ საშუალოდ 1000 გაჩენიდან 480-490 შემთხვევაში იბადება გოგონა.²³

თუ ჩვენს გაანგარიშებაში ამ ხვედრით წილს 48,5%-ის ტოლად მივიღებთ და მას შობადობის ჯამურ კოეფიციენტზე გავამრავლებთ, მაშინ მივიღებთ მოსახლეობის კვლავწარმოების ახალ და თავისი არსით განმაზოგადოებელ მაჩვენებელს – ე.წ. მოსახლეობის

²³ შობადობაში ამ პროპორციის მიზეზებსა და მათ შედეგებზე იხ.:
.., 1980.

კვლავწარმოების ბრუტო კოეფიციენტს. იგი გვჩვენებს თუ პირობით თაობაში 15-დან 49 წლის ასაკში მყოფ თითოეულ ქალზე საშუალოდ რამდენი გოგონა გაჩნდება. თუ მას $R_{პ.რ.}$ -ით აღვნიშნავთ, ხოლო დაბადებულთა შორის გოგონათა ხვედრით წილს კი τ -ით, მაშინ ბრუტო კოეფიციენტის ფორმულას ექნება შემდეგი სახე:

$$R_{პ.რ.} = \tau \sum_{15}^{49} f_x$$

არსებული გაანგარიშების თანახმად, სსრკ-თვის მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო კოეფიციენტი 1926-1927 წლებში შეადგენდა 2,60, 1960-1970 წლებში – 1,16-ს, ხოლო 1982-1983 წლებში კი – 1,18-ს. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ შვეციაში 1980 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 0,79, გერ-ში 1978 წელს – 0,67-ს, იორდანიაში 1977 წელს – 3,04 –ს, სინგაპურში (1979 წელს) – 0,89-ს, იაპონიაში (1980 წელს) – 0,85-ს, ლივიაში (1975-1979 წლებში) – 3,58-ს და აშშ-ში (1979 წელს) – 0,90-ს.

მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო კოეფიციენტის სიდიდე მნიშვნელოვანწილად მეტყველებს მოსახლეობის კვლავწარმოების ჩამოყალიბებულ ტიპზე. მაგალითად, მიჩნეულია, რომ თუ ქალები 15 წლის ასაკში ქორწინდებიან და კარგი ჯანმრთელობის პირობებში შობადობას არ ზღუდავენ და ქორწინებაში 50 წლის ასაკამდე იმყოფებიან, მაშინ შობადობის ასეთი რეჟიმის პირობებში მათ მაქსიმუმ შეიძლება ჰყავდეთ საშუალოდ ათი ბავშვი, ²⁴ მაშასადამე, ბრუტო კოეფიციენტის მაქსიმალური სიდიდე შეადგენს დაახლოებით 4,9-ს. პრაქტიკულად კი იმის გათვალისწინებით, რომ ქალების უდიდესი ნაწილი 15 წლისაზე უფროს ასაკში ქორწინდება, შობადობის შეუზღუდავობის პირობებშიც კი ამ მაჩვენებლის პრაქტიკული მაქსიმუმი 3,0-დან 3,5-მდე მერყეობს. ასე მაგალითად, 1896-1897 წლებში

²⁴ შევნიშნავთ, რომ ლაპარაკია ათი შვილის გაჩენაზე, ხოლო მათგან რამდენი დარჩება ცოცხალი, ეს სხვა საკითხია.

ეს მაჩვენებელი ევროპული რუსეთისათვის შეადგენდა 3,4-ს, უკრაინაში კი – 3,6-ს.

ახლა აღვნიშნოთ ის მეთოდოლოგიური შეზღუდვები, რომლებიც ამ მაჩვენებლის გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ იგი გვიჩვენებს, თუ რამდენი გოგონა დაიბადება საშუალოდ ბავშვთაშობის ასაკის ერთ ქალზე. მაგრამ დაბადებულ ბავშვთაგან ყველა ვერ ცოცხლობს, განსაკუთრებით წარსულში, როცა სიცოცხლის პირველ წელს კვდებოდა ახალშობილთა მეოთხედი, ხოლო 20 წლამდე კი მხოლოდ მათი ნახევარი აღწევდა. მაშასადამე, მოსახლეობის კვლავწარმოების არსებული რეჟიმის სრულად დასახასიათებლად აუცილებელია ბრუტო კოეფიციენტში შევიტანოთ შესწორება მოკვდაობაზე, ე.ი. გავიანგარიშოთ არა მარტო ის თუ რამდენი გოგონა დაიბადება საშუალოდ ერთ ბავშვთაშობის ასაკის ქალზე, არამედ რამდენი მიაღწევს ამ თაობაში შობადობის დაწყების შემდგომ საშუალო ასაკამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა გავითვალისწინოთ მოკვდაობის გავლენა.

ასეთი შესწორების შეტანა მოკვდაობის კოეფიციენტების დახმარებით რთულია, რადგანაც მათი სიდიდე დამოკიდებულია მოსახლეობის ჩამოყალიბებულ ასაკობრივ სტრუქტურაზე. ამიტომ საჭიროა ვიპოვოთ დემოგრაფიულ, ჩვენს შემთხვევაში კი მოკვდაობის მაჩვენებელთა ისეთი სისტემა, რომლის სიდიდეც არ იქნებოდა დამოკიდებული მოსახლეობის ფაქტიურ ასაკობრივ სტრუქტურაზე, დემოგრაფიულ შემთხვევათა ყოველწლიური რიცხვის მერყეობაზე, ე.ი. რომელიმე დემოგრაფიული პროცესის ასაკობრივი ინტენსივობის ცვლილებას დაახასიათებდა „სუფთა“ სახით. მაჩვენებელთა ამ სისტემამ მიიღო პირობითი დასახელება „დემოგრაფიული ცხრილები.“

ფართო პრაქტიკაში, ანალიზის ამ მეთოდს აკავშირებენ ე.წ. მოკვდაობისა და მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო

ხანგრძლივობის ცხრილების, ანუ სხვაგვარად, გარკვეულ ასაკამდე მიღწევის ცხრილების²⁵ აგებასთან. ეს სრულებითაც არ არის შემთხვევის საქმე, არამედ დაკავშირებულია იმასთან, რომ XVIII საუკუნის ბოლომდე შობადობა ყველა ქვეყანაში პრაქტიკულად უცვლელად მაღალი იყო, ხოლო მოკვდაობის დონე, განსაკუთრებით კი ეპიდემიების პერიოდში, ხშირად იცვლებოდა. ამიტომაც იმ სპეციალისტების ყურადღება, რომლებიც მოსახლეობის რიცხოვნობისა და შედგენილობის ცვლილებათა პროცესებს სწავლობდნენ, პირველ რიგში მოსახლეობის მოკვდაობის შესწავლისაკენ იყო მიმართული.

ამ ცხრილებს გაანგარიშების საფუძვლად უდევს რამდენიმე საწყისი დებულება. მათ შორის პირველი იმაში მდგომარეობს, რომ მოკვდაობის პროცესის გავლენით ცვალებადი მოსახლეობის თავდაპირველი ერთობლიობის რიცხოვნობა მუდმივია. მაშასადამე, ივარაუდება, რომ შესასწავლ მოსახლეობაში იბადება ყოველთვის ბავშვების ერთი და იგივე რაოდენობა, მაგალითად 100 ან 10 ათასი. ეს დებულება საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ შობადობის ყოველწლიური რიცხვის მერყეობის ზეგავლენა.

მეორე დაშვებაა – მიგრაციის სრული არ არსებობა, ანუ როგორც ზოგჯერ დემოგრაფები ამბობენ „მოსახლეობა ჩაკეტილია.“ ამიტომ ასეთი სახის დაშვებისას მოსახლეობის რიცხოვნობა ერთი ასაკიდან მეორე ასაკამდე მხოლოდ ერთი პროცენტის, ჩვენს შემთხვევაში მოკვდაობის გავლენით იცვლება. დემოგრაფიული ცხრილების აგებისათვის შემდეგი მნიშვნელოვანი პირობაა ის, რომ ისინი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მხოლოდ ისეთი მოვლენებისათვის, რომლებიც შეუქცევადი ანუ ალტერნატიული ხასიათი აქვთ, ე.ი. რომლებიც გარკვეულ ასაკში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხდეს (ან არ მოხდეს). მაგალითად, გარკვეული ასაკის განმავლობაში ადამიანი

²⁵ გადმოცემის გამარტივების მიზნით შემდგომში მათ უბრალოდ ვუწოდებთ მოკვდაობის ცხრილებს.

ან დარჩება ცოცხალი ან მოკვდება. წლის განმავლობაში შეიძლება პირველად დაქორწინდე ან არ დაქორწინდე, გააჩინო ან არ გააჩინო პირველი ბავშვი. მაშასადამე, პრინციპში შეიძლება გავიანგარიშოთ დემოგრაფიული ცხრილები შობადობისა და ქორწინებისთვისაც. მაგრამ მაგალითად ფილტვების ანთებით ან ბრონქიტით წლის განმავლობაში ავადმყოფი შეიძლება არა ერთხელ დაავადდეს და ამიტომ ასეთი ცხრილის აგება არამართლზომიერია.

ახლა მოკვდაობის ცხრილის მაგალითზე ვაჩვენოთ ასეთი სახის აგების გაანგარიშებისა და გამოყენების ლოგიკა. დავუშვათ, რომ განსაზღვრულ წელს (მაგალითად 1980 წელს) ქვეყანაში დაიბადა 100 ათასი ბავშვი. ერთი წლის მერე ახალშობილთა ეს რიცხვი შემცირდება, რადგან ერთ წლამდე მიაღწევს თავდაპირველი ერთობლიობის რაღაც ნაწილი. თავის მხრივ, ერთიდან ორ წლამდე ასაკში ერთი წლის ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი კიდევ შემცირდება, ამ ასაკობრივ ინტერვალში გარდაცვლილთა ხარჯზე. შედეგად მივიღებთ რიცხვთა მწკრივს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება თავდაპირველი ერთობლიობა, ჩვენს შემთხვევაში 100 ათასი ახალშობილი, მხოლოდ მოკვდაობის პროცესის გავლენით, რადგანაც მიღებული დაშვების თანახმად მიგრაციას ადგილი არა აქვს, ხოლო საწყისი ერთობლიობის (დაბადებულთა რიცხვი) სიდიდე მუდმივია.

ასაკის ზრდასთან ერთად კლებადი დაბადებულთა ეს თავდაპირველი რიცხვი, როგორც წესი აღინიშნება l_x სიმბოლოთი და ეწოდება x -წლის ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი. მაშასადამე, საწყისი ერთობლიობა შეიძლება აღინიშნოს როგორც l_0 , ერთი წლის ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი – l_1 , ორ წლამდე – l_2 -ით და ა.შ.

თუ გვაქვს l_0, l_1, l_2 რიცხვთა მწკრივი შეგვიძლია ვიანგარიშოთ, თუ გარკვეულ ასაკამდე (მაგალითად ერთ წლამდე) მიღწეულთა რა წილი მიაღწევს ორი წლის ასაკამდე, ე.ი. შევუფარდოთ ერთმანეთს

გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა შესაბამისი რიცხვები, მაგალითად ერთი და ორი წლის ასაკამდე მიღწეულთა რიცხვები, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, l_1 და l_2 ჩვენს შემთხვევაში $= \frac{l_2}{l_1} = \frac{95526}{96323} = 0,99173$. ესაა

მაჩვენებელი, რომელსაც პირობითად ეწოდება ალბათობა იმისა, რომ ბავშვი (ადამიანი) მიაღწევს ერთი წლიდან ორი წლის ასაკამდე და აღინიშნება როგორც p_2 , ხოლო ზოგადი სახით კი – როგორც p_x . იმის გამო, რომ მისი სიდიდე მოკვდაობის პროცესის ინტენსივობის ცვლილებასთან ერთად იცვლება, ამიტომ ეს მაჩვენებელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყანაში მოკვდაობის არსებული რეჟიმის პირობებში მოსახლეობის ცოცხლად დარჩენის ასაკობრივი მახასიათებელი.

ცნობილია, რომ წლის განმავლობაში ესა თუ ის ადამიანები დარჩებიან ცოცხლები ან მოკვდებიან, ე.ი. შემთხვევებს აქვთ ალტერნატიული ხასიათი. მაშასადამე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ცოცხლად დარჩენის ალბათობა p_x და აზრობრივად საპირისპირო მაჩვენებელი გარდაცვალების ალბათობა (x ასაკისათვის ეს სიდიდე აღვნიშნოთ q_x -ით) ჯამში უდრის ერთს:

$$p_x + q_x = 1$$

აქედან $q_x = 1 - p_x$

ანუ სხვაგვარად, ზოგადი სახით:

$$q_x = \frac{l_x - l_{x+1}}{l_x}$$

ჩვენს შემთხვევაში (იხ. ცხრილი 2.)

$$q_1 = \frac{96323 - 95526}{96323} = 0,00827$$

ამონაწერი 1958-1959 წლების სსრკ-ის ქალთა მოკვდაობისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცხრილებიდან

ასაკი	გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი	გარდაცვალების ალბათობა	განსაზღვრულ ასაკამდე ცოცხლად დარჩენის ალბათობა	ცოცხლადყოფთა რიცხვი	მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
0	100 000	0,03677	0,96323	97 558	71,68
1	96 323	0,00827	0,99173	95 173	73,40
2	95 526	0,00372	0,99628	95 280	73,01
3	95 171	0,00217	0,00783	95 031	72,20

p_x და q_x მაჩვენებელთა დინამიკა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მოკვდაობის პროცესის ინტენსივობის ცვლილების საკმარისი სურათი, სხვა ფაქტორების გავლენისაგან დამოუკიდებლად.

ასე მაგალითად, 1896-1897 წლებში ევროპული რუსეთის 50 გუბერნიის ქალების მაჩვენებელი $p_4 = 0.74200$, ხოლო 1926-1927 წლებში სსრკ-ის ევროპული ნაწილის ქალებში $p_4 = 0.98905$, 1968-1971 წლებში საბჭოთა ქალებისათვის $p_4 = 0.99931$. როგორც ვხედავთ ოთხიდან ხუთ წლამდე ასაკში გოგონების ცოცხლად დარჩენის ალბათობა საკმაოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა, ე.ი. შესაბამისად შემცირდა მოკვდაობის ინტენსივობაც.

ახლა განვაგრძოთ საუბარი მოკვდაობის ცხრილის ძირითად მაჩვენებლებზე.²⁶ ფაქტიურად l_x სიდიდის გაანგარიშებისას იგულისხმება, რომ თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ადამიანთა გარკვეული რიცხვი მაშინვე კვდება როგორც კი შესაბამისი

²⁶ მოკვდაობის სრული ცხრილები შეიცავს კიდევ რამდენიმე სხვა მაჩვენებელსაც, რომლებიც ჩვენ აქ არ მოგვაქვს მკითხველთა დროის ეკონომიის მიზნით.

ინტერვალის საზღვრებს მიაღწევს. სინამდვილეში კი ეს პროცესი განუწყვეტლივ, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს და ამიტომ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ თუ საშუალოდ რამდენი ადამიანი ცოცხლობს მაგალითად, ხუთიდან ექვს წლამდე ინტერვალში. ამ მიზნით მოკვდაობის ცხრილში გამოიანგარიშება სპეციალური მაჩვენებელი L_x – გარკვეულ ასაკობრივ ინტერვალში მცხოვრებთა საშუალო რიცხვი, მაგალითად ხუთიდან ექვს წლამდე ასაკში. ეს მაჩვენებელი აღინიშნება L_x სიმბოლოთი და იანგარიშება როგორც $L = \frac{l_x + l_{x+1}}{2}$, ანუ ჩვენს

შემთხვევაში: $L_5 = \frac{l_1 + l_2}{2}$. ასეთ რიცხვთა მწკრივიც მოსახლეობის ამოწყდომის რეჟიმის მახასიათებელს წარმოადგენს, რადგანაც, რაც უფრო ნაკლებია მოკვდაობა, მით მეტია ცოცხლების რიცხვი ამა თუ იმ ასაკობრივ ინტერვალში.²⁷

წავიდეთ შემდგომ. თუ ამ მახასიათებლთა მომდევნო სიდიდეს გავყოფთ წინაზე, ე.ი. მაგალითად, L_{x+1} -ს L_x -ზე, მაშინ შეიძლება გამოვითვალოთ იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც დარჩებიან ცოცხლები ამ ასაკობრივ ინტერვალში. სსრკ-ის 1958-1959 წლის ქალთა მოკვდაობის ცხრილის მიხედვით ეს მაჩვენებელი ორი წლის ასაკებისათვის ტოლი იყო $\frac{L_3}{L_2} = \frac{95280}{95782} = 0,99476$. იგი ფართოდ გამოიყენება

დემოგრაფიულ პროცესთა ანალიზში, იწოდება „გადაწვევის კოეფიციენტად,“ და აღინიშნება მთავრული ასო P_x -ით, განსხვავებით გარკვეულ ასაკამდე მიღწევის ალბათობისა, რომელიც აღინიშნება პატარა p_x ასოთი.

²⁷ პრაქტიკაში L_x -ის გამოთვლის უფრო რთული ხერხი გამოიყენება, და ამიტომ ეს მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებულია როგორც L_x და L_{x+1} -თა ნახევარჯამი შეიძლება უმნიშვნელოდ განსხვავდებოდეს ცხრილი 2-ის მონაცემებისაგან.

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები სხვადასხვა მხრიდან ახასიათებს მოსახლეობის ამოწელობის პროცესს, ჩვენ კი სასურველია გვქონდეს მთელი პროცესის განმაზოგადებელი მახასიათებელი. ეს არის სწორედ, ლიტერატურაში ხშირად გამოყენებული სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი დაბადებისას. მისი მახასიათებელი წარმოადგენს მოსახლეობის გადარჩენის კომპლექსურ მაჩვენებელს, და ამაშია სწორედ მისი მნიშვნელობა. იმისათვის, რომ მისი გაანგარიშების არსი გავიგოთ, წარმოვიდგინოთ, რომ მოკვდაობის ცხრილი იანგარიშება იმ ვარაუდით, რომ მის საწყის დონედ აღებულია ერთიანი, ე.ი. $l_0 = 1$ რაც თეორიულად სავსებით შესაძლებელია. მაგრამ მაშინ L_0 და L_1 (იხ. ცხრილი 2) შესაბამისად ტოლი იქნება 0,98 და 0,96-ის და გვიჩვენებს წლების იმ რიცხვს, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ადამიანი ნულიდან ერთ წლამდე, ერთიდან ორამდე და ა.შ. ასაკის ინტერვალში. მაშასადამე, თუ ჩვენ შევკრიბავთ ყველა ერთიანზე გადაანგარიშებულ L_x მაჩვენებელს, მაშინ სწორედ ეს იქნება დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც აღინიშნება როგორც e_0 . ზოგადი სახით ეს შეიძლება ჩავწეროთ როგორც $e_0 = \sum_0^x L_x$, სადაც x , როგორც წესი ტოლია 100 წლის, რადგანაც ამ ასაკის ზევით ძალიან ცოტა ხალხიდა ცოცხლობს.

ახლა მივმართოთ ამ მაჩვენებლის დინამიკას ჩვენს ქვეყანაში (ცხრილი 3), რამეთუ იგი წარმოადგენს არა მარტო მედიცინის წარმატებების, არამედ საზოგადოების სოციალური პროგრესის მახასიათებელსაც. 100 წლის (1838-1939 წ.წ.) განმავლობაში, ვაჟებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა 2-ჯერ, განსაკუთრებით სწრაფად იზდებოდა ეს მაჩვენებელი რევოლუციის შემდგომ.

საგულისხმოა, რომ XIX საუკუნის ბოლოდან იზრდება სხვაობა ვაჟებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობაში, რომელმაც 1968-1971 წლებში თითქმის ცხრა წელს მიაღწია.

ვაჟებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობებს შორის სხვაობა არა მარტო ბიოლოგიური ფაქტორებით არის განპირობებული, რომელთა ხარჯზეც ასეთი სხვაობის მხოლოდ ოთხი-ხუთი წელი შეიძლება ვივარაუდოთ. სხვაობის დანარჩენი ოთხი-ხუთი წელი კი სხვა ცხრილი 3.

დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო
ხანგრძლივობის დინამიკა რუსეთისა და სსრკ-ის მოსახლეობაში
(წლებით)

წლები	ვაჟები	ქალები	ქალებისა და ვაჟების სიცოცხლის ხანგრძლივობებს შორის სხვაობა
1838-1850 (შეფასება ევროპული რუსეთისათვის)	24,60	27,00	+2,40
1874-1883 (შეფასება ევროპული რუსეთისათვის)	28,00	30,20	+2,20
1896-1897 (ევროპული რუსეთის 50 გუბერნიისათვის)	31,43	33,36	+1,93
1926-1927 (სსრკ-ის ევროპული ნაწილი)	41,93	46,79	+4,86
1938-1939	44,00	50,00	+6,00
1958-1959	64,42	71,68	+7,26
1968-1971	64,56	73,53	+8,97

სპეციფიკური ფაქტორების მოქმედებით არის გამოწვეული. ასე მაგალითად, ახლა უფროს ასაკებში შესვლას იწყებენ ის ადამიანები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში, რასაც

არ შეიძლებოდა, რომ მათ ჯანმრთელობაზე არ ემოქმედა. არის ამ მოვლენის სხვა მიზეზებიც.

ამ მაჩვენებლის სიდიდის შეფასებისას საჭიროა გვახსოვდეს, რომ ეს სიდიდე უფრო ხშირად იანგარიშება პირობითი თაობის მეთოდით, ე.ი. იმ ჰიპოთეზის საფუძველზე, რომ ჰიპოთეზური თაობის მთელი ცხოვრების განმავლობაში ყველა ასაკში შენარჩუნებული იქნება მოკვდაობის ის რეჟიმი, რომელიც იყო საანგარიშო 1968-1971 წლების პერიოდში. რადგანაც, მოკვდაობის ასაკობრივი მაჩვენებლები, მართალია სხვადასხვა ტემპებით, მაგრამ მაინც ყოველთვის იცვლება, ამიტომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ფაქტიური სიდიდე იქნება განსხვავებული. უკანასკნელ წლებში დაიწყო სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლის გაანგარიშება რეალური თაობებისთვისაც, რომელიც გასაგები მიზეზების გამო უფრო მაღალია, ვიდრე პირობითი თაობის მეთოდით გაანგარიშებისას.²⁸

მოკვდაობის ცხრილებში სიცოცხლის ხანგრძლივობა შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს სხვა ასაკებისთვისაც (e_x), რაც საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ თუ რომელი ასაკობრივი ჯგუფების ხარჯზე იზრდება სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობა. ასე, მაგალითად, 1896-1897 და 1968-1971 წლებს შორის პერიოდში მოსახლეობის სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობა გაიზარდა (იხ. ცხრილი 3) ვაჟებში 33,1 წლით, ხოლო ქალებში – 40,2 წლით. მაგრამ ამ პერიოდში 5 წლის ვაჟების მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა 12,6 წლით, ხოლო ქალების – 20,6 წლით; 70 წლის ასაკებისათვის – შესაბამისად მხოლოდ 0,5 წლით ვაჟებისათვის და 2,1 წლით ქალებისათვის. ეს ნიშნავს, რომ სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობის ზრდა უპირატესად ბავშვთა მოკვდაობის შემცირების ხარჯზე ხდებოდა.

²⁸ საბჭოთა დემოგრაფიულ ლიტერატურაში არის უნიკალური ნაშრომი, რომელიც ეძღვნება 1906 წელს დაბადებულ პირთა სოციალურ-დემოგრაფიულ ისტორიას. (იხ.: . . ., 1968).

როგორია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელთა ვარიაციის საზღვრები? დემოგრაფთა შეფასებით ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლომდე, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა 20-30 წელს, უფრო ხშირად ეს მაჩვენებელი ქალებში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ვალებში. ჩვენს დროში ამ მაჩვენებლის ყველაზე მაღალი დონე (პირობითი თაობისათვის) შეადგენს დაახლოებით 73-75 წელს ვალებისათვის და 78-80 წელს ქალებისათვის. სიცოცხლის ხანგრძლივობის ასეთ დონეს შეესაბამება 10%-ზე ნაკლები ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი, პრაქტიკულად სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებების ლიკვიდაციის პირობებში.

იმავე ვარაუდიდან გამომდინარე, რომელიც საფუძვლად უდევს მოკვდაობის ცხრილების გაანგარიშებას, შეიძლება გავიანგარიშოთ ქორწინების, შობადობისა და განქორწინების ცხრილებიც. მათი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იანგარიშება არა დაბადებიდანვე, ე.ი. არა ნულოვანი ასაკიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა საკმაოდ დიდი რაოდენობითაა შესაძლებელი ესა თუ ის დემოგრაფიული შემთხვევები (მაგალითად, შობადობის ცხრილები იწყება 16 წლიდან). ეს ცხრილები ასევე მოიცავს გარკვეულ ასაკში ამა თუ იმ შემთხვევის მოხდენის ალბათობას, მაგალითად ალბათობა იმისა რომ 20 წლის ასაკში დაქორწინდეს ან არ დაქორწინდეს, გააჩინოს ან არ გააჩინოს ბავშვი და ა.შ. ამიტომ დემოგრაფიული ცხრილები წარმოადგენს დემოგრაფიული ანალიზის საკმაოდ ეფექტურ და უნივერსალურ მეთოდს.

უკანასკნელ წლებში დემოგრაფიულ გაანგარიშებათა პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა არა გვაქვს დეტალური მონაცემები მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობის შესახებ, გამოიყენება მოკვდაობის ე.წ ტიპური (ანუ განმაზოგადებელი) ცხრილები. მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ასაკობრივი

მოკვდაობის არსებულ მაჩვენებელთა განზოგადების საფუძველზე, სიცოცხლის ხანგრძლივობის დაახლოებით ერთი და იმავე დონის პირობებში იანგარიშება ასეთი სახის ცხრილების გასაშუალებელი მაჩვენებლები. ასე მაგალითად, გაეროს ექსპერტებმა გაიანგარიშეს 18-დან 75 წლამდე სიცოცხლის ხანგრძლივობის დონეთა ცხრილები 2,5 წლის ინტერვალით.

მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების შესწავლაში, აქტიურად გამოიყენება მათემატიკური მოდელებიც. ანალიზში განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ე.წ. სტაბილური მოსახლეობის თეორია, რომლის საფუძველები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე შეიმუშავა ამერიკელმა სტატისტიკოსმა ა.ლოტკამ. მიჩნეულია, რომ სტაბილური ეწოდოს ისეთ მოსახლეობას, სადაც მიგრაცია სრულიად არ არის და მუდმივადაა შენარჩუნებული შობადობის ასაკობრივი და მოკვდაობის ინტენსივობის დონეები. ასეთ ჰიპოთეზურ მოსახლეობაში დაბადებათა რიცხვი იცვლება (მცირდება ან იზრდება) განსაზღვრული მუდმივი ტემპით, და მაშასადამე, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპებაც მუდმივი იქნება.

ამ მოდელის პრაქტიკული მნიშვნელობა ის არის, რომ იგი შედარებით მარტივი გაანგარიშებით საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ, თუ როგორი იქნებოდა მოსახლეობის რიცხოვნობა და ასაკობრივი სტრუქტურა შობადობისა და მოკვდაობის მოცემული რეჟიმის, და მაშასადამე, ამ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის (ან კლების) მუდმივი ტემპის პირობებში. ამიტომ დემოგრაფიაში ბევრი მათემატიკური მოდელი იმ დაშვებიდან გამომდინარეობს, რომელიც საფუძველად უდევს სტაბილური მოსახლეობის თეორიას.

სტაბილური მოსახლეობის მოდელი ამარტივებს რეალურ ცხოვრებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკულ გაანგარიშებებში იმ შემთხვევებში, როცა რეალური

მოსახლეობა თავისი მდგომარეობით ახლოსაა სტაბილურთან. ანალოგიური სიტუაცია იყო შუა საუკუნეებში, როცა მრავალი ათწლეულის განმავლობაში არსებობდა უცვლელად მაღალი შობადობა და მოკვდაობა.

სტაბილური მოსახლეობის ჰიპოთეზას იყენებენ პერსპექტიული გაანგარიშებებისთვისაც იმ შემთხვევაში, როცა არა აქვთ მონაცემები მოსახლეობის ფაქტიურად ჩამოყალიბებული ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ და არის მხოლოდ შობადობისა და მოკვდაობის დონეთა შედარებითი შეფასებანი.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსახლეობის შესწავლის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს რეალური თაობის მეთოდი. ამ მიდგომის პრობლიტიდან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა საბოლოო შედეგებით მივაქვსა თუ ის თაობა ბავშვთაშობის ასაკის დასასრულამდე, უფრო ზუსტად კი – რამდენი ბავშვი იქნება ოჯახში, საშუალოდ ამა თუ იმ თაობის 50 წლის ასაკის თითოეულ ქალზე. ეს საზომი შობადობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს და ეწოდება შობადობის ამომწურავი (ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობენ, ჯამური) მაჩვენებელი. შეიძლება ვიანგარიშოთ რეალურ თაობაში დაბადებულთა რიცხვი გარკვეული ასაკისათვის – 25 წლისთვის, 40 წლისთვის და სხვა ასაკებისთვისაც. ამ მაჩვენებლთა უპირატესობა დემოგრაფიულ კოეფიციენტთან შედარებით ისაა, რომ ამ თაობაში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობრიობის თანაფარდობისაგან, ოჯახის ცხოვრებაში სხვადასხვა ეპიზოდური ფაქტორების გავლენისა და გაჩენათა გრაფიკის მერყეობის პირდაპირი დამოკიდებულების გარეშე, ისინი გვიჩვენებს, როგორი შედეგით, საბოლოო რეზულტატით ამთავრებს ესა თუ ის კოჰორტა კვლავწარმოების ციკლს.

ასე მაგალითად, სპეციალური გამოკვლევების მონაცემებით, 1913-1917 წლებში დაბადებულ რუს ქალთა თაობას (ანუ კოჰორტას) 45

წლისათვის საშუალოდ ჰყავდა 2,37 ბავშვი, ხოლო 1918-1922 წლებში დაბადებულ რუს ქალთა კოჰორტას კი – უკვე 2,16. ანალოგიური მაჩვენებლები იმავე კოჰორტის უზბეკი, ყაზახი, ტაჯიკი და თურქმენი ქალებისათვის შეადგენდა 3,52-ს, ყირგიზებისათვის – 4,25-ს. რეალური თაობის მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლები შეიძლება გამოთვლილ იქნეს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად როგორც ბავშვების საშუალო რიცხვი ქალებზე ქორწინების ხანგრძლივობასა და დედათა განათლების დონზე დამოკიდებულებით, ცალ-ცალკე დიდ, საშუალო და მცირე ქალაქებში მცხოვრებთათვის და ა.შ., რაც საშუალებას იძლევა გავაძლიეროთ დემოგრაფიული ანალიზის სოციალური ასპექტი.

ახლა დავუბრუნდეთ მოსახლეობის კვლავწარმოების ჩამოყალიბებული რეჟიმის გაზომვის მეთოდების საკითხს. საქმე ის არის, რომ ჩვენთვის აუცილებელია ვიცოდეთ თუ როგორია მთლიანად მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპი (გაფართოებული, ე.ი. როცა უმცროსი თაობა რიცხობრივად მეტია უფროს თაობაზე, თუ შეკვეცილი, ანუ როცა უმცროსი თაობა ნაკლებია უფროს თაობაზე, თუ მარტივი, ანუ როცა უმცროსი და უფროსი თაობის რიცხოვნობა ტოლია) და როგორია თაობათა ცვლის რაოდენობრივი ხარისხი.

მოკვდაობის ცხრილის უკვე ცნობილი მონაცემების გამოყენებით შეიძლება გადავიდეთ იმ მაჩვენებლის არსის აღწერაზე, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება მოსახლეობის კვლავწარმოების არსებული ტიპის დასახასიათებლად. ლაპარაკია მოსახლეობის კვლავწარმოების, ე.წ. ნეტო-კოეფიციენტზე.

მის გასაანგარიშებლად გამოიყენება მოსახლეობის კვლავწარმოების ჩვენთვის უკვე ცნობილი ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა ბრუტო-კოეფიციენტი ($R_{ბრ}$). შეგახსენებთ, რომ ის გვიჩვენებს, თუ რამდენ გოგონას აჩენს საშუალოდ ამა თუ იმ

პირობითი თაობის ყოველი დედა, ე.ი. ახასიათებს ქალთა თაობის ცვლას მოკვდაობის არსებული რეჟიმის გაუთვალისწინებლად. მაშასადამე, იმისათვის, რომ მივიღოთ ქალების კვლავწარმოების მახასიათებელი, როგორც შობადობის, ასევე მოკვდაობის რეჟიმის გათვალისწინებითაც, საჭიროა ბრუტო-კოეფიციენტის სიდიდე გოგონათა იმ რიცხვით შევამციროთ, რომლებიც ვერ მიაღწევნ იმ ასაკამდე, რომლებშიც იყვნენ დედები გოგონათა გაჩენისას.

ამ მიზნით დემოგრაფები სარგებლობენ მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ცხრილის ერთ-ერთი მაჩვენებლით, რომელსაც ეწოდება ცოცხლად მყოფთა საშუალო რიცხვი (იხ. ცხრილი 3), რომელთა რიცხვიც თითოეულ ასაკობრივ ინტერვალში მით მეტია, რაც უფრო ნაკლებია მოკვდაობა. ასე, მაგალითად, 15-დან 16 წლამდე ასაკში ცოცხლად მყოფი ვაჟების საშუალო რიცხვი ევროპული რუსეთის 50 გუბერნიისათვის 1896-1897 წლებში შეადგენდა 50 100, სსრკ-ის ევროპული ნაწილისათვის 1926-1927 წლებში – 66 224, ხოლო სსრკ-სათვის 1958-1959 წლებში – 92 914-ს. ამ სიდიდის ასაკიდან ასაკამდე ცვლილება მოკვდაობის ასაკობრივი მაჩვენებლების დინამიკური მახასიათებელია. ამიტომ თუკი გაგამრავლებთ ბავშვთაშობის, 15-დან 49 წლის ასაკამდე ინტერვალში, ქალების შობადობის ასაკობრივ მაჩვენებლებს შესაბამის სიდიდეებზე და მიღებულ შედეგებს შევკრიბავთ, მივიღებთ გოგონათა იმ რიცხვს, რომლებიც გაჩნდებიან და მიაღწევნ მათი მშობლების ბავშვთაშობის დაწყების ასაკამდე. ამ მაჩვენებელს ჰქვია მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო, ანუ სხვაგვარად წმინდა კოეფიციენტი. ის გვიჩვენებს, თუ საანგარიშო წელს არსებული შობადობისა და მოკვდაობის რეჟიმის პირობებში, საშუალოდ რამდენი გოგონა დაიბადება და მიაღწევს მათი მშობლების ბავშვთაშობის დაწყების

ასაკამდე. ჩვენს ქვეყანაში ამ მაჩვენებლის დინამიკის მონაცემები მოყვანილია ცხრილი 4-ში.

ისინი, მოსახლეობის კვლავწამოების ტიპის რაოდენობრივ ცვლილებაზეც მეტყველებს. თუკი მოსახლეობის „შემოსავალს,“ რომელიც ბრუტო-კოეფიციენტით, ე.ი. შობადობის დონით იზომება, შევადარებთ მის ფაქტიურ „რეალიზაციას“ მოკვდაობის

ცხრილი 4.

მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები რუსეთსა და სსრკ-ში 1838-1979 წლებში.²⁹

	1838-1851	1904-1913	1958-1959	1978-1979
ბრუტო კოეფიციენტის სიდიდე	2,89	3,10	1,36	1,11
ნეტო კოეფიციენტის სიდიდე	1,20	1,64	1,26	1,08
ბრუტო და ნეტო კოეფიციენტების თანაფარდობა	2,40	1,89	1,08	1,02

გათვალისწინებით (ნეტო-კოეფიციენტი), მაშინ ამ მაჩვენებელთა შეფარდება გვიჩვენებს, თუ საანგარიშო პერიოდში შობადობისა და მოკვდაობის არსებული რეჟიმის პირობებში საშუალოდ რამდენი ბავშვის გაჩენაა საჭირო, რომ უზრუნველყოს თაობათა ცვლა თანაფარდობით 1:1, ე.ი. უზრუნველყოს ე.წ. მარტივი კვლავწარმოება. თუკი XIX საუკუნის შუახანებში, ე.წ. მარტივი კვლავწარმოების ფასი ჩვენს ქვეყანაში (იხ. ცხრილი 4) შეადგენდა 2,3-2,4-ს, უკვე იმავე საუკუნის ბოლოს მოკვდაობის შემცირების ხარჯზე იგი ორამდე შემცირდა, ხოლო ახლა კი ახლოსაა ერთთან, ე.ი. ამ მაჩვენებლის ზღვართან, რამეთუ უკვდავი ადამიანები არ არსებობენ. ხაზი უნდა

²⁹ იხ.: 1973. ., 1975. . 138; . . 273; . ., 1983. . 260.

გავუსვათ, რომ ეს ცვლილებები ასახავს არა მარტო დემოგრაფიულ, არამედ ღრმა სოციალურ ძვრებსაც.

ნეტო კოეფიციენტი (ისევე როგორც ბრუტო კოეფიციენტიც) ტრადიციულად იანგარიშება საშუალოდ ერთ ქალზე და ძალიან ხშირად გამოიყენება ანალიზისას. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ თუ ნეტო-კოეფიციენტის სიდიდე ერთზე მეტია, ეს ნიშნავს მოსახლეობის გაფართოებულ კვლავწარმოებას, თუ ერთზე ნაკლებია – შეკვეცილ კვლავწარმოებას; თუ ეს მაჩვენებელი ერთის ტოლია, მაშინ საქმე ეხება მარტივ კვლავწარმოებას.

აღვნიშნავთ, რომ ნეტო-კოეფიციენტის სიდიდე ყოველთვის ნაკლები უნდა იყოს ბრუტო-კოეფიციენტზე, რადგანაც მოსახლეობის მრავალრიცხოვან ერთობლიობაში ყოველთვის იქნება სიკვდილის შემთხვევები. ამავე დროს რამდენითაც ერთზე უფრო მეტია კვლავწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტების თანაფარდობა (ამ თანაფარდობას ზოგჯერ კვლავწარმოების ეკონომიურობის მაჩვენებელსაც უწოდებენ), მით მეტია მოკვდაობით გამოწვეული დანაკარგები.

მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტების დინამიკის მონაცემებით (იხ. ცხრილი 4) თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის კვლავწარმოების ტემპების თანდათანობითი შემცირების ტენდენცია შეინიშნება. ამავე დროს მოსახლეობის რიცხოვნობა ჯერ კიდევ განაგრძობს ზრდას.

საქმე ის არის, რომ ნეტო-კოეფიციენტი ვერ ითვალისწინებს მიგრაციის გავლენას მოსახლეობის რიცხოვნობასა და ასაკობრივ შემადგენლობაზე, ხოლო ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში მიგრაცია გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობაზე. ამიტომაც ქვეყნის ცალკეული ნაწილისათვის ნეტო-კოეფიციენტის გამოთვლას შეზღუდული ანალიტიკური მნიშვნელობა

აქვს. მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპის მთლიანად შეფასებისას კი, მაჩვენებელთა მთელი სისტემა უნდა გამოვიყენოთ და, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე, მხოლოდ ნეტო-კოეფიციენტების გაანგარიშებით არ უნდა შემოვიფარგლოთ.

დემოგრაფიული პროცესების შესწავლის სოციოლოგიური მეთოდები

დემოგრაფიული ანალიზის მეთოდიკაში უკანასკნელ წლებში განვითარება ჰპოვა ახალმა მიმართულებამ, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ სოციოლოგიური მეთოდები. ამ მიდგომის არსი მდგომარეობს ამა თუ იმ დემოგრაფიულ პრობლემასთან მოსახლეობის დამოკიდებულების ანალიზში. თითოეული ოჯახი, თითოეული ადამიანი ჩამოყალიბებული ცხოვრებისეული პირობების, თავისი და მის გარშემო მყოფი ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილების, თავისი მშობლების მაგალითის, ე.ი. ფართო გაგებით სოციალური გარემოს საფუძველზე, გამოიმუშავენს თავის დამოკიდებულებას შობადობის, ქორწინების, განქორწინებისა და მიგრაციის მიმართ. ასე, მაგალითად, არც თუ ისე შორეულ წარსულში ოჯახში გაჩენათა რიცხვის შეგნებული შეზღუდვა არა მარტო იკიცხებოდა, არამედ უბრალოდ დაუშვებელი იყო საზოგადოებრივი აზრისა და კანონმდებლობის მხრიდანაც კი. განქორწინება თითქმის შეუძლებელი იყო არა მარტო რელიგიური, არამედ რუსეთის მართლმადიდებელი მოსახლეობის უმეტესობის ყოფითი მორალის მხრივაც. რა თქმა უნდა, ამას საფუძვლად ედო სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები, მაგრამ ისინი საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების მყარ წარმოდგენებად, დემოგრაფიული ქცევის ნორმებად გარდაიქმნა.

ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1847 წელს XIX საუკუნის ცნობილი ეკონომისტი და პუბლიცისტი ვ.ამილიუტინი შობადობის შეზღუდვის სხვადასხვა მეთოდების შესახებ წერდა, როგორც უცნაურ, უაზრო და აღმაშფოთებელ რამეებზე. დაახლოებით 40 წლის შემდეგ ლ.ნ.ტოლსტოი წერდა ნაყოფის განადგურების ათეულობით ხერხის „ბოროტებაზე.“³⁰ ერთი სიტყვით, წესად ითვლებოდა ბევრი ბავშვების ყოლა (უფრო სწორად ბევრი ბავშვის გაჩენა), წესად, ან ყოველ შემთხვევაში მაღალ საზოგადოებაში დასაშვებად ითვლებოდა, „გვერდითი რომანის“ ქონა, მაგრამ განქორწინება დაუშვებელი იყო. დემოგრაფიული ქცევის ეს ნორმები შეეხებოდა მოსახლეობის კვლავწარმოების ყველა მხარეს. გაიხსენეთ ტრაგიკული ფორმულა „ღმერთმა მოგვცა – ღმერთმავე წაიყვანა,“ რომელიც იმ წლებში ხშირად გამოიყენებოდა, როგორც ბავშვთა მაღალი მოკვდაობის გამართლება.

ჩვენს დროში შეიცვალა, თანაც პრინციპულად, უპირველეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ამის საფუძველზე შეიცვალა ადამიანთა დემოგრაფიული ქცევის სტანდარტებისადმი დამოკიდებულებაც, იმისდა მიხედვით, რა არის სასურველი, დასაშვები, ან მოღურიც კი.

ადამიანთა „დემოგრაფიული ქცევის“ შესწავლით, ჩვენ ვავლენთ ამ მხრივ მოქმედ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნორმებს. როგორც დეტალურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსახლეობის მოსაზრებები მთელი რიგი პრობლემების შესახებ ძალიან ახლოსაა (რა თქმა უნდა, სტატისტიკური თვალსაზრისით, ე.ი. საშუალოდ ადამიანთა დიდი მასისათვის) მის რეალურ დემოგრაფიულ ქცევასთან. ამრიგად, ეს მაჩვენებლები წარმოადგენს მომავლის,

³⁰ იხ.:

, . 150.

მაგალითად, შობადობის ან ქორწინებისა და განქორწინების ტენდენციათა თავისებურ პროგნოზულ შეფასებას.

მნიშვნელოვანია არა მარტო გამოვავლინოთ, რამდენი ოჯახი ამჯობინებს ბავშვების ყოლას, არამედ გამოვარკვიოთ, თუ რატომ უნდათ მათ იმათი ყოლა და რატომ სწორედ ერთი-ორი, და არა მეტი, გამოვარკვიოთ მოსახლეობის მიგრაციის მიზეზები. დაბოლოს, აუცილებელია განისაზღვროს ამა თუ იმ დემოგრაფიული ფასეულობისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბების თავად მექანიზმიც. ყოველივე ეს უპირველეს ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ დემოგრაფიული პოლიტიკის დონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისათვის. იმისათვის რომ გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად ვიმოქმედოთ დემოგრაფიულ პროცესებზე, საჭიროა გავიგოთ დემოგრაფიული ქცევის ამა თუ იმ ტიპის ფორმირების მექანიზმი.³¹

დემოგრაფიული ქცევის, მისი ფორმირების შესწავლის პრობლემები, ახლა მუშავდება ახალი მიმართულების მიერ, რომელიც ყალიბდება საკუთრივ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის მიჯნაზე, და რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ხალხთმოსახლეობის სოციოლოგია.³² აქ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში უკვე ჩატარებული, ის შედეგებით მცირერიცხოვანი, გამოკვლევები გვიჩვენებს დემოგრაფიული კვლევების ამ მიმართულების მნიშვნელობას. ძალიან მოკლედ შევჩერდეთ დემოგრაფიული ქცევის ანალიზის იმ მეთოდურ ხერხებზე, რომლებიც უკანასკნელ წლებში ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა საბჭოთა მეცნიერების მიერ.

³¹ დემოგრაფიული ქცევა თავის მხრივ შეიძლება დიფერენცირებულ იქნეს დემოგრაფიულ პროცესთა სხვადასხვა სახეების მიხედვით. მაგალითად, მასში შედის მოსახლეობის დამოკიდებულება შობადობის პრობლემისადმი – რეპროდუქციული ქცევა, დამოკიდებულება მიგრაციის პრობლემისადმი – მიგრაციული ქცევა და ზოგიერთი სხვა ფორმები.

³² იხ.:

... 1976.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის დიდი ჯგუფისაგან ბავშვების ამა თუ იმ რიცხვისადმი უპირატესობის გამოვლენისაკენ. აქ გამოიყენება სხვადასხვაგვარი მახასიათებლები, მაგრამ ყველაზე ხშირად სპეციალურად ჩამოყალიბებული კითხვების საფუძველზე არკვევენ ე.წ. ოჯახში ბავშვების მოსალოდნელ და იდეალურ რიცხვს. ბავშვების მოსალოდნელ რიცხვში იგულისხმება მათი ის საშუალო რიცხვი, რომლითაც შემოიფარგლება ოჯახი, ცხოვრების რეალური პირობების, კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის – თავისი ბიოგრაფიის, ჩამოყალიბებული მატერიალური მდგომარეობის, მეუღლეთა პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით. ბავშვების იდეალური რიცხვი გვიჩვენებს ადამიანთა წარმოდგენებს იმაზე, თუ ოჯახისა და ცხოვრების საუკეთესო პირობებში, რამდენი ბავშვის ყოლა შეიძლება ოჯახში.

ჩვენს ქვეყანაში ამ პრობლემების შესწავლა, თუმცა ამა თუ იმ პერიოდში განსხვავებული ინტენსივობით, საკმაოდ ფართოდ ტარდება. მხოლოდ 1964-დან 1973 წლის ჩათვლით პერიოდში, ე.ი. დემოგრაფიული გამოკვლევების აქტივიზაციის საწყის პერიოდში, ჩატარებულ იქნა 19 გამოკვლევა სსრკ-ის სხვადასხვა რაიონში, რომლებიც შეიცავდა კითხვებს რეპროდუქციული განწყობის შესახებ. ყველა ისინი, ისევე როგორც ბევრი მომდევნო გამოკვლევა, არაა ერთნაირი თავიანთი მნიშვნელობითა და პროგრამით, გამოკითხული ადამიანების რიცხვით.

ასე, მაგალითად, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (ცსს) სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების მიერ 1969 წელს ჩატარებულ, ერთ-ერთ მეთოდურად ყველაზე კარგად მომზადებულ გამოკვლევაში, რომელიც პირველი იყო მოგვიანებით ჩატარებულ ასეთი სახის სამუშაოთა სერიაში, 40

წლამდე ასაკის გათხოვილი ქალებისათვის გაგზავნილ ანკეტებზე მიღებულ იქნა პასუხები 33,6 ათასი ქალისაგან.

ანკეტა შეიცავდა კითხვას, ქალების აზრით ბავშვების იდეალური („თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენი ბავშვის ყოლაა ყველაზე უკეთესი საერთოდ ოჯახში?“) და მოსალოდნელი რიცხვის შესახებ („თქვენ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ სულ?“), აგრეთვე მიზეზების ჩამონათვალს, რომელთაგანაც საჭირო იყო იმ ძირითადის ამორჩევა რომელიც ხელს უშლის ქალს იმდენი ბავშვი იყოლიოს, რამდენიც მას სურს. სპეციალურმა გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ მიღებული მონაცემები წარმომადგენლობითია, როგორც მთლიანად ქვეყნისათვის, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებისთვისაც.

პასუხების დამუშავება მეტყველებს, რომ ქვეყნის მიხედვით ბავშვების საშუალო იდეალური რიცხვი შეადგენს 2,89-ს, და მერყეობს 2,6-დან ლატვიის სსრ-ში, 4,55-მდე უზბეკეთის სსრ-ში. მოსალოდნელი ბავშვების საშუალო რიცხვი სსრკ-ში შეადგენდა 2,42-ს და ირხეოდა 2,07-დან უკრაინაში, 4,31-მდე უზბეკეთის სსრ-ში. გამოკვლევის მონაცემებმა აჩვენეს, რომ იმ პერიოდისათვის სსრკ-ში ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი საკმარისი იყო მარტივი კვლავწარმოებისათვის, ე.ი. თაობათა 1:1 თანაფარდობით ცვლისა და მისი რამდენადმე ზრდისთვისაც კი. ბავშვების იდეალური რიცხვის შესახებ მიღებული მონაცემები კი მეტყველებს, რომ განსაზღვრულ პირობებში შობადობის ინტენსივობა ქვეყანაში შეიძლება გაიზარდოს, ე.ი. ამ მიმართულებით არის ზრდის რეზერვები.

დემოგრაფიული ანალიზის მეორე მიმართულებას წარმოადგენს იმ მიზეზების შესწავლა, რომლებიც განაპირობებს ან ხელს უწყობს მოსახლეობის პრობლემებისადმი ამა თუ იმ დამოკიდებულების ფორმირებას. კვლევის ასეთმა მიმართულებებმა ფართო გავრცელება

ჰპოვა. ეს შეიძლება იყოს მეორე ან მესამე ბავშვის გაჩენაზე უარის თქმის, ან ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის მიზეზები და ა.შ.

მოვიყვანოთ ასეთი ანალიზის მაგალითი. 1978 წელს მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში განქორწინების 500 საქმის მასალებიდან გაირკვა, რომ ყველაზე უფრო ხშირად ყველა აღნიშნული მოტივიდან – „ლოთობა და ალკოჰოლიზმი“ – განქორწინების მოტივად გვხვდება 44,6%-ში, მეორე ადგილზეა – „ხასიათის შეუთავსებლობა და ურთიერთგაგების არ არსებობა“ – 12,2% და მესამეზეა – „დალატი და დალატის ეჭვი.“

რა თქმა უნდა, ასეთი სახის პასუხების სიზუსტე გადაჭარბებულად არ უნდა შევაფასოთ. პასუხებში ხომ არც თუ ისე იშვიათად აღნიშნავენ არა ჭეშმარიტ მიზეზს, რომელიც ყოველთვის არ შეიძლება ზუსტად განისაზღვროს, არამედ იმას, რომელიც მოცემულ მომენტში, მოცემული ადამიანის პოზიციიდან, გარშემო მყოფ ადამიანთა თვალში შეიძლება შესაფერისად, დასაშვებად, გამოსადეგადაც კი გამოიყურებოდეს. ისეთ რთულ მოვლენაში როგორცაა ოჯახის დაშლა ყოველთვის არ შეიძლება გამოვყოთ ძირითადი მიზეზი, რადგანაც ისინი ყველა მჭიდროდაა გადაჯაჭვული. მიუხედავად ამისა, ეს გამოკითხვები საშუალებას იძლევა გამოვაკლინოთ დემოგრაფიული ქცევის „მტკივნეული წერტილები,“ გავიგოთ თუ რა არის ამჟამად მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი.

უკანასკნელ წლებში დემოგრაფიული პრობლემებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების ფორმირების მექანიზმის ასახსნელად გამოკვლევების ჩატარებისას, ფართოდ გამოიყენება ფსიქოლოგიური ტესტები და მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა სიღრმისეულად გავიგოთ მოსახლეობის არც თუ ყოველთვის გაცნობიერებული დამოკიდებულება სხვადასხვა პრობლემისადმი,

მაგალითად პირველი, მეორე ან მესამე ბავშვის როლი თანამედროვე ოჯახის ფასეულობათა სისტემაში.

ასეთი მიდგომის მაგალითს წარმოადგენს ე.წ. „სემანტიკური დიფერენციალის“ მეთოდი. მისი არსი ის არის, რომ ვლინდება მოსახლეობის ემოციური დამოკიდებულება რაიმე ცნების მიმართ. მაგალითად, მოაქვთ ცნება „ბავშვები,“ „1, 2 3, 4 ბავშვი ოჯახში,“ და იგი ემოციური შეფასების პოზიციიდან უნდა შეფასდეს „კარგი – ცუდი,“ ამასთან ეს კატეგორიები მოცემულია თვისებრივ განმარტებათა გაშლილი სახით. მაგალითად, ცნება „ბავშვი ოჯახში“ შემოთავაზებულია რომ ასოცირდეს ცნებათა მთელი ნაკრებით – „ცივი, თბილი, ცხელი,“ „აღერსიანი, ნაზი, უხეში.“ ამათგან გარკვეული ცნების ამორჩევით გამოკითხული იმთავითვე ავლენს თავის შინაგან, ხშირად კი ფარულ, დამოკიდებულებას ამ საკითხებისადმი. ერთი სიტყვით, ანალიზის სოციოლოგიური მეთოდები საკმაოდ პერსპექტიულია და შემდგომში კვლავ განვითარდება.

დემოგრაფიული ინფორმაციის წყაროები

დემოგრაფიულ ანალიზში ამჟამად გამოყენებული მეთოდების სირთულე და მრავალფეროვნება მაღალ მოთხოვნებს უყენებს მათ ინფორმაციულ უზრუნველყოფას. პირველ ყოვლისა დემოგრაფიული ინფორმაცია უნდა იყოს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი, ე.ი. იძლეოდეს დემოგრაფიული შემთხვევების არა მარტო საერთო, არამედ მათ დეტალურ მახასიათებლებსაც. მაგალითად, თუ საქმე ეხება შობადობის შესწავლას, მაშინ მნიშვნელოვანია არა უბრალოდ გაჩენათა საერთო რიცხვის ცოდნა, არამედ მათი განაწილებაც დაბადებათა რიგითობის (პირველი, მეორე, მესამე და ა.შ.), დედათა ასაკის, ქორწინების მდგომარეობისა და რიგი სხვა მახასიათებლების მიხედვით. თუ საქმე ეხება მოკვდაობის შესწავლას, აუცილებელია ვიცოდეთ არა მარტო გარდაცვალებათა რიცხვი, არამედ მათი განაწილებაც სქესისა და ასაკის, გარდაცვალების მიზეზების, გარდაცვლილთა პროფესიებისა და აგრეთვე რიგი სხვა მახასიათებლების მიხედვითაც. თუკი ასეთი დეტალური ინფორმაცია არა გვაქვს, შეუძლებელია დემოგრაფიული ანალიზის ყველა მეთოდის გამოყენება, ეს კი ნიშნავს, რომ დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას მივიდეთ არაზუსტ, ხოლო ზოგჯერ კი უბრალოდ არასწორ დასკვნებამდე.

დემოგრაფიული ინფორმაციისადმი მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მისი საიმედოობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიღებული მონაცემები თავისუფალი უნდა იყოს როგორც წინასწარგანზრახული დამახინჯებებისგან (ხოლო ასეთი შემთხვევები კი ხდება), ასევე ინფორმაციის შეგროვების სპეციფიკასთან დაკავშირებული

უზუსტობებისაგან. ³³ დემოგრაფიაში ინფორმაციის არაწინასწარგანზრახული დამახინჯების მაგალითი შეიძლება იყოს მოვლენა, რომელმაც „ასაკობრივი აკუმულაციის“ სახელწოდება მიიღო. მისი არსი ის არის, რომ აღრიცხვის ჩატარებისას (განსაკუთრებით კი მოსახლეობის აღწერების დროს) ადამიანებს მიდრეკილება აქვთ, რომ თავიანთი ასაკები „0“-ით ან 5-ით დაბოლოებულ თარიღებამდე დაამრგვალონ. ხანდაზმული ადამიანები ამჯობინებენ, რომ თავიანთი ან შვილების დაბადების წელი რაიმე მნიშვნელოვან ისტორიულ შემთხვევას, მაგალითად ომის დაწყებას ან დამთავრებას გაუთანაბრონ. ამის შედეგად „მრგვალი“ ასაკები თითქოს აგროვებენ, აკუმულირებენ მეზობელი, მათთან ახლოს მყოფი ასაკების რიცხოვნობას. ასე მაგალითად, სსრკ-ის 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით 49 წლის ასაკში რეგისტრირებული იყო 358 ათასი ქალი, 50 წლის ასაკში – 1 281 ათასი და 51 წლის ასაკში – 270 ათასი. ამიტომ ასეთი არაწინასწარგანზრახული შეცდომების კორექტირებისათვის გამოიყენება სტატისტიკის რიგი მეთოდები, ამასთან, რაც უფრო მაღალია მოსახლეობის კულტურა და განათლების დონე, მით ნაკლებია ასეთი დამახინჯებები. მოსახლეობის ბოლო აღწერებმა (1970 და 1979 წ.წ.) აჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთი სახის დამახინჯებები უმნიშვნელოა.

ახლა კი დემოგრაფიული მონაცემების სიზუსტის შესახებ. ისიც, როგორც ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, დამოკიდებულია კვლევის წინაშე დასმულ ამოცანაზე, გაანგარიშების მეთოდოლოგიაზე, გამოყენებულ მაჩვენებლებზე და საწყისი ინფორმაციის საიმედოობაზე. ასე მაგალითად, საბჭოთა დემოგრაფების (ი.გ.ვენეცკი) გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ მოკვდაობის ცხრილების ალბათური მაჩვენებლები

³³ სტატისტიკას გააჩნია რიგი ხერხებისა, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება შეფასდეს მიღებულ შედეგთა საიმედოობა. იხ. მაგალითად:, 1977;, 1968,

(მაგალითად, გარკვეულ ასაკში გარდაცვალების ალბათობა)³⁴ მხოლოდ მძიმედან მესამე ნიშნამდგა ზუსტი, ხოლო მეოთხე და მით უმეტეს მესუთე ნიშნები შეიძლება შეცდომებს შეიცავდეს. ამიტომ ამ მაჩვენებელთა მესუთე ნიშნის სიზუსტით გაანგარიშება უმეტესად ტრადიციისადმი ხარკის გადახდაა, ვიდრე პრაქტიკის მოთხოვნა.

დემოგრაფიული ინფორმაციის წყაროები საშუალებას უნდა იძლეოდეს მივიღოთ მონაცემთა აუცილებელი მოცულობა არა მარტო მთლიანად ქვეყნისათვის, არამედ რეგიონების, ე.ი. ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი ადმინისტრაციული რაიონის მიხედვითაც. ჩვენი მრავალეროვნული ქვეყნისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებები არსებობს არა მარტო ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, არამედ მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესთა ხასიათშიც.

დაბოლოს, მოსახლეობის შესახებ მონაცემთა წყაროები მხოლოდ მაშინ უპასუხებს სრულად პრაქტიკის მოთხოვნებს, როცა საშუალებას იძლევა, რომ აუცილებელი მონაცემები მივიღოთ დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოვავლინოთ დემოგრაფიულ პროცესთა ცვლილების გენერალური ტენდენციები, და მაშასადამე, განვჭვრიტოთ მათი მომავალი, შევისწავლოთ მოსახლეობის კვლავწარმოების ამა თუ იმ ტიპის შესაძლო შედეგები და ამის საფუძველზე შევიმუშაოთ ღონისძიებათა აუცილებელი კომპლექსი, მათი, საზოგადოებისათვის საჭირო მიმართულებით კორექციისათვის.

დემოგრაფიული ინფორმაციის წყაროებისადმი წაყენებული ყველა ეს რთული და მრავალმხრივი მოთხოვნა განაპირობებს დემოგრაფიული ინფორმაციის შეგროვების ურთიერთშემავსებელ

³⁴ ამ მაჩვენებლის არსის შესახებ ზემოთ იყო საუბარი.

მეთოდთა სისტემის აუცილებელ არსებობას. თითოეულ ამ მეთოდს თავისი ღირსება და ნაკლი აქვს, ისინი ავსებს ერთმანეთს და არსებითად ერთიან ინფორმაციულ სისტემას წარმოადგენს.

თანამედროვე პირობებში სსრკ-ში დემოგრაფიულ პროცესთა მონაცემების სამი ძირითადი წყარო გამოიყენება: მოსახლეობის აღწერები; დემოგრაფიული მოვლენების მიმდინარე აღრიცხვა (მმაჩის ბიურო³⁵ და სოფლის საბჭო), შერჩევითი გამოკვლევები.

ისტორიულად მოსახლეობის შესახებ მონაცემთა პირველი წყარო იყო აღწერები, რომელთა ჩატარების მეცნიერული პრინციპები პირველად ჩამოაყალიბა ცნობილმა რუსმა გეოგრაფმა და სტატისტიკოსმა კ.პ.სემიონოვ-ტიანშანსკიმ.

მოსახლეობის აღწერა, როგორც მონაცემთა წყარო, ყველაზე მეტადაა ცნობილი მოსახლეობისათვის, რადგანაც მისი მომზადებისა და ჩატარების დროს მოსახლეობაში ფართო ახსნა განმარტებითი მუშაობა მიმდინარეობს, მასში ბევრი ადამიანი მონაწილეობს. ასე, მაგალითად, 1959 წლის მოსახლეობის აღწერაში ჩართული იყო 600 ათასი კაცი, 1979 წლის აღწერაში – დაახლოებით 750 ათასი, ხოლო მომზადებული რეზერვის გათვალისწინებით კი – 900 ათასი კაცი.

მოსახლეობის აღწერების ჩატარება მას შემდეგ დაიწყო როცა მოსახლეობის შესახებ მონაცემთა სხვა წყაროები ან ჯერ კიდევ ყალიბდებოდა, ან ნაკლებად ეფექტური იყო. ყოველივე ამან წარმოშვა აზრი იმის შესახებ, რომ აღწერები წარმოადგენს მოსახლეობის შესახებ მონაცემების ძირითად (ხოლო ზოგჯერ ერთადერთ) წყაროს. შესაძლოა ამ მოსაზრებას ძველად თავისი რეალური საფუძველი ჰქონოდა, მაგრამ ახლა საეჭვოა, რომ იგი სინამდვილეს შეესაბამებოდეს.³⁶

³⁵ მმაჩის ბიურო – მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩაწერის ბიურო (მთარგმნელის შენიშვნა).

³⁶ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერების ისტორიასა და მათ შედეგებზე იხ.: . . ., 1983.

თავისი არსით მოსახლეობის აღწერები განკუთვნილია ინფორმაციის, რომელიც გარკვეული თარიღისათვის, მაგალითად 1979 წლის 16-დან 17 იანვრის ღამის 24 საათისათვის, ე.ი. ცნობების დროის გარკვეული მომენტისათვის, მისაღებად. აღწერის მეორე მეთოდური თავისებურება ისაა, რომ იგი იძლევა ცნობებს მთელი მოსახლეობის შესახებ ერთიანი და ამის გამო მოსახლეობის გამოკითხვის საკმაოდ შეზღუდული პროგრამით. არაა სასურველი მასში ისეთი რთული კითხვების შეტანა, რომლებიც გამოსაკითხ ადამიანთან ხანგრძლივ საუბარს მოითხოვს. აღმწერმა ხომ 7-8 დღეში უნდა გამოკითხოს (ან როგორც ამბობენ აღწეროს) 550-600 კაცი.

არ შეიძლება მოსახლეობის აღწერების ყოველ წელიწადს ჩატარება. მათ ჩასატარებლად დიდი თანხებია საჭირო, და როგორც უკვე აღინიშნა, ბევრი ადამიანი წყდება სამუშაოს. აღწერების, როგორც მოსახლეობის შესახებ მონაცემების წყაროს, მნიშვნელობა ისაა, რომ იგი იძლევა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და საკმაოდ ზუსტ მონაცემებს ქვეყნის მთელი მოსახლეობის შესახებ. აღწერების ეს ღირსებები და ნაკლოვანებანი განაპირობებს, მისი როგორც მოსახლეობის შესახებ მონაცემთა წყაროს, ურთიერთკავშირის აუცილებლობას ინფორმაციის შეგროვების სხვა მეთოდებთან, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა მიგველო მონაცემები დემოგრაფიული მოვლენებისა და მოსახლეობის სტრუქტურის შესახებ აღწერებს შორის პერიოდში, საშუალებას მოგვცემდა გაგველო დემოგრაფიული მოვლენების დეტალური მახასიათებლები.

ინფორმაციის ასეთ წყაროებს წარმოადგენს მოსახლეობის ე.წ. მიმდინარე აღრიცხვა და სხვადასხვაგვარი დემოგრაფიული გამოკვლევები.

სიცოცხლის მანძილზე თითოეულ ჩვენგანს უწევს მიმართოს მმაჩის ბიუროებს (სოფელ ადგილებში – სოფლის საბჭოებს)

ქორწინების, ბავშვის დაბადების, ჩვენთვის ახლობელი ადამიანის გარდაცვალების, ხოლო ზოგჯერ კი განქორწინების რეგისტრაციისათვის. მოქალაქეობრივი მდგომარეობის თითოეული აქტის (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება) რეგისტრაცია კი არსებითად არის შეტყობინება მომხდარი დემოგრაფიული შემთხვევისა და მისი დაწვრილებითი მახასიათებლების – დაბადებული ბავშვის სქესის, დედისა და მამის ასაკისა და რიგი სხვა ნიშნების შესახებ.

ზოგჯერ ასეთი საბუთების შევსებისას ადამიანებს უკვირთ და ბრაზობენ კიდევ, მათი აზრით, ზედმეტ დეტალურობაზე. მაგალითად, კითხულობენ თუ რატომაა საჭირო გარდაცვალების აქტებში იმის აღნიშვნა თუ რაზე მუშაობდა გარდაცვლილი პენსიონერი. მაგრამ ამ მონაცემების გარეშე შეუძლებელია მოკვდაობის დონის შესწავლა ეკონომიკის დარგებისა და პროფესიების მიხედვით, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მმაჩის ბიუროები და სოფლის საბჭოები მოქალაქეობის მდგომარეობის რეგისტრაციის აქტების ერთ ეგზემპლარს გადასცემენ სტატისტიკურ ორგანოებს. მათი განზოგადებით სტატისტიკოსები დებულობენ მონაცემებს თვეში, კვარტალში, ან წელიწადში, დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და ამ მოვლენათა სხვა დაწვრილებითი მახასიათებლების შესახებ, როგორც მთლიანად, ასევე ცალკეული რეგიონების მიხედვითაც. მთლიანობაში, მიმდინარე აღრიცხვა საშუალებას იძლევა მივიღოთ მონაცემები დემოგრაფიულ მოვლენათა საერთო რიცხვისა და მათი დაწვრილებითი მახასიათებლების შესახებ აღწერებს შორის პერიოდში. ეს ნიშნავს, რომ თუ ცნობილია მოსახლეობის რიცხოვნობა აღწერის მონაცემების მიხედვით, ხოლო სსრკ-ში ისინი დიდი ხანია ტარდება წლის დასაწყისის მდგომარეობით, და მას მივუმატებთ აღწერის შემდგომი წლის განმავლობაში დაბადებულთა და გამოვაკლებთ გარდაცვლილთა

რიცხვს, მაშინ მთლიანად ქვეყნისათვის შეიძლება მივიღოთ მონაცემები მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ მომდევნო წლის დასაწყისისათვის.

მიმდინარე აღრიცხვას, როგორც ინფორმაციის წყაროს, თავისი სირთულეებიც აქვს. მასში, როგორც მოსახლეობის აღწერაში, არ შეიძლება რთული (ზოგიერთ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანიც) კითხვების დასმა. კიდევ ერთი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ დემოგრაფიულ მოვლენებს სტატისტიკა მხოლოდ მაშინ აღრიცხავს, თუ ადამიანი დროულად მივიდა მმანის ბიუროში და რეგისტრაციაში გაატარა დაბადების, გარდაცვალების ან სხვა დემოგრაფიული შემთხვევის აქტი. ამიტომ მიმდინარე აღრიცხვის სისრულე დიდადაა დამოკიდებული რეგისტრაციის მიმართ მოსახლეობის შეგნებულობაზე, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებზეც კი.

მიმდინარე აღრიცხვის პრობლემებზე საუბრისას, გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი წვრილმანი განქორწინების პროცესთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე იურიდიულად გაფორმებული (რეგისტრირებული) ქორწინება შეიძლება ჯერ ფაქტიურად დაიშალოს, ხოლო იურიდიულად კი იგი გარკვეული დროის შემდეგ გაფორმდება.

მაგრამ იურიდიულად გაფორმებული განქორწინებების რიცხვი დიდად არის დამოკიდებული მათი გაფორმების არსებულ წესზე. რაც უფრო რთული და ხანგრძლივია ეს პროცედურა, მით ნაკლებია განქორწინებათა იურიდიული რიცხვი, თუნდაც ფაქტიურად დაშლილ ქორწინებათა რიცხვის ზრდის პირობებში. და პირიქით, ამ პროცედურის გამარტივება მაშინვე იწვევს რეგისტრირებულ განქორწინებათა, და მაშასადამე, განქორწინების მაჩვენებელთა და ფაქტიურად დაშლილ ქორწინებათა რიცხვის ზრდას.

მიმდინარე აღრიცხვა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მონაცემები იმ პირთა რიცხვის შესახებაც, რომლებმაც შეიცვალეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. საცხოვრებელ ადგილზე ჩაწერის ან იქიდან ამოწერის დროს (სხვა დოკუმენტებთან ერთად) თითოეული 16 წლის ასაკამდე მიღწეული ადამიანი ავსებს ე.წ. მოსახვე ტალონს, რომელშიც სამისამართო ნაწილის გარდა აღინიშნება ადამიანის დაბადების წელი (ე.ი. ფაქტიურად ასაკი), სქესი, ეროვნება და წასვლის (ჩამოსვლის) ადგილი, აგრეთვე გამგზავრების მიზანი. ამავე მოსახვე ტალონებში ჩაიწერებიან 16 წლის ასაკამდე ბავშვებიც. შესაბამისი ტალონების საერთო რიცხვის შეკრებით (მასში ჩაწერილ ბავშვებთან ერთად) შეიძლება გამოვთვალოთ ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში ჩასულ (წასულ) ადამიანთა რიცხვი, და მივიღოთ ზოგიერთი დამატებითი მონაცემი მიგრანტებზე, რომელსაც შეიცავს მოსახვე ტალონები.

როგორც ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევაში, აქაც მთავარია მიგრანტთა რაოდენობის აღრიცხვის სისრულე, რადგანაც საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას ადამიანები ყოველთვის როდი ავსებენ შესაბამის დოკუმენტებს, მოცემულ შემთხვევაში მოსახვე ტალონებს.

უკანასკნელ წლებში დემოგრაფიული ინფორმაციის წყაროდ ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სახის გამოკვლევები, რომლებიც საშუალებას იძლევა მივიღოთ დემოგრაფიული მოვლენების დაწვრილებითი მახასიათებლები. როგორც უკვე აღინიშნა მეტად საინტერესოა მეუღლეთა განზრახვის შესწავლა ოჯახში მათთვის სასურველი ბავშვების რიცხვზე.

მოსახლეობის ასეთი სახის გამოკითხვა მოითხოვს როგორც მასალების, ასევე გამოკვლევის ჩამტარებელი პერსონალის დეტალურ მომზადებას, განსაკუთრებით თუკი ისინი ეხება ოჯახის ცხოვრების დელიკატურ ასპექტებს (მაგალითად, ამა თუ იმ მეუღლის მიერ

გამოყენებული შობადობის შეზღუდვის მეთოდებს). გამოკითხვების სირთულე არ იძლევა საშუალებას, რომ ისინი ჩატარდეს როგორც მოსახლეობის აღწერის პროგრამის ელემენტები და ეს არცაა საჭირო. თანამედროვე სტატისტიკური ხერხები (ე.წ. შერჩევითი მეთოდი) საშუალებას იძლევა, მისი რაღაც ნაწილის გამოკითხვის საფუძველზე მივიღოთ მონაცემები, რომლებიც გარკვეული უტყუარობით ახასიათებს მთელ მოსახლეობას.

ჩვენს ქვეყანაში განსხვავებული ვადიანობის ხარისხის ბევრი შერჩევითი დემოგრაფიული გამოკვლევა ტარდება. ასე მაგალითად, 1978 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ხალხთმოსახლეობის პრობლემების შემსწავლელმა ცენტრმა ფართო პროგრამით გამოკითხა 1,3 ათასი გათხოვილი ორბავშიანი ქალი. გამოკვლევის ამოცანა იყო – მოსკოვეური ოჯახების მცირეშვილიანობის მიზეზების გამოვლენა. ასეთმა რთულმა ამოცანამ გამოიწვია სხვადასხვა შეკითხვის (სულ იყო თითქმის 700 კითხვა) დასმა – შემოსავლებზე, ოჯახის საბინაო პირობებზე, მეუღლეთა განათლებაზე, მცირეშვილიან ოჯახზე ორიენტირების მიზეზებზე, მესამე ბავშვთან დამოკიდებულებაზე და ბევრი სხვა, სხვადასხვაგვარი ფსიქოლოგიური ტესტების ჩათვლით, რომლებიც ხსნიდნენ რეპროდუქციული ქცევის ფორმირების მექანიზმს, ოჯახში ბავშვების ამა თუ იმ რიცხვთან დამოკიდებულებას.

1985 წლის იანვარში, ე.ი. მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში ფართო პროგრამით ჩატარდა შერჩევითი დემოგრაფიული გამოკვლევა, რომელმაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 5%, ე.ი. თითქმის 14 მლნ. კაცი მოიცვა. მისი მონაცემები ახლა მუშავდება და საშუალებას იძლევა საკმაოდ გააფართოოთ ჩვენი წარმოდგენები ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ ტენდენციებზე.

ამრიგად, დემოგრაფიული მოვლენების დეტალური და მრავალმხრივი ანალიზისათვის აუცილებელია კომპლექსურად გამოვიყენოთ მოსახლეობის შესახებ არსებული მონაცემების ყველა წყარო, გვახსოვდეს მათი მეთოდური შესაძლებლობანი და ნაკლოვანებები.

ჩვენ ძალიან ზოგადად განვიხილეთ დემოგრაფიული ანალიზის თანამედროვე მეთოდები. აღწერილი ხერხები სრულებითაც ვერ ამოწურავს მთელ მის არსენალს, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში დემოგრაფები ხალხთმოსახლეობის დინამიკის ანალიზისათვის იყენებენ გრაფიკულ მეთოდებსაც, თანამედროვე სოციოლოგიისა და სტატისტიკის მიერ შემუშავებულ ხერხებს, სხვადასხვა მათემატიკურ მოდელებს, მათ შორის ისეთ პერსპექტიულ მეთოდებსაც, როგორცაა იმიტაციის ეკონომიკურ-დემოგრაფიული მოდელი. მაგრამ ყველა სხვადასხვაგვარი ანალიზური ინსტრუმენტის გამოყენება უნდა გამომდინარეობდეს რამდენიმე ძირითადი პრინციპიდან.

მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესთა ანალიზისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მოსახლეობის კვლავწარმოების ამა თუ იმ ტიპის ფორმირებას პირველ რიგში განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც სპეციფიკურად ვლინდება თითოეულ ქვეყანაში. საჭიროა გავითვალისწინოთ გამოყენებულ მაჩვენებელთა მეთოდური შესაძლებლობანი, გვახსოვდეს, რომ დემოგრაფიული ანალიზის ხერხების მხოლოდ კომპლექსურმა გამოყენებამ შეიძლება მოგვცეს მიმდინარე პროცესთა საკმაოდ ზუსტი სურათი.

თავი III დემოგრაფიული პროგნოზირების შესახებ

დემოგრაფიული პროგნოზები წარმოადგენს გრძელვადიანი კომპლექსური, სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის მნიშვნელოვან ელემენტს. პრაქტიკულად ძალიან ძნელია ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების რომელიმე სფეროს მოძებნა, სადაც გრძელვადიანი დაგეგმვისას დემოგრაფიულ პროგნოზთა მონაცემები არ გამოიყენებოდეს. „ჩვენ უნდა ვისწავლოთ, – აღნიშნული იყო სკკპ-ის ცკ-ის ივნისის (1983 წ.) პლენუმზე, – ჩვენი სამეურნეო გეგმების შემუშავებისას ყოველმხრივ გავითვალისწინოთ და ავსახოთ მათში საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები – სოციალური, ეროვნული, დემოგრაფიული.“³⁷

როგორც ზოგჯერ ამბობენ, დემოგრაფიულ პროგნოზებს აქვს აქტიური ხასიათი. ისინი საშუალებას იძლევა მარტო მოსახლეობის მომავალი მახასიათებლების განსაზღვრით არ შემოვიფარგლოთ. პერსპექტიული გაანგარიშების შედეგად მიღებული სიდიდეების და იმ დემოგრაფიულ პროცესთა პარამეტრების შედარებისას, მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა ამა თუ იმ რეგიონში, რომლებიც სასურველია სოციალურ-ეკონომიკური პოზიციებიდან საზოგადოებისათვის პერსპექტივაში, შეიძლება გამოვავლინოთ დემოგრაფიული პროცესების სასურველ და შესაძლო მახასიათებლების განსხვავებულობის ხარისხი. თუ ასეთი განსხვავებები დიდია, მაშინ საზოგადოებას შეუძლია მიიღოს ზომები ამ პროცესთა ლიკვიდაციის ან შესაძლო დისპროპორციათა შესამცირებლად. მაშასადამე, დემოგრაფიული პროგნოზები წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს საზოგადოებრივი პროცესების

37

, 14-15 1983 . ., 1983, . 13.

მართვაში. ისინი საშუალებას იძლევა მისი განვითარების პერსპექტივების ცოდნის საფუძველზე მიზანმიმართული ზემოქმედება მოვახდინოთ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებზე, მოვახდინოთ მათი კორექტირება ქვეყნისათვის საჭირო მიმართულებით.

დემოგრაფიული პროგნოზების აქტუალობა განსაკუთრებით იზრდება ჩვენი საზოგადოების გრძელვადიან, ე.ი. ერთი-ორი დემოგრაფიული თაობით წინ, დაგეგმვაზე გადასვლის პერიოდში. ამ ხნის განმავლობაში (30-60 წელი) დემოგრაფიულ პროცესთა ხასიათი შესაძლოა მნიშვნელოვნად იცვლებოდეს, და თუ წინასწარ არ გავითვალისწინებთ ეს ცვლილებები და მათი შედეგები, მაშინ შეცდომები შეიძლება საკმაოდ სერიოზული იყოს.

ჩვენს დროში, დემოგრაფიული პროგნოზი არ შეიძლება გავიგოთ როგორც მხოლოდ პასუხი კითხვაზე, რამდენი მცხოვრები იქნება ქვეყანაში ან მის გარკვეულ ტერიტორიაზე ამა თუ იმ წელს. სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვისათვის აუცილებელია ვიანგარიშოთ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი და ოჯახური შემადგენლობის პერსპექტიული რიცხოვნობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი მოსახლეობის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც, აგრეთვე მისი მომავალი განათლებისა და პროფესიული სტრუქტურა. მაშასადამე, თანამედროვე გაგებით დემოგრაფიული პროგნოზი შედგება მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მოვლენების ურთიერთდაკავშირებული შეფასებებისაგან, ე.ი. აქვს კომპლექსური და მრავალმხრივი ხასიათი.

დემოგრაფიულ პროგნოზებს, იმაზე დამოკიდებულების მიხედვით, შეეხება ისინი მთელ ქვეყანას თუ მის ცალკეულ ნაწილებს, თავისი მეთოდოლოგიური თავისებურებები აქვს. თუ ლაპარაკია პერსპექტიულ გაანგარიშებებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაშინ ისინი მდგომარეობს შობადობის, ქორწინების, განქორწინებისა და

მოკვდაობის პროცესთა ცვლილებების პერსპექტივების განსაზღვრაში, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში გარე მიგრაცია ვერ ახდენს არსებით გავლენას მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის პერსპექტიულ ცვლილებებზე.

მოკავშირე რესპუბლიკების, ოლქების (მხარეების) მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშებისას, შობადობისა და მოკვდაობის პროცესთა პროგნოზთან ერთად აუცილებელია გვექონდეს მიგრანტთა მომავალი რაოდენობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შეფასებანიც, რაც მნიშვნელოვნად ცვლის როგორც მოსახლეობის საერთო რაოდენობას, ასევე მათ შემადგენლობასაც. ამიტომ მოსახლეობის რეგიონული პროგნოზების დამუშავებისას პირველ რიგში აუცილებელია მიგრაციის გავლენის გათვალისწინება.

ახლა დაწვრილებით შევჩერდეთ მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის პერსპექტიული გაანგარიშების მეთოდოლოგიაზე. მათთვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია საკმაოდ საიმედო საწყისი ინფორმაციული ბაზა, ჩვენს შემთხვევაში საჭიროა მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ, აგრეთვე შობადობისა და მოკვდაობის პროცესთა მომავალ ცვლილებათა ინტენსივობის შეფასებანი, ხოლო რეგიონული პროგნოზებისათვის, მიგრაციის ინტენსივობის შეფასებაც. პროგნოზული გაანგარიშებისათვის საწყის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, როგორც ყველაზე სარწმუნო წყაროს, უფრო ხშირად მოსახლეობის აღწერათა მონაცემები წარმოადგენს.

როგორღა განისაზღვრება მოსახლეობის მომავალი რიცხოვნობა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა? ამ პრობლემის განხილვა დავიწყეთ საკითხის მოკლე ისტორიით, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დემოგრაფიული პროგნოზირების მეთოდური საფუძვლების ჩამოყალიბების ისტორიით. მისი განვითარება მნიშვნელოვნად იყო

განპირობებული პრაქტიკის მოთხოვნით, მოსახლეობის შესახებ მონაცემებზე მთავრობებისა და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნილებებით, საზოგადოების განვითარებაში დემოგრაფიული ფაქტორის როლის გაგებით, ეკონომიკის, სტატისტიკისა და მათემატიკის სფეროში სამეცნიერო გამოკვლევების მდგომარეობით.

„დემოგრაფიული მომავლის“ განსაზღვრის პირველი ცდები უმეტესად დაიყვანებოდა პერსპექტივაში მოსახლეობის საერთო რაოდენობის განსაზღვრაზე იმ პირობებში, როცა რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ტემპები, პრაქტიკულად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საშუალოდ უცვლელი იყო. გავიხსენოთ, რომ დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში, ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნის დასაწყისამდე, ტიპური იყო მაღალი შობადობა და მოკვდაობა, აგრეთვე შედარებით სტაბილური იყო მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაც.

ასეთ პირობებში მოსახლეობის საერთო რაოდენობის პროგნოზი, საშუალო წლიური ზრდის ტემპების (ან მდგრადი ცვლილების) შენარჩუნების ჰიპოთეზის საფუძველზე, საკმაოდ რეალისტური³⁸ იყო. ხშირად ასეთი გაანგარიშებები მოსახლეობის რიცხვის გაორმაგების პერიოდის განსაზღვრამდე დაიყვანებოდა. მაგალითად, მოკვდაობის სტატისტიკის პრობლემების შესახებ ერთ-ერთ პირველი ნაშრომის ავტორს, ჯ.გრაუნტს, მიაჩნდა, რომ ინგლისის მოსახლეობის გაორმაგების პერიოდი შეადგენს 280 წელს. მისი თანამედროვე უპეტი, რომელიც კ.მარქსის გამოთქმით იყო, „პოლიტიკური ეკონომიის მამა“ – თვლიდა, რომ ინგლისის მოსახლეობა ორმაგდებოდა 360 წლის განმავლობაში.

³⁸ XVIII საუკუნის ცნობილი ფრანგი ნატურალისტი ჟ.ბუფონი თვლიდა, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა „ძველი დროის ნებისმიერ ეპოქაში, რომელიც არ უნდა ამოვირჩიოთ, უცვლელად უდრის მომავალი ასწლეულის მოსახლეობის რიცხვს“ (იხ.:, 1974, . 35).

ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი გ.კინგი თვლიდა, რომ XIII–XVIII ს.ს. მონაცემებით, ინგლისის მოსახლეობა 435 წელიწადში ორმაგდებოდა. შემდგომი წლებისათვის ამ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის გაორმაგებისათვის გ.კინგი 600 წლიან პერიოდს მიიჩნევდა. ამ ვარაუდებიდან გამომდინარე, მან განსაზღვრა, რომ 2000 წლისათვის ინგლისის მოსახლეობა 8,3 მლნ. ადამიანი იქნებოდა. თუ ინგლისის მოსახლეობის ასეთი ზრდის ტემპებიდან გამოვალოთ, მაშინ 1950 წელს ინგლისში 7,8 მლნ. მცხოვრებს უნდა ეცხოვრა. მაგრამ 1950 წელს ამ ქვეყნის მოსახლეობამ 50,6 მლნ. შეადგენდა, ხოლო გაეროს პროგნოზით კი 2000 წლისათვის იგი 55,2 მილიონამდე გაიზრდება.

როგორც ვხედავთ პროგნოზის შეცდომა საკმაოდ დიდია, და მისი უსაფუძვლობა უკვე XVIII და განსაკუთრებით კი XIX საუკუნეში ჩანდა, როცა მოკვდაობის მკვეთრი შემცირების გამო, მოსახლეობის ზრდის ტემპმა მატება დაიწყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსახლეობის საერთო რაოდენობის ასეთი მეთოდებით გაანგარიშებისას დარწმუნებული უნდა ვიყოთ მოსახლეობის მატების ტემპების უცვლელობის პერსპექტივაში.

სწორედ ასეთი ცვლილებების გათვალისწინების აუცილებლობამ განაპირობა შემდგომი ნაბიჯი, მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშების მეთოდის განვითარებაში – ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მოსახლეობის საერთო მატების ტემპები იცვლება გარკვეული კანონზომიერებებით. იყო მცდელობა, ეპოვნათ შესაბამისი განტოლება და მრუდის ფორმა, რომლის მიხედვითაც შეიცვლებოდა მოსახლეობის რიცხოვნობა.

ასე მაგალითად, იაპონელი სტატისტიკოსი შიმოო, იაპონიის მოსახლეობის შესახებ 1870–1925 წლების მონაცემთა დინამიკის საფუძველზე ვარაუდობდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ზრდა მომავალში იქნება, ე.წ. მეორე რიგის პარაბოლის შესაბამისად. ამ

დამოკიდებულების საფუძველზე მან იანგარიშა, რომ იაპონიის მოსახლეობის რიცხოვნობა 1940 წელს იქნება 71,7 მლნ. კაცი, ხოლო 1955 წ. – 86,6 მლნ., ფაქტიურად კი მოსახლეობის რიცხოვნობა 1940 წელს შეადგენდა 71,4 მლნ., ხოლო 1955 წელს – 89,8 მლნ. კაცს, ე. ი. შეცდომა პირველ შემთხვევაში იყო (-0,4%), ხოლო მეორეში – (+10,4%). ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ იაპონიის შეიარაღებულმა ძალებმა მეორე მსოფლიო ომის დროს დაახლოებით 2 მლნ. კაცი დაკარგეს. თუკი გავითვალისწინებთ სამოქალაქო მოსახლეობის დანაკარგებსაც, მაშინ მოსახლეობის რიცხვი უცილობლად ფაქტიურზე მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა, რაც არსებითად გაზრდიდა ამ პროგნოზის შეცდომათა მასშტაბებსაც.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის პროგნოზი, მატების საერთო ტემპების უცვლელობის დაშვების შემთხვევაში, მხოლოდ ამ ტემპების მდგრადობის პირობებშია სამართლიანი. ამასთან, ისინი შეიძლება ასეთი იყოს ან იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ დაწყებულია შობადობისა და მოკვდაობის შემცირება, ან, როცა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში დისპროპორციის არ არსებობისას, ეს პროცესი უკვე დასრულდა ქვეყნის მოსახლეობის ძირითად მასაში. ამიტომ, თუკი ახლა სსრკ-ის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზს გავაკეთებთ, მაგალითად, რთული პროცენტების ფორმულით, მაშინ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შეფასება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის პროგნოზის საბოლოო თარიღისათვის, მაგალითად 2000 წლისათვის, ე.ი. პერიოდის საბოლოო თარიღისათვის, შეიძლება ახლოს იყოს ფაქტიურთან. განსხვავება „შუალედური საზღვრების მიხედვით“ კი მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება საკმაოდ არსებითი იყოს, მათ შორის ასაკობრივი სტრუქტურის სპეციფიკის გამო, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. პერსპექტიულ გაანგარიშებათა ამ მეთოდის ნაკლად

შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მოსახლეობის მატების ერთი და იგივე ტემპი შეიძლება იყოს შობადობისა და მოკვდაობის განსხვავებული დონეების შემთხვევაში (მაგალითად, როცა შობადობის კოეფიციენტია 45‰ და მოკვდაობის – 35, შობადობის 15‰ და მოკვდაობის – 5‰). ორივე შემთხვევაში ბუნებრივი მატების ტემპი ერთნაირი, 10‰ იქნება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვისათვის აუცილებელია ვიცოდეთ არა მარტო (და არა იმდენად) მოსახლეობის საერთო რაოდენობა და სტრუქტურა საპროგნოზო პერიოდის „ბოლოსათვის“, არამედ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა და რიცხოვნობა საპროგნოზო პერიოდის ყველა შუალედური თარიღისათვის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანაში შობადობის რიცხვი სტრუქტურული ფაქტორების გავლენით შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს. რეგიონულ ასპექტში მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობაზე შეიძლება მოქმედებდეს, მიგრაციულ ნაკადთა მოცულობისა და მიმართულებათა ცვლილებებიც.

ამრიგად, მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის პროგნოზის ეფექტური მეთოდის საშუალებას უნდა იძლეოდეს გავითვალისწინოთ, შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის რეჟიმთა ცვლილებების ზემოქმედება, აგრეთვე ქვეყანაში (ან მის ნაწილზე) მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ისტორიულად ჩამოყალიბებული სპეციფიკა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი მეთოდი უნდა ითვალისწინებდეს დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის ცვლილებაში როგორც ძირითად, გენერალურ ტენდენციებს, ასევე სტრუქტურული ფაქტორების გავლენას მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმზე. იგი საშუალებას უნდა იძლეოდეს ვიანგარიშოთ ყველა წლისათვის პერსპექტივაში არა მარტო

მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა, არამედ მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაც.

უკვე აღნიშნული იყო, რომ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის პროგნოზირების ისტორიულად პირველი და საკმაოდ მიახლოებითი მეთოდი იყო ექსტრაპოლაციის მეთოდების გამოყენება, ე.ი. თანამედროვე ან რაღაც მათემატიკური დამოკიდებულების საფუძველზე ცვლადი, თავისი ან მსგავსი სოციალური და დემოგრაფიული პირობების მქონე ქვეყნების, მოსახლეობის ზრდის ტემპების მომავალზე გავრცელება. დროის შედარებით მცირე პერიოდისათვის ბუნებრივი მატების უცვლელი (ან რაღაც თანმიმდევრობით ცვლადი) ტემპების ამგვარმა ჰიპოთეზებმა, მოსახლეობის მომავალი საერთო რიცხოვნობის შეფასებისას შესაძლოა მეტ-ნაკლები საიმედოობის შედეგები მოგვცეს. მაგრამ, შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის, შობადობის საერთო რიცხვის ხშირი ცვლილებების პირობებში (ხოლო რეგიონისათვის მიგრაციის დონის გამოც) ასეთმა გაანგარიშებებმა შესაძლოა არასწორი შეფასებები მოგვცეს.

წარსულის ტენდენციებზე დამყარებულ პერსპექტიულ გაანგარიშებებს სხვა ნაკლიც აქვს, რომლებიც მით უფრო იჩენს თავს, რაც უფრო დიდია გავლილი პერიოდი. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება პროგნოზში, ქვეყანაში შობადობის დონეზე მოსახლეობის ფაქტიურად ჩამოყალიბებული ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის ასახვის აუცილებლობას.

ცნობილია, რომ მოსახლეობის მომიჯნავე სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების აბსოლუტური რიცხოვნობა შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს და ზოგჯერ მნიშვნელოვნადაც, როგორც სამხედრო დანაკარგების გავლენის, ასევე ომის შემდგომ წლებში დაბადებათა რიცხვის მერყეობის გამოც. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ასეთი მაგალითები. სსრკ-ში 1970 წელს დაიბადა 4 226 ათასი ბავშვი, 1980

წელს 4 851 ათასი, ხოლო 1984 წელს – 5 389 ათასი. მაგრამ როცა 80-იანი წლების დასაწყისში დაბადებული ბავშვები მიაღწევენ 20 და მეტი წლის ასაკს, ე.ი. ქორწინებაში შესვლის მაღალი ინტენსივობის პერიოდს, ეს კი იქნება მომავალი საუკუნის დასაწყისში, მაშინ მოსალოდნელია შობადობის „მეორეული“ ტალღის ახალი, მაგრამ შედარებით ნაკლები ზომის „ჩქაფანი.“

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ყოველწლიურ დაბადებათა რიცხვი შეიძლება იცვლებოდეს გაჩენებს შორის ინტერვალთა ცვლილებებითაც. ასე მაგალითად, ორბავშვიანი ოჯახების უცვლელი უპირატესობის შემთხვევაში, პირველ და მეორე ბავშვის გაჩენას შორის ინტერვალის შემცირება, მიგვიყვანს იმასთან, რომ დაბადებულთა რიცხვი ოჯახში თითქმის არ შეიცვლება, ხოლო ყოველწლიურ დაბადებათა რიცხვი კი შეიძლება გაიზარდოს.

ამის გამო პერსპექტიულ გაანგარიშებებში აუცილებელია გავითვალისწინოთ მომავალში, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესაძლო ცვლილებების გავლენა. საჭიროა პერსპექტიულ გაანგარიშებათა ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთდროულად გავითვალისწინოთ, როგორც მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების გავლენა, ასევე შობადობისა და მოკვდაობის ტენდენციათა ცვლილებებიც. ასეთ მეთოდს საბჭოთა დემოგრაფიაში წარმოადგენს „ასაკთა გადანაცვლების“ მეთოდი ან უფრო ზუსტად – „გადანაცვლება ასაკების მიხედვით,“ ან სხვაგვარად – „კომპონენტთა მეთოდი,“ რამდგანაც პროგნოზირების ამ მეთოდის დროს გათვალისწინებულია ასაკობრივი სტრუქტურის ვარიაციებიცა და შობადობისა და მოკვდაობის პროცესთა ინტენსივობის ცვლილებებიც. შევჩერდეთ გაანგარიშებათა ამ მეთოდიკის არსზე, სწორედ არსზე, რადგანაც მისი ტექნიკა სპეციალურ სახელმძღვანელოებშია აღწერილი.

გაანგარიშების საწყის ბაზას წარმოადგენს მონაცემები განსაზღვრული თარიღისათვის მოსახლეობის სქესისა და ასაკის მიხედვით განაწილების შესახებ, ხშირ შემთხვევაში განსაზღვრული წლის დასაწყისისათვის, მოსახლეობის აღწერის მონაცემებით. ავიღოთ, მაგალითად, 1970 წლის მონაცემები მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ. 1970 წლის განმავლობაში ადამიანები ნებისმიერი ამ ასაკიდან გახდებიან ერთი წლით უფროსები ან მათი რაღაც ნაწილი 1970–დან 1971 წლამდე პერიოდში მოკვდება. მაშასადამე, რომ მივიღოთ ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობა გაანგარიშების დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, საჭიროა მოსახლეობის პირველსაწყის რიცხვს გამოვაკლოთ გასულ წელს ამ ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი, ამით თითქოსდა ისინი „გადავანაცვლეთ“ ერთი წლით წინ, ე.ი. ხუთწლიანები ექვსწლიანებში, ექვსწლიანები შვიდწლიანებში და ა.შ.. ასეთი სახის „გადანაცვლებისათვის“ საჭიროა ვიცოდეთ მხოლოდ წლის განმავლობაში თითოეული ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რიცხვი.

ასაკობრივი მოკვდაობის დონეები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალებსა და ვაჟებში, არის აგრეთვე რეგიონული განსხვავებებიც მოკვდაობის რეჟიმში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვით. მიგრაციის გავლენით, განსაკუთრებით ახალგაზრდების სოფლიდან ქალაქად მიგრაციის შედეგად, საკმაოდ განსხვავებულია ქვეყნის ზოგიერთი რაიონში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თვით ასაკობრივი სტრუქტურაც კი. ამის გამო „ასაკთა გადანაცვლება“, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ქალებისა და ვაჟებისათვის ხორციელდება ცალ-ცალკე.

ამ გაანგარიშების პრინციპული სქემა ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე.³⁹ დავეუშვათ, რომ აუცილებელია 1982 წელს 17 წლის ასაკის ახალგაზრდების საერთო რიცხვის ცოდნა. ამასთან, ცნობილია, რომ ქვეყანაში 15 წლის ასაკში საშუალოდ იმყოფებოდა 1 250 ათასი ახალგაზრდა ვაჟი. იმისათვის, რომ შევიტანოთ შესწორება მოკვდაობის შესახებ, ე.ი. გამოვრიცხოთ გარდაცვალებულთა რიცხვი, ვისარგებლოთ მოკვდაობის ცხრილის მონაცემებით, კერძოდ კი P_x მაჩვენებლით, რომელსაც ასეც ეწოდება – „გადანაცვლების კოეფიციენტი.“ იგი გვიჩვენებს წლის განმავლობაში ამა თუ იმ ასაკობრივ ინტერვალში გარდაცვლილთა ხვედრით წილს. დავეუშვათ, რომ P_{15} ე.ი. 15-დან 16 წლამდე ასაკის მაჩვენებელი ტოლია, 0,887. ეს ნიშნავს, რომ 15 წლის ასაკამდე მიღწეულთა ერთობლიობიდან, მხოლოდ 88,7% მიაღწევს 16 წლის ასაკს. 16-დან 17 წლამდე ინტერვალისთვის, მაჩვენებელი ტოლი იქნება 0,868 და ა.შ. გადავამრავლებთ რა 15 წლის ასაკში მყოფთა საწყის ერთობლიობას P_{15} -ზე, ჩვენ მივიღებთ 16 წლის ახალგაზრდა ვაჟების რაოდენობას. შემდეგი ნაბიჯია P_{16} -ის საშუალებით 16 წლიანების 17 წლიანებად გადაანგარიშება. ჩვენს შემთხვევაში 1 250 ათასი 15 წლიანიდან 16 წლამდე მიაღწევს 1 109 ათასი ადამიანი. თავის მხრივ 1 109 ათასი 16 წლიანიდან 17 წლამდე მიაღწევს 963 ათასი ახალგაზრდა ვაჟი. ამგვარად, 1982 წელს იცოცხლებს დაახლოებით 963 ათასი 17 წლის ახალგაზრდა ვაჟი.

თვალსაჩინოებისათვის გაანგარიშების ლოგიკა ვაჩვენოთ სქემის მიხედვით, S_x -ით აღვნიშნოთ ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისი რაოდენობა (ჩვენ შემთხვევაში ვაჟების), ხოლო P_x -ით ამ


³⁹ გასაგებია, რომ პრაქტიკაში ამ გაანგარიშების ტექნიკა რამდენადმე უფრო რთულია და ამიტომ ნაშრომში მხოლოდ მისი პრინციპული სქემაა განხილული. დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: . . ., 1985, . X.

ინტერვალების შესაბამისი „გადანაცვლების კოეფიციენტები,“ საწყის ბაზად კი მივიჩნით 1979 წელი.

ასეთივე პრინციპული სქემით, მაგრამ ქალების P_x მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიძლება ჩვენთვის საჭირო ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ქალების მოსალოდნელი რაოდენობის გაანგარიშება. როგორც სქემიდან ჩანს, ამ მეთოდის მნიშვნელოვანი უპირატესობა ისაა, რომ იგი საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, მათ შორის ბავშვთაშობის ასაკის ქალების, რაოდენობაში არსებულ განსხვავებათა გავლენა.

მაგრამ „გადანაცვლების“ ერთი, ან ორი წლით ჩატარების შედეგად დავინახავთ (იხ. ნახ. 1) რომ ერთი წლის შემდეგ აღარ გვექნება „ნულოვანი“ ჯგუფი (გაანგარიშების პირველ წელს დაბადებულთა რიცხვი) ე.ი. აღარაფერი იქნება წინ „გადასაწევი,“ ხოლო ორი წლის შემდეგ სქემაში შეუვსებელი დარჩება ორი ინტერვალი. იმისათვის, რომ გავაგრძელოთ გაანგარიშება, საჭიროა განვსაზღვროთ იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც დაიბადებიან გაანგარიშების პირველი „ბიჯის“ განმავლობაში, ე.ი. ვიპოვოთ ის ჯგუფი, რომელიც შემდეგ შეიძლება გადავანაცვლოთ. მაგალითად, 1979 წლის საწყისი ბაზიდან მთელი მოსახლეობის ერთი წლით „გადანაცვლებისას,“ საჭიროა გამოვითვალოთ ამ წლის განმავლობაში (1979 წ.) ახალდაბადებულთა რიცხვი, ხოლო ორი წლით გადანაცვლებისას კი უკვე 1979 და 1980 წლების განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე ეხება ამა თუ იმ წლისათვის შობადობის მომავალი რიცხვის განსაზღვრას.

ქვეყანაში დაბადებულთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება ქალთა შობადობის არსებული ასაკობრივი დონითა და ამა თუ იმ ასაკობრივ ჯგუფში ქალების რიცხვით.



ნახ. 1 მოსახლეობის პერსპექტიულ გაანგარიშებათა სქემა „ასაკთა გადანაცვლების“ მეთოდით

მაშასადამე, თუ გადავამრავლებთ ამა თუ იმ ბავშვთაშორის ასაკობრივ ჯგუფში მყოფ ქალთა რიცხვს შობადობის შესაბამის ასაკობრივ მაჩვენებლებზე,⁴⁰ რომლებიც სხვა არაფერია თუ არა შესაბამისი ჯგუფის 1000 ქალზე დაბადებულთა საშუალო რიცხვი, მივიღებთ ამ ასაკობრივ ჯგუფში დაბადებულთა საერთო რიცხვს, ხოლო ამ რიცხვების ჯამით კი ქვეყანაში დაბადებულთა რაოდენობას.

გაანგარიშებათა არსი ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე (იხ. ცხრილი 5), რისთვისაც ვისარგებლოთ რსფსრ-ში 1959 წლის 15 იანვარს ბავშვთაშობის ასაკში მყოფი ქალთა რიცხვის შესახებ მონაცემებით და 1958–1959 წლებში ამ რესპუბლიკის შობადობის ასაკობრივი მაჩვენებლებით.⁴¹

სულ ერთ წელიწადში რსფსრ-ს ქალებს შეეძინებათ 2,7 მლნ. ბავში, მათ შორის დაახლოებით 1,4 მლნ. ბიჭი და 1,3 მლნ. გოგო. სწორედ ეს იქნება ის „ნულოვანი“ ჯგუფი, რომელიც უკვე

⁴⁰ ჩვენს ქვეყანაში მიღებულია მას მივაკუთნოთ ქალები 15-დან 49 წლამდე ასაკებში.

⁴¹ დავუმატებთ, რომ 15 წლამდე ასაკის ქალთა შობადობის შედარებით არცთუ მრავალრიცხოვანი შემთხვევები მიეკუთვნება 15-დან 19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო 50 წელზე მეტი ასაკის კონტინგენტისა კი უფრო ხშირად, 45-დან 49 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს.

ცხრილი 5

გაჩენათა მომავალი რიცხვის გაანგარიშება

ქალთა ასაკობრივი ჯგუფები (წელი)	ქალთა რიცხვი თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში (ათასობით)	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები (%)	გაჩენათა საერთო რიცხვი (ათასობით)
15-19	4 474	28,4	127
20-24	5 758	157,9	909
25-29	5 340	156,4	835
30-34	6 052	101,9	533
35-39	3 949	57,7	228
40-44	3 821	19,9	76
45-49	4 485	3,0	13
სულ 15-49 წ. ასაკ.	33 879	–	2 721

მაჩვენებლის საშუალებით შეიძლება შემდეგ ასაკებში „გადავანაცვლოთ.“

მაგრამ შობადობის და მოკვდაობის ასაკობრივი დონეები დროში იცვლება. ეს ცვლილებები თავს იჩენს სსრკ-ში შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების სიდიდეებშიც (ცხრილი 6) და ??? მაჩვენებლის დინამიკაშიც.

სსრკ-ის ქალთა შობადობის ასაკობრივი მაჩვენებლები
1938-1982 წლებში, ‰-ით

ღედის ასაკი (წელი)	1938-1939	1958-1959	1982-1983
15-49	139,5	88,7	76,0
მათ შორის:			
15-19	32,8	29,2	41,6
20-24	214,4	162,2	184,6
25-29	230,6	164,8	133,3
30-34	183,5	110,1	72,5
35-39	131,7	66,6	32,3
40-44	68,1	24,1	8,0
45-49	19,0	5,0	1,1

1982-1983 წლებში, 24 წელზე უფროსი ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის შობადობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შემცირდა, როგორც ომამდელ წლებთან, ასევე 1958-1959 წლებთან შედარებით. 15-დან 24 წლამდე ასაკებში მათი რამდენადმე ზრდა, დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა, ხელსაყრელი სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების შედეგად პირველი რიგითობის ბავშვების გაჩენის რიცხვის ზრდასთან – ახალგაზრდების შედარებით დიდ რიცხვთან, აგრეთვე პირველ ქორწინებაში შესვლის ასაკისა და პირველ და მეორე გაჩენებს შორის ინტერვალების შემცირებასთან.

მთლიანობაში „ასაკობრივი გადანაცვლება“ საშუალებას იძლევა მივიღოთ მოსახლეობის მომავალი რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შეფასება, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის. მაგრამ პრაქტიკაში ამ მეთოდის გამოყენება ზოგიერთი პრობლემის გამო გართულებულია.

ჯერ ერთი, შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა დონეები (ჩვენს შემთხვევაში P_x სიდიდე და ბავშვთაშობის ასაკის ქალთა შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები) ცვალებადია დროში და რაც უფრო დიდია პერიოდი, რომლისთვისაც იანგარიშება პროგნოზი, მით უფრო ძლიერად შეიძლება იცვლებოდეს ისინი.

მეორეც, ეს მეთოდი დაფუძნებულია ვარაუდზე, რომ მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა იცვლება მხოლოდ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პროცესთა გავლენით. მაგრამ „ჩაკეტილი“ მოსახლეობის ჰიპოთეზა მართლზომიერია ჩვენი ქვეყნისათვის მხოლოდ მთლიანობაში, ხოლო მისი ცალკეული ნაწილებისათვის (რესპუბლიკა, ოლქი, მხარე) მიგრაცია ხშირად მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ვიდრე ბუნებრივი მატება. ასე მაგალითად, რსფსრ-ში 1973 წელს მოსახლეობის 1 992 ათასი კაცით საერთო მატებიდან ბუნებრივი მატების წილად მოდიოდა 40%, ხოლო მიგრაციული მატების წილი კი 60%-ს შეადგენდა. ამის გამო მოსახლეობის მომავალ რაოდენობასა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობაზე, მიგრაციის გავლენის გათვალისწინება წარმოადგენს რეგიონული დემოგრაფიული პროგნოზების მნიშვნელოვან კომპონენტს, და ამაშია მათი არსებითი განსხვავება მთელი ქვეყნისათვის გაკეთებული პროგნოზისაგან.

მიგრაციაზე შესწორებების შემოღება ყველაზე ხშირად მიიღწევა „გადანაცვლების“ გზით მიღებულ მოსახლეობის ახალი ყოველწლიური რაოდენობის, ე.ი. შობადობისა და მოკვდაობის გამთვალისწინებელი პროგნოზის, გადამრავლებით მიგრაციის საღდოს – სხვაობა შემოსვლისა და გასვლის კოეფიციენტებს შორის საშუალოდ შესაბამისი ასაკის 1000 კაცზე – შესაბამის ასაკობრივ კოეფიციენტებზე.

ამრიგად, ამოცანა მდგომარეობს მოსახლეობის ყველა წინასწარ „გადანაცვლებულ“ ასაკობრივ ჯგუფში მიგრაციაზე შესწორების შეტანაში. მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებით (მოსახლეობის ე.წ. შემოსვლისა და გასვლის ტალონების დამუშავება) შეიძლება დავიანგარიშოთ მოცემულ რეგიონში ცალკეულ პერიოდებში შემოსულთა ან გასულთა რიცხვი. ამ მონაცემებით, შეიძლება გამოვიანგარიშოთ მოსულთა და წასულთა საშუალო რიცხვი მოსახლეობის 1000 სულზე, აგრეთვე ამ სიდიდეებს შორის სხვაობა, რომელსაც მიგრაციის სალდოს კოეფიციენტს უწოდებენ. ამ მაჩვენებელს (სალდოს) შეიძლება ჰქონდეს „+“ ნიშანი, თუ მოსულთა კოეფიციენტი მეტია წასულთა კოეფიციენტზე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში კი „-“ ნიშანი.

მიგრაცია ცვლის მოსახლეობის არა მარტო რიცხოვნობასა და სქესობრივ-ასაკობრივ შემადგენლობას. მისი გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე გაცილებით უფრო რთულია. ასე მაგალითად, როცა ქალაქში ჩამოდიან სოფლის მცხოვრებნი, რომლებიც ორიენტირებული არიან ოჯახში ბავშვთა უფრო მეტ საშუალო რიცხვზე, ვიდრე ქალაქელები, მაშინ ამან ქალაქებშიც შეიძლება გამოიწვიოს შობადობის რამდენადმე ზრდა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მიგრანტთა არა მარტო საერთო რიცხვი, არამედ მათი რეპროდუქციული ქცევაც, მათი, ცხოვრების ახალ პირობებთან, ადაპტაციის (შეგუების) შესაძლებლობები.

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას, განსაკუთრებით გრძელვადიანი (ორი-სამი დემოგრაფიული თაობით) პროგნოზირებისას, წარმოადგენს განსახლების პერსპექტიული გაანგარიშებისათვის აუცილებელი შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციის დონეებისა და მათი შესაბამისი მაჩვენებლების განსაზღვრა. მოსახლეობის გრძელვადიანი პროგნოზირების ძირითად პრობლემას სწორედ დემოგრაფიული

პროცესების პერსპექტიული ცვლილების უტყუარი ჰიპოთეზის შემუშავება წარმოადგენს. დემოგრაფიული პროცესების არასწორი ჰიპოთეზის დროს თავად პერსპექტიულ გაანგარიშებათა მეთოდის სიზუსტე, წინააღმდეგობაში მოვა მომავალი დემოგრაფიული მოვლენის მიახლოებით შეფასებასთან. ჩვენც სწორედ ამ პრობლემაზე შევჩერდებით.

დემოგრაფიული პროცესების მომავლის შესახებ ჰიპოთეზის შემუშავებისას აუცილებელია ამ პროცესთა ინტენსივობის ცვლილებათა გენერალური ტენდენციების გათვალისწინება. შობადობის სფეროში, უწინარეს ყოვლისა, ეს არის მცირეშილიან ოჯახებში ბავშვთა გეგმიურ რიცხვსა და გაჩენებს შორის ინტერვალების დაგეგმვაზე გადასვლის აუცილებლობა.⁴² გადასვლის ვადები, პროპორციები და ტიპები განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყნის (ან მისი ნაწილის) ისტორიული პირობების სპეციფიკურობით, მაგრამ პრინციპში ეს გარდაუვალი პროცესია. აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: შობადობის როგორი დონეა სასურველი სოციალისტური საზოგადოებისათვის შორეულ პერსპექტივაში, რა დონისძიებებით და რამდენად შეიძლება გეგმაზომიერად ვიმოქმედოთ, ვმართოთ შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის პროცესები მთლიანად? სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე ეხება დემოგრაფიული პოლიტიკის პრობლემებს.

გენერალური ტენდენცია, მოსახლეობის მოკვდაობის დონის ცვლილების სფეროში, უფრო სწორად, რომ ვთქვათ, სიცოცხლის ხანგრძლივობის დონის ცვლილებაში, მდგომარეობს მის ზრდაში, როგორც ვაუბში, ასევე ქალებში. ეს ტენდენციები კვლავ განსხვავებულია რეგიონულ ჭრილში, რაც დამოკიდებულია მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის ისტორიაზე, სამედიცინო

⁴² ამ მოვლენის მიზეზებზე წიგნის IV თავშია საუბარი.

მომსახურების დონეზე, საყოფაცხოვრებო და კლიმატურ პირობებზე, ეკონომიკის დარგების მიხედვით მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურასა და რიგ სხვა ფაქტორებზე. მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ტენდენცია, თანაც სწორედ ტენდენცია, დამახასიათებელია სსრკ-ის მოსახლეობისათვის, სადაც პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

როგორია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის რეალური რეზერვები, თუ გამოვალთ ამ მაჩვენებლის დემოგრაფიაში მიღებული გაგებიდან? ამ პერსპექტივების შეფასებისას არ არის საჭირო მეტისმეტი ოპტიმისტობა, მაგრამ არ შეიძლება მომავლის მხოლოდ შავ ფერებში დანახვაც. თუკი გამოვალთ სამედიცინო მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონიდან, ე.ი. მისი ახალი შესაძლო მიღწევების გავლენის გაუთვალისწინებლად, მაშინ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ასეთი ზღვარი შეიძლება იყოს ვაჟებისათვის 74-75 წელი, ხოლო ქალებისათვის 78-80 წელი. ბ.ც.ურლანისის შეფასებით სიცოცხლის ბიოლოგიური ხანგრძლივობა შეადგენს 80 წელს ვაჟებისათვის და 88 წელს ქალებისათვის. რა თქმა უნდა, ამ ზღვრის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ ფაქტორებს.

მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებათა პერსპექტიული განვითარება ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების ხასიათთან. პარტიის გადაწყვეტილებით დასახული, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალთა დაჩქარებული განვითარება გამოიწვევს ქვეყნის ამ რაიონებში მოსახლეობის მიგრაციის ზრდას. შორეულ პერსპექტივაში გაიზრდება შუა აზიის რესპუბლიკების მკვიდრი მოსახლეობის მოძრაობაც. სკკპ-ის ცკ-ის (1982) მაისის

პლენუმის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის რეალიზაციასთან ერთად შეიძლება შეიცვალოს მიგრაციული ნაკადების, სოფელი-ქალაქი, მიმართულებაცა და მოცულობაც. პერსპექტივაში ჩვენს ქვეყანაში შეიძლება ველოდეთ მიგრაციის ინტენსივობის ზრდას, და ამას ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ტერიტორიული განსხვავებულობის გათანაბრება.

რაც შეეხება ქორწინებისა და განქორწინების პროცესთა განვითარებას, განსაკუთრებით განქორწინებათა რიცხვის დინამიკასთან დაკავშირებით, ისინი დიდად იქნება დამოკიდებული საზოგადოების მიერ ოჯახისა და ქორწინებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებაზე. თუმცა ეს პროცესები თავისთავად არაერთგვაროვანია.

როგორია მეთოდები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება დემოგრაფიული მოვლენების მომავალი დონის შესაფასებლად? ზოგადად შეიძლება გამოვყოთ შემდგომი მიდგომები. ჯერ ერთი, ესაა ე.წ. ექსპერტული შეფასების მეთოდი. იგი დაფუძნებულია იმაზე, რომ მოვლენის მომავალ დონედ აიღება კვალიფიციური სპეციალისტების შეფასებანი, რომლებიც თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ დემოგრაფიული მოვლენის მახასიათებლებს პერსპექტივაში. სამწუხაროდ, ეს ხერხი, თუნდაც საქმე სპეციალისტების გასაშუალებულ მოსაზრებებს შეეხებოდეს, განიცდის სუბიექტურ გავლენას. რიგ შემთხვევაში გამოკითხული სპეციალისტები შეიძლება ორიენტირს იღებდნენ არა რეალურ ტენდენციებზე, არამედ იმაზე, რაც სასურველია, რომ იყოს. მიუხედავად ამისა, ეს მეთოდი შეიძლება სასარგებლო იყოს.

მეორე მეთოდია – ექსპრაპოლაციის ხერხების გამოყენება, ე.ი. არსებული ტენდენციების მომავალზე გავრცელება. მაგრამ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა სრულიად

დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში არ მოხდება ტენდენციების „გარდატეხა,“ მათი ხარისხობრივი ცვლილებები. ასეთი ცვლილებები კი, როცა მაგალითად ხდება სწრაფი (ისტორიულ ასპექტში) გადასვლა მრავალშვილიანობიდან მცირეშვილიან ოჯახებზე, სავსებით შესაძლებელია. ერთ-ერთი ცნობილი ფიზიკოსი დ.ტომსონი, რომელიც სკეპტიკურად აფასებდა ამ მეთოდის შესაძლებლობებს, წერდა: „... ტენდენციების ექსტრაპოლაცია წინასწარმეტყველების განსაკუთრებით საშიშ მეთოდს წარმოადგენს.“⁴³ მაგრამ დემოგრაფიული მაჩვენებლების ცვლილებათა ტენდენციის მდგრადობის შემთხვევაში, ექსტრაპოლაციის მეთოდს გარკვეული შედეგების მოცემა შეუძლია, განსაკუთრებით მცირე პერიოდებისათვის.

დემოგრაფიული პროცესების პროგნოზირებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ე.წ. ანალოგიების მეთოდი. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ მიიჩნევა, რომ დემოგრაფიულ მაჩვენებელთა ცვლილების კანონზომიერებები ქვეყნის ერთ ნაწილში ისეთივე იქნება, როგორც იმ ნაწილში, სადაც ეს პროცესი უკვე დასრულდა. მაგრამ აქ მთავარია ანალოგის არჩევის პრობლემა, ე.ი. იმ ზღვარისა, რომლის მიღწევასაც ვისახავთ მიზნად გაანგარიშებებში.

ბოლო დროს დემოგრაფიული პროცესების მომავალი ტენდენციის განსაზღვრისას ხშირად გამოიყენება მათემატიკური მოდელები, რომლებიც რიგ შემთხვევაში საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ დემოგრაფიული მოვლენების ინტენსივობაზე მოქმედი, დროში ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა.

ახლა შევჩერდეთ დემოგრაფიული პროგნოზირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და შედარებით ნაკლებად შესწავლილ – მათი სიზუსტის შეფასების, – პრობლემაზე. ცნება „პროგნოზის სიზუსტე“ საკმაოდ რთულია. იგი არ უნდა გავიგოთ მხოლოდ, როგორც მთელი

⁴³

., 1958, . 148.

მოსახლეობის, ასევე ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების პროგნოზული და ფაქტიური რაოდენობის, ერთი კაცის სიზუსტით დამთხვევა. ეს შეუძლებელია, რადგანაც არსებობს დემოგრაფიული მოვლენების შემთხვევითი ვარიაციები, და თავის თავადაც პროგნოზის ასეთი სიზუსტე არაა საჭირო ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვისათვის. თვით ისეთი საგულდაგულოდ მომზადებული დემოგრაფიული ოპერაცია, როგორცაა მოსახლეობის აღწერა, შეიძლება იძლეოდეს მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას 1%-მდე და ზოგჯერ კი მეტ შეცდომასაც. ასე მაგალითად, აშშ-ის 1970 წლის მოსახლეობის აღწერა მოსახლეობის 2,5%-ის აღურიცხაობით ჩატარდა. ამიტომ როცა მოსახლეობის რიცხოვნობა, თუნდაც მოსახლეობის აღწერის მასალებში, ერთი კაცის სიზუსტით ქვეყნდება, ეს უფრო ტრადიციებისადმი ხარკის გადახდაა, ვიდრე ნამდვილი შედეგი. მაგრამ არ შეიძლება მოსახლეობის პროგნოზის შედეგიანობა შეფასდეს მოსახლეობის საერთო რაოდენობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურების შესაფასებელი და რეალური რიცხოვნობის მხოლოდ საბოლოო თარიღისათვის შედარებით. ახლოს უნდა იყოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობისა და დემოგრაფიული სტრუქტურების რეალური და საპროგნოზო რაოდენობები, პროგნოზის „შუალედური პერიოდებისთვისაც.“ არის ისეთი სიტუაცია, განსაკუთრებით გრძელვადიანი პროგნოზირებისას, როცა ერთ პერიოდში ისტორიული პირობების გავლენით მოსახლეობის ფაქტიური რიცხვი შეიძლება საპროგნოზოზე მეტი აღმოჩნდეს, მეორეში – საპროგნოზოზე ნაკლები, ხოლო გარკვეულ პერიოდში გადახრათა ეს სხვადასხვა მიმართულებანი ურთიერთ გადაიფარება, და საბოლოო პერიოდისათვის პროგნოზის სიზუსტე საკმაოდ მაღალი გამოდის. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ „შუალედურ პერიოდებში“ საპროგნოზო მონაცემების ფაქტიურიდან გადახრა უკვე მოწმობს

პროგნოზის დაზუსტების აუცილებლობას, ე.ი. ხელს უწყობს გარკვეული გადაწყვეტილების მიღებას, რომლებიც მიმართულია მაგალითად, შობადობის სტიმულირებისაკენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე ეხება პროგნოზის აქტიურ ფუნქციას.

მაგრამ არაა საკმარისი უბრალოდ ვისაუბროთ პროგნოზის სიზუსტის შეფასების პრინციპებზე, ყოველთვის სასურველია შეფასდეს მისი შესაძლო უტყუარობა გაანგარიშების მომენტში, ე.ი. მის „რეალიზაციამდე.“ სტატისტიკის თეორიაში არის მიღებული ჰიპოთეზათა უტყუარობის შეფასების რიგი მეთოდები.

უპირველეს ყოვლისა, ესაა, მოსახლეობის კვლავწარმოების ტენდენციის მიღებული ჰიპოთეზათა შემოწმება, პროგნოზის რომელიმე „შუალედური პერიოდის“ მიღწევის შემდეგ, რეპროსპექტული ანუ უკუ თვლით. მაგალითად, თუ პროგნოზი იანგარიშება 1970 წლის ბაზით 2000 წლამდე, მაშინ 1980 წლის მონაცემების ქონის შემთხვევაში შეიძლება მოსახლეობის რაოდენობის „გადანაცვლება“ 1970 წლისაკენ. თუ რეალურად მიღებული, და ასეთი მეთოდით გადაანგარიშებული მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაშინ აუცილებელია შევისწავლოთ ამ განსხვავებათა მიზეზები, პირველ რიგში კი თვით დემოგრაფიულ პროცესთა ცვლილების ჰიპოთეზის უტყუარობა, და შევიტანოთ შესაბამისი შესწორებები.

ამოცანის გადაწყვეტის მეორე გზა დაფუძნებულია პროგნოზთა ვარიანტების განსხვავებულობის ხარისხის შეფასებაზე. თვით დემოგრაფიული პროცესთა ინტენსივობის ცვლილების ერთიანი საერთო მიმართულების დროსაც კი შესაძლებელია, კვლავწარმოების ხარისხობრივად ერთიანი ტიპის პირობებში, შობადობისა და მოკვდაობის რაოდენობრივად განსხვავებული ჰიპოთეზების მიღება, მაგალითად განსაზღვრული წლისათვის ამოწურული შობადობის მაჩვენებლის – ამა თუ იმ რეალურ თაობაში 50 წელს მიღწეულ ერთ

ქალზე ბავშვთა საშუალო რიცხვი – 2,5-ის, ან 2,7-ის, ან 3,0-ის მიღწევა. თეორიულად რაც უფრო ნაკლებია განსხვავება მოსახლეობის საერთო რაოდენობის პროგნოზთა ვარიანტების „უკიდურესობებს“ შორის, სხვა თანაბარ პირობებში მით უფრო ნაკლებია პროგნოზის შეცდომა. მაგრამ ასეთი მიდგომა შესაძლებელია მაშინ, როცა უკვე ჩამოყალიბებულია მოსახლეობის კვლავწარმოების ერთიანი ტიპი, ე.ი. მაგალითად, დასრულდა მცირეშვილიან ოჯახებზე მასიურად გადასვლა.

პრაქტიკულად როგორ იანგარიშება სსრკ-ისა და მისი ცალკეული ნაწილების მოსახლეობის პროგნოზები? ჩვენს ქვეყანაში ამ გაანგარიშებებს ატარებს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები (სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები) და სსრკ-ის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტები. ჩვეულებრივ დემოგრაფიული პროცესების მომავალი ტენდენციების განსაზღვრის შემდეგ პროგნოზის ყოველწლიური (ან ხუთწლიანი) „ბიჯისათვის“ აირჩევა შობადობის შესაბამისი ასაკობრივი კოეფიციენტები, „გადასანაცვლებლად“ საჭირო მაჩვენებლის P_x – „გადასანაცვლების“ კოეფიციენტები და მიგრაციის საღდოს ასაკობრივი კოეფიციენტები ქვეყნის თითოეული მსხვილი რეგიონისათვის, უფრო ხშირად კი მოკავშირე რესპუბლიკებისათვის.

ჩვეულებრივ, პროგნოზის საწყის ბაზას წარმოადგენს უკანასკნელი აღწერის მასალებით მიღებული მონაცემები მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ. გაანგარიშებები კეთდება ცალ-ცალკე ვაჟებისა და ქალებისათვის.

პროგნოზთან ერთად მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემთა საფუძველზე დგება მიგრაციის პერსპექტიული ბალანსი,

რომელშიც გამოიყენება ქვეყნის, რესპუბლიკებისა და ოლქების (მხარეების) მიხედვით საწარმოო ძალთა განვითარების გეგმები.

პრაქტიკაში ეს გაანგარიშებანი კეთდება მთლიანად ქვეყნისა და რეგიონებისათვის ცალ-ცალკე. რეგიონული პროგნოზები იანგარიშება ორ ეტაპად. პირველზე თავდაპირველად ხდება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის არსებულ მონაცემთა საფუძველზე შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა „გადანაცვლება.“ ამ „გადანაცვლების“ ყოველი „წლიური ბიჯის“ შედეგად მიღებულ მონაცემებში შეგვაქვს შესწორება მიგრაციაზე მისი სალდოს ასაკობრივი კოეფიციენტების მეშვეობით. შემდგომში ქვეყნის ცალკეულ ნაწილთა პროგნოზები უთანხმდება ერთმანეთს, ან როგორც ზოგჯერ ამბობენ „გადაინასკვება“ მთელი ქვეყნის ერთიან პროგნოზად. არსებული შედეგები სისტემატურად უდარდება მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ცვლილების რეალურ ტენდენციებს და ამის საფუძველზე ზუსტდება და კორექტირდება.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ოჯახის მომავალი რიცხოვნობის პროგნოზები, პერსპექტივაში მათი შვილიანობის მიხედვით განაწილება. პროგნოზთა მეთოდოლოგია ჯერ კიდევ არ არის ისე დეტალურად დამუშავებული, როგორც მოსახლეობის საერთო რაოდენობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის მომავალი რიცხოვნობის გაანგარიშებანი. ამ საკითხებზეც საწყისი ინფორმაცია ასევე ძალიან შეზღუდულია, განსაკუთრებით ოჯახის ტიპების მიხედვით განაწილება, სსრკ-ისა და ქვეყნის რეგიონების მიხედვით.

პრინციპში განსხვავებული ტიპის ოჯახთა მომავალი რიცხოვნობის განსაზღვრა შეიძლება სხვადასხვა ხერხით. მათ შორის ყველაზე უმარტივესია (და ნაკლებად ზუსტი) – ექსტრაპოლაციის მეთოდი, ე.ი.

იმის ვარაუდი, რომ სხვადასხვა ტიპის ოჯახთა რიცხოვნობა მომავალში ისეთივე ტემპებით შეიცვლება, როგორც წარსულში.

მაგრამ ასეთი ვარაუდები მართლზომიერი შეიძლება მხოლოდ შედარებით ხანმოკლე პერიოდისათვის იყოს. ხანგრძლივისათვის აუცილებელია შობადობისა და მოკვდაობის პერსპექტივების, ასევე დემოგრაფიული პოლიტიკის შესაძლო გავლენის გათვალისწინება და პროგნოზების ამის საფუძველზე გაანგარიშება.

დემოგრაფიული პროგნოზები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იანგარიშება. მათ სისტემატურად აქვეყნებს გაერო,⁴⁴ რომლის ექსპერტებმაც ბევრი გააკეთეს მსგავსი გაანგარიშების მეთოდის სრულყოფისათვის, განსაკუთრებული დემოგრაფიული პროცესების ხასიათზე საიმედო ინფორმაციის არ ქონის პირობებში, რაც მეტად მნიშვნელოვანია რიგი განვითარებადი ქვეყნებისათვის. ეს პროგნოზები ზუსტდება და გადაისინჯება ხოლმე. ერთ-ერთი უკანასკნელი კრებსითი პუბლიკაცია 1981 წელს გამოვიდა, იგი ძირითადად სხვადასხვა ქვეყანაში 1980 წლის ახლო პერიოდებში ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებზეა დაფუძნებული.

ჩვეულებრივ გაერო-ს პროგნოზები შობადობის მომავალი ტემპების ცვლილების ჰიპოთეზებზე დაყრდნობით დგება სამ ვარიანტად, რომლებსაც პირობითად შეიძლება დავარქვათ „მცირე“, „საშუალო“ და „დიდი“, სადაც „საშუალო“ ყველაზე უფრო სავარაუდოდ ითვლება. დიდი ხნის განმავლობაში ეს პროგნოზები იანგარიშებოდა 2000 წლამდე, ხოლო ბოლო ვარიანტში – 2025 წლამდე. მოვიყვანოთ 1981 წელს გამოცემული გაერო-ს პროგნოზის „საშუალო“ ვარიანტის მონაცემები მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკის შესახებ (ფაქტიური და პროგნოზული).

⁴⁴ გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (მთარგმნელის შენიშვნა).

თუ 1000-დან 1900 წლამდე (ე.ი. დაახლოებით 40 დემოგრაფიული თაობა) დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობა 5,8-ჯერ გაიზარდა, მაშინ მარტო XX ასწლეულში (დაახლოებით ოთხი თაობა) პლანეტაზე მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 3,8-ჯერ, ხოლო 2025 წლისათვის, ე.ი. ხუთი თაობის განმავლობაში, იგი 5,1-ჯერ გაიზრდება.

მოსახლეობის ზრდის ტემპების ასეთი დაჩქარების ძირითადი მიზეზი გახდა მოვლენა, რომელმაც მიიღო უფრო ხატოვანი, ვიდრე ზუსტი დასახელება – „დემოგრაფიული აფეთქება.“ მისი არსი მდგომარეობს ისტორიულად მოკლე პერიოდში, ჩვენი საუკუნის 50-60-იან წლებში, კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპების სწრაფ მატებაში. ასე მაგალითად, თუ 1920-დან 1930 წლამდე, ინდოეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 11,0%-ით გაიზარდა, უკვე 1960-დან 1970 წლამდე პერიოდში კი – 25,7%-ით, რაც მოხდა მაღალი შობადობის შენარჩუნების პირობებში მოკვდაობის სწრაფი შემცირების ხარჯზე.

იმის გამო, რომ მოსახლეობის ასეთი დაჩქარება იწვევდა ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ცხოვრების დონის ზრდაში დამატებითი სიძნელეების გაჩენას, გაჩნდა განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის უამრავი რეცეპტი, მაგრამ მხოლოდ „დემოგრაფიული გზით,“ ე.ი. შობადობის დონის შემცირების ხარჯზე.

საბჭოთა დემოგრაფები ყოველთვის თვლიდნენ, და ცხოვრებამ ეს თვალსაზრისი დაადასტურა, რომ სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გარეშე შეუძლებელია მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირება, რადგანაც დემოგრაფიულ მოვლენათა ინტენსივობა საბოლოო ჯამში განისაზღვრება საზოგადოების სოციალური

დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა

	წლები													
	1000	1500	1650	1800	1850	1900	1920	1940	1950	1960	1970	1980	2000	2025
დედამიწის მოსახლეობის საერთო რაოდენობა (mln. kaci)	275	446	545	906	1171	1608	1790	2295	2525	3037	4432	5342	6119	8195
იგივე %-ით (1900=100%)	17,1	27,7	33,9	56,3	73,8	100,0	135,2	142,7	157,0	188,7	275,6	369,5	380,5	509,6

სტრუქტურისა და მისი ეკონომიკის განვითარებით.⁴⁵

მაგრამ როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, დემოგრაფიული განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივები უფრო რთულია, ვიდრე წარმოგვიდგენია. სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა განვითარების შესაბამისად ოჯახის ცხოვრებისეულ ფასეულობათა სისტემის შეცვლისას შეიძლება ველოდეთ, მოსახლეობის ზრდის მუდმივად დაბალ ტემპებს, ზოგ შემთხვევაში კი შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა პრაქტიკულ ტოლობას.

ეს არ ნიშნავს, რომ იმ წუთში შეწყდება მოსახლეობის მატება, და დადგება, როგორც ზოგჯერ ამბობენ „ნულოვანი მატება.“ აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი დასავლელი ეკონომისტისა და დემოგრაფის შრომებში, „ნულოვანი მატების“ მიღწევა განიხილებოდა როგორც პანაცეა ყველა სოციალური და ეკონომიკური პრობლემისათვის, მათ შორის როგორც უმუშევრობის შემცირების მნიშვნელოვანი ღონისძიება. გასაგებია, რომ ასეთ მიდგომას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც უმუშევრობის ზრდა განისაზღვრება კაპიტალიზმის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებით, და არა დემოგრაფიული ფაქტორებით.

უკვე იყო საუბარი სსრკ-ის ე.წ. დემოგრაფიული ზრდის პოტენციალზე. იგი საკმაოდ მაღალი აქვს რიგ განვითარებად ქვეყნებსაც. ასე მაგალითად, 70-იანი წლების დასაწყისში ის შეადგენდა დაახლოებით 1,9 ბანგლადეშისათვის, 1,8 – მექსიკისა და ბრაზილიისათვის, 1,7 – ინდოეთისათვის. ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, თუკი ინდოეთში „ნულოვანი მატების“ მაჩვენებლები ჩამოყალიბდებოდა 1970 წელს, ე.ი. შობადობისა და მოკვდაობის პროცესთა ინტენსივობა გათანაბრდებოდა, მაშინ მხოლოდ ასაკობრივი სტრუქტურის შესაძლებლობების ხარჯზე ამ ქვეყნის მოსახლეობას შეეძლო

⁴⁵ ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: 1978;

.. 1978.

გაზრდილიყო 550-დან 920 მლნ. კაცამდე. რა თქმა უნდა, ეს პირობითი მაგალითია, მაგრამ იგი საკმაოდ თვალსაჩინოდ გვიჩვენებს „ზრდის პოტენციალის“ ზემოქმედების ხარისხს. ამიტომ, იმისათვის, რომ ეს პოტენციალი „გამომუშავდეს“ აუცილებელია რამდენიმე დემოგრაფიული თაობის სიგრძის ტოლი ხანგრძლივი პერიოდი. ხანმოკლე პერსპექტივაში, შობადობის შემცირების ხარჯზე მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაციის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.

მთლიანობაში კი გაეროს ექსპერტთა გაანგარიშების ერთ-ერთი ვარიანტით, დედამიწის მოსახლეობის ზრდა სტაბილიზირდება XXI საუკუნის ბოლოს, დაახლოებით 12,0-13,0 მლრდ. კაცის დონეზე. რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ პირობითი შეფასებაა, მაგრამ იგი გვიჩვენებს, რომ დედამიწის მოსახლეობის ზრდის ტემპები უსაზღვრო არაა.

გავისხენოთ, რომ 100-ზე მეტი წლის წინ ფ.ენგელსი კ.კაუცკისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „კაცობრიობის რიცხოვნობის ისეთი ზრდის აბსტრაქტული შესაძლებლობა, რომელიც გამოიწვევს აუცილებლობას, რომ ამ ზრდას ზღვარი დაედოს, რა თქმა უნდა, არსებობს. მაგრამ თუკი კომუნისტური საზოგადოება იძულებული იქნება არეგულიროს ადამიანების წარმოება, ისევე როგორც მანამდე უკვე დაარეგულირებს ნივთების წარმოებას, მაშინ ის, და მხოლოდ ის, შეძლებს შეარულოს ეს სიძნელების გარეშე.“⁴⁶

დემოგრაფიული პროგნოზების შემუშავება წარმოადგენს დემოგრაფიულ გამოკვლევათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. აქ ბევრის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით შობადობისა და მიგრაციის ტენდენციების პროგნოზირებისა და რეგიონული დემოგრაფიული პროგნოზების დამუშავების ხერხების მეთოდის განვითარების სფეროში.

⁴⁶ „... 35, . 124.

თავი IV

სსრკ-ის მოსახლეობა გუშინ, დღეს, ხვალ

25 წელზე ცოტა მეტი გავიდა (1957 წ.), როცა სსრკ-ში მოსახლეობის რაოდენობამ გადააჭარბა 200 მლნ.-ს, ხოლო უკვე 1985 წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 276,3 მლნ. მცხოვრები. რუსეთის იმპერიის პირველი (და უკანასკნელი) 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, რომელმაც საშუალება მისცა, რომ მიეღოთ ცნობები ქვეყნის მთელი მოსახლეობის შესახებ, იგი შეადგენდა 124,6 მლნ. კაცს.

მცირე მოცულობის ნაშრომში შეუძლებელია სსრკ-ის მოსახლეობის მრავალი წლის განვითარების ისტორიის გადმოცემა. ამიტომ შევეცდებით ეს შემთხვევები ვაჩვენოთ ფრაგმენტულად, ე.ი. მოსახლეობის სურათი წარსულში, მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე „შუალედური ეტაპების“ გარეშე.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა წარსულში

ინფორმაციის საიმედო წყაროების არ არსებობის გამო ძნელია რამდენადმე საიმედო მონაცემების მოყვანა წარსულში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. მოვიყვანოთ „სტატისტიკამდელი“ პერიოდის რუსეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობა საბჭოთა მკვლევარების შეფასებების მიხედვით.

ამავე შეფასებით ჩვენი ათასწლეულის დასაწყისში (1000 წ.) დედამიწის მოსახლეობა შეადგენდა 275–305 მლნ. კაცს, და 1900 წელს კი – 1608–1655 მლნ. კაცს.

რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა⁴⁷

	წლები						
	0	1000	1500	1650	1800	1850	1900
მოსახლეობის რიცხოვნობა (მლნ. კაცი)	5	10	15	20	50	75	130

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ჩვენი ათასწლეულის პირველ ასწლეულებში (1000-1500 წ.წ.) რუსეთის მოსახლეობა იზრდებოდა უმნიშვნელოდ. მტრული თავდასხმები, შიმშილი, ეპიდემიები იწვევდა იმას, რომ მოსახლეობის რაოდენობა 500 წლის განმავლობაში იზრდებოდა ძალიან ნელა. და მხოლოდ დაახლოებით 1650 წლიდან დაწყებული, როცა ქვეყანაში აღარ იყო მასიური გამანადგურებელი თავდასხმები და ეპიდემიები, მოსახლეობამ თანდათანობით დაიწყო ზრდა, ხოლო XIX საუკუნისთვის, განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში, ზრდის ეს ტემპები საკმაოდ მაღალი გახდა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე გვაქვს დემოგრაფიულ მაჩვენებელთა შეფასებები, რომლებიც დაფუძნებულია გეოგრაფიულ და სამედიცინო ექსპედიციების სპეციალურ გამოკვლევათა მასალებზე, საერობო სტატისტიკის მონაცემებზე, დაბადებისა და გარდაცვალების, უფრო ზუსტად კი ნათლობის, ჯვრისწერისა და წესის აგების საეკლესიო რეგისტრაციის აქტებზე. ასეთი გამოკვლევების მასალები, რომლებიც უმეტესად მხოლოდ მოსახლეობის მცირე ჯგუფებს მოიცავს, საშუალებას იძლევა, რომ მათემატიკური მოდელირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით წარმოდგენა შეგვექმნას XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების ხასიათზე.

47

, 3- . ., 1984, . 8.

აქ საჭიროა გავაკეთოთ ერთი დაზუსტება. საქმე იმაშია, რომ ყველა, ან თითქმის ყველა ეს ცნობა, ეხება რუსეთის ევროპულ ნაწილს. რაც შეეხება შუა აზიის თანამედროვე რესპუბლიკათა ტერიტორიებს, იქ მსგავსი ინფორმაცია თითქმის არ არსებობს.

ცნობილია, რომ დემოგრაფიულ პროცესთა ხასიათი დიდად არის განპირობებული საზოგადოების სოციალური სტრუქტურითა და გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობის ხასიათით. თუ გამოვალთ რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებიდან, მაშინ ქვეყნის მოსახლეობა (თანამედროვე საზღვრებში) შეადგენდა 124,6 მლნ. კაცს, მათ შორის 15% იყო ქალაქის და 85% სოფლის მოსახლეობა. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი იყო ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენელთა მაღალი ხვედრითი წილი. აღწერაში რეგისტრირებული იყო 96,9 მლნ. გლეხი ოჯახით და 1 850 ათასი თავადი და მათი ოჯახის წევრი, 589 ათასი ქრისტიანული სამღვდელთა წარმომადგენელი და მათი ოჯახის წევრი, 343 ათასი ე.წ. მემკვიდრეობითი და პირადად საპატიო მოქალაქე და მათი ოჯახის წევრი, 281 ათასი ვაჭარი ოჯახებით.

1913 წლის შეფასებით ქვეყანაში იყო 16,3%, ანუ დაახლოებით 26 მლნ. ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენელი და მათი ოჯახის წევრი, მუშათა კლასის რიცხოვნობა (14,6%) 1913 წელს შეადგენდა დაახლოებით 23 მლნ. კაცს, ხოლო გლეხობა კი – მოსახლეობის დაახლოებით 67%-ს, ანუ თითქმის 106 მლნ. კაცს.

1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები ისე იყო დამუშავებული, რომ მუშათა კლასის, როგორც მოსახლეობის დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფის გამოყოფა მხოლოდ სპეციალურ გადაანგარიშებათა საფუძველზეა შესაძლებელი. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეძლო ვ.ი.ლენინმა. ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ აღწერის მონაცემთა

გადაჯგუფების საფუძველზე მან აჩვენა, რომ პროლეტარები და ნახევრად პროლეტარები შეადგენდნენ ქვეყნის მოსახლეობის 50,7%-ს, ანუ 63,7 მლნ. კაცს, ხოლო უღარიბესი წვრილი მეპატრონეები – 28,5%-ს, ანუ 35,8 მლნ. კაცს. რევოლუციის ბაზა გახდა სწორედ ეს სოციალური ჯგუფები, რომლებიც მთელი მოსახლეობის 79,2%-ს შეადგენდნენ.

იმავე წლებში რუსეთის მოსახლეობის უმეტესობა საჭმლის მუდმივი უკმარისობის, შიმშილის, ხშირი მოუსავლიანობისა და ეპიდემიების აფეთქებათა ძალიან მძიმე პირობებში ცხოვრობდა.

უკეთესი არ იყო, არც მუშათა პირობები, რომლებიც ცხოვრობდნენ, უფრო ზუსტად არსებობდნენ, უკიდურეს სიღატაკში, ჭუჭყსა და ანტისანიტარიაში. XX საუკუნის დასაწყისში გლეხებისა და მუშების უმრავლესობაში კვების პროდუქტების მოხმარების სტრუქტურა არ შეესაბამებოდა ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ასე, მაგალითად, 1909 წელს მოსკოვის გუბერნიის ბოგოროდის მაზრაში, ცხოველური წარმოშობის ცილების მოხმარება, ე.ი. კვების უმნიშვნელოვანესი ელემენტის მოხმარება, ერთ ადამიანზე საშუალოდ დღე-ღამეში 10,5 გ.-ს შეადგენდა, კოსტრომის გუბერნიის სერედის მაზრაში (1910 წ.) – 14,5 გ.-ს.

მოსახლეობის განათლებისა და კულტურის დაბალი დონე (1897 წლის აღწერის მონაცემებით 9-დან 49 წლამდე ასაკებში წერა-კითხვა იცოდა ქალების მხოლოდ 16,6%-მა, ხოლო სოფლად კი უფრო ნაკლებმა – 12,5%) განაპირობებდა მის დაბალ სანიტარულ კულტურასაც.

აი რას წერდა შედარებით ახლო წარსულში ახალშობილთა და დედათა ცხოვრების პირობებზე ცნობილი საბჭოთა დემოგრაფი და სოციალ-ჰიგიენისტი ს.ა.ტომილინი „...მშობიარობიდან მეორე-მესამე დღეს ის (დედა –ა.კ.) ხშირ შემთხვევაში უკვე დგება ლოგინიდან ...

ბავშვს ყოველდღე არ აბანავენ. ხშირი ტირილის დროს არც თუ ისე იშვიათად მას ყაყაჩოს თავების ნახარშით აწყნარებენ. სამი თვის ასაკიდან ძუძუს ბავშვს აძლევენ ბორშს, კარტოფილს, უმ ბოსტნეულს ... ორგანიზმის ნორმალური კვების ფუნქციები იშლება და ბავშვთა მოკვდაობის სტატისტიკა ერთით მატულობს.“⁴⁸ შევნიშნავთ, რომ აქ საუბარია უკვე ჩვენ საუკუნეში უკრაინაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგებზე.

როგორც უკვე იყო აღნიშნული დემოგრაფიული შემთხვევების რიცხვზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა. ამ პერიოდში რუსეთის მოსახლეობა ძალიან ახალგაზრდა იყო, ხოლო მოხუცთა ხვედრითი წილი კი მცირე. ასე, მაგალითად, 19 წლამდე ახალგაზრდები შეადგენდნენ მოსახლეობის 48,8%-ს, 20-59 წლისები – 44,2%-ს, 60 წლისა და მეტი ასაკისანი კი მხოლოდ – 7%-ს.

ამ წლებში მოკვდაობის სტრუქტურისა და მიზეზების შესახებ ზუსტი მონაცემები პრაქტიკულად არ არსებობს. მაგრამ შეფასებები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის, გვიჩვენებს, რომ რუსეთში ინფექციური დაავადებებით გამოწვეული მოკვდაობა გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

თუკი XX საუკუნის დასაწყისში სკანდინავიის ქვეყნებში ყვაველით გამოწვეული მოკვდაობა პრაქტიკულად ლიკვიდირებული იყო, რუსეთში იგი კლავ მაღალი რჩებოდა, ისევე როგორც სხვა ინფექციური დაავადებებით გამოწვეული მოკვდაობა. ასე მაგალითად, 1892 წელს ქოლერისაგან გარდაიცვალა არანაკლებ 300 ათასი ადამიანი, ხოლო 1910 წელს – 110 ათასი ადამიანი.

მაგრამ ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობის მცდელობის შედეგად მოკვდაობა სწრაფად შემცირდა, პირველ რიგში რუსეთის

⁴⁸

... , 1975, . 222.

ევროპულ ნაწილში, რაშიც დიდი როლი ითამაშა შედარებით ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების – ე.წ. „საერობო მედიცინის“ განვითარებამ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე თვალსაზრისით მაშინ ექიმები ძალიან ცოტა იყო: 1913 წელს ევროპულ რუსეთში ერთი ექიმი მოდიოდა 18 ათას მცხოვრებზე, ციმბირში – 24 ათასზე, კავკასიაში – 28 ათასზე, ხოლო შუა აზიაში – 61 ათასზე, ეს მაინც იძლეოდა საშუალებას, რომ გატარებულიყო ინფექციასთან ბრძოლის მინიმალური ღონისძიებანი, მოსახლეობისათვის აღმოეჩინათ თუნდაც ელემენტარული დახმარება. შედეგად შემცირდა სხვადასხვა ინფექციისაგან გარდაცვლილთა რიცხვიც. ასე მაგალითად, 1891-1895 წლებში რუსეთში ყვავილისაგან გარდაიცვალა 73 ათასი ადამიანი, 1911-1914 წლებში – 29 ათასი, ხოლო ტიფით შესაბამისად 113 და 60 ათასი ადამიანი.⁴⁹

ცხრილი 9

ზოგიერთი ინფექციური დაავადებით გამოწვეული მოკვდაობა რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 1905-1909 წლებში (10 000 კაცზე)⁵⁰

გარდაცვალების მიზეზები	რუსეთი	ინგლისი	შვედეთი	ნორვეგია
ყვავილი	50,8	0,1	0,01	0,2
წითელა	106,2	30,9	6,0	6,0
ქუნთრუშა	134,8	9,5	6,9	3,9
ხუნაგი	64,0	16,9	20,3	21,6

რამდენადმე შემცირდა ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობაც. ასე მაგალითად, ევროპული რუსეთის 50 გუბერნიის მართლმადიდებელ მოსახლეობაში ერთ წლამდე ასაკის ბავშვის გარდაცვალების

⁴⁹დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ წინამდებარე წიგნის თავი II.

⁵⁰

.., 1916, . 154.

აღბათობა 1874-1883 წლებში შეადგენდა 327‰-ს ბიჭებისათვის და 283‰-ს გოგონებისათვის, ხოლო 1907-1910 წლებში – შესაბამისად 276 და 243‰. მიუხედავად იმისა, რომ შემცირება შესამჩნევი იყო, მაინც ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის დონე მეტად მაღალი რჩებოდა – 1913 წელსაც კი 1000 დაბადებულზე სიცოცხლის პირველ წელს კვდებოდა 269. უხეშად რომ ვთქვათ, ყოველი მეოთხე ახალშობილი კვდებოდა სიცოცხლის პირველ წელს. შუა აზიაში კი სადაც იმ დროისათვის სამედიცინო დახმარება პრაქტიკულად არ არსებობდა, ეს მაჩვენებელი იყო 300‰, ხოლო ზოგიერთ წლებში 600-700‰.⁵¹

როგორც უკვე აღვნიშნეთ მოკვდაობის დინამიკის განმაზოგადებელ და აზრობრივად შებრუნებულ მახასიათებელს წარმოადგენს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაჩენისას. ამ მაჩვენებლის გაანგარიშება საკმაოდ ბევრ ინფორმაციას მოითხოვს, მაგრამ საბჭოთა დემოგრაფებმა რიგი დეტალური გაანგარიშებით შეძლეს, განესაზღვრათ ამ მაჩვენებლის დინამიკა ევროპული რუსეთის მოსახლეობისათვის.

ცნობილი სტატისტიკოსისა და დემოგრაფის მ.გ.პტუხას გაანგარიშებით 1896-1897 წლებში ევროპულ რუსეთში რუსი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენდა ვაჟებისათვის 27,5 წელს, ხოლო ქალებისათვის – 29,8 წელს, უკრაინელებში – 36,3 და 36,8-ს, ბელორუსებში – 35,5 და 36,8-ს, ესტონელებში კი – შესაბამისად 41,6 და 44,6 წელს. რუსებში, უკრაინელებსა და ბელორუსებში შესამჩნევია ძალიან მცირე სხვაობა ქალისა და ვაჟის სიცოცხლის ხანგრძლივობაში, რაც ქალების მაღალ მოკვდაობასთან არის დაკავშირებული. მთლიანად ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში

⁵¹ რევოლუციის წინა პერიოდში თანამედროვე უზბეკეთის ტერიტორიაზე მუშაობდა მხოლოდ 128 ექიმი და 234 საშუალო სამედიცინო პერსონალი. 10 000 მცხოვრებზე გადაანგარიშებით იყო 0,3 ექიმი, ხოლო სოფლად 1913 წელს – 0,06.

კი ეს მაჩვენებელი 1896-1897 წლებში შეადგენდა 31 წელს ვაჟებისათვის და 33 წელს ქალებისათვის.

ცხრილი 10

გაჩენისას სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის დინამიკა ევროპული რუსეთის მოსახლეობისათვის (წლობით)

	1838-1850	1874-1889	1894-1903	1904-1913
ვაჟები	24,6	28,0	30,8	32,4
ქალები	27,0	30,2	32,6	34,5
სხვაობა ქალებსა და ვაჟებს შორის (წლობით)	+2,4	+2,2	+1,8	+2,1

შუა აზიის რესპუბლიკებში XIX საუკუნის ბოლოს სიცოცხლის ხანგრძლივობა ორივე სქესისათვის, ზოგიერთი სპეციალისტის მიერ ფასდება 27,5-დან 30,0-მდე წლის ფარგლებში, ე.ი. მნიშვნელოვნად მცირედ, ვიდრე ევროპულ რუსეთში. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ XIX საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა 40-დან 50 წლამდე შუალედში მერყეობდა.

ახლა შევხერდეთ დემოგრაფიული პროცესების მეორე მნიშვნელოვან კომპონენტზე – შობადობაზე და ამ მოვლენასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ქორწინებასა და განქორწინებაზე. იმდროინდელი რუსეთისათვის დამახასიათებელი იყო ადრეული და თითქმის საყოველთაო ქორწინება, განსაკუთრებით კი სოფლის მოსახლეობაში. ევროპულ რუსეთში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში 45-49 წლის ასაკებში, არასდროს არ იყო ქორწინებაში ვაჟების მხოლოდ 4% და ქალების 5%. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ეს მაჩვენებლები დიდი ბრიტანეთისათვის იყო 12% ვაჟებისათვის და 15% ქალებისათვის. ევროპულ რუსეთში პირველ

ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკი შეადგენდა ქალაქელი ქალებისათვის 21,2 წელს, სოფლებებისათვის – 23,1 წელს, ხოლო ვაუებისათვის – შესაბამისად 23,5 და 26,5 წელს.

პროფესიული მომზადებისა და განათლების არ მქონე ქალთა უმეტესობისათვის ქორწინებაში შესვლა იყო ერთადერთი და ტრადიციულად შესაძლო ცხოვრებისეული გზა, ქორწინების გარეშე იგი როგორც პიროვნება არაფერს არ წარმოადგენდა. ყველა ეს წარმოდგენა ადამიანთა გონებაში ეკლესიისა და მოქმედი კანონმდებლობის მეშვეობით მტკიცდებოდა, რომლის თანახმადაც ცოლი ვალდებული იყო დამორჩილებოდა ქმარს, გამოეჩინა მისდამი „პატივისცემა და ერთგულება.“ მას არ შეეძლო მისი თანხმობის გარეშე ემართა ქონება, მიეღო პროფესია, შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი.

ეს სოციალ-ეკონომიკური მიზეზები იწვევდა იმასაც, რომ მეუღლეთა თანხმობით ქორწინების შეწყვეტა, როგორც მასობრივი მოვლენა რევოლუციის წინა წლებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით კი მართლმადიდებელ მოსახლეობაში. განქორწინება ქალისათვის ეკონომიკურ კატასტროფას ნიშნავდა. ის იკიცხებოდა საზოგადოებრივი აზრის მიერ და დაუშვებელი იყო გაბატონებული მორალის პოზიციებიდან. როგორც ცნობილია, იმ წლებში ქორწინება ფორმდებოდა ეკლესიის მიერ და მართლმადიდებლებისათვის მისი გაუქმება მხოლოდ უმაღლეს საეკლესიო ორგანოს – უწმინდეს სინოდს შეეძლო. ის სანქციონირებას უკეთებდა განქორწინების შემთხვევათა შეზღუდულ რიცხვს, ჯერ კიდევ ნიკოლოზ I-ის მიერ მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე. ამ კანონების თანახმად, ქორწინების დარღვევის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ე.წ. „მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგვა,“ „ერთ-ერთი მეუღლისათვის ყველა უფლების ჩამორთმევა,“ ყველაზე ხშირად მისი ხანგრძლივი ვადით დაპატიმრების

დროს, აგრეთვე „დამტკიცებული საყვარლიანობა,“ ე.ი. მოწმეების ჩვენებით დადასტურებული ცოლქმრული დალატი. XX საუკუნის დასაწყისში სწორედ ეს მიზეზი იყო ყველა რეგისტრირებულ განქორწინებათა 95%-ის საბაბი. თუ გავითვალისწინებთ, რომ საეკლესიო ინსტანციებში საქმის წარმოება ძვირი ღირდა, მაშინ გასაგები გახდება, რომ განქორწინებას ძირითადად შეძლებული ადამიანები მომართავდნენ.

1882-1886 წლებში რუსეთის მართლმადიდებელ მოსახლეობაში გაფორმებულ იქნა 5,1 ათასი განქორწინება, ანუ დაახლოებით 0,02 განქორწინება 1000 მოსახლეზე, ე.ი. განქორწინების კოეფიციენტი იყო დაახლოებით – 0,02‰. 1912 წელს რეგისტრირებული იყო 3,5 ათასი განქორწინება, განქორწინების კოეფიციენტი – 0,03‰.

ყველაფერი რაც განქორწინების შესახებ იყო ნათქვამი, ეკუთვნის რუსეთის იმპერიის მართლმადიდებელ მოსახლეობას, რომელიც 1897 წლის აღწერით ქვეყნის მოსახლეობის 69,4%-ს შეადგენდა. თუმცა ქრისტიანული სარწმუნოების სხვა წარმომადგენლებიც (კათოლიკები, პროტესტანტები) ასევე ნებატიურად იყვნენ განწყობილი განქორწინების მიმართ. ქმრის ინიციატივით განქორწინებას ისლამი გაცილებით ლიბერალურად ეპყრობოდა, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც. მაგრამ განქორწინების რეალური დონის შეფასება, რაიმე ინფორმაციის უქონლობის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ქორწინების შეწყვეტის დონის შეფასებისას საჭიროა გავითვალისწინოთ, იმ პერიოდში არსებული მოკვდაობის მაღალი დონე. არსებითად ქორწინების შეწყვეტა, რომელიც შეიძლება განქორწინების ან ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის შედეგი ყოფილიყო, – ძალიან ხშირი მოვლენა იყო, უპირველეს ყოვლისა დაქვრივების გამო. ამასთანავე, უშუალოდ 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით,

დაქვრივებულთა რიცხვის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რადგანაც ქვრივთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი ვაჟები განმეორებით ქორწინებაში შედიოდნენ.

ამ პერიოდისათვის ტიპურია შობადობის მაღალი ინტენსივობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ორიენტაცია მისი დონის შეგნებულად შეუზღუდაობაზე.

აქ აუცილებელია გაგაკეთოთ რამდენიმე დაზუსტება. აღვნიშნავთ, რომ არსებული წარმოდგენა ოჯახთა მრავალშვილიანობის შესახებ არაზუსტია – ოჯახები იყო მრავალშობადობიანი, ხოლო მაღალი ჩვილთა მოკვდაობა (მარტო პირველ წელს კვდებოდა ახალშობილთა 25-30%, 5 წლამდე კი – თითქმის 40%, შუა აზიაში კიდევ უფრო მეტი) იწვევდა იმას, რომ შრომისუნარიან ასაკამდე აღწევდა დაახლოებით ნახევარი.⁵²

ამიტომ იმ წლებში შობადობის დონის შეფასებისას საჭიროა მოკვდაობის არსებული მაღალი დონის გათვალისწინება, ე.ი. გავიანგარიშოთ, ბ.ც.ურლანისის გამოთქმით, არა ფაქტიური, არამედ „ეფექტური შობადობის“ მაჩვენებელი, ე.ი. ბავშვთა ჭარბმოკვდაობაზე შესწორების გათვალისწინებით.

ამ სიდიდეებს შორის განსხვავება, ვაჩვენოთ მაგალითზე. 1913 წელს რევოლუციამდე რუსეთში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 45,5‰, ხოლო 5 წლამდე ასაკის მაღალი მოკვდაობის შესწორებით – მხოლოდ 25,9‰-ს, ე.ი. რეალური შობადობა შეადგენდა საწყისი დონის დაახლოებით 57%-ს. შედარებისათვის შევნიშნავთ, რომ უკვე 1926 წელს შობადობის ეფექტური და რეალური

⁵² თურქისტანის მხარეში (შუა აზიის თანამედროვე რესპუბლიკებში) ქალებს, რომლებმაც გააჩინეს 15 შვილი, მაშინდელი მოკვდაობის მაღალი დონის პირობებში ცოცხალი რჩებოდნენ მხოლოდ სამი ბავშვი. ა.გ.ვიშნევსკიმ (იხ.: – , 1984, 4, . 12-13.) ყურადღება მიაქცია საინტერესო ფაქტს. ა.ს.პუშკინის „კაპიტნის ქალიშვილის“ მთავარი გმირის პეტრუშა გრინევის მშობლებს სულ ცხრა შვილი ჰყავდათ. მისი ყველა და-ძმა „ჩვილ ასაკში დაიხოცა“.

კოეფიციენტების თანაფარდობა იყო 73%, ხოლო 1970 წელს – თითქმის 95%.

როცა იმ პერიოდის შობადობის დონეზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შობადობის შეზღუდვის არ არსებობის დროს, ბავშვთაშობის ფუნქციები, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასეთი შესაძლებლობანი ბავშვთაშობის ასაკის ბოლომდე, ე.ი. 49-50 წლამდე იყო შენარჩუნებული. ანტისანიტარიული პირობები, სხვადასხვა სახის ანთებითი პროცესები, ძალიან ნაადრევ ქორწინებათა მაღალი ხვედრითი წილი, სამედიცინო დახმარების არ არსებობა, მძიმე ფიზიკური შრომა, იწვევდა იმას, რომ პრაქტიკულად 35-40 წლის შემდეგ, მომდევნო ბავშვის ყოლა მუშათა და გლეხთა ქალების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეეძლო. არაპირდაპირი გზით ეს იმითაც დასტურდება, რომ უკვე ჩვენს დროში მოსახმარად მარტივი, ეფექტური, შედარებით იაფი ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (ანტიბიოტიკები, სულფამიდები) ფართო სამკურნალო პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ, ასევე სამედიცინო დახმარების ქსელის გაფართოებასთან და პირველ ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკის ზრდასთან ერთად შეიმჩნეოდა 40 წლის და მეტი ასაკის ქალებში შობადობის მაჩვენებლის ზრდა, იმ რეგიონებში, სადაც შობადობის შეგნებულად შეზღუდვა არ გამოიყენებოდა.

თითქმის XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე რუსეთში მიგრაციის დონე, ე.ი. ამ შემთხვევაში, მოსახლეობის ახალ საცხოვრებელ ადგილზე საკუთარი სურვილით გადაადგილება, შედარებით მცირე იყო. რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ ეს პროცესი დააჩქარა, თავდაპირველად საშოვარზე წასვლის ფორმით, ე.ი. გლეხების ხანგრძლივ, ხშირად კი მუდმივ სამუშაოზე ქალაქად წასვლა, რომლის დროსაც ხშირ შემთხვევაში მათი ოჯახები რჩებოდა

სოფლად, რაც ოჯახური კავშირის ფაქტიური გაწყვეტის გამო არ შეიძლებოდა, რომ შობადობის ინტენსივობაზე არ ასახულიყო.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით სტოლიპინის რეფორმის შემდეგ, დაჩქარდა სოფლის დაშლის პროცესი, მისგან „ზედმეტი“ მოსახლეობის „გაყრა“, რომლებიც მიდიოდნენ ქალაქად „უკეთესი ხვედრის“ საძებნელად, ახალ მიწებზე ქვეყნის აღმოსავლეთში.

1887-1915 წლებში გადასახლებულთა საერთო რიცხვმა 8 145 ათასი კაცი შეადგინა, მათ შორის 83% – ციმბირისა და ყაზახეთში და – 7% ჩრდილო კავკასიაში. საბჭოთა დემოგრაფების შეფასებით 1901-1910 წლებში რუსეთიდან წასული და სხვა ქვეყნებში დარჩენილ პირთა რიცხვი დაახლოებით 1,7 მლნ. კაცს შეადგენდა. ქალაქებში მაშინდელი მაღალი მოკვდაობის პირობებში, განსაკუთრებით ისეთებში, როგორც იყო მოსკოვი და პეტერბურგი, მათი მოსახლეობა ძირითადად მიგრაციის ხარჯზე იზრდებოდა. მარტო 1897-დან 1913 წლამდე პერიოდში რუსეთის ქალაქის მოსახლეობა 18,4 მლნ.-დან 28,4 მლნ. კაცამდე, ე.ი. 10 მლნ. მცხოვრებით გაიზარდა, და ძირითადად სოფლიდან ქალაქად ჩამოსული მიგრანტების ხარჯზე.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთის იმპერიის მოსახლეობისათვის, ლატვიისა და ესტონეთის გამოკლებით, დაახლოებით XIX საუკუნის 70-80-იან წლებამდე დამახასიათებელი იყო კვლავწარმოების ერთიანი ტიპი, შეგნებულად შეუზღუდავი შობადობის, მოკვდაობის მაღალი ინტენსივობისა და სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობის, განქორწინების პრაქტიკულად არ არსებობისა და მოსახლეობის შედარებით მცირე ტერიტორიული მოძრაობის საფუძველზე.

ქვეყნის მოსახლეობა ოქტომბრის შემდეგ

უკვე XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში ჩვენს ქვეყანაში შეიმჩნეოდა ცვლილებები დემოგრაფიულ პროცესთა ხასიათში. მათი ტრანსფორმაციის ინტენსივობა განსხვავდებოდა ქვეყნის რაიონების მიხედვით. სწრაფად მიმდინარეობდა ცვლილებები ბალტიისპირეთის რაიონებში, შემდეგ ცენტრალურ რუსეთში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილსა და მსხვილ ქალაქებში. ეს ცვლილებები პრაქტიკულად არ იგრძნობოდა შუა აზიასა და ამიერკავკასიაში, სადაც სოციალურ-ეკონომიკური პირობების სპეციფიკა ეწინააღმდეგებოდა ამ პროცესებს.

ქვეყნის მოსახლეობის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა ომები. პირველი მსოფლიო ომის წლებში რუსეთის დანაკარგების საერთო რიცხვი 2 მლნ. კაცით არის შეფასებული. ძვირი დაუჯდა ჩვენს ხალხს ფაშიზმზე გამარჯვება – 20 მლნ. სიცოცხლეზე მეტი. და ეს მხოლოდ ე.წ. პირდაპირი დანაკარგებია, ე.ი. საომარი მოქმედებების მსხვერპლი სამხედრო მოსამსახურეები, რეპრესიებისაგან და სამხედრო მოქმედებებისაგან დაღუპული სამოქალაქო მოსახლეობა. ხოლო რამდენი ბავშვი არ გაჩნდა ამ ქვეყანაზე მათი პოტენციური დედებისა და მამების დაღუპვის გამო, რამდენმა ქალმა ვერ შეძლო გათხოვება, იმიტომ, რომ მათი საქმროები დაიღუპნენ. ომის დროს, სიძნელეებისა და გაჭირვების გამო, მოსახლეობის სიკვდილიანობა ზურგშიც იზრდებოდა. ეს არაპირდაპირი დანაკარგები საკმაოდ მნიშვნელოვანია და ზოგიერთი გაანგარიშებით დაახლოებით 22 მლნ. კაცს შეადგენს. საბჭოთა დემოგრაფების გაანგარიშებით, რომ არ ყოფილიყო ომი, 1959 წლის დასაწყისისათვის სსრკ-ის მოსახლეობა 255 მლნ. ადამიანი იქნებოდა, მაგრამ ფაქტიურად იგი 209 მლნ., ე.ი. 46 მლნ.-ით ნაკლები იყო. ასეთია ომის ფასი.

იგი მძიმედ აისახა საბჭოთა ხალხის მრავალი თაობის ჯანმრთელობაზე – იმათზეც, ვინც ომობდა, და იმათზეც, ვისი ბავშვობაც ომისა და ომის შემდგომ პირველ მძიმე წლებს დაემთხვა. ეს შედეგები ჯერ კიდევ იგრძნობა ჩვენს დროშიც. საომარი მოქმედების უშუალო მონაწილეები ახლა მაღალ ასაკებში იმყოფებიან, როცა იზრდება ავადმყოფობის შესაძლებლობა, რაც აისახება კიდევ მოკვდაობის თანამედროვე დონეზე.

ქვეყნის მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა, რომელიც რიგი ისტორიული მოვლენის, მათ შორის ომების ზემოქმედების შედეგად ყალიბდება, გავლენას ახდენს დემოგრაფიული მოვლენების სიდიდეზეც, უპირველეს ყოვლისა ქორწინების, შობადობისა და მოკვდაობის წლიურ რიცხვებზე. ამიტომ მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ანალიზი არის პირველი ნაბიჯი – საერთოდ მოსახლეობის შესწავლაში.

ასეთი ანალიზის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ასაკობრივი პირამიდების აგება. გრაფიკული აგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გრაფიკის ვერტიკალზე გადაიზომება ასაკი, ხოლო ჰორიზონტალზე მოსახლეობის რაოდენობა (აბსოლუტურ რიცხვებში ან პროცენტობით), სადაც მარცხნივ განლაგებულია მონაცემები ვაჟების შესახებ, მარჯვნივ – ქალების შესახებ, რაც მათი შედარების საშუალებას იძლევა.

ნახ. 2-ზე გამოსახულია სსრკ მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდა. ჩვენ ვხედავთ, რომ შობადობა ომის წლებში მკვეთრად შემცირდა (25-დან 30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი) შემდეგ შესამჩნევია შობადობის ზრდა ომის შემდგომ პირველ წლებში, შემდეგ შეიმჩნევა მისი დაცემა. 45-დან 55 წლამდე ასაკებში ვაჟების რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლებია ქალებისაზე. რადგანაც შესაბამისი (1915-1925) წლებში დაბადებული

ვაჟები, ომის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდენ საომარ მოქმედებებში.

ნახ. 2 სსრკ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1970 წ. აღწერის მონაცემებით.

მაგრამ ახლა ეს თაობები (1985 წელს ისინი 58 და მეტი წლისანი იყვნენ) ძირითადად გამოვიდნენ ბავშვთაშობის ასაკიდან და ამ ასაკებში ვაჟებისა და ქალების რიცხოვნობას შორის არსებული დისპროპორციები უკვე უშუალოდ ვედარ ახდენს გავლენას შობადობის დონეზე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სსრკ-ის მოსახლეობა არა მარტო რაოდენობრივად გაიზარდა, არამედ მასში ძირეული, ხარისხობრივი ცვლილებები მოხდა. სრულიად გაქრა ექსპლოატატორული კლასები, მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს ორი მეგობრული კლასი – მუშებისა და კოლმეურნე გლეხებისა, სადაც მუშათა კლასის ხვედრითი წილი 6-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. სოციალური შემადგენლობის ეს ცვლილებები იმ სიდრმისეულ გარდაქმნებს ასახავს, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა.

უკვე 1939 წელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ნამდვილი კულტურული რევოლუციის წყალობით, 9-დან 49 წლამდე ასაკებში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვა ვაჟებში 93,5%-ს მიაღწია, ქალებში – 81,6%-ს. 1959 წლის აღწერის მონაცემებით 9-დან 49 წლამდე ასაკებში წერა-კითხვის არ მცოდნეები შეადგენდნენ 1,5%-ს, ხოლო 1979 წელს ეს პროცენტი 0,2-მდე შემცირდა. ძირითადად ესენი არიან ცუდი ჯანმრთელობის მქონე ადამიანები. წერა-კითხვის მცოდნეთა მაღალი დონე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობისთვისაა დამახასიათებელი.

საკმაოდ გაიზარდა მოსახლეობის ზოგადი განათლების დონეც, განსაკუთრებით კი ქალებში. დასრულდა სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლა. მოსახლეობის განათლებისა და კულტურის მაღალი დონე და მაღალი პროფესიული მომზადება, საბჭოთა ადამიანების წარმატებითი შრომის აუცილებელი პირობა ხდება. თუ 1939 წელს მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით 10 და მეტი წლის ასაკში უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება ჰქონდა 108 კაცს, უკვე 1984 წელს – შესაბამისად 686. 1939 წელს 1000 დასაქმებულ მოსახლეზე უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება ჰქონდა 123 ადამიანს, უკვე 1984 წელს ეს მაჩვენებელი 268-მდე გაიზარდა.

განსაკუთრებით გაიზარდა ქალთა განათლების დონე. ჩვენს დროში ისინი აქტიურად შრომობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ზოგიერთ მათგანში კი წამყვანი მდგომარეობაც კი უჭირავთ. 1922 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო მუშა და მოსამსახურე 2,8 მლნ. ქალი, ე.ი. მათი საერთო რიცხვის 24%, უკვე 1983 წელს ისინი შეადგენდნენ 59,3 მლნ.-ს, ანუ მუშებისა და მოსამსახურეების 51%-ს.

ისეთ დარგებში, როგორცაა განათლება და კულტურა, კავშირგაბმულობა, ჯამრთელობის დაცვა, ფიზკულტურა და სოციალური უზრუნველყოფა, სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მართვის აპარატში, მომსახურების სფეროში ქალები შეადგენენ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს. მრეწველობაშიც მუშების თითქმის ნახევარს ქალები შეადგენენ.

თუ 1939 წელს დასაქმებულ ქალთაგან უმაღლესი განათლება ჰქონდათ მხოლოდ 0,9%-ს, 1984 წელს კი უკვე 11,3%-ს, 10 და მეტი წლის ასაკის ყველა ქალებში ეს მაჩვენებლები შეადგენდა შესაბამისად 0,5 და 7,7%-ს.

საზოგადოებრივ წარმოებაში შრომა, საბჭოთა ქალს საშუალებას აძლევს იქონიოს საკუთარი შემოსავლის წყარო, იგრძნოს თავი მატერიალურად დამოუკიდებლად და მაშასადამე, საზოგადოებისა და ოჯახის ეკონომიკურად დამოუკიდებელ წევრად, რომელსაც შეუძლია მიიღოს რთული გადაწყვეტილებები. საზოგადოებრივ წარმოებაში შრომა საბჭოთა ქალების დიდი უმრავლესობისათვის მათი ცხოვრების წესის აუცილებელი ელემენტი გახდა. საზოგადოებაში ქალის ახალი მდგომარეობა, მისი განათლების მაღალი დონე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციის ხასიათზეც.

სსრკ მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა
1924-1984 წლებში⁵³ %-ით

	1924	1939	1984
მთელი მოსახლეობა (ოჯახის უმუშევარ წევრთა ჩათვლით)	100,0	100,0	100,0
მათ შორის:			
მუშები	10,4	33,7	61,5
მოსამსახურეები	4,4	16,5	26,0
კოლმეურნე გლეხობა და კოოპერირებული კუსტარები	1,3	47,2	12,5
ერთპიროვნული გლეხები და არაკოოპერირებული კუსტარები	75,4	2,6	0,0
ვაჭრები და კულაკები	8,5	არ არის	არ არის

საჭიროა შევნიშნოთ, რომ დროის გარკვეულ პერიოდში დემოგრაფიული სიტუაცია – არის შედეგი და ერთდროულად მოსახლეობის ხანგრძლივი განვითარების ტენდენციის ნაწილის ელემენტიც. მოსახლეობის ის ასაკობრივი სტრუქტურა, რომელიც ახლა ასე მკვეთრად მოქმედებს შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლებზე, ჩამოყალიბდა გაცილებით ადრე. 1985 წელს ბავშვთაშობის ასაკის ქალები – ეს არიან 1936-1969 წლებში დაბადებულნი, ე.ი. მათი რიცხოვნობა განისაზღვრება წარსული

53

. 1922-1982 ., .35;

1983 ., .7.

დემოგრაფიული ფაქტორებით. შობადობასთან დამოკიდებულება და დემოგრაფიული ქცევის სტანდარტები ასაკიან ადამიანებს ასევე თავისი დროის მოვლენების გავლენით ჩამოუყალიბდათ. ერთი სიტყვით, თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი წარმოადგენს ეტაპს მოსახლეობის საერთო განვითარების ტენდენციაში. ამ აზრით დემოგრაფიას ბევრი საერთო აქვს ისტორიასთან, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ მეცნიერებას წარსულის, მაგრამ მომავლისაკენ მიმართული წარსულის შესახებ.

თუ გავაანალიზებთ სსრკ-ის მოსახლეობის განვითარების ტენდენციებს, შეიძლება დავინახოთ, რომ ამჟამად მთელი ქვეყნის მასშტაბით დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ, შეიძლება საკმაოდ პირობითად ვისაუბროთ, რადგანაც არსებობს მოსახლეობის კვლავწარმოების რამდენიმე განსხვავებული ტიპი. ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი მასისათვის (თითქმის მთელი რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, საქართველო, ანუ მოსახლეობის დაახლოებით 80%) დამახასიათებელია შობადობის დაბალ კონტროლირებად დონეზე, დაბალ მოკვდაობასა და მიგრაციის მაღალ ინტენსივობაზე დამყარებული კვლავწარმოება.

კვლავწარმოების მეორე ტიპი – რომელიც დამყარებულია შეუზღუდავ შობადობაზე, დაბალ მოკვდაობასა და თავისი რესპუბლიკის გარეთ მიგრაციის დაბალ ინტენსივობაზე – დამახასიათებელია შუა აზიის სოფლის მკვიდრი მოსახლეობისათვის. კვლავწარმოების ასეთი ტიპის დროს მოსახლეობა ყოველწლიურად 2,0-2,5%-ით მატულობს.

დაწვრილებით შევჩერდეთ მოსახლეობის მოძრაობის თითოეული სახეობის დინამიკაზე. მოსახლეობის კვლავწარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მოკვდაობა, რომელიც დიდი

სამამულო ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა. უკანასკნელ ათწლეულში ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა ავადობა და განსაკუთრებით ინფექციური დაავადებებით გამოწვეული მოკვდაობა. ჯერ კიდევ 1940 წელს საშუალოდ 100 ათას მოსახლეზე რეგისტრირებული იყო მუცლის ტიფისა და პარატიფის 62 შემთხვევა, უკვე 1983 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 7 კაცი. ანალოგიური მაჩვენებლები დიფტერიისათვის იყო 1940 წელს 91 და 1983 წელს – 0,52%, ყივანახველისათვის – 232 და 10, წითელისათვის – 605 და 86.

ჩვენს დროში მოკვდაობის ძირითადი მიზეზებია ე.წ. ენდოგენური ხასიათის, ე.ი. ადამიანის ორგანიზმის ძირითად სისტემათა მოქმედების დარღვევასთან დაკავშირებული დაავადებები. ამიტომ მოსახლეობის მთელ რიცხვში მაღალი ასაკის პირთა ხვედრითი წილის ზრდა იწვევს გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის, და მაშასადამე, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ზრდასაც. ასე, მაგალითად, 1939-დან 1970 წლამდე პერიოდში 60 წლისა და მეტი ასაკის პირთა ხვედრითი წილი 6,8-დან 11,8%-მდე გაიზარდა. თუ 1973 წელს სისხლის მიმოქცევის დაავადებით გარდაცვლილები შეადგენდნენ გარდაცვლილთა საერთო რიცხვის 49,6%-ს, ხოლო ავთვისებიანი სიმსივნით კი – 15,1%-ს, უკვე 1983 წელს შესაბამისმა მაჩვენებლებმა შეადგინა 53,5 და 14,3%.⁵⁴ ასეთი სახის დაავადებებით მოკვდაობის ზრდა უპირველეს ყოვლისა ხანდაზმული ასაკის მოსახლეობისთვისაა დამახასიათებელი, რადგანაც მოკვდაობის „პიკი“ ამ ასაკებში ინაცვლებს. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ახლაც ძირითადად ბავშვთა და საშუალო ასაკებში მოკვდაობის შემცირების გამო ხდება.

⁵⁴ მრავალი დაავადებისაგან მოკვდაობის შემცირებამ, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ადრე ყოველთვის სასიკვდილო იყო, გამოიწვია ის, რომ მოსახლეობის დაავადება ჩვენს დროში შეიძლება იზრდებოდეს, ხოლო მოკვდაობა მცირდებოდეს. სხვაგვრად რომ ვთქვათ სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი თანამედროვე პირობებში არ წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის ზუსტ მახასიათებელს.

უკვე 1926 წლისათვის იმ ძირეული ცვლილებების წყალობით, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა და შეადგინა (სსრკ-ის ევროპული ნაწილისათვის), ვაჟებისათვის 42 და ქალებისათვის 47 წელი.

ამ პროცესების დინამიკაზე უფრო ზუსტად შეიძლება ვიმსჯელოთ სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლის საფუძველზე. 1938-1939 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა ვაჟებში 44 და ქალებში 50 წლამდე: 1958-დან 1971 წლამდე პერიოდში დაბადებისას მომავალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა, ვაჟებისა 0,14 წლით, ხოლო ქალებისა – 1,85 წლით, ამასთან სხვაობა ქალებისა და ვაჟების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში საშუალოდ სსრკ-ში გაიზარდა 7,3 წლიდან 1958-1959 წლებში, 9,0 წლამდე 1968-1971 წლებში.

მაგრამ ისტორიულ ასპექტში ყველა რესპუბლიკისა და მთლიანად ქვეყნისათვის, დამახასიათებელია მოკვდაობის შემცირების ტენდენცია და ტიპურია მისი შედარებითი დაბალი დონე. გასაგებია, რომ ამ ასპექტშიც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მათი ისტორიული განვითარების თავისებურებების გამო არის გარკვეული განსხვავება, მაგრამ ისინი არაა პრინციპული.

ახლა დაწვრილებით შევხერდეთ ჩვენს ქვეყანაში შობადობის პროცესის ტენდენციებზე. მათ ანალიზს დიდძალი ლიტერატურა ეძღვნება, ზოგიერთი ამ ნაშრომის დასახელება კი წიგნის ბოლოს არის მოცემული. ამ სფეროში გენერალურ ტენდენციას წარმოადგენს ოჯახებში შობადობის ინტენსივობის შემცირება და თანდათანობით გადასვლა მრავალშვილიანი (ხუთი და მეტი ბავშვი) ოჯახიდან, საშუალოშვილიან (სამი-ოთხი), ხოლო რიგ შემთხვევაში კი მცირეშვილიან (ერთი-ორი ბავშვი) ოჯახზე.

ხაზს ვუსვამთ განსაკუთრებით არასწორ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ XIX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში მასობრივი, ტიპური იყო

მრავალშვილიანი ოჯახი. ამას აბრკოლებდა ძალიან მაღალი ჩვილთა მოკვდაობა. საბჭოთა დემოგრაფებისა და ისტორიკოსების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის შეუზღუდავ შობადობაზე, ე.ი. მრავალშვილიან ოჯახზე ორიენტაციის დროს, ფაქტიურად ბევრ ოჯახში იმ მომენტისათვის, როცა იგი თავის კვლავწარმოების ციკლს ამთავრებდა, ცოცხალი ორი-სამი ბავშვი რჩებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მრავალშვილიანი ოჯახის იდეალის პირობებში მასობრივი იყო საშუალოშვილიანი ანდა მცირეშვილიანი ოჯახიც კი. მართალია იმ წლებშიც იყო მრავალშვილიანი ოჯახები, უფრო სწორად მრავალშობადობიანი ოჯახები, მაგრამ ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი სიცოცხლის პირველივე წლებში კვდებოდა.

მრავალშვილიანი ოჯახის რეალურად არსებობისათვის აუცილებელია, რომ შეუზღუდავ შობადობაზე ორიენტაციის პირობებში დაბალი იყოს ბავშვთა მოკვდაობაც. ამ პირობათა შეთანაწყობა სსრკ-ში გახდა შესაძლებელი.

მაგრამ შობადობამ ჩვენს ქვეყანაში, უფრო სწორად კი მის ევროპულ ნაწილში, შემცირება XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყო. რიგ ისტორიულ და ფსიქოლოგიურ მიზეზთა გამო შობადობის შემცირება საზოგადოების მიერ ისე მწვავედ არ აღიქმებოდა, როგორც დღევანდელ პირობებში. ამასთან ეს შემცირება არც თუ ისე იშვიათად მონაცვლეობდა სტრუქტურული და ეპიზოდური ფაქტორებით გამოწვეულ, როგორც დაბადებულთა რიცხვის, ისე მისი ზოგადი კოეფიციენტების აღმავლობასთან (მაგალითად, ომის შემდგომ პირველ წლებში ოჯახის აღდგენის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდისა და ჯარიდან დემობილიზაციის შედეგად, დაბადებულთა რიცხვის დროებითი ზრდა).

საბჭოთა დემოგრაფის ბ.ც.ურლანისის შეფასებით, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა: 1918 წელს – 31,8‰, 1919 წელს – 30,

8‰, 1925 წ.- 45,0‰, 1930 წ.- 41,2‰ და 1940 წ.-31,2‰-ს. შობადობის ზოგადი კოეფიციენტის, როგორც დემოგრაფიული საზომისათვის დამახასიათებელი ყველა ნაკლის მიუხედავად, ის მაინც გვიჩვენებს ამ პროცესთა ძირითად კანონზომიერებებს – 20-იან წლებში დაბადებულთა რიცხვის კომპენსატორულ ზრდას და ომის წინა წლებში მის შემდგომ შემცირებას. უკვე 1926-1927 წლებში კვლავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი სსრკ-ის ევროპული ნაწილის მოსახლეობისათვის შეადგენდა 2,6-ს, ხოლო 1938-1939 წლებში უკვე მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის ტოლი იყო 2,1-ის.

შობადობის საერთო რიცხვისა და შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 60-იანი წლების დასაწყისიდან, როცა დაბადებულთა რიცხვი 1960 წელს 5 341 ათასიდან, 1969 წელს 4 087 ათასამდე შემცირდა, ე.ი. 23,5%-ით, ხოლო შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შემცირდა 24,9-დან 17,0‰-მდე. საბჭოთა დემოგრაფების გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ შემცირების დაახლოებით 25% დაკავშირებული იყო სტრუქტურული ფაქტორების გავლენასთან, ხოლო 75% ოჯახში ბავშვების საშუალო რიცხვის შემცირებასთან, ე.ი. ოჯახთა დემოგრაფიული იდეალების ცვლილებასთან.⁵⁵

არ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ომის წინა წლებში შობადობის შემცირება მეცნიერთა და პრაქტიკოსთა „თვალთახედვის მიღმა“ რჩებოდა. მაგრამ შობადობის პრობლემები სწორედ 60-იანი წლების შუა ხანებიდან მოექცა დემოგრაფთა ყურადღების ცენტრში.

1940 წელს სსრკ-ში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 31,2‰-ს, 1950 წ. – 26,7-ს, 1960 წ. – 24,9-ს, 1970 წ. – 17,4-ს, 1975 წ. – 18,1-ს, 1980 წ. – 18,3-ს, და 1984 წ. – 19,6‰-ს. ყურადღებას იქცევს ის

⁵⁵ იხ.: . . ., 1983, . 18-23.

ფაქტი, რომ 1970 წლის შემდეგ (იხ. ნახ. 3) შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე რამდენადმე გაიზარდა.

ნახ. 3

შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტების დინამიკა
სსრკ-ში 1952–1983 წლებში, ‰ -ით.

შობადობის შემცირებაზე, განსაკუთრებით რსფსრ-ში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, მეტყველებს დაბადებულთა შორის პირველ და მეორე რიგითობის ბავშვთა ხვედრითი წილის განუხრელი ზრდაც. თუ 1965 წელს პირველი და მეორე რიგითობის ბავშვების ხვედრითი წილი დაბადებულთა საერთო რიცხვში შეადგენდა უკრაინის სსრ-ში – 79,6%-ს, რსფსრ-ში – 71,1%-ს, უკვე 1973 წელს შესაბამისად იყო 85,3 და 83,4%-ს. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ უზბეკეთის სსრ-ში 1973 წელს ეს მაჩვენებელი 39,1% იყო. 1981 წელს სსრკ-ის ცსს-ს მიერ ჩატარებული მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეთა ოჯახების სპეციალური გამოკვლევების მონაცემებით, იმ ოჯახთა საერთო რიცხვიდან, რომლებსაც 16 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავდათ,

ერთბავშვიანი და ორბავშვიანი ოჯახები შეადგენდნენ რსფსრ-ს მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს შორის 96,4%-ს, ხოლო კოლმეურნეთა ოჯახებში – 81,9%-ს. ამავე გამოკვლევის მონაცემებით უზბეკეთის სსრ-ში ეს მაჩვენებლები შესაბამისად იყო 69,1 და 35,0%.⁵⁶

უკანასკნელი ათწლეულის შობადობის პროცესის დინამიკა გავაანალიზოთ უფრო დეტალური მაჩვენებლების დახმარებით, დავიწყოთ მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტის დინამიკით (იხ. ცხრ. 12).

1938-1939 წლებში სსრკ-ისათვის მთლიანად ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2,16-ს. შეგახსენებთ, რომ მოკვდაობის თანამედროვე დონის პირობებში მარტივი კვლავწარმოების რეჟიმის, ე.ი. თაობათა 1:1 თანაფარდობით ცვლას, შეესაბამება ბრუტო-კოეფიციენტი სიდიდით 1,05 – 1,10.

თუ გავაანალიზებთ მონაცემებს, მაშინ შეიძლება აღვნიშნოთ ამ მაჩვენებლის დინამიკის რამდენიმე თავისებურება, რომელიც გარკვეულწილად შობადობის პროცესთა დინამიკასაც ასახავს. ჩვენ ვამბობთ „გარკვეულწილად“ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ იმ მდგომარეობას, რომ მხოლოდ დემოგრაფიულ საზომთა კომპლექსს შეუძლია მოგვცეს ამ პროცესის დინამიკის საკმაოდ ზუსტი სურათი.

ამჟამად სსრკ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს (რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები), რომლებიც 1984 წლის დასაწყისისათვის ქვეყნის მთელი მოსახლეობის 76,8%-ს შეადგენდა, ბრუტო-კოეფიციენტი ნაკლები ან თითქმის ერთის ტოლია, ეს კი ნიშნავს, რომ ნეტო-კოეფიციენტიც ერთზე ნაკლებია. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მაჩვენებელთა დინამიკა მოსახლეობის შეკვეცილი კვლავწარმოების ტენდენციასზე მეტყველებს. მაგრამ როგორც უკვე იყო

⁵⁶

, 1983, 2, . 58-59.

სსრკ-ის მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტების
დინამიკა 1958–1982 წლებში⁵⁷

	წლები			
	1958-1959	1969-1970	1974-1975	1982-1983
სსრკ-ში სულ	1,38	1,17	1,18	1,18
მათ შორის:				
ქალაქად	1,08	0,95	0,95	0,95
სოფლად	1,70	1,56	1,71	1,67
რსფსრ	1,27	0,97	0,98	0,99
უკრაინის სსრ	1,14	1,00	1,00	0,99
ბელორუსიის სსრ	1,36	1,13	1,08	1,01
უზბეკეთის სსრ	2,45	2,76	2,79	2,96
ყაზახეთის სსრ	2,16	1,62	1,62	1,42
საქართველოს სსრ	1,25	1,28	1,24	1,09
აზერბაიჯანის სსრ	2,43	2,27	1,93	1,51
ლიტვის სსრ	1,27	1,15	1,08	1,00
მოლდავეთის სსრ	1,73	1,26	1,26	1,25
ლატვიის სსრ	1,08	0,94	0,97	0,98
ყირგიზეთის სსრ	2,09	2,37	2,33	1,98
ტაჯიკეთის სსრ	1,92	2,89	3,07	2,65
სომხეთის სსრ	2,29	1,57	1,38	1,14
თურქმენეთის სსრ	2,48	2,90	2,83	2,31
ესტონეთის სსრ	0,94	1,05	1,03	1,02

ნათქვამი, მხოლოდ ამ მაჩვენებლის დინამიკის საფუძველზე არ შეიძლება გავაკეთოთ საბოლოო და შეუქცევადი დასკვნა „დემოგრაფიული კატასტროფის“ შესახებ. აუცილებელია გვახსოვდეს

57

, 1984, 11, .52; 1976, 11, .86;

. 1973, .135-138.

იმის შესახებაც, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა შეიძლება იზრდებოდეს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გავლენით, ე.ი. საქმე ეხება ე.წ. დემოგრაფიული ზრდის პოტენციალს. თვით ნეტო-კოეფიციენტიც, თავისი არსიდან გამომდინარე, უფრო შეკვეცილი კვლავწარმოებისადმი ტენდენციას გვიჩვენებს, ვიდრე მის რეალურ არსებობას. მიუხედავად ამისა, ეს არის თავისებური საგანგაშო სიგნალი დემოგრაფიულ სისტემაში ნეგატიური ტენდენციების შესაძლებლობის შესახებ, ამიტომ გვმართებს უფრო დეტალურად შევისწავლოთ არსებული პროცესთა ხასიათი.

ახლა დავუბრუნდეთ ცხრილი 12-ის მონაცემთა ანალიზს. შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის შემცირების მტკიცე ტენდენცია, სწორედ ტენდენცია, ისეთი რესპუბლიკების მოსახლეობაში, როგორცაა ყაზახეთი, სომხეთი და მოლდავეთი. არის თავისებურება შუა აზიის რესპუბლიკების მოცემულ მაჩვენებელთა დინამიკაშიც. აქ შენარჩუნებულია შობადობის ძალიან მაღალი დონე – ბრუტო კოეფიციენტი ყველგან ორზე მეტია, რაც დაახლოებით შობადობის იმ ტიპს შეესაბამება, როცა იგი შეგნებულად არ იზღუდება.

გავაკეთოთ პატარა დაზუსტება. ასეთი მაღალი შობადობა, მრავალშილიან ოჯახზე ორიენტაცია, უპირველეს ყოვლისა იმ რესპუბლიკების სოფლის მოსახლეობისათვის არის დამახასიათებელი, სადაც ძირითადად მკვიდრი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1969-1970 წლებში უზბეკეთის მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი შეადგენდა სოფლად 3,6-ს, ქალაქად – 1,8-ს, ხოლო 1979-1980 წლებში – შესაბამისად 3,2-ს და 1,5-ს.

1970 წელს შუა აზიის რესპუბლიკებში მკვიდრი მოსახლეობის (უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები, ყირგიზები) რიცხოვნობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 70,4%-ს, 1979 წელს – 73,9%-ს, ხოლო რუსი და

უკრაინელი მოსახლეობის ხვედრითი წილი რესპუბლიკებში შემცირდა 16,6%-დან 1970 წელს, 13,8%-მდე 1979 წელს.⁵⁸

ცნობილია, რომ შუა აზიის ქალაქებში მცხოვრებ არამკვიდრ (განსაკუთრებით რუს და უკრაინელ) მოსახლეობას შობადობის ისეთივე დონე აქვს, რომელიც ნაკლებად განსხვავდება რსფსრ-სა და უკრაინის მოსახლეობის შესაბამისი მაჩვენებლებისაგან. ქალაქებში, განსაკუთრებით ისეთ მსხვილ ქალაქებში, როგორცაა ტაშკენტი, ფრუნზე, დუშანბე, აშხაბადი, – მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა კი იწეებს არამკვიდრი მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის გადმოდებას და თანდათან გადადის საშუალოშვილიან და მცირეშვილიანი ოჯახის იდეალზეც კი. ასე მაგალითად, თუ უზბეკეთის სსრ-ში 1981 წელს, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 34,9‰-ს, ტაშკენტში 1982 წელს იყო – 19,6‰, შესაბამისი მაჩვენებლები ყირგიზეთის სსრ-სა და ფრუნზესათვის შეადგენდა 30,8 და 17,6‰-ს.

ცხრილი 12-ის მონაცემებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ შუა აზიის რესპუბლიკებში ბრუტო-კოეფიციენტის სიდიდე გაიზარდა 1958-1959 – 1969-1970 წლებში, ხოლო დაახლოებით 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო შემცირება. ამ მაჩვენებელთა ზრდა რამდენიმე მიზეზით, მათ შორის სტატისტიკური აღრიცხვის სისრულით, იყო გამოწვეული.

შემდგომ, თუკი ვნახავთ შობადობის შესაბამისი ასაკობრივი კოეფიციენტის დინამიკას, დავინახავთ, რომ 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა მაღალი ასაკის ქალთა შობადობის მაჩვენებლების ზრდა. ასე მაგალითად, 1958-1959 წლებში უზბეკეთის სსრ-ში 40-44 წლის ასაკის ქალებში შობადობის კოეფიციენტი შეადგენდა 96,8‰-ს, ხოლო

⁵⁸ იხ.: . . . , 1983. . 239; . . . IV. ., 1973, . 215-219; . . . 1922-1982. ., 1973, . 137-138.

1964-1965 წლებში – 99,2‰-ს, ანალოგიური მაჩვენებლები თურქმენეთის სსრ-ში იყო – 93,1 და 109,9‰.⁵⁹ ამ ფენომენის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ წინათ დაავადების მაღალი დონის გამო ეფექტური და ხელმისაწვდომი სამედიცინო, მათ შორის მშობიარობისას დახმარების არარსებობის დროს, შეგნებულად შეუზღუდავი შობადობის პირობებშიც კი ბევრ ქალს 35-40 წლის ასაკში უკვე აღარ შეეძლო ბავშვის გაჩენა.

თანამედროვე და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების განვითარებამ, კვალიფიციურმა სამშობიარო დახმარებამ, აბორტების პრაქტიკულად არარსებობის პირობებში შესაძლებელი გახდა, რომ შუა აზიის რესპუბლიკებში ქალებს მაღალ ასაკებშიც დიდი ხნის მანძილზე შეენარჩუნებინათ ბავშვთა ყოლის შესაძლებლობა, შეამცირა ბავშვთაშობის ასაკში საშუალო და მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში ქალთა შორის ქვრივების ხვედრითი წილიც.

ქვეყანაში არსებულ შობადობის დიფერენციაციაზე და მის ტენდენციებზე შეიძლება ვიმსჯელოთ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ქორწინებაში მყოფ სხვადასხვა ასაკის ქალების მიერ გაჩენილი (მოსალოდნელი) ბავშვების საშუალო რიცხვის მონაცემებითაც. ეს მონაცემები მიღებულ იქნა სსრკ-ის ცსს-ს მიერ 1978 წელს ჩატარებული სპეციალური შერჩევითი გამოკვლევით (ცხრილი 13).

როგორც უკვე აღინიშნა, მაღალი შობადობის რაიონებისათვის დამახასიათებელია შობადობის დონეთა განსხვავება ქალაქებისა და სოფლების მიხედვით. ასე მაგალითად, 1944-1948 წლებში დაბადებულ უზბეკეთის სსრ-ის ქალაქელ ქალებში, რომლებიც გამოკვლევის მომენტში 30-დან 34 წლამდე ასაკში იყვნენ, გაჩენილი (მოსალოდნელი) ბავშვის რიცხვი საშუალოდ იყო 3,5 ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი

⁵⁹ იხ.:

. 1973, . 137-138.

სოფლელი ქალებისათვის კი – 6,31, ე.ი. თითქმის 2-ჯერ მეტი. საშუალო მოსალოდნელი (გაჩენილი) ბავშვების რიცხვი უზბეკეთის 35-39 წლის სოფლელ ქალებში ტოლი იყო 6,71-ის, ხოლო 20-24 წლის ასაკებისათვის კი – 4,77, ე.ი. მნიშვნელოვნად ნაკლები.

ცხრილი 13

ქორწინებაში მყოფ ქალთა მიერ გაჩენილი (მოსალოდნელი) ბავშვების საშუალო რიცხვი ზოგიერთი რესპუბლიკის მიხედვით⁶⁰

ასაკი გამოკვლევის მომენტისათვის	ქალების დაბადების წელი	რესპუბლიკები				
		რსფსრ	მოლდავეთი	ესტონეთი	უზბეკეთი	აზერბაიჯანი
20-24	1954-1958	1,86	2,11	1,96	4,31	3,30
25-29	1949-1953	1,95	2,31	2,25	4,51	3,70
30-34	1944-1948	2,00	2,44	2,26	5,09	4,30
35-39	1939-1943	2,12	2,51	2,17	5,65	4,90
40-44	1934-1938	2,18	2,64	2,17	5,30	4,80
45-49	1929-1933	2,21	2,76	2,00	4,75	4,39
50-54	1924-1928	2,27	2,88	1,93	3,96	4,01

შობადობის პრობლემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მასზე გავლენას ახდენს ქორწინების ტენდენციები, აგრეთვე მათი საპირისპირო მოვლენებიც – ქორწინების შეწყვეტა. საჭიროა განსაკუთრებით გამოვეყნოთ ცნება „ქორწინების შეწყვეტა.“ საქმე ის არის, რომ ჩვეულებრივ ლაპარაკობენ განქორწინების შედეგად ოჯახის დანგრევაზე, მაგრამ ქორწინება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის გამოც – დაქვრივებით. ამრიგად, ცნება

⁶⁰

. . 231, 239.

„ქორწინების შეწყვეტა“ მოიცავს ორ მოვლენას – განქორწინებასა და დაქვრივებას.

ქორწინებისა და ქორწინების შეწყვეტის პროცესთა შესწავლას მრავალი სხვადასხვა ასპექტი გააჩნია. პრაქტიკულად ეს არის სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური პრობლემების კომპლექსი, რომლებსაც შეისწავლიან სხვადასხვა მეცნიერებები – სოციოლოგია, დემოგრაფია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და სხვ. ჩვენ პრობლემების მხოლოდ იმ ასპექტებზე შევხერდებით, რომლებიც ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოგრაფიასთან – ქორწინებისა და ქორწინების შეწყვეტის გავლენა შობადობის ტენდენციებზე.

შობადობის ინტენსივობაზე ქორწინებაში შესვლის ასაკის გავლენა საკმაოდ რთულია და არაერთგვაროვანია რეპროდუქციული ქცევის სხვადასხვა ტიპებისათვის. ასე მაგალითად, შეუზღუდავი შობადობის პირობებში, რაც უფრო ადრე შევა ქალი ქორწინებაში (ფიზიოლოგიური საზღვრების გათვალისწინებით), თეორიულად მით მეტი ბავშვის გაჩენა შეუძლია მას. ფრანგი დემოგრაფების გაანგარიშებით თუ ქალი 15 წლის ასაკში დაქორწინდა, ოჯახური კავშირების შეწყვეტისა და შობადობის შეზღუდვის გარეშე, კარგი ჯამრთელობის პირობებში და ქორწინებაში 50 წლამდე იყო, მაშინ მას შეუძლია გააჩინოს საშუალოდ 12 ბავშვი, სხვა მეცნიერთა აზრით კი – 10 ბავშვი. არსებითად ეს არის შობადობის ჯამური კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა.⁶¹ გასაგებია, რომ ეს არის შობადობის ჰიპოთეზური მაქსიმუმი საშუალოდ ქალთა საკმაოდ დიდი ერთობლიობისათვის, რადგანაც რეალურ ცხოვრებაში, თუნდაც შეგნებულად შეუზღუდავი შობადობის პირობებში, ყველაფერი იდეალური სქემის მიხედვით არ მიმდინარეობს. არის განქორწინებები,

⁶¹ ეს ნიშნავს, რომ ბრუტო-კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა პირველ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს როგორც 5,9, ხოლო მეორეში კი, როგორც - 4,9.

და ბავშვთაშობის ასაკის ბოლომდე ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილიც, რამდენიმე მშობიარობის შემდეგ ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეიძლება მისთვის ბავშვის ყოლის საშუალება აღარ მიეცა. ყოველივე ეს იწვევდა, რომ ბავშვთაშობის ფუნქცია 50 წელზე გაცილებით უფრო ადრე იკარგებოდა. ამიტომ რეალურ ცხოვრებაში თეორიული მაქსიმუმი თითქმის მიუღწეველია.

მოვიყვანოთ ზოგიერთი მონაცემი შობადობის ჯამური კოეფიციენტის მაქსიმალური ფაქტიური სიდიდის შესახებ, რომლებიც რეგისტრირებული იყო სხვადასხვა წლებში, როცა შობადობა არ იზღუდებოდა. ასე მაგალითად, 1896-1897 წლებში უკრაინაში ეს სიდიდე 7,5-ს შეადგენდა, ბულგარეთში (1901-1905 წ.წ.) – 6,6-ს, გვინეაში (1954-1955 წ.წ.) – 7,0-ს, ეგვიპტეში (1960 წ.) – 6,1-ს, კუვეიტში (1965 წ.) – 6,9-ს, იაპონიაში 1925 წელს – 5,3-ს. ყველა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია ჰიპოთეზურ მაქსიმუმზე, თუნდაც რომ იგი 10-ის ტოლად მივიჩნიოთ.

მაგრამ დაგუბრუნდეთ ქორწინების საკითხს. ძალიან ახალგაზრდა ასაკში ქალის დაქორწინებამ – „ძალიან ნაადრევი ქორწინებები“ – როცა ორგანიზმი ჯერ კიდევ სრულად არ არის მზად ბავშვთაშობისათვის, შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები გამოიწვიოს. ესაა მშობიარობისას ახალგაზრდა დედის სიცოცხლის საფრთხე, უნაყოფობის წარმოშობის ძალიან ხშირი შემთხვევები, აგრეთვე ბავშვთა მოკვდაობის გაზრდილი რისკი. მიუხედავად ამისა, წარსულში ასეთი ქორწინებები, განსაკუთრებით შუა აზიაში, იშვიათობა არ იყო. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „ძალიან ნაადრევი“ ქორწინების აკრძალვა (ჯერ საკანონმდებლო წესით), ხოლო მოგვიანებით კი მათი ფაქტიური მოსპობა, არა მარტო ბავშვთა და დედათა მოკვდაობის შემცირების ფაქტორი გახდა, არამედ ხელი შეუწყო ქალებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბავშვთაშობის

ფუნქციის შენარჩუნებას, და მაშასადამე, მთლიანობაში შობადობის ზრდასაც.

ცოტა სხვაგვარადაა საქმე შობადობის შეგნებული შეზღუდვის მასიურად გავრცელების პირობებში არა მარტო ოჯახებში ბავშვთა რიცხვის, არამედ მათი გაჩენის ვადების მიხედვითაც, რეგულირების დროს. თუ ოჯახი ერთი ან ორი შვილის ყოლას ვარაუდობს, მაშინ ქორწინებაში შესვლის ასაკს ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც შეუზღუდავი შობადობის დროს. 40 წლის ასაკამდე, რომლის ზევიტაც შეზღუდული შობადობის რაიონებში შობადობა საკმაოდ იშვიათია,⁶² ორი ან სამი ბავშვის გაჩენის მოსწრებაც შეიძლება და ასაკისა და დროის შერჩევაც. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელობა აქვს ქორწინებაში შესვლის ასაკს. ერთია, როცა იგი 21-23 წელია, და მეორე, როცა 30-ს უახლოვდება. აქ გავლენას იწყებს არა მარტო ფიზიოლოგიური მომენტი, არამედ ფსიქოლოგიური და მრავალი სხვა ფაქტორიც. მაგრამ აქ არ არის ისეთი მჭიდრო კავშირი დედის ასაკსა და შობადობის სიხშირეს შორის, როგორც შეუზღუდავი შობადობის დროსაა, აქ ეს დამოკიდებულებები უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდება.

ახლა დაწვრილებით შევჩერდეთ ქორწინებისა და ქორწინების შეწყვეტის თანამედროვე ტენდენციებზე. საუბარი დავიწყოთ ტრადიციულად ქორწინების ზოგადი კოეფიციენტების ანალიზით, ე.ი. ქორწინებათა საშუალო წლიური რიცხვი მოსახლეობის 1000 სულზე (იხ. ცხრილი 14).

ცხრილიდან ჩანს, რომ დაახლოებით 70-იანი წლების შუა ხანებიდან ეს მაჩვენებლები რამდენადმე გაიზარდა.

შევეცადოთ დაწვრილებით გავერკვეთ ამ პროცესებში. ბავშვთაშობის ასაკში სქესობრივი დისპროპორციის გამთანაბრების

⁶² ასე მაგალითად, 1973 წელს რსფსრ-ში 40 წლამდე ასაკის ქალთა წილად მოდიოდა გაჩენათა საერთო რიცხვის – 97,8%, ესტონეთში – 99,1%.

ქორწინების კოეფიციენტების დინამიკა სსრკ-ში
1940-1982 წლებში⁶³ (‰)

	1940	1960	1965	1970	1975	1980	1982	1983
ქორწინების კოეფიციენტის სიდიდე	6,3	12,1	8,7	9,7	10,7	10,3	10,3	10,4

შემდეგ, რაც ომის დანაკარგების შედეგს წარმოადგენდა, მთლიანად ქვეყანაში დაქორწინების პირობები უფრო სასიკეთო ხდება, რასაც ხელს უწყობს ჩვენი ხალხის მატერიალური მდგომარეობის განუხრელი ზრდა, დაქორწინებისა და რეგისტრაციისათვის ყოველგვარი ეთნიკური და რელიგიური დაბრკოლებების არ არსებობა. ეს დასტურდება ეთნიკურად შერეული ოჯახების ხვედრითი წილის ზრდითაც. თუ 1959 წელს ისინი შეადგენდნენ მთლიანად ოჯახების საერთო რიცხვის 10,2%-ს, უკვე 1970 წელს – 13,5-ს, 1979 წელს – 14,9%-ს, ხოლო სსრკ-ის ქალაქის მოსახლეობაში 1979 წელს ეს წილი უკვე 18,1%-ის ტოლი იყო.

ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს ქორწინებაში მეოფ პირთა ხვედრითი წილის ზრდას, მათ შორის ახალგაზრდა ასაკებშიც, რაც ოჯახის რეპროდუქციული ფუნქციის რეალიზაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასე მაგალითად, 20-დან 29 წლამდე ასაკებში 1959 წლის მონაცემებით ქორწინებაში იყო ვაჟების 27,4% და ქალების 50,1%, ხოლო 1979 წლის აღწერით კი – უკვე ვაჟების 38,4% და ქალების 60,2%.

შემცირდა, განსაკუთრებით კი პირველ ქორწინებაში შესვლის ასაკი. 1973 წელს 20 წლამდე პირველ ქორწინებაში შევიდა გათხოვილ ქალთა საერთო რიცხვის 30,9%, ხოლო 20-24 წლამდე – 51,1%. 1983 წელს შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა 30,3 და 52,4%-ს. სსრკ-ის ცსს-ს 1978 წლის შერჩევითი გამოკვლევის მონაცემებით 23 წლამდე

63

. 1983. ., 1983, . 84;

1983 ., .30.

ქორწინებაში იყო 1919-1925 წლებში დაბადებული ქალების 35,4%, 1946-1948 წლებში დაბადებულების – უკვე 66,1%, ხოლო 1952-1954 წლებში დაბადებული კოჰორტის – 68,5%.

რა თქმა უნდა, ქვეყნის რეგიონების მიხედვით ამ პროცესს გააჩნია თავისებურებანი, კერძოდ ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკის შემცირება განსაკუთრებით დამახასიათებელია სსრკ-ის ევროპული ნაწილისათვის. შუა აზიასა და ამიერკავკასიაში ძალიან ნაადრევი ქორწინების პრაქტიკულად გაქრობამ გამოიწვია პირველ ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკის რამდენადმე გაზრდა.

შევხერდეთ ქორწინების შეწყვეტის, მათ შორის განქორწინების პროცესის თანამედროვე ტენდენციებზე. განქორწინება, უფრო სწორად ფაქტიურად დაშლილი ქორწინების იურიდიული გაფორმება (და მათი მმაჩის ბიუროში რეგისტრაციის შემდეგ დემოგრაფთა თვალთახედვის არეში სწორედ ეს მოვლენა ხვდება), არა მარტო მეუღლეებისათვის და განსაკუთრებით კი მათი ბავშვებისათვის წარმოადგენს ტრაგედიას, არამედ აისახება დემოგრაფიულ პროცესებზეც.

ოჯახის დაშლა, თვით მისი რეალური საფრთხეც კი, აისახება მეუღლეთა სურვილში იყოლიონ ბავშვები, და მაშასადამე, შობადობის საერთო დონეზეც, მით უფრო, რომ განმეორებითი ქორწინებები სრულიად ვერ ანაზღაურებს დაშლილი ოჯახების რიცხვს. ასე მაგალითად, ლატვიის სსრ-ში, სადაც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის განქორწინების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, 1978-1979 წლებში 1000 განქორწინებულზე საშუალოდ მოდიოდა (ქვრივები განმეორებითი ქორწინების გაუთვალისწინებლად) ვაჟების 426 და ქალების 394 განმეორებითი ქორწინება. ქალების შედარებით დაბალი „განმეორებითი“ ქორწინება დაკავშირებულია იმასთან, რომ ბავშვები პირველი ქორწინების შემდეგ უმეტეს შემთხვევაში რჩება დედასთან, რაც აძნელებს მისთვის ახალი ოჯახის შექმნას. იმავე გამოკვლევის

მონაცემებით, ლატვიის სსრ-ში გაშორებული ბავშვიანი ქალებიდან, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ განმეორებით შევიდნენ ქორწინებაში, არა უმეტეს 25% შეძლებს განახორციელოს ეს სურვილი. განმეორებით ქორწინებაში, განსაკუთრებით თუკი წინა ცოლქმრული კავშირიდან ჰყავთ ბავშვები, შობადობა საშუალოდ ყოველთვის ნაკლებია, რადგანაც მეუღლეებს წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით ხშირად აღარ სურთ ახალი ბავშვების ყოლა.

მთლიანად ქვეყანაში ქვრივთა და გაშორებულთა საერთო რიცხვიდან ახალ ქორწინებაში შედის ყოველი მესამე ვაჟი და ყოველი მეხუთე ქალი.

როგორია ქორწინების დაშლის რეალური დონე, როგორც ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის ან განქორწინების შედეგი?

განვიხილოთ განქორწინების ტენდენციები. უკვე აღინიშნა, რომ მარტო განქორწინებათა რიცხვის შედარება ბევრს არაფერს იძლევა, აუცილებელია განქორწინების გაფორმების პროცედურის ცვლილების პრობლემებისა და სხვა მდგომარეობასთან ამ მოვლენის კავშირის გათვალისწინება. არასწორია, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, ამა თუ იმ წელს ქორწინებისა და განქორწინების რიცხვების შედარება და დასკვნების ამის საფუძველზე გამოტანა. ასე მაგალითად, თუ 1983 წელს ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 2 835 ათასი ქორწინება და 945 ათასი განქორწინება ზოგჯერ ამბობენ, რომ ყოველი მესამე ქორწინება იშლება. მაგრამ 1983 წელს მოხდა 2,8 მლნ. ქორწინება, ხოლო სანამ განქორწინება გაფორმდებოდა, ეს 945 ათასი დაშლილი ქორწინება, განსხვავებული ზოგჯერ კი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. საბჭოთა დემოგრაფების შეფასებით განქორწინებათა წლიური რიცხვის მხოლოდ 4%-მდე მოდის იმ ოჯახებზე, რომლებიც მიმდინარე წელს შეიქმნა.

თვალი გავადევნოთ განქორწინების პროცესის დინამიკას. თუ 1960 წელს სსრკ-ში რეგისტრირებული იყო 270,2 ათასი განქორწინება, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განქორწინების კოეფიციენტი შეადგინა 1,3‰, მაშინ 1965 წელს, ე.ი. განქორწინების გაფორმების წესების მნიშვნელოვან ცვლილებამდე, მათი რიცხვი 360,4 ათასამდე (1,6‰) გაიზარდა. მაგრამ 1966 წელს, განქორწინების პროცედურის გამარტივების შემდეგ, მათი რიცხვი 646,1 ათასამდე (2,8‰) გაიზარდა, 1975 წელს – 860,7 ათასამდე (3,4‰), ხოლო 1983 წელს მათ უკვე 945 ათასი, ანუ 3,5‰ შეადგენს. ყურადღება მივაქციოთ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ 1966 წელთან შედარებით განქორწინებათა საერთო რიცხვი რამდენადმე შემცირდა (1979 წელს 615,2 ათასამდე), ხოლო შემდგომ დაიწყო ზრდა, პრაქტიკულად 1980 წლამდე, როცა მათმა რიცხვმა 929,6 ათასს მიაღწია, ე.ი. 1969-დან 1980 წლამდე იგი 50,6%-ით გაიზარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ განქორწინებათა რიცხვის ზრდა დაკავშირებულია არა მარტო განქორწინების პროცედურის ცვლილებასთან, არამედ ამ მოვლენას სხვა უფრო სიდრმისეული მიზეზებიც აქვს.

განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები, როგორც ამ სახის სხვა მაჩვენებლები არასრულად ახასიათებს ამ პროცესებს. მაგრამ უფრო დეტალური მაჩვენებლები ადასტურებს განქორწინების ზრდას. ასე მაგალითად, განქორწინების ჯამური კოეფიციენტი 1964 წელს შეადგენდა 176‰-ს, 1966 წელს – 349-ს, 1975 წელს – 396-ს და 1977 წელს – 438‰-ს.⁶⁴ ანალოგიური მაჩვენებლები 16-დან 49 წლამდე ასაკის ვაჟებისათვის 1964 წელს იყო – 193‰, 1966 წელს – 357, 1975 წელს – 414 და 1977 წელს – 463‰. განქორწინების ზრდაზე მეტყველებს მათი მაჩვენებლები საქორწინო კოპორტებში. 1959 წელს გაფორმებული

⁶⁴ მათ ანგარიშობენ ისევე როგორც შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს. ჩვენს შემთხვევაში იგი გვიჩვენებს რეგისტრირებული განქორწინებების რიცხვს საშუალოდ 16-დან 49 წლამდე ასაკის 1000 ქალზე.

საშუალოდ 1000 ქორწინებიდან 10 წლის შემდეგ განქორწინების შედეგად დაიშალა 112 ქორწინება, 1964 წლის საქორწინო კოპორტისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენდა 171-ს, ხოლო 1969 წელს დაქორწინებულებში კი – 207-ს.

უკვე აღინიშნა, რომ განქორწინებათა ინტენსივობა განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. ახლო წარსულში, 20-30 წლის წინ, სოფლად ქალაქთან შედარებით, განქორწინებათა დონეებში არსებული განსხვავება, ახლა იცვლება. განქორწინებათა ზრდის ტემპები სოფლად, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, არსებითად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად, სადაც ეს დონე ისედაც მაღალია. ამ აზრით სოფელი ქალაქს ეწევა.

თანდათანობით მცირდება ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში მოსახლეობის განქორწინებათა დონეებში არსებული განსხვავებანი. 1969-1970 წლებში 1000 ცოლქმრულ წყვილზე განქორწინებათა უმაღლესი საშუალო წლიური რიცხვი იყო ლატვიის სსრ-ში – 18,6‰, ხოლო ყველაზე მცირე – სომხეთის სსრ-ში – 4,7‰. 1978-1979 წლებში მაჩვენებლის უმაღლესი სიდიდე კვლავ ლატვიაში იყო რეგისტრირებული – 22,1‰, ხოლო ყველაზე მცირე სომხეთში – 5,0‰. 1969–1979-დან 1978-1979 წლამდე პერიოდში განქორწინებათა მაჩვენებლები მართალია სხვადასხვა ზომით, მაგრამ მაინც ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გაიზარდა.

ოჯახის დაშლის მეორე მიზეზია – ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი, დაქვრივება. დემოგრაფ ა.გ.ვოლკოვის გაანგარიშებით 1970-1979 წლებში დაახლოებით 8 მლნ. ადამიანი დაქვრივდა. ეს ნიშნავს, რომ ამ წლებში საშუალოდ 1000 ქორწინებიდან 16 ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის გამო დაიშალა. 1959-1970 წლებში დაქვრივების ინტენსივობის მაჩვენებელი ყოველ 1000 ქორწინებაზე საშუალოდ 18-ის ტოლი იყო.

დაქვრივების მიზეზით ქორწინების დაშლის დონე ვარირებს ქვეყნის რეგიონების მიხედვითაც, მაგრამ ამ სიდიდეთა შეფასება ძნელია, რადგანაც ცოლქმრული წყვილების რიცხვი არა მარტო დაოჯახებისა და ქორწინებათა დაშლის პროცესებით იცვლება, არამედ ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში ოჯახების მოსვლისა და წასვლის შედეგადაც. მ.ს.ტოლცის შეფასებით 1959-1969 წლებში რსფსრ-ში საშუალოდ 1000 ცოლქმრულ წყვილზე 19 დაშლილი ცოლქმრული კავშირი (19‰) მოდიოდა, უკრაინაში – 15, მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა იყო ტაჯიკეთის სსრ-ში – 31, უზბეკეთის სსრ-ში – 27‰, მინიმალური სიდიდე აღინიშნა მოლდავეთში – 10‰, რამდენადმე მაღალი ლატვიასა და ესტონეთში – 12‰.

ამრიგად, ქვეყანაში ქორწინების შეწყვეტის ტენდენციების ანალიზისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ მოვლენის მთელი მრავალფეროვნება, განსაკუთრებით ის სიდრმისეული სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები, რომლებმაც თანამედროვე პირობებში განაპირობეს ოჯახის ფუნქციათა ცვლილებები, და მაშასადამე, ქორწინებაში შესვლისა და მისი შეწყვეტის თანამედროვე ტენდენციებიც.

მოსახლეობის მოძრაობის მნიშვნელოვან ფორმას, რომელიც მისი შემადგენლობისა და რიცხოვნობის ცვლილებას იწვევს, წარმოადგენს მიგრაცია. მიგრაციული ნაკადები უკვე ომის წინა წლებში იყო ძალიან დიდი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების ათვისება მხოლოდ მოსახლეობის მაღალი მოძრაობის, სოფლიდან ქალაქში და ქვეყნის ახალ სამრეწველო რაიონებში აქტიური მიგრაციის შედეგად გახდა შესაძლებელი. მარტო 1925-1930 წლებში გეგმიური სოფლის მეურნეობრივი გადასახლების

შედგად (ახლა ამას ორგანიზებულ შეგროვებას ვუწოდებთ) ციმბირში 910 ათასი გლეხი ჩავიდა.⁶⁵

მოსახლეობის დიდი ოდებობით გადაადგილებები შეიმჩნეოდა ომისა და ომის შემდგომ პირველ წლებში. ასე მაგალითად, 1941-1942 წლებში იმ რაიონებიდან, რომლებსაც ოკუპაცია ემუქრებოდა, ევაკუირებულ იქნა 25 მლნ. ადამიანი. 1968-1969 წლებში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა 13,9 მლნ.-მა ადამიანმა, ამასთან, მიგრანტთა 72% შრომისუნარიან ასაკში იყო. უკანასკნელ წლებში მოსახლეობის გადანაცვლებათა ძირითადი მიმართულება იყო მიგრაცია სოფლიდან ქალაქად, ქვეყნის ცენტრალური რაიონებიდან ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში და პირიქით, აგრეთვე ჩრდილო კავკასიასა და ქვეყნის სამხრეთის ზოგიერთ რაიონში. ასე მაგალითად, 1970-დან 1984 წლამდე პერიოდში სოფლიდან ქალაქად მიგრაციის შედეგად, სოფლის მოსახლეობის რიცხვი 105,7-დან 96,4 მლნ. კაცამდე ანუ 8,9%-ით შემცირდა, ხოლო სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შემცირდა 44-დან 35%-მდე.

საკმაოდ დიდია მოსახლეობის ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადანაცვლებათა საერთო ოდენობა. 1979 წლის აღწერით მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბადებიდან ცხოვრობდა ქალაქის მოსახლეობის 43,5% და სოფლის მოსახლეობის 68,2%. ამ მაჩვენებლის „გაბნევა“ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, და მაშასადამე, მიგრაციულ პროცესთა ინტენსივობაც, საკმაოდ მაღალია. ასე მაგალითად, დაბადებიდან მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ყველაზე დაბალი ხვედრითი წილი დაფიქსირებული იყო ესტონეთში – 35,5% ქალაქად და 40,5% სოფელ ადგილებში. მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ყველაზე იშვიათად იცვლიდა შუა აზიისა და ამიერკავკასიის

⁶⁵ იხ.: . . .
1976, . 82.

სოფლის მოსახლეობა – შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა უზბეკეთის სსრ-ში 88,2%-ს და აზერბაიჯანში – 90,9%-ს. ერთი სიტყვით, საერთოდ სსრკ-ის მოსახლეობის მაღალი მოძრაობის პირობებში, რეგიონული დიფერენციაცია აქაც არსებობს.

მოსახლეობის განვითარებაზე მიგრაციის გავლენა ხშირად არაერთგვაროვანია. მოსახლეობის მოძრაობის ზრდა საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ხელს უწყობს ადამიანთა კულტურული და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებას. მიგრაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაც, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბუნებრივი რესურსების ათვისება და სხვ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ზრდა და მისი ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანა საშუალებას იძლევა, რომ სოფლიდან კადრების ნაწილი ეკონომიკის სხვა დარგების საჭიროებისათვის გამოვანთავისუფლოთ.

მაგრამ სოფლიდან მეტისმეტი მიგრაცია იწვევს სქესობრივ-ასაკობრივ დისპროპორციებს, ახალგაზრდების ნაკლებობას, რაც ართულებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ახალი ტექნიკის სწრაფ ათვისებას, რაც დიდი ოდენობით მიეწოდება სოფელს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში რსფსრ-ს არაშავმიწანიადაგიან ზონაში. ბევრი ახალგაზრდის წასვლა იწვევს შობადობის შემცირებასა და მოსახლეობის დაბერებას. მეორე მხრივ, ახალგაზრდების დიდი მასის სოფლიდან მსხვილ ქალაქებში ჩასვლა დამატებით დატვირთვას უქმნის ქალაქის საყოფაცხოვრებო სამსახურებს, ართულებს საბინაო პრობლემის გადაწყვეტას.

მოსახლეობის ქვეყნის ახალ რაიონებში გადაადგილება ხშირად სხვა პრობლემების გადაწყვეტასთანაც არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები არა მარტო ჩავიდნენ ახალი ათვისების რაიონებში, არამედ დარჩნენ იქ სამუშაოდ და

საცხოვრებლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სანამ ადამიანი ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილებას დააგროვებს, გადის არა ნაკლებ ნახევარი წელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს ახალმოსახლეთა „შეგუების“ პრობლემა. წინააღმდეგ შემთხვევაში როცა ადამიანი ახალ ადგილზე ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ უკან მიემგზავრება, საზოგადოება მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებს განიცდის.

ამრიგად, მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები საკმაოდ მრავალფეროვანია, და მათი შესწავლა, დემოგრაფიის როგორც მეცნიერების, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ახლა გადავიდეთ დემოგრაფიული პროცესების ანალიზის შემდგომ ეტაპზე – მისი როგორც თანამედროვე თავისებურებების, ასევე მათი შედეგების კომპლექსთა და აგრეთვე ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივების შესწავლაზე.

სსრკ-ის მოსახლეობის განვითარების ხანგრძლივი ტენდენციები და მათი შედეგები

დემოგრაფიული პროცესების თანამედროვე ტენდენციებზე საუბრისას საჭიროა აღვნიშნოთ მათი მნიშვნელოვანი თავისებურება. დაახლოებით 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან შობადობა რამდენადმე გაიზარდა, განსაკუთრებით ახალგაზრდულ ასაკებში, იმ რაიონებში, სადაც ადრე იგი დაბალი იყო, პირველ რიგში რსფსრ-ში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. ქვეყანაში შობადობის საერთო რიცხვი მარტო 1969-1984 წლებში 4 087 ათასიდან 5 389 ათასამდე, ანუ 31,8%-ით გაიზარდა. თუ 1965-1966

წლებში რსფსრ-ში 15-დან 19 წლამდე ასაკის ქალებში შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი შეადგენდა 24,7‰-ს, უკვე 1982-1983 წლებში – 44,7‰-ს, 20-24 წლის ასაკებში – 150,3 და 163,8‰-ს, მაგრამ უკვე 25-29 წლის ასაკებში – შესაბამისად 120,1 და 113,2‰-ს.

უკანასკნელ წლებში გაჩენათა საერთო რიცხვში გაიზარდა მეორე ბავშვთა ხვედრითი წილიც. 1965 წელს რიგით მეორე ბავშვების ხვედრითმა წილმა გაჩენილთა საერთო რიცხვში შეადგინა 27,4%, 1974 წელს – 28,0, 1983 წელს – 35,4%, ოჯახებში მესამე ბავშვთა ხვედრითი წილი იყო 1965 წელს – 14,0%, 1973 წელს – 10,0% და 1983 წელს – 11,5%. ეს მოწმობს, რომ შესამჩნევად გაიზარდა ახალგაზრდა ოჯახების რიცხვი, სადაც ხშირად იბადება მეორე, და გაცილებით ნაკლები – მესამე ბავშვი, თუმცა უკანასკნელ წლებში აქაც არის გარკვეული ძვრები. მაგრამ მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოების გარანტია შეიძლება იყოს „სამ ბავშვიან“ ოჯახზე გადასვლა. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ შობადობის შემცირება შუა აზიის რესპუბლიკებში მიმდინარეობს პირველ რიგში მეშვიდე, მერვე და უფრო მაღალი რიგითობის ბავშვების გაჩენათა რიცხვის შემცირებით, რაც იწვევს პირველი, მეორე და მესამე რიგითობის ბავშვთა ხვედრითი წილის ზრდას.

ქვეყანაში გაჩენათა საერთო რიცხვის ზრდა და მათი სტრუქტურის ცვლილება გარკვეულწილად დაკავშირებულია მოსახლეობის საერთო რიცხვში 20-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ქალების რიცხვის ზრდასთან, ბავშვთაშობის ასაკში ადრე არსებული სქესობრივი დისპროპორციის ლიკვიდაციასთან და ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკის შემცირებასთან. შობადობის საერთო რიცხვის ზრდას ხელი შეუწყო ისეთი სტრუქტურული ფაქტორის გავლენამაც, როგორცაა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შობადობის მაღალი დონის მქონე რესპუბლიკების, უპირველეს ყოვლისა შუა აზიის

რესპუბლიკების მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა. 1970 წელს ისინი შეადგენდნენ სსრკ-ის მოსახლეობის 8,2%-ს, ხოლო 1984 წელს – 10,5%-ს. ვ.ა.ბორისოვის გაანგარიშებით სტრუქტურული ფაქტორის გავლენით აიხსნება 1970 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის 17,4‰-დან, 1980 წელს – 18,3‰-მდე მატების 44%.

საჭიროა გავითვალისწინოთ სკკპ-ის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების დონისძიებათა კომპლექსის შემოქმედებაც.

ამიტომ, უკანასკნელ წლებში გაჩენათა რიცხვის ზრდის მიზეზთა ანალიზისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ რეპროდუქციული ქცევის სტანდარტების შესაძლო ცვლილებებიც, ახალგაზრდებში თავისებური მოდის გაჩენაც კი, ოჯახში არა ერთი, არამედ ორი ბავშვის ყოლაზე.

გაჩენათა რიცხვის ზრდაში, რომელიც ახლა შეიმჩნევა, არის კიდევ ერთი ასპექტი – ეკონომიკური. თუ წინასწარ არ გავითვალისწინებთ გაჩენათა რიცხვის ასეთ ცვლილებებს, ანგარიშს არ გავუწევთ დემოგრაფთა რეკომენდაციებს, მაშინ შესაძლოა ეკონომიკის განვითარებაში გარკვეული სიძნელეები წარმოიშვას. რაც უფრო მეტია გაჩენათა რაოდენობა, მით მეტია მოთხოვნა ბავშვის ტანსაცმელსა და საკვებზე, საბავშვო სკოლამდელ და სამედიცინო დაწესებულებებზე და ა.შ. ერთი სიტყვით, აქ დემოგრაფიული პრობლემები, მოსახლეობის ზრდის ტენდენციების განჭვრეტა თვალსაჩინოდ და საგრძნობლადაა დაკავშირებული სახალხო მეურნეობრივ დაგეგმვასთან.

რაშია რსფსრ-ში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში შობადობის შემცირების ხანგრძლივი ტენდენციის მიზეზი. ისინი ბევრია, რომლებიც ქმნიან რთულ და ზოგჯერ წინააღმდეგობრივ კომპლექსს.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, ოჯახში ბავშვის „ეკონომიკური როლის“ დაცემას. ახლა ბავშვები აღარ წარმოადგენენ, როგორც წარსულში, მუშაკებს ადრეული ასაკიდანვე, რომლებსაც ოჯახის შემოსავალში თავიანთი, ხშირად მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ, და ეს, ჩვენი საზოგადოების უდავოდ მნიშვნელოვანი სოციალური მონაპოვარია. უფრო მეტიც, ბავშვები მხოლოდ 16 წლის ასაკიდან იწყებენ შრომას, იძენენ არსებობის დამოუკიდებელ წყაროს, ხოლო საყოველთაო საშუალო განათლების შემოღების შემდეგ კი უფრო გვიან, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ უმაღლესსა და ტექნიკუმში სწავლის პერიოდს.

ჩვენს ქვეყანაში არ არის უმუშევრობა, ხოლო უფროსი ასაკის პირთა უზრუნველყოფას, არსებული სოციალური უზრუნველყოფის პროგრესული სისტემის მეშვეობით სახელმწიფო ანხორციელებს. ასე რომ, ბავშვები აღარ წარმოადგენენ „დაზღვევას“ მოხუცებულობის შემთხვევაში. ჩვენს დროში ბავშვი საკმაოდ დიდხანს სწავლობს სკოლაში, შემდეგ სასწავლებელში. შედეგად, სახელმწიფო დახმარების მიუხედავად, ის გახდა ოჯახის ხანგრძლივი „კაპიტალური დაბანდების“ ობიექტი.

თითოეული ოჯახი ცდილობს, რომ ბავშვი კარგად იყოს ჩაცმული, მიიღოს ყველაფერი რაც აუცილებელია მისი სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის. ბავშვის შენახვაზე გაწეული დანახარჯები საკმაოდ დიდია და შეადგენს მაგალითად, ქალაქურ ოჯახში ჩვენი გაანგარიშებით 7 წლამდე ასაკის ბავშვისათვის საშუალოდ ყოველთვიურად 75-80 მანეთს.⁶⁶ მაგრამ ოჯახის (არა მარტო ფულადი, არამედ უმთავრესად დროის, განსაკუთრებით დედის) ბიუჯეტი შეზღუდულია. ამასთანავე ყოველი ახალი ბავშვი ოჯახში ესაა

⁶⁶ ნ.ი.კირიჩენკოს გაანგარიშებით სკოლამდელი ასაკის ბავშვის რაციონალური ნორმით შენახვის ხარჯები შეადგენს, თვეში 45 მანეთს, ხოლო მოსწავლის შენახვისა კი – 76 მანეთს.

ხანგრძლივი შესვენება დედის მუშაობაში, რაც აუარესებს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია ხაზი გავესვათ, რომ ქალის საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმის პროცესი – პროგრესული და შეუქცევადი მოვლენაა. საბჭოთა ქალებისათვის სამუშაო არა მარტო არსებობის საშუალებათა წყაროა, არამედ ესაა ადგილი, სადაც ისინი ბევრ ინფორმაციას ღებულობენ. დიდი ხნით სამუშაოდან მოწყვეტა, განსაკუთრებით ქალაქად, იწვევს პირადი და პროფესიული კონტაქტების გაწყვეტას. ამიტომ, ზოგჯერ, ფეხმოკიდებული აზრი, იმის შესახებ, რომ „ქალის ოჯახში დაბრუნებით,“ ბევრი ცხოვრებისეული პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება, საეჭვოა, რომ რეალური და დასაბუთებული იყოს, განსაკუთრებით განათლების მაღალი დონისა და საინტერესო პროფესიის მქონე ქალებისათვის.

პერსპექტივაში, სანამ საზოგადოება ვერ შეძლებს ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებასთან ერთად, საზოგადოებრივი აღზრდის ქსელით სრულად მოიცვას მთელი მოზარდი თაობა, საჭიროა გამოვიდეთ იქიდან, რომ შრომისა და კვლავწარმოების ფუნქციებს შეითავსებს ოჯახი.

ამასთან, არ შეიძლება დავუპირისპიროთ ერთმანეთს საზოგადოებრივ წარმოებაში მუშაობა და ბავშვის აღზრდა. ოჯახის ეს ორივე ფუნქცია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და აუცილებელია მივაღწიოთ მათ ჰარმონიულ შეთანაწყობას სხვადასხვა დონისძიებათა სისტემასთან, რაც საშუალებას მოგვცემდა აგვემაღლებინა (ან არ შეგვემცირებინა მაინც) ბავშვის გაჩენისას ოჯახის დონე და ცხოვრების პირობები. ძალიან მნიშვნელოვანია ორ-სამ შვილიანი ოჯახების პრესტიჟულობის პროპაგანდა.

შობადობის წახალისების ღონისძიებები აუცილებელია იმიტომაც, რომ სოციალისტური საზოგადოება არაა დაინტერესებული ქვეყნის მოსახლეობის შეკვეცილ კვლავწარმოებაზე გადასვლით.

არსებობს თუ არა ახლა შეკვეცილი კვლავწარმოება? მთლიანად ქვეყანაში, რა თქმა უნდა, არა, და ამაზე მეტყველებს ადრე მოყვანილი, უპირველეს ყოვლისა კი კოჰორტული მაჩვენებლები. რაც შეეხება შობადობის დაბალი ღონის მქონე ცალკეული რეგიონების მოსახლეობის კვლავწარმოებას, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია მოსახლეობის რამდენიმე თაობის კვლავწარმოების ღონის მაჩვენებლების რეგიონულ ჭრილში ქონა.

შეკვეცილი კვლავწარმოება შეიძლება ჩამოყალიბდეს უპირველეს ყოვლისა შობადობის ინტენსივობის შემცირების შედეგად, რომელიც თავისი ტემპებით უსწრებს მოკვდაობის ინტენსივობის შემცირების ტემპებს. სქესობრივი სტრუქტურის გარკვეული დისპროპორციის დროს, მოსახლეობის კვლავწარმოების შეკვეცილი ტიპი რამდენიმე ხნით შეიძლება ჩამოყალიბდეს შობადობისა და მოკვდაობის უცვლელი ასაკობრივი ინტენსივობის დროსაც. ასაკობრივი სტრუქტურის ასეთი სპეციფიკა, უპირველეს ყოვლისა შეიძლება ჩამოყალიბდეს, ამა თუ იმ რეგიონიდან, განსაკუთრებით სოფლიდან ქალაქად, ახალგაზრდების დიდი რაოდენობით წასვლის ხარჯზე. სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა 70-იანი წლების დასაწყისში რსფსრ-ს არაშავმიწანიადაგიანი ზონის ზოგიერთი ოლქის სოფლებში.

ინტენსიური მიგრაციის შედეგად ახალგაზრდებისა და საშუალო ასაკის პირთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება არაშავმიწანიადაგიანი ზონის მოსახლეობაში იწვევს მაღალი ასაკის პირთა ხვედრითი წილის ზრდას, და მაშასადამე, საბოლოო ჯამში იზრდება გარდაცვლილთა რიცხვიც, იზრდება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტიც. ასე მაგალითად, 1959-დან 1970 წლამდე პერიოდში 60 წლისა და მეტი

ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი ფსკოვის ოლქის მთელ მოსახლეობაში გაიზარდა 14,4%-დან 17,7%-მდე, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გაიზარდა 9,8‰-დან 1960 წელს, 13,2‰-მდე 1974 წელს. ამრიგად, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მკვეთრ ცვლილებას შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილის დემოგრაფიულ სიტუაციაზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, როგორც მთელი ქვეყნისათვის, ასევე მისი ცალკეული რეგიონებისთვისაც ხალხთმოსახლეობის პრობლემის გადაწყვეტისადმი აქტიური მიდგომის აუცილებლობას.⁶⁷

მოსახლეობის შეკვეცილი კვლავწარმოების ტენდენციების უახლოესი ეკონომიკურ-დემოგრაფიული შედეგები გარკვეულწილად უკვე ახლა ახდენს გავლენას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, უპირველეს ყოვლისა 60-იან წლებში შობადობის აბსოლუტური რიცხვის, და მაშასადამე, მომავალში პოტენციური შრომითი რესურსების სიდიდის შემცირებით.

თუ გავაგრძელებთ ქვეყნის ზოგიერთი ნაწილის მოსახლეობისათვის შეკვეცილი კვლავწარმოების როგორც შობადობის შემცირების შედეგების განხილვას, მაშინ მისი ყველაზე საგრძნობი შედეგი შეიძლება იყოს მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდების რიცხვის შემცირება და თავდაპირველად საშუალო, ხოლო შემდგომ ხანდაზმული ასაკის ადამიანთა ხვედრითი წილის ზრდა, ე.ი. მოსახლეობის დაბერების პროცესის დაჩქარება. სქესობრივი სტრუქტურის ასეთი ცვლილებები არ შეიძლება სასურველად მივიჩნიოთ, არა მარტო საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების პერსპექტივების პოზიციებიდან.

⁶⁷ სკკპ-ის ცკ-ისა და სსრკ-ის მინისტრთა საბჭომ მთელი რიგი დადგენილებები მიიღო რსფსრ-ს არაშავმიწანიდაგიანი ზონის შემდგომი განვითარების შესახებ. მათი წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ამ ნაწილში მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტასაც.

მოსახლეობის დაბერება იწვევს რიგ სოციალურ და ფსიქოლოგიურ შედეგებსაც.

სსრკ-ში 60 წლისა და მეტი ასაკის პირთა ხვედრითი წილი გაიზარდა 6,7%-დან 1926 წელს, 13,3%-მდე 1975 წლის დასაწყისისათვის. ასე მაგალითად, 1959 წლის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენდა 68,6 წელს, ხოლო 60 წლისა და მეტი ასაკის პირთა ხვედრითი წილი – 9,4%-ს. 1970 წლის აღწერის მონაცემების ბაზაზე გაანგარიშებული შესაბამისი მაჩვენებლები იყო 69,5 წელი და 11,2%.

ყურადსაღებია, რომ ამ პერიოდში მაღალი ასაკის პირთა ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა უმნიშვნელოდ შეიცვალა. მაშასადამე, ამჟამად მოსახლეობის დაბერების ძირითადი მიზეზია შობადობის რიცხვის შემცირება, რაც იწვევს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თანდათანობით ცვლილებას.

მაგრამ მოსახლეობის დაბერება არის შეკვეცილი კვლავწარმოების მხოლოდ ერთ-ერთი შედეგი. მოსახლეობის ძირითადი მასისათვის ასეთი ტიპი რომ იყოს დამახასიათებელი, მაშინ სახალხო მეურნეობის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა შეიძლება უკიდურესად გამწვავდეს, რადგანაც შრომის ნაყოფიერების ზრდა ვერ შეძლებს დასაქმებული მოსახლეობის ბუნებრივი კლების კომპენსირებას. შეკვეცილი კვლავწარმოება არასასურველია ისტორიულ პერსპექტივაშიც. საჭიროა ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება, რათა არ დაუშვათ მისი ჩამოყალიბება.

როგორც უკვე აღინიშნა, კვლავწარმოების მეორე ტიპი, უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელია შუა აზიის რესპუბლიკების სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის, სადაც არსებობს ზრდის მაღალტემპიანი მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოება,

უპირველეს ყოვლისა მაღალი, ოჯახის მიერ შეუზღუდავი შობადობისა და შედარებით დაბალი მოკვდაობის ხარჯზე.

ქვეყნის ამ ნაწილში დემოგრაფიული პროცესების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს სოფლის მკვიდრი მოსახლეობის, თავისი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სხვა ხალხებთან შედარებით დაბალი ტერიტორიული მოძრაობა. ეს ბევრადაა დამოკიდებული რუსული ენის არასაკმარის ცოდნასა და სოფლის მეურნეობაში მუშაობის ჩვევაზე. მაგალითად, 1970 წლის აღწერამ გვიჩვენა, რომ უზბეკების მხოლოდ 15% თვლიდა, რომ მათ თავისუფლად იცოდნენ რუსული ენა,⁶⁸ თანაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობდა ქალაქად; 1979 წელს ეს მაჩვენებელი 49,3%-მდე გაიზარდა.

შუა აზიის რესპუბლიკებში მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი – ყოველწლიურად დაახლოებით 3% – ამ ხალხების სოციალურ-ისტორიული განვითარების სპეციფიკითაა განპირობებული. ისინი სოციალიზმში გადავიდნენ ფეოდალიზმიდან, კაპიტალიზმის გვერდის ავლით, რომლისთვისაც დამახასიათებელია პატრიარქალურ ოჯახზე და მაღალ შობადობაზე დამანგრეველი გავლენა. ჩვენს დროში სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიან დარგებში კოლმეურნეების მატერიალური კეთილდღეობის სწრაფი ზრდა, მათი მოთხოვნილების სტრუქტურის ძალიან ნელი ევოლუციის პირობებში, ქმნის ეკონომიკურ ბაზას მრავალშვილიანი ოჯახის ცხოვრებისათვის. და ახლა მრავალშვილიანობის შენარჩუნებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების პირობებში და მოსახლეობის დაბალი მოძრაობის დროს, სოფლის, აულის, კიშლაკის საზოგადოებრივი აზრი ტრადიციულად ახალისებს დიდ ოჯახებს; ისინი თითქოსდა აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

⁶⁸ შეგახსენებთ, რომ მოსახლეობის აღწერების ჩატარების მეთოდის თანახმად, ეს ციფრი გამოსაკითხ ადამიანთა თვითშეფასებაზეა დამყარებული.

მაგრამ პრინციპში გარდაუვალია პატარა ოჯახებზე გადასვლა, რაზეც მეტყველებს ისეთი რესპუბლიკების გამოცდილება, როგორცაა ყაზახეთი, სომხეთი, მოლდავეთი და უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანი, სადაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ტრადიციები ძლიან ჰგავს შუა აზიის რესპუბლიკების მკვიდრი მოსახლეობის ჩვეულებებს.

ახლა შევეცადოთ განზოგადებული სახით წარმოვიდგინოთ მოსახლეობის კვლავწარმოების თანამედროვე ტიპი იმასთან შედარებით, როგორც იყო წარსულში, მაღალი შობადობისა და მოკვდაობის პირობებში. ამის შესაძლებლობას იძლევა ლ.ვ.დარსკის მიერ გამოანგარიშებული კრებსითი ცხრილი. მოვიყვანოთ იგი რამდენადმე შეცვლილი ფორმით (იხ. ცხრილი 15)

თუ ცხრილის მონაცემებს დავაკვირდებით, თვალნათლივ დავინახავთ ორი ტიპის კვლავწარმოების თავისებურებებს. თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ კვლავწარმოების ციკლის საბოლოო შედეგი, ე.ი. მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი დამრგვალებით უდრის 1,6 და 1,1. რაოდენობრივად ეს მაჩვენებლები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან, მაგრამ ხარისხობრივად იგი მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც განსხვავებულია ის კომპონენტები, რომლებიც კვლავწარმოებათა ამ ტიპების ფორმირებას განაპირობებს. პირველი – ესაა ბავშვთაშობის ასაკის ქალების მოკვდაობით გამოწვეული განსხვავება შობადობის დანაკარგებში; აქ XIX საუკუნის ბოლოსა და ჩვენი დროის მაჩვენებლები (1,26 და 0,17) განსხვავდება 7-ჯერ და მეტად. შესაბამისად, დიდია პირველ შემთხვევაში (0,41 და 0,23) დაქვრივების შედეგად შობადობის დანაკარგები.

თუ გასული საუკუნის დასასრულს პრაქტიკულად არ იყო „დანაკარგები“ ბავშვთა რიცხვში განქორწინების შედეგად, რაც პასუხობდა იმ დროის ცხოვრების პირობებსა და ოჯახის ტიპს, ჩვენს

მოსახლეობის კვლავწარმოების მანქენებლების ფორმირებაზე
მოქმედი ფაქტორები მისი სხვადასხვა ტიპის დროს

	რუსეთის ევროპული ნაწილი XIXს. ბოლოს	სსრკ XXს-ის 70-იანი წლების ბოლოს.
ბავშვთა საშუალო რიცხვი, რომელიც შეეძლო გაეჩინა ქალს ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში	12,44	12,44
მათგან სულ არ გაუჩენიათ ბავშვი მათ შორის:	6,20	10,18
რეპროდუქციული ასაკის დასრულებამდე ქალის სიკვდილის გამო	1,26	0,17
ქალთა ნაწილის გაუთხოვრობის გამო	0,55	0,41
იმის გამო რომ ყველა ქალი ბავშვთაშობის ასაკის მიღწევისთანავე არ დაქორწინდა	2,38	2,46
ბავშვთაშობის ასაკის ბოლომდე დაქვრივების გამო ქორწინების გარეშე ყოფნა	0,41	0,23
განქორწინების გამო ქორწინების გარეშე ყოფნა	0,00	0,82
როგორც ცუდი ჯანმრთელობის ან შობადობის შეგნებულად არიდების შედეგი	1,60	6,09
სულ გააჩინეს ბავშვები	6,24	2,26
მათ შორის გოგონები	3,00	1,10
გაჩენილი გოგონებიდან მოკვდაობის არსებული რეჟიმის გათვალისწინებით შანსი აქვთ იცოცხლონ ბავშვთაშობის ასაკის დადგომამდე და გააგრძელონ კვლავწარმოების ახალი ციკლი	1,63	1,06

დროში ისინი უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანია – 0,82. შემდეგ აღვნიშნოთ მნიშვნელოვანი რაოდენობრივი განსხვავება; XIX საუკუნის ბოლოს, უპირველეს ყოვლისა მეუღლეთა, განსაკუთრებით კი დედის ცუდი ჯანმრთელობის გამო „იკარგებოდა“ 1,6 ბავშვი. ჩვენს დროში ამას დაემატა შობადობის შეგნებული შეზღუდვის გავლენა და ეს ფაქტორი „ჭამს“ შობადობის პოტენციური რიცხვის თითქმის ნახევარს (6,09), ე.ი. იწვევს ძირითად „დანაკარგებს.“

მთლიანობაში მოსახლეობის კვლავწარმოების ამჟამად ჩამოყალიბებული ტიპი მოკვდაობით გამოწვეული დანაკარგების შემცირების გამო უფრო პროგრესულია. ამ კუთხით იგი უფრო ჰუმანურია და, ზოგჯერ ამბობენ, რომ უფრო ეკონომიურია, ვიდრე ძალიან მაღალ მოკვდაობასა და შეუზღუდავ შობადობაზე დამყარებული მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპი.

ჩვენს დროში არსებითად შეიცვალა ოჯახში როლური ფუნქციები, საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ქორწინებასა და ქორწინების დაშლასთან დაკავშირებით. ახლა განქორწინება ბავშვიანი ქალისათვის აღარ წარმოადგენს ეკონომიკურ კატასტროფას. საზოგადოებრივი აზრისა და ოჯახის გარშემომყოფთა მიერ, ის არ აღიქმება როგორც მკვეთრად ნეგატიური. თანამედროვე ოჯახი „განმტკიცებულია“ არა ქმრის „ეკონომიური ძალაუფლებით,“ არამედ უპირველეს ყოვლისა მეუღლეთა სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით.⁶⁹ ერთი სიტყვით, ოჯახის „გვერგვი“ გახდა უპირველეს ყოვლისა არაეკონომიური, ფსიქოლოგიური ფაქტორები; ის დამყარებულია მეუღლეთა თანხმობასა და თანასწორუფლებიანობაზე, როგორც სოციოლოგები ამბობენ, მან მიიღო ეგალიტარული ხასიათი.

⁶⁹ აღვნიშნავთ, რომ ცნებამ – „ოჯახის უფროსი“, რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება ზოგიერთ პუბლიკაციებში, პრაქტიკულად დაკარგა ის აზრი, რომელიც მასში თავდაპირველად იგულისხმებოდა და წმინდა ფორმალური კატეგორია გახდა.

მაგრამ ეს მნიშვნელოვანი სოციალური მონაპოვარი განაპირობებს ერთმანეთის მიმართ მეუღლეთა მოთხოვნის ზრდას, როგორც სოციალურ, ასევე კულტურული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რაც ქმნის განქორწინების მომატებულ რისკს. რასაც ადრე მეუღლეთა ეკონომიკური უთანასწორობა აფერხებდა, ახლა მოისპო, შეიცვალა აგრეთვე საზოგადოებრივი აზრიც. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორები არ ამართლებს დაუფიქრებელ ქორწინებებსა და განქორწინებებს, მაგრამ აუცილებელია გვახსოვდეს, რომ დაშლილ ოჯახთა რიცხვის ზრდას საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები.

ამასთანავე ქალის როგორც მუშაკისა და მშრომელის როლის გადაჭარბებამ მისი დედობრივი ფუნქციის დაკარგვის საზიანოდ, და ქალის გაზრდილმა ეკონომიურმა დამოუკიდებლობამ, რიგ შემთხვევაში გამოიწვია ოჯახის ცხოვრებისეულ ფასეულობათა სისტემაში ბავშვთა მნიშვნელობის დაცემა. ზოგიერთი ქალი დემოსტრაციულად უგულვებელყოფს ქალის – როგორც დედისა და ოჯახის დიასახლისის როლს და „ოჯახის გარეშე“ ინტერესებზეა ორიენტირებული. ასეა თუ არა ეს სინამდვილეში – ეს სხვა საკითხია, მაგრამ მსგავსი განწყობილების ზრდა თავისთავად ყურადსადებია.

როგორიდაა სსრკ-ის მოსახლეობის განვითარების პესპექტივები? ისინი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შედეგიანი იქნება ახლა ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პოლიტიკა, თუმცა მისი ეფექტურობა არ შეიძლება ახლავე შეფასდეს, ამისთვის საკმაოდ ხანგრძლივი დროა საჭირო. ამიტომ მოსახლეობის კვლავწარმოების მომავალი პარამეტრებისათვის რაიმე რაოდენობრივი შეფასების მიცემა, და მით უმეტეს ზოგჯერ არასრული სტატისტიკური ინფორმაციის პირობებში, საკმაოდ ძნელია. ჩვენ, აქამდე არსებული რეგიონული განსხვავების გათვალისწინებით, მხოლოდ მოსახლეობის მოძრაობის

სხვადასხვა კომპონენტის ხარისხობრივი მაჩვენებლებით შემოვიფარგლებით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხანმოკლე პერსპექტივაში, ე.ი. ჩვენი საუკუნის ბოლომდე, გაგრძელდება ქვეყნის რეგიონების მიხედვით შობადობის ინტენსივობის დაახლოების აქტიური პროცესი. შემდგომში (შეიძლება დაჩქარებული ტემპითაც კი) შესამჩნევი იქნება შუა აზიის რესპუბლიკებში, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში, შობადობის ინტენსივობის შემცირების პროცესი. აქ, ყველაზე სავარაუდოა, რომ მოხდეს მრავალშვილიანიდან, საშუალოშვილიან და ცოტა მოგვიანებით კი მცირეშვილიან ოჯახზე გადასვლა. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პოლიტიკის გააქტიურება იმისათვის, რომ არ მოხდეს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის გადასვლა მცირეშვილიან ოჯახზე.

ამიერკავკასიის ისეთ რესპუბლიკებში, როგორცაა აზერბაიჯანი და სომხეთი, აგრეთვე ყაზახეთსა და მოლდავეთში, პერსპექტივაში, დასრულებასთან ახლოს იქნება (ან უკვე დასრულდება) შობადობის დაბალ დონეზე და მცირეშვილიან ოჯახებზე გადასვლა.

რაც შეეხება შობადობის დაბალი დონის მქონე რესპუბლიკებს (რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, ბალტიისპირეთი), მათი ცვლილების პერსპექტივები განსაკუთრებით მჭიდროდაა დაკავშირებული მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ტენდენციებთან.

დაავადებისა და მოკვდაობის ტენდენციები დიდად იქნება დამოკიდებული მეცნიერების განვითარების წარმატებებსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ეფექტურ ფუნქციონირებაზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სფეროშიც შენარჩუნებული იქნება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის პროგრესული ტენდენცია ჩვილთა მოკვდაობისა და ტრამვატიზმით გამოწვეული მოკვდაობის შემდგომი

შემცირების ხარჯზე, საშუალო ასაკის პირთა ყოფითი და საწარმოო უბედური შემთხვევებისაგან გარდაცვალების შემცირების ხარჯზე და ა.შ. აქ, დიდ როლს ითამაშებს მოსახლეობის შრომისა და დასვენების რაციონალიზაცია, მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება.

პერსპექტივაში გაიზრდება მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობა, განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. ამავე დროს შობადობის დაბალი დონის რაიონებში მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა სოფელი-ქალაქის მიმართულებით შეიძლება შემცირდეს, მით უფრო, რომ ამ რაიონებში მიგრანტთა პოტენციური რეზერვები უმნიშვნელოა.

მთლიანობაში ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაცია საკმაოდ მრავალფეროვანია, მისი შესწავლა თითოეული რეგიონის ისტორიული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებასა და დემოგრაფიული ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას მოითხოვს.

თავი V

რა არის დემოგრაფიული პოლიტიკა?

სკკპ-ის ცკ-ის აპრილის (1985 წ.) პლენუმზე აღინიშნა, რომ „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების უმაღლეს მიზანს სკკპ ხედავს იმაში, რომ განუხრელად ნაბიჯ-ნაბიჯ აამაღლოს ხალხის კეთილდღეობა, გააუმჯობესოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარე, შექმნას ხელსაყრელი პირობები პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის.“⁷⁰

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის პარტიის მიერ დასახული ღონისძიებები მოითხოვს, სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვის სრულყოფის, რიგი გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციისადმი კომპლექსურ მიდგომას.

ჩვენი საზოგადოების გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ დაგეგმვაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაიზარდა დემოგრაფიული პროცესების განვითარების ტენდენციებისა და მათი შედეგების გათვალისწინების აუცილებლობა, რადგანაც 25-30 წლიან გაანგარიშებებში არა მარტო მთლიანად ქვეყნისათვის, არამედ რეგიონების მიხედვითაც, ცვლილებები მათ ხასიათში შეიძლება საკმაოდ არსებითი იყოს და მათი გავლენა აისახება სახალხო მეურნეობის გეგმების რეალიზაციაზეც.

გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვა, მთლიანად ჩვენი საზოგადოების განვითარების მართვა, აუცილებელ ელემენტად უნდა მოიცავდეს დემოგრაფიულ პროცესებზე საზოგადოების მიზანმიმართულ ზემოქმედებასაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე

⁷⁰ , 1985, 24 .

ეხება დემოგრაფიული პროცესების მართვას, ანუ დემოგრაფიულ პოლიტიკას.

ნებისმიერი პროცესის მართვა უნდა მოიცავდეს, ჯერ ერთი, ამ მოქმედებათა მიზნის განსაზღვრას, ე.ი. სამართავი ობიექტის იმ პარამეტრებს, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით. მეორე ელემენტია – იმ თავდაპირველი მდგომარეობის ანალიზი, რომელშიც იმყოფება სამართავი ობიექტი მართვის მოქმედების პროგრამის რეალიზაციის დასაწყისში. ნებისმიერი პროცესის მართვისათვის აუცილებელია გვექონდეს საზომთა სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ვაკონტროლოთ სამართავი სისტემის მდგომარეობის ცვლილება. დემოგრაფიულ პროცესებთან დაკავშირებით – ესაა მათი ანალიზის მეთოდები.

დემოგრაფიული სიტუაცია (ან როგორც ზოგჯერ ამბობენ დემოგრაფიული ვითარება), თავისი არსით წარმოადგენს მოსახლეობის კვლავწარმოების ხანგრძლივი ტენდენციების ელემენტს, რომელიც ყალიბდება სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა განმსაზღვრელი გავლენით. უფრო რთულადაა საქმე სამართავი მოქმედებების მიზნის განსაზღვრისას, ე.ი. დემოგრაფიულ პროცესთა იმ პარამეტრებზე, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით პერსპექტივაში.

რთული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის საფუძვლების დამუშავებისას, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი თავისებურებანი, რაც შემდგომში განსაზღვრავს ასეთ მოქმედებათა ზოგად პრინციპებსაც. ცნობილია, რომ მოსახლეობაში მიმდინარე პროცესთა ხასიათი იცვლება სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენით, რომლებიც თითოეულ საზოგადოებრივ ფორმაციაში სპეციფიკურად ვლინდება. ეს გავლენა მარტივად არ უნდა გავიგოთ, კერძოდ თითქოსდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად რაღაცნაირად

იმავე პროპორციით იზრდება (ან მცირდება) შობადობის ინტენსივობა. სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მოვლენებს შორის არსებობს დემოგრაფიული ქცევის თავისებური გადამცემი მექანიზმი.

დემოგრაფიულ პროცესთა მართვის შესაძლებლობაზე მოქმედ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის თვისება, რასაც დემოგრაფებმა ინერციულობა უწოდეს. მისი არსი ისაა, რომ დემოგრაფიულ პროცესთა პარამეტრები, დემოგრაფიული სტრუქტურები, დროში საკმაოდ ნელა იცვლება, და მათი თანამედროვე პარამეტრები უმეტესწილად წარსულის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ანარეკლია.

დაწვრილებით შევხერდეთ ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაზე. როგორც ცნობილია სკკპ-ის XXV ყრილობაზე ჩამოყალიბდა დებულება გარემოს დაცვისა და ხალხთმოსახლეობის პრობლემების გამწვავების შესახებ. იმაზე, რომ ეს მდგომარეობა შენარჩუნებულია, ლაპარაკი იყო სკკპ-ის XXVI ყრილობაზეც. რა უნდა გვესმოდეს ხალხთმოსახლეობის პრობლემებისა და დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავებაში?

დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავებაში შეიძლება გვესმოდეს შემდეგი მომენტები:

საზოგადოების გრძელვადიანი ინტერესების პოზიციებიდან გამომდინარე შობადობის ინტენსივობის დონის შემცირება მინიმალურად დასაშვებზე დაბლა;

როგორც დაბადებისას ასევე ცალკეულ ასაკებში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შეწყვეტა;

საზოგადოების გრძელვადიანი ინტერესების პოზიციიდან, მიგრაციის არარაციონალური მიმართულება და ახალმოსახლეთა შეჩვევის დაბალი დონე;

ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში დისპროპორციული, უპირველეს ყოვლისა სქესობრივ-ასაკობრივი, დემოგრაფიული სტრუქტურების ფორმირება;

საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო განქორწინების მაღალი მაჩვენებელი.

დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება მოითხოვს პარამეტრებისა და მოსახლეობის კვლავწარმოების იმ ტიპის განსაზღვრას, რომელიც მიჩნეულია ყველაზე სასურველად, ე.ი. ოპტიმალურად, პერსპექტივაში. ასეთი ტიპის შერჩევა უნდა გამომდინარეობდეს იმ მიზნიდან, რასაც ისახავს საზოგადოება და რომელსაც ემორჩილება ყველა სოციალური და ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტა.

ამ მიზანს წარმოადგენს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფა, და მაშასადამე, კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლა.⁷¹ მოსახლეობის კვლავწარმოების ასეთი ტიპის ძირითადი ელემენტების განსაზღვრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი განვითარების გენერალური ტენდენციები, ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული მოსახლეობის კვლავწარმოების სხვადასხვა ტიპების შედეგები.

საბჭოთა დემოგრაფიების გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის ყველაზე სასურველი კვლავწარმოების ტიპის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

არცთუ მაღალი შობადობა, რომელიც, ზრდის მცირე ტემპებით უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ კვლავწარმოებას. შობადობის ასეთ ტიპს პასუხობს ტიპიური ორ-სამბავშვიანი ოჯახი;⁷²

⁷¹ იხ.: , 14-15 1983 ., . 8-9.

⁷² როცა ტიპიურ ოჯახზე საუბარი, ეს ნიშნავს რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავრცელებული უნდა იყოს ორ-სამბავშვიანი ოჯახები, დანარჩენი ტიპის ოჯახები კი – უფრო იშვიათი.

როგორც დაბადებისას, ასევე სხვადასხვა ასაკებში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის მუდმივი ზრდა;

მიგრაციის სხვადასხვა ფორმების ინტენსივობის ზრდა;

მოსახლეობის ხარისხის მუდმივი ზრდა;

პერსპექტივაში კვლავწარმოების ასეთი ტიპი მთელი ქვეყნისათვის ერთიანი უნდა გახდეს, რეგიონულ ასპექტში კონკრეტული, არაპრინციპული განსხვავების შენარჩუნების პირობებში.

საჭიროა განსაკუთრებით ვთქვათ მოსახლეობის ხარისხზე. რა თქმა უნდა, საქმე ეხება, არა იმას, რომ ერთი ადამიანი უკეთესია და მეორე – უარესი. ფართო გაგებით მოსახლეობის ხარისხში იგულისხმება ახალი ცოდნის შეთვისების სიჩქარე, მოსახლეობის უმეტესი ჯგუფების მიერ ცხოვრებისა და შრომის ახალი პირობებისადმი შემგუებლობის სისწრაფე. მოსახლეობის ხარისხი გარკვეულწილად ვლინდება განათლების დონის ზრდაში, პროფესიული სტრუქტურის სრულყოფასა და სხვა ნიშან-თვისებებში.

უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ სსრკ-ში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების თავისებურებებსა და მის მეთოდებზე.

დღემდე სადავო პრობლემაა, უნდა განსხვავდებოდეს თუ არა დემოგრაფიული პოლიტიკა ქვეყნის რაიონების მიხედვით. თუ გამოვალთ იქიდან, რომ ეს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მომავალი მოსახლეობის კვლავწარმოების ერთიანი, ოპტიმალური ტიპის შექმნისაკენ, მაშინ მთელ ქვეყანაშიც დემოგრაფიული პოლიტიკის ერთიანი მიმართულება უნდა ხორციელდებოდეს. მაგრამ ამასთანავე, ხაზი უნდა გაუუსვათ, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის ამა თუ იმ მეთოდის შესაძლებლობა და რაციონალური გამოყენება რეგიონის კონკრეტული პირობიდან გამომდინარე უნდა განისაზღვრებოდეს.

მოსახლეობის შეკვეცილი კვლავწარმოების თავიდან აცილების ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს მოკვდაობის შემდგომი შემცირება, უფრო სწორად კი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა.

დემოგრაფიული პოლიტიკა შეიძლება ეფექტური იყოს თუ მისი მიზნები ემთხვევა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო მიმართულებას, მის წინსვლით განვითარებას.

დებულება იმის შესახებ, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის ზოგიერთი ღონისძიება მოსაზრებათა სისტემის მეშვეობით რეალიზდება, დიდად განსაზღვრავს მისი განხორციელების ეფექტურობის პირობებსა და მის ძირითად პრინციპებს.

თავისი სპეციფიკური ზემოქმედების გამო, დემოგრაფიულ პოლიტიკას შობადობის სფეროში საგრძნობი და მყარი შედეგი მხოლოდ განსაზღვრული დროის შემდეგ შეუძლია მოგვცეს. რეალურად შეიძლება ვიმოქმედოთ მხოლოდ დემოგრაფიული ქცევის ფორმირებად სტანდარტებზე, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობაში, ვინაიდან მოზრდილ ადამიანებში იგი უკვე ნაკლებად იცვლება. ამ მხრივ უფრო პლასტიკურია მოსახლეობის წარმოდგენები მიგრაციის ამა თუ იმ სახეობისა და მიმართულების უპირატესობაზე.

დემოგრაფიული პოლიტიკის წარმატების მეორე მნიშვნელოვანი პირობაა მისი მიმართულებისა და მიზნის ხანგრძლივი და მრავალწლიანი მდგრადობა. ამ სფეროში ყოველგვარი „კურსის შეცვლა“ მოსახლეობის დეზორიენტირებას ახდენს, არ უწყობს ხელს დემოგრაფიული ქცევის აუცილებელი, მტკიცე სტანდარტების ფორმირებას.

ახალი დემოგრაფიული იდეალები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ (ან შევქმნათ პირობები, ისტორიულად უმოკლეს დროში არსებული იდეალების რეალიზაციისათვის), თუ დემოგრაფიული პოლიტიკა ცხოვრებაში ტარდება როგორც ღონისძიებების ყოველმხრივი და

მრავალფეროვანი კომპლექსი – ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისეულ ფასეულობათა სისტემაში, ოჯახებისათვის პირდაპირი ფულადი დახმარებებიდან დაწყებული, დედობისა და მამობის როლის პროპაგანდამდე.

ამიტომ, იმის განსაზღვრა, წარმატებულია თუ წარუმატებელი დემოგრაფიული პოლიტიკა, საკმაოდ ზუსტად მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება. ეს კი გარკვეულ ფსიქოლოგიურ სიძნელეს ქმნის ამ ღონისძიებათა გატარებისას, ვინაიდან მათზე დანახარჯების გაწევა აუცილებელია უახლოეს დროში, ხოლო შედეგი კი შეიძლება გამოვლინდეს მომავალში, შესაძლოა საკმაოდ შორეულშიც.

დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა გატარებისას სოციალისტური საზოგადოება წყვეტს ოჯახის შრომითი და კვლავწარმოებითი ფუნქციების საუკეთესოდ შეხამების ამოცანას.

დემოგრაფიულ პროცესებზე საზოგადოების მიზანმიმართული ზემოქმედების შესაძლებლობას ადასტურებს ევროპის რიგ სოციალისტურ ქვეყანათა გამოცდილება, სადაც უკანასკნელ ათწლეულებში ტარდებოდა შობადობის ზრდისაკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა. ყველაზე სრული სახით დემოგრაფიული პოლიტიკის პროგრამები, დაახლოებით 60-იანი წლების შუახანებიდან ხორციელდება ბულგარეთში, გერ-ში, რუმინეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ცხოვრების ღონის ცვლილებასთან და სხვადასხვაგვარ მატერიალურ კეთილდღეობაზე მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, დემოგრაფიული პოლიტიკის არსებული ღონისძიებები მუდმივად უნდა უმჯობესდებოდეს.

რისკენ უნდა იყოს მიმართული შორეულ პერსპექტივაში დემოგრაფიული პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში? ის მიმართული უნდა იყოს იმ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისაკენ,

რომლებიც ქვეყნის წინაშე XXს. ბოლოსა და XXIს. დასაწყისში დადგება, რადგანაც დემოგრაფიული პროცესების ინერტულობის გამო საგრძნობი შედეგების მიღწევა ხანგრძლივ დროს მოითხოვს. ეს ნიშნავს, რომ ღონისძიებათა სისტემის რეალური წვლილი საზოგადოებრივ, მათ შორის ეკონომიკურ, განვითარებაში საგრძნობი გახდება არა ერთბაშად, რადგანაც 90-იან წლებში დაბადებული ბავშვები შრომისუნარიან ასაკში შევლენ XXI ასწლეულში, როცა წარმოების ტექნიკური დონე მნიშვნელოვნად მაღალი იქნება ვიდრე ახლანდელი. ამიტომ უკვე დღესაა საჭირო ვიფიქროთ მოსახლეობის ხარისხობრივი მახასიათებლების ამადლებაზე

დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტია ასევე მიგრაციაც. მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობა თავისი არსით უნდა განიხილებოდეს როგორც დადებითი მოვლენა; მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში მას შეიძლება ნეგატიური შედეგებიც ჰქონდეს, ამიტომ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას საჭიროა რეგიონის პირობების გათვალისწინება.

დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტურობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოჯახს, ამასთან, ლაპარაკია არა მარტო მეუღლეთა რეპროდუქციულ ქცევაზე. ოჯახში ხორციელდება ბავშვების აღზრდა, მათი სოციალური ქცევის განსაზღვრულ ნორმებზე, მომავალი პროფესიული საქმიანობის გვარობასა და სახეობაზე ორიენტაცია. ოჯახი დასაწყისიდანვე აყალიბებს (რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ურთიერთობის, და უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი წარმოების ზემოქმედებით) წარმოდგენებს მიგრაციის შესაძლო გზებზე.

დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა რომელი ჯგუფები არსებობს? პირობითად ისინი შეიძლება დაგვით სამ ჯგუფად: 1) ეკონომიური, 2) ადმინისტრაციულ-იურიდიული, 3) სოციალურ-ფსიქოლოგიური ანუ აღმზრდელობითი.

დემოგრაფიული პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებათა, განსაკუთრებით ეკონომიკურის, გამოყენების შესაძლებლობა და ეფექტურობა უშუალოდ წარმოებითი ურთიერთობის გაბატონებულ სისტემაზე დამოკიდებულია. მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში, მისი გეგმიანი მეურნეობის მეშვეობით იქმნება ობიექტური შესაძლებლობა დემოგრაფიული პოლიტიკის სხვადასხვაგვარი მეთოდების ეფექტურად გამოყენებისათვის

შობადობაზე მოქმედ ეკონომიკურ საშუალებებს შორის აუცილებელია განსაკუთრებით გამოვეყნოთ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მოწოდებულია შექმნას საუკეთესო პირობები ბავშვთა გარკვეული რიცხვის მყელ ოჯახებში შრომითი და აღმზრდელობითი ფუნქციების შესახამებლად. ზოგჯერ ისინი დაჰყავთ მხოლოდ ე.წ. ოჯახურ შემწევობებზე, ე.ი. ოჯახებისათვის პირდაპირ ფულად დახმარებებზე მათში ბავშვთა რიცხვის შესაბამისად, რასაც ხშირად მრავალშვილიანობის დახმარებასთან აიგივებენ. თუ ოჯახური დახმარებები მიზნად ისახავს, როგორც წესი, დაბალი რიგითობის შობადობის სტიმულირებას (პირველი, მეორე, მესამე ბავშვი), მრავალშვილიანი ან ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის შემწეობა კი, ეკონომიკური დახმარების ღონისძიებას წარმოადგენს.

სსრკ-ში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის პირდაპირი ფულადი დახმარებები ჯერ კიდევ 1944 წელს შემოიღეს. ამ საკანონმდებლო აქტის თანახმად დახმარება ეძლევათ ყოველთვიურად, მეოთხე და შემდგომი ბავშვისათვის, ამასთან ბავშვის რიგითი ნომრის ზრდასთან ერთად დახმარების ზომაც იზრდება. როგორც ცნობილია, X ხუთწლედში შემოდებულ იქნა ნაკლებადუზრუნველყოფილ ოჯახთა დახმარების სისტემა, რომლებსაც მიეკუთვნებოდა ოჯახები, თვეში 50 მანეთი და უფრო ნაკლები საშუალო სულადობრივი შემოსავალით.

დემოგრაფიული პოლიტიკის ეკონომიკური სახსრები თავისი შესაძლებლობებითა და ნომენკლატურით არ შემოიფარგლება დახმარებებითა და სხვა სახის წახალისებათა გაცემით. აქ შედის ღონისძიებები, რომლებიც დედებს საშუალებას აძლევს ეფექტურად იმუშაონ საზოგადოებრივ წარმოებაში. არასრული სამუშაო დღის უფრო ფართოდ გამოყენება ან მცოცავი გრაფიკით მუშაობა, საშუალებას იძლევა ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში ადვილად შეათავსონ მისი მოვლა და შრომითი საქმიანობა.

შობადობის წახალისებისა და ახალი დემოგრაფიული ქცევის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს პრაქტიკაში განხორციელებული ბავშვიანი ოჯახებისათვის შეღავათების მიცემა, აგრეთვე ახალდაქორწინებულთათვის სახელმწიფო საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას და საბინაო-საამშენებლო კოოპერატივებში შესვლისას შეღავათების დაწესება.

შობადობის წახალისების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია – მაღალხარისხოვანი საბავშვო ტანსაცმლის, ფეხსაცმლის აგრეთვე სპეციალურად მომზადებული და კარგად გაფორმებული ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების მოცულობის გადიდება და შეუფერხებელი გაყიდვა ხელმისაწვდომი ფასებით.

ამასვე შეიძლება მიეკუთვნოს ოჯახების დახმარების ისეთი ფორმა, როგორცაა მათთვის, წარმოებისა და ორგანიზაციების ფონდების ხარჯზე, მიზნობრივი ფულადი კრედიტის შეღავათიანი პირობებით მიცემა ბინის, ხანგრძლივი მოხმარების საგნების საყიდლად; ასეთი კრედიტის ნაწილი, ხშირად ნახევარიც კი, უსასყიდლოდ იფარება მეორე და მესამე ბავშვის გაჩენისას.

დემოგრაფიული პოლიტიკის ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასა და მუშაობის ხარისხის

გაუმჯობესებას. საზოგადოებრივი მოთხოვნის თვალსაზრისით პერსპექტივაში მისი საქმიანობა დამაკმაყოფილებლად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როცა ყოველ ოჯახს სურვილისამებრ მაშინვე შეეძლება ბავშვის საბავშვო ბაღში ან ბაგაში სახლთან ან სამსახურთან ახლოს, დაუყოვნებლივ მოწყობა,⁷³ და დარწმუნებული იქნება, რომ იქ მოვლისა და აღზრდის პირობები ოჯახის პირობებზე უარესი არ იქნება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იქ ბავშვთა დაავადებების შემცირებასაც, რაც არა მარტო ხელს შეუწყობს ბავშვის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, არამედ მნიშვნელოვნად შეამცირებს ქალების სამუშაო დროის დანაკარგებსაც. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყველა სამინისტროსა და უწყების მიერ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის ვადებისა და ხარისხის მტკიცედ დაცვის გადაწყვეტილებათა უცილობლად შესრულება.

შობადობის წახალისების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის ყოველმხრივი განვითარება (მაგალითად, სამრეცხაოების, პროდუქტების სახლში მიტანის), მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, საიმედო და ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოშვების გაფართოება (სარეცხი მანქანების, სამზარეულო კომბაინებისა და სხვა), რომლებიც ამსუბუქებს საოჯახო შრომას.

აუცილებელია ხაზი გავუსვათ, რომ ეკონომიკური ღონისძიებები ხელს უნდა უწყობდეს ოჯახების სამ ბავშვზე ორიენტირებას. შეღავათებით პირველ რიგში, სწორედ სამშვილიანი ოჯახები უნდა სარგებლობდნენ.

⁷³ 1982 წლის 1 იანვრის მონაცემებით მუდმივ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში დადიოდა 15,1 მლნ. ბავშვი (1982 ., . 415), მაგრამ 1983 წლის 1 იანვრისათვის ბავშვების საბავშვო ბაღში ან ბაგაში მოწყობის თაობაზე დაუკმაყოფილებელი იყო 2 მლნ. განცხადება (, 1983, 22).

მიგრაციის წახალისების ეკონომიკური ღონისძიებები გულისხმობს მიგრაციის უპირატეს რაიონებში ცხოვრების უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას, რაც მოიცავს არა მარტო ხელფასის მომატებას, არამედ მომსახურების სფეროს უფრო ინტენსიურ განვითარებას, კომფორტული საცხოვრებელი უზრუნველყოფის მაღალ დონეს. სსკპ-ის XXIV ყრილობაზე მიღებულმა ფართო პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა ჩრდილოეთში მომუშავეთათვის შეღავათების გაზრდას, დიდად შეუწყო ხელი მიგრაციული ნაკადების რაციონალიზაციას, მოსახლეობის ჩრდილოეთში და შორეულ აღმოსავლეთში დამაგრებას, რითაც პრაქტიკულად დაამტკიცა საზოგადოების მიერ მიგრაციულ პროცესებზე ეფექტური ზემოქმედების შესაძლებლობა.

დემოგრაფიული პოლიტიკის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ღონისძიებებს უმთავრესად მიეკუთვნება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, დადგენილება, რომელსაც შემოაქვს სამედიცინო დაწესებულებებში აბორტების სრული ან ნაწილობრივი აკრძალვა, აქტები, რომლებიც მაღლა ან დაბლა სწევს კანონით გათვალისწინებულ ქორწინების რეგისტრაციის მინიმალურ ასაკს, ზღუდავს ან ახალისებს მიგრაციას ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში.

დემოგრაფიული პოლიტიკის ადმინისტრაციულ-იურიდიული ღონისძიებები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამკრძალავი სისტემებით არ შემოიფარგლება. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონის ცვლილება, ოჯახის დაშლისას დედისა და ბავშვის ქონებრივი უფლებების გაფართოება და სხვ.. იურიდიული ხასიათის ღონისძიებებს შეიძლება მივაკუთვნოთ გარკვეული შეღავათები ფეხმძიმე ბავშვიანი ქალების სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნისას, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის

დასასვენებელ ადგილებში საგზურების მიღებისას, აგრეთვე პენსიების დანიშვნისას.

ადმინისტრაციულ-იურიდიული ხასიათის ღონისძიებებმა შედეგი მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკის სხვა ღონისძიებებთან კომპლექსში, ხელსაყრელი საერთო სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე შეიძლება მოგვცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არაეფექტური იქნება.

აღმზრდელითი ხასიათის ღონისძიებებს მიაკუთვნებენ ჩვენს ქვეყანაში დედობისა და მამობის, ოჯახში საზოგადოებისათვის სასურველ ბავშვთა რიცხვისა და ა.შ., საპატიოობისა და მნიშვნელობის პროპაგანდას. მიგრაციის სფეროში ესაა ახალი ტერიტორიის ათვისების აუცილებლობის ახსნა-განმარტება. ამაში დიდ როლს თამაშობს ახალგაზრდული მოწოდებები, მაგალითად, ყამირის ათვისება ან ბამის⁷⁴ აშენება.

მოსახლეობის „დემოგრაფიული აღზრდა“ შეიძლება სხვადასხვაგვარად წარიმართოს. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ოჯახში აღზრდა, სადაც ძირითადად ყალიბდება მოზარდი თაობის ცხოვრებისეულ ფასეულობათა სისტემა. მეორე მიმართულებაა – დემოგრაფიული ქცევის განსაზღვრული ტიპის პროპაგანდის მიზნით, ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა (კინო, რადიო, ბეჭვლითი სიტყვა, ტელევიზია) გამოყენება.

განსაკუთრებით უნდა გამოვეყნოთ საზოგადოების მიერ დემოგრაფიული სტრუქტურების განვითარებაზე გეგმაზომიერად ზემოქმედების საკითხები. განათლების სისტემის მეშვეობით სოციალისტური საზოგადოება აქტიურად და გეგმაზომიერად ზემოქმედებს მოსახლეობის განათლებისა და პროფესიულ სტრუქტურაზე. მიგრაციული პროცესების მართვის მეშვეობით

⁷⁴ ბამი – ბაიკალ-ამურის მაგისტრალი (მთარგმნელის შენიშვნა).

შეიძლება მიზანმიმართულად ვიმოქმედოთ ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით, ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის განსახლებაზე, აგრეთვე ცალკეული რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე.

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება. მასში შეიძლება ვიგულისხმოთ ისტორიულად მოკლე დროში და უმცირესი დანახარჯებით მოსახლეობის კვლავწარმოების ოპტიმალური ტიპის ჩამოყალიბება. დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტურობის განსაზღვრის არსებითი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ უკიდურესად რთულია დემოგრაფიულ პროცესთა ინტენსივობის იმ ცვლილებათა გამოყოფა, რაც სწორედ გატარებული პოლიტიკის ზემოქმედებით არის გამოწვეული.

უკანსაკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის რიგ რაიონებში იწყება დემოგრაფიული პოლიტიკის რეგიონული პროგრამების, როგორც საერთო საკავშირო პროგრამის დანამატის დამუშავება და ცხოვრებაში გატარება, რომლებიც ქვეყნის ამ ნაწილის სპეციფიკურ პირობებს ითვალისწინებს. ასე მაგალითად, 1977 წელს მიღებულ იქნა სკკპ-ის მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო საბჭოს დადგენილება, მოსკოვში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების შესახებ, რომლებსაც 1982-1983 წლებში მთელი რიგი ღონისძიებები დაემატა. მასში გათვალისწინებული იყო ორ, სამ და მეტ ბავშვიანი ოჯახებისათვის წამახალისებელ ღონისძიებათა ფართო კომპლექსი, მათ შორის ურიგო საცხოვრებელი ფართის გაცემაც. დასახული იყო აგრეთვე მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების, სამედიცინო მომსახურების სისტემის გაუმჯობესების რიგი ღონისძიებებიც. მოსკოვში შეიქმნა „ოჯახის სამსახური“ (კერძოდ, მოსკოვის საქალაქო საბჭოსთან მუშაობს ოჯახისა და ქორწინების განყოფილება), რომელიც მოწოდებულია დაამუშაოს და

განახორციელოს, ოჯახის ფორმირებასა და განვითარებაზე უფრო აქტიურად ზემოქმედების, ქალაქში ქორწინების განმტკიცებისა და განქორწინებათა შემცირების ღონისძიებათა, ფართო კომპლექსი. ასეთი სახის რეგიონული პროგრამები უკვე რამდენიმე წელიწადია საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს ლატვიის სსრ-სა და ბაშკირეთის ასსრ-ში, მუშავდება ქვეყნის რიგ სხვა რესპუბლიკებშიც.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხთმოსახლეობის პრობლემის გადაწყვეტა მთელი ხალხის საქმე უნდა გახდეს, იყოს მეცნიერებისა და ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

ჩვენს დროში საბჭოთა დემოგრაფია, წარსული ჩამორჩენის დასაძლევად ვითარდება სიგანეშიც და სიღრმეშიც. აქტიურად ტარდება დემოგრაფიული გამოკვლევები, როგორც სამეცნიერო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ. სსრკ-ის საგეგმო კომიტეტში ამ სამუშაოს ატარებს სოციალური განვითარებისა და ხალხთმოსახლეობის კრებსითი განყოფილება, ამ მხრივ ბევრს აკეთებს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებიც. ქვეყანაში დიდი მოცულობის დემოგრაფიული ლიტერატურა გამოიცემა. ბეჭდვითი სიტყვის ფურცლებზე ფართოდ განიხილება ხალხთმოსახლეობის განვითარების პრობლემები. აქტიურად მუშაობს რიგი სამეცნიერო-კვლევითი დემოგრაფიული ცენტრები მოსკოვისა და სხვა ქალაქებში. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება მოსახლეობის პრობლემების სპეციალისტთა მომზადება.

მართალია დემოგრაფიული პროცესები იმისდა მიუხედავად განვითარდება, ჩვენ მის შესახებ ბევრი ვიცით თუ ცოტა. მაგრამ „დემოგრაფიული უვიცობისაგან“ დანაკარგები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, განსაკუთრებით კი ჩვენი საზოგადოების გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ დაგეგმვაზე გადასვლისას.

ჩვენს დროში ხალხთმოსახლეობის პრობლემის შესწავლა, მისი განვითარების ძირითადი კანონზომიერებების გაგება, მნიშვნელოვან წინამძღვარს წარმოადგენს ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვისათვის, ქვეყანაში მოქმედი ეფექტური პოლიტიკის ღონისძიებათა წარმატებით გატარებისათვის. ამისკენ უმიზნებს, საბჭოთა მეცნიერებს პარტიისა და სახელმწიფოს, აგრეთვე სახალხო მეურნეობრივი პრაქტიკის მოთხოვნები.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა-----3

თავი I. დემოგრაფია და თანამედროვეობა-----6

თავი II. დემოგრაფიული ანალიზის შესახებ-----20

 დემოგრაფიული კოეფიციენტები-----25

 მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები
 და დემოგრაფიული ცხრილები-----41

 დემოგრაფიული პროცესების შესწავლის
 სოციოლოგიური მეთოდები-----66

 დემოგრაფიული ინფორმაციის წყაროები-----73

თავი III. დემოგრაფიული პროგნოზირების შესახებ-----83

თავი IV. სსრკ-ის მოსახლეობა გუშინ, დღეს, ხვალ-----113

 ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა წარსულში-----113

 ქვეყნის მოსახლეობა ოქტომბრის შემდეგ-----126

 სსრკ-ის მოსახლეობის განვითარების ხანგრძლივი
 ტენდენციები და მათი შედეგები-----155

თავი V. რა არის დემოგრაფიული პოლიტიკა?-----170

რეკომენდებული ლიტერატურა-----186